ამირან ბერძენიშვილი

თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები

თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები

ამირან ბერძენიშვილი

სოციოლოგთა სწავლების უმთავრეს ამოცანას სტუდენტებში სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება წარმოადგენს. სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება კი თითქმის იგივეა, რაც სოციოლოგიური თეორიების შესწავლა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები ცხოვრებისეულ, საარსებო და საჭირბოროტო მნიშვნელობის მქონე სოციალურ კითხვებზე გვაძლევს პასუხს. „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების“ სახელმძღვანელოს ჩვენ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, განსაკუთრებით, 1968 წლის სტუდენტური გამოსვლების შემდგომ პერიოდში, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობის წარმომადგენელთა შრომების/შეხედულებების ანალიზით ვიწყებთ: ნიკლას ლუმანი, თავისი აუტოპოესისურ სოციალურ სისტემათა თეორიით; იურგენ ჰაბერმასი, თავისი კომუნიკაციური მოქმედების თეორიით; ნორბერტ ელიასი – ფიგურაციის თეორიით (ის ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, მაგრამ აღიარებული მეორე ნახევარში გახდა); პიერ ბურდიე, თავისი პრაქსისის თეორიითა თუ ჰაბიტუსის, სოციალური ველის თეორიით; ენტონი გიდენსი – სტრუქტურაციის თეორიითა თუ გვიანდელი, მაღალი მოდერნის მოძღვრებით; მანუელ კასტელსი – ინფორმაციონალიზმის და ულრიხ ბეკი – რისკის საზოგადოების თეორიით; ზ. ბაუმანი – ჰოლოკოსტისა და მოდერნის თეორიით; ჯ. რიტცერი – ფორმალური რაციონალობის ოთხი მახასიათებლით. სტრუქტურალისტები – ალთიუსერი და გოდელიე – სოციალური სტრუქტურების ნეომარქსისტული გაგებით. პოსტსტრუქტურალისტები – განსაკუთრებით, მიშელ ფუკო, თავისი დისკურსისა და ეპისტემეს კატეგორიებით, ძალაუფლებისა და ცოდნის დამოკიდებულების ნიცშეანური მიდგომით. პოსტმოდერნისტები – „დიდი ნარატივების“ თავიანთი კრიტიკით, ფრაგმენტულობისა თუ ნიშანთა აფეთქების, სიმულაკრების ანალიზით. ჯეფრი ალექსანდერი – „კულტურალური სოციოლოგიით“, რომელიც, უდავოდ, ახალ სიტყვას წარმოადგენს თანამედროვე უახლესი სოციალური თეორიების განვითარებაში. ფემინისტური სოციოლოგია – ქალთა პოზიციებიდან დანახული სოციალური სამყაროს თეორიით; პიოტრ შტომპკას „მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგიით“, დაბოლოს, ლიუკ ბოლტანსკის და ლორან ტევენოს პრაგმატისტული მობრუნების სოციოლოგიით დამთავრებული.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს თეორიული სოციოლოგიის სფეროში არსებულ ავტორიტეტულ დასავლურ და ქართულ ანალოგიურ გამოცემებს.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართველი პროფესიონალი სოციოლოგების მომზადებაში და არც საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს დატოვებს გულგრილს.

სამეცნიერო რედაქტორი – სოციოლოგიის დოქტორი ფლორა ესებუა

რეცენზენტები: სოციოლოგიის დოქტორი ლია წულაძე
ფილოსოფიის დოქტორი კახა ქეცბაია

ქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13-862-1 (pdf)

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....9

თავი პირველი – თეორიული სოციოლოგია და სოციოლოგიური წარმოსახვა.....11

1. სოციოლოგთა სწავლების მიზნები 11
2. სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპები და მათი დინამიკა 12
3. სოციოლოგიური წარმოსახვა და თეორიული რესურსები 15
4. ამხსნელი თეორია.....17
5. ევრისტიკული თეორია 19
6. ანალიტიკური თეორია.....20
7. ეგზეგეტიკური თეორია.....21

თავი მეორე – ნიკლას ლუმანის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და დებულებები 41

1. ნიკლას ლუმანი – პიროვნება და მეცნიერი.....41
2. სამი ეპისტემოლოგიური ცრურწმენა და საზოგადოების ცნება.....43
3. აუტოპოესისი და სოციალური სისტემის ოთხი მახასიათებელი.....47
4. საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები: მნიშვნელობის (საზრისის) ცნება.....50
5. კომუნიკაციები და ორმაგი შესაძლებლობა 51
6. სოციალური სისტემების ევოლუცია 53
7. ფუნქციონალური დიფერენციაცია და კოდი 56
8. სისტემური თეორია და ცოდნის სოციოლოგია 58

თავი მესამე – კომუნიკაციური მოქმედების თეორია. იურგენ ჰაბერმასის სოციოლოგიური შეხედულებები.....72

1. იურგენ ჰაბერმასი, როგორც პიროვნება და მეცნიერი.....72
2. ლუმანი და ჰაბერმასი: ფუნქციონალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია.....74
3. სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს დიფერენციაცია – დეცენტრალიზაცია და სოციალური მოქმედების ტიპები 76
4. ცოდნა და ინტერესები. უთანხმოება მარქსთან 80
5. რაციონალიზაცია, კომუნიკაცია, დისკურსი. 82
6. ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროს კოლონიზაცია.....84
7. „სისტემა“ და „ცხოვრების სამყარო“ 85
8 . სოციალური და სისტემური ინტეგრაცია 87
9. სოციალური სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია და მისი დაძლევის გზები.....88
10. თანამედროვეობის (მოდერნის) დაუსრულებელი პროექტი 90
11. ი. ჰაბერმასი პოსტმოდერნისტების წინააღმდეგ 92

თავი მეოთხე – უკან, მომავალში: ნორბერტ ელიასის ფიგურაციული სოციოლოგია 109
1. ნორბერტ ელიასი: პიროვნება და მეცნიერი 109
2. სოციოლოგია – რელატიური ავტონომიის პრინციპი 111
3. ფიგურაცია, როგორც სოციალური პროცესი 114
4. „მანერების ისტორია“ 120
5. „ძალაუფლება და თავაზიანობა“ 125

თავი მეხუთე – პ. ბურდიეს სოციოანალიზის ძირითადი კატეგორიები 136
1. პიერ ბურდიე – პიროვნება და მეცნიერი 136
2. ემპირიული და ეპისტემოლოგიური ინდივიდი, კვლევის საგნის კონსტრუირების ეტაპები 138
3. სოციალური სივრცე, ველი, პოზიცია და დისპოზიცია 139
4. Habitus – ცნება, ნიშნები, ფორმები 144
5. სოციალური და პოლიტიკური ველის ურთიერთდამოკიდებულება 148
6. ჰაბიტუსისა და ველის კონცეფციის გამოყენება პრაქტიკაში: 152
„Homo Academicus“ – მეცნიერების სოციოლოგია 152
7. „განსხვავება“ – კულტურის სოციოლოგია – გემოვნების სახეები 154
8. სოციოლოგი და საზოგადოება 158

თავი მეექვსე – ენტონი გიდენსის სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურაციის თეორია 192
1. ენტონი გიდენსი: პიროვნება და მეცნიერი. 192
2. „ფუნქციონალიზმის“ და „ევოლუციონიზმის“ კრიტიკა ე. გიდენსის მიერ 193
3. სოციოლოგიური მემკვიდრეობა და სტრუქტურაციის თეორია 194
4. ცოდნა და სოციალური მოქმედება 194
5. სოციოლოგიის საგანი 195
6. სტრუქტურაციის თეორია 196
7. სტრუქტურა, სისტემა და სტრუქტურაცია 197
8. გიდენსი და მისი კრიტიკოსები 204

თავი მეშვიდე – თანამედროვეობის (MODERN) უახლესი თეორიები 225
1. სოციოლოგიის კლასიკოსები (მარქსი, ვებერი, დიურკემი, ზიმელი) თანამედროვეობის (Modern) შესახებ 225
2. თანამედროვეობა, როგორც დამანგრეველი ძალა 227
3. თანამედროვეობა და იდენტობა 231
4. რისკის საზოგადოება: რისკების შექმნა და მართვა 233
5. მაკდონალდიზაცია, გლობალიზაცია, ამერიკანიზაცია და მოხმარების ახალი საშუალებები 236

6. თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი....244
7. ჰოლოკოსტი და მაკდონალდიზაცია....246

თავი მერვე – მანუელ კასტელსი: ინფორმაციონალიზმი და ქსელური საზოგადოება....270
1. მანუელ კასტელსი – პიროვნება და მეცნიერი....271
2. მანუელ კასტელსის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრინციპები....274
3. ინფორმაციული კაპიტალიზმის არსება (ფრენკ უებსტერის მიხედვით)....277
4.ინფორმაციონალური კაპიტალიზმის კულტურული შედეგები....282
5. იდენტურობის ძალაუფლება....287
6. სტრატიფიკაციის ახალი ფორმები....288
7. მერიტოკრატია?....293
8. ინფორმაციული შრომა ისტორიულ განვითარებაში....294
9. მესაკუთრეთა კლასის ურყეობა – სიმტკიცე....296
10. ინფორმაციონალური კაპიტალიზმის წყაროები....298
11. ეპოქათა ცვლა....299

თავი მეცხრე – იმანუილ ვალერშტაინი: ისტორიულად ორიენტირებული მარქსიზმი....319
1. იმანუილ ვალერშტაინი: პიროვნება და მეცნიერი....319
2. „თანამედროვე მსოფლიო სისტემა“....320
3. გეოგრაფიული ექსპანსია....322
4. შრომის მსოფლიო დანაწილება....322
5. ძლიერი სახელმწიფოების განვითარება....323
6. მსოფლიო სისტემის თეორია დღეს....325

თავი მეათე – ჯეფრი ალექსანდერი: ნეოფუნქციონალიზმიდან კულტურალურ სოციოლოგიამდე....341
1. ჯეფრი ალექსანდერი: ავტობიოგრაფიული ნარკვევი....341
2. ნეოფუნქციონალიზმის ძირითადი ცნებები....343
3. სოციოლოგია და კულტურა: სიტყვათა წესრიგი....347
4. კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამის“ სამი პრინციპი....348
5. „ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესი....350
6. „ტრაგიკული ნარატივი“, როგორც „ჰოლოკოსტი“....355

თავი მეთერთმეტე – ფემინიზმის თანამედროვე თეორია (გენდერის სოციოლოგიური თეორიები)....378
შესავალი....378
1. ძირითადი თეორიული პრობლემები....379
2. გენდერის სოციოლოგიური თეორიები – 1960-იანი წლებიდან დღემდე....382

3. თანამედროვე ფემინისტური თეორიების ნაირსახეობები 388
4. ფემინიზმი და პოსტმოდერნიზმი 413
5. ფემინისტური სოციოლოგიური თეორია 416
დასკვნა 429

თავი მეთორმეტე – პოსტსტრუქტურალიზმი: მიშელ ფუკო 446
1. მიშელ ფუკოს ცხოვრება და შრომები 446
2. ფუკო: სიგიჟე და საზოგადოება 448
3. ფუკო – კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია 451
4. ფუკო: ეპისტემეს – დისკურსის ცნება. 452
5. მიშელ ფუკო და თომას კუნი: დისკურსი და პარადიგმა 455
6. ფუკო: „არსებულის ისტორია“ და „გენეალოგიის მეთოდი“ 456
7. ფუკო: ციხეების დაბადება – ძალაუფლება და ცოდნა. პანოპტიკუმი 457
8. ფუკო: სექსუალობის ისტორია 460
დასკვნის მაგიერ: ფუკოს ძირითადი იდეები. 464

თავი მეცამეტე – პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია 494
შესავალი 494
1. ზომიერი პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ფრედერიკ ჯეიმსონი 497
2. რადიკალური პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ჟან ბოდრიარი 502
3. პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის გამოყენება 505
4. კრიტიკა და პოსტმოდერნისტული თეორია 509

თავი მეთოთხმეტე – ვიზუალური, ანუ მესამე სოციოლოგიის ჰორიზონტები 546
1. მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგია 546

თავი მეთხუთმეტე – პრაგმატისტული მობრუნება: ლიუკ ბოლტანსკის და ლორან ტევენოს სოციოლოგია 571
1. პრაგმატული მობრუნება, როგორც სიტუაციების და არა სოციალური პროცესების სოციოლოგია 571
2. სოციალური რეალობის ნივთობრივი ხასიათი 575
3. კრიტიკული უნარების სოციოლოგია 576
4. გამართლების ძირითადი სტრატეგიები 578
5. გამართლების სამყაროთა ტიპები 580
6. ჩართულობა – ადამიანებისა და ნივთების პრაქტიკული კოორდინაციის საჯარო წესი 580

Amiran Berdzenishvili, Contemporary Sociological (Social) Theories 603

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სოციოლოგთა სწავლების უმთავრეს ამოცანას სტუდენტებში სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება წარმოადგენს. სოციოლოგიური წარმოსახვა კი საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი ხდომილების სტრუქტურულ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირების უნარია; მოვლენათა ზედაპირს მიღმა არსებული იმ ფარული სტრუქტურების, კულტურული რესურსების და შეზღუდვების გაგება და წვდომაა, რომლებიც სოციალურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს, ასევე იმ შესაძლებლობების გაგებაცაა, რომლებსაც აქტორები/აგენტები ფლობენ. სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება კი თითქმის იგივეა, რაც სოციოლოგიური თეორიების შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს, ქაოსურ სიტუაციებში, ცვლილებებსა და ტრანსფორმაციებში სწორი ორიენტირება შევძლოთ. თეორიების საფუძვლიანი შესწავლის მეშვეობით საზოგადოების უფრო სიღრმისეულ წვდომასა და გაგებას, საგნებზე ნათელი წარმოდგენების შექმნას შევძლებთ, ცხოვრების შეგნებულად/ცნობიერად და რაციონალურად წარმართვის შესაძლებლობა გაგვიჩნდება/გვექნება. სოციოლოგიური თეორიების შესწავლა ისტორიის უბრალოდ ქექვას არ წარმოადგენს. ბევრი თანამედროვე სოციოლოგი აბსტრაქტული იდეებით აღარ ინტერესდება, ისინი რეალურ პრობლემებს – გლობალიზაციას, იდენტურობას, რისკს, ნდობას, სამოქალაქო საზოგადოებას, დემოკრატიას, შრომის ახალ ფორმებს, კულტურულ და სტრუქტურულ ტრავმებს და ა.შ. – შეისწავლიან და იკვლევენ. თეორიული აზროვნების სიმძიმის ცენტრი ამერიკიდან ევროპაში გადაადგილდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, პიერ ბურდიეს, ნიკლას ლუმანის, იურგენ ჰაბერმასის და ენტონი გიდენსისს კვლევებითა და შრომებითაა გამოწვეული. თუმცა არც ამერიკელი თეორეტიკოსები ჩამორჩებიან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯეფრი ალექსანდერი თავისი ფუნდამენტური შრომით „კულტურალური სოციოლოგია“, რომელიც ახალ მობრუნებას წარმოადგენს სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები ცხოვრებისეულ, საარსებო და საჭირბოროტო მნიშვნელობის მქონე სოციალურ კითხვებზე გვაძლევს პასუხს. მას შეუძლია გავლენა უფრო ფართო აუდიტორიაზეც, რიგით ადამიანებზეც მოახდინოს, რამეთუ იგი არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ სოციალური პრობლემებით დაინტერესებულ ფართო აუდიტორიას საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული სფეროების „რუკას“ აძლევს. „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების“ სალექციო კურსს ჩვენ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, განსაკუთრებით, 1968 წლის სტუდენტური გამოსვლების შემდგომ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობის წარმომადგენელთა შრომების/შეხედულებების ანალიზით ვიწყებთ. ნიკლას ლუმანი, თავისი აუტოპოესისურ სოციალურ სისტემათა თეორიით, იურგენ ჰაბერმასი, თავისი კომუნიკაციური მოქმედების თეორიით, ნორბერტ ელიასი – ფიგურაციის თეორიით (ის ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, მაგრამ აღიარებული მეორე ნახევარში გახდა). პიერ ბურდიე, თავისი პრაქსისის თეორიითა თუ ჰაბიტუსის, სოციალური ველის თეორიით, ენტონი გიდენსი – სტრუქტურაციის თეორიითა თუ გვიანდელი, მაღალი მოდერნის მოძღვრებით. მანუელ კასტელსი – ინფორმაციონალიზმის და ულრიხ ბეკი – რისკის საზოგადოების თეორიით, ზ. ბაუმანი – ჰოლოკოსტისა და „დენადი-მდინარი“ მოდერნის თეორიით. ჯ. რიტცერი – ფორმალური რაციო-

ნალობის ოთხი მახასიათებლით. სტრუქტურალისტები – ალთიუსერი და გოდელიე – სოციალური სტრუქტურების ნეომარქსისტული გაგებით. პოსტსტრუქტურალისტები – განსაკუთრებით, მიშელ ფუკო – თავისი დისკურსისა და ეპისტემეს კატეგორიებით, ძალაუფლებისა და ცოდნის დამოკიდებულების ნიცშეანური მიდგომით. პოსტმოდერნისტები „დიდი ნარატივების“ თავიანთი კრიტიკით, ფრაგმენტულობისა თუ ნიშანთა აფეთქების, სიმულაკრების ანალიზით. ჯეფრი ალექსანდერი „კულტურალური სოციოლოგიით“, რომელიც, უდავოდ, ახალ სიტყვას წარმოადგენს თანამედროვე უახლესი სოციალური თეორიების განვითარებაში. ფემინისტური სოციოლოგია ქალთა პოზიციებიდან დანახული სოციალური სამყაროს თეორიით. პიოტრ შტომპკას „მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგიით“, დაბოლოს, ლიუკ ბოლტანსკის და ლორან ტევენოს პრაგმატისტული მობრუნების სოციოლოგიით.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს თეორიული სოციოლოგიის სფეროში არსებულ ავტორიტეტულ უცხოურ (ჯორჯ რიტცერი, იოასი, კნიობლი, ანეტე ტრაიბელი და სხვ.) და ქართულ (იაგო კაჭკაჭიშვილი და სხვ.) ანალოგიურ გამოცემებს.

ყოველ ახალ სალექციო თემას თან ახლავს შესაბამისად შერჩეული საკვანძო სიტყვები და გამოთქმები (keywords).

თავი პირველი – თეორიული სოციოლოგია და სოციოლოგიური წარმოსახვა

1. *სოციოლოგთა სწავლების მიზნები;*
2. *სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპები;*
3. *სოციოლოგიური წარმოსახვა და თეორიული რესურსები;*
4. *ამხსნელი თეორია;*
5. *ევრისტიკული თეორია;*
6. *ანალიტიკური თეორია;*
7. *ეგზეგეტიკური თეორია.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- სოციოლოგიური წარმოსახვა;
- ამხსნელი თეორია;
- ევრისტიკული თეორია;
- ანალიტიკური ეგზეტიკური თეორია.

1. სოციოლოგთა სწავლების მიზნები

სოციოლოგთა სწავლება ოთხ მიზანს ისახავს:

1. ასწავლოს იმ საგნის ენა, ცნებები და კატეგორიები, რომელთა დახმარებითაც სოციალური რეალობა შეიმეცნება.

2. გამოუმუშაოს განსაზღვრული შეხედულება საგანზე, სოციალურ რეალობასთან მიდგომის პერსპექტივა.

3. ასწავლოს ემპირიული მეთოდების, პროცედურებისა და ტექნიკის გამოყენება.

4. გამოიყენოს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ფაქტებისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

თუ პირველ და მეორე პუნქტებს – ენას და პერსპექტივას – ერთი სახელწოდების ქვეშ გავაერთიანებთ, ჩარლზ რაიტ მილსის შრომიდან ნასესხებ „სოციოლოგიურ წარმოსახვას“ მივიღებთ. „სოციოლოგიური წარმოსახვა კი საზოგადოების შიგნით ისტორიისა და ბიოგრაფიის, აგრეთვე მათ შორის კავშირის გაგებაში გვეხმარება“ (ჩ. მილსი). სხვა სიტყვებით, სოციოლოგიური წარმოსახვა განსაზღვრული თვალსაზრისით საზოგადოების განხილვის უნარი თუ შესაძლებლობაა (პიოტრ შტომპკა). ეს უნარი ხუთ კომპონენტს მოიცავს:

1. სოციალური მოვლენის, როგორც სოციალურ აგენტთა, ინდივიდთა ან ჯგუფთა საქმიანობის რეზულტატის განხილვა და ამ აგენტთა იდენტიფიცირება.

2. მოვლენათა ზედაპირის მიღმა არსებული იმ ფარული სტრუქტურული და კულტურული რესურსების და შეზღუდვების, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალურ ცხოვრებაზე, მათ შორის იმ შესაძლებლობების გაგება, რომლებიც აგენტთა განკარგულებებშია. „უხილავი სოციალური სტრუქტურების გამოსავლენად სტუდენტებს სჭირდებათ მოთმინება, რათა საზოგადოებაზე სოციოლოგიური შეხედულება გამოიმუშაონ (მირა კომაროვსკა).

3. ტრადიციის, ცოცხალი მემკვიდრეობის და აწმყოზე მისი მუდმივი გავლენის შესწავლა.

4. საზოგადოებრივი ცხოვრების მის დინამიკასა და ჩამოყალიბების ცვალებად პროცესებში აღქმა.

5. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა ვარიანტების აღიარება.

სოციოლოგიური განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია „ადამიანურ სამყაროში საზღვრების გაფართოებით და სხვა ადამიანების შინაგან სამყაროში შეღწევით შემეცნების განთავისუფლება, რათა სხვა ადამიანთა შინაგანი სამყაროს და განსხვავებულ კულტურათა შედარება შესაძლებელი გახდეს, მართალია ეს სოციოლოგიური წარმოსახვის ერთადერთი ასპექტი არაა... მაგრამ ყველაფერი ეს მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რამდენადაც ადამიანური ცხოვრების ნაწილია“ (ევერეტ ჰიუზი).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციოლოგიური წარმოსახვა დადგენილებათა მრვალფეროვნებისა და სიმრავლის აღიარებაა, საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი ხდომილების სტრქუტურულ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან და აგრეთვე საზოგადოების წევრთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოქმედებებთან დაკავშირების უნარია.

პ. შტომპკა თავის დებულებას სხვადასხვა ავტორთა შრომებიდან მოხმობილი მოსაზრებების ციტირებით აძლიერებს. მაგალითად, ჩარლზ რაიტ მილსის აზრით, „სოციოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი შედეგი გაზეთის კითხვის უნარი უნდა გახდეს, იმისთვის, რომ ინდივიდი საგაზეთო მასალებში გაერკვიოს, რაც არც ისე ადვილია, მან შეტყობინებების ერთმანეთან დაკავშირება და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ უფრო ზოგად წარმოდგენათა კავშირში მათი გაგება და იმ ტენდენციების დანახვა უნდა შეძლოს, რომელთა ნაწილსაც ისინი შეადგენენ. სოციოლოგია – ეს, უპირველეს ყოვლისა, გაზეთში წაკითხულის ჩარჩოებიდან გასვლის საშუალებაა, ის ამის გასაკეთებლად ცნებებისა და კითხვების სისტემას გვაძლევს, თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ სოციოლოგია, როგორც ლიბერალური განათლების ნაწილი, უვარგისი აღმოჩნდება“. სოციოლოგია არა მხოლოდ „წიგნის სოციოლოგიაა“, ის „ცხოვრების სოციოლოგიაზე“ უნდა ორიენტირდებოდეს, რომელიც ჩვენი გარემოს უფრო ღრმა ინტერპრეტაციას და უკეთეს გაგებას იძლევა. სოციოლოგიის კლასიკოსი რობერტ პარკი წერს, რომ „აუდიტორიაში მიღებული ცოდნის ნამდვილი ცხოვრებისეული გამოცდილების და პრობლემებთან ინტეგრირების გარეშე, სწავლის პროცესი უბრალო პედანტიზმად იქცევა. პედანტიზმი კი ჯანსაღი აზრის, ნათელი მსჯელობებისა და ნივთთა პრაქტიკული გაგების არარსებობაში ვლინდება“. ასევე საგულისხმოა მირა კამაროვსკას აზრი იმის შესახებ, რომ „არ არსებობს უფრო დიდი საშინელება განათლებაში, ვიდრე ის, როდესაც სტუდენტები სოციოლოგიურ კატეგორიებს მხოლოდ წმინდა ფორმალურ, ცნებების დონეზე სწავლობენ და ცხოვრებისეული შინაარსის მთელ სურათს არ აფასებენ, ეს ცნებები აზროვნების სტერილურ ნაწილებად რჩებიან და ცხოვრების მიმდინარეობას არ უკავშირდებიან“ (Штомпка П. Социологические исследования, №10, 2005, გვ.1-2).

შტომპკას აზრით, სოციოლოგებისათვის, ასევე მათთვის, ვინც აკადემიურ საქმიანობას გეგმავს, და მათთვისაც, ვისი პროფესიაც პრაქტიკაზეა ორიენტირებული, სოციოლოგიური წარმოსახვა და მისი გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისება სოციალურ ცხოვრებაში აუცილებელია.

2. სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპები და მათი დინამიკა

სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფციის ფუძემდებელი ჩარლზ რაიტ მილსია, რომელმაც ამ სახელწოდებით ნაშრომი 1959 წელს გამოაქვეყნა. მოცემული კონცეფცია სოციოლოგიური თეორიების მესამე თაობის გაფურჩქვნის დროს დაიწერა, რომელსაც სოცი-

ოლოგიური აზროვნების მესამე დინამიკური ტიპი შეესაბამება. ეს მრავალი რამით აიხსნება: სოციოლოგიური წარმოსახვა, არსებითად, აზრის შინაგან, საკმარისად რთულ დინამიკას გულისხმობს.

არსებობდა თუ არა ადრე სოციოლოგიური წარმოსახვა არა, როგორც ტერმინი და კონცეფცია, არამედ, როგორც მოვლენა? რასაკვირველია, არსებობდა! – სოციოლოგიური აზროვნება და სოციოლოგიური წარმოსახვა ერთად წარმოიშვნენ, განვითარების საკუთარი საერთო იმანენტური ლოგიკა აქვთ. რასაკვირველია, სოციოლოგიურ წარმოსახვაში გაცილებით მეტად და უფრო რელიეფურად, ვიდრე სოციოლოგიურ აზროვნებაში, სოციოლოგის პიროვნული თვისებები, თვითგამოხატვის საკუთარი უნარი ვლინდება. კრავჩენკოს აზრით, ეს ინდივიდუალური უნარები სოციოლოგიური წარმოსახვის სტრუქტურის (გიდენსისეული გაგებით) მეშვეობით გვეძლევა, რომელიც, როგორც „შინაგანი“ ფაქტორი, შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფალ სფეროს არა მხოლოდ ზღუდავს, არამედ შესაძლებლობებსაც იძლევა. ამავე დროს, სოციოლოგიური წარმოსახვის თავად სტრუქტურა დინამიზმს ექვემდებარება, რომელიც სოციოლოგიური წარმოსახვის ერთი ტიპისაგან მეორეზე გადასვლას ხელს უწყობს. მოდით, სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპების დინამიკური განვითარების კონტექსტში კრავჩენკოსეულ განხილვას თვალი გავადევნოთ.

ავტორი ეყრდნობა რ. მერტონის აზრს, რომლის მიხედვითაც, სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის ერთ-ერთი ინტელექტუალური წანამძღვარი საზოგადოების კანონების, ადამიანთა დიდი ჯგუფების ქმედების რაობის შესახებ არსებულ შეხედულებათა მიმართ ორგანიზებული სკეპტიციზმის სახით აზროვნების წარმოშობა გახდა. ასეთი აზროვნება ვერ გაჩნდებოდა მანამ, სანამ საზოგადოება შედარებით წყნარად, მშვიდად ვითარდებოდა; ხოლო ადამიანთა ქმედებები უმაღლესი ხარისხით წინასწარმეტყველებადი იყო და კულტურული ტრადიციებით, მყარი კოლექტიური წარმოდგენებით, მრავალრიცხოვანი რიტუალებითა და ტაბუებით რეგლამენტირდებოდა. იგი მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როდესაც მეცნიერულმა საზოგადოებამ ძირეულ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე კრიტიკულად აზროვნება დაიწყო. „ორგანიზებული სკეპტიციზმი – წერს მერტონი – დადგენილი რუტინის, ხელისუფლების, მიღებული პროცედურების და საზოგადოდ „საკრალურის“ სფეროებში ეჭვის ფარულად შეტანას ნიშნავს დამოუკიდებლად იმისაგან, ბჭობა პოლიტიკური შეხედულებების (მრწამსის), რელიგიური რწმენის თუ ეკონომიკური უფლებების საკრალურ სფეროებს ეხება თუ არა, მეცნიერი/მკვლევარი მათ ანალიზს წინასწარ განსაზღვრული არაკრიტიკული და რიტუალისტური წესით არ ატარებს“ [ციტ: Кравченко, Социологические исследования, №8, 2009, გვ.3].

კრავჩენკოს აზრით, ორგანიზებული სკეპტიციზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციოლოგიური წარმოსახვის პირველი ტიპი. იგი სოციოლოგიური თეორიების პირველი თაობის სოციოლოგებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, კ. მარქსმა თითქოსდა „თავისუფალ“ ეკონომიკურ ურთიერთობებში რომელიღაც „უცხო ნების“ გამოვლინებები განჭვრიტა/დაინახა – შესაბამისად, გაუცხოების, სასაქონლო ფეტიშიზმის თავისებური კონცეფციები გაჩნდა, რომლებმაც ამ მიმართულებით კვლევებს წლების წინ მძლავრი სტიმული მისცა. ამავე დროს, სოციოლოგიური წარმოსახვის მოცემული ტიპის სტრუქტურამ „გააზრების გაელვებებს“ „ობიექტური“ ისტორიული კანონების შესახებ დისკურსის სახით შეზღუდვები დაადო.

სოციოლოგიური წარმოსახვის მეორე ტიპი, რომელიც ანტიპოზიტივისტური აზროვნების საფუძველზე ჩამოყალიბდა, ძირითადად, ადამიანთა განსაზღვრული ღირებულებების კონტექსტში ჩამოყალიბებული საქმიანობის შინაგანი, ლატენტური, როგორც წესი, გაუცნობიერებელი მექანიზმების გამოვლენაზე იყო მიმართულ/დამიზნებული. „კაპიტალიზმის სულის“ ვებერისეულმა ანალიზმა თანამედროვე კაპიტალიზმის რაციონალობის,

სოლიდარობის, ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზების პრინციპულად ახალი ტიპების შინაგანი საზრისის გაგებისა და წვდომის საშუალება მოგვცა.

სოციოლოგიური წარმოსახვის მილსისეული კონცეფცია მის მესამე, აზროვნების დინამიკური ტიპის ადეკვატურ, საკმარისად მომწიფებულ ეტაპს წარმოადგენს. როგორც მარქსს, ისევე მილსს თავისუფლების პრობლემატიკა იტაცებდა. მაგრამ თავისუფლებისაკენ მოძრაობას მილსი უფრო რთული დინამიკის კონტექსტში, ადამიანის აქტიური როლის, ჰუმანისტური რაციონალურობის კულტურის განმტკიცების პრიზმაში განიხილავდა. „თავისუფლება – წერდა იგი – ეს არა მხოლოდ ყოველივე იმის გაკეთების, რაც მოგვაფიქრდება, ან მოცემული ვარიანტებიდან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაა. თავისუფლება – ეს, უწინარეს ყოვლისა, არჩევანის ვარიანტების განსაზღვრის, მათი გააზრება/განსჯის შესაძლებლობაა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტილებების მიღებაა. აი, თუ რატომაა ადამიანურ საქმეებში გონების როლის ამაღლების გარეშე თავისუფლება შეუძლებელი“ (Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М.: NOTA BENE, 2001. 129). მილსის მიხედვით, სოციოლოგიური წარმოსახვა – ინტელექტის თვითცნობიერების ნაყოფიერი ფორმაა, რომლის დახმარებითაც მასში გაოცების უნარი ცოცხლდება (Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М.: NOTA BENE, 2001.22). მილსი თავისუფლებას არ იაზრებს ინტელექტუალური საზოგადოებრიობის გარეშე, რომელსაც იგი მასების სტიქიას უპირისპირებს, და პირდაპირ აღნიშნავს, რომ თავისუფალ საზოგადოებაში „დომინირებს ჭეშმარიტი საზოგადოებრიობა და არა მასები“ (იქვე, 213). მისი საკვანძო ელემენტი თითქოსდა გარე დამკვირვებლის შეხედულებაა, მკვლევრის ჩვეული კულტურული კონტექსტიდან აბსტრაგირებების მცდელობაა, რასაც ადამიანური ყოფიერების ახალი, ადრე უცნობი საზრისისეული პლასტების აღმოჩენასთან მივყავართ. „ეს აზროვნებისა და ინტელექტის განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც ჩვენი ყოფიერების ყველაზე სანუკვარი სფეროების უფრო ფართო სოციალურ სინამდვილესთან კავშირების შესახებ უფრო ფართო თვალსაჩინო წარმოდგენების გაჩენას უზრუნველყოფს“ (იქვე, 28).

ორმოცდაათი წლის შემდეგ პ. შტომპკამ შემოგვთავაზა სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია, რომელიც მის ისტორიულად მეოთხე ტიპს წარმოადგენს. ეს კონცეფცია რადიკალური მოდერნის რეფლექსური მეტაპარადიგმის ადეკვატურია, რომელიც აქცენტს საზოგადოებრივი ცხოვრების „სხლტომადი სამყაროს“ (გიდენსი), „მდინარი თანამედროვეობის“ (ბაუმანი), საზოგადოებრივი ცხოვრების გამოვლენის ფორმების მზარდი მრავალფეროვნებისა და ვარიანტების აღიარების კონტექსტში აღქმაზე აკეთებს. მისი ძირითადი პოსტულატებია:

„ყველა სოციალური მოვლენა განვიხილოთ, როგორც სოციალურ აგენტთა საქმიანობის რეზულტატი და მათი იდენტიფიცირება მოვახდინოთ.

მოვლენათა ზედაპირს მიღმა არსებული ფარული სტრუქტურული და კულტურული რესურსები და შეზღუდვები დავინახოთ და გავიგოთ, რომლებიც სოციალურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენენ. ტრადიციების, წარსული ცოცხალი მემკვიდრეობის და მომავალზე მისი მუდმივი გავლენის შესწავლა; საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკურობაში აღქმა; საზოგადოებრივი ცხოვრების გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნებისა და ვარიაციულობის აღიარება“ (Кравченко С. А. Социологические исследования, №8, 2009. გვ. 4-5).

ახლა ყალიბდება სოციოლოგიური წარმოსახვის მეხუთე ტიპი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, პოსტმოდერნის არახაზობრივი-არალინეური მეტაპარადიგმის ადეკვატურია. სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფციის მოთხოვნა სოციოლოგთა მსოფლიო საზოგადოების მიერ ცნობიერდება. ამას კი მისი შექმნის მთელი რიგი მცდელობები მოწმობს. ერთ-ერთი მათგანი ბრიტანელი სოციოლოგის სტივ ფულერის მიერ 2008 წელს გამოცემულ წიგნში – „ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა“ – არის მოცემული. ფულერის აზრით, სულ უფრო გართულებადი საზოგადოების, კერძოდ, „სპონტანობის განივთების“

ანალიზის მოთხოვნილებამ „სოციალურ მეცნიერულ წარმოსახვის წინა ტიპებს ძირი გამოუთხარა, რასაც დაპირისპირებული მხარეები – როგორც ჰუმანისტური, ისე ბუნების-შემსწავლელი მეცნერებები – ხელს უწყობენ. სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფცია გაფართოებადი თეორიული სინთეზის ტერმინებში აზროვნებას გულისხმობს, რის მაგალითსაც „ახლახანს წარმოქმნილი „პროგრესული“ მეცნიერებები: სოციობიოლოგია, ევოლუციური ფსიქოლოგია, ქცევითი გენეტიკა წარმოადგენენ. ამასთან ერთად, იგი სოციოლოგების აზროვნებას მეცნიერული ინოვაციების შესაძლო გულუზრახი შედეგების ხედვაზე წარმართავს, იმისგან ამოსვლით, რომ „შედეგებზე ჩვენეული კონტროლის შესახებ ეჭვები რჩება და მუდამ დარჩება“. შესაბამისად, სოციოლოგიური წარმოსახვის შემოთავაზებული კონცეფცია ბიოლოგიურ ნეორედუქციონიზმს ემყარება, ინოვაციების მზარდი როლის, განსაკუთრებით ადამიანთა საქმიანობაში, აქცენტს ნანოტექნოლოგიების გულუზრახი შედეგების შესახებ აკეთებს. ეს კონცეფცია კარგად კვლევის ისეთ მიმართულებებში მუშაობს, როგორებიცაა ჯანმრთელობის რისკები, „დაბერებისა“ და „ანტიდაბერების“ დისკურსებში, ადამიანური სხეულის გაგებისადმი ახალ მიდგომებში. აი, „სხეული სოციალურ მეცნიერებებში“ სამუშაო ჯგუფის პრობლემატიკა სოციოლოგიის 1-ელ ფორუმზე: სხეულთა საზღვრები, სხეული და ბუნება, მოცეკვავე სხეულები, ტანი კიბერსივრცეში, ტრანსსექსუალური და ტრანსგენდერული სხეულები, სხეულის ფაქტორი სოციალურ ქსელებში და სხვა (Кравченко, Социологические исследования, №8, 2009. გვ.6).

კრავჩენკოს აზრით, ამ პრობლემატიკის საკვლევად მართლაც რომ აუცილებელია ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ადამიანური სხეულის ლატენტური მხარეები და ფუნქციები დავინახოთ, რომელთა მრავალწახნაგობრიობა მხოლოდ დღეს იქნა აღმოჩენილი და გაცნობიერებული. კრავჩენკოს აზრით, ამ კონცეფციას მთელი რიგი ძლიერი მხარეები აქვს: ადამიანის ქცევის კვლევაში უახლესი მიდგომების პარადოქსული სინთეზის შემოთავაზება, მეცნიერული ინოვაციების შედეგთა ამბივალენტურობაზე აქცენტი. მაგრამ კრავჩენკოს არ მოსწონს მისი რადიკალიზმი – სოციოლოგიური წარმოსახვის წინამორბედი ტიპების დამცრობა, ადამიანის ცხოველ საქმიანობაში სოციალური შემადგენლის შეუფასებლობა და დაუფასებლობა.

სოციოლოგიური წარმოსახვის კიდევ ერთი პოსტმოდერნული კონცეფცია „პოსტ-ადამიანის“ – თანამედროვე ადამიანის – ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული, რომლის სოციალური ურთიერთქმედებები უახლესი ტექნოლოგიებისა და „ინტელექტუალური მანქანების“ გამოყენების გარეშე გაუაზრებელ / მოუაზრებელია.

კრავჩენკოს აზრით, სოციალური წარმოსახვის ახალი კონცეფციის საჭიროება უდავოა. ამას სულ უფრო გართულებადი, არახაზობრივი სოციო-კულტურული დინამიკა განაპირობებს. მაგრამ დასავლეთელ სოციოლოგებს, მისი აზრით, აკლიათ ჰუმანისტური წარმართულობა, რაც თურმე ასე დამახასიათებელია რუსული სოციოლოგიისათვის. ფიქრობს, რომ სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფციის შექმნის პრობლემა არა დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღის საქმეა.

3. სოციოლოგიური წარმოსახვა და თეორიული რესურსები

სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება თითქმის იგივეა, რაც სოციოლოგიური თეორიების შესწავლა, ოღონდ აქ სკოლების სახელების ან არგუმენტების ცოდნა კი არა, არამედ თეორიის გამოყენება, ანუ კონკრეტულ გამოცდილებასთან მისი შესატყვისობა, თანამედროვე საზოგადოებაში არსებული პრობლემების, მისი დილემების და შესაძლებლობების, ასევე, ჩვენი პირადი ბედისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობის თეორიის

კონტექსტში განხილვა იგულისხმება. სოციოლოგიურმა წარმოსახვამ ქაოსურ სიტუაციებში, ცვლილებებსა და ტრანსფორმაციებში ორიენტაციისათვის ერთგვარი რუკა უნდა მოგვცეს. რუკა ასევე საზოგადოების უფრო სიღრმისეულ გაგებას, უფრო ნათელ წარმოდგენას საგნებზე, უფრო ფართო შესაძლებლობებს უნდა გვთავაზობდეს, რათა ჩვენი ცხოვრება რაციონალურად და ცნობიერად წარვმართოთ და ეფექტური საზოგადოებრივი ცხოვრებით ვიცხოვროთ. პ. შტომპკა იმ რესურსების განხილვას იწყებს, რომლებიც სოციოლოგების თეორიული განსწავლის კუთხით აუცილებელია, რამეთუ სოციოლოგიურ ტრადიციებს და სოციოლოგიის უახლეს მიღწევებს გვასწავლის.

თუ სოციოლოგიის ისტორიას XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩვენს დრომდე გადავხედავთ, თეორიული იდეების ისეთ საგანძურს აღმოვაჩენთ, რომ სოციოლოგიის ისტორიის შესწავლა ისტორიის უბრალო ქექვად აღარ მოგვეჩვენება. ჩვენი დისციპლინის ტრადიცია ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია. მოდელების, ახსნის, გაგების, კითხვების და პრობლემების დიდი ნაწილი, რომლებსაც დღეს შევისწავლით, XIX საუკუნის დიდი ოსტატებისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ. მათმა ნაშრომებმა აქტუალობა დღემდე შეინარჩუნა. მათი ნაშრომების შესწავლისას არა მხოლოდ იმ დროის და ავტორის ბიოგრაფია, არამედ დღევანდელი, თანამედროვე კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ, რადგან ჩვენს მოქმედებებს სწორედ ეს ჰფენს ნათელს. პიოტრ შტომპკა სამ დიდ კლასიკოსს – კარლ მარქსს, მაქს ვებერს და ემილ დიურკემს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ასევე არიან ისინი, რომელთა შესწავლაც საჭიროა. ესენია: ოგიუსტ კონტი, ჰერბერტ სპენსერი, გეორგ ზიმელი, ფერდინანდ ტიონისი, ვილფრედო პარეტო, ალექსის დე ტოკვილი, ჩარლზ კული, უილიამ სამნერი და ჯორჯ ჰერბერტ მიდი. მათი ნაშრომების წაკითხვა და განხილვა ახალი შეხედულებებისა და პრობლემების წარმოებისათვის აუცილებელია. „ისეთი გამჭრიახი მკვლევრების ლაბორატორიაში შეღწევა, როგორებიც ვებერი და დიურკემი იყვნენ, ჩვენში კარგი გემოვნების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, რაც სოციოლოგიური პრობლემის განსაზღვრასა და მისი გადაჭრისთვის საუკეთესო საშუალების მოძებნაში გვეხმარება. კლასიკური ნაწარმოებები მკითხველს იზიდავს. არის კიდევ ერთი დადებითი მხარე: სტუდენტს ესმის, რომ ბევრი საზომი აქვს, რომელიც რთულია და რამდენიმე მიდგომას მოითხოვს. სოციოლოგიური თეორიის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანია თეორიული პლურალიზმის გასაგებად, განსხვავებული ვერსიებისადმი მოთმინების უნარი და შეხედულებების მრავლფეროვნება დოგმატიზმისა და ორთოდოქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა“ (რ. კ. მერტონი, ციტ. Штомпка П. Социологические исследования, №10, 2005. გვ.2).

დავუბრუნდეთ თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიას. პიოტრ შტომპკას შეხედულებით, თანამედროვე სოციოლოგიაში ოთხი ტიპის თეორია და თეორიული საქმიანობა დამკვიდრდა, რომლებსაც სოციოლოგიური წარმოსახვის ჩამოყალიბებისათვის განსხვავებული საგანმანათლებლო მიზანი აქვთ. განვიხილოთ ისინი მათი მნიშვნელობის მიხედვით:

1. ამხსნელი თეორია;
2. ევრისტიკული თეორია;
3. ანალიტიკური თეორია;
4. ეგზეგეტიკური თეორია.

თეორიული „ბუმი“

XX საუკუნე სოციოლოგიური თეორიის განვითარებისთვის კარგი პერიოდი იყო. მართალია, ნახევარი საუკუნის წინათ სოციოლოგიური თეორიის კრიზისს (მაგალითად, ო. გოულდნერი) აქტიურად განიხილავდნენ, თუმცა ახლა სიტუაცია შეიცვალა. ბრიტანელი სოციოლოგის ჯ. დელანტის მოსაზრებას ბევრი იზიარებს, ის მიიჩნევს, რომ „დღეისათვის სოციოლოგიურ თეორიას ძლიერი პოზიცია უკავია“. მოდით, ინსტიტუციური და ორგანი-

ზაციული არგუმენტები განვიხილოთ. სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის თეორიული სოციოლოგიის კვლევითი კომიტეტი (RC- 16), რომელიც პიოტრ შტომპკამ და ჯეფრი ალექსანდერმა 1986 წელს დააფუძნეს, სხვა კომიტეტთა შორის ერთ-ერთი გავლენიანი კომიტეტი გახდა. ამერიკულ სოციოლოგთა ასოციაციაში ყველაზე მრავალრიცხოვანი თეორიული დეპარტამენტებია. ბოლო ათწლეულის მანძილზე თეორიული ტიპის პუბლიკაციების გამოწერა გაიზარდა და ასევე ახალი გამოცემები გაჩნდა, მაგალითად, „Theory, culture & society“, „European journal of social theory“, „Theory“ (ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის გამოცემა), „Theory and society“. ახალი „Journal of classical sociolgy“, რომელსაც გამომცემლობა „Saga“ ბრაიან ტერნერის რედაქტორობით გამოსცემს. ასევე, მსხვილი თეორიული ნაშრომები – „Polity reader in social theory“, „Backwell companion to major social theorists“, „Handbook in social theory“ გამოიცა. თანამედროვე კვლევების შედეგად პატრიკ ბერტის („Social theory in XX century“) და ჯონ სკოტის („Sociological theory: contemporary debates“) მონოგრაფიები გამოიცა. ისეთმა დიდმა გამომცემლობებმა, როგორიცაა „პოლიტ პრესი“, „კემბრიჯ უნივერსითი პრეს“ და „სეიჯ“, როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე ავტორების მრავალი თეორიული ნაშრომი, მათ შორის, ნაწარმოებთა სერიები („Cambridge cultural social studies“ – ალექსანდერისა და სეიდმენის რედაქტორობით) გამოსცეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში თეორიული კონფერენციები, „სოციალური ცვლილებების თეორიის ახალი ხედვა“ (მონრეალი, 2000) და „კრიტიკული თეორიის ახალი წყაროები“ (კემბრიჯი, 2000) პერიოდულად ტარდება.

ჩრდილოეთ ამერიკაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ თეორია ევროპაში დაბრუნდა, კერძოდ, გერმანია, ბრიტანეთი და საფრანგეთი თეორიულ მუშაობას დიდ დროს უთმობენ. როგორც ნეილ სმელზერი აღნიშნავს, „უკანასკნელი 50 წლის მანძილზე თეორიული აზროვნების სიმძიმის საერთო ცენტრი ამერიკიდან ევროპაში გადავიდა და ეს გადანაცვლება ალენ ტურენის, პიერ ბურდიეს, იურგენ ჰაბერმასის, ნიკლას ლუმანის და ენტონი გიდენსის კვლევებითა და ნაშრომებით იყო გამოწვეული, რადგან თანამედროვე ამერიკელები თეორიებს ამ სოციოლოგების გავლენით ქმნიდნენ“. ანალოგიური მოსაზრება აქვს ბრაიან ტერნერს: „ევროპულმა სოციალურმა თეორიამ მსოფლიო სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში დომინანტური პოზიცია შესაძლოა ისევ დაიკავოს“ (Штомпка П. Социологические исследования, №10, 2005. გვ.3).

4. ამხსნელი თეორია

რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? თუ ძველ ტრადიციულ ოპოზიციას დავუბრუნდებით, „თეორია VS კვლევა“ ან „თეორიული სოციოლოგია VS ემპირიული სოციოლოგია“ (როგორც ეს პარსონსისა და მერტონის დისკუსიაში 1947 წელს ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე იყო), შეიძლება იფიქროთ, წერს პ. შტომპკა, რომ თეორიისადმი განსაკუთრებული ყურადღება რეალური სოციალური პრობლემებისაგან გაქცევას და ემპირიულ კვლევაზე უარს ნიშნავს, მაგრამ სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. „თეორიის შთამბეჭდავი წინსვლა იმით იყო განპირობებული, რომ ის ემპირიული სოციოლოგიის ყველა სფერომ აღიარა და სოციოლოგიური კვლევის აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნია“.

თეორია და კვლევა პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ბევრი თეორეტიკოსი აბსტრაქტული იდეებით აღარ ინტერესდება, ისინი რეალურ პრობლემებს – გლობალიზაციას, იდენტურობას, რისკს, ნდობას, სამოქალაქო საზოგადოებას, დემოკრატიას, შრომის ახალ ფორმებს, კულტურულ ტრავმას და ა.შ. – იკვლევენ. ემპირიული მკვლევრები უკვე მხო-

ლოდ მონაცემების შეგროვებით და ფაქტების რეგისტრაციით აღარ იფარგლებიან, ამის ნაცვლად ისინი სისტემატიზებული ფაქტების საფუძველზე განზოგადებულ მოდელს გვთავაზობენ. ასეთია დევიაციის, კოლექტიური მოქმედების, სოციალური კაპიტალის, პოსტმატერიალური ღირებულებების და ა.შ. თეორიები. 2000 წელს, ს. კუასა და ა. სეილსას რედაქტორობით, სოციოლოგიის სახელმძღვანელო გამოქვეყნდა, წიგნში შეჯამებულია სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულებები და ყოველი თავი თეორიულ დებულებებს შეიცავს. თეორია საბოლოოდ მაინც რეალურ „სოციალურ პრობლემებს“, ანუ რიგითი მოქალაქეების (common people) პრობლემებს, ასევე, ეგზოთერულ „სოციოლოგიურ პრობლემებს“, ანუ პროფესიონალი სოციოლოგების პრობლემებს უახლოვდება. თეორია არსობრივ სოციალურ კითხვებზე პასუხს იძლევა. დღეს მას უფრო ფართო აუდიტორიაზე, რიგით ადამიანებზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ის მათ საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული სფეროების „რუკას“ სთავაზობს.

თეორიის პირველ ტიპს, შტომპკას აზრით, შეიძლება ამხსნელი თეორია ვუწოდოთ, ეს არის ის, რასაც ბრაიან ტერნერი თეორიისათვის „ძლიერ პროგრამას“ უწოდებს. შტომპკა, პრობლემის არსში უფრო ნათლად გარკვევის მიზნით, თეორიის ამ ტიპისათვის მნიშვნელოვანი სამი კითხვის – რომელი/როგორი/რის თეორია? რისთვის? და ვისთვის? დასმას გვთავაზობს.

რომელი/რის თეორია?

ეს არის თეორია რეალურ სოციალურ პრობლემებზე. ის პასუხობს კითხვას, თუ რატომ იზრდება დამნაშავეობის მაჩვენებელი, რატომ ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა? საიდან წარმოიშობა სიღარიბე? მერტონის, ბურდიესა და ტერნერის მიხედვით, თეორია წარმოიშობა კვლევიდან და კვლევაზე უნდა იყოს მიმართული. „თეორიას რომ მნიშვნელობა ჰქონდეს, ის პრობლემის იდენტიფიცირებაზე უნდა იყოს მიმართული“. „სოციალური თეორია მხოლოდ მაშინ აღწევს წარმატებას, თუ ის ემპირიული კვლევებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველს ეყრდნობა“.

რისთვის?

იმისათვის, რათა სხვადასხვა ხდომილებების ორგანიზებისა და ინტერპრეტაციისათვის ახსნა ან, უკიდეურეს შემთხვევაში, მოდელი იქნეს მოძიებული.

ვისთვის?

არა მხოლოდ კოლეგა თეორეტიკოსებისათვის, არამედ რიგითი ადამიანებისათვისაც, რათა მათ თავიანთი სიტუაციის გაგების საშუალება მისცეს. თეორიაში მნიშვნელოვან როლს „დემოკრატიული დისკურსის ინფორმაციით უზრუნველყოფა თამაშობს“. ეს საგრძნობი უფრო მაშინ გახდება, როდესაც ქვეყნების უმრავლესობა დემოკრატიაზე გადავა, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი როლი მომავლის „ცოდნის საზოგადოებაში“ – ინფორმირებული და განათლებული ადამიანების საზოგადოებაშია, სადაც სოციალური და საზოგადოებრივი კითხვები აწუხებთ და დემოკრატია „დისკურსული დემოკრატიის“ ფორმას იძენს.

პიოტრ შტომპკა „სოციოლოგიური ცოდნის“ ჩარჩოებში ასეთი ჰიპოთეზის ფორმირებას გვთავაზობს: ამხსნელი თეორიის ასეთი წარმატება სწრაფი, რადიკალური და ფართო სოციალური ცვლილებებითაა განპირობებული. ჩვენ ახლა „ახალ გრანდიოზულ გადასვლას“ (კ. პოლიანი) განვიცდით, ხოლო ცვლილებების პერიოდში თეორიისადმი მოთხოვნილება იზრდება. სოციოლოგები რიგითი ადამიანებისა და პოლიტიკოსებისაგან დიდ ზეწოლას განიცდიან. ყველას სურს იცოდეს, თუ საიდან მოვედით, სად ვართ და საით მივდივართ, არანაირ ფაქტებს და ციფრებს არ შეუძლია ამ კითხვებს უპასუხოს. ადეკვატური წარმოდგენა საზოგადოებაზე, სოციალური ურთიერთობების რუკა შეუძლებელია შემაჯამებელი ამხსნელი მოდელების გარეშე იქნეს წარმოდგენილი.

შტომპკას სწორი დასკვნით, ამხსნელი თეორია სოციოლოგიური მოძღვრებისათვის, განსაკუთრებით, დიდი სოციალური ცვლილებების დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია.

5. ევრისტიკული თეორია

მოდით, მეორე ტიპის თეორიაზე გადავიდეთ. ესაა თეორიული ორიენტაცია, რომელსაც შტომპკამ ევრისტიკული თეორია უწოდა, რომლის შემოწმება, მართალია, უშუალოდ არ შეიძლება, მაგრამ ის ცნებებს და მოდელებს ქმნის. ევრისტიკული თეორია სოციალურ ფილოსოფიასთან, განსაკუთრებით კი, სოციალური სამყაროს ონტოლოგიასთან და მეტაფიზიკასთანაა ახლოს, რადგან სოციალური რეალობის თაობაზე დასმულ სამ მარადიულ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს:

რა არის სოციალური წესრიგის საფუძველი?

რა შეადგენს ადამიანური მოქმედების ბუნებას?

როგორია სოციალური ცვლილებების მექანიზმი და მიმართულება?

ამ კითხვებით ყველა კლასიკოსი სოციოლოგი ინტერესდებოდა, იქნებოდა ეს სტრქუტურული ფუნქციონალიზმი, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, გაცვლის თეორია თუ მარქსიზმი. ამის შემდეგ რამდენიმე ახალი ტენდენცია გაჩნდა, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

როგორი ხასიათისაა მსგავსი თეორიები?

რისი თეორია?

ეფუძნება სოციალურ რეალობას, ის ინტერესდება კითხვით – როგორ? და არა – რატომ? როგორ არის შესაძლებელი სოციალური წესრიგი? (როგორ არსებობენ სოციალური ჯგუფები? როგორ ცხოვრობენ ადამიანები ერთად, თანამშრომლობენ?), როგორ ასრულებენ სოციალურ მოქმედებებს? როგორ ვითარდება სოციალური ცვლილებები?

თეორია რისთვის?

იმისათვის, რათა თეორიულ კატეგორიათა უფრო კონკრეტული ამხსნელი აპარატი შეიქმნას.

თეორია ვისთვის?

ძირითადად, კვლევისათვის, რათა ცხოვრების სხვადასხვა სფეროების ამხსნელი მოდელები შეიქმნას, რომლებიც კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემას შეძლებენ.

საუკუნის დასასრულს ევრისტიკული თეორიების განვითარება არა სოციალური ფაქტებით, არამედ ინტელექტუალური მიღწევებით შეიძლება აიხსნას. ეს წარმატება განხილული უნდა იქნეს არა სოციოლოგიური ცოდნის ცნებებით, არამედ იდეის ისტორიული პოზიციიდან, როგორც ჩანს, ეს საზოგადოებრივი აზრის განვითარებით, ახალი ტენდენციებით, საინტერესო და ორიგინალური პერსპექტივებითაა გამოწვეული. „პარადიგმული ცვლილება-შერევისათვის“ დამახასიათებელი ინტელექტუალური დაძაბულობა გაჩნდა, სინამდვილეში კი სამი პარალელური პარადიგმული ცვლილება-შერევა მოხდა, რომელსაც ჩვენ ახალ თეორიაში ვაკვირდებით.

პირველი პარადიგმული ცვლილება – „პირველი“-დან „მეორე“ სოციოლოგიის მიმართულებით მოძრაობს. სოციალური წესრიგი, როგორც კონსტრუირებული, ადამიანთა მოქმედებებით წარმოებული და კვლავწარმოებული, აგენტთა მოქმედებების, მუდმივი რეზულტატი. ასეთი თეორიული პერსპექტივის პოვნა ბერგერის, ლუკმანის, ელიასის, გიდენსის, ბურდიეს თეორიებში შეიძლება.

მეორე ცვლილება – ევოლუციიდან ან სოციალური განვითარებიდან სოციალურ შემთხვევაზე გადასვლა. აქცენტი ისტორიის სოციოლოგიაზე (ჯორჯ ტილი, ტ. სკოჩპოლი და პ. შტომპკა) გადადის.

მესამე ცვლილება – „ჰომო ეკონომიკუსის“ (რაციონალური, მიზანდასახული მოქმედება) ტიპიდან, წარმოდგენილი „რაციონალური არჩევანის თეორიის“ მიერ (ჯ. კოულმენი, ჯ. ელსტერი) და „ჰომო სოციოლოგიკუსიდან“ (ნორმატიულად მომართული როლის შემსრულებელი), წარმოდგენილი „ნეოფუნქციონალიზმის მიერ“ (ჯ. ალექსანდერი, ნ. ლუმანი, პ. მიუნხი) „ჰომო კოგნიტასის“ ტიპამდე(მცოდნე და გამგონე მონაწილე, ინფორმირებული და შეზღუდული კოლექტივის სიმბოლური ცოდნის და რწმენის) გადასვლაა. ამ ტენდენციას უფრო ხშირად ინტერპრეტაციულ მიმართულებას, კულტურულ მიმართულებას, ლინგვისტურ მიმართულებას უწოდებენ. „თანამედროვე სოციალურმა თეორიამ შეიცვალა მიმართულება და პრიორიტეტი კულტურის გამოვლინებებს და კულტურულ ურთიერთობებს მიანიჭა“. მას მრავალი სახე აქვს, ერთ-ერთ მათგანს მენტალიზმს უწოდებენ, სადაც თავდაპირველი ყურადღება ადამიანური ცნობიერების ინვარიანტულ კომპონენტზე იყო გამახვილებული. ამის თაობაზეა კლოდ ლევი-სტროსის და ფერდინანდ სოსიურის სტრუქტურალიზმი, ალფრედ შუტცის ფენომენოლოგია. მეორე ტიპის „კულტურულ მიმართულებას“ ეწოდება ტექსტუალიზმი, ის მიშელ ფუკოს პოსტსტრუქტურალიზმით, ანუ დისკურსის თეორიითაა წარმოდგენილი, სადაც სოციალური რეალობა, როგორც ტექსტის სახეობა, თავისი სემანტიკური და გრამატიკული პრობლემებითაა განხილული. მესამე ვერსიას ზოგჯერ ინტერსუბიექტივიზმს უწოდებენ, მასში დიდი წვლილი, თავისი კომუნიკაციური მოქმედების თეორიით, იურგენ ჰაბერმასს მიუძღვის. დაბოლოს, საპასუხო რეაქცია „ადამიანის ზეინტელექტუალიზებულ ტიპზე“ – მოაზროვნე ადამიანი, მცოდნე ადამიანი, და არა მხოლოდ დისკურსის ფორმაში; აქცენტი პრაქტიკულ ცოდნაზე (ენტონი გიდენსი), ეთნომეთოდზე (გარფინკელი) და ასევე სხეულზე, როგორც მოქმედების ინსტრუმენტზე (ჯონათან ტერნერი) კეთდება; ემოცია, როგორც მოქმედების თანმხლები, საგნები, რომელსაც ადამიანი იყენებს, შემხვედრი ობიექტები, გარემო, როგორც მოქმედების კონტექსტი. ადამიანები ტიპურ პრაქტიკულ მოქმედებებს იმეორებენ (პიერ ბურდიე).

თანამედროვე სოციოლოგია სხვადასხვა მრავალი ევრისტიკული ორიენტაციებით ხასიათდება. მათი, როგორც საზოგადოების შესახებ სხვადასხვა პოზიციების შესწავლა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების გასაგებად, შეიძლება სტუდენტებისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს.

6. ანალიტიკური თეორია

თეორიების მესამე ტიპს შეიძლება ანალიტიკური თეორია ვუწოდოთ, ის ტიპოლოგიზაციას და კლასიფიკაციას, ცნებებს და განსაზღვრებებს გვაძლევს, ისიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ინსტრუმენტულ როლს ასრულებს. დახურული კონცეპტუალური სისტემის შექმნის მცდელობა ზოგადი სოციოლოგიისათვის ნიკლას ლუმანის შრომებით (ასეთივე მიზანი ადრეულ წლებში ტოლკოტ პარსონსს ჰქონდა) დასრულდა. ზოგიერთ სფეროში ასეთი მცდელობები ზოგჯერ სასარგებლოა, ანუ როგორც მერტონი მას უწოდებდა, საშუალო ტიპის/რანგის თეორიებს, რომლებიც ემპირიულ საფუძველს ემყარება (მაგალითად, მერტონის როლების და როლური რეპერტუარების თეორია, რეფერენტული ჯგუფების თეორია, სტრატიფიკაციის თეორია, მობილურობის თეორია, ანომია, დევიაცია და ა.შ.)

როგორია ასეთი თეორიების ბუნება?

რაზეა ისინი? საგანთა აზრის გასაგებად.

რისთვის? განსაზღვრისათვის, გახსნის, ხასიათის ნათელყოფისათვის.

ვისთვის? სოციოლოგებისათვის.

ანალიტიკური თეორია საგნებთან სამუშაოდ ტექნიკურ ენას ქმნის, ეს ენა უფრო გასაგებია, ვიდრე ჩვეულებრივი ენა და საღი აზრის ენა. ანალიტიკური თეორიის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის, სოციოლოგიის ენაზე ფიქრისა და საუბრის განსავითარებლად, ის სტუდენტებს პროფესიის ძირითად ინსტრუმენტს აძლევს. სოციოლოგიის შესავალ კურსში ამ ტიპის თეორიას უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

7. ეგზეგეტიკური თეორია

მეოთხე ტიპის თეორიას შტომპკა ეგზეგეტიკურ თეორიას უწოდებს. ამ ტიპის თეორია სისტემატიზაციის, რეკონსტრუქციის ახსნას, არსებული თეორიების კრიტიკას ახდენს. ამ ტიპის თეორიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თეორიული სამუშაოს მოსამზადებელ ეტაპზეა. ის, როგორც ერთ-ერთი ეტაპი სამეცნიერო კარიერაში, ანუ სწავლის პერიოდი უნდა განვიხილოთ. ამ ეტაპით მრავალი დიდი თეორეტიკოსი მოვიდა: ტ. პარსონსი – შრომით „სოციალური მოქმედების სტრუქტურა“, გიდენსი – შრომით „კაპიტალიზმი და თანამედროვე სოციალური თეორია“, ჯ. ალექსანდერი – „თეორიული ლოგიკა სოციოლოგიაში“, ნ. სმელზერი – „ახსნა და სოციალური თეორია“, ამ კატეგორიაში შტომპკა თავის ნაშრომს „სოციოლოგიურ დილემებს“ ამატებს. ყველა აზრი მნიშვნელობას კარგავს, თუ თეორიის მთვარი მიზანი მოდური ავტორების დაუსრულებელი მომზადებაა: რა თქვა რომელიმე მეცნიერმა? როგორ შეძლო მან ამის თქმა უკეთ? რისი თქმა ვერ შეძლო მან? თანმიმდევრულია თუ არა, რის თქმა სურდა ან არ სურდა სინამდვილეში? რაც უფრო ეგზოთერული, გაუგებარი, გაურკვეველი და ჩახლართულია თეორია, მით უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ის ეგზოთერულ კამათს. ის შთააგონებს, მოძებნოს შავი კატა ბნელ ოთახში, რომელიც იქ არაა. ამაშია, შტომპკას აზრით, ზოგიერთი თანამედროვე თეორიის პოპულარულობის საიდუმლო, მაგალითად, პოსტმოდერნისტული სკოლა და მისი პოპულარობა მოკამათეთა შორის. თუ თეორია არის ნათელი, ორიენტირებულია პრობლემაზე, ნათელი და ზუსტია, მაშინ მასში მსჯელობისა და კრიტიკისათვის ძალიან მცირე რამის პოვნა შეიძლება.

შემდეგი სამი კითხვა, შტომპკას აზრით, ნათელს მოჰფენს ყველაფერს.

რისი თეორია? სხვა თეორიები, ცალკეული წიგნები, ტექსტები, სოციოლოგიური წარმოსახვის ფანტომი, რომელიც თავს რეფერატში იჩენს.

თეორია რისთვის? ანალოგიისათვის ან თეორიის უარყოფისათვის.

ვისთვისაა თეორია? სხვა თეორეტიკოსებისათვის, რომლებიც ინტელექტუალურ თამაშებს თამაშობენ.

„პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვალდებულების გარეშე სოციალური თეორია რისკავს, რომ ეგზოთერული, ელიტური და ექსცენტრული მარგინალი მკვლევრების ინტერესის საგანი გახდეს“. „მრავალი მეცნიერი თვლის, რომ თეორიის განვითარება წინა თეორიის საგულდაგულო შესწავლასა და გადამუშავებაზეა დამოკიდებული... ძნელი სავარაუდოა, რომ ასეთმა სტრატეგიამ ახალ და ღრმა სოციალურ ცოდნასთან მიგვიყვანოს...“

სტუდენტებს ამ თეორიის შესწავლას შტომპკა არ ურჩევს, მაგრამ თუ ლექტორი მაინც ჩართავს მას სასწავლო პროგრამაში, მაშინ მას ძალიან ცოტა დრო უნდა დაეთმოს, ის მეტ-ნაკლებად სასარგებლო, როგორც გონებრივი სავარჯიშო, შეიძლება უფროსი სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის იყოს.

თუ შტომპკას მსჯელობებს გავითვალისწინებთ, სოციოლოგიური წარმოსახვისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამხსნელი და ევრისტიკული თეორიებია. ანალიტიკური თეორია კონცეპტუალური ინსტრუმენტების და სოციოლოგიური სააზროვნო ენის ჩამოყალიბებაში დამხმარე როლს ასრულებს. ეგზოთერული თეორია სასარგებლოა მხოლოდ კრიტიკული აზროვნებისათვის, მაგრამ თეორიის ჩამოყალიბებაში წვლილი არავითარი შეაქვს. როგორ მუშავდება თეორიული ველი, რომელიც ფრაგმენტულობით ხასიათდება? საიმედო ამხსნელი თეორიის ადრესატები არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც არიან და აქ შტომპკას „დისციპლინარული ეკლექტიზმის“ მერტონისეული პოზიცია მისაღებად მიაჩნია. „ეს პრინციპი სოციოლოგიის შემსწავლელი სტუდენტებისათვის სასარგებლოა. „დისციპლინარული“ ამ შემთხვევაში თეორიისადმი კრიტიკულ მიდგომას ნიშნავს, თეორიის შეფასება ღირებულების, დარწმუნებულობის, ჰიპოთეზების პროდუქტიულობის მიხედვით ხდება. „ეკლექტიზმი“ ღიაობას, მოთმენის უნარს, ცალმხრივი დოგმატიზმისაგან თავისუფალს ნიშნავს. ასეთ სტრატეგიას მრავალი თანამედროვე ავტორი ეთანხმება: „შეუძლებელია ერთი თეორიის ფარგლებში მკვლევრისათვის საინტერესო ყველა კითხვას პასუხი გაეცეს“. „სამყაროს შესახებ ცოდნის მიღება სხვადასხვა და ხშირად კი ერთმანეთის საპირისპირო შეხედულებებითაა შესაძლებელი. დისციპლინარული ეკლექტიზმი თეორიასა და დისციპლინას შორის საზღვრების გადალახვის საშუალებას იძლევა, ვიწრო „სოციოლოგიური თეორიის“ ჩარჩოებიდან გადის და „სოციალურ თეორიად“ იქცევა, ისეთი ტიპით, როგორც ის კლასიკოსების მიერ იქმნებოდა. დ. გულბეკიანმა ნაშრომში „გავაღოთ სოციალური მეცნიერებები“ აჩვენა, რომ სოციოლოგიის ფსიქოლოგიასთან, ეკონომიკასთან, ანთროპოლოგიასთან, კოგნიტიურ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან გაერთიანება აუცილებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უარის თქმა იმ დამღუპველ დისციპლინათაშორის ურთიერთქმედებაზე, რასაც ადგილი XIX საუკუნეში ჰქონდა. მათეი დოგანიც მსგავს მოსაზრებას აფიქსირებს; „დისციპლინათაშორისი ქსელი სოციალური მეცნიერებების ძველ კლასიფიკაციას აცოცხლებს. დღეს ძველი ფორმალური დისციპლინებიდან ახალ ჰიბრიდულ სოციალურ მეცნიერებებზე გადასვლის ტენდენცია ფიქსირდება“ (Штомпка П. Социологические исследования, №10, 2005. გვ.8). სოციოლოგიური თეორიების სწავლებისას ორიენტირება – თეორიათა შორის და დისციპლინათაშორის ურთიერთკავშირებზე და არა ტრადიციულ განცალკევებაზე უნდა მოხდეს. შესაძლოა, სოციოლოგიური განათლების მთავარი ამოცანაც სწორედ ეს იყოს.

საკითხავი მასალა:

Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М.: NOTA BENE, 2001.
ჩარლზ რაიტ მილსი – „სოციოლოგიური წარმოსახვა“, თავი პირველი. გვ. 4.

1. რას გვპირდება სოციოლოგია?

ჩვენს დღეებში კერძო-პრივატული ცხოვრება ხშირად ხაფანგთა მწკვრივის სახით წარმოგვიდგება. ადამიანები გრძნობენ, რომ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ძალუძთ, თავიანთ გაჭირვებებსა თუ უბედურებებს გაუმკვლავდნენ და ხშირად ამაში აბსოლუტურად მართლები არიან. ყოველივე ის, რის შესახებაც ადამიანმა ჩვეულებრივად უშუალოდ

გამოცდილებიდან იცის, ყოველივე ის, რის გაკეთებასაც ცდილობს, კერძო ცხოვრების საზღვრებში არსებობს/იმყოფება. მისი წარმოდგენები და შესაძლებლობები შრომის(სამუშაოს), ოჯახის, სამეზობლოს, წრის (გარემოცვის) ვიწრო ჩარჩოებითაა შეზღუდული, რომლის ფარგლებს გარეთაც მისთვის სხვები მოქმედებენ, თავად კი, უბრალოდ, მაყურებლად რჩება. მაგრამ ვიღაცების პატივმოყვარული ჩანაფიქრების მხრიდან გარე საფრთხეების მოახლოება რაც უფრო ძლიერად, თუნდაც ბუნდოვნად იგრძნობა, მით უფრო ძლიერდება ხაფანგის (მახის) შეგრძნება.

ამ შეგრძნების უკან თითქოსდა არავის ნებაზე დამოკიდებული ცვლილებები იმალება, რომლებიც საზოგადოებათა თვით სტრუქტურებში მიმდინარეობს და მთელ კონტინენტებს მოიცავს. მაგრამ ისტორიული ფაქტები კიდევ ცალკეულ ადამიანთა წარმატებებისა და წარუმატებლობის ფაქტებიცაა. საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის პერიოდში გლეხები მუშები ხდებიან, ფეოდალები თავიანთ ძლიერებას კარგავენ ან მეწარმეებად ყალიბდებიან, როდესაც ერთი კლასი წარმოიშობა, ხოლო სხვები ისტორიული არენიდან ჩამოდის და ქრება, ადამიანები იღებენ სამუშაოს, ან მამულის გარეშე რჩებიან. როდესაც ინვესტიციათა მრუდი მაღლა ან დაბლა ეშვება, ადამიანებს მეორე სუნთქვა ეხსნებათ ან სულით ეცემიან, როდესაც ომები მიმდინარეობს ან იწყება, დაზღვევის აგენტი ხელთ ყუმბარსატყორცნს იღებს, ხოლო მაღაზიის მოსამსახურე რადიოლოკაციური დანადგარის ოპერატორი ხდება. მათი ცოლები ქმრების გარეშე ცხოვრობენ, ბავშვები კი მამების გარეშე იზრდებიან. ინდივიდის ცხოვრების და საზოგადოების ისტორიის მიმდინარეობის ცალცალკე გაგება ერთისა და მეორის ერთად წვდომის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ადამიანები მათ მიერ განცდილ სიძნელეებს, ჩვეულებრივ, ისტორიული ხდომილებებით ან ინსტიტუციონალური წინააღმდეგობებით არ ხსნიან, ისინი პირად კეთილდღეობას საზოგადოებაში არსებულ აღმავლობებს ან კრიზისებს არ უკავშირებენ. მათი ცხოვრების მოწყობასა და ისტორიულ პროცესებს შორის არსებულ რთულ კავშირებს იშვიათად აცნობიერებენ, უბრალო ადამიანებმა, ჩვეულებრივ, არ იციან, რომ ამ კავშირზეა დამოკიდებული ისიც, თუ როგორები გახდებიან ისინი ხვალ, და ისიც, თუ როგორ კეთდება ისტორია, რომელშიც ისინი თავიანთი წვლილის შეტანას შეძლებენ. უმრავლესობა გონების იმ თვისებას, რომელიც ადამიანსა და საზოგადოებას, ბიოგრაფიასა და ისტორიას, ცალკეულ პიროვნებასა და მათ მსოფლმხედველობას შორის არსებული ურთიერთკავშირების გასაანალიზებლად, გასააზრებლად აუცილებელია, ვერ ფლობს. ადამიანებს თავიანთი პირადი მოუწესრიგებლობის არეულ-დარეულობების დალაგებისას მათ უკან მდგომი სტრუქტურული ტრანსფორმაციების გაკონტროლება არ შეუძლიათ.

ეს გასაკვირი არაა, ჯერ კიდევ რომელ ეპოქაში ადამიანთა ამდენად მნიშვნელოვანმა მასებმა წარმოუდგენლად სწრაფი და ღრმა სოციალური ძვრები განიცადეს? თუ ამერიკელებმა სხვა საზოგადოებებში ადამიანების მიერ გადატანილი კატასტროფული ცვლილებების შესახებ არა უწყიან რა, მაშინ ისინი იმ კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებს უნდა უმადლოდნენ, რომლებიც „უბრალოდ ისტორიად“ ძალიან სწრაფად იქმნებიან და ყალიბდებიან. ესა თუ ის ისტორიული ხდომილება თითოეულ ადამიანზე ახდენს გავლენას. ერთი თაობის ცხოვრების განმავლობაში ევროპა, რომელიც კაცობრიობის მეექვსედ ნაწილს მოიცავს და ოდესღაც ფეოდალიზმისა და ჩამორჩენილობის შუაგული იყო, განვითარებულ და საშიშ ძალად იქცა, კოლონიების განთავისუფლებასთან ერთად, იმპერიალიზმის ახალი, შენიღბული ფორმები წარმოიშვა. სიჩქარე, რომლითაც ახლა ისტორია ახალ ფორმებს იძენს, ადამიანის უნარს, ნამდვილი ღირებულებების შესატყვისად შეძლოს სამყაროში ორიენტირება, უსწრებს, უკან იტოვებს. პანიკაში ჩაუვარდნელადაც კი, ადამიანები ხშირად იგებენ, რომ ძველი აზროვნება და მსოფლშეგრძნება კრახს განიცდის, ხოლო ახალი

ქროლვა კი მორალური მიმართებით ეჭვებს ბადებს. განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ უბრალო ადამიანები დაუცველად და მიუსაფრად გრძნობენ თავს, როდესაც ასე მოულოდნელად აღმოჩნდებიან აუცილებლობის წინაშე, უფრო ფართო სოციალურ კონტექსტებთან ჰქონდეთ უშუალოდ საქმე? მათ არც თანამედროვე ისტორიული ეპოქის, არც იმის საზრისის გაგება ძალუძთ, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი მათ საკუთარ ცხოვრებაზე. თავიანთი ინდივიდუალობის შენარჩუნებისკენ სწრაფვისას, ისინი მორალურად უგრძნობნი ხდებიან და თითოეული საკუთარ ცხოვრებაში ჩაკეტვას ცდილობს. გასაკვირია განა, რომ მათ გამოუვალობის განცდა ეუფლებათ? ადამიანებს არა მხოლოდ ინფორმაცია სჭირდებათ, ვინაიდან „ფაქტის ეპოქაში“ ინფორმაცია, მათ ყურადღებას იმდენად იპყრობს და ნთქავს, რომ ისინი ათვისებასაც კი ვერ ასწრებენ. ადამიანებს არამხოლოდ ჯანსაღი აზრის უნარები სჭირდებათ, მათ შეძენა-მოპოვებაზე დახარჯული ძალისხმევა ამის გარეშეც მწირ სულიერ ძალებს ხშირად ფიტავს, მათ სჭირდებათ და ამას გრძნობენ – გონების განსაკუთრებული მდგომარეობა (დონე), რომელიც მათ ინფორმაციის გამოყენებასა და აზროვნების განვითარებაში დაეხმარება, რათა იმის ნათელ გაგებას მიაღწიონ, რაც როგორც სამყაროში, ისე თავის თავთან მიმართებაში ხდება. მე განზრახ ვამტკიცებ – გონების ასეთი დონის თვისების განვითარებისას ჟურნალისტები და ჰუმანიტარები, ხელოვანები და პუბლიკა, მეცნიერნი და გამომცემლობები იმედებს იმაზე ამყარებენ, რასაც სოციოლოგიური წარმოსახვა შეიძლება ვუწოდოთ.

ის, ვინც სოციოლოგიურ წარმოსახვას ფლობს, უნარი შესწევს გაიგოს, თუ ისტორიული ძალები ადამიანთა ცხოვრებისეულ გზასა და შინაგან მდგომარეობაზე როგორ გავლენას ახდენს. იგი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ, თუ ყოველდღიური ცხოვრების გრიგალთა ნაკადში ადამიანებს თავიანთი სოციალური პოზიციების შესახებ ყალბი ცნობიერება როგორ ხშირად უყალიბდებათ. ხდომილებათა ამ მორევში თავს თანამედროვე საზოგადოების წყობა იჩენს, რომელიც ადამიანთა ფსიქიკურ წყობას აყალიბებს. ასევე, ადამიანთა პირადი სიძნელეებიც მუდმივად მათგან დამოუკიდებელ პრობლემებზე მიუთითებს და ფესვებიც მათში აქვს გადგმული, ცალკეული ინდივიდისადმი პუბლიკის გულგრილობა კი მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხებით შეშფოთებულობაში ვლინდება. სოციოლოგიური წარმოსახვის პირველ შედეგს და მასზე დამყარებულ სოციალური მეცნიერების პირველ გაკვეთილს იმის გაგება წარმოადგენს, რომ ადამიანს შეძენილი ცხოვრებისეული გამოცდილებების წვდომა და საკუთარი ბედისწერის, გნებავთ, ბედის შემოწმება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც თავის ადგილს მოცემული დროის (ეპოქის) კონტექსტში განსაზღვრავს; რომ მას თავისი ცხოვრებისეული შანსების შესახებ რაიმეს გაგება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც გაიგებს, თუ როგორი შანსები აქვთ იმათ, ვინც მის მსგავს პირობებში (ერთსა და იმავე პირობებში) იმყოფებიან. ერთი მხრივ, ეს საშინელი გაკვეთილია, მეორე მხრივ კი – შესანიშნავი გაკვეთილი. ჩვენთვის ცნობილი არ არის ადამიანის შესაძლებლობების საზღვრები, როდესაც იგი მწვერვალებისა თუ სიმაღლეების დაპყრობისა და ნებაყოფლობითი დაცემის, ტანჯვისა და ლხენის, სისასტიკით თრობით და გონების თამაშით ტკბობით, განცხრომის მისწრაფებებითაა შეპყრობილი. მაგრამ ჩვენ უკვე გავიგეთ, რომ „ადამიანური ბუნების“ საზღვრები ფართოა, რომ ყოველი ინდივიდი თაობიდან თაობამდე თავის ბიოგრაფიას-ცხოვრებას განსაზღვრულ საზოგადოებაში, შესაბამის ისტორიულ კონტექსტში ატარებს, ანუ შესაბამის ისტორიულ კონტექსტში ცხოვრობს. თვით თავისი არსებობის ფაქტითაც კი, მიუხედავად იმისა, რომ თავად ის საზოგადოების და კონკრეტული ისტორიულ-საზოგადოებრივი ძალების პროდუქტია, მას საზოგადოების ჩამოყალიბებაში, საზოგადოების ისტორიული განვითარების არჩევაში მართალია უმნიშვნელო, მცირე, მაგრამ საკუთარი წვლილი შეაქვს.

სოციოლოგიური წარმოსახვა შესაძლებლობას გვაძლევს, ისტორიისა და ცალკეული ადამიანის ცხოვრების გარემოებებს ჩავწვდეთ, ასევე, საზოგადოების შიგნით მათი ურთიერთკავშირი გავიგოთ. ამაში მდგომარეობს ამოცანა, რომლის შესრულებაც მისი დახმარებითაა შესაძლებელი. ასეთი ამოცანის საკუთარ თავზე დაკისრება და მისი პერსპექტივების გაცნობიერება კლასიკური საზოგადოებრივი აზრის დამახასიათებელი ნიშანია (თვისებაა). დაწყებული კონტიდან და ვებერით დამთავრებული ეს თვისება ადამიანისა და საზოგადოების კვლევის სფეროში არსებულ ყველა თანამედროვე მიღწევას ახასიათებს. ვერც ერთი სოციალური გამოკვლევა, თუ ის ადამიანური ცხოვრების, ისტორიის და საზოგადოებაში მათ ურთიერთქმედებებზე არაა მიმართული, ავტორების წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას ვერ შეძლებს. როგორ სპეციალურ საკითხებსაც არ უნდა შეხებოდნენ საზოგადოებრივი აზრის კლასიკოსები, როგორი ვიწრო ან, პირიქით, ფართო არ ყოფილიყო მათ მიერ შესწავლილი სოციალური რეალობის სურათი, ყოველი მათგანი, ვინც ნათლად აცნობიერებდა თავისი სამუშაოს პერსპექტივებს, თავის წინაშე კვლავ და კვლავ საკითხთა სამ ჯგუფს აყენებდა:

1. როგორია შესასწავლი საზოგადოების სტრუქტურა მთლიანობაში? როგორია მისი ძირითადი ელემენტები და მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებები? შესასწავლი საზოგადოების სტრუქტურა სოციალური წესრიგის სხვა ტიპებისგან რით განსხვავდება? მოცემული სტრუქტურის ესა თუ ის თავისებურება მისი კვლავწარმოებისა და ცვლილებების პროცესში როგორ როლს ასრულებს?

2. როგორ ადგილს იკავებს მოცემული საზოგადოება ადამიანურ ისტორიაში? როგორია მისი ცვლილებების მექანიზმები? როგორია მისი ადგილი და როლი მთელი კაცობრიობის განვითარებაში? შესასწავლი საზოგადოებისა და სტრუქტურის ესა თუ ის ელემენტი როგორ გავლენას ახდენს შესაბამის ისტორიულ ეპოქაზე და თავის მხრივ ამ ელემენტში რა არის ისტორიულად განპირობებული? რაში მდგომარეობს კონკრეტული ისტორიული ეპოქის არსება? რით განსხვავდება ის სხვა ისტორიული ეპოქებისგან? როგორია ისტორიის „კეთების“ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესები?

3. მოცემულ საზოგადოებაში როგორი სოციალური ტიპები ჭარბობს და როგორი ტიპების სიჭარბე იქნება მომავალში? როგორ შერჩევას გადიან ისინი და როგორ ყალიბდებიან, როგორ იძენენ ფორმას, როგორ იძენენ და მოიპოვებენ თავისუფლებას ან როგორ ექცევიან ჩაგვრასა და ექსპლოატაციაში, როგორ ხდებიან შემთვისებლები ან გულგრილები? მოცემული ეპოქის კონკრეტულ საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდების ხასიათებსა და სოციალურ ქმედებებში „ადამიანური ნატურის-ბუნების“ როგორი ტიპები ვლინდებიან ან წარმოჩნდებიან? და საკვლევი საზოგადოების თითოეული კონკრეტული თავისებურება ადამიანურ ნატურაზე როგორ გავლენას ავლენს?

სწორედ ამგვარ საკითხებს სვამდნენ საზოგადოების წარმომადგენლები დამოუკიდებლად იმისაგან, ინტერესის ობიექტი დიდი სახელმწიფო და ვიწრო ლიტერატურული მიმდევრობა/მიმდინარეობა, ოჯახი, ციხე თუ რელიგიური მოძრაობა იყო. საზოგადოებაში ადამიანის მოქმედების შესახებ დასმული მსგავსი საკითხები კლასიკური გამოკვლევის ინტელექტუალურ კარკასს შეადგენს, მათ უცილებლად აყენებს თითოეული, ვინც კი სოციოლოგიურ წარმოსახვას ფლობს. ვინაიდან ასეთი წარმოსახვა სოციოლოგებს საშუალებას აძლევს, ერთი პერსპექტივიდან მეორეზე, პოლიტიკურიდან ფსიქოლოგიურზე, ცალკეული ოჯახის განხილვიდან სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით შესწავლაზე, საკვირაო სკოლიდან არმიის ქვედანაყოფების, ერთეული წარმოების კვლევიდან თანამედროვე პოეზიის შესწავლაზე გადავიდეს. სოციოლოგიური წარმოსახვა სოციოლოგებს საშუალებას აძლევს, ცალკეული ინდივიდის ნებისაგან დამოუკიდებელი ზოგადი ის-

ტორიული ცვლილებების კვლევებისაგან ადამიანის პიროვნების თვით ყველაზე იდუმალი, ფარული თვისებების შესწავლაზე გადავიდეს და, ასევე, მათ შორის კავშირი დაინახოს. ამ შესაძლებლობის გამოყენებას ჩვენ გვაიძულებს მუდმივი მისწრაფება, გავიგოთ ადამიანის სოციალურ-ისტორიული მნიშვნელობა ისეთ კონკრეტულ საზოგადოებაში, რომელიც მისი ადამიანური თვისებების გამოვლენას და თავად არსებობას უზრუნველყოფს. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიური წარმოსახვის მეშვეობით, ადამიანი იმედოვნებს, გაიგოს დღეს სამყაროში, მსოფლიოში და თავად მასთან მიმართებაში – ბიოგრაფიისა და საზოგადოების ისტორიის გადაკვეთის წერტილში – რა ხდება. თანამედროვე ადამიანებს, რომელთაც საკუთარი თავის სულ მცირე ზომის გადამთიელად თუ არა, მუდმივ მოხეტიალედ ხედვა ახასიათებთ, თვითცნობიერება ბევრ რამეში სოციალური ფარდობითობების და ისტორიის გარდამქმნელი ძალების შესახებ ნათელი წარმოდგენებითაა განპირობებული. მისი დახმარებით ადამიანებს, რომელთა თვალსაწიერი მოძრაობის ჩაკეტილი ტრაექტორიების ღარიბი კრებულით იფარგლება, ხშირად უჩნდებათ მოულოდნელი გრძნობა, რომ მათ თითქოსდა გაიღვიძეს სახლში, რომელიც თურმე აქამდე ნაცნობად და მშობლიურად მხოლოდ ეჩვენებოდათ. სწორია თუ არა ის, რომ ისინი იმის გაგებას იწყებენ, რომ ახლა თავად არიან უნარის მქონენი, სწორი დეფინიციები, განსაზღვრებები, არაწინააღმდეგობრივი შეფასებები და აწონილ-დაწონილი შეფასებები გამოთქვან. წინანდელ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ოდესღაც მნიშვნელოვან და წონად რაიმედ ეჩვენებოდათ, ახლა ყოველგვარ საზრისს მოკლებულ და უგუნურ ტვინის ჭყლეტად მიიჩნევენ. ადამიანებში კვლავაც ცოცხლდება გაკვირვების უნარი. ისინი იძენენ აზროვნების ახალ წესს, ფასეულობათა-ღირებულებათა გადაფასებას ახდენენ, მოკლედ რომ ვთქვათ, მათი აზრები და გრძნობები სოციალური მეცნიერებების კულტურული მნიშვნელობის გაცნობიერებას უწყობენ ხელს.

2. უმნიშვნელოვანესია ის, რომ სოციოლოგიური წარმოსახვა საშუალებას გვაძლევს, ისეთი ცნებები, როგორებიცაა „გარემოსთან დაკავშირებული პირადი-კერძო სიძნელეები“ და „სოციალური სტრუქტურით განპირობებული საზოგადოებრივი პრობლემები“, ერთმანეთისგან განვასხვაოთ. პირადი სიძნელეები ინდივიდის ხასიათით და სხვებთან მისი დამოკიდებულებებით განისაზღვრება. იგი ინდივიდის „მეს“ და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებს ეხება, რომლებსაც ის პირადად იცნობს. შესაბამისად, ამ სიძნელეების გაცნობიერება და გადალახვა, მკაცრად რომ ვთქვათ, ინდივიდის, როგორც კონკრეტული ბიოგრაფიის მატარებლის, კომპეტენციათა ჩარჩოებიდან და აგრეთვე მისი ცხოვრების უშუალო სფეროს ჩარჩოებიდან, ესე იგი იმ სოციალური გარემოცვის ჩარჩოებიდან არ გადის, რომელიც მისი პირადი გამოცდილებით განისაზღვრება და, გარკვეული ზომით, მისი შეგნებული ზემოქმედებისათვის მისაწვდომია. სიძნელეები – ეს კერძო საქმეა: ისინი მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ინდივიდი გრძნობს, რომ ღირებულებები, რომლებსაც ის იზიარებს და მხარს უჭერს, საფრთხის ქვეშ იმყოფება.

საზოგადოებრივი პრობლემები კი, ჩვეულებრივ, იმ დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს ეხება, რომლებიც ინდივიდის უშუალო გარემოცვას და მისი შინაგანი ცხოვრების ფარგლებს სცილდება. ასეთი გამოსავალი ცხოვრების მრავალი ინდივიდუალური გარემოს ინსტიტუციონალური ორგანიზაციის, ხოლო შემდეგ სოციალურ-ისტორიული ერთობის უფრო ფართო სტრუქტურის დონეზეა აუცილებელი, რომელიც მთელი ცხოვრების ინდივიდუალური გარემოს და საზოგადოებრივ-ისტორიული მაკროსტრუქტურის მრავალფეროვანი გადახლართვის და ურთიერთგანმსჭვალვის შედეგად ყალიბდება.

საზოგადოებრივი პრობლემები საზოგადოებრივად იმიტომ იწოდება, რომ მათი წარმოშობისას საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ გაზიარებული ღირებულებები საფ-

რთხის ქვეშ დგება. ხშირად კამათობენ იმაზე, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს ეს ღირებულებები და სახელდობრ რა საფრთხეები ემუქრება მათ. ხშირად კამათი უსაგნო იმიტომაა, რომ, განსხვავდება რა თავისი ბუნებით ყველაზე გავრცელებული პირადი სიძნელეებისაგან, საზოგადოების პრობლემები უბრალო ადამიანთა უშუალო ყოველდღიური გარემოცვის ტერმინების განსაზღვრებას არ ექვემდებარება (ემორჩილება). სინამდვილეში, საზოგადოებრივი პრობლემები ხშირად ინსტიტუციონალური წესრიგის კრიზისთან, აგრეთვე იმასთანაა კავშირში, რასაც მარქსისტები „წინააღმდეგობებს“ ან „ანტაგონიზმებს“ უწოდებენ.

მოდით, ამ თვალსაზრისით, უმუშევრობა განვიხილოთ როდესაც ასიათასიან ქალაქში მხოლოდ ერთ ადამიანს არ აქვს სამუშაო – ეს მისი პირადი პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა, მოცემული პიროვნების ხასიათს, უნარებს და შესაძლებლობებს მივაქციოთ ყურადღება. მაგრამ როდესაც ერი, რომელიც ორმოცდაათმილიონიან შრომისუნარიან მოსახლეობას ფლობს და თხუთმეტ მილიონამდე უმუშევარს ითვლის – ეს უკვე საზოგადოებრივი პრობლემაა და იმედს ვერ ვიქონიებთ, რომ მის გადაწყვეტას თითოეული უმუშევრისათვის მისადგომ, მისაღწევ შესაძლებლობებში ვიპოვით. თავად შესაძლებლობების სტრუქტურაა დარღვეული. პრობლემის სწორად ფორმულირებისა და მისი შესაძლო გადაჭრის დონისა და ვარიანტის განსაზღვრისათვის საჭიროა, ყურადღება საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე და არა პირად სიტუაციებსა და ცალკე აღებულ ინდივიდთა ხასიათის თავისებურებაზე გავამახვილოთ.

განვიხილოთ ომი. ომის დროს პირადი პრობლემები დაკავშირებულია იმასთან, რომ თითოეული ინდივიდი თავად წყვეტს, გადარჩეს თუ გმირულად დაიღუპოს, ან მასზე ფული გააკეთოს, ან სამხედრო მართვის აპარატში თბილი და უსაფრთხო ადგილი დაიკავოს, ან ომის დამთავრებას ხელი შეუწყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, თავიანთი ღირებულების სკალის შესაბამისად, ადამიანები ყოფის ინდივიდუალური გარემოს განსაკუთრებულ კონფიგურაციაში ეწერებიან, რათა იქ განიცადონ ომი ან თავის სიკვდილს აზრი მიანიჭონ. მაგრამ ომის სტრუქტურული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მისი მიზეზების გამორკვევა, შესწავლა იმისა, თუ როგორ და რა ტიპის ადამიანთა დაწინაურება ხდება სამეთაურო პოსტებზე, როგორია ომის გავლენა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ოჯახისა და რელიგიურ ინსტიტუტებზე, ასევე საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა, რომლებშიც არაორგანიზებულობა და უპასუხისმგებლობა ბატონობს.

განვიხილოთ ოჯახი. ქორწინებაში ყოფნისას კაცი და ქალი შეიძლება პირად სიძნელეებს განიცდიდნენ, მაგრამ თუ ქორწინების პირველ ოთხ წელზე ყოველ ათას ქორწინებაზე საშუალოდ ორას ორმოცდაათი განქორწინება მოდის, მაშინ ეს იმ სტრუქტურული პრობლემის ინდიკატორია, რომლის გადაწყვეტასაც თავად ქორწინების, ოჯახის ინსტიტუტისა და სხვა მასზე დამყარებულ სოციალურ დადგენილებებში (უწყებებში) აქვს ფესვი გადგმული.

ან მეტროპოლისი ავიღოთ, შემზარავი და მშვენიერი, მახინჯი და დიდებული დიდი ქალაქი – რვაფეხა. მაღალი კლასის მრავალი წარმომადგენლისათვის „ქალაქის პრობლემის“ პირადი გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში, რომ მეტროპოლისის თავად ცენტრში ჰქონდეს ბინა, ისეთ სახლში, რომელსაც მიწისქვეშა ფარეხი, ხოლო ქალაქიდან 60 კილომეტრში ჰენრი ჰილის პროექტის შესაბამისად აგებული სახლი, ბაღი კი გარეტ ეკბოს სტილში ჰქონდეს აგებული. ყოფის ამ ორი გარემოს შიგნით, რომელსაც მფლობელები მცირე პერსონალის დახმარებითა და საკუთარი ვერტმფრენის მომსახურებით აკონტროლებენ, მრავალ ადამიანს ქალაქის „ფაქტებით“ განპირობებული პირადი პრობლემების მთელი მასის გადაჭრა შეეძლებოდა. მაგრამ როგორი შესანიშნავიც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება,

იგი სრულებითაც ვერ ხსნის დღის წესრიგიდან იმ საზოგადოებრივ პრობლემებს, რომლებიც ქალაქის, როგორც სტრუქტურული ფაქტორის, შედეგად წარმოიქმნება. როგორ გარდავქმნათ ეს საოცარი ჯოჯოხეთური ქმნილება, დავყოთ ის ცალკეულ ნაწილებად, შევუთავსოთ ცხოვრების ადგილი სამუშაო ადგილს? ჩავატაროთ კოსმეტიკური ღონისძიებები, გაუმჯობესებები ისე, რომ არსებითად არაფერი შევცვალოთ? თუ მოვახდინოთ მთელი მოსახლეობის ევაკუირება, ავაფეთქოთ მთელი ქალაქები და ახალი გეგმით ახალი შენობები ხომ არ ავაშენოთ? როგორი უნდა იყოს ეს გეგმა? და ვინ უნდა გააკეთოს არჩევანი, მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს ცხოვრებაში? ეს პრობლემები სტრუქტურული ხასიათისაა. მათი წამოყენებისა და გადაჭრის დროს ჩვენ ის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები უნდა გავითვალისწინოთ, რომლებიც ცხოვრების ინდივიდუალური გარემოს ურიცხვ რაოდენობაზე აისახება.

სანამ ეკონომიკა ისეა მოწყობილი, რომ მასში ჩავარდნები ხდება, უმუშევრობის პრობლემა ვერ გადაიჭრება მანამ, სანამ ომი ეროვნული სახელმწიფოების სისტემის და მსოფლიოს ქვეყნების უთანასწორო სამრეწველო განვითარების გარდუვალი თანამგზავრი იქნება. ადამიანი თავისი ცხოვრების შეზღუდული ინდივიდუალური გარემოთი – ფსიქიატრიული დახმარებით თუ მის გარეშე – ვერ შეძლებს სიძნელეების აღმოფხვრას, რომლებსაც ეს სისტემა (ან სისტემის არარსებობა) მას თავს ახვევს. მანამ, სანამ ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ქალებს საყვარელ მონებად, მამაკაცებს კი მათ მბრძანებლებად ან უსარგებლო სარჩენ არსებებად აქცევს, ქორწინების პრობლემა შეუძლებელია დამაკმაყოფილებლად გადაიჭრა მხოლოდ კერძო სახით. მანამ, სანამ ზეგანვითარებული მეგაპოლისები, თავიანთი სუპერგანვითარებული ავტომობილებით, თვით ყველაზე განვითარებული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, ქალაქური ცხოვრების პრობლემები ვერც პირადი ნიჭიერების და ვერც კერძო შეძლების დახმარებით გადაიჭრება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ის, რასაც ჩვენ საქმიანობის საკუთარ ინდივიდუალურ გარემოში განვიცდით, ხშირად საზოგადოებაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებითაა გამოწვეული, ამიტომ იმისათვის, რომ ცალკეულ ინდივიდუალურ „უჯრედში“ მიმდინარე ცვლილებები გავიგოთ, აუცილებელია, მის ფარგლებს გარეთ გავიდეთ. მით უფრო, რომ სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა და მრავალფეროვნება იზრდება, რამდენადაც ინსტიტუტები, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თავიანთ გავლენას სულ უფრო აფართოებენ და მათ შორის კავშირიც სულ უფრო მჭიდრო ხდება. სოციალური სტრუქტურის იდეის გაცნობიერება და მისი ადეკვატურად გამოყენების სწავლა ცხოვრების ინდივიდუალური გარემოს დიდი მრავალფეროვნების შიგნით არსებული კავშირების თვალყურის დევნებისა და ანალიზის უნარის შეძენას ნიშნავს.

3. როგორია ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემები და როგორ ძირითად სიძნელეებს განიცდიან ინდივიდები? ამ კითხვებზე პასუხისას თანამედროვე ეპოქის ძირითადი მახასიათებლებისგან უნდა ამოვიდეთ და ვუპასუხოთ კითხვას, როგორ ღირებულებებს იზიარებენ ადამიანები? ხომ არ არის ეს ღირებულებები საფრთხის ქვეშ? როგორი ღირებულებებია შენარჩუნებული და, შესაბამისად, გაზიარებული. ორივე შემთხვევაში აუცილებელია გამოვარკვიოთ, ამ პროცესების მიღმა როგორი სტრუქტურული წინააღმდეგობები შეიძლება იმალებოდეს.

როდესაც ადამიანები იზიარებენ რომელიღაც ღირებულებას და არ განიცდიან შიშს, რომ მათ შეიძლება რაიმე საფრთხე ემუქრებოდეთ, მაშინ ისინი კეთილდღეობის მდგომარეობაში იმყოფებიან. როდესაც ადამიანები იზიარებენ გარკვეულ ღირებულებებს, მაგრამ გრძნობენ, რომ საფრთხე ემუქრებათ, ისინი განიცდიან კრიზისს: ან, როგორც პირადი სიძნელის, ან, როგორც საზოგადოებრივი პრობლემის სახით, ხოლო თუ ადამიანებს ეჩვე-

ნებათ, რომ ყველა ის ღირებულება, რომლებსაც ისინი იზარებენ, საფრთხის ქვეშ იმყოფება, ისინი შეიძლება პანიკაში ჩავარდნენ. მაგრამ მოდით წარმოვიდგინოთ ადამიანები, რომლებიც არცერთ ღირებულებას მხარს არ უჭერენ და, შესაბამისად, არანაირ საფრთხეს არ გრძნობენ. ეს ინდიფერენტულობის მდგომარეობაა, რომელიც ყველა მათ ღირებულებებზე გავრცელებისას აპათიას იწვევს. დაბოლოს, წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომელიც ზოგადი/საერთო ღირებულებების არარსებობის და, ამავე დროს, საფრთხის არსებობის მწვავე გაცნობიერებით ხასიათდება. ეს განგაშის, შფოთის მდგომარეობაა, რომელიც განსაზღვრული ზღუდის მიღწევისას გამოუცნობ სასიკვდილო ავადმყოფობად გადაიქცევა.

ჩვენ სწორედ ახლა ვიმყოფებით გულგრილობისა და განგაშის მდგომარეობაში, რომელიც ჯერ კიდევ იმდენად არ არის გაფორმებული, რომ გონებას – შესაბამისი სამუშაო, გრძნობებს კი შესაბამისი თავისუფლება მივცეთ. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს უბედურებებს ღირებულებების და მათ მიმართ მოსალოდნელი საფრთხეების ტერმინებში განვსაზღვრავდეთ, ჩვენ ხშირად მხოლოდ ბუნდოვან განგაშს განვიცდით. არ არსებობს მკვეთრად გაფორმებული სოციალური პრობლემები და სულშიც შფოთია იმის გამო, რომ ყველაფერი ირგვლივ რიგზე არაა. ხოლო რადგან ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია და ჩვენს ღირებულებებს სახელდობრ რა საფრთხეები ემუქრება, მაშინ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია, აზრი არ აქვს. კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს, სოციალური მეცნიერებების წინაშე პრობლემების დაყენების თაობაზე ვილაპარაკოთ. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში განსაზღვრული საქმიანი წრეების ილუზიების ტყვეობაში მყოფთა გარდა, ძალიან ცოტა ვინმე თუ ეჭვობდა ეკონომიკური პრობლემების არსებობას, რომელთა მეშვეობით პირადი პრობლემები წარმოიშობოდა. „კაპიტალიზმის კრიზისის“ მარქსისტული ფორმულირებისა და მისი მრავალრიცხოვანი აუღიარებელი ფორმულირებების განხილვებს შორის ამ პრობლემის ყველაზე სწორი განმარტებები არსებობდა და ზოგიერთმა ადამიანმა თავისი პირადი სიძნელეების გამოთქმაც მარქსისტულ ტერმინოლოგიაში დაიწყო. ნათელი გახდა, რომ ყველას მიერ გაზიარებული ღირებულებები სტრუქტურული წინააღმდეგობების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, რომლებიც ასევე ცხადად წარმოიდგინებოდა. ერთიცა და მეორეც მრავალთა ღრმა განიცდებს იწვევდა, ამან კი პოლიტიკური მოქმედება გამოიწვია. მაგრამ ომის შემდგომ ეპოქაში საფრთხის ქვეშ მყოფი ღირებულების, როგორც ღირებულების და მოსალოდნელი საფრთხეების, განხილვაზე უარი თქვეს. მრავალ პირად შფოთს თუ განგაშს არანაირი რეზონანსი არ ქონდა. სოციალური ავადმყოფობანი და მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა, რომლებსაც საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურაში უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი არც კი გამხდარა. მათთვის, ვინც წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებულ ინტელექტუალურ ღირებულებებს და თავისუფლებას ძველებურად აღიარებდა, თავად განგაში პირადი იყო, ხოლო გულგრილობა – საზოგადოებრივი პრობლემა. განგაშისა და გულგრილობის მდგომაროება ჩვენი ეპოქის განმასხვავებელ მდგომარეობად იქცა. ყოველივე ეს იმდენად საოცარია, რომ მკვლევრები არტიკულაციის საჭიროების მქონე პრობლემების ხასიათის პრინციპულ ცვალებადობაზე ხშირად ლაპარაკობენ. გამუდმებით გვესმის, რომ ჩვენი ეპოქის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტამ ეკონომიკის სფეროდან გადაინაცვლა და ახლა მათი გადაჭრა ცალკეული ინდივიდის ცხოვრების წესს უკავშირდება, ესე იგი საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ სწრაფად დადგება ისეთი დრო, რომელიც პიროვნების ინდივიდუალური განვითარებისათვის ყველაზე კეთილსასურველი იქნება. არა ბავშვთა შრომა, არამედ კომიქსების პრობლემა, არა სიღარიბე, არამედ მასობრივი დროის გატარებისა და

დასვენების პრობლემები დგას ახლა ყურადღების ცენტრში. ხშირად გვეჩვენება, რომ მრავალი მსხვილი საზოგადოებრივი პრობლემა კერძოსთან ერთად აღიწერება, როგორც „ფსიქიატრიული“, რაც სოციოლოგთა მიერ თანამედროვე საზოგადოების ძირეული პრობლემების განხილვის თავიდან არიდების სურვილის შედეგია. ხშირად გვგონია, რომ საკითხის ასეთი დაყენება ისტებლიშმენტის განსაკუთრებით დასავლური საზოგადოებით ან თუნდაც მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებით დაინტერესების პროვინციულ შეზღუდვებს ემყარება. ამ შემთხვევაში იგნორირებულია კაცობრიობის არა მხოლოდ ორი მესამედი, არამედ ხშირად თვითნებურად ინსტიტუტებისაგან ინდივიდთა ცხოვრებას გამოყოფენ, ცხოვრებას, რომელიც ამ ინსტიტუტთა ჩარჩოებში მიმდინარეობს და რომელიც ზოგჯერ მათზე უფრო ღრმა კვალს ტოვებს, ვიდრე ის უშუალო სოციალური გარემოცვა, რომელშიც ადამიანის ბავშვობა მიმდინარეობს. თავისუფალი დროის პრობლემას კი შრომის პრობლემის განხილვის გარეშე აზრი არ აქვს იმ უბედური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, რომელშიც ოჯახი ახალ სოციალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში აღმოჩნდა. ბავშვებზე კომიქსების გავლენის გამო მშობლების შეშფოთება პრობლემად არ უნდა ვაქციოთ. არც თავისუფალი დრო და დასვენება, არც მისი საზიანო ფორმები უნდა მივიჩნიოთ პრობლემად იმის გაუთვალისწინებლად, თუ სოციალური ავადმყოფობანი და გულგრილობა ადამიანებს შორის ურთიერთობებზე და მთლიანად თანამედროვე ამერიკული საზოგადოების კლიმატზე რა გავლენას ახდენს. ამ კლიმატში „კერძო ცხოვრების“ ნებისმიერი პრობლემის დასმა თუ გადაწყვეტა კორპორაციების ეკონომიკური ექსპანსიის პირობებში ადამიანთა შრომითი საქმიანობის მომცველი ღირებულებების კრიზისის აღიარების გარეშე შეუძლებელია. სწორია, როგორც ამის შესახებ საუბრობენ ფსიქოანალიტიკოსები, რომ ადამიანები ხშირად განიცდიან იმის მზარდ შეგრძნებას, რომ მათ თითქოს მათშივე არსებული ფარული ძალები ამოძრავებენ, რომელთა განსაზღვრის პრობლემა მათ არ გააჩნიათ. მაგრამ არასწორია იმის მტკიცება, როგორც ამას ერნსტ ჯონსი აკეთებს, რომ „ადამიანის ყველაზე საშიში მტერი მისი უმართავი ბუნება და შიგნით შერეკილი ბნელი ძალებია“. პირიქით, „მთავარი საშიშროება ადამიანისათვის“ თანამედროვე საზოგადოების ძალების უმართაობაში, მის გამაუცხოებელი წარმოების წესებში, პოლიტიკური ბატონობის ტოტალურ მეთოდებში, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ანარქიაში კრთის – ერთი სიტყვით, ადამიანის თავად ბუნების, მისი არსებობის პირობებისა და ცხოვრებისეული მიზნების ღრმა ტრანსფორმაციაში კრთის. დღეს, სოციალური მეცნიერების პირველხარისხოვანი პოლიტიკური და ინტელექტუალური ამოცანაა – მოცემულ შემთხვევაში ორივე ამოცანა ემთხვევა – ადამიანთა დღევანდელი განგაშის-შიშების-სტრესების და საზოგადოების გულგრილობის ელემენტარული საფუძვლები გამოარკვიოს და გააცხადოს. ესაა ის მთავარი მოთხოვნა, რომელსაც მის წინაშე კულტურის სფეროს სხვა მუშაკები – ფიზიკოსები და ლირიკოსები, მთლიანად ინტელექტუალური თანასაზოგადოება, თემი აყენებს. ვფიქრობ, ეს ამოცანები სოციალურ მეცნიერებებს – ჩვენი კულტურული ეპოქის საერთო მნიშვნელად, ხოლო სოციოლოგიურ წარმოსახვას კი ინტელექტის ყველაზე აუცილებელ თვისებად აქცევს.

4. ყოველ ინტელექტუალურ ეპოქაში აზროვნების რომელიღაც ერთი სტილი კულტურული ცხოვრების განსაზღვრას ცდილობს. თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს რეალობაში განსაზღვრული ინტელექტუალური გატაცება ცოტა ხნით ეუფლება ფართო პუბლიკის გონებას, რათა ორი წლის შემდეგ ისევ ახლით შეიცვალოს. მსგავს მისწრაფებას თუ აღმაფრენას შეუძლია, კულტურულ გასართობებს სიცოცხლისუნარიანობა შემატოს, მაგრამ საეჭვოა, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე რაიმე შესამჩნევი კვალი დატოვოს, რაც არ შეიძლება ითქვას აზროვნების ისეთ წესებზე, როგორებიც „ნიუტონის ფიზიკა“ ან

„დარვინისეული ბიოლოგიაა“. ამ ინტელექტუალური უნივერსუმებიდან თითოეულმა მოიპოვა გავლენა, რომელიც იდეებისა და წარმოდგენების ვიწრო სფეროს ჩარჩოებიდან შორს გადის. მათი ენის გამოყენებით, უცნობი მკვლევრები და მოდური კომენტატორები ახალ პერსპექტივებს აღმოაჩენენ და მათთვის საინტერესო პრობლემებს ახლებურ ფორმულირებებს აძლევენ.

ჩვენს დროში დასავლურ საზოგადოებაში ფიზიკა და ბიოლოგია როგორც სერიოზული განაზრებების, ისე პოპულარული მეტაფიზიკის საერთო მნიშვნელად იქცა. ლაბორატორიული ექსპერიმენტის მეთოდი ინტელექტის საიმედოობის საყოველთაოდ მიღებულ პროცედურად და კრიტერიუმად იქცა. ამაში მდგომარეობს საერთო ინტელექტუალური მნიშვნელის იდეა: ექსპერიმენტის ტერმინებში ყველა საკუთარი ძლიერი შეხედულების დაცვაა შესაძლებელი. სხვა ტერმინებით აზროვნების სხვა სტილით მოცემული მსჯელობები, უბრალოდ, განხილვისგან თავის არიდებად და უცოდინრობად ითვლება.

რასაკვირველია, რომელიმე საერთო ინტელექტუალური მნიშვნელის სიჭარბე და აღმატებულება აზროვნების სხვა სტილებს და აღქმის წესებს არ უარყოფს. უბრალოდ, მისი დახმარებით ზოგადი საერთო-ინტელექტუალური ამოცანები უფრო ნათლად ფორმულირებული და გააზრებულია, რაც, თუ რომელიმე პრობლემის გადაჭრასთან არ მიგვიყვანს, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ძიების პერსპექტიულ გზას მაინც მიგვანიშნებს.

ვფიქრობ, რომ სოციოლოგიური აზროვნება ჩვენი კულტურული ცხოვრების მთავარი საერთო მნიშვნელი და მისი განმასხვავებელი ნიშანი გახდება. აზროვნების ეს თვისება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებშიც შეიმჩნევა, ამ დისციპლინების ფარგლებიდან შორს გადის. მას კულტურის სფეროში ცალკე ინდივიდები და ფართო საზოგადოება ნელ-ნელა და ხშირად ბრმად (ხელის ცეცებით) ეუფლებიან. საზოგადოების მრავალი მკვლევარი კი მას საერთოდ მოკლებულია. ისინი თითქოსდა არც კი ეჭვობენ, რომ ამგვარი წარმოსახვის გამოყენება იმ სამუშაოს საუკეთესო შესრულების პირობაა, რომლის შესრულებაც მათ ძალუძთ. რომ მათი განვითარებისა და გამოყენების გარეშე ისინი მათზე დაკისრებულ ზოგადკულტურული მისიის შესრულებას ვერ შეძლებენ, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობას ფესვები სოციალურ მეცნიერებათა დისციპლინების კლასიკურ ტრადიციებში აქვს გადგმული. ამავე დროს, სოციოლოგიური წარმოსახვისათვის დამახასიათებელი თვისებები, როგორც მორალური კუთხით, ისე სოციალური სინამდვილის ფაქტების შემეცნების მიმართებით, ლიტერატურულ საქმიანობასა და პოლიტიკურ ანალიზშიც რეგულარულად გამოიყენება. ეს თვისება ყველაზე განსხვავებული წესით ტრანსფორმირდება და კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების ინტერპრეტაციისა და ინტელექტუალური საქმიანობის ძირითად ნიშნებად იქცევა. წამყვანი ლიტერატურული კრიტიკოსები, სერიოზულ ჟურნალისტებთან ერთად, ამის მაგალითს წარმოადგენენ, როდესაც ერთმანეთის შრომებს აფასებენ. პოპულარული კრიტიკა – როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი რანგის – ყოველ შემთხვევაში ახლა სოციოლოგიურ და ესთეტიკურ კატეგორიებს ერთნაირად იყენებს. მწერალი რომანისტები, რომელთა სერიოზული წიგნები ადამიანური რეალობის ყველაზე გავრცელებულ კონცეფციებს განახორციელებენ, ხორცს ასხამენ სოციოლოგიურ წარმოსახვას, ჩვეულებრივ ფლობენ და მის გავრცელებასაც ხელს უწყობენ. მისი დახმარებით აწმყოს ისტორიის კონტექსტში გაგებას მრავალი ცდილობს. როგორც კი იწყებ „ადამიანის ბუნების“ შესახებ წარმოდგენების დაპირისპირებულობის გაცნობიერებას, მაშინვე იზრდება რუტინულ სოციალურ წესრიგზე და იმ კატასტროფულ ცვლილებებზე შემოქმედებითი და უფრო რაციონალური შეხედულების მოთხოვნილება, რომლებიც ჩვენს დროში საზოგადოებრივ მღელვარებებსა და იდეოლოგიურ კონფლიქტებში ადამიანის ბუნებას აშიშვლებს (და აყალიბებს კიდეც).

მართალია, მოდა თავის თავს მისი მიმდევრების სურვილში იჩენს, მაგრამ სოციოლოგიური წარმოსახვა უბრალოდ მოდის მოცემულობა არაა. ეს აზროვნებისა და ინტელექტის განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც, შესაძლოა, ჩვენი ყოფიერების ყველაზე ფარული სფეროებისა და უფრო ფართო სოციალურ სინამდვილესთან მათი კავშირების შესახებ ყველაზე თვალსაჩინო წარმოდგენების შემუშავებას უზრუნველყოფს, იგი თანამედროვე გონების კულტურის მიერ შემუშავებული თვისებებიდან უბრალოდ ერთ-ერთი არაა. ეს სწორედ ის თვისებაა, რომლის უფრო ფართო და დახვეწილი გამოყენებაც ყველა დანარჩენ თვისებებს და, ფაქტობრივად, თვით ადამიანურ გონებასაც კი შესაძლებლობას აძლევს, ადამიანთა ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

ფიზიკის, როგორც უძველესი საერთო მნიშვნელის, კულტურული მნიშვნელობა სულ უფრო ეჭვის ქვეშ დგება. მრავალი ფიქრობს, რომ ფიზიკის მეცნიერება, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის სტილი, რაღაცებში არაადეკვატური გახდა. უძველესი დროიდან მოყოლებული, აზროვნების, გრძნობის, წარმოსახვისა და აღქმის მეცნიერული სტილის ადეკვატურობა თეოლოგიური კამათებისა და რელიგიური ეჭვების საგანი იყო. მაგრამ ჩვენმა მეცნიერმა მამებმა და ბაბუებმა მსგავსი რელიგიური წარმოდგენები დასძლიეს. დღევანდელი ეჭვები – საერო და ჰუმანისტური – ხშირად საქმის არსს აბუნდოვანებს. უკანასკნელ ათწლეულებში ფიზიკის განვითარება, რომლის უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევა წყალბადის ბომბის შექმნა და პლანეტის ყველა წერტილში მიტანა გახდა, საეჭვოა, იმ პრობლემების გადაჭრად აღიქმებოდეს, რომლებიც კულტურის მოღვაწეების და ინტელექტუალების თაობებისთვის თავსატეხი იყო. ამ მიღწევებში სამართლიანად ხედავენ ვიწრო სპეციალობის გამოკვლევის შედეგს, რომელმაც, გაუგებრობათა გამო, ზოგიერთში აღფრთოვანებაც კი გამოიწვია. ამ მიღწევებმა არათუ ვერ გადაჭრეს არსებული გლობალური პრობლემები, არამედ კიდევ უფრო მეტი ახალი, როგორც ინტელექტუალური, ისე მორალური, თითქმის მთლიანად სოციალური და არა ბუნების მეცნიერების სფეროს კუთვნილი პრობლემები დააყენეს. განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს ესმით, რომ ბუნების დაუფლება, შიმშილი, სიცივე და სიღატაკე, ფაქტობრივად, გადალახულია და ახლა მათში ძლიერდება, მტკიცდება რწმენა, რომ მეცნიერებამ როგორც, ბუნების დაუფლების ძირითადმა საშუალებამ, ორიენტირები, მიზანთა გარკვეულობა დაკარგა და გადაფასებას საჭიროებს. თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი მეცნიერებისადმი პატივისცემის შეფასება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მას მხოლოდ მიეწერებოდა, ახლა მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიზმის სულისკვეთება და ინჟინრული წარმოსახვა უფრო ეჭვებსა და შიშს, ვიდრე პროგრესის იმედს გვინერგავს. რა თქმა უნდა, მეცნიერება ტექნიკაზე არ დაიყვანება, მაგრამ იმის საშიშროება არსებობს, რომ იგი მთლიანად მასში ჩაიკეტოს. ფიზიკის, როგორც მეცნიერების, გადაფასების აუცილებლობის შესახებ შეგრძნების დონეზე გაჩენილი მოთხოვნილება ახალი საერთო-კულტურული მნიშვნელის მოთხოვნილებას ასახავს. მეცნიერების მნიშვნელობა ადამიანისათვის, მისი სოციალური როლი, სამხედრო და კომერციული გამოყენება, პოლიტიკური მნიშვნელობა კომპლექსურ გადაფასებას ექვემდებარება. ბირთული შეიარაღების დარგში არსებულმა მეცნიერულმა მიღწევებმა შეიძლება მსოფლიოს პოლიტიკური გარდაქმნის „აუცილებლობასთან მიგვიყვანოს“, მაგრამ ასეთი „აუცილებლობა“ შეუძლებელია ფიზიკის მიერ იქნეს რეალიზებული. იმისაგან მრავალი, რაც „მეცნიერებად“ საღდებოდა, დღეს საეჭვო ხასიათის მქონე ფილოსოფოსობად გვეჩვენება. მრავალ რამეში, რაც ადრე „რეალურ მეცნიერებად“ ითვლებოდა, ახლა მხოლოდ რეალობის მოუწესრიგებელი ფრაგმენტების, რომელთა შორისაც ადამიანები ცხოვრობენ, ასახვას ხედავენ. ფართოდ გავრცელდა აზრი, რომ მეცნიერები რეალობის მთლიანი სურათის მოცემას ან კაცობრიობის ჭეშმარიტი დანიშნულების,

ბედისწერის გამოვლენას უკვე აღარ ესწრაფვიან. უფრო მეტიც, მრავალს მეცნიერება არა იმდენად შემოქმედებად და სამყაროს შემეცნებად წარმოუდგენია, რამდენადაც გიგანტურ მანქანად, რომელიც ეკონომისტებისა და სამხედროების მიერ იმართება, მოძრაობაში კი მექანიკოსების მიერ მოდის, რომლებიც მეცნიერების, როგორც სამყაროს შემეცნების განსაკუთრებულს ეთოსსა და მიდგომებს არათუ ახორციელებენ, არამედ ასეთად არც კი მიიჩნევენ.

ამავე დროს, მეცნიერების სახელით მოკამათე ფილოსოფოსები მას „სციენტიზმად" გარდაქმნიან და მის გამოცდილებას ადამიანურ გამოცდილებასთან აიგივებენ და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მეცნიერული მეთოდის დახმარებით შეიძლება ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა. ყოველივე ამის გათვალისწინებისას კულტურის მრავალი მოღვაწე „მეცნიერებას" ყალბ და პრეტენზიული მესიის მქონე წარმონაქმნად ან, უკიდურეს შემთხვევაში, თანამედროვე ცივილიზაციის ფრიად საეჭვო ელემენტად მიიჩნევს.

მაგრამ თუ ჩ.ჰ. სნოუს სიტყვებით ვიტყვით, არსებობს „ორი კულტურა": მეცნიერული და ჰუმანიტარული. ისტორია, დრამა, ცხოვრების აღწერა, პოეზია და ბელეტრისტიკა, მნიშვნელობა არ აქვს, ჰუმანისტური კულტურის არსებას ქმნიდა და დღესაც ქმნის ლიტერატურა. მაგრამ დღეს ვრცელდება შეხედულება, თითქოს სერიოზული ლიტერატურა მრავალი მიმართებით ხელოვნების მეორეხარისხოვანი სახეობა გახდა. თუ ეს სწორია, მაშინ ამის მიზეზი არა მხოლოდ კულტურის მასობრივი მომხმარებლის გაჩენაში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დამკვიდრება-განმტკიცებაში, არამედ ყოველივე იმაში უნდა ვეძებოთ, რაც სერიოზული ლიტერატურის წარმოებაზე გავლენას ახდენს. მიზეზი ჩვენი დროის ისტორიულ თავისებურებაში, ასევე, მოაზროვნე ადამიანის მიერ ამ თავისებურებების წვდომის დიდ მოთხოვნილებაში უნდა ვეძებოთ.

ისტორიულ რეალობას და თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფაქტებს რომელი წიგნი, სტატია ან სურათი შეედრება? შეიძლება კი ჯოჯოხეთის გამოხატულებამ უფრო დიდი შიში ჩაგვინერგოს, ვიდრე მეოცე საუკუნის მსოფლიო ომების ეპიზოდებმა? უზნეობის როგორი მხილებები შეედრება კაპიტალის პირველადი დაგროვების განმახორციელებელ ადამიანთა მორალურ უგრძნობობასა და გულგრილობას? ადამიანები ისწრაფვიან, შეიცნონ სოციალური და ისტორიული რეალობა, მაგრამ ხშირად თანამედროვე ლიტერატურაში შემეცნების ადეკვატურ ინსტრუმენტებს ვერ პოულობენ. ისინი ფაქტებს ესწრაფვიან, მათ საზრისს ეძიებენ, სურთ, მიმდინარე ფაქტების, ხდომილებების, შესახებ „ფართო პანორამა" ჰქონდეთ, რომლის ფონზეც საკუთარი თავის გაგება შესაძლებელი ხდება. ისინი ასევე მზად არიან, საკუთარი ქცევების ასახსნელად ღირებულებითი ორიენტირები, შესაბამისი მსოფლშეგრძნება, ემოციური განწყობა და მზამზარეული გამოთქმები მიიღონ. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურაში ყოველივე ამის მოძიება არაა მარტივი საქმე. მნიშვნელოვანი ის კი არაა, შეიძლება თუ არა ლიტერატურაში მრავალთათვის ამაღელვებელ საკითხებზე პასუხების მოძიება, არამედ ის, რომ ხშირად მას საერთოდ ვერ პოულობენ.

წარსულში ლიტერატორები კრიტიკოსებისა და ისტორიკოსების სახით გვევლინებოდნენ, ინგლისზე ნარკვევებსა თუ ესეებს წერდნენ, ამერიკაში მოგზაურობების თაობაზე მოგვითხროდნენ. ა. დე ტოკვილსა და იპოლიტ ტენს ჩვენს დროში რომ ეცხოვრათ, ისინი სოციოლოგები გახდებოდნენ? იპოლიტ ტენის შესახებ მსგავსი საკითხის დასმას ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" მიმოხილვაში ვპოულობთ (ნახე: Times Literary Supplement. 1957. 15 November). მიმომხილველი დაასკვნის: „ი. ტენი ადამიანს პირველ რიგში მუდამ, როგორც სოციალურ ცხოველს, ხოლო საზოგადოებას კი, როგორც ადამიანთა ჯგუფების კრებულს, გაერთიანებას უყურებდა: მას უმცირესი დეტალების შემჩნევაც კი შეეძლო, დაუ-

ღალავი დამკვირვებელი იყო და... სოციალურ ფენომენებს შორის არსებული კავშირების გაგებისათვის ფრიად ღირებულ თვისებას – აზროვნების მოქნილობას – ფლობდა. იგი ძალიან ინტერესდებოდა აწმყოთი, რათა ისტორიკოსობა შესძლებოდა, იყო ძლიერი თეორეტიკოსი, რათა თავი მწერლის ამპლუაში მოესინჯა; ლიტერატურულ ქმნილებას, როგორც ეპოქის და ქვეყნის კულტურულ დოკუმენტს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რათა კრიტიკოსის დიდება მოეპოვებინა... მისი შრომა ინგლისის ლიტერატურის შესახებ, რომელიც თავად ლიტერატურას იმდენად არა, რამდენადაც ინგლისური საზოგადოების მორალს ეძღვნებოდა, მისი პოზიტივიზმის გამოთქმად იქცა. იგი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური თეორეტიკოსია“.

ის, რომ ი. ტენი „ლიტერატორი“ და არა საზოგადოებათმცოდნე სოციალური მეცნიერი დარჩა, ადასტურებს იმას, რომ მეცხრამეტე საუკუნის სოციალური მეცნიერებები „კანონების“ დაუღალავი ძიებით იყვნენ აჟიტირებული, კანონებისა, რომლებიც, როგორც მაშინ მიაჩნდათ, უკვე აღმოჩენილი და მოძიებული იყო ბუნების მკვლევართა მიერ. საზოგადოებაში, რომელშიც ადეკვატური სოციალური მეცნიერება არ არსებობს, არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოებრივი შიშისა თუ განგაშის თუ ერთადერთი არა, მთავარი გამომთქმელები კრიტიკოსები და მწერლები, დრამატურგები და პოეტები ხდებიან. სწორედ ხელოვნება გამოთქვამს და ასახავს მსგავს გრძნობებს და მათზე ფოკუსირებს – მის ყველაზე საუკეთესო სახეებსა და ქმნილებებში ასახავს ხატოვნად და ნათლად, მაგრამ იმ ინტელექტუალური სიცხადის გარეშე, რომელიც მათი მიზეზებისა და შერბილება- შემსუბუქების წესების წვდომისა და გაგებისთვისაა აუცილებელი. ხელოვნება არ აყალიბებს და არც შეუძლია ისე იმოქმედოს გრძნობებზე, რომ პირადი და საზოგადოებრივი პრობლემები წარმოადგინოს იმ ამოცანების სახით, რომლებიც ადამიანებმა დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრან, თუ განგაშის, შიშის, გულგრილობის და მასთან დაკავშირებული უბედურებების გადალახვა სურთ. სინამდვილეში ხელოვანი ამის გაკეთებას იშვიათად ცდილობს. უფრო მეტიც, სერიოზული ხელოვანი თავად იტანჯება და სრული უფლება აქვს, სოციოლოგიური წარმოსახვით გამდიდრებული სოციალური მეცნიერების მხრიდან ინტელექტუალური და კულტურული დახმარება მიიღოს.

5. ამ წიგნში განვიზრახე, ჩვენს ეპოქაში კულტურის განვითარების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად სოციალური მეცნიერებების მნიშვნელობა განვმარტო. დაწვრილებით განვიხილავ იმ უპირატესობებს, რასაც სოციოლოგიური წარმოსახვის გავრცელება გვპირდება; მინდა ვაჩვენო, თუ როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მას პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; განვმარტო და ვუკარნახო, თუ რა არის საჭირო მისი გამოყენებისთვის; წამოყენებული ამოცანების შესასრულებლად, სოციალური მეცნიერების ბუნება უნდა განვმარტო, ვაჩვენო ის, თუ როგორ გამოიყენება ისინი ახლა და მათი თანამედროვე მდგომარეობა აშშ-ში მოკლედ დავახასიათო. შენიშვნა1. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „საზოგადოების კვლევები-მცოდნეობა“ (“The Social studies”) მე უფრო მომწონს და უპირატესობას ვანიჭებ, ვიდრე ტერმინ „სოციალურ მეცნიერებებს“ (“Social sciences”) და არა იმიტომ, რომ მე არ მიყვარს ბუნებისმეცნიერნი(პირიქით, ისინი ძალიან მომწონს), არამედ იმიტომ, რომ სიტყვა „მეცნიერებამ“ ძალიან დიდი პრესტიჟი, ფრიად განუსაზღვრელი მნიშვნელობა შეიძინა. მე არ მინდა მის მიერ მოპოვებულ პრესტიჟს თავს დავესხა ან მისი მნიშვნელობა კიდე უფრო დავამცრო და იგი, როგორც ფილოსოფიური მეტაფორა, გამოვიყენო. თუმცა ვეჭვობ, რომ, თუ მე „საზოგადოებათმცონეობის ან კვლევის“ შესახებ დავწერდი, მკითხველს შეიძლება ჰგონებოდა, რომ მე მხედველობაში მხოლოდ უმაღლესი სკოლის ჩინოვნიკები/მოხელეები მყავს, ასეთი ასოციაციებისაგან კი, რისგანაც განათლების სისტემა შედგება, თავის არიდება მსურს. ხოლო „ქცევითი მეც-

ნიერებების“ კომპოზიტის გამოყენება, უბრალოდ, შეუძლებელია, ვინაიდან იგი, ჩემი აზრით, გამოგონებული იყო, როგორც პროპაგანდისტული იარაღი-ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იმ ფონდების ხელმძღვანელობისა და კონგრესმენებისაგან, რომლებსაც „სოციალური მეცნიერებები“ „სოციალიზმში“ ერევათ, სოციალური გამოკვლევების ჩასატარებლად ფულის მოზიდვა შესაძლებელი გამხდარიყო. ყველაზე შესაფერისი განსაზღვრება ისტორიას (და ფსიქოლოგიას იმ ზომით, რა ზომითაც მას ადამიანებთან მიმართება-დამოკიდებულება აქვს) უნდა მოიცავდეს და მაქსიმალურად არასაკამათო შინაარსი უნდა ჰქონდეს, რათა განსჯა-განხილვისას ტერმინები გამოვიყენოთ და არა მათთვის ვიბრძოლოთ. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩემი მკითხველები შეცდომას არ დაუშვებენ, თუ საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტულ ტერმინს – „სოციალურ მეცნიერებებს“ – გამოვიყენებ,

და კიდევ ერთი შენიშვნა. იმედი მაქვს, რომ ჩემი კოლეგები „სოციოლოგიური წარმოსახვის“ ტერმინს კეთილად მიიღებენ. ამ ხელნაწერის წაკითხვისას პოლიტიკურმა მეცნიერებმა – „პოლიტიკურ წარმოსახვაზე“, ანთროპოლოგებმა კი„ანთროპოლოგიურ წარმოსახვაზე“ დაიწყეს საუბარი. წიგნის სათაურში გამოტანილ ტერმინს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იდეას, რომელიც გადმოცემის პროცესში, ვიმედოვნებ, უკეთ გაირკვევა. მისი გამოყენებით, მე, რასაკვირველია, სოციოლოგია მხოლოდ სასწავლო დისციპლინაზე არ დამყავს. მრავალზე იმისაგან, რასაც ამ ცნებაში ვდებ, მხოლოდ სოციოლოგები არ წერდნენ. მაგალითად, ინგლისში დღემდე სოციოლოგიას, როგორც სასწავლო დისციპლინას, რამდენადმე მარგინალური მდგომარეობა უკავია, მაშინ როდესაც ინგლისურ ჟურნალისტიკაში, მხატვრულ ლიტერატურაში და, უწინარეს ყოვლისა, ისტორიულ მეცნიერებაში სოციოლოგიური წარმოსახვა ძლიერ განვითარდა. მსგავსი სიტუაციაა საფრანგეთშიც. ომის შემდგომი ფრანგული აზრის სითამამე, გაბედულება და დისციპლინათაშორისი საზღვრების არარსებობა ამ უკანასკნელის (ფრანგული აზრის) ჩვენს ეპოქაში ადამიანური ბედის სოციოლოგიური პარამეტრების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისაგან მომდინარეობს. მიუხედავად ამისა, მე ტერმინს „სოციოლოგიური წარმოსახვა“ იმიტომ ვიყენებ, რომ, პირველი, ყოველი კოკორინა-მექვიშია თავის ჭაობს აქებს, აი მე კი, ავად თუ კარგად, სოციოლოგი ვარ; მეორე, მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე საზოგადოებრივი ცნობიერება დიდი სიმყარით, მუდმივობით და ცოცხლად უფრო კლასიკოს-სოციოლოგების მიერ გამოითქმებოდა, ვიდრე სხვა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა მიერ. მესამე, რამდენადაც მე ვაპირებ, ზოგიერთი სოციოლოგიური სკოლა კრიტიკულად განვიხილო, საკუთარი პოზიციის აღსანიშნავად ჩემთვის აუცილებელია რაღაც ტერმინი, რომელზეც ჩემს არგუმენტებს დავამყარებდი. რასაკვირველია, ისტორიული განვითარების ნებისმიერ მომენტში „სოციალური მეცნიერებები“ იმ მოაზროვნეთა საქმიანობის შედეგად მიღწეულ რეზულტატებს იწოვენ, ვისაც საზოგადოების მეცნიერ-მკვლევართ უწოდებენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყველანი ერთსა და იმავეს აკეთებენ. სინამდვილეში, ეს მეცნიერები სავსებით განსხვავებულ საგნებს იკვლევენ. გარდა ამისა, სოციალური მეცნიერები თავიანთ მიმოქცევაში რთავენ იმასაც, რაც წარსულის საზოგადოებათმცოდნეებმა უკვე გააკეთეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარი მსჯელობები სულ სხვა ტრადიციებზე დაყრდნობით გამოთქვეს. ვიმედოვნებ, ნათელია, რომ საკითხის „რას გვპირდებიან სოციალური მეცნიერები“ განხილვისას, მე საკუთარი წარმოდგენებით ვხელმძღვანელობ.

დღეს საზოგადოების მკვლევართა შორის ფართოდაა გავრცელებული როგორც ინტელექტუალური, ისე მორალური პლანის/ტიპის შფოთი, რომელიც გამოწვეულია იმ ეჭვით, რომელიც გამოკვლევების სწორი თუ არასწორი მიმართულებით მიმდინარეობის შე-

ფასებისას ჩნდება. ვფიქრობ, ეს შფოთი, რომელიც სხვა არასასურველი ტენდენციებითაა გაღრმავებული, საზოგადოდ, თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების ავადმყოფური მდგომარეობიდან მომდინარეობს. ამასთანავე, ეს შფოთი და განგაში ყველაზე მწვავედ სწორედ საზოგადოებათმცოდნეებმა შეიგრძნეს მათი მხრიდან ჯერ კიდევ მოსალოდნელი არსებითი უკუგებისა და საკვლევი საგნის ბუნების თუ იმ დაჟინებული აუცილებლობით, რომ დღის აქტუალური პრობლემების გადაჭრის მიზნით რაიმე გაკეთდეს.

ამ შფოთსა და განგაშს ყველა არ იზიარებს, მაგრამ თავად ფაქტი, რომ მას მრავალი უგულებელყოფს, ადამიანებში კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას ბადებს, რომლებსაც ჰყოფნით პატიოსნება, დღეს არსებულ ძალისხმევათა უმრავლესობის პრეტენციოზული საშუალოობა-უფერულობა აღიარონ. ვიმედოვნებ, რომ ამ განგაშსა და შფოთს უფრო მეტ სტიმულს მივცემ, მის ზოგიერთ წყაროს გამოვააშკარავებ და მას სოციალურ მეცნიერებაზე დამყარებული იმედების რეალიზების სპეციფიკურ გადაუდებელ მოთხოვნილებად ვაქცევ, ახალი წამოწყებისათვის საფუძვლებს გამოვარკვევ, მოკლედ რომ ვთქვათ, იმ სამუშაოს შესრულების ზოგიერთ ამოცანას და გადაწყვეტის საშუალებებს მივუთითებ/ვაჩვენებ, რომლის გაკეთებაც დღეს აუცილებელია. იმის თქმა არ შეიძლება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერების ის კონცეფცია, რომელსაც მე მხარს ვუჭერ, აღმავლობას განიცდის. ჩემი პოზიცია საზოგადოებრივ მეცნიერებაზე არსებულ იმ შეხედულებას უპირისპირდება, რომლის მიხედვითაც იგი იმ ბიუროკრატიულ პროცედურათა ნარევია/კრებულია, რომელმაც სოციალური შემეცნება თავის „მეთოდურ“ პრეტენზიებში გახლართა, სქოლასტიკური კონცეფციებით აავსო და წვრილთემიანობით გააუხამსა, რომლებსაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემასთან დამოკიდებულება არ აქვს. ამ გზებმა, სქოლასტიკურობამ და უგვანობა-უხამსობამ საზოგადოებათმცოდნეობა კრიზისში ჩააგდო და მისგან თავის დაღწევის რაიმე საშუალებაც კი არ ჩანს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი – „ვიწრო პროფილური კვლევითი გუნდების“ ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის, მეორე ნაწილი კი – მკვლევარი – მარტოხელა – პიროვნებებისათვის პრიორიტეტის მინიჭებისათვის იბრძვის. ერთნი ენერგიის მთელ მასას კვლევითი მეთოდებისა და პროცედურების სრულყოფაზე ხარჯავენ, სხვები ძველი მეტრების, მათ მიერ გამოყენებული და ახლა დავიწყებული ჰუმანიტარული მეთოდების რეაბილიტაციის აუცილებლობაზე ფიქრობენ. ერთნი თავიანთ კვლევაში მექანიკური პროცედურების მკაცრ ნაკრებს მისდევენ, სხვები კი სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებას და გამოყენებას ესწრაფვიან. ერთნი, რომლებიც წმინდა თეორიის უკიდურესი ფორმალიზმით არიან ინფიცირებულები, ცნებებს ისეთი მანერით შლიან და აერთებენ, რომ მეორეებს ჯადოქრობად მიაჩნიათ, ხოლო ეს მეორენი, თავის მხრივ, მხოლოდ მაშინ იწყებენ ტერმინების დამუშავებას, როდესაც ნათლად ხედავენ, რომ ეს ტერმინები და ცნებები შემეცნების საზღვრებს და კვლევის საგნის საზღვრებს აფართოებენ. ერთნი სოციალური ცხოვრების წვრილი მასშტაბის მქონე სფეროების შესწავლით იფარგლებიან იმის იმედით, რომ უფრო მსხვილ სტრუქტურებზე „აღმასვლას“ შეძლებენ, მეორენი კი დაწვრილებით შეისწავლიან სოციალურ სტრუქტურებს, რომლებშიც ადამიანური ცხოველმყოფელობის უმცირესი სფეროების „განთავსებას“ ესწრაფვიან. ერთნი, შედარებითი გამოკვლევების უგულებელყოფისას, რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში რომელიღაც ერთი ერთობის სინქრონული შესწავლით კმაყოფილდებიან, მეორენი კი, შედარებითი მეთოდების სრული გამოყენების პირობებში, მსოფლიოს განსხვავებული ქვეყნების სოციალურ სტრუქტურებს უშუალოდ შეისწავლიან. თუ ერთნი წამიერ ხდომილებებს შორის არსებული კავშირების სკრუპულოზური დადგენით იფარგლებიან, მაშინ მეორენი ისეთ პრობლემებს იკვლევენ, რომლებმაც შეიძლება თავი მხოლოდ ძალიან შორეულ პერსპექტივაში შეგვახსენონ. ერთნი თავიანთ შრომას-სამუშაოს

სასწავლო ფაკულტეტების დანაყოფებთან მკაცრ შესატყვისობაში აორგანიზებენ, მეორენი კი, მონაცემების ყველა დარგიდან აღებისას, რაღაც ერთ განსაზღვრულ თემასა თუ პრობლემაზე სპეციალიზირდებიან და არაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა გაერკვნენ, თუ მათი შრომები რომელი აკადემიური დისციპლინის კომპეტენციაში შედის. ერთნი ისტორიის, პირადი ბიოგრაფიების და მთელი საზოგადოების მრავალფეროვანი ფაქტების შეპირისპირებას ესწრაფვიან, მეორენი კი ამას საერთოდ არ აკეთებენ.

უპირატესობათა ეს და მრავალი სხვა კონტრასტი შეიძლება ერთმანეთს არ გამორიცხავს, თუმცა სპეციალიზაციათა კულუარული ბრძოლებისა და ზანტი უვნებლობა-მოუწყვლადობის მტვერში მათ ხშირად ნამდვილ დაპირისპირებებად იღებენ. აქ მხოლოდ წინასწარ ფორმულირებებს გადმოვცემ და განზრახული მაქვს, მას წიგნის ბოლოში დავუბრუნდე. ამ დროისათვის ვიმედოვნებ, რომ საკუთარ მჯობინებებს თუ უპირატესობების ვარაუდებს დავადგენ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ კრიტიკა ღიად უნდა გამოვთქვათ. მაგრამ ჩემი განსაკუთრებული შეხედულების მიუხედავად, შევეცდები, სოციალური მეცნიერების კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა დავადგინო. ჩემი მიდრეკილებებიც, რასაკვირველია, ისევე სუბიექტურია, როგორც ისინი, რომელთა გაკრიტიკებასაც მე ვაპირებ. და მან, ვინც ჩემს მიდრეკილებებს არ იზიარებს, უარყოს ისინი და ამგვარად საკუთარი იმდენადვე გონივრულად გამოთქვას და აღიაროს, როგორც ამის გაკეთებას მე ვაპირებ. ამით კი საზოგადოებათმცოდნეობის მორალური ასპექტი – სოციალური მეცნიერების საზოგადოებრივი მნიშვნელობა – აღიარებას მოიპოვებს, რაც მისი განხილვის შესაძლებლობას მოგვცემს. ეს თვითცნობიერების ამაღლებას ხელს შეუწყობს, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერების, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ობიექტურობის აუცილებელი წინასწარი პირობაა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მიმაჩნია, რომ კლასიკური სოციალური ანალიზი ტრადიციათა განსაზღვრულ კომპლექსს შეადგენს, რომელთა განაზრება და გამოყენება შესაძლებელია, ხოლო მის არსებით თავისებურებას კი კონკრეტულ-ისტორიულ სოციალურ სტრუქტურებთან კავშირი წარმოადგენს. მისი დახმარებით გამოკვლეულ მოვლენებს ადამიანისა და საზოგადოების პრობლემებთან, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ, პირდაპირი კავშირი აქვს. გარდა ამისა, მე მიმაჩნია, რომ, მიუხედავად ამ ტრადიციის განვითარების გზაზე არსებული სერიოზული წინააღმდეგობებისა, როგორც თვით სოციალურ მეცნიერებებში, ისე შესაბამის საგანმანათლებლო და პოლიტიკურ დაწესებულებებსა და დადგენილებებში, მისი მაკონსტრუირებელი ინტელექტის განსაზღვრული თვისებები თანდათანობით მთლიანად კულტურული ცხოვრების საერთო მნიშვნელი ხდება და მათზე მოთხოვნა ჯერ კიდევ ფარულად და მაცდუნებელი მრავალსახეობის მეშვეობით, გაცნობიერებას იწყებს.

მრავალი მათგანი, ვინც საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროში მუშაობს, განსაკუთრებით ამერიკაში, ჩემდა გასაკვირად, მისკენ მიმართულ გამოწვევაზე უარს ამბობს. ერთნი, ფაქტობრივად, სოციალური ანალიზისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალური და პოლიტიკური ამოცანების შესრულებაზე უარს ამბობენ; მეორენი, იმ როლის შესასრულებლად, რისთვისაც ისინი მოწოდებულნი არიან, ეჭვის გარეშე, უბრალოდ, მზად არ არიან. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ისინი საეჭვოდ არაშეგნებულად ეფარებიან ძველ ხერხებსა თუ ფანდებს და ახალ მიზეზებს იგონებენ. და მაინც, მიუხედავად უარისა, ახლა ინტელექტუალებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება იმდენად ცხადად არის სოციალური სამყაროს, რომელსაც ისინი იკვლევენ და სწავლობენ, მრავალფეროვნებაზე მიმართული, რომ შეუძლებელია არ დაეთანხმო იმას, რომ მათ წინაშე ახალი აღმოჩენების უნიკალური შესაძლებლობები გაჩნდა. ამ შესაძლებლობის რეალიზაციაში სოციალური მეცნიე-

რების ინტელექტუალური დანიშნულება, სოციოლოგიური წარმოსახვის კულტურული მნიშვნელობა და საზოგადოება-ადამიანთმცოდნეობის პოლიტიკური მნიშვნელობა ვლინდება.

6. მე, როგორც სოციოლოგს, საკმაოდ მიძნელდება იმის გაცნობიერება, რომ, სამწუხაროდ, ყველა ცნობილი ინტელექტუალური მიმდინარეობა (შესაძლოა, ერთის გამოკლებით), რომელთა გაკრიტიკებასაც შემდეგ ვაპირებ, მიღებულია, „სოციოლოგიის სფეროს“ მიეკუთვნებოდეს, თუმცა მათში არსებული პოლიტიკური და კულტურული ამოცანებისაგან ფარული განყენება სოციალური მეცნიერების სხვა წარმომადგენელთა ყოველდღიურ მეცნიერულ საქმიანობასაც ახასიათებს და განეკუთვნება: როგორც არ უნდა იყოს საქმე პოლიტიკურ მეცნიერებაში და ანთროპოლოგიაში, ისტორიულ და ეკონომიკურ მეცნიერებაში, ცხადია, რომ სწორედ ის, რაც შეერთებულ შტატებში სოციოლოგიის სფეროში მოიაზრება, დღეს სოციალური მეცნიერების გააზრების ცენტრად იქცა. სწორედ სოციოლოგები ამუშავებენ დიდი ძალისხმევით კვლევის მეთოდებს და „ზოგადი თეორიისადმი“ ცხოველ ინტერესს სწორედ ისინი იჩენენ.

ჭეშმარიტად, შესანიშნავია ინტელექტუალურ მიმართულებათა მრავალფეროვნება, რომელთაც სოიოლოგიური ტრადიციის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ. ამ მრავალფეროვნების როგორც ერთიან ტრადიციად ინტერპრეტირება თავისთავად თავხედობა, კადნიერებაა. მრავალი, შესაძლოა, დაეთანხმოს იმას, რომ ყველაფერი, რასაც სოციოლოგები აკეთებენ, მეტად თუ ნაკლებად, სამი მიმართულებიდან ერთში თავსდება, რომელთაგან თითოეულის დამახინჯებას ჩიხში შევყავართ.

პირველ მიმართულებას ისტორიის თეორიულ გააზრებასთან მივყავართ. მაგალითად, ო. კონტთან, როგორც კარლ მარქსთან და მაქს ვებერთან, სოციოლოგია ადამიანის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ენციკლოპედიურად მოცვის მცდელობას წარმოადგენს. ამავე დროს, იგი ისტორიული და სისტემატური დისციპლინაა: ისტორიული იმიტომ, რომ ისტორიის კვლევა-შესწავლისას ცდილობს, ისტორიული პროცესის „სტადიები“ და სოციალური ცხოვრების განმეორებადი მოვლენები გამოყოს. ისტორიული პროცესის თეორიის ადამიანური ისტორიის მრავალსახოვანი ფაქტებისათვის ტრანსირაციონალურ პროკრუსტეს საწოლად გადაქცევა ადვილია, რომლისგანაც მომავლის შესახებ წინასწარმეტყველებანი (ჩვეულებრივ, მრუმე.....) იბადებიან. არნოლდ ტოინბის და ოსვალდ შპენგლერის თხზულებები ამის კარგი მაგალითებია.

მეორე მიმართულებას „ადამიანისა და საზოგადოების ბუნების“ სისტემატურ თეორიასთან მივყავართ. მაგალითად, ფორმალისტების, კერძოდ, გ. ზიმელისა და ლ. ფონ ვიზეს შრომებიდან დაწყებული, სოციოლოგიაში მუშავდება კონცეფციები, რომელთა დახმარებითაც ყველა სოციალური მოვლენის კლასიფიცირება და მათი სავარაუდო ინვარიანტულ თვისებებში შეღწევა შესაძლებელი ხდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მიმართულებას განზოგადების მაღალ დონეზე სოციალური სტრუქტურის კომპონენტების შესახებ სტატიკური და აბსტრაქტული წარმოდგენა ახასიათებს. ამ შემთხვევაში ისტორიაზე უარის თქმა შეიძლება პირველი მიმართულების მიერ დაშვებულ შეცდომებზე რეაქციად განვიხილოთ, მაგრამ ადამიანისა და საზოგადოების არსების შესახებ სისტემური თეორიაც შეიძლება ასევე იოლად/ადვილად უნაყოფო/უსარგებლო ფორმალიზმის სრულყოფილებამდე დაყვანილ დოქტრინად იქცეს, სადაც ძირითადი ყურადღება ცნებების გამართლებას და მათი მეშვეობით მანიპულირებებს ეთმობა. ამ მიმართულების, რომელსაც მე „მაღალ თეორიას“ ვუწოდებ, მომხრეებთან ცნებები არსებულ სინამდვილეს ცვლიან(ანუ ცნებები სინამდვილის გარდა). ტოლკოტ პარსონსის შრომები თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში სისტემური თეორიის ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია.

მესამე მიმართულება სოციალური ფაქტებისა და პრობლემების ემპირიული კვლევებია. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 1914 წლამდე ამერიკული სოციალური მეცნიერების ბურჯებად ო. კონტი და ჰ. სპენსერი რჩებოდნენ, ასევე, გერმანული თეორიული ტრადიციის ძალიან ძლიერი გავლენის მიუხედავად, შეერთებულ შტატებში წამყვანი მდგომარეობა ძალიან მალე ემპირიულმა კვლევებმა დაიკავა. ეს ნაწილობრივ ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების უფრო ადრეული აკადემიური ინსტიტუციონალიზაციის რეზულტატს წარმოადგენდა. ამ დროს სოციოლოგია სოციალურ მეცნიერებებს შორის თავისებურ ყველას მუშად, ყველაფრის, ნაირ-ნაირ საქმეთა მკეთებელ მშრომელად იქცა და თავის თავზე ყოვლად შესაძლებელ გამოკვლევათა ჩატარების ვალდებულება აიღო, რომელსაც „სოლიდური“ დისციპლინების წარმომადგენლები ხელს არ ჰკიდებდნენ: ქალაქისა და ოჯახის, რასობრივ და ეთნიკურ ურთიერთობათა და, რასაკვირველია, „მცირე ჯგუფების“ კვლევები. როგორც შემდეგ დავინახავთ, ყოველივე ამის შედეგად მიღებული ნარევი აზროვნების თავისებურ სტილად იქცა, რომელსაც მე „ლიბერალურ პრაქტიციზმს“ ვუწოდებ.

საქმის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა ადვილად შეიძლება ადამიანური საქმიანობის ლოკალური სფეროების შესახებ ერთმანეთთან დაუკავშირებელ და ხშირად ნაკლებმნიშვნელოვან ფაქტთა გროვად იქცეს. ამას ამერიკაში სოციოლოგიის მიმართულებით დაწერილი სასწავლო კურსებიც კარგად ადასტურებს, მაგრამ ყველაზე კარგ მაგალითებად მაინც სოციალური დეზორგანიზების პრობლემების შესახებ არსებული სასწავლო სახელმძღვანელოები გამოდგება. ამავე დროს, სოციოლოგებს სურთ, ყოველივე იმის კვლევის მეთოდიკის სპეციალისტები იყვნენ, რაც კი რამ ხდება საზოგადოებაში, და სწორედ მათ აიყვანეს მეთოდების დამუშავება მეთოდოლოგიის დონემდე. ჯორჯ ლანდბერგის, სემუელ ეტაუფერის, სტიუარტ დოდდის, პოლ ლაზარფელდის მრავალი შრომა ამ მიმართულების მაგალითებია. წვრილმანებით დაკავების მიდრეკილება და მეთოდის მეთოდითვე კულტივირება ერთმანეთს კარგად ერწყმიან, თუმცა ყოველთვის ხელჩაჭიდებულნი არ მიდიან.

სოციოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის თავისებურება შეიძლება როგორც ჩამოთვლილი ტრადიციული მიმართულებებიდან ერთი ან რამდენიმეს დამახინჯების რეზულტატის სახით განვმარტოთ. მაგრამ ისიც, რომ სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დიდ იმედებს ამყარებენ, დასახელებული მიმართულების ჩარჩოებში პოულობს ახსნას. ახლა შეერთებულ შტატებში დასავლური საზოგადოების სხვადასხვა სოციოლოგებიდან აღებული განსხვავებული ელემენტების და მიზნობრივი განწყობების ელინისტური გაერთიანების მსგავსი რამ ხდება. თუ სოციოლოგიური მიდგომების ასეთი სიმრავლის გამო საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა წარმომადგენლები მოუთმენლობას გამოიჩენენ, ხოლო სოციოლოგები კი პასუხად ყველგან თავისი „გამოკვლევებით“ დასწრებას შეეცდებიან, მაშინ ისინი ამით რისკავენ, რომ წარსულის თაობების ფასდაუდებელი მემკვიდრეობა ხელიდან გაუშვან. მაგრამ საქმის ამგვარი ვითარება თავის თავში უკვე გარკვეულ შესაძლებლობებსაც შეიცავს, რამდენადაც სოციოლოგიურ ტრადიციაში მთლიანად სოციალური მეცნიერებების და ზოგიერთი უკვე არსებული მიღწევების შემდგომი განვითარების პერსპექტივები ყველაზე საუკეთესო სახითაა წარმოდგენილი. შეუძლებელია რამდენიმე სიტყვით ყოველივე იმის აღწერა, რისი მოცემაც სოციოლოგიის ტრადიციული მიმართულებების შესწავლას შეუძლია. ამ ცოდნის დაუფლებას სოციალური მეცნიერების კალოზე კონკრეტული შრომებისათვის ახალი ორიენტირების აღმოჩენაში შეუძლია დაგვეხმაროს.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის სოციოლოგიური წარმოსახვა?
2. გამოყავით სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარების ეტაპები.
3. გააანალიზეთ ჩ.რ. მილსის დამსახურება სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეპტუალიზაციის საქმეში.
4. გამოყავით სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარების ეტაპებისათვის დამახასიათებელი განმეორებადი და არსებითი მომენტები.
5. რა პირდაპირი კავშირი არსებობს თეორიული სოციოლოგიის შესწავლასა და სოციოლოგიური წარმოსახვის ჩამოყალიბებას შორის?
6. რას წარმოადგენს ამხსნელი თეორია და რა როლს თამაშობს იგი სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებაში.
7. რას წარმოადგენს ევრისტიკული თეორია და რა როლს თამაშობს იგი სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებაში.
8. რას წარმოადგენს ანალიტიკური თეორია და რა როლს თამაშობს იგი სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებაში.
9. რას წარმოადგენს ეგზეგეტიკური თეორია და რა როლს თამაშობს იგი სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებაში.
10. ჩამოთვალეთ და სათითაოდ დაახასიათეთ სოციოლოგთა სწავლების მიზნები.

ძირითადი ლიტერატურა:

1. Mills Ch, W. Sociological imagination. New York: Oxford University Press, 1959.
2. Sztompka P. Society in action: A theory of social becoming. Cambridge: Polity Press, 1999.
3. Sztompka P. The sociology of social change. Oxford: Blackwell, 2000.
4. Handbook in social theory. London: Sage, 2000.
5. Штомпка П. Теоретическая социология и социологическое воображение // Социологический журнал, 2001. № 1.
6. Штомпка П. Формирование социологического воображения // Социологические исследования, №10, 2005.
7. Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М.: NOTA BENE, 2001.
8. Филипов А. Ф. О понятии „Теоретическая социология,, В. жур. Социологический журнал, 1997. № 1/2.
9. Кравченко С. А. Динамика социологического мышления и воображения. Социологические исследования, №8, 2009.
10. Кравченко С. А. У. Бек: Социологическое воображение адекватное рефлексивному модерну. Социологические исследования, №8, 2011.

დამატებითი ლიტერატურა:

Филипов Александр. Теоретическая социология. . В кн.: Теория обшества. Сборник. Общая ред. А.Ф. Филипова. – М.: „„КАНОН-пресс—Ц““, „„Кучкого поле““, 1999.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524 •

თავი მეორე – ნიკლას ლუმანის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და დებულებები

1. *ნიკლას ლუმანი – პიროვნება და მეცნიერი;*
2. *სამი ეპისტემოლოგიური ცრურწმენა და საზოგადოების ცნება;*
3. *აუტოპოესისი და სოციალური სისტემის ოთხი მახასიათებელი;*
4. *საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები: მნიშვნელობის (საზრისის) ცნება;*
5. *კომუნიკაციები და ორმაგი შესაძლებლობა;*
6. *სოციალური სისტემების ევოლუცია;*
7. *ფუნქციონალურ სისტემათა დიფერენციაცია და კოდი;*
8. *სისტემური თეორია და ცოდნის სოციოლოგია.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- სისტემა;
- სისტემური მიდგომა;
- განსხვავება;
- თვითრეფერენტულობა;
- აუტოპოესისი (თვითწარმოება);
- კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების სამერთიანობა;
- ბიფურკაცია (ორმაგობა);
- კონტინგენცია;
- კომპლექსურობის რედუცირება;
- სელექციათა ტრანსლაცია;
- რეზონანსი – გარესამყაროს ზემოქმედებაზე სისტემის შერჩევითი (სელექციური) პასუხი;
- ფუნქციონალური დიფერენციაცია, კომუნიკაციურ საშუალებათა გენერალიზაცია;
- ემერჯენტული წესრიგი.

1. ნიკლას ლუმანი – პიროვნება და მეცნიერი

იგი გერმანიის ქ. ლიუნებურგში 1927 წელს, ლუდის მწარმოებლის ოჯახში დაიბადა. ლუმანი წარმოშობით არ მიეკუთვნებოდა განათლებულ ბიურგერთა კლასს. 1944 წელს გაიწვიეს გერმანიის არმიაში, მაგრამ ბრძოლებში, ფაქტობრივად, მონაწილეობა არ მიუღია, იყო საავიაციო ნაწილების ტექნიკოსის თანაშემწე. იგი კარგად აცნობიერებდა მიმდინარე ომის აბსურდულობას და, მრავალი თავისი თანატოლის მსგავსად, ეძიებს შესაძლებლობას, ტყვედ ჩაბარდეს ამერიკელებს ან ინგლისელებს, რასაც ახერხებს კიდეც. 1946 წლიდან 1949 წლამდე იგი ეუფლებოდა სამართლის მეცნიერებას ქ. ფრაიბურგში. 1956-1962 წლებში მუშაობს ქვემო საქსონიის კულტურის საქმეთა სამინისტროში უფროსი მრჩევლის პოსტზე. სწორედ აქ მუშაობისას ლუმანმა თავის თავს მოუწყო სტაჟირება ამერიკაში. იგი ხომ ამერიკაში წამსვლელთა საბუთებს აფორმებდა. ერთხელ თავში აზრად მოუვიდა, მასაც იგივე გაეკეთებინა. 1960-1961 წლებში ლუმანი უკვე აშშ-ი, ჰარვარდის უნივერსიტეტ-

შია და სწავლობს (თუ სტაჟირებას გადის) ისეთ ცნობილ სოციოლოგთან, როგორიც ტ. პარსონსი იყო. სამშობლოში დაბრუნებისას მმართვის თეორიის შესწავლას იწყებს, ხოლო 1965 წელს სამეცნიერო სამუშაოთია დაკავებული. 1966 წელს, როგორც მისი ბიოგრაფები შენიშნავენ დღევანდელი წარმოდგენის შესაბამისად, უბრალოდ, წარმოუდგენელ, უმაღლესი ხარისხით უჩვეულო და არაჩვეულებრივ დისერტაციას იცავს: ორივე დისერტაციას (promotion-ს, რომელიც დოქტორის ხარისხს იძლევა, და habilitation-ს რომელიც პროფესიისაკენ უხსნის გზას) მხოლოდ ნახევარი წლის ინტერვალით იცავს და მუშაობას მიუნსტერის უნივერსიტეტში იწყებს. 1968 წელს ლუმანი სულ ახლად გახსნილ ბილეფელდის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობას იღებს, სადაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე რჩება, ვიდრე 1993 წელს პენსიაზე არ გავიდა. 1977 წელს გარდაეცვალა მეუღლე, რის შემდეგ არც დაქორწინებულა. იგი მაქს ვებერის მსგავსად არ ცდილობდა, ეზრუნა თავის მოსწავლეებზე და რაღაც სკოლა შეექმნა, თუმცა მისი პენსიაზე გასვლის შემდეგ ქ. ბილეფელდში მისი მიმდევრების საფუძვლიანად ორგანიზებული ჯგუფი ჩამოყალიბდა. 1988 წელს მან ჰეგელის სახელობის პრემია მიიღო. ათი წლის შემდეგ თავისი ყველაზე დიდი (1000-გვერდიანი) და ფუნდამენტური ნაშრომის („საზოგადოების საზოგადოება“), უკანასკნელი წიგნის, მონუმენტური შრომის, გრანდიოზული პროექტის შედეგის, მთელი სიცოცხლის საქმის დასრულებისას გარდაიცვალა კიდეც. მსოფლიოს სოციოლოგიას მისი თეორიის ენაზე ლაპარაკი ჯერ არ დაუწყია, მაგრამ მისთვის გვერდის ავლაც ძალზე რთული და ძნელია. უახლოეს წლებში ნ. ლუმანის შეხედულებების არა მხოლოდ ევრისტიკული, არამედ მაკონსტრუირებელი ძალაც და როლიც ნათლად გამოჩნდება.

თავისი მეცნიერულ-აკადემიური საქმიანობის დასაწყისში ლუმანი მიზნად შემდეგ ამოცანას ისახავს: 30 წლის მანძილზე სრულად აღწეროს საზოგადოება. ამ ამოცანის გადაჭრას მიუძღვნა კიდეც მან მთელი თავისი სიცოცხლე. უკვე აღნიშნული წიგნი „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“), რომელიც მისი სიკვდილის წინ გამოიცა, ამ მოღვაწეობის გვირგვინად იქცა.

იგი ცოცხალი და სოციალური სისტემების ბუნებაზე ნეირობიოლოგების – ფრანცისკო ვარელას და უმბერტო მატურანის მეცნიერულ შეხედულებებს იზიარებდა, შესაბამისად, თავის შრომებში „აუტოპოესისის“ (autopoiesis) ბიოლოგიური კონცეფცია გამოიყენა.

ლუმანმა საზოგადოების სისტემური თეორიისა და სოციალური შემეცნების თეორიის თემებზე სულ 77 წიგნი და დაახლოებით 250 სტატია დაწერა.

გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ლუმანი მშობლიურ ლიუნებურგში ლუდის ბარ „Pons“-ის მფლობელი იყო. მას ლიუნებურგის უნივერსიტეტში არასდროს უმუშავია და უსწავლებია.

ძირითადი შრომებია:

– „სოციოლოგიური განმანათლებლობა“ („Soziologische Aufklärung“).

– „სოციალური სისტემები“ („Soziale System. Grundriss einer allgemeinen Theorie“ 1984).

– „სამართლის სოციოლოგია“ („Rechtssoziologie“ 1972).

– „სამართლებრივი სისტემა და სამართლებრივი დოგმატიკა“ („Rechtssystem und Rechtsdogmatik“ 1974).

– „რელიგიის ფუნქციები“ („Die Funktion der Religion“ 1977).

– „საზოგადოებრივი სტრუქტურა და სემანტიკა“ („Gesellschafts struktur und Semantik“ 1980-1995).

– „სიყვარული, როგორც ვნება“ („Liebe als Passio“ 1982).

– „საზოგადოების საზოგადოება“ („Die Gesellschaft der Gesellschaft“, 1997).

წიგნები რუსულ ენაზე:

– „ძალაუფლება“ (Луман, Н. Власть/Пер. с нем. А.Ю. Антоновского – М.: Праксис, 2001. – 256с.-(Образ общества));

– „საზოგადოების საზოგადოება“ (Луман, Н. Общество общества, Часть I. Общество как социальная система – М.: Логос, 2004);

– „საზოგადოების საზოგადოება“, ნაწილი II. მედიაკომუნიკაციები. М.: Логос, 2005;

– „საზოგადოების საზოგადოება“, ნაწილი III. (Луман, Н. Общество общества, Часть III. Эволюция – М.: Логос, 2005);

– „მასმედიის რეალობა“. (Луман, Н. Реальность масмедиа/ Пер. с нем. А.Ю. Антоновского – М.: Праксис, 2005).

– „საზოგადოების საზოგადოება“, ნაწილი IV. (Луман, Н. Общество общества, Часть IV. Дифференциация – М.: Логос, 2006);

– „სოციალური სისტემები“ (Луман, Н. Социальные системы. Очерк общей теории. СПБ.: Наука, 2007).

2. სამი ეპისტემოლოგიური ცრურწმენა და საზოგადოების ცნება.

სამი ეტაპი სისტემურ-თეორიული აზროვნების განვითარებაში არის:

ა) პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელია „ნაწილი-მთელის“ პარადიგმა. ითვლება, რომ მთელი (ე.ი. სისტემა) თავისი ნაწილების ჯამზე მეტია იმ აზრით, რომ ნაწილებს შორის სპეციფიკური კავშირების წყალობით, სისტემის თვისებრივად ახალი თვისებები წარმოიშობა. სისტემურ-თეორიული აზროვნების ამ ეტაპის წარმომადგენელი სოციოლოგიაში ემილ დიურკემი იყო.

ბ) მეორე ეტაპზე „სისტემა-გარემოს“ პარადიგმა ბატონობს. მისი წარმომადგენელი სოციოლოგიაში ტალკოტ პარსონსი იყო. ტ. პარსონსის თანახმად, სისტემა გარემომცველი სინამდვილისაგან გამიჯვნის გზით წარმოიშობა და მკვლევრის ყურადღებაც, პირველ რიგში, სისტემისა და მის გარემოს შორის არსებულ დამოკიდებულებებსა და პროცესებზე უნდა იყოს მიმართული. ამის წყალობით, ცენტრალური ცნებები ღია სისტემებისათვის, სოციალური სისტემები კი სწორედ რომ ასეთია, შესასვლელისა და გასასვლელის ცნებები გახდა.

გ) ნ. ლუმანის სოციალური თეორია სისტემურ-თეორიული აზროვნების განვითარების მესამე ეტაპს წარმოადგენს. მისი ცენტრალური ცნებები აუტოპოესისური, ანუ თვითაღმწერი (თვითრეფერენტული) სისტემის ცნებებს განეკუთვნება. ნ. ლუმანი თვლის, რომ აუტოპოესისის, თვითორგანიზების და თვითრეფერენტულობის კონცეფციების მნიშვნელობა ბიოლოგიური გამოკვლევების (ხუმბერტო მატურანა, ფრანჩესკო ვარელა) ფარგლებიდან შორს გადის და ისინი შეიძლება ცოდნის მრავალ დარგში იქნეს გამოყენებული. ნ. ლუმანის შემოქმედება თანამედროვე საზოგადოების თეორიის დასამუშავებლად ამ კონცეფციების გამოყენებას და განვითარებას წარმოადგენს (Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994.გვ. 24).

მისი, როგორც თეორეტიკოსი სოციოლოგის, ძირითადი ამოცანა ადამიანის შესაძლებლობების-უნარების გააფართოება, სამყაროს სირთულის მოცვა და მისი გარკვევაა.

სოციალური სისტემა, ნ. ლუმანის აზრით, საზრისისეული კომუნიკაციის სისტემას წარმოადგენს, ამასთნავე ითვლება, რომ კომუნიკაცია აწარმოებს კომუნიკაციას.

საზოგადოების ცნება

ნებისმიერ მეცნიერულ დისციპლინას ახასიათებს სიძნელეები, დაკავშირებულნი ცნებებთან, რომლებმაც მათი საგნის ერთიანობა უნდა აღნიშნონ. სწორედ ამ პრობლემა-

ზეა მიმართული აუტოპოესისის ცნება. მაგრამ ხომ შეიძლება საზოგადოების გასააზრებლად „სოციალურის“ ცნება გამოვიყენოთ? მაგრამ მაშინ სოციალური, დამნაშავეობა, დიურკემის ანომია სად აღმოჩნდებოდნენ? ასევე, სოციოლოგიის საგნის ერთიანობის აღსანიშნავად თვით საზოგადოების ცნების გამოყენებაც შესაძლებელი უნდა იყოს? სოციოლოგიას ხომ საზოგადოებრივი მეცნიერებების რიგს მიაკუთვნებენ? მაგრამ როდესაც საზოგადოების ცნების განსაზღვრას ცდილობენ, მაშინ სიძნელეებს ეჯახებიან; წინა პლანზე გამოდის სიტყვა, მაგრამ ამაოდ ეძებენ ცნებას, რომელიც ნაგულისხმევ ცნებას ისეთი სიზუსტით აღნიშნავდა, რომელიც თეორიული მიზნებისათვის საკმარისი იქნებოდა.

საზოგადოების ცნებაზე უარის თქმას ისტორიული საფუძვლები აქვს:

ა) სოციოლოგიაში ამ ცნების გამოყენების უვარგისობაზე უკვე XIX საუკუნის დასასრულს ლაპარაკობდნენ.

ბ) ნაწილობრივ, ეს ცნება იყო განსხვავების კომპონენტი, რომელსაც იმის გაქრობასთან მივყავდით რისი აღნიშვნაც იყო მის მიერ საჭირო: სახელმწიფო და საზოგადოება ან საზოგადოება და ერთობა. ზოგჯერ, „ფორმალური სოციოლოგიის“ კვალად, მთლიანად არ სურდათ ხელი აეღოთ საზოგადოების ცნებაზე, მაგრამ საკუთარ ისტორიასთან მიმართებაში მის დაზუსტებას ვერ ახერხებდნენ.

ამგვარად, ეს უფრო კლასიკოსების პრობლემა იყო. ლუმანისათვის კი იგი პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ თუ სოციოლოგია სიძნელეების წინაშე დღესაც რჩება, მაშინ აქ თავის როლს უკვე სხვა მიზეზები თამაშობს.

ლუმანი სამ ეპისტომოლოგიურ ცრურწმენაზე ლაპარაკობს, რომელიც მას ყველაზე მნიშვნელოვან რამედ მიაჩნია, რათა ის სიძნელეები გაარკვიოს, რომლებიც სოციოლოგიის საგნის ერთიანობის მიღწევას ხელს უშლის:

პირველი ცრურწმენა ეხება დაშვებას, რომ საზოგადოება ადამიანებისაგან ან ადამიანებს შორის ურთიერთობა-დამოკიდებულებისაგან შედგება. ამას ლუმანი ჰუმანისტურ ცრურწმენას (obstacles epistemologigues) უწოდებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? რომ იგი ხელებისაგან და ფეხებისაგან, აზრებისა და ენზიმებისაგან შედგება? რომ პარიკმახერი საზოგადოებას თმებს აჭრის-კრეჭს? ხომ არ ესაჭიროება მას რაღაც შემთხვევაში ცოტა ინსულინის შეყვანა? როგორი ოპერაციები ახასიათებს საზოგადოებას, თუ უჯრედის ქიმია ისეთივე ხარისხით ეხება მას, როგორც არაცნობიერ განდევნა-შევიწროებათა ალქიმია? ცხადია, რომ ჰუმანისტური ცრურწმენა ცნებათა სიზუსტის მოთხოვნის არასიმკაცრეს შეგნებულად ეფუძნება, მაგრამ მაშინ უნდა ვიკითხოთ, კი მაგრამ, რატომ? ასეთ შემთხვევაში დახმარება კი თეორეტიკოსს თავად ესაჭიროება.

მეორე ცრურწმენა, რომელიც ცნებებს ბლოკავს, საზოგადოებათა ტერიტორიული მრავალგვარობის დაშვებაში მდგომარეობს. ჩინეთი – ეს ერთი საზოგადოებაა, ბრაზილია – მეორე; პარაგვაი – ერთი, მაშასადამე, ურუგვაი მეორე. მაგრამ, ლუმანის აზრით, ყველა ძალისხმევა, რომელიც საზოგადოებათა მკაცრ გამიჯვნაზეა მიმართული, ამაოა, სულერთია ისინი საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ან ენასა, კულტურასა თუ ტრადიციაზე იქნებიან ორიენტირებულნი. თუმცა ამ ტერიტორიაზე სასიცოცხლო პირობების უთვალავი განსხვავება არსებობს, მაგრამ ეს განსხვავებები საზოგადოების შიგნით არსებული განსხვავებების სახით და არა საზოგადოებათა შორის განსხვავებების სახით უნდა აიხსნას. სხვაგვარად, აღმოჩნდება, რომ სოციოლოგია, თურმე, თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას გეოგრაფიის საშუალებით ცდილობს.

მესამე ცრურწმენა თეორიულ შემეცნებით ხასიათს ატარებს. იგი სუბიექტისა და ობიექტის განსხავებისაგან მომდინარეობს. შემეცნების თეორიის თანახმად, რომელიც თითქოს XX საუკუნემდე ბატონობდა, სუბიექტსა და ობიექტს გაყოფილ-განცალკევებუ-

ლად უნდა ვიაზრებდეთ და სამყაროს დაკვირვებასა და აღწერას ab extra (გარედან) შესაძლებლად უნდა ვთვლიდეთ. ვაღიაროთ შემეცნება, როგორც ასეთი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შემეცნების თავის საგანთან ყოველგვარი გადახლართვა-აღრევის თავიდან აცილება ძალგვიძს. მხოლოდ სუბიექტები ფლობენ თვითრეფერენტულობის პრივილეგიას, ობიექტები კი არ არიან ასეთნი. მაგრამ, შენიშნავს ლუმანი, სავსებით ცხადია, რომ საზოგადოება თვითაღმწერ ობიექტს წარმოადგენს. საზოგადოებრივი თეორიები წარმოადგენენ საზოგადოების თეორიებს საზოგადოებაში. თუ ეს შემეცნების თეორიულ მიმართებაში იქნებოდა დაშვებული, მაშინ საზოგადოების ცნების შესაბამისი სამკაცრით დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. სხვაგვარად: საზოგადოების ცნება ავტოლოგიურად უნდა ჩამოყალიბდეს. მან თავისი თავიც უნდა მოიცვას.

ლუმანის წინადადებაა: „საფუძველშივე კომუნიკაციის ცნება ჩავდოთ და ამით სოციალური თეორია, მოქმედების ცნების ნაცვლად, სისტემის ცნების ბაზაზე ხელახლა გავიაზროთ. ეს კი საშუალებას მოგვცემს, სოციალური სისტემა, როგორც ოპერატიულად ჩაკეტილი სისტემა წარმოვადგინოთ, რომელიც საკუთარი კომუნიკაციების მწარმოებელი ოპერაციებისაგან შედგება. მოქმედების ცნების შემთხვევაში საეჭვოა, გარეგანი რეფერენციები თავიდან ავიცილოთ. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია გავიაზროთ სოციალური სისტემა, როგორც აუტოპოესისური სისტემა, რომელიც ელემენტებისაგან, სახელდობრ: სწორედ ამ ელემენტების ქსელის, კომუნიკაციების ქსელის მეშვეობით წარმოებული და თვითწარმოებული კომუნიკაციებისაგან შედგება“ (Луман Н. Понятие общества. В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.31).

სისტემური თეორიისა და კომუნიკაციის თეორიის კომბინაცია კომუნიკაციის ისეთ ცნებას მოითხოვს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ ყველა კომუნიკაცია მხოლოდ კომუნიკაციის მეშვეობით იწარმოება – რასაკვირველია, გარემოში, რომელიც ამ კომუნიკაციას უშვებს და ინარჩუნებს.

კომუნიკაციის ასეთი გაგებისათვის კი შეიძლება განსხვავებით ვისარგებლოთ. ლუმანი ამ ცნების ხელახალ, როგორც ინფორმაციის, მაუწყებლობის (შეტყობინების, მესიჯის) და გაგების განსხვავების ფორმულირებას ახდენს. „კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამი ასპექტის სინთეზირება შესაძლებელი ხდება. ქცევის მარტივი აღქმისაგან განსხვავებით, გაგების საფუძველში მაუწყებლობის აქტისა და თავად ინფორმაციის განსხვავება უნდა ჩაიდოს. სწორედ აქედან უნდა ამოვიდეთ. ასეთი „primary distinction“ (პირველი განსხვავების) გარეშე კომუნიკაცია საზოგადოდ არ განხორციელდება“ (Луман Н. Что такое коммуникация? Социологический журнал 1995, №3, стр. 1-9).

თუ კომუნიკაციის ამ ცნებას მივიღებთ, მაშინ, ლუმანის აზრით, საზოგადოების ჩვეულებრივი თეორიის ყველა ცრურწმენა obstacles epistemologigus იმავე წამს მოიხსნება და მის ადგილს დაიკავებს პრობლემები, რომლებიც თეორიულად დასაბუთებულ მეცნიერულ კვლევას საუკეთესოდ ესადაგება.

აქედან ამოსვლით ნათელი ხდება, რომ კონკრეტული ადამიანები არა საზოგადოების, არამედ მისი გარემომცველი გარემოს ნაწილი არიან. აზრი არა აქვს ვამტკიცოთ, რომ საზოგადოება ადამიანებს შორის „ურთიერთობებისაგან“ შედგება. კომუნიკაციის ცნება თავის თავში გაცილებით ზუსტ დაშვებებს, ვარაუდებს მოიცავს (მაგრამ იმის რეკონსტრუირებას ესწრაფვის, რასაც ჩვეულებრივი სოციოლოგები გულისხმობენ, როდესაც „ურთიერთობის-დამოკიდებულების“ შესახებ ლაპარაკობენ). მაგალითად, არაა საკმარისი ის, რომ ერთი ადამიანი ხედავს ან უსმენს მეორეს, თუნდაც იგი აკვირდებოდეს მის ქცევას მაუწყებლობისას (ცნობებისას) და ინფორმაციის განსხვავების დახმარებით. თუ ვინმეს შე-

სახებ ლაპარაკობენ ან წერენ, ეს აგრეთვე ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისთვის, რათა მისადმი დამოკიდებულება სოციალურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. სოციალურ ოპერაციას მხოლოდ თვითონ კომუნიკაცია წარმოადგენს.

ტერიტორიული საზღვრების ცნებაც და რეგიონალურ საზოგადოებათა მრავალმხრივობის დაშვებაც ასევე ზედმეტი ხდება. ის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სივრცეს და სივრცობრივ საზღვრებს, მათი კომუნიკაციური გამოყენებისაგან გამომდინარეობს, მაგრამ თვით კომუნიკაციას სივრცული (სივრცეში) ადგილი არა აქვს. თავისი მატერიალური სუბსტრატის გამო იგი, რასაკვირველია, შეიძლება სივრცულ პირობებზე დამოკიდებული იყოს. ცხოველთა სამყაროში სივრცული ურთიერთობები-დამოკიდებულებები სოციალური წესრიგის გამოთქმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თუ ერთადერთი წესი არაა, მაგრამ სოციოკულტურული სამყაროს ევოლუცია ენის, დამწერლობის, ტელეკომუნიკაციების წყალობით იმდენად ამცირებს სივრცობრივ-ვრცეულ ურთიერთობათა მნიშვნელობას, რომ დღეს შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ კომუნიკაცია განსაზღვრავს სივრცის შემორჩენილ მნიშვნელობას და არა პირიქით, მაგრამ ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ სივრცე უშვებს და ზღუდავს კომუნიკაციას.

დაბოლოს, კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეიძლება კარგად ავხსნათ, რომ საზოგადოება თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემაა. უკვე მარტივი კომუნიკაცია მხოლოდ წინამორბედ და შემდგომ კომუნიკაციათა რეკურსიულ (გადასვლათა) ქსელშია შესაძლებელი. ასეთ ქსელს თავისი თავის თემატიზება შეუძლია, შეუძლია, თავის თავს საკუთარი კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს, შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს ინფორმაცია, არ მიიღოს იგი, ნორმირებული გახადოს კომუნიკაცია, როგორც დასაშვები ან დაუშვებელი და ა.შ. რადგან ყველაფერი ეს მხოლოდ მისი მხრიდან კომუნიკაციის ოპერატიულ ნაწილში ხდება. ამით ნივთების ორმაგი მდგომარეობა ნათელი ხდება: რომ საზოგადოება არის თვითაღმწერი და თვითდამკვირვებელი სისტემა და რომ მას არა მხოლოდ შეუძლია გამოიყენოს ოპერაციის თავისი წესი, არამედ ვალდებულია, ეს გააკეთოს, რათა ასეთი თვითაღმწერი ოპერაციები განახორციელოს. ეს აგრეთვე მეცნიერებას, მათ შორის, სოციოლოგიასაც ეხება. საზოგადოების შესახებ ყველა კომუნიკაცია საზოგადოების მიერ მათ სტანდარტიზაციაზეა დამოკიდებული. რომელიმე გარე დამკვირვებელი რამდენიმე საკმარისი კომენტარებით არ არსებობს, თუმცა ყოველ ცალკეულ ცნობიერებას შეუძლია იფიქროს იმის შესახებ, რადაც თვლის იგი საზოგადოებას; ხოლო ყოველ იმუნურ სისტემას შეუძლია დააკვირდეს თავის თავს, ყურადღებით ეკიდება რა ავადმყოფობას, რომელიც ადამიანთა მხოლოდ საერთო-ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგად წარმოიშვა და ა.შ.

ახლა ჩვენ შეგვიძლია საზოგადოების ცნება შუალედური რეზულტატის სახით განვსაზღვროთ. „საზოგადოება ყველა თავისი თავის აუტოპოესისურად კვლავწარმოებული კომუნიკაციების ყოვლისმომცველ სისტემას წარმოადგენს მაშინ, როდესაც იგი ყველა ახალ (და ყველა დროში სხვა) კომუნიკაციას კომუნიკაციის რეკურსიულ ქსელში აწარმოებს. ასეთი სისტემის ემერჯენტულობა მოიცავს კომუნიკაციებს, რადგან მათ მხოლოდ შინაგანი სახით ჩართვის უნარი შესწევთ. ყველა სხვას იგი გამორიცხავს. ამგვარად, ერთ-ერთი ასეთი სისტემის კვლავწარმოება სისტემისა და (გარემომცველი სინამდვილის) გარემოს განსხვავების უნარს მოითხოვს. კომუნიკაციებს შეუძლიათ მხოლოდ კომუნიკაციები გამოიცნონ, და ისინი სხვა გარემოებებისაგან განასხვაონ“ (Луман Н. Понятие общества. В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.34).

ამგვარად, საზოგადოება, როგორც ყოვლისმომცველი სოციალური სისტემა, გარემომცველი სამყაროსაგან, რომელსაც ცნობიერების (ინდივიდების) სისტემები, ტვინის

სისტემა და ფიზიკური სისტემები მიეკუთვნება, განსხვავების გზით იგება და კონსტრუირდება. გარემომცველი სამყაროსაგან თავისი თავის შემოსაზღვრისას, საზოგადოებას შეუძლია, ჩაკეტილი სახით იმოქმედოს და, რამდენადაც ერთადერთ ნამდვილ-სოციალურ ოპერაციად კომუნიკაცია გვევლინება, ამდენად ოპერატიული ჩაკეტილობა იმით გამოიხატება, რომ ერთი კომუნიკაცია მეორე კომუნიკაციას ებმება და უერთდება. საზრისი არის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც ასეთი მიერთება ხდება. მაგრამ თავად საზოგადოება არაერთგვაროვანია და მთელ რიგ ისეთ ქვესისტემებად დიფერენცირდება, როგორებიცაა: ფუნქციონალური ქვესისტემები (მასმედია, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვები), პირისპირ ინტერაქციების სისტემა, აგრეთვე, ორგანიზაციათა სისტემა. თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა – კომუნიკაციათა საზრისში ჩადებული კი რედაქციისა, და არა-- რედაქციის – კოდირების გზით გამოიყოფა. ამგვარად, თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა თავის თავში მხოლოდ მისთვის სპეციფიკური კომუნიკაციების მოცვას, მაგრამ, ამავე დროს, სხვა გვარის კომუნიკაციების გამორიცხვას ესწრაფვის. მაგალითად, მეცნიერება ჭეშმარიტება-სიყალბის კოდის წყალობით არსებობს, ამიტომ, მასში ნებისმიერ ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას შეუძლია სხვა ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას შეუერთდეს. კომუნიკაცია, როგორც ასეთი, ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების (ინფორმაციასა და შეტყობინებას შორის განსხვავების გაცნობიერება) სამერთიანობაა.

3. აუტოპოესისი და სოციალური სისტემის ოთხი მახასიათებელი

ლუმანმა შეიმუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ელემენტებს სისტემათა ზოგად თეორიასთან აერთიანებს და კოგნიტური ბიოლოგიისა და კიბერნეტიკის ცნებებს ისრუტავს. მაგრამ პარსონსისეულ მიდგომაში იგი ორ ნაკლს ხედავს:

პირველი, მასში თვითმიმართულებისა და თვითორგანიზებისათვის ადგილი არ არის; ლუმანის აზრით კი, საზოგადოების უნარი, მიმართება დაამყაროს თავის თავთან, მისი, როგორც სისტემის, გაგებისათვის, ცენტრალური მნიშვნელობისაა. მეორე, პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას, რის გამოც მას არ ძალუძს ადეკვატურად გაანალიზოს თანამედროვე საზოგადოება, როგორც ასეთი. რამდენადაც ფიქრადაც კი არ მოსდის თავში აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოება შეიძლება სრულიად სხვაგვარიც კი ყოფილიყო.

იმის გასაღები, თუ რას გულისხმობს ლუმანი სისტემის ქვეშ, შეიძლება სისტემისა და მისი გარემომცველი სინამდვილის, ანუ გარემოს განსხვავებაში დავინახოთ. „არსებითად, ესაა განსხვავება სირთულის ხარისხში. სისტემა მუდამ ნაკლებად რთულია, ვიდრე მისი გარემო. მაგალითად, ავტომობილების წარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც ეჯახება უკიდურესად რთულ გარემოს, რომელიც სხვადასხვა ტიპის ადამიანთა სიმრავლეს, მუდმივად ცვლად მატერიალურ გარემოს და მრავალ სხვა სახის სისტემებს მოიცავს“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 220).

მაგრამ ეს სირთულე სისტემის ფარგლებში ძალიან გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. როდესაც მწარმოებელს სჭირდება ნედლეული (ფოლადი, რეზინი და ა.შ.), მას, როგორც წესი, არ აღელვებს, თუ საიდან შემოდის, როგორ მზადდება იგი და რანი არიან მისი მომწოდებლები. მთელი ეს სირთულე ნედლეულის ხარისხისა და ფასის შესახებ ინფორმაციაზე დაიყვანება. ანალოგიურად, მყიდველთა ყველა ქმედება იმ ქმედებებზე დაიყვანება, რომლებიც მანქანების შეძენასა თუ არშეძენაზე გავლენას უშუალოდ ახდენს.

გამარტივება არჩევანის აუცილებლობას ნიშნავს (მწარმოებლისთვის მნიშვნელოვანია, როგორ იწარმოება ნედლეული, მაგრამ მან შეიძლება ყურადღება არ დაუთმოს პოლიტიკურ სიტუაციას იმ ქვეყანაში, სადაც ის იწარმოება). არჩევანი გულისხმობს ვარიანტებს, რამდენადაც მუდამ შესაძლებელია სხვა არჩევანის გაკეთება (მწარმოებელს შეეძლო შეესწავლა პოლიტიკური სიტუაცია). შემთხვევითობა კი ნიშნავს რისკს. ამგვარად, თუ დამამზადებელი გადაწყვეტს, არ შეისწავლოს პოლიტიკური სიტუაცია ნედლეულის მომწოდებელ ქვეყანაში, მაშინ წარმოების პროცესი შეიძლება ძალიან შეფერხდეს აჯანყებით, რომელიც ამ მასალების მოწოდებას წყვეტს.

სისტემა, უბრალოდ, გარემოს სირთულის სრულად შესაბამისი ვერასოდეს იქნება. მისი მცდელობა, გარემოს სირთულის შესადარი იყოს, გვაგონებს ბორხესის ისტორიას მეფის შესახებ, რომელმაც ერთ კარტოგრაფს უბრძანა, მისი ქვეყნის აბსოლუტურად ზუსტი რუკა შეექმნა. როდესაც კარტოგრაფმა მუშაობა დაასრულა, რუკა ქვეყნის ზომისა გამოვიდა და ამიტომ ის, როგორც ასეთი, გამოუსადეგარი იყო. რუკებმა, როგორც სისტემებმა, სირთულე უნდა შეამციროს. კარტოგრაფმა უნდა აირჩიოს, თუ როგორი მახასიათებელია მნიშვნელოვანი. სხვადასხვა სპეციალისტების მიერ შედგენილი ერთი და იმავე ადგილმდებარეობის ორი რუკა ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, იმიტომაც, რომ მახასიათებელთა მათი არჩევანი თავისუფალია. ეს რისკთანაა დაკავშირებული, რომ მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი არ აღმოჩნდეს.

რადგან სისტემებს არ შეუძლიათ სირთულით თავიანთ გარემოს შეედარონ, ისინი ახალ ქვესისტემებს იმუშავებენ და მათ შორის სხვადასხვა მიმართებებს ადგენენ, რათა თავიანთ გარემოსთან მიმართებაში ეფექტურად იმოქმედონ. თუ ისინი ამას არ გააკეთებდნენ, მაშინ მათ გარემოს სირთულე ჩაყლაპავდა. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელს შეუძლია საგარეო ურთიერთობათა და კავშირთა განყოფილება შექმნას, რომელსაც მომწოდებელ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა და კვლევის ამოცანა დაეკისრება. ეს ახალი განყოფილება ვალდებული იქნება, მწარმოებელს ნედლეულის მოწოდების შეფერხებების და შეწყვეტის შემთხვევაში ალტერნატიული წყაროების გამოძებნის შესახებ ცნობები დროულად მიაწოდოს. ამგვარად იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც „მხოლოდ სირთულეს შეუძლია სირთულის შემცირებან.

აუტოპოესისური სისტემები ოთხ მახასიათებელს ფლობს:

1. აუტოპოესისური სისტემა თავად ქმნის იმ ბაზისურ ელემენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, სისტემას შეადგენს. ეს შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს: როგორ შეუძლია სისტემას თავისი საკუთარი ელემენტები, ისინი, რისგანაც იგი შედგება, თავად აწარმოოს. მაგალითისათვის თანამედროვე ეკონომიკური სისტემა და მისი ბაზისური ელემენტი ავიღოთ; ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ბაზისური ელემენტი ფულია, ვინაიდან ნივთების ღირებულება ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება მხოლოდ ფულის მეშვეობით განვსაზღვროთ, მაგრამ ძალიან ძნელია ვთქვათ ის, თუ ფული, როგორც ასეთი, რა ღირს. ფულის მნიშვნელობა, მისი ღირებულება და გამოყენების წესები და ხერხები თვით ეკონომიკური სისტემის მიერ განისაზღვრება. ფული, იმ სახით, როგორითაც მას ჩვენ დღეს ვიცნობთ, ეკონომიკური სისტემის წარმოშობამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვა და ერთმანეთზეა დამოკიდებული. ძნელია თანამედრივე ეკონომიკური სისტემის ფულის გარეშე წარმოდგენა. თავის მხრივ, ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე – ქაღალდის ან მეტალის მხოლოდ ნაგლეჯია.

2. აუტოპოესისური სისტემები თვითორგანიზებადნი არიან ორი აზრით: ისინი თავად ადგენენ თავიანთ საზღვრებს, ასევე, საკუთარ შინაგან სტრუქტურებს, და ორგანიზებას თავადვე უწევენ. თავის საკუთარ საზღვრებს ისინი აწარმოებენ იმით, რომ განასხვავებენ

იმას, რაც შეადგენს სისტემას და იმას, რაც გარემოს შეადგენს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ყველაფერ იმას, რაც იშვიათ თვისებებს ფლობს და რაზეც შეიძლება ფასის დადება, ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ჰაერი ყველგან საკმარისზე მეტი არსებობს, ამიტომ მასზე არ დგინდება ფასი და ამიტომ იგი არ არის ეკონომიკური სისტემის ნაწილი. მაგრამ ჰაერი გარემომცველი სინამდვილის აუცილებელი ნაწილია. ის, თუ რა არსებობს (იმყოფება) აუტოპოესისური სისტემის შიგნით და რა – გარეთ, სისტემის თვითორგანიზებით განისაზღვრება და არა სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნებით, რაშიც ჩვენ დარწმუნებას სტრუქტურული ფუნქციონალისტი შეეცდებოდა.

სხვა ძალები შეიძლება აუტოპოესისური სისტემის ზომების შეზღუდვას შეეცადნონ. მაგალითად, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემები მუდამ აფართოებდნენ თავიანთ საზღვრებს, რათა მასში სექსუალური მომსახურება და აკრძალული ნარკოტიკები ჩაერთოთ. ეს თვით მაშინაც კი ხდება, როდესაც თავად პოლიტიკური სისტემა იმუშავებს კანონებს, რომლებიც მიმართულია იმაზე, რომ სექსუალური მომსახურება და აკრძალული ნარკოტიკები ეკონომიკურ საქონლად არ ჩაითვალოს. ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკური სისტემის ფარგლებს გარეთ მათი არსებობა შეაკავოს, ასეთი კანონები ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სექსისა და აკრძალული ნარკოტიკების გავლენას უფრო ზრდის. მათი არაკანონიერება ფასს მაღლა სწევს, ამგვარად მომხმარებელთა წრეს ავიწროებს. მაგრამ ეკონომიკურ სისტემაში შესყიდვათა ხელისშემშლელი მაღალი ფასებიც ყიდვა-გაყიდვას ხელს უწყობს. თუ სექსუალური მომსახურებისა და ნარკოტიკების გაყიდვით შესაძლებელია დიდი მოგების მოტანა, მაშინ ისინი ეკონომიკურ სისტემაში დარჩება. მაშასადამე, კანონებს, რომლებიც რომელიმე საქონლის ეკონომიკური სისტემის გარეთ შეკავებაზეა გათვლილი, უბრალოდ, გავლენა აქვს საქონლის იმ ფასზე, რომელსაც მასზე სისტემა ადგენს.

თავისი საზღვრების ფარგლებში აუტოპოესისური სისტემა საკუთარ სტრუქტურებს თავად აწარმოებს. მაგალითად, ფულის არაკომერციული სახით, უნაღდოდ არსებობის გამო სტრუქტურირებულია ბაზარი, ფულის შენახვისა და სესხად გაცემის მიზნით დაწესებულია ბანკები, ჩამოყალიბდა პროცენტის ცნება და ა.შ. ეკონომიკურ სისტემას თავისი ბაზისური ელემენტის სახით რომ არ ჰქონოდა ისეთი აბსტრაქტული და პორტატიული საგანი, როგორიც ფულია, მაშინ მისი შინაგანი სტრუქტურა სავსებით სხვაგვარი იქნებოდა. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა საქონლის გაცვლით და არა ფულად ურთიერთობებზე რომ ყოფილიყო დამყარებული, მაშინ ბანკები, პროცენტის ცნებები და ბაზარიც, სადაც საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხდება, არ იარსებებდა და სტრუქტურირებულიც სრულიად სხვა სახით იქნებოდა.

3. აუტოპოესისურ სისტემებს თვითრეფერენტული ხასიათი აქვს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ფასებს, როგორც საკუთარ თავთან მიმართების დამდგენ საშუალებას იყენებს. კომპანიის აქციებისათვის საცვლელი ფულადი ღირებულების მიწერის დროს ასეთი თვითრეფერენტულობის მაგალითს საფონდო ბაზარი დემონსტრირებას ეკონომიკური სისტემის ფარგლებში უკეთებს. ფასები საფონდო ბაზარზე არა ინდივიდის, არამედ თავად ეკონომიკის მიერ განისაზღვრება. მსგავსივე სახით საკანონმდებლო სისტემას აქვს საკანონმდებლო სისტემისკენ მიმართული კანონები, ანუ კანონები იმის შესახებ, თუ კანონები როგორ შეიძლება ამოქმედდეს, გამოყენებულ და განმარტებულ იქნეს.

4. აუტოპოესისური სისტემა ჩაკეტილი სისტემაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემასა და მის გარემოს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. ამის ნაცვლად, სისტემას საქმე გარემოს შესახებ არსებულ წარმოდგენებთან აქვს. მაგალითად, დავუშვათ, რომ ეკონომიკური სისტემა ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე რეაგირებს; მაგ-

რამ ეს მოთხოვნილებები და სურვილები ეკონომიკურ სისტემაზე გავლენას იმ ხარისხითა და ზომით ახდენს, რა ხარისხითა და ზომითაც იქნება ისინი წარმოდგენილი ფულის ენაზე. მაშასადამე, ეკონომიკური სისტემა მდიდარი ადამიანების მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სურვილებზე ადეკვატურად, მაგრამ ღარიბების მოთხოვნილებებსა და სურვილებზე ძალიან სუსტად რეაგირებს.

მიუხედავად იმისა, რომ აუტოპოესისური სისტემა ჩაკეტილია და გარე სამყაროსთან (გარემო) პირდაპირი კავშირი არ აქვს, გარემოს მაინც უნდა მიეცეს საშუალება, დაარღვიოს სისტემის შინაგანი წარმოდგენები. ამგვარი დარღვევების გარეშე, სისტემას გარე ძალები დაანგრევდა, დათრგუნავდა და მოახრჩობდა.

ჩაკეტილი სოციალური სისტემა ინდივიდებისგან, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებად გვეჩვენებიან, განსხვავებულია. „ლუმანის მიხედვით, ასეთ სისტემებში ინდივიდი გარემოს ნაწილია. ეს ნიშნავს, თუ კვლავაც ბიუროკრატიული სტრუქტურიდან ავიღებთ მაგალითს, რომ გარემოს ნაწილი აღმოჩნდებიან მხოლოდ კლიენტები, მაგრამ ასევე ის ადამიანებიც, რომლებიც ბიუროკრატიულ სტრუქტურაში მუშაობენ; ბიუროკრატიის თვალსაზრისით, ადამიანები, რომლებიც ბიუროკრატიულ სტრუქტურაში მუშაობენ, სირთულისა და გაუთვალისწინებლობის გარეგანი წყაროები ხდებიან. იმისათვის, რომ სისტემა ჩაკეტილი იყოს, ბიუროკრატიამაც უნდა იპოვოს წესი, რომლის მეშვეობითაც საკუთარი მუშაკების წარმოდგენასაც გამარტივებული სახით შეძლებს. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს, როგორც მომწიფებულ პიროვნებებს, განვიხილავდეთ, ერთი მუშაკი გამოიყურება „მენეჯერად“, მეორე – „ბუღალტრად“ და ა.შ. ნამდვილი ადამიანი, ამ სიტყვის სრული აზრით, ბიუროკრატიული სისტემაზე გავლენას მხოლოდ იმით ახდენს, რომ მის წარმოდგენებს არღვევს“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 223).

4. საზოგადოება და ფსიქიკური სისტემები: მნიშვნელობის (საზრისის) ცნება

ლუმანი ამტკიცებს, რომ საზოგადოება აუტოპოესისური სისტემაა. იგი ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ მახასიათებელს აკმაყოფილებს:

საზოგადოება თავის საკუთარ ბაზისურ ელემენტებს აწარმოებს; საკუთარ საზღვრებს და სტრუქტურებს ქმნის. იგი თვითრეფერენტული და ჩაკეტილია.

საზოგადოების ბაზისური ელემენტი კომუნიკაციაა, რომელიც საზოგადოების მიერ იქმნება და იბადება. საზოგადოების წევრები მას მხოლოდ კომუნიკაციის დახმარებით მიმართავენ. ფაქტობრივად, მოცემულ მომენტში, ჩვენ სწორედ ამით ვართ დაკავებული. ინდივიდი საზოგადოებას მხოლოდ იმ ზომით მიეკუთვნება, რა ზომითაც იგი კომუნიკაციაში მონაწილეობს ან, როგორც კომუნიკაციის მონაწილე იქნეს გაგებული. პიროვნების ის ფარული ელემენტები, რომლებიც კომუნიკაციაში არასოდეს მონაწილეობენ, საზოგადოების ნაწილები ვერ იქნებიან. ამის სანაცვლოდ, ისინი შეადგენენ გარემოს ნაწილს, რომელსაც საზოგადოებაში უწესრიგობის შეტანა ძალუძს, რამდენადაც, ლუმანის კონცეფციის თანახმად, ყველაფერი, რაც არ არის კომუნიკაცია, საზოგადოების გარემოს ნაწილია. გარემოში ადამიანის ბიოლოგიური სისტემა და თვით მისი ფსიქიკური სისტემებიც კი შედის. ინდივიდი, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი და ინდივიდი, როგორც ცნობიერება, საზოგადოების წევრები არ არიან, ისინი საზოგადოების მიმართ გარეგანი ხასიათის არიან. აქედან გამომდინარეობს საკმაოდ არაჩვეულებრივი იდეა, რომ ინდივიდები საზოგადოების ნაწილები თუ წევრები არ არიან.

„ფსიქიკური სისტემის ქვეშ ლუმანს ინდივიდუალური ცნობიერება ესმის. ფსიქიკურ სისტემას და საზოგადოებას – ყველა კომუნიკაციათა სისტემას – საერთო თვისებები აქვთ. ორივე სისტემა მნიშვნელობას ეყრდნობა. მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სისტემის მიერ გაკეთებულ არჩევანთან. ცალკეული მოქმედების (ან ობიექტის) მნიშვნელობა მისი სხვა შესაძლო მოქმედებისგან (ან ობიექტებისაგან) განსხვავებაა. მნიშვნელობა მხოლოდ ალტერნატივასთან შეპირისპირება-დაპირისპირებისას წარმოიშობა. თუ სხვა შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ არც მნიშვნელობა არსებობს. მოქმედებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც შესაძლებელ მოქმედებათა მწკრივისაგან არჩევანი კეთდება. მაგალითად, ჩვენი ტანსაცმელი რაღაცას მხოლოდ იმიტომ ნიშნავს, რომ ჩვენ შევძელით რაღაც სხვა ტანსაცმლის ჩაცმა გადაგვეწყვიტა“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 224).

ისეთი სისტემები, როგორიც ფსიქიკური და სოციალურია, რომლებიც მნიშვნელობას ეყრდნობიან, ჩაკეტილი ხასიათის მატარებლებია, რამდენადაც:

1) მნიშვნელობა მუდამ მიმართებაშია სხვა მნიშვნელობასთან.

2) მხოლოდ მნიშვნელობით შეიძლება მნიშვნელობის შეცვლა;

3) მნიშვნელობა ჩვეულებრივ ბევრ მნიშვნელობას ქმნის.

4) მნიშვნელობა თითოეული ამ სისტემის საზღვარს აყალიბებს.

ფსიქიკური და სოციალური სისტემები ერთად განვითარდნენ. თითოეული მათგანი მეორისათვის აუცილებელ გარემოს წარმოადგენდა. მნიშვნელობათა ფსიქიკური სისტემის ელემენტები კონცეპტუალური წარმოდგენებია; მნიშვნელობათა სოციალური სისტემის ელემენტები კი – კომუნიკაციები. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ მნიშვნელობებს ფსიქიკურ სისტემაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მნიშვნელობებს სოციალურ სისტემაში. რამდენადაც ორივე სისტემა აუტოპოესისურია, ამდენად ისინი თავიანთ მნიშვნელობებს საკუთარი პროცესებისაგან თავად ქმნიან. ფსიქიკურ სისტემაში მნიშვნელობა ცნობიერებასთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც სოციალურ სისტემაში იგი კომუნიკაციასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელობა სოციალურ სისტემაში არ შეიძლება ინდივიდუალურ განზრახვებს მივაწეროთ, იგი ასევე არ არის სოციალური სისტემის ცალკეული ელემენტების თვისება – იგი ელემენტთა მთელი რიგისაგან გაკეთებულ არჩევანს მიეწერება. იმის მნიშვნელობა, რაც გადაიცემა, მისი იმ განსხვავებისგან წარმოიქმნება, რაც შეიძლება გადაცემული ყოფილიყო. მაგალითად, გამოთქმები „გამარჯობა“, „როგორაა საქმე?“, „როგორ ცხოვრობთ?“, „დილა მშვიდობისა“, „სალამი“ შეიძლება ერთი და იმავე განზრახვიდან წარმოიქმნენ, სახელდობრ: მიესალმოთ ვინმეს, მაგრამ თუ თქვენი მეგობარი წარმოთქვამს „დილა მშვიდობისა“, მაშინ როდესაც იგი ჩვეულებრივ ამბობდა „სალამი“, გადაიცემა განსაზღვრული მნიშვნელობა. არაა აუცილებელი, მნიშვნელობას განზრახული ხასიათი ჰქონდეს ან გარკვეულ სიტყვებთან იყოს დაკავშირებული. იგი იმ სიტყვებთან შედარებით, რომლებიც ასევე შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო, ამ განსაზღვრული სიტყვების არჩევანისაგან წარმოიქმნება. მნიშვნელობა სიტყვათა სავარაუდო თუ შესაძლო არჩევანისაგან წარმოიქმნება.

5. კომუნიკაციები და ორმაგი შესაძლებლობა

კომუნიკაციებზე დაფუძნებული სოციალური სისტემა ქმნის სოციალურ სისტემებს, რათა გადაჭრას პრობლემები, რომლებსაც ლუმანი ორმაგი შესაძლებლობის პრობლემას უწოდებს. „ორმაგი შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველ შეტყობინებასთან მიმართებაში უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ მისი მიღება როგორ, როგორი წესით

ხდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მიღების წესი მიმღების მიერ გამგზავნის შეფასებაზე იქნება დამოკიდებული. ყოველივე ეს ჩაკეტილ წრეს ქმნის: მიმღები დამოკიდებულია გამგზავნზე, ხოლო გამგზავნი – მიმღებზე“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 225).

მაგალითად, პროფესორმა, სტუდენტს რომ ესალმება, შეიძლება არაფორმალური „სალამი“ გამოიყენოს, თუ მიიჩნევს, რომ ეს უფრო მეგობრულ რაიმედ მოეჩვენებათ (გამგზავნი ყურადღებაში იღებს მიმღებს), მაგრამ თუ სტუდენტი, რომელსაც პროფესორი ესალმება, ფიქრობს, რომ პროფესორი მას ზევიდან ელაპარაკება, მაშინ იგი ამგვარ მისალმებას მეგობრულ ჟესტად ვერ ჩათვლის (მიმღები მხედველობაში იღებს გამგზავნს). რაც უფრო ნაკლებადაა ცნობილი ერთმანეთის მოლოდინებზე, ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა მით უფრო სერიოზულია.

საბედნიეროდ, სოციალური სტრუქტურების წყალობით, ჩვენ სხვების მოლოდინებზე მუდამ საკმარისად ვიცით. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კომუნიკაციის მონაწილეებად პროფესორი და სტუდენტი გამოდიან. სწორედ ამ ინფორმაციის გამოყენებისას, ჩვენ განსაზღვრული ტიპის ურთიერთობებს ველოდებით, რომლებიც ინსტიტუციონალურ წესებს და ტრადიციებს შეესაბამება. ჩვენ სხვა მოლოდინები გვექნება, თუ კომუნიკაციაში მონაწილეთა სქესი, ეროვნება, ასაკი, ჩაცმულობა და ა.შ. გვეცოდინება. ამ მოლოდინების ძალით, ადამიანური ურთიერთობების ინტერპრეტაციისათვის ნორმები და როლური მოლოდინები ჩნდება. ადამიანები როლურ მოლოდინებს და ნორმებს ან შეესაბამებიან, ან არა. თუ ჩვენ ჩვენი მოლოდინების შეუსაბამო მაგალითებს მოვიპოვებთ, მაშინ ჩვენი მოლოდინები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საზოგადოებას, ორმაგი შესაძლებლობის პრობლემის გამო, ამ მოლოდინების გარეშე ფონს გასვლა არ ძალუძს.

რამდენადაც თითოეული ჩვენგანი ნორმების განსხვავებულ ერთობლიობასა თუ ნაკრებს ფლობს, ამდენად აუცილებელი ხდება კომუნიკაცია, ხოლო რამდენადაც კომუნიკაციის სფეროში ორმაგი შესაძლებლობის პრობლემა არსებობს, ამდენად ჩვენ ნორმების ნაკრებს ვიმუშავებთ. ეს საზოგადოების, როგორც აუტოპოესისური სისტემის, ფუნქციონირებას კარგად გვიჩვენებს: საზოგადოების სტრუქტურა (როლები, ინსტიტუციური და ტრადიციული ნორმები) საზოგადოების ელემენტებს (კომუნიკაცია) ქმნის და ეს ელემენტები კი სტრუქტურას ქმნიან. ამგვარად, სისტემა, როგორც ეს ყველა თვითმაწარმოებელ სისტემებში ხდება, თავის საკუთარ ელემენტებს თავად აწარმოებს.

ორმაგი შესაძლებლობის მიზეზით ნებისმიერი მოცემული კომუნიკაცია შეუძლებელია, არააუცილებელია. პირველი, შეუძლებელი და დაუჯერებელია, რომ ჩვენ შეიძლება გაგვიჩნდეს რაღაც, რისი შეტყობინებაც მოგვინდება კონკრეტული ადამიანისთვის. მეორე, რადგან შეტყობინება შეიძლება სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით გადაიცეს, ამდენად დაუჯერებელი და თითქმის შეუძლებელია, რომ ჩვენ მისთვის რომელიღაც კონკრეტული წესი შევიმუშაოთ. მესამე, შეუძლებელი და ნაკლებსარწმუნოა, რომ ადამიანი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, სწორად გაგვიგებს. სოციალური სტრუქტურები გაჩნდნენ იმიტომ, რათა შეუძლებელი და არასარწმუნო კომუნიკაციები შესაძლებელი და უფრო სარწმუნო კომუნიკაციებად ექციათ. მაგალითად, განსაზღვრულ ადამიანს ნებისმიერ განსაზღვრულ დროს „გამარჯობა“ უთხრა – არასარწმუნო და შეუძლებელი ნივთია, მაგრამ სოციალური სტრუქტურები მისალმებას კონკრეტულ გარემოებებში მისაღებ რაიმედ აქცევენ, ისინი მისალმების მიღებული და აღიარებული წესების შეზღუდულ რაოდენობას გვაძლევენ და ასევე იმის გარანტიასაც, რომ ადრესატი მისალმებას დაახლოებით ისე გაიგებს, როგორც ამას გამგზავნი გულისხმობს.

„შეუძლებლობა-დაუჯერებლობანი“, რომლებსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, მხოლოდ ურთიერთქმედებებს ეხებიან, მაგრამ საზოგადოება ეს რაღაც მეტია, ვიდრე დამოუკიდებელ ურთიერთქმედებათა უბრალო ერთობლიობა. ურთიერთქმედებები (ინტერაქციები) იმდენ ხანს გრძელდება და არსებობს, რამდენიც მასში მონაწილე ადამიანია, მაგრამ საზოგადოების თვალსაზრისით, ურთიერთქმედება (ინტერაქცია) მუდმივი და შეუწყვეტელი სოციალური პროცესების ეპიზოდებია. „ყოველი სოციალური სისტემა ეჯახება პრობლემას: იგი არსებობას წყვეტს, თუ მომავალი კომუნიკაციების გარანტიები არ არსებობს, ე.ი. თუ წინამავალი კომუნიკაციების მომავალ კომუნიკაციებთან შეერთების შესაძლებლობები არ არსებობს. კომუნიკაციების ნგრევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი სტრუქტურების შემუშავება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, უფრო ადრინდელი კომუნიკაციები მომდევნო კომუნიკაციებს დავუკავშიროთ. ერთ კომუნიკაციაში გაკეთებული არჩევანი წინანდელ კომუნიკაციებში გაკეთებული არჩევანითაა შეზღუდული და, ასევე, ახლანდელი კომუნიკაცია მომავალ კომუნიკაციებს ზღუდავს. ეს კომუნიკაციის პროცესის „შეუძლებლობა-დაუჯერებლობის“ სარწმუნოდ გადაქცევის კიდევ ერთი წესი და საშუალებაა. სწორედ ორმაგი შესაძლებლობის გადალახვის და შეუძლებელი-დაუჯერებელი კომუნიკაციის უფრო შესაძლებელ და სარწმუნო კომუნიკაციად გადაქცევის ეს აუცილებლობა სოციალური სისტემის ევოლუციას არეგულირებს“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 226).

6. სოციალური სისტემების ევოლუცია

უხეშად რომ ვთქვათ, ევოლუცია გასინჯვისა და შეცდომების პროცესია. ევოლუცია ტელეოლოგიური ხასიათის არ არის. მისი შედეგები რაღაც მიზნით წინასწარ არ არის განსაზღვრული. ერთ-ერთი ვარაუდი გვაუწყებს, რომ ლუმანის თეორიაში პროგრესის იდეას აზრი არ აქვს. მას თანამედროვე საზოგადოებაში ევოლუციური უნივერსალიების შესახებ გამოთქმული პარსონსისეული იდეებისგან სწორედ ეს განასხვავებს. სოციალური და სოციეტალური განვითარების აუცილებელი გზის არსებობის დაშვება ტელეოლოგიური არგუმენტია, რომელიც მოცემული საკითხის გადაჭრის მრავალი წესის თუ ხერხის არსებობის ფაქტს უგულებელყოფს.

საერთო დონეზე, ევოლუცია „არასარწმუნო–შეუძლებელს“ უფრო დამაჯერებელ და სარწმუნო – შესაძლებელ რაიმედ აქცევს. მაგალითად, სულ მცირედ სარწმუნო და შესაძლებელია, რათა ბიოლოგიური მუტაციების შემთხვევითმა თავმოყრამ ადამიანის მსგავსი ცხოველი წარმოქმნას. ბუნებრივი შერჩევა და მდგრადი თვისებების გადაცემის მემკვიდრეობითობა უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის იმას, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი უფრო ადამიანის მსგავს და არა კალმახის მსგავს არსებად გადაიქცევა.

მკაცრად რომ ვთქვათ, ევოლუცია პროცესი კი არა, პროცესთა თავმოყრა და ნაკრებია, რომლებიც შეიძლება, როგორც სამი ფუნქციის – კვლავწარმოებულ თვისებათა ვარიაციის, შერჩევისა და სტაბილიზაციის – შემსრულებელი რამ აღვწეროთ. ეს ფუნქციები ევოლუციის მოქმედების კონკრეტულ მექანიზმებს წარმოადგენს;

ვარიაცია სინჯისა და შეცდომების პროცესია. თუ სისტემა არასტანდარტულ პრობლემას ეჯახება, მაშინ შეიძლება განსხვავებული გადაწყვეტილებები მივიღოთ, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გარეგან შეზღუდვებს და დაბრკოლებებს გავუმკლავდეთ. ამ გადაწყვეტილებებიდან ზოგიერთი ეფექტური იქნება, ზოგიერთი კი – არა. შერჩევა – განსაზღვრული გადაწყვეტილების შერჩევა არ ნიშნავს იმას, რომ „საუკეთესო“ გადაწყვეტილება იქნა არჩეული. შესაძლოა, განსაზღვრული გადაწყვეტილება ყველაზე ადვილად

დასტაბილიზებადი აღმოჩნდეს, სხვა სიტყვებით, შესაძლოა, როგორც მყარი და მუდმივი სტრუქტურა, ყველაზე ადვილად კვლავწარმოებადი იყოს. სოციალურ სისტემაში ეს სტაბილიზაცია, ჩვეულებრივ, დიფერენციაციის ახალ წესს მოიცავს, რომელიც ახალი გადაწყვეტილებისადმი სისტემის ყველა ელემენტის შეგუებასა და შეთანადებას მოითხოვს. ევოლუციის პროცესი დროებით მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც სტაბილიზაციის ფაზა დასრულდება.

ავიღოთ მაგალითი ეკონომიკის სფეროდან. „პრობლემა, რომელსაც ეკონომიკური სისტემები წააწყდნენ ისაა, საქონელი სხვა ეკონომიკურ სისტემას სამართლიანად როგორ გაუცვალონ, სხვა სიტყვებით, როგორ შეუძლია დოლარის გამომყენებელ ეკონომიკებს, საქონელი იენის საფუძველზე მომუშავე ეკონომიკას გაუცვალონ? შემუშავებულ იქნა მრავალგვარი გადაწყვეტილება (ევოლუციური ვარიაცია). ზოგიერთი ადრეული სისტემები უპირატესობას „უსასყიდლო“ გაცვლას ანიჭებენ, რომელიც გასაცვლელი საქონლის ზუსტ ტოლობაზე ზრუნვას გამორიცხავს. სხვებმა კი, ურთიერთგაცვლის დარეგულირების მიზნით, ისეთი ლიკვიდური საქონელი გამოიყენეს, როგორიც ოქროა. ამ ორივე ვარიანტის გლობალური მასშტაბით კვლავწარმოება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. რაც შეეხება პირველ გადაწყვეტილებას, შესაძლებელი მხოლოდ საჩუქრების გაცვლა ხდება, რაც შეეხება მეორეს, მაშინ ისეთი საქონლის ღირებულება, როგორიც ოქროა, მუდმივი და უცვლელი არ აღმოჩნდა, რამდენადაც დროის ნებისმიერ მომენტში, მისი მეტი ან ნაკლები რაოდენობაა ხელმისაწვდომი. ამის ნაცვლად, უფრო კვლავწარმოებად ფორმად ახალი სტრუქტურის, სავალუტო ბაზრის, შექმნა იქცა, რომელიც გლობლურ დონეზე ფუნქციონირებს და ვალუტათა საცვლელ კურსებს თავისუფლად მერყეობის საშუალებას აძლევს (ევოლუციური შერჩევა). ეს შეიძლება არც კი იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, რამდენადაც ბაზარზე გავლენას ისეთი სერიოზული ფლუქტუაციები ახდენს, რომლებიც შეიძლება სპეკულანტების მიერ იყოს გამოწვეული, როგორც ეს 1998 წლის „აზიური“ ფინანსური კრიზისის მაგალითზე კარგად გამოჩნდა. მაგრამ ეს ერთადერთი გადაწყვეტილებაა, რომელიც გლობალური მასშტაბითაა კვლავწარმოებადი (ევოლუციური სტაბილიზაცია). რასაკვირველია, სწორედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა გადაწყვეტილებები გაქრნენ. სახელმწიფო დღესაც აწარმოებს უსასყიდლო გაცვლებს და გასცემს საჩუქრებს, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მეთაური დიპლომატების მეშვეობით და მრავალი ქვეყანა ცდილობს, თავისი ვალუტის საცვლელი ღირებულებების დადგენა ისეთ საქონელს, როგორიც ოქროა, ანდა სხვა ვალუტასაც კი, მაგალითად, აშშ-ს დოლარს მიაბას“ Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 227).

დიფერენციაცია

ლუმანის სისტემათა თეორიის თვალსაზრისით, თანამედროვე საზოგადოების ძირითადი თვისება – სისტემური დიფერენციაციის, როგორც მისი გარემოს, სირთულესთან ურთიერთქმედების წესისა თუ საშუალების მზარდი პროცესია. დიფერენციაცია ეს „სისტემასა და მის გარემოს შორის განსხვავებების სისტემის საზღვრებში რეპლიკაციაა“. ეს ნიშნავს, „რომ დიფერენცირებულ სისტემაში ორი სახის გარემო არსებობს: ერთი, რომელიც საერთოა ყველა ქვესისტემისათვის, და მეორე, პირველისაგან განსხვავებული ყველა ქვესისტემის შინაგანი გარემოა. მაგალითად, ისეთი ფირმა, როგორიცაა ავტომობილების მწარმოებელი „ფორდი“, სხვა მწარმოებლებს, მაგალითად, „ჯენერალ მოტორსს“, „დაიმლერ კრაისლერს“, როგორც თავისი გარემოს ნაწილს, ისე განიხილავს. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება (ქვესისტემა) ფირმა „ფორდში“, ასევე „ჯენერალ მოტორ-

სში“ და „კრაისლერში“, თავისი გარემოს ნაწილს ხედავს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება ფირმა „ფორდის“ ჩარჩოებში არსებულ სხვა ქვესისტემებს (მაგალითად, პერსონალის მართვის განყოფილება ქვესისტემას) საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემის მიმართ, როგორც გარეგანს და, შესაბამისად, მისი გარემოს ელემენტად განიხილავს. სხვა ქვესისტემებს, ისეთი, როგორიც პერსონალის მართვის განყოფილებაა, მთლიანად ორგანიზებული სისტემის მიმართ შინაგანი ხასიათი აქვს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის ქვესისტემის გარეგან გარემოში შედიან, მაშასადამე, შინაგან გარემოში შედიან, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია სხვა ქვესისტემებთან ურთიერთობა, ის და სხვა ქვესისტემები ხომ ერთი მთლიანი ორგანიზაციული სისტემის შემადგენელი ქვესისტემებია. ანალოგიურად, პერსონალის მართვის ქვესისტემა სხვა მწარმოებლებს განიხილავს, როგორც გარე გარემოს ნაწილს, მაგრამ, გარდა ამისა, სხვა ქვესისტემებს (ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების ქვესისტემების ჩათვლით) განიხილავს, როგორც თავისი გარემოცვის (შიდა გარემოს) ნაწილს. მაშასასდამე, თითოეული ქვესისტემა სისტემის შიდა გარემოს განსხვავებულ ხედვას ფლობს. ეს უკიდურესად რთულ და დინამიკურ შიდა გარემოს ქმნის“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 227-228).

დიფერენციაცია სისტემაში გარე გარემოში მომხდარ ცვლილებებზე ზემოქმედების წესია. როგორც დავინახეთ, ყოველმა სისტემამ გარე გარემოსთან თავისი საზღვრები უნდა შეინარჩუნოს, სხვაგვარად მას გარე გარემოს სირთულე, უბრალოდ, ჩაყლაპავს, იგი დაინგრევა და არსებობას შეწყვეტს. იმისათვის, რომ გადარჩეს, ანუ იარსებოს, სისტემას გარემოდან მომდინარე ცვლილებებთან გამკლავების უნარი უნდა გააჩნდეს. მაგალითად, კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაცია, როგორც სისტემა, გარეგან გარემოში მომხდარ ცვლილებებს ნელა ეგუება (მაგალითად, კონკრეტულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, პოლიტიკურ ცვლილებებს ან ისეთ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, როგორიც პერსონალური კომპიუტერების ხელმისაწვდომობაა). თუმცა არც ორგანიზაციები დგანან ერთ ადგილზე; ისინი ვითარდებიან, შიდასისტემურ დიფერენციაციებს ბადებენ, ე.ი. გარეგანი ცვლილებები ორგანიზაციის სტრუქტურაში იქნება „ტრანსლირებული“. მაგალითად, შეიძლება ავტომობილის მწარმოებელთა მიერ ახალი განყოფილების შექმნა კვლავ შექმნილი სიტუაციის შესასწავლად ან იმის დასადგენად, თუ სამუშაო ადგილები პერსონალური კომპიუტერებით როგორაა აღჭურვილი. დაიქირავებენ ახალ მუშაკებს, მათ შეასწავლიან ახალ ტექნოლოგიებს და კომპიუტერებთან მუშაობას, აირჩევენ მენეჯერს და ა.შ.

დიფერენციაციის პროცესი სისტემის სირთულის ამაღლების საშუალებას წარმოადგენს, რამდენადაც ყოველ ქვესისტემას სხვა ქვესისტემებთან სხვადასხვა კავშირების გაბმა შეუძლია. ეს დიდ შიდასისტემურ მრავალსახეობას გულისხმობს, რათა გარემოს მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებაზე ეფექტური რეაგირება შეძლოს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ახალი განყოფილება, როგორც ბიუროკრატიული სისტემის ნებისმიერი სხვა განყოფილება, სხვა ქვესისტემებისათვის გარე გარემო აღმოჩნდება, მაგრამ, ამავე დროს, ახალი განყოფილება ორგანიზაციის სირთულეს ამაღლებს, რამდენადაც განყოფილებებს შორის ახალი და დამატებითი ურთიერთობების შესაძლებლობა ჩნდება. ახალი განყოფილება, რომელიც კომპიუტერების მომსახურებისათვის შეიქმნა, უფრო კარგ რეაგირებას კომპიუტერულ ტექქნოლოგიებში მომხდარ შემდგომ ცვლილებებზე მოახდენს და მთელ ორგანიზაციას ამ ახალი შესაძლებლობის გამოყენებაში დაემხმარება. გარდა ამისა, მას შეუძლია არსებულ განყოფილებებს შორის ახალი კავშირების დამყარებას შეუწყოს ხელი და მაგალითად, უზრუნველყოს საერთო ბუღალტერიის ცენტრალიზება ან გამყიდველებს გასაყიდი საქონლის პირდაპირ საწყობიდან აღების საშუალება მისცეს.

დიფერენციაციის მეშვეობით გამოწვეული დიდი მრავალფეროვნება გარე გარემოზე არა მხოლოდ საუკეთესო რეაქციას გულისმობს, არამედ უფრო სწრაფ ევოლუციასაც ითვალისწინებს. ჩვენ გვახსოვს, რომ ევოლუცია მრავალსახეობიდან (კომპლექსურობისაგან) არჩევანის გაკეთების პროცესია. მრავალგვაროება (კომპლექსურობა) რაც უფრო მეტად და დიდად ხელმისაწვდომია, არჩევანიც მით უფრო საუკეთესოა. მიუხედავად ამისა, ლუმანი ამტკიცებს, რომ ევოლუციის პროცესში შინაგანი დიფერენციაციის მხოლოდ რამდენიმე ფორმა გამოვლინდა. ამ ფორმებს იგი სეგმენტარული, სტრატიფიკაციული, ცენტრალურ-პერიფერიული და ფუნქციონალური დიფერენციაციის სახელებით აღნიშნავს. დიფერენციაციის ეს სახეები სისტემის ფარგლებში სისტემასა და გარე გარემოს შორის დიფერენციაციების კვლავწარმოების გზით სისტემის სირთულეს ამაღლებენ. მათი ევოლუციური პოტენციალის თვალსაზრისით დიფერენციაციის ეს ფორმები ვარიაციულობის წარმოების განსხვავებულ უნარებს ფლობენ და, მაშასადამე, ევოლუციური პროცესების დიდ არჩევითობასა თუ შერჩევითობას უზრუნველყოფენ. ამიტომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები სისტემის ევოლუციის დაჩქარების პოტენციალს ფლობენ.

7. ფუნქციონალური დიფერენციაცია და კოდი

ფუნქციონალური დიფერენციაცია დიფერენციაციის ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა თანამედროვე საზოგადოებებში ჭარბობს. სისტემაში თითოეული ფუნქცია ცალკეულ ელემენტს აქვს მიწერილი. მაგალითად, ავტომობილის მწარმოებელ ფირმას ისეთი ფუნქციონალურად დიფერენცირებული განყოფილებები აქვს, როგორებიცაა საწარმოო და ადმინისტრაციული განყოფილებები, ბუღალტერია, საგეგმო განყოფილება და პერსონალის მართვის განყოფილება.

ფუნქციონალური დიფერენციაცია უფრო მოქნილია, ვიდრე სტრატიფიკაციული, მაგრამ თუ სისტემებისგან ერთ-ერთი ამოცანას ვერ ასრულებს, მაშინ მთელ სისტემას არსებობა და ფუნქციონირება ძალიან უჭირს. შენიშვნა [აქ განხილული სისტემებისგან უმრავლესობა შეიძლება აგრეთვე მსოფლიო სოციალური სისტემის ქვესისტემებად იქნეს წოდებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინ „სისტემას“ და არა „ქვესისტემას“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვესისტემასა და ყოვლისმომცველ სისტემას შორის, რომელიც ამ ქვესისტემას შეიცავს, განსხვავების გატარება აუცილებელია]. „მიუხედავად ამისა, როდესაც თითოეული ელემენტი თავის ფუნქციებს ასრულებს, განსხვავებულ ელემენტებს დამოუკიდებლობის დიდი ხარისხის მიღწევა ძალუძთ. ფაქტობრივად, ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემები ურთიერთდამოკიდებულობისა და დამოუკიდებლობის რთულ ერთობლიობას წარმოადგენენ“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 230). მაგალითად, როდესაც საგეგმო განყოფილება დამოკიდებულია ბუღალტერიაზე ეკონომიკური მონაცემების სფეროში, მაშინ, სანამ ციფრები ზუსტია, საგეგმო განყოფილებას შეუძლია, ნეტარ უცოდინარობაში იმყოფებოდეს და იმის შესახებ, თუ სწორედ ბუღალტრებმა როგორ მიიღეს ეს მონაცემები, წარმოდგენა არ ჰქონდეს.

ეს დიფერენციაციის ფორმებს შორის დამატებით განსხვავებაზე მიუთითებს. სეგმენტარული დიფერენციაციის დროს, თუ სეგმენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება (მაგალითად, ერთ-ერთი ფაბრიკა ვერ აწარმოებს მანქანებს მუშაკების გაფიცვის გამო), ეს საფრთხეს არ უქმნის სისტემას. დიფერენციაციის უფრო რთული ფორმების შემთხვევაში, როგორიცაა ფუნქციონალური დიფერენციაცია, ეს უუნარობა სოციალური სისტემისათვის ქმნის სიძნელეებს, რომელსაც მთელი სისტემის დანგრევაც კი შეუძლია

გამოიწვიოს. ამგვარად, გართულება, ერთი მხრივ, აძლიერებს სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების უნარს, მეორე მხრივ, სირთულე ამაღლებს სისტემის დანგრევის რისკს, თუ ფუნქცია სათანადო სახით არ სრულდება.

უმეტეს შემთხვევებში ამაღლებული მოწყვლადობა (სუსტი ადგილი) იმის აუცილებელი ფასია, რომელიც სხვადასხვა ქვესისტემებს შორის შესაძლო ურთიერთობის რაოდენობის გაზრდისათვის უნდა გადაიხადოს. ქვესისტემებს შორის შესაძლო ურთიერთობების რაოდენობის გაზრდა გარემოში მოხდარ ცვლილებებზე სტრუქტურული რეაქციების შესარჩევი ვარიანტების მეტი რაოდენობის გამოყენებას ნიშნავს. სეგმენტარულ სისტემაში განსხვავებულ ქვესისტემებს შორის დამოკიდებულებები არ არის სტრუქტურულად განსხვავებული. მაგალითად, ორი ფაბრიკის ერთმანეთთან დამოკიდებულება არსებითად ერთნაირია. სტრატიფიცირებულ სისტემაში პოზიციებს შორის დამოკიდებულება თავისი არსით ერთი დონის საზღვრებში არსებული ურთიერთობებისაგან განსხვავდება. მაგალითად, თავის სათავო ოფისთან დამოკიდებულება სხვა ფაბრიკასთან მისი დამოკიდებულებისაგან განსხვავდება. ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებში განსხვავებულ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა რაოდენობა ფართოვდება. ბუღალტერიისა და საწარმოო განყოფილების ერთმანეთთან დამოკიდებულება ბუღალტერიასა და კვლევით განყოფილებას შორის ურთიერთობებისაგან განსხვავდება. ფუნქციონალური დიფერენციაცია ავტომობილის მწარმოებელ ფირმას დიდ მოქნილობას აძლევს. ამგვარად, მაგალითად, ისეთ გარემოში, სადაც ტექნიკური მიღწევები უზრუნველყოფს ეკონომიკური უპირატესობების შესაძლებლობებს, კომპანიას შეიძლება კვლევითი განყოფილება ხელმძღვანელობდეს, ხოლო იმ გარემოში, სადაც ეკონომიკური უპირატესობები იმავე საქონლის წარმოების დახმარებით, ოღონდ ნაკლები დანაკარგებით მიიღწევა, კომპანიას შეიძლება ბუღალტერია მართავდეს.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიფერენციაციის უფრო რთული ფორმები არ გამორიცხავენ ნაკლები სირთულის მქონე ფორმებს და, ფაქტობრივად, შეიძლება ნაკლებრთულ ფორმებს კიდეც საჭიროებდნენ. მაგალითად, ავტომობილების მწარმოებელი ფირმა სტრატიფიცირებულია, მაგრამ ამავე დროს იგი მოიცავს ცალკეულ ფაბრიკებს, რომლებიც დიფერენციაციის სეგმენტარულ ფორმებს წარმოადგენენ. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენ თანამედროვე საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სისტემებზე ვლაპარაკობთ, რათა დიფერენციაციის უპირატესი და ძირითადი ტიპი აღვწეროთ, მიუხედავად ამისა, სხვა ფორმები არსებობას აგრძელებენ.

კოდი – სისტემის ელემენტების გამორჩევისა და გამოცალკევების წესია. იგი სისტემის ელემენტებს იმ ელემენტებისაგან გამოყოფს, რომლებიც მოცემულ სისტემას არ მიეკუთვნებიან. „კოდი ფუნქციონალური სისტემის ძირითად „ენას“ წარმოადგენს. მაგალითად, მეცნიერების სისტემაში კოდი – ჭეშმარიტებაა (შეცდომასთან შედარებით). ეკონომიკურ სისტემაში – ესაა ფული (ვალთან შედარებით). სამართლის სისტემისათვის – ესაა კანონიერება (უკანონობასთან შედარებით). გარკვეული კოდის გამომყენებელი ყოველი კომუნიკაცია იმ სისტემის ნაწილი ხდება, რომლის კოდური ნიშანიც გამოიყენება“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 231).

კოდი შესაძლებელი კომუნიკაციების წესების (ხერხების) შესაზღუდად გამოიყენება. ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც კოდს არ იყენებს, განსახილველ კომუნიკაციათა სისტემას არ მიეკუთვნება. ამგვარად, მეცნიერების სისტემის საზღვრებში ჩვენ, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმ კომუნიკაციებს ვპოულობთ, რომლებიც ჭეშმარიტების კოდზე მიუთითებენ და ეყრდნობიან. მაგალითად, თუ ნასას (აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სამმართველო) ხელმძღვანელები ან ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტების

ხელმძღვანელები იმის განსახილველად შეხვდნენ ერთმანეთს, თუ როგორი ფაქტები იქნა აღმოჩენილი დაბერების თაობაზე ჯონგლენის 1998 წლის კოსმოსური ფრენის დროს, ასეთი რამ უკვე მეცნიერების სისტემის ნაწილი იქნებოდა, რომელიც ჭეშმარიტების და სიყალბის კოდებს იყენებს. და თუ ეს ადამიანები იმის განსახილველად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ გაერკვიათ, რომელი რომელ ნაწილში დააფინანსებდა გამოკვლევას, რომელიც ამ კოსმოსური ფრენისას ტარდება, მაშინ იგი შევიდოდა ეკონომიკურ სისტემაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში სისტემის ელემენტების შერჩევის კოდები ფულის გადახდის უნარიანობა და ვალი იქნებოდა.

ლუმანის სისტემურ თეორიაში არც ერთი სისტემა სხვა სისტემის კოდს არ იყენებს და არც ესმის. ერთი სისტემის კოდის მეორე სისტემის კოდად გადათარგმნა-გადატანის წესი და საშუალება არ არსებობს. რამდენადაც სისტემები ჩაკეტილია, ამდენად მათ რეაგირება მხოლოდ მათ შიდა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე შეუძლიათ მოახდინონ (თუ ის, რაც ხდება და იცვლება, საკმაოდ მაღალ „ხმაურს“ იწყებს, რათა შემჩნეულ იქნეს სისტემის მიერ). თუმცა სისტემამ გარემოში წარმოქმნილი დაბრკოლებები თავისი საკუთარი კოდის შესატყვისად უნდა აღწეროს. ესაა მომხდარის გააზრების ერთადერთი წესი, მისთვის მიშვნელობის მინიჭების ერთადერთი საშუალება. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა მეცნიერების სისტემას მხოლოდ მოგების თვალსაზრისით დაუწყებს „ყურებას“ (ანუ იმ თვალსაზრისით, რომ მომავალი შესყიდვა შესაძლებელი გახდეს) ან კაპიტალის, ინვესტიციების ჩადების თვალსასზრისით შეხედავს (ანუ იმის, რაც საჭიროა თავდაპირველი გადახდისათვის, სანამ ეს ჩადებული ინვესტიცია საკუთარ თავს ამოიღებს ან ჩადებულ კაპიტალს გაანაღდებს).

8. სისტემური თეორია და ცოდნის სოციოლოგია

ლუმანისათვის სოციოლოგიის პრინციპული საკითხი ასე ჟღერს: რა არის საზოგადოება? ეს სისტემის თეორიის დამუშავების მცდელობისას ამოსავალი წერტილი გახდა. სოციოლოგია, როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ, მხოლოდ საზოგადების ნათლად განსაზღვრული ცნების არსებობის პირობებშია შესაძლებელი. ლუმანის სისტემური თეორია საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც „ყოვლისმომცველ სოციალურ სისტემას, რომელიც ყველა დანარჩენ სოციეტალურ სისტემებს მოიცავს“. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ცნება მსოფლიო საზოგადოების ცნების იდენტურია, ე.ი. საზოგადოება შეიძლება მხოლოდ ერთი არსებობდეს.

„სოციალური სისტემა – ესაა ყოველი სისტემა, რომელიც თვითკვლავწარმოებისათვის თავისი საბაზისო ელემენტის სახით კომუნიკაციას ბადებს-ქმნის. სოციეტალური სისტემა კი არის ფუნქციონალური სისტემა, მაგალითად, ეკონომიკა, მეცნიერება, სამართალი, საზოგადოების ყოვლისმომცველი სისტემის საზღვრებში“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 233).

შენიშვნა: [„სოციალური სისტემის“ პირველი პუბლიკაციის გამოსვლის (1984 – 1995) შემდეგ ლუმანმა უფრო გააღრმავა თავისი მიდგომა და იგი საზოგადოების სისტემის საზღვრებში სხვადასხვა ფუნქციონალური სისტემების – ეკონომიკის, მეცნიერების, კანონმდებლობის და ხელოვნების მიმართ გამოიყენა. იგი შეეცადა, ნებისმიერი ფუნქციონალურად დიფერენცირებული სისტემისათვის თავისი ზოგადი თეორიის სარგებლიანობა და გამოსადეგობა ეჩვენებინა. მან აგრეთვე ფუნქციონალურ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით, ეკოლოგიური რისკების პროგნოზირება და რისკის ზოგადი კონცეფციის გზები განიხილა].

ყოვლისმომცველ მსოფლიო საზოგადოებას დროსა და სივრცეში საზღვრები არ აქვს; გარკვეული აზრით, მსოფლიო საზოგადოებას „მისამართი“ არ აქვს, ხოლო გარე გარემოში სხვა საზოგადოება არ არსებობს. მაშინ როგორღა არის შესაძლებელი საზოგადოების დაკვირვება? არის მხოლოდ ერთი პასუხი: საზოგადოებას შეიძლება დავაკვირდეთ მხოლოდ შიგნიდან, ე.ი. საზოგადოების ფუნქციონალური სისტემის მეშვეობით. მაგრამ არც ერთი ფუნქციონალური სისტემა საზოგადოების დაკვირვებისათვის „სწორ პოზიციას“ არ ფლობს. ყველა პოზიცია კანონიერია. როგორ შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში სოციალური სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების ერთიან წესთან და საშუალებასთან მივიდეთ? ფაქტობრივად, ასეთი მარტივი პოზიციის შექმნის გზა არ არსებობს. არც ერთ თვალსაზრისს ნებისმიერ სხვა თვალსაზრისზე უპირატესობა არ აქვს. ამიტომ არასდროს შეიძლება, ფართოდ მიღებული თვალსაზრისი მოვიპოვოთ, რამდენადაც მოპაექრე შეხედულებების შეფასება შეუძლებელია. მაგალითად, თუ ჩვენ, როგორც სოციოლოგებს, გვსურს საზოგადოების შესახებ რაიმე გავიგოთ, მაშინ ჩვენთვის სოციოლოგიური ცოდნის ძიება ჩვეულებრივი ამბავია. ლუმანის თანახმად, ამდენადვე შესაძლებელი იქნებოდა გაზეთისა და წიგნის წაკითხვა, ტელევიზორის ყურება ან მეგობართან საუბარი. აქ მოყვანილი საშუალებებიდან ნებისმიერს აქვს უფლება, საზოგადოების შესახებ ინფორმაციის მიღების გზა იყოს. არც მეცნიერებას, არც სხვა სისტემას პრივილეგირებული მდგომარეობა არ აქვს. თუ არც ერთ ფუნქციონალურ სისტემას საზოგადოების, როგორც სისტემის, აღსაწერად და დასაკვირვებლად მთავარი პოზიცია არ უკავია, მაშინ ჩვენ საზოგადოების დაკვირვების ერთნაირად კანონიერი საშუალებების უსასრულო მრავალსახეობების პრობლემას ვაწყდებით.

ჯ. რიტცერი სწორად დაასკვნის, რომ „ლუმანი შეეცადა შეემუშავებინა მიდგომა, რომელიც ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, საზოგადოების შესახებ ცოდნის მიღების საშუალებას მოგვცემს. საზოგადოება თავის თავს უძველეს დროში – ლეგენდებისა და მითების საშუალებით, თანამედროვე ეპოქაში კი მეცნიერული ცოდნის მეშვეობით აღწერს. მიუხედავად ამისა, სოციოლოგებს, მეორე რიგის/წესრიგის დამკვირვებელთა სახით, შეუძლიათ საზოგადოების პირველად დაკვირვებებს თვალი გაადევნონ და მათ საზოგადოებასა და მის სემანტიკას, ე.ი. საზოგადოების თვითაღწერას, შორის დამოკიდებულების შესახებ დასკვნები გააკეთონ. ეს საზოგადოების შესახებ ცოდნის მოპოვების გასაღები – ანუ საზოგადოების სემანტიკაზე დაკვირვება, ე.ი. „კომუნიკაციებზე, რომლებიც საზოგადოების სისტემას შეადგენენ, კომუნიკაციაა“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 234).

საკითხავი მასალა:

Луман Н. Что такое коммуникация? Социологический журнал, 1995, №3, стр. 1-9.

ნიკლას ლუმანი, რა არის კომუნიკაცია?

ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სისტემების შესახებ ჩვენი ცოდნა ინტეგრაციას უკვე აღარ ექვემდებარება

ჩემი ამოცანა კომუნიკაციის ჩვეული გაგების კრიტიკა და მისი სხვა ვარიანტის შემოთავაზებაა. ვიდრე ამას გავაკეთებდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება იმ მეცნიერული კონტექსტის შესახებ, რომელშიც ეს მანევრი რეალიზებული იქნება.

უპირველეს ყოვლისა, მე გამოვდივარ იმ საყოველთაოდ აღიარებული ვითარებიდან, რომ ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილმა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დიფერენციაციამ და ას წელზე მეტი ხნის მრავალმხრივმა გამოკვლევებმა ამ სფეროში ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სისტემების შესახებ ისეთ ცოდნასთან მიგვიყვანა, რომელიც მეტად აღარ ექვემდებარება ინტეგრაციას. არც ერთ ცალკე აღებულ რომელიმე დისციპლინაში არ მოიძებნება სპეციალისტი, რომელიც ცოდნის მთლიანობაში წვდომას შეძლებს. მაგრამ ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია მაღალი სირთულის სტრუქტურირებულ სისტემებზე, რომელთა დინამიკა ნებისმიერი დამკვირვებლისათვის არაგამჭვირვალე და არარეგულირებადია. ამასთან, ყოველთვის არსებობს თეორიები და ცნებები, რომელთა მიერაც საქმის არსებული მდგომარეობა სისტემატურად იგნორირებულია. სოციოლოგიაში ასეთ „ნარჩენებს“ ქმედებისა და კომუნიკაციის ცნებები განეკუთვნებიან. როგორც წესი, ისინი სუბიექტთან კავშირში გამოიყენებიან და გულისხმობენ ინდივიდის ან სუბიექტის სახით აღნიშნულ ავტორს, რომელსაც კომუნიკაცია ან ქმედება მიეწერება. ამასთან, ამ დროს „სუბიექტის“ ან „ინდივიდის“ ცნება მოქმედებს მხოლოდ, როგორც ცარიელი ფორმულა ერთი თავისთავად მაღალი სირთულის/კომპლექსურობის მქონე ფაქტისათვის, რომელიც უკვე ფსიქოლოგიას აღარ ეკუთვნის და სოციოლოგებს კი უკვე აღარ აინტერესებთ.

მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია კომუნიცირება/ კომუნიკაციის განხორციელება

როდესაც ცნებების ამ დისპოზიციაში, რისი გაკეთებასაც მე მინდა, ეჭვი შეაქვთ, როგორც წესი, ესმით: რომ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის არსებობენ ადამიანები, ინდივიდები, სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ და, შესაბამისად, კომუნიცირებენ/კომუნიკაციაში შედიან. ამის საწინააღმდეგოდ, მე ვამტკიცებ, რომ მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია კომუნიკაციის განხორციელება და რომ მხოლოდ კომუნიკაციის ასეთ ბადეში იწარმოება ის, რასაც ჩვენ მოქმედებას ვუწოდებთ.

ჩემი მეორე, წინასწარი შენიშვნა სისტემების ზოგადი თეორიის და, შესაბამისად, თვითრეფერენტული სისტემების კიბერნეტიკის სფეროში ახალ, ძალზე საინტერესო გამოკვლევებს ეხება, რომლებიც ადრე ერთი საერთო სიტყვით – „თვითორგანიზაცია“ – იწოდებოდნენ, დღეს კი ტერმინ აუტოპოესისით არიან ცნობილნი. დღეს, მოცემულ მომენტში, ამ სფეროში თვით კვლევის მდგომარეობა და ცნებების წარმოება თავისთავად ვერ განზოგადდება და, შესაბამისად, საკამათო/პოლემიკური ხასიათის მატარებელია. მიუხედავად ამისა, თვით შემეცნების თეორიაში ფესვგადგმულ და ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის მომცველ თეორიულ საშუალებათა რეკონსტრუქცია ნათლად შეინიშნება. მას, ვისაც მრავალდონიანი არქიტექტურა უყვარს, შეუძლია დააკვირდეს თეორიათა გარდაქმნას/რეკონსტრუქციას, რომელიც ერთდროულად მის რამდენიმე დონეზე მიმდინარეობს და აქედან დონეებს შორის ახლომდებარე განსხვავებების შესახებ კითხვა ლოგიკურად ჩნდება.

თვითრეფერენცია/თვითაღწერა აზროვნების განსკუთრებულ თვისებად არ ითვლება

ფილოსოფიური ტრადიციების ძირეული დაშვებების საპირისპიროდ, თვითრეფერენცია /თვითაღწერა (ანუ „რეფლექსია“) აზროვნების განსაკუთრებულ თვისებად არავითარ შემთხვევაში არ ითვლება, პირიქით, იგი კომპლექსურობასა და ევოლუციასთან შეხებაში მყოფ, განსაკუთრებული შედეგების მქონე სისტემური მსჯელობების უზოგადეს პრინცი-

პად გვევლინება. მაშინ, სამყაროზე დაკვირვების მრავალი განსხვავებული შესაძლებლობის არსებობა აქედან გარდუვლად გამომდინარეობს, იმის მიხედვით, თუ მის საფუძვლში რომელი სისტემური რეფერენცია დევს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევოლუციამ მიგვიყვანა ისეთ სამყარომდე, რომელსაც საკუთარ თავზე დაკვირვების ძალზე ბევრი განსხვავებული შესაძლებლობა აქვს ისე, რომ ერთ-ერთი მათგანის საუკეთესოდ, ერთადერთ სწორ მიგნებად გამოყოფა სრულიადაც არაა აუცილებელი. მაშასადამე, ნებისმიერი თეორია, რომელიც ნივთების ასეთ მდგომარეობას შეესაბამება, დაკვირვებებზე, დაკვირვების დონეზე – second order cybernetics დონეზე – ჰაინც ფონ ფოერსტერის (Heinz von Foerster) აზრით, მეორე რიგის კიბერნეტიკის დონეზე უნდა განვსაზღვროთ.

მოდით, ახლა დავსვათ კითხვა: როგორ გამოიყურება სოციალურ სისტემათა სოციოლოგიური თეორია, თუ ის სერიოზულად ცდილობს, თეორიის ამგვარ განვითარებას მისდიოს? მე ვთვლი, რომ ამისთვის საჭიროა დავიწყოთ არა ქმედების ცნებით, არამედ კომუნიკაციის ცნებით. ვინაიდან არა ქმედება, არამედ მხოლოდ კომუნიკაცია ითვლება დაუნაწევრებელ (ელემენტარულ) სოციალურ ოპერაციად და ამავდროულად ოპერაციად, რომელიც უცილობლად მოდის ქმედებაში მუდამ, როცა სოციალური სიტუაციები წარმოქმნება.

ჩემი მოხსენების ძირითად ნაწილში მე შევეცდები, კომუნიკაციის შესაბამისი ცნება, სახელდობრ, ცნება განვიხილო, რომელიც ცნობიერებასა და სიცოცხლესთან, ესე იგი აუტოპოესისური სისტემების რეალიზაციის სხვა დონეებთან კავშირს მკაცრად გაურბის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს კომუნიკაცია სიცოცხლისა და ცნობიერების გარეშე შესაძლებელი იქნებოდა. კომუნიკაცია ასევე შეუძლებელია ნახშირბადისა და ზომიერი ტემპერატურის გარეშე, დედამიწის მიზიდულობისა და მატერიის ატომური კავშირების/ სტრუქტურის გარეშე. სამყაროს კომპლექსურობიდან/სირთულიდან გამომდინარე, მის განსაზღვრებაში შეუძლებელია ნივთების ამა თუ იმ მდგომარეობის ყველა შესაძლო პირობის გათვალისწინება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ცნება თეორიის აგების საქმეში ყოველგვარ კონტურს და მთელ ტექნიკურ ადეკვატურობას დაკარგავდა.

კომუნიკაცია სამი განსხვავებული სელექციის სინთეზის მეშვეობით ხორციელდება

სიცოცხლისა და ცნობიერების მსგავსად, კომუნიკაცია ემერჯენტულ რეალობას, ნივთების მდგომარეობას (sui generis) წარმოადგენს. ის სამი განსხვავებული სელექციის საშუალებით, სახელდობრ: ინფორმაციის სელექციით, ამ ინფორმაციის შეტყობინების სელექციით და ამ შეტყობინების და მისი ინფორმაციის სელექციური გაგებით ან არგაგებით ხორციელდება.

ამ კომპონენტებიდან არც ერთს ცალ-ცალკე, მხოლოდ თავის თავისთვის განხორციელება არ შეუძლია, კომუნიკაცია მხოლოდ მათი ერთობლიობით ხორციელდება. კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეტყობინებასა და ინფორმაციას შორის განსხვავება /დიფერენციაცია თუნდაც ერთხელ გაგებულია. ეს განასხვავებს მას სხვისი ქცევის უბრალო აღქმისაგან. კომუნიკაცია გაგების მომენტისას შინაარსის ინფორმაციულ ღირებულებებსა და იმ მიზეზებს შორის განსხვავებას იჭერს, რის გამოც შინაარსის შეტყობინება ხდება. ამასთან, მას შეუძლია ხაზი გაუსვას ამა თუ იმ მხარეს, ესე იგი მეტი ყურადღება მიაქციოს თვით ინფორმაციას ან ექსპრესიულ ქცევას. ამასთან, ის ყოველთვის დაკავშირებულია იმასთან, რომ ერთიც და მეორეც შეიცნობა, როგორც სელექცია და სწორედ ამის საშუალებით განსხვავდებიან. სხვა სიტყვებით, საჭიროა იმის წი-

ნასწარ დადგენის შესაძლებლობა გვქონდეს, რომ ინფორმაცია თავისთავად ვერ გაიგება და, რომ მისი შეტყობინებისთვის ცალკე გადაწყვეტილებაა საჭირო. და ეს, ბუნებრივია, მაშინაც კი რჩება ძალაში, როდესაც შემტყობინებელი თავისი თავის შესახებ რაღაცას იტყობინება. როდესაც სელექციის ასეთი დაყოფა არ ხორციელდება და მანამ, სანამ იგი არ განხორციელდება, საქმე, უბრალოდ, აღქმასთან (Wahrnehmung) გვაქვს.

აღქმისა და კომუნიკაციების განსხვავების განსაკუთრებული მნიშვნელობა

კომუნიკაციის და აღქმის განსხვავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიუხედავად იმისა, რომ სწორედ კომუნიკაცია მასთან ერთად განხორციელებული აღქმისათვის მდიდარ შესაძლებლობებს იძლევა. მაგრამ აღქმა, უპირველეს ყოვლისა, მაინც ფსიქიკურ მოვლენად/ხდომილებად რჩება, რომელიც კომუნიკაციურ ეგზისტენციას ვერ ფლობს. კომუნიკაციური ხდომილებების ფარგლებში მას ერთს, შემდგომი აღქმების გარეშე კომუნიკაციაში ჩართვა არ შეუძლია. ის, რაც აღიქვა სხვამ, შეუძლებელია ან დავადასტუროთ, ან უარვყოთ, ან ვიკამათოთ, ან კითხვები დავსვათ მასზე. ის ცნობიერებაში რჩება ჩაკეტილი და როგორც კომუნიკაციური სისტემებისთვის, ისე სხვა ცნობიერებისთვის შეუღწევადია. რა თქმა უნდა, ის შეიძლება შემდგომი კომუნიკაციებისთვის გარეგან საბაბადაც კი იქცეს. მონაწილეებს შეუძლიათ კომუნიკაციაში შეიტანონ საკუთარი აღქმები და მასთან დაკავშირებული ხდომილებების ინტერპრეტაციები, მაგრამ ეს მხოლოდ თავად კომუნიკაციური სისტემის კანონების შესაბამისადაა შესაძლებელი, მაგალითად, მხოლოდ ენის/მეტყველების ფორმით, მხოლოდ საუბრის დროის გათვალისწინებით, მხოლოდ საკუთარ თავზე ზეწოლით, მხოლოდ საკუთარი თავის გამოვლენით – ესე იგი მხოლოდ თავგზის ამრევ პირობებში.

გაგებაც – იგივე სელექციაა

ამასთან, არა მარტო ინფორმაცია და შეტყობინება, არამედ თვით გაგებაც წარმოადგენს სელექციას. გაგება არასოდეს არის შეტყობინების უბრალო გაორება/დუბლირება სხვის ცნობიერებაში. გაგება თავად კომუნიკაციურ სისტემაში შემდგომი კომუნიკაციებისათვის შეერთების პირობას წარმოადგენს, ესე იგი – სოციალური სისტემის აუტოპოესისის პირობაა. მონაწილენი, თითოეული თავის საკუთარ, თვითრეფერენტულ-ჩაკეტილ ცნობიერებაში, მუდმივად ამჯობინებენ იფიქრონ, რომ კომუნიკაციის სისტემა გამოიმუშავებს თავის საკუთარ გაგებას ან საკუთარ ვერგაგებას და ამ მიზნებისთვის თვითდაკვირვებისა და თვითკონტროლის პროცესებს ქმნის. გაგების და ვერგაგების შესახებ ისე უბრალოდ კომუნიცირება, როგორც ეს მონაწილეებს მოესურვებათ, არ შეიძლება/შეუძლებელია.

გაგება ან ვერგაგება შეიძლება კომუნიკაციაში ჩაირთოს, რა თქმა უნდა, კომუნიკაციური სისტემების აუტოპოესისის მხოლოდ განსაკუთრებულ სპეციფიკურ პირობებში, და არა უბრალოდ ისე, როგორც ეს მის მონაწილეებს მოესურვებათ. ამიტომ შეტყობინება „შენ ჩემი არ გესმის“ რჩება ამბივალენტური და, ამავდროულად, ამ ამბივალენტობის კომუნიცირებას ეწევა. ერთი მხრივ, ის ამბობს: „შენ არ ხარ მზად მიიღო ის, რისი თქმაც მე შენთვის მინდა“ და ამ ფაქტის განსაკუთრებულად აღიარების პროვოცირებას ცდილობს. მეორე მხრივ, ის წარმოადგენს ინფორმაციის შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ვერგაგების ასეთ პირობებში კომუნიკაციის გაგრძელება შეუძლებელია. და ის (ეს შეტყობინება) კომუნიკაციის გაგრძელებას წარმოადგენს.

გაგების სირთულეებთან ურთიერთობის ნორმალური ტექნიკა, უბრალოდ, ხელმეორედ შეკითხვასა და კომენტარებში, კომუნიკაციის შესახებ ნორმალურ, რუტინულ კომუნიკაციაში მდგომარეობს და იგი განსაკუთრებულ ფიზიკურ დატვირთვას არ მოითხოვს. ამ ნორმალურ რუტინას არღვევს ის, ვინც ცდილობს, კომუნიკაციაში განხეთქილება ან თავად კომუნიკაციის გაწყვეტის საშიშროება შეიტანოს. „შენ ჩემი არ გესმის", არღვევს ამ ნორმალურ რუტინას, მაგრამ ის მიღების ან უარყოფის პრობლემის სიძნელეების კამუფლირებას სემანტიკის საშუალებით ახდენს, რომელიც გვარწმუნებს, რომ პრობლემის წარმატებით გადაჭრა კომუნიკაციის შესახებ კომუნიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი.

რა არის ახალი კომუნიკაციის ასეთ ცნებაში?

პირველ ყოვლისა, ახალია სამი კომპონენტის – ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების – ერთმანეთისგან განსხვავება.

მსგავსი განსხვავება (ვერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფუნქციების თვალსაზრისით) შეიძლება კარლ ბიულერთან (Karl Buhler) ვიპოვოთ. ამერიკელებმა ოსტინმა და სერლმა (Austin და Searle) ის მოქმედების ტიპების ან სალაპარაკო აქტების თეორიებში გააძლიერეს და განამტკიცეს. თავის მხრივ, იურგენ ჰაბერმასმა აქ მნიშვნელობადობის მოთხოვნების ტიპოლოგია დაამატა, რომელიც კომუნიკაციაში იგულისხმება. ამასთან, ეს ყველაფერი ჯერ ისევ კომუნიკაციის იმ გაგებიდან გამომდინარეობს, რომელიც სოციალური მოქმედების თეორიაზეა დაფუძნებული, და ამიტომ, კომუნიკაციის პროცესს, როგორც ინფორმაციის წარმატებულ ან წარუმატებელ გადატანას განიხილავს.

სისტემურ-თეორიულ მიდგომაში, ამის საპირისპიროდ, ხაზი თვით კომუნიკაციის ემერჯენტულობას ესმება. არაფრის გადატანა არ ხდება. წარმოიქმნება ნამატი იმ აზრით, რომ კომუნიკაცია წარმოშობს მახსოვრობას/მეხსიერებას, რომელსაც ბევრი და საკმაოდ განსხავავებული სახით შეიძლება იყენებდეს. თუ „ა" ატყობინებს „ბ"-ს რაიმეს, მაშინ შემდგომი კომუნიკაცია შეიძლება მიმართული იყოს ან „ა"-სკენ, ან „ბ"-სკენ. სისტემა თითქოს მუდმივად ფეთქავს და გამუდმებით წარმოშობს ნამატსა და აწარმოებს სელექციას. წერილისა და წიგნის ბეჭდვის გამოგონების შედეგად სისტემის წარმოქმნის ასეთი ტექნოლოგია განუზომლად სრულყოფილი გახდა, რასაც სოციალური სტრუქტურებისთვის, სემანტიკისთვის, და თვით ენისთვისაც კი, რომელიც კვლევის თვალთახედვის არეში ეს-ეს არის ხვდება, შესაბამისი შედეგები ჰქონდა.

კომუნიკაციის სამი კომპონენტის სელექციათა განსხვავება

სამი კომპონენტი – ინფორმაცია, შეტყობინება და გაგება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული არც, როგორც ფუნქციები, არც, როგორც აქტები ან მნიშვნელობის ჰორიზონტები (არავინ კამათობს, რომ ეს ყველაფერი, ასევე, მათი შესაძლო ინტერპრეტაციებია). ეს, ასევე, არაა კომუნიკაციის რაღაც „აგურები", რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა და რომლებიც უნდა გააერთიანოს ვინმემ – ვინ? სუბიექტმა? უფრო ფართოდ, საუბარია განსხვავებულ სელექციებზე, რომელთა არჩევა და შერჩევის სფერო, საერთოდ, მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებით წარმოიქმნება. არ არსებობს ინფორმაცია კომუნიკაციის გარეშე, არ არსებობს შეტყობინება კომუნიკაციის გარეშე, არ არსებობს გაგება კომუნიკაციის გარეშე, და ამასთან, არა რაიმე მიზეზების გამო, რომლის თანახმადაც, ინფორმაცია უნდა იყოს შეტყობინების მიზეზი, შეტყობინება კი – გაგების მიზეზი, არამედ ურთიერთგანპირობებულობის წრიულობის გამო.

კომუნიკაცია – სრულიად ჩაკეტილი სისტემაა

კომუნიკაციის სისტემა სრულიად ჩაკეტილი სისტემა იმიტომ, რომ თვითონ წარმოქმნის იმ კომპონენტებს, რომლისგანაც ის შედგება. ამ აზრით კომუნიკაციის სისტემა წარმოადგენს აუტოპოესისურ სისტემას, ამიტომაც ყველაფერი, რაც სისტემის ერთიანობისათვის არის საჭირო, იწარმოება და კვლავ იწარმოება თვით სისტემის მიერ. ის, რომ ეს შეიძლება სისტემის მხოლოდ გარემომცველ სამყაროში მოხდეს და მისი იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებსაც ეს გარემო აწესებს, თავისთავად იგულისხმება.

თუ უფრო კონკრეტულ ფორმულირებას მივმართავთ, ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციის სისტემა არა მხოლოდ საკუთარი ელემენტების – იმის, რაც ყველა შემთხვევაში შემდგომში კომუნიკაციის განუყოფელ ერთეულს (ნაწილს) წარმოადგენს, – არამედ საკუთარი სტრუქტურების სპეციფიკაციასაც ახდენს. ის, რაც არ კომუნიცირდება, არ შეუძლია ხელი შეუწყოს მას, მასში არაფრის შემტანია. მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია გავლენა იქონიოს კომუნიკაციაზე: მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია კომუნიკაციის ერთეულების გამოყოფა (მაგალითად, გააანალიზოს ინფორმაციის სელექციის ჰორიზონტი ან შეტყობინების მიზეზების შესახებ კითხვა დასვას) და მხოლოდ კომუნიკაციას შეუძლია აკონტროლოს და შეასწოროს კომუნიკაცია.

ადვილად დასანახია, რომ ასეთი რეფლექსური ოპერაციების გატარების პრაქტიკა განსაკუთრებით მფლანგველ ხერხს წარმოადგენს, რომლის ჩარჩოებში მოქცევა მხოლოდ კომუნიკაციის აუტოპოესისის თავისებურების საშუალებით შეიძლება. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ყოველთვის უფრო და უფრო ზუსტი გაგების უზრუნველვყოფას შევძლებთ. დროის განსაზღვრულ მომენტში, და თანაც ძალიან მალე, კომუნიკაციის მაქსიმალური გამოყენების საზღვრები მიღწეული ან მოთმინება-გარე ფსიქიკურ გარემოზე დატვირთვის დასაშვები საზღვრები-ამოწურული იქნება, ან სხვა თემებისა და პარტნიორებისადმი ინტერესების წინ წამოწევა მოხდება.

კომუნიკაციას არა აქვს მიზანი

სისტემის წრიული, აუტოპოესისური ჩაკეტილობის ამ თეზისის მიღება არაა ადვილი. საჭიროა გარკვეული დროის განმავლობაში მასთან აზრობრივად ექსპერიმენტირება, რომ თანდათან დავინახოთ, თუ რას გვაძლევს ის. მეორეს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ თეზისსაც იგივე ეხება. კომუნიკაციას არა აქვს არავითარი მიზანი, არავითარი იმანენტური ენტელეხია. ის ხდება ან არ ხდება – ესაა ყველაფერი, რაც მასზე შეიძლება ითქვას. ამ დამოკიდებულებით თეორია არა არისტოტელეს ductus (სწორხაზოვანი მოძრაობა) ხელწერას, არამედ უფრო სპინოზას თეორიულ სტილს მისდევს. თავისთავად იგულისხმება, რომ რადგანაც აუტოპოესისი ფუნქციონირებს, კომუნიკაციის სისტემების შიგნით შეიძლება მიზანზე ორიენტირებული ეპიზოდები წარმოიშვას; ისევე, როგორც ცნობიერებამ შეიძლება ეპიზოდურად დაისახოს მიზნები, მაგრამ ისე, რომ ეს მიზანდასახულება არ იყოს სისტემის მიზანი. ნებისმიერ სხვა გაგებას დასჭირდებოდა იმ ფაქტის დასაბუთება, თუ სისტემა თავისი მიზნების მიღწევის შემდეგ არსებობას რატომ აგრძელებს; ან საჭირო იქნებოდა იმ ძველი აზრის განმეორება, რომ სიკვდილი სიცოცხლის საზრისს წარმოადგენს.

კომუნიკაციური მოქმედების რაციონალურობის თეორია უკვე ემპირიულად არასწორია

ხშირად მეტ-ნაკლები იმპლიციტურობით თვლიან, რომ კომუნიკაცია კონსენსუსზე, გაგების ძიებაზეა ორიენტირებული. ამ წანამძღვრებზეა აგებული ჰაბერმასის მიერ დამუ-

შავებული კომუნიკაციური მოქმედების რაციონალურობის თეორია. მიუხედავად ამისა, ის მცდარია, უკვე სუფთა ემპირიულად. შეიძლება კომუნიკაციაში ჩართვა, რათა გამოხატო უთანხმოება (Dissens), შეიძლება იკამათო, და არ არსებობს არავითარი იმპერატიული საფუძველი, თანხმობის ძიება უფრო რაციონალურად ჩაითვალოს, ვიდრე უთანხმოების ძიება. ეს მხოლოდ თემებსა და პარტნიორებზეა დამოკიდებული. თავისთავად იგულისხმება, რომ კომუნიკაცია შეუძლებელია რაიმე თანხმობის გარეშე; მაგრამ ის, ასევე, რაიმე უთანხმოების გარეშეც შეუძლებელია. ის, რაც მას აუცილებლად განაპირობებს არის ის, რომ მოცემულ მომენტში არააქტუალურ თემებთან დამოკიდებულებაში თანხმობის ან უთანხმოების საკითხი შეიძლება ღიად დავტოვოთ. აქტუალური თემების შემთხვევაშიც კი – მაშინაც კი, როცა საბოლოოდ მოძებნეთ მანქანის გასაჩერებელი და ბევრი სიარულის შემდეგ იპოვეთ კაფე, რომელშიც რომში საუკეთესო ყავა უნდა იყოს, და დალიეთ რამდენიმე ყლუპი? – სად არის აქ კონსენსუსი ან უთანხმოება მანამ, სანამ სიამოვნება კომუნიკაციით არ გაფუჭდება?

ყველა კომუნიკაცია სარისკოა

კონსენსუსისკენ მიმართული ენტელეხიის ადგილზე სისტემური თეორია განსხვავებულ თეზისს აყენებს: კომუნიკაცია ამძაფრებს საკითხს ისე, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმას, შეტყობინებული და გაგებული ინფორმაცია მიღებული იქნება თუ უარყოფილი. შეტყობინებებს დაიჯერებენ ან არ დაიჯერებენ: კომუნიკაცია, პირველ რიგში, მხოლოდ ამ ალტერნატივებს ქმნის და ამით – უარყოფის რისკსაც. ის ალტერნატიული მდგომარეობის, როგორც ისეთი მდგომარეობის, ფორსირებას ახდენს, რომელიც კომუნიკაციის გარეშე არც კი წარმოიქმნებოდა/გაჩნდებოდა. ამასთან დაკავშირებით ყველა კომუნიკაცია სარისკოა. ეს რისკი ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მორფოგენეტიკურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელსაც იმ ინსტიტუტების წარმოქმნასთან მივყავართ, რომლებიც არარეალური კომუნიკაციების დროსაც კი მათი მიღების მზადყოფნას უზრუნველყოფენ.

ამასთან, შესაძლებელია საპირისპიროც, რაც მე სამართლიანად მეჩვენება შორეული აღმოსავლეთის კულტურებისთვის, პირდაპირ საპირისპირო სახით სენსიბილირება: კომუნიკაციებს, უარყოფის დიდი ალბათობის გამო, თავიდან იცილებენ, ცდილობენ, სურვილები მათ გამოხატვამდე აისრულონ, სანამ ისინი სწორედ შეზღუდვით (გამონათქვამით) იქნება გამოთქმული და სიგნალიზებული; კომუნიკაციაში მონაწილეობას იღებენ ისე, რომ არ ეწინააღმდეგებიან და არ უშლიან ხელს კომუნიკაციას, ამგვარად, მიღებას ან უარყოფას „აბრუნებენ“.

კომუნიკაცია აორმაგებს რეალობას

ამგვარად, კომუნიკაცია (ესე იგი, ეს საჭირო პუნქტი კიდევ ერთხელ სხვანაირად რომ გავიმეოროთ) აორმაგებს რეალობას. ის მის ორ ვარიანტს ქმნის: ვარიანტი „დიახ“ და ვარიანტი „არა“, და ამით სელექციას აიძულებს. და სწორედ იმაში, რომ ახლა რაღაც უნდა მოხდეს (თუნდაც ეს კომუნიკაციის ექსპლიციტურად კომუნიცირებადი გაწყვეტა იყოს), დევს სისტემის აუტოპოესისი, რომელიც მისი საკუთარი არსებობის გაგრძელების გარანტიაა.

„მიღების ან უარყოფის“ ალტერნატივის გამძაფრება სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა კომუნიკაციის თვით აუტოპოესისს. ის შემდგომი-მომდევნო კომუნიკაციებისთვის მიერთების პოზიციის დიფერენცირებას უზრუნველყოფს, რომლებიც ახლა მიღწეული კონსენსუსით ან უთანხმოებით (განხილვით) დაკავდებიან ან შეეცდებიან, პრობლემების გართულება გაითვალისწინონ და მომავალში დელიკატური თემები თავიდან აიცილონ.

ყოველივე ის, რაც შეიძლება კომუნიცირებადი გახდეს, ამ მკაცრ ბიფურკაციას, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ვერ გაექცევა: ესაა სამყარო (ფენომენალური აზრით), როგორც საზრისის ბოლო ჰორიზონტი, რომელშიც ეს ყველაფერი თამაშდება, და რომელიც თავად როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად შეიძლება იქნეს მიღებული ან უარყოფილი, მაგრამ ამ დროს საზრისის მატარებელ ყველა კომუნიკაციაში, როგორც შემდგომი კომუნიკაციების მისაწვდომობის პირობა, კვლავ იწარმოება.

კომუნიკაციების ღირებულებითი დამოკიდებულება

ნება მიბოძეთ, ახლა ეს თეორიული მდგომარეობა ერთ სპეციალურ საკითხზე – კომუნიკაციის ღირებულებითი დამოკიდებულების პრობლემაზე მოვსინჯო. ჩვენ ნეოკანტიანურ საფუძვლებზე, ასევე, იურგენ ჰაბერმასის მიერ, ისე ვართ ნავარჯიშები, რომ მაშინვე აქ მნიშვნელობაზე მოთხოვნები (Geltungsanspruche) უნდა შევამჩნიოთ და მათ შემოწმებას შევუდგეთ. სინამდვილე მარტივია და, ამავდროულად – რთულიც.

ის, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ ემპირიულად, ეს, პირველ ყოვლისა, არის ის, რომ ღირებულება (Wert) კომუნიკაციაში იმპლიკაციის საშუალებითაა ჩართული. მათ გულისხმობენ/ვარაუდობენ. მასზე მინიშნებებს აკეთებენ. პირდაპირ არ ამბობენ: „მე მშვიდობის მომხრე ვარ“. „მე ვუფრთხილდები საკუთარ ჯანმრთელობას“. ამას გაურბიან უკვე ცნობილი მიზეზის გამო – რადგანაც ეს მიღებისა და უარყოფის შესაძლებლობებს გააორმაგებდა. სწორედ ეს წარმოადგენს ღირებულებების შემთხვევაში ზედმეტს ან, ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან.

კამათობენ არა ღირებულებებზე, არამედ პრიორიტეტებზე

მაშასადამე, ღირებულებები მათი მნიშვნელობის სერიოზულ საყრდენს გულისხმობენ/აღნიშნავენ. ის, ვინც კომუნიცირებისას ღირებულებებზე ორიენტირდება, ღირებულების ბონუსს იყენებს – საკუთარი თავის შესახებ გვაცნობებს – თუ ის თანახმა არ არის, მაშინ მეორემ უნდა განაცხადოს ამის შესახებ. ვითომ მშვენიერებისა და სიკეთის ღირებულებების დასაცავად მოქმედებენ და სარგებელს კი იქიდან იღებენ, რომ მან, ვინც გაპროტესტებას მოისურვებს, კომპლექსურობის (სირთულის) მთელი სიმძიმე თავის თავზე უნდა იკისროს, თავს იდოს. არგუმენტაციის მთელი ტვირთი მან უნდა იკისროს. ის ინოვაციურად აზროვნებისა და თავისი თავის იზოლირების აუცილებლობის საშიშროებაში ვარდება. და აქ იმპლიცირებულად ღირებულებები მუდამ მეტია, ვიდრე შემდეგი სვლით იქნება თემატიზებული, ასე რომ, მათი დანაწილება, უარყოფა ან მოდიფიკაცია თითქმის უიმედო წამოწყება იქნება. არა ღირებულებებზე, არამედ უპირატესობებზე, ინტერესებზე, პროგრამებზე, დანიშნულებებზე კამათობენ. მაგრამ ეს, ასევე, ღირებულებების სისტემის არსებობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ეს ასევე არ ნიშნავს, და პირველ რიგში ესაა მთავარი, რომ ჩვენ (ამ შემთხვევაში) საქმე ფსიქოლოგიურად სტაბილურ სტრუქტურებთან გვაქვს. პირიქით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გვეჩვენება, რომ ღირებულებების არსებობა განსაკუთრებით არამყარია, ისინი იძულებულნი არიან, განსაკუთრებულად მოძრავი წესით იარსებონ. ხანდახან ისინი გამოიყენებიან ან არ გამოიყენებიან იმისთვის, რათა ამის უკან ღრმა ფსიქოლოგიური სტრუქტურის აღმოჩენა შესაძლებელი იყოს. მათი სტაბილურობა – მე მინდა ამით პროვოკაციული ფორმულირება შემოგთავაზოთ – მხოლოდ განსაკუთრებული კომუნიკაციური არტეფაქტია, ხოლო ცნობიერების აუტოპოესისური სისტემა მას ისე ექცევა, როგორც მას მოსწონს. და სწორედ იმიტომ, რომ ამ თამაშში სოციალური სისტემის აუტოპოესისის სტრუქტურებია ჩართული, სოციალური სისტემის ძირითადი საფუძვლების საკუთარი მოხმარების თვალსაჩინოებისათვის ღირებულებითი სემანტიკა

ვარგისია. მისი სტაბილურობა ჩასმა/შენაცვლების რეკურსიულ შენაცვლებას და სემანტიკის აპრობაციას ეფუძნება, რომელთანაც ის, გარემოების შესაბამისად, ფუნქციონირებს ან არ ფუნქციონირებს. „მნიშვნელობის საფუძველია" რეკურსიულობა, რომელიც წინააღმდეგობებისაგან კომუნიკაციური განყენების (წინააღმდეგობების დამცრობის) მეშვეობითაა გამყარებული.

ღირებულებების თვითრეალიზაცია (Selbstvollzug) არ არსებობს

ის, რასაც ამ დროს ცნობიერება ფიქრობს – უკვე სრულიად სხვა საკითხია. თუ ის თავისი საქმის კარგი მცოდნე და გამოცდილია, მაშინ მას ეცოდინება, რომ ღირებულებითი კონსენსუსი იმდენად გარდაუვალია, რამდენადაც მავნე, რამდენადაც ღირებულებების თვითრეალიზაცია არ არსებობს და ყველაფერი ის, რასაც გვგონია, რომ ისინი მხარს უჭერენ, რეალიზებისას ყოველთვის შეიძლება გზიდან იქნეს ჩამოცილებული, რა თქმა უნდა, ღირებულებების სახელით.

შედეგები სისტემური დამოკიდებულებების/ურთიერთობების დიაგნოსტიკისა და თერაპიის სფეროში.

სისტემისა და კომუნიკაციის თეორიების ცნებითი აპარატის ასეთი ტიპის ღრმა რევიზიას, სისტემების იმ მდგომარეობის, რომლებიც, როგორც პათოლოგიური, განიხილება, დიაგნოსტიკისა და თერაპიისათვის, რა თქმა უნდა, თავისი შედეგები ექნება. მე ამ სფეროში შესაბამისი კომპეტენცია არ მყოფნის და, პირველ რიგში, ის ავტომატური თვითკონტროლის ის სახეა, რომელიც ამ გარემოსთან ახლო გაცნობის შედეგად წარმოიქმნება. მაგრამ მე მაინც მინდა თავისებური რეზიუმეს /დასკვნის საშუალებით შევეცადო, გავაშუქო რამდენიმე პუნქტი, რომელიც ცნობილი ფენომენების ახლებურად კონსტრუირების საბაბს მოგვცემდა.

უპირველეს ყოვლისა, დასაწყისიდანვე ფსიქოლოგიურ და სოციალურ სისტემებს შორის არსებული განსხვავება იკვეთება. ერთი – ცნობიერების ბაზისზე, მეორე კი კომუნიკაციის ბაზისზე ოპერირებს/მოქმედებს. ორივე წრიულად ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენს, რომლებსაც, შესაბამისად, აუტოპოესისური კვლავწარმოების მხოლოდ თავისი საკუთარი მოდუსი შეუძლიათ გამოიყენონ. სოციალურ სისტემას არ შეუძლია აზროვნება, ფსიქოლოგიურ სისტემას არ შეუძლია განახორციელოს კომუნიკაცია. ამის მიუხედავად, მიზეზობრივი თვალსაზრისით, მათი მუდმივი, მაღალი სირთულის ურთიერთდამოკიდებულები არსებობს. ანუ, ჩაკეტილობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთზეგავლენა არ არსებობს და რომ ასეთი ურთიერკავშირი შეუძლებელია დაკვირვებულ ან დამკვირვებლის მიერ აღწერლ იქნეს. უბრალოდ, ამ აღწერაში აუტოპოესისური ჩაკეტილობის მხოლოდ საწყისი მდგომარეობა უნდა შევიდეს. ეს ნიშნავს, რომ ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ სისტემის მხრიდან, რომელიც მოქმედებას განიცდის თანაშესრულების საშუალებით და გასათვალისწინებელია, რომ სისტემები ერთმანეთისთვის შეუღწევად-გაუმჭვირვალეა, ანუ ერთმანეთის მართვა არ შეუძლიათ.

ასეთი ამოსავალი დებულებების განვითარებისას აუცილებელია ვთქვათ, რომ ცნობიერებას კომუნიკაციაში მხოლოდ ხარვეზები, მხოლოდ დარღვევები, მხოლოდ პერტურბაცია შეაქვს, იგივე უნდა ითქვას კომუნიკაციის მიერ ცნობიერებაში შეტანილი არეულ-დარეულობის შესახებაც. სინამდვილეში, თუ თქვენ აკვირდებით კომუნიკაციის პროცესს, მაშინ თქვენ უნდა იცოდეთ წინა კომუნიკაციები, ასევე შესაძლებელია იცოდეთ კომუნიკაციის თემები და ის, რაც ამის შესახებ გაცნობიერებულად/გასაზრისიანებულად შეიძლება ითქვას. ინდივიდების ცნობიერების სტრუქტურების ცოდნა ამ დროს თქვენ საერთოდ არც კი გჭირდებათ.

ამასთან, ეს უკანასკნელი არგუმენტი, რასაკვირველია, დაზუსტებას ითხოვს, რადგანაც კომუნიკაციის სისტემებით ხშირად ხდება ინდივიდუუმების (ფსიქიკური სისტემების. ა.ბ.) თემატიზება, და ამ შემთხვევაში ცნობიერება ეჩვევა საყვარელ სიტყვებს, განსაზღვრული ისტორიების თხრობას და, ნაწილობრივ, კომუნიკაციასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს.

ერთეული /ცალკეული ცნობიერება სიტყვების ირგვლივ ცეკვავს, როგორც ციცინათელა

დამკვირვებელს შეუძლია ფსიქიკურ და სოციალურ სისტემებს შორის არსებული მაღალსტრუქტურული ურთიერთკავშირების შეცნობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონაწილეების ცხოვრებისეულ გამოცდილებაში კომუნიკაციური მიღწევების ფსიქიკური სელექციურობა სოციალური სელექციურობისაგან სრულიად განსხვავებულია; და უკვე ჩვენს ნათქვამზე უმნიშვნელო დაკვირვებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაოდენ არამკაცრი და გაურკვეველია იმ სიტყვის ჩვენი არჩევანი, რათა შეგვეძლოს ვთქვათ ის, რისი თქმაც შეიძლება; რამდენადაც ნათქვამი სიტყვა უკვე „აღარ არის ის“, რაც მასში მოიაზრებოდა და იგულისხმებოდა, და რამდენად უგუნურად თამაშობს ცნობიერება სიტყვების ირგვლივ. ის მათ როგორც იყენებს, ისე დასცინის, ის ერთდროულად აქვს მხედველობაში და არც აქვს, ის საშუალებას აძლევს გამოჩნდეს და ასევე დაიკარგოს, მას უნდა თქვას და შემდეგ მაინც არ აკეთებს ამას სერიოზული მიზეზის გარეშე. თუ ჩვენ ვეცდებით საკუთარ ცნობიერებას აზრიდან აზრამდე მის ოპერაციებში ნამდვილად დავაკვირდეთ, აღმოვაჩენთ ენით საკუთარ გაოცებას, ამავდროულად, არაკომუნიკაციურ, ენობრივი სიმბოლოების სუფთა შიდა გამოყენებას და ცნობიერების აქტუალურობის საკუთარ ფარულ სიღრმეებს, რომელშიც სიტყვები, როგორც გემები ცურავენ – ეჭიდებიან ერთმანეთს, თუმცა ამ დროს თვითონ ცნობიერებას არ წარმოადგენენ; არიან როგორღაც „განათებულები, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენენ სინათლეს (შუქს)“. ასე რომ – „სადღაც ანათებს, მაგრამ შუქი არა“.

ცნობიერების ეს უპირატესობა კომუნიკაციაზე (რომელიც, რა თქმა უნდა, უკუსისტემური რეფერენციის დროს კომუნიკაციის ცნობიერებაზე უპირატესობას შეესაბამება) მთლიანად გასაგები გახდება, თუ დავფიქრდებით იმაზე, რომ ცნობიერებას არა მხოლოდ სიტყვებთან ან ბუნდოვან სიტყვიერ და ტექსტუალურ იდეებთან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შთაბეჭდილებებთან და გამოსახულებების წარმოსახვით შექმნასა და დემონტაჟთან აქვს საქმე. თვით მეტყველების დროსაც კი ცნობიერება განუწყვეტლივ შთაბეჭდილებებითაა დაკავებულია და ხშირ შემთხვევაში მგონია, რომ ფორმულირებისას თითქოს ვხედავ გამოყვანილ ასოებს (მდგომარეობა, რომელსაც, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, აქამდე არ ექცეოდა ყურადღება კულტურებში დამწერლობის „შრიფტიზაციის“ წარმოქმნის კვლევებისას).

კომუნიკაცია აუცილებლად უნდა მიესადაგოს ცნობიერების მოციმციმე ციცინათელას

ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ახლა სისტემური რეფერენცია ისევ შევცვალოთ და კომუნიკაციის სოციალურ სისტემას დავუბრუნდეთ, რომელიც იძულებულია, ცნობიერების მოციმციმე ციცინათელას ამ მოძრაობას მიესადაგოს. ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს კომუნიკაციას ცნობიერება ნაწილ-ნაწილ გადააქვს. პირიქით, ცნობიერება, რომელიც ამ დროს მუდმივად აზროვნებს თავისთავად, forced choice

(ძალდატანებითი /იძულებითი არჩევანის) სიტუაციაში მანევრირებს და კომუნიკაციაზე ორიენტირდება – ან, ყოველ შემთხვევაში, კომუნიკაციიდან გამომდინარე ეს ისე გამოიყურება, თითქოს ამას კომუნიკაციის შიგნიდან უყურებ. კომუნიკაცია შეიძლება კომუნიკაციურად გასაგები ხერხით იყოს მიღებული ან უარყოფილი (და, რა თქმა უნდა, თემატიკა უშვებს ფაქტორიზაციას, ისე, რომ მიღების ან ურყოფის გადაწყვეტილება მრავალ გადაწყვეტილებად იქნება დანაწევრებული). კომუნიკაციაში ცნობიერების აუტოპოესისური ავტონომია, შეიძლება ითქვას, ბინარიზაციის საშუალებით იქნება წარმოდგენილი და დაკმაყოფილებული.

კომუნიკაცია ცნობიერებას დარღვევების /დაბრკოლებების შექმნის ნებას რთავს

ბუნდოვანი ცნობიერების ნაცვლად, ე.ი. კომუნიკაციური სისტემის გარემოს ნაცვლად, ჩნდება გადაწყვეტილება, რომელიც კომუნიკაციაში შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც: „დიახ“ ან „არა“, დამატებითი კითხვა, შესაძლო შეფერხება, გადავადება, უარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაცია ცნობიერებას საკუთარი თავისთვის ხელის შეშლის და ამის გათვალისწინების შესაძლებლობასაც კი აძლევს, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ იმ ფორმებში, როცა შესაძლებელია შემდგომ კომუნიკაციებში ჩართვა, ესე იგი, რომელთა კომუნიკაციურად განმარტება შესაძლებელია. ამგვარად, ამას სისტემების აუტოპოესისის აღრევასთან არასოდეს მივყავართ, მაგრამ, სამაგიეროდ, სისტემების კო-ევოლუციას და მათ შეწყობილ რეაგირებას მაღალ დონეზე განაპირობებს.

გასაგებია, რომ მოცემული ანალიზი ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის საკმარისი იმის აღსაწერად, რასაც ჩვენ, როგორც სისტემის პათოლოგიურ მდგომარეობას, ვეჯახებით/ვაწყდებით. ბუნდოვანების ამ თეორიის თანახმად, ორივე მხრიდან ხმაური, ხარვეზები, პერტურბაციები, ჩვეულებრივი შემთხვევებია, რომლის მიღებისა და აბსორბაციისათვის, როგორც ფსიქიკური, ისე სოციალური „მოცულობები“ მუდმივად მზადაა. პათოლოგიის შთაბეჭდილება მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, როცა ტოლერანტობის ზღურბლი ირღვევა ან, შესაძლოა, კიდევ ასე ვთქვათ: როცა სისტემის მეხსიერება გამოიყენება და შეფერხებების გამოცდილება შეინახება, აგრეგირდება, კვლავ პრეზენტირდება, ჰიპერკორექტურის და შეთანხმებების მიღწევის შედეგად მტკიცდება/ძლიერდება და როცა ამისათვის სისტემის სულ უფრო მეტი მოცულობები გამოიყენება. როგორც არ უნდა იყოს, თეორიული პოზიციიდან გამომდინარე, რომლის მონახაზს გაკეთებასაც შევეცადე, კარგი იქნება, მკაფიოდ გავარჩიოთ ფსიქოლოგიური და სოციალური პათოლოგიები და, პირველ ყოვლისა, ვიყოთ ფრთხილად, როცა უნდათ ერთ-ერთი მათგანი, როგორც მეორის ინდიკატორი ან თუნდაც მიზეზი განიხილონ.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ნიკლას ლუმანი

ნ. ლუმანის მიხედვით, საზოგადოება, როგორც ყოვლისმომცველი სოციალური სისტემა, გარემომცველი სამყაროსაგან, რომელსაც ცნობიერების (ინდივიდების) სისტემები, ტვინის სისტემა, ფიზიკური სისტემები მიეკუთვნება, თავისი თავის განსხვავებით იგება, კონსტრუირდება. გარემომცველი სამყაროსაგან თავისი თავის შემოსაზღვრისას, საზოგა-

დოებას შეუძლია ჩაკეტილი სახით იმოქმედოს და, რამდენადაც ერთადერთ ნამდვილ სოციალურ ოპერაციად გვევლინება კომუნიკაცია, ამდენად, ოპერატიული ჩაკეტილობა იმით გამოიხატება, რომ ერთი კომუნიკაცია ებმება და უერთდება მეორე კომუნიკაციას. საზრისი კი არის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც ასეთი მიერთება ხორციელდება. მაგრამ თავად საზოგადოება არაერთგვაროვანია და მთელ რიგ ისეთ ქვესისტემებად დიფერენცირდება, როგორებიცაა: ფუნქციონალური ქვესისტემები (მასმედია, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვები), პირის-პირ ინტერაქციების სისტემა, აგრეთვე, ორგანიზაციათა სისტემა. თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა განცალკევდება-განკერძოვდება კომუნიკაციათა კოდირების გზით: კი – რედაქციისა, და არა – რედაქციის მეშვეობით, რომლებიც საზრისშია ჩადებული. ამგვარად, თითოეული ფუნქციონალური ქვესისტემა ისწრაფვის, თავის თავში მხოლოდ მისთვის სპეციფიკური კომუნიკაციები მოიცვას, მაგრამ ამავე დროს სხვაგვარის კომუნიკაციები გამორიცხოს. მაგალითად, მეცნიერება არსებობს ჭეშმარიტება-სიყალბის კოდის წყალობით, ამიტომ მასში ნებისმიერ ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას შეუძლია შეუერთდეს განსაკუთრებით სხვა ჭეშმარიტ მტკიცებას-დებულებას. კომუნიკაცია, როგორც ასეთი, ინფორმაციის, შეტყობინების და გაგების (ინფორმაციასა და შეტყობინებას შორის განსხვავების გაცნობიერება) სამერთიანობაა.

კითხვები და დავალებები:

1. გაანალიზეთ სისტემურ-თეორიული აზროვნების განვითარების ეტაპები.
2. გაანალიზეთ ის ეპისტემოლოგიური ცრურწმენები, რომლებიც, ლუმანის აზრით, სოციოლოგიური საგნის ერთიანობის მიღწევას ხელს უშლიან.
3. განმარტეთ ნ. ლუმანის დებულების – „საზოგადოების ცნება ავტოლოგიურად უნდა ჩამოყალიბდეს“ – საზრისი და მნიშვნელობა.
4. დაახასიათეთ და განმარტეთ ნ. ლუმანის მიერ კომუნიკაციის ცნების დეფინიციაში შეტანილი სიახლეების საზრისი.
5. განმარტეთ დებულების – „საზოგადოება ყველა თავისი თავის აუტოპოესისურად კვლავწარმოებული კომუნიკაციების ყოვლისმომცველ სისტემას წარმოადგენს მაშინ, როდესაც იგი ყველა ახალ (და ყველა დროში სხვა) კომუნიკაციას კომუნიკაციის რეკურსიულ ქსელში აწარმოებს“ – აზრი და მნიშვნელობა.
6. ჩამოთვალეთ და სათითაოდ დაახასიათეთ აუტოპოესისური სისტემის მახასიათებლები.
7. განმარტეთ დებულების – „მნიშვნელობა მხოლოდ ალტერნატივასთან შეპირისპირება-დაპირისპირებისას წარმოიშობა“ – აზრი და მნიშვნელობა.
8. რა არის ორმაგი შესაძლებლობის პრობლემის არსი და როგორია მისი დაძლევის გზები?
9. ჩამოთვალეთ და გააანალიზეთ ევოლუციური პროცესის ლუმანისეული გაგების ფუნქციების(მექანიზმების) როლი.
10. განმარტეთ მოსაზრება: „ლუმანის სისტემური თეორია საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც „ყოვლისმომცველ სოციალურ სისტემას, რომელიც ყველა დანარჩენ სოციეტალურ სისტემებს მოიცავს“. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ცნება მსოფლიო საზოგადოების ცნების იდენტურია, ე.ი. საზოგადოება შეიძლება მხოლოდ ერთი არსებობდეს...“

ძირითადი ლიტერატურა:

Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.248.

Луман Н. Понятие общества. В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.248.

Луман Н. Почему необходима «системная теория»? В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.248.

Интервью с проф. Н. Луманом. В кн.: Проблемы теоретической социологии. С.-Петербург, ТОО ТК «Петрополис», 1994. -С.248.

Луман Н. Теория общества. В кн. Теория общества, фундаментальные проблемы. М.: «Канон-пресс Ц» «Кучково поле», 1999 стр. 196-235.

Луман Н. Что такое коммуникация? Социологический журнал 1995, №3, стр. 1-9

Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2000; гл. 5. стр. 215-237.

Anette Treibel Einfuhrung in sociologische Theorien der Gegenwart. U. Auflage Opladen Lektion II H. 19-38 1997.

დამატებითი ლიტერატურა:

Луман Н. Власть. М. Праксис, 2001, стр. 7-34, 151-178

Антоновский А. Ю. Социальные системы Никласа Лумана. В кн. Луман Н. Власть. стр. 223-249.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524

თავი მესამე – კომუნიკაციური მოქმედების თეორია. იურგენ ჰაბერმასის სოციოლოგიური შეხედულებები

1. *ი. ჰაბერმასი, როგორც პიროვნება და მეცნიერი;*
2. *ლუმანი და ჰაბერმასი: ფუნქციონალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია;*
3. *სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს დიფერენციაცია – დეცენტრალიზაცია და სოციალური მოქმედების ტიპები;*
4. *ცოდნა და ინტერესები. უთანხმოება მარქსთან;*
5. *რაციონალიზაცია, კომუნიკაცია, დისკურსი;*
6. *ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროს კოლონიზაცია;*
7. *„სისტემა“ და „სიცოცხლის სამყარო“;*
8. *სოციალური და სისტემური ინტეგრაცია;*
9. *სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია და მისი დაძლევის გზები;*
10. *თანამედროვეობის დაუსრულებელი პროექტი;*
11. *ჰაბერმასი პოსტმოდერნისტების წინააღმდეგ.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი;
- ცხოვრების სამყარო, როგორც მნიშვნელობათა არათემატიზებული ჰორიზონტი;
- სოციალური პროგრესი და რაციონალურობა;
- სტრატეგიული, ნორმატიული, დრამატურგიული და კომუნიკაციური მოქმედება;
- დისკურსი და „იდეალური სამეტყველო სიტუაცია“;
- ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია;
- სოციალური და სისტემური ინტეგრაცია;
- რაციონალური საზოგადოება.

1. იურგენ ჰაბერმასი, როგორც პიროვნება და მეცნიერი

იურგენ ჰაბერმასი დღეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური თეორეტიკოსი. ის დაიბადა საშუალო კლასის საკმაოდ ტრადიციულ ოჯახში 1929 წლის 18 ივნისს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში. ჰაბერმასის მამა სავაჭრო პალატის დირექტორი იყო. ყმაწვილკაცობაში მეორე მსოფლიო ომმა მასზე დიდი გავლენა იქონია. ომის დამთავრებამ დიდი იმედები და შესაძლებლობები მისცა გერმანელებს, მათ შორის, ჰაბერმასს. ნაციზმის კრახმა ოპტიმისტური განწყობა შექმნა გერმანიის მომავლის შესახებ, მაგრამ პირველმა ომის შემდგომმა წლებმა იმედები გაუცრუა. ნაცისტური რეჟიმის დასრულებით გაიზარდა ინტელექტუალური შესაძლებლობები, ადრე აკრძალული წიგნები ხელმისაწვდომი გახდა ჰაბერმასისათვის. ეს იყო დასავლური და გერმანული ლიტერატურა, მათ შორის, მარქსისა და ენგელსის ტრაქტატები. 1949 – 1954 წწ. გიოტინგენში, ციურიხსა და ბონში ჰაბერმასმა სხვადასხვა დისციპლინები (მაგალითად, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, გერმანუ-

ლი ლიტერატურა) შეისწავლა, მაგრამ ამ დროის ჰაბერმასის არც ერთი მასწავლებელი იყო გამოჩენილი პიროვნება, მეტიც, უმეტესობას სახელიც კი ქონდა გატეხილი, რადგან მხარს ღიად უჭერდნენ ნაცისტებს და აგრძელებდნენ აკადემიურ საქმიანობას. ჰაბერმასმა დოქტორის ხარისხი მიიღო ბონის უნივერსიტეტში 1954 წელს და ორი წლის განმავლობაში ჟურნალისტად მუშაობდა.

1956 წელს ჰაბერმასი მუშაობას ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტში იწყებს და ფრანკფურტის სკოლასთან თანამშრომლობს. სინამდვილეში ის გახდა ამ სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, თეოდორ ადრონოს ასისტენტი და, ასევე, ინსტიტუტის კორპორაციის წევრი. ფრანკფურტის სკოლას ხშირად თვლიან თანმიმდევრულად, თუმცა ჰაბერმასი ასე არ ფიქრობს: ჩემთვის არასოდეს არსებობდა თანმიმდევრული თეორია. ადორნო წერდა ნარკვევებს კულტურის საკითხებზე და ჰეგელის თემებზე აწყობდა სემინარებს. მან მარქსიზმის გარკვეული საწყისები წარმოადგინა – ეს უკიდურესი სრულყოფილება იყო.

ჰაბერმასი სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტთან თანამშრომლობდა, მაგრამ დამოუკიდებელი ინტელექტუალური ორიენტაცია ჰქონდა. 1957 წელს მან გამოაქვეყნა სტატია, რომელმაც ინსტიტუტის დირექტორთან, მაქს ჰორკჰაიმერთან, განხეთქილება გამოიწვია. ჰაბერმასი მოითხოვდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით კრიტიკის გაძლიერებას, ჰორკჰაიმერი კი ამას ინსტიტუტისათვის, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, საშიშად თვლიდა. დირექტორი დაბეჯითებით მოითხოვდა ჰაბერმასის განთავისუფლებას სამსახურიდან: „ალბათ მას წინ ბრწყინვალე სამწერლო კარიერა აქვს, მაგრამ ინსტიტუტს ის მხოლოდ ზიანს მოუტანს“. ბოლოს და ბოლოს, სტატია დაიბეჭდა, მაგრამ ინსტიტუტის პატრონაჟისა და მისი საერთოდ ხსენების გარეშე. საბოლოო ჯამში, ჰორკჰაიმერი ჰაბერმასს გაუსაძლის პირობებს შეუქმნის და ისიც წავა ინსტიტუტიდან.

1961 წელს მარბურგის უნივერსიტეტში ჰაბერმასი პრივატ – დოცენტი გახდება და თავის მეორე დისერტაციას დაიცავს, მანამდე კი მას რამდენიმე გახმაურებული სტატია უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის მასწავლებლად იყო წარდგენილი. აქ ის 1964 წლამდე დარჩა, შემდეგ ფრანკფურტის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მასწავლებლის თანამდებობაზე გადადის. 1971-1981 წლებში ის მაქს პლანკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, შემდეგ ფრანკფურტის უნივერსიტეტს უბრუნდება, ხოლო 1994 წელს თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ამ უნივერსიტეტის დამსახურებული (ემერიტუსი) პროფესორი ხდება. მან რამდენიმე პრესტიჟული აკადემიური ჯილდო და რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ტიტული მიიღო.

წლების განმავლობაში ჰაბერმასი მსოფლიოში წამყვან ნეომარქსისტად ითვლებოდა. მაგრამ წლების კვალობაზე მისი შემოქმედება ვითარდებოდა და მრავალი თეორიული მიმდინარეობა შეისისხლხორცა. ჰაბერმასს თანამედროვე სამყაროს (მოდერნის) მომავლის სწამდა. სწორედ ამ აზრით წერს ის თანამედროვეობის (მოდერნის) დაუსრულებელ პროექტზე. მაშინ როდესაც მარქსი თავისი შემოქმედების ცენტრში აყენებს შრომას, ჰაბერმასს ძირითადად კომუნიკაცია მიაჩნია, რომელსაც ის უფრო ზოგად პროცესად თვლის, ვიდრე შრომაა; მაშინ როდესაც მარქსი ყურადღებას ამახვილებდა, თუ როგორ ამახინჯებს კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურა შრომის პროცესს, ჰაბერმასს აინტერესებს, თუ როგორ ამახინჯებს თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა კომუნიკაციას. მარქსი მომავლისაკენ, როგორც შინაარსიანი და შემოქმედებითი შრომის სამყაროსაკენ მიისწრაფოდა, ჰაბერმასი კი მომავლის, როგორც თავისუფალი და ღია კომუნიკაციების საზოგადოებისაკენ მიისწრაფვის. ამგვარად, მარქსისა და ჰაბერმასის თეორიებს შორის დიდი

მსგავსება შეიმჩნევა. ზოგადად თუ ვიტყვით, ორივე თეორეტიკოსი მოდერნისტია, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ეპოქაში თანამედროვეობის (მოდერნის) პროექტი (მარქსთან ადამიანის შემოქმედებითი და დამაკმაყოფილებელი შრომა, ჰაბერმასთან კი – ღია კომუნიკაცია) ჯერ არ არის დასრულებული. გარდა ამისა, ორივეს სჯეროდა, რომ მომავალში ეს პროგრამა აუცილებლად იქნება რეალიზებული.

ჰაბერმასის მოდერნიზმისკენ მიდრეკილება და მომავლის რწმენა განასხვავებს მას თანამედროვეობის ბევრი წამყვანი მოაზროვნისაგან, როგორიც, მაგალითად, ჟან ბოდრიარი და სხვა პოსტმოდერნისტები არიან. მაშინ როდესაც ესენი ხშირად მიდიან ნიჰილიზმამდე, ჰაბერმასს თავისი ცხოვრების (და მოდერნის) პროექტის სწამს. ამგვარადვე, როდესაც სხვა პოსტმოდერნისტები (მაგალითად, ლიოტარი) „დიდი თეორიების“ შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავენ, ჰაბერმასი ავითარებს და იმის შესაძლებლობას იცავს, რაც ალბათ თანამედროვე სოციალური აზრისათვის მნიშვნელოვანი – „დიდი თეორია“ არის. პოსტმოდერნისტებთან ჭიდილში ჰაბერმასი ბევრს დებს სასწორზე. თუ გამარჯვება მათ დარჩებათ, ჰაბერმასი დიდ, მაგრამ ბოლო მოდერნისტად შეიძლება ჩაითვალოს; ხოლო თუ ჰაბერმასს (და მის მომხრეებს) დარჩება გამარჯვება, მაშინ ის შეიძლება, როგორც მოდერნისტული პროექტისა და სოციალურ თეორიებში „დიდი თეორიის“ მხსნელად მივიჩნიოთ.

2. ლუმანი და ჰაბერმასი: ფუნქციონალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია.

გერმანიაში ნიკლას ლუმანის გვერდით უდიდეს სოციოლოგ-თეორეტიკოსად იურგენ ჰაბერმასსაც მიიჩნევენ. ორივე მათგანი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია. იგი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ფილოსოფიურ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად გამოხატავს აზრს, მაშინ როცა ლუმანი ინტერვიუებს თავისი თეორიული იდეების განმარტებისთვის იყენებდა. ჰაბერმასი, მისგან განსხვავებით, წლების განმავლობაში მასობრივ შეკრებებზე გამოსვლისაგან თავს იკავებს. სოციოლოგიაში მისი სახელი 1981 წელს გამოცემულ „კომუნიკაციური ქმედების თეორიას“ უკავშირდება.

ჰაბერმასი ლუმანის ოპოზიციად აცხადებს თავს. ლუმანსა და ჰაბერმასს შორის არსებული ოპოზიციურობა იმდენად დიდია, რომ დღეს იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ ეს ორი პიროვნება ოდესღაც ერთმანეთთან თანამშრომლობდა. ისინი თანაავტორობით სტატიებსაც კი უშვებდნენ.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისისათვის მათ შორის არსებული განსხვავებები ჩამოყალიბდა : ლუმანის თეორიის მიხედვით, სოციოლოგია განმარტებად განიხილებოდა, ხოლო ჰაბერმასის თეორია სოციოლოგია გამოყენებით განმარტებად განიხილავდა.

ჰაბერმასის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენდა და წარმოადგენს. ჰაბერმასის ინტერესები თავიდანვე დემოკრატიული, რაციონალური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული, რომელსაც მოაზროვნე და ემანსიპირებული მოქალაქეები შექმნიდნენ. დემოკრატიას ის უშუალოდ ემანსიპაციას უკავშირებდა. სტუდენტური მოძრაობების დროს ჰაბერმასი მკაცრ ოპოზიციონერად გვევლინება და გერმანელ სოციალისტ სტუდენტთა კავშირს ყალბ „მემარცხენე ფაშიზმად“ მოიხსენიებს. მათი დემონსტრაციები და ინსტიტუტის სხდომები, ჰაბერმასის განცხადებით, რეალობისაგან საკმაოდ დაშორებული იყო. მისი მოსაზრების თანახმად, საზოგადოების ცვლილებისთვის საჭიროა „განმარტების ორგანიზაცია“. ამ პროცესში, ჰაბერმასის აზრით, არ არსებობს ხელმძღვანელი, წინამძღოლი. ამ

პროცესში არსებობენ მხოლოდ მონაწილეები, მეთაურის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა შესწევდეთ უნარი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომები, გაურკვეველი პუნქტები აღიარონ, შეიმუშაონ და შემდგომში შეცვალონ. საზოგადოების კრიტიკული წარმომადგენლები, და არა მარტო მოსწავლეები ან სტუდენტები (ძირითადად, ახალგაზრდა თაობა მიეკუთვნება კრიტიკულ საზოგადოებას), ვალდებულნი არიან, პოლიტიკური თეორიის მიზნები პრაქტიკაში განახორციელონ.

ჰაბერმასი, ისევე როგორც სხვა ეგრეთ წოდებული ნეომარქსისტული ავტორები, ორიენტაციას კარლ მარქსის მიერ განვითარებული ისტორიული მატერიალიზმის მთავარი თეზისებიდან იღებს. მარქსზე დაყრდნობით, ჰაბერმასი თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებს იკვლევდა. მისი თეზისების უკეთ გასაგებად ის კარლ მარქსის ლექსიკონზე მიუთითებს.

ნიკლას ლუმანი კი სოციოლოგიას სულ სხვა ჭრილში განიხილავს. თანამედროვე საზოგადოება, ლუმანის თანახმად, ფუნქციურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთის და, საერთოდ, მთელი სისტემის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებს. ლუმანი უარყოფს სისტემური მთლიანობის შესაძლებლობას. იგი არ უყურებს სოციალურ სისტემას, როგორც ინტეგრირებულ ორგანიზმს, რომელიც ნორმატიული ღირებულებებითაა „შეკრული“. ლუმანს აქცენტი ინტეგრაციიდან დიფერენციაციაზე გადააქვს. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი სისტემა (ან სუბსისტემა) თვითკმარი და თვითქმნადია.

ჰაბერმასი კი ცდილობს, სოციალური ინტეგრაციის საფუძვლები დაძებნოს და იგი ერთიან და ინტეგრირებულ საზოგადოებად წარმოგვიდგინოს.

ჰაბერმასი საზოგადოების ანალიზში ორ ცენტრალურ ცნებას – სისტემურ ინტეგრაციას და სოციალურ ინტეგრაციას – გამოყოფს. ამ ორი ინტეგრაციული ფორმის ურთიერთდამოკიდებულება კრიზისების ტიპოლოგიის დადგენის საფუძველია, ამიტომაც მათი აქ აღნიშვნა აუცილებელია. ინტეგრაცია უკავშირდება საზოგადოებრიობის მთლიან სისტემას, ის არის საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის წარმონაქმნის, საფუძველი. ჯერ კიდევ პარსონსი უსვამდა ხაზს იმას, რომ მხოლოდ ინტეგრირებული სისტემები წარმოადგენენ სტაბილურ სისტემებს. აქედან გამომდინარე, ინტეგრაცია ხელს უწყობს სისტემის შენარჩუნებას. ინტეგრაცია არის დეზორგანიზაციის საწინააღმდეგო სიტყვა.

ასევე, ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლოქვუდიც ხაზს უსვამს, რომ სოციალური ინტეგრაცია, ისევე როგორც სისტემური ინტეგრაცია, შეიძლება როგორც დარეგულირდეს, ასევე, კონფლიქტებით დაიტვირთოს. სოციალური ინტეგრაცია მთლიანობაში საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ურთიერთდამოკიდებულ მოქმედებას გულისხმობს.

სისტემურ ინტეგრაციას ჰაბერმასი იგებს, როგორც პრობლემების, სირთულეების შემცირებას, რომელიც საზოგადოებრივმა სისტემამ უნდა შეძლოს, რათა საკუთარი თავი შეინარჩუნოს.

ჰაბერმასისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული შეკითხვა, სისტემის შიდა პოლიტიკური მთლიანობის რღვევის შემთხვევაში, კრიზისი გარდაუვალია – მიიჩნევს ჰაბერმასი.

თუ ეს ორი სისტემური და სოციალური ინტეგრაცია ერთდროულად მოირღვა, მაშინ საქმე სისტემის კრიზისთან გვექნება.

სოციალურად ინტეგრირებულ საზოგადოებაში წარმომადგენლებს შორის არსებობს ნორმები და ფასეულობები, რომლებიც მათი ერთიანობის საფუძველია. ადამიანები ერთმანეთისაგან, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მათი ძირითადი პრინციპებისაგან განსხვავდებიან. სოციალური ინტეგრაცია საზოგადოების მსოფლმხედველობაში და სა-

მართლებრივ-მორალურ სისტემებში აისახება. აქ ჰაბერმასი ლუმანისაგან ყველაზე მეტად განსხვავდება. ამის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

გარდა ამისა, ჰაბერმასი მიიჩნევს, რომ ლუმანი თავისი პრაგმატული თეორიით დემოკრატიული განვითარების გზას წინ ეღობება. ამით მან ცხადყო, რომ ის როგორც მემარცხენე (სამოციან წლებში – სტუდენტური მოძრაობის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით ის „მწვანეეების" წინააღმდეგაც გამოდიოდა), ასევე, მემარჯვენე ძალებს გაემიჯნა.

3. სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს დიფერენციაცია – დეცენტრალიზაცია და სოციალური მოქმედების ტიპები

ი. ჰაბერმასის სოციოლოგიური კონცეფციის ამოსავალ და ცენტრალურ პუნქტს „სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს" კატეგორია წარმოადგენს. იგი მას განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელობათა არათემატიზებულ ჰორიზონტს, რომელიც ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველს შეადგენს. გარეგანი ზემოქმედებები სწორედ ამ საფუძველს ეფარდებიან ან უპირისპირდებიან, ანუ სწორედ მასთან მიმართების შედეგად ყალიბდებიან და საზრისს იძენენ.

მნიშვნელობათა ეს ჰორიზონტი კი არ იქმნება და უნიფიცირდება ტრანსცენდენტალური ეგოს ინტენციონალური აქტიურობით, არამედ ეგო-ს წინამორბედი ცოდნის მარაგისგან შედგება, რომელიც კულტურასა და, უწინარეს ყოვლისა, ენაშია აკუმულირებული. ი. ჰაბერმასი იზიარებს კ. ჰუმბოლდტისა და ლ. ვინტგენშტაინის იდეას, რომ ენის სტრუქტურული შეზღუდვები და შესაძლებლობები გაგების მასშტაბებს განსაზღვრავენ. „სიცოცხლის სამყაროს" და ენას შორის არსებული ტრანსცენდენტალური რგოლი „სიცოცხლის სამყაროს" ცნობიერების ობიექტად ქცევის ნებისმიერი მცდელობისგან იცავს და, ასევე, „ფორმალური სამყაროსგან" „სიცოცხლის სამყაროს" განცალკევების საშუალებასაც გვაძლევს.

„სიცოცხლის სამყაროს" გაშლა-განვითარება ევოლუციურ პერსპექტივაში კომუნიკაციური მოქმედების თეორიის მიზანია. სოციალური ევოლუცია კი კოგნიტიური (შემეცნებითი) უნარების განვითარებაში გამოიხატება. სამყაროს გაგების მითოსური და თანამედროვე განმარტებების შედარებისას ჰაბერმასი დაასკვნის, რომ განსხვავება მათ შორის იმ ცნებათა სისტემებს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებას ემყარება, რომელთა მეშვეობითაც ისინი ინტერპრეტაციას უკეთებენ სამყაროს.

ამგვარად, „სიცოცხლის სამყაროს" ევოლუციას მიკუთვნების სამი შედარებით დამოუკიდებელი სამყაროს გამოყოფასთან მივყავართ. ეს სამყაროები თავად „სიცოცხლის სამყაროსთან" არიან მიწერილნი, მაშინ როდესაც თავად ის „წინაგაგების" საფუძველს შეადგენს. „სიცოცხლის სამყაროს" ობიექტივაციის, შეფასების, გამოთქმის განწყობები ამ სამყაროების შესატყვისი ინტენციების შესაბამისად ფორმდება. ეს ინტენციები რეალობის სქემატიზაციის უფრო ფორმალურ წესებს (ხერხებს) და არა რეალობის, როგორც ასეთის, სფეროებს ასახავენ. ფაქტებისგან შედგენილ ობიექტურ სამყაროს არა აქვს უფრო მეტი დამოკიდებულება ბუნების სამყაროსთან, ვიდრე სოციალურ სამყაროს – კულტურის სამყაროსთან. რეალობის ერთი და იგივე მოვლენა, რეფერენციის არჩეული სქემის შესაბამისად, განსხვავებულ განხილვას შეიძლება დაექვემდებაროს. ავიღოთ პიროვნებები და ნორმები, ისინი შეიძლება, როგორც დაკვირვებად ფაქტებად, რომლებიც ქცევის სტრატეგიის გაანგარიშებებშია გათვალისწინებული, ისე მნიშვნელობის მქონე ღირებულებებად ჩაითვალოს, რომლებიც პატივისცემას იწვევენ.

„სიცოცხლის სამყაროს" დეცენტრალიზაციის პროცესში წარმოქმნილი რეფერენციის სამყაროები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ რეალობის აღქმის განწყობებით, არამედ

რაციონალურობის კრიტერიუმებითაც განსხვავდებიან. ამ სამყაროთაგან თითოეულში რაციონალურობა განსაკუთრებულ ფორმას იღებს და განსაკუთრებული სტატუსი აქვს. ცოდნასა და მოქმედებას შორის მეტათეორიულ დონეზე კავშირის დამდგენ „სიცოცხლის სამყაროს“ ევოლუციის კონცეფციას ი. ჰაბერმასი სოციალური მოქმედების საკუთარი თეორიის შექმნასთან მიჰყავს. როგორც მრავალი მისი წინამორბედი, ისიც ფიქრობს, რომ სოციალურ მოქმედებას მიზანდასახული ხასიათი აქვს. მაგრამ მიზნები, რომელთა მიღწევაზეც ეს სოციალური მოქმედებებია ორიენტირებული, ჰაბერმასის აზრით, სრულებითაც არ არის თვითნებური. ისინი მჭიდრო კორელაციაშია იმ ინტენციებთან, რომლებიც „სიცოცხლის სამყაროს“ განწყობებს ასახავს. მაგალითად, ობიექტიფიკაციის განწყობას (რეფერენციებს), რომელიც ობიექტური სამყაროს „ფაქტობრივ“ ინტენციებად ფორმდება, ეგოისტური მიზნების გამოვლენასთან მივყავართ. „სიცოცხლის სამყაროს“ რეფერენციის სამყაროებთან რაციონალურობის სახეებისა და მიზნების ურთიერთკავშირი სოციალური მოქმედების იდეალური ტიპების სახით კონცეპტუალიზდება. ჰაბერმასი მ. ვებერიდან ამოდის და არც მალავს ამას, უბრალოდ, იგი ვებერისეული ტიპოლოგიზაციის კრიტიკულ ხელახალ გააზრებას ეწევა. ხელახალი გააზრების აუცილებლობა დაკავშირებულია „სიცოცხლის სამყაროს“ ევოლუციასთან, რომელმაც უფრო რაციონალური გახადა სოციალური მოქმედება და მისი ტიპოლოგიის შეცვლასთანაც მიგვიყვანა. თანამედროვე პირობებში, ჰაბერმასის აზრით, შეიძლება სოციალური მოქმედების ოთხი იდეალური ტიპი გამოვყოთ:

1. სტრატეგიული მოქმედება – ესაა ეგოისტური მიზნებით წარმართული მოქმედება, რომლის მიღწევისას მხედველობაში მიიღება თუნდაც ერთი სხვა ინდივიდის მოქმედების გავლენა. ის რაციონალურია იმ ზომით, რა ზომითაც მოქმედების სუბიექტი ირჩევს „სასურველის მიღების“ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. რაციონალურობის ამ მოდელისაგან ამოსვლისას, სტრატეგიული მოქმედების მონაწილენი სხვა მოქმედ პირებს, როგორც ობიექტივირებულ საშუალებებს, ან მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, როგორც წინაღობა-დაბრკოლებებს უყურებენ (იურგენ ჰაბერმასი. მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები. ქუთაისი, 2003 წ.გვ. 517-521).

2. ნორმატიული მოქმედება – ესაა სოციალური მოქმედება, რომლის მონაწილეთა მიზანი ურთიერთხელსაყრელ და გამოსადეგ ექპექტაციათა (სოციალურ მოლოდინთა) მიღწევაა, რომელსაც გაზიარებულ-საერთო ღირებულებებისა და ნორმებისთვის საკუთარი ქცევების დაქვემდებარების საშუალებით ვახორციელებთ. ეგოისტური მიზნებით წარმართული მოქმედებები სოციალური ვალდებულებებით ან კანონებით გადაილახება. ნორმატიული მოქმედების მონაწილეებმა პიროვნულ მოქმედებათა ობიექტური შედეგები ნორმატიულ განწყობებთან მათი შესაბამისობის პლანში უნდა გაითვალონ და გაითვალისწინონ. ნორმატიული მოქმედება რაციონალურია იმდენად, რამდენადაც იგი ქცევის სოციალურად მიღებულ სტანდარტებს შეესატყვისება. ნორმატიული მოქმედების ეტალონი ისეთი სოციალური სიტუაციაა, რომელშიც ქცევის არსებული სტანდარტები მონაწილეობისას საერთო ინტერესებს ავითარებენ (იურგენ ჰაბერმასი. მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები. ქუთაისი, 2003 წ. გვ. 521-522).

3. დრამატურგიული მოქმედება. დრამატურგიული მოქმედების მიზანია „საკუთარი თავის წარმოდგენა“-წარდგენა, ანუ საჯარო იმიჯის შექმნა. ამ ტიპის შემოტანა უმეტესად ი. გოფმანის მიერ შემუშავებული „დრამატურგიული მიდგომითაა“ ინიცირებული. მაგრამ ჰაბერმასთან „როლური თამაშის“ ცნება არა ქცევის სოციალურად დადგენილ ფორმებთან შეგუებას, არამედ თავისუფალ, მაგრამ რაღაცნაირი ინდივიდუალობის შერჩევა-შენარჩუნებით თვითგამოხატვას აღნიშნავს. მოცემული ტიპის გამოყოფა იმას აჩვენებს, რომ

თვით ყველაზე მარტივი სოციალური მოქმედებაც კი მუდამ მისი სუბიექტის ინდივიდუალურობითაა შეფერადებული. სოციალური მოქმედების „დრამატურგიული“ ელემენტი იმპლიციტურად ქცევის სტრატეგიული ტიპის ანალოგიურია, რომლისგანაც იგი მხოლოდ მიზნობრივი მიმართულებით განსხვავდება. ორივე მათგანის რაციონალურობა მსგავსია, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა ფორმის მიხედვით, მაგრამ შეფასების კრიტერიუმის წყალობით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სტრატეგიული მოქმედების ეფექტურობა დანახარჯთა რაოდენობით ფასდება, მაშინ როდესაც დრამატურგიული მოქმედების ეფექტურობა მისი „გულწრფელობით“ განისაზღვრება. „ცხოვრების თეატრში“, როგორც ურთიერთნდობის პირობა, მიღებულია, რომ როლები, რომლებსაც აქტორები ასრულებენ, მათი ხასიათის ნამდვილ ნიშნებსა თუ თვისებებს შეესატყვისებიან. ამიტომ, იმისათვის, რომ წარმოდგენა არასტრატეგიული აზრით იყოს რაციონალური, აუცილებელია, ის „გულწრფელი“, ხოლო მის მიერ გამოთქმული ზრახვები თუ ჩანაფიქრები ავთენტიკური--თვითმყოფადი იყოს (იურგენ ჰაბერმასი. მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები. ქუთაისი, 2003 წ.გვ. 521-522).

4. კომუნიკაციური მოქმედება სოციალური მოქმედების მოცემული ტიპის მიზანი მონაწილეთა მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში ერთობლივი რეზულტატების მისაღწევად თავისუფალი შეთანხმებაა. მოქმედების წინა ტიპების მონაწილეთა დამოკიდებულება-მიმართებები შეიძლება მათი ძალისხმევების კოორდინაციას შეიცავდნენ, მაგრამ თვით კოორდინაცია გამოთქმულ მიზანს არ წარმოადგენს. სტრატეგიულად მოქმედ პირებს შეუძლიათ აიძულონ სხვები, ხელი შეუწყონ საკუთარი მიზნების მიღწევაში, იყენებენ რა ამ დროს ძალადობას, ძალაუფლებას, ფულს და სხვა მანიპულაციებს. ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედებანი სტრატეგიულისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ურთიერთმოლოდინთა თუ ექპექტაციათა შესახებ რაღაცნაირ მდუმარე შეთანხმების არსებობას გულისხმობენ. ამიტომ პირებს, რომლებიც დრამატურგიულად ან ნორმატიულად მოქმედებენ, ამ შეთანხმებათა (მაგ., ენა) გამოყენება მოქმედებათა კოორდინაციისათვის შეუძლიათ ისე, რომ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება თუ თანხმობის მიღწევის განზრახულობა არ გამოთქვან. ყოველივე ეს ჰაბერმასს საშუალებას აძლევს, ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედება, როგორც კომუნიკაციური მოქმედების ქვეტიპები, განიხილოს. მაგრამ მკაცრად რომ ვთქვათ, კომუნიკაციური მოქმედება შეიცავს ექსპლიციტურად გამოთქმულ ძალისხმევას, რომელიც რეფერენციის სამყაროთა მიერ წამოყენებულ რაციონალურობის ყველა კრიტერიუმთან მიმართებაში ურთიერთგაგების მიღწევაზეა მიმართული და, მაშასადამე, დანარჩენ მოქმედების უფრო შეზღუდულ და ნაკლებრეფლექსურ ტიპებს უპირისპირდება. რამდენადაც „სტაბილურობა და თანხმობა ყოველდღიურ პრაქტიკაში“ გამონაკლისია, ამდენად, კომუნიკაციური მოქმედება პერმანენტულ შესაძლებლობად რჩება (იურგენ ჰაბერმასი. მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები. ქუთაისი, 2003 წ.გვ. 529-531).

სოციალური მოქმედების საკუთარი კონცეპტის ჩამოყალიბებისას ჰაბერმასი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ როგორ უწყობენ ხელს სოციალური სიტუაციის მონაწილეთა მოქმედებების კოორდინაციას „სიცოცხლის სამყაროს“ სტრუქტურების გამომთქმელი მიზნები. თუ მოქმედების მიზანი თავისი ბუნებით პიროვნულია (ეგოისტურია), მაშინ ძალისხმევათა კოორდინაცია ითვალისწინებს მხოლოდ სხვა პირთა გამოყენებას ძალადობრივი ან არაძალადობრივი საშუალებებით (სტრატეგიული მოქმედება). თუ მოქმედების მიზანია საკუთარი ქცევების შეგუება სოციალურ ნორმებთან ან საკუთარი ინდივიდუალობის გამოთქმა, მაშინ მოქმედებათა კოორდინაცია ნორმებისა და კონვენციურ როლთა (ნორმატიული და დრამატურგიული მოქმედებები) შესახებ გამოთქმულ თანხმო-

ბაზეა დამოკიდებული. დაბოლოს, თუ მოქმედების მიზანია პრობლემურ საკითხებზე თანხმობის მიღწევა, მაშინ მონაწილეთა მოქმედებების კოორდინაცია მოცემულ ერთობლივ მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ წინადადების მიღება ან არმიღებაზეა დამოკიდებული (კომუნიკაციური მოქმედება).

ამგვარად, რაციონალიზებული „სიცოცხლის სამყარო" ლინგვისტურ სტრუქტურებს იყენებს, რომლებიც რეფერენციის ობიექტურ, სოციალურ და სუბიექტურ სამყაროთა ფორმალური დიფერენციაციის პროვოცირებას უზრუნველყოფს. ადამიანები საკუთარ თავს სამივე სამყაროს ერთდროულად მიაკუთვნებენ. მაშასადამე, თითოეული მოქმედება, სინამდვილეში, კომპლექსურ ხასიათს ფლობს. იგი არის რეფერენციათა სისტემა, რომელიც ობიექტური ფაქტებისგან, სოციალური ნორმებისგან და პირადი გამოცდილებისგან შედგება. მოქმედების ყოველი სიტუაცია „წინაგაგების" „საყოველთაო შესაძლებლობის ჭრილს" წარმოადგენს, რითაც მონაწილეთა უშუალო ინტერესები რელევანტური ხდება. მოქმედება ცოდნის მიერ იმართება. მაგრამ ეს ცოდნა შეიძლება განსხვავებული იყოს. მეცნიერული ცოდნა არც ერთადერთი შესაძლებელი რამ და არც ერთადერთი სწორი და რაციონალური რამ არის. სოციალური ურთიერთქმედების მონაწილეთა გამოცდილებას განაპირობებს მათი პრაქტიკული know-how, და არა მეცნიერული ცოდნა. ეს უკანასკნელი „სიცოცხლის სამყაროს" ევოლუციის გამოცდილებას თანმიმდევრულ ინფორმაციად გარდაქმნის, რომელიც პიროვნებათაშორისი და თაობათაშორისი ტრანსლაციებისათვის გამოსადეგია.

„სიცოცხლის სამყაროს" დიფერენცირებული სტრუქტურები (რომლებიც ამავე დროს ფუნქციებადაც გვევლინებიან) თავიდანვე კომპლიმენტარულნი და კულტურის (ცოდნის), საზოგადოების (ლეგიტიმური წესრიგის) და პიროვნების (ინდივიდუალური იდენტურობის) წარმოებასა და კვლავწარმოებაზე არიან მიმართულნი. რაციონალიზებისას ისინი ფორმის, შინაარსისა და რეფლექსურობის მიხედვით იყოფიან. რეფერენციათა ობიექტური და სოციალური სტრუქტურების განცალკევება ნორმატიულ ინსტიტუტებს სამყაროზე მეტაფიზიკურ-რელიგიური შეხედულებებისაგან ათავისუფლებს. შემდეგ მათგან გამოიყოფა სუბიექტური სტრუქტურა, რაც ინდივიდს მეტ თავისუფლებას აძლევს, რომელიც აგრეთვე ტრადიციის, პიროვნებათშორის ურთიერთობებში საკუთარი წარმომადგენლობის და თვითრეალიზაციის შესახებ რეფლექსიის შესაძლებლობას მოიცავს. ამავე დროს, ღირებულებების სფერო, ჭეშმარიტების კრიტერიუმი და არგუმენტაციების პროცესები კულტურის კონტექსტისაგან გამოცალკავდებიან. პროცედურული სამართლის ფორმალური პრინციპები მოქმედების უშუალო კონტექსტისაგან იმიჯნებიან, კოგნიტური სტრუქტურები, კომპეტენციები და განწყობები პირადი გამოცდილებისაგან აბსტრაგირდებიან. დაბოლოს, პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტის მიმართ უფრო რეფლექსური მიდგომების მოთხოვნილება სპეციალიზებულ მეცნიერებათა დისციპლინების გამოვლენას, პოლიტიკის დისკურსიული ფორმირებისას დემოკრატიული ფორმებითა და განათლების უნივერსალიზაციით ავტორიტარულ ინსტიტუტთა შეცვლას დიდ სტიმულს აძლევს.

„სიცოცხლის სამყაროს" რაციონალიზაციას მხოლოდ დადებითი შედეგები არ აქვს. სტრუქტურათა დიფერენციაცია სოციალური ურთიერთობების დამამახინჯებელ ილუზიებს ზრდის. ყოველდღიური, ჩვეულებრივი ენა ცოდნის ნათელი და საიმედო შუამავლის თვისებებით აღიჭურვება, კომუნიკაციურ ურთიერთქმედებას განსაკუთრებული ურთიერთსარგებლიანობა მიეწერება. კომუნიკაციების სახით არსებული სოციალური პათოლოგიების გამოსავლენად სოციოლოგმა პირველ რიგში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემათა გენეზისი და განვითარება უნდა იკვლიოს, რომლებიც, გამოეყოფიან რა „სიცოცხლის სამყაროს", უკვე გარედან იწყებენ მის მართვას.

4. ცოდნა და ინტერესები. უთანხმოება მარქსთან

ცოდნა ობიექტურია, ინტერესები კი – უფრო სუბიექტური. ჰაბერმასი განასხვავებს ცოდნის სამ სისტემას და მათ შესაბამის ინტერესებს. ეს ინტერესები, რომლებიც ძევს ცოდნის თითოეული სისტემის საფუძველში, ჩვეულებრივ, უცნობია ადამიანებისათვის და ამიტომ თეორეტიკოსების ამოცანა ამ ინტერესების სააშკარაოზე გამოტანაა.

1.1. ცოდნის პირველი ტიპია ანალიტიკური მეცნიერებები, ანუ კლასიკური პოზიტივისტური მეცნიერული სისტემები. ამ სისტემების საფუძველში არსებული ინტერესი ტექნიკური წინასწარმეტყველება და კონტროლია, რომელიც ბუნებრივი გარემოს, სხვა საზოგადოებების ან საზოგადოებაში ადამიანის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული. „ემპირიულ-ანალიტიკური მეცნიერებები სინამდვილეს იმდენად აღწერენ, რამდენადაც ის ინსტრუმენტული ქმედების ფუნქციურ წრეში გამოვლინდება; ამიტომ ნომოლოგიური დებულებები ამ ობიექტური არეალის შესახებ, მათი იმანენტური საზრისი, განსაზღვრულ გამოყენების კონტექსტს ერგება: ისინი სინამდვილეს სპეციფირებად პირობებში ყველგან და ყოველთვის შესაძლო ტექნიკური კონტროლის პერსპექტივით სწვდებიან“(იურგენ ჰაბერმასი. შემეცნება და ინტერესი. ქუთაისი, 2003 წ. გვ.188-189). ანალიტიკური მეცნიერებები მზარდ დესპოტურ კონტროლს ადვილად ექვემდებარებიან.

1.2. ცოდნის სისტემის მეორე ტიპია ჰუმანიტარული ცოდნა და მისი შესაბამისი ინტერესი სამყაროს გაგებაში მდგომარეობს. ცოდნის ეს სისტემა ამოდის ზოგადი იდეიდან, რომლის თანახმადაც, წარსულის გაგება გვეხმარება, გავიგოთ თანამედროვე ხდომილებები. ცოდნის ეს ტიპი ურთიერთგაგებისა და საკუთარი თავის გაგებისადმი პრაქტიკულ ინტერესს ავლენს. ემპირიულ ანალიზში სინამდვილე იმ პერსპექტივით გამოვლინდება, რომელშიც შეიძლება ბუნების გასაგნებული პროცესების ტექნიკურად გაკონტროლება. „ჰერმენევტიკა კი ქმედების მაორიენტირებელი შესაძლო ურთიერთგაგების ინტერსუბიექტურობას განამტკიცებს (უცხო კულტურათა ინტერპრეტაციის ჰორიზონტალურ და საკუთარი ტრადიციის ათვისების ვერტიკალურ სიბრტყეებზე). ისევე, როგორც ზუსტი ემპირიული მეცნიერებები ინსტრუმენტული ქმედების ტრანსცენდენტალურ პირობებს ექვემდებარება, ჰერმენევტიკული მეცნიერებები კომუნიკაციური ქმედების სიბრტყეზე მოქმედებენ“ (იურგენ ჰაბერმასი. შემეცნება და ინტერესი. ქუთაისი, 2003 წ. გვ. 185). ჰერმენევტიკული კვლევა ურთიერთგაგების (და თვითგაგების) პროცესს მეთოდურ ფორმას ანიჭებს. მის მიზანს პრაქტიკულად ეფექტური ცოდნის მიკვლევა წარმოადგენს. იგი არც დამთრგუნველი და არც განმათავისუფლებელია.

1.3. ცოდნის მესამე ტიპია კრიტიკული ცოდნა. ამ ტიპის ცოდნის საფუძველში არსებული ინტერესი ადამიანის გათავისუფლებასთანაა დაკავშირებული. „შემეცნების-/ცოდნის ტექნიკური და პრაქტიკული ინტერესი სიღრმისეულ(ინვარიანტულ?) ქმედების და გამოცდილების სტრუქტურებშია დაფუძნებული; ....შემეცნების ემანსიპაციურ ინტერესს კი გამოყვანილი სტატუსი აქვს. ის უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის კავშირს ცხოვრების პრაქტიკასთან, იმ „საგნობრივ არესთან“, რომელიც მხოლოდ სისტემატურად დამახინჯებული კომუნიკაციის და ილუზორულად ლეგიტიმირებული რეპრესიის პირობებში წარმოიშობა“(იურგენ ჰაბერმასი. შემეცნება და ინტერესი. ქუთაისი, 2003 წ. გვ. 322). ვინაიდან რეფლექსიის განხორციელება საკუთარ თავს ემანსიპაციის მოძრაობად იმეცნებს, გონება შემეცნების ემანსიპაციურ/გამანთავისუფლებელ ინტერესს მისდევს, რომლის მიზანიც რეფლექსიის, როგორც ასეთის, განხორციელებაა. ამ ტიპის მცოდნე მოაზროვნეები იმედებს ამყარებენ, რომ რეფლექსურ/კრიტიკული ცოდნა მასების თვითცნობიერებას გააღვიძებს და ისეთ სოციალურ მოძრაობასთან მიგვიყვანს, რომლის შედეგიც სასურველი გათავისუფლება გახდება.

უთანხმოება მარქსთან.

ჰაბერმასი მიზნად ისახავს ისეთი თეორიული პროგრამის შემუშავებას, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის რეკონსტრუირებას მოახდენს. საწყის წერტილად ჰაბერმასი ძირითად ამოსავალ დებულებებს (ადამიანური პოტენციალი, სახეობის არსება, „გრძნობადი ადამიანური აქტიურობა“) იღებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ მარქსმა ვერ შეძლო ანალიზის თვალსაზრისით ადამიანის არსების ორი დამოუკიდებელი კომპონენტი – შრომა (ანუ მიზანდასახული მოქმედება) და სოციალური (ანუ სიმბოლური) ურთიერთქმედება (ანუ კომუნიკაციური მოქმედება) განესხვავებინა. ამ უკანასკნელს მარქსი იგნორირებას უკეთებდა და ის შრომამდე დაჰყავდა, მაშინ, როდესაც ჰაბერმასი ამოსავალ წერტილად შრომასა და ურთიერთქმედებას შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებას იღებს. შესაბამისად, ის ძირითად ცნებებად მიზანრაციონალურ მოქმედებას (შრომა) და კომუნიკაციურ მოქმედებას (ურთიერთქმედება) იყენებს, მიზანრაციონალური მოქმედების შესახებ ბჭობისას კი ერთმანეთისაგან ინსტრუმენტულ და სტრატეგიულ მოქმედებას განასხვავებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ორივე პირადი გამორჩენა-მოგების გათვლილ გაანგარიშებულ მისწრაფებას გულისხმობს. ინსტრუმენტული მოქმედება გულისხმობს ერთი მოქმედი პირის მონაწილეობას, რომელიც დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო წესებსა და საშუალებებს, ხერხებს რაციონალურად ითვლის და ანგარიშობს. სტრატეგიული მოქმედებით კი გაიგება მიზანრაციონალური ქმედების ორი ან მეტი ინდივიდის კოორდინაცია, რომელიც მიზნის მიღწევაზეა მიმართული. როგორც ინსტრუმენტული, ისე სტრატეგიული მოქმედების მიზანია ინსტრუმენტული ოსტატობა და დახელოვნება. ყველაზე საინტერესოა „კომუნიკაციური“ მოქმედება, რომელშიც სუბიექტთა მოქმედება კოორდინირდება არა წარმოების ეგოცენტრული გათვლა-გაანგარიშებით, არამედ გაგების მეშვეობით. კომუნიკაციურ მოქმედებაში მისი მონაწილეები თავდაპირველად არ არიან ორიენტირებულნი საკუთარ წარმატებებზე, ისინი პირად მიზნებს იმ პირობით მისდევენ, რომ თავიანთი მოქმედებების გეგმის შეთანხმებას სიტუაციის საერთო განსაზღვრების საფუძველზე შეძლებენ.

თუ მიზანრაციონალური მოქმედების ამოცანა დასახული მიზნის მიღწევაა, მაშინ კომუნიკაციური მოქმედება ურთიერთობის პროცესში გაგების მიღწევაზეა (კომუნიკაციურ გაგებაზეა) მიმართული. კომუნიკაციურ მოქმედებაში არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა მეტყველება და ენა, მაგრამ მსგავსი მოქმედება უნდა გავიგოთ უფრო ფართოდ, ვიდრე უბრალოდ რაღაც ისეთი, რომელიც თავის თავში მეტყველებით აქტებს ან არავერბალური გამოთქმების ეკვივალენტურ აქტებს შეიცავს. „ჰაბერმასის მარქსისაგან ძირეული განსხვავება იმის დასაბუთებაშია, რომ სწორედ კომუნიკაციური მოქმედება და არა მიზანრაციონალური მოქმედება (შრომა არის უნიკალური და ყველაზე არსებითი მოვლენა, რომელიც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი) არის ყველაზე უმთავრესი და ფუნდამენტური. სწორედ კომუნიკაციური მოქმედება (და არა შრომა) არის მთელი სოციოკულტურული ცხოვრების, ასევე, ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძველი. თუ მარქსი ყურადღებას შრომაზე ამახვილებდა, მაშინ ჰაბერმასი სათავეში კომუნიკაციას აყენებს“ (Джордж Ритцер. Современные социологические теории. 5-ое издание, СПБ.: Питер, 2002. გვ. 177).

მარქსი არა მხოლოდ შრომაზე აკეთებდა აქცენტს, არამედ თავისუფალ და შემოქმედებით შრომას (სახეობის არსებას) სხვადასხვა ეპოქაში, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ეპოქაში საკუთარი კრიტიკული ანალიზის ამოსავალ მიმართებად განიხილავდა. ჰაბერმასის ამოსავალი კი არის დაუმახინჯებელი კომუნიკაცია იძულებისა და ძალადობის გარეშე. ამ ხაზის დაცვისას ჰაბერმასს შესაძლებლობა აქვს, კრიტიკულად გაანალიზოს დამა-

ხინჯებული კომუნიკაცია. მას აინტერესებს ის სოციალური სტრუქტურები, რომლებიც კომუნიკაციას ამახინჯებს. მარქსიც სწორედ ასე აანალიზებდა შრომის დამახინჯების სტრუქტურულ წყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ პოზიციებს იცავენ, მაინც აქვთ ეს ამოსავალი ხაზები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევთ, თავიდან აიცილონ რელატივიზმი და სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებზე იმსჯელონ. ჰაბერმასი ვებერს, თავის წინამორბედებს – კრიტიკული სკოლის წარმომადგენლებს, ასეთი ამოსავალი ხაზის უქონლობისა და რელატივიზმში ჩავარდნის გამო აკრიტიკებს.

არსებობს კიდევ ერთი პარალელი ჰაბერმასსა და მარქსს შორის: ორივესათვის ამოსავალი ხაზები არა მხოლოდ ანალიტიკური ამოსავალი წერტილებია, არამედ აგრეთვე – პოლიტიკური მიზნებიც. ეს ნიშნავს, რომ, თუ მარქსის მიზანი იყო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც პირველად წარმოიქმნებოდა დაუმახინჯებელი შრომა (სახეობის არსება), მაშინ ჰაბერმასის პოლიტიკური მიზანია დაუმახინჯებელი კომუნიკაციების (კომუნიკაციური მოქმედებების) საზოგადოება. თუ უშუალო მიზნების შესახებ ვილაპარაკებთ, მაშინ მარქსი ცდილობდა, მოეხსნა ბარიერები თავისუფალი შრომის გზაზე. ჰაბერმასი კი დაინტერესებულია, აღმოფხვრას დაბრკოლებები თავისუფალი კომუნიკაციების მიღწევის გზაზე. როგორც ფსიქოანალიზი ეხმარება ინდივიდს დაბრკოლებების გადალახვაში, ისევე კრიტიკული თეორიაც, ოღონდ სისტემური თვითმოტყუების ახსნისა და გაშუქების საფუძველში მდებარე არგუმენტაციის თერაპიული კრიტიკის მეშვეობით, ცდილობს დაეხმაროს ყველა ადამიანს სოციალური ბარიერების გადალახვაში, რათა მიაღწიონ და შეძლონ დაუმახინჯებელი ურთიერთობების გაბმა. ჰაბერმასის მიხედვით, მომავალი საზოგადოების იდეალური საფუძველი თანამედროვე მსოფლიოში არსებობს. სრულყოფილი კომუნიკაციის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ თანამედროვეობის ყველა კომუნიკაციურ აქტში.

5. რაციონალიზაცია, კომუნიკაცია, დისკურსი.

დაუმახინჯებელი კომუნიკაციის საკითხებს ჰაბერმასის შემოქმედებაში ცენტრალურ რაციონალიზაციის პრობლემასთან მივყავართ. აქ იგი ვებერის გავლენასაც განიცდის. თუ ადრე ძირითადი პათოსი მიმართული იყო მიზანრაციონალური მოქმედების რაციონალიზაციაზე, რომელმაც, ჰაბერმასის აზრით, საწარმოო ძალების ზრდასთან მიგვიყვანა, რაციონალიზაციის პრობლემის გადაჭრა არა მიზანრაციონალური მოქმედების, არამედ კომუნიკაციური მოქმედების რაციონალიზაციაშია. სწორედ კომუნიკაციური მოქმედების რაციონალიზაციას მივყავართ კომუნიკაციასთან, რომელიც თავისუფალია ბატონობისაგან, ნებაყოფლობითი და ღიაა. მოცემულ შემთხვევაში რაციონალიზაცია გულისხმობს გათავისუფლებას, ანუ „ურთიერთობების შემზღუდავ ბარიერთა“ მოხსნას. ეს კი ლეგიტიმაციასა და იდეოლოგიის შესახებ არსებულ მოსაზრებებთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ისინი დამახინჯებული კომუნიკაციების სწორედ ის ორი ძირითადი მიზეზია, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას, თუ ჩვენ ნებაყოფლობით და ღია საზოგადოებას ვესწრაფვით.

სოციალური ნორმების დონეზე ასეთი რაციონალიზაცია ნორმატული რეპრესიულობისა და სიმყარის დაცემას მოასწავებს, რასაც, თავის მხრივ, ინდივიდუალური მოქნილობისა და რეფლექსურობის ზრდასთან მივყავართ. ახალი, შემაკავებელი ან სავსებით არაშემაკავებელი ნორმატიული სისტემის განვითარება ჰაბერმასისეული სოციალური თეორიის ევოლუციის თეორიის არსს შეადგენს. ახალი, მწარმოებლური სისტემის ნაცვლად, რაციონალიზაციას, ჰაბერმასის მიხედვით, ახალ, ნაკლებად დამახინჯებულ ნორმალურ

სისტემასთან მივყავართ. ჰაბერმასის მიხედვით, ევოლუციის საბოლოო პუნქტი რაციონალური საზოგადოებაა. მოცემულ შემთხვევაში რაციონალურობა კომუნიკაციის დამამახინჯებელი ბარიერების აღმოფხვრას ნიშნავს, უფრო ზუსტად, ეს ნიშნავს კომუნიკაციურ სისტემას, რომელშიც იდეების წარმოება და კომუნიკაციისაგან დაცვა ღია ხდება. სისტემა, რომელიც არგუმენტაციის პასუხთა შედეგად წარმოიქმნება, ნებაყოფლობითი თანხმობაა. ეს რომ უფრო უკეთ გავიგოთ, აუცილებელია ვიცოდეთ კომუნიკაციური თეორიის კიდევ რამდენიმე დეტალი.

ჰაბერმასი ერთმანეთისაგან წინასწარ განხილულ კომუნიკაციურ მოქმედებას და დისკურსს განასხვავებს. თუ კომუნიკაციურ მოქმედებას-საქმიანობას ადგილი აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ დისკურსი, ესაა ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული გამოცდილების და საქმიანობის კონტექსტთან და რომლის სტრუქტურაც გვარწმუნებს. მტკიცებულებათა, რეკომენდაციათა ან გაფრთხილებათა დასაბუთებადობა დისკურსის განსაკუთრებული საგნებია; მონაწილეები, თემები და აქტიურობის ხარისხი არ იზღუდება, იმ მომენტების გარდა, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს განსახილველ მტკიცებულებათა დასაბუთებადობის შემოწმებასთან. „არ არსებობს უკეთესი ძალა, ვიდრე დასაბუთებული არგუმენტი. ნებისმიერი სხვა მოტივი, გარდა ჭეშმარიტებამდე ერთად მისვლის სურვილისა, გამოირიცხება“.

დისკურსის თეორიული სამყარო, რომლის საფუძველში კომუნიკაციურ მოქმედებათა ფარული სამყარო დევს, არის იდეალური „სამეტყველო სიტუაცია“, რომელშიც ძალა არ წყვეტს, თუ რომელი არგუმენტი აღწევს წარმატებას, იმარჯვებს საუკეთესო-უკეთესი არგუმენტი. არგუმენტაციისა და დასაბუთებულობის ხარისხი განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ჩაითვალოს დასაბუთებულად ან ჭეშმარიტად. არგუმენტები, რომლებიც წარმოიქმნება მსგავსი დისკუსიების საფუძველზე (და რომლებსაც მონაწილენი ეთანხმებიან) – ჭეშმარიტია. ამგვარად, ჰაბერმასი იზიარებს ჭეშმარიტების საყოველთაოდ მიღებულ თეორიას. ეს ჭეშმარიტება კომუნიკაციის ნაწილია და მისი სრული გამოთქმა ჰაბერმასის ევოლუციური თეორიის მიზანს წარმოადგენს. ჭეშმარიტების იდეა, საბოლოო ჯამში, მიუთითებს ყველა დამამახინჯებელი გავლენებისგან თავისუფალი ურთიერთობის ფორმაზე. „კარგი და სამართლიანი ცხოვრება“, რომელიც კრიტიკული თეორიის მიზნად იქცა და ჭეშმარიტი წარმოდგენებიც მიეკუთვნება, ყოველ სამეტყველო აქტში პროგნოზირდება. თანხმობა თეორიულად დისკურსში (და თეორიამდე – კომუნიკაციურ მოქმედებაში) წარმოიქმნება, როდესაც ურთიერთმოქმედ პირთა მიერ განსახილველად მიიღება და აღიარებულია დასაბუთებულობის 4 ტიპი:

1. მოსაუბრის დიქცია გასაგებ და გონიერ რამედ ითვლება.
2. მოსაუბრეებისათვის შეთავაზებული მტკიცებულებები ჭეშმარიტია, ანუ მოსაუბრე საიმედო ცოდნას გვთავაზობს.
3. მოსაუბრე მართალია, გულწრფელია, წინადადებების შეთავაზებისას მოსაუბრე საიმედოა.
4. მოსაუბრეს შეუძლია სამართლიანად და მტკიცედ წამოაყენოს მსგავსი მტკიცებულებები.

მოსაუბრეებს (ქალს ან კაცს) ამისათვის ნორმატიული ბაზა აქვთ. თანხმობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც დასაბუთებულობის ყველა ეს მტკიცებულება არსებობს და მიღებულია დისკურსის ყველა მონაწილის მიერ, თანხმობა ირღვევა, როდესაც ერთი ან მეტი მტკიცებულება ეჭვის ქვეშ დგება. თანამედროვე მსოფლიოში არსებობენ ძალები, რომლებიც ამახინჯებენ ამ პროცესებს, გვაშორებენ თანხმობის წარმოშობას, არადა, ეს წინააღმდეგობები უნდა გადაილახოს, რათა ჰაბერმასისეული იდეალური საზოგადოება მივიღოთ.

6. ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროს კოლონიზაცია

ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს მოქმედებისა და სტრუქტურის ჩარჩოებში. ჰაბერმასი მუშაობს „პარადიგმების შერწყმაზე“ და სტრუქტურის მიმართ თავის მიდგომას იმით აყალიბებს, რომ მოქმედების და სისტემების თეორიებიდან ნასესხებ იდეებს განიხილავს მაშინ, როდესაც ცხოვრების (სიცოცხლის) სამყაროზე ბჭობს; სტრუქტურას კი, ძირითადად, სოციალური სისტემის განხილვისას აანალიზებს, – როგორც ძალას, რომელიც ცხოვრების სამყაროს „კოლონიზაციას“ ეწევა. რას გულისხმობს ჰაბერმასი „ცხოვრების სამყაროს“, „სისტემის“ და „კოლონიზაციის“ ცნებების ქვეშ? სანამ ცნებების ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ჰაბერმასის განაზრების ძირითად საგნად მაინც კომუნიკაციური მოქმედება, თავისუფალი და ღია კომუნიკაცია, როგორც მისი თეორიის, ისე პოლიტიკური მიზნის ძირითადი ხაზი, რჩება. გარდა ამისა, იგი მეთოდოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოდელისაგან გადახრები გავაანალიზოთ. სიცოცხლის სამყაროს კოლონიზაციაში მას ყველაზე მეტად თავისუფალ კომუნიკაციაზე ამ პროცესის არაკეთილსასურველი ზემოქმედება აინტერესებს.

ჰაბერმასი ასევე არ კარგავს ინტერესს რაციონალიზაციის პროცესზე. ცხოვრების სამყაროსა და სოციალური სისტემის რაციონალიზაცია და მათ შორის არსებული განსხვავებების გავლენა სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზებაზე, მისი ცხოველი ინტერესის პერმანენტული ნაწილია. ვებერის ტერმინებით: სისტემა არის ფორმალური რაციონალურობის სფერო, მაშინ როდესაც ცხოვრების სამყარო სუბსტანციური რაციონალურობის სფეროა.

მაშასადამე, ცხოვრების კოლონიზაცია ნიშნავს ვებერისეული თეზისის განმეორებას, რომ თანამედროვე სამყაროში ფორმალური რაციონალობა სუბსტანციურ რაციონალობაზე იმარჯვებს და ბატონობას იმ სფეროებში იწყებს, რომლებიც ადრე სუბსტანციური რაციონალურობით განისაზღვრებოდნენ. ამგვარად, ჰაბერმასი მისი მოძღვრების მარქსისეულ და ვებერისეულ ორიენტირებს მაინც ინარჩუნებს.

ცხოვრების სამყარო – ესაა ხედვა შიგნიდან. საზოგადოება მოქმედი სუბიექტის პოზიციიდან მიიწვდომება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს მხოლოდ ერთი საზოგადოება – ცხოვრების სამყარო და სისტემა – მისი განხილვის მხოლოდ განსხვავებული ხერხებია.

ჰაბერმასი ცხოვრების სამყაროსა და კომუნიკაციური მოქმედების ცნებებს ურთიერთშემავსებელ, დამატებით ცნებებად თვლის. უფრო კონკრეტულად, კომუნიკაციური მოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიცოცხლის სამყაროს ჩარჩოებში მიმდინარე ხდომილება. ცხოვრების სამყარო წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ტრანსცენდენტურ ადგილს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მოსაუბრე და მსმენელი, სადაც ერთმანეთს უყენებენ პრეტენზიებს, რომ სწორედ მათი გამოთქმები შეესატყვისებიან სამყაროს... და სადაც მათ ძალუძთ, გააკრიტიკონ და განამტკიცონ დასაბუთებულობის ეს პრეტენზიები, მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოებები და შეთანხმებამდე მივიდნენ.

ცხოვრების სამყარო კომუნიკაციური მოქმედების გზით გაგების მიღწევის პროცესთა კონტექსტის მწარმოებელ ფონს წარმოადგენს. იგი ურთიერთგაგების თაობაზე გამოთქმულ ვარაუდთა ფართო დიაპაზონს მოიცავს, რომლებიც უნდა არსებობდეს და ორივე მხარისთვის გასაგები იყოს, რათა კომუნიკაცია შესაძლებელი გახდეს.

ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია, ჰაბერმასის აზრით, ცხოვრების სამყაროში მზარდ რაციონალურ კომუნიკაციას ნიშნავს. იგი ფიქრობს, რომ რაც უფრო რაციონალური ხდება ცხოვრების სამყარო, მით უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ ურთიერთქმედების რეგულირება რაციონალურად მოტივირებული ურთიერთგაგებით მოხდება. ასეთი გა-

გება, ანუ თანხმობის მიღწევის რაციონალური მეთოდი, საბოლოო ჯამში, უკეთესი არგუმენტის ძალაუფლებასა და ძლიერებაზეა დაფუძნებული.

ჰაბერმასის აზრით, ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია მისი სხვადასხვა ელემენტების თანდათანობით დიფერენციაციას გულისხმობს. ცხოვრების სამყარო შედგება კულტურის, საზოგადოებისა და პიროვნებისაგან (პარსონსის გავლენა). თითოეული ელემენტი დაკავშირებულია კულტურისა და მოქმედებაზე მისი გავლენის, სოციალური ურთიერთობების (საზოგადოების შესახებ) შესაბამისი ნიმუშების და ადამიანთა ქცევის (პიროვნების შესახებ) ინტერპრეტაციის მოდელებთან, ანუ ფონურ წარმოდგენებთან. კომუნიკაციურ მოქმედებაში მონაწილეობა და გაგების მიღწევა თითოეული ნაჩვენები პოზიციის თვალსაზრისით ცხოვრების სამყაროს კვლავწარმოებას კულტურის განმტკიცების, საზოგადოების ინტეგრაციის და პიროვნების ფორმირების გზითა და მეოხებით ხელს უწყობს. ეს ელემენტები არქაულ საზოგადოებებში მჭიდროდაა გადახლართული. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია კულტურას, საზოგადოებას და პიროვნებას შორის მზარდ დიფერენციაციას გულისხმობს.

7. „სისტემა“ და „ცხოვრების სამყარო“

„სიცოცხლის სამყაროს“ კატეგორია სოციალური სინამდვილის მხოლოდ ერთ ასპექტს აფიქსირებს. ის მოქმედების, უშუალო ურთიერთქმედების, პრაქტიკული გამოცდილების სფეროთა კონცეპტუალიზაციას ემსახურება. სოციუმის სუბიექტური მხარე იმის სადემონსტრაციოდ გამოიყენება, თუ სუბიექტის მიზანდასახული, ინტენციონალური, გაცნობიერებული საქმიანობის მიმდინარეობისას სოციალური სინამდვილე როგორ იწარმოება და კვლავ იწარმოება. მაგრამ სოციალურ სინამდვილეს კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს, რომელიც „სისტემის“ ცნებით აღინიშნება. „სიცოცხლის სამყაროს“ და „სისტემის“ ცნებათა შორის განსხვავებები ჰაბერმასს ფორმალურად ესაჭიროება, რათა სოციალური კვლავწარმოების (მატერიალურისა და სიმბოლურის) სფეროები ერთმანეთისაგან გამიჯნოს, რომლებიც, თავის მხრივ, ინტეგრაციის განსხვავებულ ტიპებს – სისტემურსა და სოციალურს – აღნიშნავენ, და რომლებიც მოქმედების ანალიტიკურად განსხვავებულ კონტექსტებში (სტრატეგიულსა და კომუნიკაციურში) არიან ჩართულნი.

სისტემა ცალ – ცალკე არსებულ მოქმედებებს გარე სამყაროსთან ადაპტაციის მიზანთა შესატყვისად აერთიანებს; სტრატეგიული მოქმედების გაუთვალისწინებელ თუ განუზრახველ შედეგებს თავისუფალი ნების ფარგლების შემზღუდველ საბაზრო და ბიუროკრატიულ მექანიზმთა დახმარებით არეგულირებს.

„სიცოცხლის სამყარო“ კი ინდივიდუალური და სოციალური იდენტურობის შენარჩუნებასა და დაცვაზეა მიმართული, მოქმედების ორგანიზებას მიღებულ ღირებულებათა საფუძველზე ახორციელებს და კონკრეტულ სიტუაციებში თანხმობის შესაძლებლობებს ადგენს. „ორი გამოთქმა – „სოციალური ინტეგრაცია“ და „სისტემური ინტეგრაცია“ სათავეს განსხვავებული თეორიული ტრადიციებისგან იღებს. ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალური ინტეგრაციის შესახებ იმ ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომლებშიც მოლაპარაკე და მოქმედი სუბიექტები სოციალურ ურთიერთკავშირებს ადგენენ. სოციალური სისტემები იგივე ცხოვრების სამყაროებია, რომლებიც სიმბოლურად არიან სტრუქტურიზებულნი. სისტემური ინტეგრაციის შესახებ კი ჩვენ მხოლოდ თვითრეგულირებადი სისტემის სპეციფიკურად მართვადი გამოვლინებების თვალსაზრისით ვლაპარაკობთ. სოციალური სისტემები აქ მათი საკუთარი საზღვრების დაცვის და მუდმივად ცვლადი გარემოს სირთულის გა-

დალახვის გზით საკუთარი არსებობის გაგრძელების შესაძლებლობის თვალსაზრისით განიხილება.

ამგვარად, ჩვენ წინაშეა ორი ერთმანეთისაგან არა მკაცრად გამიჯნული სფერო, რომელთა შორის ნათელი საზღვრის გატარება შესაძლებელია, რის შემდეგაც ბჭობა უკვე მათი ურთიერთქმედების ტერმინებში იქნება შესაძლებელი. საზღვარი სისტემასა და სიცოცხლის სამყაროს შორის მოძრავი და გამჭვირვალეა (სისტემა ელემენტების ისეთი ერთობლიობაა, რომელსაც ნაკლებმკვეთრი, დიფუზური საზღვარი აქვს). სისტემა სიცოცხლის სამყაროს შიგნით, როგორც მოქმედების გაუთვალისწინებელი-გულუზრახი შედეგი წარმოიშობა და მასთან დაკავშირებული რჩება ნორმატიული აზრით. უფრო მეტიც – „სისტემაც“ და „სიცოცხლის სამყაროც“ მოქმედების ორი, ლოგიკურად და ანალიტიკურად განსხვავებული ფუნქციის სახით გვევლინება, რომლებიც სოციალურ სინამდვილეში ერთმანეთს გადაკვეთენ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ისინი სოციალური სინამდვილის განხილვის ორ პერსპექტივას წარმოადგენენ. „მე უპირატესობას ვანიჭებ – წერს ი. ჰაბერმასი – „სიცოცხლის სამყაროს“ ცნების, როგორც „კომუნიკაციური მოქმედების“ ცნების ურთიერთდამატების შემოტანას, როგორც ისეთი გარემოსი, რომლის მეშვეობითაც სიცოცხლის სამყაროს სიმბოლური სტრუქტურები საკუთარ თავს კვლავ აწარმოებენ. ამავე დროს, ინსტრუმენტული მოქმედებები, წარმოადგენენ რა ურთიერთქმედებებს ობიექტურ სამყაროში, სიცოცხლის სამყაროს მატერიალური სუბსტრატის კვლავმწარმოებელ გარემოდ გვევლინება, რომლის მეშვეობითაც სიცოცხლის სამყარო გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთგაცვლის პროცესს სიცოცხლის სამყაროს მაობიექტივირებელი გარე დამკვირვებლის თვალსაზრისით ავითარებს. „მატერიალური გაცვლის ეს პროცესი“ შეიძლება, როგორც ფუნქციონალური ურთიერთკავშირები და თვითრეგულირებადი სისტემები გაანალიზდეს.

ამიტომ „სიცოცხლის სამყაროს“ და „სისტემის“ დამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დიალექტიკური პროცესი, რომელშიც სიცოცხლის სამყარო, წარმოადგენს რა მოძრაობისა და წინააღმდეგობის წყაროს, გააუცხოებს ნაწილობრივ თავის თავს გარე სამყაროში, რითაც დამოკიდებული აღმოჩნდება სოციალურ სტრუქტურებზე და იძულებული იქნება, დაექვემდებაროს და შეეგუოს მას. მაგრამ მას ასევე ძალუძს, „სისტემის“ მხრიდან მომდინარე „რეპრესიებს“ და „კოლონიზაციებს“ დაუპირისპირდეს. მას უნარი შესწევს, წინააღმდეგობა გაუწიოს სისტემას, სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობები გაამწვავოს და სოციალური სინამდვილის ცვლილებასთან მიგვიყვანოს. „გაუცხოება-მოხსნის“ დიალექტიკური პროცესი „სიცოცხლის სამყაროს“ შინაგანი დიფერენციაციისა და რაციონალიზაციის პროცესს საფუძვლად ედება, რითაც სოციალური ევოლუციის განუმეორებელ და უნიკალურ სარჩულს ქმნის. ჰაბერმასის აზრით, „სისტემისა“ და „სიცოცხლის სამყაროს“ ურთიერთდამოკიდებულებების დიალექტიკა მათი ურთიერთდამოკიდებულებების იმ აღწერებისაგან, რომელსაც როგორც სისტემური მიდგომა სოციოლოგიაში (დაწყებული ტ. პარსონსისაგან და დამთავრებული ნ. ლუმანის ჩათვლით), ისე ჰერმენევტიკული ფილოსოფია გვთავაზობს, კარდინალურად განსხვავდება. ზემოთ ნახსენები ორივე ტრადიცია მხოლოდ განხილვის განსხვავებულ პერსპექტივებს წარმოადგენენ, რომლებიც „სისტემისა“ და „სიცოცხლის სამყაროს“ განსხვავებებისაგან მომდინარეობს. პირველი სოციალურ სინამდვილეს „გარეგანი დამკვირვებლის“ თვალსაზრისით განიხილავს, რომელიც სოციალური ქცევის კონცეპტუალიზაციას „გაუთვალისწინებელი თუ გულუზრახი შედეგების“ ცნებაში ახდენს და იძულებულია, „სისტემისა“ და „სიცოცხლის სამყაროს“ ურთიერთქმედებებისა და ურთიერთდამოკიდებულებების ადაპტაციურ-შემგუებლური ასპექტი გაამართლოს. მეორე კი სოციალური მოქმედების „აგენტისაგან“ ამოდის,

რომელიც საზოგადოდ მიღებულ მნიშვნელობათა და ნორმათა კომუნიკაციურ სისტემაშია ჩართული და ამიტომ მოქმედების სუბიექტს კონსენსუსის მიღწევის იმანენტური მისწრაფებით აღჭურავს-აიარაღებს.

მეთოდოლოგიური განსხვავება ინტეგრაციის სფეროთა ლოგიკური და ონტოლოგიური გამიჯვნისათვის საკმარისი არაა და მათი შეპირისპირებითი ანალიზისათვის მით უფრო ნაკლებ საფუძველს გვაძლევს. „სისტემის“ და „სიცოცხლის სამყაროს“ დიფერენციაცია, ჰაბერმასთან ყველა საზოგადოების მიერ განხორციელებულ ინტეგრაციული ფუნქციების არა მხოლოდ ლოგიკურ დაყოფასთან, არამედ სოციალური სინამდვილის განსაზღვრული მდგომარეობის ევოლუციურ მიღწევასთანაც – მოქმედების სხვადასხვა ტიპების შესაბამისად, ამ ფუნქციების ონტოლოგიურ განაწილებასთანაცაა მიმართებაში, რომლის შესაძლებლობა თავიდანვე „სიცოცხლის სამყაროს“ რაციონალიზაციაზეა დაფუძნებული.

ამგვარად, თუ ცხოვრების სამყარო საზოგადოების შესახებ მოქმედი სუბიექტების თვალსაზრისს წარმოადგენს, მაშინ სისტემა გარეგან ხედვას გულისხმობს, რომელიც საზოგადოებას გარედან რომელიღაც დამკვირვებლის პოზიციიდან განიხილავს.

სისტემის ანალიზისას ჩვენ ყურადღებას მოქმედებათა ურთიერთკავშირზე, აგრეთვე, მოქმედებათა ფუნქციონალურ მნიშვნელობაზე და სისტემის შენარჩუნებაში მათ როლზე ვამახვილებთ. ცხოვრების სამყაროს (კულტურა, საზოგადოება, პიროვნება) თითოეულ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს სისტემის შესაბამისი ელემენტები აქვს: კულტურული კვლავწარმოება, სოციალური ინტეგრაცია და პიროვნული ფორმირება სისტემის დონეზე ხდება და მიმდინარეობს.

სისტემას ფესვები ცხოვრების სამყაროში აქვს გადგმული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი თავის საკუთარ სტრუქტურულ მახასიათებლებს თავად იმუშავებს, ასეთი სტრუქტურების რიცხვშია: ოჯახი, მართლმსაჯულება, სახელმწიფო, ეკონომიკა და ა.შ. თავისი განვითარების დონის შესაბამისად, ეს სტრუქტურები სულ უფრო სცილდებიან ცხოვრების სამყაროს, ისევე, როგორც ცხოვრების სამყაროში რაციონალიზაცია სისტემურ დონეზეც მუდმივ დიფერენციაციას და დიდ სირთულეებს იწვევს. სტრუქტურები უფრო თვითკმარნი ხდებიან. მათი ძლიერების და ძალაუფლების ზრდა-გაფართოების შესაბამისად, ისინი ცხოვრების სამყაროს მართვის დიდ უნარს ავლენენ. ისინი სულ უფრო ნაკლებდაკავშირებულნი ხდებიან კონსენსუსის მიღწევის პროცესებთან და ცხოვრების სამყაროში ამ პროცესის გავლენას არსებითად ზღუდავენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს რაციონალური სტრუქტურები, ნაცვლად იმისა, რომ გააძლიერონ კომუნიკაციების და გაგების მიღწევის უნარ-ჩვევები, პირიქით, ამ პროცესებს იმით ემუქრებიან, რომ მათზე გარეგან კონტროლს ახორციელებენ.

8 . სოციალური და სისტემური ინტეგრაცია

ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან ჰაბერმასი დაასკვნის: „სოციალური თეორიის ფუნდამენტური პრობლემა ისაა, თუ როგორ გავაერთიანოთ დამაკმაყოფილებელი სახით ორი კონცეპტუალური სტრატეგია, რომლებიც ცნებებით – „სისტემა“ და „ცხოვრების სამყარო აღინიშნება“. ჰაბერმასი ამ ორ კონცეპტუალურ სტრატეგიას „სისტემურ ინტეგრაციას“ და „სოციალურ ინტეგრაციას“ უწოდებს.

სოციალური ინტეგრაციის მიდგომა კონცენტრირებას ცხოვრების სამყაროზე და იმაზე ახდენს, თუ როგორაა მოქმედების სისტემა ნორმატიულად გარანტირებული ან კომუნიკაციაში მიღწეული კონსენსუსის მეშვეობით ინტეგრირებული. თეორეტიკოსები,

რომლებიც თვლიან, რომ საზოგადოება გაერთიანებულია სოციალური ინტეგრაციის მეშვეობით, უკუაგდებენ კომუნიკაციურ მოქმედებას და საზოგადოებას ცხოვრების სამყაროსთან აიგივებენ. ისინი იცავენ ჯგუფის წევრების შინაგან ხედვას და იყენებენ ჰერმენევტიკულ მიდგომას იმისათვის, რათა თავისი საკუთარი გაგება ცხოვრების სამყაროს წევრების გაგებას შეუთანადონ. საზოგადოების შეუწყვეტელი კვლავწარმოება განიხილება, როგორც ცხოვრების სამყაროს წევრთა მიერ ამ სამყაროს სიმბოლურ სტრუქტურათა შენარჩუნების მიზნით წამოწყებულ ქმედებათა რეზულტატი. ეს პროცესიც განსაკუთრებულად მათივე პოზიციებიდან განიხილება. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ჰერმენევტიკულ მიდგომაში გარე დამკვირვებლის თვალსაზრისი, აგრეთვე, სისტემურ დონეზე მიმდინარე კვლავწარმოების პროცესთა გაგება იკარგება.

სისტემური ინტეგრაციის მიდგომა ძირითად ყურადღებას სისტემას და იმას აქცევს, თუ როგორაა ის ინტეგრირებული ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე გარეგანი კონტროლის მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთს სუბიექტურად არ უთანხმებენ. ამ მიდგომის მომხრეები საზოგადოებას თვითრეგულირებად სისტემად მიიჩნევენ. ისინი იკავებენ გარეგანი დამკვირვებლის პოზიციას, მაგრამ ეს პერსპექტივა ხელს უშლის, დაბრკოლებას უქმნის სტრუქტურულ ნიმუშთა რეალურ განხილვას, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ჰერმენევტიკულად იქნეს გაგებული ცხოვრების სამყაროს წევრთა შინაგანი შეხედულებით.

ამგვარად, ჰაბერმასის დასკვნით, თითოეული მიდგომა განსაზღვრულ პრინციპებს აყენებს, მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონენი არიან. ამ კრიტიკის საფუძველზე ჰაბერმასი თავის ალტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს, რადგან თეორიული ორიენტაციის გაერთიანებას ცდილობს. იგი საზოგადოებას მიიჩნევს სისტემად, რომელშიც სოციო-კულტურულმა სამყარომ შენარჩუნების პირობები უნდა შეასრულოს. დოქტრინიორული საზოგადოებები სოციალურად ინტეგრირებული ჯგუფების მოქმედებათა სისტემურად სტაბილიზებულ კომპლექსებს წარმოადგენენ და ის მხარს ევრისტიკულ წინადადებებს უჭერს. განვიხილოთ საზოგადოება, როგორც არსება, რომელიც სოციალური ევოლუციის მსვლელობაში, როგორც სისტემად, ისე ცხოვრების სამყაროდ დიფერენცირდება.

ჰაბერმასს როგორც სისტემა, ისე ცხოვრების სამყარო და აგრეთვე მათი ევოლუციაც აინტერესებს. თუმცა სისტემაც და ცხოვრების სამყაროც მზარდი რაციონალიზაციის მიმართულებით ვითარდებიან, ცხოვრების სამყაროში და სისტემაში რაციონალიზაცია განსხვავებულ ფორმებს იღებს და ეს დიფერენციაცია ცხოვრების სამყაროს კოლონიზაციის საფუძველს წარმოადგენს.

9. სოციალური სისტემის მიერ ცხოვრების სამყაროს კოლონიზაცია და მისი დაძლევის გზები

კოლონიზაციის იდეის გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საზოგადოება ცხოვრების სამყაროსა და სოციალური სისტემისაგან შედგება. მართალია, საზოგადოების ევოლუციის ადრეულ ეპოქაში ისინი მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთში გადახლართულნი, თუმცა, დღეს მათ შორის მზარდი განსხვავებები შეინიშნება. ისინი დასცილდნენ და განცალკევდნენ, როგორც ცხოვრების სამყარომ, ისე სისტემამ დიფერენციაციის პროცესი განიცადა, მაგრამ ამ პროცესმა ორივე სფეროში განსხვავებული სახე მიიღო. მართალია, ჰაბერმასი სისტემასა და ცხოვრების სამყაროს შორის დიალექტიკურ კავშირს ხედავს (ისინი ერთდროულად ზღუდავენ და, ამავე დროს, ახალ შესაძლებლობებს აძლევენ ერთმანეთს), მაგრამ ძირითადი ინტერესის საგანს შეადგენს საკითხი იმის თაობაზე, თუ

როგორი წესით გახდა თანამედროვე მსოფლიოში სოციალური სისტემა ცხოვრების სამყაროს მაკონტროლებელი. ე.ი., რა წესით აკონტროლებს სისტემა ცხოვრების სამყაროს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას სოციალურ სისტემასა და ცხოვრების სამყაროს შორის დიალექტიკის დარღვევა და პირველის ძალაუფლების ზრდა და ბატონობა მეორეზე აინტერესებს.

ჰაბერმასი სოციალური სისტემისა და ცხოვრების სამყაროს მზარდ რაციონალიზაციას ერთმანეთს უპირისპირებს. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაცია კომუნიკაციურ მოქმედებაში რაციონალურობის გაზრდას იწვევს. გარდა ამისა, ურთიერთგაგების მიღწევაზე ორიენტირებული მოქმედება ნორმატიული იძულებისაგან სულ უფრო თავისუფლდება და სულ უფრო დიდი ხარისხით ყოველდღიურ ენას ეყრდნობა. სხვა სიტყვებით, სოციალური ინტეგრაცია სულ უფრო და უფრო იმ პროცესების მეშვეობით მიიღწევა, რომელთა დროსაც თანხმობა ენაში ყალიბდება.

მაგრამ საბოლოოდ ენისადმი მოთხოვნები იზრდება და მისი შესაძლებლობების გადაჭარბებას იწყებს. დელინგვისტიფიცირებული საშუალებები (განსაკუთრებით, ფული ეკონომიკურ სისტემაში, ძალაუფლება პოლიტიკურ სისტემაში და მის ადმინისტრაციულ აპარატში) – ანუ ის საშუალებები, რომლებიც დიფერენცირებულ იქნენ სისტემაში და გამოეყვნენ მას – ამ სიცარიელეს ავსებენ და ყოველდღიურ ენას ცვლიან. მოქმედების ენობრივი კოორდინაციის ნაცვლად ამ ფუნქციას ფული და ძალაუფლება ასრულებს. ცხოვრება მონეტიზირდება და ბიუროკრატიზირდება.

სხვაგვარად გართულებადი სისტემა „გამოათავისუფლებს ცხოვრების სამყაროს შესაძლებლობების დამანგრეველ სისტემურ იმპერატივებს, რომლებსაც ისინი ინსტრუმენტულ ხასიათს აძლევენ“. ამასთან დაკავშირებით ჰაბერმასი წერს „ძალაუფლების“ შესახებ, რომელსაც სისტემა ცხოვრების სამყაროს მიმართ იმგვარად იყენებს, რომ ზღუდავს კომუნიკაციას. ეს ძალადობა, თავის მხრივ, ცხოვრების სამყაროში „პათოლოგიებს“ იწვევს. ჰაბერმასი ამ ცვლილებებს მსოფლიოს ისტორიის შესახებ ბჭობისას განიხილავს.

სისტემისა და ცხოვრების სამყაროს შორის მიმავალი განცალკევება ევროპული ფეოდალიზმის ეკონომიკური კლასობრივი საზოგადოებისაკენ გადასვლის აუცილებელი პირობა იყო. მაგრამ მოდერნიზაციის კაპიტალისტური მოდელი დამახინჯებებით ხასიათდება, ეს ფულისა და ძალაუფლების მეშვეობით თვითკმარ სისტემად ქცეული ქვესისტემების იმპერატივების ზეწოლის შედეგად ცხოვრების სამყაროს სიმბოლური სტრუქტურების განივთებაა.

ამგვარად, ჰაბერმასის თვალსაზრისით, სოციალური სისტემის რაციონალიზება იმარჯვებს ცხოვრების სამყაროს რაციონალიზაციაზე, რის შედეგადაც ცხოვრების სამყარო სოციალური სისტემის მიერ კოლონიზირდება.

კოლონიზაციის რაობას ჰაბერმასი გარკვეულობას ანიჭებს იმის მტკიცებით, რომ მოცემულ პროცესში ძირითად ძალებად სისტემურ დონეზე მოქმედების ფორმალურად ორგანიზებული სფეროები, მაგალითად – ეკონომიკა და სახელმწიფო გვევლინებიან. თანამედროვე საზოგადოებაც ხასიათდება კრიზისებით, მათ დაძლევას ცდილობენ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა სახელმწიფო და ეკონომიკა, ოღონდ ისეთ მოქმედებებს მიმართავენ, რომლებიც დამღუპველად მოქმედებს ცხოვრების სამყაროზე და მასში პათოლოგიებსა და კრიზისებს იწვევს. არსებითად კი, ცხოვრების სამყარო ღარიბდება ამ სისტემით, კომუნიკაციური მოქმედება ვიწრო ჩარჩოებში იჭედება და თანხმობის მიღწევაზე უფრო ნაკლებადაა მიმართული. კომუნიკაცია იწყება და ქუცმაცდება, თავად ცხოვრების სამყარო კი ბალანსირებას დაღუპვისა და დანგრევის ზღვარზე ახდენს. მაგრამ სოციალუ-

რი სისტემის მხრიდან როგორი დიდიც არ უნდა იყოს კოლონიზაციის საფრთხე, ცხოვრების სამყარო მთლიანად არასდროს გაქრება.

თუ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სოციალური სისტემისა და ცხოვრების სამყაროს გათიშულობასა და ცხოვრების სამყაროზე სოციალური სისტემის ბატონობაშია, მაშინ მისი გადაწყვეტა სავსებით ნათელია. ერთი მხრივ, აუცილებელია სოციალური სისტემისა და ცხოვრების სამყაროს კვლავაც შეერთება; მეორე მხრივ, სოციალური სისტემისა და ცხოვრების სამყაროს დიალექტიკა ისე უნდა აღდგეს, რომ ორივე ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ერთმანეთს. მათი მომავალი შეერთება უკვე რაციონალიზაციის ბაზაზე შეიძლება სოციალური სისტემის, ცხოვრების სამყაროს და მათი ურთიერთკავშირის ისეთი დონის დაბადების (თუ წარმოქმნის) საფუძველი გახდეს, რომელსაც პრეცედენტი არ ექნება კაცობრიობის ისტორიაში. ჰაბერმასი ყურადღებას ამახვილებს არა ექსპლუატაციაზე, არამედ კოლონიზაციაზე და მრავალ სოციალურ კონფლიქტს ამ მიდგომის შუქზე იხილავს; ისეთ სოციალურ მოძრაობებს, რომლებიც მეტ თანასწორობაზე, თვითრეალიზაციაზე, გარემოსა და მშვიდობის დაცვაზე არიან ორიენტირებულნი, ცხოვრების სამყაროზე სოციალური სისტემის მიერ მიტანილ იერიშზე რეაქციად მიიჩნევს. ამ მოძრაობათა განსხვავებული პოლიტიკური პროექტების თუ ინტერესების მიუხედავად, თითოეული მათგანი ცხოვრების სამყაროს კოლონიზაციის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობაა. მომავლის იმედი ცხოვრების სამყაროს ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლას და ისეთი სამყაროს შექმნას უკავშირდება, რომელშიც სოციალური სისტემა და ცხოვრების სამყარო ჰარმონიაში იქნებიან და ისე გაამდიდრებენ ერთმანეთს, როგორც ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ისტორიაში.

10. თანამედროვეობის (მოდერნის) დაუსრულებელი პროექტი

სავარაუდოდ, იურგენ ჰაბერმასი დღეისათვის არა მხოლოდ წამყვანი თეორეტიკოსი, არამედ, პოსტმოდერნისტების (არა მხოლოდ) მხრიდან თავდასხმების მიუხედავად, თანამედროვეობისა და რაციონალიზაციის თავდადებული დამცველიცაა. ანტი თუ პოსტმოდერნისტული პოზიციის დამცველი მრავალი თანამედროვე ინტელექტუალისაგან განსხვავებით, ჰაბერმასი თანამედროვეობის ინსტიტუციონალურ მოწყობაში რაციონალობის სტრუქტურას ამჩნევს, მაშინ, როდესაც ბევრი ინტელექტუალი თანამედროვეობის განმათავისუფლებელ პოტენციალს სკეპტიკურად უყურებს. ჰაბერმასი თანამედროვეობის უტოპიურ შესაძლებლობებზე საუბარს ჯიუტად აგრძელებს. სოციალურ სიტუაციაში, სადაც განმანათლებლობის მიერ წამოყენებული პროგრამის რწმენა, რომ გონებაზე დაყრდნობით შესაძლებელია იდეალური საზოგადოების მოწყობა, ჩაფერფლილი იმედი და დამხობილი კერპია, ყოველივე ამის მიუხედავად, ჰაბერმასი მაინც მის ერთ-ერთ დამცველად რჩება.

ჰაბერმასს თანამედროვეობა (მოდერნი) „დაუსრულებელ პროექტად“ წარმოუდგენია, მხედველობაში აქვს ის, რომ თანამედროვე სამყაროში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, პოსტმოდერნისტულ სამყაროზე კი ამის შემდეგ ვისაუბროთო.

ზემოთ თანამედროვეობაზე ჰაბერმასის განაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი განვიხილეთ, სადაც სოციალურ სისტემაზე, ცხოვრებისეულ სამყაროზე და სოციალური სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციაზე მის შეხედულებებს გავეცანით. შეიძლება ითქვას, რომ ჰაბერმასს „თანამედროვეობის პათოლოგიის თეორია“ აინტერესებს, რამდენადაც მიაჩნია, რომ თანამედროვეობა საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში იმყოფება. ის გულისხმობს, რომ რაციონალობა (ძირითადად, ფორმალური რაციონალობა),

რომელიც სოციალური სისტემის მახასიათებელი გახდა, ცხოვრებისეული სამყაროსათვის დამახასიათებელი რაციონალობისაგან განსხვავდება და მასთან წინააღმდეგობაში იმყოფება. სოციალური სისტემები გართულდნენ, უფრო დიფერენცირებულნი და ინტეგრირებულნი გახდნენ და ინსტრუმენტალური გონებით ხასიათდებიან. რეფლექსურობისა და კრიტიკის ნორმების მზარდი დიფერენციაცია, შემჭიდროება (ცოდნის და ჭეშმარიტების, სიკეთის და მშვენიერების ფუნდამენტური ღირებულებითი სფეროების გარდა), სეკულარიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია ცხოვრებისეულმა სამყარომაც განიცადა. რაციონალურ საზოგადოებაში როგორც სისტემის, ასევე ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაცია შეიძლება თავისი გზით, თავისი საკუთარი ლოგიკით წავიდეს. სისტემისა და ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციამ შეიძლება წარმოშვას საზოგადოება, რომელშიც გარე სამყაროზე კონტროლსა და მატერიალურ დოვლათს (როგორც რაციონალური სისტემების შედეგი), ჭეშმარიტებას, სიკეთეს და სილამაზეს (ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალობის შედეგი) ექნება ადგილი. მაგრამ თანამედროვე სამყაროში სისტემა უმთავრესად იქცა და ცხოვრებისეული სამყარო თავის კოლონიად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სისტემის რაციონალიზაციის ნაყოფის მირთმევის შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენ ცხოვრების სამყაროს სიმდიდრეს ვკარგავთ, რაც მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ცხოვრებისეული სამყარო აყვავდებოდა. მრავალი სოციალური მოძრაობა, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში ცხოვრებისეული სამყაროსა და სოციალური სისტემის ზღვარზე აღმოცენდა, შეიძლება გავიგოთ, როგორც ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციასა და გაღარიბებასთან დაპირისპირება.

სოციალური სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციის გაანალიზებისას ჰაბერმასი თავის თეორიას სოციალური აზრის ისტორიიდან აღებულ მაგალითებს ადარებს: სოციალური თეორიის ძირითადი მიმართულება, დაწყებული მარქსიდან და, სპენსერისა და დიურკემის გავლით, ზიმელს, ვებერსა და ლუკაჩამდე, როგორც საზოგადოებაში (ჰაბერმასის ცხოვრებისეული სამყარო) გარე სისტემების შესვლაზე, „შინაგანი უცხო ტერიტორიის წარმოშობაზე“ პასუხი უნდა განიხილებოდეს, რომელიც გაგებულია, როგორც თანამედროვეობის განმასხვავებელი ნიშანი. სხვა სიტყვებით, „თანამედროვეობის განმასხვავებელი ნიშანი“, ჰაბერმასისა და კლასიკოს თეორეტიკოსთა უმრავლესობის აზრით, თუ ჰაბერმასის ტერმინს გამოვიყენებთ, სისტემის მიერ ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციაა.

რაღა არის მაშინ, ჰაბერმასის აზრით, თანამედროვეობის პროექტის დასრულება? თითქოს ცხადია, რომ საბოლოო მიზანი უნდა იყოს რაციონალური საზოგადოება, რომელშიც სრულად უნდა გამოვლინდეს როგორც სოციალური სისტემის, ასევე ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალობა და მათ ერთმანეთი არ უნდა გაანადგურონ. დღეისათვის კი შეიმჩნევა ცხოვრებისეული სამყაროს გაღარიბება და ეს სიძნელე უნდა დაიძლიოს. მაგრამ გამოსავალი, ჰაბერმასის აზრით, სოციალური (განსაკუთრებით, ეკონომიური და ადმინისტრაციული) სისტემების რღვევაში არ არის, რადგანაც ცხოვრებისეული სამყაროს რაციონალიზაციისათვის აუცილებელ მატერიალურ წანამძღვრებს სწორედ ისინი უზრუნველყოფენ.

ჰაბერმასის მიერ განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ის სიძნელეა, რომელიც სოციალური კეთილდღეობის ბიუროკრატიულ სახელმწიფოს ახასიათებს. ამ პრობლემას ბევრი აღიარებს, მაგრამ მის გადაჭრას სისტემის დონეზე გვთავაზობენ, მაგალითად, სირთულის გადასაჭრელად ახალი ქვესისტემის მარტივი დამატებით. ჰაბერმასს არ მიაჩნია, რომ ამ გზით შეიძლება სიძნელის გადაჭრა. მისი ვარაუდით, ასეთი პრობლემები სოციალური სისტემისა და ცხოვრებისეული სფეროს ურთიერთკავშირში უნდა გადაიჭრას. ჯერ ერთი, უნ-

და დადგინდეს „ხელისშემშლელი ბარიერები“, რათა ცხოვრებისეულ სფეროზე სოციალური სისტემის გავლენა შესუსტდეს. მეორე, უნდა შეიქმნას „ხელსაწყოები“, რათა სოციალური სისტემაზე ცხოვრებისეული სფეროს გავლენა გაიზარდოს. ჰაბერმასი ასკვნის, რომ თანამედროვე პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მაშინ, „თუ სისტემა უკეთ ფუნქციონირებას შეისწავლის. ცხოვრების სფეროს უნდა ჰქონდეს უნარი, შევიდეს და ფუნქციონალური სისტემების თვითმმართველობაში დამკვიდრდეს“. აღნიშნული ნაბიჯები ურთიერთგამამდიდრებელი სისტემისა და ცხოვრების სფეროს შექმნის გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპები გახდება. სწორედ აქ გამოდის სცენაზე სოციალური მოძრაობა, რადგან სოციალური სისტემისა და ცხოვრებისეული სამყაროს ახალი გაერთიანების იმედს გვაძლევს, სადაც რაციონალიზაცია ორივეგან სწრაფად გამოვლენას შეძლებს.

ჰაბერმასს ნაკლებად აქვს აშშ-ის იმედი, რომელიც თითქოსდა მზადაა, დაიცვას სოციალური სისტემის რაციონალობა ცხოვრების სფეროს შემდგომი გაღარიბების ხარჯზე. მაგრამ მას აქვს ევროპის იმედი, რადგან ევროპას აქვს შესაძლებლობა, „დასავლეთის რაციონალური მემკვიდრეობა“ შეითვისოს. დღეს ეს მემკვიდრეობა სოციალური სისტემის რაციონალობის იმ მიზნით შეზღუდვით გარდაიქმნება, რომ რაციონალობა ცხოვრების სფეროს იმ დონემდე მიანიჭოს, როდესაც ორივე რაციონალობა ერთდროულად ერთი და იმავე უფლებებით თანაარსებობას შეძლებდა. სოციალური სისტემისა და ცხოვრების სამყაროს ასეთი სრულფასოვანი თანამშრომლობა თანამედროვეობის პროექტის დასრულება იქნებოდა. რამდენადაც ჩვენ ამ მიზნისაგან ჯერ შორსა ვართ, ამდენად თანამედროვეობის დასასრული შორსაა და პოსტმოდერნიზმის ეპოქის მოახლოებასა და დადგომაზე საუბარი ადრეა.

11. ი. ჰაბერმასი პოსტმოდერნისტების წინააღმდეგ

ჰაბერმასს არგუმენტები არა მხოლოდ თანამედროვეობის(მოდერნის) სასარგებლოდ, არამედ პოსტმოდერნისტების საწინააღმდეგოდაც მოჰყავს. კრიტიკის დასაწყისი მის გახმაურებულ ესეიში „თანამედროვეობა პოსტთანამედროვეობის წინააღმდეგ“ შეიმჩნევა (ჩნდება შეგრძნება, რომ გვიანდელ შემოქმედებაში ჰაბერმასი უფრო დეტალურად და უფრო რბილად აკრიტიკებს პოსტმოდერნიზმს). ამ ესეიში ჰაბერმასი სვამს კითხვას: აქვს თუ არა აზრი, XX საუკუნის წარუმატებლობების შემდეგაც დავიცვათ განმანათლებლობის მიზნები, როგორი არაადეკვატურიც არ უნდა იყოს ისინი, თუ უნდა განვაცხადოთ, რომ თანამედროვეობის მთელი პროექტი წარუმატებელია? რა თქმა უნდა, ჰაბერმასი არ არის მომხრე, განმანათლებლობის პროგრამას, სხვა სიტყვებით, თანამედროვეობას, უარი ეთქვას. ის აქცენტს იმათ შეცდომებზე აკეთებს, რომლებიც თანამედროვეობას უარყოფენ. მათი ერთ-ერთი არსებითი შეცდომა ის არის, რომ სურთ მეცნიერებაზე, განსაკუთრებით, ცხოვრების სფეროს მეცნიერებაზე, უარი თქვან. მეცნიერების ჩამოცილება ცხოვრების სფეროსაგან და მისი ექსპერტებისათვის გადაცემა სხვა ავტონომიური სფეროების შექმნის პარალელურად, „თანამედროვეობის მთელი პროექტისათვის“ უარის თქმას გამოიწვევდა. ჰაბერმასი ცხოვრების სფეროს რაციონალურ, „მეცნიერულ“ გაგებას, ისევე, როგორც ამ სფეროს რაციონალიზაციის შესაძლებლობას, არ გამორიცხავს.

ჰაბერმასის მიერ პოსტმოდერნისტების კრიტიკაში მკვლევრები რამდენიმე მომენტს გამოყოფენ:

ჯერ ერთი, პოსტმოდერნისტები ცალსახად არ საუბრობენ რას – სერიოზულ თეორიას თუ ბელეტრისტიკას – ქმნიან. თუ მათ, როგორც სერიოზული თეორიის შემქმნელებს შევხედავთ, მაშინ მათი შემოქმედება აბსურდულია, რადგან „ინსტიტუციონალურად და-

ფუძნებული ლექსიკის გამოყენებაზე უარს ამბობენ“. მეორე მხრივ, თუ პოსტმოდერნისტების შემოქმედებას ლიტერატურასთან გავაიგივებთ, „მაშინ მათი არგუმენტები ლოგიკურ აზრს სრულად დაკარგავენ“. ორივე შემთხვევაში შეუძლებელია, პოსტმოდერნისტების შემოქმედების სერიოზული კრიტიკული ანალიზი ჩატარდეს, რამდენადაც მათ ყოველთვის შეუძლიათ გააკეთონ განცხადება, რომ ჩვენ მათი სიტყვების აზრი ან ლიტერატურული ხერხები არ გვესმის.

მეორე, ჰაბერმასს მიაჩნია, რომ პოსტმოდერნისტებს გარკვეული ნორმატიული განწყობა ამოძრავებთ, მაგრამ როგორია ეს განწყობა, მკითხველისაგან დაფარულია. ამგვარად, მათ მიერ ჩამოყალიბებული მიზნებიდან მკითხველი ვერ შეძლებს გაიგოს, თუ რას უწევენ ისინი ანგარიშს, რატომ აკრიტიკებენ საზოგადოებას. ამას გარდა, პოსტმოდერნისტები ხმას არ იღებენ თავიანთ ნორმატიულ განწყობებზე, ხმამაღლა კი ასეთ განწყობებს უარყოფენ. მსგავსი შეხედულებების გამოუთქმელად არსებობა მათ გააზრებული პრაქტიკის შემუშავებაში ხელს უშლის, რომელიც იმ შეცდომების დასაძლევად იქნებოდა მიმართული, რომლებიც მათ აღმოაჩინეს. ჰაბერმასის მიერ თავისი მიზნისადმი (თავისუფალი და ღია კომუნიკაცია) დამოკიდებულების ცხადი ფორმულირება, პირიქით, საზოგადოების მისეული კრიტიკის წყაროებს ნათელს ჰფენს და პოლიტიკური პრაქტიკის საფუძვლებს აყალიბებს.

მესამე, ჰაბერმასი ბრალს სდებს პოსტმოდერნიზმს იმაში, რომ ეს არის ზოგადი მიდგომა, რომელსაც „თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პრაქტიკის ერთმანეთისგან განსხვავება“ არ ძალუძს. მაგალითად, მტკიცება იმისა, რომ მსოფლიოში ძალაუფლება და ზედამხედველობა ბატონობს, არასაკმარისადაა დეტალიზებული და თანამედროვე სამყაროში ჩაგვრის რეალური საფუძვლების სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელი ხდება.

დაბოლოს, მეოთხე – პოსტმოდერნისტებს ბრალი ედებათ იმ სფეროს (ყოველდღიური ცხოვრება და მისი პრაქტიკა) იგნორირებაში, რომელსაც ჰაბერმასი, ძირითადად, ცალსახად თვლის. ეს დაუდევრობა ორ ნაკლზე მიუთითებს. ერთი მხრივ, ისინი ნორმატიული სტანდარტების დამუშავების არსებითი წყაროებისაგან მოკვეთილია. ბოლოს და ბოლოს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქცეული რაციონალური პოტენციალი ჰაბერმასისათვის მისი კომუნიკაციური რაციონალობის იდეის წყაროა. მეორე მხრივ, ყოველდღიური სამყარო ასევე სოციალური მეცნიერებების მოღვაწეობის საბოლოო მიზანია, რადგან სწორედ აქ შეუძლიათ თეორიულ წარმოდგენებს პრაქტიკაზე ჰქონდეთ გავლენა.

ჰაბერმასი თანამედროვეობა-პოსტთანამედროვეობაზე თავისი შეხედულებების განზოგადებას გვაძლევს: „თანამედროვეობის ცნება აღარ გვპირდება ბედნიერებას. მაგრამ, თანამედროვეობაზე ყოველნაირი საუბრების მიუხედავად, ცხოვრების ამ ფორმაში არაა რაციონალურობის ნათლად გამოკვეთილი ალტერნატივა. რაღა გვრჩება მაშინ, გარდა იმისა, რომ პრაქტიკის სრულყოფას ცხოვრების ამ ფორმის ჩარჩოებში ვეცადოთ?“.

საკითხავი მასალა:

Die Moderne-ein unvollendetr Proekt. Rede aus Anlass der Verleihung des Adorno-Preises der Stadt Frankfurt/M.(11.9.1980). In:ders., 1981c, S. 444-464(1981d).

იურგენ ჰაბერმასი

მოდერნი – დაუმთავრებელი პროექტი [1]

მხატვრების და რეჟისორების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, არქიტექტორებიც დაუშვეს ვენეციის ბიენალეზე. მათ პირველ ბიენალეს იმედგამაცრუებელი გამოხმაურება მოჰყვა. გამოფენის მონაწილეები ქმნიდნენ ავანგარდს, მხოლოდ შებრუნებული ფასადებით. „წარსულის აწმყო“-ს ლოზუნგის ქვეშ გაერთიანებულებმა, ტრადიცია შესწირეს მოდერნს, რომელიც ახალ ისტორიზმს უთმობს ადგილს: „ის, რომ მთელი მოდერნიზმი წარსულთან კონფრონტაციით იკვებებოდა, ის, რომ ფრანკ ლლოიდ რაიტი წარმოუდგენელია იაპონიის, ლე კორბუზიე – ანტიკური და ხმელთაშუა ზღვის კონსტრუქციების, მის ვან დერ როე შინკელის და ბერენის გარეშე, მდუმარედ იქნა გვერდავლილი“. ამ კომენტარით ასაბუთებს FAZ-ის (Frankfurter allgemeine Zeitung)1 კრიტიკოსი საკუთარ თეზისს, რომელიც სცდება საგამოფენო მოვლენას და ჩვენი დროის დიაგნოზის მნიშვნელობას იძენს: „პოსტმოდერნიზმი კატეგორიულად აცხადებს საკუთარ თავს ანტიმოდერნიზმად“.

ეს წინადადება ეხება ემოციონალურ მიმდინარეობას, რომელმაც ყველა ინტელექტუალური სფეროს ფორებში შეაღწია და პოსტგანმანათლებლობის, პოსტმოდერნიზმის, პოსტისტორიის და ა.შ. თეორიებს ჩაუყარა საფუძველი, მოკლედ, ახალ კონსერვატიზმს შთაბერა სიცოცხლე. მას უპირისპირდება ადორნო თავისი ნაშრომებით.

ადორნომ მოდერნის სულს ისე უპირობოდ უბოძა საკუთარი თავი, რომ თვით ავთენტიკური მოდერნის და უბრალო მოდერნიზმის ერთმანეთისგან განსხვავების მცდელობაშიც კი მოდერნის გამოხტომაზე ისტერიულ პასუხებს ხედავს. ამასთან დაკავშირებით სავსებით მიზანშეწონილად მივიჩნევ, ჩემი მადლიერება ადორნოს სახელობის პრემიის მონიჭებისათვის გამოვხატო კვლევის ფორმით საკითხზე, თუ როგორია დღეს მოდერნის გააზრების პოზიცია. მართლა ისეთი წარსულია მოდერნიზმი, როგორც ამას პოსტმოდერნიზმი ასაბუთებს? ან იქნებ ყველა კუთხეში რეკლამირებული პოსტმოდერნიზმი თავადაა ყალბი? იქნებ „პოსტმოდერნიზმი“ მხოლოდ ლოზუნგია, რომლის ქვეშაც მე-19 საუკუნის შუა წლებიდან შეუმჩნევლად ერთიანდება კულტურული მოდერნიზმის – მის მიერვე პროვოცირებული – მიმართ ნეგატიურად განწყობილი შეხედულებები?

ძველები და ახლები

ვისაც ადორნოს მსგავსად მიაჩნია, რომ „მოდერნი“ 1850 წლიდან იწყება, მას ბოდლერის და ავანგარდული ხელოვნების თვალით უყურებს. უფლება მომეცით, მოკლედ მიმოვიხილო ჰანს რობერტ იაუსის მიერ კულტურული მოდერნის ცნების ვრცლად აღწერილი

[1] Wolfgang Pehnt, „Die Postmoderne als Lunapark“. FAZ vom 18.8.1980. S.17

ისტორია.[2] სიტყვა „მოდერნი“ პირველად გვიან მე-5 საუკუნეში იქნა გამოყენებული, ოფიციალურად აღიარებული ქრისტიანული აწმყოს წარმართული რომაული წარსულისგან გამოსაყოფად. ცვალებადი შინაარსებით „მოდერნულობა“ (Modernität) ყოველთვის გამოხატავს ეპოქის ცნობიერებას, რომელიც საკუთარი თავის, როგორც ძველიდან ახალზე გადასვლის შედეგის გასააზრებლად, ანტიკურ წარსულს ედრება. ეს არ ეხება მხოლოდ რენესანსს, რომლითაც ჩვენთვის ახალი დრო იწყება. ასევე „მოდერნად“ მიაჩნდათ თავი კარლოს დიდის დროს, მე-12 საუკუნეში და განმანათლებლობის ეპოქაში, ანუ ყოველთვის მაშინ, როცა ევროპაში ახალი ეპოქის ცნობიერება ანტიკურის მიმართ განახლებული დამოკიდებულებით ყალიბდებოდა. ამ დროს ანტიკურობა (antiquitas), „მოდერნის“ „ძველთან“, ანუ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთში კლასიცისტური გემოვნების მიმდევრებთან ცნობილ კონფლიქტამდე, მიაჩნდათ ნორმატიულ და მიბაძვის რეკომენდებულ ნიმუშად. მხოლოდ ფრანგული განმანათლებლობის სრულყოფილების იდეალებით თანამედროვე მეცნიერების მიერ შთაგონებული ცნობიერების უსასრულო განვითარებისა და საზოგადოებრივად და მორალურად უკეთესისკენ წინსვლის იდეით გავრცელებული შეხედულება თანდათან თავისუფლდება იმ დამოკიდებულებისგან, რომელსაც ანტიკური სამყაროს კლასიკური ნაშრომები ახდენს მოდერნის სულზე. საბოლოოდ მოდერნი საკუთარ წარსულს, კლასიკურის და რომანტიკულის დაპირისპირებით, იდეალიზებულ წარსულში ეძებს. მე-19 საუკუნეში ეს რომანტიზმი იცილებს მოდერნიზმის იმ რადიკალიზებულ არსს, რომელიც სწყდება ყველა ისტორიულ კავშირს და მხოლოდ ტრადიციასთან და ისტორიასთან ინარჩუნებს აბსტრაქტულ დაპირისპირებას.

ამჟამად მოდერნად მიიჩნევა ის, რაც დროის არსის სპონტანურად განახლებადი აქტუალობის ობიექტურ გამოხატვას უწყობს ხელს. ამ სახის ნაშრომების მახასიათებელი ნიშანია „სიახლე“, რომელიც უფასურდება შემდეგი სტილის „განახლების“ შედეგად. მაგრამ მაშინ, როდესაც, უბრალოდ, მოდური წარსულში ინაცვლებს და ძველმოდური ხდება, მოდერნი იდუმალ კავშირს ინარჩუნებს კლასიკურთან. კლასიკურად ყოველთვის მიაჩნდათ ის, რამაც დროს გაუძლო; თუმცა ამ ძალას, ემფატიკური (რაც გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციური გამომხატველობით) აზრით, მოდერნი მოიპოვებს არა წარსული ეპოქის ავტორიტეტულობიდან, არამედ მხოლოდ წარსული აქტუალობის ავთენტიკურობიდან. დღევანდელი აქტუალობის გუშინდელში გადასვლა ერთდროულად დამანგრეველი და პროდუქტიულია; როგორც იაუსი აღნიშნავს, მოდერნი თავად იქმნის საკუთარ კლასიკას – როგორც, ჩვეულებრივ, ჩვენ კლასიკურ მოდერნზე ვსაუბრობთ. ადორნო ეწინააღმდეგება მოდერნსა და მოდერნიზმს შორის ასეთი სხვაობის არსებობას, „რადგან სუბიექტური მიმართების გარეშე, რომელიც სტიმულირებულია ახლისგან, არ კრისტალიზდება ობიექტური მოდერნი“ (ესთეტური თეორია, 45).

ესთეტიკური მოდერნის პოზიცია

ესთეტური მოდერნიზმი თვალსაჩინო კონტურებს იძენს ბოდლერიდან, აგრეთვე ედგარ ალან პოს გავლენით შექმნილი მისივე ხელოვნების თეორიიდან. ის ვითარდება ავანგარდისტულ მიმდინარეობებში და საბოლოო აპოთეოზს დადაისტების კაფე ვოლტერში და სიურრეალიზმში აღწევს. ის შეიძლება დახასიათდეს ეპოქის სახეცვლილი გაგების ფოკუსის გარშემო ფორმირებული პოზიციებით. ეს გაგება გამოიხატება მოწინავე რაზმის, ავანგარდის სივრცობრივ მეტაფორაში, რომელიც, როგორც მზვერავი, წინ მიიწევს უცნობ ტერიტორიაზე და ხვდება უცაბედი, შოკის მომგვრელი შეხვედრების რისკის ქვეშ;

[2] „Literarische Tradition und gegewärtige Bewusstsein der Moderne“, in Hans Robert Jaus, *Literaturgeschichte als Provokation,* Frankfurt a.M. 1970, S.11ff.

რომელიც ახალ, ჯერ აუთვისებელ მომავალს იპყრობს, იძულებულია გზა გაიკვალოს, ანუ მიმართულება იპოვოს უცნობ აუთვისებელ სივრცეში. თუმცა ორიენტაცია წინ, განუსაზღვრელი, შემთხვევითი მომავლის ანტიციპაცია (წინსწარ განსაზღვრა, გამოცნობა), ახლის კულტი, სინამდვილეში, ნიშნავს აქტუალობის გაფეტიშებას, რომელიც კვლავ და კვლავ ბადებს სუბიექტურად დაკომპლექტებულ წარსულებს. ახალი ეპოქის გაგებას, რომელიც ბერგსონის მეშვეობით ფილოსოფიაშიც იჭრება, მოაქვს არამხოლოდ მობილიზებული საზოგადოების, დაჩქარებული ისტორიის, შეწყვეტილი ყოველდღიურობის გამოცდილება. გარდამავალის, ზერელეს, ეფემერულის შეფასებაში, დინამიზმის ზეობაში ვლინდება სევდა წაუბილწავი, გაჩერებული აწმყოს მიმართ. ერთადერთი თვითუარმყოფელი მოძრაობაა მოდერნიზმი – „ლტოლვა ჭეშმარიტი ყოფისაკენ“. ეს კი, ოქტავიო პაცის აზრით, „არის საუკეთესო მოდერნისტული პოეტების საიდუმლო თემა“.[3]

ამით აიხსნება ასევე აბსტრაქტული ოპოზიცია ისტორიის მიმართ, რომელსაც ეცლება დანაწევრებული, ისტორიული ხდომილებების გადმოცემის უწყვეტობის უზრუნველყოფის სტრუქტურა. ცალკეული ეპოქები, აწმყოს შორეულთან და ახლობელთან ჰეროიზმული სიახლოვის სასარგებლოდ, კარგავენ საკუთარ სახეს: დეკადენტური თავს უშუალოდ ბარბაროსულში, ველურში, პრიმიტიულში პოულობს. ანარქისტების მიზანი – ააფეთქონ ისტორიული კონტინუუმი – ნათელს ჰფენს ესთეტიკური ცნობიერების გამანადგურებელ ძალას, რომელიც ეწინააღმდეგება ტრადიციის ნორმალიზების უნარებს, რომელიც ცხოვრობს ყველაფერი ნორმატიულის მიმართ ჯანყის გამოცდილებით და ანეიტრალებს როგორც მორალურად კარგს, ასევე, პრაქტიკულად საჭიროს, აგრძელებს საიდუმლოს და სკანდალის დიალექტიკის ინსცენირებას, ხარბად კმაყოფილდება იმ საშინელებით, რომელიც მომდინარეობს პროფანაციის სამარცხვინო აქტიდან და, ამავე დროს, გაურბის მათ ტრივიალურ (ბილწ) შედეგებს. ამგვარად, ადორნოს თანახმად, „ნგრევის ნიშანი მოდერნის ნამდვილობის დასტურია; ის, რომლის მეშვეობითაც ის უარყოფს უცვლელის ჩაკეტილობას. აფეთქება მისი ერთ-ერთი ვარიანტია. ანტიტრადიციონალური ენერგია გადაიზრდება ყოვლის შთანთქმელ ქარბორბალაში. ამიტომ მოდერნი საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული მითია; მისი არადროულობა იქცევა მომენტის კატასტროფად, რომელიც ამსხვრევს დროის უსასრულობას“ (Ästhetische Theorie, S. 41).

და მაინც, ავანგარდული ხელოვნების მიერ არტიკულირებულ დროის გაგებას არ შეიძლება ვუწოდოთ აბსოლუტურად ანტიისტორიული; ის მიმართულია მხოლოდ ისტორიული გაგებიდან შექმნილი მოდელების მიბაძვის ცრუ ნორმატიულობის წინააღმდეგ, რომლის ნაკვალევიც გადამერის ფილოსოფიურ ჰერმანევტიკაში შეიმჩნევა. ის სარგებლობს ისტორიის მიერ მოწოდებული ობიექტირებული წარსულებით, მაგრამ ამავე დროს ეწინააღმდეგება მასშტაბების ნეიტრალიზაციას, რომლითაც სარგებლობს ისტორიციზმი, როცა ისტორიას მუზეუმში გამოკეტავს. ვალტერ ბენიამინი სარგებლობს ამ განწყობით და მოდერნის ისტორიის მიმართ დამოკიდებულებას პოსტისტორიულად აგებს. ის იხსენებს საფრანგეთის რევოლუციის თვითშეგნებას: „ის (რევოლუცია) იყენებდა წარსულის რომს ისევე, როგორც მოდა – წარსულის სამოსს. მოდა ფლობს აქტუალურობის ალღოს, როგორ უღრანშიც არ უნდა მოძრაობდეს“. და როგორც რობესპიერისთვის ანტიკური რომი იყო „ახლათობით“ (Jetztzeit) დატვირთული წარსული, ასევე, ისტორიკოსის ვალია იმ სიტუაციის დაჭერა, „რომელშიც მისი საკუთარი ეპოქა სრულად განსაზღვრული წარსულითაა წარმოდგენილი“; ამგვარად ასაბუთებს ის „აწმყოს, როგორც ახლათობის“ ცნებას, რომელშიც მესიანური დროის ნამსხვრევებია გაფანტული“.

---

[3] Octavio Paz, *Essays,* Bd.2, Frankfurt a.M. 1980, S.150.

ამჟამად ესთეტიკური მოდერნის ამგვარი პოზიცია უკვე მოძველებულია. მართალია, 60-იან წლებში მაინც მოხდა მისი რეანიმაცია, მაგრამ ჩვენ, 70-იანელებმა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მოდერნიზმი თითქმის ვერ პოულობს გამოხმაურებას. იმ დროს ოქტავიო პაცი, მოდერნის პარტიზანი, საკმაოდ მელაქოლიურად აღნიშნავდა: „1967 წლის ავანგარდი იმეორებს 1917 წლის ავანგარდისტების ჟესტებს და ქმედებებს. ჩვენ ვართ მოდერნის ხელოვნების დასასრულის მოწმენი". ჩვენ კი, პეტერ ბიურგერის კვლევებზე დაყრდნობით, ვსაუბრობთ პოსტავანგარდისტულ ხელოვნებაზე, რომელიც უკვე ვეღარ მალავს სიურრეალისტური ამბოხის მარცხს. მაგრამ რას ნიშნავს ეს მარცხი? ხომ არაა ის მოდერნთან დამშვიდობების ნიშანი? ხომ არ ნიშნავს პოსტავანგარდი პოსტმოდერნზე გადასვლას?

ფაქტობრივად, ამგვარად ესმის სიტუაცია დანიელ ბელს, განთქმულ სოციოლოგ-თეორეტიკოსს და ამერიკული კონსერვატიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს. საინტერესო წიგნში – „კაპიტალიზმის კულტურული წინააღმდეგობები"[4] – ბელი ავითარებს თეზისს, რომ მწარმოებლურად განვითარებულ დასავლეთის საზოგადოებებში კრიზისული მოვლენები შეიძლება აიხსნას განხეთქილებით კულტურასა და საზოგადოებას, კულტურულ მოდერნსა და როგორც ეკონომიკური, ასევე ადმინისტრაციული სისტემის მოთხოვნებს შორის. ავანგარდისტული ხელოვნება იჭრება ყოველდღიური ცხოვრების ფასეულობათა სისტემაში და აინფიცირებს მოდერნიზმის მიდგომით სიცოცხლის სამყაროს. ის უდიდესი შემაცდენელია, რომელსაც უსაზღვრო თვითრეალიზების პრინციპი, ავთენტიკური თვითგამოცდილების მოთხოვნა, ბატონობისკენ გადაჭარბებული მგრძნობელობის სუბიექტივიზმი მოაქვს და ამგვარად ათავისუფლებს ჰედონისტურ მოტივებს, რომელიც შეუთავსებელია პროფესიულ დისციპლინასთან და, საერთოდ, მიზანმიმართული ცხოვრების მორალურ საფუძვლებთან. ამგვარად ბელი, გერმანიაში არნოლდ გელენის მსგავსად, პროტესტანტული ეთიკის გაქრობაში, რომელიც აწუხებდა მაქს ვებერს, ადანაშაულებს „adversary culture"-ს, ანუ მტრულ კულტურას, რომლის მოდერნიზმიც ეკონომიკით და მართვის ორგანიზაციით რაციონალიზებული ყოველდღიურობის კონვენციების და სიქველის წინააღმდეგ მტრობას ამწვავებს.

მეორე მხრივ, ამ კონცეფციის თანახმად, მოდერნის იმპულსმა საბოლოოდ ამოწურა საკუთარი თავი, ავანგარდი საკუთარ დასასრულს მიუახლოვდა: დიახ, ის ჯერ კიდევ ვრცელდება, მაგრამ მისი კრეატიულობა წარსულს ჩაჰბარდა. ამასთან დაკავშირებით, ნეოკონსერვატიზმის მიმართ ისმება კითხვა – როგორ უნდა ამოქმედდეს ნორმები, რომელიც თავაშვებულობას საზღვრებში მოაქცევს, დისციპლინას და შრომის მორალს აღადგენს, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ნიველირებას ინდივიდუალური მიღწევების კონკურენციის სიქველეს დაუპირისპირებს. ბელი ერთადერთ გამოსავალს რელიგიურ განახლებაში ხედავს, ყოველ შემთხვევაში, ბუნებრივ ტრადიციებში ჩართვაში, რომლებიც კრიტიკის მიმართ იმუნურები არიან, ხელს უწყობენ მკვეთრად გამოხატული იდენტურობის ფორმირებას და უზრუნველყოფენ ინდივიდის არსებობის ექზისტენციალურ გარანტიას.

კულტურული მოდერნი და საზოგადოების მოდერნიზაცია

ნდობის გამომწვევი ავტორიტეტი, რა თქმა უნდა, არ წარმოიქმნება ჯადოსნური ჯოხის ერთი დაქნევით. ამიტომ ასეთი ანალიზებიდან წარმოიქმნება, ქმედების ერთადერთი ინსტრუქციის სახით, პოსტულატი, რომელიც ჩვენთანაც ცნობილია: სულიერი და პოლიტიკური დისკუსია კულტურული მოდერნის წარმომადგენლებთან. მე შემოგთავაზებთ

[4] Daniel Bell, The cultural Contradictions of Capitalism, New York 1976

ახალი სტილის კეთილგონიერი დამკვირვებელის ციტირებას, რომელიც 70-იან წლებში ნეოკონსერვატორებმა ინტელექტუალურ სცენას თავს მოახვიეს: „დაპირისპირება იღებს ისეთ ფორმას, როდესაც ნებისმიერი მოვლენა, რომელიც შეიძლება აღქმულ იყოს, როგორც ოპოზიციური მენტალიტეტის გამოხატულება, იმგვარადაა მოწოდებული, რომ შესაძლებელია მისი ამა თუ იმ სახის ექსტრემიზმთან დაკავშირება: მაგალითად, დგება კავშირი მოდერნსა და ნიჰილიზმს, სოციალური კეთილდღეობის პროგრამებსა და ძარცვას, სახელმწიფოებრივ ჩარევასა და ტოტალიტარიზმს, შეიარაღებაზე დანახარჯის კრიტიკასა და კომუნიზმთან მეგობრობას შორის, ფემინიზმს შორის, ერთი მხრივ, ჰომოსექსუალების უფლებებისათვის ბრძოლასა და, მეორე მხრივ – ოჯახის ნგრევას შორის, ყველა მემარცხენესა და ტერორიზმს, ანტისემიტიზმს ან სულაც ფაშიზმს შორის“. პეტერ შტაინფელსის[5] ეს შენიშვნა მხოლოდ ამერიკას ეხება, მაგრამ პარალელები სახეზეა. ამ დროს, პერსონალიზაცია და გაბოროტება, რომელიც ჩვენთანაც შეიმჩნევა განმანათლებლობის მოწინააღმდეგე ინტელექტუალების მიერ გაჩაღებულ ინტელექტუალურ ლანძღვაში, აიხსნება არა იმდენად ფსიქოლოგიურად, არამედ უფრო ნეოკონსერვატორული მოძღვრების ანალიტიკური სისუსტით.

კერძოდ, ნეოკონსერვატიზმი ეკონომიკის და საზოგადოების მეტ-ნაკლებად წარმატებული კაპიტალისტური მოდერნიზაციის არაკომფორტულ შედეგებს კულტურულ მოდერნს მიაწერს. რადგან ის, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მოდერნიზაციის სასიამოვნო პროცესებსა და მეორე მხრივ – კატონურად გამოტირებულ მოტივაციის კრიზის შორის არსებულ ურთიერთკავშირს ჩქმალავს; რადგან სახეცვლილი შრომის, მოხმარების ჩვევების, მოთხოვნილების დონის და თავისუფალი დროის ორიენტაციის სოციალურ სტრუქტურულ მიზეზებს არ ამხელს, შეუძლია, ის, რაც ჰედონიზმად, ნაკლულ იდენტიფიკაციად და მორჩილების მზაობად, ნარცისიზმად, სტატუსიდან და სოციალური კონკურენციიდან უკან დახევად წარმოჩინდება, იმ კულტურას მიაწეროს, რომელსაც ამ პროცესების მიმართ არაპირდაპირი ურთიერთობა აქვს. და მაშინ გაუანალიზებელი მიზეზების მაგივრად იმ ინტელექტუალებზე მიუთითებენ, რომლებიც კვლავაც თავს მოდერნის წინაშე დავალებულად თვლიან. რა თქმა უნდა, დანიელ ბელისთვის უცნობი არაა მასობრივი პროდუქციის კონსუმაციაზე (გამოყენებაზე, მოხმარებაზე) ორინეტირებული საზოგადოების ბურჟუაზიული ფასეულობების ეროზიასა და კომუნიზმს შორის ურთიერთკავშირი. თუმცა თავადაც ნაკლებად აღტაცებულია საკუთარი არგუმენტით და ახალ Permissivität-ს (მოქნილობა, ელასტიურობა, კომპრომისისთვის მზაობა) პირველ რიგში ხსნის ცხოვრების სტილის გავრცელებით, რომელიც თავდაპირველად არტისტული ბოჰემის ელიტარულ კონტრკულტურებში ჩამოყალიბდა. თუმცა ის მხოლოდ იმეორებს იმ გაუგებრობას, რომლის მსხვერპლიც ავანგარდი გახდა – თითქოს ხელოვნების მისიაა, მისგან არაპირდაპირად მიცემული ბედნიერების პირობა საპირისპიროდ სტილიზებული ხელოვანების სოციალიზაციით შეასრულოს.

ესთეტური მოდერნის წარმოქმნის ეპოქაზე თვალის გადავლებით, ბელი აღნიშნავს: „ეკონომიკურ საკითხებში რადიკალურად განწყობილი ბურჟუა ხდება კონსერვატორი მორალსა და გემოვნებასთან მიმართებაში“ (გვ. 17). ეს რომ ასე იყოს, მაშინ ნეოკონსერვატიზმი შესაძლებელია გავიგოთ, როგორც დაბრუნება უკვე გამოცდილ pattern-თან, ბურჟუაზიული აზროვნების მოდელთან. მაგრამ ყველაფერი არც ისე მარტივადაა, რადგან განწყობა, რომელსაც დღეს შეიძლება ნეოკონსერვატიზმი დაეყრდნოს, არანაირად არ მომდინარეობს მუზეუმებიდან ცხოვრებაში შეჭრილი კულტურის ანტინომიური შედეგე-

[5] Peter Steifels, The Neoconservatives, New-York 1979, S.65.

ბით უკმაყოფილებიდან. ეს უკმაყოფილება გამოწვეულია არა ინტელექტუალ-მორალისტებით, არამედ ფესვგადგმულია სოციალური მოდერნიზაციის სიღრმისეულ რეაქციებში, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების ეკონომიკური ზრდის და განვითარების იმპერატივის ზეწოლით სულ უფრო ღრმად იჭრება ორგანული სიცოცხლის ფორმების ეკოლოგიაში, ისტორიული სასიცოცხლო სამყაროების შინაგან კომუნიკაციურ სტრუქტურებში. ამგვარად, ნეოპოპულისტების პროტესტები მხოლოდ სუსტად გამოხატავს ბუნებრივი და ურბანული გარემოს, საერთო-ჰუმანური ცხოვრების ფორმების განადგურების ფართოდ გავრცელებულ შიშებს. უკმაყოფილების და პროტესტის მრავალფასეტური მიზეზები წარმოიქმნება ყოველთვის იქ, სადაც ცალმხრივი ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაციონალობის მასშტაბებზე ორიენტირებული მოდერნიზაცია იჭრება ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობაზე, ინტეგრაციის და აღზრდის საკითხებზე, და ამიტომ, სხვა მასშტაბებზეც, კერძოდ – კომუნიკაციური რაციონალობის კრიტერიუმებზეა ცენტრირებული. მაგრამ ზუსტად ეს საზოგადოებრივი პროცესები რჩება ნეოკონსერვატიული თეორიების თვალსაწიერის მიღმა; ისინი მიზეზების, რომლებიც სააშკარაოზე არ გამოაქვთ, პროეცირებას თავისებური დამანგრეველი კულტურის დონეზე ან მათ აპოლოგეტებზე ახდენენ.

თუმცა კულტურული მოდერნიც ბადებს საკუთარ აპორიებს (უიმედობა). და მათ ეყრდნობიან ინტელექტუალები, რომლებიც ან მოდერნის შემდგომი პერიოდის დეკლამაციას მიმართავენ ან გვირჩევენ მოდერნამდელისკენ დაბრუნებას, ან რადიკალურად უარყოფენ მოდერნს. საზოგადოებრივი მოდერნიზაციის თანმდევი პრობლემებისგან დამოუკიდებლად და კულტურული განვითარების შინაგანი სურათიდან ჩნდება მოდერნის პროექტში დაეჭვების მოტივები.

განმანათლებლობის პროექტი

მოდერნის იდეა მჭიდრო კავშირშია ევროპული ხელოვნების განვითარებასთან; თუმცა ის, რასაც მე მოდერნის პროექტი ვუწოდე, მხოლოდ მაშინ წარმოჩინდება, თუ ჩვენ დღემდე აღიარებულ ხელოვნებაზე, ლიმიტზე ვიტყვით უარს. მაქს ვებერმა კულტურული მოდერნი შემდეგნაირად დაახასიათა: სამყაროს რელიგიურ და მეტაფიზიკურ ხატებებში გამოხატული სუბსტანციური კეთილგონიერება სამ მომენტად იშლება, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად (არგუმენტირებული დასაბუთების ფორმით) არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. იმით, რომ სამყაროს ხატებები იშლება, ხოლო ტრადიციული პრობლემები ჭეშმარიტების, ნორმატიული სისწორის, ავთენტიკურობის ან სილამაზის სპეციფიკური თვალსაზრისითაა დაყოფილი, შესაძლებელია ცალკეულად განხილებოდეს როგორც შემეცნების, ასევე სამართლიანობის, გემოვნების საკითხები – ჩვენს დროში შესაძლებელია მეცნიერების, მორალის და ხელოვნების ფასეული სფეროების დიფერენციაცია. შესაბამის კულტურული ქმედების სისტემებში სამეცნიერო დისკურსები, მორალისა და უფლებების თეორიული კვლევები, ხელოვნების ნიმუშების შექმნა და მხატვრული კრიტიკის საკითხები სპეციალისტების მიერ ინსტიტუციონალიზდება. კულტურული ტრადიციის პროფესიონალური დამუშავება ამა თუ იმ აბსტარქტული ღირებულებითი ასპექტის კუთხით საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კოგნიტურ-ინსტრუმენტული, მორალურ-პრაქტიკული და ესთეტიკურ-ექსპრესიული ინდივიდუალური კანონზომიერება. ამიერიდან არსებობს ასევე მეცნიერების, მორალის და უფლების თეორიის, ხელოვნების შიდა ისტორია – რა თქმა უნდა, არა, როგორც ლინეარული განვითარებები, მაგრამ, როგორც შესწავლის პროცესები. ეს ერთი მხარეა.

მეორე მხრივ, იზრდება დისტანცია ექსპერტების კულტურასა და ფართო საზოგადოებას შორის. რაც კულტურას სპეციალისტების დამუშავებით და რეფლექსიით ამდიდრებს, ადვილად არ ხვდება ყოველდღიური პრაქტიკის მფლობელობაში. უფრო მეტიც, კულტურის რაციონალიზაცია ემუქრება სიცოცხლის სამყაროს გაღარიბებას, რომელიც გაუფასურებულია თავად საკუთარი ტრადიციის სუბსტანციაში. მე-18 საუკუნეში განმანათლებლების ფილოსოფოსების მიერ ფორმულირებული მოდერნის პროექტი მოიაზრებს ობიექტური მეცნიერებების, მორალის და სამართლის უნივერსალური საფუძვლების და ავტონომიური ხელოვნების მტკიცედ, შესაბამისი თავისებურებებით განვითარებას და, ამავე დროს დაგროვილი კოგნიტური შესაძლებლობების მაღალი ეზოთერული ფორმებიდან გამოთავისუფლებას და პრაქტიკისათვის, ანუ ცხოვრებისეული პირობების გონივრული ორგანიზებისათვის გამოყენებას. კონდორსეს მსგავს განმანათლებლებს ეგზალტირებული მოლოდინები ჰქონდათ; რომ ხელოვნებები და მეცნიერებები ხელს შეუწყობენ არა მარტო ბუნების ძალებზე კონტროლს, არამედ სამყაროს და თვითგაგებასაც, ზნეობრივ სრულყოფას, საზოგადოებრივი ინსტიტუტების სამართლიანობას და ადამიანების ბედნიერებასაც კი.

მე-20 საუკუნემ არ დაინდო ეს ოპტიმიზმი, მაგრამ პრობლემა დარჩა და, როგორც ადრე, შეხედულებები იყოფა: დაუჭირონ მხარი განმანათლებლობის არსს, როგორი წარუმატებელიც არ უნდა იყოს თუ უარი თქვან მოდერნის პროექტზე; ან სურთ თუ არა, ალაგმონ, მაგალითისთვის, კოგნიტური პოტენციალები, თუ ისინი არ უერთდებიან ტექნიკურ პროგრესს, ეკონომიკურ ზრდასა და მმართველობის რაციონალურ ორგანიზაციას იმგვარად, რომ მხოლოდ ხელუხლებლად შეინარჩუნონ ფერდაკარგულ ტრადიციებზე დამოკიდებული ცხოვრებისეული პრაქტიკა.

თავად ფილოსოფოსებს შორისაც, რომლებიც დღეს ე.წ. განმანათლებლობის ავანგარდს წარმოადგენენ, მოდერნის პროექტი თავისებურად დაშლილია. როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ მომენტს ენდობიან, რომელიც დიფერენციაციის პროცესში გამოიყო გონიდან. პოპერი, მხედველობაში მყავს ღია საზოგადოების თეორეტიკოსი, რომელიც ნეოკონსერვატორებს მისი თავიანთ რიგებში ჩარიცხვის საშუალებას ჯერ არ აძლევს, მტკიცედ ემხრობა განმანათლებლურ, პოლიტიკურ სფეროზე მოქმედ მეცნიერული კრიტიკის ძალას; ამისათვის იხდის მორალური სკეპტიციზმის და ესთეტურის მიმართ აბსოლუტური გულგრილობის საფასურს. პაულ ლორენცენს იმედი აქვს სიცოცხლის მარეფორმირებელი, მეთოდურად შემუშავებული ხელოვნური ენისა, სადაც თავის როლს პრაქტიკული გონი ითამაშებს; მაგრამ ამ დროს ის მიმართავს მეცნიერებებს კვაზიმორალურ, პრაქტიკული გამართლების ვიწრო არხებში და ასევე აგდებულად ეკიდება ესთეტიკურს. და პირიქით, ადორნოსთან გონების დაბეჯითებითი პრეტენზიები გადაიზრდება ხელოვნების ეზოთერიკული ქმნილებების დამადანაშაულებელ ჟესტში, მაშინ, როდესაც მორალს უკვე არანაირი დასაბუთების უნარი აღარ აქვს და ფილოსოფიას მხოლოდ ხელოვნებაში შენიღბულ კრიტიკულ შინაარსებზე მითითების საკითხები რჩება.

მეცნიერების, მორალის და ხელოვნების დიფერენციაცია, რომელიც, მაქს ვებერის აზრით, დასავლური კულტურის რაციონალობის მახასიათებელია, ერთდროულად ნიშნავს ავტონომიურობას სპეციალისტების მიერ დამუშავებული სექტორებისგან და მათ მოწყვეტას ტრადიცის დინებისგან, რომელიც ყოველდღიურობის ჰერმანევტიკაში სპონტანურად ვითარდება. ეს მოწყვეტა არის პრობლემა, რომელიც დიფერენცირებული ფასეულობათა სფეროების საკუთარი კანონიერებიდან წარმოიქმნება. მან ასევე ექსპერტების კულტურების „მოხსნის“ არშემდგარი მცდელობები გამოიწვია. ამის ყველაზე უკეთ ჩვენება ხელოვნების მაგალითზეა შესაძლებელი.

კანტი და ესთეტიკურის თავისებურება

თანამედროვე ხელოვნების განვითარებიდან შესაძლებელია, უხეში გამარტივებით, პროგრესირებადი ავტონომიზაციის ხაზის გამოყოფა. თავდაპირველად რენესანსში ჩამოყალიბდა ის საგნობრივი სფერო, რომელიც, გამონაკლისის გარეშე, შესანიშნავის კატეგორიაში ხვდება. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ხდება საკრალური და სამეფო კარის ცხოვრებისგან გამოყოფილი ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების და მუსიკის, როგორც შემოქმედებითი სფეროს, ინსტიტუციონალიზაცია. დაბოლოს, XIX საუკუნის შუა წლებისთვის იქმნება ხელოვნების ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც ასწავლის ხელოვანს, შექმნას საკუთარი ხელოვნების ნიმუშები l'art pour l'art (ხელოვნება ხელოვნებისათვის) სულისკვეთებით. ამგვარად, ესთეტიკურის თავისებურება შესაძლოა გახდეს გამიზნული.

შესაბამისად, ამ პროცესის პირველ სტადიაზე ჩნდება მეცნიერების და მორალის კომპლექსებს მოწყვეტილი ახალი სფეროს კოგნიტური სტრუქტურები. მოგვიანებით ამ სტრუქტურების ახსნა ფილოსოფიური ესტეთიკის საგანი გახდება. კანტი ენერგიულად მუშაობს ესთეტური საგნის სფეროს თავისებურებაზე. ის ეყრდნობა გემოვნებაზე აზრის ანალიზს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ორიენტირებულია სუბიექტურ, ფანტაზიის თავისუფალ თამაშზე, მაინც არ ახდენს პირადი პრეფერენციის (უპირატესობის მინიჭება) მანიფესტირებას და ინტერსუბიექტური თანხმობის იმედი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკური საგნები არ მიეკუთვნებიან მოვლენათა იმ სფეროს, რომელთა აღქმა გონიერების კატეგორიითაა შესაძლებელი და არც თავისუფალი ქმედებების სფეროს, რომელიც პრაქტიკული გონის კანონმდებლურ სისტემას ექვემდებარება, ხელოვნების ნიმუშები (და ბუნების მშვენიერებები) ობიექტური შეფასებისათვის მისაწვდომია. ჭეშმარიტების მნიშვნელობის და მორალური ვალის სფეროსთან ერთად, მშვენიერი ქმნის კიდევ ერთ მნიშვნელობის სექტორს, რომელიც ასაბუთებს ხელოვნების და ხელოვნების კრიტიკის კავშირს. „სილამაზეზე" საუბრობენ ისე, „თითქოს ის საგნების თვისება ყოფილიყოს".

რა თქმა უნდა, სილამაზე მხოლოდ საგნის წარმოდგენასთან არის კავშირში, ისევე, როგორც გემოვნება საგნის წარმოდგენისას კმაყოფილების ან უკმაყოფილების გრძნობასთანაა კავშირში. მხოლოდ მოჩვენებით სივრცეშია შესაძლებელი საგნის ესთეტიკური აღქმა; მხოლოდ ფიქტიური ობიექტის ხარისხში შეუძლია მას გრძნობიერების იმდენად გაღიზიანება, რომ ობიექტივირებული აზროვნების და მორალური შეფასების გაგებას მოწყვეტილი, ხელოვნებით გამოხატულებაში რეალიზდება. სულიერ მდგომარეობას, რომელიც წარმოდგენების ესთეტიკური საწყისის თავაშვებული თამაშითაა გამოწვეული, კანტი ასევე ახასიათებს, როგორც დაუინტერესებელ სიამოვნებას (დაკმაყოფილებას). ამგვარად, ხელოვნების ნიმუშის ხარისხი მისი ცხოვრებასთან პრაქტიკული მიმართებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება.

მაშინ, როდესაც კლასიკური ესთეტიკის ხსენებული ძირითადი ცნებები – გემოვნება და კრიტიკა, მშვენიერის ფიქცია, ქმნილების უინტერესობა და ტრანსცენდეტურობა – ძირითადად ესთეტურის სხვა ღირებული სფეროებისგან და ცხოვრებისეული პრაქტიკისგან გამიჯვნას ემსახურებიან, გენიოსის ცნების გაგება, რომელიც აუცილებელია ხელოვნების ნიმუშის შექმნისათვის, პოზიტიურ განსაზღვრებებს მოიაზრებს. კანტი გენიოსს უწოდებს „სუბიექტის ბუნებრივი მონაცემების სანიმუშო ორიგინალურობას თავისი შემეცნებითი უნარების თავისუფალ გამოყენებაში". თუ გენიოსის ცნებას მისი რომანტიკული საწყისებიდან გამოვყოფთ, შეგვიძლია თავისუფალი პერიფრაზირებით განვაცხადოთ: ნიჭიერ მხატვარს უანრი აქვს ავთენტიკური ექსპრესია (გამომხატველობა) მიანიჭოს იმ გამოცდი-

ლებებს, რომელსაც ის დეცენტრირებულ, შემეცნების და ქმედების აუცილებლობისგან გამოთავისუფლებულ სუბიექტურობასთან კონცენტრირებულ ურთიერთობაში აკეთებს.

ესთეტიკურის ამ თავისებურებას, ანუ დეცენტრირებულ, თვითშემეცნებითი სუბიექტურობის გაობიექტურებას, ყოველდღიურობის სივრცე-დროითი სტრუქტურებიდან განდგომას, ფუნქციონალური ქმედების და აღქმის კონვენციებთან განშორებას, გამოაშკარავების და შოკის დიალექტიკას, მხოლოდ მოდერნიზმის – როგორც მოდერნის სულის – ჟესტით მიეცა გამოჩენის შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც ორი დამატებითი პირობა შესრულდა. პირველ რიგში, ბაზარზე დამოკიდებული ხელოვნების ნიმუშების წარმოების და კრიტიკის წყალობით გაცნობილი ხელოვნების ნიმუშებით უანგარო ტკბობის ინსტიტუციონალიზაცია. და მეორე, ხელოვანების და ასევე კრიტიკოსების ესთეტიზებული თვითშეგნება, რომლებიც საკუთარ თავს არა იმდენად საზოგადოების ადვოკატებად მიიჩნევენ, არამედ ინტერპრეტატორებად, რომლებიც თავად მიეკუთვნებიან ხელოვნების ნიმუშების წარმოების პროცესს. ამჟამად ფერწერასა და ლიტერატურაში შესაძლებელია მოძრაობაში მოვიდეს მიმდინარეობა, რომელსაც ზოგიერთები ბოდლერის ხელოვნების კრიტიკულ ნაშრომებში ხედავენ: ფერები, შტრიხები, ბგერები, მოძრაობები აღარ არიან გამოსახულების პირველადი ელემენტები; გამოხატვის საშუალებები და წარმოების ტექნიკური მეთოდები თავად იკავებენ ესთეტიკური საგნის ადგილს. ადორნოს კი შეუძლია, თავისი „ესთეტიკური თეორია“ შემდეგი სიტყვებით დაიწყოს: „თავისთავად ცხადი გახდა, რომ აღარაფერია თავისთავად ცხადი, რაც ხელოვნებასთანაა კავშირში, არც მასში და არც მის მთელის მიმართ დამოკიდებულებაში, თავად არსებობის უფლებაშიც კი“.

კულტურის ცრუ „მოხსნა“

რა თქმა უნდა, სიურრეალიზმი ხელოვნების არსებობის უფლებას ეჭვქვეშ არ დააყენებდა, რომ არა მოდერნული ხელოვნების მხრიდან ბედნიერების პირობა, რაც მის „მთლიანის მიმართ დამოკიდებულებას“ ეხება. შილერთან მიცემული, მაგრამ ესთეტიკური ჭვრეტით ვერშესრულებული პირობა უტოპიის აშკარა ფორმას ატარებს, რომელიც ხელოვნების საზღვრებს სცდება. ესთეტიკური უტოპიის ეს ხაზი იწელება მარკუზეს იდეოლოგიურ კრიტიკად ქცეულ ჩივილზე კულტურის აფირმაციულ ხასიათზე. მაგრამ უკვე ბოდლერთან, რომელიც იმეორებს ბედნიერების დაპირებას – Promesse de bohneur, მორიგების უტოპია საპირისპიროდ ამოყირავდა – სოციალური სამყაროს მოურიგებლობის კრიტიკულ ანარეკლში. მოურიგებლობა მით უფრო მტკივნეულია, რაც უფრო სცილდება ხელოვნება ცხოვრებას და უბრუნდება სრული ავტონომიის ხელშეუხებლობის სტატუსს. ეს ტკივილი აირეკლება უარყოფილის უსაზღვრო ennui – სევდაში, რომელიც საკუთარი თავის პარიზელ მეძველმანესთან იდენტიფიცირებას ახდენს.

ასეთ ემოციურ გზებზე თავს იყრიან ფეთქებადსაშიში ენერგიები, რომლებიც საბოლოოდ ამბოხში, ძალადობრივ მცდელობაში განიმუხტებიან, ხელოვნების მოჩვენებით ავტარკიულ (თვითკმარი, დამოუკიდებელი) სფეროს აფეთქებენ და ამ მსხვერპლის ფასად მორიგებას აიძულებენ. ადორნო თვალნათლივ ხედავს, თუ რატომ უარყოფს სიურრეალისტური პროგრამა „ხელოვნებას და მაინც ვერ იცილებს მას“ (“Asthetische Theorie”, S.52). ხელოვნებასა და ცხოვრებას, ფიქციასა და პრაქტიკას, მოჩვენებითობასა და რეალობას შორის არსებული განსხვავებების გათანაბრების ყველა მცდელობა; არტეფაქტსა და მოხმარების საგანს, წარმოებულ და მოცემულს, ფორმირებულ და სპონტანურ სწრაფვას შორის სხვაობის მოცილება; ყველაფრის ხელოვნებად და ყველას ხელოვანად შერცხვა; ყველა კრიტერიუმის ჩართვა, ესთეტიკური მსჯელობების სუბიექტური განცდების გამოხატვასთან გათანაბრება – ყველა უკვე კარგად გაანალიზებული მცდელობა დღეს შეიძლება

გავიგოთ, როგორც აბსურდული ექსპერიმენტები, რომლებიც ხელოვნების განწირულ სტრუქტურებს უხალისოდ, უფრო მკაფიოდ აშუქებენ: მოჩვენებითობის მედიუმს, ხელოვნების ნიმუშის ტრანსცენდენტურ ბუნებას, ხელოვნების პროდუქტის კონცენტრირებულ და დაგეგმილ ხასიათს და, ასევე, გემოვნების პოზიციის კოგნიტურ სტატუსს[6]. ხელოვნების „მოხსნის“ რადიკალური მცდელობა, ირონიულად იმ კატეგორიებს სვამს სამართლებრივ ჩარჩოებში, რომლებითაც კლასიკურმა ესთეტიკამ საკუთარი საგნობრივი სფერო შემოსაზღვრა; სხვათა შორის, ამ კატეგორიებმა თავად განიცადეს ცვლილებები.

სიურრეალისტური ამბოხის კრახი ხელოვნების ცრუ „მოხსნის“ ორმაგი შეცდომის დასაბუთებას წარმოადგენს. ჯერ ერთი: თუ თავისებურად განვითარებდი კულტურული სფეროს ჭურჭელს ვამსხვრევთ, შიგთავსი იღვრება; დესუბლიმირებული (დამდაბლება, ტრივიალიზაცია) აზრისგან და დესტრუქტურირებული ფორმისაგნ არაფერი რჩება, არ დგება გამოთავისუფლებული შედეგი. უფრო სერიოზულია მეორე შეცდომა. ყოველდღიურ კომუნიკაციურ პრაქტიკაში კოგნიტური მინიშნებები, მორალური მოლოდინები, გამოხატულებები და შეფასებები ერთმანეთში უნდა გადაიხლართოს. სიცოცხლის სამყაროს გაგების პროცესებს კულტურული ფასეულობების მთელი სისრულე სჭირდება. ამიტომ, რაციონალიზებული ყოველდღიურობა ვერანაირად ახერხებს კულტურული გაღარიბების უმოძრაობისგან გამოთავისუფლებას ერთი კულტურული სფეროს, ჩვენს შემთხვევაში – ხელოვნების, ძალადობრივი გახსნით და მისი მიერთებით ცოდნის სპეციალიზებული კომპლექსებიდან ერთ-ერთთან. ამ გზაზე შესაძლებელია ცალმხრივობის და აბსტრაქციის სხვით ჩანაცვლება.

არსებობს ცრუ „მოხსნის“ პროგრამის შეუმდგარი პროგრამის პრაქტიკის ანალოგები მორალის თეორიული გაგების სფეროებშიც, თუმცა არცთუ ისე მკაფიოდ გამოხატული. როგორც ცნობილია, ერთი მხრივ – მეცნიერები და მეორე მხრივ – მორალის და უფლების თეორია, ხელოვნების მსგავსად, ავტონომიურები გახდნენ. თუმცა ორივე სფერო კავშირშია პრაქტიკის სპეციალიზებულ ფორმებთან: ერთნი – გამეცნიერებულ ტექნიკასთან და მეორენი – სამართლებრივ ფორმებში ორგანიზირებულ, თავიან საფუძვლებში მორალურ გამართლებაზე დამოკიდებულ ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან. და მაინც, ინსტიტუციონალიზებული მეცნიერება და სამართლებრივი სისტემიდან მოწყვეტილი მორალ-პრაქტიკული დისკურსი იმდენად დაშორდნენ ცხოვრებისეულ პრაქტიკას, რომ აქაც შესაძლებელი გახდა განმანათლებლობის პროგრამის „მოხსნაში“ გადასვლა.

ახალგაზრდა ჰეგელიანების დროიდან კურსირებს ფილოსოფიის „მოხსნის“ ლოზუნგი, მარქსიდან მოყოლებული, თეორიის პრაკტიკასთან მიმართების საკითხი წამოიჭრა. უნდა ითქვას, რომ ამაში ინტელექტუალები და მუშათა მოძრაობები შეთანხმდნენ. მხოლოდ ამ სოციალური მოძრაობის პერიფერიებზე იპოვეს სექტანტურმა ჯგუფებმა თავისუფალი სივრცე თავიანთი მცდელობებისთვის, „ემღერათ“ ფილოსოფიის „მოხსნის“ პროგრამა ისე, როგორც სიურრეალისტებმა ხელოვნების „მოხსნის“ მელოდია იმღერეს. დოგმატიზმის და მორალური რიგორიზმის (სიმკაცრე) შედეგები ამხელენ ორივეგან ერთსა და იმავე შეცდომას: განივთებული ყოველდღიურობა, რომელიც დაფუძნებულია კოგნიტურის მორალურ-პრაქტიკულთან და ესთეტიკურ-ექსპრესიულთან არაძალადობრივ ურთიერთქმედებაზე, არ ექვემდებარება ამა თუ იმ ძალადობრივად გახსნილ კულტურულ სფეროსთან მიერთებით გამოჯანმრთელებას. გარდა ამისა, პრაქტიკული გამოთავისუფლება და მეცნიერებაში, მორალსა და ხელოვნებაში თავმოყრილი ცოდნის ინსტიტუციონალური განსხეულება არ უნდა ავურიოთ ამ ფასეული სფეროების ყოველდღიურობის საზღვრებიდან გასული რეპრეზენტანტების ცხოვრების სტილის კოპირებით – გამანადგურებე-

[6] Dieter Wellershoff, Die Aufloesung des Kunstbegriffs, Frankfurt a.M. 1976.

ლი ძალების გენერალიზაციით, რომელიც გამოხატული იყო ნიცშეს, ბაკუნინის, ბოდლერის ცხოვრებაში.

რასაკვირველია, გარკვეულ სიტუაციებში ტერორისტული აქტიურობა შეიძლება კავშირში იყოს ამა თუ იმ დაძაბულ კულტურულ მომენტთან, პოლიტიკის ესტეთიზების სურვილთან, მისი მორალური რიგორიზმით ჩანაცვლებასთან ან რომელიმე მოძღვრების დოგმატიზმის მიმართ ქედის მოხრასთან.

მაგრამ ამ ძნელად აღსაქმელმა ურთიერთკავშირებმა არ უნდა აგვირიოს გზა-კვალი: დავაბრალოთ დამოუკიდებელ განმანათლებლობას საშინელი გამონაგონის, „ტერორისტული გონიერების“ წარმოქმნის სურვილი. ის, ვინც მოდერნის პროექტს გონების მდგომარეობასთან და ინდივიდუალური ტერორისტის საჯარო-სკანდალურ მოღვაწეობასთან აკავშირებს, ისევე უაზროდ იქცევა, როგორც ის, ვინც შეუდარებლად მუდმივ და ყოვლისმომცველ ბიუროკრატიულ ტერორს – რომელიც ღამის კალთის ქვეშ, სამხედრო და საიდუმლო პოლიციის სარდაფებში, ბანაკებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ხდება – თანამედროვე სახელმწიფოს (და მის პოზიტივისტურად ეროზირებულ ლეგალურ ბატონობას) raiseon d`etre-ს უწოდებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტერორი სახელმწიფო აპარატის იძულების საშუალებებს იყენებს.

კულტურის ცრუ „მოხსნის“ ალტერნატივები

მე ვფიქრობ, რომ იმ გაუგებრობისგან, რაც მოდერნის პროექტს თან ახლავს, კულტურის „მოხსნის“ ექსტრავაგანტური პროგრამის შეცდომებიდან, მოდერნის და მისი პროექტის დამარცხების აღიარების ნაცვლად, დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. შესაძლებელია, ხელოვნების რეცეფციის მაგალითზე, სულ მცირე, კულტურული მოდერნის აპორიიდან (დაუძლეველი, ლოგიკური წინააღმდეგობა) გამოსავალზე მითითება. რომანტიზმში ხელოვნების კრიტიკის განვითარებამ შემხვედრი ტენდენციები მოგვცა, რომლებმაც ავანგარდული მიმდინარეობების წყალობით, მკვეთრი პოლარიზაცია განიცადეს: ჯერ ერთი, მხატვრულ კრიტიკას აქვს ამბიცია ხელოვნების ნიმუშის პროდუქტიული შემავსებელის და მეორე – ფართო საზოგადოების დამცველის როლზე, რომელსაც ინტერპრეტატორი სჭირდება. ბურჟუაზიულმა ხელოვნებამ თავის ადრესატებისკენ ორივე მოლოდინი მიმართა: ერთი მხრივ, დილეტანტი ხელოვნების მოყვარული უნდა შემზადებულყო სპეციალისტის მიერ, მეორე მხრივ, მას უფლება ჰქონდა მოქცეულიყო, როგორც მცოდნე, რომელიც ესთეტიკურ გამოცდილებას საკუთარ ცხოვრებისეულ პრობლემებს უთავსებს. შესაძლოა მეორემ, ერთი შეხედვით ნაკლებად უვნებელი რეცეფციის ტიპმა, საკუთარი რადიკალურობა დაკარგა იმის გამო, რომ პირველთან გაურკვეველი კავშირი შეინარჩუნა.

რა თქმა უნდა, მხატვრული პროდუქცია განწირულია სემანტიკურად, თუ ის არ განხორციელდა, როგორც თავისებური პრობლემების სპეციალიზებული დამუშავება, როგორც ექსპერტების საქმე ეგზოტიკური მოთხოვნილებების გათვალისწინების გარეშე. თანაც ყველა (მათ შორის კრიტიკოსიც, როგორც პროფესიულად მომზადებული რეციპიენტი) ჩართულია იმაში, რომ მოხდეს დასამუშავებელი პრობლემების რომელიმე ერთი აბსტარქტული ასპექტის შესაბამისად გამოხშირვა. ასეთი მკვეთრი გამიჯვნა, უშუალოდ ერთ განზომილებაზე ასეთი კონცენტრაცია იშლება, როგორც კი მოხდება ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ ისტორიაში ესთეტიკურის ჩართვა ან კოლექტიური სასიცოცხლო ფორმის ინკორპორირება (ჩართვა). არაპროფესიონალის ან თუნდაც ყოველდღიურობის ექსპერტების რეცეფცია სხვა მიმართულებას ღებულობს ხელოვნების შინაგან განვითარებაზე კონცენტრირებული კრიტიკოს-პროფესიონალის რეცეფციასთან შედარებით. ალბრეხტ ველმერმა ყურადღება მიმაქცევინა იმაზე, თუ როგორ იცვლის მნიშვნელობას, ჯერ კიდევ გემოვნების მსჯელობაში, არატრანსფორმირებული ესთეტიკური გამოცდილება. როგორც კი ის, კვლე-

ვითად ცხოვრებისეული სიტუაციის გასარკვევად გამოყენებული, ცხოვრების პრობლემებს დაუკავშირდება, ექცევა ენობრივი თამაშის ჩარჩოში, რომელიც უკვე არ წარმოადგენს ესთეტიკური კრიტიკის ენობრივ თამაშს. ამ შემთხვევაში ესთეტიკური გამოცდილება განაახლებს არა მხოლოდ მოთხოვნილებების ინტერპრეტაციას, რომლის შუქშიაც აღვიქვამთ სამყაროს, ის, ამავდროულად, კოგნიტურ ჩვენებებსა და ნორმატიულ მოლოდინებში იჭრება და ცვლის ყველა ამ მომენტის თანაფარდობის ხასიათს.

ამ ექსპლორაციული, ცხოვრებაში ორიენტირებისათვის დამხმარე ძალის – რომელიც შესაძლოა რომელიმე განთქმულ ტილოსთან შეხვედრისას გამოჩნდეს ადამიანის ბიოგრაფიაში საკვანძო მომენტის დადგომისას – მაგალითს გვიხატავს პეტერ ვაისი, რომელიც საკუთარ გმირს ესპანეთის სამოქალაქო ომიდან თავგანწირული გაქცევის შემდეგ პარიზში ხეტიალს აიძულებს და რომელიც საკუთარ ფანტაზიებში წინასწარ აღფრთოვანებულია იმ შეხვედრით, რომელიც ცოტა მოგვიანებით შედგება ლუვრში, ჟერიკოს გემის ჩაძირვის სურათის წინ. რეცეფციის ტიპი, რომელსაც ვგულისხმობ, კიდევ უფრო ზუსტად გარკვეული ვარიანტით დაჭერილია მითვისების გმირული პროცესის წყალობით, რომელიც იმავე ავტორს აღწერილი აქვს „წინააღმდეგობის ესთეტიკის“ პირველ ტომში პოლიტიზებული, სწავლაზე დახარბებული 1937 წლის ბერლინელი მშრომელების ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფის მაგალითზე, რომლებიც საღამოს გიმნაზიაში სწავლისას ისტორიაში შეღწევის საშუალებას ღებულობენ, მათ შორის, ევროპული ფერწერის სოციალურ ისტორიაშიც. ობიექტური სულის მკაცრ კლდეს ისინი აცლიან ნამსხვრევებს, რომელსაც იგებენ და ათავსებენ განათლების ტრადიციისგან და არსებული რეჟიმისგან მოწყვეტილ, საკუთარი გარემოს გამოცდილების ჰორიზონტში და ისე დიდხანს ატრიალებენ აქეთ-იქით, სანამ გონება არ გაუნათდებათ: „ჩვენი წარმოადგენა კულტურაზე მხოლოდ იშვიათად ემთხვევა საგნების გიგანტური რეზერვუარის, დაგროვილი გამოცდილების და გამონათებების ხატს. ჩვენ, მიუსაფარნი, თავიდან შიშით, რიდით ვუახლოვდებოდით საცავს, სანამ ჩვენთვის ნათელი არ გახდა, რომ ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარი შეფასებებით უნდა შევავსოთ, რომ საერთო გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო, თუ ის რამეს ჩვენს ცხოვრებისეულ პირობებზე და ასევე ჩვენი აზროვნების სირთულესა და სპეციფიკაზე ჰყვება“.[7]

ცხოვრებისეული სამყაროს პოზიციიდან ექსპერტების ხელოვნების აღქმის ასეთ მაგალითებში ნარჩუნდება უიმედო, სიურრეალისტური ამბოხის სურვილისგან რაღაც, უფრო მეტიც, ბრეხტის და ბენიამინის ექსპერიმენტული მსჯელობებიდან არააურაული ხელოვნების ნიმუშების რეცეფციებთან დაკავშირებით. ამგვარი მოსაზრებები შეიძლება მოვიყვანოთ მეცნიერების და მორალის სფეროებისთვისაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერებები სულზე, საზოგადოებაზე და ქცევაზე ჯერ ბოლომდე არ მოსწყვეტიან პრაქტიკაზე ორიენტირებული ცოდნის სტრუქტურას და, რომ უნივერსალური ეთიკური სისტემების კონცენტრაცია სამართლიანობის საკითხებზე ნაყიდია აბსტრაქციის ფასად, რომელიც კარგი ცხოვრების თავიდან მოწყვეტილ პრობლემასთან კავშირს მოითხოვს.

თანამედროვე კულტურის ყოველდღიურ პრაქტიკასთან დიფერენცირებული კავშირი, რომელიც დამოკიდებულია ცხოვრებისეულ პირობებზე, მაგრამ გაღარიბებულია შიშველი ტრადიციონალიზმის გამო, შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ასევე შესაძლო იქნება სოციალური მოდერნიზაციის სხვა, არაკაპიტალისტურ კალაპოტში მიმართვა. როცა სიცოცხლის სამყარო შეძლებს განავითაროს საკუთარ თავში ინსტიტუციები, რომლებიც ეკონომიკური მართვითი სისტემების თვითდინამიკას შეზღუდავენ.

---

[7] Peter Weiss, *Die Ästhetik des Widerstands, Bd. 1, Frankfurt a.M. 1975. S. 54.*

კონსერვატიზმის სამი სახეობა

ამისათვის, თუ არ ვცდები, შანსები ნაკლებია. ამგვარად წარმოიქმნა ის კლიმატი, რომელიც მეტ-ნაკლებად მთელ დასავლურ სამყაროში მოდერნიზმის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მიმდინარეობებს უწყობს ხელს. ამავე დროს, იმედგაცრუება, რომელიც ხელოვნების და ფილოსოფიის ცრუ „მოხსნამ“ და ასევე კულტურული მოდერნის თვალნათელმა აპორიამ დატოვა, კონსერვატიული პოზიციების ფორმირების საბაბის წარმოქმნას ემსახურება. უფლება მომეცით, ერთმანეთისგან განვასხვავო ახალგაზრდა კონსერვატორების ანტიმოდერნიზმი, ძველი კონსერვატორების პრემოდერნიზმი და ნეოკონსერვატორების პოსტმოდერნიზმი.

ახალგაზრდა კონსერვატორები ესთეტიკური მოდერნიზმის ძირითად გამოცდილებას, დეცენტრირებულ, კოგნიტურობის და უტილიტარული მოღვაწეობის ყველა შეზღუდვისგან, შრომის და სარგებლის ყველანაირი იმპერატივისგან თავისუფალ სუბიექტურობას ისაკუთრებენ და მასთან ერთად მოდერნულ სამყაროს ტოვებენ. მოდერნისტული პოზით აყალიბებენ შეურიგებელ ანტიმოდერნიზმს. მათ წარმოსახვის, თვიგაცნობიერების, ემოციურობის სპონტანური ძალები გადააქვთ შორეულ და არქაულ დროებში და ინსტრუმენტულ გონებას მანიხეისტურად (მანიხეიზმი – რადიკალური დუალიზმი) უპირისპირებენ მხოლოდ ევოკაციურად (წარმოდგენების ან განცდების გამოღვიძება ხელოვნების ნიმუშით, მისი ფორმით და შინაარსით) მისადგომ პრინციპს, იქნება ეს ძალაუფლების სურვილი თუ სუვერენიტეტი, ყოფიერება თუ პოეტურის დიონისური ძალა. საფრანგეთში ეს ხაზი გადის ჟორჟ ბატაიდან ფუკოზე დერიდამდე. ამ ყველაფერზე, რა თქმა უნდა, დაქრის 70-იან წლებში აღმდგარი ნიცშეს სული.

ძველი კონსერვატორები კულტურული მოდერნით საერთოდ არ ინფიცირდებიან. ისინი უნდობლად უყურებენ სუბსტანციური გონების რღვევას, მეცნიერების, მორალის და ხელოვნების გახლეჩას და თანამედროვე სამყაროს გაგებას, მის პროცედურულ რაციონალობას და გვირჩევენ (რაშიც მაქს ვებერმა თავის დროზე მატერიალურ რაციონალობაში დაბრუნება დაინახა) მოდერნამდე პოზიციებზე დაბრუნებას. რაღაც წარმატებას, პირველ რიგში, მიაღწია ნეოარისტოტელიზმმა, რომელიც დღეს ეკოლოგიური პრობლემით კოსმოლოგიური ეთიკის განახლების სტიმულირებას ახდენს. ლეო შტრაუსედან წამოსულ ამ მოსაზრებას იზიარებენ, მაგალითისთვის, ჰანს იონასის და რობერტ შპემანის საინტერესო ნამუშევრები.

ნეოკონსერვატორები მოდერნის მიღწევებს უფრო პოზიტიურად ეკიდებიან. ისინი მიესალმებიან თანამედროვე მეცნიერების განვითარებას, თუ ის საკუთარ საზღვრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ტოვებს, რათა ხელი შეუწყოს ტექნიკურ პროგრესს, კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდას და მართვის რაციონალური ორგანიზაციის სრულყოფას. სხვა შემთხვევაში კი ისინი კულტურული მოდერნის საშიშ-ფეთქებადი შიგთავსის გაუვნებელყოფის პოლიტიკას გვთავაზობენ. ერთ-ერთი თეზისის თანახმად, სწორად გაგებული მეცნიერება სიცოცხლის სამყაროში ორიენტირებისათვის ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელო გახდა. მეორის თანახმად – პოლიტიკა, შეძლებისდაგვარად, მორალურ-პრაქტიკული გამართლებისგან უნდა გავათავისუფლოთ. ხოლო მესამე ამტკიცებს ხელოვნების სუფთა იმანენტურ (შინაგან) ხასიათს ეჭვით უყურებს მის უტოპიურ შინაარსს, იშველიებს მის ილუზორულ ხასიათს, ესთეტური გამოცდილების სუბიექტურში კაფსულირებისთვის. მოწმეების სახით შეგვიძლია ადრეული ვიტგენშტაინი, კარლ შმიტი მის საშუალო პერიოდში და გვიანი გოტფრიდ ბენი მოვიხმოთ. მეცნიერების, მორალის და ხელოვნების საბოლოო ლოკალიზებით ავტონომიურ, სიცოცხლის სამყაროსგან მოწყვეტილ, სპეციალიზებულად მართულ სფეროებში, კულტურული მოდერნისგან რჩება მხოლოდ ნარჩენი, მის-

გან მოდერნის პროექტის გამორიცხვის შემდეგ. გამოთავისუფლებული ადგილი გათვალისწინებულია ტრადიციებისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება დასაბუთების მოთხოვნები; თუმცა, არცთუ ისე ნათელია, თუ როგორ შეინარჩუნებენ ისინი თავს თანამედროვე სამყაროში კულტურის სამინისტროების მხარდაჭერის გარეშე.

ეს ტიპოლოგია, როგორც სხვა დანარჩენი, გამარტივებაა; თუმცა სულიერ-პოლიტიკურ სფეროში დაპირისპირების ანალიზისათვის ის დღეს არცთუ ისე გამოუსადეგია. მე ვშიშობ, რომ ანტიმოდერნიზმის იდეები, „პრემოდერნიზმის“ მწიკვლის დამატებით, ფეხს მოიკიდებენ მწვანეთა და ალტერნატიული ჯგუფების მოძრაობებში. და პირიქით, პოლიტიკური პარტიების შეგნების მეტამორფოზებში იკვეთება ტენდენციების ცვლა, რაც ნიშნავს პოსტმოდერნის და პრემოდერნის კავშირს. როგორც მე მეჩვენება, ინტელექტუალების ლანძღვასა და ნეოკონსერვატიზმზე ვერც ერთი პარტია ვერ მოიპოვებს მონოპოლიას. ამიტომ, და მით უმეტეს ზუსტი განსაზღვრის შემდეგ, რომელიც თქვენს სიტყვაშია, ბატონო ობერბურგომისტრო ვალმანნ, კარგი მიზეზი მაქვს, მადლიერება გამოვხატო ქალაქ ფრანკფურტის იმ ლიბერალური სულის გამო, რომელმაც ადორნოს სახელობის პრემია მომანიჭა – ამ ქალაქის შვილის, ფილოსოფოსის და მწერლის, რომელმაც, როგორც არავინ, ხელი შეუწყო ფედერაციულ რესპუბლიკაში ინტელექტუალის ხატის ფორმირებას და რომელიც ინტელექტუალებისათვის მისაბაძი მაგალითი გახდა.

შეჯამება

იურგენ ჰაბერმასი

წლების განმავლობაში ჰაბერმასი მსოფლიოში წამყვან ნეომარქსისტად ითვლებოდა. მაგრამ წლების კვალობაზე მისი შემოქმედება ვითარდებოდა და მრავალი თეორიული მიმდინარეობა შეისისხლხორცა. ჰაბერმასს თანამედროვე სამყაროს (მოდერნის) მომავლის სწამს. სწორედ ამ აზრით წერს ის თანამედროვეობის (მოდერნის) დაუსრულებელ პროექტზე. მაშინ როდესაც მარქსი თავისი შემოქმედების ცენტრში აყენებდა შრომას, ჰაბერმასს ძირითადად კომუნიკაცია მიაჩნია, რომელსაც ის უფრო ზოგად პროცესად თვლის, ვიდრე შრომაა. მაშინ როდესაც მარქსი ყურადღებას ამახვილებდა, თუ როგორ ამახინჯებს კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურა შრომის პროცესს, ჰაბერმასს აინტერესებს, თუ როგორ ამახინჯებს თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა კომუნიკაციას. მარქსი მომავლისაკენ, როგორც შინაარსიანი და შემოქმედებითი შრომის სამყაროსაკენ, მიისწრაფოდა, ჰაბერმასი კი მომავლის, როგორც თავისუფალი და ღია კომუნიკაციების საზოგადოებისაკენ მიისწრაფვის. იურგენ ჰაბერმასი ჩვენი თანამედროვეა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კრიტიკული თეორიის განვითარებაში. იგი ასევე მუშაობდა ქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაციის პრობლემაზე, რომლის ჩარჩოებში „ცხოვრების სამყაროს კოლონიზაციის“ პრობლემას განიხილავდა. ცხოვრების სამყარო – ეს მიკროსამყაროა, სადაც ადამიანები ურთიერთმოქმედებენ. სისტემის საწყისები ცხოვრებისეულ სივრცეშია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის საკუთარ სტრუქტურულ მახასიათებლებს ავითარებს. რადგან ეს სტრუქტურები დამოუკიდებლად და ინტენსიურად ვითარდებიან, აუცილებელია ცხოვრების სივრცის კონტროლის გაძლიერება. თანამედროვე სამყაროში სისტემა „კოლონიზაციამდე“, ე.ი. ცხოვრების სივრცის კონტროლის აუცილებლობამდე მივიდა.

კითხვები და დავალებები:

1. გაანალიზეთ მოსაზრება: „ი. ჰაბერმასის სოციოლოგიური კონცეფციის ამოსავალ და ცენტრალურ პუნქტს „სიცოცხლის (ცხოვრების) სამყაროს“ კატეგორია წარმოადგენს. იგი მას განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელობათა არათემატიზებულ ჰორიზონტს, რომელიც ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველს შეადგენს“.
2. სოციალური მოქმედების რამდენ იდეალურ ტიპს გამოყოფს ი. ჰაბერმასი?
3. ცოდნის რამდენ სისტემას განასხვავებს ი. ჰაბერმასი და ცოდნის თითოეული სისტემის საფუძველში არსებულ რომელ შესაბამის ინტერესებს გამოყოფს იგი?
4. ჰაბერმასის მარქსისაგან ძირეული განსხვავება რის დასაბუთებაში გამოიხატება?
5. ჰაბერმასის მიხედვით, რა პრინციპული ხასიათის განსხვავებაა წინასწარ განხილულ კომუნიკაციურ მოქმედებას და დისკურსს შორის?
6. განმარტეთ დებულება: „ცხოვრების სამყარო – ესაა ხედვა შიგნიდან. საზოგადოება მოქმედი სუბიექტის პოზიციიდან მიიწვდომება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს მხოლოდ ერთი საზოგადოება. ცხოვრების სამყარო და სისტემა – მისი განხილვის მხოლოდ განსხვავებული ხერხებია“.
7. დაახასიათეთ სოციალური მოძრაობები, რომლებსაც ი. ჰაბერმასი ცხოვრების სამყაროზე სოციალური სისტემის მიერ მიტანილ იერიშზე რეაქციად თვლის.
8. გაანალიზეთ დებულება: ჰაბერმასს თანამედროვეობა (მოდერნი) „დაუსრულებელ პროექტად“ წარმოუდგენია.
9. გაანალიზეთ ჰაბერმასის მიერ პოსტმოდერნისტების კრიტიკის არსებითი მომენტები და მისი ძლიერი და სუსტი მხარეები გამოყავით.

ძირითადი ლიტერატურა:

იურგენ ჰაბერმასი. შემეცნება და ინტერესი. ქუთაისი, 2003 წ. გვ. 44 – 67, 185-206.

იურგენ ჰაბერმასი. მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები. ქუთაისი, 2003 წ. გვ. 5-112, 155-164, 309-348, 333- 349, 392-422, 513-546.

Хабермас Юрген. Моральное сознание и коммуникативное действие. «Наука», С-Петербург, 2000. გვ. 173 – 287. განსაკუთრებით საინტერესოა გვ. 198 – 210.

Die Moderne-ein unvollendetr Proekt. Rede aus Anlass der Verleihung des Adorno-Preises der Stadt Frankfurt/M.(11.9.1980). In:ders., 1981c, S. 444-464(1981d).

Джордж Ритцер. Современные социологические теории. 5-ое издание, СПБ.: Питер, 2002. გვ.76-180, 510-515.

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. გვ. -63, 151-173.

დამატებითი ლიტერატურა:

Фурс В. М. Философия незавершенного модерна Юргена Хабермаса.- Мн., 2000, გვ. 86, 89-117, 124-127.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004.

თავი მეოთხე – უკან, მომავალში: ნორბერტ ელიასის ფიგურაციული სოციოლოგია

1. *ნორბერტ ელიასი – პიროვნება და მეცნიერი;*
2. *სოციოლოგია – რელატიური ავტონომიის პრინციპი;*
3. *ფიგურაცია, როგორც სოციალური პროცესი;*
4. *„მანერების ისტორია“;*
5. *„ძალაუფლება და თავაზიანობა“.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მიკრო- და მაკროდონეთა ინტეგრაცია;
- ინდივიდი და საზოგადოება; ფიგურაციები, როგორც პროცესები;
- პროცესების სოციოლოგია;
- ძალაუფლების ბალანსი;
- ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვი;
- ცივილიზაციის პროცესი;
- „სოციალური მატერიის ტოტალური რეორგანიზაცია“.

1. ნორბერტ ელიასი: პიროვნება და მეცნიერი

ნორბერტ ელიასის ცხოვრება და მეცნიერული კარიერა საინტერესო და ფრიად დამაფიქრებელია. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი შრომები მეოცე საუკუნის 1930-იან წლეებს განეკუთვნება, თუმცა არც მაშინ და არც მრავალი წლის შემდეგაც კი მათ მნიშვნელობას არ აღიარებდნენ. მაგრამ სიცოცხლის ბოლო პერიოდში თავად ელიასიც და მისი შრომებიც „აღმოაჩინეს“, განსაკუთრებით, ინგლისსა და ჰოლანდიაში. დღეს ამ მეცნიერის ავტორიტეტი მუდმივად იზრდება, ხოლო მისი მეცნიერული მემკვიდრეობა სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს და მთელ მსოფლიოში აღიარებას პოვებს. ელიასმა საკმაოდ დიდხანს – 93 წლამდე იცოცხლა(იგი 1990 წელს გარდაიცვალა), იმისათვის, რათა თავისი შრომის დაგვიანებული აღიარებით დამტკბარიყო.

ნორბერტ ელიასი ქალაქ ბრესლაუში (გერმანია) 1897 წელს დაიბადა. მისი მამა წვრილი მეწარმე იყო და ოჯახი უზრუნველყოფილად და შეძლებულად ცხოვრობდა. ცხადია, ოჯახში სიყვარულის ატმოსფერო სუფევდა, რაც ელიასს საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობასა და განცდას უძლიერებდა, რამაც შემდგომში მას ძალიან კარგი სამსახური გაუწია, როდესაც მისი იდეები აღიარებას ვერ აღწევდნენ, ის ამბობდა: „ამას ჩემთვის ბავშობიდან ცნობილ, საკუთარ თავში დაჯერებულობის ძლიერ განცდას მივაწერ. ჩემს პიროვნებაში დაჯერებულობის ამ შეგრძნებას, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება, ძლიერ ჰქონდა ფესვები გადგმული, ამას მე იმ უდიდესი ემოციური დაცვით (მხარდაჭერით) ვხსნი, რომელიც მე მშობლებმა, თავიანთ ერთადერთ შვილს, აღმომიჩინეს. უკვე ახალგაზრდობის ადრეულ წლეებში ვიცოდი, რაც უნდა მესწავლა და მეკვლია, კარგად ვიცოდი, თუ რა უნდა გამეკეთებინა. მე უნივერსიტეტში ჩაბარება და კვლევითი საქმიანობის დაწყება მსურდა. ყოველივე ეს საკმაოდ ადრე გავაცნობიერე და მიზანსაც მივაღწიე,

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ყოველივე ეს თითქმის შეუძლებელ რამედაც კი მეჩვენებოდა.... აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული, რომ საბოლოოდ ჩემი შრომა, როგორც კაცობრიობის შესახებ ცოდნის სფეროში ფასეული შენატანი, აღიარებული იქნებოდა" (Джордж Ритцер. 2002. стр. 434).

პირველი მსოფლიო ომის დროს ელიასი გერმანიის არმიაში მსახურობდა, ომის დასასრულს კი ქალაქ ბრესლაუში დაბრუნდა, რათა ადგილობრივ უნივერსიტეტში ფილოსოფია და მედიცინა შეესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინის სფეროში საკმაო წარმატებას მიაღწია, მან, საბოლოოდ, ფილოსოფიის უკეთ დაუფლების მიზნით, მაინც მიატოვა ის. მედიცინის სფეროში მუშაობამ მას საშუალება მისცა, ადამიანური სხეულის სხვადასხვა ნაწილებს შორის ურთიერთკავშირების ხასიათი კარგად გაეგო და სოციალურ სფეროში არსებული ურთიერთკავშირებისადმი მისი მიდგომა, ფიგურაციებისადმი მისი ინტერესი სწორედ ამ შეხედულებამ განაპირობა კიდეც. 1924 წლის იანვარში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო, შემდეგ კი სოციოლოგიის შესასწავლად ქალაქ ჰაიდელბერგში გაემგზავრა.

ჰაიდელბერგში ელიასს რაიმე შტატიანი, ანაზღაურებადი თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ უნივერსიტეტის სოციოლოგიურ წრეებში აქტიურად მონაწილეობდა. 1920 წელს გარდაიცვალა მაქს ვებერი, მაგრამ მისი ქვრივის, მარიანა ვებერის, ხელმძღვანელობით არსებული სალონი აქტიურად საქმიანობდა და ელიასიც მისი სასურველი წევრი გახდა. მან გაიცნო მაქს ვებერის ძმა ალფრედი, რომელიც უნივერსიტეტში სოციოლოგიის კათედრაზე მუშაობდა, ასევე დაუახლოვდა კარლ მანჰაიმს (რომელსაც ელიასი, როგორც „უდავოდ ბრწყინვალე" სოციოლოგს ახასიათებდა). კარიერის თვალსაზრისით მანჰაიმი, ელიასთან შედარებით, ძალიან წინ იყო წასული. საბოლოოდ ელიასი მანჰაიმის მეგობარი და მისი მოხალისე, შტატგარეშე თანაშემწე გახდა.

1930 წელს, როდესაც კარლ მანჰაიმს ფრანკფურტის უნივერსიტეტში გადასვლა შესთავაზეს, ელიასი, უკვე შტატიანი ასისტენტის სტატუსით, მასთან ერთად გაემგზავრა.

1933 წლის თებერვალში გერმანიაში ხელისუფლებაში ადოლფ ჰიტლერი მოვიდა და ამის შემდეგ ელიასი სწრაფად, ისევე, როგორც მრავალი სხვა ებრაელი მეცნიერი (მათ შორის მანჰაიმიც), იძულებული გახდა, ემიგრაციაში – ჯერ პარიზში, ხოლო შემდეგ კი ლონდონში წასულიყო (ამბობენ, რომ ელიასის დედა 1941 წელს საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა). სწორედ ლონდონში იმუშავა მან ყველაზე მეტი შრომაზე „ცივილიზაციის პროცესის შესახებ", რომელიც 1939 წელს გერმანიაში გამოიცა; ვინაიდან მაშინ გერმანიაში ებრაელებისათვის წიგნის ბაზარი მიუწვდომელი იყო, ელიასიც ყოველგვარი ჰონორარის გარეშე დარჩა. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებშიც კი წიგნი საკმაოდ ცივად მიიღეს. ომის მსვლელობისას და მისი დამთავრებიდან ათი წლის განმავლობაში ელიასს რაიმე სტაბილური შემოსავალი არ ჰქონია, იგი ინგლისის მეცნიერული წრეების მიღმა რჩებოდა. მაგრამ უკვე 1954 წელს მას ერთბაშად ორი აკადემიური თანამდებობა შესთავაზეს, რომელთაგანაც ერთი ლეისტერში აირჩია კიდეც. ამგვარად, ელიასმა შტატიანი თანამშრომლის მეცნიერული კარიერა 57 წლის ასაკში დაიწყო! მისი მუშაობა ლეისტერში წარმატებით ვითარდებოდა, მნიშვნელოვანი პუბლიკაციები გამოაქვეყნა. ლეისტერში თავისი მუშაობით ელიასი იმედგაცრუებული დარჩა, რამდენადაც მისი მცდელობა, სოციოლოგიაში გაბატონებული სტატისტიკური ხასიათის (ტ. პარსონსის და სხვებისათვის დამახასიათებელი) მიდგომის ალტერნატიულ მიდგომად ევოლუციური მიდგომა დაემკვიდრებინა, ამაო აღმოჩნდა. იგი ასევე იმედგაცრუებული იმითაც იყო, რომ მის მიდგომას სერიოზულად სტუდენტების ძალიან ცოტა რაოდენობა აღიქვამდა. თვით ლეისტერშიც კი, ელიასი, რომელსაც სტუდენტები „წარსულიდან მომავალ" ექსცენტრულ ხმად თვლიდნენ, „ხმად მღაღა-

დებლისა უდაბნოსა შინა“ რჩებოდა. გარიყულობის ეს გრძნობა ძალიან ხშირად იმ აკვიატებულ სიზმარში იჩენდა თავს, რომელსაც ელიასი თავად ჰყვებოდა, სიზმარში, როდესაც ტელეფონის ყურმილში ხმა გამუდმებით გეკითხებათ: „ხმამაღლა ლაპარაკი შეგიძლიათ? თქვენი არ მესმის“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლეისტერში მუშაობის მთელ მანძილზე მისი არც ერთი წიგნი ინგლისურ ენაზე არ თარგმნილა, ეს კი ის დროა, როდესაც ინგლისელი სოციოლოგებიდან გერმანული ენა ძალიან ცოტამ თუ იცოდა.

1950-1960-იან წლებში დანარჩენ ევროპაში, განსაკუთრებით, ჰოლანდიასა და გერმანიაში, ბოლოს და ბოლოს, ელიასის შრომები „აღმოაჩინეს“. 1970-იან წლებში მან ევროპის არა მხოლოდ მეცნიერულ, არამედ საზოგადოებრივ წრეებშიც მოიპოვა აღიარება. თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში მან მრავალი ჯილდო, მათ შორის, საპატიო დოქტორის წოდებაც მიიღო. მის პატივსაცემად, ასევე, საიუბილეო კრებული და მისი მეცნიერული, მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი „თეორია, კულტურა და საზოგადოება“-ს სპეციალური ორჯერადი გამოშვება გამოქვეყნდა.

მართალია, ელიასის შრომები საყოველთაოდ აღიარებულია სოციოლოგიაში, მაგრამ თავად ეს აღიარება მაშინ მოხდა, როდესაც ასეთი ხასიათის მქონე შრომებზე სოციოლოგიაში სულ უფრო ნაკლები მოთხოვნა იყო. პოსტმოდერნიზმმა ნებისმიერი გრანდიოზული და დიდი ნარატივისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გაძლიერებას შეუწყო ხელი, ელიასის ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ კი სწორედ ასეთი დიდი ნარატივია: მის საგანს დასავლური ცივილიზაციის ისტორიული განვითარება (თავის აღმავლობისა და დაცემის პერიოდებთან ერთად) აქვს. სამწუხაროდ, პოსტმოდერნისტულ აზრს ელიასის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი ინტერესს სწორედ მაშინ შეუძლია სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს, როდესაც მან ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო.

ამერიკელი სოციოლოგების მიერ მიკრო და მაკრომიდგომათა ინტეგრაციის უკანასკნელ მცდელობებს ყველაზე მეტად ევროპელი თეორეტიკოსის, ნორბერტ ელიასის მიერ შემოთავაზებული მიდგომა შეესაბამება. ელიასმა სცადა, მიკრო და მაკრომიდგომების დონეთა შორის არსებული დისტანცია გადაელახა და, საერთოდ, სოციოლოგებისათვის დამახასიათებელი ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირების ტენდენცია დაეძლია. თუმცა ელიასის სამეცნიერო საქმიანობაში ყველაზე პროდუქტიული პერიოდი 1930-იანი წლები იყო, ამ მეცნიერის მემკვიდრეობამ მხოლოდ ახლახან პოვა ის აღიარება, რასაც იმსახურებდა. ახლა სწორედ ის დროა, რომ განვიხილოთ ელიასის შეხედულებები, რომელიც მიკრო და მაკროდონეთა ინტეგრაცის საკითხებს ეხება, და მის ძირითად თეორიულ იდეებს გავეცნოთ.

2. სოციოლოგია – რელატიური ავტონომიის პრინციპი

ელიასმა საკუთარი შეხედულებები განსაკუთრებით სამ პუბლიკაციაში: წიგნში „რა არის სოციოლოგია?“ (1970), თხზულებაში „სოციალური პროცესების თეორია“ (1977b) და კვლევაში „ვალდებულების და დისტანცირების“ შესახებ (1983) განავითარა.

ელიასი მეცნიერებებს და საზოგადოებებს ანალოგიურ ჭრილში, კერძოდ, როგორც ისტორიულ პროცესებს განიხილავს. ის ერთმანეთისგან ე.წ. ფიზიკურ (საბუნებისმეტყველო) მეცნიერებებს (ბიოლოგია, ფიზიკა, მედიცინა, მათემატიკა და ა.შ.) ე.წ. **ადამიანის მეცნიერებებისგან** განასხვავებს. ამ უკანასკნელს სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია და ა.შ. მიეკუთვნება. ელიასი მის მიერ წარმოდგენილი სოციოლოგიის ძირითად მიზნად **რელატიური ავტონომიის** პრინციპს აყენებს. სოციოლოგია, როგორც საზოგადოების და სოციალური განვითარების ნაწილი, არაა სრულად

ავტონომიური; რელატიური ავტონომიის პოზიცია განსხვავებულ გავლენებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ანალიზების გაკეთებაში გვეხმარება.

ელიასისთვის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, ფილოსოფიის, ეკონომიკის ან ფსიქოლოგიის ჩრდილში განხილვის მიზეზი არ არსებობს; გეორგ გასპარ ჰომანსის პერსპექტივა, რომელიც სოციოლოგიას ფსიქოლოგიას უქვემდებარებს, ელიასისთვის მიუღებელია, რადგან სოციოლოგია ადამიანების მეცნიერებებში რელატიურად ავტონომიურია, შესაძლოა, თავად ადამიანების მეცნიერებაცაა – *par excellence.* სოციოლოგიას ნაკლებად „მეცნიერული“ და დამკვიდრებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების არასრულფასოვნების კომპლექსებისგან გათავისუფლება შეუძლია და უნდა გათავისუფლდეს. სოციოლოგია, ერთი მხრივ, დანარჩენ მეცნიერებებთან და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ყოველდღიურ ხდომილებებთან შედარებით, რელატიურად ავტონომიური უნდა იყოს.

თუმცა ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სოციოლოგიით დაკავებული ადამიანები საკუთარ პოზიციებს შეცვლიან და პრინციპულად განსხვავებულ შეხედულებებს, **ვალდებულებას** და **დისტანცირებას** შორის ახალ ბალანსს იპოვიან. მაშინ როდესაც საყოფაცხოვრებო ენაში „ვალდებულება“ – პოზიტიურ და „დისტანცირება“ ნეგატიურ მოვლენად მოიაზრება, ელიასი მეცნიერულ-თეორიული და მეცნიერულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით დისტანცირებას შეხედულების მნიშვნელოვან ფორმად აღიქვამს, რომლის დეფიციტიც სოციოლოგიას გააჩნია.

ელიასის მიხედვით, ანგაჟირებული დამკვირვებლები სვამენ კითხვას: „რას წარმოადგენს ჩვენთვის ამ მოვლენის მნიშვნელობა?“. მათ საპირისპიროდ, დისტანცირებული დამკვირვებლების კითხვა შემდეგია: „რა არის ამ მოვლენის იმანენტური (დამახასიათებელი) მექანიზმი?“. ამ განსხვავების სისტემატიზაციას ელიასი ურთიერთსაპირისპირო წყვილების, ირაციონალურობის და რაციონალურობის, შესაბამისად, სუბიექტურობის და ობიექტურობის წყვილებით ახდენს. ამის გარდა, ელიასისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ამგვარი დიქოტომიის ფიქსირება. მისთვის მნიშვნელოვანია ანგაჟირების და დისტანცირების განსხვავებული საზოგადოებების ისტორიულ კონტექსტში მიმოხილვა. ელიასისთვის ანგაჟირება და დისტანცირება ადამიანების მეცნიერებებში საზოგადოებრივ რეალობასთან და ცოდნის შეძენასთან მიმართებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

სხვა სოციოლოგებისგან განსხვავებით, ელიასი საკუთარი ჯგუფის განსაკუთრებულ სიტუაციას აღიარებს. ანგაჟირების სრული უარყოფა შეუძლებელია და, ასევე, არასასურველი:

„ადამიანების მეცნიერთა წინაშე მდგარი პრობლემა არ გადაიჭრება, თუ ისინი საკუთარ ფუნქციას, როგორც ჯგუფის წევრი მკვლევრის ფუნქციის სასარგებლოდ დათმობენ. ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი ჯგუფის სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობასა და დროში მონაწილეობის შეწყვეტას, ვერ შეძლებენ მათგან თავის არიდებას. ამის გარდა, მათი პირადი მონაწილეობა და ჩართულობა პრობლემის გაცნობიერების წინა პირობას წარმოადგენს, რომელიც მათ, როგორც მეცნიერებმა, უნდა გადაჭრან. რადგან მაშინ, როდესაც მოლეკულის სტრუქტურის გასაგებად არაა საჭირო იმის ცოდნა, თუ რას გრძნობს მისი ერთ-ერთი ატომი, ადამიანური ჯგუფების ფუნქციის გასაგებად აუცილებელია, ამ ჯგუფის შიგნით მყოფთათვისაც (ინსაიდერი), იმის ცოდნა, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ და სხვა ჯგუფებს; ამის ცოდნა კი აქტიური ჩართულობის და ანგაჟირების გარეშე შეუძლებელია“ (Elias, 1983: 30).

სოციოლოგები დილემის წინაშე დგანან, ერთი მხრივ, სოციალური პრობლემების და, მეორე მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგალითო ხასიათის და დომინანტურობის გავლენას განიცდიან. ელიასი ამ დილემის წამოწევას საჭიროდ და შესაძლებლად მიიჩნევს შემდეგი წინა პირობების გათვალისწინებით:

- აქტიური ჩართულობა და ანგაჟირება აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისია. მხოლოდ „სოციალურ შედეგებზე ანგაჟირებული“ (ელიასი, 1983: 25) როლით შემოსაზღვრა არ ნიშნავს მეცნიერებას.

- სოციოლოგებმა ორივე ფუნქცია, ერთი მხრივ, „ტენდენციური და მყარი ჯგუფის იდეალების“ (ელიასი, 1983: 34) მონაწილეს და, მეორე მხრივ, მკვლევარს შორის უნდა განაცალკევონ.

- სოციალური მეცნიერება შეძლებისდაგვარად თავისუფალი უნდა იყოს „ჰეტერონომული შეფასებისგან“, ანუ სოციალური და პოლიტიკური შეხედულებებისგან. ჰეტერონომული შეფასებები ელიასისთვის წარმოადგენს „შეფასებებს, რომლებიც გარედან, ფართო საზოგადოების საზოგადოების კონფლიქტებში ჩართულობიდან, მეცნიერულ შრომებში იკავებს ადგილს“ (ელიასი, 1983: 59).

ელიასი სოციოლოგებისგან მოითხოვს დიდი დისტანციის დაცვას და ავტონომიის შენარჩუნებას როგორც პრობლემების დასმისა და მათი გადაჭრისაგან, რომლებიც საზოგადოებასა და პოლიტიკაში სოციალური ხდომილებების მიმართ გამოიყენება, ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძლიერი დაჯგუფებების მოდელების მიმართ. მეცნიერების თვითშეფასებისა და მიზნების გაცნობიერებისათვის **მინიმალური დისტანცირება** (თუმცა ეს ძალიან რთულია) აუცილებელია.

ისევე, როგორც სიმბოლურ ინტერაქციონიზმში და ფენომენოლოგიაში, ელიასი ცალკეული ინდივიდებსა და საზოგადოებრივ განვითარებას და მეცნიერულ ცოდნასა და კოგნიტურ უნარებს შორის საფუძვლიან განსხვავებას არ აკეთებს.

ფსევდოდისტანცირების, როგორც მას ელიასი უწოდებს, საშიშროება მაშინაა მოცემული, როცა საბუნებისმეტყველო მეთოდების გადაღება ხდება და მათი კანონიერებისა და მეცნიერულობის იდეალები ადამიანების მეცნიერებებზეა გადატანილი. მოჩვენებით „ობიექტური“ მეთოდი „ხშირად, როგორც ადამიანების მეცნიერებებიდან წარმოქმნილი სპეციფიკური დილემებიდან მომდინარე სიძნელეების თავიდან ასაცილებელი საშუალება გამოიყენება; ხშირ შემთხვევებში ის დისტანცირების ფასადს ქმნის, რომლის უკანაც საკმაოდ ანგაჟირებული პოზიცია იმალება“ (ელიასი, 1983: 35).

ელიასი, სხვა სოციოლოგებისგან განსხვავებით, **სამ გამიჯვნას –** მიკრო და მაკრომიდგომას აკეთებს:

პირველი გამიჯვნის შემთხვევაში ელიასი **კრიტიკული რაციონალიზმის** თეორიასა და პროგრამას და **მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის** სოციოლოგიურ მიდგომებს მკვეთრად ემიჯნება. მკვეთრი და ოდნავ გადაჭარბებული ფორმით ეს კრიტიკა მან ნაშრომში „მეცნიერება თუ მეცნიერებები? რეალობას მოწყვეტილ ფილოსოფიასთან დისკუსიის საკითხთან დაკავშირებით“ (ელიასი, 1985) შეაჯამა. „რეალობას მოწყვეტილებს“ ელიასი იმათ უწოდებს, რომლებიც ერთი მეცნიერების კონცეფციას (როგორც „ჭერს“ საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებებისათვის) წარმოადგენენ, მუდმივ და უვადო კანონებს აწესებენ და ამით საზოგადოებრივი განვითარების მრავალფეროვნებას და ადამიანების მეცნიერებების განსაკუთრებულ საკითხებს არასამართლიანად უდგებიან.

ელიასი **მეორე გამიჯვნას** სისტემური თეორიის მიმართ აკეთებს: ტალკოტ პარსონსის თეორია, ამბობს ელიასი, „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ (ელიასი, 1976) წინასიტყვაობაში არის მხოლოდ **მდგომარეობის სოციოლოგია,** ჰარმონიული მიდგომა. ამის საპირისპიროდ, ის ქმნის **პროცესის სოციოლოგიას,** რომელიც საზოგადოების პერმანენტული ცვალებადობის მისი ძირითადი თეზისებიდან მომდინარეობს. ელიასის აზრით, ისეთი სოციოლოგიური თეორიები, როგორიცაა სისტემური თეორია, ცოდნის წინა ფაზაში იმყოფებიან: ისინი წარმოადგენენ პარტიკულარულ (ცალკეულ ნაწილებად წარმოჩე-

ნა) მიდგომას, მაშინ, როდესაც მის მიზანს გენერალური სინთეზი წარმოადგენს. ელიასის თქმით, ადამიანური ცოდნის ხანგრძლივი განვითარება გვიჩვენებს, რომ ადამიანებს სინთეზის, ანუ ხდომილებების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი აქვთ:

„ადამიანები, სხვა ჩვენ მიერ ცნობილი ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით, ნაკლებად მოქმედებენ შეუსწავლელი რეაქციებით და უფრო მეტად – აღქმებითა და ცოდნით, რომლებიც არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდუალური ადამიანების, არამედ ადამიანური თაობების წარსული გამოცდილებების გრძელი ჯაჭვითაა ფორმირებული“ (ელიასი, 1984: 1). სისტემური თეორია ადამიანური პოტენციალის და საზოგადოებების კომპლექსურობის სინთეზის მიმართ არასამართლიანია.

მესამე მიდგომით ელიასი ნაკლები სიმძაფრით ემიჯნება **საზოგადოების კრიტიკულ და მარქსისტულ მიდგომებს:** ისინი, ელიასისგან განსხვავებით, ქმნიან სოციოლოგიის, როგორც **მითებზე მონადირე,** თავად ახალი მითების პოსტულატს. მართალია, კოლექტიურ-მარქსისტული მიდგომები ნაკლებად ა-ისტორიულია სისტემურ თეორიებთან შედარებით, მაგრამ მათი არგუმენტები მონოკაუზალურია ეკონომიკური კატეგორიების გასწვრივ (შეად. ელიასი, 1970: 188ff).

ელიასის მიერ ჩატარებული კრიტიკა ამგვარად შეგვიძლია შევაჯამოთ: ადრინდელი სოციოლოგია ა-ისტორიულია, არასწორი ძირითადი ვარაუდები გააჩნია „ბუნებაზე“, „ადამიანზე“ და მისი ახსნის პოტენციალი მიკრო და მაკროფრაგმენტაციის თეორიით შეზღუდულია. მისი მიზანია ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის თეორიული დუალიზმის დაძლევა, მდგომარეობის სოციოლოგიის პროცესის სოციოლოგიაზე გადასვლა. ამის მიღწევა მას ახალი სინთეზის საფეხურით სურს.

ელიასი მრავალ ცნებას სხვაგვარად იყენებს, ვიდრე ეს სოციოლოგიაშია მიღებული. ის უპიტარესობას ანიჭებს, ისაუბროს „ადამიანებზე“ და არა „ადამიანზე“ და ე.წ. **ნაცვალსახელების მოდელს** მოითხოვს:

„იმის გასაგებად, თუ რაზეა სოციოლოგიაში საუბარი, აუცილებელია... საკუთარი თავის, როგორც ადამიანის სხვებში გაცნობიერება. ეს ალბათ გაისმის, როგორც ტრივიალურობა. სოფლები და ქალაქები, უნივერსიტეტები და ფაბრიკები,...,კომუნისტური და კაპიტალისტური ქალაქები, ეს ყველაფერი ინდივიდების ქსელებია. ამ ინდივიდებს ჩვენც მივეკუთვნებით. როცა ამბობენ, ჩემი სოფელი, ჩემი უნივერსიტეტი, ჩემი კლასი, ჩემი სამშობლო, ამას გამოვხატავთ. მაგრამ დღეს, როგორც კი ყოველდღიურობის დონიდან, სადაც ამგვარი გამოხატულებები სავსებით გამოყენებადი და გასაგებია, მეცნიერული რეფლექსიების დონეზე გადავდივართ, ყველა საზოგადოებრივი სტრუქტურის, როგორიცაა „ჩემი“, „შენი“, „მისი“, ან „ჩვენი“, „თქვენი“ ან „მათი“, შესაძლოა, უარყოფილ იქნას. ამის ნაცვლად საუბარია ყველა ამ სტრუქტურაზე ისე, თითქოს ისინი საკუთარი პიროვნების გარეთ და მიღმა კი არა, არამედ ცალკეული პიროვნების გარეთ და მიღმა არსებობდნენ. ამგვარი ტიპის რეფლექსიის დროს ჩნდება წარმოდგენა: „„მე“ აქ ვარ“ ან კიდევ: „აქ არიან ცალკეული ინდივიდები და იქითაა საზოგადოებრივი წარმონაქმნები, „სოციალური გარემო“, რომელიც ყოველ ცალკეულ „მეს“, საერთოდ, „როგორც უშუალოდ გონივრული, გარს „არტყია“.

3. ფიგურაცია, როგორც სოციალური პროცესი

ნორბერტ ელიასი სოციოლოგიაში, უწინარეს ყოვლისა, ფიგურაციის ცნების შემოტანითა და დამკვიდრებითაა ცნობილი. ეს „იდეა სოციალურად განპირობებული ზეწოლის მიმართ წინააღმდეგობას შესაძლებელს ხდის, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ

დავანაწევროთ კაცობრიობის ჩვენეული გაგება, გავხადოთ ის პოლარიზებული, რაც ჩვენ მიერ ადამიანების, როგორც ინდივიდების, და, იმავდროულად, ერთობების აღქმას ეწინააღმდეგება... ამიტომ ფიგურაციის ცნება უბრალო კონცეპტუალური ინსტრუმენტია, რომელიც ამგვარი სოციალური იძულების, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ და ვისაუბროთ ისე, თითქოს „ინდივიდი“ და „საზოგადოება“ რაღაც ანტაგონისტურს და განსხვავებულს წარმოადგენენ, შესუსტებაში გვეხმარება“ (Elias N. Was ist Sociologie? Munchen: Iuventa Verlag. 1970. S. 139-145).

ფიგურაციები შეიძლება, პირველ რიგში, როგორც პროცესები განვიხილოთ. ელიასს კი ურჩევნია, მის თეორიაზე, როგორც „პროცესების სოციოლოგიაზე“ ვისაუბროთ. ფიგურაციები სოციალური პროცესებია, რომლებშიც ადამიანები „გადაჯაჭვულნი“ არიან ერთმანეთთან, ისინი ადამიანური ურთიერთობის სტრუქტურის გარეგანი მაიძულებლები კი არა, არამედ თავად ურთიერთქმედებაა. ინდივიდები, როგორც „ღია“, ერთმანეთთან დაკავშირებული სუბიექტები აღიქმებიან, ფიგურაციებს სწორედ ისინი ქმნიან. სოციალურ ფიგურაციებში მთავარ როლს ძალაუფლება თამაშობს, რის შედეგადაც ისინი მუდმივად იცვლებიან.

ცვალებად ფიგურაციათა შუაწერტილს – მათ უკიდურეს წერტილს, მოძრავი, მოქნილი წონასწორობა, ძალთა ბალანსის მერყეობა, მათი – ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს გადაწონა შეადგენს. ძალაუფლების ბალანსის მერყეობა ნებისმიერი ფიგურაციის ცვლილების სტრუქტურული მახასიათებელია.

ფიგურაციები, ძირითადად, უხილავი და დაუგეგმავი გზებით წარმოიქმნებიან და ვითარდებიან.

ძირითადი მნიშვნელობა აქ იმ ფაქტს აქვს, რომ ფიგურაციის ცნება, როგორც მიკრო, ისე მაკროდონეს და ასევე ნებისმიერ სოციალურ ფენომენს ესადაგება, რომელიც ამ ორ პოლუსს შორის მდებარეობს. მოცემული კონცეპტი შეიძლება მცირე ჯგუფებთან და ერთობებთან მიმართებაშიც გამოვიყენოთ, რომლებიც ათასობით და მილიონობით ურთიერთდაკავშირებული ინდივიდისაგან – მასწავლებლები და მოსწავლეები კლასში, ექიმები და პაციენტები საავადმყოფოში, მუდმივი კლიენტები ლუდის ბარში, ბავშვები დაწყებით სკოლაში – შედგებიან. ყველაფერი ეს საკმაოდ განსაზღვრულ ფიგურაციებს ქმნის, მაგრამ სოფლის, ქალქის და ქვეყნის მცხოვრებნი ასევე ქმნიან მათ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ფიგურაციებს ვერ აღვიქვამთ პირდაპირ, რადგან ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვები, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს უფრო რთული, განსხვავებული და მრავალფეროვანია.

ამრიგად, ელიასი „ინდივიდსა“ და „საზოგადოებას“ შორის ურთიერთკავშირს კი არ განიხილავს, არამედ ის ყურადღების კონცენტრაციას ხალხთა, რომლებიც აღქმულნი არიან, როგორც ინდივიდები, და ხალხთა, რომლებიც განხილული არიან, როგორც საზოგადოება – შორის ურთიერთობაზე აკეთებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ინდივიდთა და საზოგადოებათა დონეები (და ნებისმიერი სოციალური მოვლენის, რომელიც ამ უკიდურესობებს შორის მდებარეობს) ადამიანთა მონაწილეობას, მათ შორის ურთიერთობათა სიმრავლეს გულისხმობენ. „ურთიერდამოკიდებულებათა ჯაჭვის“ ცნება უფრო მეტად ადეკვატურია იმისა, რასაც ელიასი ფიგურაციების ქვეშ გულისხმობდა და რაც მისი სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს: „განსაკუთრებული დინამიური ფიგურაციების შექმნისას, თუ რატომ და როგორ ერთიანდებიან ადამიანები, სოციოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს“ ციტ. Джордж Ритцер. 2002. გვ.3).

ამ მეცნიერის მიერ შემოთავაზებული ფიგურაციების ცნება დაკავშირებულია იდეასთან იმის შესახებ, რომ ინდივიდები სხვა ინდივიდებთან მიმართებაში – ღია და ერთმა-

ნეთთან ურთიერთკავშირის ურთიერთობებში იმყოფებიან. ელიასი ამტკიცებს, რომ სოციოლოგების უმრავლესობა ადამიანზე ბჭობისას homo clauses წარმოდგენიდან გამოდის, ანუ ცალკეულ ადამიანთა სახეებს, რომელთაგან თითოეული, საბოლოო ჯამში, აბსოლუტურად დამოუკიდებელია ყველა დანარჩენებისაგან-ინდივიდი თავისთავად წარმოდგენას იყენებენ. მსგავსი რამ ფიგურაციის თეორიისათვის მიუღებელია, მასში მოქმედი სუბიექტი გაგებულია, როგორც „ღია“ და, ამავდროულად, ურთიერთდამოკიდებულებათა ურთიერთობებში ჩართული არსება.

სოციოლოგიის პრობლემების შესახებ არსებულ წიგნებში „ინდივიდის“, ერთეული ადამიანის სახის განხილვა ხშირად მიღებული არ არის. თანამედროვე მეცნიერული სპეციალიზაცია იმდენად მკაცრია, რომ, თუ საზოგადოების უნივერსალიებთან დაკავშირებით ადამიანთა პრობლემები არა მხოლოდ სიმრავლეში, არამედ ერთეულობაშიც განიმარტება, მაშინ ეს საზღვრების თითქმის არაკანონიერ გადალახვად ან სასაზღვრო ბოძების არალეგიტიმურ გადატანად ეჩვენებათ. უკვე საკმარისადაა ნათქვამი იმის შესახებ, რომ ადამიანის(ინდივიდის) და ხალხის მეცნიერულ კვლევათა კონვენციური დაყოფა, სწორედ დაყოფა, განცალკევება, და არა განსხვავება, საკამათოა. კონვენციური სოციოლოგიური თეორიების დიდი ნაკლია ის, რომ ადამიანთა სახის, როგორც საზოგადოებების, გამორკვევას კი ცდილობენ, მაგრამ ადამიანების, როგორც ინდივიდების, გამორკვევა ავიწყდებათ(თუ ივიწყებენ).

არა საგნობრივი, არამედ დარგობრივი საფუძვლებით განსაზღვრული მეცნიერული ჰორიზონტის ამ შევიწროების შედეგია ის, რომ სოციოლოგიის თეორეტიკოსები, რომლებსაც ცალკეული ადამიანის „ინდივიდის“ სრულიად სპეციფიკურ სახესთან აქვთ საქმე, მას კრიტიკულ გადამოწმებას არ უქვემდებარებენ. ისინი „საზოგადოების“ საკუთარ თეორიებსა და ჰიპოთეზებში ცალკეული ადამიანების იდეალებზე დაფუძნებული ცალკეული ინდივიდის შესახებ ერთ-ერთი ბნელი(გაშუქებას მოკლებული) შეფასებისა და მეცნიერებამდელი სურათის არაკრიტიკულ გადატანას ეწევიან. თუ ეს პრობლემა, როგორც ეს აქ ხდება, აშკარად ხვდება მხედველობის არეში, მაშინ ადვილი დასანახია, რომ ადამიანის სახის – ადამიანის სახეებად და ხალხის, როგორც საზოგადოების სახეებად, დაყოფა-განცალკევება, ინტელექტუალური შეცდომაა. ყურადღება რომც არ მივაქციოთ იმას, თუ როგორი ზიანი ადგება ადამიანის შესახებ კერძო მეცნიერებებს იმით, რომ მათ თეორიებში ცალკეული ადამიანი რამპის შუქზე დგას და მისი საზოგადოებაში ჩართვა მათი ინტერესისა და თვალსაზრისის მიღმა „არასტრუქტურირებული ფონის“, ვითარების და გარემოს სახით ვლინდება. სოციოლოგს ნებისმიერ შემთხვევაში არ ძალუძს, რომელიმე ერთ ტრადიციას დაემორჩილოს, რომელიც ხშირად ასაბუთებს, რომ თითქოსდა სოციოლოგიის ამოცანას „საზოგადოების“ და არა „ინდივიდის“ შესახებ არსებული წარმოდგენების კრიტიკული განხილვა და ცოდნის არსებულ პლასტებთან შეძლებისდაგვარად შეთანხმება წარმოადგენს. რასაკვირველია, ერთის გაკეთება მეორის გარეშე არ შეიძლება. ადამიანთა სიმრავლის შესწავლისას პროჟექტორების შუქის კონცენტრირება ხან – ცალკეულ ინდივიდზე, ხან კი იმ ფიგურაციებზე შეიძლება, რომლებსაც ცალკეული ადამიანები ერთობლივად ქმნიან. მაგრამ განხილვის ორივე დონის გაგება არასაკმარისი აღმოჩნდება, თუ ისინი მუდმივად ერთად არ იქნებიან განხილულნი. ის, რაც ორი განსხვავებული ცნებით – „ინდივიდი“ და „საზოგადოება“ – აღინიშნება, როგორც ეს დღევანდელ სიტყვათხმარებაში გვაქვს, არა ორი ცალ-ცალკე არსებული ობიექტი, არამედ ადამიანური უნივერსუმის განსხვავებული, მაგრამ განუყოფელი დონეებია. ამ პრობლემის გადასჭრელად და სიტყვათხმარებაში ახალი ცნებების შემოსატანად საშუალებების განსაზღვრული ეკონომიაა აუცილებელი. თუ ახალ გაგებასთან დაკავშირებით მეცნიერი სიტყვათხ-

მარებაში ახალი ცნებების შემოტანის უფლებას ბოროტად იყენებს, როგორც ეს ზოგჯერ სწორედ რომ ასე ხდება, მაშინ როგორც მისი საკუთარი მეცნიერული დისციპლინის შიგნით, ისე მასსა და სხვა მეცნიერებებს შორის კომუნიკაციების შესაძლებლობების ბლოკირება ხდება.

სოციოლოგიური დისკუსიის თანამედროვე ეტაპზე „ფიგურაციის" აქ შემოტანილმა ცნებამ სპეციფიკური ამოცანა უნდა გადაჭრას. იგი შესაძლებლობას გვაძლევს, ადამიანის სახის სოციალურად განპირობებული დანაწევრება და პოლემიკა შევწყვიტოთ, რომელიც მუდმივად გვაიძულებს, ადამიანის, როგორც ინდივიდის სახე, და ადამიანების, როგორც საზოგადოების სახე, ერთმანეთს დავუპირისპიროთ. სავსებით ნათელია, რომ ამ ცნებობრივ პოლარიზაციაში რწმენისა და იდეალების განსხვავებული საზოგადოებრივი სისტემების ასახვაზე მიდის საუბარი. ერთ მხარეზეა რწმენის სოციალური სისტემა, რომლის მომხრეებიც უმაღლეს ღირებულებად „საზოგადოებას" განიხილავენ, მეორეზე კი – რწმენის სისტემა, რომლის მიმდევრებიც უმაღლეს ღირებულებად „ინდივიდს" თვლიან. ამიტომ თანამედროვე ცნობიერებაში მკვიდრდება წარმოდგენა, რომ ორ განსხვავებულ ღირებულებას ორი განსხვავებული, განცალკევებით არსებული ობიექტი შეესაბამება. ისინი „მე-ფუტლიარში" თვითწარმოსახვას, ადამიანის, როგორც „homo clausus" წარმოდგენას – სახეს აძლიერებენ.

„ფიგურაციის" ცნება ცნებობრივი ინსტრუმენტის შექმნაში გვეხმარება. მისი დახმარებით შეგვიძლია ის სოციალური იძულება შევასუსტოთ, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ ისე, თითქოს „ინდივიდი" და „საზოგადოება" ორი განსხვავებული, უფრო მეტიც, ანტაგონისტური ფიგურებია.

ამ ანტაგონიზმის მოხსნისას წარმოდგენილმა მოდელებმა გარკვეული ხარისხით აჩვენეს, თუ როგორი აზრით გამოიყენება აქ „ფიგურაციის" ცნება. თუ ოთხი ადამიანი მაგიდასთან ზის და კარტს თამაშობს, მაშინ ისინი ფიგურაციას ქმნიან. მათი ქმედებები ურთიერთდამოკიდებულია. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვეულებრივი სუბსტანციური გამოყენება, ე.ი. შეიძლება „თამაშის" შესახებ ვილაპარაკოთ ისე, თითქოს იგი საკუთარ ეგზისტენციას ფლობს. შეიძლება ითქვას: „თამაში ნელა მიდის". მიუხედავად ყველა მაობიექტივირებელი გამონათქვამებისა, მოცემულ შემთხვევაში სავსებით ნათელია, რომ თამაშის მიმდინარეობა ურთიერთდაკავშირებულ ინდივიდთა ჯგუფის ქმედებების შერწყმა-გადახლართვისაგან გამომდინარეობს. თამაშის მიმდინარეობა, მოთამაშეთა შედარებით თანაბარი ძალების არსებობის შემთხვევაში, თითოეულ მათგანთან მიმართებაში შედარებით ავტონომიას ფლობს. მაგრამ იგი, როგორადაც ამის გაგების საშუალებას სიტყვა „თამაშის" მნიშვნელობა არ უნდა გვაძლევდეს, სუბსტანციის, ეგზისტენცის, არსების მნიშვნელობას არ ფლობს, რომელიც მოთამაშეთაგან დამოუკიდებელი იქნებოდა. ამდენადვე ნაკლებად, თამაში „იდეას" ან „იდეალურ ტიპს" წარმოადგენს, რომელსაც სოციოლოგი გენერალიზაციის შედეგად იღებს, როდესაც თითოეული მოთამაშის ქცევას ცალ-ცალკე განიხილავს და შემდეგ გარკვეული თვისებების, როგორც მოთამაშის ინდივიდუალური ქცევის, კანონზომიერებების აბსტრაგირებას ახდენს. „თამაშიც" იმდენადვე ნაკლებადაა აბსტრაქცია, რამდენადაც „მოთამაშეები". იგივე ეხება ფიგურაციასაც, რომელსაც მაგიდასთან მსხდომი ოთხი მოთამაშე ქმნის. თუ „კონკრეტულის" ცნებას საერთოდ რაიმე აზრი აქვს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ფიგურაცია, რომელსაც მოთამაშეები შეადგენენ, ისევე კონკრეტულია, როგორც თავად მოთამაშეები. ის, რაც ამ დროს ფიგურაციის ქვეშ ესმით, სხვა არაფერია, თუ არა ცვალებადი ნიმუში, რომელსაც მოთამაშეები აყალიბებენ, როგორც მთელს, და მასში არა მხოლოდ მათ ინტელექტს, არამედ მათ მთლიან პიროვნებებს, მთლიან ურთიერთდაკავშირებულ ქმედებებს რთავენ.

როგორც ჩანს, ეს ფიგურაცია დაძაბულობის სტრუქტურას ქმნის. მოთამაშეთა ურთიერთდამოკიდებულება იმის წანამძღვარია, რომ ისინი სპეციფიკურ ფიგურაციას ერთად ქმნიან, რომელიც არა მხოლოდ მათი, როგორც მოთამაშეების, არამედ, როგორც მოწინააღმდეგეების, ურთიერთდამოკიდებულებებსაც წარმოადგენს.

ფიგურაციათა ხასიათი თამაშის, მაგალითად, ფეხბურთის, სტრუქტურის მიხედვით შეიცნობა, რომელსაც შეუძლია მრავალი „მე“ და „ის“, ან „ჩვენ“ და „ისინი“ დამოკიდებულებების იერარქიას ფლობდეს. აქ განსაკუთრებით შესამჩნევია, თუ მოწინააღმდეგეთა ორი ურთიერთდამოკიდებული ჯგუფი, რომლებიც „ჩვენ“ და „ისინი“ ურთიერთობებით უპირისპირდებიან ერთმანეთს, ერთადერთ ფიგურაციას შეადგენენ. ერთ მხარეს არსებული მოთამაშეთა მოძრავი დაჯგუფება მხოლოდ მეორე მხარის მოთამაშეთა მოძრავ დაჯგუფებასთან ურთიერთკავშირშია გასაგები. თამაშის გასაგებად და მისგან სიამოვნების მისაღებად, მაყურებლებს მოთამაშეთა ცვალებადი ურთიერთდაკავშირებული პოზიციებისათვის, ე.ი. მიმდინარე ფიგურაციისათვის, რომელსაც ორივე მხარე ქმნის, თვალის დევნება უნდა შეეძლოთ. აქ, შესაძლოა, კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდეს, თუ როგორ აზრსმოკლებულია ცალ-ცალკე მოთამაშე ინდივიდთა თავისთავად, როგორც „კონკრეტულ“, ხოლო ფიგურაციათა, რომლებსაც ისინი ერთად ქმნიან, როგორც „აბსტრაქტულ“ ან ცალკე მოთამაშე ინდივიდების – როგორც „რეალურების“, ხოლო მათი დაჯგუფების, სათამაშო მოედანზე მიმდინარე ფიგურაციის – როგორც „არარეალურის“ განხილვა. ასევე ნათლად ჩანს, თუ „ძალაუფლების“ ცნება სუბსტანციური ცნებიდან მიმართების (დამოკიდებულების) ცნებად რის საფუძველზე გარდაიქმნება. ცვალებადი ფიგურაციების ან, სხვაგვარად, ფიგურაციის პროცესის ცენტრში დაძაბულობის ფლუქტურირებადი წონასწორობა, ძალაუფლების ბალანსის მუდმივი მოძრაობა იმყოფება, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრება. ძალაუფლების ასეთი სახის ფლუქტურირებადი ბალანსები ფიგურაციის თითოეული ნაკადის სტრუქტურულ თავისებურებებს განეკუთვნებიან.

ეს მაგალითები, შესაძლოა, იმის გაგებაში დაგვეხმაროს, თუ ფიგურაციის ცნება აქ რა აზრით გამოიყენება. ეს შეიძლება, როგორც მცირე ჯგუფებს, ისე ათასობით ან მილიონობით ურთიერთდაკავშირებული ინდივიდებისაგან შემდგარ საზოგადოებებს მივაკუთვნოთ. მასწავლებელი და მოსწავლე – კლასში, ექიმი და პაციენტი – თერაპიის ჯგუფში, კაფეთა ხშირი სტუმრები, ბავშვები – საბავშვო ბაღში – ყველანი შედარებით თვალმისაწვდომ ფიგურაციებს ქმნიან. ფიგურაციებს ასევე სოფლის, დიდი ქალაქის ან ერის მცხოვრებნიც ქმნიან, თუმცა ამ შემთხვევაში ეს ფიგურაციები პირდაპირ და უშუალოდ არ აღიქმებიან, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულების ის ჯაჭვები, რომლებიც ამ ადამიანებს აკავშირებს, გაცილებით გრძელი და დიფერენცირებულია. ასეთი კომპლექსური ფიგურაციების თავისებურებების ახსნას გაშუალებულად, ურთიერდამოკიდებულებების ჯაჭვთა ანალიზის გზით ცდილობენ. ეს, უწინარეს ყოვლისა, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სოციოლოგიური ანალიზის დროს ადამიანურ თვისებებს მოკლებული არსებითი სახელების კვლევის ინსტრუმენტით დაკმაყოფილება შეუძლებელია. ფუნქციების ან სტრუქტურების, როლის ან ორგანიზაციის, ეკონომიკის ან კულტურის შესახებ ბჭობისას, ამ ცნებათა მნიშვნელობა ადამიანთა სპეციფიკურ ფიგურაციებთან მათ ურთიერთკავშირს ხშირად ყურადღების გარეშე ტოვებს, „თამაშის“ ცნების მნიშვნელობის მსგავსად, როდესაც მხედველობიდან ქრება ის უმთავრესი ფაქტი, რომ თამაში – მოთამაშეთა სპეციფიკური ფიგურაციის ასპექტია.

ამიტომ, საკითხავია, შეიძლება თუ არა სოციოლოგიას, როგორც ეს დღეს ხშირად ხდება, „ქცევის შესახებ მეცნიერება“ ვუწოდოთ. ასეთი რამის გადაწყვეტისას კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოციოლოგიური პრობლემების გადაჭრა ადვილი იქნება, თუ სოცი-

ოლოგიური კვლევის ცენტრში განსახილველ საზოგადოებრივ ფორმაციათა ერთად შემქმნელ ცალკეულ ადამიანთა ქცევებს დავსვამთ. შემდეგ, ნივთთა სპეციფიკური საზოგადოებრივი მდგომარეობის სახით, ადვილად გამოვლინდება ყველაფერი ის, რაც ცალკეულ ინდივიდთა სიმრავლის ქცევებისაგან, შესაძლებელია, როგორც ერთობა, იქნეს აბსტრაგირებული. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სოციოლოგიის ამოცანების შეზღუდული და მრავალი ასპექტით (მიმართულებით) დამახინჯებული წარმოდგენაა. იმ კვლევებით სარგებლობისას, რომლებიც მრავალი ცალკეული ადამიანის ქცევების განხილვით იფარგლებიან, საზოგადოებრივი სტრუქტურების, ცვალებადი ადამიანური ფიგურაციების, ძალაუფლების (ხელისუფლების) დაყოფის, დაძაბულობათა ბალანსის და მრავალი სხვა სპეციფიკური სოციოლოგიური პრობლემის წვდომას მხოლოდ შეზღუდული ზომით შეიძლება მივაღწიოთ.

ცხადია, ამით ის არ მტკიცდება, რომ განსაზღვრული ჯგუფების წარმომადგენელთა ქცევის ერთობის სტატისტიკურ კვლევებს სოციოლოგიურ კვლევით სამუშაოებში ადგილი არ აქვს. ისინი მრავალ შემთხვევაში აუცილებელია. ის, რაზეც ესაა დამოკიდებული – თეორიული წანამძღვრებია, რომელთა საფუძველზეც სტატისტიკური გამოკითხვა ტარდება და, უწინარეს ყოვლისა, ესაა პრობლემის დასმის სახე, რომლის გადაჭრაზეც ეს გამოკითხვაა მიმართული. ფიგურაციული სოციოლოგიის და განვითარების სოციოლოგიის თეორიული საზღვრები, რასაკვირველია, სივრცეს სტატისტიკური გამოკვლევებისთვისაც ტოვებენ. მაგრამ დღეს ხშირად ხდება ისე, რომ სტატისტიკის ტიპი, რომელიც მრავალთა ქცევას დაჟინებითა და გარდაუვალობით იკვლევს და რომლებიც კვლავაც, როგორც დამოუკიდებელი ცალკეული ინდივიდებია წარმოდგენილი, სოციოლოგებს საკითხების დაყენებას კარნახობს. როგორც ინგლისელები ამბობენ: „კუდი აქიცინებს ძაღლს“. თუ ფიგურაციათა პროცესების კვლევა, რომელთა სტრუქტურაც უფრო და უფრო რთული ხდება, სოციოლოგიის ამოცანა გახდება, მაშინ აუცილებელია, ამ ამოცანის შესაბამისი დამხმარე სტატისტიკური საშუალებების განვითარებას ვეცადოთ.

ფიგურაციის კატეგორიის დახმარებით, ყურადღება ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებებს ექცევა და მათზე მახვილდება. საკითხი კი სწორედ ისაა, თუ ფიგურაციაში ადამიანებს საკუთრივ რა ეხებათ: ამგვარ საკითხებზე პასუხის გაცემა იქამდეა შეუძლებელი, სანამ ყველა ცალკეული ადამიანი იზოლირებულად მის ცალკეულობაში განიხილება, თითქოს თითოეული მათგანი რომელიღაც „homo clausus“-ა. ასეთ შემთხვევაში მკვლევრები ცალკეული ინდივიდების შესახებ მეცნიერებების – ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის – დონეზე რჩებიან, რომელთაგან ბიჰევიორიზმის განსაზღვრულ თეორიულ წანამძღვრებთან კავშირში ცნება „ქცევის შესახებ მეცნიერება“ მომდინარეობს. სხვა სიტყვებით, ყველა სპეციფიკური სოციოლოგიური პრობლემა სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებზე დაიყვანება. სავარაუდოა, რომ საზოგადოება, ფიგურაციები, რომლებსაც ურთიერთდაკავშირებული ადამიანები ერთად ქმნიან, საფუძველშივე სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალურ ატომთა გროვა. ალბათ, შესაძლებელია, კარტის ან ფეხბურთის თამაშის მაგალითი როგორღაც დაგვეხმაროს, რომ ასეთი ჰიპოთეზის ნაკლოვანებები შესამჩნევი გავხადოთ. ნაწილობრივ, საზოგადოების შესახებ ასეთი ატომისტური წარმოდგენა, უპირობოდ, იმის წარმოსახვის უუნარობას ეყრდნობა, რომ მრავალი ადამიანის ქცევების შერწყმა-გადახლართვებისაგან სპეციფიკური სტრუქტურები წარმოიქმნება – მნიშვნელობა არ აქვს იმას, ამ დროს ლაპარაკი ქორწინების თუ პარლამენტის, ეკონომიკური კრიზისების თუ ომების შესახებ მიმდინარეობს, რომელთა გაგება და ახსნა ცალკეულ მონაწილეთა ქცევაზე დაყვანით შეუძლებელია. ასეთი დაყვანა-რედუქცია სოციოლოგიის საგნობრივი სფეროს, მით უფრო ფსიქოლოგიასთან მიმართებაში, თავად სოციოლოგიის შედარებითი ავტონომიის აუღიარებლობას ნიშნავს.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, რომ ელიასის მეცნიერული მემკვიდრეობა სინთეზირებისა და განზოგადების მიმართულების (არა მხოლოდ მოცემული მნიშვნელობით) მაგალითად ითვლება. სოციოლოგიაში – როგორც თეორიულ, ისე კვლევით სფეროში – მსგავსი დაყოფა, მეცნიერს მიკრო და მაკრომოვლენათა დიქოტომიაზე არანაკლებ ადარდებდა. მისი აზრით, თეორია მშრალი თუ რეალური მონაცემებით არ ოპერირებს, ხოლო პრაქტიკული განხილვა სერიოზული თეორიული საფუძვლის გარეშე ყოველგვარ გამართლებას მოკლებულია. თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული პლატფორმების სინთეზის იდეა, ისევე როგორც მცდელობა, აჩვენოს მიკრო და მაკროდონეების ინტეგრაცია, ნათლად „მანერების ისტორიის“ და „ძალაუფლება და თავაზიანობის“ ორ ტომში აისახა, რომელიც ელიასის ყველაზე ცნობილი ნაწარმოების – „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ შემადგენელია (ნორბერტ ელიასი.წიგნი I, 2005, წიგნი II, 2008). სალექციო კურსის ეს ნაწილი სწორედ ამ შრომას ეძღვნება.

სანამ ელიასის იდეების გაცნობას განვაგრძობთ, საჭიროა განვმარტოთ, თუ რატომ განიხილება მოცემული სოციოლოგის მემკვიდრეობა მიკრო და მაკროდონეთა ინტეგრაციის და არა მოქმედება – სტრუქტურის ასპექტების განხილვის ჩარჩოებში.

ჯ. რიტცერის აზრით, „ელიასი ხომ გერმანიაში დაიბადა და შრომები, რომლებიც სტრუქტურის და მოქმედების ინტეგრაციის პრობლემებს ეძღვნება, უმეტესწილად, ევროპელებს ეკუთვნის. იმავდროულად, როცა შრომები, რომლებშიც მიკრო და მაკროდონეების შესაბამისობის ასპექტებია განხილული, ძირითადად, ამერიკელებს ეკუთვნით. ელიასის მემკვიდრეობა შეიძლება განხილულ იქნას ნებისმიერ თავში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ უფრო სასარგებლო იქნება, გავაკეთოთ ეს ახლა, რამდენადაც მოცემულ მეცნიერს მიკროდონეზე მოქმედება და ურთიერთქმედება უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე ნაკლებად ცნობიერი კრეატიული პროცესები, რომლებიც „საქმიანობით“ მიდგომას გულისხმობენ. სინამდვილეში, ელიასის ყურადღება სამყაროში მიმდინარე მოვლენების დაუგეგმავ და გაუცნობიერებელ ხასიათზეა მიმართული. ამას გარდა, როგორც შემდგომში დავინახავთ, „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ წიგნის პირველი ტომის – „მანერების ისტორია“ – ცენტრში პრობლემები – მაკროდონის რიგით, ხოლო მეორეში – „ძალაუფლება და თავაზიანობა“ – მიკროდონის ასპექტების გათვალისწინებითაა დასმული“ (ციტ. Джордж Ритцер. 2002. გვ. 436).

4. „მანერების ისტორია“

თუ ვებერის განხილვის საგანი დასავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი რაციონალიზაცია იყო, ელიასთან ეს დასავლური ქვეყნების ცივილიზაციაა. სხვათა შორის, ელიასი სრულებით არ ამტკიცებს, რომ ცივილიზაცია, როგორიც ისაა დასავლეთში ან სამყაროს სხვა ნაწილში, რამენაირად კარგია. არ ამბობს ის საწინააღმდეგოსაც – რომ ცივილაზიაცია ცუდია. თუმცა აღიარებს, რომ დასავლურ ცივილიზაციაში პრობლემები არსებობს. ზოგადად, ელიასი არ თვლის, რომ – იყო უფრო ცივილიზებული, კარგია და ზუსტად ასევე არ თვლის საწინააღმდეგოსაც – იყო ნაკლებად ცივილიზებული, ცუდია. საუბრისას, რომ ადამიანები გახდნენ უფრო მეტად ცივილიზებულნი, ჩვენ ყოველთვის არ ვგულისხმობთ, რომ ისინი უკეთესნი (უარესნი) გახდნენ; ჩვენ, უბრალოდ, ვადასტურებთ სოციალური ფაქტის არსებობას. ამრიგად, ელიასი მიმართავს იმის სოციოლოგიურ შესწავლას, რასაც ის დასავლური ცივილიზაციის „სოციოგენეზისს“ უწოდებს.

უფრო ზუსტად, „ელიასი ყურადღებას მუდმივი ისტორიული ტრანსფორმაციის სიმრავლის ყველაზე ჩვეულ ფორმებს აქცევს, რომლებიც ცივილიზებულნი ხდებიან, თუმცა

თავის ისტორიულ ანალიზს ელიასი შუა საუკუეების ეპოქით იწყებს. ის არკვევს, რომ ცივილიზაციის განვითარებაში საწყისი წერტილი (ბოლო, უკანასკნელი) არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს: „გრძელი სოციალური პროცესების განხილვისას არაფერი შეიძლება იყოს ისეთი უნაყოფო, როგორც აბსოლუტური საწყისის“ მითითების მცდელობაა“ (ციტ. Джордж Ритцер. 2002. გვ. 436).

შესაბამისად, ცივილიზაციურ პროცესებს შეიძლება თვალი გავადევნოთ წარსულში, ისინი არსებობენ აწმყოში და იარსებებენ მომავალში. უფრო ზუსტად, „ცივილიზაცია – ეს არის უწყვეტი ევოლუციური პროცესი, რომელსაც ელიასი, მოხერხებულობისათვის, შუა საუკუნების პერიოდიდან განიხილავს. ის მიისწრაფვის, ნაწილობრივ, თვალი იმ ცვლილებებს გაადევნოს, რომლებიც ჩვენ უხერხულობას გვიქმნის და გასაკუთრებულ გრძნობებს იწვევს. თვალი მიადევნოს, რამდენად იზრდება ჩვენი აღქმა და, ასევე, ადამიანებისათვის დამახასიათებელი, ახლა უკვე გაზრდილი ყურადღება სხვების მიმართ და მათი გამძაფრებული გაგების განვითარება გამოიკვლიოს. უკეთესია, კონკრეტული მაგალითები მოვიყვანოთ, თუ ელიასი ასეთი სახის ცვლილებებს როგორ განიხილავს“ (ციტ: Джордж Ритцер. 2002. გვ. 437).

სუფრასთან მოქცევა

ელიასმა გამოიკვლია წიგნები(და სხვა წყაროები) იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სასადილო მაგიდასთან, რომლებიც XIII-XIX საუკუნეებში იყო დაწერილი. მეცნიერი მივიდა ასეთ დასკვნამდე: უხერხულობის განცდა დროსთან ერთად იკლებს, ის, რასაც ადამიანები აკეთებდნენ სუფრასთან XIII საუკუნეში თითქმის ყველანაირი მორიდების გარეშე, XIX საუკუნეში ძლიერი სირცხვილის მიზეზად იქცა. ის, რაც ითვლება საზიზღრობად, დროსთან ერთად, სავარაუდოდ, „სოციალური ცხოვრებიდან სრულებით იქნება ამოღებული“(ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005).

მაგალითად, XIII საუკუნის პოემა გვაფრთხილებს: „ზოგიერთი ადამიანი ღირღნის ძვალს და შემდეგ ისევ დებს სადილში – ეს სერიოზული გადაცდომაა“ (Elias, 1939/1994,68,). XIII საუკუნის სხვა წიგნი ამბობს: „უზრდელობაა სადილის დროს თითის თვალებში, ყურში შეყოფა ან ცხვირის ჩიჩქნა, როგორც ამას ზოგიერთი ადამიანი აკეთებს“ (Elias, 1939/1994,71). ეს აკრძალვები გულისხმობს, რომ ბევრი ადამიანი იქცეოდა ამგვარად და რომ ასეთი საქციელი მათში ან მათ გარშემო მყოფებში არანაირ უხერხულობას არ იწვევდა. საჭირო იყო სიფრთხილე, რამდენადაც ადამიანებმა არ იცოდნენ, რა არის „არაცივილიზებული“ ქცევა. დროსთან ერთად, სულ უფრო ნაკლებად აუცილებელი ხდება ადამიანების გაფრთხილება, რომ სადილის დროს არ შეიძლება ცხვირის ჩიჩქნა. მაგალითად, XVI საუკუნის ბოლოს დოკუმენტი გვაცნობებს: „არაფერი არის ისეთი უზრდელობა, როგორც თითების გალოკვა, საჭმლის აღება და პირში ჩადება ხელით, სოუსის თითებით მორევა, ან ჩანგლით პურის ჩადება მასში და გალოკვა“ (Elias,1939/1994,79). რა თქმა უნდა, არსებობს უფრო მეტად მიუღებელი ბევრი ქცევა, ვიდრე თითების გალოკვაა – მაგალთად, ცხვირის ჩიჩქნა, მაგრამ მოცემული მომენტისათვის ცივილიზაციამ უკვე მიაღწია იმ დონეს, რომ აღიარებულ იქნა მსგავსი საქციელის არაცივილიზებული ხასიათი. ამასთან, ცხვირს იჩიჩქნიან „კულისებს მიღმა“, საზოგადოებამ იპოვა სხვა ნაკლებაღმაშფოთებელი ქცევის ფორმებიც, რომლებიც განისაზღვრებიან, როგორც არაცივილიზებულნი.

ელიასის ერთ-ერთი მტკიცებულებიდან, რომელიც განსახილველ სამეცნიერო პრობლემას ეხება, ისაა, რომ ეს ცვლილებები რაციონალურად არ ხორციელდება. მათ წყარო-

ებს ის უფრო ემოციის სფეროში, ვიდრე რაციონალურ მსჯელობებში ხედავს. მაგალითად, სახალხოდ გადაფურთხების აკრძალვის ზრდა. ელიასი ამტკიცებს, რომ ამის სტიმული – სოციალური გააზრება და არა სამედიცინო შეხედულებები გახდა, ასეთი საზღვრები დიდი ხნით ადრე არსებობდა, ვიდრე გადაფურთხების არაჯანსაღობის სამეცნიერო დამტკიცება გაჩნდებოდა. ამას გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ცვლილებები არ ხდება ცნობიერად, უფრო მეტად, ისინი არაცნობიერად წარმოიქმნება, ელიასის სიტყვებით: „როგორც ჩანს, ზოგიერთი ადამიანი წარსულში არ გეგმავდა ცვლილებებს – „ცივილიზაციას“, და არ აპირებდნენ მის განხორციელებას ცნობიერი, „რაციონალური“, მიზანმიმართული მეთოდებით“ (Elias, 1939/1982,). სხვა მნიშვნელოვანი მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ცლილებები, როგორც წესი, ერთი წყაროდან (განსაკუთრებით, სამეფო ცხოვრებით – ფრანგულ საზოგადოებაში) იბადება და შემდეგ ყველგან ვრცელდება. აი, როგორ რეზიუმეს აკეთებს ელიასი:

„ქცევის განსაზღვრული წესები იკრძალება – არა იმიტომ, რომ საზიანოა, არამედ იმიტომ, რომ იწვევს ზიზღის და სხვა არასასიამოვნო ასოციაციებს-სირცხვილს მსგავსი სანახაობის წარმოშობისას, რომელიც პირველად არ იარსებებდა, და ასეთი ასოციაციების გამოწვევის საფრთხე თანდათანობით ვრცელდება იმ წრეებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ სტანდარტებს უფრო ფართო ფენებისათვის. რაც ხდება არსებული ხელისუფლებისა და ინსტიტუტების წყალობით, რამდენადაც ასეთი შეხედულებები წარმოიშვა და მყარად დაფუძნდა საზოგადოებაში განსაზღვრული რიტუალების საშუალებით... ისინი მუდმივად წარმოიქმნებიან, სანამ ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურა არ შეიცვლება ფუნდამენტურად“ (ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვ.195-8), (Elias, 1939/1994,104).

ბუნებრივი გზავნილები

მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ბუნებრივ გზავნილთა წესებისა და ხერხების შემთხვევაშიც. XIV საუკუნის წიგნში, რომლითაც ნაწილობრივ სკოლის მოსწავლეები სარგებლობდნენ, მოცემულია რჩევები, რომელიც „ქარის გამოშვებას“ ეხება:

„ავადმყოფობის გასაგებად, უსმინეთ ძველ წესს „ქარის“ ხმის შესახებ. თუ მისგან შეიძლება განთავისუფლდე ხმაურის გარეშე, ეს კარგია, თუმცა დაე გამოვიდეს ხმაურით, ვიდრე თავშეკავებით... გაზებისგან განთავისუფლების ხმა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სოციალურად მაღლა დგას, საშინელებაა, სჯობს ჩავახშოთ ის საჯდომის ძლიერი მიბჯენით... დაე ხველამ დაფაროს ფეთქებადი ხმა... მისდიეთ ათასწლეულის კანონს: ჩაახშეთ გაზების ხმა ხველებით“ (ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვ. 346), (Elias, 1939/1994,106).

ამ წიგნში ღიად განიხილება თემა, რომლის წამოწევაც XIX საუკუნეში (და ახლაც) არ იყო საჭირო, რამდენადაც გახდა ცნობილი, რომ მოცემული ქცევა არაცივილიზებულ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ასეთი სახის საგანთა ღია განხილვა, რამდენადაც ეს უხამსობის თანამედროვე გაგებას ეხება. სწორედ ამაში გამოიხატება ცივილიზაციის პროცესი და „უხერხულობის განცდის ცვლილება“ (ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005. გვ.347), (Elias, 1939/1994,107). მანამდე ღიად განხილვადი საკითხები, დროსთან ერთად, იწევდა ამ ზღვარს იქით. ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაკვირვებს გაზების გამოშვების შესახებ რჩევები, ასახავს იმას, რომ დღეს დასაშვების ზღურბლი XIV საუკუნის დროისაგან ძლიერ განსხვავდება.

ელიასი გაზების გამოშვების სათანადო საშუალებების შეხედულებებში ამ ცვლილებებს სოციალურ ფიგურაციებში ცვლილებებთან აკავშირებს. განსაკუთრებით ფრანგულ სამეფო კარზე იზრდებოდა ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მჭიდრო მეზობლობაში და მუდმივ ურთიერთკავშირში ცხოვრობდნენ, შესაბამისად, იზრდებოდა ადამიანურ იმპულსთა რეგულირების აუცილებლობა და მათთვის დიდი აკრძალვების დაწესება. სამეფო კარის წრეებში წარმოქმნილი იმპულსების კონტროლირების მანერა, საბოლოო ჯამში, მიღებულ იქნა უფრო დაბალი სოციალური ფენების მიერაც. ასეთი სახის აკრძალვების გავრცელების აუცილებლობა გამოწვეულია ფიგურაციათა მომდევნო ცვლილებებითაც, პირველ რიგში – ადამიანთა დაახლოებითა და ურთიერთდამოკიდებულებით, რომელთაც სხვადასხვა სტატუსი და სტრატიფიკაციის სისტემის სისასტიკის ნაკლები დონე გააჩნდათ, რომლის წყალობითაც, ურო დაბალი სტატუსის ხალხისთვისაც მაღალი სტატუსის მქონე ხალხთან ურთიერთობაში შესვლა უფრო ადვილი გახდა . შედეგად, დაბალი ფენების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, აკონტროლონ გაზების გამოშვება (და ბევრი სხვა ანალოგიური გამოვლინება) ზუსტად ისევე, როგორც მაღალი კლასის წარმომადგენლებმა. ამავდროულად, ამ უკანასკნელთ მოეთხოვებოდათ, ედევნებინათ თვალყური გაზების გამოშვებისათვის არა მხოლოდ ლორდების თანდასწრებით, არამედ გაცილებით დაბალი სოციალური სტატუსის ადამიანების თანდასწრებითაც.

ელიასი აჯამებს ცვლილებების მისეულ განხილვას, რომლებიც ამ ბუნებრივ გზავნილთა ჩადენის მანერით მოხდა: „თანდათანობით საზოგადოება სულ უფრო ძლიერად თრგუნავს სიამოვნებას, რომელიც სახასიათოა იმ განსაზღვული გზავნილებისათვის, რომლებიც შფოთს იწვევენ ადამიანში. საზოგადოება ხდის ამ სიამოვნებას „ინტიმურს“, „საიდუმლოს“ (ე.ი. აიძულებს ინდივიდს, მოითმინოს ის), ერთდროულად ავრცელებს ნეგატიურ ემოციებს – უკმაყოფილებას, უსიამოვნებას, ზიზღს – როგორც ერთადერთ აღიარებულს საზოგადოებაში“ (ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვ. 212-213).

ცხვირის მოხოცვა

მსგავსი პროცესი შეინიშნება ცხვირის მოხოცვის აკრძალვის მტკიცებებთან დაკავშირებით, მაგალითად, XIV საუკუნის დოკუმენტი გვაფრთხილებდა: „არ მოიხოცოთ ცხვირი იმ ხელით, რომელსაც ხორცის დასაჭრელად იყენებთ“ (ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვ.215).

ხოლო XVI საუკუნის მკითხველს ურჩევდნენ: „არ არის მიღებული, ცხვირის მოხოცვის შემდეგ დავათვალიეროთ ცხვირსახოცი, თითქოს თქვენგან მარგალიტები ან ლალები შეიძლება გადმოცვენილიყო“(ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005,გვ.216).

ამასთან, XVIII საუკუნის ბოლოსათვის ასეთ დეტალებს ქცევის წესების წიგნში გაურბოდნენ: „ნებისმიერი შესამჩნევი ცხვირის მოძრაობა... უზრდელობაა და გონებასისუსტეა, ცხვირში თითის შეყოფა – უსაზიზღრესი უზნეობაა... ცხვირის მოხოცვისას უნდა დაიცვათ ზნეობისა და სისუფთავის ყველა წესი“(ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვ.350) როგორც ელიასი ამბობს: „ვრცელდება“ დუმილის შეთქმულება (იქვე). ის, რაც საუკუნის ან ორი საუკუნის წინ ღიად განიხილებოდა, ახლა შედარებით თავშეკავებულად ან საერთოდ არ განიხილება. ცხვირის მოხოცვის და სხვა მოვლენების „სირცხვილის ზღვარი“ გვერდზე გადაიდო. სირცხვილის გრძნობა დამყარდა იმ მოვლენებზე (მაგალითად, ცხვირის მოხოცვა, გაზების გამოშვება), რომლებიც წარსულში სასირცხვილოდ არ ითვლებოდა. ადამიანებს შორის სულ უფრო მეტი დაბ-

რკოლებები ჩნდება. ამდენად მოვლენები, რომლებიც შესაძლებელი იყო სხვების თანდასწრებით, დღეს მკაცრად და გულმოდგინედ იმალება და იფარება.

სექსუალური ურთიერთობები

ელიასი მსგავს საერთო ტენდენციას სექსუალურ ურთიერთობებთან მიმართებაშიც აღწერს. შუა საუკუნეებში უამრავი ადამიანისათვის, როგორც ქალისათვის ისე კაცისათვის, ჩვეულებრივი რამ იყო ერთ ოთახში ერთად ღამის გატარება. მათთვის არ იყო იშვიათობა შიშველი წოლა, თუმცა დროსთან ერთად, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის თანდასწრებით სამოსის გარეშე ყოფნა სირცხვილი გახდა. „არაცივილიზებული“ სექსუალური ქცევის მაგალითად ელიასი შემდეგ საქორწინო ჩვეულებებს აღწერს, რომლებიც შუა საუკუნეებში გაჩნდა:

„ახალდაქორწინებულთა ოთახში პროცესიას „შაფერი-ხელისმომკიდე“ ხელმძღვანელობდა. ახალდაქორწინებულს პატარძლის მეგობრები ტანსაცმელს ხდიდნენ, პატარძალს უნდა მოეხსნა ყველა სამკაული, ახალდაქორწინებულთა საწოლი მოწმეთა თანდასწრებით უნდა გაშლილიყო, რათა ქორწინებას კანონიერი ძალა ჰქონოდა. მათ „გვერდიგვერდ ათავსებდნენ“ – „საწოლი ერთია, ე.ი. ცოლი და ქმარი“ – ამბობდა გამონათქვამი. გვიან შუა საუკუნეებში ეს ტრადიცია თანდათანობით შეიცვალა, წყვილს უფლება ჰქონდა, ტანსაცმლით დაწოლილიყვნენ საწოლზე... აბსოლუტურ საფრანგეთშიც კი საქმროს და საცოლეს საწოლისკენ სტუმრები აცილებდნენ, ტანსაცმელს ხდიდნენ და საღამურებს აძლევდნენ“ (Elias, 1939/1994,145-146.).

ცხადია, რომ ცვლილებები ამ სფეროში ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად მოხდა. დღეს ყველაფერი, რაც ახალდაქორწინებულთა საწოლში ხდება, დამკვირვებელთა ხედვისათვის დამალული/დაფარულია. ადამიანის სექსუალური ცხოვრება გამოსულია საზოგადოებრიობის საზღვრებიდან და ცალკეული ოჯახის საზღვრებში ხდება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია უფრო ზოგად პრობლემებთან ისაა, რომ ცივილიზაცია ადამიანის სურვილების კონტროლის საშუალებებში ცვლილებებს გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ ხდება გადასვლა კონტროლის არარსებობიდან თანამედროვე სიტუაციამდე, სადაც აქცენტი თვითკონტროლზეა გადატანილი.

სექსუალურ სფეროში, როგორც სხვა სფეროებში, ცივილიზაციის პროცესი არ ვითარდება სწორხაზოვნად, პროგრესული, რეგრესული და უარყოფითი ცვლილებები პერიოდულად ხდება, თუმცა საერთო ტენდენცია შესამჩნევია, რომელსაც შეიძლება ცივილიზაციური პროცესი ვუწოდოთ:

ცივილიზაციის პროცესი სექსუალური მოთხოვნილებების სფეროში, ძირითადად, სხვა კონკრეტული სოციოგენეტიკური განსხვავებისაგან დამოუკიდებლად არსებული ანალოგიური იმპულსების პარალელურია... კონტროლი მაინც უფრო მკაცრი ხდება. ინსტინქტი ნელ-ნელა, მაგრამ საზოგადოების საჯარო ცხოვრებიდან სწორად გამოიდევნება... და ეს შეზღუდვები, როგორც სხვა დანარჩენი, უფრო ნაკლებად მყარდება ფიზიკური ძალის გამოყენების საშუალებით. ის ადამიანში ადრეული ბავშვობიდან, სოციალური ცხოვრების სტრუქტურის შემოსაზღრულობის ჩვეული სახით, მთლიანობაში – სოციალურ ინტიტუტთა ზეწოლით და, ნაწილობრივ, საზოგადოების განსაზღვრული შემსრულებელი ორგანოებით (პირველ რიგში – ოჯახით) კულტივირდება. ამრიგად, სოციალური მოთხოვნები და აკრძალვები ადამიანური პიროვნების ნაწილი უფრო მეტად ხდება .

„მანერების ისტორიაში“ ელიასი ადამიანური აზროვნების, მოქმედებების და ურთიერთქმედების საშუალებებში ცვლილებებს განიხილავს. ხანდახან ამაზე ის ზოგადად – როგორც „პიროვნების სტრუქტურაში“ ცვლილებაზე საუბრობს. ამასთან ჩანს, რომ ელი-

ასი აღწერს არამარტო პიროვნული სახის ცვლილებებს. მან გვაჩვენა ცვლილებები ადამიანთა ურთიერთობაში და ურთიერთქმედებაში, მთლიანობაში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „მანერების ისტორიაში“ განიხილება მიკროდონის ასპექტები, თუმცა ასეთ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება ორი ფაქტორი:

1. „მანერების ისტორიაში“ ელიასი ხშირად აქცევს ყურადღებას თანმხლებ მაკროდონის ცვლილებებს (მაგ., სამეფო კარზე) და ამტკიცებს, რომ „პიროვნებისა და საზოგადოების სტრუქტურები განუყოფელ ურთიერთკავშირში ვითარდება“(Elias1939/1994,188).

2. „მანერების ისტორია“ დაწერილია იმის გათვალისწინებით, რომ მას მოსდევს მეორე ტომი – „ძალაუფლება და თავაზიანობა“, რომლის ძირითადი საგანი გახდა ნახსენები ცვლილებები, რომლებიც დიდწილად მაკროდონეს მიეკუთვნება. სწორად შენიშნავს ჯ. რიტცერი: „მიუხედავად იმისა, რომ ელიასს სურს გაექცეს მიკრო და მაკროდონეთა დიქოტომიას, „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ შრომა ორი ცალკეული ტომისაგან შედგება, რომელთაგან ერთი აქცენტს – მიკროდონის, ხოლო მეორე მაკროდონის ქმედებებზე აკეთებს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002, 440).

5. „ძალაუფლება და თავაზიანობა“

თუ ცივილიზაციის პროცესში ძირითად როლს თვითკონტროლი თამაშობს, მაშინ „ძალაუფლებისა და თავაზიანობის“ განხილვის საგანი სოციალური ზეწოლის ის ცვლილებები და საშუალებები ხდება, რომლებიც თვითკონტროლის ასეთ ზრდასთანაა დაკავშირებული. „ძალაუფლებისა და თავაზიანობის“ წიგნის გაცნობა, ნამდვილად ღირს, ელიასის იმ სიტყვები დავიწყოთ, რომელიც მან „მანერების ისტორიის“ მიმართ განაცხადა: ზემოთ დაწვრილებით იყო ნაჩვენები, თუ შეზღუდვები, სხვა ადამიანების მეშვეობით, სხვადასხვა წესებითა და საშუალებებით, ადამიანების თვითშეზღუდვად/თვითკონტროლად როგორ იქცევა; თუ ყველაზე ღია ადამიანური ფიზიოლოგიური გამოვლინებები როგორ სულ უფრო და უფრო ტოვებენ ადამიანთა სოციალური ცხოვრების ავანსცენას და სირცხვილის გრძნობას იძენენ; თუ მუდმივი თვითკონტროლის წყალობით, ყველა ინსტიქტისა და ემოციის რეგულაცია უფრო მყარი, ბალანსირებული და გავრცელებული როგორ ხდება (Elias,1939/1982,230).

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ელიასმა მიკრო და მაკროდონეთა განსხვავება უარყო, „ძალაუფლებასა და თავაზიანობაში“, როგორც ჩანს, ის ანალიზის „მაკროსკოპიულ“ დონეს მაინც მიმართავს:

ადამიანთა ცალკეულ გეგმათა და მოქმედებათა სიმრავლიდან შექმნილმა საფუძველმა შეიძლება ცხოვრებაში ისეთი ცვლილებები და მოდელები გამოიწვიოს, რომლებიც არც ერთ ცალკე აღებულ ადამიანს/ინდივიდს არც დაუგეგმავს და არც შეუქმნია. ადამიანთა ამ ურთიერთდამოკიდებულებისაგან თავისებური წესრიგი იბადება – უფრო მეტად მაიძულებელი და დიდი, ვიდრე მის შემადგენელ ცალკეულ ინდივიდთა ნება და გონებაა. გადახლართულ ადამიანურ მისწრაფებათა და სურვილთა სწორედ ეს წესრიგი განსაზღვრავს ისტორიულ ცვლილებათა მიმართულებას; ის დევს ცივილიზაციის პროცესის საფუძველში (Elias,1939/1982,230).

ეს ძლიერი, თითქმის დიურკემისეული სიტყვები მაიძულებელი ძალის მფლობელ იმ უნიკალური რეალობის (sui generis) არსს გამოხატავს, რომელიც „ისტორიულ ცვლილებათა მიმართულებას განსაზღვრავს“. ელიასის გვიანდელი მტკიცებების მიუხედავად, რომ მიკრო და მაკროდონეთა განსხვავების დაძლევა აუცილებელი იყო, „ძალაუფლებასა და

თავაზიანობაში“ ასეთი პოზიცია მთლიანობაში მხარდაჭერას ვერ პოულობს. აქ განიხილება გავლენა, რომელსაც მაკროსტრუქტურები ხანდახან მიკროდონის ფენომენებზე ახდენს. თუმცა ელიასი ხშირად ამბობს, რომ მას განსაკუთებით მიკრო-და მაკრომოვლენათა ურთიერთდაკავშირებული ცვლილებები, ანუ ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურაში განსაკუთრებულ ცვლილებებსა და პიროვნების სტრუქტურაში შესაბამის ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირი აინტერესებს.

მიკრო და მაკროდონეთა განხილვისას ინტეგრაციის მიღწევის სირთულე იმ ფაქტს ასახავს, რომ ელიასი ფსიქოგენეტიკურ და სოციოგენეტიკურ გამოკვლევას ერთმანეთისაგან განასხვავებს. პირველში აქცენტი ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაზე კეთდება, მაშინ როცა მეორის ჰორიზონტის დიაპაზონი უფრო ფართოა, რამდენადაც ის არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოებრივი გაერთიანების, არამედ სოციალური სივრცის მთლიან სტრუქტურაზე ფოკუსირდება, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ საზოგადოებათა განსაკუთრებული ჯგუფის და მისი ევოლუციის თანმიმდევრული წესრიგის მეშვეობით ყალიბდება.

ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვის გაგრძელება/დაგრძელება

როგორია მაკროსტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც ცივილიზაციის პროცესისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს? ისინი შეიძლება აღიწეროს, როგორც „ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვის“ გაგრძელება: „დასავლური სამყაროს არსებობის ადრეული ეტაპებიდან დღევანდელ დღემდე სოციალური ფუნქციები კონკურენციის გავლენის ქვეშ უფრო და უფრო დიფერენცირდება. რაც უფრო განსხვავებულნი ხდებიან ისინი, მით უფრო იზრდება ფუნქციათა რაოდენობა და, ამრიგად, ადამიანთა რაოდენობაც, რომლებზეც ინდივიდი თავის ყველა მოქმედებაში – ყველაზე მარტივი და ბანალურიდან დაწყებული, ყველაზე რთული და არასტანდარტული ქცევით დამთავრებული – დამოკიდებულია. იმის თანახმად, რომ უფრო და უფრო მეტმა ადამიანმა თავისი ქცევა სხვების ქცევის მიხედვით უნდა დაგეგმოს, მოქმედებათა ქსელი უფრო მკაცრად და ზუსტად ორგანიზდება, რათა თითოეულმა ინდივიდუალურმა მოქმედებამ თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს. ინდივიდი იძულებეულია, თავისი საქციელი დაარეგულიროს, უფრო დიფერენცირებული, აწონილ-დაწონილი და მყარი მანერები დაიცვას. ქცევის გართულებული და სულ უფრო მუდმივი კონტროლი ყველაზე ადრეული ასაკიდან, თვით ინდივიდის მიერ უფრო დიდი ხარისხით ავტომატიზმის, თვითკონტროლის მსგავსად აითვისება და რომელსაც ის იმ შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებს შეეწინააღმდეგოს, როდესაც ამის გაკეთება შეგნებულად სურს (Elias,1939/1982,232-233).

აღწერილი პროცესის შედეგი „სოციალური მოქმედების და ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვის დაგრძელებაა“, რაც ინდივიდთა მიერ თავიანთი ემოციების შეკავების შესაბამის მოთხოვნილებებს ხელს უწყობს, „ხდომილებების მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებათა შუქზე დაკავშირების ჩვევას“ კი ავითარებს (Elias,1939/1982,236,).

ამრიგად, ელიასის მიხედვით, სოციალურ ფუნქციათა დიფერენციაციის ზრდა ცივილიზაციის პროცესში მთავარ როლს თამაშობს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ის, რასაც ელიასი „სოციალური მატერიის ტოტალურ რეორგანიზაციას“ უწოდებს. აქ ის საზოგადოების უფრო სტაბილური ცენტრალური ორგანოების წარმოქმნის ისტორიულ პროცესს აღწერს, რომელმაც ფიზიკური იძულებისა და გადასახადების შეწერის მონოპოლიზება მოახდინა. ამ პროცესში არსებითი მნიშვნელობა აბსოლუტური სამეფო ძალაუფლების და ასევე სამეფო კარის საზოგადოების წარმოშობას აქვს (განსაკუთრებით, საფრანგეთში, ნაწილობრივ, ლუდოვიკო XIV მმართველობისას, თუმცა ევროპულ მონარქიათა სამე-

ფო კარის წარმომადგენლები მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან). აქ იწყებს მოქმედებას ის, რასაც ელიასი „სამეფო მექანიზმს“ უწოდებს: მეფენი მხოლოდ განსაკუთრებული ფიგურაციის არსებობისას ჩნდებიან, როდესაც მოპაექრე ფუნქციონალური ჯგუფები ამბივალენტურნი(ერთდროულად ერთმანეთზეც არიან დამოკიდებულნი და მტრობენ კიდეც ერთმანეთს) არიან, ხოლო ძალაუფლება თანაბრადაა განაწილებული მათ შორის, რაც სერიოზული კონფლიქტის ან სერიოზული კომპრომისის წარმოშობას ხელს უშლის. ელიასის სიტყვებით, „ოპტიმალური ხელისუფლება, რომელიც ჩვეულებრივ თავის გამოხატულებას ავტოკრატიაში პოულობს, ცენტრალური ორგანოს მიერ მიიღწევა არა იმ შემთხვევაში, როცა ძლიერი მმართველი პიროვნება იბადება, არამედ იმ პირობებისას, როცა განსაკუთრებული სოციალური სტრუქტურა ამის შესაძლებლობას უზრუნველყოფს“ (Elias,1939/1982,174). სხვა სიტყვებით, მეფე ჩნდება, როცა შესაბამისი ფიგურაცია არსებობს. სამეფო კარი მთავარ როლს თამაშობს, რამდენადაც სწორედ აქ ხდებოდა ცვლილებები, რომლებიც საბოლოო ჯამში მთელს საზოგადოებაზე ახდენდნენ გავლენას. მეომრებისაგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ძალადობისათვის ადვილად მიმართვა იყო დამახასიათებელი, რადგან მისი ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვი საკმაოდ მოკლე იყო. სამეფო კარის ბატონები, რომლებიც სხვა ბატონებთან გაცილებით უფრო გრძელი ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვებით იყვნენ დაკავშირებულნი, საჭიროდ თვლიდნენ, სხვებისთვის უფრო მისაღები ყოფილიყვნენ. სამეფო კარი სულ უფრო რთულად ახერხებდა, თავისუფლება მიეცა საკუთარი ემოციებისათვის, რომლებიც ძალადობასა და სხვა სახის მოქმედებებში ვლინდებოდა, ამას გარდა, ძლიერდებოდა აკრძალვების ძალა, რომელსაც განაპირობებდა ის, რომ მეფე იძულების საშუალებებზე სულ უფრო დიდ კონტროლის აწესებდა. ფიზიკური იძულების მონოპოლიზაცია, შეიარაღებულ ადამიანთა და შეიარაღების კონცენტრაცია ერთი ადამიანის ძალის ქვეშ, მშვიდობიან, უიარაღო ადამიანებს აიძულებს, ნაკლებაგრესიულნი იყვნენ და განსაკუთრებულ წინდახედულებას ან გონიერების უნარს მიმართონ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ადამიანებს თავს დიდი ან მცირე დონის თვითკონტროლს ახვევს. ძალის მონოპოლია მჭიდრო კავშირშია მეფის უნართან, მოახერხოს გადასახადების საკუთარ ხელში კონცენტრირება, რამდენადაც გადასახადები – ეს ისაა, რაც მას იძულების საშუალებების კონტროლის დააფინანსების საშუალებას აძლევს. ფაქტობრივად, ელიასი ორი მონოპოლიის ურთიერთქმედების სიტუაციას აღწერს: „ამგვარად შემოსული ფინანსური საშუალებები მმართველს ხელს უწყობს შეიარაღებულ იძულებაზე მონოპოლიის დამყარებაში, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გადასახადების ამოღებაზე მონოპოლიის გაძლიერებაში ეხმარება“. გარდა ამისა, სამეფო ხაზინის შემოსავლის ზრდას თავად-აზნაურთა შემოსავლების შემცირება სდევს თან, ასეთი უთანასწორობა კი სამეფო ხელისუფლების შემდგომ გაძლიერებას უწყობს ხელს.

თავად-აზნაურები ცივილიზაციის პროცესში საკვანძო მნიშვნელობის როლს ასრულებენ, რამდენადაც ამ ელიტურ ჯგუფში მიმდინარე ცვლილებები თანდათან მთელს საზოგადოებაზე ვრცელდება: „სწორედ სამეფო კარის საზოგადოებაში ყალიბდება ქცევის ის მოდელები, რომლებიც სხვებთან გაერთიანებისას და იმ პოზიციის შესატყვისად ცვლილებისას, რომელ პოზიციასაც ამ მოდელების ათვისებაზე მიმართული ჯგუფები იკავებენ, ვრცელდებიან და ფუნქციების სულ უფრო ფართო ჯგუფების მიმართ წინდახედულების გამოჩენას აიძულებენ. თავად-აზნაურთა წრეების წარმომადგენლები უფრო, ვიდრე დასავლური საზოგადოების რომელიმე სხვა ჯგუფი წევრები, რომლებმაც ასეთი პროცესის გავლენა განიცადეს, თავიანთი განსაკუთრებული ადგილისა გამო, სოციალური მოქმედების მოდელთა შემუშავებისა და დამკვიდრების სპეციალისტებად გვევლინებიან“.

დასავლეთში გამოვლენილი ეს ცვლილებები მსოფლიოს სხვა ნაწილებზეც გავრცელდა.

სამეფო ხელისუფლებისა და სასახლის კარის გაჩენა, ასევე, მეომრის ფიგურიდან თავად-აზნაურებზე (ანუ მეომრის თავად-აზნაურად ქცევის პროცესი) ისტორიული გადასვლა, ელიასის აზრით, ცივილიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს „ნახტომს“ წარმოადგენს. „ნახტომების“ იდეა-სოციალური ცვლილებების ელიასის მიერ შემოთავაზებული თეორიის გულია, ცენტრია. იგი მათ თანაბარ, ერთი მიმართულებით მიმავალ პროცესად არ მიიჩნევს, ესაა პროცესი, რომელსაც როგორც მრავალი სტარტი და გაჩერება, ისე განსხვავებული მიმართულებით მოძრაობაც ახასიათებს.

მიუხედავად იმისა, რომ ელიასი სამეფო კარის ფენომენს უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს, გადამწყვეტი ცვლილებების გამომწვევ მიზეზს, ის მაინც იმ ეპოქის(დროების) მთელი სოციალური ფიგურაციის ცვლილებებში ხედავს. ანუ საკვანძო მნიშვნელობა სხვადასხვა ჯგუფებს(მაგალითად, მეომრებსა და თავადაზნაურებს) შორის ურთიერთდამოკიდებულებებში, ასევე, თითოეული ამ ჯგუფის შიგნით ინდივიდებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებში მომხდარ ცვლილებებს ჰქონდა. გარდა ამისა, ამ ფიგურაციამ შეზღუდვები როგორც მეფის, ისე თავადაზნაურთა მიმართ თანაბარი ხარისხითა და დოზით განსაზღვრა: „უფლისწულები და არისტოკრატები შეიძლება მოგვეჩვენოს ადამიანებად, რომლებიც იძულებისაგან თავისუფალ ცხოვრებას ეწევიან... მაგრამ ახლა ცხადი ხდება ის, თუ როგორი შეზღუდული არიან მაღალი წრის წარმომადგენლები და არანაკლები დოზით ის, ვინც უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს – მონარქი“ (Elias,1969/1983,166).

მეფისა და მისი სამეფო კარის ბატონობის დროიდან დაწყებული სახელმწიფოს ფორმირების თანდათანობითი პროცესი მიმდინარეობს. სხვა სიტყვებით, როცა სამხედრო ძალაზე და გადასახადებზე კერძო მონოპოლია არსებობს, ამ რესურსებზე საზოგადოებრივი მონოპოლიის, ე.ი. სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველიც ჩნდება. სამეფო ხელისუფლების და შემდეგ სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებაში მაკონტროლებელი ორგანოების, განმტკიცებას და ცალკეული პიროვნების მაკონტროლებელი განწყობების პარალელურად განვითარებას შორის უშუალო კავშირი არსებობს. ასეთი სახის აკრძალვების და შეზღუდვების ერთობლივ დადგენას ინდივიდის მიერ საკუთარი ემოციების მართვის უნარზე მათ უპრეცედენტო ძალაუფლებასთან მივყავართ. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დრომდე თვითკონტროლი ადამიანებში საერთოდ არ არსებობდა, თუმცა ახლა ის მუდმივი, ურყევი გახდა და ადამიანური ცხოვრების სულ უფრო მეტ ასპექტს ეხება. ელიასის მტკიცება, რომ უფრო გრძელი ურთიერთდამოკიდებულებათა ჯაჭვის ფლობისას „ინდივიდი საკუთარი თავის კონტროლირებას ყოველთვის და ყველგან სწავლობს; მაშინ ის ნაკლები დონით არის თავის მისწრაფებათა ტყვე“ (Elias,1939/1982,241), ძალიან ახლოსაა დიურკემის პოზიციასთან.

საინტერესოა ელიასის იმავდროული აღიარება, რომ ეს კონტროლი აბსოლუტურ სიკეთედ ვერ იქცა, ცხოვრება ნაკლებსახიფათო გახდა, თუმცა მას ნაკლები სიამოვნება მოაქვს. ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ უშუალოდ გამოთქვან საკუთარი ემოციები, იძულებულნი არიან, სხვაგვარი შემსუბუქებები, მაგალითად, ოცნებებში ან წიგნებში ეძიონ. ამას გარდა, ბრძოლა, რომელიც ადრე, როგორც რაღაც გარეგანი ვლინდებოდა, ახლა, ფროიდის ენით რომ ვთქვათ, იდი-სა და სუპერეგოს ბრძოლად მოგვევლინა.

ურთიერთდამოკიდებულებათა ჯაჭვის დაგრძელება არა მხოლოდ აფექტებზე კონტროლის გამკაცრებას, ასევე, ადამიანის სხვა ადამიანთა და საკუთარი თავის მიმართ გაზრდილ მგრძნობელობასაც შეესაბამება. ამას გარდა, ადამიანური მსჯელობები უფრო გამჭვირვალე ნიუანსებს იძენს, რის წყალობითაც ადამიანები უფრო უნარიანი ხდებიან,

როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვები შეაფასონ და აკონტროლონ. იქამდე, სანამ სამეფო კარის საზოგადოება გაჩნდებოდა, მათ თავად უწევდათ დაეცვათ თავი სასიკვდილო საფრთხეებისა და ძალადობისაგან. უფრო მოგვიანებით, როცა ამ საფრთხემ დაიკლო, ადამიანებს შეეძლოთ თავისი თავისთვის მიეცათ უფლება, უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე მუქარა და მოქმედება აღექვათ და ეგრძნოთ. ეს გაზრდილი მგრძნობელობა ცივილიზაციის პროცესის უმნიშვნელოვანესი ასპექტი ხდება და, ასევე, მისი სამომავლო განვითარებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს.

უზარმაზარ როლს ამ პროცესში ახალგაზრდების სოციალიზაცია თამაშობს, რომლის მსვლელობისას ისინი თვითშეზღუდვისა და თვითკონტროლის მექანიზმებს ითვისებენ. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს პრობლემები: „ცივილიზაციასთან ახალგაზრდა ადამიანის ზიარება არასოდეს არის უმტკივნეულო პროცესი. ის ყოველთვის ტოვებს იარებს“ (Elias,1939/1982,244).

საკითხავი მასალა:

ამონარიდი. ნორბერტ ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ. წიგნი პირველი. შესავალი. თარგმანი და წინასიტყვაობა ირმა წერეთლისა, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005. გვ.39-52.

ნორბერტ ელიასი

იმ თავისთავად სიცხადეს, რომლითაც დღესაც ადამიანებზე აზროვნებისას ცალკეული ადამიანიდან გამოდიან, არაფერი ახასიათებს უფრო უკეთ, ვიდრე ის ფაქტი, რომ, როცა სოციალური მეცნიერებების მიერ შექმნილი ადამიანის სურათით არიან დაკავებულნი, „homines sociologiae” ან „oeconomiae”-ის შესახებ კი არ საუბრობენ, არამედ ისევ და ისევ ცალკეული ადამიანის სურათზე მსჯელობენ, რომელიც ამ მეცნიერებებშია დამკვიდრებული – „homo sociologicus”-ის ან „oeconomicus”-ის შესახებ. ამ თეორიული ამოსავალი წერტილიდან გამოსვლით საზოგადოება საბოლოოდ ცალკეულ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ინდივიდთა ბრბოდ წარმოგვიდგება, რომელთა საკუთრივი არსი მათ შიგნითაა ჩაკეტილი და რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას მხოლოდ გარეგნულად და ზედაპირულ დონეზე ამყარებენ. ლაიბნიცის მსგავსად, ჩვენც მეტაფიზიკურ გადაწყვეტას უნდა მოვუხმოთ დახმარებისათვის, რათა უფანჯრო, ჩაკეტილი ადამიანური და ადამიანისაგან განსხვავებული მონადების შესახებ აზრიდან გამომდინარე შევძლოთ იმ შეხედულების გამართლება, რომ შესაძლებელია მათ შორის ურთერთდამოკიდებულების და კომუნიკაციის არსებობა ან ადამიანების მიერ მათი შემეცნება. საუბარია „ობიექტის“ საპირისპირო, „სუბიექტის“ როლში მყოფი თუ, მეორე მხრივ, „საზოგადოების“ საპირისპიროდ, „ინდივიდის“ როლში მყოფი ადამიანის შესახებ. ორივე შემთხვევაში პრობლემა ისეა დასმული, თითქოს ათვლის წერტილს ზრდასრული ადამიანი ქმნიდეს, რომელიც სრულიად მარტო და დამოუკიდებლად არსებობს – ე.ი. იმ სახით, რა სახითაც ის ახალი დროის ბევრი ადამიანის ობიექტივირებად ცნებაში დალექილ თვითგამოცდილებაში აი-

სახება. კითხვა ისმის „ბუნებასთან“, „საზოგადოებასთან“, მისი თვით-ის „გარეთ“ არსებულ რაიმესთან მისი მიმართების შესახებ. ეს „თვით“ გაგებულია, როგორც გარკვეული ადამიანი, მდგომარეობა. ის მართლა არსებობს თუ მხოლოდ აზროვნებითი ოპერაციის შედეგს, ყოველ შემთხვევაში, ამგვარ აზროვნებრივ ოპერაციაში დაფუძნებულ რაიმეს წარმოადგენს?

შევეცადოთ ავხსნათ, რა შეადგენს სინამდვილეში იმ პრობლემას, რომელიც აქ სადისკუსიოდ არის წარმოდგენილი. საუბარია არა იმაზე, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ თვითგამოცდილების ნამდვილობა, რომელიც „homo clausus”-ის ადამიანის სურათში თავისი მრავალფეროვანი ცვლილებებით აისახება. კითხვა შეეხება იმას, შეიძლება თუ არა, ეს თვითგამოცდილება და ადამიანის სურათი, რომელშიც ეს გამოცდილება, ჩვეულებრივ, სრულებით სპონტანურად და რეფლექსიის გარეშე გამოიხატება, საიმედო ამოსავალ წერტილად გამოდგეს იმისათვის, რომ ადამიანის, და ამით საკუთარი თავის, შესახებ უფრო მართებულ გაგებას მივაღწიოთ. უნდა გაირკვეს, საუბარია ფილოსოფიურ თუ სოციოლოგიურ მცდელობაზე. საკითხი დაისმის ასე: გამართლებული იქნება თუ არა, რომ ადამიანის „შიგა“ და „გარე სამყაროს“ შორის გავავლოთ გამყოფი ხაზი, რომელიც თვითგამოცდილებაში ხშირად უშუალოდ მოცემულად გვევლინება და რომელმაც, სხვათა შორის, ევროპულ სააზროვნო და ვერბალურ ტრადიციაში ღრმად გაიდგა ფესვები, ისე, რომ ამას საფუძვლად არ დაედოს ფილოსოფიური შემეცნების და მეცნიერების თეორიული, ასევე, სოციოლოგიური და სხვა ანთროპოლოგიური თეორიების მართებულობის კრიტიკული და სისტემატური გადამოწმება, რომელიც ამ შემთხვევაში თავისთავად ცხადი ვარაუდის როლს შეასრულებდა, რომელსაც შემდგომი ახსნა არ ესაჭიროება.

ცივილიზაციის თეორია, რომლის განვითარებასაც ემსახურება ეს ნაშრომი, ერთი მხრივ, გვეხმარება, სიცხადე ჩამოვაშოროთ ახალი დროის ადამიანის სურათს, რომელსაც შეცდომაში შევყავართ, და გარკვეული დისტანცია დავიჭიროთ მასთან მიმართებაში. ამით შევძლებდით, მუშაობა დაგვეწყო ადამიანის ისეთ სურათზე, რომელიც ნაკლებად არის ორიენტირებული ახალ საკუთარ შეგრძნებებზე და მათთან დაკავშირებულ ღირებულებებზე და უფრო მეტად ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც საკუთარი აზროვნებისა და დაკვირვების ობიექტზე. მეორე მხრივ, ახალი დროის ადამიანის სურათის კრიტიკა აუცილებელია ცივილიზაციის პროცესის გასაგებად. რადგან ამ პროცესის მსვლელობაში იცვლება ერთეული ადამიანის სტრუქტურა, ის უფრო „ცივილიზებული“ ხდება და სანამ ცალკეულ ადამიანს წარმოვიდგენთ, როგორც გარეგანი გარსის მქონე ბუნებრივად ჩაკეტილ ჭურჭელს და თავის შინაგანში დაფარულ ბირთვს, გაუგებარი დარჩება, როგორ არის შესაძლებელი მრავალი თაობის გადამწვდომი ცივილიზაციის პროცესი, რომლის მსვლელობაში იცვლება ცალკეული ადამიანის პიროვნული სტრუქტურა ისე, რომ უცვლელი რჩება თვით ადამიანის ბუნება.

ეს საკმარისი უნდა იყოს ინდივიდუალური თვითცნობიერების ორიენტაციის შეცვლისა და შესაბამისი ადამიანის სურათის შემდგომი განვითარების წინ წასამძღვარებლად, რადგან ამის გარეშე საერთოდ ბლოკირებული დარჩებოდა ცივილიზაციის პროცესის ან საზოგადოებრივი და პიროვნული სტრუქტურების ხანგრძლივი პროცესის უბრალოდ წარმოდგენაც კი. სანამ ინდივიდის ცნება „მე“-ს თვითგამოცდილებას ჩაკეტილ კორპუსში უკავშირდება, „საზოგადოებაში“, ძირითადად, ძნელად თუ შეიძლება სხვა რაიმე გვესმოდეს, თუ არა უფანჯრო მონადების გროვა. მაშინ ისეთი ცნებები, როგორებიცაა „საზოგადოებრივი სტრუქტურა“, „სოციალური პროცესი“ ან „საზოგადოების განვითარება“, საუკეთესო შემთხვევაში, სოციოლოგთა შემოქმედების პროდუქტებად წარმოგვიდგებოდა, რომლებიც მკვლევარს იმისათვის სჭირდება, რომ აზროვნებისას რაღაც წესრიგი მაინც შეიტანოს აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოქმედი ინდივიდების თითქოსდა სრულიად უწესრიგო და სტრუქტურას მოკლებულ გროვაში.

როგორც ვხედავთ, რეალურად საქმე სულ სხვაგვარადაა. წარმოდგენა ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, გადაწყვეტილების უნარმქონე, მოქმედი და „ექსისტირებადი“ ცალკეული ადამიანების შესახებ, ადამიანთა შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, რომელიც მათი თვითგამოცდილების განვითარების გარკვეული საფეხურებისთვისაა მახასიათებელი. ის, ნაწილობრივ, იდეალისა და ფაქტის აღრევას ემყარება, ნაწილობრივ კი – ინდივიდუალური თვითკონტროლის აპარატის გასაგნებას და მოტორული აპარატისაგან, სხეულებრივი მოძრაობებისა და მოქმედებების უშუალო მართვისაგან ინდივიდუალური აფექტური იმპულსების გამიჯვნვას.

საკუთარი გათითოობის ეს გამოცდილება, უხილავი კედელი, რომელიც საკუთარ „მე“-ს ყველა სხვა ადამიანისა და „გარეთ“ არსებული საგნებისაგან გამიჯნავს, ძალიან ბევრი ადამიანისათვის ახალ დროში ისეთივე უშუალო დამაჯერებლობას იძენს, როგორც შუა საუკუნეებში დედამიწის გარშემო მზის მოძრაობის წარმოდგენა, რომელიც დედამიწას სამყაროს ცენტრად წარმოადგენდა. ისევე, როგორც ოდესღაც ფიზიკალური უნივერსუმის გეოცენტრული სურათი, საზოგადოებრივი უნივერსუმის ეგოცენტრული სურათიც, სრულიად აშკარად, უფრო ობიექტური, თუმცა ემოციურად უფრო ნაკლებად მიმზიდველი სურათით იცვლება. გრძნობა შეიძლება დარჩეს ან არა, მაგრამ მაინც ღიად რჩება საკითხი, რამდენად დაიყვანება გათითოობის და გაოუცხოების გრძნობა ინიდივიდუალური თვითკონტროლის განვითარების წარუმატებელ და არაცნობიერ განვითარებაზე, რამდენად დაიყვანება ის უფრო განვითარებულ საზოგადოებათა სტრუქტურულ თავისებურებებზე. როგორც ფიზიკალური უნივერსუმის ემოციურად ნაკლებად მიმზიდველი ჰელიოცენტრული სურათის ოფიციალურ გაბატონებას სრულად არ წაუშლია დედამიწის გარშემო მზის მოძრაობის უფრო კერძო, საკუთარ თავზე ცენტრირებული გამოცდილება, ასევე არ შეეძლო თავის თავზე დამყარებული ადამიანის სურათის წინა პლანზე გამოსვლას საზოგადოებრივ აზროვნებაში გაეუქმებინა უხილავი კედლის უფრო მეტად კერძო, საკუთარ თავზე ცენტრირებული გამოცდილება, რომელიც საკუთარ „შინაგან სამყაროს“ გარეგანი სამყაროსაგან აშორებს. მაგრამ ადამიანის შესახებ მეცნიერებათა კვლევითი სამუშაოს პროცესში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია განყენება ამ გამოცდილებისა და ადამიანის სურათის თავისთავადი სიცხადისაგან. აქაც და შემდგომშიც სულ მცირე, ვხედავთ ადამიანის სურათის დამატებით შტრიხებს, რომელიც უკეთ ეთანხმება ადამიანთა სრულფასოვან დაკვირვებებს, აადვილებს მიდგომას ცივილიზაციის თუ სახელმწიფოს წარმოქმნის იმ პრობლემებთან, რომლებიც ადამიანის ძველი სურათის საფუძველზე მეტად თუ ნაკლებად მიუწვდომელი რჩება ან, ინდივიდისა და საზოგადოების მიმართების პრობლემის მსგავსად, საბაბს აძლევდა გადაწყვეტის ძიების უსარგებლოდ გართულებულ და არასარწმუნო ახალ-ახალ მცდელობებს.

ადამიანის სურათის, როგორც „ჩაკეტილი პიროვნულობის“, ადგილზე (მისი ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობის მიუხედავად, ეს გამოთქმა ძალზე სპეციფიკურია) გამოდის ადამიანის სურათი, როგორც „ღია პიროვნულობისა“, რომელსაც სხვა ადამიანებთან მიმართებაში რელატიური ავტონომიის მეტი ან ნაკლები ხარისხი აქვს და არასოდეს გაჩნია აბსოლუტური და ტოტალური ავტონომია. ის თავის საფუძველში, ფაქტობრივად, მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვა ადამიანებზეა მორგებული და მათით განსაზღვრული, მათზე დამოკიდებულია. მათი ურთიერთდამოკიდებულების, ურთიერთმხარდაჭერის ქსელი არის ის, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ეს ურთიერთდამოკიდებულებანი არის იმის ძირითადი ნაწილი, რასაც ფიგურაციებს, ამასთან, ერთმანეთზე მიმართულ, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ადამიანთა ფიგურაციებს ვუწოდებთ. რამდენადაც ადამიანები ჯერ ბუნებრივად, შემდეგ კი საზოგადოებრივი სწავლების, აღზრდის, სოცია-

ლიზაციისა და სოციალურად აღძრული მოთხოვნების შედეგად მეტ-ნაკლებად დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ისინი გვხვდებიან, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მხოლოდ, როგორც პლურალობანი, როგორც ფიგურაციებში წარმოდგენილნი. ეს არის ის საფუძველი, რომლიდან გამომდინარეც, როგორც ითქვა, დიდად ნაყოფიერი არ იქნებოდა, თუ ადამიანის სურათის ცნებაში ცალკეული ადამიანის სურათს წარმოვიდგენდით. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ადამიანის სურათის სახით ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ მრავალ ადამიანს წარმოვიდგენდით, რომლებიც ერთმანეთთან ფიგურაციებს, ე.ი. სხვადასხვა ჯგუფებს ან საზოგადოებებს ქმნიან. ამის საფუძველზე ქრება ადამიანის ტრადიციულ სურათთა გახლეჩა, გაორება ცალკეული ადამიანის, ინდივიდის სურათებში, რომლებიც ხშირად ისეა გაფორმებული, თითქოს ინდივიდები საზოგადოებათა გარეშე არსებობდნენ. ასევე ქრება გათიშულობა საზოგადოებათა სურათებში, რომლებიც ხშირად ისეა წარმოდგენილი, თითქოს საზოგადოებანი ინდივიდების გარეშე არსებობდნენ. ფიგურაციის ცნება სწორედ იმიტომ იქნა შემოტანილი, რომ ის უფრო ცხადად და არაორაზროვნად (ვიდრე სოციოლოგიის სახეზე არსებული ცნებითი იარაღები) გამოხატავს იმას, რომ ის, რასაც ჩვენ „საზოგადოებას“ ვუწოდებთ, არც საზოგადოების გარეშე არსებული ინდივიდის თავისებურებათაგან აბსტრაქციას წარმოადგენს და არც ინდივიდების მიღმა არსებულ „სისტემას“ თუ „მთლიანობას“, არამედ, უფრო მეტად, თვით ინდივიდებისაგან წარმოქმნილ ურთიერთდამოკიდებულებათა ქსელს შეადგენს. ცხადია, აქედან შესაძლებელია ვისაუბროთ ინიდივიდებისაგან შექმნილ სოციალურ სისტემაზე. მაგრამ ის უნტერტონები, რომლებიც თანამედროვე სოციოლოგიის ფარგლებში სოციალური სისტემის ცნებას უკავშირდება, გამოხატვის ასეთ მეთოდს იძულებითად წარმოაჩენენ. გარდა ამისა, სისტემის ცნება ძალზე მჭიდროდ უკავშირდება უცვლელობის გაგებას.

ფიგურაციის ცნება შეიძლება თვალსაჩინო გავხადოთ კოლექტიურ ცეკვებზე მითითებით. ფაქტობრივად, ისინი უმარტივესი მაგალითებია, რომლებიც შეიძლება შევარჩიოთ იმის წარმოსადგენად, თუ რა ესმით ადამიანთა მიერ შექმნილი ფიგურაციების ქვეშ. გავიხსენოთ მაზურკა, მენუეტი, პოლონეზი, ტანგო, როკენ-როლი. ცეკვის დროს ურთიერთდამოკიდებული ადამიანების მოძრავი ფიგურაციების სურათის წარმოსახვა აადვილებს იმას, რომ სახელმწიფოები, ქალაქები, ოჯახები ან კაპიტალისტური, კომუნისტური და ფეოდალური სისტემები ფიგურაციათა სახით წარმოვიდგინოთ. ცნებათა ასეთი ფორმირებისას საბოლოოდ ქრება ის წინააღმდეგობა, რომელიც განსხვავებულ ღირებულებებსა და იდეალებს ეყრდნობა და რომელიც დღეს, ჩვეულებრივ, თან ახლავს ისეთი სიტყვების გამოყენებას, როგორებიცაა „ინდივიდი“ და „საზოგადოება“. რა თქმა უნდა, შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად ცეკვაზე, მაგრამ არავინ წარმოიდგენს ცეკვას ინდივიდების გარეშე ან, როგორც მხოლოდ აბსტრაქციას. ცეკვის ერთი და იგივე ფიგურაცია, ცხადია, სხვადასხვა ინდივიდმა შეიძლება იცეკვოს, მაგრამ ერთმანეთზე მორგებული, ურთიერთდამოკიდებული ინდივიდების გარეშე, რომლებიც ერთმანეთს ეცეკვებიან, არც ერთი ცეკვა არ არსებობს. როგორც ყოველი საზოგადოებრივი ფიგურაცია, ცეკვაც რელატიურად დამოუკიდებელია სპეციფიკური ინდივიდებისაგან, რომლებიც მას აქ და ახლა ასრულებენ, მაგრამ არა, საერთოდ, ინდივიდებისაგან. უაზრობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ცეკვები აზრობრივი წარმონაქმნებია, რომელთაც დაკვირვებების საფუძველზე, ცალკეული, თავისთავად განხილული ინდივიდებისაგან აბსტრაჰირებულად განვიხილავთ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ფიგურაციასთან დაკავშირებით. ცეკვის პატარა ფიგურაციათა მსგავსად, ხან ნელა, ხან კი სწრაფად იცვლებიან დიდი ფიგურაციებიც, რომელსაც ჩვენ საზოგადოებებს ვუწოდებთ. შემდგომი გამოკვლევების საგანს სწორედ ეს ცვლილებები შეადგენს. ასე რომ, ამოსავალ წერტილს ქმნის ის ფიგურაცია, რომლი-

დანაც გამომდინარე, აქ გაანალიზებული იქნება სახელმწიფოს ფორმირების პროცესი და რომელიც მრავალი შედარებით მცირე, ერთმანეთთან თავისუფალ კონკურენციაში მყოფი საზოგადოებრივი ერთეულისაგან იქმნება. გამოკვლევა აჩვენებს, თუ როგორ და რატომ იცვლება ეს ფიგურაციები. ის, ამავე დროს, ახდენს იმის დემონსტრაციას, რომ არსებობს განმარტებანი, რომელთა კაუზალური ახსნაც შეუძლებელია. რადგან ფიგურაციათა ცვლილება, ნაწილობრივ, თავისთავად ფიგურაციათა ენდოგენური დინამიკით აიხსნება, იმ ფიგურაციის იმანენტური ტენდენციით, რომელსაც თავისუფლად კონკურირებადი ერთეულებისაგან მონოპოლიის ფორმირებისაკენ მივყავართ. შესაბამისად, გამოკვლევა აჩვენებს, თუ როგორ ხდება საწყისი ფიგურაციის სხვად გადაქცევა საუკუნეთა განმავლობაში, ამასთან, ერთი, კერძოდ, მეფის სოციალური პოზიცია, მონოპოლისტურ ძალაუფლებით შანსებს უკავშირდება. ეს შანსები ისე დიდია, რომ ურთიერთდამოკიდებულებათა ქსელში სხვა სოციალური პოზიციის არც ერთ მფლობელს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ამ პოზიციის მფლობელს. ნაშრომი ამავე დროს მიუთითებს იმაზე, თუ როგორ იცვლება ადამიანის პიროვნული სტრუქტურები ფიგურაციათა ასეთი ცვლილებების პროცესში.

ბევრი კითხვა, რომელიც შესავალში უნდა განხილულიყო, იძულებული ვიყავით, აქ გვერდზე გადაგვედო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესავალი ცალკე ტომს მოიცავდა. მართალია, შეზღუდულად, მაგრამ ეს განაზრებანი, ალბათ, მაინც აჩვენებს, რომ შემდეგი გამოკვლევების გაგება დღეს გაბატონებული სოციოლოგიური აზროვნების ორიენტაციის საკმაოდ მნიშვნელოვნად შეცვლას მოითხოვს. ადვილი არ არის, კავშირი გავწყვიტოთ იმ წარმოდგენასთან, რომელიც საკუთარ თავს და ცალკეულ ადამიანს homo clausus-თან აიგივებს. მაგრამ ამ შეხედულებისაგან განყენების გარეშე შეუძლებელია იმის გაგება, რას გულისხმობენ, როცა ცივილიზაციის პროცესის ინდივიდუალურ სტრუქტურებს ცვლილების სახით წარმოიდგენენ. არც ისაა მარტივი, ჩვენი წარმოსახვის ძალა ისე განვავითაროთ, რომ ფიგურაციებით აზროვნება შევძლოთ და თანაც იმ ფიგურაციებით, რომელთა ნორმალურ თავისებურებებს განეკუთვნება ცვლილება, ზოგჯერ კი – განსაზღვრული მიმართულებით ცვლილებაც კი.

მე შევეცადე, ამ შესავალში განმეხილა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელთა უყურადღებოდ დატოვება, ჩემის აზრით, ხელს შეუშლიდა ამ წიგნის გაგებას. ყველა შეხედულება მარტივი არ არის, მაგრამ მე ვცდილობდი, ისინი, შეძლებისდაგვარად, მარტივად გადმომეცა, რაც, იმედი მაქვს, გააადვილებს და გააღრმავებს ამ წიგნის გაგებას და, ალბათ, სასიამოვნოსაც გახდის მის კითხვას.

შეჯამება

ნორბერტ ელიასი

ნ. ელიასმა სცადა, მიკრო და მაკრომიდგომების დონეთა შორის არსებული დისტანცია გადაელახა და, საერთოდ, სოციოლოგებისათვის დამახასიათებელი ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირების ტენდენცია დაეძლია. თუმცა ელიასის სამეცნიერო საქმიანობაში ყველაზე პროდუქტიული პერიოდი 1930-იანი წლები იყო, ამ მეცნიერის მემკვიდრეობამ მხოლოდ ახლახან პოვა ის აღიარება, რასაც იმსახურებდა. ნორბერტ ელიასი სოციოლოგიაში, უწინარეს ყოვლისა, ფიგურაციის ცნების შემოტანითა და დამკვიდრები-

თაა ცნობილი. ეს იდეა სოციალურად განპირობებული ზეწოლის მიმართ წინააღმდეგობას შესაძლებელს ხდის. ფიგურაციის ცნება უბრალო კონცეპტუალური ინსტრუმენტია, რომელიც იმგვარი სოციალური იძულების, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ და ვისაუბროთ ისე, თითქოს „ინდივიდი“ და „საზოგადოება“ რაღაც ანტაგონისტურს და განსხვავებულს წარმოადგენენ, შესუსტებაში გვეხმარება.

კითხვები და დავალებები:

1. ნორბერტ ელიასი სოციოლოგიაში, უწინარეს ყოვლისა, რომელი ცნების შემოტანითა და დამკვიდრებით გახდა ცნობილი?
2. განმარტეთ სოციალური ფიგურაციის არსებითი მომენტები და გამოარკვიეთ ის მთავარი ელემენტი, რის შედეგადაც ისინი მუდმივად იცვლებიან.
3. რას ნიშნავს გამოთქმა homo clauses და რა აზრით იყენებს მას ნ. ელიასი სოციოლოგების უმრავლესობის კრიტიკისას?
4. განმარტეთ დებულების არსი: „სინამდვილეში ელიასის ყურადღება სამყაროში მიმდინარე მოვლენების დაუგეგმავ და გაუცნობიერებელ ხასიათზეა მიმართული“.
5. რას გულისხმობს ელიასი დასავლური ცივილიზაციის „სოციოგენეზისის“ სოციოლოგიურ შესწავლაში?
6. განმარტეთ დებულების არსი: „გადახლართულ ადამიანურ მისწრაფებათა და სურვილთა სწორედ ეს წესრიგი განსაზღვრავს ისტორიულ ცვლილებათა მიმართულებას; ის დევს ცივილიზაციის პროცესის საფუძველში“.
7. როგორია, ელიასის მიხედვით, ის მაკროსტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ცივილიზაციის პროცესისათვის?
8. ელიასის მიხედვით, ცივილიზაციის პროცესში მთავარ როლს რომელი/როგორი ფუნქციების დიფერენციაციის ზრდა თამაშობს?
9. ჩამოთვალეთ ცივილიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი „ნახტომის“ შემადგენელი ელემენტები.
10. გააანალიზეთ ელიასის მტკიცება, რომ „უფრო გრძელი ურთიერთდამოკიდებულებათა ჯაჭვის ფლობისას, ინდივიდი საკუთარი თავის კონტროლირებას ყველგან და ყველაფერში სწავლობს, მაშინ ის ნაკლები დონით არის თავის მისწრაფებათა ტყვე".

ძირითადი ლიტერატურა:

ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი I, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005.
ნორბერტ ელიასი. ცივილიზაციის პროცესი. წიგნი II, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2008.
Норберт Элиас., Общество индивидов. М., Праксис, 2002, gv. 9-13, 14-102, 215-331.
Elias N. Was ist Sociologie? Munchen: Iuventa Verlag. 1970. S. 139-145, ასევე, რუსულენოვანი ჟურნალიდან, 2000 წლის ტომი 3, ნომერი 3. გვ. 62-65}.
Elias Norbert
1939/1978 The Civilizing process. Part 1, The Histori of manners. New York: Pamteon.
1939/1982 The Civilizing process. Part 2, Power and Civility. New York: Pamteon.
1969/1983 The Court Society. New York: Pamteon.
1994 Reflectiions on a Life. Cambridge: Polity Press.
1995 „„Technization and Civilization““. Theory, Culture amd Society 12:7 -42.
1997 „„Towards a Theory of Social Processes““. British Journal of Sociology 48:355-383
Elias, Norbert: Was ist Soziologie? Munchen 1970.

- Uber den Prozes der Zivilisation. Socio-und psichogenetische Untersuchungen. 2 Bde. Frankfurt/M. 1976(Erstausgabe BaSel 1939). Neuausgabe 1997(s. Elias, 1997.)
-Zur Theorie socialer Prozesse(Elias, 1977b). Jn: Zeitschrift fur Soziologie, jg.6. 1977, S. 127-149(1970)
-Engagememt und Distanzierung(Elias, 1987. Arbeiten zur Wissenssoziologie I.Hg. und uberstzt v. Michael Sroter. Frankfurt/M. 1983(TB-Ausgabe 1987.)_(Neusausgabe in den Gezammelten Schriften als Bd.8. Frankfurt/M. 2003; bearbaitet V. Johan Heilbron).
-Die Gesellschaft der Individuen. Hg. v. Michael Sroter. Framkfurt/M. 1987(1987b)(Neusausgabe in den Gesammelten Schriften als Bd. 10. Frankfurt/M. 2003; bearbaitet V. Annette Treibel.).

დამატებითი ლიტერატურა:

Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002, გვ. 432-445.
Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. გვ. 175-198.
Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004.

თავი მეხუთე – პ. ბურდიეს სოციოანალიზის ძირითადი კატეგორიები

1. *პიერ ბურდიე – პიროვნება და მეცნიერი;*
2. *ემპირიული და ეპისტემოლოგიური ინდივიდი, კვლევის საგნის კონსტრუირების ეტაპები;*
3. *სოციალური სივრცე, პოზიცია, დისპოზიცია და ველი;*
4. *Habitus – ცნება, ნიშნები, ფორმები;*
5. *სოციალური და პოლიტიკური ველის ურთიერთდამოკიდებულება;*
6. *„Homo Academicus“ -მეცნიერების სოციოლოგია;*
7. *„განსხვავება“ – კულტურის სოციოლოგია – გემოვნების სახეები;*
8. *სოციოლოგი და საზოგადოება.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- სოციალური ველის ცნება, სოციალური სტრუქტურის ორმაგობა;
- ჰაბიტუსი, opus operatum (მოქმედების წესი) და modus operandis (ჩამოყალიბებული მოქმედების წესის შედეგად);
- კაპიტალი და რესურსი;
- რეფრაქცია;
- ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალი;
- ინკორპორაცია;
- ობიექტივაცია;
- ინსტიტუციონირება;
- ჰისტერზისი.

1. პიერ ბურდიე – პიროვნება და მეცნიერი

დაიბადა 1930 წელს საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, პატარა სოფელში. ბურდიე გაიზარდა ოჯახში, რომელიც მიეკუთვნებოდა დაბალ საშუალო კლასს (მისი მამა ფოსტის ჩინოვნიკი იყო). 1950-იანი წლების დასაწყისში იგი პარიზის პრესტიჟულ პედაგოგიურ კოლეჯში – უმაღლეს პედაგოგიურ სკოლაში სწავლობდა, სადაც მიიღო კიდეც დიპლომი. მაგრამ ბურდიემ უარი თქვა დისერტაციის დაცვაზე. ნაწილობრივ ეს მოხდა იმის გამო, რომ იგი ამ სასწავლო დაწესებულებებში გამეფებულ ავტორიტარულ წყობას და სწავლების საშუალო-უსახურ დონეს აპროტესტებდა. სკოლაში მიღებული მტკიცე კომუნისტური, განსაკუთრებით, სტალინისტური ორიენტაცია მის აღშფოთებას იწვევდა და ამიტომ ამ შეხედულებებს აქტიურ ოპონირებას უწევდა.

დროის მოკლე პერიოდში ბურდიე პროვინციულ სკოლაში ასწავლიდა, მაგრამ 1956 წელს იგი არმიაში გაიწვიეს და ორი წელი ალჟირში, საფრანგეთის არმიის შემადგენლობაში დაჰყო, რის შემდეგაც მან იქ კიდევ ორი წელი გაატარა. ალჟირში თავისი ცხოვრების

შესახებ ბურდიემ წიგნი დაწერა. 1960 წელს იგი დაბრუნდა საფრანგეთში და წლის განმავლობაში პარიზის უნივერსიტეტში ასისტენტად მუშაობდა. იგი ესწრებოდა ანთროპოლოგ ლევი-სტროსის ლექციებს „კოლეჟ დე ფრანსში“, ასევე, სოციოლოგ რაიმონ არონის ასისტენტად მუშაობდა. სამი წლით ბურდიე ლილლის უნივერსიტეტში გადავიდა, ხოლო შემდეგ (1964 წ.) დაბრუნდა, რათა უმაღლეს პრაქტიკულ კვლევით სკოლაში დირექტორ-მკვლევრის გავლენიანი თანამდებობა დაეკავებინა.

მომდევნო წლებში ბურდიე პარიზის, საფრანგეთის, დაბოლოს, მსოფლიოს ინტელექტუალური წრეების დიდ ფიგურად იქცა. მისმა შემოქმედებამ მთელ რიგ სფეროებზე – პედაგოგიკაზე, ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიაზე – იქონია გავლენა. 1960-იან წლებში მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა თანამოაზრეთა და მომხრეთა ჯგუფი, რომლებიც მის გარდაცვალებამდე – 2000 წლამდე თანამშრომლობდნენ მასთან და, ამავე დროს, საკუთარ ინტელექტუალურ წარმატებებსაც აღწევდნენ. 1968 წელს დააარსეს ევროპული სოციოლოგიის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც ბურდიე გახდა. ამ ცენტრთან დაკავშირებულია უნიკალური ჟურნალის – „მეცნიერული შრომები სოციალურ მეცნიერებებში“ – გამოცემა, რომელიც ბურდიესა და მისი მომხრეებისათვის სერიოზული და მნიშვნელოვანი ტრიბუნა გახდა.

1981 წელს, რაიმონ არონის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, კოლეჟ დე ფრანსში სოციოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობა გათავისუფლდა. წამყვანი ფრანგი სოციოლოგების უმრავლესობა (მაგალითად, რაიმონ ბუდონი და ალენ ტურენი) ამ პოსტის დაკავებაზე კანონიერად აცხადებენ პრეტენზიას, მაგრამ კათედრა ბურდიეს დაუთმეს. ამ მომენტიდან ბურდიე კიდევ უფრო ნაყოფიერი ავტორი გახდა, ვიდრე ადრე, ხოლო მისი დიდება კი აგრძელებდა ზრდას.

ბურდიეს შემოქმედების საინტერესო ასპექტია „მისი შეხედულებების ჩამოყალიბება სხვა მოაზროვნეებთან მუდმივი, უწყვეტი, ზოგჯერ ცხადი, ზოგჯერ ფარული დიალოგის გავლენით. მაგალითად, მისი მრავალი ადრინდელი განაზრება ჩამოყალიბდა ორ გამოჩენილ მეცნიერთან დიალოგში, რომლებიც წამყვანი მეცნიერნი იყვნენ მისი სწავლების პერიოდში – ანუ ჟან-პოლ სარტრთან და კლოდ ლევი-სტროსთან. სარტრისეული ეგზისტენციალიზმიდან ბურდიემ აქტორების, როგორც სოციალური სამყაროს შემქმნელის, ნათელი გაგება ისესხა. მაგრამ ბურდიე თვლიდა, რომ სარტრმა ძალიან შორს შეტოპა, მიაწერა რა აქტორებს ძალიან დიდი შესაძლებლობები და, ამავე დროს, სტრუქტურულ შეზღუდვებს, რომლებსაც ისინი ექვემდებარებოდნენ, იგნორირება გაუკეთა. სტრუქტურებით დაინტერესებისას ბურდიემ, ბუნებრივია, გამოჩენილი სტრუქტურალისტის ლევი-სტროსის შემოქმედებას მიმართა“(Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр. 460).

პირველ ხანებში ამ მიდგომამ ძალიან გაიტაცა ბურდიე: ფაქტობრივად, გარკვეული დროის მანძილზე იგი თავის თავს, როგორც „ბედნიერ სტრუქტურალისტს“ აღწერდა. ამასთანავე, ზოგიერთმა მისმა ადრინდელმა გამოკვლევებმა იგი მიიყვანეს დასკვნამდე, რომ სტრუქტურალიზმი ისეთივე შეზღუდული, თუმცა სხვა მიმართულებით, მიდგომაა, როგორც ექსისტენციალიზმი. მან ოპონირება დაუწყო სტრუქტურალისტების პოზიციას, რომლებიც თავის თავს იმ ადამიანებზე პრივილეგირებულ დამკვირვებლად თვლიდნენ, რომლებიც მათ მიერ გაუცნობიერებელი სტრუქტურების მხრიდან კონტროლირებად არსებებად მიიჩნეოდნენ. ბურდიემ დაკარგა განწყობა იმ მეცნიერული სფეროს მიმართ, რომელიც განსაკუთრებულ კონცენტრაციას ასეთ სტრუქტურულ შეზღუდვებზე ახდენს, და იწყებს იმის მტკიცებას, რომ სოციოლოგია შეიძლება არ აღმოჩენილიყო უმცირესი ყურადღების ღირსი, მისი მთელი მიზანი მხოლოდ იმ მექანიზმების გამოვლენაზე რომ ყოფილიყო მიმართული, რომლებიც მის მიერ დაკვირვებულ ინდივიდებს ააქტიურებენ – თუ

დაივიწყებდა იმას, რომ საქმე ადამიანებთან აქვს, თუნდაც იმას, რომ ისინი, როგორც თოჯინები, თამაშობენ თამაშს, რომლის წესებიც არ იციან, მოკლედ რომ ვთქვათ, თუ იგი თავის თავზე ადამიანებისათვის მათი მოქმედებების მნიშვნელობის აღდგენის ამოცანას არ აიღებდა. ბურდიემ თავისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც სტრუქტურალიზმის უკიდურესობებზე პასუხი განსაზღვრა: „მე ვისწრაფვი დავაბრუნო ლევი-სტროსთან და სხვა სტრუქტურალისტებთან გამქრალი, როგორც სტრუქტურების ეპიფენომენების სახით განხილული რეალური აქტორების ანალიზი“(ციტ: Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр.461).

სხვაგვარად, ბურდიეს სურდა, სარტრის ეგზისტენციალიზმი ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმთან გაეერთიანებინა.

გარდა ამისა, ბურდიეს შეხედულებები მარქსისტული თეორიის და მარქსისტების ღრმა გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, სტუდენტობისას, ბურდიე მარქსიზმის ზოგიერთი უკიდურესობის წინააღმდეგ გამოდიოდა, ხოლო მოგვიანებით მან სტრუქტურული მარქსიზმის იდეები უარყო. თუმცა ბურდიე შეუძლებელია მარქსისტად ჩაითვალოს, მაგრამ მის შემოქმედებაში, უეჭველია, მარქსისტული თეორიიდან ნასესხები იდეები შეიმჩნევა. ყველაზე მნიშვნელოვანი მის მიერ პრაქტიკაზე (პრაქსისზე) გაკეთებული აქცენტი და თავის სოციოლოგიაში თეორიისა და (კვლევითი) პრაქტიკის შეერთების სურვილია (შეიძლება ითქვას, რომ, ექსტენციალიზმისა და სტრუქტურალიზმის ნაცვლად, ბურდიე „პრაქსიოლოგიითაა“ დაკავებული). მის შემოქმედებაში ასევე შეიმჩნევა განმათავისუფლებელი მიმართულება, რომლის შესახებაც შეიძლება ვილაპარაკოთ ბურდიეს მისწრაფებით, გაათავისუფლოს ადამიანები პოლიტიკური და კლასობრივი ბატონობისაგან. მაგრამ, როგორც ეს იყო სარტრისა და ლევი-სტროსის შემთხვევაში, უმჯობესია ვთქვათ, რომ ბურდიე თავისი თვალსაზრისების ჩამოყალიბებისას მარქსსა და მარქსისტების შეხედულებებს ამოსავალი წერტილის სახით იყენებს.

ბურდიეს შემოქმედებაში სხვა თეორეტიკოსთა, განსაკუთრებით, მ. ვებერის და ე. დიურკემის გავლენებიც შეიმჩნევა. მაგრამ ბურდიე იმის წინააღმდეგია, რომ მას მარქსის, ვებერის, დიურკემის ან სხვათა მიმდევრად თვლიდნენ. იგი ამგვარ იარლიყებს მისი შემოქმედების შემზღუდავ, ძლიერ გამაუბრალოებელ და შეურაცხმყოფელ რაიმედ თვლის. გარკვეული აზრით, ბურდიემ თავისი იდეები იმ კრიტიკულ დიალოგში შექმნა, რომელიც მაშინ დაიწყო, როდესაც იგი სტუდენტი იყო და მისი სიცოცხლის დასასრულამდე გრძელდებოდა: „ყველაფერი, რაც მე შევქმენი სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში, შევქმენი იმდენადვე იმის საპირისპიროდ, რასაც მე მასწავლიდნენ, რამდენადაც მისივე წყალობით“ (ციტ: Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр.461).

2. ემპირიული და ეპისტემოლოგიური ინდივიდი, კვლევის საგნის კონსტრუირების ეტაპები

ემპირიული ინდივიდი – ესაა რეალური ერთეული, კერძო ინდივიდი, რომელიც თვისებების უსასრულო სიმრავლეს ფლობს, მაშინ როდესაც ეპისტემელოგიური ინდივიდი – ესაა თვისებათა შეზღუდული რაოდენობის ნაკრები, რომელიც დაკვირვებად ცვლადებზე გამოკვლევების ჩატარებაში გვეხმარება. მასში არ შედის არც ერთი ისეთი მახასიათებელი, რომლის კონცეპტუალიზება შეუძლებელი იქნებოდა.

აგენტი – განისაზღვრება თვისებათა სრული ერთობლიობით, ინდივიდი კი არის რაღაც „მზა“, „მუდამ უკვე“ მოცემული რამ. მათი განსაზღვრება იმიტომაა აუცილებელი, რომ არ მოხდეს შეფასებითი მსჯელობით ფაქტის მსჯელობის ჩანაცვლება, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ადამიანებს სჩვევიათ.

1. ეტაპი – სტატისტიკური კონსტრუირება, რომელიც ყველა შესაძლებელი ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზს მოიცავს. ამაში დიდ დახმარებას სოციალური სტატისტიკა-INSEE (სტატისტიკური და ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი) უწევს. მისი მონაცემები მეცნიერ მუშაკებსა თუ სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლებს უფასოდ მიეწოდება.

2. ეტაპი – ესაა ე.წ. ინფორმატორების ინტერვიურება. ისინი პრობლემასთან დაკავშირებით „ექსპერტების" როლში იმ აზრით გვევლინებიან, რომ ისინი პრობლემური სიტუაციის შესახებ ყველაზე უფრო ინფორმირებულნი არიან, რამდენადაც ჩართულნი არიან მასში. აქვე ჰიპოთეზის დაზუსტება და მომდევნო ანკეტური გამოკითხვის კითხვების ადეკვატური ფორმულირება ხდება. შერჩევა ანკეტური გამოკითხვისათვის სტატისტიკის და ინფორმატორების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დგინდება.

3. ეტაპი – ესაა არა რომელიმე გენერალური ერთობლიობის სტატისტიკური რეპრეზენტაცია, არამედ პრობლემატურად ფოკუსირებული შერჩევა. ესაა სპეციფიკა ბურდიესთან, ვინაიდან იგი ისწრაფვის, შერჩევაში ჩართოს მხოლოდ ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება საკვლევი პრობლემა, ვინც ამ დაინტერესებულობის გამო ფიქრდება მასზე, საკუთარი აზრების წარმოებისათვის აუცილებელ საშუალებებს ფლობს.

4. ეტაპი – ამ ეტაპზე ჩაღრმავებული (თავისუფალი) ინტერვიუების საფუძველზე მოუპოვებელი მონაცემების შევსება, კონკრეტული ასპექტების და დეტალების დაზუსტება ხდება. რესპონდენტთა ცალკეული ქვეშერჩევების წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს მიზანია, უკვე მოპოვებული ინფორმაცია შეავსოს და მონაცემთა მათემატიკური დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური ტენდენციების ინტერპრეტაცია დააზუსტოს. ასევე, დოკუმენტების (ბიოგრაფიის, მემუარების, შრომების) ანალიზს და სხვა სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ მეთოდებს იყენებენ.

პ. ბურდიემ პირველად გამოიყენა ე.წ. პერფოკარტების დაჯგუფების მეთოდი. პერფოკარტებზე ყველა არსებული მონაცემების ერთობლიობა შეიტანება, რომელთა მოკრება ადრე ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით შესაძლებელია, შემდეგ კი მას ანკეტური გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციები ემატება. ეს მეთოდი, მანქანური დამუშავების გარეშეც, კვლევისათვის საინტერესო ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

3. სოციალური სივრცე, ველი, პოზიცია და დისპოზიცია

ბურდიეს აზრით, „სოციალურ თეორიებში ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის ცალმხრივობების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დაძლევა შესაძლებელია, თუ პრაქტიკას, როგორც opus operatum-ისა და modus operandis – დიალექტიკურ ადგილს – ანუ პრაქტიკული ისტორიის ობიექტივირებულ პროდუქტებს: სტრუქტურებსა და ჰაბიტუსებს მივმართავთ" (Бурдье П. 2001, стр.101).

იგი სტრუქტურალიზმისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპების ორგანულ განვითარებას ცდილობს: სტრუქტურალიზმის დახმარებით ბურდიეს სურს თქვას, რომ თავად სოციალურ სამყაროში და არა მხოლოდ სიმბოლიკაში, ენაში, მითებში და ა.შ. არსებობენ აგენტთა ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სტრუქტურები, რომელებსაც აგენტთა პრაქტიკის (წარმოდგენების) წარმართვის ან დათრგუნვის უნარი შესწევთ.

კონსტრუქტივიზმის დახმარებით კი მას უნდა აჩვენოს, რომ არსებობს, ერთი მხრივ, აღქმის, აზროვნებისა და მოქმედების სქემების სოციალური გენეზისი, ანუ ის, რასაც ბურ-

დიე ჰაბიტუსის შემადგენელ ნაწილებს უწოდებს, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური სტრუქტურების გენეზისი, კერძოდ იმისი, რასაც ბურდიე ველს ან ჯგუფებს, ანუ რასაც ჩვეულებრივ „სოციალურ კლასებს“ უწოდებენ (ე.ი. ორივე ველიც და ჰაბიტუსი წარმოებულია პრაქტიკულად, ოღონდ ერთი აგენტთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო მეორე კი აგენტთა მენტალობის, ანუ სოციალური სივრცის ხედვისა და დაყოფის სქემებია). საზოგადოების თავისებურება ისაა, რომ მისი გამფორმებელი სტრუქტურები „ორმაგ ცხოვრებას“ ეწევიან: პირველი, ისინი არსებობენ, როგორც „პირველი წესრიგის რეალობა“, რომელიც პრაქტიკათა ობიექტივირებული პირობებისა და ღირებულებების განაწილების მეშვეობითაა მოცემული. მეორე, ისინი „მეორე წესრიგის რეალობის“, ანუ „აგენტთა პრაქტიკის სიმბოლური მატრიცის“ ე.ი. როგორც სოციალური წარმოდგენების, პრაქტიკული სქემების სახითაა მოცემული.

ამგვარად, საზოგადოების, „როგორც პირველი წესრიგისა თუ რიგის რეალობის სოციოლოგიური კვლევა, „სოციალური ფიზიკის“ ობიექტური სოციალური ურთიერთობების (რომლებიც არსებობენ აგენტთა ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად), რომლის კვანძები და შენაერთები შეიძლება დაკვირვებულ, გაზომილ და „კარტოგრაფირებულ“ იქნენ, განხილვას მოითხოვს. ამავე დროს, საზოგადოების, როგორც „მეორე რიგის რეალობის“ ანალიზი გულისხმობს, რომ სოციოლოგიის საგნად გვევლინება არა მხოლოდ ობიექტური სოციალურ ურთიერთობათა რეალობა, არამედ „მისი აღქმაც იმ თვალსაზრისებითა და პერსპექტივებით, რომლებიც აგენტებს ამ რეალობის შესახებ გააჩნიათ და რომლებიც ობიექტურ სოციალურ სივრცეში მათი პოზიციით“ არიან განპირობებულნი. ამგვარად, ბურდიეს მიხედვით, სოციალური სინამდვილე სტრუქტურირებულია ორჯერ.

პირველი, არსებობს პირველადი, ანუ ობიექტური სტრუქტურირება იმ სოციალური ურთიერთობებით, რომლებიც როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ხასიათის მრავალსახოვანი რესურსების (რომლებიც ამ შემთხვევაში ბატონობის სტრუქტურებად, ანუ კაპიტალებად გვევლინებიან) განაწილებაში გასაგნებულნი არიან.

მეორე, სოციალური სინამდვილე ამ ურთიერთობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი სტრუქტურების და მთლიანად სოციალური სამყაროს შესახებ აგენტთა წარმოდგენებითაა სტრუქტურირებული, რომლებიც პირველად სტრუქტურირებაზე უკუზემოქმედებას ახდენენ. სხვაგვარად, საზოგადოების ბუნებას კარგად გამოხატავს სტრუქტურებისა და მოქმედების დიალექტიკა, ოღონდ იმ დაზუსტებით, რომ იგი „ობიექტური და ინკორპორირებული სტრუქტურების“ დიალექტიკის, ანუ იმ დიალექტიკის ეკვივალენტურია, რაც ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებაში ხდება. ნაჩვენები დიალექტიკა ინტერიორიზაციისა და ექსტერიორიზაციის პროცესს ასახავს, რომელიც ერთმანეთთან ობიექტურ და ინკორპორირებულ სტრუქტურებს აკავშირებს. სოციალური ურთიერთობები, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ინტერიორიზებისას, „პრაქტიკულ სქემებად“ ანუ პრაქტიკის წარმოების სქემებად – ინკორპორირებულ სტრუქტურებად გარდაიქმნებიან, რომლებიც ექსტერიორიზაციას, ე.ი. აგენტთა პრაქტიკების გზით მათი შემქმნელი სოციალური სტრუქტურების კვლავწარმოებას განაპირობებენ.

ორმაგი სტრუქტურირების კონცეფცია მოიცავს წარმოდგენების კომპლექსს, რომელიც სოციალური სინამდვილის გენეზისსა და სტრუქტურას ასახავს. გენეზისი კი სხვა არაფერია, თუ არა სოციალურ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა: არსებობენ ობიექტური სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ინდივიდთა პრაქტიკებზე, აღქმებსა და აზროვნებაზე ზემოქმედებენ. სწორედ სოციალური ურთიერთობები წარმოადგენენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ აგენტთა პრაქტიკებისა და წარმოდგენების აუცილებელ პირობასა და წანამძღვრებს, რომლებსაც, თავის მხრივ, ამ ურთიერთობე-

ბის შეზღუდვა, დათრგუნვა და სტიმულირება ძალუძთ. ამავე დროს, სოციალურ ურთიერთობებს ძალუძთ, როგორც სოციალური საგნობრიობის ობიექტივირებულ, ისე სუბიექტივირებულ ფორმაში – დისპოზიციების, ცოდნის, უნარ-ჩვევების სახით მოგვევლინონ. მეორეს მხრივ, აგენტებს შინაგანად ახასიათებთ აქტიურობა, ისინი გამუდმებით ზემოქმედებენ თავიანთი პრაქტიკების პირობებსა და წანამძღვრებზე, სოციალური ურთიერთობები საკუთარი მოქმედებებით აგენტთა პრაქტიკებსა და წარმოდგენებს განაპირობებენ, მაგრამ აგენტები თავად აწარმოებენ პრაქტიკებს, რითაც სოციალურ ურთიერთობებს კვლავაწარმოებენ ან გარდაქმნიან.

პრაქტიკებისა და წარმოდგენების სოციალური ურთიერთობებით განპირობებულობა აუცილებელი გაშუალების სახით გვევლინება; ისინი აგენტების მიერ მხოლოდ წარმოების გარკვეული საშუალებების დახმარებით იწარმოებიან. იმის გამო, რომ აგენტებს არ ძალუძთ თავიანთი პრაქტიკების განხორციელება სოციალური ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად და გარეთ, რომლებიც ნებისმიერ პრაქტიკისა და წარმოდგენების აუცილებელ პირობებსა და წანამძღვრებს წარმოადგენენ, აგენტები იძულებულნი აღმოჩნდებიან, განსაკუთრებით უკვე არსებული სოციალური ურთიერთობების „შიგნით“, შესაბამისად იმოქმედონ ან მათი რეპროდუცირება ან რეფორმირება მოახდინონ. სოციალური სინამდვილის წარმოებასა და კვლავწარმოებაში აგენტების აქტიურ როლზე ლაპარაკისას, ბურდიე ხაზს უსვამს, რომ იგი ინკორპორირებული სტრუქტურების – პრაქტიკული სქემების გარეშე (პრაქტიკათმწარმოებელი სქემების, ანუ "მოქმედებებისადმი წესრიგის მიმწერი პრინციპების" და პირველ რიგში – სოციალური სინამდვილის დაყოფის, კლასიფიკაციისა და აღქმის პრინციპების გარეშე) შეუძლებელია, რომლებიც თავად ობიექტური სოციალური რეალობის ინტერიორიზაციის პროდუქტებს წარმოადგენენ. აქედან კი გამოდის, რომ სოციალური სინამდვილის სუბიექტური სტრუქტურირება ობიექტური სტრუქტურირების ქვემდებარე მომენტია.

სოციალური პოზიცია – ნიშნავს ინდივიდის რეალურ ადგილს სოციალურ სივრცეში, პოზიციების ერთობლიობა კი სოციალური სივრცის ობიექტურ ჭრილს ასახავს .

დისპოზიცია – ესაა ინდივიდების წარმოდგენა თავისი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, მოქმედების, აზროვნების და შეფასების სქემებიცაა. დისპოზიცია სოციალური სივრცის სუბიექტურ ასპექტს ასახავს.

სოციალური პრაქტიკა – ესაა ინდივიდებს შორის არსებული სივრცის შემავსებელი, ინდივიდთა უფრო გაუცნობიერებელი, ვიდრე გაცნობიერებული ქცევა, რომელიც ამ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში გარემოდან ინტერნალიზებულ წესებს ემორჩილება.

პრაქტიკა – ინდივიდის ჰაბიტუსისა და სხვადასხვა ხდომილებების ურთიერთქმედების პროდუქტია.

ბურდიე სოციალურ სინამდვილეს პოზიციათა მრავალგანზომილებიანი სივრცის ფორმით წარმოადგენს, რომელიც აგენტთა მოქმედი თვისებების ერთობლიობის განსხვავებისა და განაწილების პრინციპის შესაბამისადაა აგებული. მოქმედი თვისებებში კი ისეთი თვისებები იგულისხმება, რომლებსაც ძალუძთ, აგენტებს „ძალა“, „გავლენა“ და „ძალაუფლება“ როგორც რეზულტატების მიღწევის შესაძლებლობა, უნარი – მისცენ.

მოქმედი თვისებები ობიექტივირებული ფორმით „კაპიტალის“ ფუნქციებს ასრულებენ, რომლებიც ერთობლივი საქმიანობის პროდუქტებზე, რომლის საქმიანობაშიც გასაგნებულია წარსულის პრაქტიკები, აგრეთვე, განსაზღვრული პროდუქციის წარმოების მექანიზმზე, ხოლო ამის მეშვეობით კი შემოსავლებსა და მოგებებზე ძალაუფლებას იძლევიან. აგენტებს შორის კაპიტალების განაწილება სივრცეში ძალაუფლებისა და გავლენის გა-

ნაწილების სახით ვლინდება. სოციალურ სივრცეში აგენტების პოზიცია მათი კაპიტალების მოცულობითა და სტრუქტურით განისაზღვრება. სოციალური სივრცე კონსტრუირდება ველების ანსამბლით, რომლებსაც ქვესისტემების აზრი აქვთ და თავიანთი სტრუქტურებით კაპიტალთა ცალკეული სახეების არათანაბარი განაწილებით არიან დავალებულნი, ასევე, შეიძლება კაპიტალის სხვადასხვა სახეების განაწილების სტრუქტურის ფორმით იქნეს მოცემული, რომლებიც (კაპიტალები) ერთდროულად სხვადასხვა ველებში ბრძოლის, როგორც ინსტრუმენტის, ისე მიზნის სახით ფუნქციონირებენ.

შეუძლებელია, სოციალური და ფიზიკური სივრცე მხოლოდ, როგორც „წმინდა“ სოციალური ან ფიზიკური სახით განვიხილოთ. სოციალური დაყოფა, რომელიც ობიექტივიზებულია ფიზიკურ სივრცეში, ერთდროულად, როგორც ხედვისა და დაყოფის პრინციპი, როგორც აღქმისა და შეფასების კატეგორია, ფუნქციონირებს – მოკლედ, როგორც მენტალური სტრუქტურა, სოციალური სივრცე, რომელშიც აგენტთა კოორდინატებია აღნიშნული. იგი წარმოგვიდგება, როგორც სოციალური იერარქიისა და კლასიფიკაციის ფიზიკური განხორციელება: აგენტებს „უკავიათ“ გარკვეული სივრცე, ხოლო დისტანცია მათ პოზიციებს შორის – ეს არა მხოლოდ სოციალური, არამედ ფიზიკური სივრცეც არის.

ყველა სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობა არ არის რაღაც ამორფული და ერთგვაროვანი რამ, არამედ სტრუქტურირებულია. ამან ბურდიე „ველის“ ცნების ფორმირებამდე მიიყვანა, რომელიც სოციალური ურთიერთობების შედარებით ჩაკეტილი და ავტონომიური ქვესისტემის სახით გვევლინება.

ველი წარმოადგენს პოზიციათა ერთობლიობას, რომლებიც ამ პოზიციებზე მყოფი აგენტების შეხედულებებს როგორც მოცემულ ველზე, ისე მათსავე საკუთარ პრაქტიკებზე, რომლებიც მოცემული ველის მწარმოებელი ძალოვანი ურთიერთობების სტრუქტურის შენარჩუნებაზე ან შეცვლაზეა მიმართული, სტატისტიკურად განსაზღვრავენ. ველი წარმოიშობა, როგორც პრაქტიკების პროგრესირებადი საზოგადოებრივი დანაწილების შედეგი. ველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი ავტონომია, ე.ი. ველის გარეგანი იძულებებისაგან და ძალდატანებისაგან შედარებით დამოუკიდებელი ფუნქციონირებაა. „ველი – ეს არის ძალთა ადგილსამყოფელი, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სივრცე, სტრუქტურირებული ოპოზიციებით... ეს არის განსაკუთრებული არე, სადაც ადგილი სრულიად მრავალფეროვან ბრძოლას აქვს“(Бурдье П., Поле политики, поле социальных наук, поле журналистики., стр.107-138).

ველი ყველა გარეგან ზემოქმედებას საკუთარი „ლოგიკის“ კრიტერიუმით ხელახლა განსაზღვრავს. ველის ასეთ თვისებას ბურდიე რეფრაქციის უნარს უწოდებს, რომლის ძალაც იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ გარეგან მოთხოვნებს სპეციფიკურ, ველისათვის დამახასიათებელ ფორმად როგორი ხარისხით გარდაქმნის. მაგალითად, სოციალური მეცნიერებების ველი რეფრაქციის სუსტ უნარებს ფლობს, რამდენადაც პოლიტიკის ველის მხრიდან ძლიერ ზემოქმედებას განიცდის. სოციალური მეცნიერებების „პოლიტიზაცია“ მისი სუსტი ავტონომიზაციის ინდიკატორია. პოლიტიკის ველი რეფრაქციის ყველაზე მაღალ ხარისხს ფლობს. მაგრამ ველის არც ინტერნალისტურ და არც ექსტერნალისტურ ინტერპრეტაციებს ყველაფრის გათვალისწინებაც არ შეუძლიათ.

სხვადასხვა ველების მრავალწლიანმა კვლევამ ბურდიე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყველა ველისათვის დამახასიათებელ უზოგადეს მახასიათებლებს კონკურენციის, მონოპოლიის, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობები წარმოადგენენ. ველი იგივეა, რაც ბაზარი, ოღონდ ინსტრუმენტალურად გაგებული. ეს მან შემოიტანა იმიტომ, რომ ერთმანეთისაგან კაპიტალი და რესურსი განასხვავოს. ბურდიეს აზრით, არა ყოველი რესურსი წარმოადგენს კაპიტალს, ე.ი. მოქმედ თვისებას, რომელიც თავის მფლობელს ძალასა და

ბატონობას, ძალაუფლებას აძლევს. კაპიტალი ხდება მხოლოდ ის რესურსი, რომელზეც არის მოთხოვნა სპეციფიკურ „ბაზარზე“, არის დადგენილი განსაზღვრული „ფასი“ და რომელსაც შეუძლია მოგების მოტანა. ამ აზრით, ნებისმიერი ველი არის ბაზარი, სადაც იწარმოება და მოძრაობენ, ბუნებრივია, სპეციფიკური კაპიტალები.

ველის თავისებურების შესასწავლად კაპიტალის განაწილების, არსებული კლასიფიცირებისა და იერარქიების, ბატონობა/მორჩილების ურთიერთობების ინსტიტუტებისა და ძალაუფლებრივი სტრუქტურების დეტალური გაანალიზება აუცილებელი და არსებითია.

ამგვარად, პ. ბურდიეს შეხედულებათა კრიტიკული ხასიათი სოციალური პრაქტიკის თეორიის შექმნის მისწრაფებით განისაზღვრება, რომელიც რაციონალური მოქმედებების წესებისა და ნორმების ძიებისაგან შორს იქნება და, ამავდროულად, სოციოლოგიისთვის ტრადიციული რეალიზმისა და ნომინალიზმის, ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის ოპოზიციებს გადალახავს. ბურდიეს მეთოდი მბადი (გენეტიკური) სტრუქტურალიზმია: სოციალური რეალობა გაგებულია, როგორც ურთიერთობა-დამოკიდებულებათა ანსამბლი, როგორც სოციალურ პოზიციათა სივრცე. სოციალური სივრცე მრავალგანზომილებიანია, სხვადსხვა სახის კაპიტალის (ეკონომიკური, კულტურულის, სიმბოლურის) განაწილების საფუძველზე სტრუქტურირდება, რომელიც (კაპიტალი) სოციალური სივრცის შიგნით, როგორც ბრძოლის მიზანი და ინსტრუმენტი გვევლინება. „სოციალური დანაწილება, ამავე დროს, როგორც ხედვის პრინციპი, როგორც აღქმისა და შეფასების კატეგორია, ე.ი., როგორც მენტალური სტრუქტურა ფუნქციონირებს, რომელიც ამავე დროს, უმეტესწილად, სოციალური სივრცის ობიექტური სტრუქტურების ინკორპორირების პროდუქტია. აგენტისათვის ეს ჰაბიტუსის, ანუ დისპოზიციების სისტემის ფლობას ნიშნავს, რომელიც სოციალური სინამდვილის აღქმის სქემების და მოქმედებების მაორგანიზებელია. გამოცდილების შედეგად შეძენილი დროისა და ადგილის მიხედვით ცვალებადი დისპოზიციები სტრატეგიებს, როგორც ორიენტირებულ-წარმართულ პრაქტიკებს ქმნიან, რომლებიც ისე აღმოჩნდებიან სიტუაციებზე მორგებულნი, რომ არც მიზნისკენ ცნობიერი მისწრაფების და არც მექანიკური დეტერმინაციის, არამედ პრაქტიკული გრძნობების პროდუქტებად გვევლინებიან“ (Бурдье П. 2001, стр.102). თამაშის გრძნობა არათანაბრად არის განაწილებული საზოგადოებაში, მისი ათვისება ბავშვობიდანვე სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობის და ზოგიერთ ველთან (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და ა.შ.) დამოკიდებულება-ურთიერთობის შედეგად ხდება. სოციალური ველი თამაშის ისტორიულად ჩამოყალიბებული, შედარებით ავტონომიური სივრცეა თავისი ინსტიტუტებით და ფუნქციონირების ლოგიკით. მოქმედება, რომელიც აღნიშნავს ერთმანეთის შესატყვისი „ჰაბიტუსისა“ და ველის შეხვედრის მომენტს, მხედველობაში სოციალურ სივრცეში პოზიციებისადმი კუთვნილი ადეკვატური თვისებების ერთობლიობას იღებს, ამოდის რა იქიდან, თუ როგორი სტრუქტურის წარმოება არის საჭირო. მნიშვნელოვან სტრატეგიათა უმრავლესობა კოლექტიურ გადაწყვეტილებათა პროდუქტია, რომელიც მოიცავს ოჯახის ან კლასის კოლექტიურ ისტორიას, ამიტომ ისინი აწარმოებენ (ქმნიან) არა მხოლოდ ინდივიდუალურ პოზიციებს, არამედ სოციალურ ჯგუფებსაც. საზოგადოებაში მორფოლოგიური ცვლილებების გასაგებად საჭიროა იმ სიმბოლურ სტრუქტურათა მახასიათებლების გათვალისწინება, რომლებიც წესრიგის კონსტიტუირების და ლეგიტიმაციის ძალაუფლებას თუ უფლებამოსილებას ფლობენ. სოციალური დაყოფები თუ კლასიფიკაციები განათლების სისტემების მეშვეობით ტრანსლირდებიან (გადაიცემიან) და არსებითად ბატონობის ფორმებს წარმოადგენენ. სხვადასხვა აგენტები, მათ შორის სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ლეგიტიმური ნომინაციის მონოპოლიის მოპოვებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ. სოციოლოგიის სოციოლოგიური კრიტიკა ან სოციოლოგიის სოციოლოგია ააშკარა-

ვებს სოციოლოგიური წარმოების ველის შიგნით ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებს და იმ ზოგადი შეხედულებებისაგან, ანუ იმ პოლიტიკური კატეგორიებისაგან განთავისუფლების ინსტრუმენტად გვემსახურებიან, რომლებიც სიმბოლურ ძალადობას ახორციელებენ. ამგვარი კრიტიკა სხვა ველებისათვისაც აუცილებელია.

4. Habitus – ცნება, ნიშნები, ფორმები

სოციუმის – გაგებული, როგორც სოციალური სივრცე – ორმაგობის გადალახვის საშუალებად Habitus-ის ცნება გვევლინება. „ჰაბიტუსი“ – ეს არის „მენტალური ან კოგნიტური სტრუქტურები“, რომელთა საშუალებით ადამიანები სოციალურ სინამდვილეში ორიენტირებენ და შესაბამისად მოქმედებენ. ადამიანები დაჯილდოებული არიან რიგი ინტერიორიზებული სქემებით, რომელთა საშუალებით ისინი სოციალურ სინამდვილეს აღიქვამენ, ესმით და აფასებენ. სწორედ ამ სქემების წყალობით, ადამიანები ერთდროულად ქმნიან თავის პრაქტიკას და აღიქვამენ და აფასებენ მას. დიალექტიკურად ჰაბიტუსი არის სოციალური სამყაროს „სტრუქტურათა ინტერიორიზაციის პროდუქტი“. არსებითად ჰაბიტუსი შეიძლება „ინტერნალიზებულ“ „პერსონიფიცირებულ“ სოციალურ სტრუქტურად ჩაითვალოს. ჰაბიტუსი კლასობრივი სტრუქტურის ობიექტურ დანაწილებას ასახავს, მაგალითად, ასაკობრივი ჯგუფები, გენდერი, სოციალური კლასი. ჰაბიტუსის შეძენა სოციალურ სინამდვილეში გარკვეული მდგომარეობის ხანგრძლივი დაკავების შედეგად ხდება. ამგვარად, ჰაბიტუსები ამ სოციალურ სამყაროში სუბიექტის მიერ დაკავებული პოზიციის ხასიათის შესაბამისად განსხვავდებიან; ყველას არა აქვს ერთნაირი ჰაბიტუსი. ადამიანებს, რომელთაც სოციალურ სინამდვილეში უკავიათ ანალოგიური მდგომარეობები, როგორც წესი, ჰაბიტუსიც ანალოგიური აქვთ.

ამ აზრით ჰაბიტუსი შეიძლება კოლექტიური მოვლენაც იყოს. ჰაბიტუსი საშუალებას აძლევს ადამიანებს, გაიაზრონ სოციალური სამყარო, მაგრამ მრავალი ჰაბიტუსის არსებობა ნიშნავს, რომ სოციალური სამყარო და მისი სტრუქტურები სხვადასხვა აქტორებზე ერთნაირ გავლენას არ ახდენენ.

დროის ყოველ კონკრეტულ მონაკვეთში არსებული ჰაბიტუსი კოლექტიური ისტორიის მსვლელობაში იქმნება: „ჰაბიტუსი, ისტორიის პროდუქტი, ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკას აწარმოებს და, მაშასადამე, თვით ისტორიას ისტორიის მიერ შექმნილი სქემების შესაბამისად ქმნის“ (Бурдье П. 2001, стр.105). ჰაბიტუსს ერთდროულად ახასიათებს მდგრადობა და ადგილმონაცვლეობის უნარი, მან შეიძლება ერთი ველიდან გადაინაცვლოს მეორეში. მაგრამ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ შეუსაბამო ჰაბიტუსიც, დაზარალდნენ იმის გამო, რასაც ბურდიე ჰისტერეზისს ეძახის. შეფერხების ამ ეფექტის კარგი მაგალითია ადამიანი, რომელიც მოსწყვიტეს აგრარულ ყოფას თანამედროვე წინაკაპიტალისტურ სამყაროში და სამუშაოდ უოლ-სტრიტზე გადაიყვანეს. წინაკაპიტალისტური ეპოქის ჰაბიტუსი არ მისცემდა მას საშუალებას, უოლ-სტრიტზე ცხოვრებით კმაყოფილება ეგრძნო.

ჰაბიტუსი ქმნის სოციალურ სინამდვილეს და, იმავდროულად, თავად იქმნება ამ სინამდვილით. ერთი მხრივ, ჰაბიტუსი არის „მასტრუქტურებელი სტრუქტურა“, ანუ სტრუქტურა, რომელიც სოციალურ სამყაროს ქმნის. მეორე მხრივ, ესაა „სტრუქტურირებული სტრუქტურა“, ანუ არის სტრუქტურა, რომელიც შექმნილია სოციალური სამყაროს მიერ. სხვა ტერმინებით ბურდიე ჰაბიტუსს, როგორც „ინტერნალიზაციის ექსტერნალურობისა“ და „ექსტერნალიზაციის ინტერნალურობის“ დიალექტიკას აღწერს. ამგვარად, ჰაბიტუსის ცნება საშუალებას აძლევს ბურდიეს, თავი აარიდოს სუბიექტის ფილოსოფიას აგენტის

განხილვაზე უარის თქმის გარეშე, …ასევე, სტრუქტურის ფილოსოფიას, მაგრამ არ ივიწყებს, ყურადღება მიაქციოს მის ზემოქმედებას აგენტზე.

სწორედ პრაქტიკა ასრულებს შუალედური რგოლის როლს ჰაბიტუსსა და სოციალურ სამყაროს შორის. ერთი მხრივ, სწორედ პრაქტიკის წყალობით იქმნება ჰაბიტუსი; მეორე მხრივ, სწორედ პრაქტიკის შედეგად იქმნება სოციალური სამყარო. ბურდიე ლაპარაკობს პრაქტიკის შუალედურ ფუნქციაზე, როდესაც ჰაბიტუსს განსაზღვრავს, როგორც „სტრუქტურირებული და მასტრუქტურიზებელი დისპოზიციის სისტემას, რომელიც შეიქმნა პრაქტიკით და მუდმივად გამიზნულია პრაქტიკულ... ფუნქციებზე. მაშინ, როდესაც პრაქტიკა აყალიბებს ჰაბიტუსს, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იმავდროულად უნიფიცირებს და პრაქტიკას ბადებს.

მიუხედავად იმისა, რომ „ჰაბიტუსი არის ინტერიორიზებული სტრუქტურა, რომელიც ავიწროებს ცნობიერებას და ქმედების არჩევანს გარკვეულ ჩარჩოში სვამს, ის ამ უკანასკნელს ვერ განსაზღვრავს. დეტერმინიზმის ეს არარსებობა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რითაც ბურდიეს პოზიცია სტრუქტურალისტების ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავდება. ჰაბიტუსი უბრალოდ „სთავაზობს“ ადამიანებს, თუ რა იფიქრონ და რომელი ქცევები და ქმედებები აირჩიონ. ადამიანები გააზრებულად წონიან არჩევანის შესაძლებლობებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღების ეს პროცესი ჰაბიტუსის ქმედებას ასახავს. ჰაბიტუსი ადამიანების მიერ ალტერნატივების შერჩევისა და მათი სოციალურ სამყაროში გამოყენების სტრატეგიულ პრინციპებს უზრუნველყოფს“ (ბურდიე პ., თანამედროვე სოციალური თეორიები,1995, გვ.20). „ადამიანები სულელები არ არიან“. მაგრამ არ ღირს ადამიანის, როგორც მთლიანად რაციონალურად მოქმედი პირის განხილვა (ბურდიე უნდობლად უყურებს რაციონალური არჩევანის თეორიას); ისინი მოქმედებენ „გონივრად“ – აქვთ „პრაქტიკული გონი“. ადამიანის ქმედებებში არის ლოგიკა, ოღონდ – „პრაქტიკული ლოგიკა“.

პრაქტიკული ლოგიკა „პოლითეტურია“ – პრაქტიკულ ლოგიკას შეუძლია ერთდროულად აღიაროს მრავალრიცხოვანი არაერთგვაროვანი და ლოგიკურადაც (ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით) ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობები ან თეზისები, იმიტომ, რომ მისი ქმედების ძირითადი კონტექსტი „პრაქტიკულია“. ეს მტკიცება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიუთითებს პრაქტიკული ლოგიკისა და რაციონალობის განსხვავებაზე (ფორმალური ლოგიკის), ის, ასევე, ბურდიეს „რაციონალიზმს“ გვახსენებს. ამ კონტექსტში უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გვეხმარება გავიგოთ, რომ ჰაბიტუსი არ არის უცვლელი, გაყინული სტრუქტურა, მას ვითარებების შესაბამისად მიუსადაგებენ ინდივიდები, რომლებიც თავად მუდმივად ხვდებიან წინააღმდეგობრივ სიტუაციებში.

ჰაბიტუსი ფუნქციონირებს „ცნობიერებისა და ენის დონეზე დაბლა, ინტროსპექტული კვლევისა და ნებელობითი კონტროლისათვის მისაწვდომი ზონის გარეთ“. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ ჰაბიტუსსა და მის ქმედებას, ის თავს იჩენს ჩვენს ყველაზე პრაქტიკულ ქცევებში, მაგალითად, იმაში, თუ როგორ ვჭამთ, დავდივართ, ვსაუბრობთ, როგორ ვაცემინებთ ცხვირს. ჰაბიტუსი მოქმედებს, როგორც სტრუქტურა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ადამიანები, უბრალოდ, მექანიკურად რეაგირებენ მასზე ან მათზე ზემოქმედ გარე სტრუქტურებზე. ამით ბურდიემ თავის მიდგომაში წინასწარ განუჭვრეტელ სიახლესა და ტოტალურ დეტერმინიზმს თავი დააღწია.

ამგვარად, Habitus-ის ცნება ბურდიეს სოაციალური სამყაროს მოწესრიგებულობის, მისი კვლავწარმოებულობის, ისტორიული ვრცეულობისა (განფენილობის) და ცვალებადობის ასახსნელად შემოაქვს. ჰაბიტუსი ერთდროულად არის როგორც სოციალურ პირო-

ბათა (ობიექტივირებულ წინამორბედ პრაქტიკათა) პროდუქტი ისე საშუალება, რომელიც მართავს ადამიანს ყოფით – ყოველდღიურ სიტუაციებში; საშუალება, რომელიც ცვლის და კვლავ აწესრიგებს გარემომცველ პირობებს (პრაქტიკათა ობიექტივირების საშუალება). ჰაბიტუსი არის „მყარი, შეძენილი განწყობა-მიდრეკილების (დისპოზიციების), სტრუქტურირებული სტრუქტურების სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია მასტრუქტურიზებელ სტრუქტურათა სახით ფუნქციონირებისათვის“.

ბურდიეს აზრით, ჰაბიტუსი კოგნიტურ და მოტივაციურ სისტემათა სტრუქტურას, ნამდვილად არსებულ ისტორიულ პირობათა პროდუქტს წარმოადგენს. ამ აზრით იგი ობიექტურია – ინდივიდისაგან განსხვავებულია და მის „გარეთ“ იმყოფება. მაგრამ, ამავე დროს, ის ინკორპორირებულია ინდივიდის ცნობიერებაში და ამ აზრით იგი სოციალური მოქმედების აგენტის განუყოფელი ნაწილია. Habitus – ესაა ინდივიდის მიერ აღქმული, მის ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმული და „დავიწყებული“ ობიექტური სტრუქტურების ანაბეჭდი, რომელიც რაციონალური განაზრებებისათვის მიუდგომელია. Habitus კონსერვატიულია, თავისი თავის შენარჩუნება-დაცვას ესწრაფვის და, ამავე დროს, განახლების უნარიც აქვს. განახლება კი მისი საკუთარი პრინციპის შესაბამისად იწარმოება. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი მხოლოდ შუამავალია ობიექტური რეალობის მიერ ინდივიდის დეტერმინაციის პროცესში. გარკვეული ზომით ეს სწორია, მაგრამ მხოლოდ რაღაც დონემდე. იგი ასახავს ობიექტურ სტრუქტურებს, მაგრამ ის არ არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც აგენტი კვლავაწარმოებს თავის პრაქტიკებს. პრაქტიკა არის Habitus–ისა და სხვადასხვა ხდომილებების ურთიერთქმედების პროდუქტი. Habitus–ის ფუნქცია აგენტის სუბიექტური მისწრაფების შეზღუდვაში მდგომარეობს, იგი გვაძლევს საზღვრებს, რომელშიც აგენტი მოქმედებს და რუტინულ „არაპრობლემატურ“ მოქმედებებს კვლავაწარმოებს. ამგვარად, შეგვიძლია გამოვყოთ Habitus–ის რამდენიმე ნიშანი:

1. ობიექტური სოციალური გარემო ქმნის ჰაბიტუსს, ანუ „მყარ შეძენილ, მოპოვებულ წინასწარგანწყობათა სისტემას“, რომელიც შემდეგ ინდივიდების მიერ არსებულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აქტიური უნარის სახით გამოიყენება, როგორც ამოსავალი განწყობები, რომლებიც ინდივიდთა პრაქტიკებს ბადებენ და ორგანიზებას უკეთებენ. როგორც წესი, ეს წინასწარ განწყობები განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე შეგნებულ-გაცნობიერებულ წარმართულობას არ გულისხმობენ, ვინაიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე ისინი შესაძლებლობითა და შეუძლებლობებით, აუცილებლობითა და თავისუფლებით, უფლებებითა და აკრძალვებით ყალიბდებიან. ბუნებრივია, რომ ადამიანები კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მათი პრაქტიკისათვის ყველაზე მიუღებელს, შეუძლებელს და დაუჯერებელს გამორიცხავენ.

2. ჰაბიტუსი პრინციპულად განსხვავდება მეცნიერული შეფასებებისაგან. თუ მეცნიერება ჩატარებული კვლევების შემდეგ მონაცემების მუდმივ კორექციას, ჰიპოთეზათა დაზუსტებას და ა.შ. გულისხმობს, მაშინ ადამიანები, ბურდიეს აზრით, „ადრინდელ გამოცდილებებს არაპროპორციულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (აძლევენ)“. გარკვეული ტიპის ქცევებისადმი წინასწარ განწყობათა ინერტულობის ეფექტი ვლინდება იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც კარგად არიან წარსულ რეალიებს შეგუებულნი, შეცვლილ ვითარებაში შეუფერებლად და შეუსაბამოდ მოქმედებას იწყებენ, ვერ ამჩნევენ, რომ ადრინდელი, ძველი პირობები უკვე აღარ არსებობს. მოცემულის საილუსტრაციოდ სოციოლოგს „მარქსის საყვარელი დონ-კიხოტის მაგალითი“ მოჰყავს. გარემო, რომელშიც რაინდი მოქმედებს, ძალიან განსხვავებულია იმისაგან, რომელშიც იგი ობიექტურად იყო ჩართული და შეგუებული. ასეთ დღეში ვართ ახლა ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნის მოსახლეობა, რამეთუ ჩვენი ადამიანების უმრავლესობა წარუმატებლად ცდილობს, შეეგუოს ახალ პოლიტი-

კურ რეალობებს, ინდივიდუალურ თავისუფლებებს მნიშვნელოვანი ზომით სწორედ თავიანთი ჰაბიტუსის გამო, კერძოდ, ეს არის სახელმწიფოს, პარტიების, კოლექტივის, ლიდერის, როგორც „მამა მარჩენალის“ პატერნალისტური როლისადმი წინასწარ განწყობები.

3. ჰაბიტუსი სოციალურ პრაქტიკებში წარსულის, აწმყოს და მომავლის გაერთიანების საშუალებას გვაძლევს. რასაც არ უნდა გვპირდებოდნენ პოლიტიკოსები და მათი იდეოლოგები – ქვეყნის მომავალი, დამოუკიდებლად იმისაგან, მოგვწონს ისინი თუ არა, დღეს მაინც სტრუქტურირებული პრაქტიკების კვლავწარმოების გზით იქმნება. სწორედ ასე, სტრუქტურალისტურ-კონსტრუქტივისტული პარადიგმის მიხედვით იქმნება ისტორია: „Habitus – შენიშნავს ბურდიე – როგორც ისტორიის პროდუქტი, აწარმოებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკებს – კვლავ ისტორიას – ისტორიისვე მიერ შექმნილი სქემების შესაბამისად. იგი განაპირობებს წარსული გამოცდილების აქტიურ მყოფობას (არსებობას), რომელიც ყველა ინდივიდში აღქმის, აზრებისა და მოქმედების სქემების ფორმით არსებობისას, დროში პრაქტიკათა „სისწორეს“ და მათ მუდმივობას უფრო საიმედოდ უზრუნველყოფს, ვიდრე ყველა ფორმალური წესი და ექსპლიციტური ნორმა ერთად აღებული. განწყობა-მიდრეკილებათა სისტემა, ე.ი. აწმყოში მყოფი (არსებული) წარსული, ერთსახოვანად სტრუქტურირებული პრაქტიკების კვლავწარმოების გზით მსწრაფი.... არის მემკვიდრეობისა და რეგულირების ის პრინციპი, რომელიც სოციალურ პრაქტიკაში“ (იქვე, გვ.19) შეინიშნება.

ამგვარად, ჰაბიტუსის კონცეფცია მომავლის პროგნოზირების მეთოდოლოგიურ პრინციპს დეტერმინიზმისა და თავისუფლების, ცნობიერებისა და ქვეცნობიერის, ინდივიდისა და საზოგადოების ანტინომიების გადალახვის გზით აფუძნებს. წარმოდგენები ჰაბიტუსზე „სუბიექტური მოლოდინების“ უფრო ობიექტური კვლევის შესაძლებლობებს გვაძლევს. მისი აზრით, მოქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ სპეციფიკურ შანსებზე, რომლებსაც ინდივიდები ფლობენ – ინდივიდუალურ ჰაბიტუსებს შორის განსხვავება მათი სოციალური მოთხოვნების თავისებურებებს განაპირობებს. ადამიანები თავიან მოლოდინებს აყალიბებენ მისაღწევისა და მიუღწეველის კონკრეტული ინდიკატორების შესაბამისად, ანუ იმის შესაბამისად, რაც „ჩვენთვისაა“ და რაც „ჩვენთვის არ არსებობს“, რითაც იმ შესაძლებელ მომავალს ეგუებიან, რომელსაც წინასწარჭვრეტენ და რომლის განახორციელებასაც მიზნად ისახავენ.

მაშასადამე, პრაქტიკების ახსნა შეუძლებელია როგორც მხოლოდ იმდღევანდელი პირობების თვალსაზრისით, რომლებმაც მათი პროვოცირება მოახდინა, ასევე, მხოლოდ წარსული პირობების თვალსაზრისითაც, რომლებშიც ჰაბიტუსია ასახული. სუბიექტის მოქმედება მხოლოდ წარსული და დღევანდელი პირობების შეთანადებით, ე.ი. სოციალური სამყაროს იმ ორი მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერული შესწავლის დახმარებით შეიძლება ახსნილ იქნეს, რომლებშიც ჰაბიტუსი ფარული სახით მოქმედებს. ამგვარად, ჰაბიტუსი ინდივიდს გარკვეულ ავტონომიას აძლევს, მაგრამ მოქმედების ატომიზაციას და „უწესრიგობას“ არ იწვევს.

არსებობის პირობების მსგავსებას მოქმედ პირებში-ინდივიდებში მსგავსი Habitus-ის ჩამოყალიბებასთან მივყავართ, რასაც ბურდიე „ჰომოლოგიურ“ ჰაბიტუს უწოდებს. ამიტომაა, რომ მსგავს პირობებში დაბადებულ და აღზრდილ ინდივიდებს ქცევის მსგავსი „მანერები“ აქვთ. თუმცა ეს მსგავსება გარკვეული საზღვრებითაა შეზღუდული. ჰომოლოგია არის მრავალსახეობა, ოღონდ ჰომოგენურობის იმ ჩარჩოებში, რომლებიც Habitus-ის წარმოების სოციალური პირობებისათვისაა დამახასიათებელი. სოციალურ პოზიციათა მსგავსება არასდროს იქნება სრული და საბოლოო, რამდენადაც შეუძლებელია იპოვო ორი პოზიცია, რომლებიც აბსოლუტურად ერთნაირი იქნებოდა, ე.ი. სოციალურ

სივრცესა და დროში ერთმანეთს დაემთხვეოდნენ. მიუხედავად ამისა, Habitus-ის ჰომოლოგიურობა ჯგუფური და კლასობრივი ერთობების წარმოქმნის საფუძველში დევს, რომლისთვისაც იგი მასტრუქტურებელ ელემენტად გვევლინება.

5. სოციალური და პოლიტიკური ველის ურთიერთდამოკიდებულება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ველი ობიექტურ პოზიციებს შორის არსებულ მიმართებათა ერთობლიობაა. ეს მიმართებები ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ეს არ არის ინდივიდთა ურთიერთქმედება ან პიროვნებათშორისი კავშირები. პოზიციის დაკავება შეუძლიათ როგორც აგენტებს, ასევე ინსტიტუტებს. ნებისმიერ შემთხვევაში მათ აკავშირებთ ველის სტრუქტურა. სოციალურ სინამდვილეში არსებობენ რიგი ნახევრად ავტონომიური ველები (მაგალითად, მხატვრული, რელიგიური, უმაღლესი განათლების), რომელთაგან ყოველს თავისი საკუთარი ლოგიკა აქვს და აქტორებს ამ ველისათვის აუცილებელ ან მნიშვნელოვან შეხედულებებს უყალიბებს.

ბურდიეს მიაჩნია, რომ ველი არის ბრძოლის არენა: „ველი აგრეთვე არის ბრძოლის ველი“. ველის სტრუქტურა ერთდროულად „მხარს უჭერს და წარმართავს სტრატეგიას, რომელთა დახმარებით, ისინი, ვისაც ეს პოზიცია უკავია, კოლექტიურად ან ინდივიდუალურად მიისწრაფვიან, შეინარჩუნონ ან გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა და დაიმკვიდრონ იერარქიის ის პრინციპი, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელია მათი საკუთარი წარმოებისათვის“. ველი თავისებური კონკურენტული ბაზარია, სადაც კაპიტალის სხვადასხვა სახეობები (ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, სიმბოლური) გამოიყენება. სხვაზე მეტი მნიშვნელობა ძალაუფლების (პოლიტიკის) ველს აქვს; პოლიტიკური ველის ფარგლებში ძალაუფლებრივი ურთიერთობების იერარქია ყველა სხვა ველს ასტრუქტურირებს. ნებისმიერი ველის ანალიზისათვის ბურდიე სამსაფეხურიან პროცესს გვთავაზობს.

პირველ ეტაპზე ფიქსირდება ძალაუფლების ველის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და ნებისმიერი ველის პოლიტიკურ ველთან მიმართებას ვადევნებთ თვალს.

მეორე ეტაპზე, მოცემული ველის ჩარჩოებში, პოზიციებს შორის მიმართების ობიექტური სტრუქტურის გეგმას ვადგენთ.

მესამე ეტაპზე ველში განსხვავებული პოზიციების მქონე აგენტების ხასიათში გარკვევას უნდა შევეცადოთ.

განსხვავებული აგენტების ადგილები ველზე აგენტების რაოდენობითა და მათი კაპიტალის შეფარდებითი წონით განისაზღვრება. ბურდიე ველის აღწერისათვის სამხედრო ტერმინებს და სახეებს იყენებს: ხშირად მას „სტრატეგიულ საცეცხლე პოზიციებს, ბრძოლის ველზე ხელში ჩასაგდები და დასაცავი სიმაგრეების არენას“ უწოდებს.

სხვადასხვა სიკეთე-დოვლათთა – რომელთა მოსაპოვებლადაც ინდივიდები იბრძვიან, რათა სოციალურ ველში გარკვეული პოზიცია დაიკავონ – კვლევამ ბურდიე მიიყვანა დასკვნამდე, რომ დასახულ მიზანთა (სტრატეგიათა) მთელი სიმდიდრის, სიმრავლისა და მრავალსახეობის უკან სამი დიდი ჯგუფი, კაპიტალის სამი კატეგორია იმალება.

კაპიტალი საკუთარი და სხვისი ბედის კონტროლის უმთავრესი საშუალება და რესურსია. ბურდიე კაპიტალის ოთხ სახეს განიხილავს. ეს ცნება ნასესხებია ეკონომიკის სფეროდან:

ეკონომიკური კაპიტალის მნიშვნელობა სიმდიდრე-სიღარიბესთან ასოცირდება, კულტურული კაპიტალი ლეგიტიმური (საზოგადოებაში აღიარებულ) ცოდნის სხვადასხვა სახეებს გულისხმობს;

სოციალური კაპიტალი ადამიანებისათვის ღირებული ურთიერთობებისაგან შედგება;

სიმბოლური კაპიტალი ღირსებისა და პრესტიჟისაგანაა წარმოებული.

ეკონომიკური კაპიტალი – მატერიალურ სიკეთე-დოვლათთა ფლობა, რომელსაც, თუ ნებისმიერი საქონლის საყოველთაო ეკვივალენტის მათეულ როლს გავითვალისწინებთ, შეიძლება ფული, აგრეთვე, ნებისმიერი საქონელი ამ სიტყვის ფართო გაგებით მივაკუთვნოთ, თუ იგი სოციალურ ველში უპირატესობის მქონე ადგილის დაკავებაში გვეხმარება.

კულტურული კაპიტალი – განათლება (საშუალო, პროფესიული, სპეციალური) და შესაბამისი დიპლომი, აგრეთვე ინდივიდის ის კულტურული დონე, რომელიც მან ოჯახისაგან მიიღო მემკვიდრეობით და სოციალიზაციის პროცესშია ათვისებული.

სოციალური კაპიტალი – სოციალური ჯგუფის კუთვნილებასთან დაკავშირებული რესურსები, მობილიზებადი სოციალური კავშირების ქსელი, რომლის გამოყენება სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა გარკვეული ძალაუფლების მქონე ჯგუფის მიერ, რომელსაც თქვენ მიერ გაწეული სამსახურისა თუ დამსახურების სანაცვლოდ(შესაბამისად), შეუძლია სამსახური – დახმარება გაგიწიოთ (ოჯახი, მეგობრები, ეკლესია, ასოციაციები, სპორტული ან კულტურული კლუბები და ასე შემდეგ).

სიმბოლური კაპიტალი – სოციალური კაპიტალის ნაირსახეობაა, რომელიც გარკვეული ავტორიტეტის, რეპუტაციის ფლობასთანაა დაკავშირებული. ეს თანასწორთა ჯგუფების და გარე ინსტანციების(პუბლიკის) მიერ თქვენი დამსახურებების აღიარების კაპიტალია, რომელსაც მათი მხრიდან აღიარების შემთხვევაში ვიღებთ.

აგენტებს შორის კაპიტალთა განაწილება სოციალურ სივრცეში ძალაუფლებისა და გავლენის განაწილების სახით ვლინდება. სოციალურ სივრცეში აგენტების(აქტორების) პოზიცია მათი კუთვნილი კაპიტალების მოცულობითა და სტრუქტურით განისაზღვრება.

ეკონომიკური და კულტურული კაპიტალი ძალაუფლების წყაროა მათთვის, ვინც მათ პერსონალურად ფლობს, რაც აგენტს ძალაუფლებას თუ უპირატესობას აძლევს იმათთან შედარებით, ვისაც ეს კაპიტალი ნაკლები ან სულაც არ აქვს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის აღნიშნული სახეები თამაშის არა მხოლოდ სტრატეგიული მიზანია, მისი მოგებაა, არამედ თავად თამაშში ჩართვის პირობაა.

აგენტები, რომელთაც მოცემული ველის ჩარჩოებში განსაზღვრული პოზიციები უკავიათ, განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ. ეს იდეა კვლავ მოწმობს, რომ აქტორებს ბურდიესთან გარკვეული თავისუფლებები აქვთ: „ჰაბიტუსი არ გამორიცხავს აგენტების მიერ სტრატეგიული გათვლის შესაძლებლობებს“, მაგრამ სტრატეგია ნიშნავს არა „გათვლილი მიზნების მიზანდასახულ და დაგეგმილ მიღწევას... არამედ ობიექტურად ორიენტირებული „ქმედების ხაზების“ აქტიურ ამოქმედებას, რომლებიც წესრიგს ემორჩილებიან და შეთანხმებულ და სოციალურად გასაგებ ნიმუშებს იმის მიუხედავადაც კი აყალიბებენ, რომ ისინი არ მისდევენ გაცნობიერებულ წესებს ან წინასწარ სტრატეგიულად დადგენილი და გააზრებული მიზნებისაკენ არ მიისწრაფვიან.

ბურდიე სახელმწიფოს მონოპოლიური ბრძოლის ადგილად თვლის. იგი არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სიმბოლურ ძალადობასაც მიმართავს. სიმბოლური ძალადობა ძალადობის „მსუბუქი“ ფორმაა – „ძალადობაა, რომელიც სოციალურ აგენტზე მისივე თანამონაწილეობით ხორციელდება“, სიმბოლური ძალადობა ირიბად, ძირითადად, კულტურის მექანიზმებით და სოციალური კონტროლის უფრო უშუალო ფორმების მეშვეობით ხორციელდება. ადამიანებზე სიმბოლური ძალადობის განმახორციელებელი მთავარი ინსტიტუტი განათლების სისტემაა. ძალაუფლების მფლობელნი ენას, მნიშვნელობებს, სიმბოლურ სისტემას მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს თავს ახვევენ. ეს არის ძალაუფლების მფლობელთა

პოზიციის დასაყრდენი, რამდენადაც ნიღბავს მათ ქმედებებს საზოგადოების დანარჩენი ნაწილისათვის და „გაბატონებულებს საკუთარი მდგომარეობის, როგორც ლეგიტიმურის მიიღების“ საშუალებას აძლევს. უფრო ზოგადად, ბურდიე მიიჩნევს, რომ განათლების სისტემა ღრმადაა ჩართული არსებული ძალაუფლებრივი და კლასობრივი მიმართებების კვლავწარმოების პროცესში. ბურდიეს შეხედულებების პოლიტიკური ასპექტი განსაკუთრებით ნათლად სიმბოლური ძალადობის შესახებ განაზრებებში ვლინდება.

ამგვარად, ბურდიეს აინტერესებს ადამიანების განთავისუფლება ამ ძალადობისაგან, უფრო გლობალურად კი – კლასობრივი და პოლიტიკური ბატონობისაგან. ამავე დროს, ბურდიე არ არის მიამიტი უტოპისტი. უფრო ზუსტი იქნება, თუ მის პოზიციას „გონიერ უტოპიზმს“ დავარქმევთ.

მართალია, ზემოთ ჩვენ მოკლედ გავაანალიზეთ სოციალური ველის ცნება, მაგრამ არაფერი გვითქვამს სხვა ველებთან მისი დამოკიდებულების შესახებ. ახლა, შეძლებისდაგვარად, მათი ურთიერთობების უფრო დაწვრილებით ანალიზს შევეცდებით. ბურდიე ობიექტური რეალიების როლის კვლევას ხომ სოციალური ველის კონცეფციის თანახმად ახორციელებს.

ბურდიეს აზრით, სოციალური ველი – ესაა ლოგიკურად გააზრებული სტრუქტურა, თავისებური გვარის გარემო, რომელშიც სოციალური ურთიერთობები და მიმართებები ხორციელდება. ამასთანავე, სოციალური ველი – ესაა რეალური სოციალური, ეკონომიკური და სხვა ინსტიტუტები, მაგ., სახელმწიფო ან პოლიტიკური პარტიაც კი. მაგრამ ამ შემთხვევაში ბურდიეს აინტერესებს არა ინსტიტუციონალური სტრუქტურები თავისთავად, არამედ სხვადასხვა პოზიციების და ინტერესების მქონე მოქმედ ადამიანთა შორის არსებული ობიექტური კავშირები – მათი დაპირისპირება ან თანამშრომლობა ველის სპეციფიკური სარგებლის და, უწინარეს ყოვლისა, ძალაუფლების, ეკონომიკური ან ინტელექტუალური რესურსების დაუფლება დომინირებადი პოზიციების დაკავების მიზნით.

პირობითად, მთელი სოციალური ველი შეიძლება რამდენიმე ველის – პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, რელიგიის და ა.შ. ველთა სახით წარმოვიდგინოთ. ბუნებრივია, რომ კონკრეტული ველი აგენტთა პრაქტიკის გარეშე არსებობას ვერ შეძლებს. ველის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არა უბრალოდ აგენტთა აქტივობა, არამედ ამ ველის წესების შესაბამისად მოქმედების განწყობაც, მათში გარკვეული ჰაბიტუსის არსებობა, რომელიც, როგორც ვიცით, თავის თავში, სოციალიზაციის გამოცდილებებისა და ველის წესების ცოდნასთან ერთად, მათი აღიარების მზაობას მოიცავს. ეს კი აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ ველი აგენტის წინაშე მუდამ უკვე არსებულ, მოცემულ რაიმედ წარმოდგება, კონკრეტულ ინდივიდუალურ პრაქტიკას კი ველის მხოლოდ კვლავწარმოება და გარდაქმნა შეუძლია. მაგალითად, პოლიტიკურ ველში აგენტთა კონკრეტული მოქმედებები ერთდროულად კიდევაც კვლავაწარმოებენ და გარკვეული ხარისხით სახესაც კი უცვლიან ველს. კვლავწარმოებული ველი შემდეგ, თავის მხრივ, პრაქტიკის ახლებურად მართვისათვის გვაძლევს შესაძლებლობებს და საშუალებებს ისე, რომ აგენტთა მოქმედებებს ნორმატიულ დავალებებს კარნახობს და შემდეგ პროცესი კვლავ და კვლავ მეორდება.

ველის კონცეფცია ბურდიეს საშუალებას აძლევს, აგენტის სოციალურ პრაქტიკაში ცნობიერი და სპონტანური გაითვალისწინოს, მოქმედებათა წარმოქმნა-დაბადების ორი პრინციპულად განსხვავებული მექანიზმი გამოაცალკევოს. ერთი მხრივ, ველის წესები თუნდაც მინიმალურ რაციონალურობას (მიზნების დასახვა, საშუალებების არჩევა, მიღწევები და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ, სპონტანურ ორიენტაციას გულისხმობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც რაციონალურად დასაბუთებულ პროექტებს ვაყენებთ და აგრეთვე

რაციონალურად აქტიურობას ვცდილობთ, როგორც ველის რეალური შესაძლებლობების, ისე ქვეყნის მოსახლეობის Habitus-ის გათვალისწინებაც აუცილებელია.

სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ ველის თავისებურებათა პრიზმაში წარმოდგენა რეალური დაპირისპირებებისა თუ ბრძოლების გაანალიზების საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია. ველი კონკრეტულ სოციალურ პრაქტიკებში გამოხატულ ყველაზე განსხვავებულ ძალთა ბრძოლების, კომპრომისების, კავშირების სივრცედ წარმოგვიდგება. ამასთანავე, ბრძოლის და კავშირების ურთიერთდამოკიდებულებები, მათი ხასიათი თვით მათში მონაწილე აგენტების ხასიათებს შორის არსებულ განსხვავებებზე დიდად არის დამოკიდებული. ველში ყოველგვარი კომპეტენტურობა (ეკონომიკური, პოლიტიკური, ინტელექტუალური და ა.შ.) არა უბრალოდ ტექნიკურ უნარს, არამედ კაპიტალს წარმოადგენს, აუცილებელ რაიმეს, რათა ფორმალურად არსებული პოტენციური უფლებებით და შესაძლებლობებით ყოველთვის ისარგებლო.

ბურდიეს თეორია პოლიტიკის ველში ძალაუფლების მოპოვებისათვის აუცილებელი პოლიტიკური რესურსებისა და საშუალებების განაწილების უფრო მრავალმხრივ გაანლიზების საშუალებას იძლევა. სოციოლოგის აზრით, პოლიტიკურ ველში კონკრეტული აგენტის შესაძლებლობები არა მხოლოდ მისი საკუთარი პოლიტიკური პოზიციით, არამედ სხვა ველებში დაკავებული პოზიციებითაც განისაზღვრება, რომლებიც კაპიტალის არსებობაზე არიან დამოკიდებული. ძირითადად, ეს ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სიმბოლური (პრესტიჟი, რეპუტაცია, სახელი და მისთანები) კაპიტალია. პოლიტიკურ ველში აგენტების მდგომარეობაზე გავლენას სხვადასხვა ცვლადები, უპირველეს ყოვლისა კი, იმ კაპიტალის საერთო მოცულობა, რომელსაც ისინი ფლობენ და აგრეთვე ამ კაპიტალთა შერწყმა ახდენს. კაპიტალი პოლიტიკოსებს შესაძლებლობას აძლევს, თავიდან მოიშორონ არასასურველი ადამიანები და, ამავე დროს, მათთვის სასურველ ადამიანებს დაუახლოვდნენ. ისინი კი, ვინც მოკლებულია კაპიტალს, პირიქით, დოვლათისა და ძალაუფლებისაგან შორს დგანან.

ამგვარად, პოლიტიკურ პროგრამებს და პოლიტიკურ ხდომილებებს პრაქტიკულად მხოლოდ ის აგენტები ახორციელებენ, რომლებიც საკმარის კაპიტალს ფლობენ. არსებითად ისინი მოქალაქეთა უმრავლესობის უფლებებს ექპროპრიაციას უწევენ, ვინაიდან აგენტები, რომლებიც მოკლებულნი არიან კაპიტალს, იძულებულნი არიან აირჩიონ მხოლოდ ის, რაც მათ მიეწოდებათ – ხშირად კი ეს შეიძლება მანიფესტაციებში სტატისტის ან პროფესიონალი პოლიტიკოსის განცხადებების მსმენელის როლი აღმოჩნდეს.

კრიზისული პერიოდის გარდა, პოლიტიკური აქციების წარმოება პროფესიონალების მონოპოლიაა. „რამდენიმე ადამიანის ხელში პოლიტიკური კაპიტალის კონცენტრაციას მით უფრო ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება და, მაშასადამე, მით უფრო მეტად შესაძლებელია, რაც უფრო მოკლებულნი არიან პარტიის ჩვეულებრივი წევრები იმ მატერიალურ და კულტურულ ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკაში აქტიური მოქმედებებისათვის, სახელდობრ თავისუფლ დროს და კულტურულ კაპიტალს“. აქედან, ბურდიე დაასკვნის, რომ პოლიტიკის ბაზარი „ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებთავისუფალი ბაზართაგანია.“

ამგვარად, თუ აგენტებს არ აქვთ ასეთი ინსტრუმენტები, კაპიტალები, რათა ამ ბაზრით ისარგებლონ, მაშინ მათ სხვა არჩევანი არ რჩებათ გარდა იმისა, რომ, ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის ან პარტიის სასარგებლოდ, თავიანთ უფლებებზე უარი თქვან. რაც შეეხება პოლიტიკური მოძრაობის თუ სახელისუფლო სტრუქტურების ხელმძღვანელ აგენტებს, მაშინ ისინი მათ და მათდამი დელეგირებულ უფლებებს, როგორც პოლიტიკური სივრცის დაუფლების ძლიერ საშუალებას, არსებითად იყენებენ, რითაც რიგით მოქალაქეებს სულ უფრო შორდებიან.

6. ჰაბიტუსისა და ველის კონცეფციის გამოყენება პრაქტიკაში: „Homo Academicus“ – მეცნიერების სოციოლოგია

შრომაში „Homo Academicus“ ბურდიე (1984 წ) სხვადასხვა მიზნებს ისახავს, მაგრამ ერთ-ერთის განხორციელებას იგი იმით ცდილობს, რომ თავის თეორიულ არსენალს ფრანგული აკადემიური სამყაროს გასაანალიზებლად იყენებს. ბურდიე აქ ჩვენთვის ნაცნობ იდეებს გამოთქვამს:

„უნივერსიტეტის ველი, როგორც ნებისმიერი სხვა, არის ლეგიტიმური წევრობის და ლეგიტიმური იერარქიის პირობებისა და კრიტერიუმების განსაზღვრისათვის ბრძოლის ადგილი, ე. ი. იმის დადგენისათვის, თუ როგორ თვისებებს შეუძლიათ ეფექტურად, მოხერხებულად და კანონიერად იმ კაპიტალის ფუნქციების შესრულება, რომელსაც ველის მიერ გარანტირებული განსაკუთრებული სარგებელი მოაქვს“ (ციტ: Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр.467).

კერძოდ, ბურდიეს სხვადასხვა აკადემიური სფეროების ობიექტურ მდგომარეობასა (ადგილს) და მათ შესატყვის ჰაბიტუსებს შორის ურთიერთკავშირი და ბრძოლა აინტერესებს. გარდა ამისა, ბურდიე აკადემიური ველის და მასში მიმდინარე პროცესების, ძალაუფლების უფრო ფართო ველთან დააკავშირებას ესწრაფვის.

ბურდიე ასკვნის, რომ ფრანგული აკადემიური სამყარო კანონისა და მედიცინის ყველაზე გავლენიან ველებსა და მეცნიერების და, ნაკლები ხარისხით, ხელოვნების ქვემდებარე ველებს შორისაა განაწილებული. ასეთი დანაწევრება შეესატყვისება ძალაუფლების ველის დაყოფას, რომელშიც ის, ვინც ფლობს სოციალურ კომპეტენტურობას, გარკვეული დროის მონაკვეთში იკავებს გაბატონებულ და მადომინირებელ მდგომარეობას, ხოლო მეცნიერული კომპეტენტურობის მფლობელნი კი სოციალური პლანით დაქვემდებარებულ პირებად გვევლინებიან. მაგრამ საკითხი არსებითად რთულდება იმით, რომ აკადემიური სამყარო ერთდროულად როგორც სოციალურ (რომელიც ძალაუფლების ველს, აგრეთვე სოციალური სტრატიფიკაციის სისტემას ასახავს, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება ბატონობს), ისე კულტურულ (რომელიც მეცნიერული ავტორიტეტისა და ინტელექტუალური გამორჩეულობისაგან წარმოებული თუ წარმოშობილი კულტურული კაპიტალით იმართება) იერარქიას წარმოადგენს. კულტურულ სფეროში აკადემიური დისციპლინების იერარქიას საპირისპირო ხასიათი აქვს: მეცნიერება იმყოფება მწვერვალზე მაღლა, კანონი და მედიცინა კი უფრო დაბალ ადგილებს იკავებენ. ამგვარად, ფრანგულ საუნივერსიტეტო სისტემაში ეკონომიკურ-პოლიტიკურ და კულტურულ ველებს შორის დაპირისპირება და ოპოზიცია შეიმჩნევა.

ეს ბრძოლა არა მხოლოდ ცალკეულ სფეროებს, არამედ ჰუმანიტარული და ბუნებისმეცნიერების ფაკულტეტის ჩარჩოებს შორისაც კი მიმდინარეობს, რომლებიც სოციალურსა და მეცნიერულს შორის მუდმივი განხეთქილება-დაძაბულობის ზეწოლას განიცდიან. „საუნივერსიტეტო ძალაუფლების ორი ფორმის ბრძოლაზე დასაკვირვებლად პრივილეგირებულ პოზიციას“ სწორედ ეს ფაკულტეტი იკავებს. ამ ფაკულტეტის წევრის სოციალური (ან აკადემიური) ძალაუფლება უნივერსიტეტში, როგორც ლეგიტიმური ცოდნის გადაცემის ინსტიტუციაში, მათ მიერ შესრულებული როლებისაგან მომდინარეობს. თავიანთ კაპიტალს ისინი უნივერსიტეტის ჩარჩოებში საგანმანათლებლო პროცესზე კონტროლისა და აკადემიური მეცნიერების შემდეგი თაობების ფორმირება-აღზრდის წყალობით იძენენ. ფაკულტეტის სხვა წევრები კი ფლობენ მეცნიერულ ძალაუფლებას, რომლის წყაროც მათ განსაკუთრებულ სფეროებში მათივე ინტელექტუალური რეიტინგისა თუ ცნო-

ბადობისაგან მიმდინარეობს. აკადემიურ მეცნიერთა ეს ორი სახე ფრანგული საუნივერსიტეტო სისტემის ველის ჰუმანიტარული და ბუნებისმეცნიერების ფაკულტეტის ჩარჩოებში იბრძვიან ძალაუფლებისათვის.

როგორი სახის კაპიტალსაც არ უნდა ფლობდეს მეცნიერი, მის შესაძენად დროა საჭირო. კაპიტალის მოპოვებისა თუ შეძენის პროცესს ფაკულტეტის ავტორიტეტულ პროფესურას, დოქტორანტებს და უმცროს თანამშრომლებს შორის, რომლებიც მათი ადგილების დაკავებას ესწრაფვიან, ურთიერთობების ძალაუფლებრივ დინამიკასთან მივყავართ. ძალაუფლების მქონენი დოქტორანტებზე, რომლებიც მორჩილნი და დამჯერნი უნდა იყვნენ, კონტროლს ახორციელებენ. მაგრამ ამ პროცესში დოქტორანტებიც ასევე მონაწილეობენ. როგორც ბურდიე წერს, „ანკესზე ის წამოეგება, ვინც წყალშია". წამყვანმა მასწავლებლებმა ახალგამომცხვარი აკადემიური პერსონალის მიერ დამოუკიდებელი სტატუსის ძალიან სწრაფი მოპოვება არ უნდა დაუშვან, მაგრამ, ამავე დროს, არც ისე უნდა დათრგუნონ ისინი, რომ იმედგაცრუება გამოიწვიონ მათში და მათთან კონკურენციაში მყოფ პროფესორებთან წავიდნენ სამუშაოდ. პროფესორზე დაქვემდებარებულ პირთა (დოქტორანტთა, უმცროს მეცნიერთა) რაოდენობა და ავტორიტეტი ხელს უწყობს პროფესორის პრესტიჟის ამაღლებას. გარდა ამისა, სტუდენტების დიდი რაოდენობა ხელს უწყობს სხვა სტუდენტების მოზიდვას და სასწავლო თუ კვლევით პროცესებში ჩაბმას. ასეთი და სხვა საშუალებებით „კაპიტალი ქმნის, ბადებს კაპიტალს“ (Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр.468).

პატივმოყვარე სტუდენტებს პატივმოყვარე მასწავლებლები იზიდავენ, რის შედეგადაც მათი დაახლოება, გაცილებით დიდი ხარისხით, უფრო სოციალურ, ვიდრე ინტელექტუალურ ხასიათს ატარებს.

ამ მაგალითს ბურდიე საუნივერსიტეტო სისტემის ინტელექტუალური უსახურობის (საშუალობის) კრიტიკისათვის იყენებს. წარმატებას რომ მიაღწიოს, ადამიანი უფრო კონფორმისტი უნდა იყოს, ვიდრე ნოვატორი. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ აკადემიური ძალაუფლების გაძლიერებაზე (მაგალითად, კომისიებში მონაწილეობის საშუალებით) დახარჯული დრო, ინტელექტუალური საქმიანობებისთვის წართმეული დროა. აკადემიური ძალაუფლების დაგროვება და შენარჩუნება დიდ დროს მოითხოვს – დროს, რომელიც შეუძლებელია უფრო ინტელექტუალურ საქმიანობასა თუ კვლევა-ძიებებს მივუძღვნათ. ბურდიეს აზრით, საქმის ასეთი ვითარება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აკადემიურ მეცნიერთა შეგნებული არჩევანის შედეგი, ყველაზე მეტად ეს აკადემიურ გარემოში არსებული თანამდებობების ურთიერთქმედების დინამიკისაგან წარმოიქმნება.

უფროს და უმცროს აკადემიურ მეცნიერთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ბურდიე ასევე 1968 წელს საფრანგეთში მომხდარი აკადემიური რევოლუციის გასაანალიზებლად იყენებს. აკადემიური სისტემის ზემოთ აღწერილ კომფორტულ პირობებში აღზრდილი უფროსი მასწავლებლები არ იყვნენ მზად გამკლავებოდნენ კარს მომდგარ მღელვარებებს. ზოგიერთმა ახალმა კი, თავის მხრივ, უარი თქვა, ეცადა დიდხანს და მოთმინებით, როგორც მისი წინამორბედნი ელოდნენ. ამგვარად, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი მასწავლებლები შენარჩუნებულ, დაცულ ჰაბიტუსსა და ველის ცვალებად ხასიათს შორის არსებულ კონფლიქტს შეეჯახნენ. უფროსი თაობის პროფესორები და მასწავლებლები „სოციალურად მუდმივ მასწავლებელთა შემადგენლობის დაცვის ყოველგვარი შეგნებული განწყობის გარეშე“ აგრძელებდნენ მუშაობას. მათ აღაშფოთებდათ ახალთა რაოდენობა, რომლებიც, მოსალოდნელი შენატანებისა თუ დანახარჯების გადახდის გარეშე იკავებდნენ აკადემიურ სფეროში ადგილს. ისინი ისეთ მოსულებად განიხილებოდნენ, რომლებმაც „დაბალი ფასების“ მეშვეობით მოიპოვეს პოზიციები. სწორედ პროფესორ-

მასწავლებელთა შემადგენლობის ეს ახალი წევრები, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური თანამდებობები ეკავათ, სტუდენტებთან გაერთიანდნენ, რათა რევოლუცია მოეხდინათ.

მაგრამ ბურდიე თვლის, რომ კონფლიქტი არა პროფესორ-მასწავლებელთა ძველ და ახალ წევრებს შორის, არამედ ახალგაზრდა მასწავლებელთა ორ დაჯგუფებას შორის მოხდა. ერთი მხრივ, არსებობდნენ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ახალგაზრდა წევრები, რომლებმაც კარგად აითვისეს უფროსი თაობის ჰაბიტუსი და, შესაბამისად, აკადემიურ იერარქიაში წინ წაწევის შესაძლებლობაც ჰქონდათ. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად განეწყვნენ ახალგაზრდა მასწავლებელთა მეორე ჯგუფის წევრები, რომლებსაც სხვა ჰაბიტუსი ჰქონდათ, რაც იმის შედეგს წარმოადგენდა, რომ მათ სამომავლო კარიერის გაეკეთების რაიმე ხელშესახები საფუძველი თითქმის არ ჰქონდათ (გასაგებია, რომ ისინი, ვინც თავიანთ შანსებს წარმატებაზე ბლოკირებულად თვლიან, გამოვლენ და პროტესტს განაცხადებენ).

გარდა ამისა, ბურდიე ამტკიცებს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სხვადასხვა ჯგუფებმა კრიზისზე განსხვავებული რეაგირება მოახდინეს. ჯგუფები, რომელთა მონაწილეობა ყველაზე რეალური იყო, „იმ სტუდენტთა თავშესაფრად იქცნენ, რომლებიც სისტემის ადრინდელ მდგომარეობაში მასში დაშვებული არ, ან გარიცხულნი იქნებოდნენ. ის ადამიანები, რომლებმაც ვერ შეძლეს შეგუება ან ბუნდოვანი და არანათელი მოლოდინები ჰქონდათ, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ კრიზისში მონაწილეობას მიიღებდნენ. კრიზისის დაწყებაში ძირითადი როლი სოციოლოგიამ ითამაშა, არა მხოლოდ ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, არამედ იმის გამოც, რომ მან გაბატონებული კლასებიდან ის სტუდენტები მიიზიდა, რომლებიც დაბალ აკადემიურ მოსწრებას ფლობდნენ“. სწორედ სოციოლოგიის ასეთი სტუდენტები შევიდნენ კონტაქტში იმ მასწავლებლებთან, რომელთა კარიერული გეგმები უმნიშვნელო იყო და სწორედ ამის შედეგად მიღებულმა ურთიერთქმედებამ ბუნტის გათამაშებაში ძირითადი როლი შეასრულა, როგორც ბურდიე წერს, „სტუდენტებსა და დაბალი აკადემიური დონის მასწავლებლებს შორის სტრუქტურული სიახლოვე არსებობდა“. ისინი ერთად არა შეგნებულად, არამედ შესაბამის სფეროებში (სტუდენტურსა და პროფესორ-მასწავლებელთა) მათი ჰაბიტუსების და პოზიციების მსგავსებისა გამო წავიდნენ“ (Ритцер Дж. 2002; гл. 5. стр.470).

7. „განსხვავება“ – კულტურის სოციოლოგია – გემოვნების სახეები

„განსხვავება“ – ამ ნაშრომში ბურდიე, სხვა საკითხების გვერდით, ცდილობს აჩვენოს, რომ კულტურა მეცნიერული კვლევის სავსებით კანონიერი ობიექტი შეიძლება იყოს. ის კულტურის, „მაღალი კულტურის“ აზრით (მაგალითად, უპირატესობა მიანიჭოს კლასიკურ მუსიკას), კულტურის ანთროპოლოგიურ (მისი ყველა, როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფორმების გათვალისწინებით) გაგებასთან გაერთიანებას ცდილობს. კერძოდ, თავის ნაშრომში, ჭამა-სმასთან შედარებით, უპირატესობას დახვეწილ საგნებს ანიჭებს.

ველისა და ჰაბიტუსის სტრუქტურული ინვარიანტულობის გამო, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიერ კულტურული უპირატესობების მინიჭება (განსაკუთრებით, კლასებისა და მისი ცალკეული სექტორების მიერ) შეთანხმებულ სისტემებს ქმნის. ბურდიეს ესთეტიკური „გემოვნების“ განსხვავებების ფორმირების პროცესი აინტერესებს და განსხვავებებს შეძენილ მიდრეკილებებზე დაყრდნობით იკვლევს. გემოვნება პრაქტიკით ყალიბდება, რაც კერძოდ ხელს უწყობს ინდივიდს, სოციალურ წესრიგში თავისი ადგილის შეგრძნება შეიძინოს და ეს ადგილი სხვა ადამიანების ადგილებთან მიმართებაში განსაზღვროს. გემოვნება ადამიანთა გაერთიანებას ემსახურება, ერთნაირი გემოვნება აერთია-

ნებს და სხვა გემოვნების მქონე ადამიანებისაგან განასხვავებს. ამგვარად, „გემოვნების-“პრაქტიკული გამოყენებით საგნების კლასიფიკაცია და ამ პროცესში ადამიანთა კლასიფიკაციაც ხორციელდება. ჩვენ შეგვიძლია ადამიანები, თავიანთი გემოვნების მიხედვით, გარკვეულ კატეგორიებს, მაგალითად, იმის მიხედვით მივაკუთვნოთ, თუ რომელ მუსიკას ან ფილმებს ანიჭებენ ისინი უპირატესობას. ეს პრაქტიკა, ასევე სხვებიც, ურთიერთმიმართებებში, ე.ი. მთლიანობაში უნდა განვიხილოთ.

გემოვნებითი უპირატესობების გამოკვლევებში ბურდიეს ორი ურთიერთდაკავშირებული ველის განხილვა აქვს ჩართული: კლასობრივი ურთიერთობები (განსაკუთებით, გაბატონებული კლასის სხვადასხვა ჯგუფებს შორის) და კულტურული ურთიერთობები. ბურდიე ორივეს, როგორც პოზიციებს განიხილავს, სადაც გარკვეული „თამაშები“ მიმდინარეობს. გარკვეული პოზიციების მქონე აგენტების ქმედებები (ინდივიდუალური ან კოლექტიური), ველის სტრუქტურით, პოზიციების ხასიათითა და მასთან დაკავშირებული ინტერესებითაა განსაზღვრული. თამაში ასევე თვითოპოზიციონირებისა და სტრატეგიის ფართო დიაპაზონის გამოყენებას გულისხმობს, რაც ვიღაც-ვიღაცებს თამაშებში თავის გამოჩენის უფლებას აძლევს. მიდრეკილება – ესაა შესაძლებლობა, ერთდროულად კიდეც შეიგრძნო და კიდეც დაიცვა საკუთარი ადგილი ველზე. მაგრამ სოციალური კლასის ველს ამ თამაშში მონაწილეობის უნარზე ღრმა ზემოქმედება შეუძლია – მაღალ კლასებს წარმატების ბევრად მეტი უნარი აქვთ, ვიდრე დაბალ კლასებს. ამგვარად, კულტურის ნაწარმოებების სამყარო სოციალური კლასების იერარქიებთანაა დაკავშირებული და, იმავდროულად, თავადაც იერარქიულნიც არიან და იერარქიის შემოქმედნიც.

ნათელია, რომ ბურდიე გემოვნებას საკუთარი თეორიის მეორე მნიშვნელოვან ჰაბიტუსის ცნებასთან აკავშირებს. გემოვნების ფორმირებას ეს ღრმად ფესვგადგმული და გრძელვადიანი დისპოზიციები უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე ზედაპირული შეხედულებები და დებულებები. ადამიანების მიერ, ისეთ სფეროებში, როგორიცაა კულტურის ყოფითი ასპექტები, ტანსაცმელი, ავეჯი ან კერძის მომზადება, მინიჭებული უპირატესობებიც კი ჰაბიტუსით ყალიბდება. სწორედ ეს დისპოზიცია „ქმნის კლასების ქვეცნობიერ ერთიანობას“. შემდეგ ბურდიე ამას უფრო ნათლად აყალიბებს: „გემოვნება – ეს არის სინათლე, რომლის დახმარებით ერთი ჰაბიტუსი მეორე ჰაბიტუსთან თავის გვაროვნულ მსგავსებას ამტკიცებს“. კლასის სტრუქტურას ჰაბიტუსი აყალიბებს, რა თქმა უნდა, დიალექტიკურად.

თუმცა ბურდიესათვის ველსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ჰაბიტუსსაც, მაგრამ სწორედ მათ დიალექტიკურ ურთიერთკავშირს აქვს უდიდესი მნიშვნელობა და აზრი: ველი და ჰაბიტუსი ერთმანეთს განსაზღვრავს. დისპოზიცია, რომელიც ქმნის ჰაბიტუსს, მხოლოდ ველში, ველთან ურთიერთკავშირში ყალიბდება, ფუნქციონირებს და მოქმედებს, რომელიც თავად არის „შესაძლებელ ძალთა ველი“, „დინამიკური“ სიტუაცია, სადაც ძალები მხოლოდ გარკვეულ დისპოზიციებთან კავშირში ვლინდებიან. ამიტომ, ერთმა და იმავე პრაქტიკებმა განსხვავებულ ველსა და ველთა კონფიგურაციებში ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობები და ღირებულებები შეიძლება მიიღონ.

ანუ, როგორც ბურდიე განაზოგადებს, „სოციალურ პოზიციებსა და მათი ავტორების დისპოზიციებს შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს“. სწორედ ჰაბიტუსისა და ველის ურთიერთკავშირებს ეფუძნება პრაქტიკები, კერძოდ, კულტურული პრაქტიკები.

ბურდიე კულტურას თავისებურ ეკონომიკად ან ბაზრად მიიჩნევს. ამ ბაზარზე ადამიანები არა ეკონომიკურ, არამედ კულტურულ კაპიტალს იყენებენ. ეს კაპიტალი მნიშვნელოვანწილად სოციალურ-კლასობრივი წარმომავლობისაა და ადამიანთა აღზრდა – განათლების შედეგია. ბაზარზე ადამიანები კაპიტალის მეტ-ნაკლებ სიდიდეს იძენენ და მას

საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხარჯავენ ან კარგავენ და ამ გზით საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას იუარესებენ.

ადამიანები მისდევენ კულტურის ველების ფართო დიაპაზონს – და ირჩევენ სასმელებს, რომელსაც სვამენ (პეპსი თუ კოლა), ავტომობილებს, რომლებსაც ატარებენ („მერსედეს-ბენცი“ ან „ფორდ-ესკორტი“), გაზეთებს, რომლებსაც კითხულობენ („ნიუ-იორკ ტაიმსი“ ან „იუესეი თუდეი“) ან ადგილებს, სადაც ისვენებენ (ფრანგული რივიერა ან დისლეილენდი). განსხვავებები ობიექტურად ჩადებულია ამ პროდუქტებში და ისინი ხელახლა აქტიურდებიან, როდესაც მათ იყენებენ. ბურდიე ვარაუდობს, რომ „ამ ველთა ერთობლიობა განსხვავებების უსასრულო რაოდენობას იძლევა“. გარკვეული კულტურული საქონლის შეძენა (მაგალითად „მერსედეს-ბენცის“) მოგებას იძლევა, მაშინ, როდესაც სხვა საქონელი (მაგალითად „ფორდ-ესკორტი“) არ იძლევა მოგებას, შეიძლება წამგებიანიც კი იყოს.

ბურდიე ცდილობს აგვიხსნას, რომ ის არ ჰბაძავს ტორსტეინ ვებლენის დემონსტრაციული მოხმარების თეორიას და არ ამტკიცებს, რომ „ნებისმიერი ადამიანური ქცევის მამოძრავებელი განსხვავებულისაკენ სწრაფვაა“. მისი ძირითადი თეზისი შემდეგში მდგომარეობს: „სოციალურ სივრცეში არსებობა, გარკვეული ადგილის დაკავება ან სოციალურ სივრცეში ინდივიდუალობის შენარჩუნება ნიშნავს, იყო განსხვავებული, იყო სხვა... ... განსახილველ სივრცეში ჩართული ადამიანი... აღქმით, კლასიფიკაციის სქემებით, გარკვეული გემოვნებით ხასიათდება, რაც მას საშუალებას აძლევს, განსხვავდებოდეს, გამოცალკევდებოდეს, იცნობოდესო. მაგალითად, ადამიანი, რომელიც როიალს ანიჭებს უპირატესობას, განსხვავდება იმისაგან, ვისაც აკორდეონი აქვს. ის ფაქტი, რომ ერთი არჩევანი (როიალი) – განსაკუთრებულ, ხოლო მეორე (აკორდეონი) ჩვეულებრივ რამედ ითვლება, იმათ მიმართ, ვისაც სხვა აზრი აქვს, გარკვეული გაბატონებული თვალსაზრისისა და სიმბოლური ძალადობის შედეგია.

კულტურის პროდუქტების ხასიათსა და გემოვნებას შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი არსებობს. ცვლილებები კულტურის პროდუქტებში იწვევს ცვლილებებს გემოვნებაში, მაგრამ ცვლილებები გემოვნებაში, სავარაუდოა, კულტურის პროდუქტებში ცვლილებებს გამოიწვევენ. ველის სტრუქტურა კულტურის პროდუქტების მომხმარებელთა არა მხოლოდ სურვილებს განაპირობებს, არამედ მრეწველების საქმიანობაზეც ზემოქმედებს.

ცვლილებები გემოვნებაში (ბურდიე ყველა ველს დროში განიხილავს) როგორც კულტურულ (მაგალითად, ძველი და ახალი მოდის მიმდევრები), ასევე კლასობრივ (გაბატონებული კლასის ჩარჩოებში მმართველ და მართულ ჯგუფებს შორის) არენაზე ოპოზიციური ძალების ბრძოლითაა გამოწვეული. მაგრამ ამ ბრძოლის ცენტრი კლასობრივ სისტემაშია, ხოლო კულტურული ბრძოლა, მაგალითად, მხატვრებსა და ინტელექტუალებს შორის, გაბატონებული კლასის ჯგუფებს შორის კულტურის განსაზღვრისათვის დაუსრულებელ ბრძოლას ასახავს, სინამდვილეში კი მთელი სოციალური სინამდვილისათვის ბრძოლაა. დაპირისპირებას გემოვნებასა და ჰაბიტუსებში სწორედ კლასობრივ სტრუქტურებში არსებული ოპოზიციები განაპირობებენ.

კულტურული კაპიტალის ინკორპორაცია ინდივიდის მიერ კულტურული ღირებულებების ათვისებას ნიშნავს, რადგან მისი დელეგირება შეუძლებელია, თუმცა ეს ათვისება ცნობიერად არ ხდება. ცხადია, ის ბავშვები, რომლებსაც მშობლები მუზეუმიდან მუზეუმში „დაათრევენ“, კულტურული კაპიტალის დიდ რაოდენობას იღებენ.

კულტურული კაპიტალის ობიექტივაცია რაიმე კულტურული ღირებულებების შეძენას (მაგალითად, მხატვრული ტილოს შეძენა) ნიშნავს. ამიტომ თავის გაობიექტივებულ ფორმაში კულტურული კაპიტალი განსაკუთრებულად მჭიდროდაა ეკონომიკურ კაპი-

ტალთან დაკავშირებული, რადგან განსაზღვრული სიმდიდრის გარეშე კულტურული სიმდიდრის გაობიექტივება შეუძლებელია.

კულტურული კაპიტალის ინსტიტუციონალიზაცია – ესაა პრესტიჟი, სახელი, წოდება (მაგალითად: უნივერსიტეტის პრესტიჟი), ტიტული არის კიდეც კულტურული კომპეტენციის ნიშანი.

განსხვავებები – გემოვნება არ არის არც ინდივიდუალური, და არც პიროვნული დამსახურება – ქმნილებაა, იგი, თავისი ბუნებით, სოციალური და საზოგადოებრივია. ეს განსხვავებები, თუნდაც ყველაზე მცირე, ბუნებრივი კი არა, არამედ კონსტრუირებული, ანუ აგებულია. სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რას და როგორ მიირთმევ, ვისთან მეგობრობ და ა.შ. ვნახოთ ზოგიერთი მაგალითი პრაქტიკული ცხოვრებიდან: „შამპანურის მსმელი ადამიანები, ვისკისა და წითელი ღვინის მსმელი ადამიანების საწინააღმდეგო მხარეს დგანან. შამპანურის მსმელ საზოგადოებას, ვისკის მსმელებთან შედარებით – ღვინის მსმელებზე რომ არაფერი ვთქვათ – უფრო დიდი შანსი აქვს, ფლობდეს უძველეს ავეჯს, თამაშობდეს გოლფს, ჯირითობდეს და თეატრების ხშირი მაყურებელი იყოს“. ამგვარი რამ ხაზს უსვამს იმას, თუ რომელი სოციალური სფეროს, ფენის წარმომადგენელი ხართ, რა წარმომავლობა გაქვთ და როგორ ჰაბიტუსს ფლობთ.

ბურდიე გემოვნების სამ ტიპს გამოყოფს:

a. ლეგიტიმური გემოვნება.

b. საშუალო დონის გემოვნება.

c. პოპულარული გემოვნება.

სამივე „მუსიკის“ სიყვარულთანაა დაკავშირებული. მაგალითად: ლეგიტიმური გემოვნებისათვის – ბახის მუსიკა, საშუალოსათვის – გერშვინის, ხოლო პოპულარულისათვის შტრაუსის მუსიკაა დამახასიათებელი. მუსიკის სმენის კულტურა ბურდიესათვის საზოგადოებაში კლასთა დიფერენცირების კარგი მაჩვენებელი და ინდიკატორია. „ის, ვინც ისეთ ოჯახში იზრდება, სადაც მუსიკას არა მხოლოდ რადიოსა და სტერეოაპარატურის მეშვეობით ისმენს, არამედ მისი პრაქტიკულად შესრულება „მუსიკალურ დედას“ შეუძლია და პატარაობიდანვე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას სწავლობს, ის ნამდვილი მუსიკის განკარგულებაშია“. მუსიკის გარდა, ბურდიე გემოვნებას კულტურის ისეთ სფეროებსაც უკავშირებს, როგორებიცაა: თეატრი, კონცერტები, კინოფილმები, ჭამა-სმა, ტანსაცმელი და სხვა. ამ სამი ტიპის „გემოვნებით“ ბურდიე ახალი კლასობრივი დიფერენციაციის არსებობას ასაბუთებს. აქ „კლასი“ არა მხოლოდ ეკონომიკური ნიშნით, არამედ კულტურული ნიშნითაც გაიგება.

ლეგიტიმური გემოვნება, როგორც ლეგიტიმური კულტურა, განათლებისა და მსხვილი ბურჟუაზიის კულტურულ პრაქტიკას ასახავს, რომლებიც ერთად გაბატონებულ კლასს ქმნიან. აქ ბურდიე ერთმანეთისაგან ინტელექტუალებსა და ბურჟუაზიას განასხვავებს. ამ უკანასკნელთათვის მოხმარება არის უმთავრესი და პრესტიჟული. მათთვის „საგნობრივი“ საფუძველი უფრო ღირებულია, ვიდრე საშუალო დონის განათლება, ინტელექტუალისათვის კი პირიქით.

საშუალო გემოვნება დამახასიათებელია იმ ჯგუფებისათვის, რომლებშიც მასწავლებლები და გამყიდველები შედიან, ხოლო პოპულარული გემოვნების მატარებლები კი გლეხები არიან. ამ ორივე ჯგუფისათვის უპირატესობის მქონე ნატურალური და რეალური გამოხატულებებია.

დაბალი ფენის წარმომადგენლებს „ესთეტიკა“ ისე ესმით, როგორც ეს კალენდრებსა და პოსტერებზეა აღბეჭდილი. მაგ., მზის ჩასვლა ან კატასთან მოთამაშე გოგონას სურათი – ყველაფერი ლამაზი, მდიდრული და სასიამოვნო.

ჭამა-სმის კულტურა ის ერთ-ერთი სფეროა, სადაც მოსახლეობის დაბალი ფენები ლეგიტიმური ცხოვრებისა და კულტურის მატარებელ სოციალურ ფენებს ნათლად უპირისპირდებიან. იცხოვრო კარგად – ეს მხოლოდ ნოყიერად ჭამა-სმას კი არ ნიშნავს, არამედ თავისუფალ ურთიერთობაში იყო ხალხთან და როდესაც ურთიერთუპატივცემულობა და უარყოფა გაქრება, ამ ურთიერთობას შეიძლება „ჭამა-სმის“ სიმბოლიზაციის სახე მიეცეს.

ბურჟუაზიული ფენის ჭამა-სმის ჩვეულება არა ჯგუფური მოვლენა, არამედ საზოგადოებრივი ცერემონიის ინსცენირებაა. ის აუცილებლობაზე კი არა, დახვეწილ გემოვნებაზეა დამოკიდებული, ცერემონია ფორმალური უნდა იყოს.

ბურდიე წვრილი ბურჟუაზიის ანალიზისას მას სამ ფენად ჰყოფს:

1) ჩამოქვეითებული ბურჟუები, „ხელოსნები“ – ისინი უარყოფენ ყველაფერ ახალს, მოდურს; მოსწონთ ძველი, ტრადიციული მომღერლები, შემსრულებლები და ა.შ.

2) საკუთრივ წვრილი ბურჟუები (ტექნიკოსები და სკოლის მასწავლებლები) ავეჯს მაღაზიებში იძენენ და იმპროვიზებული ვახშმობები მოსწონთ.

3) ახალი წვრილი ბურჟუები (ახალი კულტურის შემქმნელები) უფრო მეტად ინტელექტუალურ ფილმებს უყურებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბურდიე თვლის, რომ გემოვნება არის არა ინდივიდუალური და პიროვნული, არამედ საზოგადოებრივი მახასიათებელი და ნიშანი. „მითხარი რას ჭამ, რომელ სპორტს მისდევ, როგორია შენი ბინის მოწყობილობა და ავეჯი, და გეტყვი, თუ რომელ ბურჟუაზიულ ფენას მიეკუთვნები და ხარ თუ არა საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელიო.

ბურდიე ჰაბიტუსისა და ველის დიალექტიკური ურთიერთკავშირის კონტექსტის ჩარჩოებში ქმედებისა და სტრუქტურის ურთიერთკავშირის ახალ თეორიას გვთავაზობს. მისი თეორია პრაქტიკისადმი ყურადღებით (წინა შემთხვევაში – ესთეტიკური პრაქტიკები) და მშრალი ინტელექტუალიზმისადმი უარით გამოირჩევა. ამ აზრით, ის თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის მარქსისტულ ინტერესს უბრუნდება და ააღორძინებს.

8. სოციოლოგი და საზოგადოება

ბურდიეს აზრით, სოციალური სამყარო ადამიანების მიერაა შექმნილი. მათ ამავე დროს შესაძლებლობა აქვთ, ეს სამყარო ახლებურად ააგონ და საკუთარ განკარგულებაში იქონიონ.

სოციოლოგმა ყველაფერს ეჭვის თვალით უნდა შეხედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან სხვა პროფესიას უნდა მოჰკიდოს ხელი.

„თუკი ადამიანს სამყაროს-ქვეყნის დატოვება ან მისგან გაქცევა სურს, იგი მუსიკოსი, ფილოსოფოსი ან მათემატიკოსი უნდა გახდეს. მაგრამ როგორ უნდა გაექცეთ მას, თუკი სოციოლოგი ხართ? არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამას ახერხებენ. თუკი ვინმეს სამყაროს, როგორც იგი რეალურად არსებობს და არის, მცირედ მაინც დანახვა და მასზე საუბარი სურს, მაშინ ყურადღება იმაზე უნდა გაამახვილოს, რომ იგი ყოველთვის უწმინდურ, ბნელ, კომპლემენტირებულ წარმოდგენებშია გახვეული“ (Бурдье П. Социология и демократия. წიგნში Поэтика и политика. СПБ, Алетейя, 1999. стр. 125). ამგვარად, სოციოლოგიის და კულტუროლოგიის ფუნქციაა, სოციალურ და კულტურულ მოვლენებს ნიღბები ჩამოხსნას და ისინი იმგვარად დაგვანახვოს, როგორადაც რეალურად არსებობენ.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პ. ბურდიეს კონცეფცია რაციონალიზმის და მექანიციზმის, ობიექტივიზმის და სუბიექტივიზმის ცალმხრივობისა და რედუქციონიზმის გადალახვაზეა მიმართული. მის მიერ შემოთავაზებულ Habitus-ის, სოცია-

ლური სივრცის, სტრუქტურის, პრაქტიკის ლოგიკურად დაკავშირებულ კონცეპტებს მრავალი გასათვალისწინებელი და მიმზიდველი მხარე აქვს. გარდა ამისა, იგი ემპირიულ გამოკვლევებში საკამრისად ეფექტურად რეალიზდება. „სინთეზის საკუთარი სტრატეგიის“ განხორციელებისას ბურდიე სოციალური სტრუქტურიდან ამოდის და სუბიექტის მოქმედების მიმართულებით მიდის, რაც მის მიდგომას ე. გიდენსის სტრუქტურაციის თეორიასთან აახლოებს, რომელიც, თავის მხრივ, საპირისპირო პერსპექტივიდან ამოდის და სტრუქტურებამდე მიდის.

საკითხავი მასალა:

პიერ ბურდიე. სტრუქტურები, HABITUS, პრაქტიკები
წიგნიდან: Бурдье П. Практический смысл/ Пер. с.фр. А.Т. Бикбова, К. Д. Вознесенской, С. Н. Зенкина,; Н. А. Шматко; – СПб.: Алетейя, 2001.

პიერ ბურდიე

.....ობიექტივისტურ კონცეფციებში სოციალური სამყარო წარმოდგენილია, როგორც მაყურებლისათვის შეთავაზებული სპექტაკლი, რომელიც (მაყურებელი), მოქმედებაზე თავისი თვალსაზრისის არსებობის და ობიექტში მისდამი დამოკიდებულების საკუთარი პრინციპების შეტანის მიუხედავად, მიიჩნევს, რომ მისი აღქმა მხოლოდ და მხოლოდ ცოდნისაკენ მისწრაფებით განისაზღვრება და რომ ყველა სოციალური ურთიერთქმედება წმინდა სიმბოლურ გაცვლებს წარმოადგენს [(სიმბოლური გაცვლა, ბურდიეს მიხედვით, არა სიმბოლური სისტემებით, რომელთა ჩარჩოებშიც ურთიერთქმედება მიმდინარეობს(ხდება), არამედ ურთიერთქმედების მონაწილეთა კაპიტალების ურთიერთდამოკიდებულებებით განისაზღვრება, რომლებიც სიმბოლურ ფორმებში რეალიზდებიან (ნახე: სიმბოლური ძალაუფლების ბურდიესეული კონცეფცია)]. ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით მათთვისაა დამახასიათებელი, ვისაც სოციალურ სტრუქტურაში მაღალი ადგილი უკავია, საიდანაც სოციალური სამყარო, როგორც რეპრეზენტაცია (სიტყვა, რომელიც იდეალისტურ ფილოსოფიასა და ფერწერაში ხშირადაა გამოყენებული) ან, როგორც წარმოდგენა (თეატრალური ან მუსიკალური აზრით) ჩანს, და პრაქტიკა კი მხოლოდ როლების შესრულებად, აზარტულ თამაშად ან გეგმების რეალიზაციად გვეჩვენება.

პრაქტიკის თეორიაში პოზიტივისტური მატერიალიზმის წინააღმდეგ წამოყენებულია თეზისი იმის შესახებ, რომ ცოდნის ობიექტები კონსტრუირდებიან (აიგებიან) და არა პასიურად აისახებიან. ინტელექტუალური იდეალიზმის წინააღმდეგ კი წამოყენებულია თეზისი, რომ ასეთი კონსტრუირების პრინციპები სტრუქტურირებული (სტრუქტურირებული წინასწარგანწყობა, ანუ დისპოზიცია – ბურდიეს მიერ შემოტანილი ტერმინია სტრუქტურის, ე.ი. ობიექტური სოციალური პირობებით ფორმულირებულის, წინასწარ განსაზღვრულის, მოცემულის, პასიურის აღსანიშნავად), მასტრუქტურირებელი (მასტრუქტურირებელი წინასწარი განწყობა – ესეც ბურდიესეული ტერმინია, რომელიც არსებულ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანის აქტიური უნარის აღსანიშნავადაა შემოტანილი) წინასწარი განწყობების სისტემას ანუ ჰაბიტუსს – habitus-ს (ტერმინი ჰაბიტუსი/ habitus

უკვე მოსსთან არსებობს. „გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – წერდა მოსსი – რომ მე „habitus“ ნამდვილ ლათინურად წარმოვთქვამ, რომელიც საფრანგეთში გასაგებია. ეს სიტყვა შეუდარებლად უკეთ, ვიდრე „ჩვევა“ (habitude), გამოთქვამს, გამოხატავს „exis”, „ჩვევას“, და „უნარს“ არისტოტელისეული განმარტებით. იგი იმ მეტაფიზიკურ ჩვევებს და საიდუმლო „მეხსიერებას“ კი არ აღნიშნავს, რომელთა შესახებაც სოლიდურ ტომებში ან პატარა და ცნობილ დისერტაციებშია ლაპარაკი; ეს „ჩვევები“ არა, უბრალოდ, ინდივიდებისა და მათი მიმბაძველობითი ქმედებების მიხედვით, არამედ საზოგადოებაში, აღზრდაში, პრაქტიკაში, ჩვევებსა და მოდაში არსებული განსხვავებების შესაბამისად ვარირებენ. აუცილებელია კოლექტიური პრაქტიკული გონების ტექნიკისა და საქმიანობის დანახვა იქ, სადაც ჩვეულებრივ მხოლოდ სულს და განმეორების მის უნარებს ხედავენ“. თარგმანში ტერმინ „habitus“ -ის, „ვინ“ და არა „რა“ აზრით, ე.ი., როგორც სუბიექტის გამოყენება, (რომელსაც მოქმედების განხორციელების უნარი შესწევს, თითქოსდა habitus აყალიბებს, განსაზღვრავს, თავს იცავს, – ეს კიდევ ერთი სტილისტური თავისებურებაა, რომელსაც ფესვები თვით კონცეფციაში აქვს გადგმული, რომელიც სოციალური პირობებისა და გარემოს გავლენით ფორმულირებული habitus-ის აქტიურ ხასიათს უსვამს ხაზს) წარმოადგენს, რომელიც იგება(ყალიბდება) პრაქტიკაში და მუდმივად პრაქტიკულ ფუნქციებზეა მიმართული. შესაძლებელია იმ მწვერვალის (სიმაღლის) დატოვება, რომლიდანაც ობიექტური იდეალიზმი სამყაროს აწესრიგებს, როგორც ამას მარქსი „ფოიერბახის შესახებ თეზისებში“ მოითხოვს, თანაც ისე, რომ ამ დროს სამყაროს შემეცნების აქტიურ ასპექტზე უარი არ ვთქვათ და იგი ხდომილებათა უბრალო რეგისტრაციის ცოდნაზე არ დავიყვანოთ.

ამის მისაღწევად კი აუცილებელია „თავად რეალურ საქმიანობაში“ ჩავყვინთოთ, ჩავღრმავდეთ, ე.ი. სამყაროსთან პრაქტიკულ დამოკიდებულებაში შევიდეთ, აქტიურ-საქმიანი არსებობა სამყაროში, რომლის მეშვეობითაც სამყარო თავის არსებობას, თავის მოთხოვნებს(ის, რაც საჭიროა გავაკეთოთ და ვილაპარაკოთ და ის, რაც უნდა ითქვას) თავს გვახვევს, რომლებიც ყოველგვარი სპექტაკლის გარეშე ჩვენს სიტყვებსა და საქმეებს უშუალოდ წარმართავს. საჭიროა, თავიდან ავიცილოთ სტრუქტურის რეალიზმი, რომელთანაც უცილობლად მივყავართ ობიექტივიზმს. როგორც პირველადი (გრძნობადი) გამოცდილებისაგან მოწყვეტისა და ობიექტურ ურთიერთობათა კონსტრუირების აუცილებელ სტადიას, ობიექტივიზმს მივყავართ იმასთან, რომ ეს ურთიერთობები ფეტიშიზირდებიან და ჯგუფის ისტორიის ფარგლებს მიღმა წარმოქმნილ რეალობად განიხილებიან. ასევე არ შეიძლება ჩავვარდეთ სუბიექტივიზმში, რომელსაც სოციალური სამყაროს კანონზომიერებების ახსნა არ ძალუძს. ამისათვის კი საჭიროა პრაქტიკას, opus operatum-ისა და modus operandi-ს ისტორიული პრაქტიკის გაობიექტივირებულ და ინკორპორირებულ პროდუქტთა, სტრუქტურებისა და habitus-ის დიალექტიკას დავუბრუნდეთ.

(პარადოქსულია, რომ მაობიექტივირებელ კონსტრუქციათა წანამძღვრების გამოვლენა ყველა იმათი ძალისხმევით იქნა გადავადებული, ვინც ლინგვისტიკაში და ანთროპოლოგიაში სტრუქტურალისტური მოდელის გასწორებას ესწრაფოდა, და ვარიაციების, გამორიცხვებისა და შემთხვევითობების ასახსნელად „კონტექსტს“ და „სიტუაციას“ მიმართავდა ნაცვლად იმისა, რომ ვარიანტები ყოვლისმომცველი სტრუქტურების არსებობით აეხსნა, როგორც ამას სტრუქტურალისტები აკეთებდნენ).

ამგვარად, ისინი აზროვნების მაობიექტივიზირებელი წესის რადიკალურ რევიზიას თავს არიდებდნენ, ამავე დროს, უსაფუძვლო, გაუმაგრებელ, წმინდა სუბიექტის თავისუფალი არჩევანის კონცეფციაზე უარს ამბობდნენ. ამგვარად, „სიტუაციური ანალიზის“ სახელით ცნობილი მეთოდი, რომელიც „სოციალურ სიტუაციათა მრავალგვარობაში ადამიანებზე დაკვირვებაში მდგომარეობს, რათა „ის წესი განსაზღვროს, რომლითაც ინდივიდები სპეციფიკური სოციალური სტრუქტურის საზღვრებში არჩევანს აკეთებენ“ (Glukman,

1961, Van Velsen, 1964), წესებისა და განსაკუთრებულობების – გამორიცხვების ჩარჩოებში გამოკეტილი რჩება, რასაც ედმუნდ ლიჩი (ხშირად ასეთი მეთოდის ნიმუშებით პროვოცირებული) ღიად აცხადებს: „მე ვუშვებ, რომ სტრუქტურული სისტემები, რომლებშიც სოციალური მოქმედებების ყველა მიმართულება ვიწროდ ინსტიტუციონალიზებულია, შეუძლებელია. ყველა სიცოცხლის უნარის მქონე სისტემაში უნდა იყოს სფერო, რომელშიც ინდივიდი თავისუფალია, არჩევანი გააკეთოს და სისტემის მანიპულირება საკუთარი სარგებლის მიღწევის მიზნით შეძლოს“ (Leach, 1962, 133).

არსებობის პირობების განსაზღვრულ კლასთან ასოცირებული გარემო ქმნის (აწარმოებს) habitus-ს, ე.ი. მყარი, შექმნილი წინასწარგანწყობების (დისპოზიციების), სტრუქტურირებული სტრუქტურების სისტემას, რომლებიც გათვალისწინებულია მასტრუქტურირებელი სტრუქტურების სახით ფუნქციონირებისათვის, ე.ი. იმ პრინციპების სახით, რომლებიც ბადებენ და ორგანიზებას უკეთებენ პრაქტიკას, იმ წარმოდგენებს, რომლებიც განსაზღვრული რეზულტატების მისაღებად ობიექტურად არიან მორგებული, მაგრამ ამ რეზულტატებზე შეგნებულ (გაცნობიერებულ) წარმართულობას არ გულისხმობენ და არც განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვენ. ობიექტურად „რეგულირებადი“ და „რეგულარული“, ისე, რომ ამავე დროს წესებისადმი დაქვემდებარების რეზულტატები არანაირად არ არიან, მათ შეუძლიათ კოლექტიურად განხორციელდნენ, ისე, რომ დირიჟორის მაორგანიზებელი მოქმედების პროდუქტს არ წარმოადგენდნენ.

რასაკვირველია, გამორიცხული არაა, რომ habitus-ის მოქმედებას თან ახლდეს სტრატეგიული გათვლაც, რომელიც, ჩვეულებრივ, გაცნობიერებული სახით მიმართულია იმაზე, რასაც habitus-ი სრულიად სხვაგვარად აკეთებს, სახელდობრ, წარსულის მემკვიდრეობის მოსალოდნელ მიზნად გარდაქმნის შანსის შეფასებაზე. მაგრამ ასეთი მოქმედებები, უწინარეს ყოვლისა, ყოველგვარი კალკულაციის გარეშე განისაზღვრება, აწმყოში უშუალოდ ჩაწნული(ჩაწერილი) ობიექტური შესაძლებლობებიდან ამოსვლისას, იმისაგან, რაც კეთდება ან არ კეთდება, ითქმება ან არ ითქმება, შესაძლებლიდან, მომავლიდან ამოსვლისას, რომელიც – იმ მომავლის კონტრასტულად, რომელიც ჰეგელიანური ან სარტისეული აზრით განხილულია, როგორც „აბსოლუტური შესაძლებლობა“ (Absolute Moglichkeit), დაგეგმარებად „ნეგატიური თავისუფლების“ წმინდა პროექტში – გზას სიჩქარითა და განხორციელების მოთხოვნით იკვლევს, ყოველგვარ ინტენციონალობას (მიზანდასახულობას) გამორიცხავს. პრაქტიკისთვის ობიექტური სტიმულები არ არსებობს, სტიმულები თავისი ხასიათით კონვენციონალურია და მხოლოდ მაშინ მოქმედებს თუ აგენტები მათ ასაღიარებლად მზად არიან.

პრაქტიკული სამყარო habitus-თან – რომელიც, როგორც კოგნიტურ და მოტივაციურ სტრუქტურათა სისტემა მოქმედებს, – ურთიერთკავშირში კონსტრუირებული, თუ შექმნილი – ეს უკვე რეალიზებულ მიზანთა, იმ პროცედურათა, რომელთა დაცვა და შენარჩუნება, იმ ნიმუშთა რომელთათვის მიდევნებაა საჭირო, და ჰუსერლის გამოთქმით თუ ვიტყვით „პერმანენტული თეოლოგიური ხასიათით“ აღბეჭდილი თუ აღჭურვილი ობიექტების, ინსტრუმენტების თუ ინსტიტუტების სამყაროა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ თავისუფალი-- თვითნებური პირობებისადმი („თავისუფალი-ნებისმიერი“ (arbitrary) სოსიურისა და მოსის აზრით) დამახასიათებელ რეგულარულობებს ტენდენცია აქვთ როგორც აუცილებელ, თვით ბუნებრივ რეგულარულობებად გამოვლინდნენ, რამდენადაც ისინი აღქმისა და შეფასების ინდივიდუალური სქემების საფუძველს წარმოადგენენ.

თუ მეცნიერულად კონსტრუირებულ ობიექტურ შესაძლებლობებს (მაგალითად, განსაზღვრული დოვლათის მოპოვების შანსებს) და აგენტების სუბიექტურ მოლოდინებს („მოტივაციებს“ და „მოთხოვნებს“) შორის ძალიან მჭიდრო კორელაცია შეიმჩნევა, მაშინ ეს არა იმიტომ, რომ აგენტები თავიანთ მოლოდინებს წარმატების საკუთარი შანსების

ზუსტი შეფასების შესაბამისად შეგნებულად მართავენ, აზარტული მოთამაშის მსგავსად, რომელიც ბანქოს მოგებაზე ფსონს თავისი შანსების სრული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოდის(დებს).

სინამდვილეში, წინასწარი განწყობები (დისპოზიციები) დიდი ხნის განმავლობაში ობიექტური პირობებით (რომლებსაც მეცნიერება ისეთი სტატისტიკური რეგულარობების გზით სწვდება, როგორიც ჯგუფის ან კლასისადმი ობიექტურად მიწერილი შესაძლებლობებია) ნაკარნახევი შესაძლებლობებითა და შეუძლებლობებით, თავისუფლებითა და აუცილებლობით, ნებადართულობითა და აკრძალვებით ყალიბდებიან, რომლებიც ამ პირობებისადმი ობიექტურად თავსებად და, რაღაცნაირი აზრით, ამ მოთხოვნებისადმი აშკარად და უეჭველი სახით მორგებულ წინასწარგანწყობებად განზოგადდებიან – გენერალიზდებიან.

ყველაზე შეუძლებელი პრაქტიკები, მაშასადამე, როგორც გაუაზრებელი-უსაზრისო, გამოირიცხება, წესრიგისადმი თავისებური უშუალო დაქვემდებარებისაგან ამოსვლისას, რომელიც აგენტებს უბიძგებს, აუცილებლობას ღირებულება მიანიჭოს, ე.ი. უარი თქვას იმაზე, რაც ნებისმიერ შემთხვევაში არ მოხდება, და ისურვოს ის, რაც გარდუვალია. Habitus-ის ჩამოყალიბება-ფორმირების თვით პირობები ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ შექმნილი მოლოდინები მნიშვნელოვანწილად იმ შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე ყალიბდებიან, რომლებსაც შესაძლებლობათა გათვლა ექვემდებარება, სახელდობრ, ექსპერიმენტული პირობების უცვლელობის მოთხოვნის გარეშე ყალიბდებიან. მეცნიერული შეფასებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ყოველი ექსპერიმენტის შემდეგ გათვლა-გაანგარიშების მკაცრი წესების შესაბამისად შესწორებას განიცდიან, Habitus-ის მოლოდინები, წარსულ გამოცდილებაზე დამყარებული Habitus-ის მოლოდინები, პრაქტიკული ჰიპოთეზები წარსულ გამოცდილებას არაპროპორციულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეკონომიკური და სოციალური აუცილებლობის მეშვეობით, რომელსაც საოჯახო მეურნეობისა და ოჯახური ურთიერთობების შედარებით ავტონომიურ სფეროში განვიცდით, ან, უფრო ზუსტად, ამ გარეგანი აუცილებლობის (სქესთა შორის შრომის განაწილების ფორმები, საოჯახო ყოფის ობიექტები, მოხმარების წესები, ბავშვებთან მშობლების დამოკიდებულებები და ა. შ.) ჩვენთვის ახლობელი გამოვლინებების გზით არსებობის პირობების განსაზღვრული კლასისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები Habitus-ის სტრუქტურებს აწარმოებენ, რომლებიც, თავის მხრივ, მთელი შემდგომი გამოცდილების აღქმისა და შეფასების ბაზისს წარმოადგენენ.

Habitus-ი, ისტორიის პროდუქტი, ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკებს – კვლავ ისტორიას – ისტორიის მიერვე შექმნილი სქემების შესაბამისად აწარმოებს-ქმნის. იგი წარსული გამოცდილების აქტიურ არსებობას განაპირობებს, რომელიც თითოეულ ორგანიზმში აღქმის, აზრების და მოქმედების სქემების ფორმით არსებობისას პრაქტიკების „სისწორეს“ და დროში მათ მუდმივობას უფრო საიმედოდ უზრუნველყოფს, ვიდრე ყველა ფორმალური წესი და ექსპლიციტური ნორმები. მასტრუქტურირებული პრაქტიკების კვლავწარმოების გზით მომავალზე მიმართული შინაგანი კანონი, რომლის მეშვეობითაც უშუალო იძულებაზე დაუყვანადი გარეგანი აუცილებლობის კანონი მუდმივად სრულდება – არის მემკვიდრეობისა და რეგულარულობის ის პრინციპი, რომელიც ობიექტივიზმის მომხრეთა მიერ სოციალურ პრაქტიკებში აღინიშნება, მაგრამ მათთან ახსნას ვერ პოულობს, ასევე, ამავე დროს, რეგულირებადი გარდაქმნების პრინციპია, რომელიც შეუძლებელია, როგორც მექანისტური სოციოლოგიზმის გარეგანი დეტერმინიზმით, ისე წმინდა შინაგანი, მაგრამ სპონტანური სუბიექტივიზმის ასეთივე მყისიერი (უეცარი) დეტერმინიზმით იქნას ახსნილი.

სისტემების წინა მდგომარეობისათვის დამახასიათებელ, სხეულისადმი გარეგან და მოტივაციის და თავისუფალი ნების, შინაგანი წინასწარგანწყობების სახით უეცრად გაცხადებულ შინაგან ძალებს შორის ხელოვნური ოპოზიციის გადალახვისას გარეგანის ინტერნალიზაცია გარეგან ძალებს თავის გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ იმ ორგანიზმების სპეციფიკური ლოგიკის შესაბამისად, რომლებშიც ისინი ერთვებიან, ე.ი. მუდმივ, სისტემურ (და არა მექანიკურ) საფუძველზე შედიან. შემქმნელი სქემების შეძენილი სისტემის სახით, Habitus-ი აზრების, აღქმების და მოქმედებების, მათი წარმოების კონკრეტული პირობების და მხოლოდ მათი შესაბამისი აზრების, აღქმების და მოქმედებების თავისუფალ წარმოებას შესაძლებელს ხდის. Habitus-ის მეშვეობით სტრუქტურა, რომლის პროდუქტსაც იგი წარმოადგენს, მართავს პრაქტიკას, თანაც არა მექანისტური დეტერმინიმის სულისკვეთებით, არამედ მის გამოგონებაზე უცილობლად დადებული იძულებებისა და საზღვრების ჩარჩოებში. ამ უსასრულო, მაგრამ მკაცრად შემოფარგლული (შეზღუდული) შემქმნელ-დამბადებელი უნარ-შესაძლებლობის გაგება ძნელია, თუ მიღებული ანტინომიების – დეტერმინიზმისა და თავისუფლების, გარემოთი განპირობებულობისა და გამომგონებლობის, ცნობიერებისა და არაცნობიერის, ინდივიდისა და საზოგადოების – ტყვეობაში დავრჩებით, რომლის გადალახვაზეც Habitus-ის კონცეფციაა მიმართული. რამდენადაც Habitus-ი – ეს აზრების, აღქმების, გამოთქმების და მოქმედებების წარმოების უსასრულო უნარია, რომლის საზღვრებიც მისი წარმოების ისტორიული და სოციალური პირობებითაა მოცემული, ამდენად ის პირობითი – განპირობებული თავისუფლებაც, რომელსაც იგი წარმოგვიდგენს – წარმოუდგენელი, არაწინასწარმეტყველებადი ახლისაგან ისევე შორსაა, როგორც პირველადი პირობების უბრალო მექანიკური კვლავწარმოებისგან.

ისე არაფერი გვაცდენს სწორ გზაზე სიარულისაგან, როგორც იმის ილუზია, რომ ცხოვრების ყველა გამოვლენა, დაწყებული ხელოვანთა შრომებიდან ბიოგრაფიის ფაქტებით დამთავრებული, რომელიღაც არსების რეალიზაციაა, რომელიც თითქოსდა ამ ფაქტებზე ადრე არსებობდა, ისევე, როგორც მომწიფებული მხატვრული მანერა, თესლის მსგავსად, არ შედის პირველად შთაგონებაში, არამედ ჩანაფიქრსა და უკვე მიღწეულ რეზულტატს შორის დიალექტიკურ მოძრაობაში განუწყვეტლივ განისაზღვრება და ხელახლა განისაზღვრება, ასეა აქაც: მნიშვნელობის ერთიანობა – რომელიც ხდომილების განხორციელების შემდეგ, უბრალო მოსამზადებელი ესკიზების შესაბამისად, სამუშაოს-ნაშრომის სხვადასხვა სტადიების რეტროსპექტულად წარმოდგენისას გვეჩვენება, წინ უსწრებდა იმ ქმედებებს, რომლებმაც მისი საბოლოო მნიშვნელობა შეადგინეს, სინამდვილეში კი იგი იმ საკითხების ურთიერთშეჯახების გზით იგება და კონსტრუირდება, რომლებიც მხოლოდ წარმოსახვაში არსებობენ. ეს წარმოსახვებიც გარკვეული სქემების სახეებით და გადაწყვეტილებებითაა აღჭურვილი, რომლებიც თავად ამ სქემების მიყენების შედეგადაა მიღებული. ერთი და იმავე Habitus-ით (ან ჰომოლოგიური Habitus-ით, რომელიც ჯგუფის ან კლასის ცხოვრების ერთიანი სტილის საფუძველშია ჩადებული) არც უნიკალური და თვით-განმსაზღვრელი (Self – identical) არსების ავტონომიური განვითარება, არც ახლის მუდმივად შექმნაა შესაძლებელი, რამდენადაც პრაქტიკები Habitus-სა და ხდომილებას შორის აუცილებელი, თუმცა არაწინასწარმეტყველებადი შეჯახების შედეგად წარმოიქმნებიან, რომლის გააქტიურებაც შეუძლია Habitus-ს მხოლოდ მაშინ, თუ ეს უკანასკნელი ხდომილებას შემთხვევითობის წინასწარგანუსაზღვრელობებისაგან გამოაცალკავებს და მას, როგორც პრობლემას წარმოგვიდგენს და მის მიმართ თავად მისი გადაწყვეტის პრინციპებს იყენებს; და ასევე იმიტომ, რომ Habitus, ისევე როგორც „გამოგონების ნებისმიერი აქტი“, შედარებით განუსაზღვრელ, არაწინასწარმეტყველებად (ისევე, როგორც შესაბამის სიტუაციების), მაგრამ, ამავე დროს, თავის მრავალსახეობაში შეზღუდულ პრაქტიკათა

უსასრულო რაოდენობის წარმოქმნის უნარს ფლობს. მოკლედ, ობიექტური რეგულარობის რომელიღაც ტიპის პროდუქტად არსებობისას, Habitus-ს მოქმედების (და მხოლოდ მისი), „რეზონული“, „საყოველთაოდ მიღებული“ მანერების წარმოქმნის მიდრეკილება აქვს, რომლებიც, ამ რეგულარულობების ფარგლებში შესაძლებელია და რომლებიც უდიდესი ალბათობით, დადებითად იქნებიან სანქციონირებულნი, რამდენადაც ისინი იმ ლოგიკას ობიექტურად არიან მორგებულნი, რომელიც საქმიანობის განსაზღვრული ველისთვისაა დამახასიათებელი, და რომლის ობიექტურ მომავალს ისინი წინასწარჭვრეტენ. ამავე დროს, „ძალდატანების, ხელოვნების ან კამათის“ გარეშე, Habitus ჩვეულებრივ, ყველა „უკიდურესობას“ (მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა), ე.ი. ყველა იმ ნეგატიურად სანქციონირებულ მოქმედებას, რამდენადაც ისინი რეალობასთან შეუთავსებელია, გამორიცხავს.

რამდენადაც პრაქტიკები, როგორც წესი, პირობებისადმი დამახასიათებელ, კუთვნილ სიმყარეს კვლავაწარმოებენ, რომელ პირობებშიც მათი წარმომქმნელი (მბადი) პრინციპი წარმოიშვა და, ამავე დროს, Habitus-ის შემადგენელი კოგნიტური და მოტივაციური სტრუქტურებით განსაზღვრული სიტუაციის ობიექტური პოტენციური პერსპექტივებით წარმართულ მოთხოვნებს ეგუება, ამდენად, პრაქტიკები შეუძლებელია როგორც აწმყო-ახლანდელი პირობებისაგან, რომლებმაც, როგორც გვეჩვენება, მათ პროვოცირება გაუკეთეს, ისე წარსულის პირობებისაგან, რომლებმაც მათი წარმოების მუდმივი პრინციპი (Habitus) შექმნეს, დედუქციურად გამოვიყვანოთ. მაშასადამე, ისინი შეიძლება მხოლოდ იმ სოციალური პირობების, რომლებშიც მათი შემქმნელი Habitus წარმოიქმნება, იმ სოციალურ პირობებთან შეთანადებით ავხსნათ, რომელ პირობებშიც ისინი რეალიზდებიან, ე.ი. სოციალური სამყაროს ამ ორი მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულებულების მეცნიერული შესწავლის დახმარებით, რომლებშიც ფარული სახით Habitus მოქმედებს და ნამდვილდება. „არაცნობიერი“, რომელსაც ამ ურთიერთკავშირის უგულებელყოფა შეუძლია, სხვა არაფერია, თუ არა თავად ისტორიის მიერ იმ ობიექტურ სტრუქტურათა რეალიზაციის პროცესში, რომლებსაც იგი Habitus-ის კვაზიბუნებაში ბადებს/ქმნის, დავიწყებული ისტორია. როგორც დიურკემი ამბობს: „თითოეულ ჩვენგანში სხვადსხვა-განსხვავებული სახით არის ის, ვინც ჩვენ ვიყავით გუშინ, და სინამდვილეშიც, ნივთთა ბუნებაში სწორია ისიც კი, რომ ჩვენი წარსული პიროვნება ჭარბობს/უპირატესობას ფლობს, რადგან ახლანდელი-აწმყო მდგომარეობა წარსულის იმ ხანგრძლივ პერიოდთან შედარებით, რომლის წყალობითაც ჩვენ ისეთები ვართ, როგორიც ახლა ვართ, ნაკლებმნიშვნელოვანია. და სწორია ისიც, რომ ჩვენ ჩვენი წარსული პიროვნებების უშუალო ზეგავლენას ვერ შევიგრძნობთ, რამდენადაც მათ ასე ღრმად აქვთ ფესვები ჩვენში გადგმული. ისინი ჩვენს არაცნობიერ ნაწილს შეადგენენ. მაშასადამე, ჩვენში მათი არსებობის არაღიარების და მათი კანონიერი მოთხოვნების იგნორირების ძლიერი ტენდენციაა ჩაკირული. და პირიქით, ცივილიზაციის უკანასკნელ მიღწევებს უბრალოდ იმიტომ აღვიქვამთ, რომ ისინი სულ ახლანდელები, ახლებია და, მაშასადამე, ჩვენს კოლექტიურ არაცნობიერში ასიმილირება ვერ მოასწრეს“ (Durkheim, E. 1977, 11). Durkheim, E. The Evolution of Educational Thought. London: Routlegde & Kegan Paul. 1977 (L’ Evolution pedagogique en Franse. 1938).

Habitus განხორციელებული ისტორიაა, ინტერნალიზებულია, როგორც მეორე ბუნება და, მაშასადამე, დავიწყებულია, როგორც ისტორია. როგორც ასეთი, სწორედ ის აძლევს პრაქტიკებს უშუალო ახლანდელის გარეგანი დეტერმინანტებისაგან შედარებით დამოუკიდებლობას. ეს ავტონომია წარსულის, უკვე მოქმედის და ახლა მოქმედის ავტონომიაა, რომელიც აკუმულირებული კაპიტალის ფუნქციონირებისას ისტორიის საფუძველზე ისტორიას აწარმოებს/ქმნის და, ამგვარად, იმ მუდმივი ცვლილებების გარანტად გვევლინება, რომლებიც ინდივიდისათვის გარე სამყაროში მისი საკუთარი სამყაროს შემადგენლე-

ბია. Habitus – ეს გაცნობიერების ან ნების გარეშე მოცემული სპონტანურობაა, იმდენადვე დაპირისპირებული მექანისტურ თეორიებში ისტორიას მოკლებულ ნივთთა მექანისტურ აუცილებლობას, რამდენადაც რაციონალისტურ თეორიებში ინერციას მოკლებული სუბიექტების რეფლექსურ თავისუფლებას.

ამგვარად, დუალისტურმა ხედვამ, რომელიც ცმობიერების აქტის სიცხადეს (Self-transparent) ან ნივთების გარეგან დეტერმინირებულობას აღიარებს, მოქმედების ნამდვილ ლოგიკას უნდა დაუთმოს ადგილი, რომელიც ისტორიის ობიექტივაციის ორ პროცესს – სხეულებში ობიექტივაციას და ინსტიტუტებში ობიექტივაციას – აერთიანებს – ანუ, კაპიტალის ორ ობიექტივირებულ და ინკორპორირებულ მდგომარეობას აერთიანებს, რომელთა მეშვეობითაც აუცილებლობისაგან დისტანცია დგინდება. პარადიგმულ ფორმაში ეს ლოგიკა შეიძლება თვითდამკვიდრებისადმი სწრაფვის და ინსტიტუციონალური საშუალებების(მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური ინსტრუმენტების, ლიტერატურული ჟანრების და ა.შ.) არსებობის დიალექტიკაში დავინახოთ, რომელიც იმპროვიზაციათა გულუზრახ – განუზრახველ შეზღუდვებში ჩანს. საკუთარი სიტყვებით უსასრულოდ აღტაცებული და შთანთქმული (ნიკოლაი ჰარტმანმა ეს, როგორც „ატარებდე და გატარებდნენ“ დამოკიდებულება გამოთქვა) ვირტუოზი თავის დისკურსში თავისივე დისკურსის სტიმულებს პოულობს, რომელიც იმ მატარებლის მსგავსად მოძრაობს, რომელიც საკუთარ რელსებს თვითონვე აწყობს/ალაგებს“ (Ruyer, 1966, გვ.136). (Ruyer, R. Paradoxes de La conscience et limites de l’automatisme. Paris: Albin Michel, 1966). სხვა სიტყვებით, modus operandi -საგან წარმოებული, ე.ი. გაცნობიერების გარეშე მართული, დისკურსი შეიცავს „ობიექტურ განზრახვას“, როგორც სქოლასტიკოსებმა დაადგინეს, რომელიც ავტორის ცნობიერ, შეგნებულ განზრახულობათა ჩარჩოებს გარეთ გამოდის და modus operandi -სათვის, რომლის პროდუქტსაც იგი წარმოადგენს და რომელიც, როგორც რაღაც „გასულიერებული ავტომატი“ ფუნქციონირებს, მუდმივად ახალ შესაბამის სტიმულს იძლევა. თუ სიმწვავე/სიმახვილეები როგორც თავისი არაწინასწარმეტყველადობის, ისე რეტროსპექტულად ცხადი აუცილებლობის წყალობით ამოქმედდებიან, მაშინ მიზეზი ისაა, რომ დიდი ხნის წინათ დამარხული რესურსების ეს აღმოჩენა გულისხმობს Habitus-ს, რომელიც იმდენად აბსოლუტურად ფლობს გამოთქმის ობიექტურად მისადგომ საშუალებებს, რამდენადაც ისინიც ფლობენ მას. იმდენად, რომ იგი თავის თავისუფლებას მათგან ყველაზე იშვიათი შესაძლებლობების რეალიზაციის გზით ინარჩუნებს, რომელ შესაძლებლობებსაც ისინი აუცილებლობის ძალით წარუდგენენ. ენისა და ხალხურ გამოთქმათა მნიშვნელობების დიალექტიკა Habitus-სა და ინსტიტუტებს, ე.ი. ისტორიის ობიექტივაციის ორ წესს შორის დიალექტიკის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შემთხვევაა, რომლებშიც გარდუვალობით წარმოიშობა ახალი მობრუნებები, იმ სიმწვავეების მსგავსად, რომლებიც ერთდროულად ორიგინალურიც და გარდუვალიც არიან. რეგულირებადი იმპროვიზაციების ამ მყარ წარმომქმნელ პრინციპს წარმოადგენს პრაქტიკული გრძნობა, რომელსაც ინსტიტუტებში ობიექტივირებული გრძნობა მოძრაობაში მოჰყავს. თავსმოხვევისა და ათვისების პროცესებით წარმოებულნი, აუცილებელნი, რათა კოლექტიური ისტორიის პროდუქტები – ობიექტური სტრუქტურები – მათი ფუნქციონირების პირობებად წარმოდგენისას შესაბამისი სტაბილური წინასწარგანწყობების ფორმით კვლავწარმოიქმნენ, Habitus, რომელიც ინდივიდუალური ისტორიის მიმდინარეობასა და მსვლელობაში ყალიბდება და ასევე სტრუქტურებში ჩართვის თავისი განსაკუთრებული ლოგიკის თავსმომხვევი და ინსტიტუტებში ობიექტივირებულ ისტორიაში აგენტთა მონაწილეობის განმსაზღვრელია – არის სწორედ ის, რაც ინსტიტუტთა შესაძლო მემკვიდრეობითობას და მათ პრაქტიკულ შეგუებას შესაძლებელს ხდის და, ამგვარად, მათ აქტიურობას მხარს უჭერს, ეხმარება, დავიწყე-

ბული წერილების მდგომარეობიდან მუდმივად გამოჰყავს და მათში ჩადებულ საზრისს აახლებს, მაგრამ, ამავე დროს, მას გადახედავს (რევიზიას უკეთებს) და გარდაქმნის, თუ ეს ასეთი განახლებისათვის აუცილებელია. ანუ, უფრო სწორად, Habitus ისაა, რაც სწორედ სტრუქტურაში ჩაწერის უნარის მეშვეობით, რომელიც სხეულის მიერ სოციალურის „პერ-ფორმაციული მაგიის" სერიოზულად მიღების მზაობაზეა დაფუძნებული, როდესაც მეფე, ბანკირი ან მღვდელი შესაბამისად მემკვიდრეობით მონარქიას, ფინანსურ კაპიტალიზმს ან ეკლესიას განასახიერებს თუ განახორციელებს.

საკუთრება საკუთარ მფლობელს (მესაკუთრეს) პრაქტიკის შემქმნელი სტრუქტურის ფორმის მიღებით ითვისებს, რომელიც ამ პრაქტიკის ლოგიკას და მოთხოვნებს სავსებით შეესაბამება. თუ სამართლიანად ითვლება, როგორც ეს მარქსთანაა, რომ „მემკვიდრეობით მიღებული სამფლობელოს(მამულის) მფლობელი, დაბადებით პირველი(უფროსი) ვაჟი, მიწას ეკუთვნის", რომ „იგი მემკვიდრეობით გადაეცემა მას" ან, რომ კაპიტალისტის „პიროვნება" კაპიტალის „პერსონიფიკაციაა", მაშინ ეს იმიტომ, რომ სოციალიზაციის და თითქოს მაგიური პროცესი, რომელშიც ინდივიდი საზეიმოდ შედის, „უფროსი შვილის", „მემკვიდრის", „მიმღების", „ქრისტიანის" ან უბრალოდ „მამაკაცის" („ქალის" საპირისპიროდ) ნიშნებით, ყველა შესაბამისი პრივილეგიებითა და მოვალეობებით აღნიშნულ ინსტიტუტებში ეწერება და რომელიც ინსტიტუციონალური განსხვავებების ხშირად ბუნებრივ განსხვავებებად გარდამქმნელ სოციალურ პროცედურათა დახმარებით გრძელდება, ძლიერდება ან მტკიცდება, სოციალიზაციის ეს პროცესი საკმაოდ რეალურ ეფექტს ქმნის, რომელიც სხეულსა და შეხედულებებში ხანგრძლივად აღიბეჭდება.

ინსტიტუტი, თვით ეკონომიკაც კი, სავსებით და მთლიანად სიცოცხლის უნარის მქონეა მაშინ, როდესაც იგი მუდმივად გაობიექტივირებულია, ობიექტიფიცირებულია არა მხოლოდ ნივთებში, ე.ი. საქმიანობის (ინდივიდუალურ აგენტებზე აღმატებულის) ერთი რომელიმე ცალკეული ველის ლოგიკაში, არამედ ასევე სხეულებშიც, სხეულის მიერ ველის მოთხოვნების აღიარების და დამორჩილების მუდმივ წინასწარგანწყობებში. მაშინ – და მხოლოდ მაშინ – როდესაც Habitus ეწერება სტრუქტურაში და თავად ისტორიის, ანუ, უფრო კონკრეტულად, როდესაც Habitus-სა და სტრუქტურებში ობიექტივირებული ისტორიის ნაწილი ხდება, მათ მიერ წარმოებული პრაქტიკები ურთიერთგასაგები და სტრუქტურებისადმი უშუალოდ მისადაგებულნი არიან. ამავე დროს, ისინი ობიექტურად არიან მოცემული და ობიექტურ მნიშვნელობებს ატარებენ, ე.ი. ერთდროულად როგორც ერთეულ, ისე სისტემურ მნიშვნელობებს ატარებენ, რომლებიც სუბიექტურ ინტენციათა და გაცნობიერებულ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ პროექტთა ფარგლებს გარეთ გადიან. პრაქტიკული გრძნობისა და ობიექტური მნიშვნელობის (sens) ჰარმონიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შედეგს (რეზულტატს) ჯანსაღი აზრის სამყარო წარმოადგენს, რომლის უშუალო სიცხადეს ობიექტურობა ემატება, რომელიც პრაქტიკისა და სამყაროს მნიშვნელობების შესახებ შეთანხმების შედეგად ყალიბდება, სხვა სიტყვებით, აგენტთა გამოცდილების ჰარმონიზაციის და ინდივიდუალური ან კოლექტიური (მაგალითად, დღესასწაულებზე), იმპროვიზებული ან დაპროგრამებული (საზოგადოებრივი ადგილები, გამოთქმები, ანდაზები), მსგავსი ან იდენტური გამოცდილების გამოთქმებისაგან წარმოქმნილი მნიშვნელობის მუდმივი გაძლიერების შედეგად ყალიბდება.

Habitus-ის ჰომოგენურობა, რომელიც არსებობისა და სოციალური გარემოს რომელიღაც კლასის საზღვრებში შეინიშნება, განაპირობებს იმას, რომ პრაქტიკები და მოქმედებები უშუალოდ გასაგები და წინასწარგამოცნობადნი არიან და, მაშასადამე, როგორც თავისთავად ცხადი და გასაგები (taken for granted) რამ აღიქმებიან. Habitus პრაქტიკისა და ქმედებების არა მხოლოდ წარმოების, არამედ განზრახვათა გასაშიფრი კითხვე-

ბის დასმასაც კი ზედაპირულს ხდის. ყოველდღიური პრაქტიკებისათვის მნიშვნელობების განზრახვის გარეშე, ავტომატური და უპიროვნო მიცემა არანაკლებ ავტომატურ და უპიროვნო გაგებას ემორჩილება. ობიექტური განზრახვის დაჭერა/მოხელთება, რომელსაც ისინი გამოთქვამენ, არც მისი დამფუძნებლის ამოსავალი და „განცდილი" განზრახვის აღდგენას (კვლავწარმოქმნას) და არც „სხვის ადგილზე საკუთარი თავის შეგნებულად/განზრახ დაყენებას" მოითხოვს, რომლებიც ასე საყვარელია ფენომენოლოგებისა და ისტორიაში თუ სოციოლოგიაში „მონაწილეობის" კონცეფციის ყველა დამცველისათვის, ასევე, არც ასე საყვარელი გამოთქმების, არც სხვების ფარული თუ ნათელი ინტენციების გამორკვევას („სახელდობრ რა გაქვთ მხედველობაში") მოითხოვს. „ცნობიერებათა კომუნიკაცია" „არაცნობიერის" (ე.ი. ლინგვისტური ან კულტურული კომპენტენციის) საფუძველზე ერთობის არსებობას გულისხმობს. პრაქტიკებისა და ქმედებების ობიექტური განზრახვების გაშიფვრას განცდილი გამოცდილების „კვლავწარმოებასთან" (Nachbildung – როგორც ამას თავდაპირველად ვ. დილაიმ უწოდა) და „ინტენციების" არასაჭირო, გაურკვეველ აღდგენასთან, რომელიც მათ ნამდვილ წყაროს არ წარმოადგენს, არაფერი ესაქმება.

არსებობის პირობების ჰომოგენურობისაგან გამომდინარე ჯგუფური ან კლასობრივი Habitus-ის ობიექტური ჰომოგენიზაცია საშუალებას აძლევს პრაქტიკებს, ყოველგვარი კალკულაციის ან ნორმებთან გაცნობიერებული-შეგნებული შეფარდებების გარეშე ობიექტურად ჰარმონიული იყოს და უშუალო ურთიერთქმედების, ანუ a forteori, ცხადი კოორდინაციის გარეშე მრავალგზის მოიმართოს-იმოქმედოს. ურთიერთქმედება თავისთავად თავისი ფორმით ობიექტური სტრუქტურებითაა განპირობებული, რომლებმაც ურთიერთქმედებაში მყოფ აგენტთა წინასწარი განწყობები წარმოშვეს, რომლებიც ურთიერთქმედებებში, მნიშვნელობა არ აქვს, სადაც არ უნდა იყვნენ, აქტორებისათვის მათი შეფარდებითი პოზიციების მიწერას აგრძელებენ. „წარმოიდგინეთ – გვთავაზობს ლაიბნიცი (Leibniz, 1866, 548) – ორი საათი, რომლებიც დროში სავსებით შეესაბამებიან ერთმანეთს (ზუსტად ერთსა და იმავე დროს აჩვენებენ. ა.ბ.). ეს შეიძლება სამ შემთხვევაში მოხდეს. პირველი ურთიერთგავლენაში მდგომარეობს; მეორე – მუდმივი გაწყობა-მომართვისა და სინქრონიზაციის მიზნით ხელმარჯვე სპეციალისტების დანიშვნაში; მესამე კი იმაში, რომ ეს საათები ისეთი ხელოვნებითა და სიზუსტით გავაკეთოთ, რომ მათ შემდგომ დამთხვევაში დარწმუნებული ვიყოთ". თუ არ გავითვალისწინებთ დირიჟორის გარეშე ორკესტრის თანხმიერების პრინციპს, რომელიც(დირიჟორი) რომელიმე სპონტანური ან თავსმოხვეული ორგანიზაციის არარსებობისასაც კი ინდივიდუალურ პროექტებს რეგულარობას, ერთიანობას და სისტემატურობას ანიჭებს, მაშინ ეს უცილობლად გულუბრყვილო ხელოვნურობამდე მიგვიყვანს, როდესაც გაცნობიერებული კოორდინააციის გარდა, სხვა გამაერთიანებელი პრინციპის აღიარება არ ხდება. ერთი ჯგუფის ან დიფერენცირებულ საზოგადოებაში ერთი და იმავე კლასის წევრების პრაქტიკები მუდმივად უფრო მეტად და უკეთესად არის ჰარმონიზებული, ვიდრე ეს თავად აგენტებს სურთ ან აცნობიერებენ, რამდენადაც, როგორც ისევ ლაიბნიცმა თქვა „მხოლოდ თავისი საკუთარი კანონებისადმი მიდევნებისას", „თითოეული, მიუხედავად ამისა, მეორეს ემთხვევა". Habitus სწორედ ასეთი იმანენტური კანონია, Lex insita, რაც არა მხოლოდ პრაქტიკების კოორდინაციის, არამედ კოორდინაციის პრაქტიკებისათვის წანამძღვარს წარმოადგენს. შესწორებები და რეგულირება, რომლებიც შეგნებულად შეაქვთ თავად აგენტებს, საერთო კოდის ფლობას გულისხმობს; კოლექტივის მობილიზაციის მცდელობები მამობილიზებელ აგენტთა (წინასწარმეტყველთა, ლიდერთა და ა.შ.) Habitus-სა და იმათ წინასწარგანწყობებს შორის, ვინც მათ პრაქტიკებსა თუ სიტყვებში საკუთარ თავს ცნობს მინიმალური დამთხვევის გარეშე, გარდა ამი-

სა, წინასწარგანწყობათა სპონტანური შესატყვისობის შედეგად წარმოქმნილი ჯგუფებად ჩამოყალიბების პროცესის გარეშე, შეუძლებელია წარმატებით დასრულდეს.

ცხადია, რომ კოლექტიური მოქმედების ორგანიზებაზე მიმართული მობილიზაციის ყოველი ძალისხმევა წინასწარგანწყობათა და შემთხვევითობათა დიალექტიკას უნდა ითვალისწინებდეს, რომელიც თითოეულ აგენტშია ჩადებული, მნიშვნელობა არ აქვს, მობილიზებას ის ეწევა თუ მას უწევენ მობილიზაციას, Habitus-ის ინერტულობა (hysteresis – ლათინურად-შეყოვნება), უეჭველად, შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების წინასწარგანწყობებს შორის სტრუქტურული განშლის არსებობის ერთ-ერთი ახსნათაგანია, რომელიც წარმოადგენს კიდეც ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების და განსაკუთრებით ისტორიული კრიზისების შესახებ სხვაგვარად აზროვნების ხშირად შემჩნეული უუნარობის მიზეზს, ვიდრე წარსულის, თვით რევოლუციური დროებისათვის დამახასიათებელი აღქმისა და აზროვნების კატეგორიებში აზროვნებაა. ასევე ცხადია, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტურად კოორდინირებულ წინასწარგანწყობებს შორის დადგენილი ობიექტური შესატყვისობა, რამდენადაც მეტად თუ ნაკლებად იდენტური ობიექტური აუცილებლობის ძალით მოდიან წესრიგში – წესრიგდებიან – განლაგდებიან. მაგრამ ძალიან საშიშია, კოლექტიური მოქმედება ინდივიდუალური მოქმედების ანალოგიით განვიხილოთ და იგნორირება გავუკეთოთ ყოველივე იმას, რითაც კოლექტიური მოქმედება მობილიზაციის ინსტიტუტების (მათი საკუთარი ისტორიით, მათი სპეციფიკური ორგანიზაციებით და ა.შ.) შედარებით ავტონომიური ლოგიკისგანაა დავალებული, აგრეთვე, სიტუაციებს (მნიშვნელობა არ აქვს, ინსტიტუციონალიზებულია თუ არა), რომლებშიც იგი წარმოიქმნება და ხდება.

სოციოლოგიაში იდენტურ ინდივიდებად ითვლება ყველა, ვისაც, როგორც ერთი და იმავე ობიექტური პირობების პროდუქტებს, ერთი და იგივე – მსგავსი Habitus აქვთ. სოციალური კლასი (თავისთავად) არსებობისა და გარემოს იდენტური ან მსგავსი პირობების მქონე კლასია. იგი ამავე დროს ერთი და იმავე Habitus-ის მფლობელ ბიოლოგიურ ინდივიდთა კლასია, რომელიც ერთი და იმავე გარემოს ყველა პროდუქტისათვის საერთო წინასწარგანწყობათა სისტემად განიხილება – თანაც ისე, რომ ერთი და იმავე კლასის ყველა(-თუნდაც ორი) წარმომადგენლისათვის ერთნაირი გამოცდილება შეუძლებელია, ამავე დროს ცხადია, რომ ერთი კლასის წარმომადგენლები სხვა კლასის წარმომადგენლებთან მიმართებაში, დიდი ალბათობით, თავიანთი კლასისათვის ტიპურ სიტუაციებს ეჯახებიან. თავისი ხასიათით მუდმივად კონვერგენტული გამოცდილების მეშვეობით, რომელიც სოციალურ გარემოს სახეს ანიჭებს, თავისი „დაკეტილი კარებით“, „ჩიხებით“, „შეზღუდული შესაძლებლობებით, სახეს აძლევენ ობიექტური სტრუქტურები, სოციოლოგიაში გაგებული, როგორც დოვლათის, მომსახურების და ძალაუფლების მოპოვების ალბათობა/შესაძლებლობა, „შესაძლებლობა-დაშვებათა შეფასების ხელოვნებას“, როგორც ლაიბნიცმა განსაზღვრა, ობიექტური მომავლის წინასწარხედვის ალბათობის, მოსალოდნელობის განსაზღვრის ხელოვნებას, მოკლედ, „რეალობის გრძნობას“ ან „რეალობების გრძნობას“ იძლევიან, რომელიც შესაძლებელია, ამ სტრუქტურათა ეფექტურობის ყველაზე ფარულ პრინციპს წარმოადგენს.

იმისათვის, რათა კლასობრივ Habitus-სა და ინდივიდუალურ Habitus-ს (რომელიც განუყოფელია ინდივიდუალური ორგანიზმიდან, ე. ი. უშუალოდაა მოცემული უშუალო აღქმაში – intuitus personae (ლათ.შეხედულება, პიროვნების თვალსაზრისი) – და სოციალურად განსაზღვრული და აღიარებულია – სახელი, ლეგალური სტატუსი და ა. შ.) შორის დამოკიდებულება განვსაზღვროთ, მოდით, კლასობრივ (ან ჯგუფობრივ) Habitus-ად (რომელიც ინდივიდუალური Habitus-ია იმდენად, რამდენადაც იგი კლასს ან ჯგუფს გამოთქვამს) სუბი-

ექტური, მაგრამ არა ინტერნალიზებულ სტრუქტურათა, აღქმის ზოგადი სქემების, კონ-ცეფციების და მოქმედებების ინდივიდუალიზებული სისტემა, რომელიც ყოველგვარი ობიექტივაციის და აპერცეფციის (9) (აპერცეფცია, ადამიანის წინამორბედი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ყოველი ახალი აღქმის დამოკიდებულება და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აღქმის მომენტში (ტერმინი ლაიბნიცის მიერაა შემოტანილი) წანამძღვარს წარმოადგენს, ჩავთვალოთ, არამედ პრაქტიკების ობიექტური კოორდინაცია და ზოგადი-- საერთო მსოფლმხედველობა სავსებით შესაძლებელი იქნებოდა ერთეულ პრაქტიკათა და შეხედულებათა ურთიერთჩანაცვლებადობასა და აბსოლუტურ უპიროვნებობას დაჰ-ყრდნობოდა. მაგრამ მაშინ ეს ნიშნავს იდენტური სქემების შესაბამისად წარმოებული ყველა პრაქტიკა თუ წარმოდგენები, კოსმოსის ინდივიდუალისტური – ინტუიციური აღქმების მსგავსად, როგორც უპიროვნო და ჩანაცვლებადი განვიხილოთ, რომლებიც, კანტის მიხედვით, ემპირიული ეგო-ს არც ერთ თავისებურებას არ ასხავენ (მხედველობაშია კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეფციის იდეა). ფაქტობრივად, ერთი და იმავე კლასის წარმომადგენლების ერთეული Habitus-ები ჰომოლოგიის დამოკიდებულებებითაა გაერთიანებული, ე.ი. მათი წარმოების სოციალური პირობებისათვის დამახასიათებელი ჰომოგენურობის ჩარჩოებში არსებული მრავალსახეობითაა გაერთიანეული. წინასწარგანწყობათა თითეული ინდივიდუალური სისტემა – ეს სხვების სტრუქტურული ვარიანტია, რომელიც კლასში არსებულ ტრაექტორიებისა და ადგილის – მდგომარეობის თავისებურებას გამოთქვამს. შენიშვნა („difference"-ის სტრუქტურალისტური იდეა, ბურდიეს მიერ კლასობრივი Habitus-ით მოცემული სტრუქტურის მეშვეობით, ინდივიდუალურ Habitus-თა მრავალსახეობის განლაგება-გასივრცეობისათვის გამოიყენება. ამით იგი აუქმებს „კომუნალიზმის ილუზიას", რომელიც, მისი აზრით, არსებობდა სტრუქტურალიზმში, კერძოდ, სოსიურთან – რომ ენა, ყველასთვის მისაწვდომ კოლექტიურ საუნჯეს წარმოადგენს (Bourdieu, 1991:Ch.1).

ერთი და იმავე Habitus-ის ყველა პროდუქტის, იქნება ეს პრაქტიკები თუ პრაქტიკათა შედეგები, განმასხვავებელი „პირადი" სტილი, განსაკუთრებული შტამპი, მუდმივად სხვა არაფერია, თუ არა პერიოდის(ეპოქის) სტილთან და კლასთან მიმართებაში არსებული გადახრები, იგი საერთო-ზოგად სტილთან არა მხოლოდ კონფორმულობის აზრითაა დაკავშირებული, როგორც ფიდიასთან, რომელსაც, როგორც ჰეგელი თვლიდა, „მანერები" არ ჰქონდა, არამედ – განსხვავების აზრითაც, რომელიც შეადგენს კიდეც „მანერას".

ინდივიდუალურ Habitus-ებს შორის არსებული განსხვავეების პრინციპი მათ სოციალურ ტრაექტორიათა თავისებურებაში მდგომარეობს, რომლებსაც ერთმანეთზე დაუყვანადი ქრონოლოგიურად მოწესრიგებული დეტერმინანტების სერიები შეესაბამებიან. Habitus-ს, რომელიც დროის ყოველ მომენტში წარსული გამოცდილების მიერ შექმნილი, მათი შერჩევითი უნარებით მოცემულ საზღვრებში ახალი გამოცდილებით მოდიფიცირებული სტრუქტურების შესაბამისად, ახალ გამოცდილებას ასტრუქტურებს, ერთი კლასის წარმომადგენლებისათვის სტატისტიკურად საერთო გამოცდილების უნიკალური ინტეგრაცია, სახელდობრ, უფრო ადრინდელი გამოცდილებით მართული ინტეგრაცია შემოაქვს (მართულ ინტეგრაციას რთავს). ადრინდელ გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც Habitus-ს სიმყარისა და მუდმივობის შენარჩუნების ტენდენცია აქვს და, ცვლილებებისაგან ახალი ინფორმაციების შერჩევით, იმ ინფორმაციების უკუგდებით, რომლებსაც უკვე დაგროვილი ინფორმაციების ეჭვის ქვეშ დაყენება ძალუძთ, თუ ასეთი რამ შემთხვევით ან იძულებით ეხვევა თავს, მაშინ ასეთი ინფორმაციების თავიდან არიდება ხდება. ამავე დროს, უცილობლად უნდა გვახსოვდეს ჰომოგამიის, ყველა „არჩევანის" პარადიგმის არსებობის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც Habitus, ჩვეულებრივ, ამა

თუ იმ გამოცდილებას უპირატესობას ანიჭებს, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ აძლიერებს მას (მაგალითად, ემპირიულად დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ადამიანებს პოლიტიკაზე საუბრის სურვილი და მიდრეკილება იმ ადამიანებთან უჩნდებათ, ვინც ანალოგიურ შეხედულებებს იზიარებს).

ადგილების, ხდომილებების და ადამიანების გასაცნობად სისტემატური „არჩევანის" გაკეთებით, Habitus კრიზისებისა და კრიტიკული თავდასხმებისაგან თავს იცავს, თავისი თავისთვის, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფს გარემოს, რომელშიც ის უკვე ჩართული და შეგუებულია, ე.ი. იმ სიტუაციათა შედარებით მუდმივ წრეს, რომელიც მის წინასწარგანწყობებს აძლიერებს, მისი პროდუქტებისათვის ყველაზე შესაფერის ბაზარს უზრუნველყოფს. და კვლავ, Habitus-ის ყველაზე პარადოქსული თვისება, ამ ყველა „არჩევანის" აურჩეველი პრინციპის თავისებურება ისაა, რომ იგი უზრუნველყოფს პარადოქსის გადაწყვეტას: შეირჩევა ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა ინფორმაციისათვის თავის არიდება, მისი უგულებელყოფა შესაძლებელი გახდეს.

Habitus-ის სქემები და შეფასებები, რომლებსაც თავის არიდების სტრატეგიებთან მივყავართ, მნიშვნელოვანი ხარისხით, გაუცნობიერებლად და გულუზრახად მუშაობენ. გადახრა ან ავტომატურად, როგორც არსებობის პირობების (მაგალითად, სივრცობრივი სეგრეგაციის) რეზულტატი, ან, როგორც იმავე პირობებში ჩამოყალიბებული/აღზრდილი ზრდასრული ადამიანებისაგან წამოსული სტრატეგიული განზრახვის (მაგალითად, როგორც „ცუდი კომპანიისაგან" ან „შეუსაბამო წიგნებიდან" იზოლაცია) სახით ხდება.

თვით მაშინაც კი, როდესაც ისინი, როგორც Habitus-ის ქმნილებანი, ნათელი მიზნების, სტრატეგიების რეალიზაციად გამოიყურებიან და აგენტებს საშუალებას აძლევენ, გაუთვალისწინებელ და მუდმივად ცვალებად სიტუაციებს გაუმკლავდნენ, მომავლით მხოლოდ ზედაპირული განხილვისას განისაზღვრებიან. თუ მიუხედავად ამისა, მაინც იქმნება შთაბეჭდილება, რომ განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებზე არიან მიმართული, და ამგვარად, რეზულტატზე ორიენტაციის ილუზია ნარჩუნდება, მაშინ ეს იმიტომ ხდება, რომ მათი მწარმოებელი ობიექტური სტრუქტურების კვლავწარმოებისას ეს სტრატეგიები მათი წარმოების პრინციპის წარმოების პირობებით განისაზღვრება, ე.ი. იდენტური და ურთიერთშემცველი წარსული პრაქტიკების უკვე ცნობილი რეზულტატით, რომელიც მათ საკუთარ რეზულტატს მხოლოდ იმ ხარისხით ემთხვევა, რომელშიც სტრუქტურები, რომელთა ჩარჩოებშიც ისინი ფუნქციონირებენ, იმ ობიექტური სტრუქტურების იდენტური და ჰომოლოგიურია, რომელთა პროდუქტსაც ისინი წარმოადგენენ. შენიშვნა (მაგალითად, უნივერსიტეტში ჩარიცხვის სტრატეგია, რომელიც თავის რეზულტატად განათლების (ან დიპლომის) მიღებას გულისხმობს, სინამდვილეში სოციალური იერარქიის პრინციპს კვლავაწარმოებს და იმ ხარისხით (დონით) რეალიზდება, რა ხარისხითაც სტრატეგია ფხიზლად ირჩევა, ე.ი. სასწავლო დაწესებულებების რანგისა და საკუთარი თავის შანსების, ჯგუფური მიკუთვნებულობის, კომპენტენციების ჩამოყალიბებული თანაფარდობის გათვალისწინებით ხდება). მაგალითად, ერთი და იმავე Habitus-ის მქონე (ვთქვათ, A და B) ჯგუფის ურთიერთქმედებაში ყველაფერი ისე ხდება, თითქოს თითოეული მათგანის (ვთქვათ, a1 A-სთვის) მოქმედება იმავე Habitus-ის (ვთქვათ, B1, B-სთვის) მქონე აგენტისაგან მოსალოდნელ რეაქციებზეა თითქოსდა გათვლილი და ორგანიზებული. ისინი, მაშასადამე, ობიექტურად შეიცავენ იმ რეაქციების წინასწარჭვრეტას, რომლებიც ამ რეაქციებს, თავის მხრივ, შეუძლიათ გამოიწვიონ (a2, A-ს რეაქციები, b1 -ზე). მაგრამ ტელეოლოგიური აღწერა, რომელიც „რაციონალური აქტორისთვის" ერთადერთი შესაფერისი რამაა, რომელიც სრულ ინფორმაციას ფლობს როგორც უპირატესობა-მჯობინებებს, ისე სხვა აგენტე-

ბის კომპენტენციის (competence) შესახებ, რომელშიც თითოეული მოქმედება იმ რეაქციაზე რეაქციის შესაძლებლობის შექმნაზეა მიმართული, რომელსაც იგი იწვევს (ინდივიდი ასრულებს მოქმედება a1, მაგალითად, ჩუქნის საჩუქარს იმისათვის, რათა აიძულოს ინდივიდი B, გააკეთოს მოქმედება b1 ისე, რომ მან შემდეგ აწარმოოს მოქმედება a2, რომელიც საჩუქარს წინ უსწრებს), იმდენადვე გულუბრყვილოა, როგორც მექანისტური აღწერა, რომელიც მოქმედებას და მასზე საპასუხო რეაქციებს, როგორც მექანიკური აპარატის მიერ წარმოებული დაპროგრამებული ქმედებების თანმიმდევრულობაში გადადგმულ ნაბიჯთა სიმრავლეს აღწერს.

რათა უფრო კარგად წარმოვიდგინოთ ის სიძნელეები, რომლებსაც პრაქტიკის, როგორც მექანიკური რეაქციის, წინამორბედი პირობებით უშუალოდ განსაზღვრული და მთლიანად ურთიერთდარეგულირებული მოწყობილობების მექანისტურ ფუნქციონირებაზე დაყვანილი – რომლებიც უნდა ვივარაუდოთ, რომ განუსაზღვრელი რაოდენობით არსებობს, ისევე, როგორც სტიმულთა შემთხვევითი კონფიგურაციებიც, რომლებსაც მათი გარედან გაშვება ძალუძთ – მექანისტური თეორია აწყდება, საჭიროა, პოზიტივისტური მიმართულების ანთროპოლოგის გრანდიოზული გამოუვალი მცდელობები გავიხსენოთ, რომელმაც სამზარეულოში თავის ცოლზე 20-წუთიანი დაკვირვების მანძილზე ქცევის 480 ელემენტარული ერთეული ჩაიწერა: „აქ ჩვენ ვაწყდებით იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ეპიზოდების ჯაჭვის გაანალიზებული შერჩევა წარმოადგენს ქცევის დიდი სეგმენტის ფრაგმენტს, რომელიც სრული ჩანაწერის სახით 480 ცალკეულ ეპიზოდს მოიცავს. უფრო მეტიც, საჭირო გახდა მხოლოდ 20 წუთი, რათა ქცევითი ნაკადის 480 ხდომილება მომხდარიყო. ჩემი ცოლის ქცევა სხვა აქტორების ქცევისათვის რეპრეზენტატული რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით, საქმე ეპიზოდთა ისეთ მრავალფეროვნებასთან გვქონოდა, რომელიც 16-საათიან დღეში ერთი აქტორის მიერ 20000-ჯერ ხდება... მოსახლეობისთვის კი, რომელიც აქტორთა ათასობით ტიპებისაგან შედგება, საერთო გათვლაში განსხვავებულ ეპიზოდთა რაოდენობამ ერთი წლის ციკლის განმავლობაში მრავალი მილიონი უნდა შეადგინოს“ (Harris, 1964, 74-75).

Habitus ობიექტური მნიშვნელობის პარადოქსების გადაწყვეტას სუბიექტური ინტენციების გარეშე მოიცავს. ეს „მოძრაობის“ იმ სიმთა წყაროა, რომლებიც ობიექტურად ორგანიზებულნი არიან, როგორც სტრატეგიები, თანაც ისე, რომ ნამდვილად სტრატეგიული ინტენციის პროდუქტებს არ წარმოადგენენ – რომელიც სულ მცირედ იმის აღმნიშვნელი მაინც იქნებოდა, რომ მოცემული სტრატეგია ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად მიიღება. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ობიექტური სტრატეგიების შემადგენელ მოწესრიგებულ და ორიენტირებულ ქმედებათა თანმიმდევრულობაში თითოეული სტადია, მომავლის წინასწარჭვრეტით, განსაკუთრებით კი მოსალოდნელი შედეგებით, იმიტომ, რომ პრაქტიკები, რომლებიც Habitus-ის მიერ იქმნება (იბადება) და მათი წარმომშობი პრინციპის წარმოების წარსული პირობების მიერ იმართება, უეჭველად მორგებულია ობიექტურ პირობებს, თანაც ისე, რომ პირობები, რომლებშიც ფუნქციონირებს Habitus, იდენტური ან იმათი მსგავსი რჩება, რომლებშიც იგი ჩამოყალიბდა. ობიექტური პირობებისადმი განსაკუთრებულად წარმატებული მორგება ტელეოლოგიზმის ან თვითმარეგულირებელი მექანიზმის სრულ ილუზიას გვაძლევს.

Habitus-ის მიერ შესრულებული მომავლის ასეთ მცდარ წინასწარხედვაში წარსულის არსებობა პარადოქსული წესით-სახით ყველაზე ნათელია, როდესაც შესაძლო მომავლის შეგრძნება არასწორია და როდესაც წინასწარგანწყობანი, რომლებიც ინერტულობის (histeresis)(მარქსის საყვარელი მაგალითი – დონ კიხოტი) ეფექტის გამო ობიექტურ შანსებს ცუდად არიან მორგებულნი, ნეგატიურად სანქციონირდებიან, რამდენადაც გარემო,

რომელშიც ისინი რეალიზდებიან, ძალიან განსხვავდება იმისაგან, რომელშიც ისინი ობიექტურად მორგებულნი იყვნენ. სინამდვილეში, პირველადი გარემოს გავლენის სიმყარე Habitus-ის ფორმაში ისევე კარგად ხსნის იმ შემთხვევებს, როდესაც წინასწარგანწყობანი შეუსაბამოდ ვლინდებიან, და პრაქტიკებიც ახლანდელ პირობებს ობიექტურად ცუდად არიან მორგებულნი, რამდენადაც ისინი ხომ ობიექტურად იმ პირობებს არიან მორგებულნი, რომლებიც უკვე არ არსებობს. ჯგუფების inter alia (სხვათა შორის) შენარჩუნების ტენდენცია, იმის წყალობით, რომ ისინი მყარი წინასწარგანწყობების მქონე ინდივიდებისაგან შედგებიან, რომელთაც იმ ეკონომიკური და სოციალური პირობების „გადატანა“ ძალუძთ, რომლებშიც იქნენ წარმოებულნი, შეიძლება როგორც ადაპტაციის და ადაპტაციის არარსებობის, ისე ამბოხისა და მორჩილების წყარო გახდნენ.

ასევე აუცილებელია, წინასწარგანწყობებსა და პირობებს შორის დამოკიდებულებების სხვა შესაძლებელი ფორმები განვიხილოთ, რათა განვჭვრიტოთ, რომ ობიექტური პირობებისადმი Habitus-ის უეჭველი მორგებულობა მხოლოდ „შესაძლო კერძო შემთხვევაა“, და ამგვარად, აბსოლუტური კვლავწარმოების მოდელის არაცნობიერი უნივერსალიზაცია თავიდან ავიცილოთ, რომელიც მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც Habitus-ის წარმოების პირობები და მისი ფუნქციონირების პირობები იდენტური ან ჰომოთეტურია. ამ შემთხვევაში წინასწარგანწყობანი, რომლებიც ობიექტური პირობებისა და პედაგოგიური ზემოქმედების ძალით თავს გვეხვევიან და რომლებიც ამ პირობებს იდეოლოგიურად არიან მორგებულნი, ჩვეულებრივ ბადებენ (ქმნიან) პრაქტიკებს, რომლებიც ობიექტურად შეესატყვისებიან ამ პირობებს და მოლოდინებს, რომლებიც მათ ობიექტურ პირობებს უეჭველად მორგებული არიან (amor fati-ბედისწერის სიყვარული) (ფსიქოლოგების მიერ ამ ურთიერთკავშირის უშუალო შემოწმების ზოგიერთი მცდელობა იხილეთ: Brunslbik, 1949; Preston and barrata, 1948; Atteneave, 1953), რის შედეგადაც ისინი, ჩვეულებრივ, წარმატების შანსების ყოველგვარი რაციონალური კალკულაციის ან შეფასების გარეშე, ხდომილებისადმი მიწერილ (მნიშვნელობა არ აქვს, მას ამ დროს იმედის, მოლოდინის, შიშის სუბიექტური განცდები თან ახლავს თუ არა) a priori ან ex ante შესაძლებლობას და a posteriori, ანუ ex post შესაძლებლობას, რომელიც წარსული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება იქნეს დადგენილი, შორის უშუალო შესაბამისობის დადგენის გარანტიას იძლევიან. დისპოზიციები(-წინასწარგანწყობები), ამგვარად, საშუალებას გვაძლევენ გავიგოთ, თუ „ობიექტურად როგორც საშუალოდ არსებულ“ ზოგად („ტიპიურ“) შანსებს და „სუბიექტურ მოლოდინებს“, ანუ, მაგალითად, ინვესტიციებს ან ინვესტიციებისადმი მიდრეკილებებსა და მოსალოდნელ ან წარსულში რეალურად მიღწეულ მოგება-ამოღების დონეს შორის „მიღწევადი მიზეზობრიობის დამოკიდებულების“ – როგორც ეს მაქს ვებერმა(Weber, 1922) განსაზღვრა – შესახებ ტაციტურ წანამძღვარზე აგებული ეკონომიკური მოდელები საკმარისად კარგად ხსნიან პრაქტიკებს, რომლებიც ობიექტური შანსების ცოდნის შედეგად წარმოიშობიან.

მითითებისას, რომ რაციონალური მოქმედება „გააზრებულად“ (judiciously) ორიენტირებულია იმაზე, რაც „ობიექტურია“ (objectively valid) (Weber, 1922), არის მოქმედება, რომელიც „მოხდებოდა, თუ აქტორებს ყველა გარემოებათა და ერთმანეთის მიმართ ყველა განზრახვა წინასწარ ეცოდინებოდათ“ (Weber, 1968:6), ე.ი. ის, რაც „მეცნიერის თვალში ობიექტურია“, მეცნიერი კი ერთადერთია, რომელსაც სრულად ინფორმირებული მოქმედების კოორდინაციისათვის ობიექტური შანსების სისტემის გამოთვლა შეუძლია. ვებერი მთელი სიცხადითა და გარკვეულობით გვიჩვენებს, რომ რაციონალური მოქმედების წმინდა მოდელი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრაქტიკის ანთროპოლოგიური მოდელი – არა იმიტომ, რომ რეალური აგენტები მხოლოდ ყველაზე განსაკუთრებულ შემთხვევებში

ფლობენ სრულ ინფორმაციას და მისი შეფასების უნარებს, რაც რაციონალური მოქმედების აღმნიშვნელი იქნებოდა. იშვიათი შემთხვევების გარდა, რომლებშიც სხვადასხვა ბაზრებზე მოგების ცოდნის საფუძველზე რაციონალური მოქმედების ეკონომიკური და სოციალური პირობები ერთიანდებიან, პრაქტიკები არა მოგების საშუალო შანსებზე, ამ აბსტრაქტულ და არარეალურ ცნებაზე, არამედ იმ სპეციფიკურ შანსებზე არიან დამოკიდებულნი, რომლებსაც ერთეული აგენტი ან აგენტთა კლასი თავისი კაპიტალის შესატყვისად ფლობს, კაპიტალის, რომელიც გაგებულია, როგორც თეორიულად ყველასათვის მისადგომი შანსების მითვისების საშუალება.

მხოლოდ წარმოსახულ გამოცდილებაში (მაგალითად, ხალხურ ზღაპრებში), რომელიც სოციალური რეალობის გრძნობას ნეიტრალიზებას უკეთებს, სოციალური სამყარო თითოეული სუბიექტისათვის ერთნაირად განხორციელებად, შესაძლებლობათა სამყაროდ გარდაიქმნება. აგენტები კი თავის მოლოდინებს მისაღწევისა და მიუღწევლის, იმის, რაც „ჩვენთვისაა“ და „რაც ჩვენთვის არაა“, კონკრეტული ინდიკატორების შესატყვისად აყალიბებენ ისეთივე ფუნდამენტური და ისევე ღრმად ათვისებული დაყოფის საფუძველზე, როგორიც წმინდასა და საეროს შორის არსებული დაყოფაა.

კანონთა და განსაზღვრულ შესაძლებლობებზე მონოპოლისტური უფლებით განსაზღვრულ მომავალზე უპირატესი უფლებები შესაბამისი შანსების მთელი სისტემის მხოლოდ ექსპლიციტურად გარანტირებული ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების არსებული ურთიერთდამოკიდებულებები საკუთარი თავის მომავალში პროეცირებას ახდენენ, საიდანაც ისინი ახლა-აწმყოში არსებულ წინასწარგანწყობებით, განსაკუთრებით კი მომავალზე ორიენტირებული წინასწარგანწობებით მართავენ. აგენტის მომავლისადმი ფაქტობრივად არსებული დამოკიდებულება, რომელიც მის აწმყოში არსებულ პრაქტიკას მართავს, ერთი მხრივ, Habitus-ს, მისი შესაძლებლობებით განსაზღვრულ სამყაროში კონსტრუირებულ მომავლის მიმართ დროითი სტრუქტურებითა და წინასწარგანწყობებით და, მეორე მხრივ, სოციალური სამყაროს მიერ აგენტისათვის ობიექტურად შეთავაზებული შანსების განსაზღვრულ მდგომარეობას შორის დამოკიდებულებებით განისაზღვრება. დამოკიდებულება კი იმისადმი, რაც შესაძლებელია, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაა; შესაძლებელი მომავლის შესახებ წარმოდგენა მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვებისათვის ცხადად არსებული და ჩვენთვის რეალური შესაძლებლის (ჩვენთვის) და რეალურად შეუძლებლის (ჩვენთვის) კატეგორიების შესატყვისად სტრუქტურირებულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. Habitus – ეს უფრო Habitus-ის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე, ვიდრე მის ტრანსფორმაციაზე მიმართულ ინდიკატორთა შერჩევითი აღქმის პრინციპია, ესაა მატრიცა, რომელიც Habitus-ის წარმოების იდენტურ ან ჰომოლოგიურ (წარსულ) პირობებთან, ყველა ობიექტურ პირობასთან წინასწარმორგებულ რეაქციებს ბადებს. იგი თავის თავს იმ შესაძლო მომავალს არგებს(მოარგებს), რომელსაც ის ხედავს და განხორციელებაში ეხმარება, რამდენადაც მას აწმყოში ნაგულისხმევ სამყაროში უშუალოდ კითხულობს, იმ ერთადერთ სამყაროში, რომელიც მას შეუძლია იცოდეს. ეს იდო იმის საფუძველში, რასაც მარქსი (Marx, 1975:378) „ეფექტურ მოთხოვნას“ (მოთხოვნილებებსა და სურვილებზე დაფუძნებული „ეფექტის გარეშე მოთხოვნისაგან“ განსხვავებით) უწოდებს, რეალისტურ დამოკიდებულებას იმისადმი, რაც შესაძლებელია, რაც ხელისუფლებას ემყარება და, მაშასადამე, ხელისუფლების მიერვე შეზღუდულია. ასეთი წინასწარგანწყობები, მუდამ მათი შეძენისა და რეალიზაციის (სოციალური) პირობებით აღნიშნული, ჩვეულებრივ, მოთხოვნებისა თუ სურვილების დაკმაყოფილების ობიექტურ შანსებს მორგებულია, მის აგენტებს განაწყობს – „ფეხები იქამდე გასწიონ, სანამ საბანი გასწვდებათ“, და ამგვარად, შესაძლო რეალობის შექმნაზე წარმართულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

წყაროები:

Bourdieu Pierre. Structures,Habitus, Practices / The Logic of Practice. Polity Press, 1990.(Book 1.3,pp.52-65).
Bourdieu P. Language & Symbolic Power, Cambridge: Polity Press. 1991.
Durkheim, E. The Evolution of Educational Thought. London: Routledge & Kegam Paul. 1977 (L'Evolution pedagogique en France. 1938).
Gluckmam, M. "Ethnographic data in British social antropology". Sociological Peviev, 1961, 9, pp. 5-17.
Harris, M. The Nature of Cultural Things. New York: Random House, 1964.
Leibniz. G.W. Oeuvres philosophiques. Ed. P. Janet. Paris: Landrange, 1866.
Leach, E. "On certain unconsidered aspects of double descent systems". Man, 1962,62.
Marx, K. "Economic and Philosophic Manuscript of 1844". In K.Marx, Early Writings, Harmondsworth: Penguin, 1975
Ruyer, R. Paradoxes de la conscience ed Limites de L'automatisme. Paris: Albin Michel, 1966.
Weber, M. Gesammelte Aufsatze zur Wissenschaftslehre. Tubingen: J.C. Mohr, 1922.
Weber, M. Economy and Society, 1968, vol.I. New York: Bedminster.

Бурдье П. Формы Капитала. Экономический Журнал. Перевод М.С. Добряковой.

პიერ ბურდიე -„კაპიტალის ფორმები".

სოციალური სამყარო აკუმულირებული, დაგროვილი ისტორიაა და თუ მას აგენტებს შორის მყისიერი, მექანიკური წონასწორობების ნაწყვეტ სერიებამდე არ დავიყვანთ, რომლებსაც, როგორც ურთიერთჩამნაცვლებელ ელემენტებს განიხილავენ, მაშინ კაპიტალის ცნება, აკუმულაცია და ყველა მისი შედეგი აუცილებლად ახლიდან უნდა შემოვიტანოთ. კაპიტალი აკუმულირებული შრომითი რესურსია (მისი მატერიალიზებული, ან „ინკორპორირებული", ჩართული ფორმით), რომელიც, კერძოობის შემთხვევაში (როდესაც ექსკლუზიურია და აგენტებისგან ან აგენტთა ჯგუფისგანაა წამოსული), აგენტებს საშუალებას აძლევს, სოციალური ენერგია კონკრეტულ ან ცოცხალ სამუშაო ძალად გარდაქმნან. ეს არის ობიექტურ ან სუბიექტურ სტრუქტურებში ჩაწერილი თანდაყოლილი ძალა (vis insita), მაგრამ ის ამავე დროს არის მოსყიდული სამართალიც (lex insita – პრინციპი, რომელიც ხაზს სოციალური სამყაროს იმანენტურ კანონზომიერებებს უსვამს). ეს არის ის, რაც საზოგადოებრივ თამაშებს – არა მხოლოდ ეკონომიკურ თამაშებს – არა იღბლის მარტივ გამოცდად, არა აზარტულ თამაშად, არამედ რაღაც სხვად აქცევს, ისეთ რაღაცად, რომელიც ყველა ცდაზე სასწაულის მოხდენის შესაძლებლობას გვთავაზობს. რულეტი, რომელსაც დროის მცირე მონაკვეთში შეუძლია მოაგებინოს მოთამაშეს უამრავი თანხა, კვაზისწრაფად შეუცვალოს ადამიანს სოციალური სტატუსი და რომელშიც წინა ბრუნვით მიღებული ყოველი მოგება ახალ ბრუნთან ერთად შეიძლება გაირისკოს და დაიკარგოს – იმ წარმოსახვითი სამყაროს შესახებ, რომელშიც სრულყოფილი კონკურენცია და ყველასათვის შანსების თანასწორობა არსებობს, ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს. ეს არის გამოგონილი სამყარო ინერციის, დაგროვების, მემკვიდრეობითობისა და შეძენილი თვისებების გარეშე, რომელშიც ყოველი მომენტი სრულიად დამოუკიდებელია წინასგან, ყველა მეომარს აქვს მარშლის კვერთხი თავის ხელჩანთაში, ყველა ჯილდო მიღწევადია და უმალვე ყველას შეუძლია გახდეს ყველაფერი. კაპიტალს, თავისი ობიექტური და ინკორპორირებული ფორმით, აკუმულაციისთვის დრო სჭირდება. ის დროს, როგორც პოტენციურ ნიჭს, იდენ-

ტური ან გაფართოებული ფორმით მოგების წარმოებისა და საკუთარი თავის კვლავწარმოებისთვის იყენებს. კაპიტალს აქვს ტენდენცია, რომ შენარჩუნდეს მის არსებაში. ეს არის ძალა, რომელიც ჩადებულია საგნებში, მათ ობიექტურობაში, იმ პირობით, რომ არაფერია თანაბრად შესაძლებელი ან შეუძლებელი. კაპიტალის სხვადასხვა ტიპის ან ქვეტიპის მიწოდების სტრუქტურა, დროის ამ მომენტისათვის, სოციალური სამყაროს იმანენტურ სტრუქტურას, ე.ი. შეზღუდულობების წყებას წარმოადგენს. ეს შეზღუდულობები რეალურ სამყაროში არიან ჩაწერილი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებას, რითაც პრაქტიკებისთვის წარმატების მიღწევის შანსებს განსაზღვრავენ.

შეუძლებელია ვიმსჯელოთ სოციალური სამყაროს სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ მანამ, სანამ არ გავეცნობით კაპიტალის ყველა ფორმას და არა მხოლოდ ერთს, რომელსაც ეკონომიკური თეორია იცნობს. ეკონომიკურმა თეორიამ დაუშვა, რომ მისთვის თავს მოეხვიათ ეკონომიკის ის განსაზღვრება, რომელიც კაპიტალიზმის ისტორიულ გამოგონებას წარმოადგენს. ეს მოხდა გაცვლების სამყაროს კომერციულ გაცვლამდე დაყვანით, რომელიც, ობიექტურად თუ სუბიექტურად მოგების მაქსიმალიზაციაზე ორიენტირდება, ე.ი. (ეკონომიკურად) ანგარებიანია და პირადი ინტერესებითაა განპირობებული. არაეკონომიკური და, ამასთან, დაინტერესებას მოკლებული ტიპების სახით კი მან გაცვლის სხვა ფორმები განსაზღვრა. ზოგადად, იგი უანგაროს გაცვლის ისეთ ფორმებს უწოდებს, რომლებიც კაპიტალის ყველა მატერიალური ტიპის დახმარებით, ტრანსსუბსტანციას (გარდაქმნას) უზრუნველყოფენ – მათ, რომლებიც, შეზღუდული გაგებით, ეკონომიკურნი არიან, შეუძლიათ თავი არამატერიალური კულტურული კაპიტალის ფორმით ან სოციალური კაპიტალით და შებრუნებული პოზიციით (Vice versa) წარმოაჩინონ. უანგარობა, როგორი სახითაც ის მოცემულია ეკონომიკურ თეორიაში, მისი ნეგატიური ეკვივალენტის – ანგარების გარეშე ვერ იწარმოება. ექსპლუატატორთა კლასი (რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მეტად გაზარდონ ფულადი მოგება), როგორც ასეთი, უმიზნო კულტურული თუ შემოქმედებითი პრაქტიკების და მათი პროდუქტების შესახებ დასკვნის გარეშე ვერ განისაზღვრება. მაგალითად, ბურჟუათა კლასის წარმომადგენლის სამყარო (ორმაგი საბუღალტრო აღრიცხვით) წმინდა, ხელოვანისა და ინტელექტუალის სრულყოფილი სამყაროს, უსასყიდლო აქტივობების – ხელოვნება ხელოვნებისთვის წყურვილის და წმინდის შესახებ თეორიული ცოდნის გარეშე ვერ წარმოიქმნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მერკანტილური ურთიერთობების მეცნიერული წესდება, რომელიც იმის გამო, რომ უსასყიდლოდ იღებს წესრიგის მთავარ საფუძველს და მოითხოვს, რომ გაანალიზდეს პირადი საკუთრება, მოგება, შრომის ანაზღაურება, და ა.შ. – მეცნიერებადაც კი არ ჩაითვლება ეკონომიკური წარმოების სფეროში, რადგან მან თავიდან აიცილა ექსპლუატატორული ეკონომიკის მთავარი მეცნიერული წესები, რომლებიც სავაჭრო ბირჟას, როგორც გაცვლის განსაკუთრებულ შემთხვევას, მისი ყველა შესაძლო ფორმის გააზრებით განიხილავდნენ.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკები და აქტივები, რომლებიც ამგვარად „ეგოისტური კალკულაციების ყინულოვან წყალს“ (და მეცნიერებას) გადაურჩნენ, დომინანტური კლასის ვირტუალურ მონოპოლიას წარმოადგენენ – თითქოს ეკონომიზმს ყველაფრის ეკონომიკამდე დაყვანა იმიტომ შეეძლო, რომ რედუქციონიზმი, რომელზეც ეს დისციპლინაა დაფუძნებული, საკრალური რედუქციისგან ყველაფერ იმას იცავს, რასაც მფარველობა სჭირდება. თუ ეკონომიკას საქმე მხოლოდ ვიწრო ეკონომიკური ინტერესის მქონე პრაქტიკებთან და ასევე იმ საქონელთან აქვს, რომელიც სწრაფად შეიძლება გარდაიქმნას ფულად (რაც მათ რაოდენობრივად აქცევს), მაშინ ბურჟუების წარმოებისა და გაცვლის სამ-

ყარო გამონაკლისი ხდება და საკუთარი თავის, როგორც უანგაროობის სფეროს დანახვა და წარმოდგენა შეუძლია. ცნობილია, რომ ფასდაუდებელ საგნებს საკუთარი ფასი აქვთ და ზოგიერთი პრაქტიკებისა თუ საგნების ფულად ქცევის სირთულე მხოლოდ იმის ბრალია, რომ ეს გარდაქმნა განზრახ არის მიუღებელი, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკის უარყოფა (Verneinung). ზოგად მეცნიერებას ეკონომიკის პრაქტიკების შესახებ შეუძლია აითვისოს მთელი რიგი წესებისა, რომლებიც, ობიექტური ეკონომიკის მიუხედავად, სოციალურად არ ან ვერ ხდებიან საცნობნი, როგორც ეკონომიკა, და რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იქნენ მხოლოდ მთელი სამუშაო ძალის პირმოთნეობის ფასად, უფრო ზუსტად კი – ევფემიზაციით, რომელმაც უნდა მოინდომოს, რომ მიიღოს კაპიტალი, მოგება ყველა მისი ფორმით და ჩამოაყალიბოს სამართალი (ან ძალაუფლება, რაც იგივეს ნიშნავს), რომლის მიხედვითაც კაპიტალის განსხვავებული ფორმები ერთმანეთს ცვლიან.

კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამი ფუნდამენტური სახით. ეს დამოკიდებულია იმ სფეროზე, რომელშიც ის ფუნქციონირებს და იმ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც, ამ საკითხში, მისი ეფექტური მოქმედების წინაპირობად გვევლინებიან. კაპიტალის სახეებია: ეკონომიკური კაპიტალი, რომელიც შეიძლება პიდაპირ გარდაიქმნას ფულად და საკუთრების უფლებების ფორმით ინსტიტუციონირდეს; კულტურული კაპიტალი, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება ეკონომიკურ კაპიტალად გარდაიქმნას და საგანმანათლებლო კვალიფიკაციების ფორმით ინსტიტუციონირდეს; და სოციალური კაპიტალი, რომელიც შედგება სოციალური ვალდებულებებისგან („კავშირები“), რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში კონვერტირდება ეკონომიკურ კაპიტალად და შეიძლება არისტოკრატიული ტიტულის ფორმად ინსტიტუციონირდეს.

კულტურული კაპიტალი

კულტურული კაპიტალი შეიძლება არსებობდეს სამი ფორმით: ინკორპორირებული სახით, ე.ი. გონებისა და სხეულის გრძელვადიანი დისპოზიციების ფორმით; ობიექტივირებული სახით, ე.ი. კულტურული საქონლის (ნახატები, წიგნები, ლექსიკონები, ინსტრუმენტები, ტექნიკა და ა.შ.) ფორმით, რომელიც თეორიათა რეალიზაციის ან ამ თეორიათა კრიტიკის ან პრობლემების რომელიღაცა წრის ანაბეჭდს წარმოადგენს; და ინსტიტუციონალიზებული სახით, ე.ი. ობიექტივაციის ფორმით (ეს ცალკე უნდა განვიხილოთ, რამეთუ, როგორც ეს განათლების კვალიფიკაციებში გამოჩნდა, ის კულტურულ კაპიტალს ისეთ ორიგინალურ თვისებებს ანიჭებს, რომლებსაც, როგორც ვარაუდობენ, ის ინარჩუნებს).

მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს იმპერატიულმა ტონმა, რომელიც ჩემს არგუმენტს აქსიომიზაციის წყალობით მიენიჭა. თავდაპირველად, კულტურული კაპიტალის ცნება, ერთ-ერთი კვლევის დროს, თეორიული ჰიპოთეზის სახით წარმომიდგა. ჰიპოთეზა დამეხმარა, მოსწავლეთა უთანასწორო აკადემიური მოსწრება იმ სოციალურ კლასთან დამეკავშირებინა, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. საუბარია სპეციფიკურ მოგებებზე/უპირატესობებზე, რომლებიც აკადემიურ ბაზარზე სხვადასხვა კლასიდან და ფრაქციიდან გამოსულ ბავშვებს კულტურული კაპიტალის მიღების შესაძლებლობას აძლევენ და ეს კულტურული კაპიტალის კლასებს შორის განაწილების გზით ხდება. ხედვის ეს საწყისი წერტილი იმ წინა პირობების უარყოფას გულისხმობს, რომელიც, ერთი მხრივ, საღ აზრს, რომელსაც მიაჩნია, რომ აკადემიური წარმატება ან წარუმატებლობა ბუნებრივ უნარებზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის ადამიანურ თეორიებს უკავშირდება. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეკონომისტები ნამდვილად იმსახურებენ ნდობას და შექებას ისეთი საკითხის წამოჭრისთვის, როგორიც განათლებაში ინვესტირებასა და ეკონომიკურ ინვესტიციას შორის (და მისი ევოლუცია) შემოსავლის ნორმის შეფარდების დადგენაა.

მათ მიერ სასწავლო ინვესტიციის ნაყოფიერების შეჯამება მხოლოდ ფულად ინვესტიციებსა და მოგებებს მოიცავს, მაგალითად, გაკვეთილებზე დახარჯულ ფულს ან ანგარიშს, რომელიც სწავლისთვის დახარჯული დროის ეკვივალენტურია. მათ იმ რესურსებით, რომელსაც სხვადასხვა აგენტები ან განსხვავებული სოციალური კლასები ეკონომიკურ და კულტურულ ინვესტიციებზე ანაწილებენ, განსხვავებული პროპორციების ახსნა არ შეუძლიათ, რადგან მათ არ შეუძლიათ, მოგების შანსების სტრუქტურის დიფერენცირებული სახით სისტემური განაცხადი მიიღონ, რომელსაც, მოცულობისა და მათი აქტივებიდან გამომდინარე, აგენტებსა და კლასებს სხვადასხვა ბაზარი სთავზობს (იხილეთ ბეკერი, 1964b). უფრო მეტიც, სასწავლო ინვესტიციების სტრატეგიებს შორის კავშირის უგულებელყოფის გამო, ცოტა პარადოქსულია, რომ ისინი ფარულ და სოციალურად ყველაზე განმსაზღვრელ საგანმანათლებლო ინვესტიციას, სახელდობრ – კულტურული კაპიტალის შინაგან გადაცემას, გასხლტომის საშუალებას აძლევენ. აკადემიურ შესაძლებლობებსა და აკადემიურ კაპიტალდაბანდებას შორის დამოკიდებულების შესახებ გამოქვეყნებული მათი შრომები ცხადყოფს, რომ მათ არ იციან იმის შესახებ, რომ უნარი ან ტალანტი, თავისთავად, დროის დანახარჯი და კულტურული კაპიტალის შედეგია (ბეკერი, 1964a; 63-6). არ არის გასაკვირი, რომ როდესაც ისინი სასწავლო ინვესტიციის მოგების შეფასებას ცდილობენ, მათ მხოლოდ იმის გააზრება შეუძლიათ, თუ როგორია საგანმანათლებლო დანახარჯების რენტაბელობა (შემოსავლიანობა/ნაყოფიერება) საზოგადოებისათვის, როგორც მთლიანისთვის, ასევე, თუ როგორია „მოგების სოციალური ნორმა“ ან „განათლების სოციალური გაძლიერების გავლენა და მისი ზემოქმედება ნაციონალურ პროდუქტიულობაზე/ნაციონალურ ნაყოფიერებაზე“ (ბეკერი 1964b: 121,155). ეს ტიპური ფუნქციონალისტური განსაზღვრება, განათლების ფუნქციების გარკვევასთან დაკავშირებით, უგულებელყოფს იმ ხელშეწყობას (წვლილს), რომელსაც კულტურული კაპიტალის მემკვიდრეობით გადაცემის სანქცირებით – სოციალური სტრუქტურის რეპროდუქციისთვის საგანმანათლებლო სისტემა ახორციელებს. თავიდანვე, ადამიანური კაპიტალის განსაზღვრება (მისი ჰუმანისტური მნიშვნელობის, კონოტაციის მიუხედავად) ეკონომიზმის ფარგლებს ვერ სცდებოდა და, სხვა ყველაფერთან ერთად, უგულებელყოფდა იმ ფაქტს, რომ სასწავლო წარმოება, საგანმანათლებლო მოქმედებები კულტურულ კაპიტალზე არის დამოკიდებული. ის კი, უპირველესად, ჩადებულია ოჯახში. უფრო მეტიც, საგანმანათლებლო კვალიფიკაციის ეკონომიკური და სოციალური წარმოება დამოკიდებულია სოციალურ კაპიტალზე, რომელიც ისევ მემკვიდრეობითობით, მის აღსადგენად შეიძლება გამოვიყენოთ.

ინკორპორირებული სახე

კულტურული კაპიტალის ძირითადი მახასიათებლები შეიძლება იმ ფაქტიდან გამომდინარე გავიგოთ, რომ ის, თავისი ფუნდამენტური მდგომარეობით, დაკავშირებულია სხეულთან (the body) და ინკორპორირებას (embodiment) გულისხმობს. კულტურული კაპიტალის დაგროვება ინკორპორირებული მდგომარეობით, ე.ი. იმ ფორმით, რომელსაც კულტურა, კულტივირება ჰქვია, სხეულებრივ ფორმებად (em-bodiment) გარდაქმნის, ანუ ინკორპორირების პროცესს გულისხმობს. რამდენადაც ეს პროცესი ასევე ათვისებისა და ასიმილაციისთვის საჭირო ძალისხმევას გულისხმობს, ამდენად ის უშუალოდ ინვესტორის მხრიდან დროის დანახარჯებს საჭიროებს. მაგალითად, როგორც კუნთიანი სხეულის დაყენებას ან გარუჯვას ძალისხმევა უშუალოდ აქტორის მხრიდან სჭირდება, ასევე ისიც არ შეიძლება მივიღოთ სხვისი დახმარებით (მაშასადამე, უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა აქ არ მოქმედებს).

მსგავსი თვისებების მოსაპოვებლად გარჯა საკუთარ თავზე მუშაობას (თვითგაუმჯობესებას) და, შესაბამისად, თავად აქტორის ძალისხმევას გულისხმობს (on paie de sa

personne, როგორც ფრანგულად ვამბობთ). ეს, უპირველეს ყოვლისა, დროის და ასევე მიდრეკილებათა, libido sciendi, სოციალურად კონსტრუირებული ფორმების მათთვის დამახასიათებელი ყველა შეზღუდვით, თვითაღკვეთით და თავგანწირვით – ინვესტირებაა. აქედან გამომდინარე კი შეიძლება ვთქვათ, რომ კულტურული კაპიტალის გაზომვებიდან ყველაზე არაზუსტია ის, რომელიც სტანდარტად/ კრიტერიუმად საძიებელ თვისებათა/კაპიტალის მოსაპოვებლად დახარჯულ დროს მიიჩნევს – რა თქმა უნდა, იმ წინაპირობით, რომ ის მხოლოდ სასკოლო წლებზე კი არ დაიყვანება, არამედ სახლში მიღებულ ადრეულ განათლებასაც ვითვალისწინებთ, რომელიც მას, აკადემიური ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობიდან გამომდინარე, პოზიტიურ (დროის მოგებას, ნაადრევ დასაწყისს, ფორას) ან ნეგატიურ ღირებულებას (ფუჭად დაკარგული დრო, რაც ორმაგად ამძიმებს სიტუაციას, რადგან მისით გამოწვეული შედეგების გამოსასწორებლად კიდევ უფრო მეტი დრო მოითხოვება) აძლევს.

ასეთი ინკორპორირებული კაპიტალი, ადამიანის პიროვნების განუყოფელ ნაწილად, ჰაბიტუსად ქცეული გარეგანი სიმდიდრე, არ შეიძლება საჩუქრის ჩუქების, მემკვიდრეობის გადაცემის, ყიდვის ან გაცვლის სახით (როგორც, მაგალითად, ფული, საკუთრების უფლება და არისტოკრატიული ტიტულიც კი) უმალვე გადაიცეს. მაშასადამე, კულტურული კაპიტალის გამოყენება ან ექსპლოატაცია ეკონომიკური ან პოლიტიკური კაპიტალის მფლობელების წინაშე გარკვეული სახის პრობლემებს აყენებს, იქნებიან ისინი კერძო მფლობელები თუ აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაქირავებულნი, რომელთაც განსაკუთრებული კულტურული კომპეტენცია (რომ აღარაფერი ვთქვათ ახალი სახელმწიფოს ხელმძღვანელებზე) აქვთ. როგორ შეიძლება ადამიანთან ასე მტკიცედ დაკავშირებული კაპიტალი ვიყიდოთ, თავად ამ ადამიანის ყიდვის გარეშე, როდესაც ასეთი მოქმედებით ლეგიტიმაციის არსი ირღვევა, რომელიც დამოკიდებულების იმიტაციას გულისხმობს? როგორ შეიძლება კაპიტალის კონცენტრირება მაშინ (როგორც ამას ზოგიერთი წამოწყება მოითხოვს), თუ თავად ამ კაპიტალის მფლობელების კონცენტრირებას არ მოვახდენთ, რომელსაც სხვადასხვა სახის არასასურველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

კულტურული კაპიტალი შეიძლება მოვიპოვოთ, მაგრამ განსხვავებული მოცულობით. ეს დამოკიდებულია დროის პერიოდზე, საზოგადოებაზე, სოციალურ კლასზე. ეს ხდება ხოლმე წინასწარი დაგეგმის გარეშე, ე.ი. სრულიად გაუცნობიერებლად. კულტურული კაპიტალი ინახავს ისეთ ნიშნებსაც კი, რომლებიც მისი მოპოვების/შეძენის ადრეულ ხანას უკავშირდება, იგი ყველაფერს, დასანახ თუ ოდნავ შესამჩნევ ნიშნებს (მაგალითად, კლასისთვის ან რეგიონისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერა) ინარჩუნებს. ეს კი მისი განმასხვავებელი თვისებების განსაზღვრაში გვეხმარება. მისი აკუმულირება შეუძლებელია იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა უნარები აქვს მის მატარებელ აგენტს. ის კნინდება და კვდება მის მფლობელთან ერთად (მისი ბიოლოგიური უნარები, მეხსიერება და ა.შ.). იგი ძლიერადაა დაკავშირებული ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებებთან, უნიკალურობასთან და შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცემოდეს (ეს ხდება შენიღბულად და ფარულად). ამის გამო იგი ეწინააღმდეგება ძველ ბერძნულ წესს, როდესაც სამართალმცოდნეები ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფდნენ მემკვიდრეობით მიღებულ (ta patroa) და მოპოვებულ (epikteta) თვისებებს, ანუ იმას, რაც ინდივიდმა შემატა თავის მემკვიდრეობას. ამ გზით შესაძლებელი ხდება მემკვიდრეობით მიღებული თვისებების პრესტიჟის შეჯერება საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ დამსახურებებთან. რადგან მისი გადაცემის და მოპოვების სოციალური პირობები ყოველთვის უფრო დაფარულია, ვიდრე ეკონომიკური კაპიტალი, ის მიდრეკილია, რომ იფუნქციონიროს, როგორც სიმბოლურმა კაპიტალმა, ანუ არ იყოს აღიარებული, როგორც კაპიტალი, მაგრამ აღიქმებოდეს ლეგიტიმური კომპეტენ-

ციის სახით, ისეთი ძალის სახით, რომელსაც ცნობადობაზე (ან არცნობადობაზე) გავლენა აქვს. ეს ხდება, მაგალითად, მატრიმონიალურ და ნებისმიერ სხვა ბაზარზე, სადაც ეკონომიკური კაპიტალი არ არის მთლიანად აღიარებული – იქნება ეს კულტურის საკითხები (როდესაც საუბარია ცნობილ მხატვრულ კოლექციებსა თუ საყოველთაოდ აღიარებულ კულტურულ ფონდებზე) თუ სოციალური უზრუნველყოფის საკითხები (შემოწირულებისა და ჩუქების სამეურნეო პრაქტიკა). გარდა ამისა, განსხვავების (distinction) სპეციფიკური სიმბოლური ლოგიკა დიდი კულტურული კაპიტალის მფლობელებს დამატებით მატერიალურ და სიმბოლურ მოგებას აძლევს: ნებისმიერი კულტურული კომპეტენცია (cultural competence) (მაგ., კითხვის შესაძლებლობა/უნარი – წერა-კითხვის უცოდინარ სამყაროში), თავისი პოზიციის შესაბამისად, კულტურული კაპიტალის განაწილების პროცესში თავისი პოზიციიდან დეფიციტურ ღირებულებას იძენს/იღებს და მის მფლობელს, განსხვავების გამო, მოგებას აძლევს/უპირატესობას ანიჭებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წილი შემოსავალში, რომელიც დეფიციტურ კულტურულ კაპიტალს კლასობრივად დიფერენცირებულ საზოგადოებებში თავისი მფლობელებისთვის მოაქვს, საბოლოოდ განისაზღვრება იმით, რომ ყველა აგენტს არ აქვს ეკონომიკური და კულტურული საშუალება იმისათვის, რომ გაუგრძელოს შვილებს განათლება იმ მინიმალური საჭიროების მიღმა, რომელიც სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვისაა აუცილებელი, რომელიც დროის მოცემულ მომენტში ყველაზე იაფია.

ამგვარად, კაპიტალის, როგორც ობიექტურ მდგომარეობაში დაგროვილი შრომის პროდუქტის მითვისების საშუალების რეალური მოქმედება, რომლის მატარებლად მოცემული აგენტი გვევლინება, აკუმულირებული და ობიექტურად არსებული რესურსების გადანაწილებისა და მისაკუთრების საშუალებებზეა დამოკიდებული. აგენტსა და ობიექტურად არსებულ რესურსებს (და, მაშასადამე, მოგებას, რომელსაც ისინი აწარმოებენ) შორის არსებული მითვისების ურთიერთობა მოცემულ აგენტსა და კაპიტალის სხვა მფლობელებს, რომლებსაც იმავე დოვლათებზე აქვთ პრეტენზია, შორის კონკურენციის (ობიექტური და/ან სუბიექტური) ურთიერთობებითაა გაშუალებული. ამ ურთიერთობებში ყალიბდება დეფიციტური სიტუაცია, ხოლო მისი მეშვეობით კი რესურსების სოციალური ღირებულება წარმოიქმნება/გენერირდება. ველის სტრუქტურა, ანუ კაპიტალის არათანაბარი განაწილება, ამ კაპიტალის მოქმედების სპეციფიკურ შედეგებს განსაზღვრავს, სახელდობრ, მოგების მითვისებისა და მოცემული ველის ფუნქციონირების კანონების თავსმოხვევის უნარს, რომელიც კაპიტალისა და მისი კვლავწარმოებისთვის ყველაზე მეტად ხელსაყრელია/მომგებიანია.

კულტურული კაპიტალის სიმბოლური მოქმედების ყველაზე გავლენიანი პრინციპი, უპირობოდ/უეჭველია, მისი გადაცემის ლოგიკაში ძევს. ერთი მხრივ, ობიექტური კულტურული კაპიტალის მითვისების პროცესი და დრო, რომელიც მას დამკვიდრებისთვის სჭირდება, უმთავრესად, მთლიანად ოჯახში ინკორპორირებულ კულტურულ კაპიტალზეა დამოკიდებული, იმ ფაქტორების გარდა, რომლებიც ეროუს განზოგადოებული ეფექტით და მისი იმპლიციტური გადაცემის ყველა ფორმითაა მოცემული. მეორე მხრივ, კულტურული კაპიტალის საწყისი აკუმულაცია (როგორც ყველა სახის სასარგებლო კულტურული კაპიტალის სწრაფი და მარტივი დაგროვების წინაპირობა), უმალვე, შეუფერხებლად და დროის დაკარგვის გარეშე იმ ოჯახების ბავშვებისათვის იწყება, რომლებიც მემკვიდრეობით უკვე საკმაოდ ძლიერ კულტურულ კაპიტალს ფლობენ. ამ შემთხვევაში აკუმულაციის პერიოდი სოციალიზაციის მთელ პერიოდს მოიცავს. აქედან გამომდინარეობს, რომ კულტურული კაპიტალის გადაცემა, უდავოდ, კაპიტალის მემკვიდრეობით გადაცემის ყველაზე ფარული ფორმაა და, შესაბამისად, ის რეპროდუქციის/კვლავწარმოების სტრატეგიების

სისტემაში პროპორციულად უფრო მეტ წონას ფლობს, მაშინ, როდესაც პირდაპირი, აშკარა გადაცემის ფორმები უფრო მეტად კონტროლირდებიან და გულდასმით განიხილებიან.

ადვილი დასანახია, რომ კავშირი ეკონომიკურ და კულტურულ კაპიტალს შორის იმ დროითაა გაშუალებული, რომელიც მათ მოსაპოვებლადაა/შესაძენადაა აუცილებელი. განსხვავება კულტურულ კაპიტალში, რომელსაც განსხვავებული ოჯახები ფლობენ, პირველ რიგში, გულისხმობს განსხვავებას ასაკში, რომლიდანაც კაპიტალის გადაცემისა და დაგროვების მიზნით შრომას იწყებენ. აქ ზღვრულ შემთხვევას ბიოლოგიურად ხელმისაწვდომი მთელი დროს გამოყენება წარმოადგენს, როდესაც თავისუფალი დროის მაქსიმუმი კულტურული კაპიტალის მაქსიმალური მოცულობით მოპოვებას ეთმობა. შემდგომში, კულტურული კაპიტალის ეს განსხვავებები კულტურული კაპიტალის მოპოვების ხანგრძლივ პროცესში სპეციფიკური კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ უნარში გამოიხატება. გარდა ამისა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინდივიდის მიერ კულტურული კაპიტალის მოპოვებისათვის საჭირო დრო დამოკიდებულია თავისუფალი დროის ხანგრძლივობაზე, რომელსაც მისი ოჯახი უზრუნველყოფს, ანუ დროის ხანგრძლივობაზე, რომელიც თავისუფალია ეკონომიკური აუცილებლობისგან და კაპიტალის პირველადი აკუმულაციის საწინდარია (წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს დრო შეიძლება შეფასდეს, როგორც დანაკარგი/ნაკლი, რომელიც შემდგომში უნდა აღდგეს ან გადაილახოს).

ობიექტივირებული მდგომარეობა [the objectified state]

ობიექტივირებულ მდგომარეობაში კულტურული კაპიტალი თვისებების მთელ რიგს ფლობს, რომლებიც მხოლოდ თავისი თავის მეშვეობით, მხოლოდ მისი ინკორპორირებული ფორმით განისაზღვრება. კულტურული კაპიტალი, ობიექტივირებული მატერიალურ ნივთებსა და საშუალებებში (მოთხრობები, ნახატები, ძეგლები, ინსტრუმენტები და ა.შ.), შეიძლება მატერიალურად გადაიცეს. მაგალითად, ნახატების კოლექცია ისევე შეიძლება გადაიცეს, როგორც ეკონომიკური კაპიტალი (თუ უკეთესადაც არა, რადგან კაპიტალის გადაცემას უფრო შენიღბული ფორმა აქვს). მაგრამ აქ საკუთრებაზე იურიდიული უფლებაც გადადის, გადაიცემა [legalownership] და არა აუცილებლად ის, რაც მისაკუთრების ამ განსაკუთრებული ფორმისთვის წინაპირობას ქმნის – ნახატის „მოხმარების"ან მანქანის გამოყენების საშუალების ფლობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ინკორპორირებული კაპიტალი, რომელიც კაპიტალის გადაცემის იმავე კანონებს ექვემდებარება.

ამგვარად, კულტურული სახის საქონელი (დოვლათი) შეიძლება შევიძინოთ როგორც მატერიალურად, რაც გულისხმობს ეკონომიკური კაპიტალის ფლობას, ისე სიმბოლურად – რაც კულტურული კაპიტალის არსებობას მოწმობს. აქედან გამომდინარე, წარმოების საშუალებების მფლობელმა ან ინკორპორირებული კაპიტალის (რომელიც მოცემული სპეციფიკური მითვისების პირობაა), ან მოცემული კაპიტალის მფლობელთა სერვისების (მომსახურეობის) მითვისების წესი/ხერხი უნდა მოიპოვოს. მანქანების ფლობისათვის ინდივიდს მხოლოდ ეკონომიკური კაპიტალი სჭირდება, ხოლო მისი დანიშნულებისამებრ (რომელიც მათში ინკორპორირებული მეცნიერული ან ტექნიკური ტიპის კულტურული კაპიტალითაა განსაზღვრული) მითვისებისა და გამოყენებისათვის, მას, უშუალოდ მისი ან შემცვლელის დახმარებით, ხელი ინკორპორირებულ კულტურულ კაპიტალზე უნდა მიუწვდებოდეს. ეს, უდავოდ/უეჭველად, პერსონალის არაერთმინიშვნელოვანი სტატუსის (მენეჯერები და ინჟინრები) საფუძველში ძევს. თუ აშკარაა, რომ ისინი არ ფლობენ (ეკონომიკური გაგებით) იმ წარმოების იმ საშუალებებს, რომელსაც იყენებენ და თუ მოგებას მხოლოდ მათი კულტურული კაპიტალიდან, სერვისებისა და პროდუქციის გაყიდვის გზით

იღებენ, მაშინ ისინი დაქვემდებარებულთა ჯგუფებს [dominated groups] უნდა მივაკუთვნოთ; თუ ისინი მოგებას კაპიტალის გარკვეული ფორმის მეშვეობით იღებენ, მაშინ მათ დომინანტურ ჯგუფებს [dominant groups] მიაკუთვნებენ. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მაშინ, როდესაც კულტურული კაპიტალით ინკორპორირებული პროდუქციის საშუალებები იზრდება (და ამასთან იზრდება ის დროც, რომელიც საჭიროა მისი მიღწევის საშუალებების განხორციელებისთვის), მესაკუთრეების კოლექტიური ძალაც უნდა გაიზარდოს – იმ პირობით, რომ დომინანტური ტიპის კაპიტალის, ე.ი ეკონომიკური კაპიტალის მფლობელები ვერ ახერხებენ კულტურული კაპიტალის მესაკუთრეებთან თანასწორი კონკურენციის პირობების მიღწევას (უფრო მეტიც, კულტურული კაპიტალის მფლობელები მიდრეკილნი არიან, შეეჯიბრონ სხვა კაპიტალის მფლობელებს. შეჯიბრი გულისხმობს იმ საკითხებს, რომლებშიც ისინი განსწავლული და მომზადებული არიან, მაგალითად, განათლების მიღება და ახალწვეულთა დასაქმება).

კულტურული კაპიტალი, მისი ობიექტივირებული ფორმით, ავლენს ურთიერთდაკავშირებული, ავტონომიური სამყაროს ყველა თვისებას, რომელსაც (მიუხედავად იმისა, რომ იგი ისტორიული მოქმედების პროდუქტია) საკუთარი კანონები აქვს, ისინი აღემატება ერთეულ ინდივიდთა ნებას და, როგორც ამას ენის მაგალითი გვიჩვენებს, არ დაიყვანება იმაზე, რაც თითოეულმა აგენტმა ან აგენტთა ჯგუფმა შეიძლება აითვისოს (ე.ი. კულტურულ კაპიტალზე, რომელიც ინკორპორირებულია ცალკეულ აგენტში ან აგენტთა ჯგუფში). მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურული კაპიტალი მხოლოდ მაშინ არსებობს სიმბოლური და მატერიალურად აქტიური ფორმით, როდესაც ის ენიჭება აგენტებს, გარდაიქმნება და ინვესტირდება, როგორც კულტურული წარმოების ველზე ბრძოლის იარაღი (სამხატვრო, სამეცნიერო სფერო და ა.შ.) და მათ ჩარჩოებს მიღმა – ველებზე- სადაც სოციალური კლასები მოქმედებენ. ეს არის დაპირისპირება, როდესაც აგენტები ფლობენ გარკვეულ ძალას და მათ მიერ მიღებული მოგება პროპორციულია მათ მიერ ობიექტივირებული კაპიტალის ფლობის უნარის, და უფრო მეტიც, ის თავისი ინკორპორირებული კაპიტალის მოცულობის პროპორციულია.

ინსტიტუციონალიზებული ფორმა

აკადემიური კვალიფიკაციების ფორმით კულტურული კაპიტალის ობიექტივიზება მისი ზოგიერთი თვისების ნეიტრალიზების ერთ-ერთი გზაა, რომელიც გამომდინარეობს იმ პირობიდან, რომ ინკორპორირების შემთხვევაში ის იგივე ბიოლოგიური საზღვრებითაა შეზღუდული, რომლებიც მის მფლობელს ზღუდავს. მსგავსი ობიექტივიზება ქმნის იმ საფუძველს, რომელიც განასხვავებს თვითნასწავლის კაპიტალს (რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს) ან თუგინდ კარისკაცის/ლაქიის კულტურულ კაპიტალს (რომელიც მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია მოგების მომტანი და მისი ღირებულება მაღალი საზოგადოების ბაზრის მოთხოვნებზეა დამოკიდებული) იმ კულტურული კაპიტალისგან, რომელიც ლეგალური კვალიფიკაციების გზით აკადემიურად სანქცირებულია და რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია იმ ადამიანებისგან, რომლებიც მისი მატარებლები არიან. აკადემიური კვალიფიკაციის, კულტურული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის (რომელიც მის მფლობელს კულტურასთან შესაბამის საყოველთაოდ მიღებულ, მუდმივ და ლეგალურად გარანტირებულ ღირებულებას ანიჭებს) არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება სოციალური იდუმალება/საიდუმლოება, რომელიც კულტურული კაპიტალის ისეთ ფორმას აწარმოებს, რომელსაც მისი მფლობელისა და იმ კულტურული კაპიტალისგან, რომელსაც ეს უკანასკნელი დროის მოცემულ მონაკვეთში ეფექტურად იყენებს, შეფარდებითი ავტონომია აქვს. კულტურული კაპიტალი კოლექტიური მაგიის მეშვეო-

ბით ინსტიტუციონირდება. მ. მერლო-პონტის მიხედვით, ადამიანები მიცვალებულების ინსტიტუციონირებას გლოვის რიტუალის მეშვეობით ახდენენ. საკმარისია იმ მაგალითის გახსენებაც, როდესაც ადამიანთა დასაქმება კონკურსის წესების მიხდევით (გასაუბრებით, კონკურენტუნარიანი ახალწვეულების გამოცდა) ხდება, ამ დროს, ძალიან პატარა განსხვავებებისგან საკმაოდ მკვეთრი, მკაცრი და აბსოლუტური განსხვავებები იქმნება, რომლებიც ბოლო გამარჯვებულ კანდიდატს პირველი დამარცხებულისგან გამოარჩევენ და ისინი ოფიციალურად აღიარებულ, გარანტირებულ კომპეტენტურობასა და უბრალო კულტურულ კაპიტალს შორის (რომელსაც გამუდმებით მოეთხოვება საკუთარი უფლებების დამტკიცება) ძირითადი განსხვავების გამოყოფის გზით ინსტიტუციონირდება. ამ შემთხვევაში ყველასთვის ნათელია ინსტიტუციონირების ძალთა პერფორმატიული მაგია (performative magic of the power of instituting), შესაძლებლობა, ღიად და თავდაჯერებულად გამოხატო შენი შეხედულებები ან სხვებს შენი თავის აღიარება დააკისრო.

კულტურული კაპიტალისთვის, რომელსაც ესა თუ ის აგენტი ფლობს, ინსტიტუციონალური აღიარების მინიჭებით, აკადემიური კვალიფიკაცია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ერთმანეთს შევადაროთ კვალიფიკაციის მფლობელები ან გავცვალოთ ისინი (ერთი მფლობელის მეორით თანმიმდევრული ჩანაცვლებით). უფრო მეტიც, ის გვაძლევს შესაძლებლობას, რომ კულტურულ კაპიტალსა და ეკონომიკურ კაპიტალს შორის გაცვლითი სტანდარტები/პროპორციები დამყარდეს, რომლებიც ამ აკადემიური კაპიტალის ფულადი ღირებულებითაა გარანტირენული. ეკონომიკური კაპიტალის კულტურულ კაპიტალად გადაქცევის ეს პროდუქტი, სხვა კვალიფიკაციის მქონე პირებთან შედარებით, მოცემული კვალიფიკაციის მფლობელს მნიშვნელობას და (ამ ოპერაციის გზითვე) ფულად ღირებულებას ანიჭებს, რომლის წყალობითაც, იგი შრომით ბაზარზე შეიძლება გაიცვალოს (აკადემიურ ინვესტიციას აზრი არ აქვს, როდესაც გარდაქმნის ობიექტურად გარანტირებული მინიმალური ხარისხი მაინც, რომელსაც ის გულისხმობს, ან მათი ხელახალი კონვერტაციის შესაძლებლობა – reversibility of the conversion არ არსებობს). აკადემიური კვალიფიკაციების მიერ გარანტირებული მატერიალური და სიმბოლური მოგება, ასევე, დამოკიდებულია აკადემიური კვალიფიკაციების დეფიციტურობაზე. ამის გამო, ინვესტიციები (დროის და შრომის) შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებად მომგებიანი, ვიდრე იყო მოსალოდნელი მაშინ, როდესაც ისინი დამზადდა (შეიძლება კულტურულ კაპიტალსა და აკადემიურ კაპიტალს შორის გარდაქმნის სტანდარტების ფაქტობრივი ცვლილება მოხდეს). ეკონომიკური კაპიტალის კულტურულ კაპიტალად გარდაქმნის სტრატეგიები, როგორებიცაა, საგანმანათლებლო აფეთქებების და კვალიფიკაციების გაუფასურებების მოკლევადიანი ფაქტორები, განისაზღვრება მოგების მიღების შანსების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებით, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის კაპიტალი გვთავაზობს.

სოციალური კაპიტალი

სოციალური კაპიტალი – ეს არის ისეთი რეალური და პოტენციური წყაროების ერთიანობა, რომლებიც ნაცნობობისა და აღიარების, მეტად თუ ნაკლებად, მტკიცე ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების ქსელის (durable networks) ფლობასთან ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯგუფის წევრობასთან არიან დაკავშირებულნი, რომლის დროსაც მის წევრებს ზურგს უმაგრებს კოლექტიური მფლობელობის კაპიტალი (collectively-owned capital), „რეპუტაცია“ (credential), რომელიც მათ ნდობის საშუალებას აძლევს, ნდობის სხვადასხვა მნიშვნელობით. ასეთი ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ პრაქტიკული სახით, მატერიალური და/ან სიმბოლური გაცვლებით, რომლებიც მათ შენარჩუნებაში ეხმარება. ასევე ისინი შეიძლება სოციალურად ინსტიტუციონირებული და გარან-

ტირებული იყვნენ ზოგადის სახელით (ოჯახის სახელით, კლასის, ტომის, სკოლის, პარტიის და ა.შ.) ან წარმოადგენდნენ ინსტიტუციონირებული მოქმედებების მთელ წყებას, რომლებმაც ერთდროულად უნდა მოახდინონ ფორმირება და ინფორმირება მათი, ვისაც ისინი გადააქვს. ამ შემთხვევაში ისინი, მეტად ან ნაკლებად, იწყებენ მოქმედებას და შემდგომში კონტროლირებული და მხარდაჭერილი არიან გაცვლის მიმდინარეობის პროცესში, რამეთუ მტკიცედ არიან დაფუძნებულნი მატერიალურ და სიმბოლურ გაცვლებზე, რომელთა დაფუძნება და გაძლიერება გულისხმობს სიახლოვის დადასტურებას. ასევე ისინი ნაწილობრივ შეუზღუდული არიან ობიექტური ურთიერთობების ფიზიკურ სიახლოვესთან (გეოგრაფიული) ან ეკონომიკურ და სოციალურ სივრცესთანაც კი.

ამგვარად, მოცემული აგენტის მიერ სოციალური კაპიტალის ფლობის მოცულობა დამოკიდებულია იმ სოციალური კავშირების ზომაზე, რომლის მობილიზებაც მას შეუძლია და ასევე იმ კაპიტალის მოცულობაზე (ეკონომიკური, კულტურული ან სიმბოლური), რომელიც გააჩნია ყოველ ადამიანს, რომელიც მასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალური კაპიტალი არ შეიძლება დავიყვანოთ მოცემული აგენტის ან მთელი იმ ჯგუფის სოციალურ ან კულტურულ კაპიტალამდე, რომელთანაც იგი არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, სოციალურ კაპიტალს არ შეუძლია სრულიად დამოუკიდებელი იყოს კაპიტალის ამ ფორმებისგან, რამეთუ ინსტიტუციონალური გაცვლა მოიცავს ურთიერთაღიარებას და გულისხმობს ობიექტური მსგავსების გარკვეულ მინიმუმს, ასევე, მას აქვს მულტიპლიკატორული ეფექტი იმ კაპიტალზე, რომელსაც მოცემული აგენტი ფლობს.

შემოსავალი, რომელიც ჯგუფის წევრობის შედეგად ჩნდება, არის იმ სოლიდარობის საწინდარი, რომელიც შემოსავლის მიღებას შესაძლებელს ხდის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აგენტები ყოველთვის გაცნობიერებულად ორიენტირდებიან მოგების მიღებაზე, ისეთი ჯგუფების შემთხვევაშიც კი, როგორიცაა რჩეულთა კლუბები, რომლებიც ორგანიზებული არიან სპეციალურად იმისათვის, რომ მოახდინონ სოციალური კაპიტალის დაგროვება, კონცენტრაციის მულტიპლიკატორული ეფექტით მიიღონ მოგება და შეინახონ შემოსავალი ამ კლუბთა წევრობისგან (მატერიალური მოგება – ის სერვისები, რომელიც სასარგებლო ნაცნობობას მოაქვს და სიმბოლური მოგება, რომელიც მიიღება პრესტიჟულ და გამორჩეულ ჯგუფთან თანამშრომლობის დროს).

ქსელური კავშირების არსებობა არ არის მოცემული ბუნებრივად ან სოციალურად, რომელიც ერთხელ და ყველასთვის დაწესდა ინსტიტუციონირების პირველადი აქტის მეშვეობით და რომელიც წარმოდგენილია (როგორც ეს ოჯახური ჯგუფის შემთხვევაშია) ნათესაობრივი კავშირების გენეალოგიური განსაზღვრებით, რომელიც ამა თუ იმ სოციალური ფორმაციის მახასიათებელია. ეს კავშირები არის ინსტიტუციონირებული გაფორმების დაუსრულებელ მუშაობათა შედეგი, სადაც ძირითადი მომენტები აღნიშნულია ინსტიტუციონალიზაციის წესებით (ხშირად ისინი არასწორად არის აღწერილილი, როგორც წესები, რომლებიც სოციალური სტატუსის ცვლილებას უკავშირდება). კავშირთა ქსელები საჭიროა ხანგრძლივი და სასარგებლო ურთიერთობების აგებისა და რეპროდუქციისთვის. ეს ურთიერთობები გვაძლევს მატერიალური და სიმბოლური მოგების მიღების საშუალებას (ბურდიე, 1982). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კავშირთა ქსელები წარმოადგენს ინვესტიციების სტრატეგიებს, რომლებიც, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, გაცნობიერებულად თუ სპონტანურად, მიმართულნი არიან სოციალური ურთიერთობების დამყარებასა და წარმოებაზე. ეს ურთიერთობები შეიძლება უშუალოდ გამოიყენებოდეს დროის მოკლე თუ ხანგრძლივ ვადებში, როდესაც ხდება შემთხვევით კავშირთა ტრანსფორმაცია (მაგალითად, სამსახურში, სამეზობლოში, კოლექტივიში ან ნათესაობაშიც კი) იმ კავშირებად,

რომლებიც ერთდროულად არიან საჭირო და არჩევითიც, და გულისხმობენ გრძელვადიან ვალდებულებებს სუბიექტურ დონეზე (მადლიერების გრძნობა, პატივისცემა, მეგობრობა და ა.შ.) ან ინსტიტუციონალურად გარანტირებულ (უფლებებს). ეს ხდება კურთხევათა (consecration) ალქიმიის მეშვეობით, როდესაც სიმბოლური კავშირი იწარმოება სოციალური ინსტიტუტის მიერ (ინსტიტუტი, როგორც ნათესავი – ძმა, და, ბიძაშვილი და ა.შ. ან რაინდი, მემკვიდრე, უფროსი და ა.შ.). ეს კავშირები უსასრულოდ იწარმოება გაცვლისა და დაგროვების პროცესში (საჩუქრებით, სიტყვებით, ქალებით და ა.შ), რომელსაც ეს ინსტიტუტი სტიმულს მატებს და ვარაუდობს საერთო ცოდნისა და აღიარების წარმოების დროს. გაცვლა გაცვლილ საგნებს გარდაქმნის აღიარების ნიშნებად (signs of recognition) და ჯგუფის რეპროდუქციას ახდენს ჯგუფის წევრთა მიერ ჯგუფის წევრობის აღიარების, ურთიერთაღიარებისა და, საერთოდ, ჯგუფის აღიარების გზით. ამით იგი ხელახლა ადასტურებს ჯგუფის საზღვრებს, ანუ საზღვრებს, რომლის გარეთაც ისეთი სახის გაცვლებს, როგორიცაა ვაჭრობა, ქეიფი და ქორწინება, ადგილი ვერ ექნება. ამრიგად, ჯგუფის ყველა წევრი აღიარებულია, როგორც ჯგუფის საზღვრების მცველი: ჯგუფის ყოველმა ახალმა წევრმა უნდა დააკმაყოფილოს ჯგუფში შესვლის კრიტერიუმები, რადგან თუ კრიტერიუმებს არ გამოვიყენებთ, ამას შეიძლება ჯგუფის მოდიფიკაცია მოჰყვეს. ამიტომ გამონაკლისები დაუშვებელია. საკმაოდ ლოგიკურია, რომ ბევრ საზოგადოებაში ქორწილისათვის მზადება და შეთანხმება ითვლება არა მხოლოდ იმ აგენტების საქმედ, რომლებიც უშუალოდ ურთიერთობენ, არამედ მთელი ჯგუფის საქმედ. ოჯახში, კლანში თუ კლუბში ახალი წევრების შეყვანა ზემოქმედებს მთელს ჯგუფზე, მის აკრძალვებზე, საზღვრებსა და იდენტობაზე. ამან კი ჯგუფის შეცვლა და დასუსტება შეიძლება გამოიწვიოს. როგორც ეს ხდება თანამედროვე საზოგადოებებში, როდესაც ოჯახი კარგავს იმ გაცვლების განხორციელებაზე მონოპოლიას, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს გრძელვადიან ურთიერთობებთან, იქნება ეს სოციალურად სანქციონირებული (მაგ., ქორწინება) თუ არასანქციონირებული, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ კონტროლი გაცვლაზე ისე, რომ არ გასცდნენ თავისუფალი გაცვლის (laissez-faire) პრინციპს. ეს ხორციელდება ყველა ინსტიტუტის მეშვეობით, რომლებიც ჩამოყალიბდნენ იმისთვის, რომ შეაქონ ლეგიტიმური გაცვლები და უარყონ, სხვადასხვა სპეციალური ღონისძიებების ჩატარების გზით, არალეგიტიმური გაცვლის შემთხვევები (სახალხო თავყრილობები, შეჯიბრებები, მოგზაურობები, ნადირობა, წვეულებები, მიღებები და ა.შ.) გამოყოფილ ადგილებზე (პრესტიჟული საცხოვრებელი რაიონები, ელიტური სკოლები, კლუბები და ა.შ.), და იმ ფაქტორების გამოყენების (ინტელექტუალური თამაშები, სპორტის პრესტიჟული სახეობები, ცერემონიები და ა. შ.) წარმოებით, რომლებიც (ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად შემთხვევით) აერთიანებენ იმ ინდივიდებს, რომელთა მახასიათებლებიც, ყველა პარამეტრის მიხედვით, მაქსიმალურად ახლოსაა ერთმანეთთან და აქვთ მნიშვნელობა ჯგუფის გადარჩენისა და არსებობისთვის.

სოციალური კაპიტალის რეპროდუქცია გულისხმობს სოციალური კავშირების უზრუნველყოფისთვის უსასრულ მუშაობას, გაცვლათა უწყვეტ სერიებს, რომელთა განმავლობაშიც აღიარება მუდმივად დასტურდება და მართლდება. ეს მუშაობა, რომელიც საჭიროებს დროისა და ენერგიის დანახარჯებს, ცხადად თუ ფარულად, გულისხმობს ეკონომიკური კაპიტალის დანახარჯს, არამოგებიანია და, უფრო მეტიც, ის შეუმჩნეველია მანამ, სანამ მასში გარკვეული კომპეტენციის ინვესტირება არ მოხდება (გენეალოგიური და ნამდვილი კავშირების ცოდნა და უნარები, რომლებიც მათი გამოყენებისთვისაა საჭირო და ა.შ.) და თუ არ იქნება მიდრეკილება, რომ აწარმოოს და ფლობდეს იმ უნარებს, რომლებიც, თავის მხრივ, კაპიტალის ინტეგრალური ფორმებია. ეს ერთ-ერთი ფაქტორთაგანია, რომელიც ხსნის, თუ რატომაა, რომ ამ შრომის მომგებიანობა, იმისათვის, რომ აკუმულაცია მო-

ახდინოს და ფლობდეს სოციალურ კაპიტალს, იზრდება კაპიტალის მოცულობის ზრდის პროპორციულად. ეს კი ხდება იმიტომ, რომ სოციალური კაპიტალი, რომელიც შედგება ამა თუ იმ ურთიერთობებისგან, გაცილებით უფრო დიდია, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი (ამ ურთიერთობათა სუბიექტი) ფლობს კაპიტალს დიდი რაოდენობით (ძირითადად, სოციალური, მაგრამ, ასევე, კულტურული და ეკონომიკური კაპიტალითაც კი), მემკვიდრეობით მიღებული სოციალური კაპიტალის მფლობელებს, რომლებიც სიმბოლიზირდებიან ცნობადი სახელით, აქვთ შესაძლებლობა, ყველა თავისი შემთხვევითი ურთიერთობა გარდაქმნან ხანგრძლივ კავშირად. მათთან ნაცნობობა სწორედ ამ ძლიერი სოციალური კაპიტალის გამოა ბევრისთვის მნიშვნელოვანი და ითვლება, რომ, რადგან ცნობილები არიან, ღირს მათი გაცნობა („მე მას კარგად ვიცნობ"). ასეთ ხალხს არ სჭირდება „შემთხვევით ადამიანებთან" „ნაცნობობის" წარმოება. მათ უფრო მეტი ადამიანი იცნობს, ვიდრე ისინი იცნობენ და სოციალური ქსელების წარმოებისთვის მათი ძალისხმევა არის ძალიან პროდუქტიული.

ყველა ჯგუფს აქვთ საკუთარი, მეტად თუ ნაკლებად, ინსტიტუციონირებული ფორმები დელეგირების უფლებით, რაც მათ იმის საშუალებას აძლევს, რომ სოციალური კაპიტალის სრული კონცენტრაცია მოახდინონ, რაც ჯგუფის არსებობის საფუძველში ძევს (ოჯახი და ნაცია, აგრეთვე, ასოციაციები და პარტიები). კაპიტალი არსებობს ერთი აგენტის ან აგენტების მცირე ჯგუფის ხელში და ჯგუფი აკონტროლებს მის სრულუფლებიან წარმომადგენელს, კერძოდ კი იმას, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს ჯგუფი, ისაუბროს, იმოქმედოს მისი სახელით და ა.შ. მას კი შეუძლია, ამ კოლექტიური კაპიტალის მეშვეობით, რეალიზება გაუკეთოს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რაც ერთეულოვანი აგენტის შემთხვევაში შეუძლებელი იყო. ამგვარად, ყველაზე ელემენტარული ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაშიც კი, ოჯახის თავი, უხუცესი წევრი, არჩეულია ერთადერთ ადამიანად, რომელსაც შეუძლია, ყოველ ოფიციალურ შემთხვევაში, ისაუბროს მთელი ოჯახის სახელით. მაგრამ ამ შემთხვევაში უფლებათა დელეგირება წარმოშობს ვალდებულებას, მთავარმა პირებმა ყოველთვის გადადგან პირველი ნაბიჯი და დაიცვან კოლექტივის პატივი იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხოლოდ მისი ყველაზე სუსტი წევრების პატივია შებღალული. უფლებათა ინსტიტუციონალიზებულ დელეგირებას, რომელიც ახდენს სოციალური კაპიტალის კონცენტრაციას, ასევე შეუძლია შეზღუდოს ინდივიდის მიერ შეცდომების დაშვების შემთხვევები, ეს ხდება პასუხისმგებლობების განსაზღვრითა და აღიარებული სპიკერის ავტორიზაციით, როდესაც მათ მოეთხოვებათ მთელი ჯგუფის დაცვა დისკრედიტაციისგან, წესრიგის დამრღვევი ინდივიდების გარიცხვისა და მოკვეთის გზით.

თუ კაპიტალის მოპოვებასა და დაგროვებას (რაც ჯგუფის არსებობის საწინდარია) ჯგუფსშიდა კონკურენციით ჯგუფის ლეგიტიმური წარმომადგენლობის მონოპოლიზების საფრთხე არ ემუქრება, მაშინ ჯგუფის წევრებმა უნდა დაარეგულირონ ჯგუფის ლიდერად საკუთარი თავის გამოცხადების უფლებები და, უფრო მეტიც, ჯგუფის წარმომადგენლად თავის წარმოჩენის სურვილები (დელეგატი, სრულუფლებიანი წარმომადგენელი, თავმჯდომარე და ა.შ.), და ამით მთელი ჯგუფის სოციალური კაპიტალის მისაკუთრების მცდელობას შეეწინააღმდეგონ. არისტოკრატიული ტიტული ინსტიტუციონირებული სოციალური კაპიტალის წმინდა ფორმაა, რომელიც გრძელვადიანი სოციალური ურთიერთობისთვის ზოგად გარანტიებს იძლევა. დელეგირების პარადოქსი კი მდგომარეობს იმაში, რომ სრულუფლებიან აგენტს შეუძლია ჯგუფზე გავლენა იმ ძალის მეშვეობით მოახდინოს (ან მის წინააღმდეგ მიმართოს ძალა), რომლის კონცენტრაციის საშუალებასაც ჯგუფი აძლევს მას (ეს პირობა განსაკუთრებულად სამართლიანია იმ შემთხვისთვის, როდესაც სრულუფლებიანი აგენტი აყალიბებს ჯგუფს, რომელიც თავის მხრივ ქმნის მას, მაგრამ

რომელიც მხოლოდ ამ აგენტის მეშვეობით არსებობს). დელეგირებისა და რეპრეზენტირების მექანიზმები, რომლებიც აშკარა (ორივე – როგორც ლეგალური, ასევე ხელოვნური მნიშვნელობით) ხდება, და განსაკუთრებით ძლიერდება, როცა ჯგუფი დიდია, მისი წევრები კი სუსტები – სოციალური კაპიტალის კონცენტრაციის ერთ-ერთი წინაპირობის სახით (ამასთანავე, იგი მრავალრიცხოვან, განსხვავებულ, სივრცეში დაბნეულ აგენტებს საშუალებას აძლევს, ისაუბრონ, როგორც ერთმა, და დროისა და სივრცის საზღვრები გადალახონ) მათ მიერ დაგროვებული კაპიტალის მისაკუთრებისა და უკანონო მითვისების ელემენტებს მოიცავს.

ეს მითვისება გარკვეულწილად ლატენტურია, რადგან ჯგუფი შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ერთობა, ამ სიტყვის ბევრი მნიშვნელობით, ქვეჯგუფის მეშვეობით, რომელიც მკაცრად განსაზღვრული და ყველასთვის ნათელია, ყველამ იცის ის და ყველას მიერაა აღიარებული. საუბარია იმ „ელიტაზე", ადამიანებზე, „რომლებსაც ყველა იცნობს", რომლებიც წარმოდგენილი არიან არისტოკრატიის პარადიგმით და რომელთაც მთელი ჯგუფის სახელით შეუძლიათ საუბარი და ძალაუფლების რეალიზება. ელიტის წარმომადგენელი – პერსონიფიცირებული ჯგუფია. იგი ატარებს იმ ჯგუფის სახელს, რომელსაც თავადვე ანიჭებს (ასოციაცია, რომელიც აკავშირებს ელიტის წარმომადგენელს მის ჯგუფთან, კარგად ჩანს შექსპირის მაგალითზე, როდესაც იგი კლეოპატრას „ეგვიპტეს" უწოდებს, საფრანგეთის მეფეს – „საფრანგეთს", რასინი კი პირს – ეპირს). სწორედ ამ ადამიანის მეშვეობით, მისი სახელის გამოყენებით და განხვავევებების გამოხატავით, მისი ჯგუფის წევრები, ვასალები, აგრეთვე მიწები და სასახლეები, ცნობილი ხდებიან. ასევეა „პიროვნების კულტის" ფენომენი, რომელიც პარტიებში, ტომობრივ კავშირებში ან მათი ლიდერების მოქმედებებშია იდენტიფიცირებული – თავადვე წარმომადგენლობითობის ლოგიკაში ლატენტურად არსებობს. ყველაფერი მიდის იქამდე, რომ აღმნიშნავი (Signifier) აღნიშნულის (signified) ადგილს უნდა იკავებდეს, ჯგუფის აზრის გამომხატველი – კი იმ ჯგუფს, რომლის აზრსაც ის უნდა გამოხატავდეს. ეს ხდება არა მხოლოდ მისი განსხვავებულობის, ცნობადობის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „გამორჩეულობის" მეშვეობით, როდესაც ეს ქმნის მის ძალაუფლებას, რომელიც მისი განათლებით და აღიარებით არის გამოწვეული და რომელიც მხოლოდ სიმბოლური ძალაუფლებაა, არამედ იმიტომ, რომ წარმომადგენელი არის ნიშანი, ემბლემა და შეუძლია საკუთარი თავით წარმოადგინოს ჯგუფის მთელი რეალობა ან შექმნას რეალობა, რომლის ეფექტური სოციალური არსებობა მხოლოდ მისი წარმომადგენლობის მეშვეობითაა შესაძლებელი.

კონვერტაციები

კაპიტალის სხვადასხვა ფორმები შეიძლება წარმოიქმნას ეკონომიკური კაპიტალისგან, მაგრამ იმ ტრანსფორმაციის მეტი თუ ნაკლები ძალისხმევის ფასად, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ იწარმოოს ძალაუფლების ტიპი, რომელიც ეფექტური იქნება განსახილველი ველისთვის. მაგალითად, გარკვეული საქონლისა და სერვისისთვის ეკონომიკური კაპიტალი ხელმისაწვდომია ყოველგვარი მეორადი დანახარჯების გარეშე, ხოლო სხვა ყველაფერი კი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ ურთიერთობებით, რომელიც სოციალური კაპიტალის (ან სოციალური ვალდებულებების) მეშვეობით წარმოიქმნება, ისინი კი ვერ წარმოიქმნებიან უმალვე, რაღაც კონკრეტულ მომენტში, თუ დიდი პერიოდის განმავლობაში არ იქნენ ჩამოყალიბებულნი და დაგროვებულნი, ე. ი., თუ არ წარმოადგენენ თვითმიზანს (რაც ნიშნავს, არ იყვენენ დაკავშირებული მათი გამოყენების პერიოდთან). ეს მიიღწევა ინვესტიციებით ურთიერთობებში (sociability), რომელიც აუცილებლად არის გრძელვადიანი. ასე, ვალის გადახდის დაგვიანება ერთ-ერთი ფაქტორია იმის, რომ უბრალო ვალის

წმინდა ფორმა გადაიქცევა სხვა ადამიანისამი ვალდებულების არაკონკრეტიზებულ გრძნობად, რასაც მადლიერებას უწოდებენ. ეკონომიკური გაცვლის ცინიკური, მაგრამ ეკონომიური, გამჭვირვალობისგან განსხვავებით, რომელშიც ეკვივალენტები უმალვე გადადიან ერთი მფლობელისგან მეორესთან, სოციალური გაცვლის არაერთმნიშვნელოვნობა გულისხმობს – ვერცნობას (მაგალითად, კარგი ან ცუდი ბედის რწმენა, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც საკუთარი თავის მოტყუება), რომელიც ვარაუდობს დროის ეკონომიას.

ამავდროულად, პოსტულატად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კაპიტალი ყველა სხვა კაპიტალის საფუძველს ქმნის, და რომ ეს გარდაქმნილი, შენიღბული ეკონომიკური კაპიტალის ფორმები, რომლებიც ბოლომდე არასოდეს დაიყვანებიან ამ განსაზღვრებამდე, აწარმოებენ თავიანთ სპეციფიკურ ზემოქმედებას (და არა მხოლოდ მათი მფლობელებისგან) მხოლოდ იმისთვის, რომ შენიღბონ ის, რომ ეკონომიკური კაპიტალი არის მათ საფუძველში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი გავლენის საფუძველში. კაპიტალის ფუნქციონირების რეალური ლოგიკა, მისი ტიპიების ერთი ფორმიდან მეორეში გარდაქმნა (კონვერტაცია) და ამ გარდაქმნის წესები ვერ იქნება გაგებული, თუ ორ დაპირისპირებულ, მაგრამ თანაბრად მიკერძოებულ ხედვას არ გამოვრიცხავთ: ერთი მხრივ, ეკონომიზმი, რომელიც იგნორირებას უკეთებს სხვა კაპიტალთა სპეციფიკურ მოქმედებებს – იმაზე დაყრდნობით, რომ მიაჩნია, რომ საბოლოოდ ყველა კაპიტალის ტიპი ეკონომიკურ კაპიტალამდე დაიყვანება; მეორე მხრივ, სემიოლოგიზმი (დღეს წარმოდგენილი, როგორც სტრუქტურალიზმი, სიმბოლური ინტერაქციონიზმი ან ეთნომეთოდოლოგია), რომელსაც დაჰყავს სოციალური გაცვლები კომუნიკაციების ფენომენამდე და იგნორირებას უკეთებს სხვა ფორმათა უნივერსალურ დაყვანას მკაცრად ეკონომიკურ საფუძველამდე.

იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც ენერგიის დაგროვების პრინციპის ეკვივალენტურია, მოგებები ერთ სფეროში აუცილებლად აისახება სხვა სფეროში დანაკარგების სახით (ამიტომ უაზრო დანაკარგის კონცეფცია მიუღებელია პრაქტიკების წარმოების ზოგადი მეცნიერებისთვის). უნივერსალური ეკვივალენტი, ყოველი ეკვივალენტურობის ზღვარი, სხვა არაფერია, თუ არა დრო, რომელიც დახარჯულია შრომაში (ყველაზე უფრო ფართო ცნებით). სოციალური ენერგიის შენახვა ყველა მისი ფორმით კი მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ ყოველ ჯერზე მხედველობაში მივიღებთ შრომის პერიოდს, როგორც აკუმულაციას კაპიტალის ფორმით, ასევე – შრომის დროდ, რომელიც საჭიროა ერთი ტიპის მეორედ გარდასაქმნელად.

აშკარაა, რომ, მაგალითად, ეკონომიკური კაპიტალის სოციალურ კაპიტალად ტრანსფორმაციას სპეციფიკური შრომითი დანახარჯები სჭირდება, ე. ი. დროის აუნაზღაურებადი დანახარჯები, ყურადღება, მზრუნველობა, მონაწილეობა, რომელიც კარგად ჩანს საჩუქრის ჩუქების მცდელობაში. ამას მივყავართ გაცვლის, როგორც ფულადი აქტის, ტრანსფორმაციამდე და, შესაბამისად, გაცვლის ნამდვილ არსამდე. თუ შევხედავთ ვიწრო ეკონომიკური გაგებით, ეს მცდელობა შეფასდება, როგორც უაზრო დანაკარგი, მაგრამ სოციალური გაცვლის ლოგიკით, ეს სარიოზული ინვესტიციაა, რომლიდანაც მოგებას გარკვეული პერიოდის შემდეგ დავინახავთ ფულადი ან სხვა სახით. ანალოგიურად, თუ კულტურული კაპიტალის მთავარი საზომი არის დრო, რომელიც დაიხარჯა მის მისაღწევად, ეს ასე იმიტომაა, რომ ეკონომიკური კაპიტალის კულტურულ კაპიტალად გარდაქმნას დროითი დანახარჯები სჭირდება, ეს კი შესაძლებელია ეკონომიკური კაპიტალის ფლობით. უფრო ზუსტად, ეს იმიტომ ხდება, რომ კულტურული კაპიტალი, რომელიც ეფექტურად გადაეცემა ოჯახის მეშვეობით, დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ზომაზე, რომელიც აკუმულირდება იმ დროის ხარჯვის გზით, რომელსაც ოჯახი ფლობს, არამედ იმ გამოყენებად დროზე (განსაკუთრებით, დედის თავისუფალი დრო), რომელიც აძლევს მას საშუალებას

(მისი ეკონომიკური კაპიტალის ძალით დაიკავოს სხვების დრო), უზრუნველყოს ამ კაპიტალის გადაცემა და შეაფერხოს შრომით ბაზარზე შესვლა გახანგრძლივებული სწავლებით, სესხით, რომელიც ანაზღაურებადია ძალიან დიდი პერიოდის განმავლობაში.

სხვადასხვა კაპიტალის კონვერტაციის უნარი, კონვერტაბელურობა, არის იმ სტრატეგიების საფუძელი, რომლებიც მიმართულნი არიან კაპიტალის წარმოების შესახებ გარანტიის მიღებისკენ (და სოციალური პოზიციის შენარჩუნებისკენ), რომლებიც გარდაქმნისას ამცირებენ გარდაქმნის თანმხლებ დანახარჯებსა და დანაკარგებს (ძალაუფლებრივი სოციალური ურთიერთობების ფორმით). კაპიტალის სხვადასხვა ფორმები შეგვიძლია განვასხვავოთ მათი წარმოების მიხედვით, უფრო ზუსტად, იმის მიხედვით, თუ რამდენად ადვილად გადაეცემიან ისინი (რა დანაკარგებით, ან რამდენად ლატენრურად ან არალატენტურად). დანაკარგის რაოდენობა და ლატენტურობის ხარისხი, როგორც წესი, გაიზომება უკუპროპორციით. ყველაფერი, რაც ეკონომიკური ასპექტების შენიღბვაში გვეხმარება, ზრდის დანაკარგის რისკსაც (განსაკუთრებით, ინტერგენეტიკური ტრანსფერების, კაპიტალის გადაცემა თაობათა შორის). ასე, (თითქოს ხილული) არათანაბრობა, რომელიც არსებობს განსხვავებული ტიპის კაპიტალებს შორის, იწვევს სხვადასხვა ტიპის კაპიტალის მფლობელებს შორის ტრანსაქციების განუსაზღვრელობის მაღალ დონეს. ანალოგიურად, კალკულაციებისა და გარანტიების უარყოფა, რომელიც სოციალური კაპიტალის გადაქცევის პროცესს ახასიათებს, რომელიც მიმართულია სოციალური კაპიტალის უფრო გრძელვადიანი ვალდებულებების წარმოებაზე (საჩუქრები, სერვისები, შეხვედრები და ა.შ.), აუცილებლად ვარაუდობს უმადურობის რისკს, ასევე, არაგარანტირებული ვალების არაღიარებას, რომელსაც ასეთი ტიპის გაცვლა უნდა აწარმოებდეს. შესაბამისად, კულტურული კაპიტალის გადაცემისას ლატენტურობის მაღალ ხარისხსს ის ნაკლი აქვს (მისთვის დამახასიათებელი დანაკარგის რისკის გარდა), რომ აკადემიური კვალიფიკაცია – მისი ინსტიტუციონიზებული ფორმა – შეიძლება არ გადაეცემოდეს (არისტოკრატიული ტიტულის მსგავსად) და არც სავაჭრო საგანი იყოს (აქციებისა და წილების მსგავსად). უფრო ზუსტად, კულტურული კაპიტალი არის დიფუზური, გაფანტული, ხანგრძლივი გადაცემის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ოჯახში დაკვირვებისა და კონტროლის გარეშე (რომლის შედეგადაც გვეჩვენება, რომ საგანმანათლებლო სისტემა მხოლოდ პიროვნული უნარების მიხედვით აჯილდოებს) და ის სულ უფრო ხშირად აღწევს უმეტესად ეფექტურ მდგომარეობას (შრომით ბაზარზე მაინც) მხოლოდ მაშინ, როდესაც საგანმანათლებლო სისტემის მიერ არის ვალიდურად აღიარებული, ე.ი. გარდაქმნილია კვალიფიკაციების კაპიტალად, რომელიც არის კონვერტაციის უფრო ლატენტური, მაგრამ უფრო რისკიანი ფორმა, ვიდრე ეკონომიკური კაპიტალი. როდესაც საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია, ხდება სულ უფრო მეტი რაოდენობის პოზიციების მიღწევის (განსაკუთრებით, დომინანტური პოზიციები) ლეგიტიმური პირობა, განათლების სისტემა ცდილობს, წაართვას ოჯახს მონოპოლია ძალაუფლების გადაცემასა და პრივილეგიებზე. სხვა ყველაფერთან ერთად, ის ართმევს, სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვებიდან, თავისი ლეგიტიმური მემკვიდრეების არჩევის უფლებას. ეკონომიკური კაპიტალის კონვერტაციისას კი სხვა პრობლემები წარმოიშობა. ისინი დამოკიდებულია იმ ფორმაზე, რომელსაც იგი იღებს. გრასბის მიხედვით (1970), კომერციული კაპიტალის ლიკვიდურობა, რომელიც იძლევა ეკონომიკურ ძალაუფლებას და ხელს უწყობს მის გავრცელებას, აქცევს მის პოზიციებს უფრო არამდგრადად, ვიდრე მიწისმფლობელობის (ან მამულის) პოზიციებია და არ შეუძლია „გრძელვადიანი“ დინასტიების ჩამოყალიბება.

რადგან მითვისების საკითხი კაპიტალის გადაცემის პროცესში არის ყველაზე მეტად აქტუალური (განაკუთრებით, მფლობელის შეცვლის შემთხვევაში, რაც კრიტიკული მო-

მენტია ყველანაირი ძალაუფლებისთვის), ამიტომ წარმოების ყოველი სტრატეგია, ამავე დროს, ლეგიტიმაციის სტრატეგიაცაა, რომელიც მიმართულია აღიარებაზე (Consecrating), როგორც ექსკლუზიური მითვისებისა და, ასევე, მისი თავიდან წარმოების სახეზე. როდესაც მმართველი კლასისკენ (და ამ პოზიციების შენარჩუნებისკენ) მიმართული დამანგრეველი კრიტიკა, რომელიც ხაზს უსვამს პოზიციათა გადაცემისას ამ კლასის თვითნებობას და ტიტულთა გადაცემის პროცესს (მაგალითად, კრიტიკა, რომელსაც მიმართავდნენ განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსები, როდესაც აკრიტიკებდნენ სტატუსების უნებურობას, როდესაც ადამიანის ცხოვრება დაბადებიდანვე განსაზღვრული იყო მისი წოდებით და არა ბუნებრივი კანონების შესაბამისად), არის ინკორპორირებული ინსტიტუციონირებულ მექანიზმებში (მაგალითად, მემკვიდრეობის წესები), რომელიც მიმართულია ოფიციალური პირების კონტროლისკენ, ძალაუფლებისა და კაპიტალის პირდაპირ გადაცემისკენ, ამ დროს კაპიტალის მფლობელები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული იმაში, რომ შეიმუშაონ რეპროდუქციული სტრატეგიები, რათა უზრუნველყონ კაპიტალის გადაცემის უფრო ლატენტური ფორმა სხვადასხვა ტიპის კაპიტალის ურთიერთხელსაყრელი კონვერტიაციის გზით, თუგინდ დიდი დანაკარგის ხარჯზე. შესაბამისად, რაც უფრო მეტად ეშლება ხელი კაპიტალის ოფიციალურ გადაცემას, რაც უფრო მეტ დაბრკოლებას ხვდება ის, მით უფრო მნიშვნელოვანია, სოციალური სტრუქტურის რეპროდუქციის საქმეში, კულტურული კაპიტალის ფორმით, მისი ლატენტური გაცვლის შედეგები. საგანმანათლებლო სისტემის საზღვრები, როგორც წარმოების ინსტრუმენტები, რომლებსაც შეუძლიათ თავისი ფუნქციების დამალვა, როგორც წესი, ფართოვდება და ამასთანავე იზრდება სოციალური კლასიფიკაციების ბაზრის უნიფიკაციის დონე, რაც იშვიათი პოზიციების დაკავების საშუალებას იძლევა.

შეჯამება

პიერ ბურდიე

პ. ბურდიეს კონცეფცია რაციონალიზმის და მექანიციზმის, ობიექტივიზმის და სუბიექტივიზმის ცალმხრივობისა და რედუქციონიზმის გადალახვაზეა მიმართული. სოციალურ თეორიებში ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის ცალმხრივობების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დაძლევა შესაძლებელია, თუ პრაქტიკას, როგორც opus operatum-ისა და modus operandis დიალექტიკურ ადგილს, ანუ პრაქტიკული ისტორიის ობიექტივირებულ პროდუქტებს – სტრუქტურებსა და ჰაბიტუსებს მივმართავთ. იგი სტრუქტურალიზმისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპების ორგანულ განვითარებას ცდილობს:

სტრუქტურალიზმის დახმარებით, ბურდიეს სურს თქვას, რომ თავად სოციალურ სამყაროში და არა მხოლოდ სიმბოლიკაში, ენაში, მითებში და ა.შ. არსებობენ აგენტთა ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური სტრუქტურები, რომელებსაც აგენტთა პრაქტიკის (წარმოდგენების) წარმართვის ან დათრგუნვის უნარი შესწევთ.

კონსტრუქტივიზმის დახმარებით კი მას უნდა აჩვენოს, რომ არსებობს, ერთი მხრივ, აღქმის, აზროვნებისა და მოქმედების სქემების სოციალური გენეზისი, ანუ ის, რასაც ბურდიე ჰაბიტუსის შემადგენელ ნაწილებს უწოდებს, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური სტრუქტურების გენეზისი, კერძოდ იმისი, რასაც ბურდიე ველს ან ჯგუფებს, ანუ, რასაც ჩვეულებრივ „სოციალურ კლასებს“ უწოდებენ (ე.ი. ორივე – ველიც და ჰაბიტუსიც წარმო-

ებულია პრაქტიკულად, ოღონდ ერთი აგენტთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო მეორე კი აგენტთა მენტალობის, ანუ სოციალური სივრცის ხედვისა და დაყოფის სქემებია).

ბურდიე ჰაბიტუსისა და ველის დიალექტიკური ურთიერთკავშირის კონტექსტის ჩარჩოებში ქმედებისა და სტრუქტურის ურთიერთკავშირის ახალ თეორიას გვთავაზობს. მისი თეორია პრაქტიკისადმი – ყურადღებით და მშრალი ინტელექტუალიზმისადმი უარით გამოირჩევა.

მის მიერ შემოთავაზებულ Habitus-ის, სოციალური სივრცის, ველის, სტრუქტურის, პრაქტიკის ლოგიკურად დაკავშირებულ კონცეპტებს მრავალი გასათვალისწინებელი და მიმზიდველი მხარე აქვს. გარდა ამისა, იგი ემპირიულ გამოკვლევებში საკამრისად ეფექტურად რეალიზდება. „სინთეზის საკუთარი სტრატეგიის“ განხორციელებისას ბურდიე სოციალური სტრუქტურიდან ამოდის და სუბიექტის მოქმედების მიმართულებით მიდის.

კითხვები და დავალებები:

1. განმარტეთ სოციალური პოზიციისა და სოციალური დისპოზიციის ცნებების შინაარსი.
2. გაანალიზეთ Habitus–ის ძირითადი ნიშნები.
3. განმარტეთ მოცემული დებულების არსი: „Habitus, როგორც ისტორიის პროდუქტი, აწარმოებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პრაქტიკებს – კვლავ ისტორიას – ისტორიისვე მიერ შექმნილი სქემების შესაბამისად“.
4. განმარტეთ მოცემული დებულების არსი: „პრაქტიკა – ინდივიდის ჰაბიტუსისა და სხვადასხვა ხდომილებების ურთიერთქმედების პროდუქტია“.
5. გააანალიზეთ სოციალური ველის არსებითი ნიშნების მნიშვნელობა.
6. ააანალიზეთ კაპიტალის ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სიმბოლური (პრესტიჟი, რეპუტაცია, სახელი) ფორმები.
7. განმარტეთ კულტურული კაპიტალის ინკორპორაციის, ობიექტივაციის და ინსტიტუციონალიზაციის ცნებების მნიშვნელობა.
8. განმარტეთ დებულება: „გემოვნება არც ინდივიდუალური და არც პიროვნული დამსახურება ქმნილებაა, იგი თავისი ბუნებით სოციალური და საზოგადოებრივია“.
9. განმარტეთ დებულება: „მითხარი, რას ჭამ, რომელ სპორტს მისდევ, როგორია შენი ბინის მოწყობილობა და ავეჯი, და გეტყვი, თუ რომელ ბურჟუაზიულ ფენას მიეკუთვნები და ხარ თუ არა საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელი“.
10. განმარტეთ დებულება: „თუკი ადამიანს სამყაროს – ქვეყნის დატოვება ან მისგან გაქცევა სურს, იგი მუსიკოსი, ფილოსოფოსი ან მათემატიკოსი უნდა გახდეს. მაგრამ როგორ უნდა გაექცეთ მას, თუკი სოციოლოგი ხართ? არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამას ახერხებენ. თუკი ვინმეს სამყაროს, როგორც იგი რეალურად არსებობს და არის, მცირედ მაინც დანახვა და მასზე საუბარი სურს, მაშინ ყურადღება იმაზე უნდა გაამახვილოს, რომ იგი ყოველთვის უწმინდურ, ბნელ, კომპლემენტირებულ წარმოდგენებშია გახვეული“.

ძირითადი ლიტერატურა:

პიერ ბურდიე, განსხვავება, მსჯელობის სოციალური კრიტიკა. თარგმანი ფრანგულიდან, მთარგმნელი გია ბარამიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2006.

თანამედროვე სოციალური თეორია (ქრესტომათია), 2003 (ბეჭდური ვარიანტი).

Бурдье П., Социология политики – М., Socio-Logos, 1993. gv. 5-27, 33- 42, 53-98, 114-159.

Бурдье П., Поле политики, поле социальных наук, поле журналистики., стр.107-138.

Бурдье П. Социология и демократия. წიგნში: Поэтика и политика. СПБ, Алетейя, 1999. стр. 119-125.

Бурдье П. Дух государства: генезис и структура бюрократического поля. წიგნში Поэтика и политика. СПБ, Алетейя, 1999. стр. 125-166.

Бурдье П. Практический смысл/ Пер. с.фр. А.Т. Бикбова, К. Д. Вознесенской, С. Н. Зенкина, Н. А. Шматко; – СПб.: Алетейя, 2001.

Ленуар Р., Мерлье Д., Пенто Л., Шампань П., Начала практической социологии/ Пер. с.фр. А.Т. Бикбова, Д.В. Баженова, Е. Д. Вознесенской, Г. А. Чередниченко; отв. Ред. Н. А. Шматко; – М.: Институт Экспериментальной социологии; СПб.: Алетейя, 2001.

Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е издание – СПБ.: Питер, 2002; гл. 5. стр. 456-470.

Anette Treibel Einfuhrung in sociologische Theorien der Gegenwart. U. Auflage Opladen Lektion II H. 119-221.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524

დამატებითი ლიტერატურა:

Шматко Н. А. Горизонты социоанализа, стр. 13-47.

თავი მეექვსე – ენტონი გიდენსის სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურაციის თეორია

1. *ენტონი გიდენსი: პიროვნება და მეცნიერი;*
2. *„ფუნქციონალიზმის“ და „ევოლუციონიზმის“ კრიტიკა ე. გიდენსის მიერ;*
3. *სოციოლოგიური მემკვიდრეობა და სტრუქტურაციის თეორია;*
4. *ცოდნა და სოციალური მოქმედება;*
5. *სოციოლოგიის საგანი;*
6. *სტრუქტურაციის თეორია;*
   - *6.1 მოქმედების მოტივაციის დონე ;*
   - *6.2 მოქმედების რაციონალიზაცია;*
   - *6.3 მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი;*
7. *სტრუქტურა, სისტემა და სტრუქტურაცია;*
8. *ე. გიდენსი და მისი კრიტიკოსები.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მოქმედება;
- სტრუქტურა;
- სტრუქტურაცია;
- „საზოგადოების აგებულება“;
- დუალობა;
- სოციალური პრაქტიკა;
- დისკურსიული და პრაქტიკული ცნობიერება;
- რაციონალიზაცია და რეფლექსურობა;
- სოციალური სისტემა და სისტემური თვისებები;
- წინასწარ გულუზრახი შედეგები;
- დრო და სივრცე.

1. ენტონი გიდენსი: პიროვნება და მეცნიერი.

ენტონი გიდენსი (Giddens) დაიბადა 1938 წლის 18 იანვარს. იგი დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი და პოლიტოლოგია. 1965 წელს მან გულლის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში სწავლობდა, სადაც 1974 წელს სოციოლოგიაში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 1961 წლიდან ლესტერის უნივერსიტეტში სოციოლოგიის მასწავლებელი იყო. გიდენის მეცნიერული საქმიანობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია კემბრიჯის უნივერსიტეტთან, სადაც ის 1969 წლიდან ჯერ უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო 1985 წლიდან 1995 წლამდე პროფესორის თანამდებობა ეკავა. 1996 წლიდან დღემდე იგი ლონდონის პოლიტიკის და ეკონომიკის მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს.

ე. გიდენსი სოციალურ თეორიასა და ისტორიულ სოციოლოგიაში მრავალი შრომის ავტორია. ცნობილია, როგორც სტრუქტურაციის თეორიის შემქმნელი. მეცნიერული მოღვაწეობა მან სოციალური თეორიის კლასიკოსთა შრომების გადასინჯვით („კაპიტალიზმი და თანამედროვე სოციალური თეორია“ – 1971) დაიწყო. მის თეორიულ შეხედულებებზე დიდი გავლენა მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიამ, კერძოდ, დროისა და ყოფიერების ინტერპრეტაციის კონცეფციამ მოახდინა. ე. გიდენსი იზიარებს მ. ჰაიდეგერის დაშვებას, რომ დრო და სივრცე არც ფილოსოფიაში და არც სოციოლოგიაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური ობიექტებისა და მათი საქმიანობის სტრუქტურა (ჩარჩო). დროისა და სივრცის ცნებები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც მყოფობა-არმყოფობის მუდმივი და თანმიმდევრული მონაცვლეობა.

დიდი აღიარება ე. გიდენსს სოციალური თეორიის, მოტივაციისა და რეფლექსიის თეორიის სფეროებში შრომებმა მოუტანა. პროფსორმა გიდენსმა ოც წიგნზე-მონოგრაფიაზე მეტი დაწერა. მათ შორის ისეთი, როგორებიცაა: „სოციოლოგიური მეთოდის ახალი წესები“ (1976), „ისტორიული მატერიალიზმის თანამედროვე კრიტიკა“(1981), „საზოგადოების აგებულება (კონსტიტუცია), სტრუქტურაციის თეორიის ნარკვევი“(1984), „ეროვნული სახელმწიფო და ძალადობა“ (1985), „სოციალური თეორიის ცენტრალური პრობლემები“ (1986), „სოციოლოგია“(1989), „მოდერნითის შედეგები“(1990), „მოდერნითი და თვითმყოფადობა“(1991), „ადამიანური ერთობები“(1992), „ინტიმურობის ტრანსფორმაცია“(1992). გარდა ამისა, იგი თერთმეტი ევროპული და ხუთი ამერიკული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

2. „ფუნქციონალიზმის“ და „ევოლუციონიზმის“ კრიტიკა ე. გიდენსის მიერ

მისი კრიტიკის ობიექტი, პირველ რიგში, „ფუნქციონალიზმის“ და „ევოლუციონიზმის“ აქსიომატურად ქცეული თეორიები ხდება. გიდენსის აზრით, „ფუნქციონალიზმი“ არის დოქტრინა, რომელიც:

ა) საზოგადოებასა და სოციალურ სისტემებში „მოთხოვნილებების“ არსებობას უშვებს.

ბ) იმ გზების განსაზღვრას უზრუნველყოფს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ამ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

გ) ცდილობს იმის ახსნას, თუ კერძო და კონკრეტული სოციალური პროცესები რატომ ხდება სწორედ ასე და არა სხვაგვარად.

„ფუნქციონალიზმის“ ამგვარი გაგება, გიდენსის აზრით, როგორც პარსონსის „ნორმატიულ ფუნქციონალიზმს“, ისე რ. მერტონის „კონფლიქტურ ფუნქციონალიზმს“ სრულად მოიცავს. ფუნქციონალიზმი სოციალური სტატიკისა და დინამიკის, სინქრონიზაციისა და დიაქრონიზაციის მცდარ დაყოფას ემყარება, რასაც უხეშ ლოგიკურ შეცდომებთან მივყავართ. სოციალური სისტემების დიაქრონიულად შესწავლისას ჩვენ ვაანალიზებთ, თუ როგორ იცვლებიან ისინი დროში, რასაც ფუნქციონალური ტრადიციის ჩარჩოებში აუცილებლად – გვარწმუნებს გიდენსი – სოციალური ცვლილებებისა და დროის გაიგივებასთან მივყავართ. იგი სოციალური მოქმედების ფუნქციონალურ განმარტებას აქტიურად უპირისპირდება, რომელიც სოციალურ აგენტებს, როგორც „კულტურულ ნარკომანებს“, და არა, როგორც ინსტიტუტთა ჩარჩოებში შეგნებულად-ცნობიერად მოქმედ აგენტებს ახასიათებს, რომელ ინსტიტუტებსაც ისინი თავიანთი მოქმედებებით აწარმოებენ და კვლავაწარმოებენ. საბოლოო ჯამში, გიდენსი აცხადებს, რომ „ფუნქციის“ ცნებას პრინციპული მნიშვნელობა არც სოციალური მეცნიერებებისათვის აქვს და არც ისტორიისათვის.

გიდენსი „ევოლუციონიზმის“ დებულებებსაც ანალოგიურად აკრიტიკებს. ყველა ევოლუციონისტური თეორია, მარქსიზმის ჩათვლით, სოციალურ აგენტთა აზროვნებისა და ცნობიერების როლს სათანადოდ ვერ აფასებს და, პირიქით, ადაპტაციის, გარემომცველ ბუნებრივ სინამდვილესთან შეგუების როლს-ცნებას, რომელიც იმდენადვე საჭიროა სოციალური თეორიისათვის, როგორც „ფუნქცია“, გადაჭარბებით აფასებს.

3. სოციოლოგიური მემკვიდრეობა და სტრუქტურაციის თეორია

ე. გიდენსი წინამორბედი სოციოლოგების ნააზრევს არა მხოლოდ ამხელს და აკრიტიკებს, არამედ იმ საფუძვლებს ეძებს, რომელზე დაყრდნობითაც ახალი სინთეზის განხორციელება შესაძლებელი გახდება. უკვე თავის პირველ შრომაში – „კაპიტალიზმი და თანამედროვე სოციალური თეორია: მარქსის, დიურკემის და ვებერის შეხედულებების ანალიზი“(1971), გიდენსი კლასიკოსების ნააზრევის მასშტაბური ანალიზის საფუძველზე ცდილობს, მათი კონცეფციების შეხების წერტილები იპოვოს, რათა მომავალი სინთეზისათვის საფუძვლები შეამზადოს. გიდენსს მიაჩნია, რომ „კლასიკა“ შეიძლება, საუკეთესო შემთხვევაში, ახალი ერთიანი თეორიის შექმნაში ამოსავალ წერტილად გამოგვადგეს, რამდენადაც შეცვლილი საზოგადოებრივი პირობები მათი გააზრების პირობების შეცვლასაც გულისხმობს. ამიტომ იგი ძირითად ყურადღებას კლასიკოსთა მიერ საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის პრობლემატიკის დამუშავებაზე ამახვილებს.

4. ცოდნა და სოციალური მოქმედება

ე. გიდენსის აზრით, საზოგადოების კლასებად დაყოფა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობის, ანუ „მოდერნის“ ეპოქის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ნიშანია. იგი ეთანხმება კ. მარქსს იმაში, რომ კლასები სოციალური სისტემების ობიექტურ, ინსტიტუციონალიზებულ კომპონენტებს შეადგენენ. მაგრამ კლასობრივი დამოკიდებულებები გიდენსისათვის – ეს მხოლოდ ჯგუფების ჩამოყალიბების ბაზისია, ჯგუფური მიკუთვნებულობის განსაზღვრების „მასტრუქტურირებელი საფუძველია“. მეორე მხრივ, მას კლასობრივი ცნობიერება ადამიანთა მიერ თავიანთი კლასობრივი კუთვნილების გაცნობიერებაზე არ დაჰყავს, როგორც ეს კ. მარქსთან იყო. „კლასობრივი ცნობიერების“ ტერმინის გამოყენებისას გიდენსი ხაზს სოციალურ ურთიერთობა-დამოკიდებულებათა სუბიექტურ მომენტებს უსვამს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ცოდნა სოციალურ ურთიერთობებს აგებს და არა, უბრალოდ, ობიექტურ მოცემულობას ასახავს.

ცოდნისა და სოციალური ურთიერთობების ურთიერთკავშირის თემას გიდენსი ი. ჰაბერმასის დასკვნის ანალოგიურ დასკვნასთან მიჰყავს: „მოდერნის“ საზოგადოების მეორე ფუნდამენტურ მახასიათებელ ნიშანს, განსხვავებით „მოდერნამდელი“ საზოგადოებრივი მდგომარეობისაგან, „მოდერნისათვის შინაგანად დამახასიათებელი რეფლექსურობა“ წარმოადგენს. თანამედროვე საზოგადოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი ეს თვისება, გიდენსის აზრით, ის საფუძველია, რომლის ბაზაზეც ერთიანი სოციოლოგიური თეორიის აგებაა შესაძლებელი. იგი წერს: „უთანხმოების მიუხედავად, მოპაექრე თეორიულ მიდგომათა შორის ზოგიერთი საერთო თემის დადგენა შეიძლება. ერთი ისაა, რომ სკოლათა უმრავლესობა – სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის გარდა – ადამიანის მოქმედების აქტიურ, რეფლექსურ ხასიათს ხაზს უსვამს. ეს ნიშნავს, რომ ისინი ორთოდოქსალური კონსენსუსის ტენდენციების უარყოფის დროს ერთ პოზიციაზე დგანან, რომელთა მიხედვითაც, ადამიანური მოქმედებები უნდა განვიხილოთ, როგორც იმ ძალთა შედეგი, რომლებსაც ინდივიდები ვერც აკონტროლებენ და ვერც იგებენ. მეტიც (აქ კი უკ-

ვე როგორც სტრუქტურალიზმი, ისე პოსტსტრუქტურალიზმიც ერთვება), ისინი სოციალური ცხოვრების ახსნაში ენისა და კოგნიტური უნარების ფუნდამენტურ მნიშვნელობას აღიარებენ. ენა ხორცს კონკრეტულ ყოველდღიურ საქმიანობაში ისხამს და, გარკვეული აზრით, ამ საქმიანობას აკონსტრუირებს (აგებს) კიდეც. დაბოლოს, აღიარებენ, რომ ბუნების მეცნიერებათა ემპირიული ფილოსოფიის შესუსტებად მნიშვნელობას სოციალური მეცნიერებისათვისაც ღრმა შედეგები მოაქვს. საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ სოციალური და ბუნებისმეცნიერებები ჯერ კიდევ ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ამას ორთოდოქსალური კონსენსუსის მომხრეები თვლიდნენ, ჩვენ ახლა ვთვლით, რომ ბუნების მეცნიერების ფილოსოფიამ სწორედ ის მოვლენები უნდა გაითვალისწინოს, რომლებითაც დაინტერესებულნი არიან სოციალური თეორიის ახალი სკოლები – „განსაკუთრებით ენა და საზრისის ინტერპრეტაცია“.

მოქმედების მზარდი რეფლექსურობით გამოწვეულ საზოგადოებრივი სტრუქტურების ცვლილებებს იმასთან მივყავართ, რომ „მოდერნის“ პირობებში მოქმედებისა და მისი გარემოს შესახებ არსებული სოციალურ-მეცნიერული ცოდნა, ასე თუ ისე, აგენტთა (სოციალური მოქმედების მონაწილეთა) მონაპოვარია, რომელიც უკვე „მონოპოლიური“ აღარ არის, რამეთუ ამა თუ იმ ხარისხით განაწილებული თუ გაზიარებულია. ამით კი თავიანთი მოქმედებების შესახებ აგენტთა ცოდნა (აგენტის რეფლექსია) ახალ პირობებში სოციალური მოქმედების სტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტად იქცევა. ე. გიდენსი იზიარებს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სოციალური ინსტიტუტები ობიექტური წარმონაქმნებია, რომლებიც აგენტთა ურთიერთქმედებებისაგან მომდინარეობენ, მაგრამ მათზე არ დაიყვანებიან. ამასთან ერთად, სოციალური მოქმედების მზარდი რეფლექსურობა ინსტიტუციონალიზაციის პროცესებს ახალ ნიშნებსა და თვისებებს სძენს. საკუთარი და სხვა აგენტების მოქმედებებზე აგენტის რეფლექსიას მოქმედების ინსტიტუციონალური განზომილების გაცნობიერებასთან – სოციალური ინსტიტუტების ცვლილებების აუცილებლობისა და შესაძლებლობის გაცნობიერებასთან მივყავართ. ამავე დროს, სოციალური ინსტიტუტების კვლავწარმოებაში სუბიექტის მიერ თავისი როლის გაცნობიერებას ინსტიტუტების აგენტთა მოქმედებებში გათქვეფასთან სრულებითაც არ მივყავართ.

5. სოციოლოგიის საგანი

„მოდერნის“ ეპოქის საზოგადოების ფუნდამენტური მახასიათებლების ანალიზისას ე. გიდენსი ცდილობს, შექმნას საფუძველი, რომელზედაც ძირითადი კონცეპტუალური დებულებები აიგება. იგი ცდილობს, ახლებურად გაიაზროს სოციოლოგიური ცოდნის როლი და ადგილი თანამედროვე მსოფლიოში მტკიცებისაგან ამოსვლისას, რომ, პირველი შეხედვით, სოციოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეცნიერება იმ ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც ბოლო 150 – 200 წლის განმავლობაში წარმოიშვნენ, ანუ „მოდერნის“ საზოგადოების შესახებ, ამ მარტივ დებულებას სოციოლოგიის საგნის საკმაოდ კარდინალურ გადააზრებასთან მივყავართ, რომელიც ე. გიდენსმა შრომაში „სოციოლოგიური მეთოდის ახალი წესები“ მოგვცა. მოდერნიზების სურვილი უკვე ამ შრომის სათაურში იკვეთება, საკმარისია გავიხსენოთ ე. დიურკემის „სოციოლოგიის მეთოდის წესები“. გიდენსი ამტკიცებს, რომ სოციოლოგია „ყურადღებას ამახვილებს არა სამყაროს მიერ მოცემულ ყველა ობიექტზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რომლებიც სუბიექტთა აქტიური მოქმედების მიერ კონსტრუირდებიან“. ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული მოქმედების რეფლექსურობა სოციოლოგიის საგნისთვისაც განმსაზღვრელი ხდება.

6. სტრუქტურაციის თეორია

სტრატიფიკაციული მოდელის სამი დონე: მოქმედების მოტივაცია, მოქმედების რაციონალიზაცია და მოქმედების რეფლექსური მონოტორინგი. „მოდერნის“ საზოგადოების პირობებში სოციალური შემეცნების ახალ ინსტრუმენტად „სტრუქტურაციის თეორია“ უნდა იქცეს, რომელიც გიდენსის მიერ გაგებულია, როგორც ადამიანის სოციალური მოქმედების შესწავლის „ონტოლოგიური ჩარჩო“. „ონტოლოგიზმი“, მოცემულ შემთხვევაში, ადამიანური მოქმედებებისა და ინსტიტუტების, აგრეთვე, მოქმედებებსა და ინსტიტუტებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებების კონცეპტუალურ კვლევაზე პრეტენზიას ნიშნავს. ე. გიდენსი ხაზს სტრუქტურას, სისტემასა და მოქმედებებს შორის არსებულ განსხვავებებს უსვამს, უფრო სწორად, ყურადღებას სტრუქტურას, სისტემას და მოქმედებებს შორის არსებულ განსხვავებებზე ამახვილებს, რომლებიც, ერთი მხრივ, დ. ლოკვუდის (რომელსაც ი. ჰაბერმასიც ეყრდნობა) მიერ შემოტანილ სოციალურ და სისტემურ ინტეგრაციას შორის არსებულ განსხვავებაში, ხოლო მეორე მხრივ, სტრუქტურალიზმის მიერ შემოტანილ სისტემისა და სტრუქტურის განსხვავებაში გამოიხატება. სტრუქტურაციის თეორია კი ამ მიდგომათა რედუქციონიზმის გადალახვასა და სოციალური ობიექტისა და სუბიექტის დუალიზმის ხელახალ გააზრებაზეა მიმართული. მოქმედების, სისტემის და სტრუქტურის ინტეგრაციის შესაძლებლობად და წესად გიდენსთან სოციალური მოქმედების რეფლექსურობის შესახებ წარმოდგენა გვევლინება. „სოციალური სისტემის სტრუქტურის შესწავლა იმ წესების შესწავლას ნიშნავს, რომელთა მეშვეობითაც ეს სისტემა, ინტეგრაციული წესებისა და საშუალებების გამოყენების გზით, აგრეთვე გაუთვალისწინებელ შედეგებთან კონტაქტში ორგანიზდება და ურთიერთქმედებებში კვლავ იწარმოება“. ამგვარად, სტრუქტურაციის თეორიის მთავარ ამოცანას სოციალური რეალობის, როგორც „დუალურობის“ ობიექტური და სუბიექტური მხარეების განხილვა, ე. ი., როგორც სოციალური ფენომენის ამ მახასიათებლების ორერთიანობა და ურთიერთდამატებულობა წარმოადგენს, სოციალური ფენომენისა, რომელიც სუბიექტის და სისტემის მაკონცეპტუალიზებელ „დუალურ“ ცნებათა შემოტანაზეა დაფუძნებული.

სტრუქტურაციის თეორიის ძირითად ცნებას, რომელიც მოქმედებას განსაზღვრავს, სუბიექტის – სოციალური აგენტის ცნება წარმოადგენს. იგი სოციალური ცხოვრების რაღაც „ატომი“, განუყოფელი ელემენტი კი არ არის, პირიქით, აგენტის კონცეფცია რთულია და მოწოდებულია, შემდგომი თეორიული კონსტრუქციების წყაროდ და საფუძვლად იქცეს. მოქმედების აგენტის სირთულე იმდენად დიდია, რომ, გიდენსის აზრით, იგი შეიძლება აღწერილ იქნეს, როგორც სტრატიფიკაციული მოდელი. ეს მოდელი თავის თავში სამ სტრატიფიკაციულ დონეს – მოქმედების მოტივაციას, მოქმედების რაციონალიზაციას და მოქმედების რეფლექსურ მონოტორინგს მოიცავს.

6. ა) მოქმედების მოტივაციის დონე იმ გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ სურვილებს ეხება, რომლებიც აგენტს სამოქმედოდ აღძრავენ, მოქმედებებისაკენ უბიძგებენ. მოტივაცია პირდაპირ არ არის დაკავშირებული მოქმედებასთან ისე, როგორც ამას ორ დანარჩენ სტრატიფიკაციული დონის შემთხვევაში აქვს ადგილი. მოტივები მხოლოდ მაშინ ვლინდება, როდესაც აგენტი მისთვის უჩვეულო, „პრობლემატურ“ სიტუაციას ეჯახება. ამიტომ, ყოველდღიურ „რუტინულ“ მოქმედებათა უმრავლესობა უშუალოდ „პირდაპირ მოტივირებული არ არის. ძირითადად, მოტივაციურ დონეზე მოქმედების „ზოგადი“ პროექტები წარმოიქმნება, რომელთა ჩარჩოებშიც მოქმედების ზოგადი ხაზი (მიმართულება) ყალიბდება.

6. ბ) მოქმედების რაციონალიზაციის ქვეშ ე. გიდენსს არა მდგომარეობა, არამედ პროცესი ესმის, რომელიც აგენტთა შინაგან უნარებს განეკუთვნება: „მოქმედების რაციონალიზაციის ქვეშ მე ვგულისხმობ – წერს იგი – ინდივიდთა უნარს, თავიანთი საქმიანობის საფუძვლების მუდმივი „თეორიული“ გაგება რუტინულად და განსაკუთრებული ამაოების თუ ზრუნვის გარეშე შეინარჩუნონ და დაიცვან. ეს უნარი არც მოქმედების რომელიღაც მომენტებისთვის საზრისის მინიჭების და არც ენობრივი საშუალებებით საკუთარი მოქმედებების მიზეზების აღნიშვნის უნართან უნდა აგვერიოს. მოქმედების რაციონალიზაცია უფრო ურთიერთქმედების მონაწილე აგენტთა შორის შეთანხმებაა ერთმანეთის კომპეტენტურობის თაობაზე: ადამიანებმა იციან, რასაც ისინი აკეთებენ და ჩვეულებრივ ძალუძთ იმის ახსნა, რასაც ისინი საქმიანობენ, რითაც ისინი დაკავშირებულნი არიან.

6. გ) მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი – ეს ინდივიდის მიერ საკუთარი მოქმედებების, სხვა ადამიანების მოქმედებების, აგრეთვე, მოქმედების ფიზიკური და სოციალური პირობების მუდმივი და შეუსვენებელი – უწყვეტი თვალყურის მიდევნებაა. იგი გულისხმობს, რომ აგენტები არა მხოლოდ თვალყურს ადევნებენ საკუთარ მოქმედებებს, არამედ მსგავს თვალყურის დევნებას სხვა აგენტებისაგანაც მოელიან. მოქმედების აგენტის სტრატიფიკაციული მოდელის უმაღლესი დონის სახით მონიტორინგი პირდაპირ რაციონალიზაციაზეა დამოკიდებული.

სტრატიფიკაციული მოდელი ნებისმიერი მოქმედი სუბიექტის აბსტრაქტული აღწერაა; ინდივიდის პიროვნებასთან მიყენებისას სტრატიფიკაციული მოდელი ცნობიერების სხვადასხვა დონეებად იქცევა. მაგალითად, მოტივაციური დონე რეალური პიროვნების დონეზე არაცნობიერ მოტივებად, ინდივიდის შემეცნებით უნარად და მოქმედების სტიმულად გარდაიქმნება; რაციონალიზაციის დონე პრაქტიკული ცნობიერების დონე ხდება, ხოლო მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი კი დისკურსული ცნობიერების დონედ იქცევა. ამგვარად, მოქმედი პირის სტრატიფიკაციული მოდელი სამი სხვადასხვა პროცესის – რეფლექსური მონიტორინგის, რაციონალიზაციის და მოქმედების მოტივაციის მყარი სისტემაა.

სოციალური მოქმედების წარმოდგენილი მოდელი ე. გიდენსს საშუალებას აძლევს, სოციალური მოქმედება ახლებურად გაიაზროს. დროსა და სივრცეში მოწესრიგებული და ორგანიზებული სოციალური პრაქტიკების სოციალური მეცნიერების საგნად ჩათვლისას ე. გიდენსი სოციალურ მოქმედებას კვლავწარმოებად რეალობად განიხილავს. სოციალური საქმიანობის კვლავწარმოება ნიშნავს, რომ იგი სოციალური აგენტების მიერ კი არ იქმნება, არამედ მათ მიერ მუდმივად ხელახლად – კვლავ და კვლავ იწარმოება, თუნდაც ეს კვლავწარმოება იმავე საშუალებებით ხორციელდებოდეს, რომელთა მეშვეობითაც აგენტები რეალიზებას უკეთებენ საკუთარ თავს: „თავიანთ საქმიანობაში და ამ საქმიანობის მეშვეობით აგენტები კვლავაწარმოებენ პირობებს, რომლებიც მას (ე.ი. საქმიანობას) შესაძლებელს ხდიან“. გიდენსისათვის სოციალური მოქმედება და შემეცნება ქცევის მუდმივ ნაკადებს წარმოადგენენ. „ყოველდღიური ცხოვრების მსჯელობა – ეს ინტენციონალურ მოქმედებათა ნაკადია, მაგრამ ამ მოქმედებებს განუზრახველი (გაუთვალისწინებელი) შედეგები აქვს, და... ეს გაუთვალისწინებელი-გულუზრახი შედეგები უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით შემდგომი მოქმედების გაუცნობიერებელ პირობებთანაა დაკავშირებული“.

7. სტრუქტურა, სისტემა და სტრუქტურაცია

აგენტისა და სოციალური მოქმედების ცნებების განხილვას სტრუქტურაციის თეორიის სამი ცენტრალური კონსტრუქციის – სტრუქტურის, სისტემის და თავად სტრუქტურაციის ანალიზთან მივყავართ. გიდენსი თვლის, რომ სტრუქტურის ცნება დღემდე დამაკმაყოფილებელი სახით განსაზღვრული არ იყო ან ფარულად სტრუქტურისა და სისტემის

ცნებების აღრევისაგან ამოდიოდა, ეს მაშინ, როცა სტრუქტურალიზმს სტრუქტურის ცნება მოქმედების სუბიექტის ჩარჩოებიდან გაჰყავს და მას დიაქრონიულ განზომილებას არ ანიჭებს. სტრუქტურის ადეკვატური კონცეპტუალიზაცია, გიდენსის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სტრუქტურას, როგორც დუალობას, და არა დუალიზმს, აღვიქვამთ. სტრუქტურა მისი, აზრით, ესაა იმ წესთა კრებული, რომელიც პრაქტიკის ტრანსფორმაციას ეხება. ეს წესები ყველაზე საუკეთესოდ შეიძლება ფორმულების სახით, ე. ი. სოციალურ სისტემათა თვისებების სახით ორგანიზებული დამოკიდებულება-მიმართებების კრებულის ფორმით იქნეს წარმოდგენილი. სტრუქტურის დუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს წესები ერთდროულად ინდივიდთა მოქმედების როგორც რეზულტატი, ისე პირობაცაა. მოქმედების სუბიექტი ერთდროულად ქმნის წესებსაც და კვლავაწარმოებს წესებს, რომლებიც ამავე დროს მათი კვლავწარმოების პირობებიცაა. სტრუქტურა არა მხოლოდ გვაიძულებს, არამედ ამავე დროს გვიქმნის შესაძლებლობებსაც, შესაძლებლობებს გვაძლევს. იგი არა მხოლოდ სუბიექტის გარეთაა, არამედ, როგორც მოქმედების რაციონალიზაციის და მონიტორინგის პროცესი, მის შიგნითაც არის.

სოციალური სისტემა. ინდივიდების ან ჯგუფების მოქმედებათა მყარი ერთობლიობები, წარმოდგენილი, როგორც სოციალური პრაქტიკები, სისტემის ცნების შინაარსს შეადგენენ. სოციალური ინსტიტუტები ასეთ ვითარებაში სისტემის მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენენ, ისინი დროსა და სივრცეში განფენილი პრაქტიკებია. თუ სტრუქტურა მოქმედებათა შედარებით სტაბილურ ერთობლიობებს წარმოადგენს, მაშინ სტრუქტურაცია იმ პირობებს ეხება, რომლებიც სტრუქტურათა და, მაშასადამე, სოციალურ სისტემათა თანმიმდევრობას და ცვალებადობას განსაზღვრავენ.

ამგვარად, სტრუქტურის, სისტემისა და სტრუქტურაციის ცნებები სოციალური სინამდვილის სამ ასპექტს გამოხატავენ:

1. სტრუქტურები მოქმედების სუბიექტთა მიერ წარმოებულ და კვლავწარმოებულ დამოკიდებულება-მიმართებათა რეგულარულ (განმეორებად) ნაერთს – ერთობლიობას წარმოადგენენ.

2. სისტემები სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდებსა და კოლექტივებს შორის დამოკიდებულებები – მიმართებები, რომლებიც, როგორც სოციალური პრაქტიკები, რეგულარულად კვლავიწარმოებიან. ხოლო

3. სტრუქტურაციის ცნება იმ პირობებს ეხება, რომლებიც სტრუქტურათა უწყვეტობას (მემკვიდრეობითობას) და გარდაქმნას წარმართავენ.

თუ პირველი ორი ცნების აბსტრაქციის რაღაც დონეზე გააზრება ჯერ კიდევ შეიძლება, მაშინ უკანასკნელი განხილვას მხოლოდ ემპირიული განზოგადებების, ემპირიული განხილვის დონეზე ეხება.

სუბიექტისა და სისტემის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება უკუმიზეზობრივ კავშირთა, ანუ „მიზეზობრივ კავშირთა“ ტერმინებით იქნას ახსნილი. ამ დროს ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი სუბიექტის ინტენციონალური მოქმედებებისა და მოქმედების გაუთვალისწინებელ – გულუზრახ შედეგთა ურთიერთდამოკიდებულების სახით განიხილება. ინტენციონალური მოქმედების სუბიექტები განზრახულად მოქმედებისას იწვევენ (აწარმოებენ) შედეგებს, რეზულტატებს, რომელთა გათვალისწინება მათ არ ძალუძთ და არც უნდა გაითვალისწინონ. ეს გაუთვალისწინებელი შედეგები უკუკავშირის მეშვეობით ინდივიდის შემდგომი მოქმედების პირობებად იქცევიან, რომლებიც ახალ მორიგ გაუთვალისწინებელ შედეგებს იწვევენ. აქედან გამომდინარე კი, სისტემის ავტონომია თუ ჰომეოსტატიკური სისტემური კვლავწარმოება, რომელსაც ხაზს უსვამს ფუნქციონალიზმი, „შეიძლება განხილულ იქნას მიზეზობრივ კავშირთა საფუძველზე, რომლებშიც მოქმე-

დების გაუთვალისწინებელი შედეგები უკუკავშირის მექანიზმის მეოხებით პირველად პირობებს გარდაქმნიან“.

სტრუქტურაციის თეორია, რომელიც სოციალურ თეორეტიზებაში არსებულ დუალიზმთა გადალახვაზეა მიმართული, სოციალური სუბიექტის (აგენტის) პერსპექტივიდან ამოდის. მოქმედების სუბიექტის რთული, მაგრამ კარგად დამუშავებული კონცეპტუალური სქემა, სოციალურ მოქმედებასთან მიმართებაში, მიზეზის, მიზნების, მოტივის, განზრახვის, წესების ცნებათა გაშუქებას მკაცრ და მწყობრ თეორიულ საქმიანობად აქცევს. მაგრამ სუბიექტის მხრიდან დაწყებული მოძრაობა სოციალური სინთეზის მიმართულებით უკუშესაძლებლობასაც – ობიექტის მხრიდან მოძრაობას – გულისხმობს. ამ ტენდენციის რეალიზაციის მაგალითად ნ. ლუმანის სოციალური სისტემის არანაკლებ რთული და მკაცრად დამუშავებული კონცეფცია გვევლინება.

მოქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ნათელი მცდელობა ენტონი გიდენსის სტრუქტურაციული თეორიაა. გიდენსი ამტკიცებს, რომ „სოციალური მეცნიერებებისა და ისტორიის სფეროში ნებისმიერი მეცნიერული გამოკვლევა მოქმედებისა (მოქმედების სინონიმად ხშირად მოღვაწეობის/საქმიანობის ტერმინს იყენებენ) და სტრუქტურის გაერთიანებას ცდილობს. . . არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ სტრუქტურა „განსაზღვრავს“ მოქმედებას ან პირიქით“ (Giddens, 1984,პ.219).

მიუხედავად იმისა, შენიშნავს ჯ. რიტცერი, რომ გიდენსი არ არის მარქსისტი, მის შემოქმედებაზე გავლენა აქვს მარქსისტულ თეორიას, ხოლო თავის „საზოგადოების წყობას-/აგებულებას“ მარქსის ერთ-ერთი, არსებითად ინტეგრაციული ხასიათის დებულების გაშლად თავად თვლის. „ადამიანები თავად ქმნიან ისტორიას, მაგრამ ამას აკეთებენ არა ისე, როგორც მოეპრიანებათ; ისინი ქმნიან მას ვითარებაში, რომელიც თავად არ შეურჩევიათ, არამედ, რომელშიც უშუალოდ მოხვდნენ, რომელიც მიეცათ მათ წარსულიდან, მემკვიდრეობით (მე თანახმა ვარ, რომ მარქსს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტრუქტურაციულ თეორიაში, ვიდრე, უფრო ზოგადად, თეორიებში, სადაც მოქმედებასა და სტრუქტურას აერთიანებენ. ჩემს მეტათეორიულ ნაშრომებში მე ვაკეთებ დასკვნას, წერს ჯ. რიტცერი, რომლის თანახმად, მარქსის შემოქმედება „ინტეგრირებული სოციოლოგიური თეორიის“ საუკეთესო მაგალითია) (ჯ. რიტცერი, 2002, გვ.447).

მარქსის თეორია სტრუქტურაციული თეორიის მრავალ წყაროთაგან ერთ-ერთია. ასეა თუ ისე, გიდენსმა უამრავი მნიშვნელოვანი თეორიული მიდგომა გადაამუშავა, კრიტიკულად განიხილა და რიგი მნიშვნელოვანი იდეები აიღო. სტრუქტურაციის თეორია უჩვეულოდ ეკლექტიკურია; ფაქტობრივად, კრაიბი (Craib, 1992,p.20-31) გიდენსის კონცეფციის 9 ძირითად წყაროს გამოყოფს.

გიდენსი შეისწავლის მრავალ თეორიას, რომელთა ამოსავალი ინდივიდი-აგენტი (მაგალითად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი) ან საზოგადოება-სტრუქტურებია (მაგალითად, სტრუქტურული ფუნქციონალიზმი) და ურთიერთდაპირისპირებული ალტერნატივებიდან ორივეს გამორიცხავს. ის ამტკიცებს, რომ ჩვენ ვალდებული ვართ, „განმეორებადი სოციალური პრაქტიკიდან ამოვიდეთ“ (Giddens, 1989,p.252); შემდეგ აგრძელებს: „სტრუქტურაციის თეორიის თანახმად, სოციალური მეცნიერებების კვლევის ძირითადი სფერო არა აქტორის ინდივიდუალური გამოცდილება და სოციალური მთლიანობის რაიმე ფორმით არსებობა, არამედ დროსა და სივრცეში მოწესრიგებული სოციალური პრაქტიკაა“ (Giddens 1984,p.2).

სტრუქტურაციული თეორია და გიდენსი მისი ინტერესით სოციალური პრაქტიკისადმი, არსებითად მოქმედებასა და სტრუქტურას შორის კავშირის შესახებ თეორიას წარმო-

ადგენს. ბერნშტაინის თანახმად, „სტრუქტურაციის თეორიის სული და გული მოქმედებისა და სტრუქტურის დუალობისა და დიალექტიკური ურთიერთქმედებისთვის ნათელის მოფენის სურვილში მდგომარეობს“ (ციტირებულია: ჯ. რიტცერი, 2002, გვ.448). ამგვარად, სტრუქტურისა და მოქმედების ცალ-ცალკე გაგება შეუძლებელია; ეს ერთი მედლის ორი მხარეა. გიდენსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი დუალობას წარმოადგენენ (შემდეგ განყოფილებაში ჯ. რიტცერი ამ მიდგომის მ. არჩერისეულ კრიტიკას განიხილავს). ნებისმიერი სოციალური მოქმედება თავის თავში – სტრუქტურას, ხოლო ყოველი სტრუქტურა სოციალურ მოქმედებას გულისხმობს. მოქმედება და სტრუქტურა ადამიანის მიმდინარე მოქმედებასა თუ პრაქტიკაში გადახლართულია.

როგორც უკვე აღინიშნა, გიდენსისათვის ანალიტიკური ათვლის წერტილი ადამიანის პრაქტიკები გახდა, მაგრამ თავად მოითხოვს, რომ ისინი რეკურსიულად იქნეს გაგებული. სხვა სიტყვებით, მოქმედებას „სოციალური აქტორები კი არ ქმნიან, არამედ მათ მიერ მუდამ კვლავ იწარმოება იმ საშუალებების დახმარებით, რომლებიც თავად მათ აქტორებად ქცევაში ეხმარებიან. ამ მოქმედებებში და მათი დახმარებით აგენტები ქმნიან პირობებს, რომლებიც ამ მოქმედებებს შესაძლებელს ხდიან და აქცევენ“ (Giddens, 1984,p.2). ამრიგად, მოქმედებას ცნობიერება, რეალობის სოციალური კონსტრუირება არ ქმნის, ისინი არც სოციალური სტრუქტურით იქმნებიან. სინამდვილეში, ადამიანები, აქტორობის გამოვლენისას, მონაწილეობენ პრაქტიკაში და სწორედ პრაქტიკით იქმნება ცნობიერება და სტრუქტურა. როდესაც ჰელდი და ტომსონი აანალიზებდნენ სტრუქტურის რეკურსიულ ბუნებას, ამტკიცებდნენ, რომ „სტრუქტურა მის მიერ ორგანიზებული და მასთან მიმბული თანმიმდევრული პრაქტიკული სიტუაციების საშუალებებით და ამ პროცესში კვლავიწარმოება“ (იქვე, გვ.448). იგივე შეიძლება ითქვას ცნობიერებაზეც. გიდენსს ცნობიერების ანუ რეფლექსურობის საკითხი აინტერესებს. მაგრამ მიაჩნია, რომ, თუ ინდივიდუალური აქტორი რეფლექსურია, მაშინ ის არა მხოლოდ აცნობიერებს თავის თავს, არამედ ქმედებისა და სტრუქტურული პირობების უწყვეტი ნაკადის დაკვირვებაში მონაწილეობს კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება რეფლექსურად და რეკურსიულად სოციალურ სტრუქტურაში თავადაა ჩართული. უფრო ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გიდენსი განიხილავს დიალექტიკურ პროცესს, რომლის მსვლელობაში პრაქტიკა, სტრუქტურა და ცნობიერება იქმნება. ამგვარად, გიდენსი ქმედებისა და სტრუქტურის საკითხის კვლევაში ისტორიულ, პროცესუალურ და დინამიკურ მიდგომას იყენებს. რეფლექსური არა მხოლოდ სოციალური აქტორი, არამედ მისი შემსწავლელი სოციალური მკვლევარიცაა. ამ იდეას გიდენსი მის ცნობილ „ორმაგი ჰერმენევტიკის“ შესახებ მსჯელობამდე მიჰყავს. სოციალური აქტორებიც და სოციოლოგებიც იყენებენ ენას. აქტორები ენას – საკუთარი ქმედების ასახსნელად, სოციოლოგები კი, თავის მხრივ, ენას სოციალური აქტორების მოქმედებების ინტერპრეტირებისათვის იყენებენ. ამგვარად, აუცილებელია, ყოველდღიურ და მეცნიერულ ენებს შორის ურთიერთკავშირს ყურადღება მიექცეს. განსაკუთრებით საჭიროა იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ სოციალური მეცნიერებების მიერ სოციალური სამყაროს შესწავლამ შეიძლება მათ მიერ შესასწავლ აქტორებზე გავლენა იქონიოს. ამ გზით სოციალურ მკვლევრებს ძალუძთ, სამყარო, რომელსაც იკვლევენ და სწავლობენ, შეცვალონ და შედეგად კი დამახინჯებულ შედეგებამდე და დასკვნებამდე მივიდნენ.

მოდით, გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტი განვიხილოთ, დაწყებული მისი განაზრებებით აგენტების შესახებ, რომლებიც, როგორც ვნახეთ, საკუთარ აზრებსა და ქმედებებს, ასევე, მათ ფიზიკურ და სოციალურ კონტექსტებს უწყვეტად აკვირდებიან. უსაფრთხოების შეგრძნებისაკენ სწრაფვაში აქტორები საკუთარი სამყაროს რაციონალიზაციას ახდენენ. რაციონალიზაციის ქვეშ გიდენსს

რუტინული (ერთფეროვანი) პრაქტიკის განვითარება ესმის, რომელიც აქტორს უსაფრთხოების შეგრძნებას ანიჭებს და ასევე სოციალურ ცხოვრებაში ეფექტურად მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. ამას გარდა, აქტორებს მოქმედების მოტივაცია აქვთ და ეს მოტივაცია მოთხოვნილებებსა და სურვილებს გულისხმობს, რაც მათ მოქმედებისაკენ უბიძგებს. ამგვარად, როდესაც რაციონალიზაცია და რეფლექსურობა მუდმივად მოქმედებაშია, უფრო სწორი იქნება, თუ მოტივაციას მოქმედების შესაძლებლობად ჩავთვლით. მოტივაცია მოქმედების ზოგად გეგმას უზრუნველყოფს, თუმცა ჩვენი მოქმედებების დიდ ნაწილს, გიდენსის აზრით, უშუალო მოტივაცია არ გააჩნია. თუმცა ასეთი მოქმედებები არაა მოტივირებული და ჩვენი მოტივაცია, ჩვეულებრივ, ქვეცნობიერია, მიუხედავად ამისა, მოტივაციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ქმედებებში.

ცნობიერების სფეროში გიდენსი ასევე დისკურსიულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის განსხვავებას (არცთუ მკაცრად) ატარებს. დისკურსიული ცნობიერება ჩვენი ქმედებების სიტყვებით აღწერის უნარს ნიშნავს. პრაქტიკული ცნობიერება გულისხმობს ქმედებას, რომელსაც აქტორები აღიქვამენ, როგორც რაღაც თავისთავად ნაგულისხმევს, რომელსაც სიტყვებით ვერ გამოთქვამენ. სწორედ ცნობიერების ამ სახეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სტრუქტურაციის თეორიისათვის, რომელშიც ჩანს, რომ ძირითადი ინტერესი მიმართულია იმისაკენ, თუ რა კეთდება და არა იმისაკენ, თუ რას ლაპარაკობენ.

თუ მივიღებთ მხედველობაში პრაქტიკულ ცნობიერებაზე გაკეთებულ აქცენტს, აგენტიდან გადავერთოთ ქმედებაზე – იმაზე, რასაც აგენტი ფაქტობრივად აკეთებს. „ქმედება ეხება მოვლენებს, რომლებთან მიმართებაში ინდივიდი გამოდის, როგორც დამანგრეველი... ის, რაც მოხდა, არ მოხდებოდა, ეს ინდივიდი რომ არ ჩართულიყო“ (Giddens, 1984, p.9). ამგვარად, გიდენსი მეტ ყურადღებას (კრიტიკოსები ამბობენ, რომ მეტისმეტად დიდს) მოქმედების როლს უთმობს. ის ცდილობს, გამოაცალკევოს ქმედება განზრახვისაგან, რამდენადაც უნდა აჩვენოს, რომ ქმედება, საბოლოო ჯამში, არცთუ იშვიათად, აღმოჩნდება განსხვავებული თავდაპირველი განზრახვისაგან; სხვა სიტყვებით: წინასწარგანზრახულ ქმედებებს ხშირად წინასწარგანუსაზღვრელ შედეგებამდე მივყავართ. წინასწარგანუსაზღვრელი შედეგების ცნება დიდ როლს ასრულებს გიდენსის თეორიაში და მას ქმედების ანალიზიდან სოციალური სისტემის დონის განხილვაზე გადასვლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თავისი მიდგომით, როდესაც გიდენსი აქცენტს ქმედებაზე აკეთებს, ის აგენტს დიდ შესაძლებლობებს ანიჭებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, გიდენსთან აგენტს შეუძლია სოციალური სამყაროს შეცვლა. მეტიც, აგენტის ცნება უაზრობაა ამ ძალაუფლების გარეშე: თუ აქტორი კარგავს სოციალური გარემოს შეცვლის უნარს, ის აღარ არის აგენტი. გიდენსი, რა თქმა უნდა, აღიარებს, რომ აქტორებს გარკვეულწილად ზღუდავენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აქტორებს არა აქვთ არჩევანი და რომ მათ არ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა. გიდენსის აზრით, ეს უნარი ლოგიკურად უსწრებს წინ პიროვნებას, რამდენადაც მოქმედება ვარაუდობს ძალაუფლებას ან სიტუაციის შეცვლის უნარს. ამრიგად, გიდენსის სტრუქტურაციის თეორია აქტორსა და მოქმედებას გარკვეულ ძალაუფლებას მიაწერს და უპირისპირდება თეორიებს, რომლებიც ამ მიდგომას უკუაგდებენ და ნაცვლად ამისა, დიდ მნიშვნელობას აქტორის მიზნებს (ფენომენოლოგია) ან გარე სტრუქტურას (სტრუქტურული ფუნქციონალიზმი) ანიჭებენ.

სტრუქტურაციის თეორიის კონცეპტუალური არსი სტრუქტურის, სისტემისა და სტრუქტურის დუალობების ცნებებშია მოქცეული. სტრუქტურა განისაზღვრება, როგორც მასტრუქტურირებელი თვისება (წესები და შესაძლებლობები) „...თვისება, რომლის წყალობით შესამჩნევად მსგავსი სოციალური პრაქტიკა(ები) შეძლებენ დროისა და სივრცის განსხვავებულ მონაკვეთებში იარსებონ და რომლებიც მათ სისტემურ სახეს ანიჭე-

ბენ“ (Giddens, 1984,p.17). სტრუქტურა შესაძლებელია წესებისა და შესაძლებლობების არსებობის წყალობით. თვით სტრუქტურები არ არსებობენ დროსა და სივრცეში, მაგრამ სოციალურ მოვლენებს სტრუქტურირების უნარი გააჩნიათ. გიდენსი ამტკიცებს, რომ სტრუქტურა, მხოლოდ სოციალური აგენტებისა და მათი ქმედებების სახით არსებობს. ამგვარად, გიდენსი გვთავაზობს სტრუქტურის ძალზე უჩვეულო განსაზღვრებას, რომელშიც დურკემისეულ მოდელს არ ემხრობა. ამ უკანასკნელის თანახმად, აქტორებთან მიმართებაში სტრუქტურები გარეგანი და იძულებითი ხასიათისანი არიან. გიდენსი კი ცდილობს, სტრუქტურების ადამიანის ქმედებებისათვის „გარეშე“ ან „გარე“ მიმართებებით გამოსახვას თავი აარიდოს. მისი აზრით, სტრუქტურა არის ის, რაც სოციალურ ცხოვრებას ანიჭებს ფორმას და არა თვით ეს ფორმა. სტრუქტურა გიდენსის მიხედვით შენობის ძელების ან სხეულის ჩონჩხის მსგავსი კარკასი არაა.

გიდენსი არ უარყოფს სტრუქტურის ქმედების შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგრამ მიაჩნია, რომ სოციოლოგია ამ შეზღუდვის მნიშვნელობას აზვიადებს. მეტიც, ისინი არ ითვალისწინებენ, რომ სტრუქტურა „ყოველთვის კიდეც ზღუდავს და კიდეც აძლევს უფლებას/შესაძლებლობას“ (Giddens, 1984, p. 163). სტრუქტურები ხშირად აძლევენ აგენტებს იმის საშუალებას, აკეთონ ის, რასაც სხვაგვარად ვერ გააკეთებდნენ. გიდენსი უარყოფს სტრუქტურული შეზღუდვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ აქტორები ველარ შეძლებენ გააკონტროლონ „სოციალური სისტემის სტრუქტურული თვისებები“, თუ ისინი დროსა და სივრცეში გაიწელებიან. მაგრამ ის ვებერისეულ რკინის გალიას ოსტატურად არიდებს თავს და აღნიშნავს, რომ კონტროლის ასეთი დაკარგვა აუცილებელი არ აღმოჩნდება.

სოციოლოგიაში მიღებული სტრუქტურის ზოგადი გაგება ახლოსაა სოციალური სისტემის გიდენსისეულ კონცეფციასთან. გიდენსი სოციალურ სისტემას, „აქტორებსა და კოლექტიურ წარმონაქმნებს შორის წარმოებულ სოციალურ პრაქტიკად ან სოციალურ პრაქტიკად ორგანიზებულ რეგულარულ ურთიერთობებად“ (1984,პ.25) განსაზღვრავს. ამგვარად, სოციალური სისტემის ცნების საფუძველი ის დიდი ყურადღებაა, რომელსაც გიდენსი პრაქტიკას უთმობს. სოციალურ სისტემებს არ გააჩნიათ სტრუქტურა, მაგრამ სტრუქტურის თვისებებს ავლენენ. თვით სტრუქტურები დროსა და სივრცეში არ არსებობენ, მაგრამ ისინი სოციალურ სისტემებში წარმოებული პრაქტიკების სახით ვლინდებიან. თუმცა ზოგიერთი სოციალური სისტემა შეიძლება მიზანმიმართული ქმედების პროდუქტი იყოს, ძირითად აქცენტს გიდენსი აკეთებს იმაზე, რომ ასეთი სისტემები ხშირად ადამიანის ქმედების წინასწარგანუსაზღვრელი შედეგებით გვიბრუნდება. ეს წინასწარგანუზრახველი შედეგები შეიძლება მოქმედების გაუცნობიერებელ ვითარებად იქცნენ და მასზე, უკუკავშირის მექანიზმის ქმედების მსგავსად, გავლენა იქონიოს. თავის მხრივ, ვითარებებმა შეიძლება მათი დაქვემდებარების მცდელობებს თავი აარიდონ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქტორები, ამ ვითარებებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, თავიანთ ძალისხმევას არ შეწყვეტენ. ამგვარად, სტრუქტურა სოციალურ სისტემებში „ილუსტრირდება“. ამას გარდა, ისინი თვალნათლივ ვლინდებიან „გახსენებების კვალში“, რომლებიც ცნობიერი სოციალური აგენტების ქცევებს აწესრიგებენ“ (Giddens, 1984,p.17). შედეგად, წესები და შესაძლებლობები როგორც სოციალური სისტემების მაკროდონეზე, ისე ადამიანური ცნობიერების მიკროდონეზეც ვლინდებიან.

ახლა შეიძლება განვიხილოთ სტრუქტურაციის იმ იდეაზე დაფუძნებული ცნება, რომ „აგენტებისა და სტრუქტურების წარმოქმნა – ეს მოვლენათა ორი დამოუკიდებელი ჯამი, დუალიზმი არაა. ხოლო დუალურობა. . . სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებები ერთდროულად არიან პრაქტიკის საშუალებაც და შედეგებიც, რომლებიც რეკურსიუ-

ლად აწესრიგებენ ერთმანეთს“ ან „მოქმედების მომენტი ყოველდღიურობაში განხორციელებული სოციალური ცხოვრების მომენტია” (Giddens, 1984,p.25-26), ცხადია, რომ სტრუქტურაცია სტრუქტურასა და მოქმედებას შორის დიალექტიკურ კავშირს გულისხმობს. სტრუქტურა და მოქმედება დუალობას წარმოადგენენ: ვერც ერთი ამ ორი ელემენტიდან მეორის გარეშე ვერ იარსებებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დრო და სივრცე გიდენსის თეორიის ძალზე მნიშვნელოვანი ცვლადებია. ისინი სხვა ადამიანების დროულ ან სივრცულ თანაარსებობაზე არიან დამოკიდებული. თავდაპირველი პირობა – პიროვნებათშორისო ურთიერთქმედებაა, რომლის დროსაც სხვები ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას ერთად არიან. მაგრამ, სოციალური სისტემები დროსა და სივრცეში ფართოვდებიან და სხვები შეიძლება აღარ იყვნენ გვერდით. დროსა და სივრცეში ამგვარი დისტანცირება თანამედროვე სამყაროში, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტირების ახალი ფორმების წყალობით, სულ უფრო შესაძლებელი ხდება. ჯ. რიტცერი ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გიდენსი დროს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სივრცეს. თუმცა სივრცის მნიშვნელობის ხაზგასმისას აცხადებს, რომ „ნებისმიერი სოციოლოგიური ანალიზის დროს თუ სად და როგორ ხდება რაიმე, საჭიროა/აუცილებელია გავითვალისწინოთ, სად და როდის ხდება ეს“ (ციტირებულია: ჯ. რიტცერი, 2002, გვ.451). სოციალური წესრიგის შესახებ მნიშვნელოვანი სოციოლოგიური დასკვნა სოციალური სისტემის დროულ და სივრცულ ინტეგრირებაზეა დამოკიდებული. სოციალურ თეორიაში გიდენსის ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული დამსახურება – დროისა და სივრცის საკითხების წინა პლანზე წამოწევის მცდელობაა.

მოცემულ განყოფილებას ჯ. რიტცერი გიდენსის უკიდურესად აბსტრაქტული სტრუქტურაციული თეორიის რეალობასთან მიახლოების მცდელობით ასრულებს. ამას კი იმ საკვლევი პროგრამის განხილვის დახმარებით ცდილობს, რომელიც შეიძლება ამ თეორიიდან იქნეს ამოღებული. ჯერ ერთი, ადამიანთა საზოგადოება რომ არ ეკვლია, სტრუქტურაციული თეორია ყურადღებას „ინსტიტუტების დროსა და სივრცეში მოწესრიგებაზე“ გაამახვილებდა (ინსტიტუტები გიდენსს, როგორც პრაქტიკების ერთობლიობა ესმის და მათ ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფს: სიმბოლური წესრიგი, პოლიტიკური ინსტიტუტი, ეკონომიკური ინსტიტუტი და კანონი). მეორე, ძირითადი ინტერესი მიმართული იქნებოდა ინსტიტუტებში დროსა და სივრცეში მიმდინარე ცვლილებებზე. მესამე, მკვლევრები უნდა ჩასწვდნენ, თუ როგორ და რა სახით ახვევენ თავს და ცვლიან სხვადასხვა ინსტიტუტების ხელმძღვანელები სოციალურ ნიმუშებს. მეოთხე, სტრუქტურაციული თეორიის მიმდევრებმა თვალი უნდა ადევნონ და სოციალურ სამყაროზე თავიანთი დასკვნების გავლენაზე რეაგირება მოახდინონ. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გიდენსი „თანამედროვეობის დამანგრეველ გავლენას – ძალას“, დიდ ყურადღებას აქცევს და სტრუქტურაციის თეორიის მიმდევრებმა ეს მწვავე სოციალური პრობლემა უნდა შეისწავლონ.

სტრუქტურაციის თეორია არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რასაც ამ ლექციაში ვეხებით; გიდენსი დეტალურად განიხილავს თავისი თეორიის ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ელემენტებს, ასევე, მათ სხვა ასპექტებსაც; თან მთელ რიგ თეორიულ განაზრებებს აანალიზებს, აერთიანებს და კრიტიკულად განიხილავს. ბევრი სხვა თეორეტიკოსისაგან განსხვავებით, გიდენსი მოქმედებისა და სტრუქტურის გაცხადებული პროგრამის ჩარჩოებს არღვევს: მან ამ ინტეგრაციის განსხვავებული ელემენტების დაწვრილებითი ანალიზი ჩაატარა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ურთიერთკავშირის ხასიათი განიხილა. გიდენსის მიდგომაში დამაჯერებელია ის, რომ მისი ძირითადი საკითხი – სტრუქტურაცია – არსებითად ინტეგრირებული თვალსაზრისით განიხილება. აგენტისა და სტრუქტურის ფორ-

მირება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ ხდება; სოციალური სისტემის თვისებები ერთდროულად განიხილებიან, როგორც აქტორთა პრაქტიკული საშუალებები/პირობები და შედეგები და ეს სისტემური თვისება აქტორების პრაქტიკას რეკურსიულად აწესრიგებს. ბევრი მკვლევარი თავის გამოკვლევებში გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის ემპირიულ დადასტურებას ეძიებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთლიანობაში მის თეორიულ მიდგომას ემხრობიან, მათი მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ „სტრუქტურა და ქმედება არაა ერთმანეთზე ისე გადაჯაჭვული, როგორც გიდენსი მიიჩნევს: მაშასადამე ჩვენ ვასკვნით, რომ სტრუქტურა და ქმედება ურთიერთდამოკიდებულია (და ამ გზით ღრმად იჭრებიან ერთმანეთში) მაგრამ ნაწილობრივ ავტონომიური და განცალკევებული ფორმებია“(ციტირებულია: ჯ. რიტცერი, 2002, გვ.452).

8. გიდენსი და მისი კრიტიკოსები

გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის შედარებით სრული სისტემატიზებული კრიტიკა კრეიბმა შეიმუშავა: ჯერ ერთი, კრეიბი ამტკიცებს, რომ, რამდენადაც გიდენსი ძირითად ყურადღებას სოციალურ პრაქტიკებს აქცევს, მის თეორიებს „ონტოლოგიური სიღრმე“ აკლია. მხედველობაშია ის, რომ გიდენსი თავის კონცეფციაში სოციალური სამყაროს საფუძველში არსებულ სოციალურ სტრუქტურებს არ განიხილავს. მეორე, მის მიერ ნაცადი თეორიული სინთეზი სოციალური სამყაროს სირთულესთან სუსტადაა დაკავშირებული. სოციალური სამყარო ასევე ძალზე მოუწესრიგებელია, და შეუძლებელია ამ მოუწესრიგებლობის ადეკვატურად გაანალიზება ისეთი ერთადერთი კონცეპტუალურად ზუსტი მიდგომის საშუალებით, როგორიც სტრუქტურაციის თეორიაა. გიდენსისეული მიდგომა უთიერთდასესხებისა და ურთიერთგათვალისწინების შესაძლებლობას ზღუდავს, რასაც სოციოლოგიური თეორიების ფართო დიაპაზონის გამოყენება იძლევა. ისეთი მეტათეორიის უარყოფით, როგორიცაა პოზიტივიზმი და ისეთი თეორიის უარყოფით, როგორიცაა სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, გიდენსმა ამ თეორიების სასარგებლო იდეების გამოყენების შესაძლებლობა დაკარგა. თუ გიდენსი სხვა თეორიების რეალური გამოყენებისას მათ ზოგიერთ ასპექტს იყენებს და, როგორც წესი, მათ მთელ შესაძლებლობებს არ იყენებს. მესამე, გიდენსი თავისი განაზრებების რაიმე საყრდენ თვალსაზრისზე არ მიუთითებს და ამიტომ მას თანამედროვე საზოგადოების კრიტიკული ანალიზისათვის აუცილებელი საფუძველი აკლია. საბოლოოდ, გიდენსისეულ კრიტიკას უფრო სპეციალურ-მიზნობრივი ხასიათი აქვს და სისტემატიზებულ თეორიულ ბირთვს არ ეფუძნება. მეოთხე, გიდენსის თეორიას, საბოლოო ჯამში, მთლიანობა აკლია. თავისი თეორიის ამ ეკლექტურობის გამო, ის განსხვავებულ თეორიულ ელემენტებს იერთებს, რომლებიც, არცთუ აუცილებლად, კარგად ეთანხმებიან ერთმანეთს. ბოლოს, ძნელია, ან სულაც შეუძლებელი, ზუსტად გავიგოთ, რაზე საუბრობს გიდენსი თავის ანალიზში. კრეიბი არაერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ არაა დარწმუნებული და მხოლოდ ვარაუდობს, თუ რა აქვს გიდენსს მხედველობაში (ციტირებულია: ჯ. რიტცერი, 2002, გვ.453).

კრიტიკის მასშტაბებისა და სერიოზულობის გათვალისწინებისას კრეიბი სვამს კითხვას: რა საჭიროა საერთოდ გამოვიყენოთ სტრუქტურაციის თეორია? ის ორ ძირითად მიზეზზე მიუთითებს. ჯერ ერთი, გიდენსის მრავალი იდეა (მაგალითად, სტრუქტურის გაგება, რომელიც ერთდროულად შემზღუდავიცაა და თავისუფლების მიმცემიც) თანამედროვე სოციოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მეორე, ყველას, ვინც დღეს მუშაობს სოციოლოგიაში, გიდენსის მოძღვრების გათვალისწინება და მის მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა მოუწევს. საკუთარ ანალიზს კრეიბი გიდენსის შემოქმედების სუსტი შე-

ქებით ასრულებს: „ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენია სოციალური თეორია, რომელიც ვერ იპოვიდა რაიმე დასაყრდენს მის შემოქმედებაში. დღეისათვის, ყოველ შემთხვევაში, სტრუქტურაციის თეორია თავის ცენტრალურ მდგომარეობას შეინარჩუნებს“ (ციტირებულია: ჯ. რიტცერი, 2002, გვ.453) და ინარჩუნებს კიდეც.

საკითხავი მასალა:

ენტონი გიდენსი – „სტრუქტურაციის ელემენტები“, წიგნიდან „საზოგადოების აგებულება“.

1. სტრუქტურაციის თეორიის ელემენტები

აგენტი, ქმედება

... აქტორები მხოლოდ საკუთარი აქტივობების ნაკადის მუდმივ მონიტორინგს კი არ ახორციელებენ და მოელიან, რომ სხვებიც ასევე მოიქცევიან, არამედ ისინი თავისი მოქმედების კონტექსტის როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური ასპექტების რუტინულ მონიტორინგსაც აწარმოებენ. მოქმედების რაციონალიზაციით იმას ვგულისხმობ, რომ აგენტები, ასევე რუტინულად და, უმეტესწილად, აუღელვებლად, საკუთარი მოქმედებების საფუძვლების უწყვეტ „თეორიულ წვდომას“ ახორციელებენ. როგორც აღვნიშნე, ასეთი წვდომა არც ქცევის კონკრეტული ერთეულების მიზეზების დისკურსიულ ახსნასთან უნდა გავაიგივოთ და არც ასეთი მიზეზების დისკურსიული განმარტების უნართან. თუმცა კომპეტენტური აგენტები სხვებისაგან ამას მოელიან, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული კომპეტენტურობის მთავარი კრიტერიუმი ისაა, რომ აქტორები, ჩვეულებრივ, თუკი ვთხოვთ, თავისი მოქმედებების უდიდესი ნაწილის ახსნას შეძლებენ. ფილოსოფოსების მიერ განზრახვებისა და მიზეზების შესახებ დასმული კითხვები, როგორც წესი, მხოლოდ არაპროფესიონალი აქტორების მიერ დასმული კითხვებია იმ შემთხვევებში, როცა ან ქცევის რაიმე ნაწილი განსაკუთრებით დამაბნეველია, ან როცა არსებობს კომპეტენტურობის რაღაც „გადახრა“, ან წყვეტა, რომელიც, რეალურად, შეიძლება განზრახული იყოს. ამრიგად, როგორც წესი, სხვა პიროვნებას არ ვეკითხებით ხოლმე, თუ რატომაა ის ჩართული რაიმე მოქმედებაში, რომელიც ჩვეულებრივია იმ ჯგუფისა ან კულტურისათვის, რომლის წევრიცაა ეს ინდივიდი. ახსნა-განმარტებას არც იმ შემთხვევაში ვითხოვთ, როცა რაღაც ისეთი გადახრა გვხვდება, რომელზე პასუხისმგებლობასაც აგენტს ნამდვილად ვერ დავაკისრებთ, მაგალითად, ასეთია სხეულის კოორდინაციის დარღვევები ან ენობრივი წამოცდენები. თუ ფროიდი მართალია, მაშინ ასეთ ფენომენებს შეიძლება გონივრული ახსნა მოეძებნოს, თუმცა ამის გაცნობიერება იშვიათად ხდება როგორც ამ ქცევაზე პასუხისმგებლის, ისე ასეთი წამოცდენების მოწმეების მიერ.

მე ერთმანეთისაგან ვასხვავებ მოქმედების რეფლექსურ მონიტორინგსა და რაციონალიზებას და ამ მოქმედების მოტივაციას. თუ მიზეზები მოქმედების საფუძვლებს ეხება, მოტივები იმ სურვილებთანაა დაკავშირებული, რომლებიც მას ბიძგს აძლევენ. თუმცა მოტივაცია არ არის ისე უშუალოდ დაკავშირებული მოქმედების უწყვეტობასთან, როგორც

მისი რეფლექსური მონიტორინგი ან რაციონალიზება. მოტივაცია მოქმედების შესაძლებლობასთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე იმასთან, თუ, ჩვეულებრივ, როგორ ასრულებს მოქმედებას აგენტი. მოტივებს მოქმედებაზე პირდაპირი გავლენის უნარი მხოლოდ შედარებით უჩვეულო ვითარებებსა და სიტუაციებში აქვთ, რომლებიც, რაღაც მიმართებით, რუტინას ამსხვრევენ. მოტივები, ძირითადად, მთლიან გეგმებსა ან პროგრამებს, შუტცის ტერმინოლოგიით, „პროექტებს“ გვაწვდიან, რომელთა ფარგლებშიც ქცევის მთელი ჯაჭვი სრულდება. ყოველდღიური ქცევის უდიდესი ნაწილი უშუალოდ მოტივირებული არ არის.

კომპეტენტურ აქტორებს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის შეუძლიათ დისკურსულად ისაუბრონ ასე და არა სხვაგვარად მოქმედების საკუთარი განზრახვების ან მიზეზების შესახებ, საკუთარი მოტივების მიმართ ამის გაკეთება ყოველთვის არ შეუძლიათ. არაცნობიერი მოტივაცია ადამიანური ქცევის მნიშვნელოვანი ნიშანია. თუმცა შემდგომში, არაცნობიერის ბუნების ფროიდისეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რამდენიმე შენიშვნას ჩამოვაყალიბებ. პრაქტიკული ცნობიერების ცნება სტრუქტურაციის თეორიისათვის ფუნდამენტურია. ეს ადამიანი-აგენტის ან სუბიექტის ის მახასიათებელია, რომლის მიმართ სტრუქტურალიზმმა განსაკუთრებული სიბრმავე გამოიჩინა [3], თუმცა იმავეს გამეორება შეიძლება ობიექტივისტური აზროვნების სხვა ტიპების შესახებაც. სოციოლოგიურ ტრადიციაში მხოლოდ ფენომენოლოგიასა და ეთნომეთოდოლოგიაში მოვიძიებთ პრაქტიკული ცნობიერების დეტალურ და დახვეწილ განხილვას. მართლაც, ამ მიმართებით ორთოდოქსული მეცნიერული სოციოლოგიური თეორიების ნაკლოვანებების ნათელყოფა სწორედ ამ ფილოსოფიური მიმდინარეობების და ენის ტრადიციული ფილოსოფიის დამსახურებაა. მიმაჩნია, რომ დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის ხისტი და გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს. პირიქით, აგენტის სოციალიზაციისა და გამოცდილების შეძენის მრავალმა ასპექტმა შეიძლება შეცვალოს ამ ორს შორის არსებული განსხვავება. დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის ბარიერი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ განსხვავება იმასა და იმას შორის, თუ რა შეიძლება ითქვას და, უბრალოდ, რა მოქმედება სრულდება. თუმცა დისკურსულ ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის არსებობს ბარიერები, რომლებიც ძირითადად განდევნის გარშემოა კონცენტრირებული.



..... ამ ცნებებს ეგოს, სუპერეგოს და იდის ტრადიციული ფსიქოანალიტიკური ტრიადის ნაცვლად გთავაზობთ. ეგოსა და იდის ფსიქოანალიტიკური გამიჯვნა გაჭირვებით ართმევს თავს პრაქტიკული ცნობიერების ანალიზს, რომელსაც არც ფსიქოანალიტიკურ თეორიაში და არც ზემოდასახელებული სოციალური აზროვნების სხვა სახეებში საკმარისი თეორიული ადგილი არ ეთმობა. ცნება „წინაცნობიერი“, ალბათ, ფსიქოანალიტიკურ კონცეპტუალურ რეპერტუარში, პრაქტიკულ ცნობიერებასთან ყველაზე ახლოს მყოფი ცნებაა, მაგრამ ისე, როგორც ის ჩვეულებრივ გამოიყენება, აშკარაა, რომ მასში რაღაც განსხვავებული იგულისხმება. „ეგოს“ ნაცვლად უმჯობესია ვისაუბროთ „მე-სუბიექტის“ შესახებ (როგორც ამას, რა თქმა უნდა, აკეთებდა ფროიდი გერმანულ ორიგინალში). ასეთი გამოყენება ვერ აგვაცილებს თავიდან ანთროპომორფიზმს, რომელიც ეგოს რაღაც სახის მინიაგენტად წარმოგვიდგენს, მაგრამ ის, ყოველ შემთხვევაში, ამ ვითარების გამოსწორებაში შეგვიწყობს ხელს. „მე-სუბიექტის“ ასეთ გამოყენებას განაპირობებს სოციალურ შეხვედრებში აგენტის პოზიცირება და, შესაბამისად, ამ პოზიცირებასთანაა დაკავ-

შირებული. როგორც პრედიკატული ხასიათის ტერმინი, ის შინაარსობრივად „ცარიელია“, თუ მას შევადარებთ აქტორის თვითაღწერების სიმდიდრეს, რომელიც „მე-ობიექტთანაა“ დაკავშირებული. „მე-სუბიეტი“, „მე-ობიექტი“, „თქვენ“ მიმართებების დაუფლება, როგორც ეს რეფლექსურადაა მოცემული დისკურსში, აგენტების მიერ ენის შესწავლის უნარის წარმოშობისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა. რამდენადაც ტერმინ „ეგოს“ არ ვიყენებ, ცხადია, უმჯობესია, უარი ვთქვა „სუპერეგოზეც“, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, მოუქნელი ტერმინია. მას შესანიშნავად ჩაენაცვლება ტერმინი „მორალური ცნობიერება“.

ყველა ეს ცნება აგენტს უკავშირდება. რა შეიძლება ითქვას ქცევის ბუნების შესახებ? ეს საკითხი შეიძლება შემდეგ საკითხთან დავაკავშიროთ. ყოველდღიური ცხოვრების durée ხორციელდება, როგორც განზრახული მოქმედებების ნაკადი. თუმცა მოქმედებებს განუზრახველი შედეგები აქვთ და, როგორც 1 სქემაზეა წარმოდგენილი, განუზრახველი შედეგები შეიძლება სისტემატურად უბრუნდებოდეს შემდგომი აქტების აუღიარებელ პირობებს. მაგალითად, ჩემ მიერ ინგლისურად სწორად საუბრის ან წერის ერთ-ერთი რეგულარული შედეგი ინგლისური ენის, როგორც მთელის, კვლავ შექმნისათვის ხელშეწყობაა. ჩემ მიერ ინგლისურად სწორად საუბარი განზრახულია; წვლილი, რომელიც ენის კვლავ შექმნაში შემაქვს, ასეთი არ არის. მაგრამ როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ, თუ რა არის განუზრახველი შედეგები?

ხშირად უშვებენ, რომ ადამიანის ქცევის განმარტება მხოლოდ განზრახვის ტერმინებითაა შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმისათვის, რათა ქცევის ერთეული მოქმედებად ჩაითვალოს, ამ ქცევაზე პასუხისმგებელს სწორედ ასეთნაირად მოქცევის განზრახვა უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კონკრეტული ქცევა მხოლოდ საპასუხო რეაქცია იქნება. ამ თვალსაზრისს, ალბათ, მეტ დამაჯერებლობას ის ფაქტი შესძენს, რომ არსებობს ისეთი აქტები, რომლებიც აგენტის განზრახვის გარეშე ვერ განხორციელდება. ამის მაგალითია თვითმკვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ დიურკემის კონცეპტუალური ძალისხმევა საპირისპიროს დამტკიცებაზეა მიმართული, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ადგილი აქვს „თვითმკვლელობას“, თუკი თვითგანადგურების დაჩქარების რაიმე სახის განზრახვა არ არსებობს. პიროვნებას, რომელსაც ქუჩის გადაკვეთისას მანქანა დაეჯახება, „თვითმკვლელს“ ვერ ვუწოდებთ, თუ ეს მოვლენა შემთხვევითია: ეს არის ის, რაც ინდივიდს ემართება და არა ის, რასაც ინდივიდი აკეთებს. თუმცა, განზრახვის თვალსაზრისით, თვითმკვლელობა ადამიანური აქტების უმრავლესობის ტიპური მაგალითი არ არის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია იმის თქმა, რომ ის ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მასზე პასუხისმგებელს მისი ჩადენის განზრახვა აქვს. აქტების უმრავლესობას ასეთი მახასიათებელი არ გააჩნია.

..... ქმედებას მიმართება აქვს არა ადამიანების განზრახვებთან, გააკეთონ რაიმე, არამედ, პირველ რიგში, მათ უნართან, გააკეთონ ეს (ამიტომაა, რომ ქმედება ძალაუფლებას გულისხმობს. .....აგენტი არის „ის, ვინც იყენებს ძალაუფლებას ან იწვევს შედეგებს“. ქმედებას მიმართება აქვს მოვლენებთან, რომლებზეც ინდივიდია პასუხისმგებელი იმ აზრით, რომ ამ ინდივიდს, ქცევის მოცემული თანამიმდევრობის ნებისმიერ ფაზაში შეეძლო სხვაგვარად მოქცევა. ის, რაც მოხდა, შეიძლება არ მომხდარიყო, თუკი ეს ინდივიდი არ ჩაერეოდა. მოქმედება უწყვეტი პროცესია, ნაკადია, რომელშიც ინდივიდის მიერ შენარჩუნებული რეფლექსური მონიტორინგი ფუნდამენტურია სხეულის კონტროლისათვის, რაც, როგორც წესი, აქტორების მიერ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდმივად ხორციელდება. მე მრავალი ისეთი რამის ავტორი ვარ, რისი გაკეთების განზრახვა არ მაქვს და შეიძლება არც მინდა მათი გაკეთება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვაკეთებ. და პირი-

ქით, შესაძლებელია არსებობდა პირობები, რომლებშიც რაღაცის მიღწევის განზრახვა მაქვს და კიდევაც ვაღწევ ამას, თუმცა არა უშუალოდ ჩემი ქმედებით. ავიღოთ დაღვრილი ყავის მაგალითი. დავუშვათ, ინდივიდი A ბოროტი სულია და უხეში ხუმრობა განიზრახა, როცა ფინჯანი ისეთი კუთხით დადგა ლამბაქზე, რომ აღებისას ყავა აუცილებლად დაიღვრებოდა. ინდივიდი B იღებს ყავას და, როგორც მოსალოდნელი იყო, ღვრის მას. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ინციდენტი A-მ გამოიწვია ან, ყოველ შემთხვევაში, ხელი შეუწყო მას. მაგრამ ყავა A-ს არ დაუღვრია, ეს B-მ გააკეთა. ინდივიდმა B-მ, რომელსაც ყავის დაღვრა არ ჰქონდა განზრახული, დაღვარა ყავა; ინდივიდ A-ს, რომელსაც მართლაც ჰქონდა ყავის დაღვრის განზრახვა, ის არ დაუღვრია.

მაგრამ რას ნიშნავს რაიმეს განზრახ გაკეთება? განსხვავდება თუ არა ის შედეგების განუზრახველად გამოწვევისაგან? განვიხილოთ მოქმედების ე.წ. „აკორდეონის ეფექტი“ ანუ „თანხვედრის ეფექტი“ [6]. ინდივიდი ოთახის გასანათებლად ჩამრთველს ატრიალებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახულია, ის ფაქტი, რომ შუქის ანთებამ მძარცველი შეაშინა, არ არის განზრახული. დავუშვათ, მძარცველი გარბის, მას იჭერს პოლიციელი და სასამართლო პროცესის შედეგად ის ერთ წელს ციხეში ატარებს ძარცვის ბრალდებით. ნუთუ ეს ყველაფერი შუქის ანთების განუზრახველი შედეგებია? ... „კომპოზიციური ეფექტი“ დაფაზე მონეტების გადაადგილების ან უძრავი ქონების ბაზარზე აგენტების აქტების ერთობლიობის შედეგია, რომელთაგან თითოეული განზრახულად არის განხორციელებული. თუმცა საბოლოო შედეგი არც განზრახული იყო და არც სასურველი ვინმეს მიერ. ის არის, ასე ვთქვათ, თითოეულის და, ამავე დროს, არც ერთის შედეგი.

იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს რაიმეს გაკეთება განუზრახველად, პირველ ყოვლისა, საჭიროა ნათელვყოთ, თუ რას ნიშნავს „განზრახული“. ამ ცნებას განვსაზღვრავ, როგორც იმ აქტის მახასიათებელს, რომელსაც, როგორც მისმა განმახორციელებელმა იცის ან სჯერა, ექნება განსაკუთრებული თვისება ან შედეგი და რომელშიც ამ აქტის ავტორის მიერ ეს ცოდნა გამოიყენება ამ თვისების ან შედეგის მისაღწევად [8]. თუ ქმედების ზემომოყვანილი დახასიათება სწორია, მაშინ საკითხი იმის შესახებ, თუ რას „აკეთებს“ აგენტი, უნდა გავმიჯნოთ საკითხისაგან იმის თაობაზე, თუ რა არის „განზრახული“ ან იმისი განზრახვითი ასპექტებისაგან, რაც გაკეთდა. ქმედებას მიმართება გაკეთებასთან, შესრულებასთან აქვს. სინათლის ანთება იყო ის, რაც აგენტმა გააკეთა, ისევე, როგორც მძარცველის დაფრთხობა. ეს უკანასკნელი განუზრახველი იყო, თუ აგენტმა მძარცველის იქ ყოფნის შესახებ არ იცოდა ან თუ, მიუხედავად იმისა, რომ მძარცველის იქ ყოფნის შესახებ იცოდა, რაღაც მოსაზრების გამო, არ შეეცადა, ეს ცოდნა მძარცველის დასაფრთხობად გამოეყენებინა. კონცეპტუალურად, განუზრახველი მოქმედება შეიძლება გავმიჯნოთ მოქმედებების განუზრახველი შედეგებისაგან, თუმცა ეს განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი, როცა ინტერესის ცენტრში განზრახულისა და განუზრახველის მიმართება ექცევა. აქტორების ქმედებების, სულ ერთია, განზრახულია ისინი თუ განუზრახველი, შედეგები მოვლენებია, რომლებიც შეიძლება არ მომხდარიყო, თუკი ეს აქტორი სხვაგვარად მოიქცეოდა, მაგრამ რომელთა განხორციელება აგენტის ძალებს აღემატება (მიუხედავად იმისა, თუ რა განზრახვები ჰქონდა ამ აგენტს).

ვფიქრობ, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ყველაფერი, რაც მძარცველს თავს დაატყდა სინათლის ანთების შემდეგ, ამ აქტის განუზრახველი შედეგები იყო, იმ პირობით, რომ ამ ინდივიდმა მძარცველის იქ ყოფნის შესახებ არ იცოდა და, მაშასადამე, მოვლენათა თანამიმდევრობას განუზრახველად მისცა დასაბამი. თუ ამაში რაიმე სირთულეებია, ისინი იმასთანაა დაკავშირებული, თუ როგორ ხდება, რომ ერთი შეხედვით ტრივიალურ აქტს შეუძლია მისგან დროსა და სივრცეში საკმაოდ დაშორებული მოვლენებისათვის ბიძგის მი-

ცემა და არა ის, იყო თუ არა ეს შედეგები განზრახული საწყისი აქტის განმახორციელებლის მიერ. ზოგადად, სწორია, რომ რაც უფრო დაშორებულია დროსა და სივრცეში აქტის შედეგები ამ აქტის საწყის კონტექსტს, მით ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს შედეგები განზრახული იყო, მაგრამ ამაზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს როგორც აქტორების შემეცნებითუნარიანობის საზღვრები (იხილეთ გვ. 90-2), ასევე ის ძალაუფლება, რომლის გამოყენებაც მათ შეუძლიათ. ჩვეულებრივ, ის, რასაც აგენტი „აკეთებს“, ამ მოქმედების შესრულებიდან გამომდინარე შედეგებისგან განსხვავებით, განიხილება იმ ფენომენების ფარგლებში, რომლებსაც აგენტი მეტ-ნაკლებად აკონტროლებს. ცხოვრების სფეროების და აქტივობის ფორმების უმრავლესობაში კონტროლის სფერო მოქმედების ან ურთიერთქმედების უშუალო კონტექსტითაა შემოფარგლული. ამრიგად, შეგვეძლო გვეთქვა, რომ სინათლის ანთება, ისევე როგორც, იქნებ, მძარცველის დაფრთხობაც, იყო ის, რაც აგენტმა გააკეთა, მაგრამ ის არ ყოფილა პოლიციელის მიერ მძარცველის დაჭერის ან მისი ერთი წლით ციხეში გამომწყვდევის მიზეზი. თუმცა, შესაძლოა, რომ შუქის ანთების აქტის გარეშე ეს მოვლენები არ მომხდარიყო იმ დროს და იმ ადგილას, სადაც ისინი მოხდა, მათი არსებობა ძალიან ბევრ გაუთვალისწინებელ შედეგზე იყო დამოკიდებული იმისათვის, რათა ისინი მივიჩნიოთ იმად, რაც ამ აქტორმა „გააკეთა“.

განზრახული მოქმედების ბუნების ანალიზის მცდელობისას ფილოსოფოსებმა უამრავი მელანი დახარჯეს, თუმცა, სოციალური მეცნიერებების თვალსაზრისით, განზრახული ქცევის განუზრახველი შედეგების მნიშვნელობის გაზვიადება ძალიან ძნელია. ამ საკითხის კლასიკურ განხილვას, ალბათ, მერტონი გვთავაზობს [9]. ის, მთლიანობაში, სწორად მიუთითებს, რომ განუზრახველი შედეგების კვლევა ფუნდამენტურია სოციოლოგიური საქმიანობისთვის. ქცევის მოცემულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს (ა) უმნიშვნელო შედეგები, (ბ) მნიშვნელოვანი შედეგები, (ც) ერთჯერადად მნიშვნელოვანი შედეგები ან (დ) მრავალჯერადად მნიშვნელოვანი შედეგები. ის, თუ რა შეფასდება, როგორც „მნიშვნელოვანი“, დამოკიდებული იქნება ჩატარებული კვლევის ბუნებაზე ან იმ თეორიაზე, რომლის ჩამოყალიბებაც მოხდება [10]. თუმცა შემდგომ მერტონი განუზრახველ შედეგებს ფუნქციონალურ ანალიზთან აკავშირებს, ანუ დგამს სოციოლოგიურ ლიტერატურაში ტრადიციულ კონცეპტუალურ ნაბიჯს, რომლის უკუგდებაც მსურს. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ განუზრახველი შედეგების ანალიზი სოციალური ქცევის აშკარად ირაციონალური ფორმების ან მოდელების გაგებას არ გვთავაზობს (თუმცა, მერტონის მტკიცებით, ეს ასეა). მერტონი ერთმანეთს უპირისპირებს განზრახულ აქტივობას (აშკარა ფუნქციები) და მის განუზრახველ შედეგებს (ლატენტური ფუნქციები). ლატენტური ფუნქციების იდენტიფიცირების ერთ-ერთი მიზანი იმის ჩვენებაა, რომ გარეგნულად ირაციონალური სოციალური აქტივობები, მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება სულაც არ იყოს მთლიანად ირაციონალური. ასეთი ვითარება, მერტონის თანახმად, განსაკუთრებით, მიმდინარე აქტივობების ან პრაქტიკების შემთხვევაში გვხვდება. მათ, ხშირად, თავიდან იშორებენ, როგორც „ცრურწმენებს“, „ირაციონალობებს“, „ტრადიციის უბრალო ინერციას“ და სხვ. თუმცა, მერტონის აზრით, თუკი აღმოვაჩენთ, რომ მათ აქვთ ლატენტური ფუნქცია-განუზრახველი შედეგი ან განუზრახველი შედეგების სიმრავლე, რომელიც ამ პრაქტიკის უწყვეტ კვლავ შექმნას უზრუნველყოფს, მაშინ ჩვენ იმის დემონსტრირებას მოვახდენთ, რომ ისინი სულაც არ არიან მთლიანად ირაციონალური.

მაგალითად, რაიმე ცერემონიამ „ჯგუფური იდენტობის გაძლიერების ლატენტური ფუნქცია იმის წყალობით შეიძლება შეასრულოს, რომ პერიოდულად უზრუნველყოფს საშუალებებს, როცა ჯგუფის გაფანტული წევრები იკრიბებიან საერთო აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად“ [11]. მაგრამ დაშვება, რომ ფუნქციონალური ურთიერთობის ასეთი

დემონსტრირება პრაქტიკის არსებობის საფუძველს ქმნის, მცდარია. ის, რაც აქ, შეთხზული სოციალური საჭიროებების საფუძველზე, მეტ-ნაკლებად ფარულადაა შემოპარებული, „სოციალური მოტივების“ თეორიაა. ასე რომ, თუკი გავიგებთ, რომ ჯგუფს „სჭირდება“ ცერემონია, რათა გადარჩენა შეძლოს, მაშინ მივხვდებით, რომ მისი გამეორება ირაციონალური არ არის. მაგრამ იმის თქმა, რომ რაიმე სოციალურ მდგომარეობა A-ს სჭირდება სოციალური პრაქტიკა B, რომელიც დაეხმარება მას ამავე ცნობადი ფორმით არსებობის გაგრძელებაში, მაშინ ეს იმ კითხვის დასმას გულისხმობს, რომელიც მოითხოვს პასუხის გაცემას; თვითონ ის ამ კითხვას არ პასუხობს. მიმართება A-სა და B-ს შორის არ არის ანალოგიური იმ მიმართებისა, რომელიც ინდივიდუალური აქტორის სურვილებსა თუ საჭიროებებს და განზრახვებს შორის არსებობს. საჭიროებები, რომლებიც აქტორის მოტივაციურ იმპულსებს ქმნის, ინდივიდში მოტივაციასა და განზრახვას შორის დინამიკურ მიმართებას წარმოშობს. სოციალური სისტემების მიმართ ეს ასე არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტორები ქცევისას აცნობიერებენ იმას, რაც მათ სოციალურ საჭიროებებად მიაჩნიათ [12].

ამ საკითხის განმარტების შემდეგ, მოქმედების განუზრახველი შედეგების და დროსა და სივრცეში ღრმად ფესვგადგმული ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკების კავშირის მნიშვნელობის აქცენტირება მერტონის მიერ, შეიძლება, სადავო აღარ იყოს. ეს იმ სამ, ყველაზე მნიშვნელოვან კვლევით კონტექსტს წარმოგვიდგენს, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ანალიტიკურად შეიძლება გავმიჯნოთ და რომლებშიც განუზრახველი შედეგების გავლენის განხილვაა შესაძლებელი. ერთია სინათლის ანთება/მძარცველის შეშინება/მძარცველის გაქცევა/ და ა.შ. ტიპის მაგალითი. აქ მკვლევარი იმ მოვლენების ერთობლიობით არის დაინტერესებული, რომლებიც გამომდინარეობს საწყისი ვითარებიდან, რომლის გარეშეც ამ ერთობლიობას ვერ აღმოვაჩენდით. ბერძნული კულტურის შემდგომ განვითარებაზე და ამით კი, საზოგადოდ, ევროპული კულტურის ფორმირებაზე მარათონის ბრძოლის შედეგების ანალიზი მაქს ვებერის მიერ, ისევე როგორც მის მიერვე იმ ტყვიის გასროლის შედეგების განხილვა, რომელმაც ერცჰერცოგი ფერდინანდი იმსხვერპლა სარაევოში, ასევე, ამ პირველი კონტექსტის შესაფერისი მაგალითია [13]. ინტერესის ცენტრში ერთეულ მოვლენათა სიმრავლეა, რომელსაც ბოლომდე მიადევნებენ თვალს და კონტრ-ფაქტუალურად აანალიზებენ. მკვლევარი ასეთ კითხვას სვამს: „რა დაემართებოდა B, C, D, E ? მოვლენებს, A რომ არ მომხდარიყო?“, რითაც ამ ჯაჭვში თუ თანამიმდევრობაში A-ს როლის დადგენას ცდილობს.

მეორე ტიპის ვითარებაში, რომელზე ფოკუსირებაც სოციალურმა ანალიტიკოსმა შეიძლება მოახდინოს, ცალკეული მოვლენის მიერ ინიცირებული განუზრახველი შედეგების ნიმუშების ნაცვლად, ინდივიდუალური აქტივობების კომპლექსით გამოწვეული ნიმუში გვაქვს. ამის მაგალითი ეთნიკური სეგრეგაციის ზემომოყვანილი ანალიზია. ამ შემთხვევაში განსაზღვრული „საბოლოო შედეგი“ ის ფენომენია, რომელიც უნდა აიხსნას და ეს საბოლოო შედეგი წარმოდგენილია, როგორც განზრახული ქმედებების მიმართულებების ერთობლიობიდან გამომდინარე განუზრახველი შედეგი. აქ კვლავ ჩნდება რაციონალობის თემა, თუმცა ამჯერად მის მიმართ ლოგიკური შეპასუხება არ გვაქვს. როგორც თამაშის თეორეტიკოსებმა დამაჯერებლად უჩვენეს, ინდივიდუალური აქტორების მიერ ცალ-ცალკე შესრულებული მოქმედებების სერიის შედეგი ყველა მათგანისათვის ირაციონალური შეიძლება აღმოჩნდეს [14]. „უკუშედეგები“ განუზრახველი შედეგების მხოლოდ ერთი ტიპია, თუმცა უეჭველად სწორია, რომ ის სიტუაციები, რომლებშიც ისინი გვხვდება, განსაკუთრებით საინტერესოა [15].

კონტექსტის მესამე ტიპი, რომელშიც განუზრახველი შედეგების კვალის აღმოჩენაა შესაძლებელი, მერტონის მიერაა მითითებული: აქ ანალიტიკოსი ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკების კვლავ შექმნის მექანიზმებითაა დაინტერესებული. ამ კონტექსტში არარეფლექსური უკუკავშირის ციკლში (კაუზალური მარყუჟები) მოქმედების განუზრახველი შედეგები შემდგომი მოქმედების აღიარებულ პირობებს ქმნის. მე მივუთითე, რომ ასეთი უკუკავშირის წარმოშობის ახსნისათვის ფუნქციონალური მიმართებების იზოლირება საკმარისი არ არის. მაშინ როგორ ხდება, რომ განუზრახველი შედეგების ციკლები ამყარებენ უკუკავშირს, რათა, ხანგრძლივი დროის შემდეგ, სოციალურ კვლავ შექმნას შეუწყონ ხელი? ამის გაანალიზება, ზოგადად, ძნელი არ არის. დროისა და სივრცის ერთ კონტექსტში განთავსებულ განმეორებად აქტივობებს რეგულირებული შედეგები აქვთ, რომლებიც განუზრახველია მათ მიერ, ვინც ამ აქტივობებშია ჩართული დრო-სივრცის მეტ-ნაკლებად „დაშორებულ“ კონტექსტებში. ის, რაც კონტექსტების ამ მეორე წყებაში ხდება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გავლენას ახდენს მოქმედების შემდგომ პირობებზე პირველად კონტექსტში. იმის გასაგებად, თუ რა ხდება, არ არის საჭირო რაიმე სხვა ამხსნელი ცვლადები, იმათ გარდა, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ არიან ინდივიდები მოტივირებული, მონაწილეობა მიიღონ დროსა და სივრცეში მოწესრიგებულ სოციალურ პრაქტიკებში და რა შედეგები გამომდინარეობს აქედან. განუზრახველი შედეგები რეგულარულად „ნაწილდება“, როგორც მოწესრიგებული ქცევის თანმხლები პროდუქტი, რომელიც, როგორც ასეთი, რეფლექსურადაა შენარჩუნებული მისი მონაწილეების მიერ.

ქმედება და ძალაუფლება

როგორია მოქმედებისა და ძალაუფლების ლოგიკური კავშირის ბუნება? მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს რთული განშტოებები აქვს, მასში ნაგულისხმევი ძირითადი მიმართების ჩვენება ადვილია. „სხვაგვარად მოქმედების“ უნარის ქონაში სამყაროში ჩარევის შესაძლებლობა ან ასეთი ჩარევისაგან თავის შეკავება იგულისხმება, რასაც შედეგად სპეციფიკურ პროცესზე, ან ვითარებაზე ზემოქმედება მოჰყვება. ეს ნიშნავს, რომ აგენტად ყოფნა გულისხმობს კაუზალური ძალაუფლების მთელი სპექტრის გამოყენებას (მუდმივად, ყოველდღიური ცხოვრების ნაკადში) სხვების მიერ გამოყენებულ ძალაუფლებაზე კაუზალური გავლენის ჩათვლით. მოქმედება დამოკიდებულია ინდივიდის უნარზე, „ცვლილება შეიტანოს“ უკვე არსებულ ვითარებაში ან მოვლენათა მიმდინარეობაში. აგენტი ასეთად აღარ ჩაითვლება, თუ ის „ცვლილების შეტანის“, ანუ რაღაც სახის ძალაუფლების გამოყენების უნარს კარგავს. სოციალური ანალიზისათვის საინტერესო მრავალი შემთხვევა თავმოყრილია იმის ზღვარზე, რაც შეიძლება მოქმედებად ჩაითვალოს – იქ, სადაც ინდივიდის ძალაუფლება შეზღუდულია მთელი რიგი კონკრეტული გარემოებებით [16]. მაგრამ უმთავრესი იმის გაცნობიერებაა, რომ სოციალური იძულების გარემოებები, რომლებშიც ინდივიდებს „არჩევანი არ აქვთ“, არ უნდა გავუტოლოთ მოქმედების, როგორც ასეთის, არარსებობას. „არჩევანის არქონა“ არ ნიშნავს, რომ მოქმედება შეიცვალა რეაქციით (როგორც ეს ხდება, როცა თვალწინ რაიმე სწრაფი მოძრაობისას ადამიანი თვალებს ახამხამებს). ეს შეიძლება იმდენად ცხადი მოგვეჩვენოს, რომ აღნიშვნის ღირსადაც კი არ მივიჩნიოთ. მაგრამ ზოგიერთი, საკმაოდ ცნობილი, მიმდინარეობა სოციალურ თეორიაში, რომელიც ძირითადად ობიექტივიზმსა და „სტრუქტურულ სოციოლოგიასთან“ არის დაკავშირებული, ამ განსხვავებას არ აღიარებს. ისინი მიიჩნევენ, რომ იძულებები ბუნების ძალების მსგავსად მოქმედებენ, თითქოს „არჩევანის არქონა“ იგივეა, რაც მოძრაობა მექანიკური ზემოქმედებით, რომელსაც ვერც წინააღმდეგობას ვუწევთ და არც ვიცით, თუ რა არის ის (იხილეთ, გვ. 211-13).

ამ დაკვირვებებს თუ სხვაგვარად გამოვხატავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქმედება ლოგიკურად მოიცავს ძალაუფლებას, როგორც ტრანსფორმაციულ უნარს. „ძალაუფლების“ მაქსიმალურად ყოვლისმომცველი მნიშვნელობით, ძალაუფლება ლოგიკურად წინ უსწრებს სუბიექტურობას, ქცევის რეფლექსური მონიტორინგის აგებას. ამის აქცენტირება საჭიროა, რადგან სოციალურ მეცნიერებებში ძალაუფლების კონცეფციები სუბიექტისა და ობიექტის ზემონახსენებ დუალიზმს ზუსტად ასახვენ. ასეთნაირად, განზრახვასა ან ნებასთან მიმართებაში ძალაუფლებას, ძალიან ხშირად, სასურველი და განზრახული შედეგების მიღწევის უნარად აღწერენ. ამის საპირისპიროდ, სხვა ავტორები პარსონსისა და ფუკოს ჩათვლით, ძალაუფლებას, პირველ ყოვლისა, საზოგადოების ან საზოგადოებრივი გაერთიანების თვისებად განიხილავენ.

საქმე კონცეფციების ამ ტიპებიდან ერთის ხარჯზე მეორის გამორიცხვა კი არა, არამედ მათი მიმართების, როგორც სტრუქტურის დუალობის თვისების, გამოხატვაა. ჩემი აზრით, ბახრახ და ბარატცი მართლები არიან, როცა ამ საკითხის თაობაზე მათ შორის გამართულ საკმაოდ ცნობილ დისკუსიაში აღნიშნავენ, რომ ძალაუფლებას ორი „სახე“ აქვს (და არა სამი, როგორც ამას ლუკესი აცხადებს) [17]. ამ სახეებს ისინი წარმოგვიდგენენ, ერთი მხრივ, როგორც აქტორების უნარს, გაატარონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებები და, მეორე მხრივ, როგორც ინსტიტუტებისთვის დამახასიათებელ „მიკერძოების მობილიზაციას“. ეს სავსებით დამაკმაყოფილებელი არ არის, რადგან შენარჩუნებულია ძალაუფლების ნულოვანი კონცეფცია. მათი ტერმინოლოგიის გამოყენების ნაცვლად, შესაძლებელია, ძალაუფლებასთან მიმართებაში სტრუქტურის დუალობა შემდეგნარად გამოვხატოთ. რესურსები (რომლებიც სიგნიფიკაციისა და ლეგიტიმაციის მეშვეობითაა ფოკუსირებული) სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებებია, რომელთა შექმნასა და კვლავ შექმნასაც შემეცნებითუნარიანი აგენტები ინტერაქციის პროცესში ახდენენ. ძალაუფლება ჯგუფური ინტერესების განხორციელებასთან შინაგანად დაკავშირებული არ არის. ამ კონცეფციაში ძალაუფლების გამოყენება ქცევის სპეციფიკური ტიპისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ მთელი მოქმედებისათვის, ხოლო თვითონ ძალაუფლება რესურსი არ არის. რესურსები ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ძალაუფლების გამოყენება, როგორც სოციალურ კვლავ შექმნაში ქცევის კონკრეტიზების რუტინული ელემენტისა. სოციალურ ინსტიტუტებში ჩაზრდილი დომინირების სტრუქტურები არ უნდა მივიჩნიოთ რობოტებივით მოქმედი „მორჩილი გვამების“ დათრგუნვის საშუალებებად, როგორც ამას ობიექტივისტური სოციალური მეცნიერება ვარაუდობს. იმ სოციალურ სისტემებში, რომლებიც დროსა და სივრცეში გარკვეული უწყვეტობით ხასიათდებიან, ძალაუფლება სოციალური ინტერაქციის კონტექსტებში აქტორებს ან კოლექტივებს შორის დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების მოწესრიგებულ მიმართებებს გულისხმობს. მაგრამ დამოკიდებულების ყველა ფორმა გარკვეულ რესურსებსაც გვთავაზობს, რომელთა დახმარებითაც დაქვემდებარებულებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ თავიანთ ზემდგომთა აქტივობებზე. სწორედ ამას ვუწოდებ კონტროლის დიალექტიკას სოციალურ სისტემებში.

სტრუქტურა, სტრუქტურაცია

ახლა, ნება მიბოძეთ, სტრუქტურაციის თეორიის არსზე გადავიდე, რომელსაც ცნებები „სტრუქტურა, „სისტემა“ და „სტრუქტურის დუალობა“ შეადგენენ. სტრუქტურის (ან „სოციალური სტრუქტურის“) ცნება, რა თქმა უნდა, ფუნქციონალისტი ავტორების დიდი ნაწილის ნაშრომებში სავსებით განსაკუთრებული ცნებაა და მან საკუთარი სახელიც მისცა „სტრუქტურალისტურ“ ტრადიციას. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ის არ არის ისეთნა-

ირად ჩამოყალიბებული, რომ საუკეთესოდ პასუხობდეს სოციალური თეორიის მოთხოვნებს. ფუნქციონალისტმა ავტორებმა და მათმა კრიტიკოსებმა „სტრუქტურის“ იდეასთან შედარებით გაცილებით მეტი ყურადღება „ფუნქციის“ იდეას დაუთმეს. შესაბამისად, „სტრუქტურა“ გამოიყენებოდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ცნება, მაგრამ ფუნქციონალისტების და, რეალურად, სოციალური ანალიტიკოსების უდიდესი უმრავლესობის მიერ „სტრუქტურა“, ჩვეულებრივ, საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად იხმარება – ეს არის სოციალური ურთიერთობების ან სოციალური ფენომენების რაღაცნაირი „მოდელირება“. ეს, ხშირად, გულუბრყვილოდ, ვიზუალური სახეობრიობის მსგავსად, გაგებულია, როგორც ჩონჩხი, ან, ორგანიზმის მორფოლოგია, ან როგორც შენობის კოჭები. ასეთი გაგებები მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტისა და სოციალური ობიექტის დუალიზმთან: აქ „სტრუქტურა“ ადამიანის მოქმედებებისათვის გარეგანად და დამოუკიდებლად აგებული სუბიექტის თავისუფალი ინიციატივის შეზღუდვის წყაროდ წარმოგვიდგება. მეორე მხრივ, სტრუქტურის ცნება უფრო საინტერესოდ სტრუქტურალისტურ და პოსტსტრუქტურალისტურ აზროვნებაშია კონცეპტუალიზებული. აქ ის სპეციფიკურად გააზრებულია არა, როგორც არსებულების მოდელირება, არამედ, როგორც ყოფნისა და არყოფნის ურთიერთგადაკვეთა; სიღრმისეული კოდები გარეგნული გამოვლინებებიდან უნდა გამოვიყვანოთ.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სტრუქტურის ამ ორ გაგებას ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ, რეალურად, თითოეული მათგანი დაკავშირებულია სოციალური ურთიერთობის სტრუქტურირების მნიშვნელოვან ასპექტებთან, რომლებსაც სტრუქტურაციის თეორიაში „სტრუქტურისა“ და „სისტემის“ ცნებებს შორის განსხვავების დადგენით ვწვდებით. სოციალური ურთიერთობების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც სინტაგმატური განზომილება, სოციალური ურთიერთობების მოდელირება დრო-სივრცეში მოცემული პრაქტიკების კვლავ შექმნის ჩათვლით, ასევე, პარადიგმატური განზომილება, რომელიც მოიცავს ასეთ კვლავ შექმნაში რეკურსულად ჩართული „სტრუქტურირების ფორმების“ ვირტუალურ წესრიგს. ის, თუ რასთანაა დაკავშირებული სტრუქტურები – სიმრავლის შიგნით დასაშვები ტრანსფორმაციების მატრიცასთან თუ მატრიცის მმართველი ტრანსფორმაციის წესებთან, სტრუქტურალისტურ ტრადიციაში ცალსახად დადგენილი არ არის. მე სტრუქტურას, ყოველ შემთხვევაში, მისი ელემენტარული მნიშვნელობით, ასეთ წესებთან (და რესურსებთან) დაკავშირებულად განვიხილავ. თუმცა საუბარი „ტრანსფორმაციის წესების“ შესახებ არ არის სწორი, რადგან ყველა წესი, თავისი არსით, ტრანსფორმაციულია. ამრიგად, სოციალურ ანალიზში სტრუქტურა დაკავშირებულია მასტრუქტურირებელ თვისებებთან, რომლებიც სოციალურ სისტემებში დრო-სივრცის „შეკვრას“ ხდიან შესაძლებელს თვისებებთან, რომლებიც გარეგნულად მსგავს სოციალურ პრაქტიკებს დროისა და სივრცის განსხვავებულ მონაკვეთებში არსებობის შესაძლებლობას აძლევენ და რომლებიც მათ „სისტემურ“ ფორმას ანიჭებენ. იმის თქმა, რომ სტრუქტურა ტრანსფორმაციული ურთიერთობების „ვირტუალური წესრიგია“, ნიშნავს, რომ სოციალურ სისტემებს, როგორც კვლავ შექმნილ სოციალურ პრაქტიკებს, „სტრუქტურები“ კი არ აქვთ, არამედ „სტრუქტურულ თვისებებს“ ავლენენ და რომ სტრუქტურა, როგორც დრო-სივრცითი არსებობა, ასეთ პრაქტიკებში მხოლოდ თავისი კონკრეტული შემთხვევების სახით არსებობს და რომ ის, როგორც მეხსიერების ნაკვალევი, შემეცნებითუნარიანი აგენტების ორიენტირებას ახდენს. ეს არ გვიშლის ხელს, რომ სტრუქტურული თვისებები წარმოვიდგინოთ, როგორც რეკურსულად ორგანიზებული და დრო--სივრცეში განვრცობილი პრაქტიკების მიმართ იერარქიულად ორგანიზებულები. ყველაზე უფრო მყარად დაფუძნებულ სტრუქტურულ თვისებებს, რომლებიც სოციეტალური ტოტალობების კვლავ შექმნაშია ჩართული, სტრუქტურულ პრინციპებს ვუწოდებ. ის პრაქტიკები,

რომლებიც ასეთი ტოტალობების შიგნით ყველაზე მნიშვნელოვანი დრო-სივრცითი ექსტენსიურობით ხასიათდება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტიტუტები.

სტრუქტურის, როგორც „წესებისა“ და რესურსების, და სტრუქტურების, როგორც წესებისა და რესურსების იზოლირებული სიმრავლის, შესახებ საუბრისას არასწორი გაგების რეალური რისკის წინაშე აღმოვჩნდებით, რასაც ფილოსოფიურ ლიტერატურაში „წესების“ გარკვეული დამკვიდრებული მნიშვნელობით გამოყენება განაპირობებს.

(1) წესებს, როგორც ფორმალიზებულ ინსტრუქციებს, ხშირად უკავშირებენ თამაშებს. სოციალური სისტემების რეპროდუცირებაში ჩართული წესები, ჩვეულებრივ, ასეთები არ არის. ის წესებიც კი, რომლებიც ჩამოყალიბებულია, როგორც კანონები, გაცილებით უფრო მრავალმხრივ შედავებას იწვევს, ვიდრე თამაშების წესები. მიუხედავად იმისა, რომ ჭადრაკის და სხვა თამაშების წესების, როგორც სოციალური სისტემების წესებით რეგულირებადი თვისებების პროტოტიპების, გამოყენება ხშირად ვიტგენშტაინის სახელთან ასოცირდება, ვიტგენშტაინის მოსაზრებები ბავშვების თამაშის, როგორც სოციალური ცხოვრების რუტინების ამხსნელი მაგალითის, შესახებ გაცილებით უფრო რელევანტურია.

(2) წესებს ხშირად სინგულარულად განიხილავენ, თითქოს ისინი ქცევის სპეციფიკურ შემთხვევებს ან ნაწილებს შეიძლება დაუკავშირდეს. მაგრამ ეს სერიოზული შეცდომაა, თუ მათ სოციალური ცხოვრების ოპერირების ანალოგიურად განვიხილავთ, სადაც პრაქტიკების შენარჩუნება მეტ-ნაკლებად თავისუფლად ორგანიზებულ სიმრავლეებთან კავშირის წყალობით ხდება.

(3) წესების კონცეპტუალიზება შეუძლებელია სოციალური პრაქტიკების შექმნასა და კვლავ შექმნაში ტრანსფორმაციული მიმართებების აქტუალური ჩართვის მეთოდებთან დაკავშირებული რესურსებისაგან დამოუკიდებლად. ამდენად, სტრუქტურული თვისებები დომინირებისა და ძალაუფლების ფორმებს გამოხატავს.

(4) წესები გულისხმობს სოციალური ინტერაქციის „მეთოდურ პროცედურებს“, როგორც ეს კონკრეტულად ნათელყო გარფინკელმა. დამახასიათებელია, რომ მოცემული შეხვედრების კონტექსტებში წესები პრაქტიკებთან გადაიკვეთება: მთელი რიგი „ad hoc“ მოსაზრებები, რომლებსაც გარფინკელი ადგენს, მუდმივადაა ჩართული წესების კონკრეტიზებაში და ფუნდამენტურია ამ წესების ფორმისათვის. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თითოეული კომპეტენტური სოციალური აქტორი სოციალური თეორეტიკოსია დისკურსული ცნობიერების დონეზე, ხოლო „მეთოდოლოგიური სპეციალისტია“ დისკურსული და პრაქტიკული ცნობიერების დონეებზე.

(5) წესებს ორი ასპექტი ახასიათებს და მათ კონცეპტუალურ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან არა ერთი ფილოსოფოსი ავტორი ცდილობდა მათ შერწყმას. წესები, ერთი მხრივ, საზრისის აგებასთან და, მეორე მხრივ, სოციალური ქცევის ფორმების სანქცირებასთანაა დაკავშირებული.

„სტრუქტურის“ ზემომოყვანილი მნიშვნელობა იმისათვის შემოვიტანე, რომ დამერღვია ის ფიქსირებული თუ მექანიკური ხასიათი, რომელსაც ეს ტერმინი ორთოდოქსული სოციოლოგიური გამოყენებისას იძენს. სისტემისა და სტრუქტურაციის ცნებები იმ სამუშაოს დიდ ნაწილს ასრულებენ, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, „სტრუქტურას“ იშველიებენ. როდესაც „სტრუქტურის“ ისეთნაირად გამოყენებას გთავაზობთ, რომელიც, ერთი შეხედვით, ამ ტერმინის მიღებულ ინტერპრეტაციებს შორდება, იმას არ ვგულისხმობ, რომ უფრო ფართო ვერსიებზე მთლიანად უარი უნდა ვთქვათ. „საზოგადოებას“, „კულტურას“ და სოციოლოგიური ტერმინოლოგიის მთელ რიგ სხვა ფორმებს ორმაგი გამოყენება შეიძლება ჰქონდეთ, რაც დამაბნეველი მხოლოდ იმ კონტექსტებშია, სადაც იცვლება იმ დებულებების ბუნება, რომლებშიც ეს ტერმინებია გამოყენებული. ასევე, არაფერი მაქვს

„კლასობრივი სტრუქტურის“, „ინდუსტრიალიზებული საზოგადოებების სტრუქტურის“ და ა.შ. საწინააღმდეგო, სადაც ეს ტერმინები, ზოგადად, საზოგადოების ან მთელი რიგი საზოგადოებებისათვის რელევანტურ ინსტიტუციონალურ თვისებებზე მისანიშნებლად გამოიყენება.

სტრუქტურაციის თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური მოქმედების შექმნასა და კვლავ შექმნაში გამოყენებული წესები და რესურსები ერთდროულად სისტემური კვლავ შექმნის(კვლავწარმოების) საშუალებებიცაა (სტრუქტურის დუალობა). მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ასეთი პრეტენზია? რა აზრით შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჩემი ყოველდღიური საქმეების შესრულებისას ჩემი აქტივობები მოიცავს, ვთქვათ, თანამედროვე კაპიტალიზმის მთელ ინსტიტუტებს და მათ კვლავ შექმნას ახდენს? სხვა თუ არაფერი, რა წესები გამოიყენება აქ? განვიხილოთ წესების შემდეგი შესაძლო მაგალითები:

(1) „წესი, რომელიც ჭადრაკში შამათს ადგენს, არის … “;

(2) ფორმულა: ან = ნ2 + ნ – 1;

(3) „როგორც წესი, ყოველ დღე დილის 6 საათზე დგება“;

(4) „წესია, რომ ყველა მუშა სამუშაოზე დილის 8 საათზე უნდა გამოცხადდეს“.

რა თქმა უნდა, მრავალი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ კონტექსტში ესენიც საკმარისია. მე-(3) შემთხვევაში „წესი“ ჩვევის ან რუტინის მეტ-ნაკლებად ეკვივალენტურია. „წესის“ მნიშვნელობა აქ საკმაოდ სუსტია, რადგან ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ იგულისხმება რაიმე სახის დანიშნულება, რომელსაც ინდივიდი ასრულებს; ან რაიმე სანქცია, რომელიც მას ამ დანიშნულების დაცვას ავალებს. ეს, უბრალოდ, არის რაღაც, რასაც პიროვნება, ჩვეულებისამებრ, აკეთებს. ჩვევა რუტინის ნაწილია და მე გავაკეთებ განსაკუთრებულ აქცენტს რუტინის მნიშვნელობაზე სოციალურ ცხოვრებაში. „წესები“, როგორც მე ისინი მესმის, მართლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რუტინული პრაქტიკის მრავალრიცხოვან ასპექტებზე, მაგრამ რუტინული პრაქტიკა, როგორც ასეთი, არ არის წესი.

შემთხვევები (1) და (4), არა ერთი ავტორის აზრით, წესების ორ ტიპს – მაკონსტიტუირებელ და რეგულაციურ წესებს წარმოგვიდგენენ. ჭადრაკში შამათის დამდგენი წესი რომ ავხსნათ, საჭიროა რაღაც იმის შესახებაც ითქვას, თუ რა აქცევს ჭადრაკს თამაშად. წესი, რომ მუშები სამუშაოდ გარკვეულ საათზე უნდა გამოცხადდნენ, მეორე მხრივ, არ განმარტავს იმას, თუ რა არის სამუშაო; ის აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს სამუშაო. სერლის (შეარლე) თანახმად, რეგულაციური წესების პერიფრაზირება ასეთი ფორმით შეიძლება: „გააკეთეთ X“ ან „თუ Y, გააკეთეთ X“. ასეთი ხასიათისაა ზოგიერთი მაკონსტიტუირებელი წესი, თუმცა მათ უმრავლესობას ასეთი ფორმა ექნება: „X ითვლება Y-ად“, ან „X ითვლება Y-ად C-ს კონტექსტში“ [18]. წესების ამ ორ ტიპთან დაკავშირებულ ამ განსხვავებაში რაღაც საეჭვო რომაა, ამაზე ტერმინის „რეგულაციური წესი“ ეტიმოლოგიაც მიგვანიშნებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, სიტყვაში „რეგულაციური“ უკვე იგულისხმება „წესი“: მისი განსაზღვრება ლექსიკონში ასეთია: „კონტროლი წესების დახმარებით“. (1) და (4) მაგალითების თაობაზე ვიტყვი, რომ ისინი წესების ორ ასპექტს გამოხატავენ და არა ორი განსხვავებული ტიპის წესებს. (1) წესი მართლაც არის ჭადრაკის ნაწილი, მაგრამ ჭადრაკის მოთამაშეებისათვის მას მასანქცირებელი ან „მარეგულირებელი“ თვისებები აქვს; ის დაკავშირებულია თამაშის ასპექტებთან, რომელთა დაცვაც აუცილებელია. მაგრამ მე-(4) წესს აქვს მაკონსტიტუირებელი ასპექტებიც. ის შესაძლოა არ შედიოდეს იმის განმარტებაში, თუ რა არის „მუშაობა“, მაგრამ ის შედის „ინდუსტრიული ბიუროკრატიის“ მსგავსი ცნების განმარტებაში. ის, რაზეც (1) და (4) მაგალითები მიმართავენ ჩვენს ყურადღებას,

წესების ორი ასპექტია. ესენია მათი როლი საზრისის აგებაში და მათი მჭიდრო კავშირი სანქციებთან.

წესების გამოყენება მე-(2) შემთხვევაში, როგორც „სტრუქტურასთან“ რაიმე კავშირის მქონე „წესის“ კონცეპტუალიზების გზა, შეიძლება, ყველაზე ნაკლებად პერსპექტიული ჩანდეს. მე, რეალურად, დავასაბუთებ, რომ ეს მათ შორის ყველაზე შესაფერისია. იმას არ ვგულისხმობ, რომ სოციალური ცხოვრება შეიძლება მათემატიკური პრინციპების სიმრავლეზე დავიყვანოთ. ეს არანაირად არ იგულისხმება ჩემს მოსაზრებაში. მე იმას ვგულისხმობ, რომ სწორედ ფორმულის ბუნებაში აღმოვაჩენთ ყველაზე უკეთ იმას, თუ რა არის „წესის“ ანალიტიკურად ყველაზე ეფექტური მნიშვნელობა სოციალურ თეორიაში. ფორმულა $a_n=n^2+n-1$ რიცხვებით თამაშის (number games) მაგალითია, რომელიც ვიტგენშტაინს აქვს მოყვანილი [19]. ერთი პიროვნება იწერს რიცხვების თანამიმდევრობას; მეორე ადგენს მომდევნო რიცხვების გამოსათვლელ ფორმულას. რას წარმოადგენს ამ სახის ფორმულა და რას ნიშნავს მისი გაგება? ფორმულის გაგება მის გამოყენებას არ ნიშნავს. შესაძლოა ვინმემ გამოიყენოს ფორმულა ისე, რომ არ იცოდეს, თუ რა არის მწკრივები; და პირიქით, შესაძლებელია მწკრივების გაგება ისე, რომ ვერ შევძლოთ ფორმულის ვერბალურად გადმოცემა. გაგება არ არის რიცხვების თანამიმდევრობით წარმოდგენილი თავსატეხის ამოხსნის თანმხლები მენტალური პროცესი. ეს არ არის მენტალური პროცესი იმ აზრით, რომელსაც ვგულისხმობთ, როცა გვესმის მელოდია ან წარმოთქმული წინადადება. ეს, უბრალოდ, მოცემული ფორმულის შესაფერის კონტექსტში სათანადოდ გამოყენების უნარია მწკრივის გაგრძელების მიზნით.

ფორმულა გენერალიზებადი პროცედურაა. ის გენერალიზებადია, რადგან არაერთ კონტექსტსა და შემთხვევაში გამოიყენება, ხოლო პროცედურაა, რადგან ის რაიმე დადგენილი თანამიმდევრობის მეთოდურად გაგრძელების შესაძლებლობას გვაძლევს. არის თუ არა ლინგვისტური წესები ამის მსგავსი? მიმაჩნია, რომ არის და გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე წესის ის ტიპები, რომელთა შესახებაც ჩომსკი (Chomsky) საუბრობს. ეს, ასევე, როგორც ჩანს, თავსებადია ვიტგენშტაინის არგუმენტებთან ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მათი ერთ-ერთი შესაძლო ინტერპრეტაცია იყოს. ვიტგენშტაინი შენიშნავს, რომ „ენის გაგება ტექნიკის ფლობას გულისხმობს“ [20]. ეს შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ენის გამოყენება, პირველ ყოვლისა, მეთოდოლოგიურია და რომ ენის წესები მეთოდურად გამოყენებული პროცედურებია, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ აქტივობებშია ჩართული. ენის ეს ასპექტი უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ვიტგენშტაინის მიმდევართა უმრავლესობა ხშირად მას სათანადოდ არ აშუქებს. წესები, რომლებიც „დადგენილია“, როგორც ეს (1) და (4) მაგალითებშია, აქტივობის ინტერპრეტაციებია და აქტივობების სპეციფიკურ სახეებთანაა დაკავშირებული: ყველა კოდიფიცირებული წესი ამ ფორმას იღებს, რადგან ისინი ვერბალურად გამოხატავენ იმას, რაც უნდა შესრულდეს. მაგრამ წესები მოქმედების პროცედურებია, პრაქსისის ასპექტებია. სწორედ ამასთან მიმართებაში წყვეტს ვიტგენშტაინი იმას, რასაც წესებისა და წესების დაცვის „პარადოქსად“ წარმოგვიდგენს. ეს მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების ვერც ერთ მიმდინარეობაზე ვერ ვიტყვით, რომ მას წესი წარმართავს, რადგან მოქმედების ნებისმიერი მიმდინარეობა შეიძლება ამ წესთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. თუმცა, თუ ვითარება ასეთია, მაშინ სწორია ისიც, რომ მოქმედების ნებისმიერი მიმდინარეობა შეიძლება კიდევაც დაუპირისპირდეს ამ წესს. აქ საქმე არასწორ გაგებასთან, წესის ინტერპრეტაციის ან ვერბალური გამოხატვის და წესის დაცვის აღრევასთან გვაქვს [21].

მაშინ, მოდით, სოციალური ცხოვრების წესები განვიხილოთ, როგორც ტექნიკა ან გენერალიზებადი პროცედურები, რომლებიც სოციალური პრაქტიკების განხორციელება/-

კვლავ შექმნაში გამოიყენება. ასეთნაირად, ფორმულირებული წესები, ანუ ისეთი წესები, რომლებიც ვერბალურად გამოხატულია, როგორც იურიდიული კანონები, ბიუროკრატიული წესები, თამაშების წესები და ა.შ., წესების კოდიფიცირებული ინტერპრეტაციები უფრაო, ვიდრე წესები, როგორც ასეთი. ისინი უნდა განვიხილოთ არა, როგორც ზოგადად ამხსნელი წესები, არამედ, როგორც ფორმულირებული წესის სპეციფიკური ტიპები, რომლებიც, თავისი მკაფიო ფორმულირების წყალობით, მრავალგვარ სპეციფიკურ თვისებას იღებენ [22].

ჯერჯერობით ეს მოსაზრებები პრობლემისადმი მხოლოდ წინასწარ მიდგომას წარმოადგენს. რა მიმართება აქვს ფორმულებს იმ პრაქტიკებთან, რომლებშიც ჩართული არიან სოციალური აქტორები და სოციალური ანალიზის ზოგადი მიზნებისათვის რა სახის ფორმულებია ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო? კითხვის პირველ ნაწილს რაც შეეხება, შეიძლება ვთქვათ, რომ სოციალური წესების ცოდნა, რომელიც, პირველ ყოვლისა, პრაქტიკულ ცნობიერებაში გამოიხატება, იმ „შემეცნებითუნარიანობის“ ცენტრია, რომელიც კონკრეტულად აგენტებისათვისაა დამახასიათებელი. როგორც სოციალური აქტორი, ყველა ადამიანი უაღრესად „განსწავლულია“ იმ ცოდნის თვალსაზრისით, რომელსაც ისინი ფლობენ და იყენებენ ყოველდღიური ცხოვრების შეხვედრების შექმნისა და კვლავ შექმნის პროცესში. თავისი ხასიათით, ასეთი ცოდნის უდიდესი ნაწილი პრაქტიკული უფრაო, ვიდრე თეორიული. როგორც შუტცმა და არაერთმა სხვა ავტორმა უჩვენა, აქტორები თავიანთი ყოველდღიური აქტივობების პროცესში სოციალური ცხოვრების სიტუაციების რუტინული რეალიზებისათვის ტიპიზირებულ სქემებს (ფორმულებს) იყენებენ. სოციალური აქტივობის „ქმნის“ პროცედურების ცოდნა ან ტექნიკის ფლობა, განსაზღვრების თანახმად, მეთოდოლოგიურია. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ცოდნა არ აკონკრეტებს ყველა იმ სიტუაციას, რომელშიც აქტორი შეიძლება აღმოჩნდეს და ამის გაკეთება მას არც შეუძლია. ის, ძირითადად, სოციალური გარემოებების განუსაზღვრელ დიაპაზონზე რეაგირებისა და მასზე ზემოქმედების გენერალიზებული უნარის არსებობას უზრუნველყოფს.

მე „სტრუქტურას“, როგორც ზოგად ტერმინს, განვასხვავებ „სტრუქტურებისაგან“ მრავლობით რიცხვში, ხოლო ამ ორივეს კი – „სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებებისაგან“ [26]. „სტრუქტურა“ დაკავშირებულია არა მხოლოდ სოციალური სისტემების შექმნასა და კვლავ შექმნაში ჩართულ წესებთან, არამედ რესურსებთანაც (რომელთა თაობაზეც ჯერჯერობით ბევრი არაფერი მითქვამს, მაგრამ ამას მალევე გავაკეთებ). ტრადიციულად, სოციალურ მეცნიერებებში „სტრუქტურა“ განსახილველი სოციალური სისტემების უფრო მდგრადი ასპექტების მიმართ გამოიყენება და ამ კონოტაციის დაკარგვა არ მინდა. ინსტიტუტებში რეკურსიულად ჩართული წესები და რესურსები სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია. განსაზღვრების თანახმად, ინსტიტუტები სოციალური ცხოვრების უფრო მდგრადი თვისებებია. სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებების შესახებ საუბრისას მხედველობაში მათი „ინსტიტუციონალიზებული“ თვისებები მაქვს, რომლებიც მათ ანიჭებს „სიმყარეს“ დროსა და სივრცეში. ცნებას „სტრუქტურები“ ტრანსფორმაციისა და მედიაციის მიმართებებთან მისაახლოებლად ვიყენებ, რომლებიც სისტემური კვლავ შექმნის დაკვირვებადი პირობების საფუძვლადმდებარე „ქსელური ჩამრთველებია“.

ახლა, ნება მიბოძეთ, დასაწყისში დასმულ შეკითხვას გავცე პასუხი: როგორაა შესაძლებელი იმის თქმა, რომ ინდივიდუალური აქტორების ქცევა კვლავ ქმნის უფრო დიდი ერთობების სტრუქტურულ თვისებებს? ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა უფრო ადვილიცაა და უფრო ძნელიც, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ლოგიკურ დონეზე, პასუხი ამ შეკითხვაზე სხვა არაფერია, თუ არა ტრუიზმი. ეს ნიშნავს, რომ მაშინ, როცა დიდი ერთო-

ბების ან საზოგადოებების არსებობა მართლაც არ არის დამოკიდებული რომელიმე კონ-კრეტული ინდივიდის აქტივობაზე, ასეთი კოლექტივები ან საზოგადოებები ნამდვილად შეწყვეტენ არსებობას, თუ მათში მონაწილე ყველა აგენტი გაქრება. სუბსტანციურ დონე-ზე პასუხი ამ შეკითხვაზე ჯერ კიდევ განსახილველი საკითხების, სახელდობრ, სოციეტა-ლური ტოტალობის განსხვავებული ტიპების ინტეგრირების მექანიზმებთან დაკავშირე-ბული საკითხების გადაწყვეტაზეა დამოკიდებული. მართალია, სოციალური აქტორების ყოველდღიური აქტივობა ყოველთვის ემყარება და კვლავწარმოქმნის უფრო ფართო სო-ციალური სისტემების სტრუქტურულ თვისებებს, მაგრამ „საზოგადოებები“, როგორც ამას შემდგომში ნათელვყოფ, არ არიან აუცილებლად უნიფიცირებული ერთობები. „სო-ციალური კვლავ შექმნა (კვლავწარმოება)“ არ უნდა გავაიგივოთ სოციალური კონსოლი-დაციის გაძლიერებასთან. აქტორების და ერთობების ლოკალიზება უფრო ფართო სოცია-ლური სისტემების განსხვავებულ სექტორებსა ან რეგიონებში ძლიერ ზემოქმედებს იმ გავლენაზე, რომელსაც მათი ყოველდღიური ქცევა ახორციელებს სოციეტალური ტოტა-ლობების ინტეგრაციაზე. აქ სტრუქტურის დუალობის ცნების ნათელსაყოფად გამოსაყე-ნებელი ლინგვისტური მაგალითების ზღვარს მივაღწიეთ. სოციალური ანალიზის პრობ-ლემების სერიოზული განხილვა მეტყველებისა და ენის რეკურსიული თვისებების კვლე-ვის საფუძველზეა შესაძლებელი. გრამატიკულად გამართული ფრაზის წარმოთქმისას მე იმავე სინტაქსურ წესებს ვიყენებ, რომელთა პროდუცირებასაც ეს ფრაზა უწყობს ხელს. მაგრამ მე „იმავე“ ენაზე ვლაპარაკობ, რომელზეც ჩემი ენობრივი საზოგადოების სხვა წევ-რები საუბრობენ; ჩვენ ყველა ერთსა და იმავე წესებსა და ლინგვისტურ პრაქტიკებს ვიზი-არებთ, მასში შეგვაქვს ან ვიღებთ მთელ რიგ, შედარებით უმნიშვნელო, ცვლილებებს. არ არის აუცილებელი, რომ ზოგადად სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებების მიმართ ვითარება ასეთი იყოს. თუმცა ეს სტრუქტურის დუალობის, როგორც ასეთის, ცნე-ბასთან დაკავშირებული პრობლემა არ არის. მას მიმართება იმ საკითხთან აქვს, თუ რო-გორ უნდა მოხდეს სოციალური სისტემების, განსაკუთრებით კი „საზოგადოებების“ კონ-ცეპტუალიზება.

მოდით, შევაჯამოთ მოყვანილი არგუმენტაცია. სტრუქტურა, როგორც წესებისა და რესურსების რეკურსიულად ორგანიზებული კომპლექსები, დროისა და სივრცის გარეთაა, გამონაკლისია მისი კონკრეტული მაგალითები და კოორდინაცია, როგორც მეხსიერების ნაკვალევი, და „სუბიექტის არყოფნით“ ხასიათდება. ამის საპირისპიროდ, სოციალური სისტემები, რომლებშიც სტრუქტურა რეკურსიულად არის ჩართული, მოიცავენ აგენტე-ბის მოცემულ აქტივობებს, რომლებიც კვლავ იქმნება დროსა და სივრცეში. სოციალური სისტემების სტრუქტურაციის ანალიზი იმ ფორმების შესწავლას გულისხმობს, რომელთა მეშვეობითაც ინტერაქციის პროცესში ისეთი სისტემების შექმნა და კვლავ შექმნა ხდება, რომლებიც მოქმედების მრავალფეროვან კონტექსტებში წესებისა და რესურსების გამომ-ყენებელი მოცემული აქტორების შემეცნებითუნარიან აქტივობებს ეფუძნებიან. სტრუქ-ტურაციის იდეისათვის ცენტრალური მნიშვნელობა სტრუქტურის დუალობის თეორემას აქვს, რაც ზემომოყვანილ არგუმენტაციაში ლოგიკურად იგულისხმება. აგენტებისა და სტრუქტურების აგება ფენომენების ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოცემული სიმრავლე, დუალიზმი კი არ არის, არამედ დუალობაა. სტრუქტურის დუალობის ცნების თანახმად, სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებები მათ მიერ რეკურსიულად ორგანიზებული პრაქტიკების საშუალებაცაა და მათი შედეგიც. ინდივიდებისათვის სტრუქტურა არ არის „გარეგანი“: როგორც მეხსიერების ნაკვალევი და როგორც სოცია-ლურ პრაქტიკებში კონკრეტიზებული, ის, გარკვეული აზრით, ინდივიდების აქტივობები-სათვის „შინაგანი“ უფროა, ვიდრე გარეგანი – იმ მნიშვნელობით, რომელსაც ამაში დიურ-

კემი დებდა. სტრუქტურა იძულებასთან არ უნდა გავაიგივოთ, თუმცა ის ყოველთვის მაიძულებელიცაა და უფლების მიმცემიც. ეს, ცხადია, სოციალური სისტემების სტრუქტურირებულ თვისებებს ხელს ვერ შეუშლის იმაში, რომ, დროსა და სივრცეში, ნებისმიერი ინდივიდუალური აქტორის კონტროლს მიღმა გავრცელდნენ. ამით არც ის შესაძლებლობა დგება საფრთხის წინაშე, რომ აქტორების საკუთარმა თეორიებმა სოციალური სისტემების თაობაზე, რომელთა აგებასა და კვლავ აგებასაც ისინი საკუთარი აქტივობებით ხელს უწყობენ, შეიძლება ამ სისტემების რეიფიცირება, გასაგნება მოახდინონ. სოციალური ურთიერთობების გასაგნება ან ადამიანის ქმედების ისტორიულად შემთხვევითი პირობების და შედეგების დისკურსულად „ნატურალიზება“ სოციალურ ცხოვრებაში იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი განზომილებაა [27].

თუმცა გასაგნებული აზრის ყველაზე უხეში ფორმებიც კი ხელუხლებელს ტოვებენ აგენტების შემეცნებითუნარიანობის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ შემეცნებითუნარიანობა იმდენად დისკურსულ ცნობიერებას არ ეფუძნება, რამდენადაც პრაქტიკულს. სოციალური ქცევის წესების, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების ცოდნა, რაც სოციალური ცხოვრების მრავალფეროვან კონტექსტებში „მოქცევის“ უნარში იგულისხმება, ღრმა და განსაცვიფრებელია. საზოგადოების ყველა კომპეტენტური წევრი საკმაოდ გაწაფულია სოციალური აქტივობების პრაქტიკულ განხორციელებაში და გამოცდილი „სოციოლოგიცაა“. ცოდნა, რომელსაც ისინი ფლობენ, სოციალური ცხოვრების მუდმივი მოდელირებისათვის არსებითია და არა შემთხვევითი. ამის აქცენტირება მართლაც აუცილებელია, თუკი ფუნქციონალიზმისა და სტრუქტურალიზმისათვის დამახასიათებელი შეცდომების აცილება გვსურს. კერძოდ, იმ შეცდომისა, რომ აგენტების მოსაზრებების-მოქმედების რაციონალიზების, როგორც სოციალური პრაქტიკების სტრუქტურირებაში მუდმივად ჩართული პროცესის, შეზღუდვით ან მისი იგნორირებით აგენტების აქტივობის წყარო იმ ფენომენებში მოვიძიოთ, რომელთა თაობაზეც ამ აგენტებმა არაფერი იციან [28]. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ამის საპირისპირო შეცდომის თავიდან აცილებაც. ეს შეცდომა დამახასიათებელია ჰერმენევტიკული მიდგომისა და ფენომენოლოგიის განსხვავებული ვერსიებისათვის, რომლებიც საზოგადოებას ადამიანების ხელოვნურ ქმნილებად განიხილავს. თითოეული ეს მიდგომა რედუქციის არალეგიტიმური ფორმაა, რომელიც სტრუქტურის დუალობის ადეკვატური კონცეპტუალიზებისას განცდილი მარცხის შედეგია. სტრუქტურაციის თეორიის თანახმად, ქმედების პროდუცირების მომენტი, ამავე დროს, რეპროდუცირების მომენტიცაა სოციალური ცხოვრების ყოველდღიური განხორციელების კონტექსტებში. ეს ასეა ყველაზე მძაფრი მღელვარებების ან სოციალური ცვლილების ყველაზე რადიკალური ფორმების შემთხვევაშიც. სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებების მიჩნევა „სოციალურ პროდუქტებად“ არ არის ზუსტი, რადგან ამაში შესაძლოა ის იგულისხმებოდეს, რომ წინასწარ აგებული აქტორები რაღაცნაირად უკავშირდებიან ერთმანეთს ამ თვისებების შექმნის მიზნით [29]. სტრუქტურული თვისებების კვლავ შექმნისას ადრე გამოყენებული რაიმე ფრაზის გამეორებისთვის აგენტები იმ პირობების კვლავ შექმნასაც მიმართავენ, რომლებიც ასეთ მოქმედებას შესაძლებელს ხდიან. სტრუქტურა არ არსებობს იმ ცოდნისაგან დამოუკიდებლად, რომელიც აგენტებს აქვთ იმის თაობაზე, რასაც ისინი თავიანთი ყოველდღიური აქტივობების მსვლელობაში აკეთებენ. გარკვეული აღწერის შესაბამისად, აგენტებმა დისკურსიული ცნობიერების დონეზე ყოველთვის იციან, თუ რას აკეთებენ. თუმცა, სხვა აღწერების შესაბამისად, ის, რასაც ისინი აკეთებენ, შეიძლება, მათთვის სავსებით უცნობი იყოს და მათი მონაწილეობით განხორციელებული აქტივობების შესახებ მათ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ.

სტრუქტურის დუალობა დრო-სივრცეში სოციალური კვლავ შექმნის უწყვეტობის მთავარი საფუძველია. ეს, თავის მხრივ, როგორც თავის შემადგენელ ნაწილს, აგენტების მიერ ყოველდღიური სოციალური აქტივობის dureé-ის რეფლექსურ მონიტორინგს გულისხმობს. მაგრამ ადამიანის შემეცნებითუნარიანობა ყოველთვის შეზღუდულია. ქმედების ნაკადი გამუდმებით წარმოშობს შედეგებს, რომლებიც აქტორების მხრიდან განუზრახველია და ამ განუზრახველმა შედეგებმა, თავის მხრივ, შეიძლება, უკუკავშირის გზით, მოქმედების აუღიარებელი პირობები წარმოშვან. კაცობრიობის ისტორია განზრახი აქტივობებით იქმნება, მაგრამ ის არ არის დასახული გეგმა. ის გამუდმებით უსხლტება გააზრებული მიმართულებით მისი წარმართვის მცდელობებს. თუმცა, ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ იმ საფრთხის და პერსპექტივის პირობებში, რომ ისინი არიან ის ერთადერთი არსებები, რომლებიც საკუთარ „ისტორიას“ ამ ფაქტის გათვალისწინებით ქმნიან, გამუდმებით ცდილობენ ამას.

ადამიანების მიერ საკუთარი მოქმედებების თეორიული გააზრება იმას ნიშნავს, რომ ისევე, როგორც სოციალური თეორია არ არის პროფესიონალი სოციოლოგი თეორეტიკოსების გამოგონება, ასევე ამ თეორეტიკოსების მიერ შექმნილი იდეებიც უკან, თვით სოციალურ ცხოვრებაში დაბრუნების ტენდენციით ხასიათდებიან. ამის ერთი ასპექტი სისტემური კვლავ შექმნის უაღრესად გენერალიზებული პირობების მონიტორინგის და, შესაბამისად, კონტროლის მცდელობაა, რაც თანამედროვე სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფენომენია. ამგვარ მონიტორინგს დაქვემდებარებული კვლავ შექმნის პროცესების კონცეპტუალური წვდომისათვის საჭიროა დავადგინოთ გარკვეული განსხვავებები, რომლებიც რელევანტურია იმასთან მიმართებაში, თუ რა „არიან“ სოციალური სისტემები, როგორც ინტერაქციის გარემოში კვლავ შექმნილი პრაქტიკები. სოციალურ სისტემებში ნაგულისხმევი ან აქტუალიზებული მიმართებები, რა თქმა უნდა, მეტად ცვალებადია მათი „თავისუფლებისა“ და შეღწევადობის თვალსაზრისით. მაგრამ, თუკი ამას მივიღებთ, იმ საშუალებების ორი დონის დადგენას შევძლებთ, რომლებითაც ინტერაქციაში „სისტემურობის“ გარკვეული ელემენტი მიიღწევა. ერთ მათგანს, როგორც ზემოთ ვუჩვენე, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფუნქციონალიზმში, სადაც ურთიერთდამოკიდებულება ორგანიზმში მოქმედი თვითრეგულაციის მექანიზმების მონათესავე ჰომეოსტატიკურ პროცესად განიხილება. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს მანამ, სანამ აღიარებულია, რომ სოციალური სისტემების უმრავლესობის „თავისუფლება“ ორგანულ პარალელს უაღრესად ნაკლებსავარაუდოდ აქცევს და რომ სისტემური კვლავ შექმნის ეს შედარებით „მექანიზებული“ ფორმა არ არის ერთადერთი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებებში გვხვდება. ადამიანთა საზოგადოებაში ჰომეოსტატიკური სისტემური კვლავ შექმნა შეიძლება ისეთი სახის კვლავ შექმნად განვიხილოთ, რომელშიც ჩართულია კაუზალური მარყუჟების მოქმედება და რომლის მსვლელობისას ქმედების მთელი რიგი განუზრახველი შედეგები ხელს უწყობს საწყისი პირობების რეკონსტრუქციას. თუმცა სოციალური ცხოვრების მრავალ კონტექსტში შერჩევითი „ინფორმაციული ფილტრაციის“ პროცესები გვხვდება, რომელთა მეშვეობითაც სტრატეგიულად განლაგებული აქტორები რეფლექსურად ცდილობენ სისტემური კვლავ შექმნის ყველა პირობის რეგულირებას არსებული ვითარების შენარჩუნების ან მისი შეცვლის მიზნით [30].

სისტემურ კვლავ შექმნაში(კვლავწარმოებაში) განსხვავებას ჰომეოსტატიკურ კაუზალურ მარყუჟებსა და რეფლექსურ თვითრეგულაციას შორის კიდევ ერთი, საბოლოო განსხვავება უნდა დაემატოს: ეს არის განსხვავება სოციალურ და სისტემურ ინტეგრაციას შორის [31]. „ინტეგრაცია“ აქტორებს ან კოლექტივებს შორის პრაქტიკების (დამოუკიდებლობის და დამოკიდებულების) ურთიერთქმედებასთან დაკავშირებულად შეიძლება გავი-

გოთ [32]. შესაბამისად, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს სისტემურობას პირისპირ ინტერაქციის დონეზე. სისტემური ინტეგრაცია გულისხმობს კავშირებს იმათთან, ვინც დროსა ან სივრცეში ფიზიკურად აქ არ არის. სისტემური ინტეგრაციის მექანიზმები მართლაც წინასწარ გულისხმობენ სოციალური ინტეგრაციის მექანიზმებს, მაგრამ ასეთი მექანიზმები, ზოგიერთი არსებითი ასპექტით, ასევე განსხვავდებიან იმ მექანიზმებისაგან, რომლებიც თანაყოფნის მიმართებებთანაა დაკავშირებული...

წესების დაყოფა აღნიშვნის ან საზრისის ამგებ სახეებად და ნორმატიულ სანქციებად, რესურსების ცნებასთან ერთად, რაც ძალაუფლების კონცეპტუალიზებისათვის ფუნდამენტურია, მრავალგვარ ფარულ მნიშვნელობას მოიცავს, რომლებიც დეტალურ განმარტებას საჭიროებენ [33]. ის, რასაც მე სტრუქტურაციის „მოდალობებს“ ვუწოდებ, ინტერაქციაში სტრუქტურის დუალობის მთავარი განზომილებების ნათელყოფას ემსახურება და აგენტების შემეცნებითუნარიანობის შესაძლებლობებს სტრუქტურულ თვისებებთან აკავშირებს. აქტორები სტრუქტურაციის მოდალობებს ინტერაქციის სისტემების კვლავ შექმნისას იყენებენ და, ამასთანავე, მათ სტრუქტურულ თვისებებსაც კვლავ აგებენ. ხაზი უნდა გაესვას, რომ საზრისის გადაცემა ინტერაქციის პროცესში მხოლოდ ანალიტიკურად შეიძლება გავმიჯნოთ ნორმატიული სანქციების ოპერირებისაგან. ეს, ცხადია, რადგან, მაგალითად, ენის გამოყენება თავისთავად სწორედ მისი „საზოგადოებრივი ხასიათითაა“ სანქცირებული [34]. ინტერაქციის აქტების ან ასპექტების იდენტიფიცირებაც – მათი დეტალური აღწერა, რაც ჰერმენევტიკულად ეფუძნება დამკვირვებლის უნარს, „იმოქმედოს“ ცხოვრების რაიმე ფორმაში – გულისხმობს საზრისის, ნორმატიული ელემენტების და ძალაუფლების ურთიერთგადაჯაჭვას. ეს ყველაზე ნათელი სოციალური ცხოვრების იმ არცთუ იშვიათ კონტექსტებშია, რომლებშიც ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, თუ რა „არიან“ სოციალური ფენომენები, თუ როგორ აღიწერებიან ისინი სათანადოდ. ამგვარი ეჭვის, ქმედების განსხვავებული და ურთიერთგადამკვეთი დახასიათებების არსებობის გაცნობიერება „ცხოვრების რაიმე ფორმის წვდომის“ არსებითი ნაწილია, აქტორებს რეგულარულ ყოველდღიურ ქცევაში მხოლოდ საკუთარი და სხვათა აქტივობების მონიტორინგის უნარი კი არ აქვთ, არამედ დისკურსულ ცნობიერებაში „ამ მონიტორინგის მონიტორინგიც“ შეუძლიათ. „ინტერპრეტაციული სქემები“ აქტორების ცოდნის მარაგში ჩართული ტიპიზაციის ფორმებია, რომლებიც რეფლექსურად გამოიყენება კომუნიკაციის შესანარჩუნებლად. ინტერაქციის შექმნისა და კვლავ შექმნისას აქტორები ცოდნის იმავე მარაგს იყენებენ, რომლის მეშვეობითაც მათ საკუთარი მოქმედების ანგარიშის წარდგენა, არგუმენტების შემოთავაზება და ა.შ. შეუძლიათ [37]. საზრისის გადაცემა, ისევე როგორც მოქმედების კონტექსტუალობის ყველა ასპექტი, არ უნდა განვიხილოთ როგორც ის, რაც უბრალოდ ხდება დროსა და სივრცეში. საზრისის აგების პროცესებში შეხვედრების დროითი და სივრცითი თვისებების ჩართვას აქტორები რუტინულად ახორციელებენ. კომუნიკაცია, როგორც ინტერაქციის საყოველთაო ელემენტი, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კომუნიკაციური განზრახვა (ე.ი. ის, რის თქმას ან გაკეთებას „აპირებს“ აქტორი). აქ კვლავ უნდა შევეცადოთ, რომ რედუქციონიზმის კიდევ ორ ფორმას ავარიდოთ თავი. ზოგიერთი ფილოსოფოსი საზრისის ან კომუნიკაციის თეორიების კომუნიკაციური განზრახვიდან მთლიანად გამოყვანას ცდილობდა. მათგან განსხვავებით, სხვები მიიჩნევდნენ, რომ კომუნიკაციური განზრახვა, საუკეთესო შემთხვევაში, ინტერაქციის საზრისის მქონე თვისებების აგებისათვის მარგინალურია, რადგან „საზრისი“ ნიშანთა სისტემების სტრუქტურული წყობით იმართება. თუმცა სტრუქტურაციის თეორიაში ისინი განიხილება არა, როგორც დუალიზმის ურთიერთგამომრიცხავი, არამედ როგორც დუალობის ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტები.

„ანგარიშვალდებულების“ იდეა ყოველდღიურ ინგლისურ ენაში, უდავოდ, გამოხატავს ინტერპრეტაციული სქემებისა და ნორმების ურთიერთგადაკვეთას. საკუთარ მოქმედებებზე „ანგარიშვალდებულება“ ერთდროულად ამ მოქმედებათა მიზეზების ექსპლიკაცია, ახსნაცაა და იმ ნორმატიული საფუძვლის შექმნაც, რომლითაც მათი „გამართლება“ იქნება შესაძლებელი. ინტერაქციის ნორმატიული კომპონენტები ყოველთვის კონცენტრირებულია იმ უფლებებისა და ვალდებულებების მიმართებებზე, რომლებიც მთელ რიგ ინტერაქციურ კონტექსტებში მონაწილეთა მხრიდანაა „მოსალოდნელი“. ქცევის ფორმალური კოდები, მაგალითად, ისეთები, რომლებიც კანონითაა დადგენილი (ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე საზოგადობებში მაინც), ჩვეულებრივ, უფლებებსა და ვალდებულებებს შორის მოთხოვნილ სიმეტრიას გამოხატავენ, როცა ერთი მეორის გამართლებას ცდილობს. მაგრამ ასეთი სიმეტრიის არსებობა პრაქტიკაში აუცილებელი არ არის და ამ ვითარების აქცენტირება აუცილებელია, რადგან, როგორც პარსონსის „ნორმატიული ფუნქციონალიზმი“, ასევე ალთიუსერის „სტრუქტურალისტური მარქსიზმი“ საზოგადოების წევრთა მიერ ნორმატიული ვალდებულებების „ინტერნალიზების“ ზომას აზვიადებენ [38]. არც ერთი ამ ორი მიდგომიდან არ შეიცავს მოქმედების ისეთ თეორიას, რომლის თანახმად ადამიანები შემეცნებითუნარიანი აგენტები არიან, რომლებიც ერთმანეთთან ინტერაქციის ნაკადის რეფლექსურ მონიტორინგს ახორციელებენ. როდესაც სოციალური სისტემები ძირითადად „სოციალური ობიექტის“ თვალსაზრისითაა გაგებული, აქცენტი უნდა გაკეთდეს ნორმატიულად კოორდინირებული ლეგიტიმური წესრიგის, როგორც სოციალური ქცევის მთლიანად მადეტერმინირებელის, ან „მაპროგრამირებელის“ საყოველთაო გავლენაზე. ასეთი პერსპექტივა ნიღბავს იმ ფაქტს, რომ სოციალური სისტემების ნორმატული ელემენტები გაუთვალისწინებელი მოთხოვნებია, რომლებიც უნდა დავაკმაყოფილოთ და რეალური შეხვედრების კონტექსტებში მათი გათვალისწინება სანქციების ეფექტური მობილიზაციის მეშვეობით ვცადოთ. ნორმატიული სანქციები დომინაციის სტრუქტურულ ასიმეტრიებს გამოხატავს და ასიმეტრიების ის მიმართებები, რომლებიც ნომინალურად მათ ექვემდებარება, შეიძლება მრავალგვარი, ამ ნორმების მიერ სავარაუდოდ წარმოშობილი ვალდებულებების გამოხატვისაგან განსხვავებული სახის იყოს.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებების ანალიზზე კონცენტრირება მხოლოდ მაშინაა ვალიდური პროცედურა, თუ ვაღიარებთ, რომ იმ სოციალური ქცევის მიმართ, რომლის რეფლექსური მონიტორინგიც ხდება, epoche – დროებითი ამორთვა ხორციელდება. ამგვარი epoché-ს არსებობისას სოციალური სისტემების სამი სტრუქტურული განზომილება შეიძლება განვასხვაოთ: სიგნიფიკაცია, დომინაცია და ლეგიტიმაცია. ამ სტრუქტურული თვისებების ანალიზის კონოტაციები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია ნაჩვენები. სიგნიფიკაციის სტრუქტურების კვლევაში ჩართულმა კოდიფიცირების თეორიამ სემიოტიკის მიერ ბოლო წლებში მიღწეული განსაცვიფრებელი პროგრესი უნდა გაითვალისწინოს. ამავე დროს სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და სემიოტიკა არ დავუკავშიროთ სტრუქტურალიზმს და მის იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ადამიანის ქმედების ანალიზთანაა დაკავშირებული. ნიშნები „არსებობენ“ მხოლოდ, როგორც ინტერაქციაში კომუნიკაციური პროცესების საშუალებები და მათი შედეგი. ენის სტრუქტურალისტური კონცეფციები, ისევე როგორც ლეგიტიმაციის მსგავსი შინაარსის დისკურსები, ცდილობენ განიხილონ ნიშნები, როგორც მეტყველებისა და წერის მოცემული თვისებები, იმის მაგივრად, რომ განიხილონ მათი რეკურსიული საფუძვლები საზრისის გადაცემისას.

სიგნიფიკაციის სტრუქტურებს ყოველთვის დომინაციასა და ლეგიტიმაციასთან კავშირში უნდა ვწვდეთ. ეს კვლავ სოციალურ ცხოვრებაში ძალაუფლების ყოვლისმომცველ

გავლენას უკავშირდება. ამ მიმართებით არსებობს რამდენიმე პოზიცია, რომელთა მიმართაც სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მაგალითად, ჰაბერმასის მიერ გადამერის კრიტიკამ და შემდგომმა დებატებმა წინა პლანზე ზოგიერთი რელევანტური საკითხი წამოსწია. სხვა საკითხებთან ერთად, ჰაბერმასი გადამერის ლინგვისტურად გაჯერებული „ტრადიციების“ კონცეფციას იმის გამო აკრიტიკებდა, რომ მან ვერ შეძლო ეჩვენებინა, რომ საზრისის ჩარჩოები ძალაუფლების დიფერენციალებს მოიცავს. ეს კრიტიკა საკმაოდ მართებულია, მაგრამ ჰაბერმასი ამ საკითხის განვითარებას კომუნიკაციის „სისტემატურად დამახინჯებული“ ფორმების მნიშვნელობის ჩვენების მიმართულებით შეეცადა. თუმცა ამ საფუძველზე მან ინსტიტუციონალურ თეორიასთან ძალაუფლების ცნების დამაკმაყოფილებლად ინტეგრირება ვერ შეძლო. „დომინაცია“ არ ნიშნავს იგივეს, რასაც სიგნიფიკაციის „სისტემატურად დამახინჯებული“ სტრუქტურები, რადგან დომინაცია, როგორც მე ის მესმის, სიგნიფიკაციური კოდების არსებობის აუცილებელი პირობაა. „დომინაცია“ და „ძალაუფლება“ მხოლოდ განაწილების ასიმეტრიების თვალსაზრისით კი არ უნდა მოვიაზროთ, არამედ კიდევაც უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი არსებითია სოციალური კავშირისათვის (ან, ვთქვათ, ადამიანის მოქმედების, როგორც ასეთისათვის). ამრიგად, და აქ ჩვენ ფუკოს შრომების იმპლიკაციების გათვალისწინებაც მოგვიწევს, ძალაუფლება არ არის არსებითად უარყოფითი ფენომენი, ის არ არის, უბრალოდ, „არას თქმის“ უნარი; ასევე, არც დომინირების „ტრანსცენდირებაა“ შესაძლებელი მომავლის რაიმე ტიპის შესაძლო საზოგადოებაში, რაც სოციალისტური აზროვნების, ყოველ შემთხვევაში, მისი ზოგიერთი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი მისწრაფება იყო.

შეჯამება

ენტონი გიდენსი

გიდენსის მიდგომაში მთავარი ისაა, რომ მოქმედებას და სტრუქტურას იგი, როგორც „დუალობას“ განიხილავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ერთმანეთისაგან იზოლირება შეუძლებელია: აგენტი ჩართულია სტრუქტურაში, ხოლო სტრუქტურა ჩართულია აგენტში. გიდენსი უარს ამბობს, სტრუქტურას უბრალო შეზღუდვისა და იძულების (როგორც, მაგალითად, დიურკემი) ფუნქცია მიანიჭოს, მაგრამ მას განიხილავს, როგორც შეკავების, ისე შესაძლებლობის გარანტს.

კითხვები და დავალებები:

1. განმარტეთ ე. გიდენსის დებულების არსი და მნიშვნელობა: „აგენტებისა და სტრუქტურების წარმოქმნა – მოვლენათა ეს ორი დამოუკიდებელი ჯამი, დუალიზმი არაა. ხოლო დუალურობა სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებები ერთდროულად არიან პრაქტიკის საშუალებაც და შედეგებიც, რომლებიც რეკურსულად აწესრიგებენ ერთმანეთს“ .
2. ფუნქციონალიზმის კრიტიკისას რომელ სამ მოსაზრებას აანალიზებს ე. გიდენსი, თქვენი აზრით, რამდენად ობიექტურად(მეცნიერულად) აკრიტიკებს იგი ფუნქციონალიზმის ძირითად დებულებებს?

3. როგორ აფასებს ე. გიდენსი სოციოლოგიური „კლასიკის“ როლს ახალი ერთიანი სოციალური თეორიის შექმნაში?
4. კლასიკურ სოციოლოგიურ კონცეფციებში რომელ პრობლემატიკაზე ამახვილებს და რატომ ე. გიდენსი განსაკუთრებულ ყურადღებას?
5. გააანალიზეთ „მოდერნის“ ეპოქის არსობრივი მახასიათებლების ე. გიდენსისეული ჩამონათვალი და მათი გამოყენებით შეეცადეთ ქართული სოციუმის აღწერას.
6. განმარტეთ სოციალური აგენტის ცნება, როგორ გავიგოთ ე. გიდენსის აზრი, რომ სოციალური აგენტი სოციალური ცხოვრების რაღაც „ატომი“, განუყოფელი ელემენტი კი არ არის, არამედ იმდენად რთულია, რომ იგი თავისუფლად შეიძლება აღწერილ იქნეს, როგორც სტრატიფიკაციული მოდელი?
7. გამოყავით და გააანალიზეთ აგენტის, როგორც სტრატიფიკაციული მოდელის სამი დონე?
8. გაანმარტეთ სტრუქტურაციის თეორიის სამი ცენტრალური კონსტრუქტის – სტრუქტურის, სისტემისა და სტრუქტურაციის ცნებების მნიშვნელობა და ურთიერთმიმართება.
9. დაახასიათეთ ის არსებითი ნიშნები, რომლითაც, ე. გიდენსის აზრით, დისკურსული და პრაქტიკული ცნობიერება ერთმანეთისაგან განსხვავდება?
10. გააანალიზეთ და განმარტეთ ე. გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ორმაგი ჰერმენევტიკა“, „გულუზრახი შედეგები“ და „რეფლექსური მოდერნიზაცია“.

ძირითადი ლიტერატურა:

Э. Гидденс, Устроение общества: очерк теории структурации., М.,2003, ст. 38-88.

Giddens, Anthony

1976 New Rules of Sociological Method: A Positive Critique of Interpretive Sociologies. New York: Basic Books.

1979 Central Problems in Social Theory: Action, Structure and Contradiction in Social Analysis. Berkeley: University of California Press.

1981 The Contemporary Critique of Historical Materialism. Berkeley: University of California Press.

1982 Profiles and Critiques in Social Theory. Berkeley: University of California Press.

1984 The Constitution of Society: Outline of the Theory of Structuration. Berkeley: University of California Press.

1987 „„Structuralism, Post- Structuralism and the Production of Culture““. In A. Giddens and J.H. Turner(eds.). Social Theory Today. Stanford, Calif.: Stanford University press: 195-223.

1989 „„A Reply to My Critics““. In D. Held and J. B. Thompson(eds.). Social Theory of Modern Societies: Anthony Giddens and His Critics. Cambridge: Cambridge University Press: 249-301.

დამატებითი ლიტერატურა:

თანამედროვე სოციალური თეორია (ქრესტომათია), 2003 (ბეჭდური ვარიანტი).

ი. კაჭკაჭიშვილი. სოციალური მოქმედების თეორიები. თბ., 2008

Джордж Ритцер, Современные социологические теории. 5-ое издание,СПБ.: Питер., 2002, გვ. 447-453.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997.გვ. 259 – 267.

თავი მეშვიდე – **თანამედროვეობის (MODERN) უახლესი თეორიები**

1. *სოციოლოგიის კლასიკოსები (მარქსი, ვებერი, დიურკემი, ზიმელი); თანამედროვეობის (Modern) შესახებ;*
2. *თანამედროვეობა, როგორც დამანგრეველი ძალა;*
3. *თანამედროვეობა და იდენტობა;*
4. *რისკის საზოგადოება: რისკების შექმნა და მართვა;*
5. *მაკდონალდიზაცია, გლობალიზაცია და ამერიკანიზაცია და მოხმარების ახალი საშუალებები;*
6. *თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი;*
7. *მაკდონალდიზაცია და ჰოლოკოსტი.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მოდერნი და პოსტმოდერნი;
- თანამედროვეობა და პოსტთანამედროვეობა;
- თანამედროვეობის ძირითადი ინსტიტუტები;
- დისტანცირება, გამოთავისუფლება;
- რეფლექსურობა;
- თანამედროვეობა და ინტიმურობა;
- რისკის საზოგადოება;
- ფორმალური რაციონალობის ოთხი განზომილება;
- ჰოლოკოსტი;
- მაკდონალდიზაცია.

1. სოციოლოგიის კლასიკოსები (მარქსი, ვებერი, დიურკემი, ზიმელი) თანამედროვეობის (Modern) შესახებ

დღეს სოციოლოგიაში გაცხარებული კამათია იმათ შორის, ვინც ახლანდელ საზოგადოებას თანამედროვეობად მიიჩნევს და ვინც თვლის, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებული არსებითი ცვლილებების გამო ჩვენ ახალ, „პოსტთანამედროვე“ სამყაროში გადავედით. ამ ლექციაში კი იმ დღევანდელი სოციოლოგების შემოქმედებას განვიხილავთ, რომლებიც მოდერნის ეპოქას ჯერ დასრულებულად არ მიიჩნევენ.

კლასიკოსი თეორეტიკოსები თანამედროვეობის შესახებ

ვიდრე თანამედროვეობის შესახებ ჩვენი დროის მოაზროვნეთა შეხედულებებზე გადავალთ, გავიხსენოთ, რომ კლასიკოსი თეორეტიკოსების უმრავლესობა მოდერნის ეპოქის საზოგადოებას აანალიზებს. ასეთ ანალიზს ყველაზე ნათლად სოციოლოგიის ოთხი უდიდესი კლასიკოსი თეორეტიკოსი – მარქსი, ვებერი, დიურკემი და ზიმელი – ახორციელებს. ყოველი მათგანი თანამედროვეობის აღმოცენებასა და დომინირებულ გავლენას იკ-

ვლევდა. თუმცა აღნიშნული მოაზროვნეები თანამედროვეობის უპირატესობებს მშვენივრად აცნობიერებდნენ, მიუხედავად ამისა, მათი შემოქმედების ძირითადი სტიმული თანამედროვე სამყაროს მიერ წარმოქმნილი პრობლემების კრიტიკაა.

ცხადია, კარლ მარქსისათვის თანამედროვეობა კაპიტალისტური ეკონომიკით განისაზღვრებოდა. მარქსი აღიარებდა იმ სიკეთეს, რაც წინა საზოგადოებებიდან კაპიტალიზმზე გადასვლამ მოიტანა. მაგრამ თავის შემოქმედებაში, ძირითადად, ამ ეკონომიკური სისტემისა და მისი დამახინჯებული თვისებების (გაუცხოება, ექსპლუატაცია და ა.შ.) კრიტიკას ეწევა.

მაქს ვებერისათვის თანამედროვე სამყაროს განმსაზღვრელი პრობლემა ფორმალური რაციონალობის (მისი სხვა ფორმების იგნორირების ხარჯზე) გავრცელება და ამის შედეგად რაციონალობის რკინის გალიის აღმოცენებაა. ადამიანები სულ უფრო მეტად ხდებიან ამ რკინის გალიის ტუსაღები, რომლის შედეგად სულ უფრო კარგავენ უნარს, გამოავლინონ თავიანთი ძირითადი ადამიანური თვისებები. რა თქმა უნდა, ვებერი აღიარებს რაციონალობის უპირატესობას – მაგალითად, ორგანიზაციის წინა ფორმებთან შედარებით, ბიუროკრატიის ძლიერ მხარეებს, მაგრამ უფრო რაციონალობის მიერ გამოწვეული პრობლემების კვლევითაა დაკავებული.

დიურკემის თვალსაზრისით, თანამედროვეობას ორგანული სოლიდარობა და კოლექტიური სინდისის შესუსტება ახასიათებს. დიდი თავისუფლების მომტანმა და მრეწველობის განვითარების დამაჩქარებელმა ორგანულმა სოლიდარობამ, ამავე დროს, განსაკუთრებით სპეციფიკური პრობლემები გააჩინა. მაგალითად, საერთო და კოლექტიური მორალის შესუსტებით, ადამიანები თავიანთ უაზრო ყოფას განიცდიან, გრძნობენ, რომ ისინი თანამედროვე სამყაროში „მიტოვებულიო არიან. სხვა სიტყვებით, მათ ანომია ტანჯავს.

ზემოთ მითითებული კლასიკოსებისაგან მეოთხეს, გეორგ ზიმელს, აქ ცოტა მეტ ყურადღებას დავუთმობთ, ვინაიდან ის მოდერნის და პოსტმოდერნის თეორეტიკოსთა მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება.

ფრისბი ემხრობა იმ თვალსაზრისს, რომ „ზიმელი თანამედროვეობის პირველი სოციოლოგიაო. ზიმელი თანამედროვეობის ორ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს – ქალაქსა და ფულად ეკონომიკას იკვლევს. თანამედროვეობა ქალაქშია კონცენტრირებული და აქ ძლიერდება, ხოლო ფულადი ეკონომიკა გააზრებულია, როგორც თანამედროვეობის (Modern) გავრცელება და გაფართოება.

ზიმელი თანამედროვეობის თემას „ფულის ფილსოფიაში“ ეხება. ამ ნაშრომში თანამედროვეობაზე სამი შეხედულება არსებობს. ჯერ ერთი, მტკიცდება, რომ მოდერნიზაცია ადამიანს მთელ რიგ უპირატესობებს აძლევს, განსაკუთრებით, გამოავლინოს ის პოტენციური შესაძლებლობები, რომელთაც თანამედროვე საზოგადოებამდე ვერ ავლენდა, რადგან ეს შესაძლებლობები დათრგუნვილი იყო. ამ აზრით, ზიმელი თანამედროვეობას „გამოფხიზლებად, ანუ ადამიანის გვარისათვის ადრე შეუმჩნეველი შესაძლებლობების ნათლად გამოხატულ გამოვლენად“ მიიჩნევს. მეორე, ზიმელი თანამედროვე საზოგადოებაზე ფულის მძლავრ ზემოქმედებას განიხილავს. ბოლოს ზიმელი თანამედროვეობისათვის ამ გავლენის არასასურველ შედეგებზე, განსაკუთრებით, გაუცხოების პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ უკანასკნელს ზიმელის სოციოლოგიური თეორიის ცენტრალურ პრობლემამდე, ზოგადად, და, ასევე, მის თანამედროვეობის სოციოლოგიამდე – „კულტურის ტრაგედიამდე“, ობიექტურ და სუბიექტურ კულტურებს შორის კავშირის გახლეჩამდე ან, როგორც ზიმელი წერს, „ინდივიდუალური კულტურის ატროფიასა და ობიექტური კულტურის ჰიპერტროფიამდე“ მივყავართ.

ზიმელი მახვილს თანამედროვეობის „გამოცდილებაზე“ აკეთებს. ამ გამოცდილების მნიშვნელოვანი ელემენტები – დრო, სივრცე და შემთხვევითი მიზეზობრიობა – თანამედროვეობის თეორიების ცენტრალური ასპექტებია. ზიმელის აზრით, თანამედროვეობის გამოცდილება წყვეტადი ხასიათისაა: დრო, როგორც გარდამავალი, სადაც მიმდინარე მომენტები და ახლანდელი დროის შეგრძნება ერთმანეთს ემთხვევა; დრო, როგორც შორეულისა და სიახლოვის დიალექტიკა... და მიზეზობრიობა, როგორც პირობითი, ცვლადი და შემთხვევითი განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ ზიმელი შეიძლება პოსტმოდერნისტად (როგორც ეტყობა, პოსტმოდერნისტებთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე სხვა კლასიკოს სოციალურ თეორეტიკოსებს) ჩაითვალოს, მაინც ასევე დასაბუთებულად შეიძლება, ის მოდერნისტადაც ჩაითვალოს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საკითხები, რომელთაც ის დიდ ყურადღებას უთმობს – განასაკუთრებით ქალაქი და ფულადი ეკონომიკა – თანამედროვეობის არსს შეადგენს. ამგვარად, ზიმელიც კი, მარქსი, ვებერი და დიურკემი ხომ თავისთავად, უნდა შეფასდეს, როგორც თანამედროვეობის სოციოლოგიით დაკავებული თეორეტიკოსი.

„1920 წლისათვის სოციოლოგიური თეორიის ეს კლასიკოსები ცოცხლები უკვე აღარ იყვნენ. ახლა ნათელია, რომ 1920 წლის შემდეგ მსოფლიო ძალიან შეიცვალა. პოსტმოდერნის ეპოქის დაწყებასთან დაკავშირებით (თუ ვივარაუდებთ, რომ ის დადგა!) თვალსაზრისები განსხვავებულია, თუმცა 1920 წელზე ადრე თარიღს არავინ ასახელებს. საქმე ის კი არაა, ჩაითვალოს თუ არა ამ დროის შემდეგ მომხდარი ცვლილებები ჩვეულებრივ მოვლენებად და არიან თუ არა დაკავშირებული თანამედროვეობასთან, ან რომ ისინი ისეთი დრამატული და რადიკალურად განსხვავებული მოვლენებია, რომ უმჯობესია დღევანდელობა ახალი ტერმინით – პოსტმოდერნიზმით აღვწეროთ“ Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.- СПБ.: Питер, 2002., с.486).

ამ ნაწილში ჩვენი დროის ზოგიერთი თეორეტიკოსის თვალსაზრისს გავეცნობით (არიან სხვა მეცნიერებიც, რომელთა შემოქმედებას ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ ადგილის უკმარობის გამო), რომლებიც, მართალია, განსხვავებულად თვლიან, რომ ჯერ კიდევ ჯობს, დღევანდელი სამყარო, როგორც თანამედროვეობა (Modern) განვიხილოთ.

2. თანამედროვეობა, როგორც დამანგრეველი ძალა

ენტონი გიდენსი თავისი სტრუქტურაციული თეორიის შესაბამისად და ასევე კლასიკური თეორეტიკოსების მიერ (მაგალითად, მაქს ვებერის რკინის გალია) შემოთავაზებული შეხედულებების ალტერნატივად თანამედროვე სამყაროს (Modern) (რომელიც XVII ს. ევროპაში ჩაისახა), როგორც „დამანგრეველ ძალას“ ახასიათებს. კერძოდ, ის ამ ტერმინს თანამედროვეობის წინ წამოწეული ეტაპის – რადიკალური, მაღალი ან გვიანდელი თანამედროვეობის აღწერის დროს იყენებს. გიდენსი ედავება იმათ, ვინც თვლის, რომ ჩვენ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში შევედით, თუმცა მომავალში გარკვეული სახის პოსტმოდერნიზმს არ გამორიცხავს. გიდენსის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ თანამედროვე ეპოქაში ვცხოვრობთ, დღევანდელი სამყარო სოციოლოგიის კლასიკოსი თეორეტიკოსების დროისაგან არსებითად განსხვავდება.

აი, როგორ აღწერს ის თანამედროვეობის დამანგრეველ ძალას: ესაა სასწაულებრივი ძალის მქონე დაუოკებელი მანქანა, რომლის გარკვეული დოზით მართვას ადამიანები კოლექტიურად ახერხებენ, მაგრამ ის მუდმივად ცდილობს, ჩვენს კონტროლს თავი დააღწიოს და ნაწილებად დაიშალოს. დამანგრეველი ძალა ანადგურებს მათ, ვინც წინააღ-

მდეგობას უწევს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ის თითქოს არჩეული მიმართულებით მიდის, გასაკვირი სახით სრულიად გაუთვალისწინებლად იცვლის მიმართულებას. ეს მოძრაობა სრულებითაც არ არის მთლიანად მიუღებელი და უყურადღებო; ხშირად ის სიხარულის მომტანი და დამაიმედებელია. მაგრამ სანამ თანამედროვე ინსტიტუტები არსებობენ, ჩვენ ამ მოძრაობის ტემპის და მიმართულების გაკონტროლებას ვერასოდეს შევძლებთ. თავის მხრივ, ჩვენ ვერასოდეს ვიგრძნობთ თავს უსაფრთხოდ, რადგან ადგილი, სადაც ეს გზა გადის, არსებით რისკებს მალავს (გიდენსი, 1990,გვ.139).

როგორც დამანგრეველი ძალა, თანამედროვეობა უკიდურესად დინამიკურია, ესაა „შეუკავებელი სამყარო“, რომელიც ცვლილებების ტემპებით, მასშტაბით, სიღრმით წინა სისტემებს ბევრად აღემატება. გიდენსი აზუსტებს, რომ ეს დამანგრეველი ძალა არაა ერთმიმართულებიანი. გარდა ამისა, ის რაიმე ერთიანი და მთლიანიც არაა, ის რამდენიმე წინააღმდეგობრივი და კონფლიქტური ნაწილისაგან შედგება. ამგვარად, გიდენსი მკაცრი სტილის „დიდ თეორიას“, მარტივ, ერთი მიმართულების მქონე „დიდ მონაყოლს“ არ გვთავაზობს.

დამანგრეველი ძალის ცნება სტრუქტურაციულ თეორიას სავსებით შეესაბამება, განსაკუთრებით იმ როლს, რომელსაც მასში დრო და სივრცე ასრულებს. დამანგრეველი ძალის სახე აღნიშნავს იმას, რაც დროსა და ფიზიკურ სივრცეში გადაადგილდება. მაგრამ ეს სახე იმ აქცენტს, რომელსაც გიდენსი სოციალური აგენტის ძალაუფლებაზე აკეთებს, არ შეესატყვისება. როგორც ეტყობა, დამანგრეველ ძალას, თანამედროვეობის ამ მექანიზმს, მეტი გავლენა მიეწერება, ვიდრე იმ აგენტებს, რომლებიც მას მართავენ. მოცემული საკითხი თანხმობაშია გიდენსის დამოუკიდებელ ისტორიულ ანალიზთან, რომელიც „მიგვითითებს, რომ სამყაროს შეცვლის ჩვენს უნარზე სისტემური ტენდენციები ბატონობენ“.

თანამედროვეობა და მისი შედეგები

გიდენსი თანამედროვეობას (Modern) ოთხ ძირითად ინსტიტუტზე დაყრდნობით განსაზღვრავს. მათ შორის პირველია – კაპიტალიზმი, რომელსაც, როგორც ცნობილია, სასაქონლო მრეწველობა, კაპიტალზე კერძო საკუთრება, საკუთრების უფლების გარეშე დაქირავებული შრომა და აქედან გამომდინარე კლასობრივი სტრუქტურა ახასიათებს. მეორე ინსტიტუტია – ინდუსტრიალიზმი, სადაც იგულისხმება, რომ მრეწველობისათვის ენერგიისა და მანქანა-ხელსაწყოების არასულიერი წყაროები გამოიყენება. ინდუსტრიალიზმი არ იფარგლება მხოლოდ მრეწველობით, ის სხვა სფეროებსაც, მაგალითად, „სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და ოჯახურ ცხოვრებასაც“ ეხება (გიდენსი, 1990, გვ.56). მაშინ, როდესაც ორ პირველ მახასიათებელს ახალს ვერ დაარქმევ, მესამე – ზედამხედველობის შესაძლებლობა – ახალია, თუმცა მიშელ ფუკოს შემოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული. გიდენსის განსაზღვრებით, „ზედამხედველობა დაქვემდებარებული მოსახლეობის პოლიტიკურ (ძირითადში, მაგრამ არა მხოლოდ) სფეროში ქმედებებზე დაკვირვებას ნიშნავს“. თანამედროვეობის ბოლო ინსტიტუციონალური განზომილება – ეს სამხედრო ძლიერება, ანუ ძალადობის საშუალებებზე – ომის ინდუსტრიალიზაციის ჩათვლით – კონტროლია. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გიდენსი თანამედროვეობის, ყოველ შემთხვევაში, მაკროდონეზე, ანალიზისას ყურადღებას თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოზე (და არა საზოგადოებაზე, რაც უფრო მიღებულია სოციოლოგიაში) ამახვილებს, რაც წინა ეპოქის საზოგადოებისაგან მნიშვნელოვან განმასხვავებელ მახასიათებლად მიაჩნია.

გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის თანახმად, თანამედროვეობას დინამიზმს სამი არსებითი ასპექტი – დისტანცირება, გამოთავისუფლება და რეფლექსურობა – ანიჭებს. პირველი ასპექტი – დროისა და სივრცის დაყოფა, ანუ დისტანცირებაა. თანამედროვეო-

ბამდე არსებულ საზოგადოებებში დრო ყოველთვის სივრცესთანაა კავშირში და დროის გაზომვაც ზუსტი არ იყო. მოდერნიზაციის დადგომისას დრო სტანდარტიზებულ იქნა და დროსა და სივრცეს შორის მჭიდრო კავშირი დაირღვა. ამ აზრით, დროცა და სივრცეც შინაარსისაგან „დაიცალა"; არანაირ დროსა და სივრცეს პრივილეგირებული მდგომარეობა არ გააჩნია; ისინი წმინდა ფორმებად გადაიქცა. თანამედროვეობამდელ საზოგადოებებში სივრცე, ძირითადად, ფიზიკურად, ე.ი. მკაცრად განსაზღვრული ადგილით განისაზღვრება. თანამედროვე ეპოქის დადგომისას სივრცე თანდათანობით დასცილდა ადგილს. უფრო შესაძლებელია ურთიერთობა იმათთან, ვინც ფიზიკურად აქ არ არის და მოშორებით იმყოფება. გიდენსი თვლის, რომ ადგილი „ფანტასმაგორიულია", ე.ი. „ქმედების ადგილები განმსჭვალულია და მათგან საკმაოდ მოშორებული სოციალური ზემოქმედებებით ყალიბდება... ქმედების ადგილის „ხილული ფორმა" იმ დისტანციურ მიმართებებს ფარავს, რომლებიც მის ხასიათს განსაზღვრავენ" (გიდენსი, 1990, გვ.19).

დროულ-სივრცულ დისტანცირებას თანამედროვეობაში, რამდენიმე მიზეზის გამო, დიდი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, ის ბიუროკრატიისა და ეროვნული სახელმწიფოს ტიპის რაციონალიზებულ ორგანიზაციებს, მათთვის დამახასიათებელი დინამიზმით (თანამედროვეობამდელ ფორმებთან შედარებით) და ლოკალური და გლობალური ფორმების გაერთიანების უნარით, შესაძლებელს ხდის. მეორე, თანამედროვე სამყარო მსოფლიო ისტორიის ფუნდამენტურ გაგებაშია მოქცეული და დღევანდელობასაც/აწმყოსაც ამ ისტორიიდან ქმნის. მესამე, აღნიშნული დისტანცირება, გიდენსის მიხედვით, თანამედროვეობის დინამიზმის მეორე წყაროს – გამოთავისუფლების – მნიშვნელოვანი წინა პირობაა.

გიდენსის მიხედვით, „გამოთავისუფლება" სოციალური ურთიერთობების ურთიერთქმედებების ლოკალური კონტექსტებისაგან „მოწყვეტას" და მათ სივრცე-დროის შეუზღუდავ მონაკვეთებზე რესტრუქტურირებას გულისხმობს (1990, გვ. 21). თანამედროვე საზოგადოებებში გადამწყვეტ როლს ორი გამხრწნელი მექანიზმი ასრულებს. პირველია სიმბოლური ნიშნები, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ფულია. დრო-სივრცულ დისტანცირებას სწორედ ფული უზრუნველყოფს: ჩვენ შეგვიძლია დროსა და სივრცეში საკმაოდ შორს მყოფ ადამიანებთან შევთანხმდეთ. მექანიზმების მეორე ტიპია ექსპერტული სისტემები, რომლებიც განისაზღვრება, როგორც „ტექნიკური შესრულების ან პროფესიული ექსპერტიზის სიტემები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მატერიალურ და სოციალურ გარემოს აწესრიგებენ". ექსპერტული სისტემები ისეთ პროფესიონალებს აერთიანებს, როგორებიცაა ექიმები და იურისტები, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურობაშიც, ჩვენი მანქანები და სახლები ასევე ექსპერტული სისტემების მიერაა შექმნილი და ზემოქმედებას მათი მხრიდან განიცდიან. ექსპერტული სისტემები დროსა და სივრცის მიღმა ქმედების გარანტიებს გვაძლევს (თუმცა რისკი არის).

თანამედროვე საზოგადოებებში, სადაც მნიშვნელოვნად დრო-სივრცული დისტანცირებით აბსტრაქტული სისტემები ბატონობს, უდიდესი მნიშვნელობა ნდობას აქვს. ნდობის მოთხოვნა ამ დისტანცირებასთანაა დაკავშირებული: „ჩვენ არა გვაქვს ვინმეს ნდობის მოთხოვნა, ვინც მუდმივად ჩვენი მხედველობის არეშია და ვის ქმედებასაც შეიძლება თვალყური ვადევნოთ" (გიდენსი, 1991, გვ.19). ნდობა მაშინ ხდება აუცილებელი, როდესაც ჩვენ, დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით მზარდი დისტანცირების შედეგად, სოციალური ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია აღარა გვაქვს. ნდობა – ეს „რაიმე მოვლენის შესახებ ადამიანის ან სისტემის საიმედობის რწმენაა, სადაც ეს რწმენა ადამიანის პატიოსნების, სხვისი სიყვარულის ან აბსტრაქტული პრინციპების (ტექნიკური ცოდნის) რწმენაა" (1990). ნდობას უდიდესი მნიშვნელობა არა მხოლოდ მთლიანად თანამედროვე საზოგადოებაში, აგრეთვე, სიმბოლური ნიშნებისა და ექსპერტული სისტემებისათვის აქვს, რომლებ-

საც თანამედროვე სამყაროში გამოთავისუფლების მექანიზმის ფუნქციები აკისრია. მაგალითად, ფულადი ეკონომიკისა და სამართლებრივი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, ადამიანს მათ მიმართ ნდობა ქონდეს.

რეფლექსურობა – ეს თანამედროვეობის დინამიკურობის მესამე მახასიათებელია. გიდენსის სტრუქტურაციული თეორიის ფუნდამენტური თვისება (ისევე როგორც, მისი აზრით, ადამიანური არსებობის), რეფლექსურობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას თანამედროვეობაში იძენს, სადაც „სოციალური პრაქტიკა არსებითად იცვლის ხასიათს, რადგან მას ამ პრაქტიკების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მუდმივად იკვლევენ და გარდაქმნიან“ (1990). თანამედროვე სამყაროში რეფლექსიისათვის ყოველივე ღიაა, მათ შორის, თვით რეფლექსიაც, რაც სრული გაურკვევლობის შეგრძნებას გვიქმნის. ამავე დროს, აქ ორმაგი ჰერმენევტიკის პრობლემა ხელახლა იჩენს თავს, რადგან ექსპერტების რეფლექსია სოციალურ სამყაროზე, როგორც წესი, თვით ამ სამყაროს ცვლის.

თანამედროვე ცხოვრების გაშუალებული ხასიათი რიგ განსაკუთრებულ კითხვებს აყენებს. ერთი მათგანი – ზოგადად, აბსტრაქტული სისტემებისადმი და, კერძოდ, საექსპერტო სისტემებისადმი ნდობის აუცილებლობაა. თავის ერთ-ერთ სადავო მეტაფორაში გიდენსი ამბობს, რომ „ბავშვებს პირველადი სოციალიზაციის პერიოდის ნდობის „დოზით აცრიან“, რომელიც ასაკში შესვლისას მათ მიერ გარკვეული ონტოლოგიური უსაფრთხოების ნდობის შეძენას ხელს უწყობს. ეს ნდობა, როგორც წესი, ყოველდღიური მოვლენების პარალელურად ძლიერდება. მაგრამ არსებობს თანამედროვეობასთან დაკავშირებული ახალი და საშიში რისკიც, რომელიც მუდმივად ემუქრება ჩვენს ნდობას და ყოვლისმომცველი ონტოლოგიური არასაიმედოობისაკენ გვიბიძგებს. ასე თვლის გიდენსი, თუმცა გამხრწნელმა მექანიზმებმა ზოგიერთ სფეროებში ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველყვეს, მაგრამ მათვე „რისკის განსაკუთრებული პროფილიო შექმნეს. რისკის ხასიათი შემთხვევითი მოვლენების სიძლიერისა (ბირთვული ომი ჩვენ ყველას გაგვანადგურებს) და გავრცელების თვალსაზრისით გლობალურია, რადგან მსოფლიოში ადამიანთა უმრავლესობას ეხება (მაგალითად, ცვლილებები შრომის საერთაშორისო დანაწილების სფეროში). გარდა ამისა, გარემომცველი სამყაროს მართვის მცდელობაც ასევე შეიცავს რისკს. რისკის ალბათობას ინსტიტუციონალური გარემოც, მაგალითად, ინვესტიციის გლობალური ბაზრებიც, შეიცავს. ადამიანები სულ უფრო აცნობიერებენ რისკის არსებობას და რელიგიაც და ადათ-წესებიც სულ უფრო ნაკლებ იმედს იძლევიან, რომ ამ რისკების იმედის საფუძვლად გადაკეთებას შეძლებენ. დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი იმ რისკების შესახებ, რომლებიც ჩვენ გვემუქრება, ალბათ, ინფორმირებულია. დაბოლოს, ცნობიერებას უმძიმს იმის გაცნობიერება, რომ რისკისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობებში ექსპერტული სისტემები შეზღუდულია.

რა მოხდა? რატომაა, რომ ჩვენ თავად ვართ თანამედროვეობის, ამ დამანგრეველი მანქანის, მგზავრები და მაინც ნეგატიური შედეგები გვაქვს? გიდენსი რამდენიმე მიზეზს ასახელებს. მათგან პირველი – კონსტრუქციის დეფექტებია, რომელსაც თანამედროვე სამყაროში აქვს ადგილი: მათ, ვინც შექმნეს თანამედროვე სამყაროს ელემენტები, შეცდომები დაუშვეს. მეორე შესაძლო მიზეზი – ოპერატორთა უუნარობაა: პრობლემა ეხება არა იმათ, ვინც შექმნა თანამედროვე სამყარო, არამედ იმათ, ვინც მას მართავს. მაგრამ გიდენსი ძირითად მნიშვნელობას შემდეგ ორ ფაქტორს ანიჭებს. ესენია – წინასწარგანუსაზღვრელი შედეგები და სოციალური ცოდნის რეფლექსურობა. მხედველობაში მიიღება ის, რომ ახალი ცოდნა სისტემას მუდმივად ახალი მიმართულებებით უბიძგებს და რომ სისტემაზე ქმედების გავლენის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. ჩამოთვლილი მიზეზების

გამო ჩვენ ვერ შევძლებთ, დამანგრეველი ძალა – თანამედროვე სამყარო – ვაკონტროლოთ.

და მაინც, გიდენსი არ თმობს და უტოპიური რეალიზმის პარადოქსულ კურსს გვთავაზობს, ის უტოპიურ იდეალებსა და თანამედროვე ცხოვრების რეალიებს შორის წონასწორობას ეძებს. ის ასევე მნიშვნელობას სოციალური მოძრაობების იმ როლს ანიჭებს, რომელიც მათ თანამედროვე სამყაროს ზოგიერთი რისკის დასაძლევად, მათ შესანელებლად შეიძლება შეასრულონ.

გიდენსის მცდელობა, მოიძიოს კომპრომისული პოლიტიკური პოზიცია, ერთ-ერთი ბოლო წიგნის დასახელებაში – „მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის მიღმა: რადიკალური პოლიტიკის მომავალი“ ჩანს. მაშინ, როდესაც არსებული პოლიტიკური პოზიციები სიცოცხლისუნარიანობას კარგავს, გიდენსი უტოპიურ რეალიზმზე დაფუძნებულ გარდაქმნილ „რადიკალურ პოლიტიკას“ გვთავაზობს, რომელიც სიღარიბის, გარემოს დაბინძურების, სოციალურ ცხოვრებაში ძალადობის, იძულების, დესპოტური ძალაუფლების პრობლემებზეა ორიენტირებული. გიდენსის პოლიტიკურ პოზიციაში კაპიტალიზმის ზოგიერთი ასპექტები (მაგალითად, ბაზრის) – მიღებული, სოციალიზმის მრავალი ასპექტი (მაგალითად, რევოლუციის) კი უარყოფილია. ამგვარად, გიდენსი უპირატესობას ძალზე ვიწრო და ძნელ პოლიტიკურ ბაგირზე სიარულს ანიჭებს.

თანამედროვეობაზე გამოთქმული შეხედულებების საფუძველზე შევეცადოთ განვსაზღვროთ, თუ როგორია გიდენსის პოზიცია პოსტთანამედროვეობის მიმართ. ერთი მხრივ, ის პრაქტიკულად ყველა იმ პრინციპს უარყოფს, რომელსაც ჩვენ პოსტმოდერნიზმთან ვაკავშირებთ. მაგალითად, როდესაც სისტემური ცოდნის შეუძლებლობის საკითხს ეხება, გიდენსი ამბობს, რომ ეს თვალსაზრისი ჩვენ „ინტელექტუალური მოღვაწეობის სრულ უარყოფამდე მიგვიყვანს“ (1990). მაგრამ ამავე დროს მიაჩნია, რომ ჩვენ „მაღალი“ თანამედროვეობის ეპოქაში ვცხოვრობთ. ამ სამყაროს კი, მისი აზრით, პოსტდეფიციტური სისტემა, სულ უფრო მრავალფენოვანი დემოკრატიზაცია, დემილიტარიზაცია და ტექნოლოგიის ჰუმანიზაცია უნდა ახასიათებდეს. მაგრამ, ცხადია, არანაირი გარანტიები არ არსებობს, რომ სამყარო გეზს პოსტმოდერნის რომელიმე, რომ არაფერი ვთქვათ მის სრულ სპექტრზე თვისებისაკენ აიღებს. გიდენსის აზრით, რეფლექსურობა ვლინდება იმაში, რომ ასეთ შესაძლებლობებზე საუბრისას ის (სხვებიც) შეიძლება, გარკვეული აზრით, მათ განხორციელებას ხელს უწყობს.

3. თანამედროვეობა და იდენტობა

„თანამედროვეობის შედეგები“ უფრო მაკროორიენტირებული ხასიათისაა, ხოლო „თანამედროვეობასა და თვითგანსაზღვრაში“ (გიდენსი, 1991) მეტი ყურადღება გვიანდელი თანამედროვეობის ეპოქისა და პიროვნების მიკროასპექტებს ეთმობა. რა თქმა უნდა, გიდენსი პიროვნებას თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუტებთან დიალექტიკურ კავშირში განიხილავს, მაგრამ აქ ძირითად ყურადღებას ის კონტინუუმის მიკრომხარეს უთმობს. ჩვენც აქცენტი მიკრორიგის საკითხებზე გავაკეთოთ, მაგრამ არც ზოგადი დიალექტიკა დაგვრჩეს უყურადღებოდ: თვითგანსაზღვრისა და გლობალიზაციის ტრანსფორმაცია... – ეს მაღალი თანამედროვეობის პირობებში ლოკალურისა და გლობალურის დიალექტიკის ორი პოლუსია. პირადული ცხოვრების ინტიმურ ასპექტებში ცვლილებები..... ძალზე ფართო მასშტაბების სოციალური კავშირების დამყარებასთან უშუალოდაა დაკავშირებული.... პირველად კაცობრიობის ისტორიაში „პიროვნება“ და „საზოგადოება“ ურთიერთდაკავშირებული გლობალურ გარემოში არიან.

როგორც ვნახეთ, გიდენსი თანამედროვე სამყაროს, როგორც რეფლექსურს განსაზღვრავს და ამტკიცებს, რომ „თანამედროვეობის რეფლექსურობა შედის პიროვნებაში... პიროვნება „რეფლექსურ პროექტად“ გადაიქცა. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ისეთი რამ გახდა, რაზეც შეიძლება საუბარი, შეიძლება მისი შეცვლა და ჩამოყალიბებაც კი. ინდივიდი არა მხოლოდ პასუხისმგებელია საკუთარი პიროვნების შექმნასა და შენარჩუნებაზე, არამედ, ეს პასუხისმგებლობა მუდმივი, ყოვლისმომცველი ხასიათისაა. პიროვნება თვითგამორკვევის და ასევე მჭიდრო სოციალური ურთიერთობების განვითარების შედეგია. თანამედროვე სამყაროში სხეულიც კი „სოციალური ცხოვრების რეფლექსურ ორგანიზაციაშია ჩართული“ (გიდენსი, 1991,გვ.98). ჩვენ პასუხს არა მხოლოდ ჩვენი პიროვნების, არამედ (რაც ამასთან კავშირშია) ჩვენი სხეულის ფორმირებაზეც კი ვაგებთ. პიროვნების რეფლექსურ შექმნასა და შენარჩუნებაში ცენტრალური მნიშვნელობა სხეულის ფორმას და მის განსხვავებულ პირობებსა და ვითარებებში შესაბამის გამოვლენებს აქვს. გარდა ამისა, სხეული განსხვავებულ რეჟიმებშია (მაგალითად, წიგნები დიეტის შესახებ და ფიზიკური ვარჯიშები) მოქცეული, რომელიც არა მხოლოდ ეხმარება ინდივიდს სხეულის ჩამოყალიბებაში, არამედ თვითრეფლექსურობას, ასევე, ზოგადად, თანამედროვეობის რეფლექსურობას ხელს უწყობს. მთლიანობაში შედეგი ასეთია, თანამედროვე სამყაროსათვის საკუთარი სხეულისა და პიროვნების მიმართ შეშლილი ყურადღებაა დამახასიათებელი.

თანამედროვე სამყაროს თან „გამოცდილების სეკვესტრი“ მოაქვს, ანუ „შენიღბვის პროცესები, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების რუტინულ მომენტებს ისეთი მოვლენებისაგან გამოყოფს, როგორებიცაა: სიგიჟე, დამნაშავეობა, დაავადება და სიკვდილი, სქესობრივი ცხოვრება, ბუნებაო (1991). აღნიშნული სეკვესტრი ყოველდღიურ ცხოვრებაში აბსტრაქტული სისტემების ზრდის შედეგია. ეს იზოლაცია ჩვენი ონტოლოგიური უსაფრთხოების საფუძველია, მაგრამ ის „სოციალური ცხოვრებიდან იმ ფუნდამენტური ეგზისტენციალური საკითხების ამოღებად დაგვიჯდა, რომლებიც ადამიანებს მნიშვნელოვანი ზნეობრივი დილემების წინაშე აყენებენ“ (1991).

თუმც თანამედროვეობა ორლესულ ხმალს ჰგავს, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს, გიდენსი პიროვნების უაზრობის კარს მომდგარ ფუნდამენტურ საშიშროებას აცნობიერებს (1991,გვ.201). ყოველივე მნიშვნელოვანი ყოველდღიური ცხოვრებიდან გაქრა, ის დაითრგუნა. მაგრამ დიალექტიკური, მზარდი თვითრეფლექსურობა იმის დაბრუნების ალბათობას ზრდის, რაც დათრგუნვილია. გიდენსს მიაჩნია, რომ ჩვენ შევდივართ იმ სამყაროში, სადაც „კოლექტიურ დონეზე და ყოველდღიურ ცხოვრებაში ზნეობრივ-ეგზისტენციალური საკითხები არენის ცენტრს კვლავაც დაიკავებენ“ (1991, გვ. 208). პოსტთანამედროვეობა, გიდენსის აზრით, არის სამყარო, რომელიც „რემორალიზაციით“ ხასიათდება. ზნეობრივი და ეგზისტენციალური პრობლემები, რომლებიც სოციალური ცხოვრებიდან ამოიღეს კვლავ ცენტრალურ ადგილს დაიკავებენ საზოგადოებაში, რომელსაც, გიდენსის აზრით, გვიანდელი თანამედროვეობის თვითრეფლექსურობა გულისხმობს და წინასწარმეტყველებს.

თანამედროვეობა და ინტიმურობა

ამ საკითხთაგან უმეტესობას გიდენსი „ინტიმურობის ტრანსფორმაციაში“ (1992) ეხება. აღნიშნულ ნაშრომში გიდენსი ინტიმური ურთიერთობების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს განიხილავს, რომლებშიც თანამედროვე სამყაროს შესახებ მისი განაზრებების მეორე მნიშვნელოვანი ცნების წმინდა ურთიერთობებისაკენ გადანაცვლება შეიმჩნევა. ესაა „სიტუაციები, როდესაც სოციალურ ურთიერთობებში თავად ურთიერთობის გამო, ანუ იმისათვის შედიან, რასაც თითოეული მეორესთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად

მიიღებს; და რომელიც გრძელდება მანამ, სანამ ყოველ მათგანს ეს ურთიერთობა აკმაყოფილებს და მას ინარჩუნებს“ (გიდენსი, 1992, გვ.58). ინტიმურ ურთიერთობაში წმინდა ურთიერთობები სექსუალური და ემოციური თანასწორობის პირობებში საკუთარ თავსა და მეორე ადამიანთან ემოციური კომუნიკაციით ხასიათდება. ინტიმური ურთიერთობების დემოკრატიზაციამ არა მხოლოდ პიროვნული ურთიერთობების, არამედ მაკროინსტიტუციონალური ვითარების დემოკრატიზაციაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ცვლილებებს ინტიმურ ურთიერთობებში, როდესაც ქალებმა ინიციატივა („ემოციურობის თანამედროვე რევოლუციონერები“) საკუთარ თავზე აიღეს, ხოლო მამაკაცები „დაჩიავებულებად“ გამოვლინდნენ, მთლიანობაში, საზოგადოებისათვის რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა.

თანამედროვე სამყაროში ინტიმური ურთიერთობები და სქესობრივი ცხოვრება (და როგორც ვნახეთ, სხვა რამეც) შეიზღუდა. მაგრამ ეს, ინტიმური ურთიერთობებისაგან განმათავისუფლებელი სეკვესტრი, ტრადიციულ საზოგადოებებში ჩაგვრის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. უფრო წმინდა ინტიმური ურთიერთობების შექმნის რეფლექსური მცდელობა დიდი ეთიკურ-ზნეობრივი საკითხებისაგან დამოუკიდებლად უნდა ხორციელდებოდეს. მაგრამ ეს თანამედროვე განწყობაც განიცდის ზეწოლას, როდესაც ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, ცდილობენ, საკუთარი თავიც და სხვაც რეფლექსურად ჩამოაყალიბონ. ამგვარად, გიდენსი არა სექსუალურ თავისუფლებას ან პლურალიზმს იცავს, არამედ ფართო მორალურ-ეთიკური ცვლილებების მომხრეა, ცვლილებებისა, რომლებიც, მისი აზრით, ინტიმურ ურთიერთობებში უკვე მიმდინარეობს: განთავისუფლების პროექტის რეალიზაციის ხელშესაწყობად არ არის აუცილებელი, სოციოპოლიტიკურ რევოლუციას ველოდოთ, ასეთი რევოლუცია ამას მნიშვნელოვნად არც კი შეუწყობდა ხელს. რევოლუციური პროცესები პირადი ცხოვრების ინფრასტრუქტურაში უკვე მიმდინარეობს. ინტიმურობის ტრანსფორმაცია ფსიქიკურ და სოციალურ ცვლილებებს მოითხოვს და ასეთ ცვლილებებს, რომლებიც „ქვემოდან ზემოთ“ მიემართებიან, პოტენციურად გაფართოება და სხვა, უფრო საჯარო ინსტიტუტების ჩათრევაც კი შეუძლიათ (გიდენსი, 1992, გვ. 181-182).

4. რისკის საზოგადოება: რისკების შექმნა და მართვა

ჩვენ უკვე შევეხეთ რისკის საკითხს გიდენსის შემოქმედების იმ ნაწილში, რომელიც თანამედროვეობის პრობლემებს ეძღვნება. როგორც გიდენსი წერს, თანამედროვეობა – ეს რისკის კულტურაა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ სოციალური ცხოვრება არსებითად უფრო საშიში გახდა, ვიდრე ადრე იყო; ადამიანთა უმრავლესობისათვის ეს ასე არაა. რისკის ცნებას ფუნდამენტური მნიშვნელობა უფრო იმ სოციალური სფეროს მიმართ აქვს, რომელიც არაპროფესიონალი აქტორებისა და ასევე არაპროფესიონალი ტექნიკური სპეციალისტების მიერაა ორგანიზებული. თანამედროვეობა ცხოვრების ზოგიერთ სფეროებსა და ფორმებში რისკის ფაქტორს ამცირებს, მაგრამ, ამავე დროს, რისკის ისეთი პარამეტრები შემოაქვს, რომლებიც წინა ეპოქებისათვის ძირითადად ან სრულიად უცნობი იყო (გიდენსი, 1991,გვ.3).

ამიტომ, გიდენსი „აბსოლუტურად ზუსტს“ უწოდებს ულრიხ ბეკის ნაშრომში „რისკის საზოგადოება: ახალი თანამედროვეობისათვის“ (1992) მოყვანილ თეზისს, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ. ჩვენი ანალიზის მიხედვით, ბეკის ნაშრომის ქვესათაურს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმაზე მიუთითებს, რითაც ის, ისევე როგორც გიდენსი, უარყოფს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ჩვენ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში შევდივართ. ბეკის აზრით, ჩვენ კვლავ, თუმცა ახალი ფორმის, მაგრამ მაინც თანამედროვეობაში ვიმყოფე-

ბით. თანამედროვეობის წინა „კლასიკური“ ფაზა ინდუსტრიულ საზოგადოებასთან ასოცირდება, მაშინ როდესაც ახალი თანამედროვეობა და მისი ტექნოლოგია რისკის საზოგადოებასთანაა დაკავშირებული (1997). თუმცა ჩვენ ჯერ რისკის საზოგადოებაში არ ვცხოვრობთ, მაგრამ უკვე არც მხოლოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ; ე.ი. თანამედროვეობა ორივე სტადიის ელემენტებს აერთიანებს. ფაქტობრივად, რისკის საზოგადოებას შეიძლება ინდუსტრიული საზოგადოების ნაირსახეობა ვუწოდოთ, რადგან ამ რისკთაგან მრავალი ინდუსტრიულ განვითარებასთანაა დაკავშირებული. საკუთარ პოზიციას ბეკი შემდეგნაირად აჯამებს: ზუსტად ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, მოდერნიზაციამ ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა დაამსხვრია და ინდუსტრიული საზოგადოება გააჩინა, დღეს უკვე მოდერნიზაცია ამსხვრევს ინდუსტრიულ საზოგადოებას და ახალი თანამედროვეობა იბადება. ამ წიგნის თეზისი შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ არა თანამედროვეობის დასასრულის, არამედ თანამედროვეობის, ე.ი. მისი კლასიკური ინდუსტრიული კონსტრუქციის საზღვრებს მიღმა დასაწყისის მოწმენი ვართ (1992).

რას წარმოადგენს ახალი თანამედროვეობა? როგორია მისი თანმდევი რისკის საზოგადოება? ბეკი ახალ ან, უკეთესია ვთქვათ, აღმოცენებად ეტაპს რეფლექსურ თანამედროვეობას უწოდებს. დასავლეთში ინდივიდუალიზაციის პროცესი განხორციელდა. ე.ი. სოციალური აგენტები სტრუქტურული შეზღუდვებისაგან უფრო თავისუფალი არიან და შედეგად, მეტი შესაძლებლობები აქვთ, რეფლექსურად არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ საზოგადოებაც შექმნან, რომელშიც ცხოვრობენ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი კლასობრივი პოზიციის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდე, ადამიანები მეტნაკლებად თავისუფლად მოქმედებენ. თავის თავს მინდობილნი, ადამიანები იძულებული არიან, უფრო რეფლექსური იყვნენ. არსებული სოციალური ურთიერთობის მაგალითზე ბეკი რეფლექსურობის მნიშვნელობას ამტკიცებს: „ახლად ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობები და სოციალური ქსელი ინდივიდუალურად უნდა შეირჩიო; სოციალური კავშირები ასევე რეფლექსურებია, ასე რომ, იძულებული ვართ, მუდმივად განახლებადი ინდივიდები გავხდეთ, შევინარჩუნოთ და ვიყოთ (1992, გვ. 97).

ბეკი თანამედროვეობაში წყვეტას ხედავს და კლასობრივი ინდუსტრიული საზოგადოებიდან რისკის საზოგადოებაზე გადასვლაზე საუბრობს, რომელიც, მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ინდუსტრიული საზოგადოების ბევრ მახასიათებლებს ინარჩუნებს. კლასიკური თანამედროვეობის ცენტრალური საკითხი სიმდიდრე და მისი სამართლიანი განაწილების წესები იყო. განვითარებულ თანამედროვეობაში ცენტრალური საკითხი კი რისკი, მისი უგულებელყოფა, მინიმიზაცია და მართვაა. კლასიკური თანამედროვეობის იდეალი თანასწორობა იყო, განვითარებული თანამედროვეობის იდეალი კი უსაფრთხოებაა. კლასიკურ თანამედროვეობაში ადამიანები თანასწორობის პოზიტიური მიზნების ძიებაში სოლიდარულნი იყვნენ, განვითარებულ თანამედროვეობაში კი ამ სოლიდარობის მიღწევის მცდელობა საშიშროებებისაგან თავდაცვის ძიებაში შეიმჩნევა.

რისკის შექმნა

რისკი თანამედროვე საზოგადოებაში, მნიშვნელოვანი დოზით, სიმდიდრის წყაროებითაა გამოწვეული, განსაკუთრებით, სამრეწველო განვითარება და მისი გვერდითი ეფექტები საზოგადოებისათვის მრავალრიცხოვან, ხოლო გლობალიზაციის დახმარებით, მთელი მსოფლიოსათვის დამღუპველ საშიშროებებს ბადებენ. დროისა და სივრცის ცნების გამოყენებით, ბეკი აღნიშნავს, რომ თანამედროვე რისკი არც ადგილით (ბირთვული კატასტროფა ერთი გეოგრაფიული ადგილიდან სხვასაც შეეხება) და არც დროით არის შემო-

საზღვრული (ბირთვული კატასტროფა გენეტიკურ ზემოქმედებას შემდეგ თაობებზე იქონიებს).

ინდუსტრიული საზოგადოებისათვის ცენტრალური მნიშვნელობა სოციალურ კლასს აქვს, ხოლო რისკის საზოგადოებაში რისკი და კლასი ურთიერთდაკავშირებულნი არიან. როგორც ბეკი წერს, რისკის გავრცელების ისტორია გვიჩვენებს, რომ რისკი ისევე, როგორც სიმდიდრე, დაკავშირებულია კლასობრივ სისტემასთან, ოღონდ შებრუნებული სახით: სიმდიდრე გროვდება ზემოთ, რისკი კი – ქვემოთ. ამ კუთხით რისკი აძლიერებს კლასობრივ საზოგადოებას და არა პირიქით. სიღარიბე რისკის უბედურ ნაწილს იზიდავს. სიმდიდრეს (შემოსავალში, ძალაუფლებაში ან განათლებაში), პირიქით, რისკისაგან უსაფრთხოების ყიდვა შეუძლია.

რაც სამართლიანია სოციალური კლასების მიმართ, სამართლიანია ასევე სახელმწიფოს მიმართაც, ე.ი., რამდენადაც ეს შესაძლებელია, რისკი კონცენტრირებულია ღარიბ სახელმწიფოებში, მაშინ როდესაც მდიდარ ქვეყნებს შესწევთ უნარი, მაქსიმალურად დაიცვან თავი. მეტიც, მდიდარ ქვეყნებს ამ რისკებიდან, რომელთაც თავადვე ქმნიან, მოგებაც კი აქვთ, მაგალითად, ქმნიან და ყიდიან რისკებისაგან თავდასაცავ ტექნოლოგიას, რისკის არასასურველი შედეგებისაგან თავდაცვის საშუალებებს, თუ ისინი მაინც იჩენენ თავს.

მაგრამ არც ინდივიდები და არც სახელმწიფოები, რომლებიც ქმნიან რისკს, არ არიან მისგან დაზღვეულნი. ამ კონტექსტში ბეკი განიხილავს იმას, რასაც „ბუმერანგის ეფექტს“ ეძახიან, საიდანაც რისკის გვერდითი ეფექტები რისკისაგან „ასხლეტილი რისკის შექმნის ცენტრებამდეც კი აღწევენ. თავად მოდერნიზაციის აგენტებს ჩაითრევს საშიშროების მორევში, რომლებსაც თავისუფლებას თავადვე ანიჭებენ და საიდანაც სარგებელს იღებენ“.

რისკის მართვა

რისკების წარმოქმნისას განვითარებული მოდერნიზაცია ასევე ქმნის რეფლექსურობას, რაც საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი და მის მიერ შექმნილი რისკიც ეჭვქვეშ დააყენოს. თავად ადამიანები, არსებითად, რისკის მსხვერპლნი, ამ რისკებზე ფიქრს იწყებენ. ისინი აკვირდებიან რისკებს და ადამიანებისათვის მის შედეგებზე მასალებს აგროვებენ. თავადვე ხდებიან ექსპერტები, თანამედროვეობის განვითარებულობასა და მის საშიშროებებში ეჭვი შეაქვთ. ამას უმეტესწილად იმიტომ აკეთებენ, რომ მეცნიერების აღარ სჯერათ. მართლაც, ბეკი მკაცრად ექცევა მეცნიერებს, რისკის საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაში მათი როლის გამო: „მეცნიერება ადამიანისა და ბუნების გლობალური მოწამვლის მფარველი გახდა“. (1992,გვ.70).

მაშინ, როდესაც კლასიკურ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ბუნება და საზოგადოება ცალ-ცალკე იყვნენ, განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ისინი მნიშვნელოვნად არიან გადახლართულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლილებები საზოგადოებაში ბუნებრივ გარემოზე ხშირად ზემოქმედებს, ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოებაზე ზემოქმედებს. ამგვარად, დღეს, ბეკის მიხედვით, ბუნება არის საზოგადოება, ხოლო საზოგადოება არის აგრეთვე „ბუნება“. მაშასადამე, ბუნებაც პოლიტიზებულია, შესაბამისად, ბუნებათმეცნიერებების წარმომადგენელთა შემოქმედებაც ისევე პოლიტიზებულია, როგორც სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა.

პოლიტიკის ტრადიციული სფერო, მთავრობა, კარგავს ძალას, რამდენადაც რისკის ძირითადი საშიშროება მოდის იქიდან, რასაც ბეკი „სუბპოლიტიკას“ უწოდებს. მაგალითად, დიდი კომპანიები, მეცნიერული ლაბორატორიები და ა.შ., „სწორედ სუბპოლიტიკურ სისტემაში და არა პარლამენტურ სისტემაში, არა ოპოზიციაში, არამედ, მათი სრული იგ-

ნორირებით, ახალი საზოგადოების სტრუქტურები პროგრესისა და ცოდნის საბოლოო მიზნის მიმართულებით მოქმედებენ“. ეს იმის ნაწილია, რასაც ბეკი „პოლიტიკის განთავისუფლებას“ უწოდებს, როდესაც პოლიტიკა აღარ არის მხოლოდ ცენტრალური მთავრობის საქმიანობა, არამედ მასში ჩართულნი არიან სხვადასხვა ქვეჯგუფები და ცალკეული ინდივიდებიც, რომლებიც შეიძლება მთავრობაზე უფრო რეფლექსურები და თვითკრიტიკულები იყვნენ, ჰქონდეთ უნარი, განიხილონ სხვადასხვა რისკები, უკეთ გაართვან მათ თავი. ამგვარად, დიალექტიკურად, განვითარებულმა თანამედროვეობამ უპრეცედენტო რისკები და მათი დაძლევის უპრეცედენტო მცდელობები შვა (ბეკი,1996).

5. მაკდონალდიზაცია, გლობალიზაცია, ამერიკანიზაცია და მოხმარების ახალი საშუალებები

ჯ. რიტცერი თავის ერთ-ერთ ნაშრომში თანამედროვეობის პრობლემას საზოგადოების მაკდონალდიზაციის, მაკდონალდიზაციასა და გლობალიზაცია-ამერიკანიზაციას შორის კავშირის და მოხმარების ახალი საშუალებების განვითარების ასპექტში აანალიზებს.

მაკდონალდიზაცია

„საზოგადოების მაკდონალდიზაციის“ (1993,1996,1998) დასაწერად ჯ. რიტცერს ბიძგი ვებერის რაციონალურობის საკითხისადმი მიძღვნილმა შემოქმედებამ მისცა. როდესაც მაკდონალდიზაციაზე ვსაუბრობთ, ჩვენთვის ძირითადია ის ფაქტი, რომ სწრაფი კვების რესტორანი ფორმალური რაციონალობის თანამედროვე პარადიგმას თავისთავად წარმოადგენს. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ვებერის დროისათვის ფორმალური რაციონალურობის სისტემის მოდელი ბიუროკრატია იყო, მაშინ, როდესაც დღეს მოცემული ტიპის რაციონალურობისათვის სწრაფი კვებისა და მომსახურების რესტორანი უფრო ადეკვატური პარადიგმაა. ბიუროკრატია ჯერ კიდევ ჩვენთანაა, მაგრამ ასეთი ტიპის რესტორანი რაციონალურობის საუკეთესო მაგალითია. ეს მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ფორმალური რაციონალურობა არ გამქრალა, არამედ იმასაც, რომ შენარჩუნებულია თანამედროვე სამყაროც, რომლის ქვაკუთხედი ასეთი გვარის რაციონალურობაა.

არსებობს ფორმალური რაციონალურობის ოთხი განზომილება: ეფექტურობა, პროგნოზირება, აქცენტი რაოდენობასა და არა ხარისხზე და კონტროლის განხორციელება ადამიანური ტექნოლოგიის უნიფიცირებული ოპერაციებით შეცვლის გზით; რაციონალურობის ამ სახეს, როგორც წესი, რაციონალურობის ირაციონალურობა შემოაქვს. ეფექტურობა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებების ძიებას ნიშნავს; სწრაფი კვების რესტორნებში შრომის ეფექტურობის გაზრდის კარგი მაგალითია მძღოლებისათვის მომსახურების ფანჯრების გაჭრა. პროგნოზირება ნიშნავს რეალობას მოულოდნელობების გარეშე; ბიგ მაკი ლოს-ანჟელესში არ განსხვავდება ნიუ- იორკის ბიგ მაკისაგან; ანალოგიურად, ბიგ მაკი, რომელსაც ჩვენ ხვალ ან შემდეგ როდისმე შევჭამთ, ზუსტად ისეთივეა, როგორიც დღეს. რაციონალური სისტემები, როგორც წესი, ყურადღებას აქცევენ რაოდენობას, ჩვეულებრივ დიდ რაოდენობას და არა ხარისხს. ბიგ მაკი ამის კარგი მაგალითია. მზარეულები მთლიანად იცავენ ამ პრინციპს. აღნიშნული ფორმალურ – რაციონალური სისტემები იყენებენ ირაციონალურ მომენტებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საკვების მიღების პროცესის დემისტიფიკაცია და დეჰუმანიზაცია.

მაშასადამე, სწრაფი კვების რესტორნებს ფორმალური რაციონალობა და მისი ცალკეული განზომილებები ახალ დონეზე აჰყავთ. გარდა ამისა, სოციალური სექტორის სხვა

უამრავი დაწესებულება ცდილობს, ყველა ან ზოგიერთ ინოვაციას გადააჭარბოს, რომლებიც სწრაფი კვების რესტორნებს შემოაქვს. თუ ჩვენ ფორმალურ რაციონალურობას თანამედროვეობასთან ვაიგივებთ, მაშინ ამ რესტორნების წარმატებები და საზოგადოების სხვა სფეროების მიერ მათი (რესტორნების) მოდელად მიღება მიუთითებს, რომ ჩვენ კვლავ თანამედროვე (Modern-ის) სამყაროში ვცხოვრობთ.

მოცემული არგუმენტი იმ ფაქტს ასაბუთებს, რომ სწრაფი კვების რესტორანს ფორდისტული ხასიათი აქვს, რაც ნათლად კონვეიერული პრინციპების გამოყენებასა და ტექნოლოგიებში გამოვლინდა. ის ინდუსტრიული პრინციპების ანალოგიურად არის აგებული და ამიტომ გამორიცხავს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ჩვენ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადავედით. თუმც ეკონომიკურ სფეროში შეიძლება ადგილი აქვს სხვა ცვლილებებს, რომლებიც პოსტინდუსტრიული საზოგადოების იდეას მხარს უჭერენ, სწრაფი კვების რესტორნები და მისი სხვა ანალოგიები ამ იდეას გამორიცხავენ. რაციონალიზაციის პრობლემის კუთხით ჯ. რიტცერმა ასევე საკრედიტო ბარათების სისტემა გამოიკვლია (1995). საკრედიტო ბარათებმა კრედიტების მიღებისა და ხარჯვის მაკდონალდიზაცია მოახდინა. სწრაფი კვების ნაცვლად, თანამედროვე ბანკები სწრაფად არიგებენ ფულს.

მაკდონალდიზაციის ყოველი განზომილება უდგება საკრედიტო ბარათების პრობლემას. სესხის აღების მთელი პროცესი უფრო ეფექტური გახდა. სესხის გაფორმების ხანგრძლივი და დამღლელი პროცესის ნაცვლად, დღეს პასუხი რამდენიმე მარტივ კითხვას უნდა გაეცეს. თუ ასეთი პროცედურა არასაკმაოდ ეფექტურია, ბევრს წინასწარ მომზადებულ საკრედიტო ბარათებს სთავაზობენ. პროგნოზირებას ყველაზე მეტად ის ფაქტი ავლენს, რომ საკრედიტო ბარათი ხელს მოხმარების წინასწარხედვას უწყობს: რაიმეს შეძენა ნაღდი ფულის გარეშეც შესაძლებელია. ადამიანთა უმეტესობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა საკრედიტო ბარათების რაოდენობას აქვს, რომელთა შეძენა მათ შეუძლიათ, თან ბარათების თანხების საერთო ჯამის გავლენას მათი ცხოვრების ხასიათზე ყურადღება არ ექცევა. ახალი ბარათების გამოცემა ან კრედიტზე ლიმიტის გაზრდა სულ უფრო ხშირად რთულ კომპიუტერულ პროგრამებს ევალება, თან ყოველდღიურ სიტუაციებში ადამიანები თითქმის არ მონაწილეობენ. საბოლოო ჯამში, საკრედიტო ბარათების ზედმეტად რაციონალიზებული ბიზნესი ისეთი ირაციონალური ნიშნებითაც ხასიათდება, როგორებიცაა – უნიფიცირებულ ტექნოლოგიასთან დაკავშირებული დეჰუმანიზაცია ან ბანკის რობოტებს მიმსგავსებული მოსამსახურეები, რომელთა ურთიერთობები კლიენტებთან მკაცრად რეგლამენტირებულია.

მაშასადამე, საკრედიტო ბარათები, ისევე, როგორც სწრაფი კვების რესტორნები, შეიძლება ჩვენს მაკდონალდიზებული, ფორმალურ-რაციონალიზებული და, საბოლოო ჯამში, თანამედროვე საზოგადოების ნაწილად იქნეს გაგებული. განხილული ორი მაგალითი უფრო უპრიანია, ვიდრე მათი წინამორბედი – ადგილობრივი სასაუზმე და პირადი სესხი. ჯდება კი ეს პროგრესი თანამედროვეობაში, თუ მისი აღწერისათვის აუცილებელია ისეთი ახალი ცნება, როგორიცაა პოსტმოდერნიზმი?

დამაჯერებლობის გარკვეული დოზით შეიძლება ითქვას, რომ აღწერილი ორივე შემთხვევა – რაციონალურობა და, მაშასადამე, თანამედროვეობა (Modern) – დღეისათვის ერთად ყოფნას აგრძელებენ. სხვა მოვლენების აღწერა „პოსტმოდერნიზმის“ ცნებით შესაძლებელიც რომ იყოს (რაც ერთობ საეჭვოა), ზემოთ ხსენებული თანაარსებობა, როგორც მინიმუმ, პოსტმოდერნიზმის უკიდურეს პრეტენზიებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. თუ დღევანდელობის ბევრი ასპექტი უკეთ ხასიათდება, როგორც თანამედროვეობა, მაშინ ჩვენი პოსტმოდერნიზმში გადასვლის იდეა ან ნაადრევია, ან მცდარი.

გლობალიზაცია თუ ამერიკანიზაცია

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც მაკდონალდიზაცია სვამს იმაში მდგომარეობს, თუ როგორ აღვწეროთ ეს პროცესი: როგორც გლობალიზაცია თუ, როგორც ამერიკანიზაცია.

ამერიკანიზაცია

ჩვეულებრივ, ამერიკანიზაციის პრობლემა სოციალური თეორიის ნაწილად არ განიხილება, მაგრამ ისეთ კლასიკურ თეორეტიკოსსაც კი, როგორიცაა გეორგ ზიმელი, მისი დროის მზარდი „ამერიკანიზმი“ აფიქრებდა. ყოველივესთან ერთად, ზიმელისათვის ეს „თანამედროვე ადამიანის უზარმაზარი ბედნიერების სურვილს“ და, უფრო ნეგატიურ ასპექტში, „თანამედროვე სიხარბეს“ ნიშნავდა. დროთა განმავლობაში, მთელ რიგ შრომებში, რომლებიც სოციალურ თეორიას უშუალოდ არ ეხებოდა, ამერიკანიზაციის საკითხებზეა საუბარი. ზოგადი კუთხით ამერიკანიზაციას მოდერნიზაციის თეორია განიხილავს. მოდერნიზაციის თეორეტიკოსები, როგორც წესი, დასავლურ, განსაკუთრებით, ამერიკულ მიღწევებს აღმერთებენ და დანარჩენ სამყაროს ამ მიმართულებით მოძრაობისკენ მოუწოდებენ.

ზოგადად „ამერიკანიზაცია“ არის ტერმინი, რომელიც ამერიკის, მისი ნორმების, ღირებულებების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების დანარჩენ მსოფლიოზე გავლენას ასახავს. ამერიკანიზაციის პრობლემებზე დაწერილი შრომების უმრავლესობა ამერიკელებს არ ეკუთვნის, ამიტომ ისინი ძირითადად კრიტიკული ხასიათისაა. მაკ-კრიარი ამერიკანიზაციას აღწერს, როგორც „ყოველივე იმის სტვენით გამოხატვა, რაც მოლაპარაკეს მორალურად და ემოციურად არ მოსწონს“.

რესტორანი „მაკდონალდსი“ და მისი მაკდონალდიზებული ნაირსახეობების უმრავლესობა ამერიკული საზოგადოების პროდუქტი და დანარჩენ მსოფლიოში აგრესიული ექსპორტის საგანია. მაგალითად, დღეს ფირმა „მაკ-დონალდსი“ ახალ-ახალ განყოფილებებს მთელს მსოფლიოში მეტი რაოდენობით ხსნის, ვიდრე თვით აშშ-ში, და მოგების ნახევარზე მეტს დანარჩენი მსოფლიოდან ღებულობს. ამერიკული ექსპორტის პროდუქტს, მაკ-დონალდსს, რადიკალური ცვლილებები შეაქვს იმაში, თუ დღეს დანარჩენი მსოფლიო რას და როგორ მიირთმევს. გარდა ამისა, თუმცა მაკ-დონალდსი მთელმა მსოფლიომ მიიღო, ის ინტელექტუალებისა და საზოგადო ლიდერების მიერ მაინც უარყოფითად იქნა შეფასებული. ამგვარად, ამერიკული ექსპორტისა და, იმავდროულად, განკიცხვის საგანი „მაკ-დონალდსი“ (და სხვა მაკდონალდიზებული სისტემები) ამერიკანიზაციის პროცესს ნათლად ასახავენ.

გლობალიზაცია

მაშინ, როდესაც ამერიკანიზაცია სოციალური თეორეტიკოსებისათვის პატარა ინტერესის ობიექტია, გლობალიზაცია თანამედროვე სოციალური თეორიისათვის პირველი რიგის აქტუალურ პრობლემად ითვლება. ეს საკითხი წინა პლანზე ერთ-ერთმა ცნობილმა მეცნიერმა – როლანდ რობერტსონმა წამოსწია (1992,გვ.61,64), რომელიც ამტკიცებდა, რომ უმჯობესია, სოციალური თეორეტიკოსები „სპეციფიკურ გლობალურ თვალსაზრისზე“ დადგნენ და „გლობალური პირობები, როგორც ასეთი, განიხილონ“. უფრო კონკრეტული და გამოკვეთილი ხასიათისაა რობერტსონის დებულება, რომ „გლობალიზაციის პროცესს, რომელიც მკაცრად სოციეტალური და სხვა სოციოკულტურული პროცესების შესწავლისაგან შედარებით დამოუკიდებლად მიმდინარეობს, ავტონომიურობა და „ლოგიკა“ ახასიათებს“.

სწორედ ეს ყურადღება გლობალური და ავტონომიური პროცესების მიმართ არის გლობალიზაციის თეორიის დამახასიათებელი ნიშანი. მაგალითად, აპადურაი (1990) გამოყოფს „მესამე კულტურების“ რიგს, რომელთაც ავტონომიურობა ახასიათებთ, ეროვნულ საზღვრებს არღვევენ და გლობალურ მასშტაბებში არსებობენ. მაგალითად, ფინანსური გადაადგილება „ფულის უზარმაზარი მოცულობის მიერ ეროვნული საზღვრების გამშვებ პუნქტებზე დიდი სისწრაფით გადასვლას“ გულისხმობს. ამ ფინანსური გადაადგილების ნაწილი სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრებზე საერთაშორისო ვაჭრობაა. შემდეგ, არსებობს ეთნიკური გადაადგილება, ადამიანთა დიდი ჯგუფების ტურისტული ადგილმონაცვლეობა. სასტუმროების საერთაშორისო ქსელი, დისნეილენდები, გართობის თავისი თემატური პარკებით, არსებობს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ საფრანგეთშიც, იაპონიაშიც და ჩართულია ეთნიკურ ადგილმონაცვლეობაში. ასეთივე პროცესების მაგალითად გამოდგება ტექნოლოგიური ადგილგადანაცვლება. ინტერნეტი ამის მშვენიერი მაგალითია.

არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს „მესამე კულტურა“ ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებს, აშშ-ის ჩათვლით, არღვევს. შედეგად, გლობალიზაციის თეორია ყველა იმ თეორიას, რომელიც ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანაზეა კონცენტრირებული, განსაკუთრებით აშშ-ზე აქცენტირებულ ამერიკანიზაციის თეორიას უპირისპირდება.

მაკდონალდიზაციის რომელი ინტერპრეტაცია ჯობს – ამერიკანიზაცია თუ გლობალიზაცია? თვით „მაკ-დონალდსი“ აშშ-ში შეიქმნა და, ფაქტობრივად, სწრაფი კვების ინდუსტრიისა და სხვა მაკდონალდიზებულ სექტორებს ამერიკული ფესვები აქვს.

„მაკდონალდსი“ და ბიზნესის სხვა მრავალი მაკდონალდიზებული სფერო მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, მაგრამ თავის ამერიკულ საფუძველს და ამერიკულ ფესვებს ინარჩუნებს. ერთ მშვენიერ დღეს, ყველა მათგანმა, როგორც ზემოთ ხსენებულმა მესამე კულტურებმა, შესაძლოა, ამერიკული ფესვები დაკარგოს, ავტონომიურობა შეიძინოს, მაგრამ დღეს უფრო სამართლიანი იქნება, თუ მათ – „ამერიკანიზაციას“, და არა „გლობალიზაციას“ დავარქვამთ. იმის მიუხედავადაც კი, რომ გლობალიზაცია არცთუ ძლიერაა დაკავშირებული მაკდონალდიზაციის პროცესთან, მომავალში ის სოციალური თეორეტიკოსების მეტ ყურადღებას მიიქცევს.

მოხმარების ახალი საშუალებები

ჯ. რიტცერი აშშ-ში „მოხმარების ახალი საშუალებების“ გაჩენით დაინტერესდა, რაც ფაქტობრივად XX საუკუნის შუა წლებში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო (რიტცერი, 1999). „მაკ-დონალდსი“ (და უფრო ზოგადად, სწრაფი კვების ინდუსტრია) მოხმარების ერთ-ერთი ახალი სახეობა აღმოჩნდა, მაგრამ მოხმარების სხვა მრავალი სახეობაც არსებობს, მაგალითად, დიდი უნივერმაღები, მეგამარკეტები (მაგალითად, „მოლ ოფ ამერიკა“), გიგანტური სუპერუნივერმაღები („ტოის „ერ ას“), საბითუმო მაღაზიები („უოლ მარტ“), კრუიზები, კაზინო-ოტელები ლას-ვეგასში, „დისნეი-ლენდის“ მსგავსი გართობის თემატური პარკები და ა.შ.

მოხმარების ახალი საშუალებების ცნება კარლ მარქსიდან მოდის. როგორც სხვა მრავალი თანამედროვე თეორეტიკოსი, მარქსი ძირითად ყურადღებას წარმოების სფეროს უთმობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ დროის რეალიებს, ეს კი სამრეწველო გადატრიალებისა და კაპიტალიზმის დასაწყისი იყო, მისი აქცენტი მთლიანად წარმოებაზე და წარმოების საშუალებებზე გასაგები ხდება. ბოლო წლებში, როდესაც შეიძლება წარმოებისა და მოხმარების განცალკევება, წარმოების მნიშვნელობა, განსაკუთრებით აშშდში, სულ უფრო კლებულობს (საქონლის წარმოების სფეროში სულ უფრო ნაკლები ადამიანებია დაკა-

ვებული), მოხმარება კი მატულობს (მომსახურების სფეროში უფრო მეტი ადამიანია დაკავებული მოხმარებით, ადამიანები მოხმარებაზე უფრო მეტ თავისუფალ დროს ხარჯავენ). ამგვარ საზოგადოებაში წარმოებიდან მოხმარებაზე ყურადღების ცვლას აზრი აქვს.

მოულოდნელია, მაგრამ მარქსს ცოტა არ უთქვამს მოხმარებაზე, განსაკუთრებით, თავის ცნობილ ნაშრომში სასაქონლო წარმოების შესახებ. უფრო ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ მარქსი (ადამ სმიტის კვალდაკვალ, რომელსაც ის ხშირად მიმართავდა) „მოხმარების საშუალებების“ ცნებას იყენებდა, რაც ჯ. რიტცერის ამასწინანდელი წიგნის ცენტრალური ასპექტი გახდა.

წარმოების საშუალებებს მარქსი განსაზღვრავდა, როგორც საქონელს, რომელსაც გააჩნია ფორმა, რომელთანაც... მწარმოებლურ მოხმარებაში შედიან. მოხმარების საშუალებებს ის განსაზღვრავს, როგორც საქონელს, რომელსაც გააჩნია ფორმა, რომელთანაც ინდივიდუალურ მოხმარებაში კაპიტალისტთა და მუშათა კლასი შედიან. მოცემული ტერმინის ჩარჩოებში მარქსი მოხმარების საშუალებებს არსებობისათვის და ფუფუნების საგნების მოხმარებას ერთმანეთისაგან განაცალკევებს (სმიტი ატარებდა ანალოგიურ სხვაობას). ერთი მხრივ, არსებობს „მოხმარების აუცილებელი საშუალებები“, ანუ ისინი, „ომელიც შედის მოხმარებაში მუშათა კლასთან“ მეორე მხრივ, არის ფუფუნების საგნების მოხმარება, რომელიც მოხმარებაში მხოლოდ კაპიტალისტურ კლასთან შედის. ამგვარად, კვების ძირითადი პროდუქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებობის საშუალებები, ხოლო მოხდენილი ავტომობილები (ვთქვათ, „როლს-როისი“), როგორც ფუფუნების საგნები.

უნდა აღინიშნოს, რომ მარქსს მოხმარებისა და მოხმარების საშუალებებთან დაკავშირებული საქონლის პრობლემები უკვე მაშინ აინტერესებდა. მაგრამ ამ ცნებების ხმარებაში გარკვეული ლოგიკური უზუსტობა შეიმჩნევა. წარმოების საშუალებებს მუშაკსა და პროდუქციას შორის შუალედური ადგილი უკავია; ეს არის საშუალება, რომელიც როგორც სასაქონლო წარმოებას, ასევე კონტროლს მუშებზე და მათ ექსპლუტაციას შესაძლებელს ხდის. მარქსის მიერ მოხმარების საშუალებების ცნების გამოყენებაში ისინი, პირიქით, როგორც არა საშუალებები, არამედ, როგორც საბოლოო პროდუქტები გამოდიან; ესაა ნივთები (საარსებო საშუალებები თუ ფუფუნების საგნები), რომლებიც მოიხმარება. სხვა სიტყვებით, მარქსი არ ასხვავებს სამომხმარებლო საგნებს იმათგან, რასაც ჩვენ მოცემულ კონტექსტში (მაგალითად, დიდი უნივერმაღები და გემები კრუიზისათვის) მოხმარების საშუალებებში ვგულისხმობთ. სხვა სიტყვებით, მარქსის შემოქმედებაში, მოხმარების სფეროში წარმოების საშუალებები რაიმე შუალედურ და დამაჩქარებელ როლს არ ასრულებენ.

მართალია, მარქსი „მოხმარების საშუალებების“ ცნებას კი იყენებს, მაგრამ – არალოგიკურად და არა იმ აზრით, როგორადაც რიტცერი. ჯერ ერთი, მოხმარების საშუალებები იმავე გამაშუალებულ როლს ასრულებს მოხმარებაში, როგორსაც წარმოების საშუალებები წარმოების მარქსისტულ თეორიაში. ამგვარად, წარმოების საშუალებების ანალოგიურად, რომელთა დახმარებით პროლეტარიატი ქმნის საქონელს და რომელთა გამოც კონტროლის ქვეშ მოქცეული და ექსპლოატირებულია, მოხმარების საშუალებები განისაზღვრება, როგორც ის, რაც უზრუნველყოფს ადამიანების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენას და ამავე ხალხის, როგორც მომხმარებლის, კონტროლისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობას ქმნის.

მოხმარების საშუალებების ცნებას, თუნდაც უბრალოდ ხსენების სახით, მრავალ ავტორთან ვხვდებით, მაგრამ ჟან ბოდრიარის ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომი „მოხმარების საზოგადოებაო განსაკუთრებით აღსანიშნავია. თავისი კარიერის ამ ეტაპზე ბოდრიარი მარქსისტული თეორიის გავლენის შემოწმებას გვთავაზობს, მაგრამ რამდენიმე წლის შემ-

დეგ, როდესაც მას პოსტმოდერნისტულ სოციალურ თეორეტიკოსად აღიარებენ, ის ამ მიდგომაზე უარს იტყვის. საინტერესოა, რომ ბოდრიარი არ იძლევა ცნების განსაზღვრებას, მაგრამ გამოყენების პროცესში გვიხსნის, რომ (მარქსისაგან განსხვავებით) ის მოხმარების საშუალებებს გამოყენებული საქონლისაგან განასხვავებს, და იმ განმარტებას მისდევს, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ბოდრიარი გვთავაზობს მოხმარების საშუალებების მაგალითად, პარიზული „სააფთიაქო მაღაზია“ გამოვიყენოთ. აი, ერთ-ერთი ასეთი მაღაზიის აღწერა: ყველაფერი, რაც წააგავს ამერიკულ აფთიაქს, თავმოყრილი და შეკუჭულია ერთ კუთხეში. ამ განსაცვიფრებელი დაწესებულების დანარჩენი ნაწილი მინიუნივერმაღს გვაგონებს, სადაც იყიდება ყველაფერი – დაწყებული წიგნებიდან ფოტოაპარატამდე, სათამაშოები, ფრანგული და უცხოური ჟურნალ-გაზეთები, ტანსაცმელი; აქვე მიმდინარეობს წარმატებული ვაჭრობა მოთხოვნების მიხედვით: სენდვიჩებისა და სალათების სწრაფი მომზადება, უალკოჰოლო სასმელები, ასევე ხიზილალა, ცხიმიანი ღვიძლის პაშტეტი და დახვეწილი კალათი პიკნიკისათვის. მაღაზიის გარეთ არსებული კაფე, როგორც თავად ირწმუნებიან, „ნამდვილ“ ამერიკულ მენიუს გვთავაზობს. პარიზული „სააფთიაქო მაღაზია“, რა თქმა უნდა, არის მოხმარების საშუალება იმ თვალსაზრისით, რომ ეს საშუალება სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურაა, რომელიც საშუალებას აძლევს მყიდველს, ბევრი რამ შეიძინოს.

მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი წერტილია ბოდრიარისათვის. შემდეგ ის მთელ რაიონზე საუბრობს, როგორც „გადიდებულ სააფთიაქო მაღაზიაზე“. აქ ის პარლი-2-ის რაიონს, თავისი სავაჭრო ცენტრით, აუზით, კლუბითა და საცხოვრებელი უბნით აღწერს. სავაჭრო ცენტრი მოხმარების ახალი საშუალების მაგალითს წარმოადგენს. სხვა მაგალითებად ბოდრიარი კურორტებს (სათხილამურო კურორტი, კლაბ მედი) და აეროპორტებში ტერმინალებს განიხილავს. ბოდრიარმა შორსმჭვრეტელური ნიჭი გამოავლინა, რადგან უკვე მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს მოხმარების ამ ახალი საშუალებების მნიშვნელობაზე ალაპარაკდა. მაგრამ მან ეს ცნება და მასთან დაკავშირებული მოვლენები არასაკმარისად დაამუშავა. გარდა ამისა, ის ცდებოდა, როდესაც თავისი ყურადღების ცენტრში პარიზული სააფთიაქო მაღაზია დააყენა, რომელსაც დანარჩენ მსოფლიოში ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. არსებითად, დღეს სააფთიაქო მაღაზიები სავსეა მოხმარების განსხვავებული საშუალებების იმპორტით, რომლებიც აქ ჩვენი ყურადღების ობიექტია: სწრაფი კვების რესტორნები, ყველანაირი ქსელები, ევროპული დისნეი-პარკები და ა.შ. ბოდრიარის მიერ მოხმარების საშუალებების გაგება რიტცერისეულია.

მოხმარების ნებისმიერი საშუალება თანამედროვეა იმ აზრით, რომ ის სიახლეა, რომელიც XX საუკუნეში გაჩნდა და ცნობილი მეორე ნახევარში გახდა. როგორც „მაკ-დონალდსი“, ეს, ძირითადად, ამერიკული სიახლეა, რომელმაც აშშდში მოხმარების შინაარსი შეცვალა, მაგრამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აგრესიული ექსპორტის საგანი გახდა, სადაც მოხმარების სფეროზე უფრო მეტად ზემოქმედებს. შეერთებულ შტატებში მას იმდენად დიდი წარმატება აქვს, რომ ნიმუშის მიმცემია ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორებიცაა უნივერსიტეტები, საავადმყოფოები, მუზეუმები, აეროპორტები, სტადიონები და ეკლესიებიც კი. ყველა ეს სფერო შეიძლება, როგორც მომხმარებელთა მომსახურება განვიხილოთ, რითაც ისინი მოხმარების ახალი საშუალებების სახეს სულ უფრო მეტად იძენენ. მოხმარების ახალი საშუალებები თანამედროვეა უფრო მნიშვნელოვანი აზრით: ისინი ზედმიწევნით რაციონალიზებული ან მაკდონალდიზებულია.

ეფექტურობა. მაგალითად, მსხვილი უნივერმაღი შეიძლება დაახასიათო, როგორც გაყიდვის უკიდურესად ეფექტური მექანიზმი. ეს, კლიენტის თვალსაზრისით, თავის მხრივ, მას უკიდურესად ეფექტურ „გამყიდველ მანქანად“ ხდის. ნათელია, მოხმარება

უფრო ეფექტური გახდება, თუ ყველა მაღაზია ახლომახლო, ერთ ადგილას განთავსდება, თანაც მანქანების დასაყენებელი ადგილიც გამოყოფილი იქნება. კონკრეტული ნივთის ძებნის პროცესში კლიენტებისათვის მსგავს ეფექტურობას სუპერუნივერმაღები უზრუნველყოფენ.

აღრიცხვიანობა. ლას-ვეგასის ოტელები ერთმანეთს ნომრების სიმრავლით, კაზინოების სიდიდით, „დიდი ჭრილებით" მონეტებისათვის, საინტერესო გართობებით ეჯიბრებიან. ასეთივე შეჯიბრება დიდ კრუიზულ ხაზებს შორისაც შეიმჩნევა, რომლებიც მგზავრთა რაოდენობით, ლაინერების სიდიდით, მათი წონით, გასართობების რაოდენობით და ა.შ. ამაყობენ. საბითუმო უნივერმაღებში, მათ შორის უოლ-მარტში, მყიდველებს არწმუნებენ, რომ სამი რაოდენობრივი პარამეტრი უზრუნველყოფილია, მხედველობაშია – დაბალი ფასები, დიდი პარტიები, საქონლის ფართო ასორტიმენტი. იგივეა დიდ უნივერმაღებშიც, სადაც საქონლის შეძენა შესაძლებელია ფასდაკლებით, რაც ხშირად მომხიბვლელია. დისნეის სამყაროში დღიური ან კვირეული ბილეთების დადგენილი ფასები, ასევე, მრავალრიცხოვანი აბრები მითითებებით, თუ რამდენი მოუწევთ რიგში დგომა სასურველ ატრაქციონზე მოსახვედრად, ფაქტობრივად, ტურისტული მომსახურების მოხმარების აღრიცხვიანობის ილუსტრაციაა.

„მაკ-დონალდსში" გამოვლენილი **წინასწარჭვრეტა** ნათლად ჩანს ისეთ მასშტაბურ ქსელში, როგორიც „ჰარდ-როკ კაფეა". მაგალითად, მენიუ, კერძის გემო, კედელზე დაკიდებული გიტარაც კი ერთნაირია, იქნება ეს ოსაკაში, ბერლინსა თუ სან-ფრანცისკოში. უნივერმაღების ისეთი ქსელები, როგორებიცაა „პოტერი ბარნი", „კრეიტი" და „ბარელი", „გეი" და „ჯ.კრუ", შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტანდარტიზაციის ახალი საფეხური. ამ ქსელებმა მასობრივ ბაზარს მდიდრული დიზაინი შესძინეს, მაგრამ ამის საფასურია იდენტური საქონელი იდენტურ უნივერმაღებში. ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერმაღების ეს ქსელები ერთგვაროვნობასა და წინასწარჭვრეტას გვთავაზობენ, ისინი თავის თავს ინდივიდუალურობებად ასაღებენ.

კონტროლი უნიფიცირებული ტექნოლოგიით, სადაც არაა გათვალისწინებული პიროვნული ფაქტორი. შეიძლება ვისაუბროთ, რომ დიდი უნივერმაღების ყველა სფეროში უკიდურესი ტექნოლოგიური კონტროლი ხორციელდება. მკაცრი კონტროლია ტემპერატურაზე, განათებაზე, წესრიგზე და საყიდლებზე. მიზანია კონტროლი მყიდველებზე. დრო და სივრცე გაკონტროლებულია არქიტექტურით, დიდი უნივერმაღი მცირე რაოდენობის ფანჯრებითა და კარებით; დიდი უნივერმაღების ერთგვაროვნობა ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება ნებისმიერ ადგილას არსებობდეს უმეტეს შემთხვევებში იქ საათები არ არის; შენობების კარგ მდგომარეობაში შენახვა, ინტერიერის პერიოდული ცვლა ქმნის შთაბეჭდილებას,რომ ისინი არ ბერდებიან. მთლიანობაში, ყველაფერი,რაც დაკავშირებულია უნივერმაღებთან,იდეალურად დახვეწილია. მყიდველები საათობით დახეტიალებენ უნივერმაღებში და დროის სვლას ვერ ამჩნევენ. ამ სიტუაციის შენარჩუნებით მყიდველებს უქმნიან პირობებს, რათა დიდხანს დაჰყონ მაღაზიაში, შეიძინონ მეტი საქონელი და ა.შ., აკონტროლებენ, თუ რას ვყიდულობთ ჩვენ, ზოგ საქონელს გამორიცხავენ, ზოგსაც შეავსებენ, ხელმძღვანელობენ „დამატებითი მიმზიდველობის" პრინციპით, რომლის წყალობით, ყოველდღიური ნივთები უფრო მიმზიდველი და სასურველი ხდება, როდესაც ისინი ეგზოტიკური საქონლითაა გარშემორტყმული. დიდი უნივერმაღები მყიდველთა ემოციებს აკონტროლებენ, ხმაურიან, მხიარულ და ოპტიმისტურ ატმოსფეროს ქმნიან. განსაკუთრებით უვლიან ბავშვებს და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ისინი კონტროლირებად გარემოში იზრდებიან. მეტი კონტროლი ხორციელდება უნივერმაღის თანამშრომლებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, უნივერმაღის ტუსაღები არიან.

ამგვარად, ვხედავთ, რომ მოხმარების ახალი საშუალებები უკიდურესად რაციონალური და, მაშასადამე, ბევრად უფრო თანამედროვე მოვლენებია. ჩვენ ამ საკითხს შემდეგ თავში დავუბრუნდებით, სადაც ზოგიერთი პოსტთანამედროვე იდეებით ამ თანამედროვე მოვლენებისადმი მიდგომას განვიხილავთ.

არის თუ არა საშიშროება?

ამ მიმოხილვაში ერთი მოჩვენებითი წინააღმდეგობა არსებობს იმ აქცენტსა, რომელსაც აკეთებს გიდენსი (და განსაკუთრებით ბეკი) თანამედროვე სამყაროს რისკიან ხასიათზე, და იმ წინასწარხედვას შორის, რომელიც რიტცერს მაკდონალდიზებული საზოგადოების სპეციფიკად მიაჩნია. წინასწარგანჭვრეტილი სამყარო – ესაა სამყარო მოულოდნელობების გარეშე, მათ შორის იმ მოულოდნელობების გარეშეც, რომლებიც რისკიანი გადაწყვეტილებების შედეგად ჩნდება. შეიძლება თუ არა, ეს ორი თვალსაზრისი ერთმანეთს შევათანხმოთ?

გიდენსი და ბეკი ერთ დონეზე ატარებენ ანალიზს, რიტცერი კი – სულ სხვა დონეზე. მათ იშვიათი მოვლენები, მაგალითად, ატომურ ელექტროსადგურებსა და ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული კატასტროფები აინტერესებთ. ნათელია, რომ აქ დიდ რისკთან გვაქვს საქმე, რისკთან, რომელსაც დროისა და სივრცის მნიშვნელოვან მონაკვეთებში ძალზე არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. რიტცერი, პირიქით, უფრო მეტად ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ ასპექტებს განიხილავს, მაგალითად, ჰამბურგერებს, რომელთაც შესვენების დროს მივირთმევთ, ან საკრედიტო ბარათებს, რომელთა საშუალებითაც ფულს ვიხდით. ასევე ცხადია, რომ აქ არ არის არავითარი რისკი – ჩვენ ვღებულობთ შეკვეთილ ჰამბურგერს, ხოლო კომპანია-ემიტენტი სწრაფი კვების რესტორანს გადაუხდის.

მაგრამ აქ ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა იბადება: შეიძლება თუ არა, გიდენსისა და ბეკის მიერ აღწერილი მოვლენები და ვითარებები მაკდონალდიზებულ იქნეს? რიტცერის აზრით, პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არათუ მაკდონალდიზებული, არამედ, მნიშვნელოვანწილად რაციონალიზებულიც კია. ატომური ელექტროსადგური, რა თქმა უნდა, ეფექტურად ფუნქციონირებს, პროგნოზირებადიცაა, ეყრდნობა რაოდენობრივ კრიტერიუმებს და ფართოდ გამოიყენებს უნიფიცირებულ ტექნოლოგიებს, მაგრამ, როგორც სხვა მაკდონალდიზებული სისტემები, ის რაციონალურობის ირაციონალურ გამოვლენებს, მათ შორის იშვიათს, მაგრამ დამანგრეველ ავარიებს ბადებს.

გარდა ამისა, რაციონალურობის ვებერისეული თეორია, განსაკუთრებით მასში მოქცეული რაციონალურობის ირაციონალური გაგება, გიდენსისა და ბეკის მიერ აღწერილი რისკების დიდ ნაწილს ძალიან კარგად გვიხსნის. სარისკო სფეროების უმრავლესობა მნიშვნელოვანწილად რაციონალიზებულია, თუმცა ირაციონალური მომენტები ყოველთვისაა შესაძლებელი. ბეკიც იმავეს ამბობს, მხოლოდ ვებერისეული თეზისის კონტექსტში შეცდომით უარყოფს: „რაციონალზაციის“ ვებერისეული კონცეფცია უკვე წარმატებული რაციონალიზაციის მიერ შექმნილ გვიანდელი თანამედროვეობის სინამდვილეს ვეღარ მოიცავს. „ტექნიკური ოპციების (მიზანრაციონალურობა) მზარდი შესაძლებლობების კვალობაზე მათი მოსალოდნელი შედეგების აღრიცხვიანობის პრობლემატურობა იზრდება“. პრობლემა ისაა, რომ სარისკო წამოწყებებთან დაკავშირებული ირაციონალური გამოვლენები ბევრად მნიშვნელოვანია სწრაფი კვების რესტორნებთან დაკავშირებულ რისკებზე. ბირთვული კატასტროფა ბევრად სერიოზულია, ვიდრე ცუდად გამომცხვარი ჰამბურგერი ან დაწუნებული საკრედიტო ბარათი. მაკონალდიზაციის სფეროში შესვლისას ბეკი იმეორებს ამ თეზისს: „ინდივიდუალიზაცია ცხოვრების ყველა განზომილებაში საბაზრო ურთი-

ერთობას ნიშნავს. არსებობის აღმოცენებული ფორმები – ესაა იზოლირებული მასობრივი ბაზარი, და სახლების, შიდსადგამის, ყოველდღიური ტიპიური ნივთების, ასევე, შეხედულებების, თვალსაზრისის, ჩვევების, განწყობის, მასობრივი ინფორმაციის მიერ შემოთავაზებული ცხოვრების გაცვეთილი სტილის, თვითცნობიერების გარეშე, მასობრივი მოხმარება. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალიზაცია თავს ახვევს ადამიანს გარეგან კონტროლსა და სტანდარტიზაციას, რაც გვაროვნული და ფეოდალური სუბკულტურების ანკლავებისათვის უცნობია“ (ბეკი, 1992, გვ.132)

ანალოგიურად, გიდენსიც თავისი ოპციების რეფლექსურ სამყაროში მაკდონალდიზაციის მსგავს რაღაცას იმავე სფეროში ამჩნევს, რომელსაც რიტცერიც იკვლევს: „რა თქმა უნდა, არსებობს მასტანდარტიზებელი მოვლენები – განსაკუთრებით, კომოდიფიკაციის ფორმითო. განაზოგადებს რა გიდენსი წერს: „თანამედროვეობის აბსტრაქტული სისტემები, როგორც ყოველდღიური ცხოვრების გაგრძელება, შეფარდებითი უსაფრთხოების მნიშვნელოვან სფეროებს ქმნიან“ (1991,გვ.133).

კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ „გიდენსი (ინგლისი) და ბეკი (გერმანია) ევროპული თვალსაზრისით წერენ, მაშინ როდესაც რიტცერი ამერიკული პოზიციით გამოდის. 70-80-იან წლებში, როდესაც სამი თეორეტიკოსი საკუთარ იდეებს აყალიბებდა, ევროპაში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, ბირთვული ომის საშიშროება იყო. ეს საშიშროება უფრო ევროპაში იგრძნობოდა, ვიდრე ამერიკაში, ნაწილობრივ, ევროპის სიახლოვით ყოფილ საბჭოთა კავშირთან და კიდევ იმის გამო, რომ ევროპამ ომის დამანგრეველი ძალა საკუთარ თავზე გამოსცადა. ამან აიძულა გიდენსი, ეთქვა, რომ „მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ეჭვს იწვევს და საშიშროებას შეიცავს“ (გიდენსი, 1990, გვ.10). ამერიკელები, თუმც დაზღვეულნი არ არიან, მაგრამ, როგორც წესი, დიდ საშიშროებას ვერ ხედავენ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер, 2002., с.506).

6. თანამედროვეობა და ჰოლოკოსტი

როგორც რიტცერისთვის ფორმალური რაციონალობის თანამედროვე ნიმუში სწრაფი კვების რესტორნებია, ზიგმუნდ ბაუმანისათვის (ბაუმანი, 1989,1991) ასეთი ნიმუში ჰოლოკოსტი – ნაცისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა სისტემატური განადგურებაა. ბაუმანის აზრით, ჰოლოკოსტი განხილული, როგორც რთული მიზანმიმართული ოპერაცია, თანამედროვე ბიუროკრატიული რაციონალობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ბევრს შეიძლება „რესტორნებისა და ჰოლოკოსტის ერთ რიგში განხილვა უხერხულად მოეჩვენოს. და მაინც, თანამედროვე რაციონალობის შესახებ სოციოლოგიურ აზროვნებაში კავშირი ბიუროკრატიიდან ჰოლოკოსტამდე და შემდეგ სწრაფი კვების რესტორნებამდე ნათლად შეიმჩნევა. რაციონალობის ვებერისეული პრინციპი ამ მოვლენათაგან თითოეულს შეიძლება სასარგებლოდ და აზრიანად მივუსადაგოთ. ჰოლოკოსტის ავტორმა თავის ერთ-ერთ იარაღად ბიუროკრატია გამოიყენა. პირობები, რომლებმაც ჰოლოკოსტი შესაძლებელი გახადა, განსაკუთრებით ფორმალური რაციონალობა, დღესაც არსებობს. მართლაც, მაკდონალდიზაციის პროცესი არა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ფორმალურ-რაციონალური სისტემები კვლავ არსებობს, არამედ იმაზეც, რომ ის მნიშვნელოვნად ფართოვდება. ამგვარად, ბაუმანის თვალსაზრისით, ვითარებების სწორი შერჩევით თანამედროვე სამყარო უფრო მეტი საზიზღრობებისათვისაა (თუ ასეთი რამ შესაძლებელია) მზად, ვიდრე ჰოლოკოსტია“ (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер, 2002., с. 506).

თანამედროვეობის ნაყოფი

ზ. ბაუმანი, სხვებისაგან განსხვავებით, ჰოლოკოსტს არანორმალურ მოვლენად არ თვლის. მას ის თანამედროვე რაციონალური სამყაროს მრავალ მიმართებაში „ნორმალურ“ ასპექტად მიაჩნია: ჭეშმარიტება ისაა, რომ ჰოლოკოსტის ყოველი „ინგრედიენტი“ – თითოეული იმ მოვლენების სიმრავლიდან, რომლებმაც ის შესაძლებელი გახადეს – ნორმალური იყო;

„ნორმალური“ არა ჩვეული გაგებით, არამედ იმ აზრით, რომ ყოველივე იმასთან, რაც ჩვენ ვიცით ცივილიზაციის შესახებ, მის ძირითად არსთან, მის პრიორიტეტებთან, სამყაროს ხედვასთან სრულ თანხმობაში იყო.

ამგვარად, ბაუმანის აზრით, ჰოლოკოსტი თანამედროვეობის ნაყოფი, და არა, როგორც მას განიხილავს ადამიანთა უმრავლესობა, თანამედროვეობის რღვევის შედეგი ან მის ფარგლებში შერჩეული ახალი გზა იყო. ბაუმანის სიტყვებით, თანამედროვეობასა და ჰოლოკოსტს შორის „შერჩევითი სიახლოვე“ იყო.

მაგალითად, „ჰოლოკოსტი ადამიანის განადგურებისათვის ინდუსტრიალიზაციის საბაზო პრინციპებსა და ქარხნულ სისტემას გულისხმობდა: (ოსვენციმი) აგრეთვე თანამედროვე ქარხნული სისტემის ჩვეულებრივი გაგრძელება იყო. საქონლის წარმოების ნედლეული აქ ადამიანები, ხოლო შედეგი – სიკვდილი იყო, ერთეულთა ყოველდღიური რაოდენობა ხელმძღვანელის დავთრებში კოხტად აღირიცხებოდა. ქარხნის მილებიდან, თანამედროვეობის ქარხნული სისტემის ნამდვილი სიმბოლოებიდან, ადამიანის დამწვარი სხეულის ძლიერ სუნიანი ბოლი მოედინებოდა. თანამედროვე ევროპის ბრწყინვალედ ორგანიზებული სარკინიგზო დამხარისხებელი პარკი ფაბრიკებისათვის ახალი ნედლეულის მიწოდებას აწესრიგებდა. ის ამას ზუსტად ისევე აკეთებდა, როგორც სხვა ნედლეულის მიწოდების დროს. ინჟინრებმა დააპროექტეს კრემატორიუმი; ხელმძღვანელმა შეიმუშავა ენერგიული და ეფექტური ბიუროკრატიული სისტემა; ჩვენ სოციალური ინჟინერინგის ნამდვილი პროგრამის მოწმენი ვიყავით“ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.507).

ნაცისტებმა მრეწველობის რაციონალური მიღწევების რაციონალურ ბიუროკრატიასთან შერწყმა მოახერხეს, შემდეგ კი ამის გამოყენება ადამიანთა გასანადგურებლად. მსგავს რაციონალურ ფორმებში ხორცშესხმული თანამედროვეობა ჰოლოკოსტისათვის საკმაო არა, მაგრამ აუცილებელი პირობა კი ნამდვილად იყო. თანამედროვეობისა (Modern-ის) და რაციონალურობის გარეშე ჰოლოკოსტი შეუძლებელი იქნებოდა“.

ბიუროკრატიის როლი

გერმანულმა ბიუროკრატიამ არათუ ხორცი შეასხა ჰოლოკოსტს, არამედ, ყველაზე ზუსტი გაგებით, – ჰოლოკოსტი მან შექმნა. ამოცანა, ჰიტლერის განმარტებით „ებრაელთა მოცილება“, გერმანულმა ბიუროკრატიამ აიტაცა და, მათ მიერ ყოველდღიური პრობლემების გადაჭრის პარალელურად, ებრაელთა განადგურება ჰიტლერისა და მისი მიმდევრების მიერ დასახული ამოცანის შესრულების პირობა გახდა. ამგვარად, ბაუმანი ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტი ირაციონალურობის ან წინა ეპოქების ბარბაროსობის შედეგი კი არა – უფრო თანამედროვე რაციონალური ბიუროკრატიის შედეგი იყო. ჰოლოკოსტი არა გიჟებმა, არამედ, სხვა კუთხით, სავსებით ნორმალურმა ბიუროკრატებმა შექმნეს და განახორციელეს.

არსებითად, წინა მცდელობებს, მაგალითად, ემოციურ და ირაციონალურ პროგრამებს, არ შეეძლოთ ჰოლოკოსტისათვის დამახასიათებელი მასობრივი ჟლეტა განეხორციელებინათ. მსგავსი მასობრივი ამოძირკვა უკიდურესად რაციონალიზებულ და ბიუროკრატიზებულ პროცესს საჭიროებდა. ისეთ ირაციონალურ აფეთქებას, როგორიცაა დარბევა,

შეეძლო რამდენიმე ადამიანი გაენადგურებინა, მაგრამ ვერასოდეს შეძლებდა, ჰოლოკოსტის მსგავსი მასობრივი ჟლეტა წარმატებით განეხორციელებინა. როგორც ბაუმანი წერს: „ბოღმა და მრისხანება მასობრივი განადგურების საცოდავად პრიმიტიული და არაეფექტური იარაღია. ჩვეულებრივ, ისინი ძალას კარგავენ მანამ, სანამ ძირითადი ამოცანა შესრულდება“. ნაცისტების ორგანიზებულ თანამედროვე გენოციდს, პირიქით, გააზრებული რაციონალური მიზანი აქვს – „უკეთესი“ საზოგადოების შექმნა (სამწუხაროდ, ნაცისტების აზრით, უკეთესია საზოგადოება, სადაც „მავნე ებრაელები“ არ არიან) და ნაცისტები და მათი ბიუროკრატები ამ მიზნის მისაღწევად მშვიდად და მეთოდურად მოქმედებდნენ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.508).

ბევრი მკვლევრისაგან განსხვავებით, ბაუმანი ბიუროკრატიას უბრალო ნეიტრალურ იარაღად არ თვლის, რომლის წარმართვა ნებისმიერი მიმართულებითაა შესაძლებელი. ბაუმანი ბიუროკრატიას უფრო „დატენილ მექანიზმს“ ამსგავსებს. მისი გამოყენება როგორც ბოროტი, ასევე კეთილი მიზნებისათვის შეიძლება, თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ არაადამიანურ ქმედებებს შეუწყობს ხელს. ის დაპროგრამირებულია ოპტიმალური განზომილების საფუძველზე, რომ ერთი ადამიანური ობიექტი მეორისაგან ან სულიერი ობიექტი უსულოსაგან არ განასხვაოს. ბიუროკრატიაც, თავისი ბაზისური პარამეტრების გათვალისწინებისას, საქმეს ბოლომდე მიჰყვებოდა და ამეტებდა კიდეც. ბიუროკრატები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან სხვა სფეროებში და ესეც ხელს უწყობდა ჰოლოკოსტს. მაგალითად, ბიუროკრატიაში საშუალება ხშირად გადაიქცევა ხოლმე მიზნად, ამ შემთხვევაშიც, საშუალება – განადგურება – მიზნად იქცა.

ბიუროკრატია და მისი ჩინოვნიკები, რა თქმა უნდა, ჰოლოკოსტს თავად ვერ შექმნიდნენ; სხვა ფაქტორებიც საჭირო იყო: ჯერ ერთი, უდავოდ, არსებობდა კონტროლი სახელმწიფო აპარატის მხრიდან, რომელსაც დანარჩენ საზოგადოებაზე ძალადობის მონოპოლია ხელთ უპყრია. სხვა სიტყვებით, ნაცისტურ გერმანიაში გამაწონასწორებელი ძალა არ არსებობდა. სახელმწიფოს აკონტროლებდა ადოლფ ჰიტლერი, მას კი ჰქონდა უნარი, ეიძულებინა სახელმწიფო, მისი ბრძანებები უპირობოდ შესრულებინა. მეორე, არსებობდა ანტისემიტიზმის სპეციფიკურად თანამედროვე, რაციონალური ნაირსახეობა, რომელიც ებრაელებს საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან სისტემატურად გამოყოფდა და მიიჩნევდა, რომ გერმანიას, გახდეს „იდეალური“ სახელმწიფო, ძირითადად, ისინი უშლიან ხელს. ამისათვის გერმანელებს უნდა გაენადგურებინათ ის, ვინც ამ მიზნისაკენ მიმავალ გზას უღობავდა. გერმანული მეცნიერება (თავად უკიდურესად რაციონალიზებული) ებრაელთა არასრულფასოვნობის დასამტკიცებლად გამოიყენებოდა. იქიდან, რომ ებრაელები არასრულფასოვნები არიან და, ასევე, იდეალური სახელმწიფოს დამკვიდრებას ხელს უშლიან, დასკვნა ერთია – უნდა განადგურდნენ. როგორც კი დადგინდა, რომ განადგურება აუცილებელია, ბიუროკრატების წინაშე მიზნის მიღწევის ეფექტური საშუალების პრობლემა დაისვა. თავისი როლი ასევე იმ ფაქტორმაც შეასრულა, რომ ისეთ თანამედროვე სტრუქტურებში, როგორიცაა ბიუროკრატია, ზნეობრივ მოსაზრებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არავის დაუსვამს კითხვა: სწორია თუ არა ებრაელთა განადგურება? ასეთი მორალური უხერხულობის არარსებობა კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ჰოლოკოსტი თანამედროვე მოვლენა გახდა.

7. ჰოლოკოსტი და მაკდონალდიზაცია

ჰოლოკოსტს მაკდონალდიზაციის ყველა თვისება ახასიათებს. უეჭველია, აქ არის აქცენტი ეფექტურობაზე. მაგალითად, გაზი განისაზღვრა, როგორც ადამიანთა დიდი რაოდენობის განადგურების უფრო ეფექტური მეთოდი, ვიდრე ტყვიები. ჰოლოკოსტი კონვეიერის წინასწარჭვრეტაა: ეს იყო სიკვდილის ბანაკებისაკენ მიმავალი გრძელი მწკრივები,

შხაპის მისაღებად მიმავალი ადამიანების გრძელი რიგები, პროცესიის ბოლოს სალიკვიდაციოდ გამზადებული. ჰოლოკოსტი ექვემდებარებოდა აღრიცხვას, რადგან რაოდენობრივ ფაქტორებზეა აქცენტირებული, მაგალითად, დროის მოკლე მონაკვეთში რამდენი ადამიანი შეიძლება განადგურდეს. რკინიგზის ხელმძღვანელობისათვის ობიექტის ერთადერთი ღირებული არტიკულაცია/გამოთქმა არის ტონა კილომეტრზე. მათ არა აქვთ საქმე ადამიანებთან, ცხვრებთან, ეკლიან სიმებთან, მათ საქმე მხოლოდ ტვირთთან აქვთ და ეს არის არსი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლებით, ყოველგვარი თვისობრიობის გარეშე ხასიათდება. ბიუროკრატების უმრავლესობისათვის ისეთი კატეგორიაც კი, როგორიცაა ტვირთი, ხარისხთან დაკავშირებული შეზღუდვაა. მათ თავიანთი საქმიანობის მხოლოდ ფინანსური რეზულტატი აინტერესებთ. მათი მიზანი – ფულია.

უეჭველია, რომ ებრაელთა ცხოვრებას, მათ სიკვდილსაც, რომლებიც გაზის კამერებში მიაბიჯებდნენ, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. რაოდენობრივი აზრით, ჰოლოკოსტი მასობრივ განადგურებებში ყველაზე რადიკალური გახლდათ. როგორც ყოველივე, რაც რაციონალური, დაგეგმილი, მეცნიერულად დასაბუთებული, ეფექტურად მართული, კოორდინირებული სახით კეთდება, ჰოლოკოსტიც ყველა მის თანამედროვე ეკვივალენტებს აღემატებოდა, რითაც მათი პრიმიტიული, მფლანგველური და არაეფექტური ხასიათი აჩვენა. როგორც ყველაფერი ჩვენს თანამედროვე ეპოქაში, ჰოლოკოსტიც ყველა მიმართებაში აღმატებულია. ის წარსულის ყველა გენოციდზე მაღლა დგას. ბოლოს, ჰოლოკოსტი ისეთ უნიფიცირებულ ტექნოლოგიას იყენებს, როგორიცაა წესდებები და ცირკულარები ბანაკებში და გაზის კამერების კონვეიერული მუშაობა, რათა დაცვაცა და ტუსაღებიც კონტროლქვეშ ჰყოლოდათ.

რა თქმა უნდა, მაკდონალდიზაციის ჰოლოკოსტთან შესატყვისობის საუკეთესო მახასიათებელი რაციონალობის ირაციონალურობა, განსაკუთრებით, დეჰუმანიზაციაა. აქ ბაუმანი დისტანცირების ცნებას იყენებს, რათა აჩვენოს, რომ მსხვერპლის დეჰუმანიზაცია შესაძლებელია იმიტომ, რომ ბიუროკრატებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას ღებულობენ, მასთან პირადი კავშირი არა აქვთ. ამას გარდა, მსხვერპლი მანიპულაციისა და ლიკვიდაციის ობიექტია, ციფრები ადამიანები არ არიან. ზოგადად, გერმანული ბიუროკრატიული აპარატი ისეთი მიზნის სამსახურში იმყოფებოდა, რომლის ირაციონალობა მიუწვდომელია.

ბაუმანის განაზრებებში მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ „ნაცისტების მიერ შემოღებულმა რაციონალურმა სისტემამ თავისი მსხვერპლი – ებრაელები – მოიცვა. გეტო „გამანადგურებელი მანქანის ნაწილად“ იქნა გადაკეთებული. განწირული თემების ლიდერები პროცესისათვის აუცილებელი წინასწარი ბიუროკრატიული სამუშაოს ძირითად ნაწილს (ნაცისტებს მონაცემებს აწვდიდნენ და მომავალი მსხვერპლის არქივებს ინახავდნენ) ასრულებდნენ, ხელმძღვანელობდნენ წარმოებასა და განაწილებას, რომელიც მსხვერპლთა სიცოცხლის შენარჩუნებას მოითხოვდა მანამ, სანამ გაზის კამერები მათ მიღებას შეძლებდნენ, დატყვევებულ მოსახლეობას ისე იცავდნენ, რომ კანონის და წესრიგის დაცვა დამპყრობთა მხრიდან რაიმე დანახარჯს არ მოითხოვდა, უზრუნველყოფდნენ განადგურების პროცესის მშვიდ დინებას, შემდეგი სტადიის ობიექტებს განსაზღვრავდნენ, რჩეული ობიექტები ადგილზე მიჰყავდათ, საიდანაც მათი წაყვანა მინიმალურ დანახარჯებს მოითხოვდა, შემდგომი მოგზაურობის დანახარჯების დასაფარავად ფინანსური რესურსების მობილიზებას ახერხებდნენ. (ეს ენათესავება იმ იდეას, რომლის თანახმად, მაკდონალდიზებულ სამყაროში მყიდველი ამ სისტემის უხელფასო თანამშრომელს წარმოადგენს: თავად ამზადებს სალათს, თავად ალაგებს სუფრას და ა.შ.). „ჩვეულებრივი გენოციდის“ შემთხვევაში მკვლელი და მსხვერპლი ერთმანეთისაგან განცალკევებულია. მკვლელი მსხვერპლის მიმართ რაღაც საზიზღრობას გეგმავს, აქ მოსალოდნელია წინააღმდეგობა. წინააღმდე-

გობა კი ნაკლებადაა მოსალოდნელი მაშინ, როდესაც მსხვერპლი დამნაშავეების მიერ შექმნილი „სისტემის“ ნაწილია (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.508).

რაც შეეხება იმ ებრაელების საქციელს, რომლებიც ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ, ისინი რაციონალურად იქცეოდნენ. ისინი აკეთებდნენ იმას, რაც აუცილებელი იყო, რომ კიდევ რაღაც დრო ცოცხლად დარჩენილიყვნენ ან უფრო რბილ მოქცევას იმსახურებდნენ. ისინი რაციონალურ ინსტრუმენტებსაც კი იყენებდნენ, მაგალითად, მიიჩნევდნენ, რომ რამდენიმე ადამიანის გაწირვა ბევრის სიცოცხლეს იხსნის ან, რომ მათი სამსახურის გარეშე,უფრო მეტი ებრაელი დაიღუპებოდა. საბოლოო ჯამში, ასეთი ქმედებები ირაციონალური იყო, რამდენადაც ხელს უწყობდა გენოციდის პროცესს და წინააღმდეგობის ალბათობას ამცირებდა.

თანამედროვეობა თავისი ცივილიზებულობით ამაყობს, ანუ იმით, რომ აუცილებელი გარანტიები აქვს, რომლებიც ჰოლოკოსტის განმეორებას გამორიცხავს. მაგრამ, ყოველივე ეს მოხდა; მიღებული ზომები არასაკმარისი აღმოჩნდა. დღეს რაციონალიზაციას არ დაუკარგავს თავისი გავლენა, მეტიც, დღეს ის უფრო ძლიერია. ძნელია ივარაუდო, რომ რაციონალიზმის სიგიჟისაგან დამცველი მექანიზმები დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე 1940 წელს. როგორც ბაუმანი წერს:

„ოსვენციმის შემქმნელი არც ერთი სოციეტალური პირობები სინამდვილეში არ გამქრალა, და ოსვენციმის მსგავსი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად არანაირი ეფექტური ზომები არ იქნა მიღებული“ (ციტ:Ритцер Дж. , Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.509).

ახალი ჰოლოკოსტისაგან თავის დასაცავად ძლიერი მორალი და პოლიტიკურ ძალთა პლურალიზმია აუცილებელი. მაგრამ მაინც არსებობს ერთი ძალის გაბატონების ალბათობა და ძნელია დაიჯერო, რომ ჩვენ საკმარისად ძლიერი ეთიკური სისტემა გვაქვს, რათა ძლევამოსილი ლიდერისა და ენერგიული ბიუროკრატიის შერწყმას ხელი შევუშალოთ.

შეჯამება

ამ თავში ჩვენ მიმოვიხილეთ ზოგიერთი თეორიული მიდგომა, რომელიც დღევანდელ სამყაროს თანამედროვე ეპოქის ნაწილად მიიჩნევს. ენტონი გიდენსს თანამედროვეობა, ესმის, როგორც დამანგრეველი ძალა, რომელსაც უპირატესობებიც აქვს და საშიშროებასაც შეიცავს. გიდენსი, კერძოდ, ისეთ საშიშროებებს აღნიშნავს, როგორიც დამანგრეველ ძალებთან დაკავშირებული რისკია. ეს საშიშროებები რისკის საზოგადოების შესახებ ბეკის ნაშრომის ძირითადი საკითხებია. თანამედროვე სამყარო რისკისა და ადამიანების მიერ მისგან თავის დაცვის აუცილებლობის სამყაროდ განიხილება. ჯ. რიტცერს რაციონალობა თანამედროვე საზოგადოების ძირითად მახასიათებლად მიაჩნია მიუხედავად იმისა, რომ მაკდონალდიზაცია უკიდურესადაა განვითარებული. მაშინ, როდესაც სწრაფი კვების რესტორნებს იგი, როგორც რაციონალობისა და თანამედროვეობის მაგალითს განიხილავს, ბაუმანი ასეთად ჰოლოკოსტს თვლის. სწრაფი კვების რესტორნებსა და, განსაკუთრებით, ჰოლოკოსტზე აქცენტი ირაციონალურ მომენტებზე და, განზოგადებულად, იმ საშიშროებებზე მიუთითებს, რომლებიც თანამედროვეობასა და მზარდ რაციონალიზაციასთანაა დაკავშირებული.

საკითხავი მასალა:

ინტერვიუ ჯორჯ რიტცერთან

1. თქვენ აღწერეთ მაკდონალდიზაცია, როგორც საზოგადოებრივი სისტემა სახელწოდებით „რკინის გალია“, სადაც ყველაფერი ერთსა და იმავე გაბატონებულ პრინციპს ეფუძნება. თქვენ რა სახის სამყაროში გვაცხოვრებდით?

- აშკარად, უფრო ღია საზოგადოებაში... მე ვგულისხმობ ძირეულ პრობლემებს, მაკ-დონალდსის სისტემა არის ის, რომ იქ მომუშავე ადამიანები გვიწყობენ ჩვენ ცხოვრებას, იმის მაგივრად, რომ თვითონ მოვიწყოთ ჩვენი ცხოვრება. მათ არ სჭირდებათ კრეატიული ადამიანი დახლთან, იმიტომ, რომ ისინი წინასწარ არიან გაწვრთნილნი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. არ უნდათ რაიმე ახალი ჰამბურგერის მომზადება, ისინი მიჰყვებიან რუტინას და დადგენილ წესებს. ისინი უარყოფენ ყველაფერ შემოქმედებითს და რუტინულს ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც გარეგანი ძალებით არის განპირობებული. აი, ეს არის მიზეზი, რატომაც მივიჩნევ არაჰუმანურად.

ჰუმანურობა, ძირითადად, არის შემოქმედებითი და თუ განვითარდება ისეთი სისტემები, რომელიც არის იძულებითი და აკონტროლებს ხალხს, ისინი არ იქნებიან შემოქმედებითნი და, შესაბამისად, ვერც ჰუმანურები. არის იდეა, ადამიანები შეცვალონ ადამიანი--რობოტებით. შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი კი ალბათ იქნება ადამიანი-რობოტების მექანიკური რობოტებით შეცვლა. და მე ვფიქრობ, დავინახავთ მაკდონალდიზებულ სისტემებს, სადაც ეკონომიკურადაც და ტექნიკურადაც შესაძლებელია ადამიანი – რობოტების მექანიკური რობოტებით შეცვლა.

2. როგორ ფიქრობთ, დაპირისპირება სასამართლო პროცესებთან და ცენზურასთან ხომ არ არის მაკ-დონალდსის მცდელობა, მართოს საზოგადოებრივი აზრი?

მე ვფიქრობ, მაკ-დონალდსი არ არის პირველი და ერთადერთი, ვინც ცდილობს, გააკონტროლოს საზოგადოებრივი აზრი, და, რა თქმა უნდა, მაკდონალდსისთვის საზოგადოების აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, ეს დაკავშირებულია კონტროლის იდეასთან, როცა შენ მიჩვეული, ხარ აკონტროლო ყველაფერი, რატომ არ შეიძლება სცადო საზოგადოებრივი აზრის გაკონტროლებაც?

3. რამდენად მნიშვნელოვანია მაკ-დონალდსის იმიჯისთვის ის, რომ ისინი აწარმოებენ არაგანსხვავებულ პროდუქტს?

ფაქტობრივად, ისინი აწარმოებენ იმავე პროდუქტს, რასაც სხვები, ძალიან მცირე განსხვავებაა მაკდონალდსის ჰამბურგერებსა და სხვა ჰამბურგერებს შორის, განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს სპეციალური საწებელი ან რაიმე მაგდაგვარი. არსებითად, ისინი ცდილობენ, აწარმოონ განსხვავებულობის გრძნობა და ამას აკეთებენ მხიარული კლოუნის ფერებით, სათამაშოებით და მყვირალა სისუფთავით.

4. რამდენად ორაზროვან გავლენას ახდენს მაკ-დონალდსის საჩუქრების პოლიტიკა მის იმიჯზე?

მე ვფიქრობ, ნაკლებად ორაზროვანია ის, რომ მაკ-დონალდსი ცდილობს, შექმნას ბავშვური და ბედნიერი მომხმარებლის გრძნობა, დიდი ოჯახის განცდა, სადაც ყველა ბედნიერია და კარგ დროს ატარებენ. ჩემი აზრით, ამერიკული კომპანიები სხვადასხვა გზებით ცდილობენ შეიქმნან ორმაგი, ცრუ იმიჯი. მე ვგულისხმობ, წარმატებული კაპიტალიზმის ამოსავალი, გარკვეული აზრით, არის – „ჩვენ ვართ სამყარო“, და უამრავი წამყვანი კომპანია ცდილობს ამ იდეის განვითარებას.

5. თქვენ თქვით, რომ ეს არ არის, უბრალოდ, მაკ-დონალდსი, მაშინ თქვენ, ჰელენი, დეივი და სხვა ხალხი რატომ ირჩევს მაკდონალდსს, როგორც ერთადერთს?

ისინი არიან, უბრალოდ, გამოსახულებანი და მაკ-დონალდსს ირჩევენ კრიტიკოსები, რადგან ის მრავალფეროვან გარემოებებზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, ის დაფუძნებულია ეფექტურობასა და წინასწარჭვრეტაზე. ხალხის აზრით, ეს არის ამერიკის ზეგავლენის გამოხატულება მსოფლიოზე და ის მიჩნეულია, როგორც პოზიტიური მოდელი. ყველაფერი არის ეფექტური, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მაკ-დონალდსს ისინი მიჰყავს ისეთ საოცარ მდგომარეობამდე, რომ ამთავრებენ ყოველგვარი ირაციონალური შედეგების მიღებას და ირაციონალური გადაწონის რაციონალურს.

6. რამდენად შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, რომ მაკ-დონალდსი კაპიტალიზმის გამოხატულებაა?

სასაცილოა, რომ მაკ-დონალდსი შეიძლება წარმოადგენდეს კაპიტალიზმის გამოხატულებას იმის შემდეგ, რაც ამერიკული კაპიტალიზმის სახე იყო თამბაქოს, ფოლადის და ავტომობილების წარმოება. მაგრამ ავტომობილები ახლა აღარ წარმოაჩენს ამერიკას მსოფლიოში, ამერიკის სახე ახლა გახდა მაკდონალდსი, დისნეი ლენდი და კოკა-კოლა.

7. როგორ ფიქრობთ, სხვა ქვეყებში მაკ-დონალდსში შესვლა უფრო მეტად ჰგავს „დასავლური ოცნების“ ახდენას, თუ, უბრალოდ, პროდუქციის შეძენას?

ეს არ არის, უბრალოდ, პროდუქციის შეძენა, შენ ძალაუნებურად ებმები ამ სისტემაში. 1940 წელს საფრანგეთს თავს დაატყდა ქარიშხალი სახელად „კოკა-კოლას კოლონიზაცია“, რის გამოც ფრანგები ძალიან წუხდნენ. კოკა-კოლა ემუქრებოდა ღვინის ინდუსტრიას და საფრანგეთის ცხოვრების გზას. ეს, უბრალოდ, იყო ამერიკული პროდუქციის შენაკადი, და ჩვენ რაც გვაქვს აქ, ეს არის თვითონ ამერიკული ცხოვრების გზა, რომელიც უმნიშვნელოს ხდის ჭამას, თითქოს რაღაცაა, რაც სწრაფად უნდა გაკეთდეს და მალევე დამთავრდეს. ამას წინათ მე ვიყავი პარიზში და გასაკვირია, რომ პარიზელებიც მოიცვა სწრაფი კვების ფენომენმა. მათ განავითარეს კროასანებით სწრაფი კვება, რითიც საფრანგეთის ცხოვრების გზა შეიცვალა. ფრანგული პური ერთი სიამოვნებაა, თან ადგილობრივი მცხობელი თავისებურად აცხობს. თუ საკვების ამ სფეროსაც დათმობენ ფრანგები, ეს მიმახვედრებს, რომ მხოლოდ მცირედს თუ შეუძლია იხსნას ისინი ექსპანსიისაგან.

8. თქვენი აზრით, ეს პროცესი შეიცვლის მიმართულებას?

დამატყვევებელი გამოხატულებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარდაუვალია. ყველანაირი ტენდენცია აშკარად მიუთითებს მაკდონალდიზაციის ფართო გავრცელებაზე. უამრავი კულტურაა, სადაც მას გავრცელების ფართო სპექტრი ექნება, მაგრამ არის შეუღწეველი კულტურებიც.

თუმცა არის საპირისპირო რეაქციებიც, ასევე არის რაღაც ფაქტები, რომლებიც არის ხალხის მიერ ინოვაციისა და კრეატიულობის გამოხატულება. ანუ მე ვგულისხმობ, რომ შენ ინოვაციას და კრეატივს მაკდონალდიზებული სისტემებისგან კი არ იღებ, არამედ – ხალხისგან.

მაგრამ რაც მე უფრო პესიმისტურად განმაწყობს, არის ის, რომ რაიმე, რაც კარგია, რაც არაა წარმატებული, დამქირავებელი ან ორგანიზაცია ცდილობს მის რაციონალიზებას, მაკდონალდიზებას, გაჩვეულებრივებას, ცდილობენ გადააქციონ საკასო აპარატების სისტემად და ასე აწარმოონ ფული. ისეთი არაფერი არსებობს, რომ შეუვალი გახადოს ეს პროცესი, ცხოვრების ვერც ერთი ასპექტი შეუშლის ხელს ამ პროცესს. ძნელია იმაზე ფიქრი, რით შეიძლება ავიცილოთ ეს პროცესი.

9. ნიშნავს ეს იმას, რომ ის ეხება ადამიანის ბუნების ზოგიერთ ფუნდამენტურ საკითხს?

სოციოლოგებს არ სჯერათ ადამიანური ბუნების. სოციოლოგთან ვერაფერს იტყვი ადამიანური ბუნების შესახებ, რადგან ის რეალური მნიშვნელობის რომ იყოს, სოციოლოგი თვითონ აწარმოებდა მას. არის რაღაც საკითხები, რაც ხალხს სჭირდება რაღაც დოზით, მაგალითად, ეფექტურობა და წინასწარჭვრეტა. მაკდონალდსმა სწორედ ეს გამოიყენა თავის სისტემაში. არა მგონია, ხალხს იმ დოზით სჭირდებოდეს ეფექტურობა, რა დოზითაც მაკდონალდსი იყენებს მას მათ მიმართ, ან საერთოდ სჭირდებოდეთ, რადგან ეს ისეთი რამაა, რაც არ არის თანდაყოლილი.

ჩემი სკეპტიციზმის მეორე მიზეზი ისაა, რომ შენი შვილები იბადებიან ასეთ მაკდონალდიზებულ სამყაროში, შენი მეგობრები შთაგონებულნი და შეცდენილნი არიან ამ სისტემის კომერციულობით, სათამაშოებით, კლოუნებით და კაშკაშა სინათლით. ისინი შთაგონებულნი არიან, რომ ასე უნდა იკვებონ, ასეთი გემო უნდა ჰქონდეს ჰამბურგერს, ფრანგულ ფრის. ეს, მათი აზრით, არის სტანდარტი და შენ თუ შეეცდები ამ ტიპის ხალხს უთხრა, რომ ჰამბურგერს არ უნდა ჰქონდეს ასეთი გემო, სახლში გამზადებული სჯობს, ისინი ცხვირს აიბზუებენ და გეტყვიან, რომ ის არ არის ასეთივე გემრიელი.

არსებობს ორი ჯგუფი, რომელიც აკრიტიკებს მაკდონალდიზაციის პროცესს. პირველი – ეს არის ხალხი, რომელიც დაიბადა ამ პროცესამდე და იცის, როგორია ამისგან განსხვავებული ცხოვრება და ახლა შეცბუნებულია მაკდონალდიზაციის ასეთი განვითარებით; და ხალხი არამაკდონალდიზებული კულტურებიდან, რომლებიც ხედავენ საშიშროებას და აქვთ შესაბამისი რეაქცია.

მაგრამ ის ხალხი, რომლებიც ადრე დაიბადნენ, უკვე დაიხოცნენ, სხვა კულტურის ხალხები უკვე მაკდონალდიზდნენ. და რას უნდა ელოდოს ოპოზიცია მომავალში ბავშვებისგან, რომლებიც აღიზარდნენ მაკდონალდსით, დადიან მაკდონალდის სკოლებში და გადადიან ერთი მაკდონალდიზებული სისტემიდან მეორეში.

10. და რატომ ფიქრობთ, რომ დეივმა და ჰელენმა უნდა გააკრიტიკონ მაკდონალდიზაცია?

თქვენ ხედავთ, მე არ ვფიქრობ, რომ ინგლისიც ისევეა მაკდონალდიზებული, როგორც ამერიკა. ევროპაში იციან მაკდონალდიზაციის შესახებ, მაგრამ არ იციან, რომ ის ისევ აგრძელებს განვითარებას ამერიკაში. ასე რომ, სხვა კულტურებში არის ხალხი, რომელმაც იმ კულტურის ბუნებიდან და არა მაკდონალდიზებული ასპექტებიდან გამომდინარე, შეიძლება აითვისოს ეს. მე ვფიქრობ, უფრო და უფრო მეტად ითვისებენ ამერიკელები, ანუ, თუ უნდათ ჭამა, მიდიან სწრაფი კვების რესტორანში და არა სხვაგან.

შენ ახსენე ფრანგული სამზარეულო და მე ვფიქრობ, მაკდონალდიზაციის შემდეგი მიმართულებაა მაღალი დონის რესტორნების მაკდონალდიზება. ახლა შენ უკვე ხედავ საშუალო დონის რესტორნებს და რესტორნების მთელ ქსელს ამერიკაში. Red Lobster ან ამ ქსელის ნებისმიერი რესტორანი წარმატებით ყიდის საკმაოდ მდიდრულ საკვებს, მაგრამ შენ ხედავ, რომ რამდენიმე საუკეთესო რესტორანი მაინც ცდილობს გააფართოოს ქსელი. გამოწვევა მიდის იქამდე, თუ როგორ მიაღწიონ სისტემის გაამაკდონალდიზებას ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ხარისხი, რადგან ყველა მაკდონალდიზებულმა სისტემამ შეიწირა ხარისხი.

11. რას ფიქრობთ, შედეგი უფრო ფართო იქნება და მარტო მაკდონალდსს არ მოიცავს?

ჩემი აზრით, მათ მოძრაობაში მოიყვანეს რაღაცა, რაც მათზე დიდია, გაცილებით მეტს ნიშნავს ეს პროცესი, ვიდრე ისინი არიან თვითონ. მაგალითად, მაკდონალდსი შეიძლება გაქრეს ან შეწყვიტოს ბიზნესი, მაგრამ ეს პროცესი გაგრძელდება. შეიძლება შენ სხვა სახელი დაარქვა ამ პროცესს, მაგრამ ის გაგრძელდება. ჩემი აზრით, ამ პროცესს

ჰქონდა ისტორია მაკდონალდსამდე. ვებერის რაციონალიზაციის თეორიაში რაციონალიზაციის მოდელი იყო ბიუროკრატია, კონკრეტულად, გერმანული ბიუროკრატია, ჩვენ ვცხოვრობთ ამ პროცესის მასიური გავრცელების ეპოქაში, სადაც განვითარება პოვა სწრაფი კვების რესტორნებმაც. სწრაფი კვების რესტორნები ან მაკდონალდსი შეიძლება გაქრეს, მაგრამ ეს პროცესი მიიღებს სხვა ახალ სახეს და გაგრძელდება.

12. არის 1984 წლის მამაცი ახალი სამყაროს მსგავსი ელემენტი ამაში?

1984 წლის მამაცი ახალი სამყაროს იმიჯი ერთ-ერთი მაკონტროლებელი იყო. რა არის მაკდონალდიზაცია ჩემთვის – კონტროლის მიკროსისტემა თუ სისტემის მაკონტროლებელი მიკროსისტემა? მიშელ ფუკო, ფრანგი პოსტსრუქტურალისტი, ლაპარაკობდა კონტროლის მიკროპოლიტიკასა და მიკრომექანიზმზე და მე ვფიქრობ, აქ არ არის ერთი დიდი რკინის გალია, მაგრამ არის იმდენი რკინის მინიგალია და ისე განლაგებული საზოგადოებაში, რომ შენ შეგიძლია ამოირჩიო ნებისმიერი და შეხვიდე, მაგრამ შიგნით არაფერი დაგხვდება.

13. რა გავლენა აქვს მაკდონალდიზებულ საზოგადოებას ხალხზე?

მე ვფიქრობ, მაკდონალდსს აქვს აბსოლუტური გავლენა ხალხზე, მე ვგულისხმობ, რომ ის ადამიანებში აღძრავს სურვილს, ყველაფერი აკეთონ სწრაფად, ჰქონდეთ შეზღუდული ყურადღება. რომელს აირჩევენ – გაზეთის კითხვას თუ ტელევიზორის ყურებას? მათ აქვთ შეზღუდული ყურადღება და უნდათ ყველაფერი სწრაფად, არ ჰყოფნით მოთმინება, იკითხონ "New York Times" და კითხულობენ McPaper ან USA today. მათ არ ჰყოფნით მოთმინება, უყურონ მეტისმეტად შემწყნარებლურ დეტალურ საინფორმაციო გამოსვლას და უყურებენ CNN News და მათ მცირე ახალ ამბებს, McNugget-ის მაგვარს, რაც აქვეითებს გონებას.

მე ამას ვხედავ განათლებაშიც, რომელსაც იღებენ სტუდენტები, რომლებიც უკვე მაკდონალდიზდნენ, ყველაფერი უნდათ სწრაფად, მათ სურთ მიიღონ პროფესორებისგან იდეალური განათლება, არ აინტერესებთ უინტერესო იდეები, ისინი უნდა გაართო და რონალდ მაკდონალდსივით მოხიბლო ტანსაცმლითა და მახვილგონივრული ბრწყინვალე საუბრით, თუ არადა, არაფრად ჩაგაგდებენ.

14. და როგორ ფიქრობთ, ჰელენი და დეივი რას აკეთებენ?

მე ვფიქრობ, აშკარაა, ძალიან მცირე საფუძველით მათ შექმნეს მსოფლიო მოძრაობა, მსოფლიო ყურადღება და ჩაუყარეს საფუძველი მაკდონალდს და მაკდონალდიზაციას. ამაზე ვილაპარაკეთ, რას მოგვიტანს კრიტიკოსთა ამ ორი ჯგუფის შეერთება, მე ვფიქრობ, მაკდონალდს მოუწევს რაღაცაზე თავის დახრა. თუ მათ სურთ აირიდონ ეს შემთხვევა, უნდა დათმონ, ცოტა მეტი ყურადღება რომ გააბნიონ და სტრატეგიულად აირიდონ ეს ოპოზიციური ძალები, რომლებიც მასზე ნეგატიურად მოქმედებს. მე ვგულისხმობ, რომ, თუ მოვა დრო, როცა ხალხი მაკდონალდს დამღუპველ ძალად აღიარებს, მაშინ სტრუქტურას სერიოზული საფრთხე დაემუქრება. მაგრამ, ვიმეორებ, თუ მაკდონალდსი შეწყვეტს ხვალ არსებობას თუნდაც რაიმე ცილისწამების სფუძველზე, პროცესი მაინც სწრაფად გაგრძელდება.

15. თქვენ ჭამთ მაკ-დონალდსში?

მაშინ, როცა მე ვარ ამ რკინის გალიაში და მხოლოდ ეს არჩევანი მაქვს. ანუ,როცა დიდ გზაზე მიდიხარ, ამერიკაში არ არის სხვა ადგილი საჭმელად, გარდა სწრაფი კვების რესტორნებისა. ამერიკაში დიდი განვითარება პოვა სწრაფი კვების რესტორანთა ქსელმა და როცა შენ მანქანით მიდიხარ დიდ გზაზე და მოგშივდება, იძულებული ხარ, ჭამო სწრაფი კვების რესტორანში. ეს ხდება იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არ გაქვს. ასე რომ, როცა შენ მოხვდები ამერიკაში, შენ გაქვს მხოლოდ ერთი არჩევანი და ეს ერთადერთიც რკინის გა-

ლიაა. როცა საზოგადოებაც არის ისეთი, სადაც შენ არ გაქვს არჩევანის უფლება, შენ, უბრალოდ, ხელებს მაღლა ასწევ და ამბობ: „კარგი, მე შევჭამ ასე, მე მოვიქცევი ასე“.

ენტონი გიდენსი – ინტიმურობის ტრანსფორმაცია, ამონარიდი
Гидденс Э. Трансформация интимности: сексуальность, любовь и эротизм в современных обществах". СПб.: Питер., 2004.

პირადი ცხოვრების დემოკრატიზაცია

- ინტიმურობის შესაძლებლობა დემოკრატიის დაპირებაა: ეს ის თემაა, რომელიც წინა თავებში შემოგთავაზეთ. ამ დაპირების სტრუქტურულ წყაროს არა მხოლოდ სექსუალურობის სფეროში, არამედ შვილებისა და მშობლების ურთიერთობებსა თუ ახლობლობისა და მეგობრობის სხვა ფორმებში სუფთა ურთიერთობების წარმოქმნა წარმოადგენს. შეგვიძლია დემოკრატიული პირადი წესრიგის ეთიკური ასპექტის განვითარება განვიხილოთ, რომელიც სექსუალურ ურთიერთობებსა და სხვა პირად დომენებში შერწყმის სიყვარულის (confluent love, любви-слияния) მოდელს შეესაბამება.

რაც შეეხება საზოგადოებრივ სფეროს, იდეალებსა და რეალობას შორის არსებითი დისტანცია არსებობს. კერძოდ, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების დროს, როგორც წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, დაძაბულობის ღრმა წყაროები არსებობს. სქესთა შორის ხელის შემშლელ ფაქტორებს როგორც ღრმა ფსიქოლოგიური, ასევე ეკონომიკური განსხვავებები წარმოადგენს. მაგრამ, ამის მიუხედავად, რეალიზმს აქაც უტოპიზმის კომპენსირება საკმაოდ მარტივად შეუძლია. უკვე მნიშვნელოვნად განვითარდა ის ცვლილებები, რომლებმაც ქმედების პირადი გარემოს ტრანსფორმაციას ხელი შეუწყვეს. მათ დემოკრატიული თვისებების რეალიზაციის ტენდენცია აქვთ.

ავტონომიის პრინციპი გვაძლევს ძაფს, რომლითაც ამ პროცესების ყველაზე მნიშვნელოვან არსობრივ კომპონენტს უნდა მივყვეთ. პირადი ცხოვრების სფეროში ავტონომია საკუთარი თავის რეფლექსური პროექტის წარმატებულ რეალიზაციას – სხვებთან თანასწორი ურთიერთობის პირობებს – ნიშნავს. საკუთარი თავის რეფლექსური პროექტი ისეთი სახით უნდა შემუშავდეს, რომ წარსულის ავტონომია შენარჩუნებულ იქნეს, რაც, თავის მხრივ, მომავლის კოლონიზაციას შეუწყობს ხელს. ამ სახით წარმოდგენილი პირადი ავტონომია სხვების შესაძლებლობების პატივისცემას უშვებს, რომელიც დემოკრატიული წესრიგისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ ასე შეუძლია მოექცეს ავტონომიური ინდივიდი სხვებს, აცნობიერებს რა, რომ მათი პოტენციური შესაძლებლობების განვითარება მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ავტონომია აგრეთვე ურთიერთობების წარმატებული მართვისთვის საჭირო პირადი საზღვრების დადგენას უწყობს ხელს. ასეთ საზღვრებზე გადაბიჯება მაშინ ხდება, როდესაც ერთი ინდივიდი მეორეს, როგორც ძველი ფსიქოლოგიური დისპოზიციის გათამაშების საშუალებას იყენებს, ან იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ორმხრივ ძალდატანებასთან/ძალადობასთან გვაქვს, რომელიც ურთიერთდამოკიდებულების დროს წარმოიშობა.

საზოგადოებრივ სფეროში დემოკრატიის, ზემოხსენებული, მეორე და მესამე პირობები პირადი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან პირდაპირ კავშირშია. ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებები, როგორც სექსუალურ დომენში, ასევე ზრდასრუ-

ლებსა და ბავშვებს შორის, ჩვეულებრივი მოვლენაა. უმეტესწილად, ასეთი ძალადობა მომდინარეობს მამაკაცებისაგან და მიმართულია მათზე სუსტების წინააღმდეგ. როგორც დემოკრატიის ემანსიპირებელი იდეალი, ძალადობის აკრძალვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. თუმცა ურთიერთობებში იძულების გავლენას შეუძლია არა მხოლოდ ფიზიკური ძალადობის სახე მიიღოს – ინდივიდებს, მაგალითად, შეუძლიათ ერთმანეთისთვის ემოციური ან ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების მიდრეკილებები გამოავლინონ. ემოციური შეურაცხყოფის თავიდან აცილება ურთიერთობებში ძალაუფლების გათანაბრების ერთდერთ ყველაზე რთულ ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს; მთავარი პრინციპი კი მაინც სხვისი დამოუკიდებელი შეხედულებებისა და თვისებების პატივისცემაა. „პატივისცემის გარეშე", ინტიმური ურთიერთობების ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მიხედვით, „ყრუვდებით, ატიტუდები (დამოკიდებულებები) გამაღიზიანებელი ხდება და საბოლოოდ აღარ გესმით ის, თუ რას აკეთებთ, როდესაც ვიღაც ასეთ არაკომპენტენტურ, სულელ, არასაიმედო, უგრძნობ, უშნო, სუნიან, მოუწესრიგებელ არსებასთან ცხოვრობთ. ეს გაიძულებთ იფიქროთ იმაზე, თუ რატომ აირჩიეთ თქვენი პარტნიორი: „ალბათ ჭკუიდან შევიშალე".

„ინდივიდის მიერ საკუთარ ასოციაციაში ჩართულობის განსაზღვრა" – არის მტკიცება, რომელიც სუფთა/წმინდა ურთიერთობების იდეალის მაგალითად გვევლინება. იგი ტრადიციულ და დღევანდელ ქორწინებებს შორის მთავარ განსხვავებას ასახავს და ინტიმურობის ტრანსფორმაციის დემოკრატიული შესაძლებლობების საფუძველს ეხება. იგი, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ურთიერთობის დაწყებისთვის, არამედ აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი ხანგრძლივობისა თუ შეწყვეტისთვის გამოიყენება. ამ კრიტერიუმების მიღებისთვის საჭიროა არა მარტო სხვისი პატივისცემა, არამედ ამ პიროვნებასთან გახსნილობაც. ინდივიდს, რომლის ჭეშმარიტი განზრახვებიც პარტნიორისგან დამალულია/დაფარულია, არ შეუძლია იმ თვისებების შემოთავაზება, რომლებიც ურთიერთობების პირობების კოოპერატიული განსაზღვრისთვის აუცილებელია. ყოველი თერაპიული ტექსტი, რომელიც ურთიერთობებს ეხება, გვაჩვენებს იმას, თუ რატომ იქნება სხვისი შეურაცხყოფა, რომელიც განხორციელებულია კომუნიკაციის და არა განტვირთვის მიზნით, დემოკრატიულად მოწესრიგებული ურთიერთქმედების შემზღუდველი ფაქტორი.

უფლებები და მოვალეობები: როგორც უკვე შევეცადე განმემარტა, რაღაც დოზით განსაზღვრავს იმას, თუ რა არის რეალურად ინტიმურობა. ინტიმურობა არ უნდა გავიგოთ, როგორც ურთიერთქმედებითი დახასიათება. იგი განსაკუთრებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების ერთობლიობაა, რომელიც პრაქტიკული აქტივობების გეგმებს განსაზღვრავს.

უფლებების მნიშვნელობის, როგორც ინტიმურობის მიღწევის საშუალებების გამოყენების დემონსტრირება მარტივად შეიძლება ქალების მაგალითზე, რომლებიც ოჯახში თანასწორი სტატუსის დაკავებისთვის იბრძვიან. მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ – ქალების უფლებას, გამოიჩინონ ინიციატივა გაყრის დროს, რომელიც ნეგატიური სანქციის სახეს იღებს, რეალობაში ძირითადი გამაწონასწორებელი ეფექტი გააჩნია. მისი გამაწონასწორებელი შედეგები აკეთებს მეტს, ვიდრე, უბრალოდ, დამთრგუნველი ურთიერთობებიდან თავის დაღწევის წახალისებაა. ისინი ზღუდავენ მამაკაცების შესაძლებლობას, გამოავლინონ თავიანთი დომინირება და ამის საშუალებით ძალადობრივი ძალაუფლება თანასწორ კომუნიკაციაში გადაჰყავთ.

არანაირი უფლებები ვალდებულებების გარეშე – პოლიტიკური დემოკრატიის ეს ელემენტარული წესი სუფთა/წმინდა ურთიერთობებსაც ესადაგება. უფლებები ხელს უწყობს თვითნებური ძალაუფლების აღმოფხვრას მხოლოდ და მხოლოდ იმ დონეზე, რა დონეზეც მათ სხვების მიმართ პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რაც, თავის მხრივ, პრივილეგიებ-

სა და ვალდებულებებს აბალანსებს. ისევე, როგორც სხვა სფეროებში, შეთანხმებების შემთხვევაში, ურთიერთობებშიც ვალდებულებების გადახედვა შესაძლებელი უნდა იყოს.

და რა შეიძლება ითქვას ანგარიშვალდებულებასა და ძალაუფლებასთან მისი კავშირის შესახებ? იქ, სადაც ისინი არსებობენ, ანგარიშვალდებულებაცა და ძალაუფლებაც მჭიდრო კავშირში არიან ნდობასთან. ნდობა ანგარიშვალდებულების გარეშე, როგორც ჩანს, ცალმხრივი ხდება, ანუ დამოკიდებულებაში გადადის; ანგარიშვალდებულება ნდობის გარეშე შეუძლებელია, რადგან, ამ შემთხვევაში, იგი სხვისი მოტივებისა და ქმედებების მუდმივი გამოცდა იქნება. ნდობა მეორე ადამიანის სანდომიანობის/სანდოობის გრძნობას იწვევს, როგორც „კრედიტი", რომელიც არ საჭიროებს მუდმივ კონტროლს, მაგრამ, რომელიც შეიძლება გახსნილი/ღია იყოს პერიოდული ინსპექციისთვის, თუ ეს საჭირო გახდება. სხვის მიერ შენი „სანდოდ" შეფასება პირადი ერთიანობის აღიარებას ნიშნავს, მაგრამ თანასწორ გარემოში ასეთი ერთიანობა აგრეთვე მოქმედების აშკარა მიზეზებს იმ შემთხვევაში განსაზღვრავს, თუ ამ ქმედებების განხორციელებისკენ მოწოდება არსებობს. ფაქტობრივად, იგი, აგრეთვე, განსაზღვრავს ყოველ ქმედებას, რომელიც სხვის ცხოვრებაზე გავლენას ახდენს.

ძალაუფლება სუფთა/წმინდა ურთიერთობებში ზრდასრულ ადამიანთა შორის „სპეციალიზაციის" სახით არსებობს იქ, სადაც ერთ პიროვნებას ისეთი სპეციალურად განვითარებული უნარები აქვს, რომლებიც მეორეს აკლია. არ შეიძლება ვილაპარაკოთ ძალაუფლებაზე სხვების მიმართ, როგორც ზრდასრულისა და ბავშვის ურთიერთობებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ურთიერთობების წევრები ძალიან პატარა ბავშვები არიან.

შესაძლებელია მშობლებსა და პატარა ბავშვს შორის ურთიერთობები დემოკრატიული იყოს? შესაძლებელია და უნდა იყოს სწორედ იმავე მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც ეს სამართლიანია დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგისთვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ბავშვის უფლებაა, მოექცნენ მას ისევე, როგორც თანასწორ ზრდასრულს. ქმედებები, რომლებზეც ბავშვებთან პირდაპირ მოლაპარაკება არ შეიძლება, რადგან ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან, რათა გააანალიზონ ამ ქმედებების შედეგები, საპირისპირო ფაქტების მოყვანით უნდა შეფასდეს. ვარაუდი ისაა, რომ შესაძლებელი იქნებოდა თანხმობის მიღწევა და ნდობის შენარჩუნება, თუ ბავშვები საკმარისად ავტონომიურები იქნებოდნენ იმისთვის, რათა ზრდასრულებთან თავიანთი არგუმენტები თანაბარ სიმაღლეზე წამოეყენებინათ.

თავი 8. სუფთა ურთიერთობათა წინააღმდეგობრიობები

ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, განხილული მოცემულ თავში, განსაკუთრებით იმდენად, რამდენადაც ისინი პირველადად ან ნაწილობრივ ქვეცნობიერში არიან ლოკალიზებულნი, სუფთა ურთიერთობების სამყაროში ფუნდამენტურ დაძაბულობებს იწვევენ. მათი განხილვის მიზნით, მე კონცენტრირებას ერთსქესიანთა კავშირებში – განსაკუთრებით, ლესბოსელთა შორის – სუფთა ურთიერთობათა ასპექტებზე გავაკეთებ. თუ კაცისა და ქალის სექსუალობის ფსიქიკურ მახასიათებლებს გავითვალისწინებთ, ეს სტრატეგია შეიძლება უცნაური მოგვეჩვენოს. თუმცა იმისათვის, რომ დავაკვირდეთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ფსიქოლოგიური განსხვავებები, რომლებსაც ქალების და კაცების განაცალკევების ტენდენცია აქვთ, სუფთა ურთიერთობებისთვის დესტრუქციული აღმოჩნდნენ, საჭიროა განვიხილოთ მათი შინაგანი დინამიკა, რომელიც გარკვეულწილად უფრო იოლად ექვემდებარება შესწავლას, როდესაც ჰეტეროსექსუალური ელემენტი ჩამოშორებულია.

თუ განსაკუთრებულად არ ვიზრუნებ მასალის რეპრეზენტატულობაზე, მაშინ აქცენტს ჰაიტის მიერ მოწოდებულ ზოგიერთ საოცრად რეფლექსურ დოკუმენტზე გავაკეთებ.

ჰაიტის გამოკითხვა წარმოებდა იმისათვის, რათა გამოკვეთილიყო იდეოლოგიური რევოლუცია მის პროგრესულ განვითარებაში, მაგრამ ისინი ასევე გადმოგვცემენ გათვითცნობიერებულობას იმის შესახებ, რომ გაანალიზებულ დოკუმენტებს აღნიშნულ პროცესში პირდაპირი წვლილი შეაქვთ. პირველი დიდი „კითხვარი-ესსე“ გადანაწილებულ იქნა 1972-1976 წლებში. ამის შედეგად გამოქვეყნებული მისი ნაშრომის პირველი ტომი 3500 ამერიკელი ქალის პასუხებზე იყო დამყარებული. ამ კვლევის თავისებურება მდგომარეობდა მის აქცენტზე იმის შესახებ, რომ ქალის სექსუალობა არა მხოლოდ „ექსპერტთა“ მსჯელობების მიხედვით, არამედ ჩვეულებრივი ხალხის აზრის გათვალისწინებითაც უნდა იქნეს შესწავლილი. ჰაიტის მიხედვით, ამ პროექტის მიზანს წარმოადგენდა შემდეგი: „მიეცეთ ქალებს საშუალება, რომ განსაზღვრონ თავიანთი სექსუალობა“ და მიეცეთ უფლება საკუთარი აზრი გამოთქვან იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ ისინი სექსში და რას ნიშნავს მათთვის სექსუალობა.

ჰაიტმა აღმოაჩინა, რომ მის მიერ გამოკვლეული ქალების თერთმეტ პროცენტს სექსუალური კავშირი ჰქონდა მხოლოდ სხვა ქალებთან (ტომი 3), ხოლო 7 პროცენტი ამას დროდადრო ახორციელებდა. ამ ციფრებს არ უნდა მივანიჭოთ არანაირი სტატისტიკური მნიშვნელობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი რესპონდენტების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა ასაკი 40 წლის ზემოთ იყო, სექსუალური ურთიერთობები ქალებთან პირველ პერიოდებში ჰქონდა. ფაქტობრივად, ყველა მათგანი მანამდე ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. კვლევის დროისთვის, ლესბოსელ ქალთა 80 პროცენტზე მეტი გარკვეული ხანგრძლივობის ურთიერთობებში იმყოფებოდა.

ლესბოსელ ქალთა უმრავლესობას შეუძლია ჰქონდეს ხანგრძლივი ურთიერთობები, მაგრამ მათ ამ კავშირებში უსაფრთხოების განცდის მიღება უჭირთ.

ერთი ქალი ამბობს: „არატრადიციული კავშირი წესების არარსებობის გამო რთული ფენომენია. ქორწინებაში, ტრადიციული გაგებით, თუკი ადამიანებს შეთვისებული აქვთ როლები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რათა ინდივიდები შეეფერებოდნენ ერთმანეთს, მაშინ ეს საკმაოდ კარგ ორგანიზაციას ქმნის. მაგრამ ჩვენი უმრავლესობისთვის, გეებს შორის ურთიერთობებში წესები არ არსებობს და თქვენ ერთგვარად საკუთარი წესების შექმნა გიწევთ. სწორედ ამასთან გვაქვს მუდმივად საქმე, როდესაც ვიკვლევთ, როგორ მუშაობს ეს კავშირები. და მაინც, ვინაიდან ქორწინება ტრადიციული მნიშვნელობით ქრება, სწორედ გეები წარმოადგენენ პიონერებს ამ მხრივ, ისინი არიან პირველადი ყოველდღიური ექსპერიმენტატორები. გარკვეული დროის განმავლობაში მათ უნდა ჰქონდეთ ისეთივე შეგრძნება, რაც საერთოა ჰეტეროსექსუალური წყვილებისთვის“.

სუფთა ურთიერთობები: შეწყვეტა და წარმოშობა

ადრინდელ პერიოდებში ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში ქორწინებამდელი სექსუალური კავშირები, ჩვეულებრივ, ორივე პარტნიორის მიერ აღწერილი იყო, როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანი მომავლისთვის. ქალები ჩვეულებრივ ქორწინებამდე მიდიოდნენ სქესობრივი გამოცდილების გარეშე, მაშინ როდესაც მამაკაცების ფლირტი სრულიად მისაღებ ეპიზოდური სექსუალობის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თუმცა დღეს კავშირი უნდა განვიხილოთ დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა იყო ადრე და, ასევე, სექსუალური თუ სხვა ტიპის გატაცებებისაგან, რომლებიც შეიძლება ინდივიდს ჰქონდეს. პიროვნება, რომელთანაც პარტნიორს ადრე კავშირი ჰქონდა, შეიძლება ორივე პარტნიორის ცნობიერე-

ბაში აგრძელებდეს არსებობას. მაშინაც კი, როდესაც ემოციური კავშირი მკვეთრად იყო შეწყვეტილი, ამჟამინდელი ურთიერთობები შეიძლება წინარე ურთიერთობების კვალით იყოს გაჟღენთილი. თუ ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ყველანაირი ზრდასრული პიროვნული ურთიერთობები ბავშვური გამოცდილების აქცენტებს მოგვაგონებს, მაშინ დანაკარგის გამოცდილების შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას. და სუფთა ურთიერთობების სფეროში ინდივიდები ახლა ამ ტიპის ძალიან ბევრ პრობლემას უკვე უნდა უმკლავდებოდნენ.

განშორება – ეს არის ქალი-გეებისთვის გამოცდილება, რომელიც მათი ურთიერთობის შეთანხმებული სტატუსისა და განსაკუთრებით ჰომოსექსუალობის თვითიდენტურობის „გახსნილი“ ხასიათის შედეგია. „როდესაც ჩვენ დავშორდით, ჩემს თავს ვეკითხებოდი, შემეძლო კი მე მყვარებოდა, რომ მართლაც ლესბოსელი ვყოფილიყავი, ხოლო იგი მხოლოდ ქალი“. ეს არის ერთი ქალის მიერ სხვა ქალთან მისი წინა ურთიერთობის აღწერა. იგი უმატებს: „ბევრი ჩემი ლესბოსელი მეგობრისთვისაც იგივეს ჰქონდა ადგილი, პირველი განხეთქილება გამანადგურებელი იყო, იმიტომ, რომ ის ხელახლა ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა“. ის ასევე იტანჯებოდა სხვა კავშირების დამთავრების დროსაც, რომლებიც ასევე რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ერთი პიროვნება ბევრის სახელით საუბრობს, როდესაც ამტკიცებს: „ხანდახან მე განვიცდიდი დაღლილობას შეთანხმებით ურთიერთობებზე დამყარებული ცხოვრებით და მასთან გამკლავებით. მივიღებ კი მე ოდესმე ჩემი წვალების საფასურს? ბოლო მომენტში ისინი თქვენ უფრო ახალგაზრდის, უფრო ინტელექტუალურის, ან უფრო ხანდაზმულის, ნებისმიერი ქალისა თუ კაცის გამო მიგატოვებენ“.

სუფთა ურთიერთობებში ადგილი აქვს სტრუქტურულ წინააღმდეგობებს, რომლებიც დამყარებული არის მიჯაჭვულობაზე, რასაც ჰაიტის ბევრი რესპონდენტი აღნიშნავს. იმისათვის, რათა მიჯაჭვულობა წარმოიქმნას და საერთო ისტორია შეიქმნას, ქალმა თავისი თავი სხვა ქალს უნდა მიუძღვნას. მან სიტყვითა და საქმით პარტნიორისათვის გარკვეული ტიპის გარანტიები უნდა უზრუნველყოს იმის შესახებ, რომ ეს კავშირი გაურკვეველი დროის განმავლობაში გაგრძელდება. თუმცა, დღევანდელი კავშირი არ წარმოადგენს ბუნებრივ პირობას ურთიერთობის ხანგრძლივობის შესახებ, როგორც ეს ადრე იყო. ეს არის სუფთა ურთიერთობების დახასიათება, რომელიც შეიძლება მეტ-ნაკლები ნებაყოფლობით ნებისმიერი პარტნიორის მიერ ნებისმიერ მომენტში იქნეს შეწყვეტილი. იმისათვის, რათა კავშირი გაგრძელდეს, აუცილებელია მიჯაჭვულობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნებისმიერი, რომელიც უპირობოდ არის მიდრეკილი მიჯაჭვულობისკენ, მომავალში ამ ურთიერთობების შეწყვეტის შემთხვევაში სერიოზული ტრავმის მიღებას რისკავს.

ჰაიტის რესპონდენტების ორი მესამედი ურთიერთობებში საკუთარი უსაფრთხოების ფაქტორს უსვამს ხაზს. „მე ყოველთვის მეპარება ეჭვი, მართლა ვუყვარვარ მას, თუ მე უფრო მიყვარს იგი“. „ხანდახან განვიცდი სიყვარულს, ხანდახან – იგნორირებას. კმაყოფილი ვარ კი? არა!“. „მე ვგრძნობ, რომ უფრო მეტი მჭირდება, ვიდრე, ჩემი აზრით, მისგან ვიღებ. ვგრძნობ, რომ მას ვუყვარვარ, მაგრამ უსაფრთხოდ თავს არ ვგრძნობ. მინდა, რომ მას უფრო მეტად ვუნდოდე. მაგრამ მე არც ის მომეწონებოდა, რომ ის ზედმეტად იყოს ჩემზე დამოკიდებული და მფიტავდეს“. თუმცა უმრავლესობა თვლის, რომ ქალების ურთიერთობები ბევრად უფრო ინტიმური და თანასწორუფლებიანია, ვიდრე კაცების ურთიერთობები. ცხადია, რომ სიყვარულის ახალი მოდელები უნდა განვითარდეს და რომ გეების ურთიერთობას უზრუნველყოფს კონტექსტი, რომელშიც ეს არის მიღწევადი. „სიყვარულში – ამბობს ერთ-ერთი გამოკითხულთაგანი – ყველაფერი არის ფეთქებადი, ირაციონალური, არაჩვეულებრივი, დამათრობელი, საოცნებო. გიყვარდეს – ეს არის ხანგრძლივი მუშაობა, ნდომა, კომუნიკაცია, მიჯაჭვულობა, ტკივილი, სიამოვნება“.

ხშირად მოკლევადიან სექსუალურ აღგზნებასა და პარტნიორზე ზრუნვის უფრო გრძელვადიან ფორმებს შორის ძლიერი კონფლიქტი ყალიბდება. მიუხედავად ამისა, ბევრი აღნიშნავს, რომ მათი სექსუალური მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების ინტენსიურობა იმ სიახლოვეზეა დამოკიდებული, რასაც ისინი პარტნიორთან განიცდიან. დაახლოებით 80 პროცენტი ამტკიცებს, რომ მათ ძალიან ადვილად შეუძლიათ საუბარი თავის პარტნიორებთან. „ის ყურადღებიანი და პატივისმცემელია, ის მითმობს დროს მაშინ, როდესაც ეს მე მჭირდება და მე მას ანალოგიურად ვპასუხობ“. „მე უფრო დიდი ალბათობით შემიძლია გავერკვე საკუთარ სურვილებში, მაგრამ მე ხელს ვუწყობ, რომ მან გააკეთოს ის, რაც მას უნდა და გამოხატოს ყველაფერი, რასაც იგი გრძნობს“.

ეკონომიური უთანასწორობა აქ ნაკლებად არის შესამჩნევი, ვიდრე ჰეტეროსექსუალურ კავშირებში, და საშინაო საქმეების განაწილებაც მეტ-ნაკლებად უნივერსალურად იმ შემთხვევაშიც კი გამოიყურება, როდესაც ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სუფთა ურთიერთობებში ნდობა გარეშე მხარდაჭერასთან არ არის დაკავშირებული და ინტიმურობის საფუძველზე უნდა განვითარდეს. ნდობა – ეს არის პარტნიორისადმი რწმენის ხორცშესხმა, ასევე, ეს არის ურთიერთგრძნობის უნარი, რომ მომავალ ტრავმებს წინ აღუდგეს. ენდობოდე პარტნიორს, ეს ნიშნავს, რისკიანი ფსონი დადო ამ ინდივიდის უნარზე, რომ პატიოსნად იმოქმედოს. სექსუალური კავშირების ტენდენცია იმისადმი, რომ იყვნენ დიადურნი (არა მონოგამურები) ეს გარკვეულწილად იმ გაუცნობიერებელი სურვილის შედეგია, რომ რეზიუმირებულ/შეჯამებული იყოს ექსკლუზიურობის ის შეგრძნება, რომლითაც ბავშვი თავის დედასთან ტკბება. „განსაკუთრებულობა“, რომელსაც ერთი პოულობს მეორეში, როგორც ამას ფროიდი მიუთითებს, „ხელახლა აღმოჩენას“ წარმოადგენს. ამავე დროს, სექსუალური ურთიერთობების დიადური ხასიათი ასევე ბუნების მიერ ნდობის გაძლიერებისაკენ ტენდენციას ფლობს. ვინაიდან ნდობა, როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს პიროვნებათა ნდობაზე, არ წარმოადგენს იმ თვისებას, რომელსაც განუსაზღვრელად ფართო ექსპანსია ახასიათებს.

ისტორია, რომელსაც ორი ინდივიდი ერთად ქმნის, გარკვეულ ეტაპზე სხვებისგან დაფარული ხდება და ეს გარდაუვალია. ექსკლუზიურობა არ არის ნდობის გარანტია, მაგრამ ის მისი მნიშვნელოვანი სტიმულია. ინტიმურობა გულისხმობს ღია ემოციებსა და აქტივობებს, რომლებსაც ინდივიდები ფართო აუდიტორიის წინაშე არ განახორციელებენ. სინამდვილეში, იმის ღიაობა, რაც ხალხისგან დაფარულია, არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მარკერი, რომელიც პარტნიორში გრძელვადიანი რწმენის გამოიწვევას შესაძლებელს ხდის და ეს არის სწორედ ის, საითკენაც ინდივიდები ისწრაფვიან. არ არის რთული, დავინახოთ ის, რომ თვითღიაობა, რომელიც ინტიმურობას უშვებს, თანადამოკიდებულების პროდუცირებას ახდენს, თუ ის ავტონომიის შენარჩუნებას გვერდიგვერდ არ მიჰყვება. როდესაც საკუთარი თავის მეორე ადამიანისადმი ფსიქოლოგიური მიძღვნა არის ცალმხრივი და არ არის დაბალანსებული, ინდივიდთაგან ერთ-ერთმა უნდა განსაზღვროს მეორის მოთხოვნილებები, იმის მოლოდინით, რომ ეს მეორე ამ მოთხოვნილებებს გაჰყვება.

რა თქმა უნდა, პარტნიორს შეუძლია დაარწმუნოს მეორე, რომ მას ჰყავს მეგობრების დიდი წრე და ბევრი ახლო ადამიანი, რომლებზეც მას რთულ წუთებში იმედების დამყარება შეუძლია. და მაინც, რადგან ნდობა არ შეიძლება უსაზღვროდ გავრცელდეს, ასეთი გადაწყვეტილებების დროს გარკვეული პრიორიტეტები არსებობს. ზუსტად ისევე, როგორც პარტნიორები, მეგობრებიც ითხოვენ ინტიმურობის, ინფორმაციის მარკერებს, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნის. ის, ვინც მეგობარს უფრო ენდობა თავის გრძნობებში, ვიდრე პარ-

ტნიორს, დიდი ალბათობით, რაღაცას მალავს თავისი პარტნიორისგან. ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ეს პრობლემა ძალიან იოლად არის ახსნილი და გადაჭრილი, ქალების თქმით, ქმარი მათთვის არ არის „კარგი მოსაუბრე". ისინი ისეთ ინტიმურ ურთიერთობებს ამყარებენ ქალ მეგობრებთან, რომელი ურთიერთობის ნაწილიც კაცი ვერ ხდება.

თვითობის რეფლექსიური პროექტისთვის გარკვეული პირობების დადგენას სუფთა ურთიერთობებისთვის განმათავისუფლებელი სოციალური გარემოს უზრუნველყოფა შეუძლია. საზღვრები, პიროვნული სივრცე და ყველაფერი დანარჩენი, რაც თერაპიულ ხელმძღვანელობას გულისხმობს, სჭირდებათ ინდივიდებს იმისათვის, რომ ეს გამოიყენონ ურთიერთობებში და თანადამოკიდებულებაში არ ჩავარდნენ. გარდა ამისა, აქ ასევე დაძაბულობის და კონფლიქტის შესაძლებლობაც არსებობს. ისტორია, რომელსაც განავითარებს კავშირი, ხელს უწყობს იმას, რომ გარე სამყაროს უბედურებები დაფაროს.

წონასწორობა ავტონომიასა და დამოკიდებულებას შორის პრობლემატურია. თვითიდენტობის მობილური ხასიათი სუფთა ურთიერთობების მოთხოვნებს არ ერწყმის. ნდობა განსხვავებული განვითარების ტრაექტორიებს უნდა მოერგოს, რომლებსაც პარტნიორები მისდევენ. ენდობოდე ვინმეს, ნიშნავს, უარი თქვა მათ „დაბმაზე" და ისინი ქცევის განსაზღვრული ფორმების საზღვრებისაგან გაათავისუფლო. ამავდროულად, ავტონომია, რომელიც ნაჩუქები იქნა ადამიანისთვის, არ არის აუცილებელი, გამოყენებულ იქნეს იმ კუთხით, რა კუთხითაც და რა მოტივითაც იქნა ის მინიჭებული. „ადამიანები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე იზრდებიან" – ეს საკმაოდ გავრცელებული და გაზიარებული თვალსაზრისია.

ლესბოსელობა და მამაკაცური სექსუალობა

ნებისმიერი სქესი – ესაა ბნელი კონტინენტი მეორისთვის და დისკუსია, რომელსაც მოცემულ თავში გავმართავთ, მიმოიხილავს იმას, თუ რატომ არსებობს მსგავსი ტენდენცია. ჰაიტის დასკვნები ეხმაურება შარლოტა ვოლფის და სხვების აზრებს და ამბობს, რომ ბისექსუალი ქალები ბევრად უფრო მიჯაჭვულები არიან ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე, მაშინაც კი, როდესაც ისინი ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში იმყოფებიან.

პლასტიკური სექსუალობა, თუკი ის საკმაოდ განვითარებულია, პენისის მიმართ ნეიტრალურ დამოკიდებულებას მოიაზრებს. ჰაიტისა და ვოლფის მიერ გამოკითხულ ქალთაგან, არცთუ ისე ბევრია მიდრეკილი, აირიოს ქალებსა და მამაკაცებში, თუმცა ისინი, გარკვეულწილად, თავიანთ სექსუალურ განცდებს ურევენ. თუმცა ლესბოსელი ქალები ამსხვრევენ სტერეოტიპს იმის შესახებ, რომ ქალი ბუნებით მონოგამიურია. ჰაიტის რესპონდენტთა უმრავლესობა, თუკი ისინი განგრძობად ურთიერთობაში იმყოფებიან, მონოგამიას, როგორც სასურველ იდეალს აფასებენ. მაგრამ ეს დიდწილად ნდობის ცენტრალური როლის გააზრებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე სექსუალური ექსპერიმენტების მიმართ ანტიპატიასთან. ბევრი ქალი საუბრობს იმ სირთულეებზე, რომლებსაც ან თავად ისინი, ან მათი პარტნიორები აწყდებიან მონოგამიურ ურთიერთობაში ყოფნის გამო, ყოველ შემთხვევაში იმ ეტაპზე, როდესაც ინტენსიური ფიზიკური სწრაფვა და გატაცება პარტნიორისადმი დასასრულს უახლოვდება.

მამაკაცების ეპიზოდური სექსუალობა ყოვლისშემძლე დედის გამოსწორებისა და „შეკეთების" გაუთვითცნობიერებელ მცდელობებთან ბევრად უფრო დაკავშირებულად გამოიყურება. ასეთი ტიპის ექსტრემალური ავანტიურიზმი ქალებს შორის არ არსებობს.

„ის ფლირტის გამოუსწორებელი მოყვარულია და ყოველთვის ასეთი იყო" – ამბობს ერთი ქალი თავის ქალ პარტნიორზე. „მე მას სამი წელია, რაც თვალს ვადევნებ. ჩვენ ერთად ორი წელი ვცხოვრობდით და ბოლოს მე წავედი. მე ჯერ კიდევ ვხვდები მას და ჩვენ

სექსუალურ კავშირსაც ვამყარებთ, თუმცა ეს მხოლოდ მასთან არ ხდება. მთელი იმ დროის მერე, როდესაც მე ვუყურებდი, როგორ მიდის ის სხვებთან, გადავწყვიტე, მეც მეცადა სხვებთან ურთიერთობა – ახლა მე ეს მომწონს, და მე აღარ ვარ დაწმუნებული იმაში, რომ მე მონოგამიური ვარ მოწოდებით".

ლესბოსელთა მცირე ნაწილს, ჰეტეროსექსუალურ ქალებთან შედარებით, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან, ჰქონდათ ან აქვთ გარკვეული ტიპის თავგადასავლები ურთიერთობის გარეთ. „მე ყოველთვის მქონდა სექსი ურთიერთობების გარეთ, ეს არ იყო სიყვარული, ეს იყო ვნება" – ამ სიტყვებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისინი ჰეტეროსექსუალ მამაკაცს ეკუთვნის და არა ლესბოსელ ქალს.

თუმცა გარკვეული სხვაობები მაინც შეინიშნება. ჰეტეროსექსუალი ქალების უმრავლესობა პარტნიორისგან თავის სექსუალურ თავგადასავლებს მალავს, ხოლო ჰომოსექსუალურ წყვილებში მსგავსი თავგადასავლები არ არის ფარული და მისაღებია წყვილისთვის. ამის მიზეზი ბევრად უფრო ძლიერი კომუნიკაციური ურთიერთობაა ლესბოსელებს შორის, ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით. მონოგამიისგან განდგომა ღია განხილვით ხდება და ის ხშირად ხასიათდება, როგორც ტრადიციული ქორწინების გადმონაშთი. იქ, სადაც კავშირები ფარულია, ადრე თუ გვიან ეს აშკარავდება.

ხშირად განიხილავენ ლესბოსელ ქალთა ინტერესს სექსუალური კმაყოფილების მიმართ. სურთ ამ ქალებს სექსი? ამ ქალებს, რა თქმა უნდა, უნდათ სექსი და ისინი აქტიურები არიან სექსუალური დაკმაყოფილების ძიების გზაზე. თუკი სექსუალური კმაყოფილების ორგაზმის რეაქციით გაზომვა საეჭვო ინდექსია, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს, მაშინ ლესბოსური სექსი ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე ჰეტეროსექსუალური აქტივობა. მეტიც, მასში უფრო მეტადაა დაცული სექსუალური განცდების გაცემისა და მიღების წონასწორობა. „ჩვენ შორის არის კავშირი, რომელიც არასდროს გამომიცდია მამაკაცთან ურთიერთობისას". „მე მომწონს ხერხები, რომლებსაც ქალები მიმართავენ, სხეული, ვნება, სირბილე, ძალასთან კომბინირებული". „მე არასდროს მიგრძნია თავი შებოჭილად ქალთან სექსის დროს, მამაკაცებთან მე თავს ყოველთვის დათრგუნვილად ვგრძნობ". უმეტესწილად, ეს აქცენტები სექსუალური საპასუხო აქტივობებისადმი თავსებადად გამოიყურება და მათ პროდუცირებას ხელს უწყობს. ეს ქალები ამბობენ, რომ ტყუილია იდეა იმის შესახებ, რომ ქალის სხეულის ეროტიზაცია გენიტალიური შეგრძნებების ფასად მიიღწევა. ფაქტობრივად, ორნი ამ შემთხვევაში არიან ერთად. ეს არის რაღაც ისეთი, რაც პლასტიკური სექსუალობის გავლენისადმი თავსებადია.

რაც შეეხება გეი კაცებს, ისევე, როგორც ქალებს, სექსუალობა შეიძლება რეპროდუქციისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად იყოს განხილული. გეი ქალების სექსუალურობა დამყარებულია აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სუფთა ურთიერთობები. ეს ნიშნავს, რომ სექსუალური პასუხის პლასტიკურობა, ყველაფრის გარდა, განპირობებულია პარტნიორის გემოვნებითა და მისი დამოკიდებულებით იმის მიმართ, თუ რა არის მისაღები და რას შეუძლია სიამოვნების მინიჭება.

დიფერენციალურ ძალაუფლებას შეიძლება მეორადი მნიშვნელობა მივანიჭოთ, მაგალითად, სადომაზოხისტური სექსის გათვალისწინებით. ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „მე მომწონს უხეში და ვნებიანი სექსი, რადგან ის სიამოვნების ბარიერების მიღმა გადის, იმ ბარიერების, რომელსაც თავის ირგვლივ ძალიან ბევრი ქალი აგებს. ჩემი საყვარელი და მე კორექტული მსუბუქი სექსით და ბანდაჟით ექსპერიმენტებს ვატარებდით და ეს საკმაოდ აღმგზნებად და სექსუალურად მივიჩნიეთ. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, დამყარებული იყო კონსენსუსზე. და „ქვედა"(ჩვენ რიგრიგობით ვირგებდით ამ როლს) ყოველთვის აკონტროლებდა სიტუაციას, ამავე დროს იქმნებოდა ილუზია, რომ არაფერი კონ-

ტროლდებოდა. ჩვენ აქ ვრთავდით ისეთ კომპონენტებს, როგორიც არის მსუბუქი დარტყმა, მათრახი, თმების მოქაჩვა, მაგრამ არასდროს ჰქონდა ადგილი ჭრილობის მიყენებას ან რაიმე კვალის დატოვებას. ამ ყველაფერს არაჩვეულებრივს ხდის აზრი, რომ ყველაფერი დასაშვებია". ვიღაცამ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ეს ჰგავს ფალოსში დაბრუნებას, გარკვეულწილად, უსიამოვნო ფორმით. ეს შეიძლება გარკვეული მხრივ სწორია, მაგრამ შეიძლება სხვანაირ ინტერპრეტაციასაც ჰქონდეს ადგილი. ლესბოსურ ურთიერთობებში, ისევე, როგორც გეი მამაკაცებთან, შეიძლება პოტენციურად განხორციელდეს ატიტუდები და მახასიათებლები, რომლებიც სუფთა ურთიერთობებში, ინსტრუმენტული კონტროლისა და ფორმალური ძალაუფლების რეალიზაციის ჩათვლით, აკრძალულია. უფრო მეტად სექსუალობის სფეროს ჩარჩოებით შეზღუდულმა და ფანტაზიისკენ მიმართულმა, ვიდრე შინაგანად დეტერმინირებულმა დომინირებამ შეიძლება გაანეიტრალოს აგრესია, რომელიც სხვა შემთხვევაში ნებისმიერ დროს იჩენს თავს.

ისევე, როგორც სხვა ურთიერთობებში, იმას, რაც შეიძლება ქალებს შორის სექსუალური ურთიერთობის რეტროგრადულ დახასიათებად გამოიყურებოდეს, შეიძლება ჰეტეროსექსუალური ქმედებების ეთიკურად დამცავი მოდელი მოეცა. ორმხრივი შეთანხმებით განხორციელებული სადომაზოხიზმი არ საჭიროებს იმას, რომ ის სექსუალური გამოცდილებისთვის შემოთავაზებული იყოს, როგორც რეცეპტი, მაგრამ პრინციპი, რომელსაც ის გამოხატავს, შეიძლება განზოგადებულ იქნეს. პლასტიკური სექსუალობა შეიძლებოდა გამხდარიყო სფერო, რომელიც აღარ შეიცავს გარეგანი ძალდატანების ელემენტებს და ამის ნაცვლად ადგილი მორალური კონსტრუირების თვითგამორკვევის ერთ-ერთ ფორმას აქვს. შესაძლოა დე სადის ნაწარმოებებში ვინმემ სრულიად სხვა მნიშვნელობა ამოიკითხოს, ვიდრე ის, რომელიც ჩვეულებრივ არის შემოთავაზებული. დე სადთან ძალაუფლება, ტკივილი და სიკვდილი სრულიად ინვესტირებულია სექსში და გაუკუღმართების საშუალებით თამაშდება და, ამავდროულად, სექსუალობიდან სინაზის ნებისმიერი კვალი გამოირიცხება ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება. ამავდროულად, დე სადი განაცალკევებს ქალის სექსუალობას რეპროდუქციისგან და ფალოსური ინტერესების სუბორდინაციისგან მის ქრონიკულ განთავისუფლებას ზეიმობს. სექსის შესახებ მისი წარმოდგენა, რომელიც მის საკუთარ ჩარჩოებში ნებისმიერ რამეზე კონცენტრირდება, შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც ირონიული მეტაფორული გამოგონება, რომელიც სექსუალობის როგორც ასეთის, უმწიკვლობაზე მიუთითებს.

ჰომოსექსუალობა და ეპიზოდური აქტი

ეპიზოდური სექსუალობა უმეტესად კლუბებისა და ბარების ცხოვრებაშია განვითარებული. ბარის ცხოვრება ხანდახან კონცენტრირებულია შემთხვევითი პარტნიორების მოძებნაზე. ახალბედა ქალი ბარის კულტურაში ამბობს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას არ უმართლებდა ბარებში. მისი წარმომავლობა და განათლება არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ბარში. შემდეგ ის მიხვდა, რომ მთავარი, რაც მხედველობაში მიღება ხდება ასეთი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, არის მომხიბვლელობის ფაქტორი. „ეს ისეთი მარტივი აღმოჩნდა... არც ერთი მათგანი ბარში არ იყო დაინტერესებული იმით, რომ შეხვედროდა ადამიანს, რომელსაც სახლში დაპატიჟებდა და დედამისს წარუდგენდა".

ლესბოსურ ურთიერთობებში მოკლევადიან კავშირებს ადგილი არ აქვს. თუკი ჩვენ ვიღებთ მოცემულობას, რომ ბევრი გეი მამაკაცი ხანგრძლივ სექსუალურ კავშირებს ამყარებს, მაშინ კონტრასტები მამაკაცურ და ქალურ ჰომოსექსუალობას შორის არ უნდა გავაზვიადოთ. და მაინც, ეპიზოდური სექსუალობა გეი მამაკაცებს შორის არის უფრო ინტენსიური, ვიდრე ლესბოსურ ჯგუფებში. როცა, მაგალითად, არსებობდა საზოგადოებრი-

ვი აბანოები, ბევრი იქ მისული მამაკაცი ყოველ საღამოს ახალ სექსუალურ თავგადასავალს ეძებდა. მათი უმრავლესობა იქნებოდა იმედგაცრუებული, თუკი რამდენიმე საათის განმავლობაში მხოლოდ ერთი სექსუალური აქტი ექნებოდა. მაგალითად, მარტინ ჰოფმანი თავის კვლევაში აბანოს კულტურის შესახებ 1960-იან წლებში ინტერვიუს ართმევდა ერთ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც პასიური მონაწილის როლში ხშირად ჰქონდა 50-მდე სექსუალური კონტაქტი ერთი საღამოს განმავლობაში.

აბანოს სექსი, როგორც ეს გეი მამაკაცების სექსუალური აქტივობის მრავალფეროვნების განხილული კონტექსტიდან ჩანს, საერთოდ ანონიმური იყო. მამაკაცებს, რომლებიც იქ დადიოდნენ, არ ჰქონდათ ერთმანეთთან სოციალური კონტაქტები, მათ საუბარს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მათ არაფერი იცოდნენ ერთმანეთის ცხოვრების შესახებ და ერთმანეთს მხოლოდ სახელით მიმართავდნენ. ასეთ ჰომოსექსუალურ კავშირებთან შედარებით, ანონიმური ჰეტეროსექსუალური ეპიზოდი კინოფილმიდან „უკანასკნელი ტანგო პარიზში“ გამოიყურება, როგორც ღრმა და ხანგრძლივი მიჯაჭვულობა.

მამაკაცი, რომელზედაც საუბარია ჰოფმანის კვლევაში, იყო ცოლიანი და ჰყავდა ორი შვილი. მამაკაცური ბისექსუალობა მამაკაცის სექსუალური ქცევისათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ ის სექსუალური ორიენტაციის ისეთივე ორთოდოქსულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, როგორიც ჰეტეროსექსუალობაა. წილი ჰეტეროსექსუალი მამაკაცებისა, რომლებიც რეგულარულად არიან ჩართულნი ეპიზოდურ ჰომოსექსუალურ აქტივობებში, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად შიდსის გავლენისა. მკვლევრების შეფასებით, აშშ-ში ცოლიანი მამაკაცების 40 პროცენტი თავისი ცოლქმრული ცხოვრების გარკვეულ პერიოდებში სხვა მამაკაცებთან რეგულარულ სექსუალურ ურთიერთობებში არიან ჩართულნი. ხოლო სხვები ამტკიცებენ, რომ ეს წილი უფრო მეტიცაა. ეპიზოდური სექსუალურობის დამცავი ასპექტები ამ მხრივ სრულიად ნათელია. ის შეიძლება აიხსნებოდეს, როგორც მამაკაცთა მასობრივი გაქცევა ისეთი კავშირებისგან, რომლებიც საკუთარ თავში სექსუალობას, თვითიდენტიფიკაციას და ინტიმურობას აერთიანებენ. იქ, სადაც ქალები აღარ წარმოადგენენ თანამონაწილეებს, ეპიზოდური ჰომოსექსუალობა წარმოგვიდგება, როგორც მამაკაცთა საიდუმლო შეთანხმება გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ.

იმის გათვალისწინებისას, რომ ქალებისადმი აგრესია მამაკაცური ფსიქოლოგიის ნაწილს წარმოადგენს, ძალიან განზოგადებულ დონეზე, გეი მამაკაცები, გარკვეული მნიშვნელობით, ამ ამბივალენტურობას თავს სრულად ართმევენ.

მიუხედავად ამისა, ამის მხოლოდ ნეგატიურ ტონებში განხილვა არასწორი იქნებოდა. გეი მამაკაცები, ისევე როგორც ლესბოსელები, ქორწინებისა და მონოგამიის ჰეტეროსექსუალურ ინტეგრაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. მონოგამია, როგორც ეს ინსტიტუციონალიზებულ ქორწინებაში იგულისხმება, ყოველთვის ორმაგ სტანდარტთან და აქედან გამომდინარე პატრიარქალურ ურთიერთობებთან იყო დაკავშირებული. ეს წარმოადგენდა ნორმატიულ მოთხოვნას მამაკაცებისათვის, მაგრამ ბევრი მას მხოლოდ დარღვევების აღმოჩენისას ითვალისწინებდა. თუმცა პლასტიკური სექსუალობისა და სუფთა ურთიერთობების სამყაროში მონოგამია მიჯაჭვულობისა და ნდობის კონტექსტში უნდა იყოს „გადამუშავებული“. მონოგამია არა თვითონ კავშირს, არამედ სექსუალურ ექსკლუზიურობას, როგორც ნდობის კრიტერიუმს, შეესაბამება. „ერთგულებას“ არ აქვს სხვა მნიშვნელობა, თუ არა იმ პატიოსნების ასპექტში, რომელსაც ნდომა გულისხმობს პარტნიორში.

იქ, სადაც ეპიზოდური აქტები არ წარმოადგენს კონტროლის ინსტრუმენტს, ისინი სინამდვილეში პლასტიკური სექსუალობის შესაძლებლობათა კვლევას წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით, შემთხვევითი კონტაქტების ფორმაშიც კი, ეპიზოდური სექსუალობა შე-

იძლება ყოველდღიური ექსპერიმენტების ფორმას წარმოადგენდეს. ის ხსნის იმას, რასაც იმპლიციტურად პლასტიკური სექსუალობა წარმოადგენს.

მაჩო გეი, ტყავის დედოფალი, ჯინსის დაჯგუფებები – ეს ყველაფერი ჰეტეროსექსუალური მასკულინობის ირონიულ ნიმუშებს წარმოადგენს. ისინი მამაკაცურობის ცხად დესტრუქციას წარმოადგენენ და, ამავდროულად, ამტკიცებენ იმას, რასაც ფალოსური ძალაუფლება უარყოფს, მიღებული, როგორც თავისთავად ცხადი, რომ თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში თვითიდენტიფიკაცია, რომელიც თავის თავში სექსუალურ იდენტობას მოიცავს, რეფლექსიურ მონაპოვარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეპიზოდური სექსუალობა ცენტრალურია ფალოსის წესთან მიმართებაში, არ არის ცხადი, რომ ის თავის არსში სუფთა ურთიერთობათა წარმოშობილ ნორმებთან შეუთავსებელია.

კაცები და ქალები: ერთად თუ ცალ-ცალკე?

„მე ვიყავი გეი 30 წლის განმავლობაში, მე მქონდა ხანგრძლივი კავშირები, ასევე ჩემს მეგობრებს. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი არ დარჩენილა ერთად მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ შევეჩვიეთ შფოთვას ამ მიზეზით? ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჰეტეროსექსუალი წყვილები უფრო დიდხანს რჩებოდნენ ერთად, ვიდრე გეი წყვილები“. ქალი, რომელსაც ეკუთვნის ასეთი დაკვირვება ჰაიტის კვლევაში განაგრძობს: ახლა ყველაფერი იცვლება. გეების ურთიერთობები, აღწერილი მის კვლევებში, ხშირად არის ძალიან რთული, სავსე პრობლემებით და მოკლევადიანი. თუმცა, მათთან შედარებით, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ძალიან ხშირად გამოიყურება, როგორც ბრძოლის ველი, სადაც აგრესია და აშკარა ბრძოლა სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის ძალიან ღრმა სიძულვილთანაა შერეული. ჰაიტმა აღმოაჩინა, რომ მისი ჰეტეროსექსუალ ქალ რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობდა, რომ ისინი თავიანთ ქმრებთან უფრო მეტ „ვერბალურ სიახლოვეს“ ისურვებდნენ. მათი უმრავლესობა საუბრობს შემხვედრ წინააღმდეგობასა და ემოციურ უარზე, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი უფრო მჭიდრო კომუნიკაციის ინიციატივის გამოვლენას ცდილობდნენ. ქალები განიცდიან უიმედობას თავიანთი პარტნიორების მოღალატეობის გამო. ისინი აწყდებიან ემოციურ სიცარიელეს სიტუაციებში, რომლებშიც ისინი ხანგრძლივ სიყვარულს ელოდებოდნენ. ჰაიტი ამის შესახებ ამბობს:

ბევრმა ქალმა იცის, რომ ისინი თავიანთ ურთიერთობებში თანასწორ ემოციურ მხარდაჭერას, შეფასებას თუ პატივისცემას ვერ მიიღებენ. და მაინც შეიძლება საკმაოდ რთული იყოს აღვწეროთ, კონკრეტულად როგორ ქმნის მამაკაცი შემცირებად ატიტუდებს. ზოგიერთი ამ საშუალებათაგანი იმდენად შეუმჩნეველია, რომ მაშინ, როდესაც ქალი გრძნობს ფრუსტრირებულად საკუთარ თავს და იღებს თავდაცვით პოზიციას, იგი აღმოაჩენს, რომ თითქმის შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ რატომ არის, რომ მითითება რაიმე ნათქვამზე ან ჩადენილზე შეიძლება ძალიან წვრილმანი იყოს, ისევე როგორც გადამეტებული რეაქცია. მაგრამ როდესაც ყველაფერი ეს ერთად გროვდება, აღარ იწვევს გაკვირვებას ის, რომ მხოლოდ ერთ ასეთ ინციდენტს შეუძლია დაჩრდილოს ძირითადი ბრძოლა. ეს მცირე ინციდენტები ურთიერთობებში ინტიმურობის წაშლას იწვევს, რითაც სიყვარულს უბრალო ზომიერ ქცევად გარდაქმნის.

გათანაბრება ინტიმურობის ტრანსფორმაციის შინაგანად დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი კომუნიკაციის ელემენტია. დღეს ქალების წინააღმდეგ მიმართული კაცების რისხვა, იქნება ეს სახლში, სამუშაო თუ ნებისმიერ ადგილას გარკვეულწილად, ქალების თვითშეფასებაზე რეაქციაა. ქალები, თავის მხრივ, ბრაზდებიან მამაკაცებზე იმ არცთუ ისე დახვეწილი საშუალებების გამო, რომლებითაც მათ მამაკაცები უარს ეუბნებიან მატერიალურ პრივილეგიებში, იმ პრივილეგიებში, რომლებიც მათ საკუ-

თარი თავისთვის აქვთ გამოცხადებული. ეკონომიკური სიღარიბე ქალებისათვის, ემოციური სიღატაკე მამაკაცებისათვის – ასეთი ხომ არ არის სქესებს შორის თამაშის ხასიათი?

აგროვებდა რა მასალას მასკულინობის თემის შესახებ, როგორც ფიზიკური ნაკლისა, გოლდბერგი აღწერს მამაკაცად ყოფნის რისკს და მასკულინურობის პრივილეგიაზე საუბრობს როგორც მითზე.

გოლდბერგი იმ ცვლილებების მგრძნობიარე დამკვირვებელია, რომელთაც გენდერზე და სექსუალობაზე გავლენა მოახდინეს და იგი ქალთა მოძრაობის მიზნებს გულშემატკივრობს. ბევრი მამაკაცი, ამტკიცებს გოლდბერგი, ზომბის მსგავსი გახდა, რომელიც იმ მოტივებით მოქმედებს, რომლებიც თავად კარგად არ ესმის. თანამედროვე კულტურაში უამრავია ბიზნესმენი ზომბი, გოლფ ზომბი, ზომბები სპორტულ ავტომობილებზე, პლეიბოი ზომბები. ყველა მათგანი თამაშობს დაგეგმილი მამაკაცური თამაშის წესის მიხედვით და შედეგად საკუთარი თავის, როგორც ადამიანების შესახებ ცოდნას, და საკუთარი გრძნობების აღქმის უნარს კარგავენ. ქალებმა ოჯახური კერიით საკუთარი შეზღუდულობის გამო პროტესტი განაცხადეს და თავისუფლდებიან მისგან. ასევე პროტესტს გამოხატავენ ამასთან დაკავშირებული თვითგანვითარების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო. მამაკაცები ჯერ ისევ ჩაკეტილნი არიან საკვების მომპოვებლის როლში. თუმცა მამაკაცების ეკონომიკური უპირატესობა ქალებთან შედარებით მათ მიერ აღიქმება, როგორც შეურაცხმყოფელი. იდეა, რომ მამაკაცები არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში, აღნიშნავს გოლდბერგი, პირადი დანაკარგების სტატისტიკის წინაშე: ცხოვრების ხანგრძლივობასთან, ავადმყოფობასთან, სუიციდითან, დანაშაულებთან, საგზაო შემთხვევებთან, ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით ფერმკრთალდება. ამ მხრივ ქალები ბევრად უფრო უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცმა, რომელიც პატიოსანი მსჯელობის დროს საკუთარ თავს ეკითხება: „ამ ყველაფრისგან მე რას მივიღებ? რა მექნება აქედან მომავალში?“ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ, მნიშვნელოვანწილად, მას ამ შეკითხვაზე პასუხის დადებითად ან ოპტიმისტურად გაცემა არ შეუძლია. მისი ცვლილება რიგიდულობასთან ერთად, მას კედლის წინაშე აყენებს. თუკი ის თავის განვლილ გზებზე საუბრობს, მას ბრალს შოვინიზმსა და სექსიზმში სდებენ. თუკი ის საკუთარ თავზე იღებს ახალ პასუხისმგებლობას ისე, რომ თანაბარ მოთხოვნილებებს არ ქმნის, მაშინ ის თავს წელში გადატეხვამდე გადატვირთულად და გადაქანცულად იგრძნობს. თუკი ის ტრადიციულ მასკულინურ სტილს ინარჩუნებს, მაშინ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ქალების უმრავლესობის თვალში, და მამაკაცთა უმრავლესობის თვალშიც კი, რომლებიც ადამიანს სამუშაოს, სტატუსისა და ძალაუფლების გარეშე ზურგს აქცევენ – უჩინარი, უსქესო და უღირსი გახდა.

გოლდბერგის მიხედვით, თანამედროვე ურთიერთობებში მამაკაცები ხშირად ხვდებიან წაუგებელ სიტუაციებში, ქალებს შეუძლიათ უთხრან: „შენ უფრთხი სიახლოვეს და ემოციურ სითბოს“, რაც ხშირად შეესაბამება სინამდვილეს. მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი თვითონ ძალიან ხშირად ეძებენ მამაკაცს, რომელსაც ისინი შეაფასებდნენ, როგორც თვითკმარს, საკუთარი თავის მაკონტროლებელს და სამუშაოთი დაკავებულს. ქალებს აღაშფოთებს იმავე ხასიათის იგივე თვისებები, რომლებიც მათ თავდაპირველად იზიდავს, ვინაიდან მათ თვალში ფასი ეკარგება მათზე ზრუნვის იმ საშუალებებს, რომელთა უზრუნველყოფაც მამაკაცებს შეუძლიათ.

ფემინისტური პასუხი ყველაფერ ამას სრულიად სხვანაირად წარმოგვიდგენს. ბარბარა ერენრეიჩის მიხედვით, მამაკაცებმა ამბოხი თავიანთი წინანდელი გენდერული როლის წინააღმდეგ ქალებზე ბევრად ადრე დაიწყეს. 30-40 წლის წინანდელ პერიოდამდე მამაკაცებისგან, როგორც წესი, ელოდნენ, რომ ის დაქორწინდება და მხარში ამოუდგება თავის ცოლს, ნებისმიერს, ვინც სხვანაირად იქცეოდა, გარკვეულწილად, ეჭვით უყურებდნენ.

თუმცა რაღაც მომენტში მამაკაცები უფრო ფრთხილი გახდნენ საკუთარ თავზე საქორწინო ვალდებულებების აღებაში და ამასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ მოთხოვნებში. მათ შეინარჩუნეს ორიენტაცია თავიანთ ეკონომიკურ წარმატებაზე, მაგრამ უკვე აღარ არიან დარწმუნებულნი, რომ უნდა იმუშაონ სხვებისთვის. იმისათვის, რათა დარჩეს თავისუფალი, მამაკაცი უნდა დარჩეს მარტოხელა. მას შეუძლია ისიამოვნოს თავისი შრომის შედეგებით ცოლის სოციალური მოთხოვნების გარეშე.

მედიცინამ და ფსიქოლოგიამ, ერენრეიჩის მიხედვით, უნებურად შეიტანეს თავიანთი წვლილი მამაკაცების ამბოხში, მათ აჩვენეს, თუ როგორ და რამდენად არაპროპორციულად არიან დაქვემდებარებულნი მამაკაცები სტრესებსა და თანამედროვე ცხოვრების დაძაბულობას. მეცხრამეტე საუკუნეში მამაკაცების ცხოვრებისეული მოლოდინი ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალების. გულის დაავადებები, კიბო და სხვა ავადმყოფობები ავიწროებდნენ ისეთ ძველ ავადობებს, როგორებიც იყო ტუბერკულოზი და პნევმონია, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობა ბევრად უფრო იშვიათი მოვლენა ხდებოდა, ქალების ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა უფრო მაღალი გახდა, ვიდრე მამაკაცების. მამაკაცები გადაიქცნენ სუსტ სქესად და ზოგიერთ სამედიცინო წრეებში ამას ხსნიდნენ მათი მოთხოვნილებით, ემუშავათ ბევრად უფრო ბეჯითად, ვიდრე ქალებს. კერძოდ, ის ფაქტი, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მამაკაცებში უფრო გავრცელდა, ვიდრე ქალებში, ახსნილ იქნა, როგორც მამაკაცებში სტრესების გამოხატულება. ერენრეიჩის აზრით, მამაკაცებს შეუძლიათ მოიშორონ ოჯახის მარჩენალის როლი ისე, რომ უარი არ თქვან ეკონომიკურ პრივილეგიებზე ქალებთან შედარებით. „მასკულინურობის ნიღაბი“ შეიძლება იყოს ჩამოცილებული და, ამავე დროს, მამაკაცებს შეუძლიათ ნებისმიერ ხანგრძლივ დაკავებულობას საოჯახო საქმეებით თავი აარიდონ და ამის მაგივრად საკუთარ სიამოვნებებზე იქნენ კონცენტრირებული.

მამაკაცებმა მოიპოვეს თავიანთი თავისუფლება, მაშინ როდესაც ქალები ჯერ კიდევ ელოდებიან საკუთარს. ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელიც მამაკაცებმა მიიღეს, არ გახდა მიღწევადი ქალებისათვის, რომელთაც უწევთ, საკუთარ თავზე ის პასუხისმგებლობა აიღონ, რომელზეც უარი თქვეს კაცებმა. მარტოხელა ქალები ღატაკი მოსახლეობის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენენ.

სქესების დიფერენციაცია

ქალებს მამაკაცის აუცილებელი დახმარების გარეშე ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის შემოსავლის საკმარისი მინიმუმი უნდა ჰქონდეთ, რაც, ყველაფერთან ერთად, შრომის ბაზარზე თანასწორუფლებიანობას ნიშნავს. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ქალებისათვის ბავშვთა ზრუნვაში. ბარბარა ერენრეიჩი განიხილავს ისეთ შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა ტენდენცია ქალების მიერ თავისი პოზიციების მამაკაცებისთვის პროგრესული დათმობისათვის. მამაკაცები მხოლოდ წარმავალი ეპიზოდები იქნებიან ქალის ცხოვრებაში, ქალის, რომელიც იქნება ოჯახის ბურჯი. გოლდბერგის ყველა რეკომენდაცია თვითიდენტურობას ეხება. ყოველი მამაკაცისთვის მნიშვნელოვანია, უარი ეთქვას იდეას იმის შესახებ, რომ ქალები, რომლებთანაც ის ამყარებს კავშირს, უნდა იყვნენ პასიურები და გასაღმერთებლები. ის უფრო უნდა ელოდეს ურთიერთობის განვითარებას ქალებთან, რომლებიც ავტონომიურ ინდივიდებს წარმოადგენენ. კაცებმა უნდა განავითარონ თავიანთი ქალური მხარეები და აღადგინონ ემოციები, დამოკიდებულების მოთხოვნილებები, პასიურობა, ფლუიდურობა, მგძნობიარობა, მოწყვლადობა და პასუხისმგებლობებზე უარის თქმა.

გოლდბერგი მამაკაცებს ურჩევს, რომ სამყაროს შეცვლამდე საკუთარი თავი შეცვალონ.

მამაკაცისათვის, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, საბაზო ნდობის შენარჩუნება ადრეული ასაკიდან მომდინარეობს, რომელიც ბატონობასთან და კონტროლთან, ასევე, თვითკონტროლთან არის დაკავშირებული, რომელიც ასევე საწყისს ქალებისგან ემოციურ დამოკიდებულებაში იღებს. მოთხოვნილება, მოხდეს ამდაგვარი დამთრგუნველი სურვილების ნეიტრალიზაცია ან დაინგრეს მათი ობიექტი, სიყვარულის მოთხოვნილებას ეჯახება. ასეთ შემთხვევებში მამაკაცები უმეტესწილად ემიჯნებიან ქალებს და ამ მიჯაჭვულობას აფასებენ, როგორც ხაფანგს, მაშინ როდესაც კაცების ძალადობის დონე ქალების მიმართ შეიძლება საზღვრებს გასცდეს.

თუმცა ამბივალენტური დამოკიდებულება მამაკაცის სქესით არ შემოისაზღვრება. სირცხვილით გამოკვებილი მრისხანება ასევე ქალის ფსიქოსექსუალური განვითარების მახასიათებელს წარმოადგენს. ფალოსის პენისად ქცევა გულისხმობს შფოთვას ქალებში, რადგან მისი როლი მნიშვნელოვანია მათ მიერ საკუთარი პატიოსნების აღქმისათვის. ქალების აღფრთოვანება მამაკაცებით გულისხმობს, რომ მამაკაცს შეუძლია დაუსხლტეს დედის ბატონობას, ძალაუფლებას. ბევრ ქალს იზიდავს ისეთი მამაკაცები, რომელთაც მიჯაჭვულობის უნარი არ აქვთ.

ყველაფერი ეს ჰეტეროსექსუალურ კავშირებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ჰეტეროსექსუალური ქორწინება სოციალურ მოწყობაში ცენტრალურ პოზიციებს ზედაპირზე ინარჩუნებს, რითაც მსჯელობას ლესბოსურ ურთიერთობებზე მარგინალურად აქცევს. სინამდვილეში კი ის მნიშვნელოვანწილად სუფთა ურთიერთობებისა და პლასტიკური სექსუალობის წარმოშობით დაირღვა. თუ ოქრთოდოქსული ქორწინება ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც ერთადერთი ცხოვრებისეული სტილი სხვებს შორის, როგორც ეს ფაქტობრივად მოხდა, ის ნაწილობრივ-ინსტიტუციურ და, ნაწილობრივ, მიმზიდველობისა და ზიზღის ნარევის რთულ შედეგს წარმოადგენს, რომლის დროსაც თითოეული სქესის წარმომადგენელი მეორის ფიზიკურ განვითარებას განიხილავს.

ზოგიერთ ქორწინებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი და შენარჩუნებულ იყოს, ძირითადად, ბავშვების გაჩენისა და მათი გაზრდისათვის. მიუხედავად ამისა, ბავშვების არსებობა „პირველ ოჯახებში“, ანდა შემდეგში, ემსახურება იმას, რომ შეიტანონ დაძაბულობა, ისევე როგორც განამტკიცონ ისინი. ჰეტეროსექსუალურ ქორწინებათა უმრავლესობა, რომლებიც არ უახლოვდება სუფთა ურთიერთობებს, ორი მიმართულებით განიცდის ცვლილებებს. ერთ-ერთი მათგანი ამხანაგური ქორწინების ვარიანტს წარმოადგენს. მეუღლეების ერთმანეთისადმი სექსუალური ლტოლვის დონე არის დაბალი, მაგრამ ურთიერთობებში შემოდის თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსიმპათიის გარკვეული დონე. მეორე ფორმა – ეს არის ქორწინება, გამოყენებული ოჯახური კერიისათვის ორივე პარტნიორის მიერ, რომელთაც ერთმანეთისადმი ძალიან სუსტი ემოციური მიჯაჭვულობა აქვთ. იგი განსხვავდება ჰეტეროსექსუალური ქორწინების ძველი სტანდარტული ტიპისაგან, რომელშიც მამაკაცი იყენებდა მას, როგორც იმ ადგილს, საიდანაც ის სამუშაოდ მიდიოდა, მაშინ როდესაც ქალი მის ოჯახში ცხოვრებას უზრუნველყოფდა. ამ შემთხვევაში ორივე პარტნიორისთვის ქორწინება შედარებით უსაფრთხო ადგილი იყო, რომლიდანაც ისინი ზოგჯერ გამოდიოდნენ, რათა უფრო ფართო სამყაროს შეხვედროდნენ. და მაინც, ყოველი ეს ტიპი, როგორც სჩანს, ცვლის ჩვენს შეხედულებას სუფთა ურთიერთობების შესახებ როგორც ინდივიდუალური ცხოვრების გამოცდილების ფარგლებში, ასევე, საერთოდ, საზოგადოებაში. გაიზრდებიან თუ არა ორივე სქესის წარმომადგენლები ერთად ან ცალკე, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შორს შედის და ხორციელდება ურთიერთობე-

ბი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გოლდბერგისა და ერენრეიჩის აქ წარმოდგენილ შეხედულებებს თავისი ნაკლი აქვს. ერენრეიჩი მამაკაცების მზარდი უპასუხისმგებლობის შესახებ თავისი ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებას აერთიანებს. „პლეიბოის“ ფილოსოფია, ისევე, როგორც ბიტნიკების ბოჰემის შეხედულებები, კარდიოლოგიის, მასლოუს ადამიანის პოტენციალის ფსიქოლოგიის ან მამაკაცთა მოძრაობების ახსნის მცდელობებად განიხილება. ზოგი აქ აღწერილი ტენდენციისათვის ნარცისიზმის მოვლენებია დამახასიათებელი, მაგრამ იმავეს აქვს ადგილი მასკულინობის შესახებ შეხედულებების განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც მამაკაცის დომინირებასთან წინააღმდეგობაში მოდიან. როგორც ამას გოლდბერგი და სხვები ამტკიცებენ, მამაკაცების განმათავისუფლებელი მოძრაობა ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობას აღიარებს და მასკულინურობასა და ეკონომიკურ ინსტრუმენტალობას შორის კავშირის გაქრობის აუცილებლობას ამტკიცებს.

ის, რასაც გოლდბერგი მამაკაცების მხრივ, როგორც პასუხისმგელობებისაგან გაქცევას აღწერს, ფაქტობრივად, თავისი გავრცელებული მნიშვნელობით მიჯაჭვულობის საწყისს თანხვდება. და ეს წარმოადგენს ფენომენს შერეული შედეგებით სწორედ მამაკაცებისთვის და არა კაცებისთვის – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ქალების მიმართ კაცების ფარული ემოციური დამოკიდებულება აღიარებული იქნება.

მეორე მხრივ, გოლდბერგი ადეკვატურად ვერ აფასებს ეკონომიკური და სოციალური შეზღუდვების ძალას, რომელიც ქალს კერძო თუ სახალხო დომენებში პარიტეტის მიღწევისაგან აკავებს, ეს არის ისეთი რამ, რაც დაკავშირებულია, გარდა ყველაფრისა, იმ ფაქტთან, რომ ქალები მშობლიური მოვალეობისა და საოჯახო საქმეების განხორციელებაში მთავარნი რჩებიან. პატრიარქატი ძველებურად განმსჭვალავს მთელს სოციალურ თუ ეკონომიკურ წესრიგს. ის ვერ აფასებს ადეკვატურად ფსიქიკური წინააღმდეგობის ძალას, რომელიც გავლენას ახდენს კაცებისა და ქალების ქცევაზე ასევე, ფსიქოსექსუალური ფორმაციების წინააღმდეგობრივ ხასიათს. „რატომ არ შეიძლება, რომ სექსუალური მამაკაცი კეთილი იყოს“? ეს არის გულის ძახილი და არა ფემინისტური უარი, რომ გენდერული თანასწორუფლებიანობის სრულიად დასაშვები იდეები აღიარებულ იქნეს.

არავინ იცის, თუ რამდენად ფეთქებადსაშიში აღმოჩნდება სუფთა ურთიერთობების წარმოშობა. ინტიმურობის ტრანსოფორმაცია პლასტიკურ სექსუალურობასთან ერთად უზრუნველყოფს პირობების შექმნას, რითიც შეიძლება მოეხერხებინათ სქესების შერიგება, თუმცა ჩართულია უფრო მეტი რამ, ვიდრე ეკონომიკური თანასწორუფლებიანობის გაძლიერება და ფსიქიკური რესტრუქტურირება, თუმცა ამის მიღწევა საკმაოდ გართულებულია. თუ რატომ არის ეს ასე, ამის ჩვენებას მე დასკვნით თავებში ვეცდები.

კითხვები და დავალებები:

1. გაანალიზეთ ის ოთხი სოციალური ინსტიტუტი, რომლებზე დაყრდნობითაც ე. გიდენსი თანამედროვეობას (Modern) განსაზღვრავს.
2. განმარტეთ ე. გიდენსის დებულება: „როგორც დამანგრეველი ძალა, თანამედროვეობა უკიდურესად დინამიკურია, ესაა „შეუკავებელი სამყარო“, რომელიც ცვლილებების ტემპებით, მასშტაბით, სიღრმით წინა სისტემებს ბევრად აღემატება“.
3. გაანალიზეთ ის სამი არსებითი ასპექტი, რომელიც, ე. გიდენსის აზრით, თანამედროვეობას (Modern) დინამიზმს ანიჭებს.
4. განმარტეთ ე. გიდენსის დებულების არსი: „თანამედროვეობის რეფლექსურობა შედის პიროვნებაში... პიროვნება „რეფლექსურ პროექტად“ გადაიქცა“.

5. როგორ ინტერპრეტაციას მისცემდით ე. გიდენსის მოსაზრებას, რომ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელია წმინდა ურთიერთობებისაკენ გადანაცვლება და ინტიმური ურთიერთობების დემოკრატიზაცია?
6. განმარტეთ უ. ბეკის აზრი: „ჩვენ კვლავ, თუმცა ახალი ფორმის, მაგრამ მაინც თანამედროვეობაში ვიმყოფებით. თანამედროვეობის წინა „კლასიკური“ ფაზა ინდუსტრიულ საზოგადოებასთან ასოცირდება, მაშინ როდესაც ახალი თანამედროვეობა და მისი ტექნოლოგია რისკის საზოგადოებასთანაა დაკავშირებული“.
7. რა ძირითად განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფს უ. ბეკი კლასიკური და განვითარებული თანამედროვეობის ცენტრალურ საკითხებს, იდეალებსა და სოლიდარობის მიღწევის მცდელობებს შორის?
8. რატომ უწოდებს უ. ბეკი ახალ თანამედროვეობას (Modern) რეფლექსურ თანამედროვეობას (Modern)?
9. გაანალიზეთ ჯ. რიტცერის მოსაზრება: „თუ ჩვენ ფორმალურ რაციონალურობას თანამედროვეობასთან ვაიგივებთ, მაშინ ამ რესტორნების წარმატებები და საზოგადოების სხვა სფეროების მიერ მათი (რესტორნების) მოდელად მიღება მიუთითებს, რომ ჩვენ კვლავ თანამედროვე (Modern-ის) სამყაროში ვცხოვრობთ“.
10. გააანალიზეთ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ფორმალური რაციონალობის ჯ. რიტცერისეული გაგების ოთხი განზომილება: ეფექტურობა, აღრიცხვიანობა, პროგნოზირება და კონტროლი უნიფიცირებული ტექნოლოგიით.
11. როგორ გავიგოთ ზ. ბაუმანის მოსაზრება, რომ იგი ჰოლოკოსტს არანორმალურ მოვლენად არ თვლის: მას ის, როგორც თანამედროვე რაციონალური სამყაროს მრავალ მიმართებაში, „ნორმალურ“ ასპექტად მიაჩნია: ჭეშმარიტება ისაა, რომ ჰოლოკოსტის ყოველი „ინგრედიენტი“ – თითოეული იმ მოვლენების სიმრავლიდან, რომლებმაც ის შესაძლებელი გახადეს – ნორმალური იყო;
12. არის თუ არა ახალი ჰოლოკოსტის განმეორების საშიშროება? და შეძლებს თუ არა მის თავიდან აცილებას ძლიერი მორალი და პოლიტიკურ ძალთა პლურალიზმი?

ძირითადი ლიტერატურა:

თანამედროვე სოციალური თეორია (ქრესტომათია), 2003 (ბეჭდური ვარიანტი).

ულრიხ ბეკი. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომც. თბილისი. 2003. გვ. 27-37.

Бауман З. Глобализация. Последствия для человека и общества./Пер. с англ.-Изд-во «Весь Мир». 2004. с. 9-15, 31-42.

Бауман З., Индивидуализированное общество. Пер с. англ. М., Логос. 2002. с. 16-44, Глава X .

Гидденс Э. Последствия модернити. В кн. Новая постиндустриальная волна на западе. М. 1999. с. 114-122.

Гидденс Э. Ускользающий мир: как глобализация меняет нашу жизнь./ Пер. с англ.-Изд-во «Весь Мир». 2004. с. 13-108.

Гидденс Э. Трансформация интимности: сексуальность, любовь и эротизм в современных обществах".-СПб.: Питер., 2004.

Ритцер Дж. , Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.484-520.

Фурс В. Н., Философия незавершённого модерна Ю. Хабермасса . М., ЗАО «Эконом Пресс». 2000. с. 175-221.

Хабермасс Ю., Философский дискурс модерна. М., 2003.

Giddens A. The Consequences of Modernity. Cambridge, 1995. P. 1.

Giddens A. Modernity and Self-Identity. Cambridge, 1996. P. 2-3.

Rietzer George. The Mcdonaldisation of Society 5. 2008 by Pine Forge Press, an Imprint of Sage Publikation, Inc.

დამატებითი ლიტერატურა:

ი. კაჭკაჭიშვილი. სოციალური მოქმედების თეორიები. თბ., 2008

Ритцер Дж.. , Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.484-520.

Ритцер Джордж. Макдональдизация Общества 5. Перевод с английского Андрея Лазарева; вступ. Статья Т. А. Дмитриева. – М.: Издатедьская и консалтинговая группа «Праксис», 2011.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997.გვ. 259-267

თავი მერვე – მანუელ კასტელსი: ინფორმაციონალიზმი და ქსელური საზოგადოება

1. *მანუელ კასტელსი – პიროვნება და მეცნიერი;*
2. *მანუელ კასტელსის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრინციპები;*
3. *ინფორმაციული კაპიტალიზმის არსება – უწყვეტობა თუ ცვლილებები? ქსელური საზოგადოება და ქსელური მეწარმეობა;*
4. *ინფორმაციონალური კაპიტალიზმის კულტურული შედეგები;*
5. *ნაკადთა სივრცე, დროის გარეშე დრო;*
6. *იდენტურობის ძალაუფლება;*
7. *სტრატიფიკაციის ახალი ფორმები და მუშათა კლასის დაცემა;*
8. *მერიტოკრატია?*
9. *ინფორმაციული შრომა ისტორიულ განვითარებაში;*
10. *ინფორმაციონალური კაპიტალიზმის წყაროები;*
11. *ეპოქათა ცვლა.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- ინფორმაცია;
- ინფორმაციული საზოგადოება;
- ქსელი;
- ინფორმაციონალური პარადიგმა;
- ინფორმაციონალური კაპიტალიზმი;
- ნაკადთა სივრცე;
- ინფორმაციული ეპოქა;
- რეალური ვირტუალობის კულტურა;
- „დრო დროის გარეშე“;
- „გლობალური ფინანსური კაზინოები“;
- „ინფორმაციონალიზმის გონი (სულისკვეთება)“;
- „ინტერნეტი – ელექტრონული აგორა“;
- „ინტერაქტიული საზოგადოება“;
- „რეალური ვირტუალობა“;
- იდენტურობის ძალაუფლება;
- სოციალური მოძრაობა;
- წინააღმდეგობების მოძრაობის და პროექტული იდენტობები;
- კაპიტალიზმი კაპიტალისტების კლასის გარეშე;
- „ინფორმაციონალური“ შრომა.

„მე მწამს რაციონალიზმისა და გონისადმი მიმართვის შესაძლებლობის. მე მწამს გააზრებული სოციალური ქმედებებისა. მიუხედავად ადრინდელი ტრადიციული ტრაგიკული ინტელექტუალური შეცდომებისა, მე მჯერა, რომ დაკვირვება, ანალიზი და თეორიის აგება სხვა, უკეთესი სამყაროს შექმნას ხელს უწყობს“.

1. მანუელ კასტელსი – პიროვნება და მეცნიერი

1996-1998 წლებში მანუელ კასტელსმა გამოაქვეყნა სამტომეული – გამოკვლევა The Information Age, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე. The Information Age, ეს Magnum Opus, ოცწლიანი შრომის შედეგი, მაშინ დასრულდა, როდესაც ავტორის ჯანმრთელობას სიმსივნური (კიბო) ავადმყოფობა ემუქრებოდა. წიგნის გამოსვლის შემდეგ კასტელსი აღიარეს ყველაზე ძლიერ მეცნიერად იმ ცოცხალ მეცნიერთა შორის, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს იკვლევდნენ. იგი თავის თვალსაზრისს ავრცელებდა ტელევიზიით, მის შესახებ წერდნენ ისეთი გაზეთები, როგორებიცაა WALL STREET JOURNAL, NEW STATESMAN და GARDIAN. კასტელსის ტრილოგია, რომელიც 1200 გვერდზე მეტს მოიცავს, დღეს ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის როლის ენციკლოპედიურ ანალიზს წარმოადგენს. ეს ნაშრომები თანამედროვე ცივილიზაციის ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი აღწერაა დენიელ ბელის The Coming of Post-Industrial Society გამოსვლის შემდეგ, რომელსაც კასტელსი როგორც გაქანებით, ისე თავისი გამოკვლევის მასშტაბებით აღემატება. The Information Age-ის გამოსვლის შემდეგ ზოგიერთმა მიმომხილველმა კასტელსი კარლ მარქსის, მაქს ვებერისა და ემილ დიურკემის გვერდზე დააყენა. ჩვენც ვიზიარებთ ამ შეხედულებას, რამდენადაც დარწმუნებული ვართ, რომ კასტელსის შრომა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის ყველაზე ნათელი აღწერაა, რომელიც სავსეა ცოდნით, წარმოსახვითა და ინტელექტუალური სიმკაცრითაა შესრულებული. ნებისმიერმა, ვინც ისწრაფვის ინფორმაციის როლისა და თავისებურებების შესწავლას – რაც სოციალური ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელი ძალების გაგების მცდელობას გულისხმობს, – აგრეთვე იმისა, თუ როგორი წესითაა ინფორმაცია ჩართული ცვლილებებში და ამ ცვლილებების დაჩქარებაში, შეუძლებელია მანუელ კასტელსის შრომებს არ მიმართოს.

კასტელსი დაიბადა ბარსელონაში 1942 წელს; 20 წლის ასაკში რადიკალურად განწყობილი სტუდენტი ფრანკისტულ რეჟიმს გაექცა. პარიზში მან დაასრულა განათლება, ასწავლიდა პარიზის უნივერსიტეტის შფოთიან ნანტერის კორპუსში, სადაც 1968 წელს evenemets (ხდომილებებში) მონაწილეობდა, 1972 წელს გამოაქვეყნა ნოვატორული და მნიშვნელოვანი სტატია the Urban Question: A Marxist Approach, რომელიც იმ პერიოდში პოპულარული ლუი ალთუსერის (1918-1990) სტრუქტურალისტური მარქსიზმის გავლენით იყო დაწერილი. განსაკუთრებული ტალანტის მქონე მეცნიერი 1979 წელს კალიფორნიაში გადადის, სადაც ბერკლის უნივერსიტეტში ქალაქური და რეგიონალური დაგეგმვისა და სოციოლოგიის პროფესორი ხდება. აქედან მოყოლებული იგი სან -ფრანცისკოში ცხოვრობს, მაგრამ კასტელსი რუსეთიდან სინგაპურამდე, ტაივანიდან ჩილემდე არსებულ უნივერსიტეტებში დაუღალავი მოგზაურია.

მანუელ კასტელსის, როგორც ურბანიზაციის მკვლევრის რეპუტაცია ძალიან დიდი ხანია ჩამოყალიბდა (რაზეც ბერკლის უნივერსიტეტში მინიჭებული პროფესორის წოდებაც

მეტყველებს). მისმა შრომამ The Urban Question ქალაქურ დაგეგმარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. შემდეგ ამ თემაზე მან კიდევ რამდენიმე შრომა დაწერა, კულმინაციად კი 1989 წლის გამოქვეყნებული შრომა (the Informational City) იქცა. იგი ურბანიზაციის პრობლემებით მუდამ ინტერესდებოდა და დღემდე მისი შრომები ისეთი პრობლემების, როგორებიცაა განახლებანი და დაშორიშორებანი ქალაქების შიგნით, გაგებას ხელს უწყობს .

მაგრამ The Information Age მისი ადრეული შრომების სინთეზად და განვითარებად იქცა, მასში ის აჩვენებს, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ნამდვილად უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ამავე დროს, წიგნი ასახავს მის, როგორც „ახალგაზრდა მარქსისგან" პოსტმარქსისტული სოციალური მეცნიერებისკენ განვითარების პროცესს. ეს არ ნიშნავს, რომ კასტელსმა რადიკალიზმთან კავშირი გაწყვიტა. იგი აქტიური სოციალ – დემოკრატია და ძლიერ დაინტერესებულია პოლიტიკით და მართლაც, სინამდვილეში, ეს ანგაჟირებულობა მის ინტელექტუალურ შრომას კვებავს და ამოძრავებს, ამაში ის ნაწილობრივ ჩარლზ რაიტ მილსის, რალფ დარენდორფის და დენიელ ბელის ემსგავსება და მაინც კასტელსი პოსტმარქსისტია, რამდენადაც The Information Age-ში იგი ჯერ კიდევ უფრო ადრეულ შრომაში The City and the Grassroots (1983) დაწყებულ მარქსიზმის კრიტიკას ავითარებს. მისი პოსტმარქსიზმი განსაკუთრებულად, მაგალითად, იმ რწმენაში გამოიხატება, რომ რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები არ შეიძლება მუშთა კლასის მიერ იქნას ინიცირებული (პროლეტარიატმა, როგორც ცვლილებათა მთავარმა ძრავამ, ახლა თავისი მნიშვნელობა დაკარგა). ასევე, მის სკეპტიციზმში, უფრო მეტიც, კომუნიზმისადმი, როგორც საბოლოო მიზნისადმი, მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. კასტელსი წერს, რომ „ყველა უტოპიას, თუ სერიოზულად უდგებიან და მის ცხოვრებაში გატარებას იწყებენ, ტერორთან მივყავართ. მის დარწმუნებულობაში, რომ ისეთი პოლიტიკური პრობლემები, როგორებიცაა ცხოველების უფლებები და ფემინიზმი, რომლებიც დღეს სერიოზულ როლს თამაშობენ, კლასობრივი ტერმინოლოგიით ვერ აიხსნება, და ინტელექტუალთა პოლიტიკური რჩევების წინააღმდეგ მის ღვარძლიან წინასწარვე ცუდი აზრების გამოხატვაში ვლინდება" (კასტელსი, 1998,გვ. 359).

თუმცა კასტელსმა ამგვარად მარქსიზმი უკან მოიტოვა, მაგრამ მარქსიზმი აზროვნების მისეულ წესზე მაინც აისახა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს ნათლად გამომდინარეობს არა მხოლოდ იმ ფაქტისაგან, რომ იგი მარქსისტულ ცნებებს (მაგალითად „წარმოების წესი") ხშირად მიმართავს და კაპიტალიზმის როლს განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. „მარქსიზმის გავლენა შეიძლება იმაშიც კი დავინახოთ, თუ იგი თავის სამტომეულს (The Information Age) როგორ ალაგებს. პირველ ტომში სოციალური სტრუქტურები – ტექნოლოგია, ეკონომიკა, შრომითი პროდუქტები – განიხილება, რომლებიც „ინფორმაციულ ეპოქას" ახასიათებს და მიეკუთვნება. მეორე ტომის მთავარი თემა „ქსელური საზოგადოების" სოციოლოგია გახდა, და განსაკუთრებით ის სოციალური მოძრაობები, რომლებიც წარმოიშვნენ, როგორც ამ ფუნდამენტურ ცვლილებებზე პასუხები, ხოლო შემდეგ უპირატესობა ახალი სიტუაციიდან მოიპოვეს. მესამე ტომი პოლიტიკას ეძღვნება, მთავარი თემა სოციალური ჩართულობა და გარიცხვა ხდება, საკითხების მთელი რიგი განიხილება: ყოფილი საბჭოთა კავშირისაგან ევროპის მომავლამდე, წყნარი ოკეანის აუზიდან გლობალური დანაშაულებრივი ქსელების მნიშვნელობამდე. პრიორიტეტების ამგვარი განლაგება მარქსისტულ მეთოდოლოგიას გვაგონებს – სტრუქტურული მახასიათებლიდან სოციალურ სფეროზე და აქედან ბოლოს პოლიტიკაზე გადასვლა. ეს წიგნი „ინფორმაციული ეპოქის" აგებულებას განსაზღვრავს და კასტელსს, როგორც ამას მოგვიანებით დავინახავთ, ცვლილებების გამომწვევი ყველაზე არსებითი მიზეზების გაგების საშუალებას აძლევს. პრიორიტეტები ეკონომიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს ეძლევა, მხოლოდ

შემდეგ მოდის საზოგადოებრივი ცნობიერებისა და პოლიტიკის პრობლემები და, რაც კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყველაზე კარგად მარქსიზმის კვალი სამყაროს მთლიანობის გაგებაში ვლინდება“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.132). იგი ფიქრობს, რომ მსოფლიოს ფუნქციონირების, აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებების ადეკვატური ახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს შევისწავლით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კასტელსი იმის ფუნქციონალურ ახსნას გვაძლევს, თუ თითოეული ელემენტი უნივერსალურ სქემებში როგორ მუშაობს. პირიქით, იგი აქცენტს განსხვავებული ნაწილების ურთიერთკავშირზე აკეთებს, თუმცა ისინი ზოგჯერ დაპირისპირებულ დამოკიდებულებაშიც კი არიან ერთმანეთთან, მაგრამ ეს შეხლა-შემოხლა ცვლილებებს ძლიერ ბიძგს აძლევს. ასევე აღსანიშნავია, რომ კასტელსი, მაგალითად, ფემინიზმს გლობალიზაციის პროცესებთან, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, ისევე, როგორც ცვლილებებს ოჯახის ფორმებში და გადაადგილებებს სტრატიფიკაციულ სისტემებში, ერთმანეთთან აკავშირებს. რასაკვირველია, ტოტალური მოცვის იდეა განსაკუთრებით მარქსიზმის საკუთრება არ არის, თუმცა მარქსისტული ტრადიციის მნიშვნელოვანი შემადგენელია, რომელმაც კასტელსზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ეს ტრადიცია ჩვენს „პოსტმოდერნისტული“ ეპოქის დღეებში, როდესაც „დიდ ნარატივს“ უნდობლად ექცევიან და მთელი აღმაფრენა კერძო თავისებურებებსა და განსხვავებებზეა მიმართული – მოდიდან გამოვიდა. მარქსისტული ხედვისგან (მიდგომისაგან) ამოსვლით, კასტელსი ტოტალური ახსნისადმი დღევანდელ ორთოდოქსალურ უნდობლობას უპირისპირდება.

ქვემოთ ფრენკ ვებსტერი კასტელსის შეხედულებების იმ ძირითად დებულებებს აანალიზებს, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად The Information Age-შია გადმოცემული. მართლაც „არის რაღაცა არაკორექტული მისი შრომის ასე მოკლედ წარმოდგენაში, რამდენადაც იგი გარდაუვლად საკმაოდ აბსტრაქტული და თეორიული განაზრებების კრებულზე (გროვაზე) დადის. ამგვარ მიმოხილვაში შეუძლებელია იმის ჩვენება, თუ რა არის მთავარი კასტელსისთვის, იგი ემპირიკოსი სოციოლოგია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უბრალოდ აფიქსირებს სიტუაციას, აგროვებს მონაცემებს და მათ აღწერებს. კასტელსი არა მხოლოდ იცნობს სხვადასხვა თეორიებს, მან ღრმად იცის ისინი, მაგრამ პრიორიტეტული მისთვის მაინც ემპირიული გამოცდილება რჩება. მისთვის ამოსავალია არა თეორია, რომელსაც, ფაქტების მიუხედავად, შემდეგ მკაცრად დაცვა და შენარჩუნება სჭირდება (ამაშიც ჩანს კასტელსის პოსტმარქსისტული ორიენტაცია). მანუელ კასტელსი (kastells, 2000) „გამოყენებისათვის სასარგებლო“ თეორიას გვთავაზობს, რომელიც პოსტსტრუქტურული რეალიზმის აბსტრაქტული თეორეტიზების მეტისმეტ გატაცებაზე პასუხია“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004. გვ.133). თავისი შრომა კასტელსმა მრავალი ემპირიული მასალის,რომლებიც მან მთელს მსოფლიოში მოიძია (როგორც უკვე აღინიშნა, იგი ბევრს მოგზაურობს, აგრეთვე იყენებს თავისი დოქტორანტებიდან მიღებულ ინფორმაციებს, რომლებსაც ის წარმართავს რაც შეიძლება მეტი ლოკალობებისა და მეწარმეობის სხვადასხვაგვარობის შესწავლაზე), გამოყენების საფუძველზე შექმნა. „ამ მონაცემებს ის ბრიწყინვალედ აანალიზებს, მნიშვნელობა არა აქვს, საქმე 1989 წლის შემდგომ რუსეთში „ველურ კაპიტალიზმს“, შიდა ქალაქურ გეტოებს ჩრდილო ამერიკაში თუ ევროკავშირის პოლიტიკის სირთულეებს ეხება, ის მუდამ არსებული ტენდენციების და ხდომილებების გააზრებას და გაგებას ცდილობს“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004. გვ. იქვე).

2. მანუელ კასტელსის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრინციპები

სოციალური თეორიის ერთ-ერთი ამასწინანდელი შენაძენია მანუელ კასტელსის ტრილოგია საერთო სათაურით – „ინფორმაციული საუკუნე: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა". კასტელსი პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის საპირისპირო პოზიციას გამოხატავს, რომელიც, როგორც თავად მიაჩნია, „ისტორიისა და, გარკვეული დოზით, გონის დასასრულის ზეიმს აქეზებს, უარყოფს ჩვენი გაგებისა და გაცნობიერების უნარს": პროგრამა, რომელმაც შვა ეს წიგნი, მიმართულია ნგრევის წინააღმდეგ და ინტელექტუალური ნიჰილიზმის, სოციალური სკეპტიციზმისა და პოლიტიკური ცინიზმის განსხვავებულ ფორმებთან ოპოზიციაშია. კასტელსი ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებას 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციის კუთხით იკვლევს. „ამ რევოლუციამ, თავის მხრივ, დაწყებული 80-იანი წლებიდან კაპიტალისტური სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნა და იმის გაჩენა გამოიწვია, რასაც კასტელსი „ინფორმაციულ კაპიტალიზმს" ეძახის. გარდა ამისა, აღმოცენდა „ინფორმაციული საზოგადოება" (თუმცა მათ შორის მნიშვნელოვან კულტურულ და ინსტიტუციონალურ განსხვავებას აქვს ადგილი). ორივე აღნიშნული ფორმა „ინფორმაციონალიზმს" ეფუძნება, რომლის დროსაც განვითარების წესი წარმოების ძირითადი წყარო, ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორების ოპტიმიზების თვისებრივი შესაძლებლობის უნარი" ხდება. ინფორმაციონალიზმის, განსაკუთრებით, ინფორმაციული კაპიტალიზმის გავრცელება პიროვნებასა და იდენტურობაზე დაფუძნებული ოპოზიციური სოციალური მოძრაობების აღმოცენებას იწვევს. პროცესი, რომლის საშუალებით სოციალური აქტორი საკუთარ თავს და საკუთარი თავის მნიშვნელობას, პირველ რიგში, მოცემული კულტურული ნიშნის ან ნიშანთა ჯამის საფუძველზე აცნობიერებს და აყალიბებს და, შესაბამისად, სხვა სოციალური სტრუქტურების დახმარებას გამორიცხავს. ეს მოძრაობები მარქსისტული „კლასობრივი ბრძოლის" თანამედროვე ეკვივალენტებია. იმედს, წინააღმდეგობა გაუწიო ინფორმაციული კაპიტალიზმისა და მისი თანამდევი პრობლემების (ექსპლოატაცია, მუქარა პიროვნებასა და იდენტურობაზე, ინფორმაციული შეზღუდვები) გავრცელებას, არა მუშათა კლასი, არამედ განსხვავებული სოციალური მოძრაობები (მაგალითად, ეკონომიური, ფემინისტური) იძლევა, რომლებიც ძირითადად იდენტურობას ეფუძნებიან" (Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.516).

კასტელსის მიერ ჩატარებული ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რასაც ის ინფორმაციული ტექნოლოგიის პარადიგმას ეძახის. ამ უკანასკნელს ხუთი ძირითადი თვისება აქვს:

„ჯერ ერთი, ესაა ტექნოლოგიები, რომლებიც ინფორმაციაზე გავლენას ახდენენ.

მეორე, რადგან ინფორმაცია ადამიანის მოღვაწეობის ძირითადი ნაწილია, ამდენად ამ ტექნოლოგიების გავლენა ყოვლისმომცველია.

მესამე, ყველა სისტემა, რომელიც ინფორმაციულ ტექნოლოგიას იყენებს, „ქსელის ლოგიკით" განისაზღვრება, რომელიც მათ მრავალ პროცესსა და ორგანიზაციაზე გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს.

მეოთხე, ახალი ტექნოლოგიები ძალზე მოქნილებია, რაც მუდმივი ცვალებადობისა და ადაპტირების შესაძლებლობას იძლევა.

მეხუთე, ინფორმაციასთან დაკავშირებული ცალკეული ტექნოლოგიები უკიდურესად ინტეგრირებულ სისტემაში ერთიანდებიან" (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.516).

XX საუკუნის 80-იან წლებში ახალი გლობალური ინფორმაციული, მომგებიანობით მზარდი ეკონომიკა აღმოცენდა. ის ინფორმაციულია იმიტომ, რომ მისი სამეურნეო ერთეულები ან აგენტების (იქნება ეს ფირმა, რეგიონი თუ სახელმწიფო) ნაყოფიერება თუ კონკურენტუნარიანობა მთლიანად დამოკიდებულია მათსავე უნარზე, შექმნან, დაამუშაონ და ეფექტურად გამოიყენონ ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაცია. ის გლობალურია იმიტომ, რომ აქვს „უნარი ფუნქციონირებდეს, როგორც ერთიანი მთლიანი რეალურ დროსა და მთელი პლანეტის მასშტაბით". პირველად ეს ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების წყალობით გახდა შესაძლებელი. ახალი ეკონომიკა „ინფორმაციულია და არა მარტივად ინფორმაციაზე დაფუძნებული, იმიტომ, რომ მთელი სოციალური სისტემის კულტურულ-ინსტიტუციონალური თვისებები ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის განვითარებასა და განხორციელებაში უნდა იყვნენ ჩართული". მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეკონომიკა გლობალური ხასიათისაა, განსაზღვრული განსხვავებები მაინც არსებობს, შესაბამისად, კასტელსი ახალი გლობალური ეკონომიკის რეგიონებს – ჩრდილოეთ ამერიკას, ევროკავშირს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას გამოყოფს. ამგვარად, ჩვენ რეგიონებად დაყოფილ გლობალურ ეკონომიკაზე ვსაუბრობთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავებებია რეგიონებშიც, და ძალზე მიშვნელოვანია, რომ, როდესაც დედამიწის ზოგიერთი რეგიონი ამ პროცესში ერთვება, მაშინ ზოგიერთი სხვა რეგიონი ამ პროცესიდან გადის, რასაც სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ამ პროცესების მიღმა მსოფლიოს დიდი სფეროები (მაგალითად, საჰარისქვედა მთელი აფრიკა), აგრეთვე, პრივილეგირებული რეგიონების ნაწილი (მაგალითად, აშშ-ის ქალაქების ნაწილი) რჩება.

ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის აღმოცენებას თან ახალი ორგანიზაციული ფორმების – ქსელური საწარმოების – გაჩენა სდევს. სხვა რამესთან ერთად, ქსელური მრეწველობა მოქნილი (და არა მასობრივი) წარმოებით, მართვის ახალი სისტემებით (ხშირად გადმოტანილია მენეჯმენტის იაპონური მოდელიდან), უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მოდელის მქონე ორგანიზაციებით და მსხვილი კორპორაციების სტრატეგიულ ალიანსებში გაერთიანებით ხასიათდება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორგანიზაციის ფუნდამენტური კომპონენტი ქსელების ერთობლიობაა. სწორედ ამის გამო კასტელსი ამტკიცებს, რომ ახალი ორგანიზაციული ფორმა, ქსელური დაწესებულება, გაგებული, როგორც დაწესებულების სპეციფიკური ფორმა, რომლის საშუალებათა სისტემა ავტონომიურ სისტემათა მიზნების გადაკვეთის სეგმენტით იქმნება, როგორც ინფორმაციულ/გლობალური ეკონომიკის მახასიათებელი აღმოცენდა. ქსელური დაწესებულება არის გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის კულტურის მატერიალიზაცია და ეს ცოდნის დამუშავების გზით სიგნალების საქონლად გარდაქმნას შესაძლებლად აქცევს. შედეგად იცვლება შრომის ბუნება (მაგალითად, შრომის ინდივიდუალიზაცია სამუშაო დროის გრაფიკის მოქნილი ფორმების შემოღებით), თუმცა ამ ცვლილების კონკრეტული ხასიათი სხვადასხვა სახელმწიფოებში განსხვავებულია.

კასტელსი ასევე რეალური ვირტუალობის კულტურის აღმოცენებას განიხილავს, რომელსაც თან მულტიმედიური ტექნოლოგიური საშუალებების განვითარება სდევს, რომელიც მასობრივი ინფორმაციისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის შერწყმას წარმოადგენს, „სისტემისა, რომელშიც თვით რეალობა (ე.ი. ადამიანთა მატერიალურ\სიმბოლური არსებობა) მთლიანად ვირტუალურ, წარმოსახვით სამყაროშია ჩაძირული, სადაც გამოსახულება უბრალოდ კი არ ჩნდება ეკრანზე, რომელიც გამოცდილებას გადმოგვცემს, არამედ თავად წარმოადგენს გამოცდილებას". წარსულისაგან განსხვავებით, როდესაც ბატონობდა „ადგილის სივრცე" (მაგალითად, ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ნიუ-იორკი ან ლონდონი), დღეს წარმოიშვა ახალი სივრცული ლოგიკა, „ნაკადების სივრცე". ჩვენს სამყაროში უფრო პრო-

ცესები და არა ფიზიკური ადგილმდებარეობა ბატონობს (თუმცა ეს უკანასკნელი აგრძელებს არსებობას). ამგვარადვე ჩვენ „დრო დროის გარეშე“ ეპოქაში შევდივართ, რომელშიც, მაგალითად, ინფორმაცია დედამიწის ნებისმიერ წერტილშია მიღწევადი.

კასტელსი მხოლოდ ქსელური დაწესებულების ანალიზით არ იზღუდება და შემდეგ ამტკიცებს, რომ „ინფორმაციულ ეპოქაში გაბატონებული ფუნქციები და პროცესები თავს უფრო მეტად ქსელების, როგორც „ურთიერთდაკავშირებული კვანძების“ ირგვლივ იყრიან. ქსელები ღიაა და უნარი აქვთ, განუსაზღვრელად გაფართოვდნენ, დინამიურები არიან და განახლება სისტემის რღვევის გარეშე შეუძლიათ. მაგრამ ის, რომ ჩვენი ეპოქა ქსელებით განისაზღვრება, კაპიტალიზმის დასასრულს არ ნიშნავს. არსებითად, ყოველ შემთხვევაში, ამ წუთისათვის, ქსელები კაპიტალიზმს პირველად აძლევს შესაძლებლობას, ფინანსურ ნაკადებზე დაყრდნობით, ნამდვილად გლობალური და ორგანიზებული გახდეს, ამის მაგალითია „გლობალური ფინანსური კაზინოები“ – ქსელისა და ინფორმაციული სისტემის შერწყმის მშვენიერი მაგალითი. ფულს, რომელიც აქ ტრიალებს, დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წარმოების პროცესში გამომუშავებულს. ფული გამოეყო წარმოებას; ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ ეპოქაში, რომელსაც ფულისადმი დაუსრულებელი სწრაფვა ახასიათებს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კასტელსს არ მიაჩნია, რომ ქსელების, რეალური ვირტუალობის განვითარება, ინფორმაციონალიზმი და განსაკუთრებით მათი გამოყენება ინფორმაციონალურ კაპიტალიზმში შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. მათთან დაპირისპირებასა და ოპოზიციაში საკუთარი იდენტობების დამცველი ინდივიდები და კოლექტივები იმყოფება. ამგვარად „ღმერთი, სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება უცვლელ, მარადიულ კოდებს უზრუნველყოფს, რომლის ირგვლივ შემოტევის საწინააღმდეგო მოძრაობები განლაგდებიან“ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ წარმატების მისაღწევად წინააღმდეგობის აღნიშნული მოძრაობა ინფორმაციასა და ქსელს უნდა დაეყრდნოს. ამგვარად, ისინი მნიშვნელოვანწილად ახალ წესრიგში არიან ჩართულნი. ამ კონტექსტში კასტელსი მრავალ სოციალურ მოძრაობას, მათ შორის, საპატისტებს მექსიკის ჩიაპასში, ამერიკულ მილიციას, „აუმ სენრიკეს“ იაპონურ კულტს, გარემოს დაცვის მოძრაობას, ფემინიზმს და ჰომოსექსუალურ მოძრაობას აღწერს.

რა შეიძლება ითქვას სახელმწიფოზე? კასტელსის თვალსაზრისით, ახალ სამყაროში, მისი ეკონომიკის გლობალიზაციითა და კაპიტალის გლობალურ ბაზრებზე დამოკიდებულებისა გამო, სახელმწიფო ნაკლებად ძლიერი ხდება. მაგალითად, სახელმწიფო ვერ დაიცავს თავის სოციალურ პროგრამებს, რადგანაც მსოფლიოში არსებული დისბალანსი გამოიწვევს იმას, რომ კაპიტალი იმ ქვეყნებისაკენ წავა, სადაც სოციალურ პროგრამებზე დაბალი დანახარჯებია. სახელმწიფოს სიძლიერეს აგრეთვე გლობალური კომუნიკაციები არღვევს და ასუსტებს, რომლებიც ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად გადაედინებიან. გარდა ამისა, შეიმჩნევა გლობალური დანაშაულებანი და ისეთი გლობალური ქსელების შექმნა, რომელებიც რომელიმე ქვეყნის კონტროლს არ ექვემდებარებიან. სახელმწიფო სუსტდება აგრეთვე ისეთი მრავალმხრივი სუპერსახელმწიფოების გაჩენით, როგორიც ევროპული კავშირია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ არსებობენ, კასტელსს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ძალაუფლების უფრო ფართო ქსელის კვანძად გადაიქცა.

დილემა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე დგება, მდგომარეობს იმაში, რომ, თუ ის საკუთარი ხალხის ინტერესების წარმომჩენი და დამცველი იქნება, მაშინ იგი გლობალურ სისტემაში ნაკლებად ეფექტური იქნება, მაგრამ თუ ის აქცენტს ამ უკანასკნელზე გააკეთებს, მაშინ საკუთარი ხალხის ინტერესების ადეკვატურად გამოხატვას ვერ შეძლებს. სახელმწიფოს კრახის მაგალითად შეიძლება საბჭოთა კავშირი ავიღოთ. ის ახალ ინფორმა-

ციონალიზმს და ქსელების სამყაროს ვერ შეეწყო. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოში ინფორმაცია მონოპოლიზებული იყო, მაგრამ ეს იმ სამყაროსთან, სადაც წარმატებები ინ-ფორმაციის თავისუფალ ნაკადზეა მიბმული, შეუთავსებელია. საბჭოთა კავშირის დაშლით სახელმწიფო გლობალური კრიმინალური ელემენტებისათვის ადვილი ლუკმა გახდა. ბედის ირონიით გლობალური ინფორმაციული საზოგადოების გარეთ მდგარი რუსეთი დღეს მნიშვნელოვანწილად გლობალურ დანაშაულებებშია ჩათრეული.

საკუთარი კრიტიკული ორიენტაციის ერთგული, განსაკუთრებით პიროვნების, იდენ-ტურობის, კეთილდღეობის მიმართ ინფორმაციული კაპიტალიზმის მტრული დამოკიდე-ბულების ხაზგასმისას, კასტელსი მიდის დასკვნამდე იმის შესახებ, რომ დღევანდელ მდგომარეობაში ჩვენი „ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა.. .. კოლექტიურ შემოქმე-დებას ზღუდავს, ინფორმაციული ტექნოლოგიის შემოსავალს კონფისკაციას უკეთებს და ჩვენს ენერგიას თვითდამანგრეველი წინააღმდეგობებისაკენ მიმართავს. მაგრამ ასე არ უნდა მოხდეს, რადგან „არ არსებობს ისეთი რამ, რისი შეცვლაც გააზრებული მიზანმიმარ-თული სოციალური მოქმედებით შეუძლებელია“.

კასტელსი ჩვენი ახალი კომპიუტერიზებული სამყაროს პირველ დასაბუთებულ სოცი-ოლოგიურ ანალიზს გვთავაზობს და ამ ნაშრომიდან მრავალი დასკვნის გაკეთება შეიძლე-ბა. საყურადღებოა ორი ძირითადი ნაკლი. ჯერ ერთი, ეს, უმეტესწილად, ემპირიული გა-მოკვლევაა (ეფუძნება მეორად მონაცემებს) და კასტელსი ცდილობს, თავი აარიდოს გარ-კვეული თეორიული წყაროების გამოყენებას, რომლებსაც მისი ნაშრომის გაძლიერება შე-უძლიათ. მეორე, ის ყურადღებას გამოკვეთილად წარმოების სფეროს უთმობს და მისი ანალიზის შედეგებს მოხმარების სფეროსათვის არ განიხილავს. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, კასტელსმა, მის მიერ აღწერილი უახლოესი სამყაროს უკეთ გასაგებად, მნიშ-ვნელოვანი დასაწყისი შემოგვთავაზა.

3. ინფორმაციული კაპიტალიზმის არსება (ფრენკ უებსტერის მიხედვით)

უწყვეტობა თუ ცვლილებები ?

კასტელსის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ „ინფორმაციული ეპოქა“ „ახალი საზოგა-დოების“ წარმოქმნას მოასწავებს, რომლიც ქსელთა გაშლისა და გაფართოების წყალობით წარმოიშობა (ქსელები კი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებითაა უზრუნ-ველყოფილი) და რომელშიც პრიორიტეტული მნიშვნელობა ინფორმაციულ ნაკადებს აქვს. მის შესახებ შემდეგშიც იქნება მსჯელობა, მაგრამ ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ კას-ტელსი ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობის შესახებ პირდაპირ არასდროს ლაპა-რაკობს. მისი აზრით, ყველა საზოგადოება იყენებდა ინფორმაციას და, შესაბამისად, ტერ-მინი „ინფორმაციული საზოგადოება“ დამდეგი ერის თავისებურებების განსაზღვრები-სათვის დიდ ანალიტიკურ ღირებულებას არ ფლობს. თანამედროვე სიტუაციის აღწერისას კასტელსი უპირატესობას ტერმინ „ინფორმაციულ კაპიტალიზმს“ ანიჭებს. აქ მნიშვნელო-ვანია განსაზღვრებაც და არსებითი სახელიც. ერთი მხრივ, ზედსართავი სახელი მას აძ-ლევს შესაძლებლობას, ყურადღება ინფორმაციის გაშლა-გაფართოებას მიაპყროს, რომე-ლიც სავსებით ახალი დამოკიდებულებების სიმბოლიზებას ახდენს. კასტელსისთვის საკ-ვანძო მნიშვნელობის ტერმინი „ინფორმაციონალიზმი“ „ცოდნის ცოდნაზე ზემოქმედებას, როგორც ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ძირითად წყაროს“ (კასტელსი, 1996, გვ.17), შესაბამისად, „ახალ ეკონომიკაზე“, აგრეთვე „ახალ საზოგადოებაზე“ გადასვლას აღნიშ-ნავს. მეორე მხრივ, ტერმინი „კაპიტალიზმი“ კასტელს იმის დანახვის შესაძლებლობას აძ-ლევს, რომ ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეული ფორმები (მოგებისკენ სწრაფვა, კერ-

ძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ა.შ.) კვლავაც პრევალირებს. იგი აღნიშნავს, რომ „ინფორმაციონალური კაპიტალიზმი“ – ეს კაპიტალიზმის განსაკუთრებით უმოწყალო-ულმობელი, მტაცებლური ფორმაა, რამდენადაც იგი, ქსელური კავშირების წყალობით, თავის თავში, გლობალურ არსებობასთან (რაც წინამორბედ კაპიტალისტურ ეპოქებში არ შეიმჩნეოდა) ერთად, არნახულ მოქნილობას აერთიანებს.

ამ მიმოხილვის ძირითადი მიზანია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მეცნიერები, რომლებიც აქცენტს სისტემურ ცვლილებებზე აკეთებენ და, შესაბამისად, ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას მიმართავენ, მეცნიერთაგან, რომლებსაც სჯერათ, რომ თანამედროვეობის, გნებავთ, დღევანდელობის ყველაზე არსებითი მახასიათებელი ნიშანი მემკვიდრეობითობასა და უწყვეტობაშია. და ვის აძლევს ხელს, დასვას საკითხი: რომელ ბანაკს მიეკუთვნება კასტელსი. იგი ხაზს უსვამს ცვლილებათა სიღრმეს (ტყუილუბრალოდ ხომ არ ეწოდება მის წიგნს „ინფორმაციული ეპოქა: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა“) და ამავდროულად აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ კაპიტალიზმი კვლავაც აგრძელებს თავის არსებობას და რომ იგი უფრო საშიში გახდა, უფრო ძლიერ განმტკიცდა, ვიდრე ოდესმე. როგორც ჩანს, კასტელსს ორივე ბანაკში სურს ითამაშოს, როცა ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური განვითარების და 1970-იან წლებში იკტ-ს გაჩენის შერწყმამ ინფორმაციული კაპიტალიზმის წარმოშობასთან მიგვიყვანა. კასტელსი აღიარებს, რომ ჩვენს დროში კაპიტალიზმი წამყვან როლს თამაშობს (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრინდელი ურთიერთობები გრძელდება და ფართოვდება კიდეც) და ამავე დროს ამტკიცებს, რომ ფუნდამენტური ცვლილებები „ქსელური საზოგადოების“ წარმოქმნის გამო ხდება და რომ ეს ქსელები მომავალი სოციალური ორგანიზმის აუცილებელ წანამძღვრებს წარმოადგენენ. გადაუჭრელი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს იმის აღიარებასა, რომ ჩვენი ეპოქის ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კაპიტალიზმია (მემკვიდრეობითობა და უწყვეტობა) და იმის მტკიცებას შორის, რომ ინფორმაციონალიზმს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (ცვლილებები) აქვს, მანუელ კასტელსის მთელ წიგნს გასდევს, რასაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

ქსელური საზოგადოება

კასტელსი ასაბუთებს, რომ ჩვენ განვიცდით ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლას, რომლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც, თავის მხრივ, ერთმანეთს აკავშირებს ადამიანებს, ინსტიტუციებს და სახელმწიფოს. ეს მრავალ შედეგს იწვევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი – მზარდ გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის განხეთქილების შესაძლო გაღრმავებაა. კასტელს საკითხის ორივე მხარე აინტერესებს, მას სურს იკვლიოს ის წესები, რომელთა მეშვეობით გლობალიზაცია ადამიანთა შორის, ერთი მხრივ, ინტეგრაციას აძლიერებს, ხოლო მეორე მხრივ, ფრაგმენტაციას და დეზინტეგრაციას უწყობს ხელს. ეს ტრილოგიის ძირითადი საკითხი გახდა.

კასტელსის მიხედვით, ინფორმაციული ეპოქა 1970-იან წლებში იწყება. იგი ემთხვევა კაპიტალისტური კრიზისის პერიოდს, რომელმაც გვამცნო იმის დასასრული, რაც ომისშემდგომ მოწყობად იყო მიღებული (სრული დასაქმება, მზარდი ცხოვრებისეული სტანდარტები, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემები და ა.შ.). კრიზისმა კაპიტალისტური მეწარმეობის რესტრუქტურიზაცია დააჩქარა, რეცესიებითა და მზარდი კონკურენციით შებოჭილი კორპორაციები მოგების ახალ წყაროებს ეძებდნენ. მოხდა ისე, რომ ეს რესტრუქტურიზაცია, კასტელსის ტერმინოლოგიით, განვითარების ინფორმაციული წესის წარმოშობას დაემთხვა, მოვლენას, რომელიც ინფორმაციის ზრდასა და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ეს ერთდროული განვითარება ჩვენთვის კარგად არის ცნობილი იმიტომ, რომ კაპიტალიზმის რესტრუქტურიზაცია თავის ძირითად ნიშნებში ახალი ტექნოლოგიებისა და იკტ-ს ათვისების საკითხი იყო, რომელიც კომერციული აქტივობის ახალი წესების ძიებაში განხორციელდა. 1970-იანი წლებიდან დაწყებული კაპიტალიზმის ახალი ფორმა, რომელსაც კასტელსი ინფორმაციულ კაპიტალიზმს უწოდებს, ინფორმაციულ ქსელებს საქმეების წარმოებისათვის როგორც უშუალოდ წარმოებაში (ახალი შრომითი ხერხების მიმართ), ისე მარკეტინგისათვის მთელს მსოფლიოში იყენებს. ყველაფერი ეს ამასთანავე მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციის ხანგრძლივ, მუდმივად მიმდინარე და დაჩქარებულ პროცესებთან, თანაც ისეთი ხარისხით, რომ ამ ქსელურ საზოგადოებაში კაპიტალისტური საქმიანი აქტივობა მიმდინარეობს რეალურ დროში სივრცული შეზღუდვების გარეშე, რაც განვითარებული იკტ-ს გარეშე წარმოუდგენელია.

მრავალი ავტორისათვის გლობალური ინფორმაციული ქსელების გავრცელება ნაციონალური სახელმწიფოების დაცემას მოასწავებს, რამდენადაც საზღვრები ინფორმაციის ელექტრონულ ნაკადებს დაბრკოლებებს ვერ უქმნის და, შესაბამისად, მათი მარკეტინგი, წარმოება და გავრცელება სულ უფრო მსოფლიო მასშტაბებში ხდება, რაც ქვეყნებს შორის საზღვრებს შლის. კასტელსს ეს მშვენივრად ესმის, მაგრამ მას არ მიაჩნია, რომ ქსელები ნაციონალური სახელმწიფოების სიკვდილს აღნიშნავს. მნიშვნელოვანი ხარისხით, ისინი შეიძლება დასუსტდნენ და, რასაკვირველია, მსოფლიო ბაზარზე უნდა გავიდნენ, მაგრამ მათი როლი მაინც მნიშვნელოვანი რჩება. და ძირითადად იმიტომ, რომ, მიუხედავად გლობალიზაციისადმი ტენდენციებისა, ამასთან დაკავშირებული გლობალიზაციის ყველა მონაწილის მაქსიმალური ადაპტაციურობის (შეგუების) მოთხოვნილებაც არსებობს. საბაზრო სიტუაციების მკვეთრი და ხშირი ცვლილებები და მათი გამოყენების შესაძლებლობები ჩვეულებრივი გახდა მსოფლიოსთვის, რომელშიც „ახალი ეკონომიკა“ შემოქმედებითი ქაოსით ხასიათდება და, გარემოებების შესატყვისად, ნაციონალური მთავრობები პასუხისმგებელნი ხდებიან ახლად გამოვლენილი შესაძლებლობების გამოყენებისათვის (და მისი გამოუყენებლობისათვისაც). ამგვარად, ნაციონალური სახელმწიფო თავის მნიშვნელობას მაშინაც კი ინარჩუნებს, როდესაც მას მოქმედება ინფორმაციული ნაკადების გლობალურ გრიგალში უხდება.

კასტელსი ზოგად მიმოხილვას აკეთებს და გლობალურად ინტეგრირებულ მსოფლიოში მოგებულებსა და წაგებულებს აფასებს, ხაზს უსვამს განსხვავებულ რეზულტატებს და შედეგებს ლათინური ამერიკის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახალი სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში. მისთვის, ცვალებად მსოფლიო არენაზე – სადაც „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის“ პირობითი ტერმინები ნათელს კი არ ხდიან, არამედ უფრო აბნელებენ საკითხს – არსებული განსხვავებები მნიშვნელოვანია, რამდენადაც აჩვენებენ, თუ როგორ ძალუძთ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სტრატეგიებს, თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებულ შედეგებთან მიგვიყვანონ. ეფექტური მთავრობები იაპონიისა და სინგაპურის კურსს მიჰყვებიან; „მტაცებლური სახელმწიფოები“ კი, ისეთები, როგორებიცაა უგანდა, ზაირი და ზოგიერთი სხვა აფრიკული ქვეყანა, გლობალურ ქსელურ საზოგადოებასთან მიმართებაში მარგინალურნი ხდებიან და თავიანთ გასაჭირს და უსახსრობას „მათხოვრობის პოლიტეკონომიით“ ავსებენ .

„მჭიდროდ ნაქსოვი ხალიჩის მსგავსი მსოფლიოს სურათის ხატვისას, კასტელსი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვაგებინებს, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება ქსელური საზოგადოება. შრომის უახლესი საერთაშორისო დანაწილებები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მისი ზოგადი და საერთო მიმართულება ცხადია და ოთხი ვარიანტი აქვს, სახელდობრ:

- ინფორმაციულ შრომაზე დაფუძნებული მაღალი ღირებულების მწარმოებლები.
- შრომის არცთუ მაღალ ღირებულებაზე დაფუძნებული დიდი მოცულობების მწარმოებლები.
- ნედლეულის მწარმოებლები (რომლებსაც საფუძვლად ბუნებრივი რესურსები აქვს).
- ჭარბი მწარმოებლები (რომლებიც თითქმის გაუფასურებულ – უფასო შრომით სარგებლობენ)" (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.136).

ქსელური მეწარმეობა

ჩვენ შევედით ქსელური საზოგადოების ახალ ეპოქაში, რომელიც კაპიტალიზმის და „ინფორმაციული რევოლუციის" შეზრდის შედეგად წარმოიშვა. კასტელსი ფიქრობს, რომ საკითხი აქ მხოლოდ გლობალიზაციაში არაა, თუმცა, რასაკვირველია, ისიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შეიცვალა გლობალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ფორმებიც, რომლებიც ქსელურ გავრცელებას ეყრდობიან, რამაც დებიუროკრატიზაციასთან მიგვიყანა. იგულისხმება, რომ გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებშიც კი ბიუროკრატია ადგილს „სიმშვიდის რეალურ დამრღვევებს", ინფორმაციულ მუშაკებს უთმობს, რომლებიც ქსელებში ოპერირებენ, მთელ მსოფლიოში გარიგებებს დებენ, რაღაც პროექტზე მუშაობენ და საბაზრო ნიშებს პოულობენ და რომლებიც უფრო მეტად თავიანთ მსგავს მუშაკებთან არიან დაკავშირებულნი, ვიდრე იმ კომპანიასთან, სადაც ისინი დროებით საფუძველზე მუშაობენ.

აქ კასტელსი მეტად თუ ნაკლებად ორთოდოქსალურ შეხედულებებს თითქოსდა გვერდს უვლის და ბიზნესის სკოლებში ფრიად მოდურ იდეებს მიმართავს. „მარქსისტი მკვლევრებისათვის ინფორმაციული ქსელების გავრცელება მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების გაძლიერების ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია. პიტერ დიკენი (დიკენი, 1992), რიჩარდ ბარნეტი და რონალდ მიულერი (ბარნეთი და მიულერი, 1994), აგრეთვე, ჰერბერტ შილერი (შილერი, 1984), იმ ფართოდ გავრცელებული აზრის წარმომადგენელები არიან, რომლის თანახმადაც, ტრანსნაციონალური კორპორაციების მკვეთრი და, როგორც ჩანს, შეუქცევადი ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მჭიდროდ უკავშირდება იმ ინფორმაციული ქსელების გავრცელებას, რომლებიც ამ დიდი კორპორაციული კლიენტების დაკვეთით შეიქმნა კიდეც. ხშირად ადარებენ ერთმანეთს სახელმწიფოებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სიმდიდრეს, აღმოჩნდა, რომ იმ ასი ერთეულიდან, რომლებიც ყველაზე მაღალ მოგებას იღებენ, ნახევარი ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდის; ან მოჰყავთ მონაცემები იმის შესახებ, რომ სატელეკომუნიკაციო კომპანიები ყველაზე დიდ შემოსავლებს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო კორპორაციული დამკვეთებისაგან იღებენ, ანდა იმ ფაქტით ოპერირებენ, რომ მსოფლიოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების 20% დაახლოებით 600 გიგანტურ კორპორაციაზე მოდის და ამან თითქოსდა ზემოთ მოყვანილი არგუმენტი უნდა დაამტკიცოს" (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.137).

მაგრამ კასტელსი, მტკიცებისას, რომ ინტეგრაცია სრულ გადატრიალებას ნიშნავს ყველაფერში, მაინც არ მიმართავს ამ საბუთებიდან არც ერთს. რასაკვირველია, იგი აღნიშნავს ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობას ქსელურ საზოგადოებაში, მაგრამ მიიჩნევს, რომ იგი ამ გიგანტებს ისევე ემუქრება, როგორც ყველა დანარჩენსაც და თუ ისინი არ შეიცვლებიან, მაშინ დაიღუპებიან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი დაღუპვის რისკი ძალიან დიდია. მაშასადამე, ამტკიცებს კასტელსი, ტრანსნაციონალური კორპორა-

ციები ვერტიკალურად იმდენად დეზინტეგრირებულნი უნდა იქნენ, რომ „ჰორიზონტალურ კორპორაციებად ტრანსფორმირება“ შეძლონ. რამდენადაც ქსელურ საზოგადოებაში, ამბობს ის, ყველაფერი გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე პასუხის სისწრაფესა და ადაპტაციურობაზე არის დამოკიდებული, მაშასადამე, ქსელი მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა. თუმცა ფორმალურად აგებულ კორპორაციას შეუძლია ბაზარს პროდუქცია და მომსახურება მისაღებ ფასსა და ზუსტ ვადებში მიაწოდოს, ეს მაინც ნიშნავს, რომ „კომპანიების შიგნით და გარეთ ქსელები მუდმივად იქმნება და გარდაიქმნება. ე.ი. ჩვენ „კორპორაციების ქსელებად გარდაქმნის“ მოწმენი ვხდებით, რომლებშიც სტრატეგიული კავშირები კონკრეტული გარემოებებისა და მონაწილეების შესაბამისად იკვრება და იშლება, ხოლო წარმატების რეცეპტს კი ის წარმოადგენს, რასაც Toyota-ს მენეჯმენტი ხუთი ნულის პრინციპს უწოდებს“. (დეფექტების ნული, ტექნიკური შეცდომების ნული, დაგვიანებების – გადავადებების ნული, ქაღალდებით მუშაობის ნული და მატერიალურ-სამრეწველო მარაგების ნული). (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.138).

თუ ტრანსნაციონალური კომპანიები აგრძელებენ არსებობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძირფესვიანად შეიცვალნენ და ტრანსფორმაცია განიცადეს. წარსულს ჩაჰბარდა გლობალური იმპერიები, რომელთა მოქმედებებიც მეტროპოლიის ერთი ცენტრიდან იგეგმებოდა და წარიმართებოდა. ინფორმაციულ ეკონომიკაში „დიდ კორპორაციას... უკვე აღარ შეუძლია და მეტად ვერც ვერასდროს შეძლებს, ჩაკეტილი და თვითკმარი დარჩეს“. ახლა მან უფლებამოსილება ქსელურ ორგანიზაციულ ერთეულებს უნდა დაუთმოს, რომლებიც თვითპროგრამირებადი, თვითმართველი წარმონაქმნებია და რომელთა საფუძველსაც დეცენტრალიზაციის, მონაწილეობისა და კოორდინაციის პრინციპები შეადგენს.

ყოველივე ამაში პოსტფორდისტული თეორიის გამოძახილი ნათლად ისმის (ნახე ვებსტერის შრომის Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, 4 თავი) და პოსტფორდისტული ჯადო სიტყვა – „მოქნილობა-ფლექსიბილურობა“ – კასტელსის მთელ წიგნს გასდევს, თუმცა ის პოსტფორდისტული ლიტერატურის ციტირებას იშვიათად ახდენს, მაგრამ იგი თავის შეხედულებებს მაშინ ავლენს, როდესაც ახალი პარადიგმის მაგალითის სახით Cisco-ს კორპორაცია მოჰყავს, რომელიც თავისი ბიზნესის 80%-ს ვებსაიტის მეშვეობით აწარმოებს. კასტელსის მიხედვით, ინდუსტრიული კაპიტალიზმისთვის ტიპურია ფორდისტული კომპანია დიდი ქარხნებით, სტანდარტიზებული პროდუქციით და იერარქიული მმართველობით, მაშინ როდესაც Cisco ინფორმაციული ეპოქის არქეტიპული ქსელური საწარმოა.

„ყველაფერი ეს სავსებით ეწერება მენეჯმენტის თეორიაში და მუდმივად ქვეყნდება Financial Times -ის ფურცლებზე. რასაკვირველია, გლობალური ეკონომიკა მოძრავია, ყველა მისი მონაწილისათვის არასტაბილური და სარისკოა, ძირითადად ეს გლობალიზაციის შედეგია, რომელმაც ოდესღაც შედარებით დაცული (შიდა დაცული ბაზრების წყალობით) კორპორაციული მოთამაშენი მსოფლიო მასშტაბის მკაცრ კონკურენციულ ბრძოლაში ჩაითრია. მაგრამ კასტელსის პოსტულატი ერთდროულად მარტივიც და მნიშვნელოვნად ღრმაცაა. იგი ამტკიცებს, რომ „ქსელის ლოგიკას უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე ძალაუფლებას ქსელში“. ამ აფორიზმით იგი ცდილობს გაგვაგებინოს, რომ იკტ-მ გლობალური კორპორაციების ეფექტურობა შეამცირა და დასცა და მკვეთრად იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების პოზიციები გააძლიერა, რომლებიც ქსელის მათეულ გაგებაში ეფექტურობას და მოსაზრებულობას ავლენენ. ამ ადამიანებს დღესაც შეუძლიათ კორპორაციის ჩარჩოებში მუშაობა, მაგრამ ახალმა ტექნოლოგიებმა ძალაუფლების დამქირავებლები-

დან ქსელური მუშაკების ხელში გადანაწილება გამოიწვიეს“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.139).

კასტელსი (Castells, 1996) გვთავაზობს იმას, რასაც იგი ინფორმაციონალიზმის სულისკვეთებას, გონს უწოდებს (გვ.195). აქ ის მაქს ვებერის ცნობილ პოსტულატს ეყრდნობა, რომელიც კალვინიზმის კაპიტალიზმთან „შერჩევით-გამორჩევით ნათესაობას“-„პროტესტანტული ეთიკის“ „კაპიტალიზმის სულისკვეთებასთან, გონთან“ შერწყმასა და შედუღაბებას უშვებს და შედარებად ფაქტორს გვთავაზობს, რომელიც ჩვენს დროში მოქმედებს. „კაპიტალიზმი ძველებურად, მაგრამ ახალ, პრინციპულად მოდიფიცირებულ ფორმებში არსებობს“ (გვ.198), რომლის ძირითად ღერძს „ინფორმაციონალიზმის გონი (სულისკვეთება)“ წარმოადგენს. „ინფორმაციონალიზმის ამ სულს (გონს) კასტელსი კიბერსივრცის მოთამაშეთა სახეების მეშვეობით აღწერს, რომლებიც ინფორმაციებს ადვილად და თავისუფლად უცვლიან ერთმანეთს, აქვთ კარგი კონტაქტი და იმდენად ეფექტურად არიან შეერთებულნი ქსელში, რომ ძალუძთ, თანამედროვეობის მოთხოვნებს გაუსწრონ. კასტელსი შეძრულია „შემოქმედებითი დესტრუქციის“ (შუმპეტერის ტერმინოლოგიით) ტალღების მეშვეობით ქსელში მიღებული გადაწყვეტილებების უნარით, ძირეული გავლენა მოახდინოს ადამიანებსა და ხდომილებებზე მთელ მსოფლიოში. და, მაშასადამე, მიაჩნია მას, წარმოიშობა პიროვნების ახალი ტიპი, რამდენადაც ის, ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს, არ არის ანგარიშვალდებული დამქირავებლების წინაშე, მაგრამ მუდამ ღია იმათთვის, ვინც ქსელურ ტალანტს ფლობს. ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც ახალი სიტუაციის დახასიათებისას, კასტელსი ასე აღწერს მას: „შუმპეტერი ხვდება ვებერს ქსელური წარმოების კიბერსივრცეში“(გვ.199), აყენებს ერთად სახელებს, რომლებიც სწრაფი ცვლილებების, შემოქმედებითობისა და პირადი ინიციატივის მაგარ ნარევს გვთავაზობენ.

კასტელსი შრომით პრაქტიკასა და დასაქმებულობის მოდელებში არსებულ ცვლილებებს დიდ ყურადღებას უთმობს. სტატისტიკისა და დეფინიციის სფეროში გრძელი და ხანგრძლივი ექსკურსიდან აკეთებს დასკვნას: ინფორმაციული შრომის რაოდენობა საზოგადოებაში გაიზარდა; მას მთლიანობაში მეტი კმაყოფილება მოაქვს, ვიდრე შრომით საქმიანობას, რომელიც წარსულში იყო მისაწვდომი. ეს სამუშაოები უფრო ინდივიდუალიზებული ხასიათისაა, ვიდრე ადრე იყო, ხოლო ქსელურ საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებები მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანი უნდა შეეგუოს, უფრო სწორად, შეეჩვიოს მოქნილობას იმაშიც, რასაც ის დღეს აკეთებს და იმაშიც, რის გაკეთებასაც იგი მომავალში აპირებს, თუ მას სურს, ინფორმაციული კაპიტალიზმის „სისტემურ მოქნილობაში“ გადარჩეს.

4. ინფორმაციონალური კაპიტალიზმის კულტურული შედეგები

წიგნის The Rise Of The Network Sociyte დაახლოებით შუაში კასტელსი ტექნოლოგიური ცვლილებების კულტურული შედეგების განხილვაზე გადადის. იგი არ განიცდის შფოთსა და მღელვარებას ქსელში არსებული ინფორმაციის შინაარსთან დაკავშირებით და მას კომპიუტერული პორნოგრაფიებისა და ნეოფაშისტური გვერდებიდან (საიტებიდან) მომდინარე საფრთხეები ნაკლებ აშინებს და აინტერესებს. კასტელსი იკტ-ს დანერგვის უფრო ღრმა შედეგებს განსაზღვრავს, რითაც პატივს მარშალ მაკლუჰანს მიაგებს, რომელმაც დაინახა, რომ ტელევიზიას ბეჭდური (დაზგური) კულტურის („გუტენბერგის გალაქტიკის“) განადგურებასთან და წინამდებარე კულტურული ფორმების დათრგუნვასთან მივყავართ. კასტელსის მიერ მოყვანილი საბუთები თუ მტკიცებულებები შემდეგზე დაიყვანება: როგორც ტელევიზია პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს, არა კონკრეტული შინაარსის გამო, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია დღეს ეწეოდე პოლიტიკას, თუ ტელევიზიასთან საქმე და

მისადგომი არ გაქვს. ასევე ქსელთა როლიც – არა მათ შინაარსში, არამედ ქსელების ხელმისაწვდომობის თავად ფაქტში უნდა ვეძიოთ, ე.ი. რამდენად შეგწევთ უნარი, ქსელში ჩაერთოთ. თუ თქვენ არა ხართ ქსელში, თქვენ არ შეგიძლიათ სრულფასოვნად მიიღოთ მონაწილეობა ქსელური საზოგადოების ცხოვრებაში. კომპიუტერული ქსელი, თავის მხრივ, ბოლოს მოუღებს კომუნიკაციის ისეთ მასობრივ საშუალებას, როგორიც ტელევიზიაა (ცენტრალიზებული წარმოება და მაუწყებლობა ჰომოგენური აუდიტორიისათვის), რამდენადაც ისინი კომუნიკაციების ინდივიდუალიზაციას ახდენენ და მას ინტერაქტიულს ხდიან. ამიტომ კულტურისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქსელის მისადგომობა-მისაწვდომობის საკითხი ხდება, ვინაიდან კომუნიკაციის ვისთანაც გვინდა და როდესაც გვინდა და ინტერაქტიული ურთიერთობის შესაძლებლობას მხოლოდ იგი გვაძლევს.

კასტელსი ინტერნეტის გავრცელების წინამორბედი ტექნოლოგიური განვითარების ზოგიერთი ასპექტითა თუ მხარით შეშფოთებულია, რადგან ისინი ხელს უწყობენ იმ ზოგად ტენდენციას, რომელიც საზოგადოების ფრაგმენტაციაზეა მიმართული – ეს აზრი კასტელსის მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს. მაგალითად, ახლახან წარმოქმნილ საკაბელო და თანამგზავრულ ტელევიზიას მიზნობრივი აუდიტორია ჰყავს და ამიტომ თითოეული მათგანი წინასწარ შერჩეულ ინფორმაციას იღებს, რითაც მაყურებლებს, ვთქვათ, MTV-ისა და Sky Sport-ის არხების მიხედვით აცალკევებს. ამასთან დაკავშირებით კასტელსი მაკლუენის ცნობილი განსაზღვრების პერიფრაზირებას ახდენს და წერს, რომ message is the medium [(საშუალება თავად არის გზავნილი (მესიჯი)], რამდენადაც მედია იმის ტრანსლირებას ეწევა, რასაც, როგორც ივარაუდება, აუდიტორიის განსხვავებული სეგმენტები ითხოვენ. ეს სატელევიზიო რესურსების გლობალური ინტეგრაციის შედეგად ხდება და ამის თვალსაჩინო დემონსტრირებას მერდოკის News Corporation წარმოადგენს, რომელიც აუდიტორიის განსხვავებულ ბაზრებს კასტომიზირებული და დივერსიფიცირებული პროგრამებითა და არხებით უზრუნველყოფს. კასტელსს განსაკუთრებით აღელვებს ის, რომ ცხოვრების საშინაო წესი იზრდება, რაც დასვენებასა და გართობაზე ორიენტირებული მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვასთან არის დაკავშირებული. ეს გვემუქრება საერთო (ეროვნული) კულტურის დაკარგვით, რომელსაც საერთო-ეროვნული ტელემაუწყებლობა იცავდა და ამაგრებდა, და ასევე ნიშნავს, რომ „თუმცა მედია... ახლა ერთმანეთს შორის გლობალური მასშტაბით არის დაკავშირებული, ჩვენ უკვე არა გლობალურ სოფელში, არამედ იზოლირებულ, გამოყოფილ, კასტომიზირებულ კოტეჯებში ვცხოვრობთ, რომელთა წარმოებაც და განაწილებაც ლოკალიზებულია“ (გვ. 341).

მაგრამ არსებობს საპირისპირო ტენდენციებიც, რომლებსაც ფესვები ტექნოლოგიურ სფეროებში აქვთ გადგმული. კასტელსისათვის ინტერნეტი „ტექნოლოგიურად და კულტურულად დამახასიათებელ ინტერაქტიულობისა და ინდივიდუალიზაციის თვისებებს“ ფლობს (გვ. 358). ამით მას შეუძლია ხელი შეუწყოს ელექტრონული საზოგადოებების შექმნას, რომლებიც უფრო დააკავშირებენ ადამიანებს, ვიდრე გააცალკევებენ და გაყოფენ მათ. ეს გვაგონებს ჰოვარდ რეინგოლდის ენთუზიაზმს „ვირტუალური თანასაზოგადოებების“ თაობაზე, რომლებიც შეიძლება ქსელში შეიქმნას. მის კვალდაკვალ კასტელსიც (Castelss, 1996) ამტკიცებს: „ინტერნეტი ელექტრონულ აგორად იქცევა“(გვ. 357), რაც „ინტერაქტიული საზოგადოების“ შექმნის მაუწყებელია.

კასტელსი ძალიან გატაცებულია პოტენციური „ვირტუალური თემის, თანასაზოგადოების“ იდეით, თუმცა The Rise of the Netvork Societi-ის მეორე გამოცემაში (Castelss, 2000d) იგი თავის ადრინდელ ოპტიმიზმს რამდენამდე ამცირებს, აღიარებს რა, რომ „მატერიალურად დაინტერესებული საშუალოობა“ ახალი ტექნოლოგიების „კეთილშობილურ მიზნებს“ ეწინააღმდეგება და უპირისპირდება“ (გვ. 398). მე მუდმივად ვსარგებლობ ელექ-

ტრონული ფოსტით, იგი ძალიან მეხმარება იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც ჩემს ინტერესებს იზიარებენ, მაგრამ ეს, უბრალოდ, მიმოწერის მოსახერხებელი ფორმაა და მეტი არაფერი. თემის, თანასაზოგადოების, როგორც ასეთის, საზრისი კი ისაა, რომ იგი მთლიან ადამიანს მოიცავს და არა შეზღუდულ კომუნიკაციას, რომელიც ბიტებით იზომება; აი, ეს შეადგენს სწორედ იმ ურთიერთობების არსს, რომლებიც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხორციელდება (ვან მორისონის განცხადებათა ელექტრონული დაფა, პროფესიური ლისტინგი, საქმიანი ურთიერთობები, ვაჭრობა ინტერნეტით) და შეიძლება შეწყდეს, როდესაც მათდამი ინტერესი იკარგება. მართლაც არის რაღაც საგანგებო ონლაინურთიერთობებში, რომლებიც, უბრალოდ, ღილაკზე ხელის დაჭერით შეიძლება შეწყდეს. მსგავსი ზედაპირული, არაფრის მქადაგებელი, ეგოისტური ურთიერთობები „საზოგადოების“ სახელს არ იმსახურებს, რომელიც, სულ მცირე, მის სხვა წევრებთან რეალურ დროსა და რეალურ ადგილზე ურთიერთქმედებებს გულისხმობს. რეალურ საზოგადოებას, ჯგუფს, რასაკვირველია, ჩამოყალიბებულ აზრებსა და ცრურწმენებს შეუძლია მხარი დაუჭიროს, მაგრამ მას ასევე შეუძლია, ქცევისა და რწმენის განსაზღვრულ ტიპს გამოწვევა ესროლოს ისე, რომ კომპიუტერის გამოსართავი ღილაკის უკან არ დაიმალოს. როგორც უკვე ვთქვით, კასტელსი ფიქრობს, რომ ქსელში ჩართულობა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის პირობაა. ამით მტკიცდება, რომ იკტ-ს მისაწვდომობა და, პირველ რიგში, ინტერნეტში ჩართულობა, ინფორმაციულ (საზოგადოებაში) ეპოქაში მოქალაქეობის უფლებას განსაზღვრავს. ადამიანებს შორის კავშირების მზარდი შესაძლებლობების თაობაზე თავისი ენთუზიაზმის მიუხედავად, კასტელსს ის აშინებს, რომ, თუ ამ ურთიერთობების მთავარი შემადგენელი გართობა გახდება, მაშინ ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამ ინტერაქტიული ურთიერთობების ხელშემწყობნი და წარმმართველნი თვითონ ადამიანები კი არა, ცენტრალიზებული ძალები იქნებიან. უფრო მეტიც, კასტელსი ამტკიცებს, რომ „სისტემაში ჩართვის ფასი მისი ლოგიკისადმი, ენისადმი, მისი „გამსვლელი ქულისადმი“, მისი კოდირებისა და დეკოდირებისადმი ადაპტაციის მოთხოვნა გახდება“ (Castells 1996, გვ. 374). ეს მტკიცება ჩვენ კვლავ მაკლუჰანთან გვაბრუნებს, რამდენადაც კასტელსი ვარაუდობს, რომ იკტ-ს დანერგვის კულტურული ეფექტი გაცილებით სერიოზული აღმოჩნდება, ვიდრე ეს დემოკრატიული კომუნიკაციის მარტივი შესაძლებლობაა. იგი წერს „რეალური ვირტუალურობის“ შესახებ, რათა ერთიანად მოიცვას ტექსტის, აუდიო და ვიზუალური ფორმების ის შენადნობი, რომელსაც მულტიმედია წარმოგვიდგენს და გაიგოს, თუ რას ნიშნავს იგი ქსელურ საზოგადოებაში. იგი ვარაუდობს, რომ თვით მაშინაც კი, როდესაც დაძაბულ ქსელურ ურთიერთობებში ვიმყოფებით და, შესაბამისად, სხვებთან შევდივართ ურთიერთობებში, ჩვენ გამოცდილებით ერთადერთ რეალობას – მედიის რეალობას ვიყენებთ. ამგვარად, „ესაა სისტემა, რომელშიც თავად რეალობა... მთლიანად მოცულია და ჩაფლულია ვირტუალურ სახეებში, გამოგონილ სამყაროში, რომელშიც გარეგანი ანარეკლები ეკრანზე არა მხოლოდ გვამცნობენ რომელიღაც გამოცდილების შესახებ, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებად“ (Castelss, 1996, გვ. 373). ეს ღრმად პოსტმოდერნისტულ ფანტაზიებთან გვაახლოებს, რომლებიც ძალზე გაწელილი და გაჭიანურებულია. კასტელსი კულტურის ამ ახალი თვისებების დემონსტრირებას დენი კუეილის მაგალითზე „საპნის ოპერისა“ და პოლიტიკური ცხოვრების შერევის აღწერით აღწევს. 1992 წელს მაშინდელმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა საარჩევნო კომპანიის დროს „საპნის ოპერიდან“ გამოიყენა პერსონაჟი, რათა ოჯახური ღირებულებებისადმი თავისი ერთგულება და სიყვარული თვალსაჩინოდ ეჩვენებინა. კუეილის სიტყვის შემდეგ მომდევნო სერიაში ჩართეს შესაბამისი ეპიზოდი. თითქოსდა აქ ფაქტი და რეალობა ერთმანეთში ირევა, რაც კასტელსისთვის ვირტუალური რეალობის მაგალითად იქცა, რო-

მელსაც ახალი მედია აწარმოებს. „კრიტიკოსთა აზრით, ეს არასაკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ თითქოს ჩვენ რაღაც სრულებით ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდით. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩარლზ დიკენსმა გამოაქვეყნა რომანები გაგრძელებებით – „ოლივერ ტვისტი“ და „პიკვიკური კლუბის ჩანაწერები“ და რეალურმა ცხოვრებამ გამონაგონიდან ხასიათები („იგი ნამდვილი ურია გიპია“) ხშირად ისესხა. მარტივად, რომ ვთქვათ, მხატვრული გამონაგონი სოციალური ცხოვრების შესახებ ბჭობისათვის ჩვენ მრავალნაირ შესაძლებლობას გვაძლევს და ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს საზღვრები ფაქტებსა და გამონაგონს შორის იშლება. და ეს ასე იყო ძალიან დიდი ხნის წინათაც, როდესაც არა მხოლოდ მულტიმედია, არამედ ტელევიზიაც კი არ არსებობდა. მსგავს ხერხებს თუ ილეთებს ახალი კულტურული ფორმებიც იყენებენ, ისინი შეიძლება მიღებულ ან უკუგდებულ იქნან, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ადამიანებს არცთუ ისე ძლიერ გვიჭირს ფაქტისაგან სახის, გამონაგონის განსხვავება. მსგავსი ნივთების, როგორც ვირტუალური რეალობის შეფასება, ვებსტერის აზრით, „პოსტმოდერნისტულ ფანტაზიებში ძალიან ადვილად ჩავარდნას ნიშნავს“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.143).

ნაკადთა სივრცე

კასტელსის იდეები „ნაკადთა სივრცის“ შესახებ ნაცნობი აღმოჩნდება იმ მკითხველისათვის, ვინც მის უფრო ადრეულ წიგნს The Informational City (1989) იცნობს. The Informational Age-ში იგი ინარჩუნებს „ადგილის სივრცისა“ და „ნაკადთა სივრცის“ ადრეულ დაყოფას, ქსელური საზოგადოებისათვის კი აქცენტს „ნაკადთა სივრცეზე“ აკეთებს. რამდენადაც ინფორმაციული ნაკადები თანამედროვე საზოგადოების ორგანიზაციაში ცენტრალური როლის თამაშს იწყებენ, ამდენად, რეგიონები და ლოკაციები, რომლებსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ, „ყველაზე დინამიური სექტორების გამაერთიანებელ საერთაშორისო ქსელებში აღმოჩნდებიან ინტეგრირებული“ (Castelss, 1996, გვ. 381). კასტელსი ხაზს უსვამს, რომ რეგიონებს და ლოკაციებს მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ იგი არ ამტკიცებს, რომ ჩვენ „გეოგრაფიულ გათიშულობა-განცალკევებულობას“ განვიცდით, რომელიც დადგენილი კავშირების დეზორგანიზაციას იწვევს. ინოვაციათა ახალი გარემო განსაზღვრავს მომავალში იმას, თუ რომელი რეგიონი განვითარდება და რომელი დაეცემა, მაგრამ ისინი ყველანი ქსელურ საზოგადოებაში შევლენ.

ქალაქები, ძირითადად კი ისინი, რომლებიც უფრო ფართო ქსელების „საკვანძო წერტილებად“ იქცნენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ და განსაკუთრებული ხასიათიც აქვთ. მტკიცებისას, რომ „გლობალური ქალაქი ადგილი კი არა, არამედ პროცესია“ (იქვე, გვ. 386), რომელიც ინფორმაციის ნაკადთა მიმდინარეობა-გამტარობას უზრუნველყოფს, კასტელსი თავის თვალსაზრისს ასაბუთებს იმით, რომ მეგაპოლისები (ლონდონი თუ ბომბეი) განვითარების ისეთ ძრავას შეადგენენ (გვ. 409), რომლებიც ერთდროულად როგორც „გეოგრაფიულად, ისე სიტუაციურად გლობალურად დაკავშირებულნიც და ლოკალურად გათიშულნიც არიან“ (იქვე, გვ. 404), რაც თითოეულისათვის, გარდა ყველაზე დაუკვირვებელი ტურისტებისა, სავსებით ცხადია. კასტელსი ასევე განიხილავს „მადომინირებელი მმართველების“ თემას, რომლებიც საკვანძო მნიშვნელობის როლებს თამაშობენ ქსელებში. ისინი კოსმოპოლიტები არიან და, იმავე დროს, მათ ლოკალური კავშირების შეინარჩუნებაც სურთ, რათა ჯგუფთან ერთიანობა არ დაკარგონ, რაც სერიოზულ ფიზიოლოგიურ დაძაბულობას ბადებს. ამ ადამიანებს გლობალური კავშირები და ცხოვრების ერთიანი წესი აქვთ (ერთნაირი ტიპის ოტელები, დროის გატარების ერთი ტიპი) და, რაც ყველა მათგანისთვისაა დამახასიათებელი, ისინი ცდილობენ, გამოეყონ ქალაქს, რომელშიც

ცხოვრობენ, ხშირად იყენებენ ტექნოლოგიურ სისტემებს, რათა მეზობლად მცხოვრები „საშიში კლასებიდან“ იზოლირებული აღმოჩნდნენ. მაგრამ კასტელსი ამ ჯგუფს კლასად არ აქცევს. იგი მიიჩნევს, რომ „გლობალური კაპიტალისტური კლასი არ არსებობს“, თუმცა არსებობს „უპიროვნო კოლექტიური კაპიტალისტი“ (იქვე, გვ. 474), ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ.

დროის გარეშე დრო

დროის გარეშე დროის ცნების შემოტანისას, კასტელსი თანამედროვე სამყაროში დროისა და სივრცის შეკუმშვის შესახებ კარგად ცნობილ არგუმენტს მიმართავს, რომელიც მიმოქცევაში ენტონი გიდენსისა და, ძირითადად, დევიდ ჰარვეის მიერ იქნა შემოტანილი იმის ხაზის გასასმელად, რომ ქსელური საზოგადოება „მარადიული სამყაროს“ შექმნას ცდილობს, რომელშიც დროითი შეზღუდვები სულ უფრო და უფრო მოიხსნება. კასტელსი დამაჯერებლად აჩვენებს, თუ როგორ ეწევიან დროით მანიპულირებას „კაპიტალის ელექტრონულად მართული გლობალური ბაზრები“ (Castelss, 1996. გვ. 437) და როგორ აისახება ეს სამუშაო დროზე, რომელზედაც ასევე ხდება ზემოქმედება („მოქნილი გრაფიკი“) მისი მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების მიზნით.

გარდა ამისა, ქსელურ საზოგადოებას „ცხოვრების წესთა შორის განსხვავების წაშლასთან მივყვავართ (გვ. 445) და ამ პროცესის დამახასიათებელი ნიშანი „რიტმულობის მსხვრევა“ ხდება (გვ. 446), თანაც იმ ზომითა და ხარისხით, რომ მანიპულირებას ადამიანის ცხოვრების ბიოლოგიური ფაზებიც კი ექვემდებარებიან. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორმოცდაათი წლის ქალები ბავშვებს შობენ, ხოლო პარალელურად „ცხოვრებიდან სიკვდილის გამორიცხვის“ სერიოზულ მცდელობებს (კრიონიკა და ა. შ.) აქვს ადგილი. შემდეგ კასტელსი გენურ ინჟინერიაში არსებულ გარღვევებზე გადადის, რომლებსაც იგი ინფორმაციისა და კომუნიკაციის პრობლემებს უკავშირებს და რომლებშიც აგრეთვე დროის გარეშე კულტურის წინ წაწევის საშუალებას ხედავს.

შესაძლოა, კასტელსი უფრო დამაჯერებელი „წამიერი ომების“ საკითხებშია. ასე უწოდებს იგი ომებს, რომლებსაც „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოები მოკლე გაბედული დარტყმებით აწარმოებენ, ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ და მასმედიის საშუალებით „სტერილური“ სახით მთელ მსოფლიოს წარუდგენენ (სხვა, მკაცრი და მრისხანე ომები, რასაკვირველია, გრძელდება, მაგრამ პერიფერიებში). ამის შესახებ ყველასთვის ცნობილია, მით უფრო 1992 წლის სპარსეთის ყურეში ომისა და სერბიის 1998 წლის ნატოს დამანგრეველი ოპერაციის შემდეგ, მაგრამ კასტელსი იმ გარემოებიდან, რომ დადგა ტრაგიკული ომების დასასრული, შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებს. იგი ამბობს, რომ თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე, უკიდურეს შემთხვევაში, ევროპაში ომი „გადასვლის აუცილებელი წესი“იყო და, მისი აზრით, ადამიანის მოკვდაობის შესახებ მუდმივ შეხსენებას და, ასევე, ცოცხლად გადარჩენილთათვის ათვლის წერტილს წარმოადგენდა. ახლა „ყოველივევ ეს წარსულს ჰბარდება, რის შედეგადაც დროის გარეშე დროის კულტი, რომ ახლა ჩვენ მუდმივ აწმყოში ვცხოვრობთ, კიდევ უფრო მყარდება. გარდა ამისა, ქსელურ საზოგადოებას, ჰიპერმედიის დახმარებით, თავისი წამიერი კომუნიკაციებით ძალუძს, ინფორმაცია მთელს დედამიწაზე გადასცეს და მოიპოვოს, რომელიც ისტორიაში დროის „ამოჭრას“ იმით ახორციელებს, რომ ისტორიულ ფაქტს ისტორიულ კონტექსტში არ ათავსებენ და „დროის გარეშე მენტალურ ლანდშაფტში“ გვტოვებენ. ყველაფერი ეს კი ქსელური საზოგადოების კულტურაში იყრის ერთად თავს, რაც „სისტემურ არეულობა-უწესრიგობას, მუდმივ წამიერობას, კონტინინუმის

არარსებობას და სპონტანურობას ნიშნავს“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.145).

5. იდენტურობის ძალაუფლება

The Informational Age-ის მეორე ტომში ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი თანმხლები მაინტეგრირებული და მაფრაგმენტირებული ტენდენციებისაგან კასტელსი კოლექტიური იდენტურობების განხილვაზე გადადის. ამ განხილვის ცენტრალური საგანი სოციალური მოძრაობებია; კასტელსის მიხედვით, სოციალური მოძრაობა – ესაა „მიზანმიმართული კოლექტიური ქმედებები, რომლებიც საზოგადოების ინსტიტუტებისა და ღირებულებების ტრანსფორმაციას ეწევიან“ და ადამიანებს მისი იდენტურობის მთავარ ელემენტებს აძლევენ. სხვა სიტყვებით, ამ წიგნში თანამედროვე მსოფლიოში სიცოცხლის პოლიტიკა და სოციოლოგია განიხილება.

მთავარი არგუმენტი გამომდინარეობს საკითხისაგან, თუ როგორ ყალიბდება და იქმნება იდენტობები დღეს, როდესაც ტრადიციები წარსულს ჩაჰბარდა? კასტელსს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს და ყველა მასთან დაკავშირებულ მალეგიტიმიზებელ ინსტიტუტებს, რომლებსაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ (სოციალური უზრუნველყოფა, სუვერენიტეტის უფლება, კლასობრივი პოლიტიკა, დემოკრატიული პროცესები და ზეწოლის ჯგუფები, როგორიცა პროფკავშირები), ქსელური საზოგადოების მაგლობალიზებელი ტენდენციები საფრთხეს უქმნიან. მაგალითად, ყველა „კეთილდღეობის სახელმწიფო“ ყველაზე იაფი სამუშაო ძალის ძიების გლობალური კონკურენციის გამო ზეწოლას განიცდის; ეროვნული ეკონომიკის კონტროლი, რეალური დროის რეჟიმში მუდმივი სავალუტო გარიგებებისა და ვაჭრობის გამო, სულ უფრო ძნელდება, ხოლო პოლიტიკური დემოკრატია შეუქცევადად იცვლება იმ ინფორმაციული პოლიტიკით, რომელიც ინფორმაციული და კომუნიკაციური მედიის წყალობით, გლობალური, არაპატივისმცემელი და სკანდალზე ორიენტირებული გახდა.

ეროვნულ სახელმწიფოებს არ ძალუძთ გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიებიც კი თავიანთი მოქალაქეების გასაკონტროლებლად, რადგან თვით სახელმწიფოები ნახევრად ავტონომიური რეგიონების (და ქალაქებისაც კი) წარმოშობით არიან შესუსტებული, მოქალაქეები ადვილად უკავშირდებიან ათასეულ კილომეტრობით დაშორებულ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს, ხოლო გლობალური, მაგრამ დიფერენცირებული მედია მუდმივად ეძიებს და აუდიტორიას პოლიტიკოსთა მაქინაციებს წარუდგენს (შეიძლება გავიხსენოთ სილვიო ბერლუსკონის აღმასვლა და დაცემა 1990-იან წლებში, ხოლო შემდეგ მისი განმაცვიფრებელი დაბრუნება პოლიტიკაში 2001 წელს, აგრეთვე, პოლიტიკოსთა კორუმპირებულობისა და მათი სექსუალური ცოდვების თუ გადაცდომების მუდმივ გაშუქება). იმათ, ვისაც ორუელისეული სახელმწიფოს წარმოშობა აშინებთ, ასევე არანაკლებ შეიძლება შეეშინდეთ იმის, რომ შეიძლება კასტელსის პროგნოზი გამართლდეს: „ჩვენი საზოგადოებები მოწესრიებული ციხეები კი არა, არამედ უწესრიგო (ქაოსური) ჯუნგლებია“. დღეს ყველაფერი ნიადაგგამოცლილია, განუსაზღვრელია, ტრადიციები დანგრეული, ხოლო ყოფილი დარწმუნებულობა კი სამუდამოდაა დაკარგული.

კასტელსი ამ კოშმარს თავის არგუმენტს უპირისპირებს: იდენტობები მოქმედებებში წარმოიქმნება და, ამგვარად, ქსელური საზოგადოება წინააღმდეგობების მოძრაობას და თვით პროექტული იდენტურობის მოძრაობასაც კი ბადებს. შემდეგ თვით ყველაზე განსხვავებული გვარის მქონე წინააღმდეგობათა მოძრაობების (დაწყებული მექსიკელი საპატისტებისაგან აშშ-ში ნეომოფაშისტო patriots-მდე, Aum Shinrikyo-ს იაპონელი ფანატიკოსე-

ბიდან ისლამის ზოგიერთ ვერსიებში არსებულ რელიგიურ ფუნდამენტალიზმამდე, ყოფილ საბჭოთა კავშირში ეთნიკური ნაციონალიზმიდან ისეთ ადგილებში ტერიტორიულ სეპარატიზმამდე, როგორიცაა კატალონია) ანალიზს გვთავაზობენ. ამ მოძრაობებს, წარმოშობილთ, როგორც რეაქციებს, კასტელსი მოწონება-დაწუნების გარეშე უყურებს, იგი მათში ახალი იდენტურობების, როგორც უზარმაზარ და სულ უფრო გაფართოებად ზეწოლაზე პასუხის ფორმირების დასტურს ხედავს .

პროექტზე ორიენტირებულ მოძრაობებს კასტელსი ეკოლოგიური და ფემინისტური მოძრაობების მაგალითზე განიხილავს, რომლებსაც უკვე ახლა აქვთ და, უეჭველია, მომავალშიც დიდი გავლენა ექნებათ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოძრაობები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ, როგორც „ინფორმაციული ეპოქის“ სტრესებსა და გადატვირთვებზე რეაქცია; რამდენადაც ყველა ისინი იმ საშუალებებით სარგებლობენ, რომლებსაც მათ ქსელური საზოგადოება საკუთარი ორგანიზაციული საჭიროებებისა და იდეების გასავრცელებლად აძლევს.

ფემინიზმის ანალიზისას კასტელსი აჩვენებს, რომ საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოფილი ნორმა პატრიარქატი, ოთხი ურთიერთდაკავშირებული მიზეზის გამო, დაისისაკენ შეუკავებლად ეშვება. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ქალი სულ უფრო ხდება სამუშაო ძალა, ეს კი ინფორმაციული სამუშაოების რაოდენობის გაზრდასა და ქსელური საზოგადოების მიერ მოთხოვნილ მოქნილობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მეორე, ესაა ქალების ბიოლოგიურ ფუნქციებზე მზარდი კონტროლი, რასაც, ყველაზე ცხადად, გენური ინჟინერია აჩვენებს, რომელიც ქალებს რეპროდუქციასთან დაკავშირებული შეზღუდვებისაგან ათავისუფლებს, მესამე, ეს, რასაკვირველია, ფემინისტური მოძრაობაა ყველა თავისი ფორმით. და მეოთხე, ესაა იკტ-ე, რომლებმაც საშუალება მოგვცეს „თითქმის მთელი პლანეტიდან ქალთა ხმების ჰიპერ-ხალიჩამოგვექსოვა“(Castells, 1996, გვ.193). ყველაფერი ეს ერთად აღებული წინა საუკუნეების სექსუალურ ნორმებს უპრეცედენტო გამოწვევას ესვრიან და ამით „. . ჰეტეროსექსუალურ ნორმებს, როგორც ინტიმურ, ისე საჯარო სფეროებში ძირს უთხრიან.“ კასტელსი ლაპარაკობს „პრაქტიკულ ფემინისტებზე“ (გვ.200), რომლებიც მოქმედებენ, რათა თავიანთი ცხოვრება შეცვალონ და ამ ბრძოლისას ახალ იდენტობებს იძენენ, რასაც თან „სოციალური ინსტიტუტების დეგენდერიზაცია ახლავს“ (გვ.202).

6. სტრატიფიკაციის ახალი ფორმები

კასტელსის აზრით,ახალი ქსელური საზოგადოება სტრატიფიკაციის ადრინდელ ფორმებს უკუაგდებს და წარმოქმნისთანავე უთანასწორობის ახალ ფორმებს ბადებს. ჰორიზონტალური კორპორაციის განვითარების თაობაზე კასტელსის თვალსაზრისი ჩვენ უკვე ვიცით, რომელიც ბიუროკრატიისათვის კარგს არაფერს მოასწავებს, მაგრამ იმათ ძალებს კი ავითარებს, ვინც ბიუროკრატიის მიღმა დგანან. ასევე აღვნიშნეთ, რომ კასტელსის აზრით, ინფორმაციულმა ეპოქამ გლობალური მასშტაბით დაბადა სისტემური კაპიტალიზმი, რომელშიც კაპიტალისტების კლასი არ არსებობს. ღირს ინფორმაციულ კაპიტალიზმში სტრატიფიკაციის შესახებ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ, ვინაიდან მისი გამოვლინებები რთული, ხოლო შედეგები კი არაერთმნიშვნელოვანია. სტრატიფიკაციის ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად,ძალაუფლებრივ ურთიერთობებში, რესურსების განაწილებასა და მომავლის პერსპექტივებში ცვლილებები ხდება. უფრო მეტიც, შრომასა და კაპიტალს შორის გამყოფი ხაზი, რომელიც XX-ის ბოლო წლეებამდეც კი პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველი იყო,როგორც ჩანს, ქრება.

მმართველი კლასის მიერ მართული კაპიტალიზმის ნაცვლად, დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს კაპიტალიზმი კაპიტალისტების კლასის გარეშე. დღეს, კაპიტალიზმის ფუნქციონირებაზე ქსელებზე ორიენტირებული და ექსპერტული „ინფორმაციონალური" შრომაა პასუხისმგებელი. მომუშავეთა ეს ჯგუფი საკვანძო მნიშვნელობის ძალად იქცა საზოგადოებაში, პრაქტიკულად იგი – კორპორაციებში ტექნოლოგიების შექმნისა და ცვლილებათა მართვისაგან დაწყებული და საკანონმდებლო რეფორმების მოთხოვნებამდე დამთავრებული – ყველაფერზე პასუხს იძლევა. პირიქით, ინფორმაციულ კაპიტალიზმში ფიზიკური შრომით დასაქმებულთა(კასტელსის მიხედვით „საერთო ტიპის მუშაკების") რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება. შესაბამისად, ისინი სულ უფრო ცუდად გრძნობენ თავს. სწორედ მათი მოუქნელობის გამო, მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, რაც მათ საშუალებას არ აძლევს ცვლილებებს შეეგუონ; აგრეთვე ინფორმაციონალური შრომის ინოვატორულობისა გამო, რომელიც სიმდიდრეს ქმნის და აიძულებს მათ, შეიცვალნონ. „საერთო ტიპის ეს მუშაკები", (ჩვეულებრივ, მამაკაცები) არიან კიდეც ისინი, რომლებსაც სოციოლოგები (და მრავალი სხვაც) მუშათა კლასთან აიგივებენ, რომლის დღეები, სამწუხაროდ, დათვლილია. მთავარი სოციალური განხეთქილება სწორედ აქ გადის: არაკვალიფიცირებული და ცუდად მომზადებული სამუშაო ძალა ინფორმაციული კაპიტალიზმის სანაგვეში აღმოჩნდება. საუკეთესო შემთხვევაში ეს ადამიანები დაბალანაზღაურებად და დროებით სამუშაოს პოულობენ, უარეს შემთხვევაში კი ორგანიზებული დანაშაულის პერიფერიებზე აღმოჩნდებიან.

რაც უფრო დიდია ეს განხეთქილება თუ დაშორება, მობილიზაციის ადრინდელი ფორმები მით უფრო მეტად რჩება წარსულში. რამდენადაც ძველი კლასობრივი სისტემა გარდაიქმნა და შეიცვალა, ამდენად კლასობრივი პოლიტიკა უკვე აღარ მუშაობს, იგი იმ სოციალურმა მოძრაობებმა შეცვალეს, რომლებიც ქსელური საზოგადოების ცვალებად პირობებს, თანამედროვე ეპოქის ცხოვრების წესსა და იდენტობებს ადვილად შეეგუენ. ამ ახალი მოძრაობების ლიდერები მასმედიასთან ურთიერთობის ისეთ ჩვევებსა და უნარებს, აგრეთვე, ორგანიზაციული ქმედების ისეთ ხერხებს ფლობენ, რომლებიც ინფორმაციულ ეპოქაში ეფექტური მობილიზაციისთვის აუცილებელია.

სწორად შენიშნავს ფრენკ ვებსტერი: „თუმცა მანუელ კასტელსს არ სურს სხვა თანამედროვე სოციოლოგების (ენტონი გიდენსის, ალენ ტურენის და დანიელ ბელის, უბრალოდ, მათი მოხსენიებით კმაყოფილდება) შრომებთან ანალოგიების გავლება, მაინც ნათელია, რომ მისი შეხედულებები თანამედროვე ავტორების შეხედულებებს ძალიან ჰგავს და თანხმობაშია მათთან. მისი აზრები ასევე ეთანხმება ტონი ბლერის „მესამე გზის" პოლიტიკურ კონცეფციას და ზოგიერთი მისი მომხრე ისეთი ინტელექტუალების აზრებს, როგორებიც არიან ჯეფ მალგენი (Mulgan) და ენტონი გიდენსი (Giddens). უფრო კონკრეტულად, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც კასტელსი სტრატიფიკაციის სისტემის კარდინალურ ცვლილებას ანიჭებს, ინფორმაციული, კარგად განათლებული მუშაკის ცენტრალური როლისადმი ყურადღება, პოლიტიკური მობილიზაციის ახალ ფორმებზე – რომლებიც ადრინდელ კლასობრივ დაყოფას ჩქმალავენ – ფოკუსირებაა, ყველაფერი ეს კი გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენ უკვე „ახალ ეპოქაში" ვცხოვრობთ" (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.149).

მუშათა კლასის დაცემა

ტრადიციული მუშათა კლასის დასასრული, როგორც კასტელსი ფიქრობს, ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზისა გამო დადგება. პირველი, ეს კლასი, რომელიც ოდესღაც პოლიტიკური მოძრაობის სული და გული, ანუ ძირითადი მიზეზი იყო, ახლა რაოდენობაში

მკვეთრად მცირდება და მას ის სამუშაო ძალა, რომელიც არაფიზიკურ შრომას ასრულებს, უწინარეს ყოვლისა, ქალთა შრომა ანაცვლებს. მეორე, მისი წვლილი საზოგადოებაში უკუიგდება: ღირებულების შრომითი თეორია ინფორმაციით (ცოდნით) შექმნილი ღირებულების თეორიით იცვლება. კასტელსის სიტყვებით, ცოდნა და ინფორმაცია თანამედროვე საწარმოო პროცესების მთავარ ნედლეულად იქცა, განათლება კი შრომის ძირითადი თვისებრივი მაჩვენებელი გახდა, ამიტომ „ინფორმაციონალურ კაპიტალიზმში ახალი მწარმოებლები ცოდნის ის გენერატორები და ინფორმაციის ის დამმუშავებელნი არიან, რომელთა წვლილიც ეკონომიკაში ...ყველაზე მნიშვნელოვანია“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.149).

მიუხედავად იმისა,რომ წარსულში მუშათა კლასი კაპიტალის მფლობელებზე იყო დამოკიდებული, ითვლებოდა, რომ თავად კაპიტალი მუშათა კლასის გარეშე წარმოუდგენელია. ანუ საჭირო იყო მეშახტეთა, ქარხნის მუშათა და სოფლის მუშაკთა დიდი რაოდენობა, რათა ქვანახშირის მოპოვება შესაძლებელი გამხდარიყო, არ გაჩერებულიყო კონვეიერები და მარცვლეული, ჭირნახული მოეწიათ. ღირებულების შრომითი თეორიის საფუძველში მუშათა კლასის სწორედ ეს მთავარი როლი ძევს. „მემკვიდრის“ სოციალისტურ პოლიტიკას იგივე განსაზღვრავს: „მუშათა კლასმა შექმნა მთელი სიმდიდრე და ოდესღაც სამართლიან ანაზღაურებას მიიღებს“. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. წარმოიშვა ინფორმაციულ მუშაკთა ახალი კლასი, რაც ადრინდელი მუშათა კლასის უგულებელყოფის საშუალებას იძლევა. ინფორმაციონალური შრომა „საერთო ტიპის შრომაზე“ ისეთი ხარისხით ზემოქმედებს, რომ ეჭვი იმის შესახებაც კი არაა, თუ ვინ თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში. ეს სხვადასხვანაირად ვლინდება: ზოგ შემთხვევაში „საერთო ტიპის შრომას ავიწროებს ავტომატიზაცია(კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით), ზოგჯერ – მსოფლიოს სხვა ადგილებში წარმოების გადატანით(რაც ადვილად ხორციელდება მაღალი ტექნოლოგიების მფლობელ დამგეგმავთა მიერ), ზოგჯერ – ახალი პროდუქტის შექმნით, რომელთანაც „საერთო ტიპის შრომას“, როგორც მოუქნელ რამეს, შეგუება არ ძალუძს.

ახალ მსოფლიოში ინფორმაციონალური შრომა ღირებულების ძირითადი მწარმოებელი ხდება, მაშინ როდესაც მუშათა კლასი ეცემა, რამდენადაც სწრაფი ცვლილებების უნარს კარგავს და არ ძალუძს ტემპის შენარჩუნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მას აკლია მოქნილობა(ფლექსიბილურობა). ყოველივე ამის შედეგია ის, რომ პოლიტიკა გვერდს უვლის კლასს, რომელიც საბოლოოდ ეროვნული სახელმწიფოების ნაპრალებში გაიხლართა (სხვა საქმეა, თუ რატომ აღმოჩნდა იგი უძლური გლობალიზებულ სამყაროში) და ისეთ სოციალურ მოძრაობებს მიმართავს, როგორებიცაა ფემინისტური, ეთნიკური და ეკოლოგიური. ამგვარი მოძრაობები გაცილებით ფართოა, ვიდრე ტრადიციული-კლასობრივი, ისინი აპელირებენ თავიანთი მომხრეებიის ცხოვრების განსხვავებულ წესებსა და ღირებულებებზე და ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციონალური შრომით ღრმად არიან განმსჭვალულნი. მაგალითად, „საერთაშორისო ამნისტია“, „გრინპისი“ ან „მიწის მეგობრები“ გავიხსენოთ. თითოეულ ამ მოძრაობას გლობალური ქსელები, კომპიუტირებული საწევრო სიები აქვს და განათლებული, მეცნიერულად მომზადებული, მედიატექნოლოგიებს დაუფლებული თანამშრომლები და მომხრეები ჰყავს.

კასტელსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმაციონალური კაპიტალიზმი ძალიან ძლიერი და ყველგან შემღწევია, განსაკუთრებით იქ, სადაც ის საბაზრო ურთიერთობებისადმი მტრულად დაპირისპირებულ მოქმედებებს თრგუნავს; ასევე აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ კაპიტალისტების კლასი მეტად აღარ არსებობს. იმ დროიდან დაწყებული, რაც კაპიტალიზმი გლობალური გახდა, ცალკეულ სახელმწიფოთა მანევრირების შესაძლებ-

ლობები, განსაკუთრებით, ნაციონალური ეკონომიკური სტრატეგიების სფეროში, მკვეთრად შეიზღუდა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ქმედებებმა თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს – სწორედ რომ, პირიქითაა საქმე, რამდენადაც მოუფიქრებელი ნაბიჯები მსოფლიო ეკონომიკის მყისიერ რეაქციებს იწვევს. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ არსებობს კაპიტალისტების კლასი, რომელიც მთელ მსოფლიო სისტემას აკონტროლებს. რეალურად კი, როგორც ამას კასტელსი ამტკიცებს, „უპიროვნო კოლექტიური კაპიტალისტი“ არსებობს, რომელიც უკვე არა განსაზღვრული კლასის, არამედ, მაგალითად, მუდმივი საბირჟო და სავალუტო ვაჭრობების სახით გვეძლევა, სადაც კაპიტალისტური საქმიანობის საზღვრებიდან გასვლის ძალიან მცირე ალბათობა რჩება. და მაინც, ამ სისტემის ფუნქციონერები არა კაპიტალისტები – მესაკუთრენი, არამედ უფრო ინფორმაციული მუშაკები არიან, რომლებიც პირველი შემადგენლობის მოთამაშეთა რიგებს განეკუთვნებიან. ამ სცენარის მიხედვით, ბუღალტრები, სისტემური ანალიტიკოსები, ფინანსისტები, ინვესტორები, რეკლამის სპეციალისტები და ა.შ., ახლანდელი კაპიტალიზმის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. მაგრამ ამავე დროს კასტელსი ამტკიცებს, რომ „დიდი კონსტრუქტორები“ არ არსებობენ, ვინაიდან მამოძრავებელი ძალა თავად სისტემაშია ჩამონტაჟებული და ქსელი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი ან ორგანიზებული ჯგუფიც კი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადამიანები თავიანთ პოზიციებს იკავებენ არა იმის ძალით, რომ კაპიტალის მესაკუთრენი არიან, არამედ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ექსპერტულ ცოდნას ფლობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციული მუშაკები არიან და როგორც მესაკუთრეთა ძველი მოდური კლასის, ისე მუშათა კლასის დასასრულს სწორედ ისინი მოასწავებენ.

დაბოლოს, ჩვენ გვრჩება ინფორმაციული კაპიტალიზმისათვის გამოუსადეგარი და გაუნათლებელი ადამიანები, რომლებსაც კასტელსი „მეოთხე მსოფლიოს“ მიაკუთვნებს და რომლებისთვისაც არანაირი როლები არ რჩება, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ისეთი რესურსები და ჩვევები, რომლებიც გლობალიზებულ კაპიტალიზმს დასჭირდებოდა, ანუ რომლებზეც მოთხოვნა იქნებოდა. აქ კასტელსი აშშ-ში ქალაქურ სიღატაკეს იხსენებს, ანუ იმ დეკლასირებულთ, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ცენტრად ქცეული ინფორმაციონალური მუშაკების გვერდიგვერდ ცხოვრობენ და სწორედ ამ ინფორმაციონალურ მუშაკებს ღარიბები, ხშირად შეურაცხმყოფელ პირობებში, ოფიციანტების, ძიძების, შვეიცარებისა თუ მოსამსახურეთა სახით ემსახურებიან. კასტელსი შიშობს, რომ „საერთო- გვარეობითი ტიპის შრომა“ შეიძლება ხანგრძლივ პერსპექტივაში დეკლასირებულ ელემენტებს შეერწყას, თუ მუშათა კლასი საკმარის მოქნილობას ვერ გამოიჩენს, რათა ახალი ეკონომიკის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

მოკლედ, რომ ვთქვათ, კასტელსს მიაჩნია, რომ ინფორმაციონალურმა კაპიტალიზმმა სტრატიფიკაციის სისტემა კარდინალურად შეცვალა. ამას ევროპულ ქვეყნებში ინფორმაციონალურ შრომაში დასაქმებულთა 30%-იც მეტყველებს. იმ არგუმენტების დახმარებით, რომლებიც თანამედროვე თეორიებს – დაწყებული რობერტ რაიხის „სიმბოლური ანალიტიკოსებისადმი გამოჩენილი ენთუზიაზმიდან და პიტერ დრაკერის რწმენიდან, რომ „ცოდნის ექსპერტები“ კაპიტალიზმის „მთავარ რესურსებად“ იქცნენ, ელვინ ტოფლერით დამთავრებული, რომელიც „ცოდნის საზოგადოებაში“ ცენტრალურ როლს „კოგნიტარიატს“ აკუთვნებს – ეხმიანება, კასტელსი ამტკიცებს, რომ ინფორმაციონალური შრომა არის ის ძალა, რომელიც ბადებს ცვლილებებს, ახალ ეკონომიკას ერთიან სისტემად კრავს და საერთოდ იაზრებს, გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ მოქმედებას, ე.ი. ყველაფერ იმას აკეთებს, რასაც ინფორმაციონალური კაპიტალიზმი მისგან მოითხოვს.

ამგვარად, ინფორმაციონალური შრომა – ეს ის მასალაა, რომელიც ინფორმაციონალურ კაპიტალიზმს ერთიან მთლად კრავს. როგორც უკვე ითქვა, კასტელსმა ძველმოდურ კაპიტალისტთა კლასს ძალაუფლება წაართვა, რამდენადაც კაპიტალის ფლობა თანამედროვე მსოფლიოში უკვე პირველი როლების დაკავების შესაძლებლობას აღარ იძლევა. ვინც ახლა კომპანიების საქმიანობას წარმართავს, ისეთ ინფორმაციულ ჩვევებს უნდა ფლობდეს, რომლებიც მუდმივი ცვლილებებისა და სრული განუზღვრელობის პირობებში ცხოველსაქმიანობის – სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას გვაძლევს. ახლა ძალიან ცოტას ნიშნავს, უბრალოდ, იჯდე საქონლის გროვაზე – ინფორმაციონალური შრომის გარეშე, რომელიც ტემპებს ინარჩუნებს, ყველაფერი დაკარგულია. შესაბამისად, ინფორმაციული მუშაკები, რომლებიც სტრატეგიებს აანალიზებენ და განსაზღვრავენ, ეფექტურად ურთიერთქმედებენ და ახალ შესაძლებლობებს პოულობენ, კაპიტალისტური წარმოების ბირთვს შეადგენენ.

ასეთი ადამიანებისათვის კონკრეტული სპეციალიზაცია ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ადაპტაციის უნარი. ასეთი ადამიანები თვითპროგრამირებადნი არიან, რომელთაც, აუცილებლობის შესაბამისად, ახალი ვითარებების შესატყვისად ძალუძთ განისწავლონ და გადაემზადონ. ყოველივე ეს მათ სწრაფად ცვალებად და ძლიერად „მოქნილ“ სამყაროში უმაღლეს დონეზე მორგებულ და სიცოცხლის უნარის მქონე პროფესიონალებად აქცევს. ის დრო გაქრა, როდესაც ადამიანს ბიუროკრატიულ აპარატში უზრუნველყოფილი, მყარი და გარანტირებული სამუშაო ჰქონდა; დღეს კი დროებით, ანუ კონტრაქტის ძალით, შესასრულებელი პროექტის ვადების შესაბამისად მუშაობს. მრავალ ადამიანს ეს აშინებს. თუმცა ინფორმაციონალურ მუშაკებს არაფრის ეშინიათ, რამდენადაც მათ თავიანთი „პორტფოლიოს“ – სადაც პროექტებში მათი მონაწილეობის შესახებ მონაცემებია შეტანილი – დახმარებით, ახალი ვაკანსიების დაკავება ძალუძთ. ისეთი ძველი ფასეულობები, ღირებულებები, როგორიცაა, მაგალითად, კომპანიისადმი ერთგულება, თანდათან გამოდის ხმარებიდან. ეს ახალი მომთაბარენი სიამოვნებით გადადიან პროექტიდან პროექტზე არა კორპორაციული ბიუროკრატიის იმედით, არამედ თავიანთი ქსელური კონტაქტების წყალობით. ისინი გარანტიებს არ ეძებენ, მათ უხარიათ, როდესაც საკუთარი ძალების გამოვლენისა და თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის შესაძლებლობა ეძლევათ. რასაკვირველია, დროის რაღაც მონაკვეთში ისინი მუშაობენ ამა თუ იმ კომპანიაში, მაგრამ არ არიან მათზე ემოციურად მიჯაჭვულნი – დაასრულეს რა პროექტი, ისინი სინანულის გარეშე ტოვებენ მას. წარმოიდგინეთ დამოუკიდებელი ჟურნალისტი, რომელიც საინტერესო რეპორტაჟს აკეთებს; პროგრამისტი, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის იმ ელემენტითაა დაკავებული, რომელიც მისი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია და მთელ მსოფლიოში ასობით თანამოაზრესთანაა დაკავშირებული; პროფესორი, რომლისთვისაც პირველ რიგში კოლეგების და არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოცემული შეფასებაა მთავარი.

აქ გვერდს ვერ ავუვლით „საერთო ტიპის შრომასთან“ შედარებას. „ფიზიკური შრომის მუშაკები, კონკრეტულ ადგილს არიან მიჯაჭვულნი, არ არიან მოქნილნი, მათ სჭირდებათ იმის რწმენა, რომ სამუშაო ადგილებს შეინარჩუნებენ, რომ ოდესღაც შეძენილი ჩვევებისა და გამომუშავებული უნარების მეშვეობით, დღიდან დღემდე ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებას შეძლებენ; ინფორმაციულ მუშაკებს კი უბრალოდ არ შეუძლიათ შეიცვალონ და განვითარდნენ – ისინი ამას მოწყურებულნი არიან. დღეს ინფორმაციული მუშაკი სიმდიდრის მთავარი წყარო გახდა: იქნება ეს ვაჭრობისათვის აუცილებელი საბუღალტრო მომსახურება, მეცნიერებატევადი სამუშაო, როგორებიცაა, მაგალითად, პროგრამირება თუ ბიოტექნოლოგია, მოდური ტანსაცმლის მოდელირება, რეკლამა თუ მზა პროდუქციის

დაგზავნის ყველაზე ეფექტური საშუალებებისა და წესების ძიება“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004 გვ.152).

7. მერიტოკრატია?

ინფორმაციონალური შრომის ამგვარი განდიდება ძლიერ გვაგონებს მერიტოკრატიის ძველ იდეას, რომლის მიხედვითაც წარმატებებს არა მემკვიდრეობით მიღებული უპირატესობების საფუძველზე, არამედ სწავლების პროცესში შეძენილი უნარ – ჩვევებისა და ძალისხმევების შედეგად აღწევენ. ინფორმაციონალური შრომა, კონკრეტული სპეციალობისაგან დამოუკიდებლად, კარგ განათლებას მოითხოვს. უნივერსიტეტები ძალ-ღონეს არ იშურებენ სტუდენტების მიერ „კონვერტირებადი უნარ-ჩვევების“ ათვისებისას, რათა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დამსაქმებელთა ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმატებით შეძლონ. ამგვარ „კონვერტირებად უნარ-ჩვევებში“ შედის: ურთიერთობის (კომუნიკაციის) უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ადაპტაციურობის, პრობლემების გადაჭრის უნარები, მთელი „ცხოვრების მანძილზე სწავლების“ მზაობა და ასე შემდეგ. შემთხვევითი არაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში 30% იღებს უმაღლეს განათლებას. ინფორმაციული შრომისადმი კასტელსის დამოკიდებულება მერიტოკრატიას გვაგონებს, რამდენადაც დაჟინებით აღნიშნავს, რომ წარმატების მიღწევა დამოკიდებულია არა მემკვიდრეობით მიღებულ კაპიტალზე, არამედ ინფორმაციულ უნარ – შესაძლებლობებზე, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტებში მოიპოვება და შეიძინება. ამის შემდეგ ისეთი მუშაკებისათვის, ვინც თავისი უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტი უნივერსიტეტის დიპლომის სახით მიიღო, ყოველი კარი იხსნება. თუმცა შემდგომი წარმატებებისათვის პირადი მიღწევების „პორტფოლიო“ აუცილებელია. კასტელსი ისე განადიდებს მერიტოკრატიის პრინციპს, რომ მუდმივად ხაზს უსვამს თანამედროვე კაპიტალიზმისათვის ინფორმაციული კაპიტალის მნიშვნელობას, რითაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძალაუფლების ბერკეტების შესანარჩუნებლად ეკონომიკური კაპიტალის ფლობა საკმარისი არ არის. მაშასადამე, კარი ღიაა მათთვის, ვისაც უნივერსიტეტის დიპლომა ან ხარისხი აქვს და ვისაც მიღწევათა შთამბეჭდავი „პორტფოლიოს“ შედგენა ძალუძს; და პირიქით, კარი იკეტება მათთვის, ვისაც, მიუხედავად მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალისა, ინფორმაციონალური მუშაკის კვალიფიკაციის მიღება არ ძალუძს.

აქედან გამომდინარეობს, რომ ინფორმაციონალური კაპიტალიზმის სტრატიფიკაციული სისტემა ურყევია, რამეთუ სწორი და სამართლიანია. ღირს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ განსხვავდება ეს კაპიტალიზმის ტრადიციული სურათისაგან, სადაც მუშათა კლასი ქმნიდა მოგებას, რომელიც შემდეგ მდიდრების მიერ ანაზღაურების გარეშე მიითვისება არა მემკვიდრეობით მიღებული თვისებებისა გამო, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ საზოგადოებას მართავს კაპიტალი, რომელსაც მუშათა კლასი წმინდა ეკონომიკური მიზეზების გამო ექვემდებარება.

კრიტიკული ანალიზი

კასტელსის არგუმენტები, როგორი მერიტოკრატიულიც არ უნდა იყოს ისინი, კითხვებს იწვევს. ისინი ძალზედ ნაცნობია, რაც საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რათა ამ მოვლენის სიახლე ეჭვის ქვეშ დავაყენოთ. კასტელსი ყურადღებას ინფორმაციონალური შრომის გარდამქმნელ თვისებებსა და მახასიათებლებზე ამახვილებს, რაც უფრო ადრინდელ გამოთქმებს გვაგონებს იმის თაობაზე, რომ მსოფლიო სხვადასხვა ტიპის „ექსპერტთა“ მიერ იცვლება და გარდაიქმნება. ანდრე გორცი, სერჟ მალლე, კენეტ გელბრაიტი, დანიელ

ბელი და ა.შ. თითქმის სენ-სიმონამდე, საზოგადოების განათლებული წევრების როლის აღწერისას მრავალ განმასხვავებელ ნიშნებზე მიუთითებდნენ. ერთნი – ტექნიკურ ჩვევებს, მეორენი – კოგნიტურ უნარებს, მესამენი კი ფორმალურ განათლებას გამოყოფდნენ. მაგრამ არსებითად ყველანი ერთს ასაბუთებდნენ: განათლებული ელიტები საზოგადოებაში ძირითად და საკვანძო მნიშვნელობის როლს თამაშობენ. ვებსტერის აზრით, ასეთი პოზიცია მეტ-ნაკლებად ტექნოკრატიულია. იგი ემყარება ვარაუდს, რომ შრომის დანაწილება და ტექნოლოგია ძალაუფლების და შეფასების გარდუვალ იერარქიას განაპირობებს, რაც, შესაბამისად, „ბუნებრივი" უთანასწორობის მიზეზად გვევლინება, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ბუნება არ აქვს, მაინც უდიდესი სოციალური მნიშვნელობის მქონე შედეგები მოაქვს.

მეორე პრობლემა ისაა, რომ კასტელსთან ინფორმაციონალური შრომის ცნება ძალიან ფართოა. იგი მორიგეობით გამოყოფს განათლებას, კომუნიკაციის (ურთიერთობის) ჩვევებს, ორგანიზაციულ უნარებსა და მეცნიერულ ცოდნას, საბოლოოდ ყველაფერი ეს ერთ განსაზღვრებაში ექცევა. ვებსტერის აზრით, გვეჩვენება, რომ კასტელსი ბევრს ისეთს არაფერს ლაპარაკობს, რაც უკვე ცნობილი არ იყო, რომ დისპერსიული საქმიანობის კოორდინაციისათვის ორგანიზაციული ნიჭის ან მენეჯმენტის მცოდნე ადამიანებია საჭირო. ჯერ კიდევ რობერტ მიხელსის კლასიკურ შრომაში „პოლიტიკური პარტიები" ოლიგარქიული ლიდერების აღწერა ინფორმაციული შრომის კასტელსისეულ ინტერპრეტაციას ძალიან გვაგონებს: ორგანიზაციული ცოდნა, მედიასთან ურთიერთობის ჩვევები, ორატორული უნარები და ა.შ.

კასტელსის მიერ მოცემულ დეფინიციას ანალიტიკური ძალა აკლია. მას „ერთდროულად შეუძლია ინფორმაციული მუშაკი აღწეროს, როგორც ადამიანი, რომელიც კარგად ფლობს ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარებსა და ჩვევებს; ასევე, როგორც მკვლევარი, რომლისთვისაც თეორიული პრინციპები და მეცნიერული ცოდნა მენეჯერის ძირითადი თვისებებია, რომელსაც როგორც ორგანიზაციული ჩვევები, ისე სტრატეგიული დაგეგმვის უნარი სჭირდება. ამ განსაზღვრებაში ექცევა როგორც ბირჟის მაკლერი სითიში, ისე წყალმომარაგების ინჟინერი კუმბერლანდში. კასტელსისთვის ორივენი ინფორმაციონალური მუშაკებია, ისევე, როგორც საავადმყოფოს ქირურგი. ამ ადამიანებს შეიძლება მაღალი კვალიფიკაცია და განათლების დონე ჰქონდეთ, მაგრამ ვერანაირი იარლიყით მათ ერთ ჰომოგენურ ჯგუფად გაერთიანებას ვერ შევძლებთ. ასეთი ლოგიკით, ფიქრობს უებსტერი, საკმაოდ დამაჯერებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დურგალი, რომელიც თავისთვის რაღაცას აკეთებს, იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც მენეჯერი საიმპორტო-საექსპერტო ფირმაში. ორივეს ეფექტური კომუნიკაციის უნარი, გაანალიზების, თავისი საქმიანობის გათვლისა და კოორდინირების უნარ-ჩვევები ესაჭიროება. უებსტერის აზრით, კასტელსთან ინფორმაციონალური შრომის ცნება იმდენად ფართოა, რომ მასში შეიძლება მოვაქციოთ ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც მინიმალურ დონეზე ასრულებს ლიდერის როლს, მათ შორის ისეთ კლასიკურ „პროლეტარულ" ორგანიზაციებში, როგორიცაა, მაგალითად, პროფკავშირი" (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.155).

8. ინფორმაციული შრომა ისტორიულ განვითარებაში.

გარკვეული დროით – წერს უებსტერი – რომც დავეთანხმოთ კასტელსს, რომ ინფორმაციონალური შრომა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს შრომის ბაზარზე, მისი სიახლის, მოცულობისა და მნიშვნელობის შესახებ კითხვების დასმა თავისუფლად არის შესაძლებელი. ისტორიკოს ჰაროლდ პერკინის წიგნი The Rise of Professional Society (Perkin, 1989) შეიძ-

ლება სასარგებლო წყაროდ გამოგვადგეს, ვინაიდან, კასტელსისაგან განსხვავებით, უპირატესად, პროფესიონალური შრომისაკენ მოძრაობას არა უკანასკნელ ათწლეულებში, არამედ მთელი საუკუნის განმავლობაში გვიჩვენებს. ინგლისის ისტორია დაწყებული 1880 წლიდან, ასაბუთებს პერკინი, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც „პროფესიონალური საზოგადოების“ წარმოშობა, რომელშიც განმსაზღვრელი „განათლებით შექმნილი ადამიანური კაპიტალი“ ხდება. რასაკვირველია, პროფესიონალები ინფორმაციონალური მუშაკებია, თუმცა მათი დომინირება (ბატონობა) მთელი ასი წლის მანძილზე იზრდება. ინფორმაციული შრომის ასეთი ხანგრძლივი და მუდმივი ბატონობა ეჭვს ბადებს, რომ ის რაღაც ახალია და იმ არგუმეტსაც ძალას უკარგავს, რომელიც ამ კატეგორიის მუშაკების ექსპანსიას წამყვან როლს აკისრებს.

გარდა ამისა, შეიძლება დავსვათ კითხვა, რამდენად ახალია ის დარგები, რომლებიც ცოდნას ინტენსიურად იყენებენ. დღეს ანალიტიკოსები ბიოტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ დიდ ენთუზიაზმს იჩენენ, მაგრამ წარსულშიც არსებობს ამდენადვე ცხადი მაგალითები, როდესაც ბიზნესი მთლიანად ცოდნას ემყარებოდა. ნავთობქიმია, ფარმაცევტიკა, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, ელექტროენერგიის წარმოება და თვით საბანკო საქმეც XX ს-ის 10-იან წლებში იწყებენ განვითარებას. რაც მთავარია, სწორედ მათ შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი როგორც ეროვნული შემოსავლის, ისე დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში. ღირს, ასევე, მყარი სხეულების ფიზიკის, ატომური ენერგეტიკის, სარადარო ტექნოლოგიების, რეაქტიული ძრავების, პლასტმასის წარმოებისა და ტელევიზიის გახსენებაც, რომლებმაც ძალიან სერიოზული გავლენა იქონიეს მრეწველობის (და ასევე ყოველდღიური ცხოვრების) განვითარებაზე. ყველამ ვიცით, რომ ამ დარგთაგან თითოეულს უმაღლესი ხარისხით სჭირდება ცოდნის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მათგანმა მსოფლიო ომებს შორის პერიოდში დაიწყო განვითარება.

პერკინი ასევე მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლება პრივილეგირებული მდგომარეობის დაკავების საშუალებას არ იძლევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზარზე პოზიციების დაკავება და მასზე გავლენის მომხდენი ბერკეტების დაუფლების შესაძლებლობა. თანამედროვე კაპიტალიზმზე უბრალო თვალის გადავლებაც კი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ ინფორმაციონალური მუშაკების უმეტესობა ბაზარზე დაკავებულ ადგილზეა დამოკიდებული, რაც კასტელსის მიერ დახატულ ყოვლისშემძლე ბროკერის სურათს სრულიადაც არ შეესაბამება. XX ს-ის 70-იან წლეებში ზოგიერთი პროფესიის (უნივერსიტეტის პროფესორების, არქიტექტორების, მკვლევრების, ბიბლიოთეკარების და ექიმების) მუშაკების რიცხვი სწრაფად გაიზარდა, ასევე ძალიან გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობაც, თუმცა, ამავე დროს, მათგან მიღებული უკუგება ძალიან შემცირდა. თითქმის ყველაფერი არა ინფორმაციონალური შრომის, არამედ ბაზარზე დაკავებული ადგილის მნიშვნელობაზე მიუთითებს და მის უპირატესობას აღიარებს, რაც, მუშაკის ინტელექტუალური ნიჭიერების მიუხედავად, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდება ხოლმე. უებსტერის აზრით, ინფორმაციონალური შრომის წილის ზრდას შრომის სფეროში კაპიტალის უმნიშვნელოვანეს როლზე ფაქტობრივად გავლენა არ მოუხდენია.

ნამდვილად ღირს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ სწრაფად აღნიშნეს ანალიტიკოსებმა, რომ უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების რაოდენობის ზრდა ინფორმაციონალური შრომის ზრდაზე მიუთითებს. აქ შეიძლება რამდენიმე უხერხული კითხვა დავსვათ – წერს უებსტერი – უმაღლესი განათლების მზარდ სისტემაში შეცვლილი სტანდარტების შესახებ, ასევე იმის შესახებაც, თუ რამდენად შეესატყვისება მიღებული კვალიფიკაცია – განათლება შემდგომ სამუშაოს. შეიძლებოდა ასევე უმაღლესი განათლების სტანდარტების შესახებ დაგვესვა სერიოზული კითხვები, რამდენადაც მასში შესაბამისი ასაკობრივი

ჯგუფების დიდი პროცენტია თავმოყრილი, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე კამათი დღესაც მიმდინარეობს, ნაკლებსავარაუდოა დიდი ეჭვი გაგვიჩნდეს იმის თაობაზე, რომ დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებზე – კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა ძალიან გაბერილი და გაზვიადებულია მაშინაც კი, როდესაც სამუშაო თავისთავად განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ფლობას არც კი საჭიროებს. მაგალითად, არის იმის ნიშნები, რომ საუნივერსიტეტო ხარისხები პოზიციონირების (პოზიციების დაკავების) კლასიკურ სიმპტომებად იქცა: რაც უფრო მეტია დიპლომის მქონე კურსდამთავრებული, მით უფრო ნაკლებ ფასობს ეს დიპლომები პრესტიჟული სამუშაოს მიღებისას და მით უფრო მაღალია იმ უნივერსიტეტის შედარებითი პრესტიჟი, რომელმაც ეს დიპლომები გასცა. ყოველივე ეს – განსაკუთრებით, ინფორმაციონალურ შრომაში პირადი დამსახურების როლის გარკვევისას – ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ჩაბარების ხელმისაწვდომობის პრობლემას ბადებს, უნივერსიტეტებში, რომლებიც ინფორმაციონალური შრომის, როგორც ინფორმაციონალური კაპიტალიზმის მამოძრავებლის, ყველაზე მაღალ დონეზე კარიერის გაკეთების საშუალებას იძლევა. დიდ ბრიტანეთში კი – შენიშნავს უებსტერი – იმის ნიშნები ჩანს, რომ ყველაზე პრივილიგებული უნივერსიტეტები (კემბრიჯი და ოქსფორდი) დაბალი, შეუსაბამო სოციალური წარმოშობის მქონე ადამიანებისათვის სულ უფრო დახურული და მიუწდომელი ხდება. ეს იმ დროს, როდესაც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 7% სწავლობს კერძო სკოლებში და სწორედ ეს კურსდამთავრებულები შეადგენენ კიდეც კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში სტუდენტების ნახევარზე მეტს. ძნელი არაა დავინახოთ, რომ პრივილეგირებული მდგომარეობისა და წარმოშობის მქონე სტუდენტების უმრავლესობა ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლობს. ეს უფრო იმის მაჩვენებელია, რომ კერძო სკოლები თავიანთ მოსწავლეებს ძალიან კარგად ამზადებენ საჯარო გამოცდების ჩასაბარებლად, რაც ძირითადად განსაზღვრავს კიდეც უნივერსიტეტებში ჩაბარებას. აქ ჩნდება კასტელსის მიერ გაუშუქებელი მნიშვნელოვანი თემა – მერიტოკრატიული სოციალური სისტემა ძველებურად აშკარად გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების სასარგებლოდ ხომ არ მოქმედებს?

9. მესაკუთრეთა კლასის ურყეობა – სიმტკიცე

მართალია, საეჭვო და საკამათო არაა, რომ გლობალიზებული კაპიტალიზმი აშფოთებს და საკუთარი თავისადმი რწმენას უკარგავს ყველას, ვისაც იგი ეხება, მათ შორის კორპორაციებსაც. არსებობს იმის უტყუარი საბუთები, რომ აქტივების მთავარ მფლობელებად დღესაც მესაკუთრეთა კლასები რჩებიან, რამეთუ კორპორაციათა საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობენ. ამ მიმართულებით საყურადღებო წყაროა ჯონ სკოტის შრომები, მართალია, ისინი მთლიანად ინფორმაციონალურ შრომას არ ეძღვნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრ რამეში კასტელსის შრომებს გადაკვეთს და ეხმაურება. მაგალითად, სკოტი გვახარებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კაპიტალიზმში კონტროლის პერსონალური ფორმებიდან არაპერსონალურ ფორმებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული, ანუ, ფირმების ინდივიდუალური მფლობელების ადგილი ისეთმა ორგანიზაციებმა დაიკავეს, როგორებიცაა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. ძალიან ცოტანი არიან ინდივიდუალური მფლობელნი, რომლებიც აქციების ძალიან მცირე პროცენტს ფლობენ.

კასტელსი ამას აღიარებს, მაგრამ შემდეგ, ეყრდნობა რა მენეჯმენტის სოციოლოგიის ტრადიციას, ამტკიცებს, რომ „მენეჯერთა კლასი“ მართავს ამ კორპორაციებს და მენეჯერული უნარების წყალობით, „ინფორმაციონალურ ფაზაში მყოფი კაპიტალიზმის ბირთვს წარმოადგენს“. მაგრამ სკოტი აჩვენებს: კორპორაციების მფლობელთა რაოდენობის

ზრდა არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტთა კლასი მასზე კონტროლს კარგავს, რამდენადაც იგი შეკრულია ქსელებით, რომელთა საფუძველში აქციების ერთობლივი მფლობელობა ძევს, რომელიც მათ მიერ პოზიციების შენარჩუნებას „ინტერესთა კონსტელაციის წყალობით“ უზრუნველყოფს.

მაგრამ, შენიშნავს ფრენკ ვებსტერი, კასტელსის საწინააღმდეგოდ, აღმოჩნდება, რომ „არსებობს კაპიტალისტთა კლასი, რომელიც კაპიტალისტური სისტემის მწვერვალზე იმყოფება. ის უფრო ნაკლებუსახო და უპიროვნოა, ვიდრე ეს კასტელსს ჰგონია. მიუხედავად ამისა, ესაა მესაკუთრეთა კლასი, რომელიც, შესაძლოა, პირდაპირ არც კი მართავდეს კაპიტალისტურ წარმოებას. კასტელსი მართალია, როდესაც კაპიტალიზმის არასტაბილურ და წინასწარგანუჭვრეტ მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას, არა მარტო წარსულ ეპოქებში, არამედ დღესაც. დღესაც კაპიტალიზმი ისევე არასტაბილური და გამოუცნობი რჩება, როგორც წინათ. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და ლათინური ამერიკიდან მომდინარე სიახლეების ან რუსეთში მომხდარი რღვევის გააზრებაა საჭირო, რათა თანამედროვე კაპიტალიზმის მოქნილობა, თვით გაუკონტროლებადობაც შევაფასოთ. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემის უმაღლესი ეშელონები არ არის მონოპოლიზებული მესაკუთრეთა ჯგუფის მიერ“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.158).

უეჭველია, რომ „კაპიტალის კვლავწარმოების მექანიზმები“ და „კლასის კვლავწარმოების მექანიზმები“ ერთმანეთს ნაწილობრივ დაშორდა. ანუ კაპიტალისტებს ჯერ კიდევ შეუძლიათ, მემკვიდრეებს გადასცენ თავიანთი საკუთრება, მაგრამ ამ საკუთრებასთან დაკავშირებული ტოპმენეჯერის პოზიციის გადაცემა უკვე აღარ შეუძლიათ. მაგრამ ეს დაშორება, რომელიც მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო დონისადმი წაყენებულ მაღალ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული, ძალიან შორს არ წასულა. სკოტი ფიქრობს, რომ მესაკუთრეთა კლასი კვლავინდებურად ქმნის, აყალიბებს „იმ ნიშას, რომლისგანაც ტოპმენეჯერების რეკრუტირება ხდება“. უფრო მეტიც, მესაკუთრეთა კლასი განსაკუთრებულ უპირატესობას საგანმანათლებლო სისტემაში ფლობს, ასე რომ, იგი ფლობს კიდეც უმაღლეს ინფორმაციონალურ კვალიფიკაციას, რომელზეც კასტელსი აქცენტს აკეთებს. ამაშია იმ განსაკუთრებულობის, ექსკლუზიურობის მიზეზი, რომელსაც ოქსფორდში ან კემბრიჯში ჩაბარება და სწავლა იძლევა. სკოტი წერს, რომ „კაპიტალისტ მესაკუთრეთა კლასი მთელი კორპორაციული სისტემითაა დაინტერესებული და საკუთარი არსებობის გაძლიერება როგორც განათლების სისტემის, ისე სიმდიდრის მონოპოლიზაციის წყალობით ძალუძს. იგი სტრატიფიკაციული კიბის მწვერვალზეა და იმ დაქვემდებარებულ მომსახურე კლასთან შედარებით ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობებით სარგებლობს, რომელიც კორპორაციების ყველა იერარქიულ რიგს ქმნის“.

უეჭველია, რომ ყველა ტოპმენეჯერი ინფორმაციონალური მუშაკია, მაგრამ მათი პროგრამისტების, ბუღალტრების და ჟურნალისტების, რომლებიც ასევე მუშაობენ სიმბოლოებთან, ერთ რიგში დაყენება დიდი შეცდომა იქნება. გლობალური კაპიტალიზმის პიკზე ინფორმაციონალური მუშაკები ნამდვილად იმყოფებიან, მაგრამ, უმეტესწილად, პრივილეგირებული წარმოშობის, განათლების და შეუფასებელი უპირატესობის – მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრის წყალობით. საქმე ისაა,რომ გლობალიზაციის შედეგად კაპიტალისტურმა კლასმა მრავალფეროვნება თუ მრავალსახეობა შეიძინა. მაგრამ, ამავე დროს, მესაკუთრეთა ჯგუფების დისპროპორციული გავლენის ყველა ნიშანი არსებობს, რაც ასევე თვითწამოების მაღალ უნარებსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს.

10. ინფორმაციონალური კაპიტალიზმის წყაროები

კასტელსი ერთმანეთისაგან განვითარების ინფორმაციულ წესს და წარმოების კაპიტალისტურ წესს განასხვავებს. წარმოების კაპიტალისტური წესი მარქსისტული ტრადიციიდან ამოდის და საბაზრო ეკონომიკასთან, მოგების მიზნით წარმოებასთან, კერძო საკუთრებასთანაა დაკავშირებული და ა. შ. მაგრამ განვითარების წესი მოცემული სიმდიდრის დონის შესაბამის წარმოების საშუალებებთანაა მიმართებაში. ინდუსტრიალიზმი განვითარების ერთი საშუალება იყო, ახლა კი ჩვენ საქმე „სოციოტექნიკურ პარადიგმასთან", განვითარების ინფორმაციონალურ წესთან გვაქვს, რომელიც სიმდიდრის შექმნისა და დაგროვების ახალ გზად გვევლინება. კასტელსის თანახმად, განვითარების ინფორმაციონალური წესი გულისხმობს, რომ „ცოდნით ცოდნაზე ზემოქმედება თავად ხდება მწარმოებლურობის-ნაყოფიერების მთავარი წყარო". როგორც უკვე აღვნიშნეთ, კასტელსი გულისხმობს, რომ კაპიტალიზმის კრიზისისა და ინფორმაციონალური რევოლუციის ისტორიულმა დამთხვევამ თანამედროვე ინფორმაციული კაპიტალიზმი წარმოშვა.

ახლა ცოტა კონცეპტუალურ აპარატზე ვიფიქროთ, რომელიც აქ იყო გამოყენებული. მიიჩნევა რომ ცვლილება ორ ცალკეულ ღერძთან – წარმოების წესსა და განვითარების წესთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ, როცა პირველი უზრუნველყოფს სიმიდრეს და ხოლო მეორე – მის ორგანიზებას. აქ შესაძლებელია გავიხსენოთ დენიელ ბელის შრომა. როგორც ცნობილია, ბელმა პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია შექმნა, რომელსაც მოგვიანებით ინფორმაციული უწოდეს. კასტელსი თავისი წინაპრის, როგორც „ინფორმაციონალიზმის მამის", მიმართ მადლიერებას გამოხატავს. მიუხედავად ამისა, იგი ამტკიცებს, რომ უფრო რადიკალურ ინტელექტუალურ ტრადიციებს ემყარება, ვიდრე დენიელ ბელი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის საერთო უფრო მეტია, ვიდრე ეს ერთი თვალის გადავლებით ჩანს.

ამ კონტექსტში კარგია გავიხსენოთ დენიელ ბელის თეორიული წანამძღვრები, რადგან ისინი კასტელსის პოზიციასთან ძალიან ახლოა. „ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, რომ ბელის თეორია გამომდინარეობს მარქსიზმიდან, რომელიც კასტელსისთვისაც საწყის წერტილს წარმოადგენდა. წიგნში „the coming of post-industrial society" „ინფორმაციული საუკუნის" შესახებ თეზისი აგებულია ბელის დებულებაზე, რომ წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცნენ, ვიდრე რომელიმე განსაზღვრული სოციალური სისტემა, რომელიც მათგან წარმოიშვა. ანუ, თუ მარქსისტები ამტკიცებენ, რომ ფუნდამენტალური ცვლილებები მოხდა, როცა მონათფლობელობა შეცვალა ფეოდალიზმმა, ხოლო ფეოდალიზმი – კაპიტალიზმმა, ბელი ამტკიცებს, რომ ცვლილება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეოდან ინდუსტრიულისაკენ და აქედან პოსტინდუსტრიულისკენ გადასვლისას, რომლის უმაღლესი საფეხური ინფორმაციონალური საზოგადოებაა. ბელის კვაზიმარქსისტული ტერმინოლოგიით, „საწარმოო ძალები (ტექნოლოგია) ცვლის სოციალურ ურთიერთობებს (საკუთრებას), როგორც საზოგადოების მთავარ ღერძს".

აქ ბელი მარქსის წინააღმდეგ მ. ვებერის კოზირებს იყენებს. „წარმოებითი ურთიერთობები" და მისი დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ეფექტურობა, რომელიც ტექნოლოგიურ ინოვაციებში მჟღავნდება. ბელი ტექნოლოგიური დეტერმინიზმის პრინციპებიდან ამოდის, რამდენადაც, მისი აზრით, სწორედ ეს ძევს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების საფუძველში. ამერიკული სოციოლოგიის ვებერისეული ტრადიციის შესაბამისად ბელი მიდის დასკვნამდე, რომ სერიოზული ისტორიული ძვრები წინაინდუსტრიული საზოგადოების ინდუსტრიულით შეცვლის და, მოგვიანებით, პოსტინდუსტრიული საზოგადოებით შეცვლის პროცესში ხდებოდა, ამასთან,

ყოველი ფაზა ტექნიკური გაუმჯობესებით ხასიათდებოდა, რაც მწარმოებლურობის (ნაყოფიერების) სერიოზულ ზრდას იწვევდა“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.160).

ეს არის არგუმენტაციის იგივე ტიპი, რომელსაც ჩვენ კასტელსთან ვხვდებით. თუმცა ანალიტიკური დაყოფა, რომელსაც ის აკეთებს წარმოების წესსა და განვითარების ინფორმაციულ წესს შორის, საშუალებას აძლევს მას, ინფორმაციული კაპიტალიზმი უწოდოს იმ პერიოდს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ცვლილების რეალური მამოძრავებელი „ტექნოლოგიური რევოლუცია გახდა, რომელიც აგებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რომლებიც საზოგადობის მატერიალური საფუძვლების დაჩქარებული ტემპით ტრანსფორმირებას ახდენენ“. კასტელსი მუდმივად ავითარებს აზრს, რომ „ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია“ ხდება ფუნდამენტი, რომელზედაც ქსელური საზოგადოება იგება. ეს ნიშნავს, რომ კასტელსმა თავისი რადიკალიზმი უკუაგდო და თავის ტექნოკრატიულ შეხედულებებს საზოგადოებაზე, როგორც დანიელ ბელი და „ინფორმაციული ერის“ სხვა თეორეტიკოსები, ისევ ინარჩუნებს. თუ, როგორც იგულისხმება, ჩვენ შევდივართ ინფორმაციულ საზოგადოებაში, თუნდაც მისი გავლენის ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, მას მაინც მოუხდება უპასუხოს ბრალდებას იმის შესახებ, რომ, მიუხედავად ტერმინოლოგიებში ზოგი განსხვავებისა, ის ცვლილებებს, როგორც იერარქიული ფაზებით განვითარებას აფასებს, რაც კარგად არის ცნობილი იმათთვის, ვინც პოსტინდუსტრიულ თეორიებს იცნობს: რთულია დავინახოთ განსხვავება ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულზე და ინდუსტრიალიზმიდან ინფორმაციონალურზე გადასვლას შორის. ნებიმიერ შემთხვევაში აქედან გამომდინარეობს, რომ განსაზღვრული ტექნოლოგიური ბაზა ხდება წანამძღვარი და მთელ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას განსაზღვრავს.

გარდა ამისა, ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანის შეზღუდვის საკითხი (თუმცა ეს,რასაკვირველია, ასეა), ეს პოზიციაცაა, რომელიც ტექნოლოგიური ცვლილებების სოციოლოგიური კვლევების უმრავლესობას ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით იმათ, რომელთა მტკიცებითაც შეცდომა იქნება ტექნოლოგია აღვიქვათ, როგორც ავტონომიური ასოციალური ფენომენი, რომელიც საზოგადოებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. აქ კასტელსი თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერებისაგან სერიოზულად განსხვავდება, რომელიც, მიუხედავად ავტორების და სკოლების სხვადასხვა პოზიციებისა, ცვლილებების მიმართ ტექნოლოგიურ მიდგომას უარყოფს და უპირატესობას იმის შესწავლას ანიჭებს, თუ როგორ ერთვება სოციალურ ურთიერთობებში ტექნოლოგიური ინოვაციები.

11. ეპოქათა ცვლა

კარგი იქნება, აქ შევჩერდეთ კასტელსის მოსაზრებაზე, რომ ინფორმაციული კაპიტალიზმი ეპოქათა ცვლას მოასწავებს. რამდენადაც კაპიტალიზმი არ თმობს პოზიციებს, გასაგებია, რომ კასტელსი დარწმუნებულია, რომ ჩვენ „ინფორმაციულ ეპოქაში“ შევედით. ფრენკ უებსტერი უკვე შეეწინააღმდეგა ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს, რომელიც კასტელსის მიერ ამ ცვლილებების ახსნის საფუძველში დევს. როგორ შეიძლება მოვახდინოთ ეპოქათა ცვლის იდენტიფიცირება? აქ იგი ეჭვის ქვეშ აყენებს თავად ინფორმაციის კასტელსისეულ კონცეფციას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის ეკლექტური და ბუნდოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ეპოქათა ცვლის მისეულ აღწერაში ძირითადი ადგილი უკავია.

სრულიად გასაგებია, რომ ეპოქალური ძვრების პირდაპირი იდენტიფიცირება განვითარებაში ძირეული ცვლილებებით შეუძლებელია. მაგალითად, ომებს და ეპიდემიებს თან

სდევს შიმშილი და რელიგიური კრიზისები, მაგრამ იმისათვის, რომ ისინი განვიხილოთ, როგორც ეპოქათა ცვლის ნიშნები, აუცილებელია, ინტერპრეტაციის ჩარჩოში მოვაქციოთ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არ ნიშნავს ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის მნიშვნელობის უარყოფას, არამედ მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ ანალოგიურ სიტუაციებში ძალიან რთულია, ინტერპრეტაციას გაექცე. ამასთან, ეს არ გულისხმობს, რომ ეპოქალურ ძვრებზე ყველას თავისი წარმოდგენა აქვს. „მოკლედ, მე კეთილგანწყობილი ვარ ისტორიული ეპოქების შესახებ შრომების მიმართ, დარწმუნებული ვარ მათ საუძვლიანობაში, მაგრამ ვუშვებ, რომ ეპოქათა ცვლილება თავისთავად ნათელია, მიუხედავად იმისა, არგუმენტები პოლიტიკურ ტენდენციებს, ეკონომიკურ პროცესებს თუ ტექნოლოგიურ ინოვაციებს ემყარება“ – ამტკიცებს ფრენკ უებსტერი.

„მარტინ ოლბროუ თავის საინტერესო კლევაში „გლობალური ეპოქა“ ხაზს უსვამს, რომ სერიოზული ცვლილებების იდენტიფიკაციის ალტერნატიული საშუალებები ყოველთვის არსებობს. ის სამ ისტორიულ ეპოქას გამოყოფს: გლობალური ეპოქა, რომელშიც ჩვენ შევედით, არის ბევრი ფაქტორის შედეგი, მაგრამ პირველ რიგში ის ხასიათდება იმით, რომ ძირითადი ათვლის წერტილი ეკონომიკაში, პოლიტიკაში, განათლებასა და ეკოლოგიაში არის მთლიანად დედამიწა. მარქსისტები, რა თქმა უნდა, იპოვიან სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, მათი დაყოფა სხვაგვარი იქნება, მაგ., მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი. დანიელ ბელი სხვა ინდიკატორებს იყენებს: პრეინდუსტრიული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეპოქები. თუმცა კასტელსი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ თემას, ნათელია, რომ მისთვის ინფორმაციულ საზოგადოებაში შესვლა იმ ყველაფერთან ისტორიულ განხეთქილებას ნიშნავს, რაც წინათ იყო. კასტელსი თვლის, რომ მნიშვნელოვანი როლი ამ ტრანსფორმაციაში ინფორმაციონალურმა განვითარებამ შეასრულა. ამას შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ შეიძლება დავსვათ კითხვა, რას გულისხმობს ის ინფორმაციაში, როცა ახალ ერას აღწერს? თავის ტრილოგიაში ის რამდენიმე განსხვავებულ კონცეფციას ეყრდნობა: ქსელური საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია ინფორმაციის ნაკადები, შრომითი პროცესების ავტომატიზაციისათვის – ელექტრონული მოწყობილობები, ინფორმაციული შრომისათვის – კომუნიკაციური და ანალიტიკური ჩვევები. შემდეგ ის ამტკიცებს, რომ ინფორმაციონალიზმი – ეს არის „ცოდნით ცოდნაზე ზემოქმედება, როგორც მწარმოებლურობის (ნაყოფიერების) ძირითადი წყარო“. მოგვიანებით ის ამბობს, რომ ინფორმაციონალური არის საზოგადოება, რომელშიც ინფორმაციის გენერირება, დამუშავება და გადაცემა მწარმოებლურობისა და ძალაუფლების ძირითადი წყარო ხდება. გასაგებია, რომ ინფორმაციის ეს კონცეფციები ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. მაგ., ცოდნის ზემოქმედება ცოდნაზე რთულია მოვათავსოთ ინფორმაციული ნაკადების კატეგორიაში, ისევე, როგორც საწამოო დიზაინერმა შეიძლება შექმნას კრეატიული ძალისხმევით პროდუქტის დამატებითი ღირებულება, თუმცა ამისათვის მას ნაკლებად სჭირდება ინფორმაციული ქსელები. არაერთმნიშვნლოვანია ასევე ქსელის განსაზღვრება, რამდენადაც ის შეიძლება შედგებოდეს ორი ადამიანისაგან, რომლებიც ტელეფონით საუბრობენ ან ელექტრონული ინფორმაციის დიდ მოცულობებს გადასცემენ“ (Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ. 163).

კარგი იქნებოდა, გვეკითხა კასტელსისათვის, თუ რომელი განსაზღვრებაა ყველაზე მისაღები ახალი ეპოქის აღწერისათვის. მე უკვე აღვნიშნე, რომ ის უბრუნდება ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით იკტ-ს, რომლებიც წარმოების ინფორმაციონალურ საშუალებებს განსაზღვრავენ. თუმცა ეს მის მოსაზრებას ინფორმაციული შრომის ცენტრალური როლის შესახებ ბოლომდე არ შეესაბამება. რეალურად, დეფინიციების ფართო სპექტრი, ალბათ იმიტომ, რომ თავად ფაქტი ინფორმაციის მოცულობის და აქტორებს შორის ინფორმაციის მიმოქცევის გაზრდისა არის ის, რაც ახალ ეპოქას განსაზღვრავს.

მიუხედავად ამისა, დეფინიციების დაახლოება მაინც არ არის საკმარისი, რამდენადაც მაინც წამოიჭრება მთავარი კითხვა: რომელი ინფორმაცია არის ახალი ეპოქის მაიდენტიფიცირებელი? კასტელსი პირდაპირ არ პასუხობს ამ კითხვაზე, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ნებისმიერი. ეს კი არ იმუშავებს, რამდენადაც ჩვენ უნდა განვასხვავოთ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნაკლებად მნიშვნელოვანისაგან. მასში უკეთესად გავერკვევით, თუ ჩვენ დავფიქრდებით ინფორმაციის ალტერნატიულ კონცეფციებზე. დესმონდ ბერნარის და ნიკო სტერის შრომებზე დაყრდნობით, შეიძლება ისტორია, თეორიული ცოდნის როლის შესაბამისად, ეპოქებად დავყოთ და, როგორც აბსტრაქტული, განზოგადებას დაქვემდებარებული ინფორმაცია განვსაზღვროთ, რომელიც სხვადასხვა ტიპის ტექსტებშია კოდიფიცირებული.

ბერნარი ისტორიას პერიოდებად იმის შესაბამისად ყოფს, თუ როგორ გამოიყენებოდა თეორიული ცოდნა. XVII-XVIII საუკუნეებში მეცნიერული რევოლუციის პერიოდი თეორიულ ცოდნაში წარმატებებით ხასიათდებოდა, რასაც ძალიან დიდი პრაქტიკული შედეგები არ ჰქონდა (ეს კოპერნიკის, კეპლერის, გალილეის, ნიუტონის და სხვათა ეპოქა იყო). მეორე პერიოდი – ინდუსტრიული რევოლუცია, ის XVIII საუკუნის მეორე ნახევარს და XIX საუკუნეს მოიცავს და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ცვლილებებით ხასიათდება, მაგრამ ეს განახორციელეს ადამიანებმა, რომლებიც ნაკლებად ფლობდნენ თეორიულ ცოდნას. მესამე, ეს არის მეცნიერულ – ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქა (XX საუკუნე), როცა თეორიული ცოდნა პრაქტიკულ მოღვაწეობას მჭიროდ უკავშირდება. ამის მაგალითები მრავლადაა, ავიაციიდან და კოსმონავტიკიდან დაწყებული, რადარებით, პლასტმასით და ქსოვილებით დამთავრებული, და ყველგან ტექნოლოგიების შექმნაში თეორიული ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სწორ დასკვნას აკეთებს მ. კასტელსის შრომების ანალიზისას ფრენკ ვებსტერი: „მე არ ვაპირებ დავარწმუნო მკითხველი, რომ თეორიული ცოდნა არის ნიშანი, რომლის მიხედვითაც ისტორია იყოფა ეპოქებად (თუმცა, როგორც მოსაზრება, საინტერესოდ მეჩვენება). წარმოვიდგინოთ ალტერნატიული დაყოფა, მე უბრალოდ მინდა დავაყენო საკითხი კასტელსისეული „ინფორმაციონალური ეპოქის“ გამოსადეგობაზე, სადაც თეორიული ცოდნა არ ფიგურირებს, თუმცა ფაქტია, რომ ის თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარდა ამისა, ალტერნატიული კონცეფცია საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ ინფორმაციის კასტელსისეული დეფინიცია რამდენად ბუნდოვანია“ (Уебстер Ф.,Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс. 2004, გვ.164).

შეჯამება

არასასიამოვნო იქნებოდა ამ წიგნის კასტელსისადმი მიძღვნილი თავის ასეთი ნოტით დამთავრება. მისი ტრილოგია – ეს ძალიან დიდი შრომაა, რომლმაც ავტორი ინფორმაციონალური ეპოქის წამყვან მკვლევართა რიგებში დამსახურებულად ჩააყენა. ის იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ინფორმაციული ნაკადები და ქსელები დღეს ცენტრალურ ადგილს იკავებენ. თუმცა მის შრომაში არის პრობლემური ადგილები, რომლებიც არსებით თემებს ეხება: კლასობრივი უთანასწორობის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება, იმის გაურკვევლობა, თუ რას გულისხმობს ის ინფორმაციაში, ასევე, ტექნოლოგიური დეტერმინიზმი, რაც მისი თეზისის საფუძველში დევს. ინფორმაციის არც ერთი ანალიტიკოსი დაზარალდება, თუ ის კასტელსის შრომით დაიწყებს, მაგრამ ამით ინფორმაციული ერის ადეკვატურად აღწერის მცდელობის დასრულება არ შეიძლება.

საკითხავი მასალა:

ამონარიდი წიგნიდან- Castells M. Communication power. Oxsford, 2009.
მანუელ კასტელსი – „კომუნიკაციის ძალაუფლება“, თავი პირველი.

კომუნიკაცია ციფრულ ეპოქაში

კომუნიკაციური რევოლუცია?

კომუნიკაცია – ეს არის აზრის გაზიარება ინფორმაციის გაცვლის გზით. საკომუნიკაციო პროცესი განისაზღვრება შემდეგი ცვლადებით:

კომუნიკაციური ტექნოლოგიით;

ინფორმაციის გამგზავნისა და რეციპიენტის (მიმღების) მახასიათებლებით;

მათი კულტურული კოდებით;

საკომუნიკაციო პროტოკოლით;

კომუნიკაციური პროცესის მასშტაბით/საზღვრებით.

შეტყობინების მნიშვნელობის ადეკვატური გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა გათვალისწინებულია იმ სოციალურ ურთიერთობათა კონტექსტი, რომელშიც ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია მიმდინარეობს. ჩვენ ამ განმარტების ელემენტებს გლობალური ქსელური საზოგადოების კონტექსტში განვსაზღვრავთ.

დავიწყოთ ამ პროცესის მასშტაბის ანალიზით. ინტერპერსონალური ურთიერთობები უნდა გამოიყოს სოციალური კომუნიკაციის ცნებიდან. თავდაპირველად კომუნიკაციის სუბიექტებად შეტყობინების გამგზავნი და მიმღები ითვლებოდნენ, დღეს კი კომუნიკაციას აქვს პოტენციალი, უფრო ფართოდ გავრცელდეს საზოგადოებაში. სწორედ ესაა ის, რასაც მასობრივ კომუნიკაციას უწოდებენ. ინტერპერსონალური ურთიერთობები ინტერაქტიური ხასიათისაა (შეტყობინების გაგზავნა გულისხმობს უკუკავშირს, რეაქციას პასუხის სახით), მაშინ როცა მასობრივი კომუნიკაცია შეიძლება იყოს როგორც ინტერაქტიური, ისე ცალმხრივი. ტრადიციული მასკომუნიკაცია ცალმხრივობას გულისხმობს (შეტყობინება იგზავნება ერთის მიერ ბევრისადმი წიგნების, გაზეთების, ფილმების, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით).

დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ მასკომუნიკაციაში ინტერაქტიურობის ზოგიერთი ფორმა შეიძლება დამკვიდრდეს კომუნიკაციის სხვა საშუალებების დახმარებით. მაგალითისთვის, მომხმარებლებს შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი მოსაზრება რადიო ან ტელეპროგრამის პირდაპირ ეთერში სატელეფონო კავშირის გზით ან მისწერონ წერილი, ანდა გაუგზავნონ მოსაზრება ელექტრონულ ფოსტაზე. ჯერჯერობით დომინანტურად რჩება მასობრივი კომუნიკაციის ცალმხრივი, ერთმიმართულებიანი ფორმა. თუმცა ინტერნეტსივრცეში ჩართულობამ შექმნა ინტერაქტიური კომუნიკაციის ახალი ფორმა, რომელიც ხასიათდება უნარით, გაიგზავნოს ბევრი შეტყობინება მიმღებთათვის რეალურ და სასურველ, მათ მიერვე ამორჩეულ დროში; ასევე შესაძლებელია, მოხდეს პირისპირი (point to point) კომუნიკაცია, ტრანსლაცია; ეს დამოკიდებულია კავშირის განზრახვასა და მიზანზე.

ამ ისტორიულ ფაქტს, კომუნიკაციის ახალ ფორმას, მასობრივ თვითკომუნიკაციას ვუწოდებთ. ეს არის მასობრივი კომუნიკაცია, რადგან მას აქვს პოტენციალი, მიაღწიოს

გლობალურ აუდიტორიამდე, ეს ხერხდება როგორც Youtube-ზე ვიდეოს ატვირთვით, ისე RSS-ზე ან სხვა ნებისმიერ ვებრესურსზე ბლოგის განთავსებით და თუნდაც ელფოსტით (e-mail) კონტაქტის საშუალებით. ამავდროულად, ეს არის თვითკომუნიკაცია, რადგან შეტყობინება, მესიჯი, თვითწარმოებულია, პოტენციურ მიმღებთა ვინაობასაც თვითონ განვსაზღვრავთ და ასევე თვითონ ვარჩევთ, რომელი მესიჯი თუ შინაარსი მივიღოთ/ დავიბრუნოთ World Wide Web-დან და, საერთოდ, ელექტრონული კომუნიკაციის ქსელიდან. კომუნიკაციის 3 ფორმა (ინტერპერსონალური, მასობრივი და მასობრივი თვითკომუნიკაცია) თანაარსებობს, ურთიერთქმედებს და უფრო ავსებს, ვიდრე ცვლის ერთმანეთს. ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ამბავი და თავისი არსით მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი სოციალური ორგანიზაციისა და კულტურისათვის; ესაა გაერთიანება კომუნიკაციის ყველა ფორმისა ერთ კომპოზიციურ, ინტერაქტიურ, ციფრულ ჰიპერტექსტში, რომელიც მოიცავს, აერთიანებს და აზავებს ერთობაში კულტურული ექსპრესიების, თავისებურებების მთელ ჯაჭვს, გამოტარებულს ადამიანურ ინტერაქციაში. სინამდვილეში, კომუნიკაციური კონვერგენციის/გაერთიანების ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილება, როგორც ჯენკინსი წერს, „გავლენას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების გონებაში/ტვინებში და მათი სოციალური ურთიერთქმედების გავლით სხვებზე“ (2006: 3).

იმისთვის, რომ კომუნიკაციური შერწყმა/კონვერგენცია განხორციელდეს, უამრავი კრიტიკული ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს კომუნიკაციური პროცესის თითოეულ განზომილებაში, როგორც ეს განსაზღვრულია. ეს სხვადასხვაგვარი განზომილებანი აყალიბებს სისტემას და ერთი გარდაქმნა არ გაიგება სხვების გარეშე. ერთად ისინი ქმნიან წინასახეს/ბექგრაუნდს, რომელსაც მანსელი და მაკჩესნი „კომუნიკაციურ რევოლუციას“ უწოდებენ, ხოლო კაუეი და არონსონი ახასიათებენ, როგორც „გარდატეხის წერტილს“ ან, როგორც ცოტა უფრო ადრე რაისი ამ ყველაფერს განსაზღვრავდა, როგორც ახალი მედიის გამოჩენას ტექნოლოგიური ცვლილებისა და კომუნიკაციური ინტერაქციის გზით. უფრო ნათელი რომ იყოს, გავაანალიზებ ამ გარდაქმნებს განცალკევებულად, ნებისმიერი მიზეზობრიობის ჩარევის გარეშე, ჩემი პრეზენტაციის წესრიგში მოსაყვანად. შემდეგ გავაანალიზებთ მათ ურთიერთქმედებას.

უპირველესად, ესაა ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, რომელიც დაფუძნებულია კომუნიკაციის ციფრულად გარდაქმნაზე, კომპიუტერულ კავშირზე, გაუმჯობესებულ კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე, ინტერნეტის ფართოდ გავრცელების გაზრდილ უნარიანობასა და ყველგან არსებულ ლოკალურ/გლობალურ კომუნიკაციაზე უკაბელო კავშირის საშუალებით, ინტერნეტის მზარდი ხელმისაწვდომობით.

მეორე მხრივ, გამგზავნებისა და მიმღებების განმარტება მიემართება კომუნიკაციის ორგანიზაციულ და ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, განსაკუთრებით, სოციეტალურ კომუნიკაციას, სადაც გამგზავნი და მიმღები – მედია და მათი ეგრეთ წოდებული აუდიტორიაა (ადამიანები, რომლებიც ითვლებიან მედიამომხმარებლებად). ძირეული გარდაქმნა ამ სფეროში უკანასკნელ ორ ათწლეულში მოხდა:

- ფართოდ გავრცელებული მედიაკომერციალიზაცია მსოფლიოს უდიდეს ნაწილში.
- გლობალიზაცია და მედიაბიზნესის კონცენტრაცია კონგლომერატებსა და ქსელებში.
- მედიაბაზრის სეგმენტაცია, მაყურებლის სურვილზე/ინტერესზე მორგება და დივერსიფიკაცია მაყურებლის კულტურულ თვითმყოფადობაზე ხაზგასმით.
- მულტიმედია – ბიზნესჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც მისწვდნენ კომუნიკაციის ყველა ფორმას, მათ შორის, ინტერნეტს, რა თქმა უნდა.
- მზარდი ბიზნესკონვერიგენცია ტელესაკომუნიკაციო კომპანიების, ინტერნეტკომპანიებისა და მედიაკომპანიების.

ამ გლობალური მულტიმედია – ბიზნესქსელის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა საჯარო პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების გზით ლიბერალიზაციის, პრივატიზაციისა და მოწესრიგებული მოუწესრიგებლობის, ნაციონალური და ინტერნაციონალური, წინასაბაზრო სამთავრობო პოლიტიკის აქტიურობით, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყველგან მისაწვდომი გახდა უკვე 1980-იანი წლებიდან.

მესამე – ეს არის კულტურული დიმენსია/განზომილება კომუნიკაციური ტრანსფორმაციის მრავალშრიანი პროცესისა, რომელიც შეიძლება ჩაეჭიდოს ორი წინააღმდგეგობრივი (მაგრამ არა შეუთავსებელი) ტენდენციის გადაკვეთას: პარალელური განვითარება, ერთი მხრივ, გლობალური, ხოლო მეორე მხრივ, მრავალრიცხოვანი თვითმყოფადი კულტურებისა; და ერთდროული დაწინაურება ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმისა, როგორც ორი საპირისპირო, მაგრამ, ჯერჯერობით, თანაბრად ძლევამოსილი კულტურული ნიმუშებისა, რომელიც ახასიათებს ჩვენს სამყაროს (Norris, 2000; Castells, 2004c; Baker, 2005; Rantanen, 2005). უნარი თუ უუნარობა, განავითაროს საკომუნიკაციო პროტოკოლი ამ წინააღმდეგობრივ კულტურულ სტანდარტებს შორის, განსაზღვრავს კომუნიკაციის ან მის კომუნიკაციის შესაძლებლობას საკომუნიკაციო პროცესის განსხვავებულ სუბიექტებს შორის.

მედია, დაწყებული კულტურული განსხვავებულობის მქონე ტელემაუწყებლებისგან, დამთავრებული ვებ 2.0-ით, შეიძლება იყოს კომუნიკაციური შეთანხმება (პროტოკოლი), რომელიც იტვირთავს ხიდის ფუნქციას კულტურულ წყალგამყოფებს შორის, ასევე ეხმარება საზოგადოებების ნაწილებს, კულტურულად დაპირისპირებულ მხარეებსა და წინააღმდეგობაში მყოფ პოლუსებს ავტონომიურობის მოპოვების საქმეში.

დაბოლოს, უდიდესი კომუნიკაციური ტრანსფორმაციის თითოეული კომპონენტი წარმოადგენს სოციალური ურთიერთობებისა და, საბოლოო ანგარიშით – ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოხატულებას, რომელიც ხაზს უსვამს მრავალფორმიანი კომუნიკაციური სისტემის განვითარებას. ეს არის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით არსებული კომუნიკაციური შესაძლებლობების ციფრული დაყოფისა, რაც დამოკიდებულია მათი მომხმარებლების უნარიანობასა და კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის დონეზე. თვით ინტერნეტთან დაკავშირების მზარდი მაჩვენებლითა და უკაბელო კომუნიკაციით ჩანს მკვეთრი განსხვავება ფართო ჯგუფების ამ პროდუქტზე მისაწვდომობასა და იმ საგანმანათლებლო ხარვეზებთან მიმართებით, რომელიც თავს იჩენს ციფრული კულტურული ტენდენციების მართვის შესაძლებლობაში, კვლავ აწარმოოს და გააფართოოს სოციალური დომინაციის კლასობრივი, ეთნიკური, რასობრივი, ასაკობრივი და გენდერული სტრუქტურები ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით (Wilson, 2004; Galperin and Mariscal, 2007; Katz, 2008; Rice, 2008). კორპორაციების მზარდმა გავლენამ მედიასა და ინფორმაციაზე და საკომუნიკაციო ინდუსტრიის საჯარო მარეგულირებელმა ინსტიტუტებმა შეიძლება კომუნიკაციური რევოლუცია მოახდინონ ბიზნესინტერესების გათვალისწინების საქმეში. სარეკლამო ინდუსტრიის გავლენა მედიაბიზნესზე ხალხის გაზომვად აუდიტორიად გარდაქმნის გზით, რომელიც მეტყველებს ტენდენციაზე, საშუალებას იძლევა, დაუქვემდებაროს კულტურული ინოვაციები ან გართობაზე ორიენტირებული სერვისი კომერციულ მომსახურებას. გამოხატვის თავისუფლება და კომუნიკაცია ინტერნეტ თუ გლობალურ/ლოკალურ მულტიმედიურ სისტემებში ხშირად არის შეზღუდული და ცენზურირებული სამთავრობო ბიუროკრატების, პოლიტიკური ელიტისა და იდეოლოგიურ/რელიგიური ინსტანციების მიერ.

კონფიდენციალურობა და პირად მონაცემთა ხელახლა პოვნის სტრატეგიები წინასწარ განსაზღვრულია „ფალსიფიცირების“ შემთხვევათა კორიანტელში, იმ მომხმარებლების ცალკეული გამონაკლისების გარდა, რომელთაც ტექნიკური დახვეწილობის მაღალი დონე აქვთ.

ამ დროისთვის, სოციალური აქტორები და კერძო მოქალაქეები მთელი სამყაროდან ჯერ კიდევ იყენებენ კომუნიკაციური კავშირის ახალ შესაძლებლობებს იმისთვის, რომ განავითარონ პროექტები, დაიცვან საკუთარი ინტერესები და გაუფრთხილდნენ ფასეულობებს (Downing, 2003; Juris, 2008;Costanza-Chock, forthcoming a).

უფრო მეტიც, სულ უფრო მეტი ხდება ცნობილი ახალი მულტიმედიური სისტემის გადამწყვეტი როლისა და მისი მარეგულირებელი ინსტიტუტების მნიშვნელობის შესახებ კულტურულ და პოლიტიკურ საზოგადოებაში. ამრიგად, ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში და, განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში, სოციალური და პოლიტიკური მობილიზაცია მიზნად ისახავს, დააწესოს სოციალური კონტროლის მექანიზმები კომუნიკაციის მაკონტროლებლებზე და დაიცვას მათი უფლება, რომ საკომუნიკაციო სფერო იყოს თავისუფალი (Couldry and Curran, 2003; Klinenberg, 2007;McChesney, 2007, 2008).

ასე რომ, კომუნიკაციის ახალი სფერო ჩვენს დროში წარმოშობილია მულტისივრცული ცვლილების ფორმირების პროცესის გავლით, ორ ურთიერთდაპირისპირებულ სტრუქტურას – ინტერესებსა და საზოგადოების მიერ დაკანონებულ ღირებულებათა შორის არსებული კონფლიქტის დაძლევით. შემდეგში მე უფრო კონკრეტულად გაგაცნობთ ამ ცვლილებათა პროცესის მასშტაბებს, რომელშიც ეს სივრცე ერთდროულად განისაზღვრა, როგორც კომუნიკაციის ტრანსფორმაცია სივრცულ ერაში.

ტექნოლოგიური კონვერგენცია და ახალი მულტიმედიური სისტემა მასობრივი კომუნიკაციიდან მასობრივ თვითკომუნიკაციამდე.

პროცესი, რომელსაც „კონვერგენციის მეთოდს“ უწოდებენ, ბუნდოვანი ხაზია მედიასა და ისეთ პირისპირ ინტერაქციის საკომუნიკაციო საშუალებებს შორის, როგორიცაა პრესა, რადიო და ტელევიზია. ფიზიკური საშუალება – იქნება ის ელსადენი, კაბელი თუ ტალღები – შეიძლება აწვდიდეს სერვისებს, რომლის განხორციელებაც წარსულში შესაძლებელი იყო სხვა გზებით. და პირიქით, მომსახურება, რომელიც წარსულში ხორციელდებოდა ერთი რომელიმე მედიუმით – იქნებოდა ეს მაუწყებლობა, პრესა თუ ტელეფონი – ახლა შეიძლება მიწოდებულ იქნას უამრავი სხვადასხვა ფიზიკურ-ტექნიკური გზით. ასე რომ, ერთი პირის ერთთან ურთიერთობა (one-to-one relationship), რომელიც არსებობდა მედიუმსა და მის მომხმარებელს შორის, გამქრალია (Ithiel de Sola Pool, 1983, cited by Jenkins, 2006: 10).

ეს ტენდენცია გამოიკვეთა 1983 წელს Ithiel de Sola Pool-ის საინიციატივო საქმიანობისას, რომელმაც დღეისათვის კომუნიკაციური ლანდშაფტის ხელახალი კონსტრუირება მოახდინა. მეტისმეტად მოულოდნელია 1970-იან წლებში ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის გამოჩენა, რომელიც დაფუძნებული იყო ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიაზე და საბოლოო გავლენა მოახდინა კომუნიკაციურ სამყაროზე. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ტელესაკომუნიკაციო ქსელური კავშირი, კომპიუტერული ქსელი და სამაუწყებლო ქსელი შეერწყა ციფრული კავშირის საფუძვლებს და ახალ მონაცემთა გადამცემ და შემნახავ ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით, ოპტიკურ-ბოჭკოვან, სატელიტურ კომუნიკაციასა და გაუმჯობესებულ კომპიუტერულ პროგრამებს (Cowhey and Aronson, 2009).

რაც არ უნდა იყოს, განსხვავებული ტექნოლოგიები და ბიზნესმოდელები, მხარდაჭერილი მარეგულირებელი სააგენტოების პოლიტიკის მიერ, სტიმულს აძლევდა სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციულ ტენდენციებს კომუნიკაციური სისტემის თითოეულ კომპონენტში. 1980-90-იანი წლების განმავლობაში რადიომაუწყებლობა განვითარდა იმ ტრაექტორიით, რაც განუწყვეტლივ აქცენტირებული იყო საკომუნიკაციო ფორმებში, სანამ იზრდებოდა გადამცემი პლატფორმების მრავალფეროვნება და მედიამფლობელების როლი

(Hesmondhalgh, 2007). ამის საპირისპიროდ, კომპიუტერული ქსელური კავშირი და ტელეკომუნიკაციები სწრაფად იყენებს ციფრულობის პოტენციალს, შესაძლებლობებს და კომპიუტერული უზრუნველყოფის ღია წყაროებს ლოკალური/გლობალური ინტერაქტიური კომუნიკაციის მომხმარებლების მიერ მიღებული ახალი ფორმების საწარმოებლად (Benkler, 2006). ამ ორი სისტემის ტექნოლოგიური და ორგანიზაციული შეთავსება 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში იწყება და ხელს უწყობს ახალი მულტიმედიური სისტემის თანმიმდევრულ ფორმირებას.

მუტანტ/შეცვლილი ტელევიზია – მუდმივი პარტნიორი

1990-იანი წლებიდან ტელევიზიამ, მასკომუნიკაციის უძველესმა მედიუმმა, მაუწყებლობის ახალი ფორმების განვითარების შედეგად თავი დააღწია სპექტრულ განაწილებას, რაც ხორციელდებოდა კაბელებისა და სატელიტური გადამცემების გზით. მედიუმი კარგად ცენტრალიზებული ერთმიმართულებიანი კომუნიკაციური სისტემიდან, რომელიც შეზღუდული რაოდენობის მქონე ქსელურ სადგურებს ემყარებოდა, წასულია ძალიან მრავალფეროვანი და დეცენტრალიზებული სამაუწყებლო სისტემისკენ, რომელიც ეფუძნება დიდი სიმძლავრის გადამცემებს.

ციფრული ტექნოლოგიები ტელეარხების მზარდ რაოდენობას ფუნქციონირების საშუალებას აძლევს (Galperin, 2004).

ხოლო ციფრული ტელევიზია, სპექტრის გათავისუფლების გზით, ზრდის ამ მედიუმის მოცულობას და ის იწყებს ფუნქციონირებას უმეტეს მოწინავე ქვეყნებში უკვე 2009-2012 წლებში. მანამდე, ვიდრე ციფრული ტელევიზია გამოჩნდებოდა, მთელ მსოფლიოში ტელეარხებისა და მრავალფეროვანი სატელევიზიო პროგრამების განსაკუთრებული ბუმი იყო. 2007 წელს საშუალო ამერიკულ ოჯახს 104 სატელევიზიო არხი ჰქონდა – 16-ით მეტი, ვიდრე 2006 წელს და 43-ით მეტი, ვიდრე 2000 წელს (Nielsen, 2007). ევროპის 3 აუდიოვიზუალური ობსერვატორიის მონაცემების თანახმად, ევროპის OECD ქვეყნების ჯამური რიცხვი სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობაზე (მათ შორის ადგილობრივი, სამაუწყებლო და სატელიტური) 2004-2006 წლებში 816-დან 1165-მდე, ანუ 43%-ით გაიზარდა (OECD, 2007: 175). არასრული მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბითაც არხების ზრდის მსგავსი ტენდენცია არსებობს (Sakr, 2001; Hafez, 2005;Rai and Cottle, 2007).

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ტელევიზიის შეღწევადობა ამერიკის მოსახლეობის 98%-ზე ვრცელდება. ხოლო ევროპაში, თუ 2002 წელს ტელევიზიის მომხმარებელთა რიცხვი 1,162,490,4 იყო, 2007 წელს 1,340,201,3-მდე გაიზარდა (Euromonitor, 2007). ტელევიზორის ყურების საათების რაოდენობა ასევე თანაბრად გაიზარდა ქვეყნების უმრავლესობაში. შეერთებულ შტატებში, 2006 წლის მონაცემებით, საშუალო ოჯახი კვირის მანძილზე 57 საათსა და 37 წუთს ატარებდა ტელევიზორის წინ; 2005 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 20 წუთითაა გაზრდილი და თითქმის 10 საათით მეტია 2 ათწლეულის წინ ნილსენის მიერ დაწყებული „ხალხის რაოდენობის გასაზომი“ კვლევის შემდეგ (Mandese, 2007) და 1997-დან 2005 წლამდე ტელევიზორისთვის დათმობილი დრო თითქმის ყველა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ (OECD) ქვეყანაში გაიზარდა (გარდა ახალი ზელანდიის, ესპანეთისა და სამხრეთ კორეისა. OECD, 2007: 176). ამგვარად, ტელევიზია ცოცხალია, აქტიურია და რჩება მძლავრ მასკომუნიკაციურ მედიუმად 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის.

ის, რაც შეიცვალა, არის ტელევიზიის ფრაგმენტაცია მრავალრიცხოვან არხებზე, მიმართული სპეციფიკური სამიზნე აუდიტორიისადმი, პრაქტიკულად, ვიწროპროფილიანი არხების შექმნა, ორიენტირებული იმაზე, რომ გაზარდოს კულტურული დიფერენციაცია მასმედიის სამყაროში. გარდა ამისა, ციფრული ვიდეოჩაწერის პრაქტიკა/ტექნიკა და კომ-

პიუტერიზებული სატელევიზიო პროგრამირება ისეთ რეკომენდირებულ მოწყობილობასთან ერთად, როგორიცაა TIVO, ინდივიდუალიზებულსა და მომხმარებელზე მორგებულს ხდის პროგრამირების აღქმას. ასე რომ, შეტყობინების გამგზავნის პოზიციიდან, ტელევიზია რჩება მასობრივი კომუნიკაციის მედიუმად, მაგრამ, მიმღების თვალთახედვიდან, ის ხშირადაა ინტერპერსონალური ურთიერთობის მედიუმიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მზარდი შესაძლებლობა იმისა, რომ გააკონტროლო სატელევიზიო პროგრამების ყურებადობა, ანუ შესაძლებლობა, ჩაიწერო პროგრამა ან გამოტოვო რეკლამა, არსებითად ემუქრება სატელევიოზიო მაუწყებლობის შემოსავლის მთავარ წყაროს.

ამგვარად, თუმცა ტელევიზია ჯერ კიდევ მასკომუნიკაციის დომინანტი მედიუმია, ის სრულად ტრანსფორმირდება ტექნოლოგიების, ბიზნესისა და კულტურის მიერ და არსებობს ტენდენცია, რომ ის შეიძლება უკეთ იქნეს გაგებული, როგორც მედიუმი, რომელიც ახდენს მასობრივი მაუწყებლობის შერწყმას მასობრივ ვიწროპროფილიან მაუწყებლობასთან. 1980 წელს ამერიკელი ტელემაყურებლის დაახლოებით 40% 3 ძირითადი ახალი ამბების მაუწყებელი არხიდან ყოველ საღამოს ირჩევდა ერთს. 2006 წლისთვის ეს მონაცემი 18,2%-მდე შემცირდა (Project for Excellence in Journalism, 2007).

ნილსენის მედიაკვლევის მონაცემების თანახმად, 2006 წლისთვის ამერიკელი მაყურებლის 85% იყენებდა საკაბელო ან სატელიტურ ტელევიზიას – 56%-ით მეტი 1990 წელთან შედარებით. პრაიმტაიმისას (20.00-23.00სთ.) აუდიოტორიის რაოდენობა სამაუწყებლო ტელევიზიებზე 1990 წლის 80%-იანი მონაცემიდან 2006 წელს 56%-მდე დაეცა (Standard and Poor, 2007a). მიუხედავად ამისა, სანამ ახალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და საკაბელო და სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარება ზრდის პროდუქციის მომხმარებელზე მორგების ხარისხს და აუდიტორიის მიზნობრივ სეგმენტაციას, ადგილობრივი ტელესადგურების ვერტიკალური ინტეგრაცია, ნაციონალური ქსელების მთავარი კორპორაციების საკუთრებაში გადასვლით (როგორც ეს არის აშშ-ში, და აგრეთვე იტალიაში, ინდოეთში, ავსტრალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც), ხელს უწყობს ინფორმაციის შინაარსის სტანდარტიზაციის ზრდას, დიფერენციაციის სურვილით შენიღბულს (Chatterjee, 2004; Bosetti, 2007; Flew, 2007; Hesmondhalgh, 2007;Schiller, 2007; Campo Vidal, 2008).

ამგვარად, ერიკ კლინენბერგი თავის გარდამავალ სწავლებაში (path-breaking study) პოლიტიკური დებატების შესახებ, რაც აშშ-ში მედიის ტრანსფორმაციასთანაა გადაჯაჭვული, ასაბუთებს, თუ როგორ დაინახეს სატელევიზიო ქსელის ლოკალურმა წარმომადგენლობებმა საკუთარი შესაძლებლობა, რომ თვითონ მიიღონ გადაწყვიტილება შინაარსის პროგრამული შემცირების შესახებ და იძულებული არიან, ეთერში გაუშვან პროდუქცია, რომელიც ძირითადად იწარმოება უდიდეს ავტომატურ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც მათ შორის მოიცავს „ლოკალურ“ ამინდის პროგნოზს, წარმოდგენილს რეპორტიორების ფამილარული ტონით, რომლებიც არასდროს ყოფილან იმ ადგილას, საიდანაც მოხსნებას აკეთებენ.

რადიო: ქსელი/კავშირი, რომელიც ლოკალურობას განასახიერებს. რადიო, მასობრივი კომუნიკაციის ეს მედიუმი, მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში ყველაზე ადაპტირებული იყო ინდივიდუალურ დღის განრიგებსა და მსმენელის ადგილმდებარეობასთან, მიჰყვებოდა რა თანაბარი ნაბიჯებით ვერტიკალურ ინტეგრაციას. მედიამფლობელობის მონოპოლიზაციის პირობებში ტექნოლოგიური ცვლილება განაპირობებს ლოკალურ შინაარსზე კონტროლის გაზრდას, რაც იმ ცენტრალიზებული სტუდიების საშუალებით ხდება, რომლებიც მთელ ქსელს ემსახურება. ციფრული ჩაწერისა და რედაქტირების ტექნიკა საშუალებას აძლევს ლოკალურ რადიოსადგურებს, რომ ინტეგრირდნენ ნაციონალურ კორპორაციულ ქსელებში. და ამიტომ, ფაქტობრივად, ადგილობრივი ნიუსების უმრავლესობა

არაა ლოკალური დატვირთვის მატარებელი; ზოგიერთი „ექსკლუზიური“ კვლევითი რეპორტაჟი აბსოლუტურად ზოგადი ხასიათისაა და მორგებულია თითოეული მსმენელის ინტერესზე.

ავტომატური მუსიკალური მაუწყებლობა, დაფუძნებული წინასწარ ჩაწერილ კატალოგებზე, აახლოებს რადიოსადგურს აიპოდის პრინციპთან, ანუ მუსიკის მოთხოვნის მოდელთან. აქ, ისევ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზით, შესაძლებელი ხდება პროდუქციის დიფერენციაცია და მსმენელის სურვილზე მორგება: მთავარი პროდუქტი გარდაიქმნება ადგილობრივი სპეციფიკის პროდუქციად და, მარკეტინგული ხერხების გამოყენების გზით, ის ერგება სამიზნე აუდიტორიას.

შეერთებულ შტატებში 1996 წლამდე (ე.წ ტელესაკომუნიკაციო რეზოლუციამდე – Telecommunications Act) გაუქმდა მფლობელობის მონოპოლიზაციასთან დაკავშირებული არაერთი შეზღუდვა. მაშინ არსებობდა 10400 კომერციულ რადიომფლობელზე მეტი. 1996-98 წლებში სადგურების მფლობელთა საერთო რიცხვი 700-მდე შემცირდა. ორ წელიწადში, რასაც მოჰყვა კონგრესში აქტის/რეზოლუციის მიღება, კორპორატიულმა ჯგუფებმა შეისყიდეს და გაყიდეს 4 400 რადიოსადგურზე მეტი და დააარსეს მთავარი ნაციონალური ქსელი და მონოპოლიზებული გაერთიანება განთავსდა უზარმაზარ მეტროპოლიტურ ფართობზე. ამგვარად, თავისუფლების ტექნოლოგიები და მათი დივერსიფიკაციის/მრავალფეროვნების პოტენციალი არაა ინიციატორი პროგრამების დიფერენციაციისა და შინაარსის ლოკალიზაციისა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის უშვებს იდენტურობის ფალსიფიცირების შესაძლებლობას ცენტრალიზებული კონტროლისა და დეცენტრალიზებული მიწოდების გაერთიანების ძალით, რაც გვევლინება ეფექტურ ბიზნესსტრატეგიად (Klinenberg, 2007: 27).

ინტერნეტისა და უკაბელო კომუნიკაციის გაძლიერება

კომპიუტერული კომუნიკაცია, პროგრამული უზრუნველყოფის ღია რესურსი (მათ შორის, ინტერნეტპროტოკოლები) და ციფრული ჩამრთავებისა და გადამცემების სწრაფი განვითარება განაპირობებს ინტერნეტქსელის დრამატულ გაფართოებას მისი პრივატიზაციის შემდეგ 1990-იან წლებში. ინტერნეტი, სინამდვილეში, ძველი ტექნოლოგიაა. ის პირველად 1969 წელს გამოჩნდა, მაგრამ, რამდენიმე ფაქტორის გამო, მხოლოდ 20 წლის შემდეგ გავრცელდა დიდ ფართობებზე; ეს ფაქტორებია: ცვლილებები მარეგულირებელ საკითხებში, უფრო დიდი გამტარუნარიანობა ტელეკომუნიკაციაში, გავრცელება პერსონალურ კომპიუტერებში, კეთილგანწყობილი მომხმარებლების მიერ ისეთი პროგრამების შექმნა (user-friendly software programs), რომელიც იყო მარტივად ასატვირთი, ხელმისაწვდომი, ჰქონდა მარტივი საკომუნიკაციო შინაარსი (დაწყებულიWorld Wide Web სერვერითა და ბრაუზერით 1990 წელს) და სწრაფად მზარდი სოციალური საჭიროებით ყველაფერთან დასაკავშირებლად, რამაც წარმოშვა საჭიროება როგორც ბიზნესსამყაროსთვის, ისე ადამიანების სურვილი, შეექმნათ საკუთარი საკომუნიკაციო ქსელი (Abbate, 1999; Castells, 2001; Benkler, 2006).

შედეგად, ინტერნეტმომხმარებლების რიცხვი მთელ პლანეტაზე 1995 წლის 40-მილიონიანი მაჩვენებლიდან 2008 წლისთვის 1.8 მილიარდამდე გაიზარდა. 2008 წლისათვის ინტენეტის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა განვითარებული ქვეყნების 60%-ს მიაღწია, ასევე სწრაფად იზრდებოდა ეს მონაცემები განვითარებად ქვეყნებში („ციფრული მომავლის ცენტრი“/Center for the Digital Future, various years).

გლობალური ინტერნეტის ხელმისაწვდომობა 2008 წელს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეხუთედს ჰქონდა, 10%-ით ნაკლები, ვიდრე იმ ინტერნეტმომხმარებლების

რიცხვი, ვისაც კავშირი ჰქონდა ინტერნეტთან. თუმცა, 2000 წლიდან, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინტერნეტხელმისაწვდომობის მონაცემებს შორის არსებული სხვაობა შემცირდა. თანაფარდობა ინტერნეტხელმისაწვდომობისა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებსა (OECD) და განვითარებად ქვეყნებს შორის 2007 წლის 80.6:1 პროპორციიდან, იმავე 2007 წელს 5.8:1 შეფარდებამდე დაეცა. 2005 წელს თითქმის 2-ჯერ მეტი მომხმარებელი დაემატა განვითარებად ყვეყნებში, ვიდრე OECD ქვეყნებში (ITU, 2007).

ჩინეთი – ესაა ქვეყანა ინტერნეტმომხმარებლების ყველაზე მზარდი მაჩვენებლით, თუმცა კი მოსახლეობის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ხარისხი 2008 წელს 20%-ზე ქვემოთ დარჩა. 2008 წლის ივლისში ჩინეთში ინტენრნეტმომხმარებლების საერთო რიცხვმა 253 მილიონი შეადგინა, რითაც გადააჭარბა აშშ-ის 223-მილიონიან მაჩვენებელს (CNNIC, 2008).OECD ქვეყნების 2007 წლის საერთო მაჩვენებლით, მოსახლების 65%-ისთვისაა ხელმისაწვდომი ინტერნეტი. თუმცა უზარმაზარი უთანასწორობაა ინტერნეტის მომხმარებელ 60 წლის ზემოთ ადამიანებსა და 30 წელს ქვემოთ მყოფ პირებს შორის. ვფიქრობ, ინტერნეტმომხმარებელთა წილი უეჭველად ე.წ.გაჯერების წერტილს მიაღწევს განვითარებულ ქვეყნებში და არსებითად გაიზრდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, როგორც კი ჩემი თაობა აღარ იქნება.

1990-იანი წლებიდან სხვა კომუნიკაციური რევოლუცია მოხდა მსოფლიოს მასშტაბით: უკაბელო ინტერნეტის ბუმი, კავშირის მოცულობის ზრდა და ფართოდ გავრცელებული მობილური ტელეფონების მომდევნო თაობა (Castells et al., 2006b; Katz, 2008). ეს არის საკომუნიკაციო ტექნოლოგიის ყველაზე სწრაფი გავრცელების მაგალითი, რაც კი კომუნიკაციის ისტორიას ახსოვს. 1991 წელს დაახლოებით 16 მილიონი უკაბელო ტელეფონი (ხელმოწერა, დოკუმენტი) არსებობდა მსოფლიოში. 2008 წლის ივლისისთვის ამ რიცხვმა 3.4 მილიარდს გადააჭარბა, რაც მსოფლიო მოსახლების თითქმის 52%-ია. თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე კონსერვატიულ ფაქტორს (ბავშვები (ჯერჯერობით) არ იყენებენ მობილურ ტელეფონს და ღარიბ ქვეყნებში ოჯახები და სოფელი ხშირად ერთ ტელეფონს ინაწილებს), ჩვენ შეიძლება ზუსტად გამოვთვალოთ, რომ პლანეტის მოსახლეობის 60%-ზე მეტისთვის იყო ხელმისაწვდომი უკაბელო ინტერნეტი 2008 წლისათვის, აქვე გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ სერვისით სარგებლობა, უმეტესწილად, შემოსავლის გამოა შეზღუდული. მართლაც, ჩინეთში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ღარიბი ხალხი დიდ პრიორიტეტს ანიჭებს კომუნიკაციის საჭიროებას და, თავის მცირე ბიუჯეტთან და ფინანსურ შესაძლებლობასთან შედარებით, საკმაო თანხას ხარჯავს კომუნიკაციისთვის (Qiu, 2007; Katz, 2008; Sey, 2008; Wallis, 2008). განვითარებულ ქვეყნებში უკაბელო კავშირის ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი 82,4%-დან (აშშ) 102%-მდე მერყეობს (იტალია და ესპანეთი) და მიდის გადაჯერების წერტილისაკენ.

ესაა ინტერნეტითა და უკაბელო კავშირით გამოხატული ტექნოლოგიური შერწყმის ახალი რაუნდი, რომელიც მოიცავს Wi-Fi-სა და WIMAX-ის ქსელებს და მრავალფეროვან სერვისს, რაც ხორციელდება უკაბელო კავშირით, და მრავლრიცხოვანს ხდის ინტერნეტმისაწვდომობის ადგილებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი სამყაროსათვის, რადგან ინტენეტის მისაწვდომობის გაზრდილი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ამცირებს სადენიანი სატელეფონო ქსელების დეფიციტს. ეს არის ტელეკომუნიკაციის ახალი მოდელი; უკაბელო კომუნიკაცია იქცა ყველგან კომუნიკაციის დომინანტურ ფორმად, განსაკუთრებით კი, განვითარებად ქვეყნებში.

2002 წელს უკაბელო მედიუმების მომხმარებელთა რაოდენობა აჭარბებდა კაბელიანი ტელეფონის მომხმარებელთა რაოდენობას მსოლფიოს მასშტაბით. ამგვარად, იმის შესაძ-

ლებლობა, რომ დაუკავშირდე ინტერნეტს უკაბელო მოწყობილობებიდან, ჩვენს პლანეტაზე ინტერნეტის გავრცელების ახალი ტალღის აგორებისთვის გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა. ეს დიდწილადაა დამოკიდებული უკაბელო ინფრასტრუქტურის შექმნაზე, უკაბელო ინტერნეტის ახალი პროტოკოლების დანერგვასა და საზღვრებს გარეთ Y გავრცელების უნარზე. 1980-იანი წლებიდან სატელეკომუნიაციო ქსელებში ტრანსმისიის/ გადაცემის უნარიანობა არსებითად გაფართოვდა. დღეს, ინტერნეტის დიდი მიწოდებისა და გავრცელების გლობალური ლიდერები არიან სამხრეთი კორეა, სინგაპური და ჰოლანდია. დიდი ალბათობით, დანარჩენ სამყაროს დიდი გზა აქვს გასავლელი, რომ მიაღწიოს მათ დონეს. თუმცა, ტექნოლოგიური შესაძლებლობა უკაბელო ინტერნეტის გლობალურად კვაზიყველგანყოფნისა (quasi-ubiquitous) უკვე არსებობს; ამგვარად, მრავალფორმიანი კომუნიკაციის ნებისმიერ მოდელს, იქნება ეს „ნებისმიერის ნებისმიერთან“ კავშირის ფორმა, თუ „ნებისმიერი ადგილიდან ყველგანკავშირის“ ფორმა, აქვს მზარდი პოტენციალი. ამ გლობალური ქსელის რეალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა, შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა და შესრულდეს ხელშემწყობი რეგულაციები როგორც ეროვნულ, ისე ნაციონალურ დონეზე (Cowhey and Aronson, 2009).

მასობრივი თვითკომუნიკაცია

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა დისკუსიამ მაუწყებლობის თემიდან, ფაქტობრივად, მასობრივი მედიაკომუნიკაციისაკენ გადაინაცვლა. ინტერნეტი, მსოფლიო აბლაბუდა (World Wide Web) და უკაბელო კომუნიკაცია არ არის მედია თავისი ტრადიციული გაგებით. უფრო სწორად, ისინი არიან ინტერაქტიური კომუნიკაციის საშუალებები. მიუხედავად ამისა, მე ვამტკიცებ, რომ ზღვარი მასობრივ მედიაკომუნიკაციურ მედიუმებსა და კომუნიკაციის ყველა სხვა ფორმას შორის არის ბუნდოვანი (Cardoso, 2006; Rice, 2008). e-mail/ფოსტა არის კომუნიკაციის ყველაზე პირისპირი საშუალება მაშინაც კი, როცა მასობრივი-საფოსტო ურთიერთობა იღებს მონაწილეობას ურთიერთობაში, მაგრამ ინტერნეტი უფრო ფართო სივრცეა, ვიდრე ეს. მსოფლიო აბლაბუდა (The World Wide Web) კომუნიკაციური ქსელია, რომელიც გამოიყენება დოკუმენტების განსათავსებლად და გასაცვლელად. ეს დოკუმენტი შეიძლება იყოს ტექსტი, აუდიო ან ვიდეომასალა, კომპიუტერული პროგრამა – მოკლედ, ყველაფერი, რაც შეიძლება იქცეს ციფრულად. ეს არის ის, რატომაც არ აქვს აზრი, რომ ინტერნეტი შევადაროთ ტელევიზიას „აუდიტორიის“ ცნების ჭრილში, როგორც ეს ხშირად მომხდარა მოძველებული მედიაანალიზის პირობებში. სინამდვილეში, ინფორმაციულ ეკონომიკაში ყველაზე დიდი დრო იხარჯება ინტერნეტთან ურთიერთობის პროცესში, იმის მიუხედავად, ეს ურთიერთობა იქნება სამუშაო თუ სასწავლო ხასიათის (Castells et al., 2007).

ჩვენ არ „ვუყურებთ“ ინტერნეტს ისე, როგორც ვუყურებთ ტელევიზორს. პრაქტიკულად, ინტერნეტმომხმარებელი (პროგრესული საზოგადოებების მოსახლეობის უმრავლესობა და ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნების მზარდი რაოდენობა) ცხოვრობს ინტერნეტით. ამის დამამტკიცებელი ფაქტების ძირითადი ნაწილი აჩვენებს, რომ ინტერნეტი, სხვაგვარი სივრცე მისი მომხმარებლებისა, არის ერთგვარი კომუნიკაციური ფაბრიკა ჩვენი ცხოვრების, სამსახურის, პიროვნული ურთიერობის, სოციალური კავშირების, ინფორმაციის, გართობის, საჯარო სერვისების, პოლიტიკისა და რელიგიის (Katz and Rice, 2002; Wellman and Haythornthwaite, 2002; Center for the Digital Future, 2005, 2007, 2008; Cardoso, 2006; Castellsand Tubella, 2007).

ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვჭრათ გართობა ან ახალი ამბები ინტერნეტის ამ გაცხოველებული მოხმარების წესიდან და შევადაროთ ისინი მასმედიას საათობრივი „ყურების“

თვალსაზრისით, რადგან ინტერნეტთან მუშაობა მოიცავს ისეთი ვებსაიტების წინასწარი განზრახვის გარეშე გამოყენებას, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ საქმესთან, ან სულაც, პერსონალური მიმოწერის გამართვას ფართოდ გავრცელებულ მრავალრიცხოვან დავალებებში ჩართვის შედეგად, რაც დამახასიათებელია ახალი ინფორმაციული გარემოსთვის (Montgomery, 2007; Katz, 2008; Tubella et al., 2008). გარდა ამისა, ინტერნეტი სულ უფრო ინტენსიურად გამოიყენება მასმედიასთან დასაკავშირებლად (ტელევიზია, რადიო, გაზეთები), ისევე, როგორც ციფრულად ქცეული კულტურული თუ ინფორმაციული პროდუქტის ნებისმიერი ფორმა (ფილმები, მუსიკა, ჟურნალები, წიგნები, სტატიები, მონაცემთა ბაზები).

ინტერნეტქსელმა უკვე მოახდინა ტელევიზიის ტრანსფორმირება. USC კვლევითი ცენტრის მიერ ციფრული მომავლის თემაზე ჩატარებული კვლევისას თინეიჯერები ვერც კი ხვდებოდნენ ვიღაც სხვის მიერ შედგენილი განრიგის მიხედვით ტელევიზორის ყურების არსს. ისინი უყურებენ ყველა სატელევიზიო პროგრამას კომპიუტერის ეკრანზე და ახლა უკვე, საკმაოდ ინტენსიურად, სხვადასხვა პორტატული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამგვარად, ტელევიზია ისევ განაგრძობს არსებობას, როგორც ძირითადი მასობრივი მედიუმი, თუმცა ის მიწოდებულია და მისი ფორმატი გარდაქმნილია იმგვარად, რომ მოერგოს მიმღების/მაყურებლის ინდივიდუალურ სურვილს (Center for the Digital Future, "World Internet Survey," various years; Cardoso, 2006; ციფრული მომავლის ცენტრი. „მსოფლიო ინტერნეტის მიმოხილვა", უახლოესი წლები). მსგავსი ფენომენი არსებობს ბეჭდურ მედიაშიც. მსოფლიოს მასშტაბით, როგორც წესი, 30 წელს ქვემოთ მყოფი ინტერნეტმომხმარებელი პრესას, ძირითადად, ინტერნეტში კითხულობს. ამგვარად, თუმცა გაზეთი დარჩა მასობრივ მედიუმად, მან განიცადა არსებითი ცვლილებები. ჯერ კიდევ არ არსებობს ონლაინ ჟურნალისტიკის მკაფიო სამუშაო მოდელი (Beckett and Mansell, 2008).

ჯერჯერობით ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები გაზეთებისა და მასობრივი მედიის სხვა საშუალებების გარდაქმნის სამუშაო პროცესში იმყოფებიან. გაზეთები გახდა ქსელში ჩაბმული ორგანიზაციები, გლობალურად დაკავშირებული ინტერნეტსაინფორმაციო ქსელთან. გარდა ამისა, გაზეთის ონლაინ კომპონენტები ხელს უწყობენ სხვა ახალი ამბებისა და მედიაორგანიზაციების დაკავშირებასა და სინერგიას (Weber, 2007). ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე, ნიუსრუმებმა გაზეთის რედაქციებში, ტელევიზიებსა და რადიოინდუსტრიაში განიცადეს ტრანსფორმაცია ახალი ამბებისა და მისი დამუშავების ციფრულად გარდაქმნის აუცილებლობის გამო (Boczkowski, 2005). ამგვარად, მასკომუნიკაცია, ტრადიციული გაგებით, ახლა არის ასევე ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნიკაცია როგორც წარმოების, ისე მიწოდების პროცესში.

ამგვარად, ონლაინ ახალი ამბების გამოშვებების, ინტერაქტიური ბლოგებისა და ფოსტის კომბინაციით, გაზეთი გარდაიქმნა კომუნიკაციის განსხვავებულ ფორმად, რასაც, ჩემი განმარტებით, მასობრივი თვით-კომუნიკაცია ეწოდება. კომუნიკაციის ეს ფორმა წარმოიშვა ე.წ. ვებ 2.0 და ვებ 3.0- ის განვითარების შედეგად, ან ტექნოლოგიების, ხელსაწყოებისა და განცხადებების (Applications) შერწყმის გზით, რაც ეხმარება სოციალური სივრცის ინტერნეტში გავრცელებას, რათა გაზარდოს ინტერნეტის მისაწვდომობის მასშტაბი, ინოვაციური ხელმისაწვდომი პროგრამული უზრუნველყოფის რესურსები და გააუმჯობესოს კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი, მათ შორის, ავატარის ინტერაქცია სამგანზომილებიან ვირტუალურ სივრცეში.

ინტერნეტის, უკაბელო კომუნიკაციის, ციფრული მედიისა და პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვაგვარი საშუალებების გავრცელება ნაკარნახევია ინტერაქტიური კომუნიკაციის ჰორიზონტალური ქსელის განვითარებით, რომელიც აკავშირებს ლოკა-

ლურსა და გლობალურს ამორჩეულ დროს. ინტერნეტისა და უკაბელო კავშირის და გლობალური ინტერნეტის მასშტაბის თანმიმდევრული გავრცელების კონვერიგენციის წყალობით, ინტერნეტის ინფორმაციის გადამუშავებისა და კომუნიკაციის უნარი გავრცელდა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში ისე, როგორც ელექტრობადე და ელექტროხელსაწყო ავრცელებს ენერგიას ინდუსტრიულ საზოგადოებაში (Hughes, 1983;Benkler, 2006; Castells and Tubella, 2007). რადგან ხალხი (ასე ვეძახით მომხმარებლებს) განეკუთვნება კომუნიკაციის ახალ ფორმებს, ისინი აშენებენ მასობრივი კომუნიკაციის საკუთარ სისტემებს, სმს-ების, ბლოგების, ვიდეობლოგების (ვლოგს), პოდკასტებს, ვიკის და ლაიკის (Like-მოწონება) საშუალებით (Cardoso, 2006; Gillespie, 2007; Tubella et al., 2008). ფაილების გაზიარებისა და P2P (P2P ე.ი. თანხმობა – თანხმობისკენ) ქსელური პრინციპით, აცირკულირებს, აერთიანებს და გარდაქმნის ნებისმიერი ციფრული შინაარსის შესაძლებლობას.

2008 წლის თებერვალში „ტექნორატმა“/ Technorat დათვალა 112.8 მილიონი ბლოგი და 250 მილიონზე მეტი სოციალური მედიის ე.წ. მიმაგრებული ნაწილი და ეს მაშინ, როცა 2004 წლის ოქტომბერში ბლოგების რაოდენობა მხოლოდ 4 მილიონს აღწევდა. 60-დღიანი კვლევის განმავლობაში შეკრებილი მონაცემების თანახმად, 120,000 ახალი ბლოგი შეიქმნა, 1.5 მილიონი პოსტი გამოქვეყნდა და დაახლოებით 60 მილიონი ბლოგი განახლდა ყოველდღიურად (Baker, 2008). ე.წ. ბლოგოსფერო არის მულტილინგვისტური და, ამდენად, ის საერთაშორისო საკომუნიკაციო სივრცეა. და თუმცა ადრეულ ეტაპებზე ინგლისი დომინირებდა ბლოგის განვითარების კუთხით, უკვე 2007 წლის აპრილისათვის ბლოგპოსტების მხოლოდ 36% ეკუთვნოდათ ინგლისელებს, მაშინ როცა 37% მოდიოდა იაპონიაზე და 8% იყო ჩინეთში. დანარჩენი ბლოგპოსტების უმრავლესობა ნაწილდებოდა ესპანელებზე (3%), იტალიელებზე (3%), რუსებზე (2%), ფრანგებზე (2%), პორტუგალიელებზე (2%), გერმანელებსა (1%) და ფარსის მცხოვრებლებზე (1%) (Sifry, 2007; Baker, 2008).

ბლოგი ხდება მნიშვნელოვანი დომენი/განზომილება ჩინელი ახალგაზრდების თვითგამოხატვისათვის (Dong, 2008a). ჩინური ბლოგების უფრო ზუსტმა დათვლამ შესაძლოა გაზარდოს ჩინელების წილი ბლოგოსფეროში და მიაახლოოს ინგლისურ და იაპონურენოვან ბლოგებს.

მთელს მსოფლიოში ბლოგების უმრავლესობა პერსონალურია. Pew Internet-ისა და American Life Project-ის კვლევის თანახმად, ბლოგერების 52%-ის თქმით, ისინი უმეტესწილად საკუთარი საჭიროებისათვის წერენ ბლოგს, ხოლო მკითხველი აუდიტორიისათვის – ბლოგერთა მხოლოდ 32% (Lenhart and Fox, 2006). ამგვარად, ზოგიერთისთვის, „ჩემთვის მნიშვნელოვანის“ გაზიარების ეს მასობრივი თვითკომუნიკაციის ფორმა უფრო მეტად „ელექტრონული აუტიზმია“, ვიდრე ნამდვილი კომუნიკაცია.

ამჟამად, ნებისმიერი პოსტი ინტერნეტში, ავტორის გულგრილობის გამო, გლობალური კომუნიკაციის ოკეანეში ჩაძირულ ბოთლს ემსგავსება და საეჭვოა, რომ მოულოდნელად შეტყობინება მიღებული და ხელახლა დამუშავებულ იქნეს.

მასობრივი თვითკომუნიკაციის რევოლუციური ფორმები ახალგაზრდა გამჭრიახი მომხმარებლების მწარმოებლებად გახდომის შედეგად წამოიშვა. ამის ერთ-ერთი მაგალითია Youtube, ვიდეო-ვებსაიტი, სადაც ცალკეულ მომხმარებლებს, ორგანიზაციებს, კომპანიებს და მთავრობებს შეუძლიათ ატვირთონ საკუთარი ვიდეო. ეს საიტი 2005 წელს შექმნეს ჯოუდ კარიმიმ, სტივენ ჩენიმ და ჩად ჰარლიმ, PayPal-ის ამ სამმა ყოფილმა თანამშრომელმა. 2008 წლის თებერვლისთვის Youtube-ის ამერიკული ვერსია ითვლიდა 69,800,000 ვიდეოს. მაგალითისთვის, 2007 წლის ნოემბრის განმავლობაში 74.5 მილიონმა ადამიანმა ნახა 2.9 მილიარდი ვიდეო Youtube.com-ზე (39 ვიდეო თითოეულმა მომხმარებელმა; ComScore, 2008). უფრო მეტიც, ნაციონალური და საერთაშორისო მაუწყებლები, ისეთები, როგორი-

ცაა ალ ჯაზირა, CNN, კენიის NTV, ფრანს 24, კატალონიის TV3 და უამრავი სხვა მედიასაშუალება, მხარს უჭერს საკუთარი არხის არსებობას Youtube-ზე იმის გამო, რომ შეიძინოს ახალი აუდიტორია და დაუკავშირდეს მათი დიასპორების დაინტერესებულ წევრებს. გარდა ამისა, Youtube-მა 2007 წლის ივლისში აამოქმედა 18 პარტნიორი საიტი, რომლებსაც ცალკეული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა აქვთ და საიტების დიზაინი საგანგებოდ შეიქმნა იმ მომხმარებლებისთვის, ვინც მობილურ ტელეფონს იყენებს ინტერნეტით სარგებლობისათვის. ამან Youtube მსოფლიოს უდიდეს მასკომუნიკაციის მედიუმად აქცია. ვებსაიტების შეჯიბრი აქტუალური ხდება და მოიცავს ifilm.com, revver.com, Grouper.com. Tudou.com არის ჩინეთის ყველაზე პოპულარული ვიდეოჰოსტინგი და 2007 წლის აგვისტოში მისი ყველაზე სწრაფად მზარდი საიტი 6 მილიონზე მეტ კერძო მომხმარებელს იზიდავდა ყოველდღიურად, ანუ 175%-ით მეტს, ვიდრე სამი თვით ადრე (Nielsen/NetRatings, 2007).

ისეთი სოციალური ქსელი კი, როგორიცაა Myspace.com, ასევე სთავაზობს მომხმარებელს ვიდეოს ატვირთვის სერვისს. ფაქტობრივად, Myspace.com 2008 წელს იყო სიდიდით მეორე ვიდეოჩანაწერების განსათავსებელი საიტი. 2007 წლის ნოემბერში 43.2 მილიონმა ადამიანმა ნახა 389 მილიონი ვიდეო Myspace.com-ზე (ComScore, 2008). ვიდეოსაიტები მედიამოხმარებისა და წარმოების მზარდად პოპულარული ფორმაა. A Pew Internet and American Life Project-ის კვლევა აჩვენებს, რომ 2007 წლის დეკემბერში ამერიკელი მომხმარებლების 48% რეგულარულად მოიხმარდა ონლაინ ვიდეოს, რაც 33%-ით მაღალი მაჩვენებელია ბოლო წლებთან შედარებით. ეს ტენდენცია უფრო თვალსაჩინოა 30 წლამდე ასაკის მომხმარებლებთან, რომელთა წილი ვიდეოსაიტების ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში – 70%-ია (Rainie, 2008: 2).

ამგვარად, Youtube და სხვა ისეთი საიტები, რომელთა კონტენტსაც თვითონ მომხმარებლები ქმნიან, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია. თუმცა, ისინი განსხვავდებიან ტრადიციული მასმედიისაგან. ნებისმიერს შეუძლია განათავსოს ვიდეო Youtube-ზე მხოლოდ მცირედი შეზღუდვების გათვალისწინებით. და ასევე, მომხმარებელი შესაძლებლობათა უზარმაზარი სიიდან ირჩევს იმ ვიდეოს, რომლის ნახვა ანდა კომენტირება სურს. ზეწოლა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს გამოხატვის თავისუფლებაზე, განსაკუთრებით ეს გამოხატულია სამართლიანი გაფრთხილებებით საავტორო უფლებების დარღვევაზე და სამთავრობო ცენზურით პოლიტიკურ შინაარსებზე კრიზისულ სიტუაციებში. ამჟამად Youtube არის იმდენად ყველგან შეღწევადი და პოპულარული, რომ ინგლისის დედოფალმა ეს საიტი აირჩია თავისი 2007 წლის საშობაო გამოსვლის ტრანსლაციისათვის. აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების 2008 წლის საპრეზიდენტო კანდიდატთა სატელევიზიო დებატები და 2008 წლის ესპანეთის საპარლამენტო არჩევნები პარალელურად გადაიცა Youtube-ის საშუალებით და შეივსო ვიდეოპოსტებით მოქალაქეთა ინტერაქციის შედეგად.

კომუნიკაციის ჰორიზონტალური ქსელები იქმნება ადამიანების ინიციატივების, ინტერესებისა და სურვილების მიხედვით და არის მრავალფორმიანი და აერთიანებს მრავალი სახის დოკუმენტს, დაწყებული ფოტოსურათებიდან (მაგალითად, ისეთ საიტზე, როგორიცაა, hotobucket.com, რომელსაც, 2008 წლის თებერვლის მონაცემით, 60 მილიონი დარეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავდა), ფართო მასშტაბის კოოპერაციული პროექტებით, ვთქვათ, ისეთით, როგორიცაა ვიკიპედია – Wikipedia.com (საჯარო ხელმისაწვდომობის მქონე ენციკლოპედია 26-მილიონიანი თანამშრომლით, სტატიების ავტორებით, რომელთაგან 75,000 აქტიური თანაავტორია), მუსიკალური, კინოების და სოციალურ/პოლიტიკურ/რელიგიური აქტივობის ქსელებით დამთავრებული, რომელიც ასევე მოიცავს

ვებფორუმებს დებატებისათვის და ვიდეოებს, აუდიოჩანაწერებსა და ტექსტებს გლობალური მიწოდებისათვის.

თინეიჯერებისათვის, რომელთაც აქვთ უნარი, შექმნან და გაავრცელონ სხვადასხვა პროდუქტი ინტერნეტქსელში, ეს "არის არა სახელის მოხვეჭის 15 წუთი, რომლისთვისაც თავის შეწუხება ღირს, არამედ – თითქმის 15-მეგაბაიტიანი რეპუტაცია. (Jeffrey Cole, personal communication, July 2008). ინტერნეტის სოციალური სივრცე 1980-იანი წლების პირვანდელ ვირტუალური აქტივობის ტრადიციებზე დაყრდნობით შეიქმნა და სძლევს ადრეულ, არსებობის ხანმოკლე ისტორიის მქონე სოციალური სივრცის ისეთ კომერციულ ფორმებს, რომელსაც AOL-ის სახელით ვიცნობდით; მან გააფართოვა კონტენტი და არსებობდა მრავალფეროვან და ფართოდ გავრცელებულ ვირტუალურ საზოგადოებაში. ამგვარად, 2008 წლის ივნისში, Myspace (114-მილიონიანი მომხმარებლით)და Facebook (123.9-მილიონიანი მომხმარებლით) გახდნენ მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ვებსაიტები, რომელთა პროფილიც იყო სოციალური ინტერაქცია განსხვავებული ასაკისა და სოციალური წამოშობის მომხმარებელთა შორის (McCarthy, 2008).

ე.წ. ონლაინსაზოგადოება ახორციელებს მთელ რიგ პროექტებს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითისთვის, „საზოგადოება შემოქმედებითი ანაქრონიზმისათვის", რომელსაც 30,000 წევრი ჰყავდა 2007 წლის დეკემბერში და რომელიც კანონიერად 1996 წელს დაფუძნდა. მილიონობით 30 წლამდე ასაკის ინტერნეტმომხმარებლისათვის, ონლაინსაზოგადოება გახდა ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი განზომილება, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, მოიცვა ჩინეთი და განვითარებადი ქვეყნები და მათ ზრდას მხოლოდ საზღვრებს მიღმა ინტერნეტმისაწვდომობის შეზღუდვა ანელებს (Boyd, 2006a, b; Montgomery, 2007;Williams, 2007).

კვლევების თანახმად, ინფრასტრუქტურის გაფართოება და კომუნიკაციის ტარიფების შემცირება არაა ნაწინასწარმეტყველები, მაგრამ დაკვირვება აჩვენებს, რომ ონლაინსაზოგადოება არაა ისე სწრაფად განვითარებადი, როგორც ვირტუალური სამყარო, მაგრამ, როგორც რეალური ვირტუალობა, ინტეგრირდა ინტერაქციის სხვა ფორმებთან, ყოველდღიური ცხოვრებაც თანდათან ჰიბრიდირდება (Center for the Digital Future, 2008).

სოციალური პროგრამული უზრუნველყოფის ახალ თაობას აქვს უნარი ინტერაქტიური კომპიუტერული და ვიდეოთამაშების ბუმის გამოწვევისა, რომლის დღევანდელი გლობალური ინდუსტრიის ღირებულება 40 მლრდ. დოლარია. მხოლოდ აშშ-ში ვიდეო და კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიის გასაყიდი ღირებულება 18,7 მილიარდი იყო 2007 წლისათვის. 2007 წლის სექტემბერში, მისი რეალიზების პირველ დღეს, Sony-is Halo 3 ღირდა 170 მილიონი დოლარი, უფრო მეტი, ვიდრე უდიდესი ონლაინთამაშების კომპანია World of Warcraft (WOW)-ის, რომელიც ამ დროისათვის Massively Multiplayer Online Game (MMOG) ინდუსტრიის ნახევარზე მეტს ითვლის, აქტიურ მომხმარებელთა რიცხვმა 10 მილიონს გადაჭარბა 2008 წელს (მათგან ნახევარზე მეტი აზიის კონტინენტის მკვიდრია). ეს წევრები თვითონვე სიფრთხილით ნაწილდებიან იერარქიულ გილდიაში, რომელიც დამსახურებისა და სიახლოვის მიხედვით იქმნება.

თუ მედია დიდწილად გართობაზეა დაფუძნებული, მაშინ გართობის ეს ახალი ფორმა სრულიად ემყარება ინტერნეტსა და კომპიუტერულ პროგრამებს და ახლა ის მედიასისტემის მთავარი კომპონენტია.

ახალი ტექნოლოგიები ასევე არის შვილობილი სოციალური სივრცის მიერ წარმოქმნილი ვირტუალური რეალობისა, რომელიც აერთიანებს სოციაბილურობასა და ექპერიმენტს როლურ თამაშებში. მათ შორის ყველაზე წარმატებულია მეორე ცხოვრება/ Second Life- Au, 2008). 2008 წლის თებერვლის მონაცემებით, მას ჰყავდა დაახლოებით 12,3 მილიო-

ნი დარეგისტრირებული მომხმარებელი და დაახლოებით 50,000 ყოველდღიური ვიზიტორი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სტუმრობდნენ საიტს. არაერთმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყველაზე საინტერესო ტენდენცია მეორე ცხოვრების საზოგადოებისათვის არის უნარი, შექმნან უტოპია იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არსებობს ინსტიტუციონალური და სივრცული შეზღუდვები. მეორე ცხოვრების მკვიდრები კვლავაწარმოებენ ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ რაიმეს, მათ შორის ისეთ ნაკლოვანებებს, როგორიცაა აგრესია და გაუპატიურება.

უფრო მეტიც, მეორე ცხოვრება/ Second Life პირადად ეკუთვნის Linden Corpotation-ს და ვირტუალური რეალობის ადგილი მალე იქცა მომგებიან ბიზნესად იმ არსით, რომ შეერთებული შტატების შიდა შემოსავლების სამსახურმა დაიწყო Linden-ის საგადასახადო სქემების განვითარება, რომელიც გამოხატული იყო ამერიკულ დოლარში. ამ ვირტუალურ სივრცეს აქვს ისეთი კომუნიკაციური სიმძლავრე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა კამპუსები დააფუძნა Second Life-ში

არსებობს ასევე ექსპერიმენტები იმისა, რომ გამოიყენეს ის, როგორც საგანმანათლებლო პლატფორმა; ვირტუალური ბანკები გაიხსნა და მოხდა მათი გაკოტრება აშშ-ის ბაზრის ზრდისა და კლების შესაბამისად; პოლიტიკური დემონსტრაციები და ძალადობრივი კონფრონტაციაც კი მოხდა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის ვირტუალურ ქალაქში; და ახალი ამბები Second Life-ის შესახებ აღწევს რეალურ სამყარომდე მის მიმართ მედიაკორესპონდენტების გამძაფრებული ყურადღების გამო. უკმაყოფილო უტოპისტები უკვე ცხოვრობენ Second Life-ში იმისთვის, რომ მოძებნონ თავისუფლება სხვა ვირტუალურ მიწაზე, სადაც მათ შეეძლებათ დაიწყონ ახალი ცხოვრება, როგორც, ჩვეულებრივ, მოხეტიალე იმიგრანტები აკეთებენ ხოლმე ამას ფიზიკურ სამყაროში. ამის კეთების პროცესში ისინი აფართოებენ ვირტუალობის საზღვრებს ინტერაქციის გარეგნულ ჩარჩოებსა და ჩვენი მენტალური სტრუტქურების განსხვავებულ ფორმებს შორის.

უკაბელო კომუნიკაცია გახდა არჩევანის გადამცემი პლატფორმა უამრავი სახეობის ციფრული პროდუქციისათვის, მათ შორის თამაშების, მუსიკის, სურათების და ახალი ამბების, ასევე, სასწრაფო მიმოწერისა, რომელიც ფარავს ადამიანური აქტივობის მთელ ჯაჭვს, დაწყებული პერსონალური საჭიროების კავშირებიდან, დამთავრებული პროფესიული დავალებებითა და პოლიტიკური მობილიზაციით.

ამგვარად, ელექტრონული კომუნიკაციის გისოსი ზეწოლას ახდენს ყველაფერზე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სადაც და როცა არ უნდა ვაკეთებდეთ მას (Ling, 2004; Koskinen, 2007). კვლევები აჩვენებს, რომ მობილური ტელეფონების უმრავლესობის ზარები და შეტყობინებები მოდის სახლიდან, სამსახურიდან და სკოლიდან, ანუ იმ ადგილებიდან, სადაც ადამიანები, ჩვეულებრივ, არიან და სადაც, როგორც წესი, ხაზიანი ტელეფონიც აქვთ. უკაბელო კომუნიკაციის ძირითადი თავისებურება არა მობილურობა, არამედ მუდმივი კავშირის შესაძლებლობაა (Katz and Aakhus, 2002; Ito et al., 2005; Castells et al., 2006a; Katz, 2008).

მასობრივი თვითკომუნიკაციის განვითარება არაა შეზღუდული ტექნოლოგიების ზედა ზღვარით. რიგითი ადამიანების ერთობები და ინდივიდების მიერ გამოჩენილი ინიციატივა ამ საქმეში დამყარებულია ავტონომიური კომუნიკაციის ახალი ფორმების გამოყენებაზე, ისეთებისაზე, როგორიცაა დაბალი სიმძლავრის რადიოსადგურები, თვითნებურად შექმნილი (ე.წ. მეკობრული) ტელესადგურები და დამოუკიდებელი ვიდეოპროდუქციის წარმოება, რომლის უპირატესობაც დაბალფასიანი პროდუქცია და ციფრული ვიდეოს გავრცელების უნარია (Costanza-Chock, forthcoming).

გარკვეულია, რომ მეინსტრიმული მედია ბლოგებს და ინტერაქტიურ ქსელებს თავისი პროდუქციის გასავრცელებლად და საკუთარ აუდიტორიასთან ურთიერთობისათვის იყე-

ნებს, რაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური კომუნიკაციური მეთოდების შერწყმას წარმოადგენს. მაგრამ არსებობს ბევრი მაგალითი, რომელის მიხედვითაც, ისეთი ტრადიციული მედია, როგორიცაა, მაგალითად, საკაბელო ტელევიზია, „იკვებება“ დამოუკიდებლად შექმნილი პროდუქციით, რომელიც იყენებს ციფრულ საშუალებებს სხვადასხვა კონტენტის წარმოებისა და გავრცელებისათვის. აშშ-ში ამ ტიპის მედიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია Al Gore'ს Current TV, რომლის პროგრამული შინაარსის თითქმის 40% მომხმარებლების მიერაა შექმნილი და პროფესიულად რედაქტირებული. ინტერნეტზე დაფუძნებული ახალი მედია დიდწილად ემყარება მომხმარებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ისეთების, როგორიცაა Jinbonet da Ohmy News სამხრეთ კორეაში, ან Vilaweb ბარსელონაში, რომელიც გახდა შედარებით საიმედო და ინფორმაციის დამოუკიდებელი წყარო ფართო მასშტაბით.

ასე რომ, მზარდი ინტერაქცია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კომუნიკაციურ ქსელებს შორის არ ნიშნავს, რომ მეინსტრიმული მედია ახალ, ავტონომიურ ფორმებზე (რომლებიც შინაარს ქმნიან და ავრცელებენ) მაღლა დგება. ეს ნიშნავს, რომ დამატებითი პროცესი, რომელიც ბადებს ახალ მედიარეალობას, რომლის მომავალი ფორმები და ეფექტი უეჭველად გადაწყვეტილი იქნება პოლიტიკური და ბიზნესძალების ბრძოლის შედეგით; ეს ძალები ტელესაკომუნიაციო ქსელების მფლობელნი არიან და სურთ, თვითონ აკონტროლონ ინტერნეტკავშირი და გადაცემა მათ ბიზნესპარტნიორთა და საუკეთესო კლიენტთა კეთილგანწყობისთვის (იხილეთ ქვემოთ).

მედიაკორპორაციების მზარდი ინტერესი კომუნიკაციის ინტერნეტზე დაფუძნებული ფორმებისადმი გამოხატავს სოციეტალური მედიის ახალი ფორმის მზარდ მნიშვნელოვნებას, ერთ-ერთი ასეთი, რომელზეც მე ყურადღება გავამახვილე, მასობრივი თვითკომუნიკაციაა.

ეს არის მასობრივი კომუნიაკაცია, რადგან ის აღწევს პოტენციურ გლობალურ აუდიტორიამდე P2p ქსელისა და ინტერნეტკავშირის საშუალებით. ეს არის მრავალფორმიანი, როგორც ციფრული კონტენტი, და მოწინავე სოციალური პროგრამული უზრუნველყოფა, დამყარებული ღია რესურსების პროგრამაზე, რომელიც შეიძლება იოლად ჩამოიტვირთოს, ნებისმიერი შინაარსისა და თითქმის ყველა ფორმის განმეორებითი დაფორმატების საშუალებას იძლეოდეს და უკაბელო ქსელების საშუალებით ვრცელდებოდეს. ეს ასევე არის თვითწარმოებული შინაარსის, რომლის მიმართულებაც თვითგანსაზღვრულია და რეციპიენტის ვინაობაც თვითშერჩეულია, როცა გამოყენებულია „ბევრი ურთიერთობს ბევრთან“ პრინციპი. ეს არის ახალი საკომუნიკაციო სამყარო და, საბოლოოდ, ახალი მედიუმი, რომლის ხერხემალი შექმნილია კომპიუტერული ქსელებით/ნეტვორკით, რომლის ენაც ციფრულია და აქ შეტყობინების ნებისმიერი გამგზავნი გლობალური გამავრცელებელი და გლობალურად ინტერაქტიურია. სინამდვილეში, მედიუმი, ისეთი რევოლუციური მედიუმიც კი, როგორიც ესაა, არ განსაზღვრავს კონტენტსა და მისი შეტყობინებების ეფექტს. მაგრამ მას აქვს პოტენციალი, რომ შექმნას მოსალოდნელი შეუზღუდავი მრავალფეროვნება და კომუნიკაციური ნაკადების დამოუკიდებელი პროდუქცია, რომელიც შექმნის აზრს/მნიშვნელობას (meaning) საზოგადოების გონებაში. ჯერჯერობით, რევოლუცია კომუნიკაციურ ტექნოლოგიებში და დამოუკიდებელი კომუნიკაციის ახალი კულტურები დამუშავებისა და ფორმირების პროცესს გადიან (თუმცა არაა განსაზღვრული) იმ ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების მიერ, რომლებიც სარგებელზე ორიენტირებული ბიზნესსტრატეგიებისა და ბაზრის გაფართოების მექანიზმების მხრიდან დიდ გავლენას განიცდიან.

შეჯამება

მანუელ კასტელსი

კასტელსი ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებას 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციის კუთხით იკვლევს. ამ რევოლუციამ, თავის მხრივ, დაწყებული 80-იანი წლებიდან კაპიტალისტური სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნა და იმის გაჩენა გამოიწვია, რასაც კასტელსი „ინფორმაციულ კაპიტალიზმს“ ეძახის. გარდა ამისა აღმოცენდა „ინფორმაციული საზოგადოება“. ორივე აღნიშნული ფორმა „ინფორმაციონალიზმს“ ეფუძნება, რომლის დროსაც განვითარების წესი, წარმოების ძირითადი წყარო, ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორების ოპტიმიზების თვისებრივი შესაძლებლობის უნარი ხდება.

კითხვები და დავალებები:

1. კრიტიკულად გაანალიზეთ კასტელსის მოსაზრება ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებაში, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციის როლის შესახებ.
2. განმარტეთ „ინფორმაციული კაპიტალიზმის“ და „ინფორმაციული საზოგადოების“ ცნებები. მსგავსების მიუხედავად, მათ შორის როგორ მნიშვნელოვან კულტურულ და ინსტიტუციონალურ განსხვავებას აქვს ადგილი?
3. განმარტეთ „ინფორმაციონალიზმის“ ცნება, გაანალიზეთ ის დამოკიდებულება, რომელიც „ინფორმაციონალიზმს“, განვითარების წესს და წარმოების წესს შორის არსებობს.
4. რა შეადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიის პარადიგმის არსს? ჩამოთვალეთ და გაანალიზეთ ის ხუთი ძირითადი თვისება, რომელიც მას ახასიათებს.
5. XX საუკუნის 80-იან წლებში ახალი გლობალური, ინფორმაციული, მომგებიანობით მზარდი ეკონომიკა აღმოცენდა. კასტელსის მოცემულ დებულებაში განმარტეთ გლობალურისა და ინფორმაციულის ცნებების როლი და მნიშვნელობა ახალი ინფორმაციული ეპოქის წარმოშობასა და განვითარებაში.
6. ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის აღმოცენებას თან ახალი ორგანიზაციული ფორმების-ქსელური საწარმოების-გაჩენა სდევს. რა ნიშნებით ახასიათებს მ. კასტელსი ქსელურ მრეწველობას?
7. რეალური ვირტუალობის კულტურის თუ ვირტუალური რეალობის კულტურის აღმოცენება.
8. განმარტეთ „ნაკადების სივრცისა“ და „დროის გარეშე დროს“ ცნებების მნიშვნელობა.
9. რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისათვის „გლობალური ფინანსური კაზინოების“ – ქსელისა და ინფორმაციული სისტემის შერწყმის – წარმოშობას?
10. რა არის იმ დილემის არსი, რომელიც ინფორმაციონალურ ეპოქაში სახელმწიფოს წინაშე დგება? ჩამოთვალეთ ის ფაქტორები, რომლებიც ახალ ეპოქაში სახელმწიფოს ასუსტებენ.

11. გაანალიზეთ დებულების არსი: ინფორმაციონალიზმის, განსაკუთრებით ინფორმაციული კაპიტალიზმის, გავრცელება პიროვნებასა და იდენტურობაზე დაფუძნებული ოპოზიციური სოციალური მოძრაობების აღმოცენებას იწვევს.

ძირითადი ლიტერატურა:

Кастельс М., Могущество самобытности. В кн. Новая постиндустриальная волна на западе. М., 1999. с. 298-306.

Кастельс М., Информационная эпоха: экономика, общество и культура. М.: 2000. с. 1-38, 46- 101, 313-358, и заключения.

Castells Manuel (1996), The Rise of the Netvork Society. Vol. 1 of The Information Age: Economy, Society and Culture. Oxford: Blackwell.

Castells Manuel (1997a), The Power of Identity. Vol. 2 of The Information Age: Economy, Society and Culture. Oxford: Blackwell.

Castells Manuel (2000d), The Rise of the Netvork Society, 2nd editicion. Oxford: Blackwell.

Castells Manuel (2004) The Network Society. A Cross – cultural Perspective. Edited by Manuel Castells.

Castells Manuel (2009) Communication power. Oxsford.

დამატებითი ლიტერატურა:

Ритцер Дж. , Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.484-520.

Уебстер Ф., Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект Пресс.2004, გვ. 130-164. 360-374.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt? M: Suhrkamp, 2004.

თავი მეცხრე – იმანუილ ვალერშტაინი: ისტორიულად ორიენტირებული მარქსიზმი

1. *თანამედროვე მსოფლიო სისტემა;*
2. *გეოგრაფიული ექსპანსია;*
3. *შრომის მსოფლიო დანაწილება;*
4. *ძლიერი სახელმწიფოების განვითარება;*
5. *მსოფლიო სისტემის თეორია დღეს.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მსოფლიო სისტემა;
- მსოფლიო იმპერია;
- კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა;
- გეოგრაფიული ექსპანსია;
- ცენტრალური ნაწილი;
- პერიფერია;
- ნახევრად პერიფერია;
- „მონოკულტურა“;
- „გარე ზონა“.

1. იმანუილ ვალერშტაინი: პიროვნება და მეცნიერი

მსოფლიო აღიარება ი. ვალერშტაინმა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, როგორც აფრიკის ქვეყნების ექსპერტმა მოიპოვა, მაგრამ სოციოლოგიაში მის მიერ ყველაზე მნიშვნელოვან შეტანილ წვლილად 1974 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „თანამედროვე მსოფლიო სისტემა“ („The Modern World-System“) იქცა.

ი. ვალერშტაინი 1930 წლის 28 სექტემბერს დაიბადა. ყველა სამეცნიერო ხარისხი და წოდება კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო, 1959 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციის ჩათვლით. შემდეგ მან კოლუმბიის უნივერსიტეტში ერთ-ერთ ფაკულტეტზე თანამდებობა მიიღო და იქ მრავალი წელი გაატარა. მონრეალის უნივერსიტეტ McGill-ში ხუთი წლით პოსტის დაკავების შემდეგ, ვალერშტაინი 1976 წელს ბინგემტონში ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ცნობილი პროფესორი გახდა.

„თანამედროვე მსოფლიო სისტემის“ პირველი ტომისათვის ვალერშტაინი 1975 წელს პიტირიმ სოროკინის სახელობის პრესტიჟული პრემიით დააჯილდოეს. ის ამ თემაზე მუშაობას სიცოცხლის ბოლომდე, რა თქმა უნდა, გარკვეული მოდიფიკაციებით, აგრძელებდა. მან მრავალ სტატია და წიგნი დაწერა, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე, რომლებშიც მან მსოფლიო სისტემების ანალიზი თითქმის 1840 წლამდე პერიოდამდე ჩაატარა.

მსოფლიო სისტემის კონცეფცია მკვლევარი-სოციოლოგების ყურადღებისა და განაზრებების ცენტრში მოხვდა, მეცნიერთა მხოლოდ მცირედ ნაწილს შეუძლია მსგავსი წარმატებით თავი მოიწონოს. მრავალი სოციოლოგი, რომლებიც დღეს მსოფლიო სისტემის კონცეფციის კვლევითა და თეორიული განაზრებებით არიან დაკავებულნი, ვალერ-

შტაინს ძლიერ აკრიტიკებენ. მაგრამ ისინი ამავე დროს ნათლად აცნობიერებენ იმ როლის მნიშვნელობას, რომელიც მან მათი იდეების წარმოშობაში ითამაშა.

მსოფლიო სისტემის კონცეფცია თავად უკვე სოციოლოგიაში სერიოზულ შენატანს წარმოადგენს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თეორიულად დასაბუთებული ისტორიული კვლევების აღორძინებაზე მისი გავლენაც. სწორედ ამით გამოირჩეოდა სოციოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ისეთი მოაზროვნეების მიერ შექმნილი ყველაზე მნიშველოვანი შრომები, როგორებიც მარქსი, ვებერი და დიურკემი იყვნენ. მაგრამ ამ ბოლო წლებში სოციოლოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მსგავსი სახის კვლევებზე უარი თქვა და კვლევის ისეთი არაისტორიული მეთოდების ფართოდ გამოყენება დაიწყეს, როგორებიც ანკეტირება და ინტერვიუირებაა. ეს გამოყენებისას უფრო სწრაფი და მარტივი ხერხებია, ვიდრე ისტორიული მიდგომა, ხოლო მოპოვებული მონაცემების დამუშავება ძალიან ადვილად კომპიუტრის დახმარებით შეიძლება. მსგავსი მეთოდების გამოყენებას ვიწრო ტექნიკური ცოდნა და არა ფართო ისტორიული თვალთახედვა სჭირდება. უფრო მეტიც, თეორია ანკეტირებისა და ინტერვიუების მეშვეობით ჩატარებულ კვლევებში უმნიშვნელო როლს თამაშობს. ვალერშტაინი, მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მათ შორის, ვინც სერიოზულ თეორიულ საფუძველზე ისტორიული კვლევებისადმი ინტერესის აღორძინებაში მონაწილეობდა.

ისტორიულ კვლევებზე ორიენტირებული მარქსისტები, რომლებიც პრობლემებს ისტორიულ კონტექსტში სწავლობენ, ამტკიცებენ, რომ ისტორიულობის მარქსისტული გაგებისა და ინტერესის ერთგულნი რჩებიან. ყველაზე მეტად საყურადღებოა მარქსის ის ისტორიული გამოკვლევა, რომელიც მან კაპიტალისტურამდელი ეკონომიკური ფორმაციების შესასწავლად ჩაატარა (1857 – 58/1964). არსებობს მრავალი უფრო გვიანდელი ისტორიული ნაშრომი, რომელშიც მარქსისტული თვალსაზრისია გატარებული და დაცული. აქ კი განხილული იქნება იმანუელ ვალერშტაინის თანამედროვე მსოფლიო სისტემის გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც ისტორიულ ორიენტაციას ასახავს.

2. „თანამედროვე მსოფლიო სისტემა“

ვალერშტაინმა ანალიზის ისეთი ერთეული შეარჩია, რომელიც მარქსისტების მიერ გამოყენებული ანალიზის ერთეულისგან განსხვავდება. ის არ შეხებია ისეთ საკითხებს, როგორიც მუშათა პრობლემები, საზოგადოების კლასებად დაყოფა ან თუნდაც, სახელმწიფოების არსებობა იყო, რადგან ეს საკითხები მისი მიზნებისთვის ზედმეტად ვიწროდ მიაჩნდა. ვალერშტაინმა ყურადღება უფრო ფართო ეკონომიკურ მოცემულობას მიაქცია, სადაც შრომის დანაწილება პოლიტიკური ან კულტურული საზღვრებით არ არის შეზღუდული. მან კვლევის ეს ერთეული „მსოფლიო სისტემის“ თავის კონცეფციაში აღმოაჩინა, რომელიც გარკვეული შეზღუდვებითა და საკუთარი ცხოვრების ციკლით მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელ სოციალურ სისტემას წარმოადგენს. ამგვარად, ვალერშტაინის აზრით, ეს სისტემა მარადიული არ არის. ის შიგნიდან არაერთი სოციალური სტრუქტურისა და ჯგუფისგანაა ფორმირებული. მაგრამ მას არ მიაჩნდა, რომ სისტემას ყველა რგოლის შეწყობილ – შეთანადებული ფუნქციონირება აერთიანებს. უფრო სწორად მას მიაჩნდა, რომ თანასწორობა დაპირისპირებულ, კონფლიქტში მყოფ ძალთა შორის ბრძოლის შედეგად მიიღწევა. ამავე დროს, მუდამ რჩება იმის საშიშროება, რომ ამ დაპირისპირების გამო სისტემა შიგნიდან აფეთქდეს. ვალერშტაინი ამტკიცებს, რომ დღევანდელ დღემდე მსოფლიოში მხოლოდ ორი ტიპის მსოფლიო სისტემა არსებობს. პირველი – ეს არის მსოფლიო იმპერია, რომლის მაგალითად შეგვიძლია უძველესი რომი განვიხილოთ; მეორე – თანა-

მედროვე მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკაა. მსოფლიო იმპერია პოლიტიკურ და სამხედრო უპირატესობაზე იყო დაფუძნებული, მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიკა მთლიანად ეკონომიკურ ბატონობაზეა დამოკიდებული. კაპიტალისტური სისტემა უფრო სტაბილურად წარმოგვიდგება, ვიდრე იმპერია და ამის ორი მიზეზი არსებობს: ერთი მხრივ, მას უფრო საფუძვლიანი ბაზა აქვს, რადგან ის საკუთარ თავში ბევრ სახელმწიფოს მოიცავს; მეორე მხრივ – მას ეკონომიკური სტაბილიზაციის ჩაშენებული მექანიზმი აქვს. მსოფლიო ეკონომიკის კაპიტალისტური სისტემის ჩარჩოებში კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტები ფინანსურ ზარალს, მისი აღმოჩენის შემთხვევაში, ისრუტავდნენ, ხოლო მოგება ამ დროს კერძო პირებს შორის ნაწილდებოდა. ვალერშტაინმა მესამე მსოფლიო სისტემის – მსოფლიო სოციალისტური მთავრობის – შექმნის შესაძლებლობა იწინასწარმეტყველა. იმ დროს, როდესაც მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა პოლიტიკას ეკონომიკის სექტორიდან გამოჰყოფს და აცალკევებს, სოციალისტური ეკონომიკა ორივე მათგანს გააერთიანებს.

მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკაში ყოველთვის რომელიმე გეოგრაფიული ოლქი დომინირებს და ის სისტემის დანარჩენ შემადგენელ ნაწილებს ექსპლუატაციას უწევს. პერიფერია იმ ზონებისგან შედგება, რომლებიც სისტემის ცენტრალურ ნაწილებს ბუნებრივი რესურსით ამარაგებენ და მათ შეუბრალებელ ექსპლუატაციას ექვემდებარებიან. ნახევარპერიფერიები – ნარჩენი კატეგორიაა, რომელიც ექსპლუატატორ და ექსპლუატირებულთა შორის მყოფ მთელ რიგ რეგიონებს მოიცავს. ამ შემთხვევაში საკვანძო მნიშვნელობას ვალერშტაინისთვის წარმოადგენს ის, რომ ექსპლუატაციის საერთაშორისო დანაწილება არა სახელმწიფოებრივი საზღვრებით, არამედ მსოფლიოში შრომის ეკონომიკური დანაწილებით განისაზღვრება.

მსოფლიო სისტემის შესახებ ნაშრომის პირველ ტომში ვალერშტაინი (Wallerstein, 1974) მისი წარმოქმნის/ჩასახვის პერიოდად 1450 და 1640 წლებს შორის პერიოდს მიიჩნევდა. განვითარების ამ პერიოდის მნიშვნელობა პოლიტიკური და, მაშასადამე, სამხედრო უპირატესობიდან ეკონომიკურ უპირატესობაზე გადასვლაში გამოიხატება. ვალერშტაინი ეკონომიკას ეპყრობოდა, როგორც უფრო ქმედით საშუალებას, ვიდრე ისეთ პრიმიტიულ საშუალებას, როგორიც სამხედროა. პოლიტიკური სტრუქტურები ძალიან დიდი და მოუხეშავნი არიან, მაშინ, როდესაც ეკონომიკური ექსპლოატაცია „დაბალი ფენებიდან მაღალი ფენებისაკენ, პერიფერიებიდან ცენტრისაკენ, უმრავლესობისაგან უმცირესობისაკენ მოგების ნაკადის გაზრდას შესაძლებლად აქცევს“ (Wallerstein, 1974, p. 15). თანამედროვე ეპოქაში კაპიტალიზმი მსოფლიო ეკონომიკის ზრდისა და განვითარების საფუძველს უზრუნველყოფს. ეს კი გაერთიანებული პოლიტიკური სისტემის დახმარების გარეშე მიიღწევა. კაპიტალიზმი შეიძლება, პოლიტიკური უპირატესობის ეკონომიკური ალტერნატივის სახით განვიხილოთ. უმჯობესია, ეკონომიკური ნამეტის წარმოება შეგვეძლოს, ვიდრე პოლიტიკური ექსპლოატაციის პრიმიტიული მეთოდებით ვისარგებლოთ.

ვალერშტაინი ამტკიცებდა, რომ ფეოდალიზმის ნანგრევებზე მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდისთვის სამი შემადგენელი ნაწილის არსებობაა აუცილებელი: გეოგრაფიული ექსპანსია ახალი მიწების აღმოჩენის, მათი კვლევა-შესწავლის და კოლონიზაციის გზით; მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილში (მაგალითად, ცენტრალური ნაწილი, პერიფერია) სამუშაო ძალის მართვისა და კონტროლის მეთოდების დამუშავება; ძლიერი სახელმწიფოების განვითარება, რომლებმაც წარმოქმნადი მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ხერხემალი უნდა შეადგინონ. მოდით, თითოეული მათგანი რიგის მიხედვით განვიხილოთ.

3. გეოგრაფიული ექსპანსია

ვალერშტაინის აზრით, გეოგრაფიული ექსპანსია დანარჩენი ორი სტადიის განვითარებისთვის აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა. მაგალითად, პორტუგალიამ გამოიჩინა ინიციატივა, აეთვისებინა ოკეანისიქითა (დღევანდელი ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი) ტერიტორიები და მას სხვა დანარჩენი ევროპული სახელმწიფოებიც მიჰყვნენ. ვალერშტაინი ფრთხილობს, როცა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაზე ან მთლიანად ევროპაზე ლაპარაკობს. ის ამჯობინებს დაამკიცოს, რომ ოკეანისიქითა ექსპანია რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის მიერ იყო გამოწვეული, რომლებიც, პირველ რიგში, საკუთარი (ინდივიდუალური) ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდნენ. მათი ქმედება სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ელიტარული საზოგადოების ისეთ ჯგუფებს, როგორიც არისტოკრატები იყვნენ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დასავლეთის მიმართულებით ტერიტორიული ექსპანსია სჭირდებოდათ. პირველ რიგში, ისინი სოციალურ კლასებს შორის მწვავე დაპირისპირებას შეეჯახნენ, რომელიც ფეოდალური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ წარმოიშვა; ხოლო მონებით ვაჭრობამ ისინი დამჯერი და უპრობლემო სამუშაო ძალით უზრუნველყო, რომელიც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობდა. ექსპანსია ასევე მათ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის ისეთი სხვადასხვა აუცილებელი საგნებით ამარაგებდა, როგორიც ოქროს ზოდები, სურსათ-სანოვაგე და ნედლეულის სხვადასხვა სახეები იყო.

4. შრომის მსოფლიო დანაწილება

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ გეოგრაფიული ექსპანსიის პროცესი პირველად განიცადა, მან მზადება შემდეგი სტადიისთვის – შრომის მსოფლიო დანაწილების განვითარებისთვის დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნიდან კაპიტალიზმმა იმ დროს კარგად განვითარებული სტატიზმი (მსოფლიოში დომინირების ძირითადი წესი) ჩაანაცვლა, ის თანაბრად მაინც არ ვითარდებოდა და ამან, ვალერშტაინის აზრით, კაპიტალისტური სისტემის დარაზმულობა განაპირობა. მარქსისტული მიდგომის შესაბამისად, ვალერშტაინი ამ დარაზმულობას არა, როგორც ურთიერთშეთანხმებულ, არამედ დასაწყისიდანვე კონფლიქტებით გაჯერებულს განიხილავს. კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის სხვადასხვა ნაწილმა განსხვავებული მიმართულებით დაიწყო განვითარება. მაგალითად, სამუშაო ძალისთვის შესაფერისი განათლების მიცემა, საკვები პროდუქტების წარმოება, რესურსებით მომარაგება, წარმოების ორგანიზება. გარდა ამისა, სხვადასხვა ნაწილებმა სამუშაო ძალის სხვადასხვა სახის ფორმირებაზე დაიწყეს სპეციალიზება. მაგალითად, აფრიკა მონებით ამარაგებდა ევროპას, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში ძალიან დიდი რაოდენობით იყვნენ დამქირავებელი ფერმერები და გლეხები, დასავლეთ ევროპა, ამავდროულად, დაქირავებული მუშების, მმართველი კლასის და სხვა კვალიფიციური და მმართველი კადრების არსებობის მხრივ, ცენტრად ითვლებოდა.

ამგვარად, შრომის საერთაშორისო დანაწილების სამივე შემადგენელი ნაწილი შრომის პროცესის კონტროლის განსხვავებულ ხერხებს იყენებდა. ცენტრალურ ნაწილში შრომა თავისუფალი იყო, პერიფერიებში კი ძალადობრივ ხასიათს ატარებდა. სინამდვილეში, ვალერშტაინი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის არსი ცენტრალური ნაწილის არსებობაში გამოიხატება, სადაც წამყვანი როლი კვალიფიციური შრომითი რესურსის თავისუფალ ბაზარს და პერიფერიებში ნაკლებკვალიფიციური მშრომელებისათვის იძულებითი შრომის

ბაზარს ენიჭება. ასევე, მთელ მსოფლიოში თავისუფალი შრომის ბაზრის შექმნის შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ სოციალიზმი გვექნებოდა.

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონს მოკრძალებული სასტარტო შესაძლებლობები აქვს, რომლებიც მომავალში მნიშვნელოვანი უპირატესობების განვითარების საფუძვლად გამოიყენება. ცენტრალური ნაწილი XVI საუკუნეში, ძირითადად დასავლეთ ევროპა, სწრაფად ზრდიდა თავის შემოსავლებს იმ პროცესის გათვალისწინებით, თუ რა ტემპით იზრდებოდნენ და ვითრდებოდნენ ქალაქები, ვითარდებოდა მრეწველობა, ასევე, ვაჭრობაც დიდ მნივნელობას იძენდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ასევე აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოებს და მრავალფეროვან საქმიანობას ავითარებდნენ. ამავდროულად, თითოეული ამ საქმიანობიდან, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო სპეციალიზებული ხდებოდა და ამით შრომის წარმოების ეფექტიანობას და ნაყოფიერებას ზრდიდა. პერიფერია, პირიქით, ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს, ინარჩუნებდა სტაბილურობას და ემსგავსებოდა ისეთ რამეს, რასაც ვალერშტაინი „მონოკულტურულ“, ანუ არადიფერენცირებულ, ცალმხრივად წარმართულ საზოგადოებას უწოდებს.

5. ძლიერი სახელმწიფოების განვითარება

მსოფლიო სისტემის განვითარების მესამე სტადია პოლიტიკურ ნაწილს და იმას მოიცავს, თუ სხვადასხვა ეკონომიკური ჯგუფები საკუთარი ინტერესების დაცვისა და განვითარებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებს როგორ იყენებენ. თითქმის იმავე პერიოდში, როდესაც ვითარდებოდა კაპიტალიზმი, დასავლეთ ევროპაში მონარქია აღმოცენდა. XVI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ეს სახელმწიფოები ევროპაში ძირითად მოქმედ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდნენ, თუმცა მოგვიანებით ცენტრმა ეკონომიკური საწარმოო ერთეულისკენ გადაინაცვლა. სისტემის ცენტრალურ ნაწილში ძლიერმა სახელმწიფოებმა კაპიტალიზმისა და, საბოლოო ჯამში, საკუთარი დასასრულის/გავლენის დაკარგვის ეკონომიკური საფუძვლის განვითარებაში საკვანძო მნიშვნელობის როლი ითამაშეს. ევროპული სახელმწიფოები XVI საუკუნეში ბიუროკრატიული სისტემების გაძლიერებისა და განვითარების და საზოგადოებაში ძალის მონოპოლიის შექმნის წყალობით ძლიერდებოდნენ, ასევე, ძალაუფლების მონოპოლიზებით აღნიშნულ რეგიონში. ეს პროცესი ჯარის გაძლიერების წყალობით მიმდინარეობდა ისე, რომ მათ შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფა შესძლებოდათ. იმ დროს, როდესაც ცენტრალური ნაწილის სახელმწიფოები ძლიერ პოლიტიკურ სისტემას ქმნიდნენ, შესაბამისად, პერიფერიებზე სუსტი სახელმწიფოები ვითარდებოდნენ.

შემდგომი დამუშავებები

თავისი ნაშრომის მეორე ნაწილში – „საერთაშორისო მსოფლიო სისტემა II“ – ვალერშტაინი 1600-1750 წლებში მსოფლიო ეკონომიკის კონსოლიდაციაზე საუბრობს. ამ პერიოდში ევროპული „მსოფლიო ეკონომიკის“ მძლავრი ექსპანსია არ შეინიშნებოდა, თუმცა გარკვეული ცვლილებები თვით სისტემის შიგნით მაინც ხდებოდა. მაგალითად, აღმასვლა და შემდეგ, ეგრევე, დაღმასვლა ნიდერლანდების სამეფოს ცენტრალურ ნაწილში. შემდეგ იგი ინგლისსა და საფრანგეთს შორის კონფლიქტს და ასევე, ჯამში, ინგლისის გამარჯვებას აანალიზებს. პერიფერიის დაწვრილებით განხილვისას იგი ესპანური ამერიკის პერიოდულ წარმატებებსაც ეხება. პერიფერიების ნახევარზე, სხვათა შორის, ჩვენ ესპანეთის დაცემას და შვეციის აღმასვლას ვხედავთ. ვალერშტაინი თავის ისტორიულ ანალიზს მარქსისტული თვალსაზრისიდან გამომდინარე აგრძელებს. მას მიაჩნია, რომ შრომის დანაწი-

ლების საერთაშორისო სისტემაში ძალზედ მნიშვნელოვანი როლები სხვადასხვა საზოგადოებებმა ითამაშეს, რამაც ძლიერ იმოქმედა და, გარკვეულწილად, ზემოხსენებული სისტემა შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ვალერშტაინი პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს ყურადღებას აქცევდა, მთავარი მისთვის მსოფლიო ისტორიაში ეკონომიკური ფაქტორების როლი იყო.

უფრო გვიანდელ ნაშრომებში ვალერშტაინს თავისი ისტორიული ანალიზი 1840-იან წლებამდე მიჰყავს. ის მსოფლიოს მასშტაბის (1730 და 1840 წლების პერიოდში) სამ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას განიხილავს: სამრეწველო გადატრიალება (პირველ რიგში ინგლისში), საფრანგეთის რევოლუცია და ევროპული დეკოლონიზაცია ამერიკაში. მისი შეხედულებებიდან გამომდინარე, არც ერთ ისტორიულ მოვლენას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში ძირფესვიანი ცვლილებები არ გამოუწვევია, პირიქით, ისინი მის სამომავლო „კონსოლიდაციასა და გაძლიერებას“ ადასტურებდნენ.

ვალერშტაინი მსოფლიო სისტემაში წამყვანი პოზიციებისთვის ინგლისსა და საფრანგეთს შორის მეტოქეობას უსვამს ხაზს. მისი წინამორბედის ანალიზის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკა სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ახლა კი ის ვითარდება და დიდი ბრიტანეთი, განვითარების დონის მიხედვით, მზად არის, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია მოახდინოს. ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში უკვე საკმაოდ მსხვილი და დატვირთული სამრეწველო ობიექტებია წარმოდგენილი. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ XVII ს-ში სამრეწველო დატვირთვით საფრანგეთი დომინანტი ქვეყანა იყო. საფრანგეთის რევოლუციამ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რადგან მან ფეოდალიზმის დარჩენილი ნაწილის განადგურებას ხელი შეუწყო და კულტურულ-იდეოლოგიურ ნორმათა სისტემა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებთან შესაბამისობაში მოიყვანა. მაგრამ, ამასთანავე, ამან საფრანგეთის სამრეწველო განვითარებას ისევე შეუშალა ხელი, როგორც ეს მისმა შემდგომმა ნაპოლეონისეულმა წესებმა და ომებმა გააკეთეს. ამ პერიოდის დასასრულს „ბრიტანეთმა მსოფლიო სისტემაში ჰეგემონის როლი საბოლოოდ განიმტკიცა“.

1750 და 1850 წლებს შორის არსებული პერიოდი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის პერიფერიაში ახალი ფართო ზონების (ინდოეთის სუბკონტინენტის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების, აგრეთვე დასავლეთ აფრიკის) ჩართვით აღინიშნება. ეს ზონები იმის ნაწილი იყო, რასაც ვალერშტაინმა მსოფლიო სისტემის „გარე სფერო“ უწოდა და, მაშასადამე, მას კი უერთდებოდნენ, მაგრამ, ამავე დროს, მასთან ერთად ერთიან სისტემას არ შეადგენდნენ. გარე ზონები – ეს ის ტერიტორიებია, საიდანაც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას საქონლის მიღება სურდა, მაგრამ ამ სისტემის წამყვანი ქვეყნებიდან საწარმოო საქონლის ურთიერთიმპორტირებას ეწინააღმდეგებოდნენ. საბოლოოდ, ამ გარე ზონების ჩართვით, ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც გარე სახელმწიფოებს მიეკუთვნებოდნენ, ასევე მსოფლიო სისტემაში ჩართული აღმოჩნდნენ. მაგალითად, ინდოეთის ჩართვამ გამოიწვია ის, რომ ჩინეთი ამ სისტემის პერიფერიად იქცა. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ჩართვის სიჩქარე გაიზარდა და „მთელი მსოფლიო, თვით ის ნაწილებიც კი, რომლებიც მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის გარე ზონა არასდროს ყოფილან, მის შიგნით ჩართული აღმოჩნდნენ“ (Wallerstein, 1989, p. 129). მსოფლიო სისტემაში შესვლის პრეტენზიას უკვე მასში ჩართული სახელმწიფოები კი არ აცხადებდნენ, არამედ ეს უფრო გაფართოებისადმი თავად სისტემის მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი და ასეთი მოთხოვნილება თავად სისტემაში შინაგანი ზეწოლის შედეგი იყო (Wallerstein, 1989, p. 129). გარდა ამისა, ჩართვის პროცესი არა ნახტომისებრ, არამედ თანდათანობით ხასიათს ატარებდა.

„ეკონომიკაზე თავისი მარქსისტული შეხედულების გათვალისწინებით, ვალერშტაინი ამტკიცებდა, რომ, ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შესვლასთან ერთად, ამ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურაც სახელმწიფოთაშორისი სისტემის ნაწილი ხდებოდა. ამგვარად, მსოფლიო სისტემაში შესული ზონების სახელმწიფოები იძულებულნი არიან, მოითმინონ ტრანსფორმაციები სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური სისტემის ნაწილად გახდომისას, ახალ პოლიტიკურ ფორმებს, რომლებსაც ამ როლის შესრულების თავის თავზე აღება სურთ, ადგილი დაუთმონ ან იმ ქვეყნების ხელმძღვანელობას დაემორჩილონ, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ნაწილად უკვე იქცნენ. სახელმწიფოები, რომლებიც სისტემაში შესვლის დასასრულს წარმოიშობიან, არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი სისტემის ნაწილი უნდა იყვნენ, არამედ საკმარის ძალასაც უნდა ფლობდნენ იმისთვის, რათა გარეგანი ჩარევებისაგან თავისი ეკონომიკა დაიცვან. ამასთანავე, ისინი მეტისმეტად ძლიერ წარმონაქმნებად არ უნდა იქცნენ; ე. ი. არა იმდენად, რათა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მიერ ნაკარნახევ შეთანხმებულ ქმედებებზე უარის თქმა შეძლონ“ (Ритцер Джордж. Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с.198).

საბოლოოდ, ვალერშტაინი ამერიკის კონტინენტზე 1750-1850-იან წლებში დეკოლონიზაციის პროცესს იკვლევს. კერძოდ კი, იგი დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის მმართველობისაგან ამ კონტინენტის გათავისუფლებას დაწვრილებით იკვლევს. ამ დეკოლონიზაციას, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის განვითარებაში შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა.

6. მსოფლიო სისტემის თეორია დღეს

მარქსისტები აკრიტიკებენ ვალერშტაინის იმ შეხედულებას, რომ მსოფლიო ერთიანი და მთლიანი სისტემაა და იმისათვისაც, რომ მასში საზოგადოების შიგნით კლასებს შორის არსებულმა დამოკიდებულებებმა ადეკვატური ასახვა ვერ პოვეს. მათი აზრით, ვალერშტაინმა განხილვის ობიექტი არასწორად შეარჩია. მარქსისტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულ საზოგადოებებში სოციალურ კლასებს შორის დამოკიდებულება და არა „ცენტრი-პერიფერია“ სქემით შრომის საერთაშორისო განაწილებაა. ბერგსენი ორივე პოზიციის, თითოეულ მათგანში სუსტი და ძლიერი მხარეების მოძიებით, მორიგებას ცდილობს. იგი ამტკიცებს, რომ ცენტრი – პერიფერია დამოკიდებულება არა მხოლოდ არათანაბარი გაცვლის დამოკიდებულებას, არამედ მსოფლიო კლასობრივ დამოკიდებულებებსაც წარმოადგენს. მისი ძირითადი იდეა ისაა, რომ ცენტრი-პერიფერია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, როგორც საცვლელი დამოკიდებულება, როგორც ეს ვალერშტაინს წარმოუდგენია, არამედ, როგორც დამოკიდებულება, რომელიც იმის შედეგად ყალიბდება, თუ საზოგადოებაში ძალაუფლებას ვინ ფლობს, ე. ი. კლასობრივი დამოკიდებულება.

ბოლო დროს მსოფლიო სისტემის თეორია სპეციალისტების საკვლევი საგანი გახდა, მათ თანამედროვე საზოგადოების არსი, მისი უახლოესი მომავალი და, ასევე, არცთუ ისე შორეული წარსული აინტერესებთ. ვალერშტაინის მტკიცებით, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო სისტემის წამყვან ძალას 1945-1990 წლებში წარმოადგენდა. მათ დომინანტობას ძირითადად მეორე მსოფლიო ომის დასასრულს მიაღწიეს, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის შეჩერების პოლიტიკის გატარება აქტიურად დაიწყეს. გარდა იმისა, რომ ამ პოლიტიკამ, საბოლოო ჯამში, არსებულ სამხედრო მდგომარეობამდე მიიყვანა სახელმწიფო, მან, ამავდროულად, მსოფლიო ეკონომიკაზეც საგრძნობლად იმოქმედა. საბჭოთა კავშირი დათანხმდა იმას, რომ შეერთებულ შტატებს არ სთხოვდა და არც არანაირ ეკონო-

მიკურ დახმარებას მიიღებდა. ამგვარად, მან ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ურთიერთობის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ორივე პოლიტიკურ მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა, გაეკიცხა მეორე. ეს ორმხრივი კრიტიციზმი მათი შინაგანი სტრუქტურისა და სახელმწიფოს შინაგანი კონტროლის გაძლიერებას ხელს უწყობდა, განსაკუთრებით, „მემარცხენეებზე“ ან „ყველა იმათზე, ვისაც არსებული მსოფლიო წესრიგის, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ეჭვის ქვეშ დაყენება სურდა. ეს ეკონომიკა აშშ-ის მეთაურობით და იმათთან საიდუმლო გარიგებით ვითარდებოდა, ვინც შეიძლება მათ „იმპერიალისტურ“ აგენტად – საბჭოთა კავშირად იწოდებოდეს. „შეთანხმების“ მესამე მნიშვნელობა იყო ის, რომ მესამე მსოფლიოს ქვეყნების არსებობა თუ მოქმედება მსოფლიო ეკონომიკის სისტემას ვერ დაარღვევდა და, მით უმეტეს, ვერ შეცვლიდა.

1960-იანი წლებისთვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის მიზანს მიაღწია და ამ სისტემაში შემავალი ქვეყნების ფონზე მოწინავე პოზიცია დაიკავა, თუმცა ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა რიგი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ლიდერ სახელმწიფოს ევალებოდა. ამგვარი პრობლემების მაგალითია მდიდრებსა და ღარიბებს შორის კონტრასტის ზრდა როგორც შეერთებულ შტატებში, ისე დანარჩენ მსოფლიოში და ის, რომ დასავლეთი ევროპა და იაპონია იმ პერიოდისთვის იმდენად გაძლიერდა, რომ მალე კონკურენციასაც გაუწევდა აშშ-ს.

ვალერშტაინის მიხედვით, ამ ცვლილებებმა კულმინაციას 1968 წელს მიაღწია, როცა მსოფლიო აჯანყებებმა და საპროტესტო გამოსვლებმა შეაზანზარა: „გამოსვლები, რომლებმაც მსოფლიო შეაზანზარა, სამ წელს გაგრძელდა, სანამ მსოფლიო სისტემის მხარდამჭერმა ძალებმა ამ მოგიზგიზე კოცონის გაკონტროლება შეძლეს“ (Wallerstein, 1992, p. 11). მაგრამ ეს გამარჯვება ძვირი დაჯდა, რასაც მსოფლიო ეკონომიკაში ხანგრძლივი შეყოვნებები მოჰყვა. აშშ-ში 20-წლიანი დაცემის პერიოდი დაიწყო, რომლის შეჩერებაც მათ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირმა მეტად ვეღარ შეძლო, თავისი თავი, როგორც „ფსევდოიმპერია“ შეენახა და იძულებული გახდა, დაშლილიყო. ვალერშტაინი დაასკვნის: ამგვარად, „აშშ-ის გაფურჩქვნის წლები უკან დარჩა. სცენის ფიცარნაგი იშლება“ (იქვე, გვ. 16).

რას გვიქადის მომავალი? „მართალია აშშ-ის ეკონომიკა კი მერყეობს, მაგრამ ჰეგემონის ძალაუფლება იმდენ ცხიმოვან ფენას ფლობს, რომ მის ხარჯზე კიდევ 50-100 წელი გაძლოს“ (Wallerstein, 1992, p. 22). ვალერშტაინი ეჭვით უყურებს ამერიკა-იაპონიის კარტელების წარმოშობას, მხედველობაში აქვს იაპონიის ეკონომიკის 1990-იანი წლების ვარდნა, სადაც ამერიკას, ამავე დროს, უმცროსი პარტნიორის როლს აკუთვნებენ. „აშშ თავის სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას შეინარჩუნებს, მაგრამ ამ დაღმასვლის ფსიქოლოგიურად გადატანაა ძნელი“ (Wallerstein, 1992, p. 22). ამერიკელები დაბადებიდავე შეეჩვივნენ მსოფლიო სისტემის სათავეებთან ყოფნას და უფრო ნაკლებად პრივილიგირებულ მდგომარეობასთან შეგუება მათთვის ძნელი იქნება.

მომავლისადმი ყურადღების გამახვილებისას, ვალერშტაინი უახლოეს 50 წლის განმავლობაში მსოფლიო სისტემის სტრუქტურაში ძირეულ ცვლილებებს ხედავს. მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის დაძაბულობა გაიზრდება. საკითხავი მხოლოდ ის რჩება, რეპრესიული თუ გამთანაბრებელი რეკონსტრუქციის რომელ მხარეზე გაკეთდება არჩევანი. ამავე დროს, საჭირო გახდება მსოფლიო სიმდიდრის მნიშვნელოვანი გადანაწილება, თანაც არა აშშ-ის სასარგებლოდ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გადადგილებების შედეგად მსოფლიო სისტემა პრინციპულად სხვა სახით წარმოგვიდგება.

ამგვარად, „ი. ვალერშტაინი, რომელმაც საკუთარი აკადემიური კარიერა, როგორც აფრიკის ისტორიისა და პოლიტიკის მკვლევარ-სპეციალისტმა დაიწყო, თავის ე.წ. „მსოფლიო-სისტემის თეორიაში“ წარმოუდგენლად ამბიციური ჩანაფიქრის განხორციელებას – მეხუთმეტე საუკუნეში ევროპული ექსპანსიიდან თითქმის დღემდე მსოფლიოს ისტორიის დაწერას შეეცადა. იმ წარმოდგენიდან ამოსვლისას, რომ მსოფლიო ეკონომიკა რამდენიმე საერთაშორისო ცენტრისაგან(ამ პერიოდის დასაწყისში სევილიიდან და ამსტერდამიდან, XVIII – XIX საუკუნეებში ლონდონიდან, დაბოლოს, დღეს ნიუ-იორკ სიტიდან) იმართებოდა და იმართება დღესაც, ვალერშტაინი სახელმწიფოებრივ სისტემასაც ეკონომიკურ სტრუქტურებზე დამოკიდებულ სისტემად აღწერს. ეს კი მას საშუალებას აძლევს, ერთი – თუ ერთადერთი არა – თეორიული უნივერსალური გასაღების დახმარებით, მსოფლიო „ცენტრად“, „ნახევარპერიფერიად“ და „პერიფერიად“ დაანაწევროს და ამ ამოსავალი პოზიციებიდან მაკროსოციალურ – ტრანსფორმაციული პროცესები აღწეროს და ახსნას.

მიუხედავად იმისა, რომ ვალერშტაინის მიერ შემუშავებული მოდელის რედუქციონიზმი აშკარა, ხოლო მრავალი მისეული ახსნა კი საეჭვო იყო, რადგან ყველა ისტორიული მოვლენა მასში, საბოლოო ანგარიშით, არატოლფას ეკონომიკურ გაცვლაზე დაიყვანებოდა, მაინც, მსოფლიო-სისტემის თეორია და მისი ანალოგიური მიდგომები მეოცე საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ყველაზე გავლენიანი მაკროსოციოლოგიური პარადიგმები იყო. აშკარა იყო მოდერნიზაციის თეორიის ემპირიული დაუსაბუთებლობა და უსაფუძვლობა, მაშინ როდესაც მარქსისტული არგუმენტი, რომელიც აღმაშფოთებელ ექსპლუატაციაზე მიუთითებდა, მესამე სამყაროს ქვეყნებში „განვითარების“ პროექტების კრახს გაცილებით დამაჯერებლად ხსნიდა. საერთაშორისო სოციალურ დებატებში, ერთმნიშვნელოვნად, დამოკიდებულებების თეორია და ვალერშტაინის მსოფლიო-სისტემის თეორია დომინირებდა“ (Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524).

მაგრამ ყველაზე გვიან, 1980-იანი წლების შუახანებიდან, სიტუაცია შეიცვალა, ამ ცვლილებას კი რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

პირველი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლური ბლოკის დაშლის შემდეგ ოფიციალური პარტიული მარქსიზმი ისეთ კრიზისს განიცდიდა, რომლის ვერდანახვა უკვე შეუძლებელი გახდა. ამასთან ერთად, ვალერშტაინისა და დამოკიდებულების თეორიების მიერ წარმოდგენილი დასავლური მარქსიზმი იძულებული იყო საკუთარი ამხსნელი მოდელების ნაკლოვანებების წინააღმდეგ ებრძოლა, რადგან მეორე, ე. წ. აზიელი ვეფხვების, კერძოდ, სამხრეთ კორეისა და ტაივანის ეკონომიკური აღმასვლა, ნათლად აჩვენებდა იმ ქვეყნების განვითარებას, რომელთაც ამგვარი ნახტომის გაკეთება არ ძალუძდათ. მესამე, ამან გამოიწვია ის, რომ მოდერნიზაციის თეორიამაც კი, რომელზეც უარი დიდი ხნის წინათ თქვეს, მორიგი აღმასვლა განიცადა, ვინაიდან ამ ტენდენციებში სავსებით შესაძლებელი იყო, დასავლური ღირებულებების სისტემის და ინსტიტუტების უპირატესობის მტკიცებულებები დაგვენახა. დაბოლოს, მეოთხე, ასევე ამან გამოიწვია ის, რომ ტ. პარსონსის თეორია საერთაშორისო სოციოლოგების მიერ ხელახლა იქნა აღმოჩენილი.

ნ. ლუმანის მიმდევრის – შტიხვეს აზრით, ვალერშტაინის ასე მნიშვნელოვანი, ცენტრისა და პერიფერიის ეკონომიკურად დასაბუთებული განსხვავება „ძველ ევროპულ“ მოდელს ემყარება, რომელიც მოდერნისთვის ასე დამახასიათებელ ფუნქციონალურ დიფერენციაციას არ თუ ვერ ითვალისწინებს, რამეთუ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქალაქებსა და სოფლის რეგიონებს, ასევე, ბირთვული შეიარაღების მქონე სახელმწიფოებსა და პერიფერიულ სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები მზარდი ფუნქციონალური დიფერენციაციის პროცესში ემპირიულ მნიშველობას კარგავს.

მკვლევართა აზრით, ვალერშტაინმა თავისი პირველადი განზრახვების, რომლებსაც ის მსოფლიო-სისტემის თეორიის შექმნისას მისდევდა, რეალიზება სათანადო სახით სწორედ მისი ეკონომიზმის ძალით ვერ შეძლო.

შეჯამება

იმანუილ ვალერშტაინი

იმანუილ ვალერშტაინი ამტკიცებდა, რომ ფეოდალიზმის ნანგრევებზე მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდისთვის სამი შემადგენელი ნაწილის არსებობაა აუცილებელი: გეოგრაფიული ექსპანსია, ახალი მიწების აღმოჩენის, მათი კვლევა-შესწავლის და კოლონიზაციის გზით; მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილში (მაგალითად, ცენტრალური ნაწილი, პერიფერია) სამუშაო ძალის მართვისა და კონტროლის მეთოდების დამუშავება; ძლიერი სახელმწიფოების განვითარება, რომლებმაც წარმოქმნადი მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ხერხემალი უნდა შეადგინონ.

საკითხავი მასალა:

ამონარიდი წიგნიდან: Валлерштаин И. Конец знакомого мира. Социология XXI века. М., Логос, 2004

იმანუილ ვალერშტაინი

ნაცნობი სამყაროს (მსოფლიოს) დასასრული

ეძღვნება ჯეკობს, ჯესის, ედამს და ჯოშუას – დაე მათ აღმოაჩინონ თავისთვის უფრო სასარგებლო სოციოლოგია, ვიდრე ის, რომელსაც მე შევეჯახე მაშინ, როდესაც მისი შესწავლა დავიწყე.

და დონ პაბლო გონსალეს კაზანოვას – რომლის შრომა მთელი ცხოვრების მანძილზე სოციოლოგიის უფრო დემოკრატიული სამყაროს სამსახურში ჩაყენების მცდელობა იყო და რომელიც ყველა ჩვენგანს შთაგვაგონებდა.

განუზღვრელობა და შემოქმედება: ამოსავალი დებულებები და დასკვნები

(ეს არის „ფორუმი 2000 – განგაში და იმედები ახალი ათასწლეულის ზღვრებზე“ გაკეთებული მოხსენების ტექსტი, რომელიც 1997 წლის 3-6 სექტემბერს პრაღაში ჩატარდა).

ჩემი წარმოდგენით, XXI საუკუნის პირველი ნახევრის სოციუმი თავისი სირთულით, არამდგრადობით და, ამასთან ერთად, ღიაობით ყოველივე იმაზე, რაც ჩვენ XX საუკუნეში გვინახავს, ბევრად იქნება აღმატებული. ეს თეზისი სამ ამოსავალ წანამძღვარს ემყარება:

პირველის მიხედვით, ისტორიულ სისტემებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვას, სიცოცხლის შეზღუდული ვადა აქვთ. მათ დასაწყისი და განვითარების ხანგრძლივი პერიო-

დი აქვთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იმის შესაბამისად, რაც უფრო შორდებიან-გადაიხრებიან წონასწორობიდან (წონასწორობას კარგავენ) და ბიფურკაციის წერტილს აღწევენ, დასარულიც დგება.

მეორე ამოსავალი წანამძღვარი გვაუწყებს, რომ ბიფურკაციის ასეთ წერტილებში უმნიშვნელო ზემოქმედებები მასშტაბურ ცვლილებებს იწვევს (განსხვავებით სისტემის ნორმალური განვითარების პერიოდებიდან, როდესაც ძლიერ ზემოქმედებას მხოლოდ შეზღუდული შედეგები მოაქვს), ხოლო თვით ბიფურკაციის შედეგები თავისი ბუნებით გაუთვალისწინებელი და გამოუთქმელია.

მესამე წანამძღვრის მიხედვით კი, თანამედროვე მსოფლიო სისტემა, როგორც ისტორიული/დასრულებადი, კრიზისის სტადიაში შევიდა და საეჭვოა, ნახევარი საუკუნის შემდეგ იარსებებს თუ არა.

მაგრამ, რამდენადაც კრიზისის შედეგების გამოცნობა წინასწარ შეუძლებელია, ამდენად ჩვენ არ ვიცით, ახალი სისტემა(სისტემები), რომელიც ამ ცვლილებების შედეგად ძველის ნაცვლად ჩამოყალიბდა, იმაზე ცუდი ან უკეთესი იქნება, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. მაგრამ რაც დანამდვილებით ვიცით ისაა, რომ გარდამავალი პერიოდი ცვლილებების მრისხანე ეპოქა იქნება, რამდენადაც გადასვლის ფასი უკიდურესად მაღალია, მისი პერსპექტივები უკიდურესად ბნელი/ბუნდოვანი, ხოლო საბოლოო შედეგებზე მცირე ცვლილებების ზემოქმედების პოტენციალი კი განსაკუთრებით დიდია. ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ 1989 წელს კომუნისტური რეჟიმების კრახი ლიბერალიზმის დიდ ტრიუმფს, გამარჯვებას ნიშნავდა. მე კი ამაში ლიბერალიზმის, როგორც ჩვენი მსოფლიო სისტემის გეოკულტურის განმსაზღვრელის, ცხადი/ნათელი კრახის ნიშანს ვხედავ. ლიბერალიზმი გვპირდებოდა, რომ თანმინდევრული რეფორმირება მოცემული მსოფლიოს წესრიგისთვის დამახასიათებელ დისპროპორციებს გაასწორებდა და პოლარიზაციის სიმწვავეს კი შეამცირებდა. თანამედროვე მსოფლიო სისტემის ჩარჩოებში ამ მიზანთა მიღწევის ილუზია არსებითად უძლიერესი მასტაბილიზებელი ფაქტორი იყო, რამდენადაც მოსახლეობის თვალში სახელმწიფოს ამართლებდა/ ლეგიტიმაციას უკეთებდა და უახლოეს მომავალში ადამიანებს დედამიწაზე სამოთხის შექმნას ჰპირდებოდა. „მესამე მსოფლიოში“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დაცემის და დასავლეთში კეინსიანური მოდელისადმი ნდობის კრიზისის გამწვავებათან ერთად კომუნიზმის კრახი – ყველაფერი ეს ერთად და ერთდროულად, ყველა წარმოდგენილი რეფორმისტული პროგრამის ცხოველმყოფელობასა/ქმედუნარიანობასა და რეალისტურობაში მასობრივი იმედგაცრუების ასახვად იქცა. ასეთი იმედგაცრუება, როგორადაც არ უნდა აფასებდნენ მას, მასობრივ ცნობიერებაში სახელმწიფოების ლეგიტიმურობას ძირს უთხრის და, შესაბამისად, მათ მოსახლეობას ჩვენი მსოფლიო სისტემის სტრუქტურაში გაგრძელებადი და მზარდი პოლარიზაციის მოთმენა/ატანის საფუძვლებს ართმევს. ამიტომ, იმ ძვრებთან შედარებით, რომლის მოწმენიც ჩვენ მეოცე საუკუნის 90-იან წლეებში რუანდიდან დაწყებული მომავლის რეგიონებამდე(აშშ) დამთავრებული ვიყავით, უფრო სერიოზულ რყევებსა და ძვრებს მოველით. ასეთია ჩემი შეხედულება, რომლის აქ დასაბუთების საშუალება მე აქ არ მაქვს, თქვენ კი შეგიძლიათ იგი გაიზიაროთ ან არ გაიზიაროთ. მაგრამ მე მსურს, ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე ზოგიერთი დებულება და პოლიტიკური ხასიათის დასკვნა გაგაცნოთ და შემოგთავაზოთ.

პირველი დასკვნა ისაა, რომ პროგრესი განმანათლებლობის ყველა დარიგება/შეგონების მიუხედავად და საპირისპიროდ, სრულებითაც არ არის გარდუვალი. მაგრამ არც იმას ვფიქრობ, რომ იგი ამ მიზეზით შეუძლებელია. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სამყარო/მსოფლიო არ გამხდარა უფრო ზნეობრივი, მაგრამ მას შეეძლო ასეთი გამხდა-

რიყო. ჩვენ ძალგვიძს იმ მიმართულებით ვიმოძრაოთ, რომელსაც მაქს ვებერმა „არსობრივი-მატერიალური რაციონალურობა“ უწოდა, ე.ი. კოლექტიური და გონივრული ქმედებების გზით მიღწეული რაციონალური ღირებულებებისა და რაციონალური მიზნების მიმართულებით ვიმოძრაოთ.

მეორე დასკვნა ისაა, რომ განსაზღვრულობა-გარკვეულობის რწმენა – მოდერნითის ფუნდამენტური წანამძღვარი – მცდარი და საზიანოა. თანამედროვე მეცნიერება – კარტეზიანულ-ნიუტონისეული მეცნიერება – უეჭველ გარკვეულობა-განსაზღვრულობას ემყარება. დასაწყისიდანვე დაშვებულია და ნავარაუდევი ისეთი ობიექტური უნივერსალური კანონების არსებობა, რომლებიც ყველა ბუნებრივ მოვლენას მართავს, ზუსტად ასევე დაშვებული და მიღებულია მათი მეცნიერული წვდომის შესაძლებლობაც. აქედან გამომდინარეობს, რომ ამოსავალი მონაცემების გარკვეული ნაკრების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია წარსული და მომავალი აბსოლუტურად ზუსტად გამოვითვალოთ.

ხშირად ამტკიცებენ, რომ მეცნიერების ასეთი გაგება სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანული იდეის საერო/ამქვეყნიური ინტერპრეტაცია, რომელშიც „ღმერთი“ შეცვლილია „ბუნებით“, და რომ განსაზღვრულობა – გარკვეულობის დაშვება რელიგიური ჭეშმარიტებებიდან გამომდინარეობს და სრულად შეესატყვისება მათ. მე არ მინდა აქ Perse თეოლოგიური დისკურსის დაწყება, მაგრამ მე მუდამ მეჩვენებოდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთის რწმენა, რომელიც ყველა დასავლურ რელიგიას (იუდაიზმს, ქრისტიანობას და ისლამს) ახასიათებს, ლოგიკურად და მორალურად განსაზღვრულობა-გარკვეულობის რწმენასთან შეუთავსებელია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი ყოვლადძლიერი არ იქნებოდა. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე ისტორიის გარიჟრაჟზე მეცნიერებს, რომელთაგან მრავალი ღვთის მორწმუნე იყო, შეეძლოთ ჩაეთვალათ, რომ ისინი გაბატონებული თეოლოგიის თანხმიერ თეზისებს იცავდნენ და, მართლაც, იმ დროის მრავალი თეოლოგი ასეთი ფიქრის საბაბს ნამდვილად იძლეოდა. მაგრამ, ცხადია, სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეცნიერული განსაზღვრულობა – გარკვეულობის რწმენა – რწმენათა რელიგიური სისტემების აუცილებელ დანამატს წარმოადგენს.

უფრო მეტიც, დღეს გარკვეულობა-გასაზღვრულობის პოსტულატს ძალიან ხისტად, და მე ვიტყოდი, დამაჯერებლად თავად ბუნებისმეცნიერების ჩარჩოებში აკრიტიკებენ. ამას ადასტურებს ილია პრიგოჟინის კვლევა, სადაც ის ასაბუთებს, რომ თვით ბუნებისმეცნიერებების მიერ ყველაზე მკაცრად აღწერილი დინამიკური მექანიკური სისტემებიც კი დროის ისრით იმართება და წონასწორობიდან აუცილებლად-გარდუვალად შორს იხრება. ამ ახალმა შეხედულებებმა არათანაბრობის თეორიის სახელწოდება მიიღო, რადგან ისინი იმაზეა აგებული, რომ ნიუტონისეულ განსაზღვრებას მხოლოდ ძალიან შეზღუდულ და მარტივ სისტემებში აქვს ადგილი, და ასევე იმიტომ, რომ, მათი აზრით, სამყარო სირთულის ევოლუციურ ზრდას აჩვენებს და სიტყვების დიდი უმრავლესობა შეუძლებელია, სწორხაზობრივი წინსწრებისა და დროის შექცევადობის შესახებ თეზისებიდან ამოსვლით დამაჯერებლად იქნეს ახსნილი.

მესამე დასკვნა ემყარება იმას, რომ ყველაზე რთულ სოციალურ სისტემებში, და ამიტომ სამყაროში, ანალიზს ყველაზე ძნელად დაქვემდებარებად სისტემებს შორის საუკეთესო საზოგადოების ასაშენებლად მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა. უფრო მეტიც, სწორედ ერთი ისტორიული სისტემიდან მეორე სისტემაზე (რომლის ბუნებაც ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ ვიცოდეთ) გადასვლის პერიოდებში ეს ბრძოლა დიდ მნიშვნელობას იძენს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ასეთ გარდამავალ პერიოდებში ის, რასაც ჩვენ თავისუფალ ნებას ვუწოდებთ, იტანს არსებული სისტემის ზეწოლას, რომელიც წონასწორობის აღდგენისაკენ მიისწრაფვის. ამგვარად, ფუნდამენტური ცვლილებები შესაძ-

ლებელია, თუმცა არასდროს – წინასწარგანსაზღვრად-გამოცნობადი, და ეს მორალურ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, გვაიძულებს, რაციონალურად, პატიოსანი, ღირსეული განზრახვებით ვიმოქმედოთ და იმ იმედით ვიაქტიუროთ, რომ უფრო თანამედროვე ისტორიულ სისტემას ვიპოვით.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ როგორი იქნება მისი სტრუქტურა, მაგრამ შეგვიძლია განვსაზღვროთ ის კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ისტორიულ სისტემას არსობრივრაციონალური ვუწოდოთ. ეს სისტემა უპირატესად – ეგალიტარული და, ძირითადად, დემოკრატიულია. მათ შორის შინაგანი კავშირი არსებობს. ისტორიული სისტემა შეუძლებელია ეგალიტარული იყოს, თუ იგი ამავე დროს დემოკრატიული არ იქნება, რამდენადაც არადემოკრატიული სისტემა ძალაუფლებას არათანაბრად ანაწილებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ყველა დანარჩენსაც ასევე არათანაბრად გაანაწილებს. ასევე, მას არ შეუძლია იყოს დემოკრატიული, თუ იგი ეგალიტარული არ იქნება, რადგან სისტემის არაეგალიტარულობა გულისხმობს, რომ ერთი უფრო მეტ მატერიალურ ფასეულობებს ფლობს, ვიდრე სხვები და ამიტომ უცილობლად დიდ პოლიტიკურ ძალაუფლებას დაეუფლება.

მეოთხე დასკვნის მიხედვით, განუსაზღვრელობა მშვენიერია, განსაზღვრულობა კი, თუ მას მართლა აქვს ადგილი სინამდვილეში, მორალური სიკვდილის დარი იქნება. ჩვენი მომავალი რომ ვიცოდეთ, მაშინ რაიმეს გაკეთების ზნეობრივი მოტივი არ იარსებებდა. ჩვენ ნებისმიერი ვნების, ლტოლვის ხელის არშეშლის თავისუფლება და საკუთარი ეგოიზმის გაჯეჯილების შესაძლებლობა გვექნებოდა, რამეთუ ასეთ შემთხვევაში ყველა მოქმედება წინასწარდადგენილი განსაზღვრების ჩარჩოებში კარგად მოთავსდებოდა. თუ ყველაფერი საბოლოოდ არ არის განსაზღვრული, მაშინ კაცობრიობისათვის შემოქმედება – როგორც ადამიანური, ისე მთელი ბუნებრივიც – ღიაა. იგი ღიაა, შეხვდეს შესაძლებლობებს, მაშასადამე – უკეთეს სამყაროსაც. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მასში შევიდეთ, თუ მხოლოდ მისი მიღწევისათვის მზად აღმოვჩნდებით, ჩვენი მორალური ენერგია დავხარჯოთ და თუ მზად ვიქნებით ვებრძოლოთ მათ, ვინც ყოველგვარი საბაბით უპირატესობას არაეგალიტარულ, არადემოკრატიულ სამყაროს ანიჭებს.

ი. ვალერშტაინი

თავი მეცამეტე. მსოფლიო – სისტემური ანალიზის აღმასვლა და მომავალი დაცემა.

მსოფლიო-სისტემური ანალიზი, როგორც დამოუკიდებელი სოციოლოგიური მეთოდი, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში გაფორმდა/ჩამოყალიბდა, თუმცა მასში განსხეულებულ მიდგომას ხანგრძლივი ისტორია აქვს და უფრო ადრეულ გამოკვლევებს ეფუძნება. მას დამოუკიდებელი სოციოლოგიური დისციპლინის როლზე პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს. იგი არ განიხილებოდა, როგორც „მსოფლიოს სოციოლოგია“, რომელიც მეგაპოლისების სოციოლოგიის, მცირე ჯგუფების სოციოლოგიის ან პოლიტიკური სოციოლოგიის რიგში დგას. მასში უფრო თავმოყრილია არსებული სოციალური თეორიის მრავალი დებულების კრიტიკა, სახელდობრ კი იმის, რასაც მე „არამოფიქრალ საზოგადოებათმცოდნეობას“ ვუწოდებ.

აი, რატომ გამოვდიოდი მე თანმიმდევრულად ტერმინ „მსოფლიო-სისტემების თეორიის“ წინააღმდეგ და დაჟინებით მოვითხოვდი, რომ ჩვენი კვლევები მხოლოდ „მსოფლიო-სისტემურ ანალიზად“ ჩაგვეთვალა. ჯერ კიდევ არ დამდგარა სერიოზული თეორეტიზებით დაკავების დრო, მაგრამ როცა ის დადგება, აუცილებელი იქნება, საზოგადოებრივ

მეცნიერებათა სტრუქტურების შესწავლით დავკავდეთ და არა მსოფლიო-სისტემის თეორეტიზებას მივყოთ ხელი. მუშაობა, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელიც უახლოეს მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, ჩემი აზრით, საზოგადოებრივი თეორიის უფრო ეფექტური პარადიგმის შემუშავების საფუძვლის ჩაყრას წარმოადგენს.

თუ მსოფლიო-სისტემური ანალიზი მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაშინ ეს იმიტომ, რომ თავად მსოფლიო-სისტემა აღმოჩნდა მზად, რათა იგი წარმოქმნილიყო. ნება მომეცით, ამ პერიოდის შესახებ რამდენიმე სიტყვა ვთქვა. მის ძირითად ფაქტორად 1968 წლის მსოფლიო რევოლუცია – როგორც თავად ხდომილება, ისე მისი წარმომქმნელი სიღრმისეული მიზეზები უნდა ჩავთვალოთ. გავიხსენოთ, როგორი იყო მეოცე საუკუნის 50-60-იანი წლების ამერიკული და მსოფლიო საზოგადოებათმცოდნეობა-სოციალური თეორიები. 1945 წლიდან მოყოლებული მეოთხედი საუკუნის მანძილზე მსოფლიო სოციოლოგიაში უდიდეს მოვლენად „მესამე მსოფლიოს“ რეალობის გაცნობიერება იქცა. ამ გეოპოლიტიკურმა აღმოჩენამ მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებათმცოდნეობას საფუძველი გამოაცალა, რომლის ფარგლებშიც კონცეფციათა და დისციპლინათა ერთი ნაწილი – ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, ხოლო მეორე კი დანარჩენი მსოფლიოს შესასწავლად გამოიყენებოდა. 1945 წლის შემდეგ საზოგადოებრივი მეცნიერები იძულებულნი გახდნენ, გეოგრაფიულად ერთიანი გამხდარიყვნენ. ამ, და მხოლოდ ამ, მომენტიდან სოციოლოგებმა, ისტორიკოსებმა და პოლიტოლოგებმა კანონიერი უფლება მოიპოვეს, აფრიკა, აზია და ლათინური ამერიკა შეესწავლათ, ან იქ თავიანთი გამოკვლევები ჩაეტარებინათ. ეს იყო რეგიონალურ გამოკვლევათა ეპოქა – ერა, რომელმაც საზოგადოებათმცოდნეობის ორგანიზაციის პრინციპები დასაწყისში – ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ კი მსოფლიოს უმეტეს ნაწილებში შეცვალა. რეგიონალურ გამოკვლევათა მნიშვნელობის თეორიულად დასაბუთების მსურველები ფუნდამენტური ეპისტემოლოგიური დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. ისინი იმის დასაბუთებას ესწრაფვოდნენ, რომ საზოგადოებათმცოდნეობითი/სოციალური თეორიები/კონცეფციები არა მხოლოდ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, არამედ მსოფლიოს ყველა რეგიონისათვისაა გამოსადეგი. წინათ ნომოთეტიკური სოციალური მეცნიერების თეორიები პრაქტიკულად მხოლოდ „ცივილიზებული“ მსოფლიოს მიმართ გამოიყენებოდა, ასეთებად კი მხოლოდ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ითვლებოდა. ასეთ კონტექსტში რეგიონალური გამოკვლევები „მაუნივერსალიზებელ უნივერსალიზმს“ გვთავაზობდნენ. მაგრამ, ამავე დროს, მათი მეხოტბენი – ადეპტები – ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ადრე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მიღებული განზოგადებების „მესამე მსოფლიოსადმი“ არაკრიტიკული გამოყენების გზაზე ჯეროვანი რეზულტატის მიღებას ვერავინ შეძლებდა. „მესამე მსოფლიოს“ პირობები სავსებით სხვაა – ამბობდნენ ეს რეგიონის მკვლევრები. და თუ ისინი განსხვავებული არ იქნებოდნენ, მაშინ რაში დაგვჭირდებოდა რეგიონალური კვლევები?

ადვილი არაა ამტკიცო, რომ პირობები ერთნაირია და, ამავე დროს, განსხვავებული. მაგრამ რეგიონის მკვლევრებმა ამ აშკარა და ცხადი დილემის ნათელი და დამაჯერებელი გადაწყვეტილების მოპოვება შეძლეს. ისინი თავის გამოკვლევებში, იმ საზოგადოებათმცოდნეობაში უკვე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისიდან ამოდიოდნენ, რომლის თანახმადაც, საზოგადოება (მაშასადამე, ყველა კონკრეტული საზოგადოებაც) გაივლის განვითარების ეტაპებს, რომლებიც ევოლუციურ პროგრესს ქმნიან. „მესამე მსოფლიოს“ მიმართ ამ თეორიას „მოდერნიზაციის თეორია“, ანუ „დეველოპმენტალიზმი“ უწოდეს. მოდერნიზაციის თეორია იმის უბრალო მტკიცებაზე დაიყვანეს, რომ ყველა საზოგადოება გაივლის ეტაპებს, რომელიც მოდერნით სრულდება. საზოგადოების ინსტრუმენტულ გან-

საზღვრებად მოგვევლინა სახელმწიფოს ცნება, როგორც სახელმწიფოთა სისტემის უკვე არსებული წევრის ან, როგორც კოლონიის, რომელიც ერთხელაც სახელმწიფოდ იქცეოდა/გახდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრები ამ ეტაპებს განსხვავებულად აღწერდნენ, მთავარი იდეა მაინც უცვლელი რჩებოდა. მოცემული თეორიის მიზანი იმის გამორკვევა იყო, თუ როგორ გადადიან სახელმწიფოები ერთი ეტაპიდან მეორეზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა განგვესაზღვრა, თუ მოცემულ მომენტში რომელ ეტაპზე იმყოფებიან ისინი და, შესაბამისად, მათ მოდერნითის მდგომარეობის მიახლოებაში დავხმარებოდით.

ეს თეორია მნიშვნელოვან ეპისტემოლოგიურ უპირატესობებს ფლობდა. ყველა სახელმწიფო ერთნაირ წარმონაქმნად ითვლებოდა, რამდენადაც ერთი და იგივე მიზეზით ერთსა და იმავე ეტაპებს გადიოდნენ. ამავე დროს, ისინი განსხვადებოდნენ კიდეც ერთმანეთისაგან, რამდენადაც ყოველ კონკრეტულ მომენტში განსხვავებულ ეტაპებზე იმყოფებოდნენ და ერთიდან მეორეზე განსხვავებული სიჩქარით გადადიოდნენ. ამ თეორიის პოლიტიკური უპირატესობაც ასევე არსებითი იყო. ის პრაქტიკული გამოყენებისათვის ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა, რომლებიც მთავრობებისადმი მიმართულ იმ რეკომენდაციებში იყო განხორციელებული, რომლებსაც ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის დაჩქარებაში ხელი უნდა შეეწყოთ. ეს თეორია აგრეთვე ხელს უწყობდა სახელმწიფოს მიერ თანხის გამოყოფას სოციოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად, განსაკუთრებით იმ საკითხების შესახებ, რომლებიც „განვითარების“ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მოცემული თეორიის შეზღუდულობაც ასევე ცხადი იყო. მოდერნიზაციის კონცეფცია ერთმანეთთან დაუკავშირებელ ეპიზოდთა მუდმივ შედარებაზე იყო დამყარებული, თითქოს თითოეული სახელმწიფო ავტონომიურად მოქმედებს ისე, რომ გარე ფაქტორების გავლენას თითქმის არ ექვემდებარება; ეს კი საეჭვო და დაუსაბუთებელი დებულებაა. იგი საზოგადოებრივი განვითარების საყოველთაო კანონს (რომელიც ე.წ. ეტაპებს ადგენს) ემყარება, თანაც უშვებდა, რომ ეს განვითარება პროგრესულია. მაგრამ ამ მტკიცებულებებიდან არც ერთი არ იყო დასაბუთებულ-დამტკიცებული. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოცემულიდან ამოსვლისას თეორია წინასწარმეტყველებდა, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც ახლა განვითარების უფრო ადრეულ ეტაპებზე იმყოფებიან, შეუძლიათ, უნდათ და ერთხელ გარდუვალად მივლენ იმ წერტილამდე, სადაც ისინი იმ სახელმწიფოთა ასლები გახდებიან, რომლებიც მოცემული თეორიის მომხრეთა მიერ ყველაზე „მოწინავეებად“ მიიჩნევიან. ასეთი მსჯელობების პოლიტიკური საფენელი ნათელი იყო. თუ სახელმწიფო განვითარების ე.წ. ეტაპებიდან ადრეულ ფაზაში იმყოფება, და კეთილდღეობით, პოლიტიკური სისტემით სურს უფრო განვითარებულ სახელმწიფოს დაემსგავსოს, მაშინ მისთვის ყველაზე კარგი გზა – განვითარებული სახელმწიფოს მოდელის კოპირება და ათვისებაა, რაც, თავის მხრივ, ამ მოდელის სახელმწიფოდან მომდინარე რჩევებისა და დარიგებებისადმი გულმოდგინედ და თავდადებულად მიდევნებას ნიშნავს. ცივი ომის რიტორიკით გამსჭვალულ მსოფლიოში ეს იმას ნიშნავდა, რომ განვითარებად ქვეყნებს შეერთებული შტატების ან საბჭოთა კავშირის მოდელისათვის მიებაძათ. შეუერთებლობა, ყველაზე ობიექტური მეცნიერული ანალიზითაც კი, გამორიცხული იყო.

უეჭველია, რომ ეს პოლიტიკური საფენელი 1968 წლის რევოლუციების მიერ მტკიცედ იქნა უარყოფილი. მათთვის(ისე როგორც სხვებისათვის) ეპისტემოლოგიური საფუძვლების უკუგდება სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამან შექმნა ატმოსფფერო, რომელიც პროტესტის იმ ფორმებს, რომლებიც მსოფლიო-სისტემურ ანალიზში იყო განხორციელებული, ძლიერ ეხმიანებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო-სისტემური ანალიზის ეს თავდაპირველი მოწოდება, მოდერნიზაციის თეორიის წინააღმდეგ ეს პროტეს-

ტი, თუ გვსურს გავიგოთ, როგორი მიმართულებით განვითარდა ეს თეორია შემდეგში. იმ შრომაში, რომელიც ყველა ჩვენგანმა ჩაატარა, მე ოთხ ძირითად მიმართულებას ვხედავ. არც ერთ მათგანს არ შეიძლება დამსახურება მხოლოდ იმიტომ მივაწეროთ, რომ ისინი მსოფლიო-სისტემური ანალიზის ფორმირებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული. მაგრამ ამ მკვლევრებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ მიმართულების განსაზღვრასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

პირველ ასეთ ხაზად თუ მიმართულებად გლობალურობა იქცა. იგი ანალიზის ამოსავალი ობიექტის ცნობილი რევიზიიდან/გადახედვიდან წარმოიქმნა, რომლის სახედ მსოფლიო-სისტემა და არა საზოგადოება ან სახელმწიფო იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ მოდერნიზაციის თეორია [მუდამ] საერთაშორისო იყო, რადგან ყველა სახელმწიფოს თანმიმდევრულ სისტემატურ შედარებას გვაიძულებდა. მაგრამ იგი არასდროს ყოფილა გლობალური, ვინაიდან მსოფლიო-სისტემის ჩასახვად-წარმომქმნელ მახასიათებლებზე და მსოფლიო-სისტემის, როგორც ასეთის, შესახებ საზოგადოდ არც კი ლაპარაკობდა. პირიქით, მსოფლიო-სისტემური ანალიზი მოითხოვდა, მსოფლიო – სისტემის ყველა ელემენტი, რომელთა ცალ-ცალკე გაგება თუ შესწავლა შეუძლებელია, „მსოფლიოს“ ნაწილების სახით განეხილათ. ნებისმიერი საზოგადოების მახასიათებლები დროის რომელიღაც T2-ის მომენტში განიხილებოდა არა, როგორც რომელიღაც თავდაპირველი პირობების რეზულტატი, რომელიც T1-ის მომენტში არსებობდა, არამედ მსოფლიო-სისტემის შიგნით წარმოქმნილი პროცესების შედეგებად ითვლებოდა. ამაში მდგომარეობს გიუნტერ ფრანკის ცნობილი ფორმულის „განუვითარებლობის განვითარების“ (development of underdevelopment) არსი.

მეორე, პირველიდან გამომდინარე მიმართულებას ისტორიულობა წარმოადგენს. თუ მიმდინარე პროცესები თავად სისტემის მიერაა განპირობებული, მაშინ ამ სისტემის, როგორც ერთიანი მთელის, მთლიანი ისტორია (და არა მისი ცალკეული ელემენტების ერთიმეორის მიყოლებით ისტორია) მისი თანამედროვე მდგომარეობის გაგების გასაღებია. რასაკვირველია, ეს სისტემური პროცესების დროითი ჩარჩოების განსაზღვრებას მოითხოვს, რაც გაცხოველებული კამათების საგნად რჩება. მიუხედავად ამისა, ამოცანა იყო ის, რომ ანალიზი მხოლოდ თანამედროვე მონაცემების ან იმ მონაცემების, რომლებიც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებს ეხება, შეფასებათა საზღვრებიდან გაგვეყვანა და იგი ბროდელისეულ ხანგრძლივობად (Longue duree) გვექცია.

მესამე ხაზი თუ მიმართულება მონოდისციპლინარულობა იყო და იგი მეორე მიმართულებიდან გამომდინარეობდა. თუ მსოფლიო – სისტემაში ადგილი მუდმივად წარმოქმნად და განვითარებად პროცესებს აქვს, მაშინ რამ უნდა გვაიძულოს ვიფიქროთ, რომ თითქოს მათი ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ჯგუფებად, საკუთარი განსაკუთრებული (დაპირისპირებული) ლოგიკის მქონე ცალკეულ ჯგუფებად დაყოფა შეიძლება? უეჭველია, დამტკიცების ტვირთი იმათ ბეჭებზე იდო, ვინც ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციოკულტურული სფეროების დამოუკიდებლობის შესახებ განცხადებებს აკეთებდა. მსოფლიო-სისტემური ანალიზი უპირატესობას დაჟინებით იმას ანიჭებდა, რომ ჩვენ საქმე „მთლიანობებთან“ გვაქვს.

სწორედ ამიტომ, მეოთხე მიმართულება თუ ხაზი ჰოლიზმი გახდა. მას ისტორიულ-ეპისტემოლოგიური ბუნება ჰქონდა და ყველა წინამორბედი გარემოებებით იყო განპირობებული. მსოფლიო-სისტემური ანალიზის ლოგიკა მის მომხრეებს აიძულებდა, 1850-1945 წლების განმავლობაში სოციალური მეცნიერების ცალკეულ სფეროებს შორის არსებული საზღვრების სისწორეში ეჭვი შეეტანათ ან ისინი სრულადაც უარეყოთ. ეს საზღვრები გამჭვირვალედ გამოიყურებოდა, რის გამოც არსებული ცოდნის რესტრუქტურიზაციის შესახებ გამოითქმებოდა აზრი. და სინამდვილეშიც, მართლაც, ჰოლიზმის [პრინციპებისადმი

მიყოლას] ბუნებისმეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის არსებულ დიდ და წმინდად ქცეულ განყოფის გადააზრებასთან ან მასზე უარის თქმასთან მივყავართ.

მნიშვნელოვანია ეს ოთხი მიმართულება იმ მიმდინარეობებიდან განვასხვავოთ, რომლებიც, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, მსგავს ტექნოლოგიებს იყენებენ, მაგრამ სოციალურ მეცნიერებებში არსებული სტანდარტების წინააღმდეგ პროტესტს არანაირად არ აცხადებენ.

გლობალიზმი „გლობალიზაციის“ იგივეობრივი არ არის: იმ აზრით, რა აზრითაც ამ ტერმინს ბოლო ათწლეულებში ავტორთა უმრავლესობა იყენებს, „გლობალიზაცია“ თითქოსდა ახალ, ახლახან წარმოქმნილ პროექტებს აღნიშნავს, რომელშიც, როგორც მტკიცდება, სახელმწიფო მეტად აღარ წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების ძირითად ცენტრს, მაგრამ ბოლო ხანებში იმ სტრუქტურის ელემენტად იქცევა, სადაც თავის წესებს „მსოფლიო ბაზარი“ კარნახობს, რომელიც ფრიად გამოუცნობ, მაგრამ სრულებით ობიექტურად არსებულ რაიმეს წარმოადგენს.

ისტორიულობა „სოციალურ ისტორიას“ არ ნიშნავს. იმ აზრით, რა აზრითაც ეს ცნება მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის მანძილზე მკვლევართა უმრავლესობის მიერ გამოიყენება, „სოციალური ისტორია“ იმ მეცნიერთა მოთხოვნებს ასახავს, რომლებიც წარსულის მონაცემებს იმ აზრით აანალიზებენ, რათა ისინი ჩვენს დროსთან მიმართებაში მყოფი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული/დაშვებული სოციალური განზოგადებების შესამოწმებლად გამოიყენონ. სოციალური ისტორია მნიშვნელოვანწილად ანტიისტორიული დისციპლინაა, რომელიც ეგრეთ წოდებულ თეორიულ, ემპირიულ გამოკვლევებს(რომლებიც პირველ რიგში წარსულს ეხებიან) იერარქიულად/იერარქიული წესით უქვემდებარებს. სოციალური ისტორია თავსებადია გლობალიზაციასთან, მაგრამ არა გლობალურობასთან.

მონოდისციპლინარულობა „მულტიდისციპლინარულობა“ არ არის. მულტიდისციპლინარულობა სოციალური მეცნიერების გათიშულობა-განცალკევებულობის ლეგიტიმურობას აღიარებს, მაგრამ მეცნიერთ, რომლებიც განსხვავებულ სფეროებში მუშაობენ, ერთმანეთის შრომების შესწავლას და გამოყენებას მოუწოდებს. იგი გამოთქვამს იმ რწმენას, რომ „ბავშვი ორი ძიძის ხელში“ ყოველთვის უმეთვაყურეოდ არ რჩება. ეს მიდგომა მთლიანობის, როგორც ასეთის, კვლევებს უპირისპირდება და ამტკიცებს, რომ უკიდურესად ძნელია მონაცემების იმგვარად კლასიფიცირება, რომ მათ საფუძველზე ნათელი და შემოწმებადი/ვერიფიცირებადი დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იყოს, ამით კი ბუნდოვანი და დაურღვეველი არგუმენტების გამოყენების შესაძლებლობას მხარს უჭერს.

დაბოლოს, ჰოლიზმი „ზოგადი განათლებულობის“ ვერსია არ ყოფილა. მასზე ცოდნის სამ სფეროდ: ბუნებისმეცნერებებად, ადამიანის შესახებ მეცნიერებებად და (მათ შორის მყოფ) სოციალურ მეცნიერებად თანამედროვე დაყოფის ძირითადი ელემენტები აღიბეჭდა. ზოგადი-საყოველთაო განათლებულობა ყველა მეცნიერს (და ყველა განათლებულ ადამიანს) იმ დებულებების წვდომის შესაძლებლობას აძლევდა, რომლებიც ამ დამოუკიდებელი სფეროებიდან თითოეულის საფუძველში იდო. ჰოლიზმი არ სვამს კითხვას, ნამდვილად წარმოადგენენ კი ისინი ცოდნის განსხვავებულ სახეებს და საჭიროა კი მათი ასეთი სახით განხილვა. მოცემულ კამათს ჭეშმარიტების მოთხოვნილების და სიკეთის მოთხოვნილების თანაფარდობის პრობლემასთან უშუალო დამოკიდებულება აქვს.

არა მხოლოდ იმის თაობაზე საუბრისას, თუ რა იყო, რას წარმოადგენენ მსოფლიო--სისტემური ანალიზის ეს ძირითადი ხაზები, არამედ იმაზე საუბრითაც, რასაც ისინი არ წარმოადგენენ, მე წარმატებაში დაფარული საშიშროებების თავიდან აცილება მსურდა. სწორედ ჩვენი ძალისხმევათა სიძლიერე და არა სისუსტე ხსნის იმას, რომ დღეს ჩვენ მიერ

მიღებული ტერმინოლოგია სხვა თვით საპირისპირო მიზნებითაც კი გამოიყენება. ამან შეიძლება მეცნიერულ საზოგადოებაში სერიოზული გაუგებრობაც კი გამოიწვიოს და, რაც კიდევ უფრო უარესია, გაუგებრობა გამოიწვიოს ჩვენსავე რიგებში, რაც დასახული მიზნების მიღწევის ჩვენეულ მცდელობებს ძირს უთხრის.

მოხსენების სათაურში გამოყენებულია ფრაზა „მსოფლიო-სისტემური ანალიზის აღმასვლა და მომავალი დაცემა". აკი აქამდე ხომ აღმასვლაზე იყო საუბარი. ახლა კი რაში ვხედავ დაცემის აუცილებლობა/გარდუვალობას? ნებისმიერი მოძრაობის მსოფლიო-სისტემური ანალიზი კი თანამედროვე სოციალური მეცნიერების ფარგლებში სწორედ რომ მოძრაობას წარმოადგენს – დაცემა მისი წინააღმდეგობებითა და, ასევე, მისი მნიშვნელობისა და სარგებლიანობა/გამოსადეგობის თანდათანობით ამოწურვითაა განპირობებული. მართალია, ჩვენ ასეთ მდგომარეობას ჯერ კიდევ არ მივახლოვებივართ, მაგრამ ცხადად-/ნათლად ჩანს, რომ დაისს ვუახლოვდებით, ანუ, თუ ნებას მომცემთ, ასე ვიტყვი, ბიფურკაციის წერტილს ვუახლოვდებით. როგორია მსოფლიო-სისტემური ანალიზის წინააღმდეგობები?

პირველი, მსოფლიო – სისტემური ანალიზი გარკვეულად თეორიას და თეორეტიზების წესსა თუ ხერხს არც კი წარმოადგენს, იგი მხოლოდ თვალსაზრისი და სხვა თვალსაზრისთა კრიტიკაა. ეს კრიტიკა მნიშვნელოვან ძალას ფლობს და მე პირადად ვთვლი, რომ იგი თანამედროვე სოციალური მეცნიერების მრავალი დებულებისათვის დამანგრეველ რაიმეს წარმოადგენს. ნებისმიერი კრიტიკა დესტრუქციულია; სწორედ ამაშია მისი დანიშნულების აზრიც. მაგრამ, როდესაც ფუნდამენტისათვის ადგილი მოსუფთავებულია, საქმიანობისთვის ველი მზადაა, ველი რჩება. ჩნდება არა ახალი კონსტრუქცია, არამედ მისი აშენება-ამოყვანის მხოლოდ შესაძლებლობა რჩება.

ძველი თეორიები არასდროს კვდებიან და, ჩვეულებრივ, უკვალოდ არ ქრებიან. ისინი დასაწყისში – თავიდან თავს იმკვდარუნებენ, შემდეგ კი მუტაციას განიცდიან. ამგვარად, ადრეული თუ წინანდელი თეორიების კრიტიკის ამოცანა შეიძლება მუდმივად აქტუალური იყოს. მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ ამ ამოცანამ შეიძლება იმდენად გვშთანთქოს, რომ მასში დავიკარგოთ და წინ მოძრაობის აუცილებელი რისკის საკუთარ თავზე აღებაზე უარი ვთქვათ. იმ ზომის შესაბამისად, რა ზომითაც ჩვენი წინსვლის მისწრაფება სუსტდება, ჩვენ სულ უფრო არასაჭირო და უსარგებლონი ვხვდებით. და აი მაშინ მუტირებული თეორიები უკუბრუნდებიან – თითქოსდა ცოცხლდებიან – და უფრო მეტად ძლიერნი ხდებიან, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში მოდერნიზაციის თეორიის აღორძინების წამოწყებული მცდელობა ამის მაგალითია, თუმცა, არც ისე საჩვენებელი. თუ დასაშვებია სამედიცინო ანალოგების გაგრძელება, მაშინ ის პრობლემა, რომელსაც დღეს მსოფლიო-სისტემური ანალიზი შეეჯახა, ანტიბიოტიკების ბოროტად გამოყენების პრობლემის მსგავსია. მისი გადაჭრა მედიკამენტოზური თერაპიიდან პროფილაქტიკურ მედიცინაზე გადასვლაში მდგომარეობს. კრიტიკა სხვა პრობლემასთან, განსაკუთრებით შესამჩნევ პრობლემასთანაა შეუღლებული, როდესაც მან თავისი თავდაპირველი ენერგიის დაკარგვა უკვე მოასწრო. არაა ძნელი შექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ კრიტიკის გაკვეთილები გავითვალისწინეთ. მე უკვე აღვნიშნე, როგორ ადვილად იწყებენ ცნებები და ტერმინები მხედველობაში არსებული მიზნებისაგან განსხვავებულ გამოყენებას, რის შედეგადაც ჩვენი ქმედებების არსი მახინჯდება და ირყვნება/გადაგვარდება. ასეთ სიტუაციაში გამოსადეგია ფორმულა – „ექიმო, თავად განიკურნე", მაგრამ მე მსურს, თვითკრიტიკის ბანალურ კონსტატაციაზე შორს წავიდე. მე ჩვენი თავდაპირველი კრიტიკული პოზიციის იგნორირებისაკენ მიმავალ ტენდენციას ვამჩნევ, რომელიც მაშინვე ვლინდება, როდესაც ჩვენ საკუთარი მიმბაძველების ქებას ვიწყებთ და, ვფიქრობ, ეს ტენდენცია რო-

გორც ჩვენს კრიტიკულ ამოცანას, ისე რეკონსტრუქციის მოჩვენებით მიზნებსაც ემუქრება. გზის დასარულს ჩვენ ვრისკავთ, აღმოვჩნდეთ უკვე მრავალი ინტელექტუალური მოძრაობისთვის ცნობილ სიტუაციაში, როდესაც მათი სახელწოდებები საზრისს კარგავენ.

მესამე პრობლემა ისაა, რომ ჩვენ დასაწყისში მსოფლიო-სამეურნეო სისტემის პერიფერიებზე ჩამოყალიბებული სიტუაციების ანალიზის მეთოდებიდან – შეუმჩნევლად, თანამედროვე მსოფლიოს ისტორიის გადმოცემის წესებისა და ხერხების კრიტიკაზე, შემდეგ – თანამედროვე მსოფლიო-სისტემის ამხსნელი თეორიების კრიტიკაზე, და შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდოლოგიების კრიტიკასა და თვით მეცნიერული ინსტიტუტების ორგანიზების პრინციპების კრიტიკაზეც კი გადავედით. ჩვენ ვიარეთ საკუთარი კრიტიკის და მათთვის ჩვენი პასუხების კვალდაკვალ, ვინც, თავის მხრივ, ჩვენს შრომას აკრიტიკებდა. ჩვენ თითქოსდა მუდმივად ვაღებდით კართა ერთ რიგს, რათა მის უკან სხვები აღმოგვეჩინა. როგორც აღმოჩნდა, პრობლემა უფრო ღრმა იყო, ვიდრე ეს ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა. შესაძლოა, მას ფესვები კაპიტალისტური მსოფლიო – მეურნეობისათვის დამახასიათებელ აზროვნების პარადიგმაში აქვს გადგმული. სწორედ ასე თვლიან ისინი, ვისაც პოსტმოდერნისტებს უწოდებენ. ჩემთვის ახლოა მათი კრიტიკული პოზიციები (რომელთაგან მრავალი ჩვენ უფრო ადრე და უფრო ნათლად ჩამოვაყალიბეთ).

მაგრამ მთლიანობაში მე ასეთებს არც საკმარისად „პოსტ“ – მოდერნისტებად მივიჩნევ და არც (მეთოდოლოგიის საფუძვლების) სერიოზულ მაკონსტრუირებლებად. მათი მომხრეები, და ამაში შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, ჩვენს საქმეს ჩვენ მაგივრად ვერ/არ გააკეთებენ.

სოციალური მეცნიერების ჩარჩოებში არსებული მოძრაობის სტატუსი გარკვეულ უპირატესობებს მუდმივად გვანიჭებდა. იგი საშუალებას გვაძლევს, გავაერთიანოთ ძალები, გავაანალიზოთ ჩვენ მიმართ გამოთქმული კრიტიკა და ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ გარემოცვაში, რომელიც ზოგჯერ შეიძლება მტრულიც კი გახდეს. მთლიანობაში მე ჩვენს ქმედებებს დადებითად ვაფასებ. ერთი მხრივ, ჩვენ განსხვავებულ თვალსაზრისებს თანაარსებობის საშუალება მივეცით და ამიტომ სექტად გადაქცევის საშიშროება თავიდან ავიცილეთ. მეორე მხრივ, ჩვენი პროგრამა ისე ბუნდოვნად, გაურკვევლად არ ჩამოგვიყალიბებია, რომ მას საკუთარი კრიტიკული არსი დაეკარგა (ეს კი გარდუვლად მოხდებოდა, თუ ჩვენ არაერთხელ შემოთავაზებულ წინადადებებს მივიღებდით, ჩვენი მოძრაობისთვის სახელი გადაგვერქმია და მისთვის „განვითარების სოციოლოგია“, „პოლიტეკონომია“, „გლობალური სოციოლოგია“ გვეწოდებინა, რითაც მათთან აღრეული აღმოვჩნდებოდით). მიუხედავად ამისა, მოძრაობის სტატუსს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს. ჩემს აღშფოთებას იწვევს ჩვენი შეხედულებების სულ რამდენიმე სტრიქონით გადმოცემა, რომელიც ხშირადაა იმათ წიგნებში მოცემული, რომლებსაც, ალბათ, ჩვენი შრომებიდან პრაქტიკულად არაფერი წაუკითხავს. არანაკლებ აღშფოთებული ვარ იმ სიმსუბუქით, რომლითაც ჩემ მიერ მიღებული მონაცემების მითვისება ხდება(თან უსაფუძვლოდ) არა მხოლოდ ავტორის მოხსენების, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ მონაცემების მისაღებად ჩემ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის თავისებურებების აღნიშვნის გარეშე. გარკვეული აზრით, ეს გარდუვალია, რამდენადაც მოძრაობას საკუთარი თავისადმი მიმართვის მიდრეკილება აქვს, ეს კი რაღაც მომენტში მისი ზემოქმედების რადიკალურ შეზღუდვას იწყებს.

არსებობს, რასაკვირველია, მეორე გზაც, რომელსაც, თუ გავყვებით, ინტელექტუალური მოძრაობისთვის დამახასიათებელი შეზღუდვების გადალახვა ძალუძს. იგი სოციალური მეცნიერებების თვით გულში შეღწევას გულისხმობს, თანაც არა მოძრაობის სახით, არამედ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებების წყაროს სახით. როგორ მივაღწიოთ ამას? რასაკვირველია, ჩვენ, ან ზოგიერთი ჩვენგანი, პირველკურსელებისათვის სოცია-

ლური მეცნიერებების სახელმძღვანელოს დაწერას უნდა ჩავუჯდეთ, მაგრამ ეს უფრო ხუმრობას ჰგავს, ვიდრე რეალურ პასუხს.

რეალური შესაძლებლობა კი ისაა, რომ მსოფლიო-სისტემური ანალიზით დაკავებულმა მეცნიერებმა უნდა, თანაც საჩქაროდ, იმ ყველაზე ფუნდამენტურ საკითხებს მიმართონ, რომელთა გადაჭრაც წარმატებით შეიძლება, მხოლოდ საჭიროა მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოსულ საზოგადოებრივ თეორიებსა და ცოდნის სტრუქტურის შესახებ წარმოდგენებზე უარის თქმა და მსოფლიო – სისტემმური ანალიზის გაკვეთილების მყარად ათვისება.

ნება მომეცით, ამ ფუნდამენტური საკითხებიდან მხოლოდ ზოგიერთი ჩამოვთვალო:

- როგორია ცოდნის იმ განსაკუთრებული სფეროს ბუნება, რომელსაც ჩვენ საზოგადოებრივი მეცნიერება შეგვიძლია ვუწოდოთ, თუ იგი საერთოდ არსებობს?

- როგორ განვსაზღვრავთ მის მახასიათებლებს და მის სოციალურ როლს? კერძოდ, როგორი წესით, თუ ეს პრინციპულად შესაძლებელია, საჭიროა გავატაროთ გამმიჯნავი ხაზები ამ სფეროსა და ჰუმანიტარულ მეცნნიერებებს – ერთის მხრივ, და ბუნებისმეცნიერებებს შორის – მეორე მხრივ?

- როგორია, თეორიულად, საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებს შორის, საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და ხელისუფლების სტრუქტურებს შორის ურთიერთდამოკიდებულება?

- არსებობს თუა არა საზოგადოებრივ სისტემათა განსხვავებული ტიპები (მე უპირატესობას „ისტორიული სისტემების“ შესახებ ლაპარაკს მივანიჭებდი), და თუ არსებობს, მაშინ როგორი ძირითადი ნიშან-თვისებები განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

- ამ ისტორიულ სისტემებს ბუნებრივი ისტორია აქვთ თუ არა? თუ კი, მაშინ შეიძლება თუ არა, ამ ისტორიას ევოლუციური ვუწოდოთ?

- როგორი წესით ორგანიზდება სოციუმში სივრცობრივ-დროითი კონტინუუმი და როგორი ხარისხით, დონით განსაზღვრავს ეს სოციალური გამოცდილების საფუძველში მდებარე წარმოდგენებს?

- ერთი ისტორიული სისტემიდან მეორეზე გადასვლას როგორი პროცესები აშუალებენ და იწვევენ? რამდენად ადეკვატურად აღწერს მათ ისეთი მეტაფორები, როგორებიცაა თვითორგანიზაცია, კრეატიულობა, ქაოსიდან წესრიგის წარმოშობა?

- როგორ შეეფარდებიან თეორიულად ერთმანეთს ჭეშმარიტების ძიება და სამართლიანი საზოგადოებისაკენ მისწრაფება?

- როგორ წარმოგვიდგენია ახლა არსებული ისტორიული სისტემა (მსოფლიო სისტემა)? და რა შეიძლება ითქვას ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხებიდან ამ სისტემის აღმასვლის, სტრუქტურისა და მომავალი დაცემის შესახებ?

შეამჩნევდით, სია-ჩამონათვალი იმ საკითხით მთავრდება, რომლითაც დავიწყეთ. ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მსოფლიო-სისტემურ ანალიზში ჩართულ მკვლევართა საზოგადოებას ათვლიან, რასაკვირველია, მრავალ სხვა პრობლემებს იკვლევენ. ამავე დროს, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, თუნდაც მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, სხვა მეცნიერებს აღელვებდა და აღელვებს. მაგრამ, ამოცანა ამ საკითხების ურთიერთდაკავშირებულობის აღიარებასა და იმის გაგებაში მდგომარეობს, რომ მათზე პასუხები შეიძლება მიღებულ იქნეს მაშინ, თუ მათ კომპლექსურად, ე.ი. მსოფლიო – სისტემური მიდგომის ჩარჩოებში განვიხილავთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიო-სისტემური მიდგომის ამღიარებელ-გამომყენებელი მეცნიერები დღეს მთლიანობაში საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერთა შორის ამ საკითხების უწყვეტ ერთიანობაში გადასაჭრელად და მათზე პასუხის გასა-

ცემად ყველაზე უკეთ არიან მომზადებულნი. იმ მომენტიდან, როგორც კი ამ საკითხებს საკუთარი მანერით მივუდგებით გადასაწყვეტად, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით საზოგადოებათმცოდნეობაში არსებულ მრავალ მიმართულებათაგან მხოლოდ ერთი მიმდინარეობა, არამედ შეგვეძლება, მათი ძირითადი ამოცანების ფორმულირების განზრახვის შესახებ განაცხადი გავაკეთოთ. ხომ არ არის ეს გაზვიადება? სრულებითაც არა. მსოფლიო-სისტემის კვლევისას ჩვენ ვაცნობიერებთ და ვიგებთ, რომ ინტელექტუალური საქმიანობა არა მხოლოდ ინტელექტუალური ან ნებელობითი თვისებებით, არამედ სოციალური თავისდროულობით – მსოფლიო-სისტემური აზრით, განისაზღვრება. და სწორედ იმიტომ, რომ ისტორიული სისტემა, რომელშიც ვცხოვრობთ, დამასრულებელ ეტაპზე იმყოფება, შესაძლებლობა ჩნდება დასმული საკითხები იმგვარად გადავწყვიტოთ, რომელი გადაწყვეტაც რაციონალურად ორგანიზებული სოციალური კონსტრუქციების შექმნისაკენ მიმავალ გზაზე დაგვაყენებდა. ეს შესაძლებლობები არ ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერთ, როგორი გამჭრიახნი და კომპენტენტურნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. სწორედ იმის ძალით, რომ კაპიტალისტური მსოფლიო-მეურნეობის ძირითადი კლასობრივი, რასობრივი თუ გენდერული-იერარქიების ლეგიტიმურობა (როგორც პოლიტიკურად, ისე ინტელექტუალურად) აქტიურად განიხილება. დღეს, პირველად ისტორიაში, ყოვლისმომცველი და შედარებით უფრო ობიექტური საზოგადოებრივი-სოციალური მეცნიერების შექმნის შესაძლებლობა რეალური ხდება.

სწორედ ჩვენი ეპოქის სპეციფიკა, კვლავაც პირველად, გვაძლევს საშუალებას, დავდგეთ მეცხრამეტე საუკუნის ტიტანების მხრებზე და ახალი პერსპექტივები დავსახოთ, თუ, რასაკვირველია, ენერგია და ნებისყოფის ძალა გვეყოფა. სწორედ დღეს, ისე, რომ რისკის გარეშე სახე არ დავკარგოთ, ჩვენ შეგვიძლია დანტონის მოწოდებას – „გაბედულება, კიდევ ერთხელ გაბედულება, გაბედულება მუდამ“ – მივყვეთ. ეს ჩვენი დროა, ეპოქაა, და დადგა მომენტი, როდესაც სოციალურმა მეცნიერებმა უნდა აჩვენონ, შეუძლიათ თუ არა მათ შექმნან ისეთი მეცნიერება, რომელსაც უნარი ექნება, ის მსოფლიო სოციალური ტრანსფორმაცია, რომლის გადატანაც ყველა ჩვენგანს მოუწევს, ადეკვატურად აღწეროს.

კითხვები და დავალებები:

1. როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებდით ი. ვალერშტაინის შემდეგ დებულებას: „ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ 1989 წელს კომუნისტური რეჟიმების კრახი ლიბერალიზმის დიდ ტრიუმფს, გამარჯვებას ნიშნავდა. მე კი ამაში ლიბერალიზმის, როგორც ჩვენი მსოფლიო-სისტემის გეოკულტურის განმსაზღვრელის, ცხადი/ნათელი კრახის ნიშანს ვხედავ“.
2. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ის პრობლემები, რომელთა მსოფლიო-სისტემური მიდგომის ჩარჩოებში განხილვა, ი. ვალერშტაინის აზრით, სოციალური მეცნიერების შემდგომი განვითარების საწინდარი გახდება?
3. განმარტეთ ი. ვალერშტაინის დებულების მეთოდოლოგიური მნიშვნელობა: „მსოფლიო-სისტემური ანალიზი გარკვეულად თეორიას და თეორეტიზების წესსა თუ ხერხს არც კი წარმოადგენს, იგი მხოლოდ თვალსაზრისი და სხვა თვალსაზრისთა კრიტიკაა“.
4. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ი. ვალერშტაინის მოსაზრება, რომ „ძველი თეორიები არასდროს კვდებიან და, ჩვეულებრივ, უკვალოდ არ ქრებიან. ისინი დასაწყისში – თავიდან თავს იმკვდარუნებენ, შემდეგ კი მუტაციას განიცდიან. ამგვარად, ადრეული თუ წინანდელი თეორიების კრიტიკის ამოცანა შეიძლება მუდმივად აქტუალური იყოს“.

5. დაახასიათეთ ის ოთხი ძირითადი მიმართულება, რომლებიც მსოფლიო-სისტემური ანალიზის ფორმირებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული.
6. გამოყავით ი. ვალერშტაინის მიერ „მოდერნიზაციის თეორიის“, ანუ „დეველოპმენტალიზმის“ წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები და აჩვენეთ, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზანს.
7. როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებდით ი. ვალერშტაინის მოხსენების სათაურში გამოყენებულ ფრაზას „მსოფლიო – სისტემური ანალიზის აღმასვლა და მომავალი დაცემა“?
8. შეიძლება თუ არა დავეთანხმოთ ი. ვალერშტაინის შემდეგი დებულების პათოსს: „თუ ყველაფერი საბოლოოდ არ არის განსაზღვრული, მაშინ კაცობრიობისათვის შემოქმედება – როგორც ადამიანური, ისე მთელი ბუნებრივიც – ღიაა. იგი ღიაა შეხვდეს შესაძლებლობებს, მაშასადამე – უკეთეს სამყაროსაც. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მასში შევიდეთ, თუ მხოლოდ მისი მიღწევისათვის მზად აღმოვჩნდებით, ჩვენი მორალური ენერგია დავხარჯოთ და თუ მზად ვიქნებით ვებრძოლოთ მათ, ვინც ყოველგვარი საბაბით უპირატესობას არაეგალიტარულ, არადემოკრატიულ სამყაროს ანიჭებს.
9. რამდენად ჭეშმარიტია ი. ვალერშტაინის მოსაზრება, რომ „ისტორიული სისტემა შეუძლებელია ეგალიტარული იყოს, თუ იგი ამავე დროს დემოკრატიული არ იქნება, რამდენადაც არადემოკრატიული სისტემა ძალაუფლებას არათანაბრად ანაწილებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ყველა დანარჩენსაც ასევე არათანაბრად გაანაწილებს“.
10. გააანალიზეთ ის სამი ამოსავალი წანამძღვარი, რომლებსაც, ი. ვალერშტაინის წარმოდგენით, თეზისი „XXI საუკუნის პირველი ნახევრის სოციუმი თავისი სირთულით, არამდგრადობით და ამასთან ერთად ღიაობით ყოველივე იმაზე, რაც ჩვენ XX საუკუნეში გვინახავს, ბევრად იქნება აღმატებული“ ემყარება.

ძირითადი ლიტერატურა:

WallerStein, Immanuel

1974 The Modern World-System: Capitalist Agrikulture and the Origins of the European World-Economy in the 16th Century. Nev York: Academic Press.

1980 The Modern World-SystemII: Mercantilism and the Consolidacion of the European World-Economy, 1600-1750. New York: Academic Press.

1986 „„Marxsisms as Utopias: Evolving Ideologies““. American Journal of Sociology 91: 1295-1308.

1989 The Modern World-SystemIII: The Second Era of GreatcExpansion of the Capitalist World-Economy, 1730-1840. New York: Academic Press.

1992 „„Amerika and the World: Today, Yesterday, and Tomorrow““ Theory and Society 21:1 – 28.

1995 „„The End of What Modernity?““ Theory and Society 24:471 – 488.

1999 The End Of The World As We Know Im. Social Science for the Twenty First Century. MINESOTA. University Of Minesota, Mineapolis, lomdon.

2004 Валлерштаин И. Конец знакомого мира. Социология XXI века. М.,Логос,

დამატებითი ლიტერატურა:

Ритцер Джордж. Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2000, გვ. 193- 201, 214.

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. გვ. 71-74.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524 .

თავი მეათე – ჯეფრი ალექსანდერი: ნეოფუნქციონალიზმიდან კულტურალურ სოციოლოგიამდე

1. *ჯეფრი ალექსანდერი: ავტობიოგრაფიული ნარკვევი;*
2. *ნეოფუნქციონალიზმის ძირითადი ცნებები;*
3. *სოციოლოგია და კულტურა: სიტყვათა წესრიგი;*
4. *კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამის“ სამი პრინციპი;*
5. *„ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესი;*
6. *„ტრაგიკული ნარატივი“, როგორც „ჰოლოკოსტი“.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- ნეოფუნქციონალიზმი;
- კულტურის სოციოლოგიიდან კულტურალურ სოციოლოგიამდე;
- კულტურის ავტონომია;
- „ზნეობრივი უნივერსალიების სოციალური კონსტრუირება: „ჰოლოკოსტი“ სამხედრო დანაშაულებებიდან ტრავმის დრამამდე“ „ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესის სამი ფაზა: კოდირება, საზრისისეული წონის მინიჭება, ნარატივის შექმნა, „ტრაგიკული ნარატივი“.

1. ჯეფრი ალექსანდერი: ავტობიოგრაფიული ნარკვევი

ჩემი მეცნიერული ცხოვრების დასაწყისიდანვე სოციალური მოქმედებისა და სოციალური წესრიგის პრობლემებს ვიკვლევდი და, ასევე, ამ პრობლემებისადმი ისეთი მიდგომების შესაძლებლობით ვიყავი დაინტერესებული, რომლებიც ერთგანზომილებიანი აზროვნების უკიდურესობებს თავიდან აგვაცილებდა. მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული უხეში დიქოტომიების, როგორც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მიმდინარეობების, თეორიულ სფეროში გადალახვა შესაძლებელია.

ჩემი თეორიული შეხედულებები პირველად 1960-იანი წლების დასასრულს და 1970-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, როდესაც მე პროტესტის სტუდენტურ მოძრაობაში, როგორც ჰარვარდის კოლეჯის სტუდენტი და ქალაქ ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვმონაწილეობდი. ახალი მემარცხენე მარქსიზმი ვულგარული მარქსიზმის ეკონომიზმის ინტელექტუალურად მიმზიდველ მცდელობას წარმოადგენდა იმით, რომ თანამედროვე ადამიანის წარსულ ეპოქაში მოთავსებას ცდილობდა. რამდენადაც იგი მატერიალური სტრუქტურებისა და კულტურის, პიროვნებისა და ყოველდღიური ცხოვრების ურთიერთგამსჭვალვას და ურთიერთშეღწევას სწავლობდა და აღწერდა, ახალმა მემარცხენე მარქსიზმმა, რომლისგანაც, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩვენ

ბევრი რამ ვისწავლეთ, ჩემი მეცნიერული კარიერის აღმნიშვნელი თეორიული სინთეზის გზაზე პირველი სერიოზული გამოცდილება შემძინა.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ახალი მემარცხენე მარქსიზმი, ნაწილობრივ პოლიტიკურ და ემპირიულ მიზეზთა გამო, უკვე აღარ მაკმაყოფილებდა. ახალი მემარცხენე მარქსიზმის სექტანტობისა და ძალადობისაკენ გადახრა მაშინებდა და მთრგუნავდა, მაშინ როდესაც უოტერგეიტის კრიზისმა ამერიკის თვითკრიტიკისადმი უნარის არსებობის კარგი დემონსტრირება მოახდინა. დავრწმუნდი, რომ კაპიტალისტური დემოკრატიული საზოგადოებები პლურალიზმისა და რეფორმების მიღების შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ, რომლებსაც მარქსისტული აზრის თვით ახალი მემარცხენე ვერსიაც კი არ განიხილავდა.

სინთეზისადმი მარქსისტულ მიდგომაზე უარის თქმის უკან ასევე უფრო აბსტრაქტული თეორიული მიზეზებიც იდგა. კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს რაც უფრო ღრმად ვსწავლობდი, მით უფრო კარგად გავიგე, რომ სინთეზი უფრო შემადგენელ ტერმინთა – ფსიქოანალიზური მარქსიზმი, კულტურული მარქსიზმი, ფენომენოლოგიური მარქსიზმი – შექმნით, ვიდრე მოქმედებისა და წესრიგის ცენტრალურ კატეგორიათა განხილვით მიიღწევა. ცნობიერების, მოქმედების, თემის/ერთობის და კულტურის ნეომარქსისტული კატეგორიები, ფაქტობრივად, შავი ყუთები იყო. ამის გაგებამ ახალი მემარცხენე მარქსიზმის შექმნისათვის თეორიული რესურსების უზრუნველმყოფ ტრადიციებთან მიმიყვანა. გამიმართლა, რომ ჩემი გამოსაშვები შრომის ხელმძღვანელები რობერტ ბელა და ნეილ სმელზერი იყვნენ, რომელთა იდეებმა კულტურის, სოციალური სტრუქტურის და სოციალური თეორიის შესახებ, ჩემზე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინეს და ინტელექტუალურად დღემდე მკვებავენ.

„სოციოლოგიის თეორიულ ლოგიკაში“ (1982-1983) ამ კვლევის შედეგები გამოვაქვეყნე. ამ მრავალტომიანი ნაშრომის იდეა საწყისს 1972 წლიდან იღებს, მას შემდეგ, რაც ტალკოტ პარსონსის შედევრთან – „სოციალური მოქმედების სტრუქტურა“ – უჩვეულო შეხვედრა მომიხდა, ამან მე მარქსიზმის ახალ შუქზე დანახვის და მასზე დაეჭვების საშუალება მომცა. მოგვიანებით რ. ბელას, ნ. სმელზერის და ლეო ლოუენტალის ხელმძღვანელობით და ამ ახალი მიდგომის გათვალისწინებით, კლასიკური და თანამედროვე სოციალური თეორიები შევისწავლე.

„თეორიულ ლოგიკაში“ ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ დიურკემმა და ვებერმა კულტურის სრული/განვითარებული თეორიები შექმნეს, რასაც მარქსი თავს არიდებდა; და რომ ვებერმა, ფაქტობრივად, პირველი სოციოლოგიური სინთეზი შეიმუშავა. მაგრამ დავასკვენი, რომ დიურკემმა, ბოლოს და ბოლოს, იდეალისტური მიმართულებით დაიწყო მოძრაობა, ხოლო ვებერმა კი თანამედროვე საზოგადოების მექანისტური გაგება განავითარა. მე მივიღე დაშვება, რომ პარსონსის შემოქმედება უფრო, როგორც სინთეზის თანამედროვე წარმატებული მცდელობა და არა ფუნქციონალური აზრის მქონე თეორია უნდა განვიხილოთ. ამავე დროს, თვით პარსონსმაც ვერ შეძლო საკმარისი გარკვეულობით მიჰყოლოდა სინთეზს, რის გამოც მისი მეტისმეტად ფორმალური თეორია ნორმატიულად განპირობებული გახდა.

უკანასკნელი ათწლეულის შრომებში შევეცადე სინთეზის სქემა კვლავ შემექმნა, რომელსაც ადრეული შემოქმედების შეუსრულებელ დაპირებად ვთვლი. შრომაში „ოცი ლექცია: სოციოლოგიური თეორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ (Alexsander, 1987) ვამტკიცებდი, რომ პოსტპარსონსისეულ სოციოლოგიაში კონფლიქტის და წესრიგის თეორიებს, მიკრო-და მაკრომიდგომებს, სტრუქტურულ და კულტურულ შეხედულებებს

შორის გატარებული განსხვავებები არანაყოფიერია. ეს კლასიფიკაციები ძირითად სოციალურ პროცესებს ჩრდილავენ, როგორიცაა, მაგალითად, წესრიგისა და კონფლიქტის მუდმივი თამაში და საზოგადოების ორმაგი განზომილება, რომლებიც მუდამ ერთმანეთშია გადახლართულნი.

ამ ჩიხურ სიტუაციაზე ჩემი რეაქცია პარსონსის იდეებისა და კლასიკოსებისაკენ დაბრუნება – მიბრუნება იყო.

ამავე დროს, თეორიის ახალ „პოსტპარსონსისეული“ მიმართულებით განვითარების მცდელობისას, მე კლასიკური და თანამედროვე თეორიის საზღვრებიდან გასვლას ვესწრაფოდი. ლოს-ანჟელესის ჩემს მშობლიურ განყოფილებაში ფენომენოლოგთა ძლიერ ჯგუფთან და განსაკუთრებით ჰაროლდ გარფინკელთან შეხვედრები ჩემთვის მნიშვნელოვანი სტიმული აღმოჩნდა. შრომაში „მოქმედება და მისი გარემოცვა“ (Aleqsander, 1987), რომელსაც დღემდე ჩემს მნიშვნელოვან თეორიულ ნაშრომად ვთვლი, მიკრო- და მაკროკავშირების ახალი გაერთიანების პრინციპები გადმოვეცი.

აგრეთვე, კულტურის ახალი თეორიის შემუშავებაზე ვკონცენტრირდი. კლიფორდ გირტცის ადრინდელ შრომებთან ნაცნობობამ დამარწმუნა, რომ კულტურისადმი ტრადიციულ სოციომეცნიერულ მიდგომებს ფრიად შეზღუდული ხასიათი აქვთ. აქედან მოყოლებული ჩემს მიდგომაზე ძლიერი გავლენა სემიოტიკამ, ჰერმენევტიკამ და პოსტსტრუქტურალისტურმა აზრმა მოახდინა. არასოციოლოგიური თეორიების ჩათვლით, ვცდილობდი სიმბოლურ კოდებსა და მნიშვნელობებზე, რომლებიც განსხვავებული საშუალებებით გამსჭვალავენ სოციალურ სტრუქტურას, თეორია შემემუშავებინა (ნახე Aleqsander, 1988a).

მიმაჩნია, რომ თეორიული სინთეზისაკენ მოძრაობას თვით მსოფლიო მასშტაბების მქონე ხდომილებები უწყობენ ხელს. პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში მნიშვნელოვნად გვეჩვენება ისეთი მოდელების შემუშავება, რომლებიც ჩვენი რთული, მრავალფეროვანი და მაინც ფაქიზი დემოკრატიის გაგებაში დაგვეხმარებიან. მოცემულ მომენტში დემოკრატიის თეორიაზე ვმუშაობ, რომელიც იმ საზოგადოებრივ განზომილებაზეა აქცენტირებული, რომელიც „სამოქალაქო საზოგადოებად“ იწოდება. ნარკვევების მთელ რიგს ვაქვეყნებ და ადამიანური გამოკვლევების მზარდ რელატივიზმს ვაკრიტიკებ. მინდა ვირწმუნო, საპირისპიროს მრავალი მოწმობის არსებობის მიუხედავად, რომ პროგრესი არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ სოციოლოგიაშიც შესაძლებელია. ასეთი პროგრესი კი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოებაზე მრავალგანზომილებიან და სინთეზურ შეხედულებას დავუჭერთ მხარს (უფრო სრულად იხილე: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 146-147).

2. ნეოფუნქციონალიზმის ძირითადი ცნებები

სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში, რომელიც 1960-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის დღემდე მიმდინარეობს, თავისი მნიშვნელობა დაკარგა. მაგრამ 1980-იანი წლების შუა ხანებში ამ თეორიის „ნეოფუნქციონალიზმის“ სახელით აღდგენის სერიოზულ მცდელობას ჰქონდა ადგილი. ტერმინი „ნეოფუნქციონალიზმი“ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის გაგრძელების აღსანიშნავად, ასევე, მისი განვითარებისა და ძირითადი სიძნელეების გადალახვის მცდელობების დემონსტრირებისთვის გამოიყენებოდა. ჯეფრი ალექსანდერი და პოლ კოლომი ნეოფუნქციონალიზმს განსაზღვრავენ, როგორც „ფუნქციონალური თეორიის თვითკრიტიკულ მიმართულებას, რომელიც ფუნქციონალიზმის ინტელექტუალური ჰორიზონტების გაფართოებას მისი თეორიული ძირითადი დებულებების შენარჩუნების საფუძველზე ესწრაფვის“ (1985, გვ. 11). ამგვარად, ცხადია, რომ ალექსანდერი და კოლომი სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს ფრიად ვიწრო

მიმართულებად თვლიან და უფრო მთლიანობითი თეორიის შექმნას ისახავენ მიზნად, რომელსაც ისინი ამჯობინებენ, „ნეოფუნქციონალიზმის“ სახელი უწოდონ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა მთლიანად და, კერძოდ კი, პარსონსის თეორიამ უკიდურესი მიმართულების ხასიათი შეიძინა, თეორიის განვითარების დასაწყისში იგი სინთეზის თვალსაზრისით ძლიერი იყო. ერთი მხრივ, პარსონსი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში თეორიული კონცეფციების დიდი რიგის ერთ მთლიანობად ქცევას/ინტეგრირებას ესწრაფოდა. მეორე მხრივ, მას სოციალური სამყაროს ძირითადი დარგების, განსაკუთრებით, კულტურული, სოციალური და პიროვნული სისტემების ურთიერთდამოკიდებულება აინტერესებდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პარსონსი ვიწრო სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ორიენტაციის მიმდევარი გახდა და კულტურას, როგორც სხვა სისტემების განმსაზღვრელ სისტემას განიხილავ(და)ს. ამგვარად, მან სინთეზის საკუთარ ორიენტაციაზე უარი თქვა და, ამის გათვალისწინებით, ნეოფუნქციონალიზმი შეიძლება ამ მიდგომის ხელახალი გამოყენების მცდელობად ჩავთვალოთ.

ალექსანდერმა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმთან დაკავშირებული ყველა ის პრობლემა ჩამოთვალა, რომლებიც ნეოფუნქციონალიზმმა უნდა გადალახოს, მათ შორისაა: „ანტიინდივიდუალიზმი“, „ცვლილებებისადმი ანტაგონიზმი“, „კონსერვატიზმი“, „იდეალიზმი“ და „ანტიემპირიული გადახრა“.

მიუხედავად ნეოფუნქციონალიზმით გატაცებისა, 1980-იანი წლების შუახანებში ალექსანდერი იძულებული გახდა, დაესკვნა: „უნდა ვაღიაროთ, რომ ნეოფუნქციონალიზმი უფრო ტენდენცია, ვიდრე დამუშავებული თეორიაა“. სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ, რაც ალექსანდერმა ნეოფუნქციონალიზმის არასრულყოფილება აღიარა, კოლომი ნეოფუნქციონალიზმის ზოგადთეორიული სტატუსის გამაგრებას შეეცადა და განაცხადა, რომ ამ მიმართულებამ უკვე დიდ წარმატებებს მიაღწია:

„მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ეს ტენდენცია დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. მას ზოგადთეორიულ დონეზე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს და სოციოლოგიური მეტათეორიის სინთეზური მიმართულების განვითარებაში წამყვან როლს ასრულებს...

ნეოფუნქციონალიზმი თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს პასუხობს. იგი ინტენსიური თეორიული ანალიზისა და განვითარებადი ემპირიული კვლევების სფეროდ იქცა.

მართალია, ნეოფუნქციონალიზმს რაღაც მიღწევები ჰქონდა, მაგრამ საეჭვოა, რომ მან ისე ბევრ რაიმეს მიაღწია, როგორც ამაში ჩვენი დარწმუნება კოლომის სურს...

მიუხედავად იმისა, რომ ნეოფუნქციონალიზმი მცირედ დამუშავებულ თეორიად რჩება, ალექსანდერმა მისი რამდენიმე საბაზისო პრინციპი მაინც ჩამოაყალიბა. პირველი, „ნეოფუნქციონალიზმი საზოგადოების აღწერითი მოდელით ოპერირებს (მოქმედებს), რომელიც საზოგადოებას ისეთი ელემენტებისაგან შემდგარს განიხილავს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას სტრუქტურას ქმნიან. ამ სტრუქტურის წყალობით, სისტემა გარე გარემოდან გამოყოფილია. სისტემის ელემენტები „სიმბოლურად არიან დაკავშირებული“ და მათი ურთიერთქმედება რაღაც ყოვლისმომცველი ძალით არ განისაზღვრება. ამგვარად, ნეოფუნქციონალიზმი ნებისმიერ ერთფაქტორულ დეტერმინიზმს უარყოფს და ღია და პლურალისტური ხასიათი აქვს“.

მეორე, ალექსანდერი ამტკიცებს, რომ ნეოფუნქციონალიზმი მოქმედებას და მოწესრიგებას დაახლოებით ერთნაირ ყურადღებას უთმობს. ამგვარად, იგი სტრუქტურული ფუნქციონალიზმისათვის დამახასიათებელ ტენდენციას თითქმის განსაკუთრებულად მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სტრუქტურისა და კულტურის მოწესრიგებულობის

(წესრიგის) მაკროდონის წყაროების კვლევისა და მოქმედების მიკროდონის მოდელებისათვის ნაკლები ყურადღების დათმობის ტენდენციას თავიდან იცილებს. ნეოფუნქციონალიზმი ასევე მოქმედების თავისი ფართო გაგების შესახებაც აცხადებს, რომელიც არა მხოლოდ რაციონალურ, არამედ ექსპრესიულ მოქმედებასაც მოიცავს.

მესამე, ნეოფუნქციონალიზმი ინტეგრაციისადმი არა, როგორც უკვე მომხდარი ფაქტისადმი, არამედ უფრო, როგორც სოციალური შესაძლებლობისადმი სტრუქტურული ფუნქციონალიზმისათვის დამახასიათებელ ინტერესს ინარჩუნებს. იგი აღიარებს, რომ გადახრები და სოციალური კონტროლი სოციალური სისტემის რეალიებია. ნეოფუნქციონალიზმს წონასწორობის პრობლემა აინტერესებს, მაგრამ ეს ინტერესი უფრო ფართოა, ვიდრე სტრუქტურულ – ფუნქციონალისტური, რომელიც ნაწილობრივ და დინამიკურ წონასწორობას მოიცავს. ფაქტობრივად, ნეოფუნქციონალისტებს სურვილი არ აქვთ, სოციალური სისტემები სტატიკური წონასწორობის თვალსაზრისით განიხილონ. ფართო აზრით, წონასწორობა, როგორც ფუნქციონალური ანალიზის ათვლის წერტილი, და არა, როგორც რეალურ სოციალურ სისტემებში ინდივიდთა არსებობის აღწერითი მახასიათებელი, განიხილება.

მეოთხე, ნეოფუნქციონალიზმი პიროვნებაზე, კულტურასა და სოციალურ სისტემაზე ტრადიციულ პარსონსისეულ მიდგომას იღებს. გარდა სტრუქტურისათვის მნიშვნელობისა, ამ სისტემათა ურთიერთშეღწევა ასევე ქმნის კონფლიქტს, რომელიც როგორც ცვლილებების, ისე კონტროლის მუდმივი წყაროა.

მეხუთე, ნეოფუნქციონალიზმი სოციალურ ცვლილებებს სოციალური, კულტურული და პიროვნული სისტემების დიფერენციაციის პროცესებში განიხილავს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 144).

ამგვარად, ცვლილებები არა თანხმობასა და ჰარმონიას, არამედ უფრო „ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ დარღვევა/დამახინჯებებს ქმნიან.

დაბოლოს, ალექსანდერი ამტკიცებს, რომ ნეოფუნქციონალიზმი სოციოლოგიური ანალიზის სხვა დონეებისაგან დამოუკიდებელი კონცეფციებისა და თეორიებისადმი ერთგულებას გულისხმობს.

ალექსანდერმა და კოლომიმ (Alexander and Colomy, 1990a) ნეოფუნქციონალიზმს ძალიან ამბიციური მოთხოვნა წაუყენეს/დაუსახეს. ისინი ნეოფუნქციონალიზმს არ განიხილავენ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მორიდებულ „დამუშავებად“ ან „გადახედვად“, რომელშიც დამფუძნებელთან(პარსონსთან) უთანხმოებები ნათლადაა გაცხადებული და სხვა თეორეტიკოსებისა და თეორიებისადმი დამოკიდებულება ნათლადაა გამოთქმული (სავარაუდოა, რომ ეს თვალსაზრისი ტერნერისა და მარიანსკის განცხადებას შეესაბამება იმის თაობაზე, რომ ნეოფუნქციონალიზმს ძალიან ცოტა აქვს საერთო სტრუქტურულ ფუნქციონალიზმთან).

ნეოფუნქციონალიზმში ნაცადია სოციოლოგიის ისეთ მეტრთა კონცეფციების გაერთიანება, როგორებიცაა მატერიალური სტრუქტურებისადმი მიძღვნილი მარქსის შრომები და სიმბოლიზმზე დიურკემის შეხედულებები. პარსონსისეული სტრუქტურული ფუნქციონალიზმის იდეალისტური გადახრის, განსაკუთრებით ისეთ მაკროსუბიექტურ მოვლენაზე, როგორიც კულტურაა, აქცენტის გადალახვის მცდელობისას უფრო მატერიალისტურ მიდგომებს ანიჭებენ უპირატესობას.

წესრიგზე ყურადღების გამახვილების სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ტენდენცია ნეოფუნქციონალისტებმა სოციალური ცვლილებების თეორიებთან კავშირების განახლების მოწოდებით გააძლიერეს. ტრადიციული სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მაკროდონის გადახრების კომპენსირების მიზნით გაცვლის თეორიის, სიმბოლური ინტე-

რაქციონიზმის, პრაგმატიზმის, ფენომენოლოგიის და ა.შ. წარმოდგენების გაერთიანება იქნა ნაცადი. სხვა სიტყვებით, ალექსანდერი და კოლომი სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სხვა თეორიული ტრადიციების მქონე მიმართულებების მთელ რიგთან გაერთიანებას შეეცადნენ. მიაჩნდათ, რომ ამგვარი მცდელობა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს ააღორძინებდა და ახალი თეორიული ტრადიციის განვითარებას საფუძველს ჩაუყრიდა.

ალექსანდერი და კოლომი სტრუქტურულ ფუნქციონალიზმსა და ნეოფუნქციონალიზმს შორის არსებული სერიოზული განსხვავების არსებობას აღიარებენ:

„ადრეული ფუნქციონალური გამოკვლევები .... ერთადერთ, ყოვლისმომცველ კონცეპტუალურ სქემას შეესაბამებოდნენ, რომელიც სპეციალური გამოკვლევების სფეროებს კომპაქტურ ერთობლიობად აკავშირებდა. ნეოფუნქციონალისტების ემპირიული ნამუშევრები კი, პირიქით, თავისუფლად ორგანიზებულ ერთობლიობაზე მიანიშნებენ, რომელიც საერთო/ზოგადი ლოგიკითაა გამსჭვალული და განსხვავებულ დონესა და განსხვავებულ/სხვადასხვა ემპირიულ სფეროებში საკმარისად ავტონომიურ „განშტოებებსა“ და „ვარიაციებს“ ფლობენ“ (Alexsander & Colomy, 1990a, p. 52).

ალექსანდერისა და კოლომის შეხედულებები სტრუქტურული ფუნქციონალიზმის, როგორც დიდი ყოვლისმომცველი თეორიის, განხილვის პარსონსისეული ტენდენციისაგან მოძრაობას აღნიშნავენ. მის ნაცვლად, ისინი უფრო შეზღუდულ, უფრო სინთეზურ, მაგრამ, ამავე დროს, მთლიან თეორიას გვთავაზობენ.

მაგრამ, როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, „ნეოფუნქციონალიზმის მომავალი ეჭვის ქვეშ დადგა, რადგან მისმა დამფუძნებელმა და წამყვანმა სპეციალისტმა ჯეფრი ალექსანდერმა განაცხადა, რომ ნეოფუნქციონალისტურ ორიენტაციას გაუსწრო/უფრო სხვა მიმართულებაში გადაიზარდა. შეხედულებათა ეს ცვლა-გარდაქმნა მის 1998 წელს გამოქვეყნებული წიგნის სათაურშიც „ნეოფუნქციონალიზმი და მის შემდეგ“ ნათლად და კარგად სჩანს. ამ შრომაში ალექსანდერი ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი მისი მთავარი მიზანთაგანი პარსონსისეული თეორიის ლეგიტიმურობის და მნიშვნელობის კვლავ (წარმოქმნა) წარმოება იყო. იმ ხარისხით, ზომით, რა ზომითაც ნეოფუნქციონალიზმმა ეს შეძლო, ალექსანდერი ნეოფუნქციონალიზმის პროგრამას შესრულებულად თვლის. ამგვარად, იგი მზადაა, პარსონსზე, ნეოფუნქციონალიზმზე უფრო შორს წავიდეს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ მისი მომავალი თეორიული მიმართულებები ორივე თეორიიდან ძალიან დავალებულნი იქნებიან. ნეოფუნქციონალიზმი ალექსანდერისათვის ძალიან შემზღუდავ მიმართულებად იქცა და ახლა იგი მას ისევე, როგორც მთელ მის შემოქმედებას, იმის ნაწილად მიიჩნევს, რასაც მან „ახალი თეორიული მოძრაობა“ უწოდა. იგი მის ასეთ ფორმულირებას გვთავაზობს: „მე ვლაპარაკობ თეორიული შემოქმედების ახალი ტალღის შესახებ, რომელიც ნეოფუნქციონალიზმის მნიშვნელოვანი მიღწევებისაგან გაცილებით შორს მიდის“ (Alexander, 1998 a, გვ. 228). ასეთ თეორიულ პერსპექტივას, შესაძლოა, ნეოფუნქციონალიზმთან შედარებით, უფრო სინთეზური ხასიათი ექნეს, უფრო ეკლექტიკური შეიძლება აღმოჩნდეს, რამეთუ თეორიულ რესურსთა უფრო ფართო სპექტრს სესხულობს და ამ სინთეზურ და ეკლექტიკურ რესურსებს უფრო შესაფერისი ხერხებით გამოიყენებს. კერძოდ, ალექსანდერი ისწრაფვის, გაცილებით მეტი მიკროსოციოლოგიისა და კულტურის თეორიის სფეროებში იმუშაოს და შექმნას (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с..145).

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდერი უფრო მეტად დაინტერესდა „სამოქალაქო საზოგადოების“ საკითხით, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნეოფუნქციონალიზმის სფეროში არ შედის. ალექსანდერის ამ ინტერესს, თავისთავად როგორც ასეთს, აქვს უკვე მნიშვნელობა, ისევე იმიტომაც, რომ ეს საკითხი დღეს მთელ სოციოლოგიას გამსჭვალავ-

ს(მაგალითად, ნახე: Cohen and Arato, 1992; Hearn, 1997; Seligman, 1993b). ჩვენი მიზნებისათვის კი შეგვიძლია სამოქალაქო საზოგადოების ალექსანდერის მიერ მოცემული განსაზღვრებით ვიმუშაოთ, რომლის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება „ინტერაქციების, ინსტიტუტების და სოლიდარობის ის სფეროა, რომელიც ეკონომიკის და სახელმწიფოს სფეროებს გარეთ საზოგადოებათა ცხოვრებას უწყობს ხელს და განაპირობებს“ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., с.144) სოციოლოგებში არსებული უპირველესი ინტერესისაგან განსხვავებით, აქ ყურადღება არა სოციალურ ინსტიტუტებზე მახვილდება, არამედ იმაზე, რაც სწორედ ამ ინსტიტუტებს გარეთ ხდება. ალექსანდერის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება თავის თავში როგორც ინდივიდუალურ ვოლუნტარიზმს, ისე კოლექტიურ სოლიდარობას მოიცავს. თანამედროვე მსოფლიოში არსებული საფრთხეების, ასევე, განსხვავებულ ინსტიტუტთა ფართოდ გავრცელებული უძლურების გათვალისწინებით, სოციოლოგიის მრავალი თეორეტიკოსი სამოქალაქო საზოგადოების საკითხების ანალიზს მიმართავს.

„მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდერმა ამ მიმართულების განვითარება ახლახან, მეოცე საუკუნის დასასრულს დაიწყო, სამოქალაქო საზოგადოებაზე მისი შეხედულება ნეოფუნქციონალიზმიდან შორს გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. ალექსანდერი სამოქალაქო საზოგადოების თემაზე დაწერილ თავის ნაშრომში, სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ნეოფუნქციონალური ტრადიციების აშკარა ნასესხობის ფონზე, ახალი თეორიული დასაბუთებებისაკენ მოძრაობს. ამ ნაშრომის ბედისაგან დამოუკიდებლად, ალექსანდერის მიერ თეორიული მიმართულების შეცვლა ნეოფუნქციონალიზმის მომავლის შესახებ კითხვებს სვამს. თანამედროვე სოციოლოგიაში ცვლილებები სწრაფად ხდება და, შესაძლებელია, ის, რაც სულ რაღაც ათი წლის წინ ახალი და კაშკაშა მოძრაობა იყო, დღეს ჩვენი გუშინდელი ისტორიის ნაწილი გახდეს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. С.145).

3. სოციოლოგია და კულტურა: სიტყვათა წესრიგი

ორიგინალური ტექსტის მთავარ ინტრიგას იმის გამორკვევა შეადგენს, თუ: რაში მდგომარეობს სრულიად სოლიდურ და უზადო აკადემიურ დისციპლინა „Sociology of Culture“-ს და იმ დისციპლინას შორის განსხვავება, რომელსაც იგი პრინციპულად „A Cultural Sociology“-ს უწოდებს? საინტერესოა, თავის დროზე ჯ. ალექსანდერმა უკვე მიღებულ სიტყვათა წყობაზე, ანუ სახელწოდებაზე უარი რატომ თქვა? ამდენად პრინციპულ საკითხზე ამომწურავ პასუხს მკითხველი წიგნის პირველ თავში მიიღებს, რომელიც ჯ. ალექსანდერმა თავის ძველ კოლეგა და თანამოაზრე ფილიპ სმიტთან ერთად დაწერა.

ამ თავში ავტორებმა შეძლეს იმ მეთოდოლოგიური გადატრიალების არსი დაწვრილებით, თანმიმდევრულად და სრულად გადმოეცათ, რომელმაც სოციო-ჰუმანიტარული ცოდნის ნამდვილად ახალი დარგის წარმოშობასთან მიგვიყვანა. მაგრამ, სანამ ამ თავს წავიკითხავთ, აუცილებელია „შესავლის“ წაკითხვა, რომელშიც ჯ. ალექსანდერი „A Cultural Sociology“-ს დაბადების ისტორიას გადმოსცემს.

ამგვარად, საკითხავია, კულტურსოციოლოგიას კულტურის ტრადიციული სოციოლოგიიდან რა განასხვავებს? ამის ახსნისას ალექსანდერი საზოგადოდ სოციოლოგიის თავად საწყისებს მიმართავს. სოციოლოგიის კლასიკოსები და განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სოციოლოგები ყოველთვის მოდერნის საზოგადოების რაციონალური ბუნების პრეზუმფციისაგან ამოდიოდნენ. მარქსიდან პარსონსამდე სოციოლოგები იმას აკეთებდნენ, რომ საზოგადოებრივი ფენომენების იდეალურ შინაარსებს მათი ამა თუ

იმ სოციალურ სტრუქტურებზე რედუქციის-დაყვანის საშუალებით ხსნიდნენ. ასეთ მსჯელობებში „სოციალური“, როგორც რაღაც „მატერიალური“ ნებისმიერი კულტურული („იდეალური“) საზრისების უცვლელ დეტერმინანტად გვევლინებოდა. ამგვარად, რაციონალურობის, როგორც „მოდერნის“ საზოგადოების გვარეობითი არსის შესახებ ვებერისეული პოსტულატის – ყველა სულიერ-გონითი ფენომენების, როგორც ბაზისური სოციალური სტრუქტურების დერივაციების(წარმოებულების) ამომწურავი სახით ახსნაზე სოციოლოგიის პრეტენზიის სახით სოციოლოგიურ მეინსტრიმში ტრანსლირება მოხდა. ამგვარი მიდგომისას, „კულტურა“, როგორც საზრისების სფერო, სრულ რაციონალიზაციას უნდა დაექვემდებაროს და თითოეული/ცალკეული საზრისი, ხოლო შემდეგ მის მიერ განსაზღვრული ადამიანური მოქმედება მათ „სოციალურ“ შემადგენლებად უნდა დალაგდეს.

მოდერნის „რაციონალურობის ეს ილუზია“, რომელიც ეჭვის ქვეშ ჯერ კიდევ ვალტერ ბენიამინის მიერ იყო დაყენებული, გასული საუკუნის 80-იან წლეებში ჯ. ალექსანდერისა და მისი თანამოაზრეების მიერ დაჟინებული ყურადღების ობიექტად იქცა. მათ მიიღეს პოსტულატი/დაშვება, რომლის თანახმადაც, სოციალური „რეალობა გამჭირვალობისა და რაციონალურობისაგან შორსაა“ (Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013. გვ. 49), მაშასადამე, თავისებური სახის ალტერნატიული სოციოლოგია აუცილებელია. ალტერნატივა იმის აღიარებაში მდგომარეობდა, რომ კულტურის სფერო, როგორც სოციალური პროცესების აქტიური მონაწილე, სოციალური აქტორების ქმედებებს იმგვარად განსაზღვრავს, რომ ამ აქტორებს ამის გაცნობიერება არ შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში კი უკვე არა კულტურის სოციოლოგიის, არამედ სწორედ კულტურსოციოლოგიის ამოცანა ისაა, რომ კულტურის იდეალურ-საზრისისეული ველის, როგორც „სოციალური არაცნობიერის“ „წაკითხვა“ ისწავლოს. აქედან, სავსებით კანონიერი დასკვნაც: „კულტურსოციოლოგია სოციალური ფსიქოანალიზის გვარსახეობას წარმოადგენს. მისი მიზანი სოციალური არაცნობიერის დღის სინათლეზე გამოყვანა და ადამიანებისთვის ამ არაცნობიერის მეშვეობით მოაზრებული მითების ახსნაა, რათა მათ, თავის მხრივ, ახალი მითების შექმნა შეძლონ“ (Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013. გვ. 44). ეს მიდგომა ძალზე ამერიკული ხასიათისაა – ვინაიდან კულტურსოციოლოგიის პროექტის განხორციელებაში პრაგმატიზმის ტრადიციის სერიოზულ როლზე მიუთითებს – ანუ იქმნება მეცნიერება, რომელიც არა მხოლოდ ხსნის სოციალურ ფენომენს, არამედ ამ ფენომენზე ზემოქმედების ინსტრუმენტიც ხდება.

აქ საჭიროა დავძინოთ, რომ თვით ჯ. ალექსანდერი „განზოგადებულ და დედუქციური ხასიათის მქონე თეორიის შექმნის“ (Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013. გვ. 48) შესახებ პრეტენზიას არ აცხადებს. მისი ამოცანა უფრო მორიდებულია – მის ამოცანას „კულტურსოციოლოგიის კვლევითი პროგრამის გადმოცემა და იმის დემონსტრირება წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება ეს პროგრამა თანამედროვე ცხოვრების ძირითადი პრობლემებიდან რომელიმეზე კონკრეტულად იქნეს მიყენებული“(გვ.53). შესაბამისად, ჩვენთვისაც შემდგომში ამ პროგრამის განხილვა და ერთ კონკრეტულ მაგალითზე მისი ეფექტურობის შემოწმება საკმარისი იქნება.

4. კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამის“ სამი პრინციპი

ჯ. ალექსანდერი კულტურის ტრადიციულ სოციოლოგიასა და კულტურსოციოლოგიას შორის წყალგამყოფს „ძლიერი“ და „სუსტი“ პროგრამების განსხვავებაში ხედავს. კულტურსოციოლოგიის პროგრამა „ძლიერია“ იმ აზრით, რომ მის კვლევით წანამძღვარს კულ-

ტურის, როგორც „დამოუკიდებელი ცვლადის“ აღიარება წარმოადგენს(გვ. 59). ამიტომ პროგრამის საწყისი პუნქტი – „სოციალური სტრუქტურისაგან კულტურის მკაცრად ანალიტიკური გამოყოფაა“ (Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013.გვ. 69).

ამ მეთოდოლოგიურ ფუნდამენტზე კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამის“ სამი საკვანძო მნიშვნელობის პრინციპი ლაგდება. და მათგან პირველი – „კულტურული ავტონომიის“ მტკიცებაა. თუ კულტურა, როგორც „სოციალური არაცნობიერის“ და „მითების“ სფერო, ავტონომიურია, მაშინ აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ კულტურსოციოლოგი კულტურის სოციოლოგის მიერ a priori აღიარებულ დეტერმინაციის წესრიგს არღვევს. მნიშვნელოვანი იმის გაგება კი არაა, თუ სოციალური სტრუქტურები გარკვეულ კულტურულ კონსტელაციებს როგორ ქმნიან თუ ბადებენ, არამედ, პირიქით, ნებისმიერი სოციალური სუბიექტის მოქმედების, როგორც კულტურული საზრისებით (მითებით, როგორც არარეფლექსირებული არაცნობიერით) წინასწარგანსაზღვრულის „წაკითხვა“ დავიწყოთ.

ამ ნაბიჯის გადადგმით, მუშაობაში შემდეგ პრინციპს ვრთავთ, რომელიც ჩვენგან სოციალური მოქმედების, როგორც „გადაშლილი „სოციალური ტექსტის“ „კითხვის“ უნარს მოითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კულტურსოციოლოგია იმის გარეშე, რასაც ჯ. ალექსანდერი, როგორც „სოციალური ტექსტების ჰერმენევტიკულ რეკონსტრუქციას“ განსაზღვრავს, შეუძლებელია.

აქ იგი ჯერ კიდევ კლიფორდ გირცის მიერ დამუშავებულ ეგრეთ წოდებულ „მჭიდრო აღწერის“(„thick description“) მეთოდიკას ეყრდნობა, რომელიც ამ საზრისების განსაზღვრული კომბინაციების შემქმნელი კოდების, ნარატივების და სიმბოლოების ანალიტიკური გამოვლენის საშუალებით „სოციალური საზრისების“ გაშიფვრაზეა მიმართული. ამ ჰერმენევტიკული პროცედურების თანმიმდევრული გამოყენება „ძლიერ პროგრამას“ კიდევ ერთი – და ძალიან მნიშვნელოვანი – ნაბიჯით წინ წევს. ახლა „ანალიტიკურიდან კულტურის რეალურ ავტონომიაზე“ მეთოდოლოგიური ლეგიტიმურობით გადასვლა შესაძლებელი იქნება.

ასეთ გადასვლას კი კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამის“ მესამე, უკანასკნელ პრინციპთან მივყავართ. აი, როგორ აღწერს მას ჯ. ალექსანდერი: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ძლიერი პროგრამა უშუალო აქტორებსა და მოქმედების წესებში მიზეზობრიობის დანერგვას ცდილობს და დეტალურად ადგენს იმას, თუ სწორედ კულტურა როგორ ზემოქმედებს იმაზე, რაც რეალურად ხდება“ (Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013.გვ. 64). ამ მცდელობის წარმატებულობის ილუსტრაციას შემდეგი თავები წარმოადგენს. „ძლიერი პროგრამის“ მაილუსტრირებელი შვიდი თავიდან თითოეული ცალკე განხილვას იმსახურებს. მაგრამ ის, თუ როგორ მუშაობს კულტურსოციოლოგი, განსაკუთრებით ნათლად მეორე თავში – „ზნეობრივი უნივერსალიების სოციალური კონსტრუირება: „ჰოლოკოსტი“ სამხედრო დანაშაულებებიდან ტრავმის დრამამდე“ – არის ნაჩვენები. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თავი შეიძლება „მონოგრაფიაში მონოგრაფიად“ ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ სწორედ ტერმინ „ჰოლოკოსტით“ აღნიშნულ უკიდურესად იდეოლოგიურად მწვავე და კულტურულად მრავალმნიშვნელოვანი ფენომენის მაგალითზე, ჯ. ალექსანდერი მისი „ძლიერი პროგრამის“ მთელი ანალიტიკური „ძალის“ დემონსტრირებას ახდენს.

კულტურ/კულტურალური სოციოლოგია – ეს სრულებითაც არაა იგივე, რაც უფრო ყურისათვის მისაღები კულტურის სოციოლოგია, რომელიც კულტურას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქვესისტემას შეისწავლის, რომელიც კულტურის წარმოებასა

და მოხმარებასთანაა დაკავშირებული. ეს აშკარა/ნათელი და ფარული საზრისების ძიებაა, რომლებიც, ალექსანდერის აზრით, ცივილიზაციის ისტორიას არანაკლები ზომით განსაზღვრავენ, ვიდრე პრაგმატული ინტერესები, ეკონომიკა და პოლიტიკა. „... კულტურის მკვლევარი სოციოლოგები კოლექტიური საზრისების ინტერპრეტაციას კვლევის კუთხის სათავეში არ აყენებდნენ და კიდევ უფრო ნაკლებმორალური სტრუქტურებისა და ფაქიზი ემოციური კავშირების გამოვლენაზე ზრუნავდნენ, რომელთა საშუალებითაც ცალკეული პირები და კოლექტივები საზრისების ზემოქმედებას განიცდიან... ეს საზრისები შექმნილია საზოგადოების მიერ და მოწესრიგებულია მაშინაც კი, როდესაც ისინი შეუმჩნეველია .... აუცილებელია მათი ხილულად გარდაქმნა .... ვისწავლოთ. კულტურალური სოციოლოგია სოციალური ფსიქოანალიზის სახეობაა, გვარეობაა. მისი მიზანი – სოციალური არაცნობიერის დღის შუქზე გამოტანაა, ადამიანებისთვის მისი მეშვეობით მოაზრებული-გააზრებული მითების გაშუქებაა, რათა მათ, თავის მხრივ, ახალი მითების შექმნა შეძლონ“.

5. „ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესი

კულტურალური სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული სოციოლოგიური ცოდნის განსაკუთრებული ფორმის დაფუძნების მცდელობა წიგნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია და ალექსანდერის მიერ მოყვანილი მაგალითები იმისა, რომ უახლეს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაშინ ხდებოდა, როდესაც მორალური განცდები („კულტურული ტრავმა“) მსოფლიო ისტორიის მსვლელობას ცვლიდა, ამას თანმიმდევრულად აჩვენებს. როგორც ალექსანდერი წერს, თუ საკრალურისადმი მიზიდულობა, წაბილწვის შიში და განწმენდის აუცილებლობა თანამედროვე ცხოვრების წესისადმი იმავე ზომით იქნება დამახასიათებელი, როგორც ტრადიციულისათვის იყო, ჩვენ იმის გარკვევას, თუ ეს როგორ და რატომ ხდება, მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა კულტურალური სოციოლოგიის გზაზე დავდგებით. სწორედ ეს ხედვა, ეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მითები, ნარატივები და კოდები მხოლოდ მარტივ, რელიგიურად მოწესრიგებულ, არადემოკრატიულ ამ ძველმოდურ საზოგადოებაში თამაშობენ საფუძველმდებელ როლს, კულტურალური სოციოლოგიის იდეებისათვის ამოსავალ წერტილად იქცა კიდეც. მაგრამ, წიგნში მოყვანილი მაგალითები ბანალური და რამდენადმე ზედაპირულადაა გაანალიზებული(პროფ. ალექსანდერი ყურადღებას დასავლური ცივილიზაციის მიერ ჰოლოკოსტის, უოტერგეიტის სკანდალის, მ. გორბაჩოვის „მორალურ თვალის ახელის“, რომელმაც ჰუმანისტური იდეების სახელით „ბოროტების იმპერიის“ კრახს შეუწყო ხელი და 2001 წლის 11 სექტემბერს ფუნდამენტალისტების შეტევის კოლექტიური განცდის ზნეობრივ შედეგებზე ამახვილებს). და აქ პრობლემა „კულტურული ტრავმების“ ამ ქრესტომათიულ ჩამონათვალში კი არაა, არამედ იმაში, რომ მათი განხილვა უფრო მეტად ზოგადი და საერთო სიტყვების დონეზე და არა ახალი მეცნიერული დისციპლინის, საკუთრივ კულტურალური სოციოლოგიის სპეციფიკურ ენაზე მიმდინარეობს. ალექსანდერის აზრით, „ჩვენ იმდენად გონიერი, რაციონალურები და განმსჯელნი იმის სანახევროდაც კი არა ვართ, როგორც ეს ჩვენ გვენდომებოდა. ჩვენი ცხოვრების წესი დღემდე უფრო არაცნობიერი, ვიდრე გაცნობიერებული მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. კულტურულ სტერეოტიპებს მკაცრ შეზღუდვებში აქცევენ, მაგრამ ამავე დროს დიდ შესაძლებლობებსაც აძლევენ. პრობლემა ისაა, რომ ჩვენ მათ ვერ ვიგებთ. და სწორედ ამაშია კულტურალური სოციოლოგიის ამოცანაც... კოლექტიური ძალები, რომლებიც მაიძულებელ-იძულებითნი არ არიან, და რომლებსაც ჩვენ ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით და ენთუზიაზმით ვეხმიანებით. თუ ჩვენ ამ ძალებს ისე ვემორჩილებით, რომ არც კი ვიცით, რატომ, მაშინ ეს მასში არსებული საზრისის გამო ხდება... საქმე

ისაა, რომ საზოგადოების მარეგულირებელი არაცნობიერი კულტურული სტრუქტურები გონების სინათლეზე გამოვიყვანოთ... ეს ძალები არა მხოლოდ გარეგანი, არამედ აქტორთან მიმართებაში შინაგანიც არიან, კოლექტიური საზრისების ზემოქმედების არსებით ეფექტებს მრავალმა სოციოლოგმა მიაქცია ყურადღება". შრომაში გამოყენებული ცნებითი აპარატი ყველაზე ხშირად ფროიდისტების ლექსიკონიდანაა ნასესხები, თანაც განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ალექსანდერი ფროიდის ყველაზე „მთავარ" მიმდევარს – კარლ გუსტავ იუნგს – სავსებით უგულებელყოფს.

საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ჯ. ალექსანდერი მოდერნის შესახებ. თანამედროვეობაში ფარული საზრისის ძიება, რომელიც ეთიკური და მორალური ინგრედიენტებითაა „შემთბარი", აშკარა კონტრასტშია დასავლეთში ტ. პარსონსისა და მისი მიმდევრების მიერ განვითარებული მოდერნის ცივ თეორიასთან და რაც ადრე თუ გვიან თავად „თანამედროვეობის" მოვლენის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი პროცესების და ასევე იმ მოვლენის, რომელიც მოდერნის საზოგადოების ნაცვლად მოდის, ხელახალ განაზრებასთან უნდა მიგვიყვანოს. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ალექსანდერი, მოდერნის თეორიამ ისტორიულ კონტექსტში თანამედროვეობის(მოდერნის) ადგილის განსაზღვრა ჯერ კიდევ ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ეს თეორიაში ეთიკური, კულტურულოგიური განზომილების გარეშე შეუძლებელიც კი არის. „ტრადიციული-თანამედროვე ბინარული კოდის კონსტრუირება ისტორიული განშტოებების გაცნობიერების გამოცდილებად იქცა", მაგრამ იგი „მიმდინარე რთული პრობლემების და წარმოსახულ წარსულთან მიმართებაში მომავალი შესაძლებლობების შემდგომ ინტერპრეტაციებს" მოითხოვს. ყოველ ისტორიულ პერიოდს აუცილებლად სჭირდება ნარატივი, რომელიც მის წარსულს აწმყოს ტერმინებით განსაზღვრავს და იმ მომავლის შესახებ ლაპარაკობს, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება თანამედროვე დროისაგან და ჩვეულებრივ გვპირდება, რომ „მასზე უკეთესიც კი იქნება".

აი რატომაა, რომ სოციალური ცვლილებების თეორიულ გააზრებებში მუდამ არა მხოლოდ ეპისტემოლოგია, არამედ ესქატოლოგიაც არსებობს. მიზეზთა გამო, მთელი თანამედროვე ცივილიზაცია და მისი რუსული პერიფერია განსაკუთრებით, ამ ესქატოლოგიის ძალაუფლების ხელში აღმოჩნდა, პლუსი თუ მინუსი ნიშნით, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მომავლის ჰორიზონტი ისე ვიწრო და მცირეა, როგორც არასდროს, მსოფლიო არსებითად დღევანდელი დღით ცხოვრებას აგრძელებს, მომავლისაგან კი უფრო უსიამოვნებებს ელის. ამ აზრით, ავტორი მოდერნიზაციის თეორიის მარცხის კონსტატირებას ახდენს, რომლის მიზეზიც „მისი იდეოლოგიური, დისკურსიული და მითოლოგიური ბირთვის დაშლა-დანგრევა გახდა". გამოწვევა, რომლის გამკვლავებაც, ბოლოს და ბოლოს, მოდერნიზაციამ ვერ შეძლო, ეგზისტენციალურ ხასიათს ატარებდა. მოდერნიზაციის თეორია ახალ საზოგადოებრივ მოძრაობებთან მრავალი რამით დაკავშირებულ ახალი სოციალური რეალობის საზრისების გამოვლენის საქმეში უძლური აღმოჩნდა. ესაა „გლეხთა რევოლუციები მთელს მსოფლიოში, შავკანიანთა და ჩიკანოთა მოძრაობა ქვეყნის შიგნით, აბორიგენთა აჯანყებები, ახალგაზრდული კულტურა, ჰიპები, როკ-მუსიკა და გენდერული ემანსიპაცია. ამ მოძრაობებმა თვით ეპოქის სულიკვეთება – ეპოქის განცდილი რიტმი შეცვალეს." ამასთან ერთად, თვით თანამედროვეობა სულ უფრო მეტად იძენს მრავალ რაიმეს იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლებისაგან, რომლებიც ადრე ტრადიციონალიზმთან და ჩამორჩენილობასთან ასოცირდებოდნენ. მოდერნის თანამედროვე პერიოდი სულ უფრო ხშირად, როგორც ბიუროკრატიზმისა და რეპრესიულობის და არა დემოკრატიისა და ინდივიდუალიზაციის განსახიერებად წარმოგვიდგება. არც თანამედროვე ამერიკაა აქ გამონაკლისი, რომელიც თავისუფალი ბაზრის ქვეყნიდან და ხელშეკრულების საფუძველზე

დამკვიდრებული საზოგადოებიდან სულ უფრო „ჩამორჩენილ, ხარბ და ანარქიულ ქვეყნად იქცა“. ნიშნები და სიმბოლოები, რომლებიც ადრე თანამედროვეობას განსაზღვრავდნენ, სულ უფრო მეტად ბილწავენ იმ მოძრაობას, რომელიც ადრე ამ სახელწოდებასთან ასოცირდებოდა.

ეს საკითხი უკიდურესად აქტუალურია პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის, რომელშიც „მოდერნის შემობიჯება-დამკვიდრების“ პროცესი სწორედ სოციოკულტურული ფაქტორებით, ღირებულებებითა და არქეტიპთა სისტემით იქნა პარალიზებული, რომლებიც მრავალი მიმართულებით თანამედროვე საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის პარალიზებას იწვევენ. ტრადიციული სოციოლოგიიდან ამოსული მეთოდოლოგია კი ამ დამბლოკავი პროცესების ბუნებისა და მექანიზმების გაგებაში წინ წაწევას თითქმის ვერ უზრუნველყოფს. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ გამოკითხვები ე. წ. „საპარადო, სააღლუმო ღირებულებების“ სისტემას აფიქსირებენ და არა იმას, რასაც ადამიანი სინამდვილეში წარმოადგენს, იმას აფიქსირებენ, როგორადაც მას შემკითხველის წინაშე წარდგენა სურს ან, სავსებით შესაძლებელია, ნამდვილად ასეთად მიაჩნდეს საკუთარი თავი. სინამდვილეში კი ის სრულიად სხვაა – მასზე ძლიერი ინდივიდუალური ან კოლექტიური ქვეცნობიერი ბატონობს. მაგრამ ამ იდეების არა პიროვნების ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკაში, არამედ საზოგადოების, ხალხის, ცივილიზაციის დიაგნოსტიკაში გაშვება კლასიკურმა სოციოლოგიამ ჯერ კიდევ სერიოზულად ვერ შეძლო. თანამედროვე ადამიანი, მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, საკუთარი ყოფიერების კარდინალური პრობლემების გადაჭრაში, უბრალოდ, კატასტროფულად უუნარო აღმოჩნდა. უფრო უარესი, თუ თანამედროვე საზოგადოებას კლასიკური გაგებით ტრადიციულს შევადარებთ, მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მრავალ რამეს გადაეჩვია.

ყველაზე მთავარი-თანაბარი მდგომარეობის შემნარჩუნებელი მექანიზმები გაქრა, თუმცა ისიც მართალია, რომ ეს მექანიზმები პროგრესს ამუხრუჭებდნენ.

მეორე – არსებობდა ძლიერი კოლექტიური ქვეცნობიერი(თუნდაც მითოლოგიური ან რელიგიური ფორმით), რომელიც მეტისმეტი ჰედონიზმისაგან თავის შეკავებაში ეხმარებოდა, მათი საკუთარი წამიერი ინტერესების რაღაც უფრო მნიშვნელოვანისათვის შეწირვის მზაობას განსაზღვრავდა. დღევანდელი თანამედროვეობა კი სულ უფრო მეტად „შავი ჭირის დროში ნადიმს“ გვაგონებს. ამასთან დაკავშირებით ალექსანდერი სოციოლოგიის მეორე თანამედროვე კლასიკოსის – ენტონი გიდენსის ციტირებას ახდენს, რომლის აზრითაც, ტრადიციული წესრიგი „ჭეშმარიტების ფორმულარულ ცნებებს“ ეყრდნობა, რომლებიც „ზნეობრივ და ემოციურ ელემენტებს აერთიანებენ, და ასევე შეუვალი ძალაუფლების მქონე „დამცველთა“ მიერ ორგანიზებულ „რიტუალურ პრაქტიკებს“ ეყრდნობა. ეს რწმენები და პრაქტიკები ქმნიან კიდეც „სტატუსზე“ დაფუძნებულ საზოგადოებას. პირიქით, „რეფლექსური თანამედროვეობის“ პერიოდში ყველაფერი სხვაგვარადაა. რიტუალის „რეალური“ და „პრაგმატული“ საქმიანობით იდევნება-ვიწროვდება ფორმულარული იდეები „პროპოზიციური“ იდეებით, მცველები – „სკეპტიკურად განწყობილი“ ექსპერტებით, ხოლო სტატუსი „კომპეტენციით“ იცვლება.

ამ ცნობილი ცნებობრივი ბინარულობისაგან ამდენადვე ცნობილი ცნებობრივი დასკვნა გამომდინარეობს: სოციალური ცხოვრების თანამედროვე სტადიიდან ტრადიცია მთლიანად „ამოგდებულია“. თანაც ეს მტკიცება ვარაუდის მეტს არაფერს წარმოადგენს, უბრალოდ, ვარაუდი – დაშვებაა. თანამედროვეობის ეპოქაში წარსული თუ როგორი ზომით, როგორი ფორმით აგრძელებს აწმყოს განსაზღვრას, შეიძლება, რამდენიც გინდათ, იმდენი იკამათოთ. რეცენზენტის აზრით, ასეთი კამათი რუსეთშიც მიმდინარეობს, სადაც, ერთი მხრივ, როგორც არქაულობისა და ტრადიციის ზეწოლის მრავალი საბუთი შეიძლება

ვიპოვოთ, რომლებიც შესაშური რეგულარობით მოდერნიზაციის მიზნით გატარებულ ყველა იმ რეფორმას გვერდზე ატარებენ/გვერდს უვლიან, რომლებიც „რუსული მატრიცის“ სიწმინდესა და შეუვალობას ხელყოფენ, ისე წარსულთან ღრმა დაპირისპირებისა თუ დაშორების საბუთებსაც ვიპოვით, რომლებიც რუსული ტრადიციის ნანგრევებზე „ახალი რუსული ცივილიზაციის“ ჩასახვას თუ წარმოქმნას გვაუწყებენ. როგორც ამასთან დაკავშირებით ა. კონჩალოვსკი მუდმივად ამტკიცებს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ არქაული ცნობიერება დღემდე არსებობს რუსეთში, და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღემდე „ბურჟუზიამდელ“ საზოგადოებაში ცხოვრობს. ამ აზრით, ჩვენს სახელმწიფოს უფრო მეტი საერთო ნიშნები/თვისებები უფრო აფრიკულ, ვიდრე ევროპულთან აქვს. რუსეთში ...: მოქალაქეები არ არიან, არის მოსახლეობა“. ამ არქაულ მასას „მცირერიცხოვანი ფენა უპირისპირდება, რომელსაც სლავიანოფილი ხომიაკოვი ველურთა ქვეყანაში მოსროლილ ევროპულ დასახლებას ადარებდა, და მან ორასი წლის განმავლობაში, განვითარებისა და გამრავლების პირობებში, მთელი კულტურა შექმნა, რომლითაც რუსეთი დღეს ამაყობს. ყველაფერი ის, რაც სულ რაღაც ორასი წლის მანძილზე შეიქმნა, ყველაფერი, რამაც მსოფლიო კულტურაზე გავლენა იქონია და გაამდიდრა იგი, რუსი ევროპელების „მცირე“ ნაციის მიერ იყო შექმნილი“ (Куракин Д.Ю. Социологическая граматика. В книге: Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013).

პოსტსაბჭოთა რუსეთისათვის დამახასიათებელი კულტურსოციოლოგიური პროცესები მრავალი სოციოლოგიური, პოლიტოლოგიური, ეკონომიკური გამოკვლევების საგანი გახდა. მაგრამ მათი პროგნოზისტული და შემეცნებითი ღირებულება მრავალ რამეში რაციონალური, კოგნიტური შემადგენლობებით შეზღუდული აღმოჩნდება, რომლებიც მათზე სხვადასხვა გვარის არქეტიპების, მითების, კულტურული სიმბოლიკის, რეალური და არა დეკლასირებული ღირებულებებისა და ცხოვრებისეული სტრატეგიების, რომლებიც ერთობლივად საზოგადოების, ერის სოციოკულტურულ კოდს ასახავს, ზემოქმედებას ვერ ითვალისწინებს. იდენტობა-იდენტურობა თავის თავში პოლიტიკურ იდენტობას, აგრეთვე, პოლიტიკურ და სოციალურ ღირებულებებთან და ნორმებთან – უფრო ფართოდ – რომელიღაც „ცივილიზაციურ პროექტთან“, რომლის ირგვლივაც ჩამოყალიბებული მითები და არქეტიპები არსებობენ, იდენტიფიკაციას მოიცავს; ასევე – ისტორიულ და ისტორიულ-კულტურულ იდენტობას, როგორც ცივილიზაციური იდენტობის რომელიღაც კერძო ჭრილს, და ეთნიკურ იდენტობას (საკუთარი თავის, სხვა ხალხებისა და ქვეყნების, „შიდა“ და „გარე“ მტრების სახეთა აღქმასა და შეფასებას) მოიცავს.

სტერეოტიპთა-მნიშვნელობათა სისტემაში სერიოზულ ადგილს გარემომცველი სინამდვილის, საკუთარი თავის, ამ სინამდვილისადმი და სხვა ადამიანებისადმი საკუთარი დამოკიდებულებების შესახებ ადამიანთა წარმოდგენები, ე.ი. სამყაროს ეგრეთ წოდებული მოდელები იკავებს. თავისი ცივილიზაციური მახასიათებლების თვალსაზრისით, ჩვენი თანამედროვე გენერაცია – თაობა თავის თავში როგორც არქაულობის, ისე ტრადიციული საზოგადოების, და რეფორმის შემდგომი მოდერნის თავისებურებებსა და ნიშნებს ატარებს. ერთი მხრივ, ჩვენ თანამედროვე მეგაპოლისის მცხოვრებთა უნიფიცირებულ პოსტინდუსტრიული ცხოვრების წესს ვაწყდებით, რომელიც, როგორც წესი, მოხმარების მასობრივ კულტურაზეა ორიენტირებული, მეორე მხრივ – ტრადიციონალიზმის პატარ-პატარა კუნძულებს, მესამეს მხრივ კი – საზოგადოებრივი დამოკიდებულების არქაიზაციას, საზოგადოების პრიმიტიულ თვითორგანიზაციას, რომელიც მრავალ რაიმეში ტრადიციამდელ ფორმებს კვლავაწარმოებს. ეს კი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალიებზე შეხედულებათა არაერთგვაროვნებას წინასწარ განსაზღვრავს, როდესაც ცხოვ-

რების წესის მოდერნიზაციის პროცესის პარალელურად პოლიტიკური კულტურის არქაიზაციის პროცესი მიდის.

დღევანდელ შერეულ და დანაწევრებულ საზოგადოებაში, რომელშიც ტრადიციული იდენტურობის მატარებელი დიდი მოცულობის ჯგუფები არსებობას ინარჩუნებენ, თანდათანობით ახალი, თავისებური სახის „წინმსწრები-წინ წასული“ სოციალური ჯგუფების არსებობა იკვეთება, რომელთა პოზიციებიც სწრაფად იზრდება, თუმცა ისინი რაოდენობრივად ყოველთვის არ დომინირებენ. ერთობლივი სოციალური გამოცდილება მითის, რომლის ლოგიკური სქემა და თავდაპირველი მრუდთარგი ხელშეუხებელი რჩება, შინაარსის ტრანსფორმაციას ახდენს. ერთი მითის ადგილს უცილობლად სხვა მითები იკავებენ. ხშირად ცივილიზაციური თავისებურებები ზედაპირზე არ დევს, ისინი ერის კულტურულ და სოციალურ შემოქმედებაში, ენაში, კულტურაში, ესთეტიკურ მჯობინება-უპირატესობებში, ყოფითი ურთიერთობების ფორმებში, არქეტიპებში, მითებსა და ტრადიციებში ვლინდებიან. გაუგებარი რჩება პასუხი კითხვაზე, როგორი ხარისხითაა ეს პროცესები არქეტიპული(მითოლოგიური) ცნობიერების თავისებურებებთან დაკავშირებული და, ასევე, როგორი ხარისხითაა დაკავშირებული ინსტიტუციურ უკმარისობებთან, როდესაც ღირებულებათა თანამედროვე სისტემის მქონე სუბიექტებიც კი არქაული კანონზომიერებების შესაბამისად თვითორგანიზდებიან.

ალექსანდერის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების კულტურა სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრულ სიმბოლურ კოდთა სისტემად უნდა აღიქმებოდეს. მსგავსი წესით, კულტურის ცნებობრივი გააზრება – მისი შინაგანი სემიოტიკური ლოგიკის ძალით – მას კაუზალურ ავტონომიას ანიჭებს და კონკრეტული ლოკალობების და ისტორიული კონტექსტების, ასევე, მათ შორის დამოკიდებულებების საფუძველზე განზოგადებების შესაძლებლობას ქმნის..... კოდები მოქმედებებზე ორი მიმართულებით ახდენენ გავლენას. პირველი, ისინი ინტერიორიზირდებიან და, მაშასადამე, ძლიერი მორალური იმპერატივის საფუძვლებს უზრუნველყოფენ. მეორე, ისინი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს შეადგენენ, რომელთა საუძველზე ცალკეულ ადამიანთა ქმედებები ტიპიზდებიან და ზნეობრივი შეფასების ქვემდებარენი ხდებიან.

მსგავსი მახასიათებლების კრებული ნაციის-ერის კულტურულ, და არა, როგორც სოციალური ან ეთნიკური ფენომენის, პორტრეტს ძალიან დიდად განსაზღვრავს.

ჯ. ალექსანდერი თავისი განაზრებების იმ ნაწილში, რომელიც პოსტმოდერნიზმის ზოგად ტენდენციებს ეხება, უფრო აწონილ-დაწონილ, მნიშვნელოვნად უფრო კონსერვატიულ პოზიციას იჭერს, ვიდრე ე. გიდენსი. მისი აზრით, „თუმცა პოსტმოდერნიზმს, როგორც ჩანს, საქმე აწმყოსა და მომავალთან აქვს, მაინც მისი ჰორიზონტი წარსულითაა ნაკარნახევი. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისიდანვე იგი ინტელექტუალური იმედგაცრუების იდეოლოგია იყო. ინტელექტუალმა მარქსისტებმა და პოსტმარქსისტებმა პოსტმოდერნიზმი იმ ფაქტის საპასუხოდ შექმნეს, რომ ჰეროიკული და კოლექტიური რადიკალიზმის პერიოდი, როგორც ჩანს, მთავრდებოდა და ქრებოდა. მათ ეს აღტყინებული კოლექტიური აწმყო გადაიაზრეს, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, გარდუვალ კიდევ უფრო ჰეროიკულ მომავალს, როგორც პერიოდს წინასწარმეტყველებს, რომელიც ახლა დასრულდა. დღეს ჰეროიკული მომავალი თუნდაც მარქსისტების ან ნეომარქსისტების, ან თუნდაც ფ.ფუკუიამას მომხრეებისა და მიმდევრების ინტერპრეტაციებშიც კი არ არსებობს. და ეს იმედგაცრუება, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ ისტორიული საზრისის დაკარგვით იმუქრებოდა, დღეს ახალი თეორიის კონსტრუირების აუცილებლობად გვიბრუნდება. „ინტელექტუალები პოსტმოდერნის თეორიას – როგორც თავის თავს, ისე საზოგადოებას, როგორც რადიკალური საზოგადოებრივი მოძრაობების ჰეროიკული უტოპიების დამარცხებას წარუდგენენ, რომელიც პასუხად – დამარ-

ცხებას კი აღიარებს, მაგრამ ამ უტოპიური სამყაროსადმი კოგნიტური მითითებების გაკეთებაზე უარი ჯერ კიდევ არ უთქვამს“.

6. „ტრაგიკული ნარატივი“, როგორც „ჰოლოკოსტი“

უწინარეს ყოვლისა, ჯ. ალექსანდერი კითხულობს – ხდომილება, რომელიც ერთი პატარა ხალხის ტრაგედიას წარმოადგენს, მთელი დასავლური კულტურის უნივერსალურ „ტრავმად“ როგორ იქცა? მასზე პასუხისას იგი ამერიკელი ჯარისკაცების მიერ 1945 წლის აპრილში სიკვდილის ნაცისტური ბანაკების აღმოჩენის მომენტიდან თითქმის ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე „ავადმყოფობის მთელ ისტორიას“ უკიდურესად დეტალურად („მჭიდრო/შემჭიდროებული აღწერის“ მოთხოვნების შესაბამისად) აღადგენს. სხვა სიტყვებით, იგი „ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესს, რომელიც სამ თანმიმდევრულ ფაზას – კოდირებას, საზრისისეული წონის მინიჭებას, დაბოლოს, ნარატივის შექმნას მოიცავს, სკრუპულოზურად აღწერს და ექსპლიკაციასაც ურთავს.

ამ ვირტუოზული ექსპლიკაციის გაცნობისას მკითხველი იგებს, რომ საკუთრივ „ჰოლოკოსტი“, როგორც კულტურულად მნიშვნელოვანი და განუკურნებელი ტრავმის მიმყენებელი ხდომილება, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების შუახანებამდე არ არსებობდა. რასაკვირველია, იყო ნიურნბერგის პროცესი – „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის“ ნაცისტი დამნაშავეების გასამართლება და დასჯა. თავად ეს დანაშაულებები, როგორც „გენოციდი“, „ებრაელების მასობრივი განადგურება“ ან, როგორც გერმანულ კულტურულ მიმართვებშია, როგორც „საბოლოო გადაწყვეტილება“ იყო კოდირებული. ებრაულ თვითცნობიერებაში კი არსებობდა ტერმინი „კატასტროფა“, ხან „შოა“ – როგორც ეს თორაშია მოცემული, რომელიც ძველი აღთქმის ხალხზე პერიოდულად მოვლენილ ღვთის სასჯელს აღნიშნავს.

ევროპელი ებრაელების განადგურების ნაცისტური პრაქტიკის თავად ისტორიული ფაქტი ყველა მის ვარიანტში, როგორც უნიკალური ბოროტება/ბოროტმოქმედება დამკვიდრდა, რომელმაც თავისი ისტორიული მისაღებელი მიიღო. ამ ისტორიაში „ბოროტმოქმედად“ „ნაციზმი“ გვევლინება და რამდენადაც სწრაფად ნაციზმი დამარცხებული, განადგურებული და აკრძალულ იქნა, იმდენად ჰორიზონტი წარსულში დარჩენილი იმ შიშისა და გაუგონარი უბედურებისაგან სწრაფად გაიწმინდა.

ხდომილების ამ კულტურულ კოდირებაში იმუშავა იმან, რასაც ჯ. ალექსანდერი „პროგრესულ ნარატივს“ უწოდებს. იგი ხან განმანათლებლური, ხან ფსიქოანალიზური პარადიგმის საფუძველზე იგება, რომელთაგან თითოეულს „ხან გულუბრყვილო ზნეობრივი, ხან გულუბრყვილო ფსიქოლოგიური აზრით“ (გვ.109) „ნატურალისტურობები“ სჭირს. ნარატივის ამ ტიპში არ არის ყველაზე არსებითი – „მაინტერპრეტირებელი ნიშნული, რომლის მეშვეობითაც ყველა ის „ფაქტი“, რომელსაც ტრავმასთან დამოკიდებულება აქვს, ემოციურად, კოგნიტურად და ზნეობრივად გაშუალდება. მაშასადამე, იმისათვის, რათა „ჰოლოკოსტის“ ფენომენი გავიგოთ, საჭიროა ვიკვლიოთ ის, თუ დასავლური კულტურის ჩარჩოებში სხვა ტიპის ნარატივის აგება – დალაგება როგორ მოხდა. რის გაკეთებაც, როგორც ალექსანდერი აჩვენებს, კულტურსოციოლოგს სავსებით ხელეწიფება.

ყოვლის უწინარეს, იგი პრინციპულ მომენტს აღმოაჩენს და გამოყოფს იმის სრულ ხელახალ კოდირებას, რაც „პროგრესულ ნარატივში“, როგორც „ბოროტება“ აღინიშნება. ახლა „ბოროტებად“ არა წარსულში გადასული „ნაციზმი“, არამედ თვით ებრაელების მასობრივი განადგურება სახელდება. ასეთი ხელახალი კოდირება შემდეგი პროცედურით – კოდირებადი „ფაქტისადმი“ სხვა „საზრისისეული წონის“ მინიჭება/მიცემით-მკვიდრდება. თუ „ნაციზმი“, როგორც ისტორიული(გარდამავალი) „ბოროტება“ აღიქმებოდა, მაშინ ევ-

როპელი ებრაელების გენოციდი ახლა, როგორც „რადიკალური“ ან „საკრალური ბოროტება“ განისაზღვრება, როგორც რაღაც ისტორიისათვის მოუცველი, როგორც მეტაისტორიული ხდომილება.

ალექსანდერის მიერ დაწვრილებით გამოკვლეული და „დოკუმენტირებული“ პროცედურების საფუძველზე, ალტერნატიული „ტრაგიკული ნარატივი“ წარმოიქმნება კიდეც. იგი საკუთარ სახელს ინგლისურენოვან ტერმინ „ჰოლოკოსტიდან“ იღებს, რომელიც „რაღაც სრულებით დამწვარს“ აღნიშნავს, რომლის გარშემოც ეგრეთ წოდებული „ტრავმის დრამის“ აგების პროცედურა ჩაღდება. მისი არსი ისაა, რომ განსაზღვრული „ადგილისა და დროის“ უნიკალური ხდომილება ზედროულ და საყოველთაო (დასავლური კულტურის საზღვრებში) ზნეობრივ საწყისად ტრანსფორმირდება, რომელიც დასავლურ კაცობრიობას „ჰოლოკოსტის“ სახელით ცნობილ გაუგონარი ტრამვის ფაქტთან მუდმივად/კვლავ და კვლავ აბრუნებს, და მას უკვე საზოგადო სახელად აქცევს. „კათარზისის“ არისტოტელესეული კონცეფციის შუქზე, ალექსანდერს ახალი ნარატივის ტრაგიკულობაში რაღაც „სინათლე/სხივი“ შეაქვს. ჰოლოკოსტისკენ „მარადიული დაბრუნება“ იქცევა დრამად, რომლის ტრავმატულობას დასავლური კაცობრიობისათვის ზნეობრივ-თერაპიული (განმკურნებელი) საზრისი აქვს [საინტერსო შენიშვნაა!] „ჰოლოკოსტის ტრავმის“ უნივერსალიზაციის მასშტაბებში ასეთი სიფრთხილე „ძლიერი პროგრამის“ კორექტულობას უსვამს ხაზსს, რაც კულტურის საზღვრების მკაცრ გათვალისწინებას გულისხმობს. ჯ. ალექსანდერი სპეციალურად შენიშნავს (და არაერთხელ!), რომ არადასავლურ ქვეყნებს, თვით დემოკრატიულებსაც კი, თავიანთი საკუთარი ტრავმები აქვთ, რომლებსაც უნდა გაუმკვლავდნენ.

„ჰოლოკოსტის“, როგორც ძლიერი კულტურული უნივერსალიის შემქმნელი ტრაგიკული ნარატივის კონსტრუირების ამ ექსპლიკაციაში, საბოლოო ზნეობრივი ასპექტიც არსებობს, რომელსაც, როგორც ალექსანდერი ხაზგასმით აღნიშნავს, მისი კულტურსოციოლოგიის „ძლიერი პროგრამა“ შეიცავს. კულტურის ნარატივი და თვით ხდომილება თავიანთ ადგილებზე – შესაბამისად, მეცნიერულ რეფლექსიასა და ზნეობრივ ცნობიერებაში – რჩებიან. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ავტორი აზუსტებს: „ის, რაც ჰოლოკოსტი „სინამდვილეში“ იყო, წინამდებარე სოციოლოგიური კვლევის თემა არ არის. ჩემი კვლევის საგანი ის სოციალური პროცესებია, რომლებმაც ხდომილებებს, რომლებიც ახლა ამ სახელწოდებითაა ცნობილი, საშუალება მისცა, განსხვავებულ დროებში განსხვავებულად აღქმულიყვნენ. პირიქით, არასპეციალისტის მიერ ჰოლოკოსტის რეალობა, როგორც ობიექტური და აბსოლუტური რამ უნდა იქნეს აღქმული“ (იქვე, გვ. 68).

კულტურულ ტრავმასთან, შოკთან შეჯახებისას, თავად თანამედროვეობა თავის სახეს იცვლის და ახალ საზრისებსა და ნარატივებს იძენს. საკრალურსა და პროფანულს შორის მკაცრი ოპოზიცია ჩნდება, რომელიც დასავლურ ფილოსოფიაში, ჩვეულებრივ, როგორც ნორმატიულობასა და ინსტრუმენტალურობას შორის კონფლიქტად გამოისახება და მწკრივდება. იგი არა მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რასაც ადამიანები აფასებენ, არამედ საყოველთაოდ მიღებული ნორმატიული „სიკეთის“ ირგვლივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დაცვას აყენებს. ამავე დროს, იგი ყოველივე იმის მიმართ, რაც სიკეთის საფრთხედ ითვლება, ასევე ძალთა მიმართ, რომლებიც განსაზღვრულნი არიან არა როგორც ის, რაც თავიდან უნდა ავიცილოთ, არამედ, როგორც საშინელებებისა და წაბილწვის წყაროები, რომლებიც ნებისმიერ ფასად უნდა შევაკავოთ, რადგან ხშირად აგრესიულ ბარიერებს აყენებს. არსებითად, კულტურული ტრავმა თავად იქცა იმ მექანიზმად, რომელიც ბევრ რაიმეში ტრადიციებისა და ტრადიციული კულტურული აკრძალვების ძალაუფლებას ანაცვლებს. კულტურულ ტრავმას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რომელიღაც გაერთიანების-

/თემის წევრები გრძნობენ, რომ მათ რომელიღაც საშინელი ხდომილების განცდა აიძულეს, რომელიც მათ ჯგუფურ ცნობიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებს, სამუდამოდ აღიბეჭდება მათ მეხსიერებაში და მათ მომავალ იდენტურობას ძირეულად და შეურყეველი და გარდუვალი სახით ცვლის.

„ტრავმის განცდას" ალექსანდერი, როგორც საკვანძო მნიშვნელობის მქონე სოციოლოგიურ პროცესს განიხილავს, რომელიც მოდერნის საზოგადოებაში კოლექტიური იდენტურობის ფორმებს ცვლის. იდენტურობა მუდმივად არა მხოლოდ აწმყოსა და მომავლის უშუალო-პირისპირ შეხვედრის მეშვეობით, არამედ თანასაზოგადოების/თემის ცხოვრების უფრო ადრეული პერიოდების რეკონსტრუქციის საშუალებითაც კონსტრუირდება და უზრუნველყოფილი ხდება.

წიგნის დამასრულებელ განყოფილებაში ჯ. ალექსანდერი კიდევ ერთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ფრიად აქტუალურ – „ახალი ნაციონალიზმის" ბუნების შესახებ დისკურსს ეხება, რომელიც ფუნდამენტალიზმის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს, რომელთა როლიც პოსტკომუნისტურ სამყაროში მუდმივად იზრდება და თანამედროვეობის განუყოფელი თვისება ხდება. მისი აზრით, სწორედ „ნაციონალიზმი" – და არა ტრადიციონალიზმი, კომუნიზმი ან „აღმოსავლეთი" – სიკეთის ახლახან უნივერსალიზებული დისკურსის მთავარ მოწინააღმდეგედ წარმოდგენას იწყებს. „ნაციონალიზმი" არის სწორედ ის სახელწოდება, რომელსაც ინტელექტუალები და საზოგადოებრიობა სამოქალაქო საზოგადოების უარყოფით დაპირისპირებებს ყველაზე ხშირად არქმევენ და უწოდებენ. „ირაციონალურის", „შეთქმულების" და „დამთრგუნველის" კატეგორიები ნაციონალიზმის მტკიცე გამოვლინებებად აღიქმებიან და პრიმორდიალობასთან და არა ცივილიზებულ სოციალურ ფორმებთან იგივდებიან.

იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო საზოგადოება მუდმივად თვითონვე იღებდა ნაციონალურ ფორმას, მოხერხებულად უგულებელყოფენ, ზუსტად ისე, როგორც მრავალ საკუთრივ დემოკრატიულ მოძრაობებში შემორჩენილი ნაციონალიზმის არსებობის ფაქტს. ნაციონალიზმი მსოფლიოში კულტურული და პოლიტიკური იდენტობის ყველაზე მძლავრ, ზოგად(საერთო) და პრიმორდიალურ საფუძვლად რჩება. მსოფლიოში მისი დიაპაზონი კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება და ქვეყნების უმრავლესობაში იგი ინდივიდუალისტურ ან სამოქალაქო ფორმებს არ იღებს. როგორც რეზულტატი, სწორედ ნაციონალიზმი აღმოჩნდება ხოლმე ყველაზე ხშირად ის ხიდი საზოგადოებას, რომელშიც კოლექტიური არაცნობიერი ბატონობს, და მოდერნის იმ რაციონალისტურ საზოგადოებას შორის, რომელსაც კოლექტიური მობილობისა და კულტურული ნორმების საერთო ველის შემუშავების უნარი არ შესწევს. თანაც, აქაც ჯ. ალექსანდერისათვის კითხვები უფრო მეტია, ვიდრე პასუხები. მსგავს რიტორიკულ საკითხთა შორის, რომლითაც ის თავის შრომას ასრულებს, არის ისეთი, როგორიცაა: რელიგიურობა ტოტალიტარიზმთან არ ასოცირდებოდა, მაგრამ როდესაც სამოქალაქო საზოგადოების მიმდინარე ალტერნატივებს აღნიშნავენ, მაშინ საკითხავია, საუბარი ფუნდამენტალიზმს, როგორც ასეთს, თუ მხოლოდ მის ისლამურ ვერსიებს ეხება? წარმოადგენს თუ არა ტერორიზმი იმდენად ფართო უარყოფით მოვლენას, რომ ანტიდემოკრატიული, თვით მომაკვდინებელი რეჟიმების წინააღმდეგ გასამხედროებული მოძრაობებიც თავის მხრივაც ასევე იქნებიან წაბილწულნი? „ტერორიზმსა" და „ფუნდამენტალიზმთან" დაპირისპირება ნეომოდერნს, მოდერნიზაციის თეორიებს მის ადრეულ ფორმებში, კონსერვატიზმისა და შოვინიზმის მხრიდან მოწყვლად რაიმედ ხომ არ აქცევს?

ალექსანდერის კულტურალური სოციოლოგია, მთელი თავისი სიღრმის და პრობლემის დაყენების მიმზიდველობით, კაცობრიობის თანამედროვე განვითარების სახის გან-

მსაზღვრელი სოციო-კულტურული მექანიზმების რაობის გადააზრების თუ ახლებურად გააზრების გზაზე მხოლოდ პირველი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია. ვიმედოვნებთ, რომ კულტურსოციოლოგიის ამხსნელი პოტენციალის ეს მოკლე დემონსტრაცია თავისებური „ტრაილერის“ როლს ითამაშებს იმ ადამიანის აღქმაში, რომელსაც „არაცნობიერი კულტურის“ დიქტატის გაგება სურს.

საკითხავი მასალა:

ინტერვიუ ჯეფრი ალექსანდერთან

კულტურალური სოციოლოგიის წარდგენა

საუბარი ჯეფრი ალექსანდერთან

ინტერვიუერები: როდრიგო კორდერო, ფრანცისკო კარბალო, ხოსე ოსანდონი.
ვორვიკის უნივერსიტეტი და გოლდსმიტის კოლეჯი, ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი.

შესავალი

სოციოლოგები კულტურის შესწავლას, ტრადიციულად, „კულტურის სოციოლოგიის“ დისციპლინის ჭრილში განიხილავენ. 1980-იანი წლების შუახანებიდან ჯეფრი ალექსანდერმა, ახალი ცნების, „კულტურალური სოციოლოგიის“ შემოტანით, შეცვალა ამ დისციპლინის ფუნქციონირება. ამ ცვლილების მიზანი სოციალურ მოქმედებასთან კავშირში არსებული ცნების მნიშვნელობის ხელახლა განსაზღვრა და ასევე ზოგადსოციოლოგიური გამოკვლევისთვის საჭირო ცნებისა და სოციალური მოქმედების კატეგორიების გარდაქმნა იყო (იხილეთ ალექსანდერი, 2007). ალექსანდერის შრომა პარსონსის თეორიის ზედნაშენის სახით იგება. ეს გულისხმობს, რომ ალექსანდერისთვის კულტურა არის სტრუქტურა, რომელიც ანალიტიკურად განსხვავებული და ავტონომიურია საზოგადოებისგან, რომელიც, თავის მხრივ, გაგებულია, როგორც მოქმედების შინაგანი გარემო. მაშასადამე, ალექსანდერს მიაჩნია, რომ კულტურა სოციოლოგიური ანალიზისთვის „დამოუკიდებელი ცვლადია“ (ალექსანდერი და სმიტი, 2003). კულტურის ამგვარი გადააზრება ხაზს სოციოლოგიის შიგნით ახალი სუბდისციპლინის შემოტანის საჭიროებას უსვამს, რომელიც თავისი აქცენტებიდან გამომდინარე, კრეატიულ და წარმომადგენლობითი მნიშვნელობის ხასიათზე დაყრდნობით, სხვა ისეთ სფეროებსაც აძლიერებს, როგორიცაა მაგ., პოლიტიკა, ეკონომიკა ან სამართალი. ამ გაგებით, ალექსანდერის „ძლიერი პროგრამა“ კულტურალურ სოციოლოგიაში, ასევე სხვა სოციალური მეცნიერებებისთვისაც, ძლიერი გამოწვევაა.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში კულტურალური სოციოლოგია ამერიკულ სოციოლოგიაში მზარდად ინსტიტუციონალიზებულ სფეროდ იქცა. ალექსანდერმა საკუთარი შრომების მიხედვით მეცნიერული ხარისხის მქონე სტუდენტების თაობები აღზარდა, რითაც საკუთარი თეორიული პარადიგმის დაწინაურების კუთხით მთავარი როლი ითამაშა. გასაკვირი არაა, რომ „ძლიერი პროგრამა კულტურალურ სოციოლოგიაში“ კულტურის ანალიზის სხვადასხვა სკოლისთვის მტკიცე წყაროა (Kurasawa, 2004). ალექსანდე-

რის ნაშრომი რამდენიმე კრიტიკული განხილვის ობიექტად იქცა, რომლებიც აღიარებასა და უარყოფას თანაბრად მოიცავდნენ (Collins, 1985; Colomy and Turner, 1998; Emirbayer, 2004; Fuhrman, 1986; Inglis et al., 2006; Joas, 2005; Kurasawa, 2004; Mclennan, 2004, 2005; Mouzelis, 1999; Poggi, 1983; Wallace, 1984).

მოცემულ ინტერვიუში ალექსანდერი სოციალური წარმოდგენის თეორიის კუთხით საკუთარი საქმიანობის – სოციოლოგიის თეორიული ლოგიკის გადააზრების ადრეული მცდელობებიდან უახლეს პრაგმატულ ცვლილებებამდე ინტელექტუალურ ევოლუციას განიხილავს. უფრო მეტიც, ის საკუთარი კულტურალური სოციოლოგიის კონტექსტუალიზაციას ახდენს და თანხმობებისა და წინააღმდეგობების საკითხებს კულტურის ანალიზის ისეთ კონკურენტულ მიდგომებთან კავშირში ხსნის, როგორიცაა ნეოინსტიტუციონალისტური სოციოლოგია ამერიკაში, ტრადიციული და უფრო თანამედროვე პოსტსტრუქტურალიზმის გავლენის ქვეშ მყოფი კულტურის კვლევები ბრიტანეთში და ფრანგულ სოციალურ თეორიაში არსებული ცვლილებები. ბოლოს, ალექსანდერი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას იმის შესახებ, თუ ცნება „სოციალურს“ თანამედროვე სოციოლოგიისთვის რა სათანადო მნიშვნელობა აქვს.

მნიშვნელობის ავტონომია: კულტურალურ სოციოლოგიაში „ძლიერი პროგრამის“ მიმართულებით.

„თეორიული ლოგიკიდან“ (1982-83) სინთეზის გაგებამ ითამაშა ცენტრალური როლი თქვენს თეორიულ შრომაში, როგორც ამბობთ, ეს იყო გზა იმ მთავარი წინააღმდეგობების დაძლევისკენ, რომლებიც ყოფენ კლასიკურ და თანამედროვე სოციოლოგიურ აზროვნებას (ნორმატიული/ინსტრუმენტალური მოქმედება, პოზიტივიზმი/რელატივიზმი, ინდივიდი/საზოგადოება და ა.შ.). როგორ გავიგოთ თქვენი ადრეული მცდელობები, მრავალგანზომილებიანი მიდგომის, როგორც ბაზისის, შემუშავების მხრივ კულტურალურ სოციოლოგიაში თქვენი „ძლიერი პროგრამის“ განვითარებისთვის?

ჯ.ა.: თეორიული ლოგიკის პროექტის ნაწილი ცდილობდა შეხედულების ჩამოყალიბებას. იმისთვის, რომ დამემკვიდრებინა მრავალასპექტურობა, ჩემთვის ინტერესის მთავარ საგანს მატერიალიზმის კრიტიკის გზის პოვნა წარმოადგენდა, იმის მიუხედავად, რომ მოსაზრების წინა პირობად, როგორც ფილოსოფიურად, ასევე თეორიულადაც, მივიჩნიე ის, რომ იდეალიზმიც შეცდომაა. მე ამ გადმოსახედიდან გავაკრიტიკე დიურკემის უკანასკნელი ნაშრომი და ასევე პარსონსიც, თავისი იდეალისტური გადაქმნისთვის, არა მისი შრომების რაიმე ცალკეული პერიოდის გამო, არამედ იმ განწყობის გამო, რომელიც ვრცელდება მთელ მის შრომებში. ჩემთვის ამგვარი კრიტიკა ადვილია. ჩემი აზრით, იდეალიზმის კრიტიკა ყველა სოციოლოგისთვის ადვილია. კრიტიკა, რომელიც საკმაოდ მერთულება და რომელიც კულტურული მარქსიზმის სახით მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდან მმტრობდა, არის მატერიალიზმის კრიტიკა.

თეორიულ ლოგიკაში დავინტერესდი პარსონსის შეხედულებით, რომ ემპირიულად, იდეალური და მატერიალური ელემენტი ყოველ კონკრეტულ გაერთიანებაშია და ზოგადად მიღებული იდეა, რომ ემპირიული გაერთიანებები მატერიალურია – ილუზიაა. პარსონსის აზრით, ეს გაგება უგულებელყოფს თეორიასა და ანალიტიკას, რომელიც კულტურის უხილავი ელემენტია და რომელიც გარეგან ელემენტებთან ურთიერთობის დროს მუდმივად მონაწილეობს თამაშში.

1970-იანებიდან 80-იან წლებამდე, როდესაც ეს ოთხტომიანი წიგნი დავწერე, ვფიქრობდი, რომ პარსონსმა ამ ორი ელემენტის ინტერპრეტაციისთვის საუკეთესო მაკროთეორიული არგუმენტი შეიმუშავა, მაგრამ 80-იან წლებში თანდათანობით შევიცვალე აზრი.

პარსონსის შესახებ წიგნში (ალექსანდერი, 1983) გადავწყვიტე, რომ მას არ ჰქონდა საკმარისად ძლიერი წარმოდგენა მატერიალურ სამყაროსა და სფეროებს შორის არსებული დაძაბული წინააღმდეგობების შესახებ, იმ დაძაბულობების, რაც მე გულმოდგინედ დავამუშავე ჩემს წიგნში „სამოქალაქო სფერო“ (2006). ჩემდა გასაკვირად, 80-იანებში, სემიოლოგიასა და ანთროპოლოგიაში ბევრი ისეთი ნაშრომი აღმოვაჩინე, რომლისთვისაც მანამდე ყურადღება არ მიმიქცევია. 70-იანებში გულდასმით მქონდა წაკითხული კლიფორდ გირტცის კულტურების ინტერპრეტაცია, ემილ დიურკემის გვიანი ნაშრომი, რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები, მერი დუგლასის სიწმინდე და საფრთხე და ვიქტორ ტერნერი, თუმცა მივხვდი, რომ ისინი საკმარისად სერიოზულად ვერ აღვიქვი. ვფიქრობ, რომ ნამდვილად ვერ გავიგე ამ იდეების გამოძახილი, სანამ სერიოზულად არ დავიწყე სემიოლოგიის კითხვა და სწავლება ადრეული 80-იანებიდან შუა პერიოდამდე: როლანდ ბარტი, კლოუდ ლევი-სტროსი, მარშალ სალინსი და სხვები.

იმ დროისთვის, როდესაც 1985 წლის შემოდგომაზე პრინსტონში, დაწინაურებული სწავლების ინსტიტუტში წავედი, საკმაოდ უკმაყოფილო ვიყავი ვებერის ნაშრომებით, ადრეული დიურკემით და, ნაწილობრივ, პარსონსის თეორიული მრავალასპექტურობითაც. გარკვეული ხარისხით, საკმაოდ კმაყოფილი გახლდით ღირებულებების შესახებ მოსაზრებით, ან რასაც პარსონსმა „კულტურის სისტემა“ უწოდა. მივხვდი, რომ კულტურის სოციოლოგიური გაგების საკუთარი შეხედულება უნდა ჩამომეყალიბებინა, კულტურის „უფრო ძლიერი“ პროგრამა შემექმნა. მივხვდი, რომ გვერდით უნდა გადამედო მრავალასპექტურობის ზოგადი თეორიის ამოცანა, რადგან უკან, ჯერ კიდევ პარსონსამდე მიწევდა დაბრუნება, რაც ნიშნავდა, რომ გარკვეული დროით დამევიწყებინა საზოგადოების, როგორც მთლიანის, ელეგანტური, ლამაზი და კომპლექსური მოდელის შექმნის ამბიცია. მე უნდა დავბუნებულიყავი საფუძველთან, ბლოკების მშენებლობის პერიოდთან და კონცენტრირება მომეხდინა იმაზე, თუ რას ნიშნავს მნიშვნელობა და როგორ შეიქმნა და ჩამოყალიბდა იგი სოციალურ კონტექსტში. ჩემთვის ეს სემიოლოგიის, სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის თავიდან დაუფლებას ნიშნავდა, ანუ ყველაფერს გვიანდელი დიურკემის სულისკვეთებით.

თეორიულ ლოგიკაში მოვახდინე გვიანდელი დიურკემის ინტერპრეტაცია (ალექსანდერი, 1982, ტ. 2). საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტაცია მომყავდა იმის შესახებ, რომ, როგორც დიურკემის რამდენიმე გვიანდელი ინტერპრეტატორი მიიჩნევდა, მან მართლაც გადაწვიტა, თავიდან დაეწყო საკუთარი სოციოლოგია. ეს მოხდა 1890-იანების ადრეულ პერიოდში, მის მიერ რელიგიის აღმოჩენის შემდეგ. დიურკემი განუდგა მოდერნიზმს არა, როგორც ეთიკურ სისტემას, არამედ, როგორც ეპისტემოლოგიურ იდეას. მე ვფიქრობ, რომ ეს დიურკემის საკმაოდ კარგი ინტერპრეტაციაა და მისი გახმოვანების შემდეგ, მე იგი გავიმეორე და სხვადასხვა გზით ხელახლა წარმოვადგინე. მიუხედავად ამისა, საკუთარი ინტელექტუალური განვითარების ამ ადრეულ პერიოში ჯერ კიდევ არ მქონდა გააზრებული ამ ხერხით დიურკემის ინტერპრეტაციის მნიშვნელობა.

დიურკემის საკუთარი ინტერპრეტაციის მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ჩავწვდი, როდესაც უფრო მეტ სიმბოლურ და ლინგვისტურ თეორიას გავეცანი. ახლა ვხვდები, თუ რაზე საუბრობდნენ მერი დუგლასი, კლიფორდ გირტცი და ვიქტორ ტერნერი. მე შევეცადე, რომ გვიანდელი დიურკემის, ამ სიმბოლური ანთროპოლოგიისა და სემიოლოგიის წარმომადგენლების და ცოტაოდენი ფუკოს კომბინირება მომეხდინა და დავიწყე კულტურალური სოციოლოგიის ძლიერი პროგრამის ჩამოყალიბება. ჩემთვის მოუხერხებელი იყო ის, რომ ეს საქმიანობა 1980-იანების შუახანებში დავიწყე, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ვაგრძელებდი ნეოფუნქციონალიზმის განვითარებას და გამოდიოდა, რომ ორ, ნაწილობ-

რივ ერთმანეთის საპირისპირო საქმეს ვაკეთებდი. ვგრძნობდი, რომ ნეოფუნქციონალიზმი შეიძლება დამაჯერებელი პლატფორმა გამხდარიყო მაკროსოციოლოგიისათვის. ის საშუალებას გვაძლევს, ყურადღება მივაქციოთ განსხვავებულ სოციალურ დონეებს, გავაერთიანოთ ინტერესები, კარიერული ჯგუფები, ინსტიტუტები, არათანაბარი განვითარება და დიფერენციაცია, მრავალასპექტურობა, ფიზიკური და კულტურული დონე. ამან ასევე საშუალება მომცა გამეკრიტიკებინა ის, რასაც დღეს ნეოლიბერალიზმს ვუწოდებთ, როგორც იდეოლოგიას. იხილეთ, მაგ., კოლექტიურად რედაქტირებული წიგნების განმასხვავებელი თეორია და სოციალური ცვლილება (Differentiation Theory and Social Change, 1990) და მიკრო-მაკროკავშირი (Micro-Macro Link, 1987).

1993 წელს ერთი აკადემიური წლით პარიზში წავედი, სადაც ვეწვიე ალენ ტურენის ჯგუფს. მაშინ მივხვდი, რომ კულტურალურ პროგრამასა და ნეოფუნქციონალიზმზე ერთდროულად მუშაობას ვერ გავაგრძელებდი. ეს გარკვეულ კრიზისს წარმოადგენდა ჩემთვის, რადგან იმ დროისთვის ნეოფუნქციონალიზმის განვითარებაზე ათი წელი მქონდა ნამუშევარი. მივხვდი, რომ დრო მოვიდა, თანმიმდევრული გზით საჯაროდ განმევითარებინა ჩემი განწყობები. ეს გავაკეთე წიგნში ნეოფუნქციონალიზმი და შემდეგ (1998), რომელშიც განვათავსე ესსეები ნეოფუნქციონალიზმის შესახებ, დავწერე შესავალი და შეჯამება, რომელიც ხსნიდა, თუ რატომ აღარ ვმუშაობდი ამ პროგრამაზე. როგორც აღვნიშნე, ერთ-ერთი მიზეზი იყო კულტურა; სხვა მიზეზები მოიცავდა საქმიანობისა და სოციალური წინააღმდეგობების პრობლემას.

ერთ-ერთი საკითხი, რომლის შესახებაც 1976 წლის შემდეგ გავიგე იყო ის, რომ პარსონსს მოქმედების ძლიერი თეორია არ ჰქონდა. ეს მას შემდეგ დავინახე, რაც კალიფორნიის უნივერსიტეტში მჭიდრო კავშირი დავამყარე ეთნომეთოდოლოგებისა და სიმბოლური ინტერაქციონისტების ჯგუფთან. ასე რომ, სწორედ ამ მიზეზით განვავითარე პარსონსის სერიოზული კრიტიკა, რომელიც საერთოდ არ იყო თეორიული ლოგიკის ნაწილი. პარსონსმა განაცხადა, რომ ის იყო თეორეტიკოსი მოქმედების შესახებ და მანამდე ასეთივე რამ ვებერმაც თქვა. მე ეს ვერ დავინახე. მოქმედება ორივე თეორეტიკოსისთვის წარმოადგენდა შავ ყუთს. ჰაროლდ გარფინკელი იყო ის ადამიანი, ვისთანაც საკმაოდ ახლოს ვიყავი და რომელიც დამეხმარა ამ ყველაფრის გარკვევაში. პარსონსის მიკროკრიტიკა ნაშრომში: ოცი ლექცია: სოციოლოგიური თეორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1987a) დავამუშავე, უფრო სისტემურად კი ესსეიში: „მოქმედება და მისი გარემოებები“ (1987b).

პარიზის პერიოდიდან მოყოლებული შემდეგი ათწლეულის განმავლობაში თავი დავანებე ზოგადი თეორიის გამოქვეყნებას. ჩემი გამოსაქვეყნებელი ნაშრომები უფრო მეტად ფოკუსირდებოდა კულტურალურ სოციოლოგიაზე. მიუხედავად ამისა, ამ დროის განმავლობაში ფორმულირებას ვაკეთებდი და ვწერდი სამოქალაქო სფეროს. ეს პროექტი 1989 წლის გაზაფხულზე დავიწყე, მას შემდეგ, რაც ჩინეთის დემოკრატიის კრიზისიდან დავბრუნდი; მას პარიზში გადავხედე და გავაგრძელე ამ კულტურაზე ორიენტირებული მაკროსოციოლოგიური თეორიის განვითარება, რომელიც გაგრძელდა 2006 წლამდე და დასრულდა წიგნის პუბლიკაციით.

ამ გარდაქმნების დროს როგორ და როდის გახდა „კულტურის რელატიური ავტონომიის“ იდეა ცენტრალური მოსაზრება კულტურალური სოციოლოგიის პროგრამასთან მიმართებით?

ჯ.ა.: ზუსტად არ მახსოვს, როდის დავიწყე ამაზე საუბარი, მაგრამ მე და სტივ სეიდმანმა რედაქტირება გავუკეთეთ წიგნს კულტურა და საზოგადოება: თანამედროვე დება-

ტები (1990). მე დავწერე ამ წიგნის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც ვსაუბრობდი კულტურის რელატიურ ავტონომიაზე. რასაც 1980-იანი წლების შუახანების ჩემი წინააღმდეგობებიდან მივხვდი იყო ის, რომ კულტურის სტრუქტურას შიდა სახე უნდა მინიჭებოდა და აგრეთვე ის, რომ გვჭირდებოდა სოციო-სტრუქტურული ანალიზისა და ჩვეულებრივი მნიშვნელობით კაუზალური საკითხებისგან შესვენება, რაც საშუალებას მოგვცემდა გამოგვეძიებინა მნიშვნელობის ეს შინაგანი ნიმუშები. ჩვენ გვინდოდა მოგვეძებნა გზა იმის სათქმელად, რომ არ უნდა გვეჩქარა. რა თქმა უნდა, როგორც სოციოლოგებს გვინდა, სოციალური სტრუქტურის შეცვლა და მისი გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელობის წვდომას სხვაგვარ საფუძველთან მიმართება სჭირდება. იმისათვის, რომ ვისაუბროთ კულტურის რელატიურ ავტონომიაზე, საჭიროა მნიშვნელობებში შესვლა, მათი პოვნა და შემდეგ სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ცვლილებების საკითხებთან დაბრუნება. ეს იყო ის, რაც კულტურისა და საზოგადოების შესავალ ნაწილში შევიმუშავე. რასაკვირველია, კულტურის რელატიურობის იდეა მარქსიზმიდანაა აღებული. როდესაც მარქსისტი ვიყავი, კულტურის რელატიური ავტონომიის ერთგული ვრჩებოდი, ყურადღებით ვკითხულობდი იმას, რასაც პერი ანდერსონი მოგვიანებით დამცინავად უწოდებს დასავლურ მარქსიზმს. მე ეს იდეა თეორიულ ლოგიკაში პირველად მაშინ განვავითარე, როდესაც დავწერე შენიშვნა ენგელსის წერილები ბლოხსთან დაკავშირებით, სადაც ის ამბობს, რომ სუპერსტურქტურას ეკონომიკური ბაზისიდან რელატიური ავტონომია გააჩნია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გვექმნება წარმოდგენა, რომ კულტურალური სოციოლოგია, რომელიც დიურკემისეულ საუკეთესო ტრადიციას მიჰყვება, როგორც თეორიული, ასევე ემპირიული ხერხით, მიემართება პრობლემას, რომელიც წარმოდგენილია „მნიშვნელობის სტრუქტურის“ სახით. კონკრეტულად რა გაიგეთ ამ სტუქტურის მეშვეობით?

ჯ.ა.: რა თქმა უნდა, დიურკემის ინტერესის ცენტრლური სფერო არაინდივიდუალური, კოლექტიური წარმოდგენები იყო, რაც მას საკმაოდ აშორებდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც რეპრეზენტაციის პროცესის ინდივიდუალურ დონეზე არსებობს. კულტურალური სოციოლოგიის მიმართულებით საკუთარი მსვლელობის დროს მე არ გავაკეთე დიურკემისეული არჩევანი, მაგრამ ნება მივეცი თავს, რომ შევჩერებულიყავი ფენომენოლოგიურ ტრადიციაზე, განსაკუთრებით შუტციდან, რომელიც ინდივიდუალური რეპრეზენტაციის პროცესის კონცეპტუალიზაციას ისე ახდენს, როგორც მაგ., აზროვნების ტიპოლოგიზაციას. ინდივიდუალური რეპრეზენტაციის ჩემეული გაგებაც ფსიქოანალიტიკური თეორიიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით კი, იდეებიდან თავდაცვის მექანიზმების შესახებ, როგორიცაა მაგ., გახლეჩა, პროექცია, რეპრესია, ნეიტრალიზაცია და ა.შ. ეს წყაროები და ჰომოლოგიები ცხადად მაქვს წარმოდგენილი ესეიში: „მოქმედება და მისი გარემოებები“ და ასევე გვიანდელ ნაშრომებშიც.

კულტურის სტრუქტურების იდეას აშკარად მივყავართ სტრუქტურალიზმის ტრადიციამდე. ის განავითარეს სწორედ სტრუქტურალისტებმა, სოსიურიდან დაწყებული, რომელმაც წარმოადგინა დაუძლეველი არგუმენტი იმის შესახებ, რომ კულტურის რწმენები, რომლებიც სუპრაინდივიდუალური და ტრანსსიტუაციურია, შეიძლება სტრუქტურებად აღვიქვათ. ამ მოსაზრების პროტოტიპული იყო სოსიურის კონტრასტი აბსტრაქტულ წესებსა (langue) და მათ კონკრეტულ ნიმუშებს (parole) შორის. დიურკემისეული სოციოლოგია: კულტურის კვლევების (1988) შესავალში მე დავსვი საკითხი, რომ სოსიურის იდეას სწორედ დი-

ურკემისეული ფესვები გააჩნია და ეს ცხადია, რადგან სოსიური ესწრებოდა დიურკემის ლექციებს სორბონში და განავითარა მისი რამდენიმე ცენტრალური მოსაზრება.

მიუხედავად ამისა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რასაც ყოველთვის ვუსვამდი ხაზს, რომ ვიწროდ ფორმულირებული სტრუქტურალისტური ტრადიციის საპირისპიროდ, კულტურის სტრუქტურები კი არ განსაზღვრავენ მოქმედებას, არამედ ახდენენ მის ინფორმირებას. ისინი სხვა სახის სტრუქტურებისა და გარემოებების შრეს წარმოადგენენ. აქვე მინდა სტრუქტურებისა და გარემოებრივი მოქმედების შესახებ სოციოლოგიური აზროვნების მთელ ისტორიას მივმართო და აღვნიშნო ძალიან პროდუქტიული დიალოგი, რომელიც რომან იაკობსონის ინიციატივით შედგა მასსა და სოსიურს შორის და რომელსაც პრაღის სკოლასა და, საბოლოოდ, სტრუქტურალიზმისა და პრაგმატიზმის სინთეზამდე მივყავართ.

თქვენ კულტურალურ სოციოლოგიას ფსიქოანალიზს ადარებთ: „სადაც იყო იდი, იქ უნდა ყოფილიყო ეგოც“. ეს მოიცავს სოციალური შემთხვევითობის გაგებას, ღრმა სიმბოლურ რეალობას, რომელის შესახებაც ზუსტად არ ვიცით. თქვენ თქვით: „ქალსა და მამაკაცს რომ ვაჩვენოთ მითები, რაც მათზე არსებობს (მითების ერთობა), ისინი ახალ მითებს შექმნიდნენ ამის საპირისპიროდ“. როგორ წარმოგიდგენიათ ამ მითების შექმნის პროცესი, როდესაც ინდივიდებმა იციან ძველი მითების შესახებ? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ მოსაზრებით დემოკრატიულ თეორიას უფრო უახლოვდებით, ვიდრე წმინდა აღწერილობით სოციოლოგიას.

ჯ.ა.: გეთანხმებით, რომ ჩემი შრომები არა მხოლოდ აღწერილობით, არამედ ნორმატიულ ელემენტსაც მოიცავს, მათში დევს გარკვეული სახის იდეოლოგია. ჩემი იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილები უდავოდ გამოაშკარავებულია ჩემს ემპირიულ დაჟინებაში იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ინდივიდუალურობისა და სოლიდარობის კომბინირებას ახდენს. ჩემი შრომების ნორმატიული ელემენტების მხრივ, შემიძლია აღვნიშნო ჩემი სკეპტიციზმი კონკრეტული მითური კონსტრუქციების მორალურ საიმედოობასთან მიმართებით. მაგ., სამოქალაქო სფეროში მე ვაკრიტიკებ მითებს, რომლებიც ემყარება თავდაპირველ იდეებს ცალკეული რასის, ეთნოსის, რელიგიის, სქესის და ერის უნიკალურობისა და უპირატესობის შესახებ. ამგვარი მითები ემყარება განსხვავებულის უფლებებს, რომლებიც ახდენენ სტიგმატიზებას. ერთი მხრივ, ვაგრძელებ მტკიცებას, რომ მითი საჭიროა და ხშირად საზოგადოების კულტურის განზომილების ინსპირაციას ახდენს: მე უარვყოფ ისეთ იდეოლოგიურ კრიტიკას, როგორიცაა, მაგალითად, ბარტის პროექტები „მითოლოგია დღეს“. მეორე მხრივ, მე უარვყოფ ნორმატიული საფუძვლის მქონე მითების მთელ წყებას, მიუხედავად იმისა, რომ ვავითარებ მათი ემპირიული არსებობის იდეას. ჩემი გაგების ცენტრში დგას დუალური ამბიცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ორმაგობა სოციალურ მნიშვნელობებში. თუ ჩემს ნაშრომებს შევადარებთ, მაგალითად, იაკობსონისას, მათ ცხადად ნორმატიული და არა მხოლოდ ემპირიული ხარისხი აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ფრაზას, რომლის შესახებაც მკითხეთ და რომელიც წარმოვადგინე სოციალური ცხოვრების მნიშვნელობების (2003) შესავალში, აქვს რიტორიკული ხასიათი, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი „საკანონმდებლო“ ამბიციის იმიტირებას ახდენს, წამოსულს განმანათლებლობიდან (ბაუმანი), რომელმაც მოახდინა ისეთი ფიგურების ინტერპრეტაციული შეხედულებების ინფორმირება, როგორიცაა ფროიდი და მარქსი. ჩვენ ვერ ჩავანაცვლებთ მითს მიზეზით; ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია სულ ცოტა იმიტომ, რომ მიზეზის ფორმულირება განმანათლებლებმა მოახდინეს და მისი არტიკულაცია არა

მხოლოდ კლასიკოსებმა, არამედ ჰაბერმასმა და როულზმაც განახორციელეს. ჩემს ნაშრომში კიდევ ერთხელ ვცადე, განმევითარებინა მიზეზის განსხვავებული, არარაციონალური გაგება. მიზეზის შესახებ ბევრს ვსაუბრობ Fin de Siécle სოციალურ თეორიაში (1995). სამოქალაქო საზოგადოებაში, ვსვამ კითხვას, თუ როგორ შეიძლება გავიგოთ მიზეზი მეტად კულტურალური ხერხით, უნივერსალიზმისა და კრიტიციზმის შეხედულებების გათვალისწინებით? ეს ძირითადი გამოწვევაა. ზოგადად, ფილოსოფიურ ტრადიციასა და განსაკუთრებით ლოგიკურ-პოზიტივისტურ ტრადიციაში ჩვენ ვაწყდებით საკმაოდ სუსტ მოსაზრებებს მიზეზის შესახებ, რომელიც კულტურულად ნეიტრალური და წმინდად ანალიტიკური სახის მქონეა. ეს არ არის გზა, რომლითაც მიზეზი მოქმედებს

მიუხედავად იმისა, რომ მითს მიზეზით ვერ ჩავანაცვლებთ, ჩვენ შეგვიძლია მიზეზი გარკვეული მითების გასაკრიტიკებლად გამოვიყენოთ. როგორც ინტელექტუალები და სოციალური თეორეტიკოსები, ჩვენ ვხედავთ, რომ არ არსებობს სოციალური ფაქტი ან თეორიული მტკიცება, რომელსაც ონტოლოგიური სტატუსი გააჩნია. საზოგადოებაში და სოციალური ანალიზისთვის, არაფერია ჭეშმარიტი თავის მხრივ, მეცნიერული გაგებით, ამით მისი ვალიდურობის მიმართ გულგრილობა გამოიხატება. ჩვენ ვაცნობიერებთ, როგორ ქმნიან სოციალური პროცესები სიმართლის გარეგნულ მხარეს, მაგრამ შემდეგ ვებღაუჭებით იმ აზრს, რომ, როგორც ანალიტიკოსებს, გვაქვს იმის უნარი, რომ დავეხმაროთ ჯგუფებსა და აქტორებს, დაიზღვიონ თავი სოციალურ წარმოდგენებთან გაუაზრებელი შეერთებისგან. ამასთანავე, ვხვდებით, რომ განცალკევების პროცესი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ აქტორი ჩართულია სხვა რამეში. ამიტომ, არ უნდა იჯდე, როგორც იზოლირებული ინტელექტუალი ყოველგვარი წინასწარ ჩადენილი ქმედებებისა და წინასწარი გათვლების გარეშე. ჩვენ ვპასუხობთ მიზეზს, მაგრამ არარაციონალური ხერხით. ან როგორც ერთხელ დიდმა ამერიკელმა, როკკენ როლის წარმომადგენელმა ბრიუს სპრინგსტინმა თქვა: „აჩვენე ცოტაოდენი ბედისწერა, ღამეში არის მაგია“.

სოციოლოგია მიდრეკილია იმისკენ, რომ დააკვირდეს გარე სივრცეს და ამ მხრივ აღნიშნოს, რომ ინსტრუმენტალური რაციონალობის გზები უფრო მეტად ბუნებრივია. კულტურალური სოციოლოგიის ძლიერი პროგრამა, პირიქით, შინაგან გარემოს აკვირდება და ამ მხრივ კულტურა ცალკე განზომილებად ყალიბდება. შეუძლია თქვენს სოციოლოგიურ მიდგომას სოციალური წარმოდგენებისა და სოციალური შემოქმედებითობის ახსნის ჩამოყალიბება?

ჯ.ა.: მე არ მომწონს ცნება „წარმოდგენითი“, რადგან ის მიუთითებს, რომ კულტურის წარმოდგენა თუ შემოქმედებითობა გამოყენებულია ნორმატიულად უტოპიური დამოწმებისთვის, ალტერნატიული რეალობისთვის და რომ დარჩენილი ნაწილი წარმოდგენების გარეშე არის, ანუ რეალობის მკვდარი წონაა. ამის საპირისპიროდ, წარმოდგენები ყველგანაა. მატერიალური რეალობის მკვდარი წონა არ არსებობს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ რუტინული მოქმედებების ინსტიტუციონალიზაცია მოვახდინოთ, მივიღოთ მათთან დაკავშირებული სანქციები და თავი ისე ვიგრძნოთ, თითქოს მატერიალობის მკვდარ სამყაროში ვიმყოფებით. სინამდვილეში, სხვების შესაძლო მკვდარი რუტინები და ინსტიტუტები დიდადაა მათ საკუთარ წარმოდგენებში ჩართული; ჩვენ შეიძლება არ ვაფასებდეთ ამ წარმოდგენებს და შესაძლოა ისინი არ იყვნენ უტოპიური ნორმატიული გაგებით, მაგრამ ამ მიზეზით, ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ ადამიანები, რომლებსაც ისინი ცუდად ან სულელურად მიაჩნიათ, ან მივიჩნიოთ, რომ მათ საერთოდ არ აქვთ კავშირი წარმოდგენებთან. არ მგონია, რომ ისინი თავად ასე ფიქრობდნენ. უხეში მაგალითი რომ წარმოვიდგინოთ: ჩვენ

ვამბობთ, რომ: „ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, ინსტრუმენტალურად რაციონალურები იყვნენ“. მაგრამ ეს სისულელეა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც აზროვნებდნენ და გრძნობდნენ და რომელთა უმრავლესობასაც უნდოდა ებრაელების დახოცვა. მათ ჰქონდათ ძლიერი ანტისემიტური, ანტიკომუნისტური, ტრადიციული წარმოდგენები. მე არ ვფიქრობ, რომ ეს, უბრალოდ, ბანალურობა იყო, მათ წარმოსახვაც გააჩნდათ.

ჩემი აზრით, სოციოლოგია და, უფრო ზოგადად, სოციალური მეცნიერება მოქმედების შინაგან გარემოს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. არსებობს ამის ჰუმანური, ეთიკური და მორალური მნიშვნელობა: კულტურალური სოციოლოგია გვახსენებს, რომ ცოცხლები ვართ და ცოცხლად ყოფნის ფუნდამენტური ასპექტი კი ახსნისა და წარმოსახვის უნარია. კაპიტალის დასასრულს მარქსი სვამს კითხვას, თუ რა განსხვავებაა ფუტკარსა და ადამიანს შორის და პასუხობს, რომ როცა ჩვენ ვაშენებთ სახლს, ჩვენს გონებაში ჩნდება იდეა. მარქსი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ანტაგონისტია, რადგან 1844-45 წლებამდე მას ისე კარგად ჰქონდა განვითარებული მოქმედების შინაგანი გარემოს იდეა, რომლის მიხედვითაც ის ალბათ დარწმუნდა, რომ კაპიტალიზმმა ყველაფერი მოიშორა თავიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ობიექტურ სამყაროში და რომ ოდესმე, სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ჩვენ შევძლებთ ჩვენი სუბიექტურობის დაბრუნებას.

რაც შეეხება თქვენს უახლეს თეორიულ შრომას სოციალური მოქმედების, როგორც წარმოდგენის შესახებ, თქვენ აღნიშნეთ, რომ „სოციალური წარმოდგენისთვის გამოწვევას წარმოადგენს მისი შემადგენელი კომპონენტების უხილავად ქცევა (აქტორი, კოლექტიური გამოხატულებები, სიმბოლური პროდუქციის მნიშვნელობები, mis-en-scène, სოციალური ძალაუფლება, აუდიტორია). თუ ისინი უხილავი არ იქნებიან, შესაბამისად, მოქმედებაც, როგორც დადგმული, და ამიტომ, როგორც დაუჯერებელი წარმოგვიდგება“. თანამედროვე ესთეტიკაში კი პირიქით, მუდმივად აკრიტიკებენ ალბათობისკენ მოწოდებას. ქმნადობის პროცესი თითქოს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ქმნილება. თითქოს ხელოვანს საკუთარი საქმის დეტალების ჩვენება უნდა. თუ ამ სახის ესთეტიკაზე შევჩერდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხი წარმოდგენას უფრო ნაკლებად განსჯის მისი კომუნიკაციური მნიშვნელობის უნარისთვის, ვიდრე იმ გზებისთვის, რომლითაც იგი განხორციელდა. სადავოა, რომ ხალხი პროცესის მედიაციით უფრო დაინტერესებულია, ვიდრე იმით, რომ მისცეს ხელოვანს იმის უფლება, რომ აცდუნოს ისინი მნიშვნელობის კომუნიკაციით, რომელიც ხორციელდება მედიაციის გარეშე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამგვარი ესთეტიკური მიდგომა თქვენეული მნიშვნელობისა და წარმოდგენის ხედვისთვის გამოწვევას წარმოადგენს?

ჯ.ა.: არა, ასე არ ვფიქრობ. სოციალური წარმოდგენის (2006) შესავალში, რომელიც მე და ჯეისონ მასტმა დავწერეთ, საკმაოდ გულმოდგინედ მივუდექით ბერნარდ გიზენის წერილს ამ წიგნთან დაკავშირებით, რომელიც განიხილავს წარმოდგენითი ხელოვნების თანამედროვე ხელოვნებად გარდაქმნას. თანამედროვე ხელოვნება, უდავოდ, დაინტერესებულია არა მხოლოდ შედეგით, არამედ ქმნადობის პროცესის ჩვენებით, აწყობის პროცესზე დაკვირვებით, ისეთ რაღაცაზე, რაც ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ, დეტალების და უდეტალობის მიღმა ყურებით. ჩემი აზრით, ჩემი პრაგმატული კულტურალური თეორიის უარყოფის ნაცვლად, თანამედროვე ხელოვნების ეს განზომილება მის ხელოვნებისეულ ეკვივალენტს წარმოადგენს. დღეს, ესთეტიკურ, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში, წარმომადგენლობითობისა და მისი ელემენტების შესახებ ვრცელი თვით-

შეგნება არსებობს. კულტურის პრაგმატიზმსა და თანამედროვე ხელოვნებაში ვაწყდებით წარმოდგენის ხელოვნურობაზე ცნობიერების მზარდ ამაღლებას. ასევეა ჩემი შრომაც, ის ხალხს საშუალებას აძლევს, რომ წარმოდგენის დეტალებისა და ელემენტების შესახებ ინტელექტუალური და არა ესთეტიკური ტერმინებით გაიგონ. შემიძლია თუ არა კვლავ მოვიშველიო ის ფაქტი, რომ წარმოდგენის წარმატება ელემენტების უხილავობაზეა დამოკიდებული? არის ეს წინააღმდეგობა? ხელოვნებასთან დაკავშირებით თანამედროვე ხელოვნების უკუქცევითობამ დაამახინჯა ჩემი არგუმენტი? მე ასე არ ვფიქრობ. პირველ რიგში იმას ვამტკიცებ, რომ მაღალი ხელოვნების უმეტესი ნაწილი და პოპულარული ხელოვნების ძალაუფლება მისი შემქმნელი ელემენტების უხილავობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანი თანამედროვე ტრადიციები შემორჩენილია მხატვრობაში, ქანდაკებებში, ფილმებსა და ფოტოგრაფიაში, რომლებიც წარმოდგენის პროცესის დეკონსტრუქციას არ ახდენენ. მიუხედავად იმისა, რომ დეკონსტრუქცია თანამედროვე ხელოვნების, განსაკუთრებით კი ავანგარდის, უდავოდ, განმასხვავებელი ელემენტია, ის მისი ერთადერთი ელემენტი არაა. მეორეც, სინამდვილეში, დეკონსტრუქციის პროცესმა შეიძლება საერთოდ ვერ ახსნას თვითონ ამ ავანგარდული ობიექტების/მოვლენების გამოცდილება. ვფიქრობ, რომ ესთეტიკური გამოცდილება ნიშანდობლივი ხერხით საკუთარი თავის ობიექტში დაკარგვასა და იმ ფაქტის არცოდნაზეა დამოკიდებული, რომ ის წარმოებულია გარკვეულ ადგილას, გარკვეულ დროს და გარკვეული სოციალური აქტორის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან მარტივია იმის თქმა, რომ ჩვენ დაშორებული დამოკიდებულება გვაქვს თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენლობითი მოღვაწეობის მიმართაც.

მოდით, ვთარგმნოთ კითხვა პოლიტიკაში ბილ კლინტონის ან ტონი ბლერის მაგალითის აღებით. ხალხი მათი გამოსვლების სიმარჯვით უფრო იხიბლება, ვიდრე იმ იდეებით, რომლებსაც ისინი ქმნიან. მეორე მხრივ, ჩვენ გვყავს ჯორჯ ვ. ბუში, რომელიც მუდმივად ცდილობს, ჩამოაყალიბოს იდეა, მაგრამ ხალხი ნამდვილად იმედგაცრუებულია მისი გადმოცემის უნარითა და აუდიტორიასთან კავშირით. ასე რომ, აუდიტორია, რაღაც მხრივ, უფრო და უფრო აცნობიერებს ამას.

ჯ.ა.: ისევ და ისევ, ეს თან ეხება, თან არ ეხება საქმეს. ჩვენ შეიძლება პოლიტიკური მოქმედების ხელოვნურობას უფრო მივხვდეთ, მაგრამ ჩემი კულტურალური პრაგმატიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საწყისი შერწყმის მომენტების გარეშე არა მხოლოდ ნარაცია ან რწმენა, არამედ რეალობის შეგრძნებაც კი არ არსებობს. ჩემი აზრით, წარმატებული ლიდერობა, მემარცხენეობა- მემარჯვენეობის მიუხედავად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წრფელად და სამართლიანად მიაჩნია აუდიტორიას ავტორიტეტის გამოსვლა, იმისგან დამოუკიდებლად, ეს ავტორიტეტი ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი, წიგნის, მანიფესტის თუ ინდივიდუალური გამოსვლის. ეს ცხადი ხდება ტონი ბლერის მიმართ ბოლო თვეებში გაკეთებული კომენტარებით. მაგალითად, 2007 წლის ივნისის ბოლოს შაბათის ჟურნალ გვარდიელში ტონი ბლერის შესახებ მარტინ ამისის სტატია გამოქვეყნდა. ამისი მასთან ერთად მოგზაურობდა. ერთი მხრივ, ის, რასაც ამისი ხედავს, მას ცინიკოსად ან, მოდით ვთქვათ, დაეჭვებულად აქცევს და ის ბლერის დარჩენილი ამბის სრულ შემოქმედებითობაზე აკეთებს ჩანაწერს. მეორე მხრივ, ბლერის შესახებ შეჯამების დროს ამისი წერს, რომ ბლერი ბლერია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ის ადამიანია და ისეთია, როგორიც არის – არავინ ცდილობს მის გაკონტროლებას. ეს აუთენტიკურობის მოწონებასავითაა, რომელიც ამერიკაში მემარცხენე-დემოკრატიულ თავდადებას, მისი ცრუობის მიუხედავად, კლინტონთან აკავშირებს და რაც კუბის კომუნისტებს ფიდელ კასტროსთან

აკავშირებს, როგორიც არ უნდა იყოს მისი მანიპულაციის დიქტატორული ძალაუფლება. შეიძლება ვიცოდეთ შესრულების ხარისხი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება გრძნობა, რომ სადღაც მაინც არის ეთიკური ვალდებულებებისა და კარგი ბედის ამბავი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ შეიძლება კრიტიკოსმა იცოდეს წარმოდგენის ელემენტების კომპლექსურობის შესახებ, მაგრამ მაინც სჯეროდეს ადამიანის ან მიზეზის, სჯეროდეს ღირებულებებისა და ეთიკის, რომელიც თანამდებობის პირის მოტივატორია. თანამედროვე და, ალბათ, განსაკუთრებით პოსტმოდერნული ადამიანის გონება კომპლექსურია. მას გაორებული ხედვა აქვს იმის შესახებ, თუ სად არის კონსტრუქციულობა და, ამავე დროს, უნდა დაინახოს, ფლობს თუ არა სხვა ადამიანი კარგ ბედს. მმართველობის პერიოდის დასაწყისში ის ჯგუფი, რომელმაც აირჩია ეს ადამიანი, მემარჯვენე-მემარცხენეობის მიუხედავად, გრძნობს მის აუთენტიკურობას, მაშინ, როცა მისი ოპიზიციური ჯგუფი დარწმუნებულია სრულ მოშლაში, კონსტრუქტივიზმსა და ხელოვნურობაში. ამ უკიდურესად მომაჯადოებელ სიტუაციაში, რომელიც დემოკრატიაში იფურჩქნება, არის ორი თანადროული მოძრაობა. ერთი მხრივ, ესაა კარგი ადამიანი, კარგი მოძრაობა, ღირებულებების კარგი წყება, რომლის ინსტიტუციონალიზაციასაც ახლა ვცდილობთ; მეორე მხრივ, ზუსტად იმავე ძალაუფლების მქონე ჯგუფი, რომელშიც ინტელექტუალები და მედია მოიაზრება, ამბობს, რომ ეს სრული უაზრობაა, რომ ლიდერობის ახალი სახით ჩვენება აუთენტიკურობის საპირისპიროა, რომ ეს, სინამდვილეში, საშიში მარიონეტული შოუა. ეს მოქიშპე წარმომადგენლობითი სტრუქტურები მჟღავნდება იმის მიუხედავად, თუ ვინ იღებს ძალაუფლებას, მემარცხენე თუ მემარჯვენე მხარე.

თქვენ წარმოაჩენთ საკმაოდ მნიშვნელოვან განსხვავებას მეტყველებასა და ენას შორის, ეს განსხვავება გვაძლევს საშუალებას, ძალაუფლების ბევრად უფრო კომპლექსური გაგება გვქონდეს, ვიდრე იმ ადამიანების უმრავლესობას, რომლებმაც ენის ცვლილება საკმაოდ სერიოზულად მიიჩნიეს და ძალაუფლებაში ყველგან გავრცელებული იარაღი დაინახეს. კულტურალური სოციოლოგიისთვის ძალაუფლება წარმომადგენლობითია და მრავალი გზითაა შემოწმებულ-დაბალანსებული სკეპტიკური აუდიტორიის, კრიტიკული საზოგადოებების და პოტენციურად, კომისიურ-წარმომადგენლობითი ხალხების მიერ. თუ ეს გაგება ამდიდრებს როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ დისკუსიებს სამოქალაქო საზოგადოებისა და ცხოვრების სამყაროს შესახებ, ჩემი აზრით, ის არ ეხება და უყურადღებოდ ტოვებს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას ენაში არსებული ძალაუფლების შესახებ. ვინ ქმნის ლინგვისტური თამაშის წესებს; როგორ ხდება ამ წესების გადაწყვეტა ან შემოღება; მეტყველება უკიდურესადაა დაკავშირებული ენასთან, სიტყვები და მათი მნიშვნელობები ლიმიტირებულია და ალბათ ცოტათი შემზღუდველიც. როგორ შეუძლია კულტურალურ სოციოლოგიას თავი აარიდოს ენის ამ საფუძვლიან პოლიტიკურ პრობლემას?

ჯ.ა.: ჩემი აზრით, სოციალური კომპლექსურობისა და წარმოდგენის თეორიის კომბინაციის მნიშვნელობა, ანუ ის გადამლახავი ფაქტორი, რაც ჩემი კულტურალური პრაგმატულობის საფუძველს წამოადგენს, არის ის, რომ არც ერთი ცალკლეული აქტორი ან ძალა არ ადგენს წესებს მკაცრად და ექსკლუზიურად. უფრო სწორად, არსებობენ მრავალრიცხოვანი მოსაუბრე გაერთიანებები და შეერთებული მოსაზრებები. შეხედულებებთან დაკავშირებით იმის დაჯერება, რომ ისინი ერთი ძალის მიერაა დაწესებული, საკმაოდ საშიში ჩანს და ბურდიეს მსგავსია, რომელიც ამტკიცებს, რომ ენის/ძალაუფლების მფლობელს აურაცხელი კაპიტალი გააჩნია. ძველი და კარგი მარქსისტული ან ელიტის ძალაუფლების ტრადიციით, ძალაუფლებას იგებენ, როგორც საზოგადოებაში არსებულ ცენტრა-

ლიზებულ, უხილავ სახელმწიფო ან ეკონომიკური, ან კულტურულ-კრიტიკული ძალაუფლების წყაროს და ეს ნამდვილად არაა სწორი. ჩემი აზრით, ამ მოსაზრებას თუ გავყვებით, წავალთ უკან, რაიმონ არონის (Raymon Aron) მიერ ელიტისა და კლასობრივი ძალაუფლების თეორიების შესანიშნავი კრიტიკის „გადასაკითხად". კრიტიკოსები, რომლებიც ამ ტრადიციაში წერენ, ამბობენ, რომ თანამედროვე საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ გაყინულები ვართ – სოციალური გაუმჯობესება, ცვლილება და სამართლიანობა შეფერხებულია, ამის მიზეზი კი არის ის, რომ არსებობს ერთი ცენტრალური ძალაუფლება, რომელიც ადგენს წესებს. არონი წერს, რომ პრობლემა სრულიად საპირისპიროა: ის ამბობს, რომ თანამედროვე საზოგადოების მთავარი პრობლემა ფრაგმენტულობა და ბლოკირებაა, რომელიც განსხვავებულ ჯგუფებს შორის მძვინვარე მტრობისგან მოდის. მას სჯერა, რომ ეს ფრაგმენტული ჯგუფები ხშირად ერთმანეთის ნეიტრალიზაციას იმ ხარისხმადე ახდენენ, რომ „სოციუმი" ვეღარაფერს აკეთებს. მეც მინდა, რომ ჩვენი ყურადღება ძალაუფლების პლურალურობაზე გადავიტანო, რომელიც ბევრ თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს, მაგრამ ამას არ გავაკეთებდი ცალსახად არონის სტილში. ჩემი სამოქალაქო საზოგადოების თეორიით მინდა დისკურსული და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ახსნა, რომლებიც, სხვებთან ერთად, დემოკრატიულ სფეროს არსებობის შენარჩუნებაში ეხმარებიან, როგორც განსაკუთრებულს და პოტენციურად დამოუკიდებელს რელიგიური, ახლობლური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო სამყაროსგან. სამოქალაქო სფეროს, როგორც სფეროებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დამოუკიდებელ სფეროს, მხოლოდ შეხედვითაც კი შეგვიძლია სამართლიანად ვიმსჯელოთ სოციალური კრიტიციზმის როლზე. ჩვენ საკმაოდ დიდ ზიანს ვაყენებთ თანამედროვე საზოგადოებას, როცა სათანადოდ არ ვაფასებთ სოციალური კრიტიციზმის როლს. ვგულისხმობ, რომ ეს საკმაოდ ფართო ცნებაა და მოიცავს ნებისმიერ ინტერპრეტაციულ წყაროს, რომელიც მოსაუბრის გარეთაა, როგორიცაა გაზეთები, საინფორმაციო საშუალებები, საეკლესიო და სეკულარულ-ინტელექტუალური სამყარო, რადგან ყველა ჩამოთვლილი ინტერპრეტაციის ის წყაროა, რომელიც არ კონტროლდება მოსაუბრის მიერ და არ ხორციელდება ცალკეული ძალაუფლებით სხვებზე.

იმის მტკიცება, რომ ერთი ძალა არ „ადგენს წესებს", რა თქმა უნდა, არ შთაგვაგონებს, რომ არსებობს ლიბერალური გაგებით პლურალიზმი. რადგან მე დროს გავუსვი ხაზი და კიდევ ერთხელ სამოქალაქო სფეროში ნახეთ სექციები რასის, რელიგიის და გენდერის შესახებ – ყოველთვის ასიმეტრიული კავშირებია სფეროებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას ქმნიან.

კულტურალური სოციოლოგია და მისი სხვები

Fin de Siécle სოციალურ თეორიაში (1995) თქვენ მიუთითებთ, რომ „სოციალური თეორია ესაა მისი დროის მენტალური რეკონსტრუქცია, არა რეფლექსია, არამედ თვითრეფლექსია", გამყარებული კულტურის სტრუქტურებსა და ისტორიულ პირობებში. რადგან კულტურალური სოციოლოგია არ იქნება ამ წესის გამონაკლისი, რას იტყვით, რა არის კულტურის ფესვები და ის სტრუქტურები, რომლებშიც თქვენი კულტურალური სოციოლოგიაა ჩაშენებული?

ჯ.ა.: მე, რა თქმა უნდა, შემოგთავაზებთ სტიუარტ ჰოლისა და ბრიტანული კულტურის კვლევების (British Cultural Studies) ჯგუფის პოსტმოდერნულ განმარტებას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჰიპერსიმბოლური პროცესების, პოსტინდუსტრიულ, ინფორმაციაზე დაფუძნებულ და გიგანტურად მასმედირებულ სამყაროში. ამიტომ, სამეცნიერო მუშაკებმა,

კულტურის სოციოლოგების ჩათვლით, საგნების ეკონომიიდან ნიშნების ეკონომიისკენ გადაინაცვლეს. როგორც მე და კენის ტომპსონი (Kenneth Thompson) ვადასტურებთ წიგნში: „სოციოლოგიის თანამედროვე შესავალი: კულტურა და სოციოლოგია ტრანზიციაში“ (2008), ეს ყველაფერი კულტურის ცვლილების სოციალური განმარტების უდავოდ კარგ წილს იძლევა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მედიითა და კულტურის ინდუსტრიით ინტენსიურად და სიმბოლურად გაჯერებულ სამყაროში ვცხოვრობთ, ნამდვილად ძალიან უცნაური იქნებოდა, თუ ჩვენი თეორიები მატერიალიზმთან და რაციონალურ არჩევანთან გადაჯაჭვული დარჩებოდა. მეორე მხრივ, კულტურის ცვლილების ინტელექტუალური და ფილოსოფიური წარმომავლობა დიდად უსწრებს წინ პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემოჭრას. ეს იყო გვიანი დიურკემი, სოსიური, ვიტგენშტაინი და სემიოლოგები. ამიტომ, არ არსებობს კულტურალური სოციოლოგიისა და სოციალური ცვლილების ერთი-ერთზე მიმართება, რაც საბოლოოდ არის მიზეზი იმისა, თუ რატომ ვსაუბრობ თვითრეფლექსიაზე და არა რეფლექსიაზე. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომელიც პოსტმოდერნული და პოსტინდუსტრიული თეორიის სარკული გამოსახულებაა, სახელდობრ იმას, რომ 1920 ან 1950-მდე ან მე-19 საუკუნეშიც კი ჩვენ როგორღაც მატერიალიზმის სამყაროში დავსახლდით. ვფიქრობ, რომ სამყაროც საკმაოდ იყო სიმბოლურად გაშუალებული, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი იმ დროს აშკარად უფრო რელიგიაზე საუბრობდა და არა მასმედიაზე. მაშინ იყო საკმაოდ ბევრი სოციალური სიმბოლო (things) იმისთვის, რომ კულტურით დაინტერესებულ სოციოლოგს მათზე ემუშავა. ვებერსა და დიურკემზე გავლენა მათი წინაპრების რელიგიურობამ და მათმა უშუალო კულტურულმა გარემომ მოახდინა, რასაც ტოკვილი les meurs-ის ცნებით გამოხატავს.

მაგრამ როგორ შეძლო ამერიკულმა კონტექსტმა კულტურალური სოციოლოგიის წარმოშობისთვის კულტურული ტრადიციების განსაკუთრებულად მიწოდება?

ჯ.ა.: ჩემი აზრით, კარგი ინტელექტუალური თეორია მხოლოდ „საზოგადოებისგან“ ან „მაკროსგან“ არ ამოდის; ყურადღება უნდა მივაქციოთ ინტელექტუალური ჯგუფების მედიაციასა და იმას, თუ როგორ ცვლიან დროთა განმავლობაში ისინი სამყაროს ხედვას (Weltanschaung). მე რომ ამერიკული ელიტის ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიაზე ვმუშაობდე, 1950-იანი წლებიდან დღემდე, ინტელექტუალურ ჯგუფებში ამ „მიკროძვრებისთვის“ დიდი ყურადღების მიქცევა დამჭირდებოდა. ერთი ასეთი ძვრა კულტურული მარქსიზმის როლს 1960-იანი წლების თაობასთან აკავშირებს. ახალი მემარცხენე მარქსიზმის, როგორც მისი ატმოსფეროს, ასევე მისი სოციალური თეორიის გავლენის შედეგად, ჩემი ინტელექტუალური თაობის ყველა თუ არა, ბევრი წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ იყვნენ მარქსისტები, ინარჩუნებდნენ ცნობიერების სენსიტიურობას, სუბიექტურობასა და წარმოდგენას. ამის შესახებ დავწერე ნაშრომში: „სამოციანები და მე: კულტურის რევოლუციიდან კულტურალურ სოციოლოგიამდე“ (2005a). ჩემს თაობაში, მაგ., ამერიკული სოციოლოგიის პოზიტივიზმის მიმართ არის ანტაგონიზმის საკმაოდ ძლიერი გრძნობა, როგორც ორ მთავარ ჟურნალში: American Sociological Review (ASR) და American Journal of Sociology (AJS) არის გამოხატული. დღეს, რა თქმა უნდა, ეს ხშირად ბანალური ემპირიციზმი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი არის წარმოდგენილი, სოციოლოგიური დისციპლინის სეგმენტის უმცირეს ნაწილში. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ თაობის ეს მგრძნობელობა რთულად ემიჯნება შეერთებულ შტატებს. მიუხედავად ჩემი ამერიკული ფესვებისა, კარიერის განმავლობაში ძალიან ხშირად ვიყავი ფრანგული და გერმანული აზროვნების გავლენის ქვეშ, იმდენად, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წინააღ-

მდეგობას ვუწევდი პრაგმატიზმის როლს. მხოლოდ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმოდგენაზე მუშაობის შედეგად ვიპოვე გზა, რომ მიმეღო იგი. მე ანტაგონიზმს ვგრძნობდი როგორც ამერიკული ხასიათის პრაგმატული ნაწილის მიმართ, ასევე მატერიალისტური და სამომხმარებლო ამერიკული საზოგადოების მიმართაც. ასევე მაწუხებდა პრაგმატიზმის ინდივიდუალიზმი. ასე რომ, ამის გამო, თავს ბედნიერად არ ვგრძნობდი.

ახლა გვინდა გკითხოთ „წარმომადგენლობითი“ ხასიათის შესახებ, რომელსაც „ძლიერი პროგრამა“ მოიცავს. ის პროგრამა, რომელიც თქვენ განავითარეთ, ჰგავს იმ ოპერაციულ ქმედებას, რომელიც ამერიკულმა „ახალმა ეკონომიკის სოციოლოგიამ“ 1980-იან წლებში ჩაატარა. განსაკუთრებულად ვფიქრობ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გრანოვეტერმა (Granovetter) შემოგვთავაზა, როდესაც განაცხადა, რომ ნებისმიერი „საბაზრო გაცვლა“ სოციალური ძალებიდან მოდის (მის შემთხვევაში ინტერპერსონალური ქსელები მოიაზრება), ამიტომ ბაზრების ევოლუციის ბოლომდე გასაგებად სოციოლოგი გვჭირდება. მაგრამ, ამავე დროს, შეიქმნა სუბდისციპლინა საკუთარი „კონფერენციებით“, „ჟურნალებით“, „სახელმძღვანელოებით“. როგორ ფიქრობთ, შეიძლება „ძლიერი პროგრამა“ ანალოგიურ ოპერაციად ჩაითვალოს? მაგრამ ერთი ნაბიჯით წინ მყოფად, სადაც, იმის მტკიცების ნაცვლად, რომ „ნებისმიერ საბაზრო გაცვლას სოციალური მხარეც აქვს“, ვიტყვით: „სოციალურ ფენომენს კულტურული განზომილება აქვს“? ამიტომაც მათ გასაგებად კულტურალური სოციოლოგიის წარმომადგენელია საჭირო? მეცნიერების პოლიტიკის ტერმინებით, როგორ ფიქრობთ, კულტურალური სოციოლოგიის მომავალი ახალი ეკონომიკის სოციოლოგიის მომავლის მსგავსია? თითქმის ახალი დისციპლინის შექმნის კუთხით, საკუთარი მეთოდებით, ჟურნალებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ხარისხებით და ა.შ.?

ჯ.ა.: ნებისმიერი სახის ახალ ინტელექტუალურ მოსაზრებას თან უნდა სდევდეს გარკვეული სახის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. შეერთებულ შტატებში შედარებით რთულია, შექმნა და აკონტროლო ინტელექტუალური პროდუქციის ინსტიტუტები, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში. მე არ მაქვს „საკუთარი“ დეპარტამენტი ან სადოქტორო პროგრამა კულტურალურ სოციოლოგიაში. მე და ჩემმა კოლეგებმა მოვახერხეთ, რომ შეგვექმნა კულტურალური სოციოლოგიის ცენტრი (CCS), მაგრამ ვერ ვაკონტროლებთ მატერიალურ რესურსს, რომ მოვახერხოთ ხმის ამაღლება. ჩვენ არ გვაქვს მაგ., ჟურნალის გამოშვების დაწყების სახსრები ან ვერ დავაფინანსებთ სამეცნიერო საზოგადოებებთან ვიზიტებს. იმდენად, რამდენადაც არსებობს კულტუალური სოციოლოგიის ინსტიტუციური განზომილება, ის გვხვდება მხოლოდ CCS-ში, რაც მოიცავს ჩვენს დოქტორანტებზე დაკვირვებას, კონფერენციების ჩატარებას, წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნებას, ვებგვერდის შენარჩუნებას, უცხოელი ახალგაზრდების ძლიერი ნაკადის მიღებას, რომლებიც თვითონ იხდიან ყველანაირ საფასურს. ჩვენ ასევე გვაქვს იელის კულტურალური სოციოლოგიის სერიები სამაგალითო გამომცემლებთან ერთად, რომლის ფარგლებშიც ახლა გამოსულია ან გამოდის დიდი რაოდენობის წიგნი.

უნდა ვაღიარო, რომ 1980-იანი წლების შუახანებში, როცა დავიწყე კულტურალურ სოციოლოგიაზე მუშაობა, საკმაოდ იზოლირებულად ვგრძნობდი თავს, ვიყავი არა მხოლოდ მიმდინარე ამერიკული სოციოლოგიის, არამედ კულტურის ბრიტანული კვლევების და კონტინენტური კრიტიკული ინსპირაციული სამუშაოს გარეთ. ჩემდა გასაოცრად, 20 წლის განმავლობაში ზოგიერთი რამ დრამატულად შეიცვალა. დღეს კულტურალური სოციოლოგია ან ახალი ნაკადის ნაწილად არის მიჩნეული, ან ნამდვილად ითვლება ერთ-ერთ

მთავარ სოციოლოგიურ გამოძახილად და არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში. ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი უკანასკნელი დამამტკიცებელი საბუთი არის BSA-ს მიერ დაფინანსებული ჟურნალის გამოჩენა, რომელსაც კულტურალური სოციოლოგია ჰქვია და რომლის მიმართაც საკმაოდ დიდი ინტერესია შეერთებულ შტატებში. უნდა ვაღიარო, რომ ამ ჟურნალის გამოჩენა ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ვფიქრობდი საკუთარ პერსპექტივაზე, რომ ჩავრთულიყავი ბრძოლაში კულტურის სრულიად პრაგმატული გაგების წინააღმდეგ, რომელიც უფრო ინსტრუმენტალურია, უფრო სიმბოლურ-ინტერაქციონისტული და რომელსაც მე კულტურის სოციოლოგიას ვუწოდებ. მაგ., თუ ერთი მათგანი სწავლობს, თუ როგორც ეფლობა კულტურული მნიშვნელობები ქსელებში, ინსტიტუტებში და ძლიერია თუ სუსტი ეს კავშირები, ჩემთვის ეს არ ითვლება კულტურალურ-სოციოლოგიურ არგუმენტად, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება ამა თუ იმ კულტურულ ელემენტთან დაკავშირებით საკმაოდ კარგად აჩვენებს რაღაც მნიშვნელოვანს. ეს კულტურის სოციოლოგიის მიდგომა ინსტიტუციონალური ეკონომიკის ამერიკულ ტრადიციასთან მართლაც საკმაოდ თავსებადია, თუ დავუბრუნდებით ჯონ რ. კომონზს (John R. Commons), რომელმაც ინსტიტუციური ეკონომიკის სახელით კრიტიკული აზროვნების სკოლა დააფუძნა, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი დღეს თორსტეინ ვებლენია (Thorstein Veblen). ეკონომიკაში მარგინალური სარგებლიანობის თეორიით ჩანაცვლებულმა ინსტიტუციონალისტურმა ტრადიციამ სოციალურ მეცნიერებებში გადაინაცვლა და გზა გაუკვალა მაგ., გრანოვეტერის პერსპექტივას. ეს ნამდვილად განსაკუთრებულად წარმატებული კვლევითი პროგრამა იყო, რომელიც ორგანიზაციის სოციოლოგიის ნეოინსტიტუციონალიზმში არტიკულირდა/გამოითქვა.

გამოდის, რომ კულტურალური სოციოლოგია სპეციალობაა სოციოლოგიის შიგნით?

ჯ.ა.: დიახ, არის, მაგრამ ის ასევე უფრო ფართო პერსპექტივა და ჩარჩოა, რომელიც ყველა სპეციალობას ერგება. კულტურალურ სოციოლოგიასთან დაკავშირებით ჩემი პირადი ამბიცია არის უფრო მეტი, ვიდრე მისი სპეციალობად ჩამოყალიბებაა, ის შეცვლის მანერას, რითაც სოციოლოგია ხორციელდება. დღეს რისი წინ წამოწევაც ხდება, არის კულტურის მიერ ორიენტირებული პოლიტიკური სოციოლოგია, ეკონომიკის სოციოლოგია, გენდერი და სქესის სოციოლოგია და ა.შ. ამ ახალი ჩამონათვალის ერთ-ერთი ინდიკატორი არის ის, რომ ოქსფორდის უნივრსიტეტის გამომცემლობამ მათი კულტურალური სოციოლოგიის სახელმძღვანელოს მოსამზადებლად მიმიწვია. მე, ფილიპ სმიტთან და რონ ჯეიკობსთან ერთად, შევკრიბე 25 დამხმარე, რომლებიც დაწერენ ძალიან ფართო დიაპაზონის განსხვავებულ სფეროებსა და სპეციალობებზე. ჩვენი მიზანი იმის დემონსტრაციაა, რომ მნიშვნელობაზე ორიენტირებული სოციოლოგია არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ მან, ფაქტობრივად, წინა პლანზე წამოიწია.

როგორც იცით, კულტურალური სოციოლოგია არაა ერთადერთი მიდგომა კულტურის მნიშვნელობის გასაგებად. მაგალითად, ჩვენი წარმოდგენით, მიმდინარე ბრიტანული სოციალური მეცნიერება საკმაოდ „კულტურალისტურია“, მაგრამ ის ერთი შეხედვით არც „კულტურის სოციოლოგიაა“ და არც „კულტურალური სოციოლოგია“; არ არის იმ გზის შესახებ, რითაც კულტურალური გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და არც იღებს „კულტურას“, როგორც რაღაც განსხვავებულს, რაც განცალკევებულად უნდა გავიგოთ. ჩვენ

ვიტყოდით, რომ ის უფრო იმ გზის შესახებაა, რითაც მრავალფეროვანი ელემენტები ახდენენ ინტერაქციას. მაგ., ჩვენ ვსაუბრობთ მიმდინარე „კულტურალურ ეკონომიაზე“; ხალხს მოსწონს ნაიჯელ ტრიფტი (Nigel Thrift), ჯონ ური (John Urry), ან სკოტ ლაში. სელია ლიურის (Celia Lury) წიგნი ბრენდების შესახებ არაჩვეულებრივი მაგალითია. მისი მიზანია გაიგოს, რა არის ბრენდი: ის გვიჩვენებს, რა სახითაა ბრენდი სიმბოლო, მაგრამ ის ასევე ნიშანიცაა, ზემოქმედება, ინფორმაცია, ის ფულია; სხვა მაგალითიც შეიძლება ვიპოვოთ ლაშისა და ლიურის ახალ წიგნში: „გლობალური კულტურის ინდუსტრია“ (2007) და მათ მტკიცებაში, თუ როგორ იქმნება მნიშვნელობა ურთიერთობების თავისუფალ მორთულობაში, რომელიც ჩაშენებულია ჩვენი თაობის ყველგან გავრცელებულ კულტურის ობიექტებში. როგორ ფიქრობთ, არის ამგვარი მიდგომა გამოწვევა კულტურალური სოციოლოგიისთვის? თქვენ არ ფიქრობთ, რომ აქ ტენდენცია არა ახალი „სუბდისციპლინის“ შექმნა, არამედ მულტიდისციპლინარულობის გაზრდაა?

ჯ.ა.: ჩემთვის ბრიტანული სოციოლოგიის პირველადი განვითარება დაკავშირებულია სოციოლოგიური პოსტმოდერნიზმის შექმნასთან. ჩემი აზრით, ესაა სოციალურ-სტრუქტურული ანალიზი იმის შესახებ, თუ რატომ მიიღეს მატერიალურმა ობიექტებმა სიმბოლური ხასიათი (ზემოთ იხილეთ ჩემი განხილვა პოსტინდუსტრიალიზმის შესახებ). თქვენ შეგეძლოთ წაგეკითხათ ეს მიდგომა ან, როგორც სიმბოლიზმი, ან ინფორმაციის შესახებ; თქვენ ასევე შეგიძლიათ დაუკავშიროთ იგი ახალ ბრიტანულ განხილვებს სხეულის, სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ბრენდების შესახებ. მე მივესალმები ამ მიღწევებს, მე ვისწავლე მათგან. ბრიტანელი სოციოლოგების თქვენ მიერ ჩამოთვლილ სიას მივამატებდი ზიგმუნტ ბაუმანს, რომელიც ჩემთვის მაკროსოციოლოგიური თეორიის ბუმბერაზი ფიგურაა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომების დიდ ნაწილს არ ვეთანხმები.

თქვენ მიერ ნათქვამ „კულტურულ ეკონომიაში“ ხშირად სწორედ ის მაღიზიანებს, რასაც თქვენ პოზიტიურად იღებთ. აქ, თავდაპირველად რომ ვთქვათ, რაღაც ეკლექტიკური მულტიგანზომილებაა, რომელიც აჯამებს გარკვეული სახის მათეორიზებელ აგრეგატს: „ამასაც აქვს მნიშვნელობა და იმასაც“; „რა თქმა უნდა, საგნები სიმბოლურია, მაგრამ ისინი მატერიალურიცაა, ამიტომ საგანი მატერიალური სიმბოლოა“. ამ ნაშრომში არის ღრმა დაპირისპირება კულტურის სტრუქტურების ინტერნალური პატერნების გამოძიების მიმართ და იმის მიმართ, რომ მისცეს ამ სტრუქტურებს ნამდვილად კაუზალური როლის ფლობის საშუალება. ეს დანაშაულად წარმოგვიდგება მატერიალიზმის მიმართ. მაგ., აქტორების ქსელურ თეორიაში, ონტოლოგია მკაცრად მატერიალურია, არ არის ხმის ამაღლების სიმბოლური და ძალაუფლებრივი წარმოდგენა, თუ ვიგულისხმებთ წინააღმდეგობას ჰერმენევტიკის მიმართ. ჩემთვის ეს სიცრუის მტკიცებაა, ანუ საქორწინო ცერემონიალი „სოციოტექნიკური მზადებაა“. მე ასე არ ვფიქრობ. რა არის მასში ტექნიკური? რატომ არის ის მატერიალობის ფორმა? ამგავრი ფორმულირებით, ჩვენ, სამწუხაროდ, საკმაოდ შორს ვართ ჯონ ოსტინის საქორწინო ცერემონიალისგან, რომელიც წარმომადგენლურად განმტკიცებულია, როგორც ინსტიტუტი, როგორც სიმბოლური ან კულტურული კონვენცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე ვფიქრობ, რომ ბრიტანული სოციოლოგიის ამ ტრადიციებში იდეალიზმის მიმართ ძლიერი შიშია და ეს შიში უადგილოა, რადგან კულტურალური სოციოლოგია იდეალისტური არ არის.

კაპიტალიზმისა და ეკონომიკის მიმართ ექსტრაორდინარული ინტერესი არსებობს და ამ მზარდმა ინტერესმა პოსტმოდერნულ კაპიტალიზმში მნიშვნელოვანი ახალი გაგება წარმოქმნა. საპირისპიროდ, ამერიკული ეკონომიკის სოციოლოგიის კითხვით თქვენ

ბევრს ვერ ისწავლით კაპიტალიზმის მიმდინარე ისტორიული სახის შესახებ, რადგან ის მიზნად, როგორც ასეთი, კაპიტალიზმის მოდელების შექმნას ისახავს. ბოლოს და ბოლოს, როდის არ იყო ბაზრები „ჩაშენებული"? ბრიტანელები უფრო სენსიტიურები არიან ისტორიულ საფეხურებსა და პერიოდებთან მიმართებით. შეიძლება ისტორიულობის შესახებ მათ ამდენი იმიტომ იციან, რომ ახლახან გამოსცადეს იმპერიულად დომინანტი საზოგადოებიდან იმ საზოგადოებისკენ გადასვლა, რომელსაც არ აქვს იმპერიული ძალაუფლება. მათ დრამატულად გადაინაცვლეს ინდუსტრიული კაპიტალიზმის ცენტრიდან ისევ მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც მეორე რიგის სერვისეკონომიამდე.

ამის გარდა, მაშინ, როდესაც ჩემთვის კაპიტალიზმის ბრიტანული სოციოლოგია გამომწვევი და ხშირად დაუძლეველია, იმედგაცრუებული ვარ მისი უარყოფითი დამოკიდებულებით მნიშვნელობის რელატიური ავტონომიის ჩართვის კუთხით, მნიშვნელობისთვის ნების წართმევით, რომ არსებობდეს მხოლოდ „მნიშვნელობისთვის". რა ხდება მაშინ, თუ ბრენდი უფრო მეტად მატერიალური მამაკაცური ან ქალური სტილის მატერიალური სიმბოლიზაციაა, ვიდრე საქონლის გაყიდვისთვის შექმნილი პროდუქტი? შეიძლება, რომ სხვა გზებთან შედარებით, პოსტინდუსტრიული კაპიტალიზმი არ იყოს კულტურული პროცესის მატერიალიზაციის უკეთესი გზა? მე ვფიქრობ, რომ სელია ლიური ამაზე უპასუხებდა: „რა თქმა უნდა, ის არის" და სკოტ ლაშიც ამასვე იტყოდა. ამის გარდა, მაშინ, როდესაც ახალ კულტურულ ეკონომიასთან მიმართებით საკმაოდ განსხვავებული აქცენტები არსებობს, ჩემი აზრით, „ინტენსიურ კულტურაზე" ლაშის უკანასკნელ ნაშრომს, რომელიც ცდილობს მოიცვას დიურკემის გვიანი კულტურალური სოციოლოგია, ამ ორ მიდგომას შორის არსებული ინტელექტუალური დისტანციის შემამცირებელი ეფექტი ექნება.

ამ გაგებით, შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ სახის ბრიტანული სოციოლოგია თქვენი ძლიერი პროგრამისთვის უფრო შემავსებელია და არა გამოწვევა?

ჯ.ა.: თქვენ ეს განსხვავებულად შეიძლება გაგეგოთ. მე მას ვხედავ, როგორც შემავსებელს, ასევე, ანტაგონისტურს. ერთი მხრივ, ახალი კულტურული ეკონომია ხსნის, თუ რატომაა სიმბოლური პროცესები ცენტრალური თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრებისთვის და ჩვენი ყურადღება სიმბოლური პროცესებით საბაზრო საზოგადოებების გავრცელებაზე გადააქვს. მეორე მხრივ, როგორც ზემოთ შემოგთავაზეთ, ამ პროცესების შიგნით მნიშვნელობების რელატიურ ავტომონიას სათანადო ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, მინდა ვიკითხო, რა არის ეკონომიკის სოციოლოგიის გარეთ? სამოქალაქო საზოგადოება? რელიგიური სფერო? ჩემი დაკვირვებით, ნამდვილად კრეატიული ბრიტანელი სოციოლოგების უმრავლესობა კონცენტრირებულია კაპირალიზმის ერთ ან მეორე ფორმაზე, განსაკუთრებით, თუ ძალაუფლების წარმოებას სახელმწიფოებრიობის მოცვისთვის განვავრცობ. მაგრამ არსებობს თანამედროვე საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც არ ეხება კაპიტალიზმს და რომლის ძირითადი არსი არ უკავშირდება ეკონომიკას.

თქვენი უკანასკნელი ნაშრომი შეიძლება მივიღოთ, როგორც „პრაგმატული" ცვლილება, იმ გაგებით, რომ ის მხოლოდ კულტურის როლს კი არ უსვამს ხაზს, არამედ ის ასევე თეორია და მეთოდია იმისთვის, რომ გავიგოთ გზა, რომლითაც „კულტურა ცოცხლდება" (წარმოდგენა). ეს გზა, როგორც ერთ-ერთი მთავარი გარდამტეხი ფაქტორი, მოცემულია უფრო მტკიცე სოციოლოგიებში, როგორიც ბურდიემ შემოგვთავაზა – განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბოლო ნაშრომი. საკუთარი „პრაგმატული ცვლილების" განვითარებით

მას თითქოს ჩამოშორდა ფრანგული სოციოლოგია, რომლისთვისაც მოქმედება, წარმოდგენა და გამართლება ცენტრალურია. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თქვენი შრომა აღიქვან ახალი ფრანგული ტენდენციების, განსაკუთრებით კი, „კონვენციებისა“ და აქტორის ქსელური თეორიის შემავსებლად?

ჯ.ა.: შეიძლება სიტუაცია ოდნავ შემოვატრიალო? თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ბოლტანსკის და ტევენოს სოციოლოგია და აქტორის ქსელური თეორია ურთიერთშემავსებელია? კარგი, ორივე შეიცავს პრაგმატიზმის ელემენტს და ორივე შორდება ბურდიეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მსგავსება აქ მთავრდება.

აქტორის ქსელური თეორია ვერაფერს სთავაზობს კულტურალურ სოციოლოგიას, უფრო ცოტასაც კი, ვიდრე სამოქალაქო სფეროს თეორია, მაშინ, როდესაც მე მივყვებოდი ბოლტანსკისა და ტევენოს შრომებს 1990-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც პარიზში ვცხოვრობდი. მე ვპოულობდი უზარმაზარ პარალელებს ძლიერ პროგრამასთან. ბევრი რამ ვისწავლეთ მათგან და მე დღემდე მოხიბლული ვარ მათი შეხედულებების ბევრი ასპექტით, მიუხედავად იმისა, რომ მაინც მაქვს დიდი კრიტიციზმი და ბევრი შენიშვნა.

მომწონს, რომ ის აქტორის ინტერპრეტატულობის საკითხს სვამს. იგი მიკროსა და მაკროს ურთიერთობას ისე უყურებს, როგორც წესებს, რომლებიც მაკროსფეროების ინფორმირებას ახდენენ, და მიაჩნია, რომ ისინი მოქმედების პრობლემებადაა თარგმნილი. მე ასევე მოხიბლული ვარ იმ მანერით, რომლითაც ისინი იაზრებენ მრავალფეროვან სფეროებს, რომელთაც ერთმანეთისგან რელატიური დამოუკიდებლება გააჩნიათ, როგორ აღწერენ აქტორებს, რომლებსაც პრობლემა აქვთ გაარკვიონ, თუ ნორმატიულად რომელ სფეროს მიეკუთვნება მოქმედებები ან საგნები და ამ პროცესის დროს როგორ ერთვება აქტორი არა მხოლოდ ბრძოლაში, არამედ მიდის კომპრომისებსა და არგუმენტაციებზე. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენ სამყაროს ერთნაირი აღქმა გვაქვს. განსხვავება ისაა, რომ ისინი სფეროების სიმტკიცეს პოსტულატად იღებენ და იგი მოცემულობად მიაჩნიათ – 1991 წლიდან მათი მტკიცების მიხედვით მაინც, ეს სამყაროები მეტ-ნაკლებად ყოველთვის არსებობდნენ. ამის საპირისპრიოდ, მე ვფიქრობ, რომ სფეროები დაეფუძნნენ სოციალურს, ფსიქიკურს, ინტელექტუალურსა და კულტურის ისტორიებს. ხოლო ისინი, ნაშრომში: De la Justificiation (1991) მაინც, უფრო დაინტერესებულები არიან, იპოვონ რაიმე ლოგიკური ან არგუმენტირებული ახსნა იმის შესახებ, თუ როგორ იწარმოება ინტერსფერული დისკუსიები და როგორ მიიღება გადაწყვეტილებები. ვხვდები, რატომ განუდგა ბოლტანსკისა და ტევენოს ჯგუფი ბურდიეს და მე ვიზიარებ მათ შენიშვნებს. 1990-ანი წლების დასაწყისში მე და ტევენომ ბევრი ვისაუბრეთ ამ საკითხთან დაკავშირებით და მივხვდი, რომ ერთი მიმართულებით მივდიოდით.

რაც შეეხება აქთ-ს, მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ მათაც ყოველთვის კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდათ ბურდიეს მიმართ. 1980-იან წლებში, ჩემი ნაშრომების დასაწყისიდან განვავითარე ეთნომეთოდოლოგიის, ფენომენოლოგიისა და სიმბოლური ინტერაქციონიზმის შესახებ ნაშრომები, ანუ იმ სფეროების, რომლებშიც მოქმედებს აქტორის ქსელური თეორია (აქთ). ამ ჩემს ადრეულ თეორეტიკულ ნაშრომებში ასევე ავხსენი, თუ რას ვუწოდებდი „ინდივიდუალისტურ დილემას“, რომელსაც ეს ტრადიციები მოიცავს და რაც, ჩემი აზრით, აკნინებს მათ მიერ დიურკემის კრიტიციზმსა და მათ ბრძოლას ტარდთან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვეთანხმები დიურკემს, თითქოს ინდივიდუალური მოქმედება არაა მნიშვნელოვანი. კონტინგენტის ძალისხმევის მნიშვნელობა არის ის, რისი გაერთიანებაც ვცადე „მოქმედება და მისი გარემოებების“ (1987b) მეშვეობით, რომელიც ეყრდნობა მიკროსოციოლოგიას, უფრო ინდივიდუალიზმზე ფოკუსირებულ ტრადიციებს და დღეს ჩემს

წარმოდგენის თეორიას მიემართება. ყოველთვის ვაქცევდი ყურადღებას იმას, თუ რას ვუწოდებ კონკრეტულ ინდივიდს, არა მხოლოდ ანალიტიკურ არსებას, არამედ ადამიანს დროსა და სივრცეში, ჯგუფისთვის მოცემულ, სიტუაციაში. სწორედ ასეთი კონკრეტულობა ხიბლავს და იპყრობს აქთ-ს ყურადღებას, რომელიც თავის მხრივ, გამოდის ეთნომეთოდოლოგიიდან და ფენომენოლოგიიდან. მიუხედავად ამისა, მე საკმაოდ დიდ პრობლემას ვაწყდები კონკრეტულ ინდივიდსა და საგანზე მტკიცედ ორიენტირების შედეგად. ის საკამოდ ცალმხრივად პრაგმატულია, გადატვირთულია პრობლემის გადაჭრით, პრაქტიკული მოქმედებით, გამომგონებლობით, დაკვირვებითა და მეყსეული გაგების გამოცდილებით. ეს ახდენს კოლექტიური რეპრეზენტაციების იგნორირებას, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ფარულ რეპრეზენტაციებსა და მოქმედების განმტკიცებაში, პრაქტიკული პრობლემების წყებაში უფრო მეტი დიალექტიკური და თანადროული ურთიერთობები არსებობს. ეს ხაზს უსვამს განსხვავებას მათ და ჩემს წარმოდგენის მიდგომას შორის. მათ მოსაზრებები აქვთ კონტექსტის, როგორც მატერიალურის შესახებ, რომ პრაგმატიკა პრაქტიკასთანაა დაკავშირებული, როგორც ნამდვილი პრაქტიკული მოქმედება. ამის საპირისპიროდ, ჩემთვის პრაგმატული „კულტურალურს“ უნდა უკავშირდებოდეს. არ იქნება ჭკვიანური, თუ თავს გვიანი დიურკემის ტრადიციისგან შემოვისაზღვრავთ, რომელიც სტუქტურალიზმში, სემიოლოგიასა და პოსტსტრუქტურალიზმში განვითარდა. მე წარმოდგენას ისე ვხედავ, როგორც საფუძველ პრინციპს, რომელსაც აქვს პოტენციალი, შეაერთოს მოქმედების არაინსტრუმენტული გაგება, ინტერესი, ხიბლი, მაიძულებელი გარემოებები და ინტერაქციის პროცესები. მე ასევე დიდად დავინტერესდი საგნებით და ვავითარებ თეორიას იმის შესახებ, რასაც „გამოსახულებით ცნობიერებას“ (ალექსანდერი, 2008a, 2008b) ვუწოდებ.

კულტურალური სოციოლოგია და სოციალურის დასასრული

კულტურალური სოციოლოგია აუცილებლად ეფუძნება სოციალურის მძაფრ განცდას. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის რელევანტურობა და ღირებულება მიმდინარე სოციალურ მეცნიერებებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამ კონტექსტით, როგორ გადაიაზრა თქვენმა კულტურალურმა სოციოლოგიამ სოციალურის მნიშვნელობა?

ჯ.ა.: „სოციალურის დასასრულის“ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩემი გამოცდილება, საკუთარი ბიოგრაფიის მიხედვით, იყო თხუთმეტწლიანი მოყვრულ/მტრული დამოკიდებულება ალენ ტურენისა და მისი ჯგუფის იდეებთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის განმავლობაში პიროვნულად საკმაოდ მეგობრულ ურთიერთობას ვინარჩუნებდით. ჩემთვის დიდად მომგებიანი აღმოჩნდა ტურენის გადამისამართება სოციალური მოძრაობის თეორიიდან, მისი აქცენტები პოსტინდუსტრიული და ინდუსტრიული საზოგადოებების კულტურული შემოსაზღვრულობის შესახებ და ასევე მისი მტკიცება, რომ უნდა არსებობდეს პოლიტიკური კავშირი სოციოლოგიურ თეორიულ მსჯელობასთან. ამავე დროს, მე ყოველთვის უარვყოფდი და განცვიფრებულიც კი ვიყავი ტურენის მტკიცებით, რომ „საზოგადოებამ“ არსებობა შეწყვიტა. რას შეიძლება ეს ზუსტად ნიშნავდეს? რასაკვირველია, ამ ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ ტურენისთვის ეს ნიშნავს ინდივიდის ჩამოყალიბების ჰორიზონტის ექსტრაორდინარულ გაფართოებას. მაგრამ იტყვის ვინმე, რომ სელფის ეს გავრცობა და ნაკლებად ფორმულირება შეიძლება გავიგოთ კულტურის კონტექსტისგან დამოუკიდებლად ან უფრო ფართო, შემწყნარებლური და მრავალფეროვანი სამოქალაქო სფეროს გარეშე? ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი არის ის, რომ თვითონ სოციალური აქ-

ტორები განაგრძობენ „საზოგადოებასთან“ მიმართებებს. მათ სჯერათ, რომ საზოგადოება არსებობს და ეს ჩემთვის კარგია. ჩემი, როგორც კულტურალური სოციოლოგიის წარმომადგენლის კომპეტენციაში შედის იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობენ ისინი.

წყარო

ინტერვიუ შედგა 2007 წლის 4 ივნისს, გოლდსმიტში, ლონდონის უნივერსიტეტში. ინტერვიუს ტრანსკრიპტს მოგვიანებით გადახედეს და მასში შესწორებები შეიტანეს ინტერვიუერებმა და ჯეფრი ალექსანდერმა.

შეჯამება

ჯეფრი ალექსანდერი: ნეოფუნქციონალიზმიდან კულტურალურ სოციოლოგიამდე

ალექსანდერი კულტურის თეორიების შესწავლამ დაარწმუნა, რომ კულტურისადმი ტრადიციულ სოციომეცნიერულ მიდგომებს ფრიად შეზღუდული ხასიათი აქვთ. მის მიდგომაზე ძლიერი გავლენა სემიოტიკამ, ჰერმენევტიკამ და პოსტსტრუქტურალისტურმა აზრმა მოახდინა. შედეგად, სიმბოლურ კოდებსა და მნიშვნელობებზე, რომლებიც სოციალურ სტრუქტურას განსხვავებული საშუალებებით გამსჭვალავენ, ორიგინალური თეორია შეიმუშავა.

კითხვები და დავალებები:

1. სოციოლოგები კულტურის შესწავლას, ტრადიციულად, „კულტურის სოციოლოგიის“ დისციპლინის ჭრილში განიხილავენ. 1980-იანი წლების შუა ხანებიდან ჯეფრი ალექსანდერმა, ახალი ცნების – „კულტურალური სოციოლოგიის“ შემოტანით, ამ დისციპლინის ფუნქციონირება შეცვალა. რა იყო ამ ცვლილების მიზანი?
2. გაანალიზეთ და განმარტეთ მოსაზრება: ალექსანდერისთვის კულტურა არის სტრუქტურა, რომელიც ანალიტიკურად განსხვავებული და ავტონომიურია საზოგადოებისგან, რომელიც, თავის მხრივ, გაგებულია, როგორც მოქმედების შინაგანი გარემო.
3. ამ გარდაქმნების დროს, როგორ და როდის გახდა „კულტურის რელატიური ავტონომიის“ იდეა ცენტრალური მოსაზრება კულტურალური სოციოლოგიის პროგრამასთან მიმართებით?
4. გااანალიზეთ და განმარტეთ ჯ. ალექსანდერის მოსაზრება: „ჩემი აზრით, სოციოლოგია და, უფრო ზოგადად, სოციალური მეცნიერება მოქმედების შინაგან გარემოს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. არსებობს ამის ჰუმანური, ეთიკური და მორალური მნიშვნელობა: კულტურალური სოციოლოგია გვახსენებს, რომ ცოცხლები ვართ და ცოცხლად ყოფნის ფუნდამენტური ასპექტი კი ახსნისა და წარმოსახვის უნარია“.
5. გااანალიზეთ და განმარტეთ ჯ. ალექსანდერის მოსაზრება: „სოციალური თეორია ეს მისი დროის(ეპოქის) მენტალური რეკონსტრუქციაა, არა რეფლექსია, არამედ კულტურის სტრუქტურებსა და ისტორიულ პირობებში გამყარებული თვითრეფლექსიაა.“

6. ხდომილება, რომელიც ერთი პატარა ხალხის ტრაგედიას წარმოადგენს, მთელი დასავლური კულტურის უნივერსალურ „ტრავმად“ როგორ იქცა?
7. გააანალიზეთ „ტრავმის“ კულტურული კონსტრუირების პროცესის მნიშვნელობა, რომელიც სამ თანმიმდევრულ ფაზას: კოდირებას, საზრისისეული წონის მინიჭებას, დაბოლოს, ნარატივის შექმნას მოიცავს.
8. ჯ. ალექსანდერი კულტურის ტრადიციულ სოციოლოგიასა და კულტურალურ სოციოლოგიას შორის წყალგამყოფს რაში ხედავს?
9. გამოყავით კულტურალური სოციოლოგიის „ძლიერი“ და „სუსტი“ პროგრამების ძირითადი მახასიათებლები.
10. რა აზრით შეიძლება ითქვას, რომ კულტურალური სოციოლოგიის პროგრამა „ძლიერია“, რა განაპირობებს მის „სიძლიერეს“?

ძირითადი ლიტერატურა:

Alexsander, Jeffrey C. (ed)
1985a Neofunctionalism. Beveriy Hills, Calif.: Sage.
1983 Theoretical Logic in Sociology. Vol. 4, The Modern Reconstrucion of Classical Thought: Talcott Parsons. Berkeley: University of California Press.
1998a Neofunctionalism and After. London: Blackwell.
1993 “The Return of Civil Society”. Contemporary Sociology 22: 797-803.
1998b Real Civil Societies: Dilemmas of Institucionalization. London: Sage.
Alexsander, Jeffrey C., And Colomy, Paul
1985 „Toward Neo – Functionalism“. Sociological Theory 3:11 – 23.
1990a „„Neofunctionalism: Reconstructing a Theoretikal Tradition““. In G. Ritzer (ed.). Frontiers of social Theory: The New Syntheses. New York: Columbia University Press: 33 – 67.
2003 The Meanings of Social Life: A Cultural Sociology. OXSFORD University Press.
1992. Александер Дж. Коломи П., Неофункционализм сегодня: Восстановливая теоретическую традицию. Социологические исследования. №10.
2013 Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013.

დამატებითი ლიტერატურა:

Бызов Леонид. Культурсоциологический кризис современности
по Джефри Александеру в контексте «русских споров» (размышления на полях книги)
Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ. 142-145.
Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. გვ. 38-40.
Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524 •
Куракин Д.Ю. Социологическая граматика. В книге: Александер Джеффри. Смысли Социальной жизни: культурсоциология. Москва. Праксис: 2013.
А. Г. Титаренко: Александер Дж. Гражданская сфера// Социс. 2008 №2.

თავი მეთერთმეტე – ფემინიზმის თანამედროვე თეორია (გენდერის სოციოლოგიური თეორიები)[1]

1. *ძირითადი თეორიული პრობლემები;*
2. *გენდერის სოციოლოგიური თეორიები – 1960-იანი წლებიდან დღემდე;*
   ა. *გენდერის მაკროსოციალური თეორიები;*
   ბ. *გენდერის მიკროსოციალური თეორიები;*
3. *თანამედროვე ფემინისტური თეორიების ნაირსახეობები:*
   ა. *გენდერული განსხვავება;*
   ბ. *ახსნის (განმარტების) თეორია;*
   გ. *გენდერული უთანასწორობა;*
   დ. *სტრუქტურული ჩაგვრა;*
4. *ფემინიზმი და პოსტმოდერნიზმი;*
5. *ფემინისტური სოციოლოგიური თეორია;*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- „როგორაა საქმე ქალებთან დაკავშირებით“?
- ცოდნის ფემინისტური სოციოლოგია;
- კულტურული ფემინიზმი;
- ბიოლოგიური ფემინიზმი;
- ინსტიტუციონალური ფემინისტური თეორიები;
- სოციალურ-ფსიქოლოგიური ფემინიზმი;
- ფსიქოანალიზური ფემინიზმი;
- ლიბერალური ფემინიზმი;
- მარქსისტული ფემინიზმი;
- რადიკალური ფემინიზმი;
- გენდერული განსხვავება;
- გენდერული უთანასწორობა;
- გენდერული ჩაგვრა;
- სტრუქტურული ჩაგვრა;
- ფემინისტური სოციოლოგია;
- გენდერული სოციოლოგია;
- ფემინიზმი და პოსტმოდერნიზმი.

შესავალი

„ფემინისტური თეორია – ეს არის სოციალურ ცხოვრებასა და ადამიანურ გამოცდილებაზე განზოგადებული შეხედულებების რთული სისტემა, სადაც ამოსავალ წერტილად ქალის პრიორიტეტია მიღებული. ის ფოკუსირებულია ქალსა და ქალებზე, თან ეს სამი ძირითადი ასპექტით ვლინდება. ჯერ ერთი, შესწავლის ძირითადი „ობიექტი“ ის სიტუაცია

1 მომზადებულია ჯ. რიტცერის „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების“ მიხედვით.

(ან სიტუაციები) და პრობლემებია, რომლებიც საზოგადოებაში ქალების წინაშე წამოიჭრება. მეორე, ეს თეორია ქალს მნიშვნელოვან „სუბიექტად“ განიხილავს, ანუ მიისწრაფვის, სამყაროს სპეციფიკური ქალური პოზიციიდან – სოციალურ სინამდვილეში ქალის მიერ დაკავებული ადგილიდან და შესაბამისი როლიდან შეხედოს. მესამე, ფემინიზმი, როგორც თეორია, აკრიტიკებს ქალის სახელით და ქალის ინტერესებით მოქმედებს, ცდილობს, ქალისათვის და, მაშასადამე, თვით ამ თეორიის თანახმად, მთელი კაცობრიობისათვის უკეთესი ვითარება შექმნას“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 357.

მოყვანილი შეხედულება უმრავლესი სოციოლოგიური თეორიებისგან ორი საკვანძო თავისებურებით განსხვავდება. ჯერ ერთი, ეს არის ზოგადდისციპლინარული (დისციპლინათშორისი) პროდუქტი, რომლის ჩამოყალიბებაში არა მხოლოდ სოციოლოგი, ასევე სხვა სფეროების წარმომადგენელი, მაგალითად, ანთროპოლოგი, ბიოლოგი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, სამართალმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი და თეოლოგი მონაწილეობს. მეორე, ფემინისტური განხრის სოციოლოგებს, როგორც ამ ტიპის სხვა თეორიტიკოსებს, ორი მიზანი ამოძრავებთ – თავიანთი სფეროს- (მოცემულ შემთხვევაში, სოციოლოგიის) საწყისი პარამეტრები გააფართოონ, იგი ფემინისტური მიმართულების მიმდევართა აღმოჩენების გათვალისწინებით განიხილონ; საზოგადოების კრიტიკული გაგება შეიმუშაონ, რათა სინამდვილე უფრო სამართლიანი და ჰუმანური გახადონ. „ასეთი ორმაგი ამოცანა ნებისმიერი კრიტიკულად განწყობილი თეორიის დამახასათებელი და განმასხვავებელი ნიშანია“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 357).

1. ძირითადი თეორიული პრობლემები

თანამედროვე ფემინიზმი თითქოსდა მარტივი კითხვის – როგორი ვითარებაა ქალებთან დაკავშირებით? – დასმით გაჩნდა. ეს ნიშნავს – რა ადგილი უკავიათ ქალებს ამა თუ იმ ვითარებაში, თუ მათ საერთოდ არ ექცევათ ყურადღება, რატომ? თუ მათი ყოფნა ცხადია, მაშინ როგორია მათი კონკრეტული საქნიანობა? როგორი გრძნობები აწუხებთ მათ ამ ვითარებაში? რაში გამიხატება მათი დამსახურება? რას ნიშნავს მოცემული ვითარება ქალისათვის?

სამი ათეული წლის განმავლობაში, რაც ეს კითხვები გაჩნდა, მეცნიერებმა გარკვეული დასკვნები გააკეთეს. ქალები სოციალური სიტუაციების უმრავლესობაში მონაწილეობენ. თუ მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ ქალები არ ფიგურირებენ რაიმე ვითარებაში, ეს არა იმიტომ, რომ მათ ინტერესი ან უნარი აკლიათ, არამედ ეს სიტუაციიდან მათი გამოძევების ვიღაცის მიერ განხორციელებული მცდელობის შედეგია. იქ, სადაც ქალების მონაწილეობა შესამჩნევია, ისინი ისეთ როლებს ასრულებენ, რომლებიც, გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, მათი ჩვეულებრივი როლებისაგან (მაგალითად, მორჩილი მეუღლე და დედა) არსებითად განსხვავდება. დედობისა და მეუღლის გარდა, ისინი უამრავ როლებს ასრულებენ და ამით განსახილველ ვითარებას მამაკაცებთან ერთად ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ ქალები აქტიურობას სოციალური სიტუაციების უმრავლეს შემთხვევაში ავლენენ, მეცნიერები, საზოგადოებრიობა და თვით სოციალურ სინამდვილეში მოქმედი სუბიექტები (როგორც ქალები, ასევე მამაკაცები) მათ არსებობას თითქოს ვერც ამჩნევენ. მეტიც, მაშინაც კი, როდესაც ქალის როლი სოციალურ სინამდვილეში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მამაკაცის, ის, მამაკაცის როლისგან განსხვავებით, მაინც ვერ ხდება პრიორიტეტული და დაქვემდებარებული ხასიათი აქვს. შეუმჩნევლობა ასეთი უთანასწორობის მხოლოდ ერთი მაჩვენებელია.

მეორე ძირითადი ასპექტი, რომელიც ფენიმიზმის მომხრეებს აღელვებს: რატომაა მაშინ ყველაფერი სწორედ ასე, როგორც არის? თუ პირველი კითხვა მოითხოვს სოციალური სინამდვილის აღწერას, ეს კითხვა მის ახსნას მოითხოვს. სოციალური სინამდვილის აღწერა და ახსნა ნებისმიერი სოციოლოგიური თეორიის ორი მხარეა. ამიტომ, ფენიმიზმის მიმდევართა მცდელობებმა, გაეცათ პასუხები ამ კითხვებზე, სოციოლოგიაში უნივერსალური მნიშვნელობის თეორია გააჩინა.

მესამე კითხვა, რომელსაც ყველა ფემინისტი აყენებს, ასე ჟღერს: როგორ მოვახერხოთ სოციალური სამყაროს შეცვლა და გაუმჯობესება ისე, რომ ის ქალებისათვის და ყველა ადამიანისათვის უფრო სამართლიანი გახდეს? სამართლიანობის ინტერესებისათვის სოციალური ცვლილებების იდეები კრიტიკული სოციალური თეორიის დამახასიათებელი ნიშანია. ასეთი პოზიცია აგრეთვე ფემინიზმს, მარქსიზმს, ნეომარქსიზმს და ეთნიკური უმცირესობის შესახებ პოსტკოლონიალური საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ სოციალურ თეორიებს აქვს. პატრიცია ჰილ კოლინზი (P.H.Collins,1998.p.xiv) სამართლიანობის უსამართლობასთან ბრძოლის იდეისთვის თავდადების მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს: „კრიტიკული სოციალური თეორია არის ცოდნის კორპუსი... მიმართული იმ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ადამიანთა ჯგუფებს აწუხებს, და რომლებიც პოლიტიკურ და ისტორიულ სიტუაციებში უსამართლობას ვერ ეგუებიან“. იგულისხმება, რომ აქ ფენიმიზმის თეორიტიკოსები შემდეგ კითხვებს აყენებენ: „რა შედეგებს მოგვცემს აზროვნების ეს წესი, შეამცირებს უსამართლობას ქალის ცხოვრებაში? შეძლებს კი სამყაროს ახსნის ეს წესი ყველა ქალის ცხოვრების გაუმჯობესებას?“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 358).

ოცდაათ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ამ საკითხების მკვლევარი ფემინისტების წრე თანდათანობით ფართოვდებოდა, ემატებოდათ ადამიანები სხვადასხვა სფეროებიდან როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე მთელს მსოფლიოში. ამას მოჰყვა შედეგი, რომ აქცენტი მნიშვნელოვანწილად „კვალიფიციურ“ კითხვაზე გაკეთდა, რომელიც დღეს ფემინისტთა თეორიულ ძიებებს განსაზღვრავს: რა განსხვავებაა ქალებს შორის? ჯ. რიტცერი ამ საკითხს „კვალიფიციურს“ იმიტომ უწოდებს, რადგან მასზე პასუხს იმ მთავარ აღიარებამდე მივყავართ, რომ შეუმჩნევლობა, უთანასწორობა და მამაკაცების მიერ შესრულებული როლებისგან განსხვავება (ზოგადად, ყველაფერი, რითაც ქალის ცხოვრება ხასიათდება), ქალის სოციალური მდგომარეობით, ანუ, რასით, კლასით, რომელსაც ის ეკუთვნის, ასაკით, მიდრეკილებებით, ოჯახური მდგომარეობით, რელიგიური რწმენით, ეთნიკური წარმომავლობით და საცხოვრებელი ადგილითაა განპირობებული.

რამდენად უნივერსალურია ფემინიზმის თეორია? თითქოსდა, იმდენად, რამდენადაც განსახილველი საკითხები ქალის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, თეორია ზოგადი ვერ იქნება, მას დევიანტური ქცევის სოციოლოგიური თეორიების ან მცირე ჯგუფების თეორიების ანალოგიურად შეზღუდული მასშტაბები აღმოაჩნდება. მაგრამ, რიტცერის აზრით, ფემინიზმის მომხრეებისათვის საინტერესო ძირითად საკითხებს სოციალური ცხოვრების შესახებ და გამოყენების თვალსაზრისით უნივერსალური თეორიის შექმნისაკენ მივყავართ. მისი ანალოგიური არ იქნებოდა მცირე ან დევიანტური ჯგუფების შესახებ თეორიები, სადაც სოციოლოგებმა „მთლიანი სურათის“ შექმნას თავი აარიდეს და ყურადღება მის დეტალებზე მიმართეს. შესაბამისი მარქსის ერთ-ერთი სოციოლოგიური მიღწევა იქნებოდა. მისი თეორია სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე მეცნიერებებს დაეხმარა გაეცნობიერებინათ, რომ ადამიანთა ცოდნა საზოგადოების შესახებ, რომელიც აბსოლუტურად და რეალობის უნივერსალურ აღწერად მიაჩნდათ, არსებითად იმათ გამოცდილებას ასახავს, ვინც პოლი-

ტიკურად და ეკონომიკურად სოციალურ სინამდვილეს მართავს. მარქსისიტული თეორია დამაჯერებლად აჩვენებს, რომ სინამდვილეს შეიძლება მუშებზე უპირატესობის გრძნობით უყურო, რომლებიც დაქვემდებარებული არიან ეკონომიკურად და პოლიტიკურად, მაგრამ ჩვენი სამყაროს შემქმნელთა შორის არიან. ეს შეხედულება დაგვეხმარა, მმართველი კლასის ცოდნის ფარდობითობა დაგვედგინა, როდესაც ეს ცოდნა მუშების თვალსაზრისს შევადარეთ, სოციალური რეალობის ანალიზის უნარი გაიზარდა. მარქსის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ მისი ამ აღმოჩენის აზრი ნათელი გახდა.

ფემინიზმის მომხრეთა ძირითადმა თეორიულმა საკითხებმა სამყაროს გაგების რევოლუციურ გადატრიალებამდე მიგვიყვანა. გავიგეთ, რომ ჩვენი ცოდნა გარე სამყაროს შესახებ, რომელიც უნივერსალურად და აბსოლუტურად მიგვაჩნდა, სინამდვილეში, საზოგადოების იმ ნაწილის, რომელიც ძალაუფლებას ფლობს, მისი „ბატონების“ – მამაკაცების პროდუქტია. მაგრამ ეს ცოდნა ფარდობითია. თუ სინამდვილეს იმის, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდით, ე.ი. დაქვემდებარებული და მოსამსახურის როლის მქონე, აღიარების გარეშე მყოფი ქალების, რომლებიც ხელს უწყობდნენ იმ საზოგადოების შექმნას, რომელშიც ვცხოვრობთ, გათვალისწინებით შევხედავთ, მაშინ ეს საზოგადოების შესახებ ყველა კითხვას ხელახლა აყენებს. მოცემული აღმოჩენა და მასთან დაკავშირებული დასკვნები სოციოლოგიურ თეორიაში ფემინიზმის თანამედროვე თეორიის მნიშვნელობას განსაზღვრავენ. ფემინიზმი ცოდნის აღიარებულ სისტემებს სოციალური რეალობის გაგების თვალსაზრისის შემუშავებით, რომლის ცენტრში ქალი დგას, რადიკალურად დაუპირისპირდა. ამ დაპირისპირებით მან არათუ დაამკვიდრა ცოდნის აღიარებული სისტემა, არმედ მისი სრული „დეკონსტრუქცია“ მოახდინა. განაცხადო, ცოდნა „დეკონსტრუირებულია“, ნიშნავს განაცხადო, რომ ცოდნის უკან რაღაც ფარული რამ აღმოვაჩინეთ, კერძოდ: აღმოვაჩინეთ, რომ ეს არის კონსტრუქცია, რომელიც სოციალურ, ფარდობით და ძალაუფლებრივ სტრუქტურებს ეფუძნება. ფენიმიზმი ზოგადაღიარებულ ცოდნას, მის „მამაკაცურ“ განპირობებულობას არღვევს და ასევე მათ მიერ შექმნილ გენდერულ პოლიტიკას ააშკარავებს. მაგრამ, სამართლიანად აღნიშნავს რიტცერი, თვით ფემინიზმიც, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, ფარდობითი გახდა და დეკონსტრუქტივისტული ძალების გავლენა იწვნია, რომლებიც მისივე საკუთარ თეორიულ საზღვრებში ჩაისახნენ. პირველი და ყველაზე ძლიერი ზეწოლა განახორციელეს ქალებმა, რომლებიც თეთრკანიანებთან, პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელებთან, სხვა მრავალ ცნობილ ჰეტეროგენული სექსუალური ორიენტაციის მქონე ფემინისტებთან ოპოზიციაში არიან. ანუ, ეს ზეწოლა ფერადკანიანი, ჭრელი, კოლონიური საზოგადოების, მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალებისაგან, ლესბოსელებისაგან მოდის. ისინი „მარგინალური“ პოზიციებიდან უტევენ. ეს ნიშნავს, რომ მრავალი ქალი, რომელთაც განსხვავებული პოზიციები აქვთ, გაბატონებულ „მამაკაცურ“ ცოდნას, ან სხვა ნებისმიერ ფემინისტურ პრეტენზიებს, ქალის პოზიციაზე ნებისმიერ ჰეგემონიას უპირისპირდებიან. მეორე დეკონსტრუქტივისტული გავლენა ფემინიზმზე პოსტმოდერნისტულმა ლიტერატურამ მოახდინა. ამ ლიტერატურამ საკითხი გენდერზე, როგორც არადიფერენცირებულ კონცეპტზე და თვითიდენტურ ინდივიდზე, როგორც ცნობიერებისა და პიროვნების მდგრად ბირთვზე, რომლებზე დაყრდნობითაც გენდერისა და სამყაროს წვდომა შეიძლება-წინა პლანზე წამოსწია. ამ ასპექტებს გავლენა, ძირითადად, ფემინისტურ ეპისტემიოლოგიაზე – მათი სისტემის ჭეშმარიტების პრეტენზიაზე აქვთ.

2. გენდერის სოციოლოგიური თეორიები - 1960-იანი წლებიდან დღემდე

გენდერის მაკროსოციალური თეორიები

ფემინიზმის პირველ კითხვაზე – „რა ვითარებაა ქალებთან დაკავშირებით“? თეორეტიკოსებმა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, არსებითი პასუხები გასცეს. ეს თეორეტიკოსები სამ მნიშვნელოვან მაკროსოციალურ მიდგომას იცავდნენ, რომლებიც სტრუქურული ფუნქციონალიზმის, კონფლიქტის თეორიის და მსოფლიო სისტემების ნეომარქსისტული თეორიების მიხედვით არის განხილული. ყველა ეს თეორეტიკოსი ანალიზის ერთნაირ პროცესს იცავდა, გენდერის საკითხებს მხოლოდ დიდი სოციალური მოვლენების ზოგადი თეორიული აღწერის ჩარჩოებში მიმართავდნენ. ჯერ ერთი, დიდ სოციალურ სისტემებს ისინი, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთმოქმედ სტრუქტურებს განიხილავდნენ, რომლებიც „ადამიანური ქცევის შაბლონურ“ რეგულარულ წესადაა გაგებული. ფუნქციონალისტები და კონფლიქტის ანალიტიკური თეორიის მომხრენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, აგრეთვე (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია კონფლიქტის ანალიტიკური თეორიისათვის) ახლანდელი კულტურული ერთობების წინამორბედებს შეისწავლიან. მსოფლიო სისტემების თეორია გლობალურ კაპიტალიზმს, როგორც ტრანსნაციონალურ სისტემას იკვლევს, სადაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებები მნიშვნელოვან სტრუქტურებად გვევლინებიან. ეს თეორიები იმის მიხედვით განსხვავდებიან, თუ ისინი რომელ ცალკეულ სტრუქტურებსა და სისტემურ პროცესებს ანიჭებენ მთავარ მნიშვნელობას. მეორე, ეს თეორეტიკოსები ცდილობენ, აღწერილი სისტემების შიგნით მოიძიონ ქალების ადგილი. ამ სამი მიმდინარეობის თეორეტიკოსები ერთსა იმავე დასკვნამდე მიდიან, რომ: ქალების ძირითადი ადგილი – ყველა კულტურის ჩარჩოებში გაგებული, როგორც წმინდა ქალური სფერო – ეს ოჯახია. ეს ამოსავალი ვითარებაა და ქალები არასოდეს არღვევენ ამ ჩარჩოებს. თუმცა ისინი აქტიურობენ და საზოგადოების სტრუქტურაში სხვა მნიშვნელოვან პოზიციებსაც ისაკუთრებენ, რაც განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვლინდება. აქედან მეორე – სოციალურ სისტემაში სახლი-ოჯახის ფუნქციების გაგებისა და ოჯახურ მეურნეობასა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის სქემის შესახებ – საკითხი გამომდინარეობს. მესამე, გენდერის თეორეტიკოსთა ყოველი მითითებული ჯგუფი მიისწრაფვის გენდერული სტატიფიკაცია სამკუთხედის ფორმის – ოჯახი-ეკონომიკა-სოციალურ სისტემაში საერთო მოთხოვნილებები და პროცესები – სტრუქტურული წარმონაქმნის თვალსაზისით ახსნას, რომელიც ქალისათვის, როგორც სოციალური ბოროტება განიხილება.

ფუნქციონალიზმი

გენდერის თეორიაში ფუნქციონალიზმის ძირითადი მომხრე მირიამ ჯონსონია (Johnson, 1988, 1989,1993). ფუნქციონალიზმის დამცველი და ფემინისტი, ის, პირველ რიგში, ფუნქციონალიზმს საზოგადოებაში ქალის არასახარბიელო მდგომარეობის დამაკმაყოფილებლად გაანალიზების უუნარობაში ადანაშაულებს. ჯონსონს მიაჩნია, რომ ოჯახის ტალკოტ პარსონსისეულ თეორიაში დისკრიმინაციული მომენტი ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე ჩნდება, ფუნქციონალიზმი, უბრალოდ, სოციალური უთანასწორობის, ბატონობისა და ჩაგვრის ასპექტებს განხილვის გარეთ ტოვებს. ეს ტენდენცია თავიდანვე ჩადებულია და სოციალური წესრიგით ფუნქციონალიზმის დაინტერესებაში ვლინდება. თანაც ჯონსონი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ პარსონსისეული ფუნქციონალიზმის

მრავალწახნაგიანობა და სირთულე აუცილებელია გენდერული საკითხების ანალიზისთვის, რამდენადაც ამ თეორიას გიგანტური ანალიტიკური გაქანება და მოქნილობა ახასიათებს. თავის ნაშრომებში ჯონსონი გენდერის საკითხებთან პარსონსის ბევრ ისეთ საკვანძო ტიპოლოგიის შეფარდებას იკვლევს, როგორებიცაა: როლი, როგორც სოციალური სისტემის ძირითადი ერთეული; ექსპრესიული და ინსტრუმენტალური როლური ორიენტაციების დაპირისპირება; ოჯახი, როგორც სხვა ინსტიტუტებთან დაკავშირებული სხვა ინსტიტუტი; სოციალური სისტემის ფუნქციონალური წანამძღვრები (ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია და სტრუქტურის ლატენტურობის შენარჩუნება); სოციალური ქმედების ანალიტიკური დონეები (სოციალური, კულტურული, პიროვნული და ქცევითი); სოციალური ცვლილებების სტადიები(დიფერენციაცია, ადაპტაციური განახლება, ღირებულებების ინტეგრაცია და გენერალიზაცია).

ფუნქციონალიზმის ჩარჩოებში გენდერის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯონსონის მიერ გამოყენებული ექსპრესიული როლის პარსონსისეულ ცნებას და ინსტუმენტალურთან მის დაპირისპირებას აქვს; გენდერული უთანასწორობის აღმოცენების წყაროებს ჯონსონი პატრიარქალური ოჯახების სტრუქტურებში ხედავს, რასაც თითქმის ყველა ცნობილ საზოგადოებაში ესმება ხაზი. ოჯახი ასრულებს ფუნქციებს, რომლებიც ეკონომიკური და სხვა „საზოგადოებრივი“ ინსტიტუტების ფუნქციებისგან განსახვავდებიან: ესაა ბავშვების სოციალიზაციის ამოცანა და ოჯახის უფროსი წევრების ემოციური დატვირთვა-გამდიდრება, რასაც სოციალური სოლიდარობის ღირებულებების კვლავწარმოებისათვის (ღირებულებითი ხატის- ნიმუშის შენარჩუნება და ინტეგრაცია) არსებითი მნიშვნელობა აქვს. ქალის საწყისი მდგომარეობა ოჯახში იმით განისაზღვრება, რომ ის ყველა ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის ძირითადი შემსრულებელია. ის უნდა იყოს ექსპრესიული, ემოციურად დამუხტული, კეთილგანწყობილი ნათესავების მიმართ. ქალის ფუნქციები ოჯახში და ექსპრესიულობა ვლინდება იმაშიც, თუ რას აკეთებენ ისინი სხვა სოციალურ სტრუქტურებში, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მაგალითად, ქალისათვის მისაღებად ითვლება გულახდილი ექსპრესიული საქმიანობა, ტიპურ მამაკაცურ სფეროებში ქალებისგან ექსპრესიულობას ელიან. მაგრამ, ამავე დროს, ასეთი ქცევისათვის მათ წინააღმდეგ სანქციებს იყენებენ; გარდა ამისა, ქალების მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში ოჯახზე მათი პასუხისმგებლობითაა შეზღუდული.

მაგრამ, არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ფუნქციას გენდერულ სტრატიფიკაციამდე, რომელიც აუფასურებს და ამცირებს ქალის მდგომარეობას, აუცილებლობით არ მივყავართ. იმის გასაგებად, თუ რატომ ხდება ეს, პატრიარქალურ ოჯახს უნდა მივმართოთ. ასეთ სამყაროში ქალები ზრუნავენ ბავშვებზე, მოქმედებენ თავიანთი წონით, ავტორიტეტით და ბიჭებსა და გოგოებს „ზოგადი ჰუმანურობის“ თავისეულ გაგებასთან აზიარებენ. ჩარჩოებით, რომლებიც კულტურის თავისებურებებით და სოციალური ინსტიტუტებითაა ნაკარნახევი, ივარაუდება, რომ ქალი სუსტია, ქმრის დამყოლია, მისი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა რიგი საშუალებების (ინსტრუმენტების) არსებობითაა განპირობებული, რაც საშუალებას აძლევს მას, თავისი ოჯახისათვის გარკვეული დონის ეკონომიკურ უსაფრთხოებას მიაღწიოს. რამდენადაც ბავშვებისათვის ქალი „სუსტი მეუღლის“ როლის შემსრულებელია, ისინი ითვისებენ პატივცემულ დამოკიდებულებას პატრიარქატის მიმართ და ბოლომდე ვერ აფასებენ მშობლების ისეთ განწყობას, როგორიცაა ემოციურობა, რომელთან შედარებით მამაკაცების ინსტრუმენტალურობა უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი ჩანს. მამაკაცის უნარების ქალებთან შედარებით უფრო ეფექტურად შეფასება კულტურაში აღწევს. მაგრამ ეს პოზიცია არანაირად არ საბუთდება პრაქტიკით – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის პატრიარქალური იდეოლოგიითაა ჩამოყალიბებული.

ჯონსონს, კერძოდ, იმედი აქვს, რომ ქალთა მოძრაობები საზოგადოებრივ და კულტურულ ცვლილებებს გამოიწვევს, რომლებიც, თავის მხრივ, ექსპრესიულობის ზოგადსისტემური გადაფასების და ახლებურად გააზრების საშუალებას მოგვცემს.

მაგრამ ჯონსონი იძულებულია, ასეთი საკითხიც დასვას: „ფუნქციონალურია თუ არა სისტემური წონასწორობისა და სოციალური წესრიგის ქმნადობის პროცესში პატრიარქალური სტრუქტურები? ჯონსონი ვარაუდობდა, რომ ჩვენ შევეკითხებით: „ფუნქციონალური, ვისთვის?“ ასეთი კითხვა შორდება პარსონსის პოზიციას, რომლის თანახმადაც, ფუნქციონალურობა სისტემის თვალთახედვით უნდა განიხილებოდეს. კითხვა „ფუნქციონალური, ვისთვის?“ ძალაუფლების არათანაბარი ფლობისა და ინტერესთა პრობლემას აყენებს და, ფუნქციონალიზმის საპირისპიროდ, თეორეტიკოსთა უფრო კრიტიკულ, ვიდრე ღირებულებრივ-ნეიტრალურ განწყობაზე მიუთითებს. საკითხი ქალების შესახებ-გენდერული ასპექტი – როგორც ხშირად ხდება, თასის ბოლო წვეთად გადაიქცა“ (ციტ.: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер, 2002., с.363).

კონფლიქტის ანალიტიკური თეორია

კონფლიქტის ანალიტიკური თეორიის ჩარჩოებში გენდერის პრობლემას ჯანეტ ჩაფეტსი განიხილავს, რომლის ნაშრომები მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია. ჩაფეტსი სხვადასვა კულტურის შეჯვარებასა და სხვადასხვა ისტორიული ფაზების დაახლოებას გულისხმობს, ამიტომ ამ მიდგომას შეიძლება კულტურათაშორისი და ტრანსისტორიული მიდგომა დავარქვათ. ყველა კერძო ეპიზოდში, რომელიც ერთობათა დონეებს ეხება, ის მიისწრაფვის, გენდერის თემა თეორიულად გამოყოს. თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, ის ყურადღებას გენდერულ უთანასწორობაზე, ანუ, მისი სიტყვებით, სქესობრივ სტრატიფიკაციაზე ამახვილებს. ამ ასპექტზე დაყრდნობით, ჩაფეტსი, კონფლიქტის ანალიტიკური თეორიის ტრადიციების შესაბამისად, თავის თეორიას აგებს. ის სოციალური კონფლიქტების პერიოდულობას გამოავლენს და ღირებულებით-ნეიტრალური პოზიციის დაცვით, ამა თუ იმ ინტენსივობის კონფლიქტის გამომწვევ სტრუქტურულ პირობებს აანალიზებს.

შემდეგ ჩაფეტსი სოციალურ სტრუქტურებს და იმ პირობებს იკვლევს, რომელთაც ყველა საზოგადოებასა და კულტურაში სქესობრივი ნიშნით სტრატიფიკაციაზე ან ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე გავლენა აქვს. ამასთანაა დაკავშირებული გენდერული როლების დიფერენციაცია, პატრიარქალური იდეოლოგია, ოჯახისა და სამსახურის ორგანიზება, აგრეთვე პირობებიც, რომლებიც გარკვეულ შემზღუდავ ჩარჩოებს ქმნიან, მათ შორის, მოსახლეობის კვლავწარმოების მოდელები, საოჯახო და პროფესიული საქმიანობის განცალკევება, ეკონომიკური მრეწველობის კვლავწარმოება, ტექნოლოგიების გართულება, მოსახლეობის სიმჭიდროვე და გარემომცველი სინამდვილის სიმკაცრე – ყველა ეს პარამეტრი ცვლად სიდიდედ ითვლება. მათი ურთიერთქმედება სქესობრივი ნიშნით სტრატიფიკაციის მასშტაბებს განსაზღვრავს, რამდენადაც ისინი ოჯახსა და წარმოებაში ეკონომიკის დონეზე მეურნეობის საკვანძო სტრუქტურებს, ასევე, ქალების ერთი სფეროდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობას აყალიბებენ. ჩაფეტსს ყველაზე უმტკივნეულოდ მიაჩნია, როდესაც ქალი ოჯახურ მოვალეობასა და საბაზრო მრეწველობაში არსებით და დამოუკიდებელ როლს ერთმანეთს ჰარმონიულად უთანხმებს. „სახლი/ოჯახის“ ფუნქცია გაგებულია არა, როგორც შრომითი საქმიანობის, ემოციური ქცევისა და აღზრდის მიმართ გარეშე რამ, არამედ, როგორც სფერო, რომელიც, როგორც შრომითი სფერო, მთელი პასუხისმგებლობით უნდა დაახასიათო: ბავშვებზე ზრუნვა, სამეურნეო საქმიანობა, ხოლო ზოგჯერ სამუშაო (როგორც, მაგალითად, საოჯახო ფერმაში), რომელსაც დამატებითი მატერიალური შემოსავალი მოაქვს. საოჯახო მეურნეობით ან საბაზრო

მრეწველობით ქალისათვის მატერიალური ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა არც ისე ცუდად წარმოაჩენს ქალის სოციალურად არცთუ სახარბიელო მდგომარეობას, ხოლო საოჯახო ქცევის ფორმები, სხვა ბევრი ცვლადების ურთიერთობით განპირობებული, იმ ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც ამ შესაძლებლობას უზრუნველყოფს ან წინააღმდეგობას უწევს მას.

შემდეგ ჩაფეტსი განიხილავს საკითხს იმის შესახებ, ღირს თუ არა მიზანმიმართული სვლა სქესთა შორის თანასწორობისაკენ. ის იმ ძირითად სტრუქტურულ მომენტებს გამოყოფს, რომელთა ცვლილებები ქალის მდგომარეობას აუმჯობესებს. „სქესთა შორის თანასწორობის მისაღწევად აქტიურობაზე აქცენტის გაკეთებით, ჩაფეტსი ღირებულებით ნეიტრალიტეტს, რაც ვებერის ეპოქიდან მოყოლებული კონფლიქტის ანალიტიკურ თეორიას ახასიათებდა, სცილდება. გენდერული პრობლემების შესწავლას თეორეტიკოსი კვლავ – ამ შემთხვევაში, მაღალი პასუხისმგებლობის პროფესიონალი – თეორიის ფარგლებს მიღმა, პოლიტიკისა და ძალაუფლების პრობლემებისაკენ მიჰყავს. კვლევის არეალის საზღვრების დაცვა კი თეორეტიკოსებისათვის მნიშვნელოვანი თვისებაა“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 364).

მსოფლიო სისტემების თეორია

ამ თეორიის მიხედვით, მსოფლიო კაპიტალიზმი, მისი ყველა ისტორიული ფაზით, ეროვნული და სხვა კულტურული ერთობებით (მაგალითად, კოლონიები და ველური ტომები), გლობალური კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის მნიშვნელოვანი სტრუქტურებით, ისევე, როგორც ამ გაერთიანებებისა და ჯგუფური წარმონაქმნების ეკონომიკური სტრატიფიკაციით(ცენტრალური, მეორეხარისხოვანი და პერიფერიული ეკონომიკა), შრომის დანაწილებით, კაპიტალით და ძალაუფლებით მის შიგნით და მათ შორის და კლასობრივი ურთიერთობები ყოველ ცალკეულ ერთობებში სოციოლოგიური ანალიზის ერთადერთი სისტემაა. რამდენადაც ეს თეორია კონცენტრირებულია კაპიტალიზმზე, ინდივიდები აქ იმ როლის მიხედვით განიხილებიან, რომელსაც ისინი ზედმეტი ღირებულებების ქმნადობის პროცესში ასრულებენ. შესაბამისად, ეს თეორია ქალის როლს სოციალურ სისტემაში აფასებს იმდენად, რამდენადაც მათი შრომა კაპიტალისტური წესრიგის ნაწილს წარმოადგენს, ანუ როდესაც ისინი კაპიტალიზმის მრეწველობისა და ბაზრის მუშაკებს წარმოადგენენ. მაგრამ სოციალური სისტემების ეს მოდელი გენდერის პრობლემის უშუალო და მთლიან დახასიათებას აფერხებს.

კეტრინ ბ. უორდი (Ward, 1984,1985a,1985b,1988,1990,1993; Word & Pyle,1995) შემდეგს ამტკიცებს: 1.მსოფლიო სისტემა შეუმეცნებელია მანამ, სანამ საჭირო სახით არ იქნება გაანალიზებული შრომა, რომელსაც ადგილი საოჯახო მეურნეობაში და არაფორმალურ ეკონომიკაში აქვს; 2. რადგან ამ სფეროში დაკავებულთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, მათ მსოფლიო სისტემების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და მხოლოდ „მუშაკებად“ არ უნდა მოიხსენიებოდნენ. საოჯახო მეურნეობის წარმართვა სახლში ყოველგვარ საქმიანობას გულისხმობს, რაც მუშაკთა კვლავწარმოებისა და მათზე ზრუნვისაკენაა მიმართული. არაფორმალური ეკონომიკა – ეს საქმიანობის ისეთი ორგანიზაციაა, სადაც შრომა და კაპიტალი ერთმანეთისაგან მკაცრად არაა გაყოფილი და შრომა კანონებით ან კაპიტალისტური ორგანიზაციით არ რეგულირდება. უორდის მიხედვით, მსოფლიოში მთელი შრომის თითქმის 66% ამ ორ ეკონომიკურ სფეროზე მოდის, რომელიც არაკაპიტალისტური და, მნიშვნელოვანწილად, იგნორირებულია. ამას გარდა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათი წილი იზრდება ზუსტად ისევე, როგორც თვით კაპიტალიზმი გლობალურ მასშტაბებში ფართოვდება. ამგვარად, თუ ვპასუხობთ კითხვას – „როგორი

ვითარებაა ქალებთან დაკავშირებით?“ მსოფლიო სისტემაში შეიძლება გლობალური კაპიტალიზმის გვერდით არსებული არაკაპიტალისტური მრეწველობის ფართო „სუბკონტინენტი“ აღმოვაჩინოთ, რომელიც მუდმივად ფართოვდება და ურთიერთობაშია პირველთან. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალების შრომითი მონაწილეობის მაჩვენებელი მოდელი – საოჯახო საქმიანობის საჭიროება – აქ უცვლელია, გარდა ამისა, ის, რომ ქალები ასე თუ ისე არაფორმალურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში მსოფლიო სისტემის ჩარჩოებში ჩართულნი არიან, შრომის სტრუქტურის თეორიის საფუძველი შეიძლება გახდეს. შემდეგ უორდი ამტკიცებს, რომ ქალების აუნაზღაურებელი შრომა, როგორც წვლილი მსოფლიო ეკონომიკაში და მამაკაცების დომინირება ქალებზე, გაგებული და ახსნილი უნდა იყოს არა, როგორც, უბრალოდ, კაპიტალიზმის პროდუქტი, არამედ, როგორც „მოვლენათა ისეთი განმასხვავებელი თვისება, რომელსაც საკუთარი ლოგიკა აქვს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 365).

გენდერის მიკროსოციალური თეორიები

მიკროსოციალური მიდგომის მომხრე თეორეტიკოსები იმისკენ კი არ მიისწრაფვიან, რომ ქალთა წამგებიანი სოციალური მდგომარეობა ნათელყონ, არამედ იმისკენ, რომ გენდერი საზოგადოების ურთიერთმოქმედი ადამიანების ერთიანობად აღქმულ ჩარჩოში გაიგონ. მათ აინტერესებთ, გენდერული მახასიათებლები ურთიერთქმედებებში როგორ ვლინდება და როგორ იწვევს ეს პროცესი მათ. გენდერის ორი მთავარი მიკროსოციალური თეორიაა – სიმბოლური ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის ჩარჩოებში არსებული გენდერული თეორია მისთვის დამახასიათებელ დებულებას ეფუძნება: „გენდერული იდენტობა, სხვა მისი მსგავსი სოციალური სახეების ანალოგიურად, სოციალური ურთიერთქმედების პროცესში აღმოცენდება და ინდივიდის თვითობასთან/იდენტობასთანაა დაკავშირებული, რომელიც ერთი სიტუაციის საზღვრებს აღემატება, ურთიერთქმედების განსხვავებულ სიტუაციებში მუდმივად უნდა მტკიცდებოდეს, რამდენადაც თვითობა/იდენტობა მუდმივი ემპირიული შემოწმების საგანია“ (Cahill,1980, p.123), (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 365). სიმბოლური ინტერაქცონიზმი უკუაგდებს ფროიდის იმ იდეას, რომ გენდერული იდენტურობის ჩამოყალიბებაში საკვანძო ნიშანი ბავშვის მიერ მისი სქესის ერთ-ერთ მშობელთან საკუთარი თავის გაიგივებაა. სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ: ბავშვი ენის დაუფლებასთან ერთად გაიგებს, რომ ის სავსებით გარკვეულად არის ერთი ან მეორე სქესის წარმომადგენელი და საკუთარი თავის „ბიჭთან“ ან „გოგოსთან“ და, მაშასადამე, „დედიკოსთან“ ან „მამიკოსთან“ გაიგივებას ისწავლის. ამ მეცნიერული მიმართულების წარმომადგენლები თავიანთ ნაშრომებში გვიხსნიან, ინდივიდის მიერ განსხვავებულ სიტუაციებში გენდერული თვითობის/იდენტობის შენარჩუნება როგორ ხერხდება. ამგვარი მეცნიერული ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟი რიგი იდეების და ცნებების მქონე ცნობიერი ინდივიდია, რომლებიც მის შინაგან მონოლოგებსა და სხვებთან საუბარში იჩენენ თავს, შესაბამისად, ესაა პერსონაჟი, რომელსაც ნათლად აქვს განსაზღვრული, რას ნიშნავს იყო მამაკაცი და იყო ქალი. ინდივიდი ამა თუ იმ სიტუაციაში გენდერულად გამოკვეთილ თვითობას რეალიზებას უკეთებს და ასეთი თვითგანსაზღვრულობით მოქმედებს. შესაბამისად, თვითობა/იდენტობა ურთიერთობის პროცესში შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ, ამავე დროს, გენდერული კომპონენტი შეინარჩუნოს, რაც ადამიანის ქცევებში სიტუაციიდან სიტუაციამდე იჩენს თავს.

ეთნომეთოდოლოგიის მიმდევრებს გენდერული იდენტობის მდგრადობაში ეჭვი ეპარებათ და სწავლობენ, თუ „როგორ ხორციელდება გენდერი“. მაშასადამე ის, როგორც

გარკვეულ სიტუაციებში აქტორების მიერ შესრულებული რამ აღიქმება. ამ ტიპის ავტორები ეფუძნებიან ციმერმანის დებულებას იმის შესახებ, რომ „სოციალური ცხოვრების თავისებურებები, რომლებიც ჩვენ, როგორც ობიექტური, რეალური, კონკრეტულ სიტუაციებზე მაღლა მდგომი გვგონია, სინამდვილეში, ლოკალური პროცესებით არიან განპირობებული". ეთნომეთოდოლოგიის მიმდევრები სქესებს (ადამიანის მამაკაცად ან ქალად ბიოლოგიური განსაზღვრა), სქესის კატეგორიებს (ადამიანის მამაკაცად და დედაკაცად სოციალური განსაზღვრება) და გენდერულ ქცევას (ქცევა, რომელიც კაცისა და ქალის მიმართ სოციალურ მოლოდინს აკმაყოფილებს) ერთმანეთისაგან მიჯნავენ. ამას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, როდესაც აქცენტი ინდივიდის მიერ გენდერული იდენტობის ათვისებაზე კეთდება, მაშინ გენდერის ცნება ისეთ ატრიბუტზე დაიყვანება, როგორიც სქესი-ინდივიდუალურობის არსებითი ნიშანია. აქ ეთნომეთოდოლოგები წამოწევენ არგუმენტს, რომ შეუძლებელია გენდერი გაგებული იყოს, როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება, რამდენადაც მისი „შეძენა" ურთიერთქმედების კონკრეტულ სიტუაციაში ხდება. რადგანაც სქესის კატეგორია პიროვნებას მუდმივად ახასიათებს, გენდერი ისეთი „შენაძენია", რომელიც სოციალურ სიტუაციაში პოტენციურად ივარაუდება. ადამიანების მიერ გაზიარებული შეხედულებები ნორმებზე ადამიანების, ქალებისა თუ კაცების, მიერ სიტუაციურად აქტიურდება. კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანები აცნობიერებენ „პასუხისმგებლობას" გენდერული როლის შესრულებაზე, თანაც ამ პასუხისმგებლობის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აძლევს სიტუაცია ადამიანს შესაძლებლობას, მოიქცეს, როგორც მამაკაცი ან, როგორც ქალი, თან სხვებსაც აძლევს შესაძლებლობას, მამაკაცური და ქალური ქცევის ნიმუშები იცნოს. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები – მათ შორის, განსხვავებული კლასობრივი და რასობრივი ნიშნების მქონე – ალბათ ერთმანეთის ქცევას გენდერული იდენტურობის თვალსაზრისით გაუგებრად ჩათვლიან: ამ შემთხვევაში ის, რასაც ერთი აკეთებს, მეორის მიერ არ გაიგება, როგორც მამაკაცის ან ქალისათვის დამახასიათებელი ქცევა. მეორე მხრივ, ეთნომეთოდოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინეს, რომ საოჯახო მეურნეობაში მიმდინარე შრომის დანაწილება, არაპროპორციულად რომ გამოიყურება, აქ ჩართული მამაკაცისა და ქალის მიერ, როგორც თანასწორი და სამართლიანი განიხილება. ეს იმიტომ ხდება, რომ ორივე მხარე ყოფის სფეროში გენდერული როლების განაწილებას სავსებით ეთანხმება და აღიარებს, რომ ეს მათ ნორმატიულ მოთხოვნებს შეესაბამება.

სიმბოლური ინტერაქციონიზმისა და ეთნომეთოდოლოგიის თანახმად, გენდერის ნორმატიული კონცეფციები სოციალური ინსტიტუტებით განპირობებულ საზღვრებში რეალიზდებიან. გოფმანმა ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ამას სულ უფრო ეთანხმებიან სიმბოლური ინტერაქციონიზმის მომხრენი, თანდათანობით პოსტმოდერნისტულ გავლენას რომ ექვემდებარებიან, რომ ასეთი ნორმატიული კონცეფციები მაინცდამაინც სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების პროცესებიდან არ გამომდინარეობენ. გაშუალებული გზავნილები – რეკლამით, ტელევიზიით, ფილმებით წიგნებით, ჟურნალებით შექმნილი სახეები – პიდაპირ, ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესის გავლენის გარეშე, დიდებსაც და პატარებსაც აჩვენებენ, თუ როგორ სრულდებიან გენდერული როლები. ეს გაშუალებული შეტყობინება გვთავაზობს ჩვენ იმას, რასაც „გოფმანი გენდერის „დემონსტრაციას" უწოდებს: „გამარტივებული, გაზვიადებული, სტერეოტიპური" ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ქალს ან მამაკაცს მოცემულ ურთიერთქმედებაში როგორი „კონსტრუქტები" ახასიათებს. ეს ანალიზი მიზეზშედეგობრივი კავშირების შესახებ კითხვას წინ წამოსწევს: მასმედია ცხოვრების იმიტაციაა, თუ ცხოვრებაა მასმედიის იმიტაცია? გენდერის კვლევაში მიკროსოციალური მიდგომა მოცემული პარადიგმის საზღვრებში წარმატე-

ბულია, მაგრამ ის თვით ამ პარადიგმებში უშუალოდ მამაკაცური ელიტისათვის დამახასიათებელ სწრაფვებს უყურადღებოდ ტოვებს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 367). ამ პრობლემას ჩვენ შევეხებით ქვემოთ, როდესაც ფემინისტურ სოციოლოგიურ თეორიას განვიხილავთ.

3. თანამედროვე ფემინისტური თეორიების ნაირსახეობები

ფემინისტური სახის ნებისმიერი სოციოლოგიური თეორია, მათ შორის ისიც, რომელიც ამ თავის მეორე ნაწილშია განხილული, ფემინიზმის თანამედროვე თეორიას – ზოგად შეხედულებათა სისტემას ეფუძნება, რომელიც საშუალებას იძლევა, ადამიანთა სოციალური გამოცდილება, უპირატესად, ქალის როლისა და მნიშვნელობის ასპექტებზე ფოკუსირებით დაალაგო და ახსნა. ამ განყოფილებაში გადმოცემულია საკითხები, რომლებსაც ფემინისტური თეორია ფემინისტური სახის სოციოლოგიური მოძღვრების შექმნისას წინა პლანზე წამოწევს. ფემინიზმის თეორიის წარმოდგენილი სქემა მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი კონტრუქცია ან იდეალური ნიმუშია, რომელშიც ინტელექტუალური მემკვიდრეობა მთლიანადაა მოდელირებული. მკითხველს შეუძლია მიმართოს მათ, თუ ამ თავში მოცემულ იდეალურ მოდელთან შედარება აინტერესებს ან მისი გაფართოება სურს. ეს ნაშრომები ფემინიზმის მრავალი თეორიის, მათ შორის „შავი ფემინიზმის“, კონსერვატიზმის, ექსპრესიონიზმის, ინსტრუმენტალიზმის, ლესბოსური ფემინიზმის, მარქსიზმის, პოლარიზმის, ფსიქოლოგიური ფემინიზმის, რადიკალიზმის, სეპარატიზმის, სოციალიზმისა და სინთეტიკური მოძღვრების დახასიათებას იძლევიან. ჩვენს ტიპოლოგიაში შევეცადეთ, ყველა მათგანის აღწერა მოგვეცა, თუმცა ზოგიერთების სახელი განსხვავებულად ჟღერს.

ფემინიზმის თეორიების რიტცერისეული ტიპოლოგია ძირითად ფემინისტურ საკითხს „როგორაა საქმე ქალებთან დაკავშირებით?“ ემყარება, მასზე პასუხების მოდელებში კლასიფიკაციის მთავარი კატეგორიებიც იკვეთება (იხ.ცხრილი 9.1). შედეგად, მთავარ კითხვაზე ოთხი ძირითადი პასუხი იქნა გამოვლენილი. პირველის თანახმად, ქალის ადგილი და მისი გამოცდილება უმეტესწილად განსხვავდება იმ ადგილისაგან, რომელიც მამაკაცსა და მის გამოცდილებას ეთმობა. მეორე მიდგომა ამტკიცებს, რომ უმრავლეს სიტუაციებში ქალის ადგილი არათუ განსხვავდება მამაკაცის ადგილისაგან, არამედ ნაკლებპრივილიგირებულია და, გულახდილად თუ ვიტყვით, მამაკაცის ადგილის არათანაბარია. მესამე მიდგომის თანახმად, ქალის მდგომარეობა აუცილებლად ქალისა და მამაკაცის ძალთა უშუალო შეფარდების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. ქალები ჩაგრულებია არიან – მათთვის მთელი რიგი შეზღუდვები არსებობს, აიძულებენ მორჩილებას, ათავსებენ სტერეოტიპებში, მათ შეურაცხყოფენ და იყენებენ. მეოთხე მიდგომის თანახმად, არსებული სხვაობების განცდა ქალების მხრიდან, უთანასწორობა და ჩაგვრა სტრუქტურული ჩაგვრის სისტემაში მათი ადგილითაა განპირობებული, რაც კლასობრივ და ეთნიკურ წარმომავლობაზე, ასაკზე, ოჯახურ მდგომარეობაზე და საცხოვრებელ ადგილზეა დამოკიდებული. ფემინიზმის თეორიის განსხვავებული ვარიანტები შეიძლება, როგორც გენდერული განსხვავების, გენდერული უთანასწორობის, სტრუქტურული ჩაგვრის თეორიებად იქნეს კლასიფიცირებული. ამ კატეგორიებს შორის ყოველთვის გამოყოფენ განსხვავებებს, რაც მეორე კითხვაზე პასუხებთანაა დაკავშირებული: „რატომაა ქალის მდგომარეობა ისეთი, როგორიც ის არის? (პასუხების განსხვავებული ვარიანტები 9.1 ცხრილშია განზოგადებული). რიტცერი მიუთითებს იმასაც, თუ როგორ არის ეს პასუხები ფემინიზმის „საკვალიფიკაციო“ კითხვებთან – „როგორია განსხვავება ქალებს შორის?“ – დაკავშირებული. დასასრულ, ყურადღება ფემინიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის არსებულ და თანდათანობით

გაფართოებად შესაბამისობას ეთმობა. მაგრამ, რამდენადაც პოსტმოდერნისტული ტიპის ფემინისტები თავიანთ კონცეფციებს არ იძლევიან, რახან მთავარ კითხვას – „როგორაა საქმე ქალების თაობაზე?“ – ეფუძნებიან, ეს მიმართულება ცალკე გამოიყო, რაც ცხრილ-შიც არის მითითებული.

ფემინიზმის განსხვავებული თეორიების მიმოხილვა

ფემინიზმის თეორიის ძირითადი ვარიანტები - პასუხები აღწერითი ტიპის კითხვებზე: „როგორაა ქალების თაობაზე?	განსხვავებები თეორიებში - პასუხები ახსნის ტიპის კითხვებზე: „რატომაა ქალთა მდგომარეობა ისეთი, როგორიც არის?“

გენდერული განსხვავება

ადგილი, რომელიც უკავია ქალს ამა თუ იმ სიტუაციაში და მისი გამოცდილება უმეტეს შემთხვევაში განსხვავდება იმავე სიტუაციაში მამაკაცის გამოცდილებისა და მდგომარეობისაგან	კულტურული ფემინიზმი, ბიოლოგიური ფემინიზმი, ინსტიტუციონალური ფემინისტური თეორიები და სოციალიზაციის თეორია, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფემინიზმი

გენდერული უთანასწორობა

უმეტეს სიტუაციებში ქალის ადგილი არათუ განსხვავდება მამაკაცის ადგილისაგან, არამედ ნაკლებად პრივილეგირებულია და გულახდილად თუ ვიტყვით, არათანაბარია მამაკაცთან შედარებით	ლიბერალური ფემინიზმი, მარქსისტული ფემინიზმი, მარქსისა და ენგელსის განმარტება, თანამედროვე მარქსისტული განმარტება.

გენდერული ჩაგვრა

ქალებს მამკაცებთან შედარებით ავიწროვებენ არა უბრალოდ სხვაგვარად, არამედ არათანასწორად - ისინი ძალად შეჰყავთ შეზღუდულ ჩარჩოებში, შაბლონებში, აიძულებენ მორჩილებას, მამაკაცები შეურაცხყოფას აყენებენ და იყენებენ მათ.	ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი რადიკალური ფემინიზმი სოციალური ფემინიზმი

სტრუქტურული ჩაგვრა

ქალების მიერ განსხვავების, უთანასწორობის და შევიწროვების განცდები განსხვავდებიან კაპიტალიზმში, პატრიარქატსა და რასიზმში მათი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად.	სოციალური ფემინიზმი კვეთის თეორია

სტრუქტურული ჩაგვრა

ქალების მიერ განსხვავების, უთანასწორობის და შევიწროების განცდა მათი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად, კაპიტალიზმში, პატრიარქატსა და რასიზმში ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება სოციალური ფემინიზმი.

კვეთის თეორია

კლასიფიკაციის ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, თანამედროვე ფემინისტური თეორიები და სოციოლოგიური ლიტერატურა გენდერის თემაზე დაწყებული 1960 წლიდან სქემატურად წარმოვიდგინოთ. ფემინიზმის საკითხების შესწავლისაკენ ძალისხმევის მიმართვისას სოციოლოგები არსებულ სოციოლოგიურ თეორიებს, როგორც ამოსავალ წერტილს, იმ მიმართულებისთვის იყენებენ, რომელსაც, ჩვეულებრივ, გენდერული სოციოლოგია ეწოდება. ცნება „გენდერი“ ხშირად შეცვლილია „ქალის“ ცნებით, მაგრამ თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, გენდერის სოციოლოგია – ეს მამაკაცებისა და ქალების სოციალურად განპირობებული როლების, მიმართებების და პიროვნული თავისებურებების შესწავლაა. მამაკაცებსა და ქალებს შორის მიმართებების განხილვა ფემინიზმის თეორიისთვის არაეკვივალენტურია, რომელიც ფაქტობრივად ადამიანური გამოცდილების კრიტიკული აღწერაა და უმთავრესად ქალებსა და მათ როლზეა კონცენტრირებული. მაგრამ, ამასთან ერთად, გენდერულ სოციოლოგიურ ჩარჩოებში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერი აქვეყნებს ნაშრომებს, რომელთაც ფემინიზმის თეორიისთვის აქვთ მნიშვნელობა, ხოლო მრავალი სხვა სოციოლოგი უშუალოდ ფემინისტური თეორიის შექმნაში ჩაერთო.

განყოფილების ბოლო ნაწილში გენდერული განსხვავების, გენდერული უთანასწორობის, გენდერული ჩაგვრის და სტრუქტურული ჩაგვრის თეორიები განიხილება. მოცემულია მიდგომის ზოგადი აღწერა, მითითებულია მის ჩარჩოებში არსებული ძირითადი განსხვავებები და გადმოცემულია მათი რეკომენდაციების რეალიზაციის გზები. მაგრამ, რიტცერის აზრით, განსაკუთრებით რამდენიმე მომენტი უნდა გამოვყოთ. „ჯერ ერთი, მრავალი თეორეტიკოსის მემკვიდრეობა მკაცრ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. ამიტომ იძულებულნი ვართ, მათ თეორიულ მიმართულებაში მთავარი აღვნიშნოთ ან მათ თეორიულ დებულებებში არსებულ განსხვავებებზე მივუთითოთ. მეორე, ფემინისტთა ნაშრომებში მნიშვნელოვან ტენდენციად სხვადასხვა თეორიებიდან ნასესხები იმ იდეების „გადახლართვა“ ჩამოყალიბდა, რომლებიც აუცილებელი აღმოჩნდნენ ისეთი სპეციფიკური საკითხების განხილვისას, როგორებიცაა კორპორაციული პოლიტიკა ან სახელმწიფოს რაობა. ეს შეიძლება კუნის ტერმინით – „ნორმალურად აგებული თეორია“ – დავახასიათოთ. მესამე, მიმოხილვა შერჩევითი ხასიათისაა. თუ გავითვალისწინებთ ქალის მდგომარეობისადმი მიძღვნილი ფემინისტური და სოციოლოგიური ლიტერატურის მოცულობას, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მოცემული თავის მასშტაბებში მათი ამომწურავი მიმოხილვა შეუძლებელია“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 369).

გენდერული განსხვავება

დღეისათვის ფემინიზმის მომხრეები „განსხვავების“ ცნების შესახებ მსჯელობენ, რომელიც განხილვის საგანი ხუთ განსხვავებულ შემთხვევაში გახდა: ჯერ ერთი, მეცნიერები ამ ტერმინის ვარგისიანობის შესახებ ქალისა და მამაკაცის დიფერენციაციის აღწერის დროს მსჯელობენ, თუმცა იქნებ უმჯობესია, მას მაშინ მივმართოთ, როდესაც მხოლოდ ქალებში დიფერენციაციის შესახებ თეორიას ვეხებით. მეორე სადავო საკითხია პოსტმოდერნისტების ვარაუდი, რომ არ შეიძლება გენდერი გაგებულ იქნეს, როგორც პიროვნების განუყოფელი თვისება და რომ ის ურთიერთქმედების კონკრეტული პროცესის ან მასთან დაკავშირებული კონტექსტის კარნახითაა „შესრულებული“ (Butler,1990,1993; Connell, 1992b; Flax,1990; Frye,1996;Nicholson,1994; Thorne,1993). მესამე დისკუსიის საგანი გენდერული განსხვავების პოზიციის მომხრე ფემინისტების მონაწილეობაა პოლიტიკაში;

ესაა დავა პოლიტიკის შესახებ, რომელიც სპეციფიკური ქალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა (აქ იგულისხმება, მაგალითად, დეკრეტული შვებულება და ბავშვის მოვლა, ან მკერდის ონკოლოგიური გამოკვლევა) მიმართული. ოდესღაც ეს ასპექტი ძლიერი არგუმენტი იყო, რომელსაც ფემინისტებმა მიმართეს, მაგრამ დღეს ამ მიმართულების მიმდევრები ფიქრობენ, პოლიტიკა, რომლის მოთხოვნაცაა „ქალი და ბავშვი უპირველეს ყოვლისა", უფრო ძლიერი მოთხოვნით შეცვალონ, რომ გამოვლინდეს უსამართლობა, რომელიც ყველა ადამიანს ეხება, მაგალითად, ჯანდაცვა და შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია. გენდერული განსხვავების შესახებ მეოთხე დისკუსიას მეტი გამოხმაურება აქვს. დისკუსია ეხება საკითხებს, თუ რომელი თვისებები, ნიშნები უნდა ჩაითვალოს „წმინდა ქალურად" და „წმინდა მამაკაცურად", ყველაზე ნათლად რომ ახასიათებს ინდივიდსა და სოციალურ ორგანიზაციას. მეხუთე სადავო საკითხი მდგომარეობს შემდგომში – არის კი გენდერული განსხვავების თეორია, თვით მისი არსებობის ფაქტის ძალით, „ესენციალისტური". „ესენციალიზმი" ნიშნავს, რომ ნივთს ან ადამიანს, მოცემული პირობების გამო, რაღაც თვისება ახასიათებს ან არ ახასიათებს, ან თანდაყოლილია. ფემინიზმის თეორეტიკოსთა უმრავლესობა ამას არ იზიარებს, რამდენადაც ისინი კრიტიკულ იმპერატივს ემხრობიან: „არაა საჭირო სამყაროზე თეორეტიზება, საჭიროა მისი შეცვლა", მაშინ, როდესაც აღნიშნული მიმართულება ცვლილებების შესაძლებლობას უარყოფს. რიტცერის აზრით, გენდერული განსხვავების ასპექტებით ფემინიზმის თეორეტიკოსების დაინტერესებამ შედეგად სამი განშტოება მოგვცა: კულტურული ფემინიზმი, რომელიც ქალის არსებობის ღირებულებას ამტკიცებს; ახსნის თეორია, რომლის ჩარჩოებში გენდერული განსხვავების შესაძლო მიზეზებს განიხილავენ; და ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური თეორიები, რომლებიც ქალს ისევე უყურებენ, როგორც ყოველივე სხვას.

კულტურული ფემინიზმი

გენდერული განსხვავების აუცილებლობა არგუმენტად, რა თქმა უნდა, ქალების წინააღმდეგ, თავდაპირველად მამაკაცის პატრიარქალურ დისკურსში იქნა გამოყენებული იმ მიზნით, რომ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა და მამაკაცისადმი მორჩილება გაემართლებინათ. ეს არგუმენტი შეცვლილი სახით „პირველი ტალღის" ფემინისტებმა გამოიყენეს. მათ კულტურული ფემინიზმის თეორია შექმნეს, სადაც „ქალური ხასიათის" ან „ქალის პიროვნების" დადებითი ასპექტებია აღიარებული. ისეთი თეორეტიკოსები, როგორებიცაა მარგარეტ ფულერი, ფრენსის უილარდი, ჯეინ ადამსი და შარლოტა პერკინს გოლმანი კულტურული ფემინიზმის მომხრე იყვნენ, რომელიც აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მართვისათვის საზოგადოებას ისეთი ქალური სიკეთე სჭირდება, როგორებიცაა კონფლიქტების მოგვარებაში თანხმობა თანამშრომლობისათვის, ზრუნვა, ძალადობის მიუღებლობა. ეს შეხედულებები დღესაც არსებობს მტკიცებების სახით, რომ ქალებისათვის ეთიკური მსჯელობების განსაკუთრებული სტანდარტები არსებობს, რომ ქალის ცნობიერება „მზრუნველ ყურადღებას" გულისხმობს. ეს თვალსაზრისი გამოიხატება რწმენაში, რომ მიზნის მიღწევის მოტივაციის განსხვავებული მოდელები, აგრეთვე ურთიერთობის ქალური სტილი, ქალების მზადყოფნა ემოციური განცდებისათვის, ქალური სექსუალური ფანტაზია და ქალის ქცევის ნაკლებად აგრესიულობისა და მშვიდობიანი თანასწორობის მეტი უნარის რწმენა არსებობს. კულტურული ფემინიზმი, როგორც წესი, მიისწრაფვის, ხაზი გაუსვას იმ ღირებულებების მაღალ სტატუსს, რომელიც ქალებს ახასიათებთ, მაგრამ ასეთი განსხვავების წყაროს არ ასახელებს, არ ხსნის (არ განმარტავს).

ახსნის (განმარტების) თეორია

ამ თეორიის მიმდევრების თანახმად, გენდერული განსხვავებების მიზეზები ბიოლოგიაში, ინსტიტუციონალურ როლებში, სოციალიზაციასა და სოციალურ ურთიერთქმედებებშია დამალული. სოციოლოგი და ფემინისტი ელის როსი ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური ფუნქციების განსხვავებას მთელი ცხოვრების მანძილზე ინდივიდუალური განვითარების ჰორმონალური განპირობებულობის განსხვავებულ მოდელებთან აკავშირებს. ამ განვითარებას, თავის მხრივ, სქესობრივი სპეციფიკის ვარიაციებთან აკავშირებს, მაგალითად, ისეთ თვისებებთან, როგორიცაა მგრძნობელობა სინათლისა და ხმაურის მიმართ, ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროების მუშაობის განსხვავება. მისი აზრით, ეს განსხვავებები განსაზღვრავს თამაშის მოდელის განხვავებას ბავშვებში, რასაც ყურადღება გილიგანმა (Gilligan,1982), ლევერმა (Lever, 1978) და ბესტმა მიაქციეს (Best,1983). აქედან გამომდინარეობს „მათემატიკის მიმართ“ ქალთა ცნობილი შიში და ის უეჭველი ფაქტი, რომ ბავშვების აღზრდის მიდრეკილება ქალებს უფრო აქვთ, ვიდრე კაცებს. როსი აუცილებლად მიიჩნევს სოციოკულტურულ გარდაქმნებს, რათა სოციალური მოძღვრების დახმარებით, გენდერისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური ნაკლი კომპენსირებულ იქნეს. „ფენიმიზმის მიმდევართა თეორიის ამასწინანდელმა გამოკვლევებმა ბიოლოგიის სფეროში ცხადყო, რომ ცხოველები სქესობრივ განსხვავებასთან დაკავშირებულ ქცევებს გარემომცველ სინამდვილეში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად არეგულირებენ“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 371).

განმარტება, რომელიც სოციალური ინსტიტუტების ხასიათს ითვალისწინებს, ეფუძნება იდეას, რომ გენდერული განსხვავებები განპირობებულია იმ განსხვავებული როლებით, რომლებსაც მამაკაცები და ქალები სოციალურ ინსტიტუტებთან დაკავშირებულ განსხვავებულ სიტუაციებში ასრულებენ. ძირითად ფაქტორად სქესის მიხედვით შრომის დანაწილება გვევლინება, რომლის შესაბამისად ქალს აიძულებენ, მეუღლის, დედის, დიასახლისის ფუნქცია მკაცრად შეასრულოს, რაც ქალს ოჯახურ მეურნეობას და ოჯახს აჯაჭვავს. ეს არის გზა იმ მოვლენებისა და სიძნელეებისაკენ, რომელთა დაძლევა მოუწევთ ქალებს, თანაც ეს სიტუაციები იმ სიტუაციებისაგან განსხვავდებიან, რომლებშიც მამაკაცები აღმოჩნდებიან ხოლმე. ქალის დედისა და მეუღლის როლს, ქალური პიროვნებისა და კულტურის ჩამოყალიბებასა და კვლავწარმოებას ბერგერები, ჯ. ბერნარდი, ნ.ჩოდოროუ, რიზმანი და ფერე და მ. ჯონსონი აანალიზებენ. სოციალიზაციის თეორია განიხილავს, თუ ადამიანები, განსაკუთრებით ბავშვები (ასევე უფროსებიც, როდესაც ოჯახის შექმნას აპირებენ ან დედობისათვის ემზადებიან), გენდერული სცენარების შესაბამისად ამ ცხოვრებისეული როლების შესრულებას როგორ სწავლობენ. ზოგიერთ ნაშრომში ამტკიცებენ, რომ ქალის ინსტიტუციონალური როლი და სოციალიზაციის გამოცდილება პოლიტიკური მოღვაწეობის გარკვეული ფორმების აღმოცენებას ხელს უწყობს, მაგალითად, გარემოს დაცვის მოძრაობებში მონაწილეობის მიღება. მაგრამ ზოგიერთი სოციოლოგი მიიჩნევს, რომ სოციალიზაციის თეორია და როლური თეორია ძალზე სტატიკურ და მკაცრად დეტერმინირებულ მოდელს ემხრობიან. ეს სოციოლოგები დეტალურად სწავლობენ ადამიანის ქცევებს, რომლებიც გენდერული კვლავწარმოებისა და ურთიერთქმედების უწყვეტ პრაქტიკაზეა მიმართული, აგრეთვე იმ კონტექსტს, რომელშიც გენდერის კულტურული სტერეოტიპი დგინდება, ხორციელდება, მოწმდება და იცვლება კიდეც. ეს თეორეტიკოსები ადამიანებს, როგორც ყოველდღიური ურთიერთქმედების პროცესში გენდერული მოღვაწეობის „შემსრულებლებს“ და არა, როგორც გენდერით განსაზღვრულ პიროვნებებს უყურებენ.

ეგზისტენციალური და ფენომენოლოგიური ანალიზი

ფემინიზმის იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც ეგზისტენციალური და ფენომენოლოგიური ანალიზი აირჩიეს, ფემინიზმის თეორიაში ერთ-ერთი – მამაკაცების მიერ შექმნილი კულტურიდან ქალების, როგორც „სხვების“ გაძევების მდგრადი თემა წინ წამოწიეს. კლასიკური სახით ეს თემა ჩამოყალიბებულია სიმონა დე ბოვუარის წიგნში „მეორე სქესი“ (Simone de Beauvoir,1949\1957). ასეთივე ტიპის სხვა ნაშრომებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ბარტსკის, დალის, გრიფინის, დ. სმიტის და ტაქსის შრომები. მათი შეხედულებების თანახმად, სინამდვილე, რომელშიც ადამიანი არსებობს, მამაკაცების მიერ შექმნილი კულტურიდან განვითარდა. ამ კულტურის ჩარჩოებში სუბიექტი (იგულისხმება ცნობიერება) მამაკაცია (იხილავს და განსაზღვრავს ის). ეს კულტურა ქალის ცხოვრების მოვლენებსა და თვითცნობიერების წესებს ავიწროებს და მათ კონცეპტუალური მსჯელობების პერიფერიებზე აძევებს. ყველაზე მეტად შიშისმომგვრელია ის, რომ აქ იქმნება წარმოდგენა ქალზე, როგორც „სხვაზე“ ან „უცხოზე“, როგორც საგნობრივ სამყაროზე, რომელსაც სხვა თვისებები მიეწერება, ვიდრე სუბიექტ-მამაკაცს (ჰეგელის, ჰაიდეგერის და სარტრის შემდეგ, ბოვუარისათვის ნათელია, რომ წარმოდგენა „სხვაზე, ადამიანის აზროვნების ფენომენოლოგიური კატეგორიაა“, რომ ბინარული ოპოზიცია ერთ-ერთი ხერხია, რომლის საშუალებითაც კულტურის ორგანიზება ხერხდება, და რომ სხვა ადამიანების ინდივიდუალური გამოცდილება – ეს სუბიექტის ცნობიერების სუვერენულობის, მისი უუნარობის პოტენციური მუქარა და უწყვეტი თვითრეალიზაციის შეზღუდვაა). ქალის განსხვავება მამაკაცისაგან, კერძოდ, კულტურული კონსტრუქციითაა განპირობებული, სადაც ქალის არდაშვება, მათ შორის შევიწროება, გათვალისწინებულია და ეს მის მიერ საკუთარი „სხვადყოფნობის“ ათვისებით ხდება. მაშასადამე, თავს მთელი რიგი საინტერესი კითხვები იჩენს, მათ შორის, შეძლებენ თუ არა ქალები „სხვას“ სტატუსის დამოუკიდებლად გადალახვას; არიან კი ვალდებულნი, განთავისუფლებისას, დაემსგავსონ მამაკაცებს თუ შეუძლიათ ახალი ინდივიდუალობა შეიძინონ. დომინირებადი აღმოჩნდა წარმოდგენა (რომელსაც რადიკალური კუთხით ფემინისტური მიმართულების ფრანგი ფსიქოანალიტიკოსები – ელენ სიკსუ და ლუს ანვითარებდენ) იმის შესახებ, რომ ქალები შექმნიან ცნობიერებასა და კულტურას, რომელიც მხოლოდ ქალური იქნება.

ცვლილებებისაკენ მისწრაფებით, მეცნიერებები, რომლებიც გენდერული განსხვავების თეორიას იზიარებენ, მოთხოვენ, რომ, მამაკაცური ნიმუშების საწინააღმდეგოდ, ქალის არსებობის წესი სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად იქნეს აღიარებული, რათა საზოგადოებრივი ცოდნა, აკადემიური მოძღვრება და სოციალური ცხოვრების ორგანიზება ქალის ყოფის წესების რეალური გათვალისწინებით გადაფასდეს. თავის ყველაზე აქტიურ ფემინისტურ ვარიანტში – კულტურულ ფემინიზმში – ეს თეორიული მიდგომა უძველეს ფემინისტურ განცხადებას ხელახლა აკეთებს: როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალურ ნიმუშთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დაინერგება და მომძლავრდება, სინამდვილე ყველასათვის უფრო უსაფრთხო და სამართლიანი გახდება.

გენდერული უთანასწორობა

გენდერული უთანასწორობის ნაწილში ფემინისტური თეორიული მიდგომა ოთხი ასპექტით ხასიათდება.

ჯერ ერთი, მამაკაცებსა და ქალებს საზოგადოებაში არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ არათანაბარი მდგომარეობა უკავიათ. უფრო კონკრეტულად, ქალს ნაკლებ მატერიალურ რესურსს აძლევენ, უფრო დაბალი სოციალური სტატუსი, ნაკლები ძალაუფლება

და თვითრეალიზაციის ნაკლები შესაძლებლობა აქვს, ვიდრე იმავე მდგომარეობაში მყოფ მამაკაცებს – მიუხედავად იმისა, თუ რა კლასობრივ, რასობრივ, პროფესიულ, ეთნიკურ, რელიგიურ, განმანათლებლურ, ეროვნულ თუ ნებისმიერ სხვა სოციალურად მნიშვნელოვან ფაქტორზეა იგი დაფუძნებული.

მეორე, ასეთი უთანასწორობა თვით საზოგადოების ორგანიზების შედეგად, და არა ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ რაიმე ბიოლოგიური ან პიროვნული განსხვავების ბაზაზე აღმოცენდა.

მესამე, თუმც ადამიანები ერთმანეთისგან თავიანთი შესაძლებლობისა და ხასიათის თვისებებით განსხვავდებიან, ქალისა და მამაკაცის სქესებს შორის არავითარი ბუნებრივი სხვაობა არ არსებობს. პირიქით, ყველა ადამიანს თვითრეალიზაციისათვის თავისუფლების მოთხოვნა და პირობებისა და სიტუაციის საზღვრებში, რომლებშიც აღმოჩნდებიან, ადაპტაციისათვის საჭირო მოქნილობა ახასიათებს. გედერული უთანასწორობის აღიარება ნიშნავს განაცხადო, რომ თვითრეალიზაციის ასეთივე მოთხოვნის განხორციელებისათვის ქალს, თავისი მდგომარეობის გამო, ნაკლები შესაძლებლობა აქვს, ვიდრე მამაკაცს.

მეოთხე, უთანასწორობის ამღიარებელი ყველა თეორია იქიდან ამოდის, რომ ქალს და მამაკაცს სოციალურ სტრუქტურაზე უმტკივნეულო მანიველირებელი რეაგირება ექნება და რომ სიტუაცია უმტკივნეულო და საკმაოდ ორგანულია. სხვა სიტყვებით, მტკიცდება, რომ სიტუაციის შეცვლა შესაძლებელია. ამაში გენდერული უთანასწორობის თეორეტიკოსები გენდერული განსხვავების თეორიის მიმდევრებს არ ეთანხმებიან, რომლებიც სოციალურ სამყაროს, როგორც გენდერულ განსხვავებას, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს მას, ისე აღიქვამენ, რომ ის უფრო მდგრადია, უფრო ღრმად სწვდება პიროვნებას და არც ისე ადვილად იცვლება.

ლიბერალური ფემინიზმი

გენდერული უთანასწორობის თეორია განსაკუთრებით ნათლად ლიბერალური ფემინიზმის ფორმით განხორციელდა, რომლის მომხრეთა ვარაუდით, ქალებს შეუძლიათ მამაკაცებთან თანასწორობის პრეტენზია ჰქონდეთ, რამდენადაც ადამიანს გააზრებული სულიერი მოღვაწეობა ახასიათებს და ასევე იმიტომ, რომ გენდერული უთანასწორობა შრომის დანაწილების პატრიარქალური და დისკრიმინაციული მოდელის შედეგია. მათი აზრით, გენდერული თანასწორობის მიღწევა შრომის დანაწილებაში ცვლილებების განხორციელებითაა შესაძლებელი, ეს უკანასკნელი კი საკვანძო ინსტიტუტების – კანონი, სამუშაო, ოჯახი, განათლება და მასმედიის საშუალებების გარდაქმნით მიიღწევა.

ლიბერალური ფემინიზმის ისტორიულად პირველი ელემენტი გენდერული თანასწორობის მოთხოვნაა. ამ მოთხოვნის გასაგებად საკვანძო დოკუმენტი „გრძნობების დეკლარაციაა“, რომელიც ქალის უფლებებისათვის ბრძოლის პირველმა ყრილობამ გამოსცა, რომელიც 1848 წელს ქ. სენეკა-ფოლში (შტატი ნიუ-იორკი) შედგა. დამოუკიდებლობის პერეფრაზირებული დეკლარაციის ხელმომწერებმა განაცხადეს: „ჩვენ ნათელ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ყველა მამაკაცი და ქალი („და ქალი“ შემდეგ დაუმატეს) თანასწორადაა შექმნილი; შემოქმედმა მათ მარადიული უფლებები მიანიჭა; რომ ამ უფლებებშია სიცოცხლე, თავისუფლება და სწრაფვა ბედნიერებისაკენ; რომ ამ უფლებების დაცვის მიზნით იქმნება მთავრობები [„მამაკაცთა შორის“ გამოტოვებულია], რომლებიც ძალაუფლებას მართულთა თანხმობით იღებენ“. შემდეგ ასევე აგრძელებენ – ეძლევათ რევოლუციის უფლება, „როდესაც მართვის ნებისმიერი ფორმა დამღუპველია და ამ მიზნების მიღწევას გამორიცხავს“. ასეთი იდეოლოგიის შერჩევით ქალთა მოძრაობამ ინტელექტუალური დისკურსების ათვისებაზე თავისი პრეტენზიები განსაზღვრა, რომლებიც განმანათლებლო-

ბას, ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებს და აბოლიციონისტების მოძრაობას ეხებიან. ამ ეპოქის მოძრაობებმა წამოწიეს მოთხოვნები, რომ სამართალი ყველა ადამიანისათვის ერთიანი ყოფილიყო და ბუნებრივ კანონებსა და გონიერი და სულიერი მოღვაწეობის ადამიანისეულ უნარს დაჰფუძნებოდა. გაკეთებული იყო განცხადება, რომ კანონები, რომლებიც ქალებს ბედნიერებას უკრძალავენ, „ეწინააღმდეგებიან ბუნების დიდ მოთხოვნებს ... არასამართლიანები არიან". გაისმა მოწოდება, შეცვლილიყო კანონები და ადათ-წესები, რათა მიეცათ ქალებისათვის უფლებები, საზოგადოებაში მამაკაცების თანაბარი ადგილი დაეკავებინათ. ამ უფლებების უარყოფა მამაკაცებისგან შემდგარი მთავრობის მიერ ბუნებრივი კანონის დარღვევაა და პატრიარქალური იდეოლოგიის ტირანისეული დანერგვაა, რომელიც სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციას ზრდის. ამ ფრაგმენტული დოკუმენტის არსი ისაა, რომ ის ქალს სახლისა და ოჯახის კონტექსტის გარეშე აფასებს და მას განუსხვისებული უფლებების მქონე დამოუკიდებელ ინდივიდად აღიქვამს.

ლიბერალური ფემინიზმი შემდეგ დებულებებს ეფუძნება:

1. ყველა ადამიანს განსაზღვრული ატრიბუტები – გონიერი, სულიერი თვისებები და თვითრეალიზაციის უნარი ახასიათებს;

2. ამ უნარების განხორციელება შეიძლება საყოველთაო უფლებების კანონმდებლური აღიარებით იყოს დაცული;

3. ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული უთანასწორობა, ფაქტობრივად, სოციალური კონსტრუქციაა, რომელსაც არავითარი ბუნებრივი ფესვები არ აქვს;

4. თანასწორობის დამყარებისკენ მიმართული სოციალური ცვლილებები საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისათვის ორგანიზებული მოწოდებით და სახელმწიფოს შესაძლებლობების გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს.

თანამედროვე ფემინისტურმა დისკურსმა ეს არგუმენტები გააფართოვა, მასში „გენდერის" ცნება, როგორც სოციალურად შეკონწიწებული თავისებურებების გაგების წესი, შეიტანა, რომლებიც სქესობრივ იდენტობასთან დაკავშირებითაა ჩამოყალიბებული და ადამიანებს შორის, მათი ქალებად და მამაკაცებად დაყოფის გზით, უთანასწორობის დასამკვიდრებლადაა გამოყენებული. ფემინისტური დისკურსის განვითარებაში თავისი როლი შეასრულა გლობალურმა ფემინიზმა, როდესაც ჩრდილოეთ ამერიკაში რასიზმს ებრძოდა და ყველგან ქალების ადამიანურ უფლებებს იცავდა. ეს დისკურსი ისეთ ფუნდამენტურ განცხადებებში აისახა, როგორებიცაა ეროვნული ორგანიზაციის განცხადება ქალის უფლებების დასაცავად და პეკინის/ბეიჯინგის დეკლარაცია. ეს განცხადებები ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეას ეფუძნება, რომელსაც ადგილობრივი დონის ზოგადნაციონალურმა და ინტერნაციონალურმა ძალაუფლებამ პატივი უნდა სცეს. ეს არგუმენტები მემარჯვენე პოლიტიკოსებმა – კვლავწარმოების თავისუფლებასთან დაკავშირებულ დებატებში, პოსტმოდერნისტებთან სამართლებრივი პრინციპების ფორმულირების შესაძლებლობასა და სარგებლიანობის შესახებ დებატებში და, ასევე, ლიბერალური დემოკრატიული თეორიისა და პრაქტიკის გენდერული ხასიათის შესახებ ფემინისტურ მსჯელობებში ხელახლა ახსენეს.

ლიბერალური ფემინიზმის მიმდევრები გენდერული უთანასწორობის ასახსნელად ოთხი ფაქტორის როლს იკვლევენ: გენდერის სოციალური კონსტრუირება, შრომის გენდერული დანაწილება, საჯარო და კერძო სფეროთა დოქტრინები და პრაქტიკა, პატრიარქალური იდეოლოგია. თანამედროვე საზოგადოებაში სქესის შესაბამისად შრომის დანაწილება წარმოების გენდერის მიხედვით დაყოფას და ასევე „საერო" და „კერძო" სფეროების

გამოყოფას იწვევს. ქალთა მოვალეობა, პირველ რიგში, „კერძოსთანაა“ დაკავშირებული, მაშინ, როდესაც მამაკაცებისათვის პრივილეგირებული „საჯარო“ სფერო გამოიყოფა (ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები ამას, როგორც სოციალურ ცხოვრებაში მისაღები ჯილდოების – ფული, ძალაუფლება, შესამჩნევი სტატუსი, თავისუფლება, შემდგომი ზრდისა და მაღალი შეფასებების შესაძლებლობა – ერთობას განიხილავენ). ქალების შეღწევა საჯარო სფეროში, რა თქმა უნდა, ქალთა მოძრაობის, ასევე, ლიბერალური ფემინიზმისა და ფემინისტური სოციოლოგიის მიღწევაა, ზუსტად ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ ქალები გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ მამაკაცებს, რომლებსაც პრივატული სფეროს ჩარჩოებში მუშაობისას დახმარებას სთავაზობენ. ეს აღნიშნული ორი სფერო ქალის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს (უფრო მეტს, ვიდრე მამაკაცების ცხოვრებაში), რადგან ორივე სფერო, კვლავინდებურად, პატრიარქალური იდეოლოგიისა და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციულ საფუძველზე ყალიბდება, რაც თანამედროვე მასმედიაშიცაა გავრცელებული. ერთი მხრივ, ქალები თავიანთ ადგილს მოღვაწეობის საზოგადოებრივ სფეროსა – შრომა, განათლება, პოლიტიკა – და საჯარო სივრცეში პოულობენ, სადაც დისკრიმინაცია, უგულებელყოფა, სექსუალური ძალადობა ჯერ კიდევ სავსებით რეალურია; მეორე მხრივ, ხელფასიანი სამსახურიდან სახლში დაბრუნებისას, ქალები თავიანთ პრივატულ სივრცეში აღმოჩნდებიან და იქ თავს „დროის მარწუხებში“ გრძნობენ; ეს მათი „მეორე ცვლაა“, აქტიური დედობის იდეოლოგიით დანერგილი – ზრუნვა ოჯახსა და ბავშვებზე. ამას განსხვავებული სტრესების ურთულეს გადახლართვამდე მივყავართ, რომელთა ბუნებაში გარკვევას სწორედ ფემინიზმის თანამედროვე თეორია ცდილობს. მოთხოვნები, რომლებსაც კერძო სფეროს ჩარჩოები კარნახობს, კარიერულ და პროფესიულ სფეროში ქალების კონკურენტუნარიანობას ხელს უშლის. პატრიარქი მკაცრ პირობებს აყენებს საზოგადოებრივ სფეროში, სრული თავდადების პრიორიტეტს კარნახობს, რაც ოჯახური მოვალეობებით გამოწვეულ სტრესს ზრდის, როგორც დროის, ასევე ენერგიის რესურსებს ამცირებს. ეს, თავის მხრივ, საოჯახო მეურნეობაში ქალებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს უფრო ამკაცრებს. კერძო წესრიგისათვის დამახასიათებელი, ქალის მიჯაჭვა – ზრუნვა, ემოციური მხარდაჭერა, ჩვეული რეჟიმის შენარჩუნებაზე – უზრუნველყოფს იმას, რომ მათგან საზოგადოებრივ ჩარჩოებში დამატებით და არაეკვივალენტურად ანაზღაურებად სამუშაოს ელოდებიან, სადაც ეს „ქალური“ ჩვევები განივთებულია და მიწოდებულია შრომის ბაზარზე. პროფესიული მოღვაწეობის პატრიარქალური მოდელი და საოჯახო მეურნეობის მართვა დედას, ქალს, რომელიც ცდილობს დაიცვას სახელი და ბავშვები, ხელფასის შემომტანი მამაკაცის დახმარების გარეშე მარტო ტოვებს – ეკონომიკური რისკის სიტუაციაში აგდებს. ეს „სილარიბის ფემინიზაციის“ ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი გახდა: ქალი, როგორც წესი, მამაკაცზე ნაკლებს გამოიმუშავებს; მარტოხელა დედის მდგომარეობა, რადგან მას ზურგზე ოჯახური მოვალეობაც აწევს, საკმაოდ მერყევია; და, ამავე დროს, ამ სფეროში რაიმეს შეცვლის შესაძლებლობაც ნაკლებია.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ლიბერალური ფემინიზმის მომხრეები გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით ეხებიან, ქორწინებაში თანასწორობის პრობლემაა. ეს თემა ჯესი ბერნარდმა თავის გამოკვლევაში „ქორწინების მომავალი“ კლასიკურად ჩამოაყალიბა. „ის ქორწინებას, ერთდროულად, როგორც შეხედულებებისა და იდეალების კულტურულ სისტემას, როლებისა და ნორმების ინსტიტუციონალურ მოწყობას და აგრეთვე კონკრეტული ქალისა და მამაკაცის ურთულეს ურთიერთობას განიხილავს. კულტურაში ქორწინება იდეალიზებულია. ის ქალისათვის ბედი და თვითრეალიზაციის წყაროა ოჯახური და პასუხისმგებლობითი ტრადიციებით კურთხეული, ხოლო მთლიანად ამერიკული საზოგადოებისათვის – ცოლისა და ქმრის ეგალიტარული კავშირი. როგორც ინსტიტუტი,

ქორწინება მამაკაცს ავტორიტეტსა და თავისუფლებას ანიჭებს, არსებითად, ეს საოჯახო საქმიანობისაგან განთავისუფლებაა. ამას მამაკაცის სექსუალური უპირატესობისა და მამაკაცური ძალის შესახებ იდეაც ემატება. მაშასადამე, ქალებს ევალებათ, დამთმობნი, მორჩილნი, თავდადებისათვის მუდამ მზადმყოფნი და უშუალოდ საოჯახო სინამდვილეზე კონცენტრირებულნი იყვნენ. ამგვარად, სინამდვილეში, ორი ტიპის ქორწინების ინსტიტუტი გვაქვს: ჯერ ერთი, ესაა მამაკაცის ქორწინება, სადაც, მისი აზრით, მას მძიმე ტვირთი აწევს და ბევრადაა შეზღუდული და, ამავე დროს, აქვს ძალაუფლება, დამოუკიდებლობა, ცოლის მხრიდან საოჯახო, ემოციური და სექსუალური მომსახურების უფლება, რაც დადგენილი ნორმებითაა ნაკარნახევი; მეორე, ეს არის ქალის ქორწინება, სადაც ის ამ კულტურაში მიღებული თვითრეალიზაციის შესახებ თეზისს ღებულობს, მაშინ როდესაც რეალური მდგომარეობა უუფლებობით და დამოკიდებულებით, ვალდებულებით ხასიათდება – გაუწიოს მამაკაცს ოჯახური, ემოციური და სექსუალური მომსახურება, რომლის რეალიზება მისი ვალდებულებაა და ამიტომ ნოლზე დადის ის დამოუკიდებლობა, რომელიც ქორწინებამდე ჰქონდა. ამ მდგომარეობის შედეგები თავს სტრესებში იჩენს. გათხოვილ ქალებს, რაც არ უნდა თქვან თვითრეალიზაციის შესახებ, და დაუქორწინებელ მამაკაცებს, რაც არ უნდა ილაპარაკონ თავიანთ თავისუფლებაზე, ყველა პოზიციაში სტრესის მაღალი დონე – გულისცემის რითმი, თავბრუსხვევა, თავის ტკივილები, გულის წასვლა, ღამის კოშმარები, უძილობა, ნერვული აშლილობის შიში – ახასიათებთ. რაც შეეხება გაუთხოვარ ქალებს, იმის მიუხედავად, აწუხებთ თუ არა სოციალური სირცხვილი, და დაქორწინებულ მამაკაცებს, ეს კატეგორიები ყველა პოზიციებით სტრესის დაბალ დონეს ავლენენ"(რიტცერი, 2002. გვ.376). ამგვარად, ქორწინება კარგია მამაკაცებისთვის და ცუდია ქალებისთვის, ის აღარ იქნება ასეთი უთანასწორო მხოლოდ მაშინ, როდესაც წყვილი სოციალური ინსტიტუტების მიერ დადგენილი მოვალეობისაგან საკმარის ძალაუფლებას იგრძნობს და ქორწინების ისეთ ფორმას შეარჩევს, რომელიც ინდივიდის მოთხოვნილებებსა და პიროვნების თვისებებთან სრულ შესაბამისობაში იქნება. ამას წინათ გამოითქვა აზრი, რომ „თუმცა ბერნარდის ანალიზი სამართლიანია დაქორწინებულთა უმრავლესობისათვის, ზოგიერთმა წყვილმა, მიზანმიმართული ძალისხმევით ეგალიტარული ქორწინების ფემინისტურ იდეალს მიაღწია" (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 376) .

ლიბერალური ფემინიზმის მიმდევრების განცხადებული ცვლილებების პროგრამა თანასწორობის მოთხოვნის დასაბუთებულობისა და უთანასწორობის მიზეზების განმარტების ადეკვატურია: ისინი გენდერის კატეგორიის, როგორც სოციალური „საქონლის", განაწილების ორგანიზატორული პრინციპის ნეიტრალიზებისაკენ მიისწრაფვიან და, თანასწორობის ძიებაში, სურთ, უნივერსალური პროგრამები ჩართონ. მათ ცვლილებების მიღწევა კანონის ძალით – კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და სასამართლო რეგულირება – უნდათ და ადამიანს და საზოგადოებას გონიერი ზნეობრივი განსჯისკენ მოუწოდებენ, რათა სამართლიანი მოწოდებები მიიღონ. ეს თეორეტიკოსები, თანასწორი განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მოთხოვნით, ოჯახურ სფეროში – თანაბარი პასუხისმგებლობის, საოჯახო და განათლების სფეროში, ასევე, მასმედიაში – დისკრიმინაციული დებულებების წინააღმდეგ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდიან. ლიბერალური ფემინისტები თანასწორობისაკენ მიმავალი სტრატეგიული გეგმების ხელახალ გააზრებაში, ახალი სტრატეგიული გზების ძიებაში გამომგონებლურ ნიჭს ავლენენ, გაზრდილ ეკონომიკურ შესაძლებლობებს იყენებენ, რათა განათლების სფეროში სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაცია აღმოიფხვრას. თვალყურს ადევნებენ ყველა საკანონმდებლო ქმედებებს, რომლებიც ამ საკანონ-

მდებლო ინიციატივის დანერგვას ეხებოდა. მათი მიზეზით, სამსახურში სექსუალურმა ძალადობრივმა სურვილებმა დაკანონებული განსაზღვრება – „დისკრიმინაცია სამუშაოზე“ მიიღო. მათ თანასწორობა „ანაზღაურებაში“ (ერთსა და იმავე სამუშაოზე თანაბარი ანაზღაურება), ასევე, „შესატყვისი შეფასება“ (თანაბარი ანაზღაურება შესატყვისი მნიშვნელობის მქონე სამსახურზე) მოითხოვეს.

ლიბერალური ფემინისტებისათვის იდეალურ გენდერულ წესრიგს მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ყოველი ინდივიდი, როგორც თავისუფალი და თავის საქციელზე პასუხისმგებელი სუბიექტი იმოქმედებს, ცხოვრების იმ სტილს აირჩევს, რომელიც მას ყველაზე მეტად უხდება; ამ არჩევანს იღებს და პატივს სცემს, იქნება ეს „დიასახლისი“ თუ „ოჯახური მეურნეობის უფროსი მამაკაცი“, უცოლო კარიერისტი თუ იმ ოჯახის ერთ-ერთ წევრი, რომელშიც მეუღლე მუშაობს, უშვილო თუ შვილიანი, ჰეტეროსექსუალი თუ ჰომოსექსუალი. ლიბერალური ფემინიზმის მიმდევრები ვარაუდობენ, რომ ასეთი წესრიგი ამერიკული კულტურის ძირითად იდეალებს: თავისუფლების გაზრდას და თანასწორობას მიაღწევს. ამგვარად, ისინი სავსებით ადეკვატურად ასახავენ ამერიკაში დომინირებად ეთოსს, დემოკრატიასა და კაპიტალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებას, რეფორმისტულ ორიენტაციებს, რომელთათვისაც ინდივიდუალიზმის, არჩევანის პასუხისმგებლობისა და თანაბარი შესაძლებლობის ღირებულებებისაკენ მოწოდება აქტუალურია.

გენდერული ჩაგვრა

გენდერული ჩაგვრის თეორეტიკოსებს მიჩნიათ, რომ ქალის მდგომარეობა უშუალოდ ძალაუფლებრივი ურთიერთობების შედეგია, რომელიც ქალს და მამაკაცს შორის მყარდება, რომელშიც მამაკაცთა ფუნდამენტური ინტერესი – ქალების კონტროლი – გამოყენება, ე.ი. დაქვემდებარება და ჩაგვრა პრაქტიკული ბატონობაა. ბატონობის ქვეშ, ამ თეორიის მიმდევრებს ნებისმიერი მიმართება ესმით, როდესაც ერთ გაბატონებულ მხარეს (ინდივიდს ან კოლექტივს) შეუძლია მეორე მხარე (ინდივიდი ან კოლექტივი) დაიქვემდებაროს, თავისი ნების იარაღად აქციოს, თან პირველი მხარე მეორის სუბიექტური დამოკიდებულების აღიარებაზე უარს ამბობს. ან პირიქით, თუ დაქვემდებარებულთა თვალსაზრისით შევხედავთ, ასეთ შემთხვევაში მისი როლი ბატონის ხელში იარაღად ყოფნაზე დაიყვანება. ამგვარად, გენდერული ჩაგვრის თეორეტიკოსების მიერ ქალის მდგომარეობა მამაკაცის მხრიდან განიხილება, როგორც გამოყენების, კონტროლის, დაქვემდებარების და ჩაგვრის სიტუაცია. საზოგადოება ამითაა განმსჭვალული, ჩვეულებრივ, პატრიარქატის სახელით ცნობილი ბატონობის სტრუქტურაც ამაში მდგომარეობს. ეს უკანასკნელი არ არის რიგითი ფაქტორებით – იქნება ის ბიოლოგია, სოციალიზაცია, სქესობრივი როლები თუ კლასობრივი სისტემა – გამოწვეული შემთხვევითი, გვერდითი რეზულტატი. ის ძალაუფლების ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს, რომელსაც გააზრებულად და მიზანმიმართულად უჭერენ მხარს. ამ თეორიის მომხრეთა თვალსაზრისით, გენდერული გასხვავება და გენდერული უთანასწორობა პატრიარქატის შედეგია.

თუ ფემინიზმის ადრინდელ თეორეტიკოსთა უმრავლესობა გენდერული უთანასწორობის საკითხებზე იყო ფოკუსირებული, მაშინ თანამედროვე თეორიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ჩაგვრის ასპექტებისადმი უფრო ფართო და ძლიერი ინტერესია. თანამედროვე ფემინისტთა უმრავლესობა, ასე თუ ისე, იზიარებს ჩაგვრის თეორიას და მრავალი ნაყოფიერი და ნოვატორული გამოკვლევები ფემინიზმის სფეროში თეორეტიკოსების ამ ჯგუფს ეკუთვნის. ჩვენ გენდერული ჩაგვრის თეორიის ორ ძირითად ვარიანტს – ფსიქოანალიტიკურ და რადიკალურ ფემინიზმს შევეხებით.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის თანამედროვე მიმდევრები პატრიარქატის ახსნისას ფროიდისა და მისი მიმდევრების თეორიას ფორმულირებას უცვლიან (არსებობს ფრანგული ფსიქოანლიტიკური ფემინიზმი, რომელიც ჟაკ ლაკანის მიერ ფროიდის ნაწარმოებების ფემინისტურ გადახედვას ეფუძნება). ეს თეორია მიუთითებს და გამოყოფს პიროვნების ემოციურ დინამიკას, როდესაც ემოციები ფსიქიკის ქვეცნობიერ და არაცნობიერ ფენებში ღრმადაა ჩამჯდარი. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია იმ როლებზე, რომელსაც ასეთი ემოციების ჩამოყალიბებაში ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები ასრულებს. ფროიდის თეორიას კი მიმართეს, მაგრამ ფემინისტებმა ისე ფუნდამენტურად გადააკეთეს დიდი მეცნიერის დასკვნები, რომ ერთდროულად არც დაშორებოდნენ მას და არ მიეღოთ მისი ის დასკვნები, რომელთაც გენდერული შეფერილობა ახასიათებთ და დისკრიმინაციული და პატრიარქალური ხასიათი აქვთ.

ამ მიმართულების წარმომადგენლები პატრიარქატის განსაკუთრებულ მოდელზე საუბრობენ. როგორც ჩაგვრის თეორიის მომხრეებს, მათ ჩაგვრა ესმით, როგორც ქალის მამაკაცისადმი მორჩილება, როგორც მთელი სოციალური ორგანიზაციის მომცველი უნივერსალური სისტემა, მდგრადი დროსა და სივრცეში და პერიოდულად აღმოცენებული სიძნელეების მძლევი. ამასთან ერთად, ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მთავარ განმასხვავებელ თვისებად რჩება ის, რომ ყველა მამაკაცი პატრიარქატის ამ სისტემას ყოველდღიურ პრაქტიკაში გამუდმებით და ჯიუტად ამტკიცებს და ინარჩუნებს. ქალები მხოლოდ იშვიათად უწევენ წინააღმდეგობას, მაგრამ უფრო ხშირად უთმობენ ან აკეთებენ ყველაფერს, რომ აღმოჩნდნენ მორჩილებაში. ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრას ფსიქოანალიტიკური სახის ფემინიზმმა, ასეთია: რატომ ხარჯავენ მამაკაცები უზარმაზარ ენერგიას პატრიარქალური სისტემის შესანარჩუნებლად და რატომ არ ეწინააღმდეგებიან ქალები ამას?

ასეთი რჯულის თეორეტიკოსებისათვის არადამაჯერებელია არგუმენტი, თითქოსდა პატრიარქატის შესანარჩუნებლად მამაკაცებისათვის საკმარისია, გაიზიარონ საკუთარი პრაქტიკული სარგებელი – გაიაზრონ და გააცნობიერონ. მათი აზრით, კოგნიტური რესურსების მობილიზებისთვის, არაა საკმარისი, რომ მამაკაცებმა ასე ინტენსიურად და ენერგიულად დაიცვან პატრიარქატი, ამ მიმდევრების აზრით, ეს შეუძლებელია, რამდენადაც ადამიანს ეჭვები აწუხებს და ყოველთვის დარწმუნებულია, რომ პატრიარქატი მისთვის რაიმე უპირობო ღირებულებას წარმოადგენს. ამას გარდა, თუ დავეყრდნობით არგუმენტს, რომ ადამიანები მიჰყვებიან საკუთარ ინტერესებს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ქალებიც, თანაც განსაკუთრებული ენერგიით, უნდა აღდგნენ პატრიარქატის წინააღმდეგ. ამ თეორიის მიმდევრები სხვა არგუმენტაციასაც მიმართავენ, ისინი ფსიქიკის იმ ასპექტებს განიხილავენ, რომლებიც ფროიდისტებმა აღწერეს: ადამიანური ემოციების სფეროები (ზონები), ნახევრად გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი სურვილები და შიშები, ასევე, ნევროზი და პათოლოგიები, ამაში ისინი როგორც არაჩვეულებრივად ძლიერი ენერგიის წყაროს, ისე სისუსტეს ხედავენ (თანაც კლინიკურად დადგენილია), რომელიც არცთუ ღრმა ფსიქიკურ სტრუქტურებთანაა დაკავშირებული, რომელთა გაცნობიერება ან თვალის მიდევნება ინდივიდის ცნობიერებას არ ძალუძს. იმის ახსნისას, თუ საიდან მოდის პატრიარქატის ენერგეტიკული ძალა, ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მიმდევრებმა ქალზე მამაკაცის ზეობის ახსნის ორი შესაძლებელი ვარიანტი წამოსწიეს წინ: სიკვდილის შიში, აგრეთვე, სოციალური და ემოციური გარემოცვა, რომელშიც ბავშვის პიროვნება ყალიბდება.

სიკვდილის შიში ფსიქოანალიტიკურ თეორიაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი ეგზისტენციალური საკითხი, რომელიც ყოველი ინდივიდის წინაშე დგება და რომელიც ყოველ ადამიანს აიძულებს, საშინელება განიცადოს. ფემინიზმის თეორეტიკოსები, რომლებიც ამ თემას ამუშავებენ, ამტკიცებენ, რომ ქალები, როგორც წესი, ბევრად უფრო ნაკლებად არიან დათრგუნვილნი თავიანთი სიკვდილის შიშით, რადგანაც ისინი დროის უმეტეს ნაწილს ბავშვების აღზრდას ანდომებენ. სიცოცხლის შეწყვეტის პერსპექტივაზე მამაკაცები სხვაგვარად რეაგირებენ: ისინი გრძნობენ საშინელებას და დამცველ ზომებს იღებენ, რასაც ქალებზე ბატონობისკენ მივყავართ. ისინი ცდილობენ შექმნან რაღაც, რაც ბევრად გადააჭარბებს მათ სიცოცხლეს – ხელოვნების საგნები, არქიტექტურა, სიმდიდრე და იარაღი, მეცნიერება და რელიგია. ყოველივე ეს არის საშუალება, რომელსაც მამაკაცები ქალებზე (და ერთმანეთზეც) გასაბატონებლად იყენებენ. ისინი ასევე რეპროდუქციული პროცესის გაკონტროლებას ესწრაფვიან (რამეთუ ქალთა რეპროდუქციული უნარების შურთ და დიდი სურვილი აქვთ, უკვდავებას მემკვიდრეების წყალობით მიაღწიონ). მამაკაცს ქალის, მისი სხეულის ფლობა და კანონიერებისა და მამობის ფარგლებში მისი შვილების გაკონტროლება უნდა. ბოლოს, შიშის გავლენით, მამაკაცები თავს არიდებენ თავიანთ ცოდვილ სხეულებზე საუბარს და დაბადებიდან, ბუნებიდან, სექსუალობიდან, ადამიანური სხეულისაგან, ბუნებრივი ფუნქციებისაგან, აგრეთვე ქალებისაგან, რომლებთან კავშირიც მათ ამ მოვლენათა უმრავლესობის სიმბოლოებად გადააქცევს, თავს შორს იჭერენ; არსებობის ყველა ეს ასპექტი მათ უნდა უკუაგდონ, დაიმორჩილონ და გააკონტროლონ, რადგანაც მამაკაცი ყოველთვის განწყობილია, დაშორდეს სიკვდილს, უკუაგდოს და არ აღიაროს ის. ქალები, როგორც ამ აკრძალული თემის სიმბოლოები, ასევე უნდა განიხილებოდნენ, როგორც „სხვა“, როგორც ის, რისიც ეშინიათ, რასაც გაურბიან, რისი კონტროლიც უნდათ.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მიერ წამოწეული მეორე თემა ადამიანის განვითარების ადრინდელი ბავშვობის ასაკის ორ ასპექტთანაა დაკავშირებული. „ესენია: 1) ვარაუდი, რომ ადამიანური არსება მოზრდილ ადამიანად იმით ყალიბდება, რომ ცხოვრებას გადაუჭრელი წინააღმდეგობის გათვალისწინებით სწავლობს, რომელიც თავისუფალ ქმედებას- ინდივიდუალიზაციას და სხვების მიერ აღიარების სურვილს შორის არსებობს; 2) ფაქტი, რომ ყველა საზოგადოებაში ყველაზე ახლო, განუშორებელი, მჭიდრო კავშირები ჩვილებსა და ბავშვებს თავიანთ ადრინდელ ასაკში ქალებთან, დედებთან ან მათ შემცვლელებთან აქვთ. ჩვილობასა და ადრეულ ასაკში, როდესაც ენაც – შემეცნების საშუალება – კი არ იციან, ადამიანები თავიანთი განვითარების პირველ ფაზებს, როგორც პრიმიტიული ემოციების – შიშის, სიყვარულის, სიძულვილის, სიამოვნების, სიბრაზის, წარუმატებლობის, სურვილის – ქარბუქს განიცდიან“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 381). ადრინდელი გამოცდილების ემოციური შედეგები ადამიანისათვის მუდამ გავლენის მქონე რჩება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს არაცნობიერი, „გრძნობადი მეხსიერებაა“. აქ მნიშვნელოვან როლს ამბივალენტური გრძნობების ერთობლიობა თამაშობს, რომელსაც ქალების (დედების), ძიძების მიმართ გრძნობენ: მისი მოთხოვნილება, მასზე დამოკიდებულება, სიყვარული, ფლობა, ასევე შიში და სიბრაზე გამოწვეულია იმით, რომ მას სხვისი ნებისადმი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია. ბავშვების მიმართება მამებთან, მამაკაცებთან შემთხვევითია, მეორადია, ემოციურად ერთგვაროვანია. მაშასადამე, ბავშვი, რომელიც იმ კულტურაში იზრდება, სადაც პოზიტიურად ფასდება მამაკაცობა და მცირდება ქალობა, და საკუთარი მამაკაცური იდენტობა გაცნობიერებულია, ცდილობს ქალს (დედას) რაც შეიძლება მალე მოსცილდეს. მსგავსი განსხვავება, თავისი შედეგებით, დესტრუქციული კულტურის ინიცირებულია. მოზრდილ მამაკაცში ბავ-

შვობიდან შემორჩენილი მიმართება ქალისადმი – მისი მოთხოვნილება, სიყვარული, სიძულვილი, ფლობა ქალის სურვილს იწვევს, აკმაყოფილებს მის ემოციურ მოთხოვნილებებს, თან მასზეა დამოკიდებული და აკონტროლებს მას. მამაკაცს სურს დომინირება, მაგრამ, თავის მხრივ, ქალის აღიარება უჭირს. გოგონებს კულტურაში, სადაც გაუფერულებულია ქალის როლი, ქალთან იდენტობის აღმოჩენისას, ქალების/დედების მიმართ იგივე გრძნობები აქვთ. გოგონა, თავის პიროვნებასთან, როგორც ქალთან/დედასთან დაკავშირებული, შერეული – პოზიტიური და ნეგატიური – ემოციებით იზრდება. ეს ამბივალენტობა(ორმაგობა) სოციალური ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის ალბათობას იწვევს. ზრდასრული ქალი ცდილობს, გააძლიეროს თავისი აღიარების უნარი სექსუალურად მიმზიდველი მამაკაცისაგან და თანახმაა, მისი მორჩილი იყოს; ქალებთან ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს. დედა რომ გახდება, ის ურთიერთობებს, რომლებიც ადრე ბავშვობიდანვეა ნაცნობი – ბავშვი/ქალი – აღადგენს.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მიმდევრები თავიანთ მიდგომას აფართოებენ, არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მთელი დასავლეთის კულტურის ანალიზს მიმართავენ. დასავლეთის მეცნიერებაში ძირითადი აქცენტი „მამაკაცისა“ და „ბუნების“ განსხვავებაზე – პირველი გაგებულია, როგორც მისი „მბრძანებელი“ – და „მეცნიერულ მეთოდზე“ კეთდება, რომელიც ამ ურთიერთობებს ეფუძნება და „ობიექტურ ჭეშმარიტებას“ ავლენს. ასეთმა მიდგომამ ახალი განმარტება, როგორც პროექცია ზეპიროვნულ მამაკაცურ ეგოზე, მისი მისწრაფებით დომინირებისაკენ და საპასუხო აღიარების შიშით მიიღო. ამ პოპკულტურისათვის დამახასიათებელი მოტივები – მაგალითად, სიუჟეტურ და ნიმუშებრივ დონეზე მამაკაცის ქალის ბატონად განხილვა – ფსიქოანალიზის თეორეტიკოსების მიერ განმარტებულია, როგორც ინდივიდუალიზაციის სურვილსა და აღიარების მოთხოვნილებას შორის დისბალანსის მაჩვენებელი. თუ ეს წონასწორობა ირღვევა (კულტურის ჩარჩოებში თუ თვით ინდივიდი) და დიდია მათ შორის განხეთქილება, თავს იჩენს ორი პათოლოგია: რჩება ბატონი, რომელიც სხვას მხოლოდ, როგორც კონტროლის ობიექტს „აღიარებს“, და მორჩილი, რომელიც უარს ამბობს დამოუკიდებლობაზე, რათა თავისი ბატონის სარკისებური ასახვა გახდეს.

ამგვარად, ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მომხრეები ქალის ჩაგვრას ქალზე კონტროლის მამაკაცური ემოციების მოთხოვნილებით ხსნიან, ე.ი. ის შთააგონებს, რომ გაჩენილია მამაკაცის ნევროზებით, რაც, თავის მხრივ, სიკვდილის შიშით და დედისადმი ამბივალენტური დამოკიდებულებითაა განპირობებული. ქალებს ასეთი ნერვოზები ან არა აქვთ, ან კომპლემენტარულ ნევროზებს ექვემდებარებიან, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მამაკაცის დომინირებული მდგომარეობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ქალს ენერგიის ეკვივალენტური წყარო არ გააჩნია. ფსიქიატრიის სფეროში კლინიკური გამოკვლევებით ასაბუთებენ, რომ ასეთი ნევროზები დასავლეთის საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული. ამავე დროს, განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ ამ ნაწილში განხილული თეორიები ადამიანური ემოციებიდან უშუალოდ ქალის საყოველთაო ჩაგვრის საკითხზე გადადიან. არ სწავლობენ შუალედურ სოციალურ განწყობებს, რომლებიც ემოციასა და ჩაგვრას ერთმანეთთან აკავშირებენ და ამიტომ ემოციების, სოციალური განწყობებისა და ჩაგვრის სიტუაციების შესაძლებელ ცვლილებებზე მითითებას ვერ ახერხებენ. ზოგიერთი მეცნიერი ამ თეორიის ძირითადი მონაცემების ეთნიკურ, კლასობრივ და ნაციონალურ ხასიათს დაუფიქრდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიღებული შედეგები ჩრდილოეთ ატლანტიკის ქვეყნებიდან საშუალო კლასის მაღალი ფენების თეთრკანიანთა ოჯახების კვლევების საფუძველზეა გამოყვანილი. „საზოგადოდ კი ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის თეორია ცვლილებების ძალიან ცოტა სტრატეგიას გვთავაზობს, იმის გამოკლებით,

რომ შობადობის პრაქტიკა უნდა შეიცვალოს და სიკვდილისადმი დამოკიდებულების მასობრივი კულტურულ-ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. ამგვარად, ამ თეორიებმა გენდერული ჩაგვრის ფესვები გამოავლინა, მაგრამ, ამავე დროს, ის სოციოლოგიური ფაქტორების პრობლემათა საფუძვლიან დამუშავებას, ასევე ცვლილებათა სტრატეგიას საჭიროებს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 382).

რადიკალური ფენიმიზმი

რადიკალური ფემინიზმი ორ ემოციურ მტკიცებულებას ეფუძნება: 1. ქალებს აბსოლუტური პოზიტიური ღირებულება თავისთავად გააჩნიათ – ეს დებულება ქალის როლის გაუფასურების საპირისპიროდაა წინ წამოწეული; 2. პატრიარქატი ქალებს უმკაცრესად ჩაგრავს. რადიკალური ფემინისტები, რომელთაც სიყვარულისა და სიძულვილის ეს ფეთქებადსაშიში ნაერთი ახასიათებთ, ზოგიერთ მეომარ ტომებსა და ეთნიკურ ჯგუფებს გვახსენებენ; აფროამერიკელებს, რომელთა განცხადებით, „შავი მშვენიერია“, ან ჰოლოკოსტს გადარჩენილ ებრაელებს, რომლებსაც ჰოლოკოსტის დამადასტურებელი დეტალური „ჩანაწერები“ აქვთ. თავიანთ იდეოლოგიურ პოზიციებზე დაყრდნობით რადიკალურმა ფემინისტებმა სოციალური ორგანიზაციის, გენდერული ჩაგვრის და ცვლილებათა სტრატეგიის საკუთარი თეორია შეიმუშავეს.

ჩაგვრის სისტემას, რომელშიც ერთი ადამიანი მეორეზე დომინირებს/ბატონობს, ისინი ნებისმიერ სოციალურ ინსტიტუტში და ასევე საზოგადოების საბაზო სტრუქტურებში – ჰეტეროსექსუალობაში, კლასებში, რასებში, ეთნიკურ ჯგუფებში, ასაკსა და გენდერში ხედავენ. ჩაგვრისა და ბატონობის ყველა ამ სისტემათაგან გენდერი, პატრიარქატის სისტემა, ჩაგვრის ყველაზე ფუნდამენტურ სტრუქტურას წარმოადგენს. პატრიარქალური სისტემა არა მხოლოდ ისტორიულადაა ჩაგვრისა და ბატონობის პირველი სტრუქტურა, არამედ, როგორც უთანასწორობის ყველაზე მდგრადი და გავრცელებული სისტემა, დღესაც აგრძელებს არსებობას და დომინირების საბაზო საზოგადოებრივი მოდელია. მისი წყალობით მამაკაცები სხვა ადამიანების ათვალწუნებას სწავლობენ, მათ ადამიანებად არ თვლიან და აკონტროლებენ. პატრიარქატის ჩარჩოებში მამაკაცები ამოიცნობენ, ხოლო ქალები თავიანთი გამოცდილებით იგებენ, თუ რას წარმოადგენს დამორჩილება. ეს სისტემა ვითარებათა დიდ ნაირსახეობას – ბრალეულობას/ცოდვილიანობას და ჩაგვრას, სადიზმსა და მაზოხიზმს, მანიპულაციას და სიცრუეს ბადებს, რაც კაცებსა და ქალებს დესპოტიზმის სხვა ფორმების გამოვლენისაკენ უბიძგებს. რადიკალური ფემინიზმის თვალსაზრისით პატრიარქატი გაგებულია, როგორც სოციალური უთანასწორობის სისტემა, რომელსაც ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა, მაგრამ, რომელსაც, ამის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს.

რადიკალური ფემინიზმის მომხრეთა მიერ ჩატარებული ანალიზი პატრიარქალური სტრუქტურის, რომელსაც ქალების წინააღმდეგ მამაკაცები და ის სოციალური ორგანიზაციები ქმნიან, სადაც მამაკაცები დომინირებენ, ძალადობის აპარატის გაგებაზეა მიმართული. ძალადობას ყოველთვის უშუალო ფიზიკური სიმკაცრის ფორმა არ აქვს. იგი ექსპლოატაციის და კონტროლის უფრო რთული გამოვლენის ფორმებით – როგორიცაა მოდისა და სილამაზის სტანდარტები, დედობის, მონოგამიის, პატიოსნების და ჰეტეროსექსუალურობის დესპოტური იდეალები, სექსუალური ძალადობა სამუშაოზე; გინეკოლოგიით, მეანობით და ფსიქოთერაპიით ნაკარნახევი წესები; აუნაზღაურებელი შრომა სახლში და დაბალანზღაურებადი შრომა სამსახურებში-არსებობს. ძალადობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საკუთარი ინტერესების დაცვით დაინტერესებული ერთი ჯგუ-

ფი სხვა ჯგუფის სასიცოცხლო შესაძლებლობებს, გარემოს, აღქმისა და ქმედებების სისტემას აკონტროლებს, როგორც ამას ქალებსა და მამაკაცებს შორის აქვს ადგილი.

გარდა ამისა, რადიკალური ფემინიზმი პატრიარქატს უშუალოდ ფიზიკურ ძალადობასთან აკავშირებს: გაუპატიურება, სექსუალური შეურაცხყოფა, იძულებითი პროსტიტუცია, ცოლების შეურაცხყოფა, სისხლის აღრევა, ბავშვების სექსუალური გარყვნა, საშვილოსნოს მოცილება და სხვა რადიკალური ქირურგიული ჩარევები, სადიზმი პორნოგრაფიაში, ალქაჯებზე ნადირობის ისტორიული და კულტურული ადათ-წესები, ქალების ჩაქოლვა ღალატის გამო, ლესბოსელების დევნა, ქალთა სქესის ჩვილების ხოცვა, ჩინეთში გოგოების ფეხების შეკვრა ზრდის შესაჩერებლად, ქვრივთა შეურაცხყოფა და კლიტორის მოცილების პრაქტიკა.

პატრიარქატი უნივერსალური სოციალური ფორმა არის იმიტომ, რომ კონტროლის დასამყარებლად მამაკაცს ყოველთვის შეუძლია თავისი ძირითადი რესურსი – ძალაუფლება, ფიზიკური ძალა ჩართოს. ასევე სხვა – ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, საკანონმდებლო და ემოციურ – რესურსებსაც გამოიყენებს, მაგრამ მთავარი ფიზიკური ძალადობაა, რომელიც ქალთა ინდივიდუალური და კოლექტიური შემოტევისაგან პატრიარქალური სისტემის დასაცავად როგორც პიროვნებებს, ასევე ჯგუფებს შორის ურთიერთობებში გამოიყენება.

მამაკაცები პატრიარქალურ სისტემას არა მხოლოდ იმიტომ ინარჩუნებენ, რომ ამისათვის საჭირო რესურსები აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ დაინტერესებულნი არიან, რათა ქალი ყოველთვის მორჩილი იარაღი იყოს. ქალები მამაკაცის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. მათი სხეული შეუცვლელია ბავშვების გაჩენის საქმეში, ბავშვები კი, ფსიქოანალიტიკოსების თანახმად, მამაკაცების როგორც პრაქტიკულ, ისე ნევროტულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ქალები სასარგებლო სამუშაო ძალაა. ქალი მამაკაცის ძალისა და სტატუსის ილუსტრაციაა. ქალები თან ახლავენ ბავშვებსა და მამაკაცებს მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომლებიც მათ აკონტროლებენ, ქალი არა მხოლოდ სასურველი პარტნიორი, არამედ ემოციური მხარდაჭერის კარგი წყაროც და, უბრალოდ, მშვენიერი ფონია, რომელიც სოციალურად პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მამაკაცურ გრძნობას აფერადებს. ამ ფუნქციების შესრულება ნიშნავს, რომ მამაკაცი ქალის მორჩილების მიღწევას ცდილობს. განსხვავებული სოციალური ვითარებები ასეთი ფუნქციების მნიშვნელობების წესრიგის დადგენის ვარიაციებს განაპირობებს, რასაც პატრიარქალური სისტემის ფორმირების კულტურათაშორის განსხვავებამდე მივყავართ. რადიკალური ფემინისტები არა მხოლოდ განმარტავენ საყოველთაო გენდერულ ჩაგვრას, არამედ ამ სფეროში კულტურათაშორისი ვარიაციების გაგების მოდელს ქმნიან.

როგორ უნდა დაიძლიოს პატრიარქატი? „რადიკალური ფემინიზმის მიმდევრებს მიჩნიათ, რომ დასაწყისისთვის აუცილებელია ქალის ცნობიერების საფუძვლიანი შეცვლა, რათა მან თავისი ფასი და ძალა გაიგოს, პატრიარქალური სისტემის ზეწოლა უკუაგდოს, რომელიც აიძულებს მას, იყოს სუსტი, შეასრულოს მეორეხარისხოვანი როლი, იმოქმედოს სხვა ქალებთან ერთად ერთიანი ფრონტით, არ მიაქციოს ყურადღება მათ შორის განსხვავებას, იმიტომ, რომ თითქმის დებს შორის არსებული ნდობის, მხარდაჭერის, პატივისცემის და ურთიერთდაცვის ვითარება დაამკვიდროს“ (რიტცერი, 2002, გვ.384). თუ ეს მოხერხდება, მაშინ საჭიროა ორ სტრატეგიას მივმართოთ: უნდა იყოს პატრიარქალური ბატონობის ნებისმიერ ფორმასთან კრიტიკულ ოპოზიციაში და მიაღწიოს სეპარატიზმს, რომლის ვარაუდით, ქალი საკუთარი ბიზნესის, მეურნეობის ჩარჩოებში იმყოფება, დადის ქალთა ორგანიზაციებში, მონაწილეობს შემოქმედებითი ცენტრების საქმიანობაში და სასიყვარულო ლესბოსურ ურთიერთობებშია ჩართული. ლესბოსური ფემინიზმი, როგორც რადიკალური ფემინიზმის მნიშვნელოვანი მიმართულება, ფაქტობრივად, პრაქტიკაში იმ რწმენის

განხორციელებაა, რომ „ქალებისადმი ეროტიკული და/ან ემოციური მიჩვევა/მიჯაჭვულობა პატრიარქალური ბატონობისადმი წინააღმდეგობის ნაწილია“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 384).

როგორ უნდა შეფასდეს რადიკალური ფემინიზმი? თითოეული ჩვენგანის რეაქცია თითოეული ჩვენგანის პიროვნული რადიკალიზმის დონეზეა დამოკიდებული. ზოგს ეს მოძრაობა ძალიან კრიტიკული მოეჩვენება, სხვებს კი სავსებით ადეკვატური ეგონებათ; მაგრამ თუ შევეცდებით რადიკალურ ფემინიზმს რამენაირი თეორიული შეფასება მივცეთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ მოცემული მიმართულების დებულებებში არის ისეთი, რომელსაც სოციალისტური შეხედულების ფემინისტებიც და ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მიმდევრებიც კი იცავენ. გარდა ამისა, მისმა რადიკალურმა წარმომადგენლებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რათა დამატებითი არგუმენტები მოეძებნათ თავიანთი ძირითადი თემისათვის, რომლის თანახმად, პატრიარქალური სისტემა, საბოლოო ჯამში, ქალის მიმართ ძალადობის პრაქტიკას ეფუძნება. ამ მეცნიერებმა რადიკალური ცვლილებების გონიერი, თუმცა, ალბათ, არცთუ ისე საბოლოოდ სრულყოფილი პროგრამა ჩამოაყალიბეს. მათ ადანაშაულებენ იმაში, რომ მთელი ყურადღება მხოლოდ პატრიარქატს დაუთმეს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა სოციალური ორგანიზაციისა და სოციალური უთანასწორობის რეალობას არსებითად ამარტივებს. მაშასადამე, უკეთესობისაკენ ცვლილებების თვით საგანს სავსებით რეალისტურად ვერ აღწერს.

სტრუქტურული ჩაგვრა

სტრუქტურული ჩაგვრის თეორიის, ისევე როგორც გენდერული ჩაგვრის თეორიის, მიმდევრები აღიარებენ, რომ ის უშუალოდ იმ მოგებიდან გამომდინარეობს, რომელსაც ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფი სხვების კონტროლის, გამოყენების, მორჩილებისა და ჩაგვრისაგან იღებს. ანალიზის საგანი სოციალური სტრუქტურის მექანიზმების, ე.ი. სოციალური ურთიერთქმედების ორგანიზების ზოგადად მიღებული და განმეორებადი საშუალებების დახმარებით ბატონობის დაკანონებაა. სტუქტურული ჩაგვრის თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საშუალებები ყოველთვის ძალაუფლებრივი დადგენილებებია, რომლებიც ისტორიული განვითარების პროცესში, დროთა განმავლობაში წარმოიშვა. კვლევის ძირითად საგნად მათ პატრიარქატის, კაპიტალიზმის, რასიზმისა და ჰეტეროსექსუალური სისტემების სტრუქტურები შეარჩიეს, ვარაუდობდნენ, რომ ბატონობის დამკვიდრებისა და ჩაგვრის გამოვლენათა მიზეზები ამ სტრუქტურების ურთიერთქმედების ფაქტორი, მათი ერთობლივი რეალიზაციის წესები აღმოჩნდება. ამ ჯურის მეცნიერები ინდივიდუალური დომინირების როლს არ უარყოფენ, მაგრამ მას, როგორც სტრუქტურული წარმონაქმნების პროდუქტს იკვლევენ. ჯ. რიტცერი სტრუქტურული ჩაგვრის თეორიის ორ ვარიანტს – სოციალისტურ ფემინიზმს და კვეთის თეორიას განიხილავს.

სოციალისტური ფემინიზმი

სოციალისტური ფემინიზმის თეორიული პროექტი სამი თემის გარშემოა ორგანიზებული: 1. კრიტიკულად განიხილოს ჩაგვრის მოვლენა პატრიარქალურ და კაპიტალისტურ სისტემებში, თან ათვლის ცენტრალურ წერტილად ქალის გამოცდილება აიღოს; 2. ფართოდ განმარტოს ისტორიული მატერიალიზმი და სოციალური ანალიზის ადეკვატური მეთოდები შეიმუშაოს; 3. საზოგადოების მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორების მატერიალისტური ანალიზისას იდეების სფეროც გაითვალისწინოს. სოციალისტური მიმართულების ფემინისტები ყველა არსებული ფემინისტური თეორიის თეორიული სინთეზისა

და, ამავდროულად, მათი ჩარჩოების გადალახვისაკენ მიიწრაფვიან. უფრო ზუსტად, ცდილობენ, ორი ტრადიცია, რომლებსაც შედარებით მოცულობით და მნიშვნელოვან რამედ მიიჩნევენ (მარქსიზმი და რადიკალური ფემინიზმი), შეათანხმონ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რადიკალური ფემინიზმი პატრიარქალურ სისტემას მიზანდასახულად აკრიტიკებს. მარქსისტული ფემინიზმი მისთვის დამახასიათებელ კლასობრივ ანალიზს და ფემინისტურ სოციალურ პროტესტს აერთიანებს. მაგრამ ეს ნაერთი, სახელწოდებით „უთანასწორო ქორწინება“, ხშირად, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არა გენდერული ჩაგვრის თეორიას ბადებს, არამედ მხოლოდ საკმაოდ თავშეკავებულად, გენდერულ უთანასწორობას აღიარებს, რადგან ქალთა ინტერესები კლასობრივ ჩაგვრასთან ერთად და არა ცალკე გამოყოფილად განიხილებოდა. თუმცა საკუთრივ მარქსისტულ ფემინიზმს ამერიკულ ფემინისტურ მოძრაობაში საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია, მას სოციალისტური ფემინიზმის თეორიაზეა აქვს გავლენა. ამ მიმართულებას საფუძველი მარქსმა და ენგელსმა ჩაუყარეს. მთავარი პრობლემა, რომელსაც ისინი განიხილავენ, სოციალურ-კლასობრივი ჩაგვრაა, მაგრამ მათ ასევე ყურადღება გენდერული მორჩილების საკითხებსაც მიაქციეს, ამის მაგალითია ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ (დაწერილი ენგელსის მიერ 1884 წელს, მარქსის მითითებებით, რომელიც მან სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გააკეთა). რიტცერი ამ წიგნის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს, რამდენადაც ეს დაგვეხმარება, მკითხველი გენდერული ჩაგვრის კლასიკურ მარქსისტულ თეორიაში შევიყვანოთ და მას ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი გავაცნოთ.

ენგელსის ნაშრომის ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ ქალის ჩაგრული მდგომარეობა არა მისი, ალბათ, უცვლელი ბიოლოგიური თვისების, არამედ სოციალური ურთიერთობების შედეგია, რომელთა ისტორიულად თვალის გადავლება და, ალბათ, შეცვლაც შესაძლებელია. XIX საუკუნეში გენდერის საკითხები რადიკალურად, ჭეშმარიტად ფემინისტურად გამოიყურებოდა. ქალის მორჩილი მდგომარეობა ოჯახის არსებობით – ინსტიტუტისა, რომლის სახელიც კი ლათინური წარმოშობისაა და მოსამსახურეს ნიშნავს – იყო განპირობებული, რამდენადაც ის (როგორც ეს განვითარებულ საზოგადოებებში ჩამოყალიბდა) წარმოადგენს სისტემას, სადაც მამაკაცებს ქალების ქმედების კონტროლის უფლება ეძლევათ. თანამედროვე საზოგადოებების იდეოლოგია ოჯახს განიხილავს, როგორც სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ და უნივერსალურ ნიშანს, მაგრამ ენგელსს და მარქსს მოჰყავთ არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალები, რომლებიც მოწმობს, რომ ოჯახი ურთიერთობის შედარებით ახალი ფორმაა, რომ წინაისტორიულ პერიოდში მამაკაცი და ქალი გვაროვნულ სტრუქტურებში არსებობდნენ, სადაც ქალები შედარებით ავტონომიურნი იყვნენ, რამდენადაც მათი, როგორც აუცილებელი ნივთების შემგროვებლების, ოსტატების, მომმზადებლების და განმანაწილებლების ეკონომიკური მდგომარეობა დამოუკიდებელი იყო. ფაქტორებს, რომლებმაც ასეთი სოციალური სისტემა დაანგრიეს და, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალთა სქესის საყოველთაო ისტორიული დამარცხება გამოიწვიეს, ეკონომიკური ხასიათი ჰქონდათ, კერძოდ, ეს ნადირობის და შემგროვებლობის, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ეკონომიკით შეცვლა იყო, როდესაც მამაკაცისათვის დამახასიათებელი ძალა, მობილობა და ასევე ადრე, ნადირობის დროს შეძენილი ჩვევები, მათ ქალებზე უპირატესობას ანიჭებდა. ამან მიგვიყვანა საკუთრების ცნებამდე, რომელშიც აისახა მამაკაცთა კლასის იდეა, რომლებიც ეკონომიკური წარმოების საზოგადოებრივ რესურსებზე საკუთრების პრეტენზიას აცხადებდნენ. ახალი ტიპის ეკონომიკაში მამაკაცებს, როგორც საკუთრების მფლობელებს, მორჩილი სამუშაო ძალა – მონა, ტყვე, ცოლი თუ შვილი – და, ასევე, საკუთრების შენარჩუნებისა და გადაცემისათვის მემკვიდრე

სჭირდებათ. ასე გაჩნდა პირველი „გვარი“(Familie) – პატრონი და მსახური – მონები, მსახური – ცოლი, მსახური – შვილი. მას შემდეგ შრომის ექპლუატაცია ბატონობის სულ უფრო და უფრო რთულ სტრუქტურებს ღებულობს, რამაც თავი განსაკუთრებით კლასობრივ ურთიერთობებში იჩინა. პოლიტიკური მოწყობა ბატონობის ამ სისტემის შესანარჩუნებლად იყო გამიზნული, ხოლო თავად ოჯახი ეკონომიკური სისტემების ისტორიული ცვლილებებისა და საკუთრების ცვლილებების პროცესში დამოკიდებულ სოციალურ ინსტიტუტად გადაიქცა, სადაც პოლიტიკური ეკონომიკით გაჩენილი უსამართლობის შედარებით მასშტაბური და, შესაბამისად, ქალების იძულებით დამმორჩილებელი ფორმები აისახა. ენგელსი და მარქსი მივიდნენ დასკვანმდე, რომ ქალები სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და პიროვნული ქმედებების თავისუფლებას მხოლოდ იმ სისტემის დანგრევის შემთხვევაში მიაღწევენ, რომელიც კერძო საკუთრების უფლებაზეა აგებული, ეს კი კლასობრივი რევოლუციის შედეგად მოხდება.

პარტიარქალური სისტემის აღმოცენების საკუთრების ურთიერთობის ჩასახვასთან დაკავშირებისას, ქალის ჩაგვრის პრობლემას მეცნიერები მარქსისტული კლასობრივი ანალიზის ზოგად ჩარჩოებში განიხილავენ. „საკუთრება“ გაგებულია არა, როგორც პირადი ფლობა, არამედ, როგორც საზოგადოებრივი წარმოებისათვის (წარმოების საშუალებების) აუცილებელი რესურსების ფლობა – ეს არის კლასობრივი დაყოფის საფუძველი, რომელიც ქმნის სიტუაციას, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფები შეძლებენ განაცხადონ, რომ ფლობენ წარმოების საშუალებებს, მაშინ როდესაც სხვა ჯგუფები დაქირავებული მუშები გახდებიან. მარქსისტულ ანალიზში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური სისტემის კაპიტალიზმის პირობებში ეს კლასობრივი დაყოფა როგორ ხორციელდება. კაპიტალიზმის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ წარმოების საშუალებების მფლობელი კლასი – კაპიტალისტები – კაპიტალის მუდმივი დაგროვებისაკენ მიისწრაფვიან. კაპიტალი – ეს არის სიმდიდრე (ფული ან ფასეულობები), რომელიც შეიძლება ეკონომიკური მრეწველობის მატერიალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად იქნეს გამოყენებული. ეკონომიკური ორგანიზაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, როდესაც ადამიანები საქონელს ან ფულს დიდ საქონელზე ცვლიან, ამ სისტემაში კაპიტალისტები გაცვლით ურთიერთობებს მიმართავენ, რათა დააგროვონ კაპიტალი, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური წარმოების მატერიალურ ინფრასტრუქტურაში საქონლის შესაქმნელად ინვესტირდება, რომლის მიზანიც უფრო მეტი კეთილდღეობის მიღწევაა. ესაა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც კაპიტალისტები საქონელს კაპიტალად ანუ ზედმეტ ღირებულებად აქცევენ, რაც მუშებისათვის მიცემულ კომპენსაციასა და საქონლის ღირებულებას შორის სხვაობაა. ეს არის ზედმეტი ღირებულება (რომელიც შეიძლება, როგორც წარმოებაზე დანახარჯებისა და პროდუქციის ერთეულის ღირებულებას შორის სხვაობა ანუ მოგება გაიგო), რომელსაც მიითვისებს კაპიტალისტი და გაიუმჯობესებს ცხოვრებას, განიმტკიცებს ძალაუფლებას და, უპირველეს ყოვლისა, წარმოების გაფართოებისათვის და კაპიტალის დაგროვების მიმდინარე პროცესში რეინვესტირებისათვის გამოიყენებს.

სოციალისტური მიმართულების ფემინისტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა კლასობრივი ურთიერთობების მარქსისტების მიერ აღწერილ ანალიზს აქვს, რომელიც კაპიტალიზმის დროს ჩამოყალიბდა და რომელიც მათ ჩაგვრის მთავარ წყაროდ მიაჩნიათ. „ასეთი ანალიზის ლოგიკაში პრობლემატურია ის, რომ პატრიარქალური სისტემა როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქცია განიხილება. სოციალისტური მიმართულების ფემინისტები რადიკალური არგუმენტებით შეიარაღდნენ, რომელიც ამტკიცებს, რომ პატრიარქალური სისტემა, თუმცა ეკონომიკურ პირობებთან კი არის დაკავშირებუ-

ლი, მაინც ჩაგვრის დამოუკიდებელ სტრუქტურას წარმოადგენს“ (Ритцер Дж.,Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с. 387).

სოციალისტური ფემინიზმის თეორია ორი შეხედულების – ჩაგვრა კაპიტალიზმის პირობებში და ჩაგვრა პატრიარქალურ სისტემაში – გაერთიანების გზით სოციალური ჩაგვრის ყველა ფორმის ახსნას ცდილობს. ამ მიზნით, კერძოდ, კაპიტალისტური პატრიარქატის ცნება გამოიყენება. მაგრამ უფრო გავრცელებულია ტერმინი ბატონობა, რომელიც ზემოთ („გენდერული ჩაგვრის“ ნაწილში) განისაზღვრა, როგორც მიმართება, როდესაც ერთი – გაბატონებული – მხარე ახერხებს, თავის ნებას და სურვილებს დაუმორჩილოს მეორე მხარე და პირველი მეორის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარს ამბობს. სოციალისტური ფემინიზმის მომხრეები ბატონობას დიდმასშტაბიან სტრუქტურულ წარმონაქმნად, ჯგუფებს შორის ძალაუფლებრივ მიმართებად ან სოციალური აქტორის კატეგორიად მიიჩნევენ. ბატონობის ეს სტრუქტურა ინდივიდუალური სუბიექტების ნებელობით განწყობას, მიზანმიმართულ ქმედებას აყალიბებს და, იმავდროულად, ამ ქმედებებში საკუთარ თავს ქმნის. სოციალისტური ფემინიზმი ქალებს ძირითად ყურადღებას ორი მიზეზის გამო უთმობს. ჯერ ერთი, როგორც ფემინიზმის ნებისმიერი სხვა მიმართულებისათვის ქალის ჩაგვრა ანალიზის პირველხარისხოვანი თემაა. მეორე, ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში და სამყაროს ქალისეული აღქმა ის ასპექტებია, რომელიც საშუალებას იძლევა, ბატონობის სპეციფიკა მის ნებისმიერ ფორმაში განვიხილოთ. საბოლოო ჯამში, ამ თეორეტიკოსებს ჩაგვრის ყველანაირი პრობლემა აინტერესებთ, თან სულერთია, მამაკაცი იჩაგრება თუ ქალი. ისინი ასევე იკვლევენ, თუ როგორ ხდება, რომ ზოგიერთი ქალი განიცდის ზეწოლას და თავად მონაწილეობს სხვა ქალების ჩაგვრაში, როგორც, მაგალითად, ამერიკული საზოგადოების პრივილეგირებული ფენის ქალებთან ხდება, რომლებიც ღარიბებს ავიწროებენ. ფაქტობრივად, სოციალისტური ფემინიზმის მიმდევრების ერთ-ერთი სტრატეგია თვით ქალთა გაერთიანებების ჩარჩოებში ცრურწმენებისა და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევაა.

როგორც კაპიტალისტური პატრიარქატის, ასევე, ბატონობის პრობლემების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ისტორიული მატერიალიზმისადმი თეორეტიკოსების ღია თუ ფარულ მხარდაჭერისთანაა დაკავშირებული, რომელთაც ანალიტიკური სტრატეგია აირჩიეს. ისტორიული მატერიალიზმი მარქსისტული სოციალური თეორიის საყრდენი პრინციპია, რომელშიც ივარაუდება, რომ ადამიანური ცხოვრების მატერიალური პირობები, მათ შორის ამ პირობების შემქმნელი ქმედება და მიმართებები, ადამიანის, პიროვნების იდეებისა და სოციალური წარმონაქმნების გამოცდილების ფორმირების საკვანძო ფაქტორებია; რომ ეს პირობები დროთა სვლაში იცვლება, რადგანაც მათში გარკვეული დინამიკაა ჩადებული; რომ ისტორია ჯგუფური ცხოვრების პირობებში მატერიალური პირობების ცვლილებების და ასევე პრაქტიკაში, პიროვნებაში იდეებისა და სოციალურ განწყობებში შესაბამისი ცვლილებების აღწერაა. ისტორიული მატერიალისტები მიიჩნევენ, რომ სოციალურმა ანალიზმა ჯგუფური ცხოვრების მატერიალური პირობების ცვლილებებს და ამ ცვლილებებსა და ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ცოდნას, პიროვნულ თვისებებს, მოვლენებს, წარმოდგენებს და სოციალურ განწყობებს შორის ურთიერთკავშირი ისტორიულად კონკრეტულ წვრილმანებში უნდა გამოიკვლიოს. ისტორიული მატერიალიზმის, მათთვის საინტერესო ბატონობის საკითხში დაკავშირებებისას სოციალისტური ფემინიზმის წარმომადგენლები ცდლობენ, თავიანთი ამოცანა იმ თეორიის ფარგლებში გააცნობიერონ, სადაც სოციალურად განზოგადებულ განწყობას, ბატონობის პრობლემას იკვლევენ, ამავე დროს, ბატონობის ზუსტი, ისტორიულად კონკრეტული გამოვლენებისადმი მიდრეკილებას ინარჩუნებენ.

ისტორიული მატერიალიზმი სოციალისტური ფემინიზმის დამახასიათებელი ნიშანია, რაც ნიშნავს, რომ მარქსისტულ აზრზე დიდად არის დამოკიდებული. მაგრამ, შენიშნავს ჯ. რიტცერი, „ამ კუთხით სოციალისტური ფემინისტები მარქსიზმზე შორს მიდიან. ეს სამი მომენტით ვლინდება: ისინი ხელახლა განსაზღვრავენ მატერიალურ პირობებს, ახლებურად აფასებენ იდეოლოგიის მნიშვნელობას და თავიანთ ძირითად საგნად ბატონობის პრობლემის განხილვას ირჩევენ. ჯერ ერთი, ისინი ადამიანის ცხოვრების მატერიალური პირობების ცნებას აფართოებენ. მარქსისტებს ამ ცნების ქვეშ, ჩვეულებრივ, საზოგადოების ეკონომიკური დინამიკა (პირველ რიგში), სხვადასხვა სახის საქონლის წარმოებისა და საბაზრო გაცვლის წესების შექმნა ესმოდათ. ისეთი ექსპლუატაციის არსებობაში, რომელიც ერთს ამდიდრებს და მეორეს აღატაკებს, ისინი კლასობრივი უთანასწორობისა და კლასობრივი კონფლიქტების ფესვებს ხედავენ. სოციალისტური ფემინიზმის მიმდევრები არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებას, არამედ სხვა ფაქტორებსაც – განათლებასა და ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებასაც ითვალისწინებენ: ადამიანის სხეული, სქესობრივი ინსტინქტი, მემკვიდრეთა დაბადება და ბავშვების აღზრდა; საოჯახო მეურნეობის მართვა და მასთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი და ნაკლებად შესამჩნევი საოჯახო საქმეები; ემოციური მხარდაჭერა; ცოდნის ფორმირება. ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ექსპლუატაციას ერთისათვის სარგებლობა მოაქვს, მეორისათვის – ზიანი. ბატონობის თეორიის განუყოფელ ნაწილად ყველაზე მთავარი – ცხოვრების უზრუნველყოფისა და ექსპლუატაციისაკენ მიმართული საკითხების სრული მოცვა იქცა“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с. 389).

მატერიალური პირობების ცნების ხელახალ გააზრებას, გააზრებას იმ მარქსისტული შეხედულებისა, რომ „ადამიანები საქონლის მწარმოებლები არიან“, იმ დებულებად ტრანსფორმაციამდე მივყავართ, რომლის თანახმად, ადამიანები ქმნიან და მთელი სიცოცხლე ადამიანის ცხოვრებას ინარჩუნებენ. ცნებების ასეთი გადანაცვლება გვაიძულებს, მარქსიზმის ისტორიულ მატერიალიზმსა და სოციალურ ფემინიზმში ჩამოყალიბებულ ისტორიულ მატერიალიზმს შორის მეორე განსხვავება დავინახოთ. სოციალისტური ფემინიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რასაც სხვა მარქსისტები, აგდებულად, უპატივცემულოდ, მენტალურ მოვლენას ან აზროვნების ფენომენს დაარქმევდნენ: ცნობიერება, მოტივაცია, წარმოდგენა, სოციალურად განპირობებული განსაზღვრული სიტუაცია, ცოდნა, ტექსტი, იდეოლოგია; სწრაფვა, იმოქმედო საკუთარი ინტერესების შესაბამისად ან სურვილი, დაუთმო სხვის ინტერესებს (ზოგადი აღიარებით, ზოგიერთი ნეომარქსისტი, განსაკუთრებით კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები, ასევე ახლებურად აფასებენ იდეოლოგიის მაინტერპრეტირებელ როლს). სოციალისტური ტიპის ფემინისტების თანახმად, ყველა აღნიშნულ ფაქტორს გავლენა აქვს პიროვნებაზე, ადამიანის ქმედებასა და ბატონობის სტრუქტურაზე, რომლებიც ამ ქმედებებში ხორციელდება. ამას გარდა, ამ ასპექტებს აჩენს სოციალური სტრუქტურები, რომლებიც ეკონომიკაში არსებულ საქონლის მწარმოებელ სტრუქტურებთან უშუალოდაა დაკავშირებული და, პირველის მსგავსად, ასევე რთული და გავლენიანებია. ექსპლუატაცია განაპირობებს ნაწილის გამდიდრებას და ძალაუფლების განმტკიცებით ნაწილის გაღატაკებას და მათი ქმედებების შეზღუდვას. პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე პროცესების ანალიზს არსებითი მნიშვნელობა აქვს ბატონობის თეორიისათვის და ის შეიძლება ისტორიის მატერიალისტური პრინციპებით სრულყოფილ იქნას.

სოციალისტური ფემინიზმის მესამე განსხვავება მარქსისტული მოძღვრებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული თეორია ანალიზის ობიექტად არა კლასობრივ ან სოციალურ უთანასწორობას, არამედ მისი ფენომენების ფართო დიაპაზონს მიიჩნევს. სოცი-

ალისტური ფემინიზმის მიმდევრები აღწერენ სოციალურ ორგანიზაციას, სადაც ეკონომიკის, სახელმწიფო წყობის და იდეოლოგიის სტრუქტურები ადამიანთა კვლავწარმოების, საოჯახო ცხოვრების, სექსუალური სფეროსა და სუბიექტურობის ასპექტებთან, რომლებიც ყველა ერთად ბატონობის მრავალწახნაგოვანი სისტემის შენარჩუნებას ემსახურება, რომლის ფუნქციონირება როგორც სტაბილურად გაუფასურებულ სოციალურ ნიმუშებს, ასევე პიროვნებათშორისი ურთიერთობების დახვეწილ ნიუანსებს ეხება – ფარულ, პრივატულ შესაბამისობაშია. ამ სისტემის ანალიზის პარალელურად სოციალისტური ფემინისტები ბატონობის დიდ სტრუქტურებსაც აღწერენ და ჩაგრული ხალხის ყოველდღიური ყოფის დეტალებსაც იკვლევენ. ცვლილებების მათ მიერ მიღებული სტრატეგია ჩაგვრის სხვადასხვა სახის გამოვლენას ეფუძნება, რომელშიც ცდილობენ, მათ მიერ განხილული ხალხიც მოათავსონ, რის შედეგადაც, მათი აზრით, თვით ინდივიდებიცა და ჯგუფებიც საყოველთაო განთავისუფლებისათვის ერთობლივ ქმედებებს სწავლობენ.

სოციალისტური ფემინიზმის ზოგადი თეორიული მიმოხილვა საშუალებას იძლევა, სამი განსხვავებული მიდგომა განვასხვავოთ. პირველი, მატერიალისტური ფემინიზმი გენდერულ ურთიერთობებზეა კონცენტრირებული და თანამედროვე კაპიტალიზმის სისტემის კლასობრივ სტრუქტურაში მის ადგილს განსაზღვრავს, ალბათ იმიტომ, რომ ახლა მან გლობალური მასშტაბები შეიძინა. ამ თეორიის მიმდევრებს აინტერესებთ ის როლი, რომელსაც გლობალური კაპიტალიზმი ასრულებს ქალის ადგილის განსაზღვრაში, და ის, თუ ქალის შრომა კაპიტალისტური სამყაროს კეთილდღეობას როგორ უწყობს ხელს. გლობალური კაპიტალიზმის სისტემაში ქალის შრომა ნაკლებად ფასდება, ვიდრე მამაკაცისა, იმიტომ, რომ პატრიარქალური იდეოლოგია ქალს უფრო დაბალ სოციალურ სტატუსს ანიჭებს. ამას გარდა, რადგან პატრიარქატი მათ პასუხისმგებლობას ოჯახის მეურნეობაზე აკისრებს, ანაზღაურების სფეროში მათთვის ვითარება ნაკლებსაიმედოა, ვიდრე მამაკაცებისთვის და ამიტომ სამუშაოს შოვნა მათ უფრო უძნელდებათ. ეს ორი ფაქტორი ქალს კაპიტალისტთა კლასის იაფფასიან მოგებად გადააქცევს. გარდა ამისა, კაპიტალისტური კეთილდღეობა ქალის უფასო შრომითაა განპირობებული, რადგან დიასახლისად, დედად, მეუღლედ შრომა სამუშაო ძალის კვლავწარმოებას განაპირობებს და ამ კუთხით დანახარჯები იზოგება. ამავე დროს, ქალები კაპიტალისტური მოგების მნიშვნელოვანი წყაროა, რადგან, როგორც დიასახლისები, საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს წარმოადგენენ. სოციალისტური ფემინიზმის მეორე მიდგომა დოროთი სმიტმა და მისმა მოწაფეებმა ჩამოაყალიბეს და მართვის ძალაუფლებრივ მიმართება-დამოკიდებულებებს ეხება – კაპიტალისტური პატრიარქალური ბატონობის განხორციელება კონტროლის სისტემის საშუალებით, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოსა და პრივილეგირებულ პროფესიებზეც (მათ შორის სოციალურ მეცნიერებაზე) ვრცელდება. ამ კონტროლის შექმნის დინამიკა ქალთა ყოველდღიური საქმიანობისა და მატერიალურ ცხოვრებაში მათი როლის მიხედვით შეისწავლება. ბატონობის დამოკიდებულება/მიმართება თავს ქალთა ყოველდღიური კონტროლის სახით იჩენს, რაც მოქცეულია „ტექსტებში“, „საყოველთაო“ მოთხოვნებში, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ მათი შრომის მოდელი შექმნან და მისი შედეგები მიითვისონ. ამ „ტექსტებად“ სამედიცინო დაზღვევის ფორმები, სასკოლო რეესტრის ფორმები, რეკლამის ფორმები გვევლინება, რომელიც მიუთითებს, თუ იდეალური სახლი, ქალის იდეალური სხეული როგორი უნდა იყოს.

სოციალისტური ფემინიზმის დისკურსის მესამე მიმართულება კულტურული მატერიალიზმია. მისი მიმდევრები იკვლევენ, თუ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სიგნალები, სოციალური იდეოლოგია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ადამიანების სუბიექტურ განწყობასთან რა შესაბამისობაშია. როგორ აყალიბებენ და აკონტროლებენ აზ-

როვნებას და მისი ზემოქმედებით კვლავაც როგორ იძენენ განსაზღვრულობას. ასეთი „შეტყობინებების“ შექმნის პროცესის გამოკვლევას კულტურული მატერიალიზმის მიმდევრები ყოველთვის გლობალურ კაპიტალიზმსა და მასშტაბურ სოციალურ კლასობრივ მიმართებებთან/ურთიერთობებთან არ აკავშირებენ. ნაცვლად ამისა, მათ აქცენტი სხეულის ასპექტებზე, მის გამოსახულებაზე, მის საზრისსა და სიამოვნებებზე, ასევე პოლიტიკის, როგორც სოციალური ჯგუფებისა და კატეგორიების წარმომადგენლობისათვის ბრძოლის საკითხებზე მიმართეს. „კულტურული მატერიალიზმი უკუაგდებს ანტიკაპიტალისტურ სისტემურ ანალიზს, რომელიც კულტურის ისტორიასა და მნიშვნელობის წარმოებას კაპიტალიზმის კლასობრივ სისტემასთან აკავშირებს... ნაცვლად ამისა, მისი წარმომადგენლები ყურადღებას თითქმის მთლიანად იდეოლოგიურ, სახელმწიფოებრივ და კულტურულ ქმედებებზე ამახვილებენ, საზრისს სხეულთან და მის სიამოვნებასთან აკავშირებენ ან სოციალურ ცვლილებებს, ძირითადად, წარმომადგენლობისათვის ბრძოლის პოზიციიდან იაზრებენ“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с.391).

სოციალისტური ფემინიზმის მომხრეების შემოთავაზებული ცვლილებების პროგრამა ქალებს იმ შეურაცხყოფის წინააღმდეგ გლობალური სოლიდარობისაკენ მოუწოდებს, რომელიც მათ ცხოვრებასა და მათი ერთობების ცხოვრებაში კაპიტალიზმს შემოაქვს. ფემინისტურ საზოგადოებებს მუდმივი სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ, რათა მათი პრივილეგირებულ ინტელიგენციაში უნებლიე შესვლა არ გამოეპაროთ, რომელიც უშუალოდ კაპიტალიზმის სამსახურში იმყოფება. მათი პროექტი ხალხის მობილიზაციაში მდგომარეობს, რომ აიძულოს სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი რესურსების ხელახალი გადანაწილების ძლიერი საშუალება, ამ გადანაწილებაში აქტიურად ჩაერთოს. ეს საზოგადოებრივი მომსახურების ფართო წრის დახმარებით შეიძლება განხორციელდეს, რომელსაც სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ბავშვებზე ზრუნვა, საცხოვრებელი სისტემა მიეკუთნება; ასევე, საგადასახადო პროგრესული სისტემა, რომელიც მდიდრებისა და ღარიბების შემოსავალს, საზოგადოების ყველა წევრისათვის საარსებო მინიმუმის გარანტიას გაითვალისწინებს. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი მობილიზაცია ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანები სხვების ცხოვრების პირობებს გააცნობიერებენ და მათზე ისე, როგორც საკუთარ თავზე იზრუნებენ. ფემინიზმის მომხრე სოციოლოგი ვალდებულია, ის მატერიალური უთანასწორობა გამოაშკარაოს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას აყალიბებს.

კვეთის თეორია

ეს თეორია იმის გაცნობიერების შედეგია, რომ ქალები განსხვავებული ფორმებით და განსხვავებული დოზით იჩაგრებიან. ეს თეორიები (და ეს არის მათი ცენტრალური საგანი) ამ განსხვავებების შემდეგნაირ ახსნას გვთავაზობენ: მართალია, ყველა ქალი სქესობრივი ნიშნით იჩაგრება, მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის, რადგან არსებული პრობლემა სოციალური უთანასწორობის მრავალ სხვა ასპექტთან გადახლართულად ვლინდება. ეს შეიძლება, როგორც ჩაგვრისა და პრივილეგიების ვექტორებად ან, პ. კოლინზის ტერმინით – „ბატონობის მატრიცად“ იქნეს აღწერილი, რაც არა მხოლოდ გენდერის, ასევე, კლასის, რასის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის და სექსუალური არჩევანის გათვალისწინებას გულისხმობს. ასეთი კვეთის/გადაკვეთის ვარიაციები ქალის ყოფას არსებითად ცვლის, რაც ქალის „ცხოვრების“ შესახებ თეორიის აგებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. კვეთის/გადაკვეთის თეორიის თანახმად, ჩაგვრის კონკრეტულ სიტუაციას თვით კვეთის/გადაკვეთის მოდელი და არა რომელიმე ცვლადის სიდიდე ბადებს. კრეშნაუ, მაგა-

ლითად, ამტკიცებს, რომ შავკანიანი ქალები სამუშაოზე ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას იმიტომ, რომ ისინი „შავკანიანი ქალები“ არიან, მაგრამ მოსამართლეები, ჩვეულებრივ, უარს ამბობენ ასეთი დისკრიმინაციის ფაქტის აღიარებაზე, თუ შეუძლებელია დამტკიცდეს, რომ ეს შემთხვევა არის ზოგადი დისკრიმინაცია, „დისკრიმინაცია სქესით“ (ჩათვალე „თეთრი ქალები“) ან „რასობრივი დისკრიმინაცია“ (ჩათვალე შავი მამაკაცები). ეს ჩაგვრისა და პრივილეგიის ვექტორად იწოდება, შესაბამისად, კვეთის/გადაკვეთის თეორიის ფუნდამენტური დასკვნებია გასათვალისწინებელი, რომელთა თანახმად, პრივილეგიები, რომლებიც ზოგიერთ ქალებსა და კაცებს აქვთ, უკან სხვა ქალებისა და კაცების ჩაგვრად უბრუნდებათ. კვეთის /გადაკვეთის თეორია, არსებითად, ამ მდგრად უთანასწორობებს აფასებს, როგორც იერარქიულ სტრუქტურებს, რომლებიც ძალაუფლების უსამართლო მიმართებებს ეფუძნება. უსამართლობის თემა ამ მიდგომის თანმიმდევრულ კრიტიკულ შემობრუნებაზე მიუთითებს.

განსახილველი თეორია ძალაუფლებასთან იდეოლოგიის კავშირს აღიარებს, რაც გაბატონებულ სუბიექტებს ქვეშევრდომების გაკონტროლების უფლებას აძლევს, როდესაც ისეთ პოლიტიკას გაატარებენ, რომელშიც განსხვავება კონცეპტუალურ იარაღად გადაიქცევა, რაც თავის მხრივ ჩაგვრის გასამართლებლად იქნება გამოყენებული. სოციალურ პრაქტიკაში, გაბატონებული ჯგუფები ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებებს იყენებენ, რათა დესპოტური ქმედებები განსხვავების მაღალ/დაბალი დებულებების მოდელში აყვანით გაამართლონ. სოციალიზაციის პროცესში ადამიანები ასეთ განსხვავებებთან დამოკიდებულებებს არა, როგორც განსხვავების, ინტერესის და კულტურული სიმდიდრის წყაროებთან დამოკიდებულების, არამედ შეფასებითი კუთხით, „უკეთესისა“ და „უარესის“ თვალსაზრისით ითვისებენ. როგორც ლორდი ამტკიცებს, სოციალური ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი აღნიშნული განსხვავების მიუღებლობა აღიარებულია ეკონომიკაში, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი, რომელიც მიმართულია მოგებისაკენ, რამდენადაც მას აუტსაიდერი, როგორც ადამიანთა სიჭარბე, სჭირდება. ასეთი იდეოლოგიით ქმნიან „მითურ ნორმებს“, რომლებთან შედარებით ადამიანები სხვებს და საკუთარ თავსაც აფასებენ. აშშ საზოგადოებაში ეს ნორმა ასეთია: „თეთრი, თხელი, ახალგზრდა მამაკაცი, ჰეტეროსექსუალი, ქრისტიანი და ფინანსურად საიმედო ადამიანი“. ეს საშუალებას აძლევს გაბატონებულ ჯგუფებს, საზოგადოებრივი წარმოება (როგორც ანაზღაურებადი, ასევე უფასო) გააკონტროლონ. გარდა ამისა, ის ინდივიდის სუბიექტური განწყობის ასპექტად გადაიქცევა და რადგან განსხვავება არაა მიღებული, სავსებით შეიძლება იმოქმედოს თვითშეფასების დადაბლებაზე, აისახოს სხვა ჯგუფებიდან ადამიანების გარიცხვაზე და მის საკუთარ ჯგუფში განსაკუთრებულობის კრიტერიუმები – ჯგუფის წევრების დასჯა ან გარიცხვა გამოიწვიოს. ამას აღწერენ, როგორც „გაუცხოებას“: დაქვემდებარებული ჯგუფის მიერ მიღებული განსაზღვრება ეხმარება დაადგინოს, რომ „ვინმე“ იქ არ იქნება მიღებული, თუ რაიმე კრიტერიუმებით ის „სხვაა“. მკვლევრებმა აღნიშნეს, რომ ქმედება, რომელიც ასეთ განსაზღვრებას გულისხმობს, კოალიციას და ერთობლივ წინააღმდეგობას გამორიცხავს.

ჩაგვრისა და პრივილეგიების ვექტორთა განსხვავებული შეჯვარება ჩაგვრის განსხვავებულ ფორმებსა და სიძლიერეს უზრუნველყოფს: „ტანჯვა არაერთნაირია(განსხვავებულია), ტკივილი აღრიცხვადია“. კვეთის თეორიის ჩარჩოებში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ადამიანური ცხოვრების კონკრეტული რეალობის ფორმირება მისი მითითებული ვექტორების გადაკვეთის საშუალებით ხდება. ფემინისტების მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამოკვლევები გენდერისა და რასის, გენდერისა და კლასის, რასის, გენდერისა და კლასის კვეთის, ასევე, გენდერისა და ასაკის, გენდერისა და საცხოვრე-

ბელი ადგილის, გენდერისა და სექსუალური უპირატესობის მინიჭების თაობაზე არსებობს.

ქალები თავიანთი ცხოვრების მატერიალურ პირობებზე რეაგირებენ, ათასნაირ გამართლებას იგონებენ, გადარჩენის სტრატეგიას ქმნიან, ხელისუფლების მხრიდან უსამართლობის გამოვლენებს ეწინააღმდეგებიან. კვეთის თეორიის პროექტი ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობას გულისხმობს, რომელსაც გარკვეული ჯგუფები მათი სპეციფიკური არსებობის ჩარჩოებში შეიმუშავებენ, რაც უთანასწორობის ისტორიულად ჩამოყალიბებული კვეთითაა გამოწვეული და აცხადებს, რომ ასეთი ცოდნა ფემინიზმის განსხვავებულ მიმართულებებშია – იქნება ეს, მაგალითად, „შავი ფემინიზმი“ თუ „ჩიკანას“ (მექსიკოამერიკელი) ფემინიზმი.

კვეთის თეორიის მიმდევრები ფემინიზმის „მეორე ტალღის“ (ასევე – „პირველ ტალღასაც“) ნაშრომებს აკრიტიკებენ, რადგან მათში თეთრი ფემინისტების გამოცდილებასა და ინტერესებს ხედავენ, რომლებიც ჩრდილოეთატლანტიკური საზოგადოების პრივილეგირებულ კლასს განეკუთვნებიან. ამ კრიტიკული ნაშრომების ნაწილი პოსტმოდერნისტულ შრომებს შეესაბამება, თუმცა ამ ფაქტის გაზვიადება არ ღირს. „კვეთის თეორია – ფემინიზმის მოძრაობაში, ერთ-ერთი ძველი ტრადიციაა შეერთებულ შტატებში მაინც; ის სათავეს ქალთა უფლებების შესახებ 1852 წელს აკრონაში გამართულ ყრილობაზე სოჯორნერ ტრუტის გამოსვლაში „განა მე ქალი არა ვარ?“ – იღებს; ასევე – შავკანიანები ქალების მდგომარეობაზე XIX ს-ის 90-იან წლებში შექმნილი მთელი რიგი ნაშრომებისაგან; ამან, თავის მხრივ, მრავალი წიგნის, მათ შორის ანი ჯულიან კუპერის „სამხრეთის ხმა, შავკანიანი სამხრეთისაგან“(1892), ან მერი ჩერჩ ტერელის „ფერადკანიანი ქალი თეთრკანიანთა სამყაროში“(1940) გამოჩენა გამოიწვია. ამ კრიტიკული ნაშრომებმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ ისეთი კატეგორიების ქვეშ, როგორებიცაა, „ქალი“, „გენდერი“, „რასა“ და „ქალთა ერთობა“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с. 395). ამ გამოკვლევებში ყურადღება ექცეოდა ისეთ, თითქოსდა უნივერსალურ საკითხებს, როგორებიცაა „დედობა“ და „ოჯახი“. გარდა ამისა, თეორიული ნაშრომები, კერძოდ, ჩოდოროუსა და ბენჟამინის თეორიული ნაშრომები ხელახლა იქნა გააზრებული, რომლებიც ფსიქოანალიტიკური სოციოლოგიის ჩარჩოებში იყო შექმნილი. კრიტიკამ „თეთრი“ ფემინიზმის მიმდევრები თვით „თეთრის“ ცნების ხელახლა გააზრებამდე მიიყვანა, ის გაცნობიერებულ იქნა, როგორც კონსტრუქცია, ასევე გაჩნდა სურვილი, თუ როგორ მიდის ეს პრივილეგიის დამკვიდრებამდე, რა საქმეები უნდა განხორციელდეს რასიზმის შესამცირებლად და როგორ შეიტანონ წვლილი ერთიანი ფემინისტური მიდგომების შემუშავებაში.

კრიტიკის, გამოკვლევებისა და თეორიული მსჯელობების პროცესში კვეთის თეორია მიადგა ერთ – ერთ მნიშვნელოვან თემას და დღევანდელი ფემინიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას: როგორაა შესაძლებელი, თანხმობაში მოიყვანო ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული ქალების განსხვავების მაჩვენებელი ანალიზი და მიკერძოებული პოლიტიკური პოზიცია, რომლის თანახმად, ქალების გარკვეული ჯგუფები მათთვის დამახასიათებელ თვალსაზრისს იცავენ. გამოთქმა „თვალსაზრისის“ გამოყენებისას პატრიცია ჰილ კოლინზი აზუსტებს, რომ ესაა სამყაროს ხედვა, რომლითაც განსხვავდებიან „სხვადასხვა ერთობის“ ჯგუფები. რაც შეეხება სიტყვას „იზიარებენ“, მარქსის აზრით, ის დაკავშირებულია „ვითარებებთან, რომელთაც ვეხებით და რომლებიც წარსულისგან მემკვიდრეობით გვაქვს მიღებული“. ამგვარად, კოლინზი ასკვნის, რომ „ჯგუფის თვალსაზრისს აყალიბებს არა ესენციალიზმი, არამედ ის ფაქტი, რომ, თუ შავკანიანი აქტივისტის, ფანი ლუ ჰამერის სიტყვებით ვიტყვით, „ამ ტომარაში ჩვენ ყველანი ერთად ვართ“. თუმცა ჩაგვრისა და პრი-

ვილეგიის ვექტორები – რასა, კლასი, გენდერი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სექსუალური არჩევანი – ყოველი ადამიანის ცხოვრებაში იკვეთება. ხსენებული თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთი კვეთის სპეციფიკა საერთო/ზოგადი თვალსაზრისის ჩამოყალიბების დონეზე საგრძნობლად ზემოქმედებს. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობს ამგვარ მტკიცებას, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ჯგუფის არსებობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჯგუფის მიერ საკუთარი ისტორიის შეგრძნება, მისი ყოფნა შედარებით იზოლირებულ, ცნობად სივრცეში და მის შიგნით სოციალური ორგანიზაციების სისტემის განვითარება, აგრეთვე ცოდნა ჩაგვრასთან საბრძოლველად, მაგრამ ჯგუფის პოზიცია არასოდესაა მონოპოლიური და ჰერმეტული: უკვე თვით ფაქტი, რომ ჯგუფი შეიქმნა სხვადასხვა ვექტორების კვეთის წყალობით, ჯგუფის წევრების მიერ საკუთარი თავის რაობის გააზრებაში ვარიაციულობას ნიშნავს. ისინი ხშირად ამოგლეჯილი არიან საკუთრი ფესვებიდან და გადაგდებულნი არიან დიდ გაერთიანებაში სადაც „შინაური უცხოს“ გამოცდილება უვითარდებათ“ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-е изд.-СПБ.: Питер 2002., გვ. 396). გარდა ამისა, საკვლევ ჯგუფში შედის იდეები და ისინი ერთგვაროვანი არაა: მათ ახასიათებთ განსხვავების საკუთარი შინაგანი დინამიკა. მეტიც, ის ხშირად კულტურის „სასაზღვრო ზონაში“ იმყოფება. კვეთის თეორიის მიმდევრები გვაფრთხილებენ, რომ თუმცა ინდივიდუალურ სფეროში კვეთის სიტუაცია და თვალსაზრისი შესაძლებელია გაერთიანდეს, მსგავსი რედუქციონიზმი თეორიულად და პოლიტიკურად საშიშია, რამდენადაც ინდივიდუალური გამოცდილების შემქმნელ არათანაბარი ძალაუფლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის მნიშვნელობას აუფასურებს და პოლიტიკური ცვლილებების აუცილებლობას დღის წესრიგიდან ხსნის.

ცვლილებების პროექტის შემუშავებისას კვეთის თეორიის მომხრეები ჩაგრული ადამიანების ცოდნას და რწმენისა და სამართლიანობის მათ მიერ აღიარებულ ღირებულებებით პრინციპებს მიმართავენ. ეს თეორია იბრძვის, რომ აჩვენოს პროტესტი, რომ იღებს ზომებს, რათა ჩაგრული ერთობის ჩარჩოებში სიტუაცია შეცვალოს, რადგან მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების რწმენა – არა იმ სამართლიანობისა, რომელიც რაციონალურობის ვიწრო ლეგალურ ჩარჩოებში იმყოფება, არამედ იმის, რომელშიც, როგორც სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ ურთერთობებში, პატიოსნების, საკუთარ თავსა და სხვაზე ზრუნვის დადგენილი პრინციპებია გაცნობიერებული.

4. ფემინიზმი და პოსტმოდერნიზმი

1990-იან წლებში პოსტმოდერნისტული იდეებისა და ლექსიკის აკადემიურ ფემინიზმში შეჭრა შესამჩნევი გახდა. მაგრამ პოსტმოდერნიზმს, როგორც სოციალურ თეორიას, ფემინიზმი ნაკლებად იყენებს, ვიდრე, ვთქვათ, ეპისტემოლოგიურ მიდგომას. ასევე შეეძლოთ გამოეყენებინათ, მაგალითად, ემპირიზმი ან ფენომენოლოგია. მიზეზი ისაა, რომ პოსტმოდერნიზმს არა აქვს პასუხი ფემინიზმის მთავარ კითხვაზე – „როგორაა საქმე ქალების შესახებ?“ მისი პასუხი იქნებოდა, როგორც შემხვედრი კითხვა: როგორ აყალიბებთ თქვენ „ქალის“ კატეგორიას ან ცნებას? რიტცერის აზრით, პოსტმოდერნიზმი ფემინისტური თეორიისათვის მნიშვნელოვანია, როგორც „ოპოზიციური ეპისტემოლოგია“, როგორც სტრატეგია, ჭეშმარიტებასა და ცოდნაზე ნებისმიერი თეორიის პრეტენზიებში ეჭვი შეიტანოს.

პოსტმოდერნიზმი შემდეგი დაკვირვებიდან ამოდის: ჩვენ – ანუ ისინი, ვინც ორი საუკუნის შესაყარზე ცხოვრობს – „პოსტთანამედროვეობაში“ შევედით. ეს სამყარო ოთხი ას-

პექტით ხასიათდება: პირველი – ესაა *გლობალური კაპიტალიზმის აგრესიული ექსპანსიის ეტაპი;* მეორე – *ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტება* (ძველი იმპერიების დაშლა, კომუნისტური ბლოკის დანაწევრება, ეთნიკური პრობლემების ზრდა სახელმწიფოებრივ-ნაციონალურ წარმონაქმნებში); მესამეა *ცხოვრების მოდელირება ყოვლისმომცველი ტექნოლოგიით, რომელიც კარნახობს წარმოების წესებს და კონსუმერიზმის დამკვიდრებას ხელს უწყობს;* მეოთხე – ესაა *განმათავისუფლებელი სოციალური მოძრაობების განვითარება, რომლებიც არა კლასს, არამედ იდენტურობის სხვა ფორმებს: ეროვნულ ინტერესებს (რევოლუციური მოძრაობები ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოებში), რასას (აფროამერიკელების მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის); გენდერი (ფემინიზმი, როგორც გლობალური მოძრაობა), სექსუალური ორიენტაცია (ჰომოსექსუალების უფლებები), ასევე, გარემოს დაცვისათვის მოძრაობას ეფუძნება.* შეიძლება განმათავისუფლებელი მოძრაობა პოსტმოდერნიზმის მიერ მოდერნისტული ეპისტემოლოგიისა და თეორიის უარყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია. როგორც ფემინისტი ფილოსოფოსი სიუზან ბორდო გვიხსნის: „ეპისტემოლოგიური ობიექტურობის, დასაბუთების და ნეიტრალური მსჯელობის იდეალებისათვის დამახასიათებელი მიდრეკილებებისა და ილუზიების გაყრასა და გაფანტვაზე, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელი არა ვინმე პროფესიონალი – ინტელექტუალია. თავიდან მოხდა გაყრა... პოლიტიკურ პრაქტიკაში. მისი აგენტები 1960-1970-იანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობები იყვნენ, რომლებიც არა მხოლოდ იმიტომ აღმოცენდნენ, რომ მარგინალური კულტურების ლეგიტიმურობა, დახშული ხმები, აკრძალული დებულებები განეცხადებინათ, აგრეთვე იმიტომაც, რომ ოფიციალური შეტყობინებების რაკურსი და მიკერძოებულობა გამოეაშკარავებინათ... ისტორიული და სოციალური საკითხები: ვისი სიმართლე? ვისი ბუნება? ვისი შეხედულება? ვისი ისტორია? და ვისი ტრადიცია? (ახლა საკვანძონი გახდნენ)“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с. 397).

კითხვამ „ვისი ცოდნა?“ რადიკალურ ტრანსფორმაციას მისცა ბიძგი. ამით ძალაუფლებისა და ცოდნის ურთიერთკავშირისა და ადამიანის ცოდნისაკენ სწრაფვის შესახებ დებატები დაიწყო. პოსტმოდერნისტები უარყოფენ მოდერნისტული გნოსეოლოგიის ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად ადამიანებს, წმინდა გონების წყალობით, შეუძლიათ სამყაროს შესახებ სრულყოფილ და ობიექტურ ცოდნას მიაღწიონ, რაც სინამდვილის ასახვაა, „ბუნების სარკეა“. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპს მთელი რიგი გნოსეოლოგიური შეცდომები აქვს, რომელთა შორისაა, კერძოდ, *ცნება „შემოქმედის ხედვა“, რაც დამკვირვებელს დაკვირვებადი სამყაროს გარეთ ათავსებს; ასევე ამ სამყაროს ჰოლისტური ახსნა, ანუ დიდი მონათხრობი/ნარატივი; ფუნდამენტალიზმი, რომელიც ანალიზის გარკვეულ წესებს უცვლელად ადეკვატურად გულისხმობს; უნივერსალიზმი, რომელიც სამყაროს განმსაზღვრელ ფუნდამენტურ პრინციპებს აფუძნებს; ესენციალიზმი, რომელიც ადგენს, რომ ადამიანებს გარკვეული არსი და უცვლელი თვისებები ახასიათებთ; რეპრეზენტაცია,ანუ დაშვება იმისა, რომ გარკვეული დებულება სამყაროს შესახებ მას ზუსტად ასახავს.* პოსტმოდერნიზმი როგორც „გონების“, ადამიანის ტვინის განუყოფელ, უნივერსალური თვისების არსებობას, ისევე „მოაზროვნე სუბიექტის“, როგორც ცნობიერების არაწინააღმდეგობრივი უნიფიცირებული ფორმის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, პოსტმოდერნიზმი ცოდნის ჩამოყალიბებას, როგორც განსხვავებული დისკურსის მქონე სხვადასხვა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი გამოცდილების მრავალრიცხოვანი შეხედულებებიდან ერთ-ერთს აღწერს, რომელშიც ცოდნისაკენ ნებისმიერი მონოპოლური სწრაფვა ძალაუფლების ეფექტური გამოყენებითაა გამოწვეული. პოსტმოდერნისტები ისეთ გნოსეოლოგიურ ალტერნატივას გვთავაზობენ, როგორიც დეცენტრაცია ანუ დის-

კურსისა და ცოდნის ცენტრში არაპრივილეგირებული ჯგუფის შეხედულებების დაყენებაა; დეკონსტრუქცია , რომელიც სამყაროს ზუსტი ასახვის კონცეფციის წინააღმდეგობრიობას და ისტორიულ განპირობებულობას აჩვენებს. განსხვავება, ანუ ცოდნის კონსტრუქციის განხილვა, არა მხოლოდ იმ კუთხით, თუ რას გვატყობინებს, არამედ იმ კუთხითაც, თუ განსაკუთრებით მოდერნისტული „ან/ან“ ორმაგი ლოგიკის მეშვეობით რას გამორიცხავს ან უკანა პლანზე რას გადასწევს.

ფემინიზმიც და პოსტმოდერნიზმიც აყენებენ საკითხს იმის შესახებ, ვისი ცოდნა ან განმარტება უნდა იქნეს გათვალისწინებული. გარკვეული დოზით, ორივე ამ მიმართულებას დეცენტრაცია და დეკონსტრუქცია ახასიათებს.

ჯ. რიტცერის აზრით, თუ 1960-70-იანი წლების ფემინისტური აქტივისტების პოპულარულ ლოზუნგებს გავეცნობით, „დავინახავთ ბინარული ოპოზიციის გაქრობას – „პიროვნული – ეს პოლიტიკურია“; ტრადიციული კატეგორიებისადმი გამოწვევას – „მამაკაცი ქალს სჭირდება, როგორც ქოლგა თევზებს“; დეცენტრაციაზე აქცენტს – „მოდის ღვთაება და ყმაწვილი, ის(გოგონა) ბრაზობს“; ენის, როგორც კონტექსტუალური და შეფარდებითი მოვლენის გაგება – „თუ ის (გოგო) ამბობს „არა“, ეს გაუპატიურებაა“; სამყაროს, როგორც ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე აგებულის გაგება, „მამაკაცებს ბავშვის გაჩენა რომ შეეძლოთ, აბორტი სიკეთე იქნებოდა“. ფემინიზმის თანამედროვე თეორეტიკოსები პოსტმოდერნიზმში საკუთარი მრწამსის მხარდაჭერასა და გამართლებას, ასევე, დეცენტრაციის და დეკონსტრუქციის გნოსეოლოგიურ და პოლიტიკურ აუცილებლობას პოულობენ. პოსტმოდერნიზმის ლექსიკის გამოყენებით მათ საკუთარი ანალიზი გაამდიდრეს: დისკურსიული პრაქტიკები, დისკურსის ანალიზი, გენეალოგია, კოდი, ინტერტექსტუალობა, რეპრეზენტაცია, ტექსტი, წარმოსახვითი, განსხვავება, ზერეალობა, ცვალებადობა. ამგვარად, პოსტმოდერნისტულმა ეპისტემოლოგიამ ზოგიერთ ფემინისტს შესაძლებლობა მისცა ისეთი სათაურები მიეცა თავისი ნაშრომებისათვის, რომ პრაქტიკაში ისინი „გენდერის დეკონსტრუქციის“ პროექტის სახელით შევიდა, რომელსაც ლიბერალური ფემინიზმის მიმდევრები ქმნიდნენ“ (ჯ, რიტცერი. 2002. გვ. 398). ლექსიკის ასეთი ათვისება (ფემინიზმის მეორე ტალღის ტრადიციებში), რომელმაც შექმნა ლექსიკონი, რათა ქალის ჩაგვრა და მათთვის ძალაუფლების ჩამორთმევა აღენიშნა, სავსებით მისაღებია. ეს არ არის ტერმინოლოგიის გაუაზრებელი მითვისება, ესაა მათი დახვეწილი გამოყენება შენს სფეროში, მათი თავდაპირველი მნიშვნელობის შენარჩუნებით ან ოდნავი შეცვლით. ბევრ ფემინისტს, განსაკუთრებით, რომელთაც ის სფეროები აინტერესებთ, სადაც ტექსტები ფიგურირებს – ვთქვათ, ლიტერატურა, ასევე, სინამდვილის პოსტმოდერნისტული გაგება, გამოხატული ცნებებში „რეპრეზენტაცია“, „ტექსტი“, „დისკურსი“, სოციალური ცხოვრების კონცეფციის ასაგებად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. სოციალური მეცნიერებების სფეროში ფემინისტები ზოგჯერ სოციალური ცხოვრების სურათს, როგორც დისკურსს და პრეზენტაციას გადაიღებენ ან ამ მიმართულებას იმის გასაანალიზებლად გამოიყენებენ, რაც კულტურულ და პოლიტიკურ რეპრეზენტაციებში, რომლებიც ქალთა ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, ცხადად ან ფარულადაა მოცემული. უპირველეს ყოვლისა, პოსტმოდერნისტული „შემობრუნება“ უბიძგებს ფემინიზმის თეორიას, მიემხროს რეფლექსურობას, რაც მას საშუალებას არ მისცემს გადაიქცეს იმად, რასაც თავად უპირისპირდება – ანუ, გავლენიან დისკურსად, რომელიც ესენციალისტური და უნივერსალისტური კატეგორიების დახმარებით ადამიანებს ჩაგრავს. ეს მისწრაფება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფერადკანიანი ქალების, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ საზოგადოებებს არ ეკუთვნიან, ლესბოსელებისა და მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალების მიერ წამოყენებული საკითხებით იმ პრობლემებს ემთხვევა, რომლებიც „დების ერთობის“, „ქალების“, „მესამე

სამყაროს ქალების“, „სქესობრივი ცხოვრების“, „ოჯახის“, „დედობის“ და „სამუშაოს“ მიმართ „მეორე ტალღის“ ფემინისტების ესენციალისტურ სწრაფვებს ახასიათებს. იანა სავიცკი ამტკიცებს, რომ „ფემინისტებს საკმაო საფუძველი აქვთ, მოუწოდონ ფუკოსეული ნეგატიური თავისუფლებისაკენ, ე.ი. თავისუფლებისაკენ, უარვყოთ ჩვენი პოლიტიკური იდენტობა, ჩვენი ვარაუდები გენდერული განსხვავებების და კატეგორიების შესახებ და ფემინიზმისთვის დამახასიათებელ ქმედებებს შევეშვათ. ქალები – პატრიარქალური ძალაუფლების პროდუქტია და, ამავე დროს, ისინი მას ეწინააღმდეგებიან. საკმაო მიზეზები გვაქვს „გონების“, „დედობის“ ან „ქალობისაკენ“ მოწოდების განმათავისუფლებელი შესაძლებლობებისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება გვქონდეს, რადგან ისინიც ასევე ჩვენი ჩაგვრის წყაროები იყვნენ“.

მაგრამ ფემინიზმის პოსტმოდერნიზმთან მიმართებას თავშეკავებული უკმაყოფილება ეტყობა და უპირობოდ მიღებული არაა. მრავალ ფემინისტს მიაჩნია, რომ პოსტმოდერნიზმი განსაკუთრებულობისაკენ მიისწრაფვის და, მაშასადამე, ჩართვის ფემინისტურ პროექტს უშუალოდ უპირისპირდება. ამას პოსტმოდერნიზმის ლექსიკონის გამოუცნობლობა, მისი ადგილი აკადემიურ სფეროში, და არა პოლიტიკურ ბრძოლაში და აკადემიურ დისკურსში მონოპოლური სტატუსის დაკავების გაუცნობიერებელი სწრაფვა მოწმობს. ასევე, პოსტმოდერნისტული გამოწვევის „უბიწობაში“ მრავალ ფემინისტს ეჭვი ეპარება და კითხვას სვამს, შეიძლება კი ის განმათავისუფლებელი ან ცოდნის პოლიტიკის ის ნაწილი იყოს, რითაც პრივილეგირებული აკადემიური კლასი მარგინალური პიროვნებების გამოწვევას პასუხობს, როდესაც დახვეწილ არგუმენტებს მიმართავს იმის დასასაბუთებლად, რომ არანაირ პოზიციას არ ძალუძს, ავტორიტეტულობაზე ჰქონდეს პრეტენზია. ასეთ მიდგომასთან დაკავშირებით კლასიკური გამოთქმა ჰარსტოკს ეკუთვნის: „რატომღაც საკმაოდ საეჭვოდ ითვლება, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ამდენი ჯგუფი... მარგინალური სხვების ხელახლა გააზრებას იწყებს, ჩნდება ეჭვი „სუბიექტის“ ბუნების, ზოგადი თეორიის შესაძლებლობების მიმართ, რომელსაც შეუძლია სინამდვილე ისტორიული „პროგრესის“ კუთხით აღწეროს“. თავშეკავებული მიმართების კიდევ ერთი წყაროა ის, რომ პოსტმოდერნიზმის დეკონსტრუქციისა და განსხვავებების უსასრულო რეგრესზე გაკეთებულ აქცენტს ადამიანები კოლექტიური განმათავისუფლებელი პოლიტიკიდან რადიკალურ ინდივიდუალიზმამდე მიჰყავს, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ „რამდენადაც... ყოველი ჩვენგანი განსხვავდება მეორისაგან და ინდივიდუალურია, მაშასადამე, ყოველი პრობლემა ან კრიზისული სიტუაცია მხოლოდ ჩვენს საკუთარ ან, პირიქით, თქვენს და არა ჩემს პრობლემად ჩნდება“. მთავარი კი ისაა, რომ პოსტმოდერნისტული შემობრუნება ფემინიზმს უთანასწორობის, უსამართლობისა და ჩაგვრის მატერიალური მოვლენებისაგან აშორებს და ნეოიდეალისტური პოზიციისაკენ მიჰყავს, რომელიც სამყაროს, როგორც „დისკურსს“, „რეპრეზენტაციას“, „ტექსტს“ განიხილავს. მატერიალურ უთანასწორობასთან კავშირის გაწყვეტით, პოსტმოდერნიზმმა ფემინიზმი პროგრესული ცვლილებებისაკენ მის მისწრაფებას – ნებისმიერი კრიტიკული სოციალური თეორიის ფუნდამენტურ პროექტს – დააშორა.

5. ფემინისტური სოციოლოგიური თეორია

მოცემულ განყოფილებაში განზოგადებულია ის იდეები, რომლებიც პირდაპირ თუ ფარულად ყველა იმ ფემინისტურ თეორიაშია მოცემული, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ. ამას რიტცერი იმიტომ აკეთებს, რომ ფემინისტური სოციოლოგიური თეორიის ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპის აღწერა უნდა. უპრიანი იქნება, თუ მას ხუთი დამახასიათებე-

ლი – *ცოდნის სოციოლოგიის, საზოგადოების მოდელის, სოციალური ურთიერთქმედების მოდელის, სოციალური გამოცდილების სუბიექტური დონისადმი ყურადღების* და *სოციალური ცხოვრების ამ დონეთა ინტეგრაციის ასპექტით განვიხილავთ.* ასევე, სხვადასხვა დისციპლინების, მათ შორის, სოციოლოგიის, წარმომადგენელი თეორეტიკოსების, იდეებს შევეხებით. განსაკუთრებული გავლენა ბენჯამინის, ჩოდოროუს, პ.კოლინზის და სხვ. შრომებმა მოახდინა.

ცოდნის ფემინისტური სოციოლოგია

ფემინისტური სოციოლოგიის თანახმად, ყოველივე ის, რაც „სამყაროს ცოდნად" იწოდება, ოთხი ასპექტით ხასიათდება: 1. ის მუდმივად პერსონიფიცირებული, ჯგუფებად გაერთიანებული აქტორების პოზიციიდან იქმნება, რომელთა მდგომარეობა სოციალურ სტრუქტურებში განსხვავებულია; 2. ამგვარად, ის ყოვეთლვის მიკერძოებულია და არასოდეს არის აბსოლუტური და ობიექტური; 3. ის ჯგუფის ჩარჩოებში გამოიმუშავება და სხვადასახვა ჯგუფებში, ასევე, ერთი ჯგუფის ჩარჩოებში მოქმედ სხვადასხვა სუბიექტთანაც განსხვავებულია; 4. მასზე გავლენა ძალაუფლებრივ ურთიერთობებს აქვს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვინ – გაბატონებული თუ დაქვემდებარებული ჯგუფი – აყალიბებს მას. ცოდნის ასეთ აღქმას ფემინისტური ეპისტემოლოგიით განსაზღვრული თვალსაზრისი ეწოდება. ფემინისტური სოციოლოგიის თეორია ცოდნის სოციოლოგიით იწყება, იმიტომ, რომ მისი მომხრეები ცდილობენ, სამყარო ქალის თვალსაზრით აღწერონ, გაანალიზონ და შეცვალონ. სოციალურ ურთიერთობებში ქალის დაქვემდებარებული პოზიციის ხაზგასმით დაწყებისას, ფემინისტი-სოციოლოგები აღიარებენ, რომ ცოდნა ძალაუფლების სისტემის ნაწილად გადაიქცევა, რომელიც ცოდნის ქმნადობას აკონტროლებს, რამდენადაც საერთოდ საზოგადოებაში მთელ წარმოებას ხელმძღვანელობს. ფემინისტური სოციოლოგიური თეორია სოციოლოგიურ დისკურსსა და სოციალურ თეორიაში ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეცვლას, ქალის პოზიციის, როგორც სოციალური ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი საყრდენის წინ წამოწევას ცდილობს.

როდესაც მეცნიერი ფემინისტები ქალის თვალსაზრისით სოციოლოგიის შექმნას ცდილობენ, პირველ რიგში ცდილობენ განიხილონ, თუ რა ქმნის ამ თვალსაზრისს. თვალსაზრისი სოციალური ჯგუფის პროდუქტია, რომელსაც თავისი ისტორია და სოციალური ურთიერთობების შესახებ საერთო ცოდნის გამოსამუშავებლად ერთნაირი პირობები აქვს. ფემინისტები იწყებენ იქიდან, სადაც მარქსი შეჩერდა, ჯგუფების სამ ძირითად ტიპს – მესაკუთრეები, მუშაკები და ქალები – გამოყოფენ, რომელთა სოციალური წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესებისადმი განსაკუთრებული მიმართება მათ განსაკუთრებული თვალსაზრისის მქონე ჯგუფად გადააქცევს. პატრიარქატში ქალები, დამოუკიდებლად რასისა და კლასისა, სოციალური კვლავწარმოების ამოცანით (ბავშვების შობა, აღზრდა, საოჯახო მეურნეობის მართვა, საკვების მომზადება, ავადმყოფებზე ზრუნვა, ემოციური და სექსუალური მომსახურება) იყვნენ დატვირთულნი, პატრიარქატი ეს ისეთი ძალაუფლებრივი ურთიერთობებია, სადაც ქალები, როგორც მუშაკები, დაქვემდებარებულნი არიან, რომელთა შრომას ექსპლუატაციას უწევენ და ითვისებენ მამაკაცები. ამასთანავე, პატრიაქალურ წარმოებაში ქალთა, როგორც „კლასის", ერთობა სხვა კლასობრივი კონფიგურაციების, მათ შორის, საკუთრივ კლასობრივი და რასობრივი, წარმონაქმნებით ირღვევა. სოციალური კვლავწარმოებისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალთა საერთო მიმართება, რომელიც დაქვემდებარების/მორჩილების სტრუქტურით ხორციელდება, „ქალის თვალსაზრისის" ფორმირების ფემინისტური მისწრაფების საფუძველს ქმნის. ამავე დროს, სოციალური ძალაუფლების ყოველდღიურ გამოვლინებებში გენდერული უთანას-

წორობა რასობრივი, კლასობრივი, გეოსოციალური, სექსუალური და ასაკობრივი ხასიათის უთანაწორობებთან კვეთაშია/გადაკვეთაშია. ეს ბადებს ჯგუფების რთულ სისტემას, რომელთაც განსხვავებული შეხედულებები და განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ, ჯგუფების, რომელთა ურთიერთობა ცვალებადი განწყობებისა და მრწამსების შესაბამისად ლაგდება და, შესაბამისად, კოალიციების ან ოპოზიციების შექმნასთან მივყავართ. ასეთი კვეთები ქალთა თვალსაზრისის ფემინისტური აღწერისა და ანალიზის აუცილებელი ნაწილია.

ცოდნა, გაგებული, როგორც განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფის პროდუქტი, აყენებს პრობლემას: როგორ შევიმუშაოთ ისეთი ფემინისტური სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც სოციოლოგებისათვის ერთნაირად მისაღები იქნება და ემანსიპაციის სამსახურში ჩადგება, ე.ი. როგორ ავარიდოთ თავი რელატივიზმს, როდესაც ერთი პოზიცია მეორეს გამორიცხავს. ამისათვის, როგორც მინიმუმ, ოთხ სტრატეგიას იღებენ. პირველი – ესაა მტკიცება, რომ „შერეული აღწერა“ მისაღებია. აქ იგულისხმება გამოცდილების შესახებ სხვადასხვა ცოდნის აღწერა, რომელიც განსხვავებული პოზიციების მქონე სუბიექტს ან ჯგუფს აქვს, და ყველა შესაძლებელი სიტუაციის გადმოცემა, მათ შორის, ძალაუფლების დინამიკის შესახებ, რაც სუბიექტს ან ჯგუფს თავისი ვერსიის შექმნაში ეხმარება. მეორე სტრატეგია ისაა, რომ ძალაუფლების არმქონე ან ყველაზე ნაკლები ძალაუფლების მქონე აქტორების ან ჯგუფების აღწერას ან თვალსაზრისს პრივილიგირებული ადგილი ენიჭება. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არათანაბარ ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სისტემაში გაბატონებული ჯგუფების შეხედულებებს მეტი ნდობა და მეტი ტირაჟირება აქვს. ჯგუფების, რომელთაც არა აქვთ ძალაუფლება, დამახასიათებელი თვალსაზრისის გამოვლენა და მათი წინ, პროვილეგირებულ ადგილზე წამოწევა ემანსიპაციის ფემინისტურ პროექტს შეადგენს; ასევე იმით, რომ სოციალური პროცესების გაგების კუთხეს ცვლიან, წარმატებულ სოციოლოგიურ თეორიებს აზუსტებენ. მესამე სტრატეგიის თანახმად, ფემინიზმის თეორეტიკოსს ზუსტად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ის სტადიები, რომელსაც ის გადის, როდესაც ინდივიდის ან ჯგუფისათვის დამახასიათებელი თვალსაზრისიდან განზოგადებული სოციოლოგიური განხილვისაკენ მოძრაობს, რათა ეს ეტაპები აღწეროს, რადგან ასეთი სახის გადასვლა ძალაუფლების აქტია. მეოთხე სტრატეგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: სოციოლოგმა უნდა განსაზღვროს თვალსაზრისი, რომლითაც ის გამოდის და რა სახითაც თავის ტენდენციურობას/მიდრეკილებას (ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით – აქ გამოყენებული სიტყვა partiality – გარდა იმისა, რომ ნიშნავს „მიკერძოებას, არაობიექტურობას“, ასევე „არასისრულეს, ნაწილობრიობას“ ნიშნავს) და ამ უკანასკნელის თეორიაზე გავლენას გაიაზრებს. რამდენადაც ჩვენ „სწორედ ამ სტრატეგიას ვემხრობით, ამდენად უნდა განვაცხადოთ თვალსაზრისის შესახებ, რომლის რაკურსშიც ჩვენ მიერ შექმნილი თეორიული სინთეზი გამოგვყავს. ჩვენი პოზიცია – ესაა სოციალურ მეცნიერებათა სფეროში დაკავებულ შედარებით პრივილეგირებულ მეცნიერ-თეორეტიკოსთა კლასის თავლსაზრისი, რომლებიც ახლა აშშ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ჩვენ ვიცავთ აგრეთვე იმ ქალების პოზიციას, რომელთა ადგილი ჩაგრულთა და პრივილეგირებულთა ვექტორების კვეთითაა განსაზღვრული, რის გამოც რასიზმს, ეიჯეიზმს, ასაკობრივ დისკრიმინაციას (age – ინგ. ასაკი) და ჰეტეროსექსუალურობის დისკრიმინაციულ ზეწოლას საკუთარ თავზე ვგრძნობთ. ჩვენს პოზიციის განსაკუთრებულობაზე გავლენა გარკვეული თვალსაზრისის მქონე განათლებულ ჯგუფებთან მიკუთვნებულობას აქვს, რომლებსაც სიღარიბე და კოლონიური დამოკიდებულების ნიშნები ახასიათებთ. ახლანდელი მდგომარეობის და ოჯახის ფესვების სპეციფიკის მსგავსი გადახლართვა ჩვენს როგორც ინტერესებს, ასევე ღირებულებებს განსაზღვრავს. ჩვენ მიერ დადგენილი სინთეზი

ასახავს სამართლიანი საზოგადოების კონცეფციას, რომელსაც წინ ჩაგვრის თეორია წამოსწევს. მის თანახმად, სამართლიანი საზოგადოება ისაა, რომელიც ყველა ადამიანს ფუნდამენტური უფლებების (სწორედ უფლებების და არა საჭიროების დათმობით და „ღირსეულთათვის" ჯილდოს დაწესებით) განხორციელების შესაძლებლობას აძლევს, საზოგადოებრივი სიკეთის – პროდუქტების, ტანსაცმლის, სახლის, ჯანმრთელობის, მომსახურებისა და განათლების, ძალადობის შიშის ლიკვიდაციამდე, კონკრეტულ ჯგუფში პიროვნების დამკვიდრების და ინდივიდუალური იდენტურობის პოზიტიური შეფასების – სამართლიან წილზე პრეტენზია ჰქონდეთ" (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002. с. 402).

მაკროსოციალური დონე

აქ და შემდეგ მოცემული აღწერა სოციოლოგიაში ზოგადმიღებულ ტერმინოლოგიასა და კონცეპტუალურ ტრადიციებს ეფუძნება: გადმოცემა უზრუნველყოფილია ტერმინებით – მაკროსოციალური, მიკროსოციალური და სუბიექტური დონე. უეჭველია, ბევრს გვაძლევს ფემინიზმის თეორიები, რომლებიც რომელიმე ამ სოციოლოგიურ ტერმინს ეფუძნება, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ თეორიებიდან ჩვენ მიერ გამორჩეული იმ დებულების ფუნდამენტურ კრიტიკას ასახავს, რომელიც სოციოლოგიაში არსებულ მითითებულ თემებთანაა დაკავშირებული. მაგარამ, კრიტიკა ამაზე არ შეჩერდება. ფემინიზმის თეორია ახლა სოციოლოგიის ახალ კონცეპტუალურ ლექსიკონს ქმნის, რომელიც მაკროსოციალურ-მიკროსოციალურ-სუბიექტურ ბიფურკაციის საზღვრებს სცილდება, აჩვენებს, რომ რეალობის ასეთი ხედვა მოძველდა. ამ განყოფილების დასკვნით ნაწილში ჩვენ ყველაზე თანამედროვე კონცეფციებს შევეხებით, რომლებიც აჩვენებს, რომ ფემინისტი სოციოლოგები სოციალური რეალობის წინა მოდელის საზღვრებს არღვევენ. მაკროსოციალური დონის ფემინისტური სოციოლოგია იმ გავლენას აღნიშნავს, რომელსაც სოციალური რეალობის სუბიექტურ აღქმაზე როგორც სოციალური სტრუქტურა (ან მაკროობიექტური წარმონაქმნი), ისე იდეოლოგია (ანუ მიკროსუბიექტურობა) ახდენს გავლენას.

უპირველეს ყოვლისა, ფემინისტური სოციოლოგია ეკონომიკური წარმოების მარქსისტულ ცნებას უფრო ზოგადსოციალურ წარმოებამდე, ე.ი. ადამიანთა მთელი სოციალური ცხოვრების წარმოებამდე აფართოებს. სოციალური წარმოება, ბაზრისათვის საქონლის შექმნის პარალელურად, ფემინიზმის მომხრეთა აზრით, ისეთ მომენტებს გულისხმობს, როგორიცაა საოჯახო შრომის ორგანიზაცია, სადაც აუცილებელი პროდუქტები და მომსახურება იქმნება; სქესობრივი ცხოვრება, სადაც ადამიანის სურვილების დაკმაყოფილება ხდება, ახლო ურთიერთობები ყალიბდება, შექების, სიყვარულის, თვითპატივისცემის ემოციური მოთხოვნილებები კმაყოფილდება; სახელმწიფო და რელიგია, რომლებიც საზოგადოების წესებსა და კანონებს ქმნის; პოლიტიკა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მეცნიერული დისკურსი, რომლებიც სიტუაციის ინსტიტუციონალურ, საზოგადოებრივ განსაზღვრას ადგენს.

ჯგუფთაშორისი ურთიერთობების მარქსისტულ მოდელს, ამ სახით შევსებულსა და გადმოცემულს, სოციალური ორგანიზაციის ფემინისტურ მოდელში ძველებურად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სოციალური წარმოების ამ განსხვავებული სახეებიდან ყოველი ეფუძნება მტკიცებას, რომლის საშუალებით რესურსების მაკონტროლებელი ზოგიერთი სუბიექტები, რაც მნიშვნელოვანია გარკვეული სახის მოღვაწეობისათვის, როგორც გაბატონებული ინდივიდები ან, როგორც „პატრონები" მოქმედებენ, რომლებიც წარმოების პირობებს კარნახობენ და მოგებას მიითვლიან. ყოველ სექტორში წარმოება დაქვემდებარებულთა ან „მომსახურეთა" შრომას ეფუძნება, ვისი ენერგიაც ეხმარება ბატონების ხელ-

მძღვანელობით შექმნილ სამყაროს, რომელთა ექსპლუატაცია მათ შრომით მიღებულ სიამოვნებას ამუქებს. ფემინისტურ თეორიაში მარქსიზმზე უფრო ნათლად ბატონსა და მომსახურეს შორის მჭიდრო კავშირის იდეა გამოიკვეთა, რაც წარმოების საფუძველია და ყველაფერ იმისათვის, რაც აუცილებელია ადამიანთა სოციალური ცხოვრებისათვის, მოსამსახურეთა შრომის შეუცვლელობას განაპირობებს. ბატონობა ექსპლოატაციური ურთიერთობების ჩარჩოებში შეიძლება არა, როგორც იძულება, არამედ, როგორც პატერნალიზმი – სხვა ჯგუფზე მიმართული დისკრიმინაციული ინტენციების მქონე ჯგუფის მიმართ დადებითი ემოციების ერთობა – გამოიხატოს ; პატერნალიზმი ორივე მხარეს ნიღბავს, მაგრამ ბატონობისა და მორჩილის მიმართებას არ ცვლის. სოციალური წარმოება ბატონობა-ექსპლუატაციის მრავალგანზომილებიან სტრუქტურაში გამოიხატება, რომელიც პატრონებსა და მუშაკებს შორის ურთიერთკავშირის კვეთის იერარქიაში კლასს, გენდერს, რასას, სექსს, ძალაუფლებას და ცოდნას აყალიბებს.

სოციალურ წარმოებაში სტრატიფიკაციის ფემინისტური მოდელი კრიტიკულადაა განწყობილი საზოგადოების სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ხედვის წნააღმდეგ, რომლის თანახმად, საზოგადოება როლთა ურთიერთკავშირით დაკავშირებულ ცალკეულ ინსტიტუტთა სისტემაა. ფემინიზმი ამტკიცებს, რომ ეს მოდელი არ არის განზოგადებული, აქ საზოგადოების გაბატონებული ფენების დომინირებული მდგომარეობის: თეთრკანიანები, ასაკოვანნი, მამაკაცის სქესის გამოცდილება აისახება, რომლებიც მაღალ კლასს განეკუთვნებიან. ფემინისტური გამოკვლევები ნათელს ჰფენს, რომ ქალები და სხვა თავიანთ სოციალურ ცხოვრებაში შევიწროებული ჯგუფები როლებს არ იცვლიან. პირიქით, მათი როლები პროპორციულ შესატყვისობაშია, ინტერესები და ორიენტაციები ერთ მთლიანობადაა შერწყმული, რომლის წყალობით, ეს ჯგუფები სოციალური ინტიტუტების ერთ მთლიანობად გაერთიანებას ხელს უწყობენ. მართლაც, გაბატონებული ჯგუფის წარმოების პირობებზე კონტროლის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი წევრების შესაძლებლობა, დაანაწილონ საკუთარი როლური ქცევები, რაც სიტუაციაზე მათ კონტროლს ემსახურება. თუმცა ფემინისტური სოციოლოგია აღნიშნავს, რომ ეს პირობები დამოკიდებულია დაქვემდებარებული სუბიექტების ქმედებებზე, რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი ცხოვრება და ქმედებები დაანაწილონ. მართლაც, ამ დაქვემდებარებულ სუბიექტებს ასეთი დაყოფის შესაძლებლობა რომ მიეცეთ, მაშინ მთელი სამრეწველო სისტემა რთულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში დაირღვევოდა. სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურისაგან განსხვავებით, ფემინისტური მოდელი აღნიშნავს, რომ ქალებისათვის დამახასიათებელი როლების შერწყმა, ზოგადად სხვა ბევრი დაქვემდებარებული („მსახურების“) ჯგუფების ცხოვრების ანალოგიურად, არის ის, რომელთა შრომისაგან ყოველდღიური ცხოვრება შედგება. სოციალური ცხოვრების ორგანიზებაში ასეთი დაქვემდებარებული ჯგუფების როლის გაგება კარდინალურად განსხვავდება იმისაგან, რაც სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს ახასიათებს; მეტიც, ისინი მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრებებითაც განსხვადებიან. სოციალურ ცხოვრებაში ამ ჯგუფების პრიორიტეტული როლი დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი აუცილებელია დღევანდელი საზოგადოებისათვის, ასევე იმასთან, რომ მათი შრომა სამყაროს ინსტიტუციონალური დაყოფის საიმედოობის გრძნობას უძლიერებს მათ პატრონებს.

გარდა ამისა, ფემინიზმი სოციალური ბატონობის სტრუქტურებში იდეოლოგიის დომინირებად როლს ხაზგასმით აღნიშნავს. იდეოლოგია – ეს სინამდვილესა და სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული შეხედულებების რთული აბლაბუდაა. აბლაბუდა, რომელსაც მხარს უჭერს სოციალური ინსტიტუტები და თავად ყალიბდება საზოგადოებრივი ცოდნის სახით, რომელიც მთელს საზოგადოებაზე იმდენად ეფექტურად ვრცელდება, რომ ყოვე-

ლი სოციალური ჯგუფისათვის თავისთავად მისაღები ხდება. ამგვარად, ფემინისტების მიერ განხილული „სოციალური სინამდვილის საჯარო ცოდნა“ არის არა ყველას თანხმობით შექმნილი სოციალური პროდუქტი, არა ყოვლისმომცველი კულტურა, არამედ მხოლოდ საზოგადოების გაბატონებული ფენების ინტერესების და ქმედებების ასახვა და მათი ძალაუფლების ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელი – ასეთი შეხედულება განსხვავდება ტრადიციული მარქსისტულისაგან იმით, რომ, ფემინისტური თვალსაზრისით, იდეოლოგიური კონტროლი – ეს არის ბატონობის საბაზო პროცესი, ხოლო დისკურსსა და ცოდნაზე იერარქიული ხასიათის კონტროლი კი სოციეტალურ დონეზე ბატონობის საკვანძო ელემენტია.

მაკროსოციალური რიგის ფემინისტურ მიდგომაში ცენტრალური ადგილი გენდერული ჩაგვრის მაკროსტრუქტურული მოდელის განსაზღვრას ეთმობა. ფემინიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქალის სხეული სოციალური წარმოებისა და კვლავწარმოების მნიშვნელოვანი წყარო და, მაშასადამე, ექსპლოატაციისა და ზეწოლის საგანიცაა, გენდერული შევიწროება იქმნება იდეოლოგიური სისტემით, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუტებთან და მამაკაცთა ინტერესებსა და გამოცდილებას ასახავს. ამას გარდა, ეს გენდერული იდეოლოგია მამაკაცს, როგორც სოციოკულტურულ ავტორიტეტს გამოყოფს და მას ბატონობის უფლებას მიაწერს, ქალებს კი სოციალური წარმოების ყველა სფეროში მომსახურების ფუნქცია ევალებათ. გენდერული იდეოლოგია ქალებს, როგორც მამაკაცების სურვილის ობიექტს სახავს, რომელთა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შესაბამისი აღნაგობით განისაზღვრება. გენდერული იდეოლოგია სისტემურად ამცირებს და ხრწნის ქალთა სამრეწველო საქმიანობის არსს. ეს მიიღწევა: პირველი – მისი ზოგიერთი ფორმის, მაგალითად, ოჯახში დასაქმების უმნიშვნელოდ ჩათვლით; მეორე – ქალის სხვა ფუნქციების, მაგალითად, დედობის იდეალიზებით; მესამე – ქალის საქმიანობის სხვა არსებითი მხარეებისადმი უყურადღებობით, მაგალითად, საბაზრო საქონლის წარმოებაში მათი წვლილის არად ჩაგდებით. ეს იდეოლოგიური პროცესები სოციალური დაქვემდებარების/მორჩილების ყველა სახის ქმნადობაში, არსებითად, ერთიანია.

კაპიტალიზმი და პატრიარქატი, თუმცაღა ბატონობის სხვადასხვა ფორმებია, მაინც აძლიერებენ ერთმანეთს. მაგალითად, წარმოების ორგანიზება საზოგადოებრივ და კერძო სფეროში და მათი გენდერული მახასიათებლები დომინირების ორივე სისტემას მოგებას აძლევს. კაპიტალიზმის მოგება იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სფეროში ქალის შრომის წყალობით იქმნება სამუშაო ძალა, თან კაპიტალიზმს არავითარი დანახარჯები არა აქვს. გარდა ამისა, ამ სფეროში ქალზე დაკისრებული პასუხისმგებლობა მათ მარგინალურ, მაგრამ იმავე დროს იაფი მუშახელის მისაღებ წყაროდაც გადააქცევს, რაც ხელფასებს ამცირებს. მუშა ქალების ამ ექსპლოატაციისაგან პატრიარქატსაც აქვს მოგება, რამდენადაც ქალების მამაკაცებზე დამოკიდებულებას აძლიერებს. ქალებისათვის საზოგადოებრივ სფეროში შეღწევის წინაღობები იმის გარანტიაა, რომ, თუ გაჩნდა „კარგი“ სამუშაო, მას უთუოდ მამაკაცებს შესთავაზებენ. ის ფაქტი, რომ ქალებს სექსუალურად ავიწროებენ სამუშაოზე და საზოგადოებრივ ადგილებში შეურაცხყოფენ, აღიარებულია არა, როგორც შემთხვევითი და უმნიშვნელო მოვლენა, არამედ, როგორც ძალაუფლების გამოყენების მაგალითი, რაშიც კაპიტალიზმისა და პატრიარქატის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთი უთანასწორობა საზოგადოებრივი და კერძო სექტორის რასობრივი, ასკობრივი და ასევე გენდერული დაყოფით რთულდება.

მიკროსოციალური დონე

მიკროურთიერთქმედების დონეზე ფემინისტური სოციოლოგია (როგორც ზოგიერთი მიკროსოციოლოგიური მიდგომა) ძირითადად ყურადღებას უთმობს იმას, თუ ინდივიდები

ობიექტური პროექტების ან სხვადასხვა სუბიექტების განსხვავებული აზრების გაზიარებისას როგორ ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრებს და ანგარიშში იღებენ. ფემინისტური სოციოლოგიური თეორია ამტკიცებს, რომ ურთიერთქმედების ზოგადმიღებული მოდელები (მაგალითად, სოციალური ბიჰევიორიზმისა და სოციალური დეფინიციონიზმის ჩარჩოებში) აღწერენ, თუ ადამიანები, რომელთაც მიკროსტრუქტურულ დონეზე თანაბარი მდგომარეობა უკავიათ და შესაბამისი ძალაუფლებებიც აქვთ, როგორ ქმნიან საერთო აზრებს და ურთიერთობებს, რათა ერთობლივი პროექტები განახორციელონ. ეს მოდელები აჩვენებენ, სოციალურ სტრუქტურაში გაბატონებული ფენების პრიორეტული პოზიციებიდან გამომდინარე, სუბიექტის ურთიერთობები მის თანაბარ და დაქვემდებარებულ ადამიანებთან როგორ მიმდინარეობს. ფემინისტური თეორია მაინც ვარაუდობს, რომ სტრუქტურაში განსხვავებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების ურთიერთქმედებისას თავს მრავალი ურთიერთობა იჩენს, გარდა იმისა, რასაც ტრადიციულად აღნიშნავენ. მაშასადამე, ამტკიცებენ, რომ ქმედებას უფრო საპასუხო, ვიდრე მიზანმიმართული ხასიათი აქვს, რომ ძალაუფლებრივი განსხვავებები უწყვეტად დგინდება, რომ ბევრი ქმედების საზრისი არ არის ცხადად გამოთქმული ან შეუმჩნეველია, რომ ყოველთვის არაა პირობები, როდესაც კოლექტიური საზრისის შექმნა შესაძლებელია.

ტრადიციული მიკროსოციოლოგია მიზანდასახულად/მიმართულად მოქმედი სუბიექტების მოდელს გვთავაზობს, რომლებიც საკუთარ მიზნებს თვითონვე განსაზღვრავენ და მათ სწორხაზობრივი ქმედებებით ახორციელებენ, რომლის დროსაც ისინი (ინდივიდუალურად ან კოლექტიურად) ცდილობენ, არსებული საშუალებები და დასახული მიზნები შესაბამისობაში მოიყვანონ. ამასთან შედარებით, ფემინისტური გამოკვლევები აჩვენებენ, რომ, ჯერ-ერთი, ქალის ცხოვრება დამოკიდებულია შემთხვევაზე, რამდენადაც ქალები ცვალებადი ვითარების ჩარჩოებში მოქმედებენ, რაც ქორწინების სფეროში არსებულ არამდგრად, მერყევ მდგომარეობებთან, მამაკაცების ნაბიჯებთან, ქალის ცხოვრებაზე ბავშვების წინასწარ განუჭვრეტელ გავლენასთან, განქორწინებასთან, ქვრივობასთან, სამსახურში არამყარ მდგომარეობასთან კავშირშია. მეორე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალები პირდაპირ ვერ მიდიან თავისი მიზნებისაკენ, ისინი ყოველთვის სხვების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ეს თემა მრავალი განსხვავებული სიტუაციების აღწერისას წინა პლანზე წამოიწევს: დედისა და ქალიშვილის ურთიერთობებში არსებული ემოციური და ნათესაური სიმბიოზის ანალიზიდან, ნათესაობით დაკავშირებულ ქალთა ჯგუფების აღწერიდან დაწყებული, ქალის როლური ფუნქციების ანალიზამდე – პედაგოგი, მდივანი, ადმინისტრატორი, ოფისში დამხმარე, ასევე, ქალების მიერ შესრულებული როლების – მეუღლის, დედის, გვარის და ერთობის კოორდინატორის – ანალიზით დამთავრებული. თუ ქალების ქმედებას „საპასუხო“დაერქმევა, ჩვენ ამას პასიურ რეაქციად ვერ აღვიქვამთ; ჩვენ ვქმნით ადამიანების პორტრეტებს, რომლებიც ორიენტირებული არიან არა იმდენად საკუთარ მიზნებზე, რამდენადაც სხვების სურვილების, ქმედებებისა და მოთხოვნილებების დაკვირვებაზე, კოორდინირებაზე, რეგულირებასა და დახმარების აღმოჩენაზე. ამგვარად, მიზანმიმართულად მოქმედი სუბიექტების ტრადიციული მიკროსოციოლოგიური მოდელის ნაცვლად, ფემინისტური გამოკვლევები გვთავაზებენ აქტორების მოდელს, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებში აღმოჩნდებიან იმ ცენტრში, სადაც სხვა ადამიანების ქმედებები გადაიხლართება და „საპასუხო“ ფუნქციას ასრულებენ, პერსპექტივაში კი თავად ხვდებიან იმ ძალების გავლენის ქვეშ, რომელსაც ვერც გადახედავენ და ვერც გააკონტროლებენ.

ტრადიციული მიკროსოციოლოგიური თეორია ვარაუდობს, რომ ურთიერთქმედების ზეწოლა, თანამშრომლობასა და საზრისების შექმნაში იძულება იმდენად დიდია, რომ ერ-

თმანეთთან მიმართებაში სუბიექტები თანასწორობის საფუძველზე მოქმედებენ (თან მაკროსტრუქტურული შეხედულებები გატანილია ფრჩხილებს გარეთ). ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების ფემინისტური გამოკვლევები უკუაგდებენ ასეთ დასკვნას, აჩვენებენ, რომ ისინი მაკროსტრუქტურული კონტექსტის გავლენით ყალიბდებიან. ქალთა ყოველდღიურ ქმედებაზე გავლენა იმ მამაკაცებისადმი მორჩილებას და დაქვემდებარებას აქვს, რომლებთანაც ისინი ურთიერთობის, ურთიერთყურადღების პროცესში, ქორწინებაში, ოჯახში და სამუშაოზე არიან. თანასწორობას ან თუნდაც ბატონობას, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ქალმა, დიდი წინააღმდეგობები თვით ურთიერთქმედების პროცესშივე ექმნება. ეს სტრუქტურული მოდელების გავლენით ხდება, მათ შორის ყველაზე გავრცელებული – გენდერის ინტიტუტია. გენდერული უთანასწორობის მაკროსტრუქტურული ფორმირება, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის წყალობით, რთული სახითაა სტრუქტურირებული. ეს მოქმედებს შრომის არა ზოგად დანაწილებაზე, ვთქვათ, ამოცანის ფორმულირებასა და შესრულებაზე, არამედ ურთიერთობის პროცესის დეტალებზე, იქნება ეს ავტორიტეტის აღიარება, პატივისცემა და თავაზიანობა ქცევისას, მიმართვისას და საუბრის ფორმებისას, დროსა და სივრცეზე შეხედულებებსა და კონტროლისას. ურთიერთქმედების სიტუაციაში გამოვლენილი უთანასწორობის, როგორც თვისების აღიარება, უფრო მძაფრი და ძლიერი ხდება, თუ ანალიტიკურ გეგმაში რასობრივი და კლასობრივი ფაქტორებია ჩართული.

სოციალური დეფინიციონიზმის მომხრენი ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი მთავარი პროცესთაგანი, რომელიც სოციალურ ურთიერთქმედებაში ვლინდება – კოლექტიური მნიშვნელობების კონსტრუირებაა. სუბიექტები, ერთმანეთზე დაკვირვებისას, კომუნიკაციის შედეგად საერთო გაგებამდე მიდიან. ფემინისტები ამტკიცებენ, რომ ამ შეხედულებებს კორექტირება სჭირდება, რადგან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ურთიერთობა მიკროდონეზე – მაკროსტრუქტურის ნაწილია და მის მიერვეა განპირობებული. ქალთა ყოველდღიური ქმედებები და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა გარკვეულ იდეოლოგიურ ფონზე მიმდინარეობს, რაც ყოველდღიური ცხოვრების არსის საზოგადოებრივ გაგებასთან ან სოციალური ინსტიტუტების ჩარჩოებში მის გაცნობიერებასთანაა დაკავშირებული, ამას კი ქალთა გამოცდილებაში თავის მადეფორმირებელი კორექტივები შემოაქვს. ეს იდეოლოგია აყალიბებს მნიშვნელობებს, რომლებიც ამა თუ იმ ქმედებებს მიეწერება. მამაკაცები (გაბატონებული სუბიექტები) ქალებთან ურთიერთობაში მათ ქცევებს იმ საზრისს მიაწერენ, რაც გენდერული იდეოლოგიის მაკროსტრუქტურითაა განსაზღვრული; ისინი განწყობილნი არ არიან, ქალთა ქმედებები მიუკერძოებლად ან მაკროდონის სხვა მოდელების საფუძველზე განმარტონ. ქალები, იმავე იდეოლოგიური ინტერპრეტაციის სივრცეში მოქცეულნი, ამ იდეოლოგის საკუთარ რეალურ ცხოვრებასთან შედარებისას, დიალექტიკურად დაძაბულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ეს მნიშვნელობების უზარმაზარ რაოდენობას ბადებს. სოციალური დეფინიციონიზმის თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ დროის დიდ მონაკვეთში ურთიერთობის მქონე სუბიექტები საერთო თვალსაზრისის გამოხატვას იწყებენ ან გაგების საერთო სისტემას ქმნიან. ფემინისტური გამოკვლევები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის ყველაზე ხანგრძლივ, ყველაზე ინტიმურ კავშირს – ქორწინებას ეხებიან, აჩვენებენ, რომ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, პარტნიორები უცხონი რჩებიან ერთმანეთისთვის და აბსოლუტურად განსხვავებული საზრისის მქონე სამყაროებში იმყოფებიან. ასეთი „გა – უცხო – ება“ მამაკაცებს, რომლებიც კონტროლისა და დომინირების საკუთარ ინტერესებს იცავენ, უფრო ახასიათებს, ვიდრე ქალებს, რომლებიც იძულებული არიან, მხოლოდ შეეწყონ/შეეგუონ იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც მათი ბატონი – მეუღლეები წინ წამოსწევენ.

დემოკრატიის ეთოსი ურთიერთქმედების როგორც სოციალურ-დეფიციონისტურ, ისე სოციალურ – ბიჰევიორისტულ აღწერას აყალიბებს. ტრადიციული მოდელები ვარაუ-

დობენ, რომ ადამიანები თანაბარი შესაძლებლობებითა და თავისუფალი არჩევანით არიან დაჯილდოებულნი, როდესაც საკითხი ურთიერთქმედების პროცესში ჩართვას, შეწყვეტას ან საერთოდ დასრულებას ეხება. ფემინისტური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ის ურთიერთქმედებები, როდესაც ქალებს თავისუფლად შეეძლოთ სხვა ადამიანებთან ერთად მათი ცხოვრებისეული გამოცდილების ამსახველი საზრისები შეემუშავებინათ, მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ისინი ანალოგიური მდგომარეობის მქონე ქალებთან ურთიერთობენ. გარდა ამისა, ასეთი მეგობრობა უაღრესად მიმზიდველია ქალებისათვის, პრაქტიკული, ემოციური და მსოფლმხედველობრივი მხარდაჭერის თვალსაზრისით, რომელსაც ის უზრუნველყოფს. მაგრამ ქალებს არა აქვთ უფლება, ასეთ გარემოში თავისუფლად შევიდნენ. კანონი, იდეოლოგია, ზეწოლა ურთიერქმედების სფეროში ამ ურთიერთობებს ზღუდავს და მათ მნიშვნელობას ამცირებს, ასე რომ, ეჭვი ასეთი კავშირების მიმზიდველობაში თავად ქალებს შეაქვთ. მაშასადამე, ასეთი სახის კავშირები თავისუფალი და ღია არჩევანი არაა, ჩაკეტილია და უცხო თვალთაგან ურთიერთობებისა და საზრისის დადგენის სფეროს მიერ დამალულ-დაფარულია.

ბოლოს, ურთიერთქმედების ფემინისტურ ანალიზში ქალებსა და მამაკაცებს შორის ის განსხვავებებია ხაზგასმული, რომლებიც სიღრმისეული ფსიქიკური სტრუქტურების თვალსაზრისითაა ახსნადი. მამაკაცების აღზრდა ინდივიდუალიზაციას ხელს უწყობს და ქალის საწყისის უარყოფამდე მივყავართ; მამაკაცებს ბავშვობიდან ესმით, რომ მათი სწრაფვა უპირატესობისაკენ ნიშნავს, რომ მათ თავი ქცევის ქალური ეტალონებისაგან შორს უნდა დაიჭირონ. ამგვარადვე, ქალები ადრევე იგებენ, რომ ქალის ერთ-ერთი მოვალეობაა – მამაკაცებთან და ერთმანეთთან ურთიერთობაში – აღიარონ სხვა ადამიანის პიროვნება იმ ჟესტების წყალობით, რომლებიც ურთიერთობაში ვლინდება: ყურადღების მიქცევით, კომენტარებით გაკეთებულზე, საქმეში ჩახედულობის დემონსტრირებითა და დადებითი შეფასებებით. ასეთი სახის ქცევა გავრცელებულია, ამით არა მხოლოდ გენდერული ინტერაქციები, არამედ ერთი სქესის შიგნით არსებული ურთიერთქმედებებიც აიხსნება. ქალები ხშირად უფრო გულისხმიერები არიან სხვების მიმართ, სხვათა სურვილებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებენ. მამაკაცებს, საკუთარი გეგმების რეალიზებისას, თავისი ქცევის განსაზღვრის უფლება – მოვალეობის გრძნობა უფრო გამძაფრებული აქვთ, სხვა ადამიანების მიმართ გამოვლენილი გულისხმიერება – დიდსულოვნების აქტია და არა ურთიერთქმედების პროცესში მათგან მოსალოდნელი ქცევის ნაწილი.

სუბიექტურობა

სოციოლოგიური თეორიების უმრავლესობაში სოციალური გამოცდილების სუბიექტურ დონეს მიკროსოციალურ ქმედებებთან (მიკროსუბიექტურობა) ან (როგორც „კულტურას“ ან „იდეოლოგიას“) მაკროდონესთან (მაკროსუბიექტურობა) აკავშირებენ. ფემინისტური პოზიციის სოციოლოგები აცხადებენ, რომ სუბიექტური მიზნებისა და მიმართებების ინდივიდუალური ინტერპრეტაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალკეული დონე. ეს მოთხოვნა ქალის ცხოვრების განხილვიდან გამომდინარეობს და დაქვემდებარებული/მორჩილი ჯგუფების ცხოვრების ანალიზისათვის საკმაოდ მისაღებია. დაქვემდებარებულობისას/მორჩილებისას ქალები განსაკუთრებით თავიანთი გამოცდილების სუბიექტურობას აცნობიერებენ, რადგანაც მათი საკუთარი განცდები გავრცელებულ კულტურულ და მიკროურთიერთქმედებებში დამკვიდრებულ განსაზღვრებებთან წინააღმდეგობაში ძალიან ხშირად მოდიან. როდესაც სოციოლოგები სუბიექტურობის დონეს განიხილავენ, ჩვეულებრივ ეს ესმით, როგორც მიკროსოციალურის ნაწილი და ყურადღებას ოთხ

მთავარ კითხვას აქცევენ: 1. სხვისი ცოდნისა და როლის მიღება; 2. ერთობის ნორმების ათვისების პროცესი; 3. „მე“-ს, როგორც სოციალური აქტორის ბუნება; 4. ცნობიერების ბუნება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ ნაწილში ამ ასპექტების ფემინისტური გაგების ანალიზია მოცემული.

პიროვნების ტრადიციული სოციალური მოდელის თანახმად (მიდისა და შუტცის მიერ შექმნილ ვარიანტში), ამა თუ იმ როლში შესვლისას სუბიექტი საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვას სწავლობს, იმათი, რომლებიც მეტ-ნაკლებად მის მსგავსად ითვლებიან. მაგრამ ფემინისტური სოციოლოგია ამტკიცებს, რომ სოციალიზაციის პროცესში ქალები საკუთარი თავის ხედვას მამაკაცის თვალით სწავლობენ. თუ „მნიშვნელოვანი სხვა“ ქალია, უპირატესობა მასზე და ქალზე საერთოდ მაინც მამაკაცის წარმოდგენას ენიჭება. ქალების მხრიდან საკუთარი როლის ათვისებაზე გავლენა აქვს იმ ფაქტს, რომ, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ნამდვილად სხვისი როლი უნდა შეისწავლონ და არა, უბრალოდ, რომელიმე სხვა სუბიექტისა, რომელიც ბევრად ჰგავს მას. სხვა – ქალისათვის არის მამაკაცი და ის მისთვის უცხოა. სხვა მამაკაცისათვის – პირველ რიგში, გენდერული ნიშნებით მათი თანატოლი მამაკაცი არის, რასაც კულტურაში არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ ინდივიდუალურ ცხოვრებაში ჩაგვრისა და პრივილეგიების ვექტორების კვეთა ამ ფორმულას კიდე უფრო ართულებს.

როლის მიღება, ჩვეულებრივ, როგორც ერთობის ნორმების ათვისების უმაღლესი წერტილი განიხილება, როდესაც სოციალური აქტორი ცდილობს, „განზოგადებული სხვის“ როლი მიიღოს, რომელიც სუბიექტის და მისი სოციალური ცხოვრების მიკრო-მაკრო დონეთა ერთობლიობის მიერ შექმნილი კონსტრუქტია. სიტყვა „სხვა“-ს მხოლობითში გამოყენება ნიშნავს, რომ მიკროსოციოლოგიის მიმდევრები განზოგადებულ „სხვა“-ს, როგორც მოლოდინთა ერთადერთ, მთლიან, კოჰერენტულ გამომხატველს განიხილავენ. მაგრამ ფემინისტების მიხედვით, პატრიარქალურ კულტურაში, სადაც მამაკაცები მბრძანებლობენ, „განზოგადებული სხვა“ იმ ერთობაში მიღებული ნორმების ჯამია, რომელშიც მამაკაცები ბატონობენ და იძულებულნი არიან, ქალი მამაკაცებთან მიმართებაში „რაღაც უფრო მცირედ“ ან „არათანატოლად“ ჩათვალონ. რა დონითაც ქალი „განზოგადებული სხვის ფორმირებაში“ მონაწილეობისას საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების ზუსტად ასახვას მოახერხებს, შესაბამისი დონით მისი საკუთარი ღირსებისა და თვითშემეცნების შეგრძნებას ამცირებს. ფემინისტური თეორია უარყოფს თეზისს, რომლის თანახმად, ადამიანთა უმრავლესობისათვის „განზოგადებული სხვის“ ერთიანი ხატი არსებობს. დაქვემდებარებული სუბიექტი ორ სამყაროს შორისაა მოქცეული: ერთი, რომელიც „სხვის“ დომინირებადი ხატის თვისებებით, მნიშვნელობის შესაბამისი სისტემის მიერ იმართება, და მეორე, რომელიც ასეთი განზოგადებისა და სტანდარტების ალტერნატიული შეხედულებების წამომყენებელ „ძველთაძველ ჯგუფებში“ მის მიერ დაკავებული ადგილით განისაზღვრება. განზოგადებული სხვის მოდელების სიმრავლის გააზრება არსებითია როგორც პიროვნებად ყოფნის სირთულის გაგების კუთხით, ასევე, თვითრეალიზაციის თვალსაზრისითაც.

მიკროსოციოლოგიის მიმდევრების მიერ გაკეთებული აღწერის თანახმად, სოციალური აქტორი ყოველდღიურ სინამდვილეს, როგორც კერძო ინტერესების ქვემდებარეს უყურებს. ფემინისტ-სოციოლოგი აღნიშნავს, რომ: ქალები თავიანთი სტატუსით შეიძლება იმდენად შეზღუდული აღმოჩნდნენ, რომ საკუთარი გეგმების აგების იდეა ამ სამყაროში უსაზრისობისა და წმინდა მჭვრეტელობითობის ფარგლებს ვერ გასცდება. გარდა ამისა, ქალებს შეუძლიათ არ ჩათვალონ, რომ ცხოვრებისეული სამყარო რაღაც ისეთია, რომლის ათვისებაც კერძო ინტერესების შესაბამისად ხდება. სოციალიზაციის შედეგად ისინი ალ-

ბათ გააცნობიერებენ სამყაროს, როგორც ადგილს, სადაც სუბიექტი სხვა აქტორების განსხვავებული ინტერესების აწონ-დაწონას და გაწონასწორებას შეძლებს. ქალებს სივრცის გარკვეული სფეროს დამოუკიდებლად გაკონტროლების გამოცდილება არ აქვთ. ანალოგიურია მათ მიერ დროის გაგებაც, რომელიც „პირველი – ე.ი. პირველი" ელემენტარულ მოდელში იშვიათად ჯდება, რადგანაც მათი ცხოვრებისეული რეალიზება სხვათა ინტერესებისა და პროექტების გაწონასწორება, აწონ-დაწონებისაგან შედგება. ამგვარად, ქალებს შეუძლიათ გეგმის დასახვა და ქმედება, სხვადასხვა – საკუთარსა და სხვების – ინტერესებზე იზრუნონ; შეუძლიათ იმოქმედონ თანამშრომლობის ინტერესებისათვის, ოღონდ არა ხელმძღვანელობის; შეუძლიათ როლების არსებული ბალანსი არა, როგორც კონფლიქტი, არა, როგორც როლური დანაწევრება, არამედ, როგორც სოციალურ ცხოვრებაზე რეაქცია აღიქვან.

ფემინისტური სოციოლოგია ყოველდღიურობაში ცნობიერების მთლიანობის შესახებ თეზისს კრიტიკულად მიუდგა, რაც ტრადიციული მიკროსოციოლოგიის მომხრეებს მისაღებად მიაჩნიათ. ფემინისტური სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ქალებს „გაორებული ცნობიერება" ახასიათებთ, რისი შედეგიცაა ე. წ. „გაყოფის ხაზი", რომელიც მათ პირადად განცდილ, გააზრებულ გამოცდილებასა და ამ გამოცდილების ზოგადად მიღებულ სოციალურ აღწერებს შორის გადის". ამგვარად, დაქვემდებარებული სუბიექტისათვის ყოველდღიურობა ორი სახის სინამდვილედ იყოფა: ერთი მხრივ – რეალურად განცდილი და გააზრებული, მეორე მხრივ – სოციალური მოდელების არსებობა. ქალები, რომელთაც ესმით, თუ რამდენად განსხვავდება მათი საკუთარი გამოცდილება ურთიერთობაში მყოფი მამაკაცების გამოცდილებისაგან, პიროვნების გაორებას არ დაუშვებენ. როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური არსებები, რომელთა ქმედებები მთლიანად პატრიარქატით არ რეგულირდება, ქალები განასხვავებენ დროს, როგორც განცდილ გამოცდილებას და დროს, როგორც სოციალურ მოვალეობას. პიროვნების ფემინისტური სოციოლოგია, ალბათ, თავიდან დააყენებდა კითხვას: როგორ ახერხებენ ადამიანები გადარჩენას, თუ მათი საკუთარი გამოცდილება სოციალურად დადგენილ გამოცდილებას არ შეესაბამება? ნაწილი ამ რთული კითხვის პასუხზე თავის არიდებით გადის იოლად. სხვები აცნობიერებენ ინდივიდუალურ ტიპებს, რათა საკუთარი გამოცდილება გაიაზრონ; მესამენი – გაორებული სინამდვილის მიმღებ სხვებთან საერთოს მოძებნას ცდილობენ; მეოთხენი – საკუთარი გამოცდილების საფუძვლიანობას უარყოფენ.

ქალების პიროვნებასთან დაკავშირებული წარმოდგენილი განზოგადებული შეხედულებები ყველა სხვა დაქვემდებარებული/მორჩილი სუბიექტის პიროვნების მიმართ ასევე სამართლიანია: 1. მათ მიერ როლის მიღებას ართულებს იმის გაგება, რომ აუცილებელია მიიღოს სხვისი მოლოდინები, რომლებიც ძალაუფლების ფლობის ძალით სხვა არის; 2. ისინი დაკავშირებულნი არიან არა ერთ, არამედ მრავალ განზოგადებულ სხვასთან, რაც როგორც ძლიერი ჯგუფების კულტურას, ასევე განსხვავებულ სუბკულტურებს ახასიათებს, რომლებიც ნაკლებ ძალაუფლებას ფლობენ ან საერთოდ არ აქვთ რაიმე ძალაუფლება; 3. ისინი თავს მიზანმიმართულად მოქმედ სუბიექტებად არ გრძნობენ, რომელთაც ძალუძთ ააწყონ თავიანთი ცხოვრება, თუმცა მათ (პირველ ყოვლისა, ამერიკული ეთოსის საზღვრებში) ყოველთვის ჩასჩიჩინებენ, რომ მათ ეს შეუძლიათ; 4. ისინი ცხოვრობენ გაორებული ცნობიერებით, იმ გაყოფის შეგრძნებით, რომელსაც მათ საკუთარ გამოცდილებასა და გაბატონებული კულტურის მიერ მიღებულს შორის აქვს ადგილი.

წინამდებარე განხილვა გულისხმობდა მთლიან სუბიექტს, ე.ი. ინდივიდს (ქალს ან მამაკაცს), რომელსაც უწყვეტი მოძრავი განვითარებული ცნობიერება და თვითცნობიერება ახასიათებს. მთლიან სუბიექტზე შეხედულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფემინისტუ-

რი თეორიისათვის, რადგან სწორედ ასეთ სუბიექტს შეუძლია განიცადოს ტკივილი და ჩაგვრა, სწორედ ის აკეთებს ღირებულებით/შეფასებით მსჯელობებს, ან სწორედ ის უწევს წინააღმდეგობას ან ურიგდება არსებულ ვითარებას. მთლიანი სუბიექტი სოციალური ცვლილებების მნიშვნელოვანი აგენტია. მაგრამ ჩვენ გვაიტერესებს, რამდენადაა მთლიანი ასეთი სუბიექტი; წინ გამოდის სუბიექტის პრობლემა, ვისი განზოგადებული სხვა – ნამდვილად „სხვაა“ ან „უცხოა“, სუბიექტისა, რომელიც არაერთ განზოგადებულ სხვას, მრავალ ასეთ სახეს უპირისპირდება და ეჯახება, სუბიექტისა, რომლის ცნობიერება გაორებულია, ხოლო განვითარების და ცვლილების უნარის მქონე პიროვნება უფრო, როგორც პროცესი და არა პროდუქტი უნდა განიხილებოდეს. „მე“-ს, როგორც ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარის, რომელიც მთლიანი არ გახდება, ასეთი გაგება პიროვნების ფემინისტურ თეორიებს ახასიათებს. მეტიც, ეს წინააღმდეგობისა და ცვლილებების ფემინისტური იდეების არსია. „მე“, როგორც დანაწევრებულის გაგება, განსაკუთრებით ძლიერ კრიტიკულ პოსტმოდერნისტულ ფემინიზმშია მიღებული (ზემოთ გვაქვს განხილული), რომლის მიმდევრებსაც „ერთიანი სუბიექტის ან ცნობიერების“ შესაძლებლობაში საერთოდ ეპარებათ ეჭვი. მაგრამ თუ პიროვნება, ნებისმიერი „მე“ მუდმივ ცვლილებას განიცდის, თუ ყოველ წუთს შეიძლება ითქვას, რომ „ეს მე არა ვარ“, მაშინ საერთოდ როგორაა შესაძლებელი პიროვნების დამკვიდრების საფუძვლის ძიება? ფემინისტები, რომლებიც პოსტმოდერნისტებს აკრიტიკებენ, ქალის ყოველდღიური ცხოვრების გამოკვლევას მიმართავენ. გამოთქმისას: „მე მაშინ საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი“, ან „მე დღემდე ვერ მოვედი გონს“, ისინი რაღაც მდგრადის „მე“-ს არსებობას უშვებენ, რომელსაც ისინი დაშორდნენ და, მეტიც, თვით ამ დებულებით ნავარაუდევია ისეთი „მე“-ს არსებობა, რომელმაც თავისი ამ გადახრების შესახებ იცის.

განზოგადებული თეორიისაკენ

ფემინისტურ სოციოლოგიურ თეორიაში შექმნილი სოციალური ორგანიზაციის სურათი განზოგადებული ხასიათისაა. ის ეკონომიკურ მოღვაწეობას სოციალური წარმოების სხვა სახეებთან (ბავშვების აღზრდა, ემოციური მხარდაჭერა, საოჯახო მეურნეობის მართვა, სქესობრივი ცხოვრება და ა.შ.) აერთიანებს; მატერიალურ წარმოებას იდეოლოგიურ წარმოებასთან დაკავშირებულად მიიჩნევს; ავტონომიური სოციალური ინტიტუტების თავისუფალ ინდივიდუალურ ქმედებებსა და მიმართულებებთან გადახლართვას აღწერს; სტრუქტურას ურთიერთქმედებებსა და ცნობიერებასთან აკავშირებს. სინამდვილის ამგვარი წარმოდგენით, ფემინისტური სოციოლოგიური თეორია სოციოლოგიური აზრის ორ დიხოტომიას: სტრუქტურისა და ნებელობის შეფარდებასა და „მიკროდონისა“ და „მაკროდონის“ გაყოფის საკითხებს მიმართავს.

პირველი საკითხი – ესაა დავა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიგოს სოციოლოგიური ახსნა-განმარტება იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ამ ახსნისათვის თავისუფალ ქმედებას (ადამიანები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებლად მოქმედებენ, სოციალურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენენ) ან სტრუქტურას აქვს. ფემინისტური სოციოლოგიური თეორია ამ პრობლემების განხილვაში ჩაერთო, სტუქტურასა და ნებას შორის ურთიერთკავშირებს სოციალურ ცხოვრებაზე ფემინისტური თვალსაზრისის პოზიციიდან იკვლევს, როგორც იმას, თუ რას განსაზღვრავს კონფლიქტი თავისუფლებისათვის ბრძოლასა და ჩაგვრას შორის. ერთი მხრივ, ფემინისტური თეორია საუბრობს პატრიარქატის, კაპიტალიზმის და რასიზმის დიდ და მდგრად შემზღუდავ სოციალურ სტუქტურებზე; მეორე მხრივ, მას ყურადღება – ოპოზიციურ პოლიტიკაზე, ხოლო მეთოდოლოგიაში პერსონიფიცირებულ სუბიექტზე აქვს გამახვილებული, ადამიანური ქმედებების მნიშვნელობას ის-

ტორიაში და მათ როლს სოციალური ანალიზისათვის ფემინისტური თეორია ამ გზით ამ-კვიდრებს. ინდივიდები ძალაუფლებრივ სივრცეში მცხოვრებ და მოქმედ აქტორებად მოი-აზრებიან, ძალაუფლებისა, რომელიც მათ ქმედებებს განაპირობებს და რომელსაც ისინი თავიანთი ქმედებებით კიდეც ებრძვიან და კიდეც კვლავ აწარმოებენ. სოციალური ცხოვ-რება აღიქმება, როგორც ჩაგვრის აქტების ჯაჭვი, რასაც აგენტები ახორციელებენ, თანაც მათი მოვალეობა, აღადგინონ ბატონობის სისტემა, გაგებულია, როგორც აუცილებელი პირობა, თუნდაც რომ ამ აქტების ახსნა-განმარტება სოციალური სტრუქტურებით შესაძ-ლებელი იყოს. სოციალური ცხოვრება შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ინდივიდუალუ-რი, ისე ჯგუფური რეაქცია შევიწროებაზე: დაძლევა, უარყოფა, გამოწვევა, ჩამოგდება, პროტესტი, წინააღმდეგობა – როგორც წინააღმდეგობის პოლიტიკა, რომლის დროსაც ინ-დივიდუალური და კოლექტიური ქმედებები ბატონობის სტრუქტურებსა და აგენტებს უპირისპირდება. ამ ოპოზიციური პოლიტიკისათვის არსებითი მნიშველობა სხვადასხვა ჯგუფების თვალსაზრისების არსებობას და მათ მდგრადობას აქვს. ეს თვალსაზრისები სა-ზოგადოების გაგების წესებს წარმოადგენს, რომლებიც სოციალურ-სტრუქტურული დად-გენილებებიდან აღმოცენდა, რაც ბატონობის სისტემის ან მისდამი წინააღმდეგობის ინ-დივიდუალური ან ჯგუფური კვლავწარმოების მოტივს ქმნის. თუ სტუქტურული დეტერ-მინიზმის მომხრე ამტკიცებს, რომ თვალსაზრისი სოციალური სტრუქტურის პროდუქტია, ფემინისტური ანალიზი მიუთითებს ადამიანის უნარის რაღაც სასწაულსა და საიდუმლოე-ბაზე – ჰქონდეს იმედი და იმოქმედოს უკეთესობის მისაღწევად ყველაზე მკაცრი ჩაგვრის პირობებშიც კი. ბოლო მიდგომა სტრუქტურების მიმართ პერსონიფიცირებული ინდივი-დუალური სუბიექტების ემოციურ აღქმადობას, შემოქმედებითი მიზნების მიმართ გაბრა-ზებისა და რისხვის რეაქციების გამოხატვის მათ უნარს უსვამს ხაზს. ემოციური რეაქცია გაბრაზების სახით – და სურვილი, დაუპირისპირო ის უსამართლობას – ან სამართლიანო-ბის მოთხოვნა შეუძლებელია მათი ჩაგვრის წარმომქმნელი სტრუქტურებით აიხსნას. ამ მტკიცებით ფემინიზმი გამოხატავს იმედს განმათავისუფლებელ პოლიტიკურ მოღვაწეო-ბაზე და იმ თეორიული პრობლემატიკის გადაჭრას გვთავაზობს, რომელიც სტრუქტურა – ქმედების შესახებ დებატებში აისახა.

ფემინიზმის თეორეტიკოსები ქმნიან ლექსიკონს, რათა მიკრო და მაკროურთიერთო-ბების განსხვავებული თანაარსებული რეალობა აღწერონ. დოროთი სმიტმა „ბატონობის დამოკიდებულებების“, „განზოგადებული, ანონიმური, უსახური ტექსტების“ და „განცდი-ლი გამოცდილების ლოკალური პირობების“ ცნებები შემოიღო. ტერმინი „ბატონობის და-მოკიდებულებები“ სოციალური წარმოების კონტროლისაკენ მიმართულ რთულ, ცალკე-ულ, თუმცა რთულად ურთიერთდაკავშირებულ სოციალურ ქმედებებს გულისხმობს. ეს სოციალური წარმოება(პროდუცირება), თავისი მატერიალური ბუნებით, გარკვეული დროის განცდილი გამოცდილების ლოკალურ პირობებში ხორციელდება – ანუ იქ, სადაც ვინმე რეალური ადამიანი, მაგალითად, წერს ან კითხულობს წიგნს(ან კერავს, ან ბოსტან-ში ბოსტნეულს რგავს). ბატონობის დამოკიდებულება გვიანდელი კაპიტალისტური პატ-რიარქატის პერიოდში ვლინდება ტექსტებში, რომელთაც ანონიმურობა, განზოგადებები და ძალაუფლება ახასიათებთ. ეს ტექსტები განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ რეალური ცხოვრების სპეციფიკური ინდივიდუალიზებული გამოცდილების ისეთი მოდელირება და ენობრივ ფორმაში თარგმნა მოეხერხებინათ, რომელიც ბატონობის დამოკიდებულებები-სათვის მისაღები იქნებოდა. „მისაღებობის“ კრიტერიუმი მაშინ კმაყოფილდება, თუ ტექ-სტი გაბატონებული სუბიექტების მიერ სიტუაციის განსაზღვრებას ასახავს. ტექსტი შეიძ-ლება ხელშეკრულებისა და პოლიტიკური ანგარიშებიდან დაწყებული, ოფიციალური ბიუ-ლეტინებით, სკოლის ატესტატებითა და სამედიცინო ჩანაწერებით დამთავრებული ვარი-

რებდეს. ისინი ყველგან ცვლიან მატერიალურ სინამდვილეს, ახლებურად განმარტავენ მომხდარს, განსაზღვრავენ რა იმას, რაც შესაძლებელია. ამგვარად, შედიხარ რა ურთიერთობაში ბატონობის სისტემასთან თუნდაც ლოკალურ დონეზე, ინდივიდი (მაგალითად, სტუდენტი, რომელსაც საზაფხულო სამუშაოებისთვის დაიქირავებს რესტორანი, რომელიც მისი ოჯახის მეგობარს ეკუთვნის) აღმოაჩენს, რომ ვალდებულია გარკვეული ტექსტური ნიმუშები (მაგალითად საგადასახადო ბლანკები) შეავსოს, რომელიც დადგენილია არა მისი უშუალო დამქირავებლის, არამედ გაბატონებული აპარატის მიერ. ამ ტექსტებს იქამდე მივყავართ, რომ ბატონობის მიმართებასა და განცდადი გამოცდილების ლოკალურ პირობებს მუდმივი ურთიერთშეხება აქვთ. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ურთიერთკვეთა ორმაგია: მოქმედი სუბიექტი გარკვეულ მომენტში, ყველანი თავის ადგილზე, მერხთან, კომპიუტერთან თუ მოლაპარაკების მაგიდასთან ქმნიან ფორმებს, რომლებიც ბატონობის ელემენტებია.

სოციალური ცხოვრების ეს სამი ასპექტი – ბატონობის დამოკიდებულები, განცდადი გამოცდილების ლოკალური პირობები და ტექსტები – სოციალური ცხოვრების ორგანიზაციისა და დომინირების სისტემის გავრცელებული, უცვლელი, მდგრადი თვისებებია. შეიძლება ყველა ერთდროულად, როგორც კონკრეტული სუბიექტების ქმედება და ქმედების პროდუქტები შეისწავლებოდეს. ყოველ განზომილებას ახასიათებს თავისი განსაკუთრებული შინაგანი დინამიკა – ბატონობის დამოკიდებულებებში კონტროლისაკენ სწრაფვა, ლოკალურ პირობებში წარმოებისა და კომუნიკაციებისაკენ სწრაფვა, განზოგადებულ ტექსტებში სინამდვილის ობიექტივაციისა და ასახვისაკენ სწრაფვა. ამ სინამდვილეს გენდერული და, იმავდროულად, რასობრივი მახასიათებლები აქვს. თუმცა ცხოვრებაში ვერავინ გაექცევა ლოკალურ პირობებს, რადგან ყოველ ადამიანს უწევს იყოს სადმე დროსა და სივრცეში, ქალები ბევრად უფრო ღრმად არიან ჩათრეულნი ლოკალური პირობების შენარჩუნების უწყვეტ პროცესებში, მაშინ როდესაც მამაკაცებს მეტი თავისუფლება აქვთ, რადგან გაბატონებული სუბიექტები არიან. დაქვემდებარებული და გაბატონებული რასის წარმომადგენელთა შემთხვევაშიც ასეთივე დაყოფა მეორდება. ობიექტივაციისა და სინამდვილის ასახვისაკენ მიმართული ტექსტები შედგენილია ისე, რომ შეუძლებელია ყველა სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა ტექსტის მიერ ორგანიზებულ ქმედებებში და ეს უთანასწორობა რასის, გენდერის, ასაკის, კლასის, საცხოვრებელი ადგილის ხაზით იქმნება – ე.ი. განსხვავება ბატონობის დამოკიდებულებების ჩარჩოებში ტექსტების მაორგანიზებელ პრინციპად გვევლინება. აქ სტრუქტურისა და ურთიერთქმედების დეტალების გადახლართვა ხდება. ბატონობისა და წარმოების არსებობა პრობლემატური ხდება და მათი გამოვლინებები, ამგვარად, სოციალური რეალობის მაკროსოციალური, მიკროსოციალური და სუბიექტური ასპექტების დიდი ხნის სოციოლოგიურ გამიჯვნებს შთანთქავს.

დასკვნა

ფემინისტური სოციოლოგიური თეორია ფემინიზმის ზოგადი თეორიიდან – ქალების შესახებ ახალი მოძღვრებიდან – ამოდის, რომელიც მიისწრაფვის, შეხედულებების ისეთი სისტემა შექმნას, სადაც ქალები, ერთდროულად, როგორც სუბიექტი და ობიექტი გვევლინებიან, რომლებსაც მოქმედების უნარი და ცოდნა აქვთ.

თანამედროვე ფემინიზმი მიისწრაფვის, სოციოლოგების ყურადღება გენდერულ ურთიერთობებსა და ქალის ცხოვრებას მიაქციოს. დღეს ამ საკითხებს მრავალი სოციოლოგიური მიმართულების ჩარჩოებში იკვლევენ. მაკროსოციოლოგიური თეორიები – ფუნქციონალიზმი, კონფლიქტის ანალიტიკური თეორია და მსოფლიო სისტემის ნეომარქსისტული

თეორიები – განიხილავენ, თუ რა ადგილი უკავია საოჯახო მეურნეობას სოციალური სისტემების ჩარჩოებში, განმარტავენ, თუ რატომაა ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში დაქვემდებარებული. სიმბოლური ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია – მიკროსოციალური თეორიები – პიროვნებათშორის ურთიერთობებში გენდერის წარმოებისა და კვლავწარმოების საშუალებებს იკვლევენ.

ფემინიზმი ოთხი მთავარი საკითხიდან ამოიზარდა: 1. „როგრაა საქმე ქალების შესახებ"? 2. „მაშინ, რატომ არის ყველაფერი ისე, როგორც არის? 3. როგორ შეგვიძლია ჩვენ შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ სოციალური სამყარო, რათა ის ქალების და ყველა ადამიანის მიმართ უფრო სამართლიანი გახდეს?", 4. „რა განსხვავებაა ქალებს შორის?" ამ კითხვებზე პასუხებმა ფემინიზმის თეორიის განსხვავებული ვარიანტები გააჩინა. მოცემულ თავში საუბარი მის ოთხ ძირითად მიმდინარეობაზეა. გენდერული განსხვავების თეორიის თანახმად, ქალის მდგომარეობა მამაკაცის მდგომარეობისაგან განსხვავდება. ფემინისტური აზრის ეს მიმართულებები ამ განსხვავებებს ბიოსოციალური ფაქტორებით, სოციალიზაციით, სოციალური ურთიერთქმედებებით და ქალის, როგორც „სხვა"-ს ონტოლოგიური გაგებით განმარტავენ. გენდერული უთანასწორობის თეორია, ძირითადად, ლიბერალური ფემინიზმითაა წარმოდგენილი, სადაც თანასწორობაზე ქალის ფუნდამენტურ უფლებას ესმება ხაზი და განსხვავებული შესაძლებლობების სტრუქტურებია აღწერილი, რომლებიც, თურმე, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შედეგია. გენდერული ჩაგვრის თეორია – ეს ფემინისტური ფსიქოანალიტიკური თეორია და რადიკალური ფემინიზმია. პირველი ნაირსახეობა ქალის შევიწროებას მამაკაცის ბატონობისაკენ ფსიქიკური სტიმულის ფსიქოანალიტიკური აღწერის საფუძველზე განმარტავს; მეორე კი – მამაკაცის სურვილისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, გამოიყენოს ძალადობა ქალის დამორჩილებისათვის საფუძველზე. სტრუქტურული ჩაგვრის თეორია – ეს არის სოციალისტური ტიპის ფემინიზმი და კვეთის/გადაკვეთის თეორია. პირველი, ამ ორი ვარიანტიდან, ჩაგვრას სოციალური წარმოებისა და კვლავწარმოების გააკონტროლების პატრიარქალურ და კაპიტალისტურ მცდელობას უკავშირებს. კვეთის თეორია მიუთითებს იმ გავლენაზე, რომელიც კლასობრივი და რასობრივი კუთვნილების, გენდერულ, სიყვარულში უპირატესობების, საცხოვრებელი ადგილის ფაქტორების მოვლენათა განცდაზე, სხვადასხვა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი თვალსაზრისების ფორმირებასა და ქალებს შორის არსებულ მიმართებებზე აქვს.

„ფემინისტური თეორია ზოგადად მიღებული სოციოლოგიური თეორიების ხელახალი გადახედვის სასარგებლოდ ექვს ძირითად მიზეზს ასახელებს:

1. ჯერ ერთი, სოციოლოგიური თეორიის აგება ცოდნის სოციოლოგიას უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც ყველანაირ ცოდნას მიკერძოებულ ცოდნად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ მისი მატარებელი პერსონიფიცირებულია და გარკვეული სოციალური მდგომარეობა აქვს, ხოლო ძალაუფლების ფუნქცია იმ განსაზღვრებაზე ზემოქმედებაში მდგომარეობს, რომელიც ცოდნის ფორმას იძენს.

2. მეორე, მაკროსოციალური სტრუქტურები ფესვგადგმულია პროცესებში, რომელსაც აკონტროლებენ გაბატონებული ფენები, რომლებიც თავიანთი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ და ხორციელდება ქვეშევრდომთა მიერ, რომელთა შრომა, გაბატონებული იდეოლოგიის წყალობით, თვითშემსრულებლების მიერაც კი შეუმჩნეველი და შეუფასებელი აღმოჩნდება. ამგვარად, დომინირებადი სუბიექტები საზოგადოების მწარმოებლურ შრომას, მათ შორის არა მხოლოდ ეკონომიკური წარმოების, არამედ სოციალური კვლავწარმოების თვალსაზრისით ქალის შრომასაც აკონტროლებენ და ითვისებენ.

3. მიკროურთიერთქმედების სოციალური პროცესები – ეს არის ბატონობა-მორჩილების ძალაუფლებრივი დადგენილებების აქტები, რომელთაც გავლენიანი და დაქვემდებარებული სუბიექტები განსხვავებულად განმარტავენ.

4. ეს პირობები ქალებს „გაორებულ ცნობიერებას“ უჩენენ გამყოფი ხაზის მიხედვით, რაც პატრიარქალურ იდეოლოგიასა და ქალის მიერ განცდილ ცხოვრებისეულ რეალიებს შორის განსხვავებითაა გამოწვეული.

5. ქალებთან დაკავშირებით ნათქვამი სამართლიანია ყველა დაქვემდებარებული/-მორჩილი სუბიექტის მიმართაც – აქ თავს მსგავსება იჩენს და არა იგივეობა.

6. ყველა იმ კატეგორიაში, რომლებიც მამაკაცების ტრადიციულად დომინირებადი დისციპლინების ჩარჩოებში, განსაკუთრებით, მიკრო და მაკროსოციოლოგიად დაყოფილ დისციპლინებშია შემუშავებული, ეჭვი უნდა იქნას შეტანილი“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с. 414).

საკითხავი მასალა:

სანდრა ლიპსიც ბემი, „გენდერული ლინზები“

გენდერული ლინზები: ანდროცენტრიზმი

შესავალი

დასავლური კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე ქალსა და მამაკაცზე სამი შეხედულება იყო წამყვანი. კერძოდ, მათ საფუძველშივე განსხვავებული ფსიქოლოგიური და სქესობრივი ბუნება აქვთ; მამაკაცები გაჩენილნი არიან გაბატონებული და უპირატესი მდგომარეობისთვის; და ორივე – განსხვავებები ქალსა და მამაკაცს შორის და მამაკაცის უპირატესობა – ბუნებრივი რამაა. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე ეს ბუნებრიობა ღვთის დიადი ნებით აიხსნებოდა და რელიგიური ცნებებითა და მცნებებით გამოიხატებოდა. იმ დროიდან მოყოლებული ეს შეხედულება მეცნიერული ცნებების სახითაც ჩამოყალიბდა, მაგალითად, როგორც ბიოლოგიის ნაწილის ან ევოლუციის დიადი ქმნილება. ყოველივე ამის შედეგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე არ დაიწყო მოძრაობა ქალთა უფლებებისათვის, ამერიკელები ვერც გრძნობდნენ წინააღმდეგობას თანასწორობის იდეალის ერთგულებასა და ქალთა პოლიტიკური უფლებების უარყოფას შორის. ფემინისტური მოძრაობის პირველმა ტალღამ არა მარტო განაცხადა ქალთა ძირითადი პოლიტიკური უფლებების შესახებ, არამედ მან ეს შეუთავსებლობა ანუ წინააღმდეგობა იდეოლოგიასა და ქალებისადმი რეალურ მოპყრობას შორის თვალსაჩინოდ აქცია. 1960-იანი წლებიდან დაწყებულმა ფემინიზმის მეორე ტალღამ წინ წამოსწია „სექსიზმის“ სოციალური ცნობიერება ყველა იმ იდეოლოგიურ და პრაქტიკულ სფეროში, სადაც დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე ხდებოდა. ფემინისტების ამ მეორე გამოწვევამ ნათელი გახადა, რომ ქალების შეზღუდვა გარკვეულ პროფესიებში და ქალებისთვის იმავე სამუშაოსთვის ნაკლები ანაზღაურების მიცემა იყო არა ქალის, როგორც ცოლისა და დედის, ბიოლოგიური და ის-

ტორიული როლის ბუნებრივი მოთხოვნა, არამედ დისკრიმინაციის უკანონო ფორმა, რომელიც დრომოჭმულ კულტურულ სტერეოტიპებს ეფუძნებოდა. ამის შემდეგ თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ხელფასის იდეას თვით რეაქციულმა პოლიტიკოსებმაც კი დაუჭირეს მხარი. მაგრამ, ბოლო 150 წლის განმავლობაში ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავდ, სქესისა და გენდერის შესახებ არსებული ფარული დაშვებები როგორც სოციალურ ინსტიტუტებში, ასევე ადამიანთა ფსიქიკაში ღრმად იყო ფესვგადგმული. ეს შეხედულებები მამაკაცთა ძალაუფლებას მუდმივად და უხილავად ხელახლა წარმოქმნიდა. ამ შეხედულებებს ან დაშვებებს მე გენდერულ ლინზებს ვუწოდებ. გენდერული ლინზები არა მარტო იმას განსაზღვრავს, თუ როგორ აღიქვამს, შეიგრძნობს და განიხილავს ადამიანი სოციალურ რეალობას, არამედ, რადგან ისინი სოციალურ ინსტიტუტებშიც ღრმადაა გამჯდარი, განსაზღვრავს უფრო მატერიალურ სფეროებსაც – მაგალითად, არათანაბარ ხელფასებს ან არათანაბარ სამედიცინო მომსახურებას – იმას, რაც თვით სოციალურ რეალობას შეადგენს.

ამ წიგნის მიზანია, ეს ლინზები ხილული გახადოს, გვაიძულოს, კი არ გავიხედოთ ლინზებში, არამედ შევხედოთ მათ. ფემინისტების მისია მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც ამერიკელები გაიაზრებენ იმ დახვეწილი და სისტემატური მეთოდების არსებობას, რომლებითაც კულტურა მამაკაცთა ძალაუფლებას ინარჩუნებს.

პირველი ლინზა, რომელიც კულტურაში, სოციალურ ინსტიტუტებსა და ადამიანების ფსიქიკაშია ფესვგადგმული, ანდროცენტრიზმის ანუ მამაკაცზე ცენტრირებულობის ლინზაა. ამაში იგულისხმება როგორც მამაკაცთა ისტორიულად უპირატეს სქესად აღქმა, ასევე, ამგვარი აღქმის საფუძველიც: მამაკაცი და მისი გამოცდილება გამოცხადებულია ნორმად და ნეიტრალურ სტანდარტად, ხოლო ქალი და ქალის გამოცდილება განისაზღვრება, როგორც ნორმიდან გადახრა.

მეორე ლინზა გენდერული პოლარიზაციის ლინზაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამაში იგულისხმება არა იმდენად ის, რომ ქალები და მამაკაცები ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავდებიან, არამედ ამ განსხვავებების ფარული და დახურული გამოყენება სოციალური და კულტურული ცხოვრების მაორგანიზებელ პრინციპად. ამდენად, ეს მამაკაცების და ქალების მხოლოდ განსხვავებულად აღქმა კი არ არის, არამედ ის, რომ ეს განსხვავებულობა სოციალური ცხოვრების უთვალავ ასპექტს განსაზღვრავს: მოდას, სოციალურ როლებს, ემოციის გამოხატვასა და სექსუალურ განცდებსაც კი.

დაბოლოს, მესამე ლინზა წარმოადგენს ბიოლოგიური ესენციალიზმის ლინზას. იგი აკანონებს და ასაბუთებს დანარჩენი ორი ლინზის არსებობას და მათ ქალისა და მამაკაცის შინაგანი ბიოლოგიური ბუნების ბუნებრივ და გარდაუვალ შედეგად აღიქვამს. ამ ლინზის საშუალებით ღვთის დიად ქმნილებას საერო მნიშვნელობაც მიეცა, როცა მოინახა მისი მეცნიერული ეკვივალენტი – ევოლუცია. ამ წიგნში მე არ უარვყოფ ბიოლოგიურ ფაქტებს, მაგრამ ამ ფაქტებს, ჩემი აზრით, არ გააჩნიათ მყარი მნიშვნელობა იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს და იყენებს მას კულტურა. ასევე, ვფიქრობ, რომ არ შეიძლება სოციალური მოვლენის გაგება მისი ისტორიული და თანამედროვე კონტექსტისაგან დამოუკიდებლად.

ანდროცენტრიზმის, გენდერული პოლარიზაციისა და ბიოლოგიური ესენციალიზმის ლინზების საშუალებით მამაკაცთა ძალაუფლება ორი სახით აგრძელებს არსებობას. პირველი, სოციალური ვითარებანი და ინსტიტუტები, სადაც ეს ლინზები მუშაობს, ავტომატურად განაპირობებს ქალების და მამაკაცების არათანასწორ არსებობას. მეორე, სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი ითავისებს კულტურალურ ლინზებს და მიდრეკილია, მისი შესაბამისი იდენტურობა გამოიმუშაოს.

ამერიკაში ყველა მამაკაცს როდი აქვს ძალაუფლება, და ამდენად, მამაკაცთა ძალაუფლების ცნება უნდა იქნეს გაგებული, როგორც ძალაუფლება, რომელსაც ისტორიულად მდიდარი, თეთრკანიანი, ჰეტეროსექსუალი მამაკაცი ფლობდა. მხოლოდ ქალები კი არ არიან უპირატესობას მოკლებულნი ამერიკული საზოგადოების სისტემაში, არამედ ღარიბებიც, ფერადკანიანებიც და სქესობრივი უმცირესობანიც. ჰომოსექსუალი ქალებისა და მამაკაცების მიმართ დისკრიმინაცია პირდაპირ გამომდინარეობს ანდროცენტრიზმის, გენდერული პოლარიზაციისა და ბიოლოგიური ესენციალიზმის განსაზღვრებებიდან იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ქალები ან მამაკაცები. მართალია, ფაქტობრივად, ჩემი ყველა მაგალითი ამერიკის ისტორიის ან კულტურის კონტექსტს უკავშირდება, მაგრამ მათი უმეტესობა ასევე კარგად მიესადაგება იმ ქვეყნების სინამდვილესაც, სადაც დასავლური კულტურის ისტორიული გავლენაა დადასტურებული. ამიტომ, ვვარაუდობ, რომ გენდერული ლინზები გამჯდარია კულტურულ და სოციალურ ინსტიტუტებში და ასევე ადამიანთა ფსიქიკაში ყველა იმ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცთა დომინაცია არსებობს.

1 – ესენციალიზმი – კონცეფცია, რომლის თანახმად, მამაკაცისა და ქალის არსი უნიკალურია და განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე და არა სოციალურად კონსტრუირებული.

ანდროცენტრიზმი

1963 წელს ბეტი ფრიდანმა ქალურობის მისტიკაში პირველად ახსენა „პრობლემა, რომელსაც სახელი არ გააჩნია“. ეს არის ის, როდესაც ახალგაზრდა ამერიკელი დიასახლისი უეცრად აღმოაჩენს, რომ მისი უმცროსი შვილი უკვე სკოლაში წავიდა და მას არ გააჩნია სხვა „მე“ გარდა იმისა, რომ არის ბობის ცოლი, მერის დედა და არა აქვს მიზანი ან მიმართულება ცხოვრების დარჩენილი ათწლეულებისათვის. ამით ფრიდანი შეეხო იმ მილიონობით ქალის ყველაზე მგრძნობიარე ნერვს, რომელიც კმაყოფილი არ იყო საკუთარი ცხოვრებით, მაგრამ ამ უკმაყოფილების არც სიღრმისა და არც მიზეზების გააზრება შეეძლო. ბოლოს და ბოლოს, მათ მშვენიერი, უზრუნველყოფილი ცხოვრება ჰქონდათ მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილ საზოგადოებაში. და თუკი კმაყოფილები არ იყვნენ, პრობლემა მხოლოდ მათშივე იყო. ის აზრი, რომ ამერიკა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ქვეყანაა, დრამატულად შეიცვალა 60-იანი წლების ბოლოსათვის, როცა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ აღშფოთებამ, შავკანიანთა გეტოებში მომხდარმა ამბოხებებმა, სტუდენტთა პროტესტმა სააშკარაოზე გამოიტანეს ამერიკული საზოგადოების მანკიერებანი. თვითკრიტიკის იმ ცეცხლოვან დღეებში დაიბადა ის, რასაც მასმედია – ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო თვით ამ მოძრაობის წევრები რადიკალურ ფემინიზმს უწოდებდნენ. თუმცა ამ მოძრაობის აქტივისტები არ იყვნენ ის სხვებისთვის თავდადებული დიასახლისები, რომლებზეც ბეტი ფრიდანი „ქალურობის მისტიკაში“ წერდა. მაგრამ ისინი, სხვა თუ არაფერი, ამ დიასახლისების შვილები იყვნენ და მათ არ სურდათ თავისი დედების შეცდომების გამეორება და ქმრებისა და შვილებისთვის თავის შეწირვა. ისინი ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ. მათ აღმოაჩინეს, რამდენად ყოვლისმომცველია მამაკაცთა დომინირება თუნდაც საპროტესტო აქციების დროს, როცა ქალებს საჭმელი უნდა მოემზადებინათ, ხოლო მამაკაცებს რევოლუციური სტრატეგიები დაეგეგმათ. ამ ახალგაზრდა ქალებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცთა დომინანტობა ყველგან არსებობს, რადიკალურად განწყობილ სტუდენტებშიც კი, და იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ეგალიტარულ ამერიკაშიც კი სიღრმეში კვლავ „პატრიარქატი“ ბატონობდა. „სექსუალურ პოლიტიკაში“, წიგნში, რომელმაც პატრიარქატი ყველაზე გამოყენებად სიტყვად აქცია ფემინისტებს შორის, კეიტ მილეტი წერდა: „ჩვენი საზოგადოება, როგორც სხვა ისტორიული ცივილიზაციები, პატ-

რიარქატია. ეს ფაქტი თავიდანვე ცხადი ხდება, თუ გაიაზრებთ, რომ ჯარი, ინდუსტრია, ტექნოლოგია, უნივერსიტეტები, მეცნიერება, პოლიტიკური დაწესებულებები, ფინანსები და საერთოდ ყველაფერი, რაც საზოგადოებაში ძალაუფლებას უკავშირდება, ძალოვანი სტრუქტურების ჩათვლით, მთლიანად მამაკაცთა ხელშია". ან როგორც ადრიენ რიჩმა დაწერა „ქალად დაბადებულში": პატრიარქატი არის მამათა ძალაუფლება: ოჯახურ-საზოგადოებრივი იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც მამაკაცი ძალით, უშუალო ზეწოლით ან რიტუალის, ტრადიციის, კანონისა და ენის გამოყენებით და წეს-ჩვეულების, ეტიკეტის, განათლებისა და შრომის განაწილების საშუალებით განსაზღვრავს, თუ რა როლი ენიჭება ქალს, რომელშიც ქალი ყოველთვის მამაკაცის დაქვემდებარებაშია. ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს, რომ არც ერთ ქალს არ შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება. პატრიარქატში მე შეიძლება ჩადრი მქონდეს ჩამოფარებული ან ტრაქტორს ვატარებდე; ... შეიძლება მემკვიდრეობით ან არჩევით სახელმწიფოს მეთაური გავხდე ან მილიონერის მეუღლის საცვლები ვრეცხო; შესაძლოა დილის ყავა მივართვა ჩემს ქმარს ბერბერების თიხის სახლში, ან აკადემიკოსების პროცესიაში ვიღებდე მონაწილეობას; როგორიც არ უნდა იყოს ჩემი სტატუსი ან მდგომარეობა, ეკონომიკური კლასი ან სქესობრივი ორიენტაცია, მე ვცხოვრობ მამათა ძალაუფლების სამყაროში და ჩემთვის მხოლოდ ის პრივილეგიები ან გავლენის სფეროებია მისაწვდომი, რომელსაც პატრიარქატი მომანიჭებს და მხოლოდ მანამდე, სანამ მე ამას გავამართლებ (1976, გვ. 40-41).

მართალია, პატრიარქატის ცნება სექსიზმის ცნებასთან შედარებით უფრო გასაგებს ხდის, თუ რომელი სქესი ფლობს ძალაუფლებას საზოგადოებაში, ანდროცენტრიზმის ცნება, ანუ მამაკაცზე ცენტრირება კიდევ უფრო სასარგებლოა. ეს ცნება გვეუბნება არა მარტო იმას, თუ ვინ ფლობს ძალაუფლებას, არამედ იმასაც, თუ როგორ არის ის კულტურულად და ფსიქოლოგიურად განხორციელებული და შენარჩუნებული. ანდროცენტრიზმი არის მამაკაცთა გამოცდილების პრივილეგირება, ხოლო ქალის გამოცდილების „გასხვისება"; მამაკაცი და მამაკაცური გამოცდილება განიხილება, როგორც ნეიტრალური სტანდარტი და ნორმა კულტურისთვის და ადამიანთა სახეობისთვის მთლიანად. ქალი და ქალური გამოცდილება განიხილება სქესობრივ გადახრად „უნივერსალური" სტანდარტიდან. ანდროცენტრიზმის ცნება პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა შარლოტ პერკინს გილმანის წიგნში „მამაკაცის შექმნილი სამყარო ანუ ჩვენი ანდროცენტრული კულტურა". ის წერდა: ყველა ადამიანური სქემა ეფუძნება გამოუთქმელ დაშვებას: მამაკაცი განასახიერებს კაცობრიობას, ქალი ერთგვარი დამატებაა, დაქვემდებარებული დამხმარეა, ძირითადად, ახალი ადამიანების შესაქმნელად მოწოდებული. მას ყოველთვის წინდებულის პოზიცია აქვს მამაკაცთან მიმართებაში. ქალი ყოველთვის მოიაზრებოდა მამაკაცის მაღლა, დაბლა, მის წინ, მის უკან, მის პირდაპირ, ანუ მასთან რაიმე ურთიერთობაში. მაგ., – „სიდნეის და", „პემბროკის დედა" – მაგრამ არასდროს – თავისთავად.

გილმანი განაგრძობს: „იმას, რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, როცა ვიბადებით და ვიზრდებით, ბუნებრივ წესრიგად მივიჩნევთ", მაგრამ „ამავე დროს ის, რასაც ადამიანის ბუნებას ვუწოდებთ, ძირითადად მხოლოდ მამაკაცის ბუნებაა". მისი დასკვნა ასეთია: „ჩვენი ანდროცენტრული კულტურა იყო და არის გადაჭარბებული და, ამდენად, არასასურველი მასკულინური კულტურა". ანდროცენტრიზმის ცნების გამოუყენებლად სიმონა დე ბოვუარმა ბრწყინვალედ შეიმუშავა კონცეფცია და ჩართო იგი სქესთა უთანასწორობის თეორიაში. „მეორე სქესში", რომელიც ფრანგულ ენაზე გამოიცა 1949 წელს, მან გამოთქვა აზრი, რომ ქალისა და მამაკაცის ისტორიული ურთიერთობა წარმოადგენს არა მარტო ურთიერთობას დომინანტურსა და დაქვემდებარებულს შორის, ან მაღალ და დაბალ სტატუსებს შორის, ან, მით უმეტეს, დადებითსა და უარყოფითს შორის. არა, მამაკაცთა დომინი-

რების ყველა საზოგადოებაში „მამაკაცი წარმოადგენს დადებითსაც და ნეიტრალურსაც, რამდენადაც კაცი ყველასთვის ზოგადად ადამიანს აღნიშნავს; ამავე დროს, ქალი მხოლოდ უარყოფითს წარმოადგენს და განისაზღვრება, როგორც შეზღუდული კრიტერიუმი, გავლენას მოკლებული... ისევე, როგორც ანტიკოსებისთვის არსებობდა აბსოლუტური ვერტიკალი, რომლის მიმართაც განისაზღვრებოდა დახრილი, ასე არსებობს აბსოლუტური ადამიანის ტიპი – მამაკაცური. ქალს აქვს საშვილოსნო, საკვერცხეები; ამ თავისებურებებს ის თავის სუბიექტურობაში ჰყავს დატყვევებული, ქალი საკუთარი ბუნებით არის შეზღუდული. ხშირად ამბობენ, რომ იგი ჯირკვლებით აზროვნებს. მამაკაცი, თავისი ბრწყინვალებით, უარყოფს, რომ მასაც აქვს ჯირკვლები, მაგალითად სათესლეები, რომლებიც ჰორმონს გამოიმუშავებს. მამაკაცის სხეულს, მისივე აზრით, სამყაროსთან პირდაპირი და ნორმალური კავშირი აქვს, და ამიტომ მას სწორად იგებს. ამავე დროს, ქალის სხეული შეფერხებაა, საპყრობილეა, რომელიც დამძიმებულია საკუთარი თავისებურებებით... ამდენად, ადამიანი არის მამაკაცი, ხოლო მამაკაცი ქალს განსაზღვრავს არა ქალითვე, არამედ, მასთან (მამაკაცთან) მიმართებით; ქალი არ აღიქმება ავტონომიურ არსებად... იგი (ქალი) არის დამატებითი, არამთავარი და უმნიშვნელო მნიშვნელოვანთან და ძირითადთან შედარებით. მამაკაცი არის სუბიექტი, იგი აბსოლუტია – ქალი არის „სხვა“ (1952).

ჩემი აზრით, ანდროცენტრიზმის ცნებას განასახიერებს მამაკაცი – სამყაროს ცენტრში, იგი რეალობას მხოლოდ თავისი თვალით უყურებს და რასაც ხედავს, აღწერს ეგოცენტრული ან ანდროცენტრული თვალსაზრისით. ის (მამაკაცი) რეალობას ყოფს „მე“-დ და „სხვად“ და ამ სხვას – ქალის ჩათვლით – განიხილავს საკუთარ თავთან მიმართებაში. „სხვის“ ასეთი განსაზღვრებისას ერთდროულად ორი რამ ხდება: პირველი – ყველაფერს, რასაც ისინი ხედავენ, მამაკაცები განსაზღვრავენ, როგორც ან თავის მსგავსს, ან თავისგან განსხვავებულს. საკუთარი არსება და გამოცდილება მათთვის ათვლის წერტილია ან კულტურის და, უფრო მეტიც, მთელი სახეობის სტანდარტი. ყველა დანარჩენი და, შესაბამისად, მათი გამოცდილებაც ამ დასახული სტანდარტისაგან მხოლოდ არასრულყოფილი გადახრაა. მეორე – მამაკაცი ყველაფერს, რასაც ხედავს, განსაზღვრავს პირადად თავისი საჭიროებისა და მნიშვნელობის ტერმინებით, და არა „იმ რაღაცის“ საკუთარი ტერმინებით. საუკუნეების მანძილზე ქალი განისაზღვრებოდა ან პატრიარქალური ოჯახის ფარგლებში მისი ოჯახური და რეპროდუქციული ფუნქციების ტერმინებით, ან მისი იმ უნარის ტერმინებით, რომ აღეძრა და დაეკმაყოფილებინა მამაკაცის სქესობრივი მადა. აქ მოვიყვან მონაცემებს, თუ როგორ ფუნქციონირებდა ანდროცენტრიზმის ლინზები რამდენიმე კულტურის კონტექსტში: იუდაურ-ქრისტიანულ თეოლოგიაში, ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიასა და ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიაში. მე დავიწყებ იუდაურ-ქრისტიანული თეოლოგიით, რადგან გარდა იმისა, რომ ის მთელი დასავლური თანამედროვე აზროვნების საფუძველს წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანი მაგალითია იმისა, თუ როგორ ახშობს ძალაუფლების მპყრობელი განსხვავებულ აზრს, თუკი მას სურს, საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად განსაზღვროს კულტურა.

იუდაურ-ქრისტიანული თეოლოგია

იუდაიზმი და ქრისტიანობა, როგორც ძირითადი რელიგიები, ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა, შესაბამისად, მე-17 და მე-5 საუკუნეებს შორის ჩვ.წ.-მდე და პირველ და მეხუთე საუკუნეებს შორის ჩვ.წ.-ით. უმრავლესობა ამ ორ პერიოდს იცნობს ისე, როგორც ეს ძველ და ახალ აღთქმაშია აღწერილი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, თუ როგორ, რატომ ან როდის დაიწერა ეს წიგნები. ეს ისტორია მნიშვნელოვანია ანდროცენტრიზმის ანალიზისათვის, რადგან აქ მოცემულია ქალღმერთის ღმერთით შეცვლის პროცესი და ასევე ქალის,

როგორც „სხვის“ განსაზღვრება. ამდენად, ეს ისტორია ამკვიდრებს „მამაკაცთა დომინანტობის ორ უმთავრეს სიმბოლოს დასავლური კულტურისთვის: მამრობითი სქესის ღმერთს და სექსუალურ, არასრულფასოვან ქალს, რომელიც აცდუნებს მამაკაცს, რომ მართალი გზიდან გადაუხვიოს“ (Sunday,1981, გვ.215). ებრაელთა რელიგიური გამოცდილება ჩვ.წ.-მდე მეჩვიდმეტე ან მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო, როდესაც აბრაამმა ისრაელის ღმერთთან, იაჰვესთან „პირველი ხელშეკრულება“ დადო. შემდგომ, დაახლოებით ოთხასი წლის მანძილზე, იაჰვე ებრაელთა ტომის, იუდეველების ღმერთი იყო, მაგრამ ებრაელთა სხვა ტომებიც აღიარებდნენ მას ისევე, როგორც სხვა ღმერთებს და ქალღმერთებს, აშერას ჩათვლით, რომელიც მთელი ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხების შემოქმედი ქალღმერთის პროტოტიპი იყო. ებრაელთა ტომებისთვის, როგორც ეს ისააკის ამბავშია მოთხრობილი, ამ პერიოდში საერთო იყო მხოლოდ წინადაცვეთისა და ადამიანთა მსვერპლად შეწირვის აკრძალვის რიტუალები.

ქალი ბიბლიური განმარტებით

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ანდროცენტრიზმი იმის მაგალითზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქალი ყველაზე მნიშვნელოვან ბიბლიურ მუხლებში. ადრე უკვე განვმარტე ანდროცენტრიზმი, როგორც მამაკაცის, მამაკაცის გამოცდილების და თვალთახედვის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება. ასეთ სიტუაციაში ქალი განისაზღვრება, როგორც „სხვა“. ასევე გამოვთქვი ვარაუდი, რომ როდესაც ქალი განსაზღვრულია, როგორც „სხვა“, შეიძლება გამოიყოს მამაკაცის ქალთან ტრადიციული ურთიერთობის სამი ასპექტი: 1.მისი (ქალის) განსხვავება და არასრულფასოვნება უნივერსალურ სტანდარტსა და ნორმასთან შედარებით, რომლის წარმომადგენლადაც, ბუნებრივია, მამაკაცი თავის თავს ხედავს; 2. ქალის საოჯახო და რეპროდუქციული ფუნქციები ოჯახში, რომლის უფროსადაც მამაკაცი საკუთარ თავს ხედავს; 3. ქალის უნარი, აღძრას და დააკმაყოფილოს მამაკაცის სექსუალური მადა, რაც მისთვის (მამაკაცისთვის) ამაღელვებელიცაა და საშიშიც. ამ იდეებიდან ყველა, ერთის გარდა, წარმოდგენილია შესაქმის ბიბლიურ ვერსიაში. ადამს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, სახელი მისცეს ყოველ ქმნილებას, მათ შორის ქალსაც. ამასთან, მხოლოდ ადამია შექმნილი ღმერთის ხატად. ევა, ამის საწინააღმდეგოდ, ამ ღვთიური სტანდარტიდან არასრულყოფილი გადახრაა, მეორადი ქმნილება, რომელიც მხოლოდ მამაკაცის დამხმარედ არის შექმნილი; ის არ არის „სახელების დამრქმევი“. თქვა ღმერთმა, „გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბადება 1:26-27).

თქვა უფალმა ღმერთმა: „არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს მის შესაფერს. გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა. დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს. მაგრამ ადამს არ გამოუჩნდა შემწე მისი შესაფერისი. უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული“ (დაბადება 2:18-23).

ადამისა და ევას ცოდვით დაცემა ხაზს უსვამს ამ თემებს, ასევე, იქმნება ქალის, როგორც მაცდუნებლის ახალი სახე. ცოდვის კითხვა იმით იწყება, რომ გველი დაიყოლიებს ევას, გასინჯოს ნაყოფი ცოდნის ხიდან. მართალია, ბიბლია არ გვიჩვენებს, თუ რატომ მივიდა გველი ევასთან და არა ადამთან. ჯონ ფილიპსი ევას მითის საფუძვლიან გამოკვლევაში ასაბუთებს, რომ ბიბლიის ინტერპრეტატორები საუკუნეების მანძილზე ერთ რამეში თანხმდებოდნენ: მათი აზრით, „ცბიერი გველი მიხვდა, რომელი იყო ორ ადამიანს შორის უფრო სუსტი“. რატომ არის ის უფრო სუსტი? რადგანაც ის თავის შემოქმედთან ნაკლებსრულყოფილი მიახლოებაა; და არა მარტო შემოქმედთან, იგი არასრულყოფილია ადამთან შედარებით... მას აკლია ძალა, გონიერება, თვითკონტროლი, ღვთისმოსაობა და მორალური სიძლიერე“. ამგვარად, გველის არჩევანიც ხაზს უსვამს ქალის იმგვარ წარმოდგენას, სადაც ის მამაკაცური სტანდარტიდან არასრულყოფილი გადახვევაა.

ცოდვით დაცემის ამბავში კარგად ჩანს ქალის მაცდუნებელი ბუნება, როცა ევა აიძულებს ადამს, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. თუმცა ბიბლიურ მუხლებში არ არის მოყვანილი ადამის შეცოდების მიზეზი, ბიბლიის ინტერპრეტატორები საუკუნეების მანძილზე მის ცოდვას ხშირად ევას მაცდურობას მიაწერდნენ. ჯონ ფილიპსი შემდეგნაირად აჯამებს ამ სექსუალური სახის ინტერპრეტაციას: „მართალია, ის (ევა) თავად სისუსტის გამო იყო შეცდენილი, მან მოახერხა ადამის შეცდენა, რადგან ეშმაკის ძალით იყო აღვსილი“. „როგორც სატანის ნების განსაკუთრებული ინსტრუმენტი“, ის ფლობს მომძლავრებულ სექსუალურობას, რაც უეჭველად შეაცდენს ადამს, რათა ამ უკანასკნელმა სამოთხის ნეტარება დაარღვიოს. დაბოლოს, ქალის რეპროდუქციული და ოჯახური ფუნქცია ოჯახში, სადაც მამაკაცი დომინირებს, ხაზგასმულია იმ სასჯელით, რომელსაც ის თავისი ცოდვისათვის იღებს. მართალია, ღმერთმა ის შექმნა, რომ მამაკაცის დამხმარე ყოფილიყო, ახლა ის კიდევ უფრო დაქვემდებარებული გახდა და კიდევ უფრო განსაზღვრულია მხოლოდ დედობრივი ფუნქციით, ვიდრე უწინ, სანამ აკრძალულ ხის ნაყოფს გასინჯავდა: „დედაკაცს უთხრა“ – სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“ (დაბადება 3:16). რჩება შეკითხვა: გარდა ღვთის მიმართ ევას დაუმორჩილებლობისა, რაში მდგომარეობდა მისი ცოდვა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რისი სიმბოლოა აკრძალული ხილის ჭამა? ბიბლიის ინტერპრეტატორებმა სხვა ახსნათა შორის შემდეგი სამი ახსნაც მოგვაწოდეს:

აკრძალული ხილის ჭამა ხორციელი ლტოლვის (სექსუალობის) სიმბოლოა. ასეთი ახსნა ადამისა და ევას აღქმას შეესაბამება, როდესაც მათ ნაყოფის გასინჯვის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ შიშვლები არიან. რადგანაც ევამ პირველმა გასინჯა ხილი, ქალი სექსუალურად სახიფათო არსებად მოინათლა. ის, რომ ევამ აკრძალული ხილი გასინჯა, სიმბოლოა მისი და ყველა ქალის არასაკმარისი მორჩილებისა ღვთისა და მამაკაცის ნების წინაშე. ასეთი ინტერპრეტაცია შემოიტანეს პროტესტანტმა რეფორმატორებმა – ლუთერმა და კალვინმა. ისინი უარყოფდნენ „ადამიანთა მოდგმის დაცემის სქესით განსაზღვრულ ტენდენციურობას, როგორც იუდეველთა არაკებს ან პაპისტურ სისულელეებს“ (ჰილლიპს, 1984,გვ. 99). ამ შეხედულებას შეესაბამება ევას განსაკუთრებული სასჯელი, რომელიც მას პირველცოდვისათვის მიეზღო. ნაყოფის ჭამა ასევე განასახიერებს ევას და, ესე იგი, ქალის ამპარტავნობას, თითქოს ის იყოს „ღვთის სახიერება“, როგორც ამას მას გველი ჩასჩურჩულებდა. ამ შეხედულების ასახვაა მთელი ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა იაჰვეს მონოთეისტურ მორწმუნეებსა და პოლითეისტური რელიგიის მიმდევრებს (მათ შორის, შემოქმედი ქალღმერთის კულტის მიმდევრებს) შორის. თუ გავითვალისწინებთ ამ ბრძოლას, ადვილი წარმოსადგენია, რომ ევას ასეთი სასტიკი დასჯით, იაჰ-

ვისტი სიმბოლურად ანადგურებდა ქალღმერთს, ისევე, როგორც ადრე, როდესაც იგი ამოღებულ იქნა შესაქმის მითიდან. მე ევა ისე წარმოვადგინე, როგორც ის „დაბადებაშია“ დახატული და „დაბადების“ ბიბლიურ ინტერპრეტატორთა ვერსიებში, რადგანაც, როგორც ფილიპსმა აღნიშნა, „ევას ისტორია მთელი დასავლური ცივილიზაციისათვის ქალის კონცეფციის საფუძველს ქმნის“. ისევე, როგორც „ყოველი ქალი“ იგი კულტურისა და სოციალური ისტორიის ცოცხალი ნაწილია... ევას „კვალს“ თუ გავყვებით, აღმოვაჩენთ დასავლურ ცივილიზაციაში ქალისთვის დადგენილ იდენტურობას. ევას ცნება ქალის ცნების იდენტურია (1984, გვ.XIII). ევას ამბავი ერთადერთი არ არის, რაც უნდა გავითვალისწინოთ. ზოგადად, დასავლური აზროვნება და, კერძოდ, ქალის შესახებ დასავლური კონცეფცია, დიდწილად ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ტრადიციებსაც ემყარება, ხოლო ეს ტრადიციები კი დასაბამს ანტიკური საბერძნეთიდან იღებს.

ძველი ბერძნული ფილოსოფია

ისტორიკოსები ანტიკური ხანის ბერძნებს დასავლური ცივილიზაციის დამფუძნებლებად მიიჩნევენ. მათ შექმნეს პიროვნული თავისუფლებისა და სამართლიანობის ტრადიციები, რომლებიც დემოკრატიას უდევს საფუძვლად, ხოლო მათი ხელოვნება, ფილოსოფია და მეცნიერება დასავლური აზროვნებისა და კულტურის ფუნდამენტს წარმოადგენს. დავაკვირდეთ, თანამედროვე ცხოვრების რამდენი ასპექტია ბერძნული წარმოშობისა: არა მხოლოდ მოქალაქეობისა და დემოკრატიის ცნებები, არამედ სოკრატესეული მეთოდი, ჰიპოკრატეს ფიცი, ევკლიდეს გეომეტრია, ოიდიპოსის კომპლექსის თეორია და ოლიმპიური თამაშებიც კი, რომლებიც პირველად საბერძნეთის დასავლეთ ნაწილში, ოლიმპიის სტადიონზე მოეწყო 776 წელს ჩვ.წ.-მდე. ამ ყველასათვის ცნობილი დადებითი წვლილის გარდა, ძველმა ბერძნებმა შექმნეს მიზოგინიის (ქალთმოძულეობის, ნ.ბ.) ტრადიციაც, რომელიც დღევანდლამდე ქალის კონცეფციას განსაზღვრავდა. ეს ტრადიცია სათავეს იღებს, სულ ცოტა, მე-8 საუკუნეში, როდესაც ბერძენმა პოეტმა ჰესიოდემ პანდორას მითი ჩაწერა. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, პანდორა დედამიწაზე პირველი ქალი იყო. იგი, ზევსის ბრძანებით, პრომეთეს დასასჯელად შეიქმნა, რადგან ამ უკანასკნელმა ზეციდან ცეცხლი მოიპარა და ადამიანებს მისცა. რადგან ზევსს განზრახული ჰქონდა ბოროტი არსების შექმნა, მაგრამ ისეთისა, რომელიც ყველასათვის სასურველი იქნებოდა, პანდორას ქალღმერთების სახე მიანიჭა. თითოეულმა ქალღმერთმა მას განსაკუთრებული რამ აჩუქა, მაგალითად, სილამაზე და მოხდენილობა, რათა კიდევ უფრო მიმზიდველი გაეხადათ. მისი სახელიც – პანდორა – „ყველა საჩუქარს“ ნიშნავს. პანდორას მისცეს ყუთი (სხვა ვარიანტის მიხედვით, ეს ლარნაკი იყო) და თან გააფრთხილეს, რომ არ გაეხსნა. პრომეთეს ძმაზე ქორწინების შემდეგ მან ცნობისმოყვარეობის ცდუნებას ვერ გაუძლო და ეს ყუთი გახსნა, რითაც, თავისდაუნებურად, გარეთ გამოუშვა ყოველგვარი ცოდვა, ავადმყოფობა, ბოროტება და სხვა სიავენი. როდესაც მან, შეშინებულმა, ყუთი დახურა, შიგ მხოლოდ ერთი რამ დარჩა – იმედი. ამდენად, ბერძნულ ტრადიციაშიც, ისევე, როგორც იუდაურ და ქრისტიანულ ტრადიციებში, კაცობრიობის დაცემის და მისი სამოთხიდან განდევნის პასუხისმგებლობა პირველ ქალს დაეკისრა. ჰესიოდე თითქმის ჰომეროსის ეპოქაში ცხოვრობდა, მაშინ როცა სხვა ბერძენი ავტორები, ძირითადად, მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში მოღვაწეობდნენ, მაგალითად სოფოკლე, რომელმაც დაწერა ტრაგედია „ოიდიპოსი“; სოკრატე, რომელიც პლატონის მასწავლებელი იყო; პლატონი, რომელიც არისტოტელეს მასწავლებელი იყო და თავად არისტოტელე. ამათგან ორმა, არისტოტელემ და პლატონმა, ყველაზე მეტი თქვა ქალის ბუნებასა და დანიშნულებაზე და მათი განსაზღვრებები ძალიან ახლოს იყო იმ განსაზღვრებებთან, რომელსაც იძლეოდნენ იუდაური და ქრისტიანული ტრადიციის ან-

დროცენტრული ავტორები. კერძოდ, ქალი აქაც განსაზღვრულია, როგორც: 1. მამაკაცური სტანდარტისაგან არასრულყოფილი გადახრა; 2. დაქვემდებარებული პატრიარქალურ ოჯახში და მისი დანიშნულებაა კანონიერი მემკვიდრეების შობა, ბავშვების აღზრდა და საოჯახო საქმეების შესრულება (ანდროცენტრულობის გარდა, ეს განსაზღვრებანი კლასობრივიც იყო იმ მხრივ, რომ ქალი მონები ქალების კატეგორიაშიც კი არ შედიოდნენ). სამაგიეროდ, პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებში სრულებით არ ფიგურირებს ქალი, როგორც მაცდუნებელი (როგორც ადამისა და ევას შემთხვევაში), ან ქალი – საფრთხე მამაკაცის ძალისთვის (როგორც სამსონისა და დალილას შემთხვევაში). ამგვარი გამონაკლისი ქალის ანდროცენტრული კონცეფციიდან, სავარაუდოდ, დაკავშირებული უნდა იყოს ანტიკური ბერძნული კულტურის ჰომოეროტიზმთან. პლატონისა და არისტოტელეს მსგავსი მამაკაცებისათვის ქალები სასიყვარულო და სქესობრივი ცხოვრების ცენტრშიც კი არ იყვნენ; ამიტომ ქალი ანდროცენტრულ განსაზღვრებაშიც კი არ განისაზღვრება მამაკაცის სექსუალობის ტერმინებით.

კონფლიქტური მემკვიდრეობა

პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევის ამ მოკლე განხილვიდან გამოიკვეთა ორი თემა, რომელიც ძველი ბერძნებისთვის წინააღმდეგობრივი არ იყო, მაგრამ რომლებიც შემდგომი კულტურებისათვის ძნელად შესათვისებელი აღმოჩნდა. პირველი თემა ეხება იერარქიას, სტატუსს და ბუნებრივ განსხვავებებს. აქ კოლექტიურს იერარქიული სტრუქტურა აქვს; პიროვნებას თავიდანვე ღირსების რაღაც დონე აქვს, რომელიც იერარქიაში მის სტატუსს განსაზღვრავს; დაბალი სტატუსის პირი მაღლა მდგომი პიროვნების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მეორე თემა გონიერებას, თანასწორობასა და დემოკრატიას ეხება. აქ რაციონალური აზროვნება და კამათი მორჩილებასთან და ავტორიტეტთან შედარებით უფრო მაღლა დგას და სახელმწიფოს ყველა მოქალაქე პოლიტიკურ პროცესებში ერთნაირად უნდა მონაწილეობდეს და არც ერთ მოქალაქეს არავითარი უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს მეორეზე. ბერძნებისათვის ბუნებრივი იერარქია თავისთავად იგულისხმება და ამიტომ დემოკრატია და თანასწორობა მხოლოდ იერარქიის მწვერვალზე მყოფი ელიტარული ჯგუფისათვის არის მისადაგებული. ორი ათასწლეულის შემდეგ, განმანათლებლობის ხანაში, ინდივიდუალობას კოლექტიურთან შედარებით უფრო დიდი უპირატესობა ენიჭებოდა. ამიტომ ინტელექტუალური ელიტა, მათ შორის თომას ჰობსი, რენე დეკარტე და ჯონ ლოკი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კოლექტივის ბუნებრივ და განუყოფელ უფლებებს. განმანათლებლობა ეყრდნობა ბუნებრივი (ნატურალური) უფლებების უნივერსალურ ენას და მისთვის დაუშვებელია, რომ ინდივიდი მისი თანხმობის გარეშე იმართებოდეს. ბუნებრივია, რომ ყველა ინდივიდი თანასწორია. ამით ერთბაშად საფუძველი ერყევა ძველი ბერძნების „ლოგიკურ“ არგუმენტს იმისთვის, რომ ზოგიერთს სხვებთან შედარებით მეტი პოლიტიკური უფლებები მიენიჭოს. მიუხედავად ბერძნების დაშვებებისა იმის შესახებ, რომ ბუნებრივი განსხვავებანი პოლიტიკურ უთანასწორობას ამართლებს, მაინც შეუთავსებელი იყო ნატურალური და განუყოფელი უფლებების საყოველთაო ენასთან, თუმცა მათ მაინც შეაღწიეს განმანათლებლობის თეორეტიკოსთა ნაშრომებში, ისევე როგორც თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციებში. მაგალითად, შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ყველაზე ძირითად პოლიტიკურ უფლებას – ხმის უფლებას – მოკლებულნი იყვნენ როგორც ქალები, ასევე ფერადკანიანები და ისინი, ვისაც საკუთრება არ გააჩნდა. ჟან ჟაკ რუსო მგზნებარედ გამოდიოდა მამაკაცთა შორის ყოველგვარი პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ და ამიტომ ის ერთადერთ განმანათლებლად მიიჩნევა, ვინც ბუნებრივი განსხვავებებისა და პოლიტიკური უთანასწორობის შესახებ ანტი-

კური ბერძნების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. მაგრამ რუსოს არასოდეს გამოუყენებია თავისი არგუმენტები ქალების დაქვემდებარებული მდგომარეობის მიმართ; უფრო მეტიც, მისი აზრით, ქალებს შეუძლიათ საკუთარი სექსუალური მიმზიდველობის გამოყენებით „შექმნან თავიანთი იმპერია და ძალაუფლება მიანიჭონ იმ სქესს, რომელსაც მორჩილებაში ყოფნა ევალება“ (1755/1952, გვ.346), ამიტომ, თუ მამაკაცს სურს ძალაუფლების ბალანსის შენარჩუნება, მან ქალი ყველა დანარჩენ სფეროში უნდა დაიქვემდებაროს. ამდენად, მან ქალის პოლიტიკური უთანასწორობის არგუმენტირებისთვის ძველი და კარგად ცნობილი განსაზღვრება გამოიყენა – ქალი ბოროტება და სექსუალური მაცდუნებელია. პოლიტიკის ფილოსოფოსი არლინ საქსონჰაუსი წერს, რომ დღევანდელი დებატები ქალის ადგილზე საზოგადოებაში ამ კონფლიქტიდან გამომდინარეობს, რომელიც ლიბერალიზმის ეგალიტარულ პოზიციასა (რომელსაც ეფუძნება ამერიკის პოლიტიკური სისტემა) და სქესობრივი დიფერენციაციისა და პატრიარქატის პრაქტიკას შორის არსებობს (რომლიდანაც აღმოცენდა ჩვენი საზოგადოება) (1985, გვ.6-7). ვფიქრობ, ახლა ნათელია, რომ რაციონალიზმი და დემოკრატია, რომელიც ხაზგასმულია ამერიკულ კულტურაში, ისევე როგორც ქალების ანდროცენტრული გამორიცხვა საზოგადოებრივი სფეროებიდან, სათავეს ძველ საბერძნეთში იღებს.

თუკი აქამდე ანდროცენტრიზმის ათასობით წლის წინანდელ გამოვლინებებს განვიხილავდით, ამჯერად ასი წლის წინანდელი გამოცდილება უნდა განვიხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დისკურსი შედარებით ახალია, მან ისე მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანური ბუნების გაგება დასავლურ კულტურაში, რომ ის თამამად შეიძლება განვიხილოთ ქალის თანამედროვე კონცეფციის ძირითად ქვაკუთხედად.

ანდროცენტრიზმი ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიაში

ცნობილია ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული და არათანასწორი ბუნების ახსნათა ორი კატეგორია. პირველის არგუმენტი ისაა, რომ, როცა ადამიანები შეიქმნენ, იუდაური და ქრისტიანული კონტექსტის მიხედვით, მათ ღმერთმა განსხვავებული ბუნება მიანიჭა, ძველი ბერძნული ფილოსოფიის მიხედვით კი – საკუთრივ ბუნებამ. მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სქემა ბიოლოგიური ევოლუციის მსვლელობაში განსხვავებული და უნიკალური ბუნება განივითარა. ამ ორი არგუმენტისგან რადიკალურად განსხვავდება ფსიქოანალიტიკური ახსნა, რომელიც ზიგმუნდ ფროიდმა მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა. მისი არგუმენტი იმაშია, რომ ქალისა და მამაკაცის განსხვავებული და არათანასწორი ბუნება ბავშვობაში, მათი ფსიქოლოგიური განვითარების დროს ყალიბდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ფსიქო-სექსუალური განვითარების სამი ასპექტი:

1. ნორმალური ფსიქოლოგიური განვითარების დროსაც კი, ბავშვები აუცილებლად დგებიან ისეთი აზრებისა და გრძნობების წინაშე, რომლებიც მათთვის ფსიქოლოგიურ მუქარას წარმოადგენს. ამიტომ, მათი განვითარება აუცილებლად მოიცავს ამ მტკინვეული მასალის არაცნობიერში განდევნას.

2. სექსუალური მასალა ყველაზე ხშირად განიდევნება არაცნობიერში და ამის მიზეზი ისაა, რომ სექსუალობა წამყვანია არა მარტო ბავშვის, არამედ ჩვილის უადრეს გამოცდილებაშიც.

3. ბავშვის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე თავს იჩენს ბავშვის სექსუალობის განსხვავებული ასპექტები. მაგალითად, „ორალურ“ სტადიაზე ბავშვის სექსუალობა ფოკუსირებულია წოვის აქტზე. „ანალურ“ სტადიაზე ის, პირველ რიგში, განავლის გამოყოფა-

შეკავებასთან არის დაკავშირებული. „ფალიკურ“ (ფალოსურ) სტადიაზე ის, პირველ რიგში, გენიტალიებზეა კონცენტრირებული.

ფროიდის თანახმად, სწორედ ფალიკურ სტადიაზე, რომელიც დაახლოებით სამიდან ექვს წლამდე გრძელდება, ბავშვს ჩვეულებრივ უვითარდება საწინააღმდეგო სქესის მშობლის მიმართ სქესობრივი ლტოლვა და ასევე იმის გაცნობიერება, რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული სახის სასქესო ორგანოები აქვთ. ამ აღმოჩენას რადიკალურად განსხვავებული შედეგები მოაქვს ორი სქესის ფსიქო-სექსუალური განვითარებისთვის. ბიჭისათვის, რომლისათვის „პენისი დიდ სიამაყეს წარმოადგენს“ (1924/195, გვ. 271), გოგონას გენიტალიების ნახვა იწვევს ან „შიშს, იმის მსგავსად, როგორსაც დამახინჯებული არსების ხილვა იწვევს, ან გამარჯვებულის სიბრალულს“ (1925, გვ.191). ამასთან, ეს საკუთარი პენისის მიმართ რეალურ საფრთხეშიც არწმუნებს – რომელსაც მასტურბაციის ან დედის მიმართ სქესობრივი ინტერესის გამო უკვე არაერთხელ ემუქრებოდა კასტრაცია. ეს ყველაფერი ბევრად უფრო მტკივნეული და საშიშია, ვიდრე ამის ატანა პატარა ბიჭს შეუძლია. ამიტომ ის თრგუნავს თავის სექსუალურ გრძნობებს დედის მიმართ, იდენტიფიცირდება მამაკაცთან და ამ პროცესის საშუალებით არა მარტო იხსნის ოიდიპოსის კომპლექსს, არამედ ნორმალურ მასკულინობას და ძლიერ სუპერეგოს განივითარებს. ამის საწინააღმდეგოდ, გოგონაში, რომელიც აქამდე „პატარა კაცი იყო“ და ბედნიერად ეწეოდა მასტურბაციას თავისი „პენისის ეკვივალენტით“, გენიტალური განსხვავებების აღმოჩენა იწვევს არა კასტრაციის შიშს, არამედ ლტოლვას „უპირატესი ორგანოს მიმართ“ (1933/1964, გვ.104;1925/1959, გვ.195). ფროიდი ამ კრიტიკულ მომენტს აღწერს, როგორც თვალის ახელას: პირველად რომ შეამჩნევს ძმის ან მეგობრის პენისს, რომელიც „თვალში საცემია და დიდი ზომისაა“, პატარა გოგონა ერთბაშად „ხვდება“ ყველაფერს. მას ის არა აქვს და უნდა, რომ ჰქონდეს. ასე ხდება პატარა გოგონა „პენისის შურის მსხვერპლი“ (გვ. 190-191). ფროიდი ამ შურს არ აღიქვამს, როგორც რაღაც არანორმალურს. პირიქით, გოგონასთვის პენისის შური ნორმალური ქალურობის ჩამოყალიბების გზაა ისევე, როგორც ბიჭისათვის კასტრაციის შიში – ნორმალური მამაკაცურობისა. პენისის შურს, სულ ცოტა, ექვსი ბუნებრივი შედეგი მოჰყვება. პირველი, როცა გოგონა აცნობიერებს საკუთარი ნარცისიზმისათვის მიყენებულ ჭრილობას, იგი, ნაიარევის მსგავსად, არასრულფასოვნების გრძნობას ივითარებს; მეორე, როდესაც გოგონა ხვდება, რომ პენისის არქონა უნივერსალურია და არა მისი პირადი სასჯელი, იგი იწყებს მამაკაცის შეხედულების გაზიარებას იმ „არასრულფასოვანი“ სქესის მიმართ, რომელიც „მოკლებულია ასეთ მნიშვნელოვან რამეს“; მესამე, მაშინაც კი, როდესაც პენისის შური თავის ნამდვილ ობიექტს შორდება, ის აგრძელებს არსებობას ისეთ პიროვნულ თვისებაში, როგორიცაა ეჭვიანობა; მეოთხე, გოგონა წყვეტს თავის სასიყვარულო ურთიერთობას დედასთან, რომელსაც „დამნაშავედ თვლის პენისის არქონაში“; მეხუთე, დამცირებულობის შეგრძნების გამო (კლიტორის არასრულფასოვნების გამო) გოგონა თავს ანებებს კლიტორულ მასტურბაციას და ამით ადგილს უთმობს საკუთარი (ვაგინალური) ქალურობის განვითარებას; დაბოლოს, „იგი თავს ანებებს „პენისის ფლობის“ სურვილს და ცვლის მას, ბავშვის ყოლის სურვილით“ (გვ. 192-195). ამ მომენტში, ამბობს ფროიდი, გოგონა ქალად იქცევა. ეს პატარა ქალი განსაკუთრებით ბედნიერი იქნება, თუ ბავშვი, რომელზეც ახლა ოცნებობს, ბიჭი იქნება, „რომელიც მას სანატრელ პენისს მოუტანს“ (1933/1964, გვ. 113). სამწუხაროდ, გოგონას „აღმოჩენას, რომ კასტრირებულია“, ის ყოველთვის არ მიჰყავს „ნორმალური ქალურობისკენ“ (გვ. 114). ზოგ შემთხვევაში, „ბიჭის უპირატესი აღჭურვილობის ხილვა იმდენად მომაკვდინებელია გოგონას თვითპატივისცემისთვის“, რომ ეს უკანასკნელი თრგუნავს საკუთარი სექსუალობის საუკეთესო ნაწილს, რაც „სექსუალურ შეკავებას ან ნევროზს“ იწვევს (გვ. 111-112). სხვა შემთხვევებში

გოგონა ივითარებს ძლიერი მასკულინობის კომპლექსს. ამიტომ ფროიდი გულისხმობს, რომ გოგონა უარს ამბობს კასტრაციის ფაქტის აღიარებაზე, განუმტკიცდება აზრი, რომ მას აქვს პენისი და, აქედან გამომდინარე, რომ ის არის კაცი (1925/1959, გვ. 191-192). ამ პროცესის ბუნება, ფროიდის მიხედვით, ისაა, რომ გოგონა აღარ მიჰყვება „პასიურობის დინებას, რომელიც განაპირობებს მის მობრუნებას ქალურობისაკენ". მასკულინობის კომპლექსის ყველაზე უკიდურეს გამოვლინებას აშკარა ჰომოსექსუალობა წარმოადგენს. მაგრამ არის სხვა, ნაკლებად უკიდურესი შედეგებიც – ცოლისა და დედის ტრადიციული როლების უარყოფა და „ინტელექტუალურ პროფესიებში ჩაბმა" (გვ.111). ქალის ფსიქო-სექსუალური განვითარების ამ თეორიასაც იგივე ანდროცენტრული იდეები უდევს საფუძვლად, რაც იუდაურ-ქრისტიანულ და ბერძნულ ტრადიციებს. ამავე დროს, მეოცე საუკუნის უფრო მეცნიერული კონცეფციების გათვალისწინებით, ქალის განსაზღვრება მამაკაცის სექსუალობის ტერმინებით შეუდარებლად გათანამედროვებულია. ფროიდმა მოგვცა ქალის, როგორც ობიექტის, განახლებული განმარტება. კერძოდ, მან შემოიტანა „პასიური" და „მაზოხისტი" (გვ.102) ქალის ცნება, რომლის სქესობრივი დაკმაყოფილება საბოლოოდ მოთავსდება (ფსიქოსექსუალური განვითარების მტკინვეული პროცესის შედეგად) არა მის „მასკულინურ" კლიტორში, სადაც ის თავდაპირველად იყო მოთავსებული, არამედ, მის „ჭეშმარიტ ქალურ" ვაგინაში (საშოში), სადაც ის ყველაზე კარგად მოემსახურება მამაკაცის სექსუალობას. მართალია, ქალის ფროიდისეულ განსაზღვრებაში არაფერია ახალი მისი ოჯახური და რეპროდუქციული ფუნქციების თვალსაზრისით, სამაგიეროდ, სრულიად ახალია მეტათეორია, რომელიც ხაზს უსვამს ამ განსაზღვრებას. იმ დროს, როცა ანტიკური ტრადიცია ქალს დედისა და ცოლის როლის გარეთ ვერც წარმოიდგენდა, ფროიდი რეალურად განიხილავდა სხვა შესაძლებლობებსაც. თუმცა მათ სიცოცხლისუნარიანობას იგი საეჭვოდ ხდის, აყენებს და შემოაქვს განსხვავება „ნორმალურ ქალურობასა" და „მასკულინობის კომპლექსს" (გვ.111) შორის და, ამდენად, ყველა ქალი, რომელსაც სურს, დედაზე და ცოლზე უფრო მეტი იყოს, მისთვის ფსიქოლოგიური პათოლოგიაა. ფროიდმა მთლიანად არც ის აზრი უარყო, რომ ქალი გარე აქტივობას მოურგებელია. მისი აზრით, „ქალს მამაკაცზე ნაკლებად შეუძლია ინსტინქტების სუბლიმირება" (გვ.119), და სწორედ ეს უნარია აუცილებელი სახლსგარე აქტივობისას კულტურული მიღწევებისთვის. ამ ყველაფერს მივყავართ ქალის ფროიდისეულ განსაზღვრებამდე, რომელიც ქალს მამაკაცის სტანდარტისაგან არასრულფასოვან გადახრად აღიქვამს. ეს მშვენივრად ეთანხმება მის თეორიებს მამაკაცის კასტრაციულ შფოთვასა და ქალის პენისის შურის შესახებ, რომელთა მიხედვით ნაგულისხმევია, რომ ქალის გენიტალიები მამაკაცის გენიტალიების კასტრირებული ან დამახინჯებული ვარიანტია. ქალის არასრულფასოვნება მამაკაცურ სტანდარტთან შედარებით მხოლოდ სხეულით არ შემოიფარგლება. თვითონ ფროიდი ამბობს: რადგან გოგონას არა აქვს კასტრაციის შიში, მას არ გააჩნია ის წამყვანი მოტივი, რომელიც ბიჭებს ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევისკენ უბიძგებს. ...ასეთ პირობებში სუპერეგოს ჩამოყალიბება ნორმალურად ვერ ხდება; იგი ვერ აღწევს იმ ძალას და დამოუკიდებლობას, რომელიც მას კულტურულ მნიშვნელობას მიანიჭებდა" (გვ.114). ფროიდის აზრით, რეალობის ბავშვისეული ხედვა უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვობისდროინდელი არაცნობიერი მოზრდილისათვის თითქმის ყოველთვის მტკივნეული და საშიშია. შესაბამისად, სწორედ ბავშვზე დაყრდნობით ამტკიცებს ფროიდი, რომ ქალის სხეული მამაკაცური სტანდარტისაგან არასრულფასოვანი გადახრაა. მან ანდროცენტრული ლინზები მოათავსა ყოველი ბავშვის გონებაში და ეს ბრწყინვალე მიგნება იყო. ამით ფროიდმა მოახდინა, ჯერ ერთი, ქალის არასრულფასოვნების ნატურალიზება იმით, რომ ეს ბავშვისათვის ადრეულ ასაკშიც ადვილი მისახვედრია; ასევე მან მოახდინა ანდროცენტრული ლინზების ნა-

ტურალიზაცია იმით, რომ მოათავსა ისინი არა მამაკაცი თეორეტიკოსის გონებაში, არამედ ბავშვისაში.

ფემინისტური პასუხი ფროიდის მიმართ

არსებობს, სულ ცოტა, სამი ვარიანტი ფემინისტური პასუხისა ფროიდის ფსიქო-სოციალური განვითარების ანდროცენტრულ ანალიზზე. პირველი რეაქცია წამოვიდა მისი თანამედროვეებისგან – ერნესტ ჯონსის, კარენ ჰორნისა და მელანი კლაინისგან, რომელთაც ქალის ფროიდისეული ანალიზი უსამართლოდ და ზედმეტად ფალოცენტრულად მიიჩნიეს (Jones, 1927/1961, გვ.438). ამ თეორეტიკოსების აზრით, გოგონების ქალურობა პროგრესულად ვითარდება არა ფსიქოსექსუალური განვითარების ფალოცენტრული პროცესიდან, არამედ საკუთარი ინსტინქტური იმპულსებიდან გამომდინარე (Jones, 1935/1961, გვ.495). ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური ატრიბუტების განსხვავებების ხაზგასმა მოგვიანებით მოგვცა ერიკ ერიკსონმა (1968), რომელიც ამტკიცებდა, რომ ქალური იდენტობის ჩამოყალიბება პენისის უქონლობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ საშვილოსნოს არსებობიდან. უფრო სწორად, ერიკსონის აზრით, თუკი მამაკაცის ფსიქიკა იმის გარშემო ყალიბდება, რისი სიმბოლოცაა პენისი – „რისი გაკეთებაც შეუძლია მამაკაცს – შენება ან ნგრევა“. ქალის ფსიქიკა ძირითადად ჩამოყალიბებულია საშვილოსნოს ანუ შინაგანი სივრცის გარშემო, რომელიც ყოველთვის მისი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ვალდებულების – შთამომავლობაზე ზრუნვის სიმბოლო იყო“. მეორე ნაირსახეობა ფემინისტური რეაქციისა სოციალური კონსტრუქტივიზმის არაფსიქოანალიტიკური მიდგომიდან წამოვიდა. ამ თეორიის წარმომადგენლებისათვის, ფაქტობრივად, ყველა ფსიქოლოგიური სქესთაშორისი განსხვავება გამოწვეულია კულტურულ გარემოებათა ამა თუ იმ კომბინაციითა და მამაკაცთა დომინირების საზოგადოებაში ცხოვრებით. თუკი ქალებს შურთ მამაკაცებისა, მათ შურთ მათი ძალაუფლება და სტატუსი და არა მათი პენისები. ამავე ხაზს აგრძელებს კეით მილეტი. იგი აკრიტიკებს ფროიდს იმისათვის, რომ მას „აერია ბიოლოგია და კულტურა, ანატომია და სტატუსი“, ასევე იმისთვისაც, რომ მან არ გამოიყენა ბრწყინვალე შანსი, შეესწავლა მამაკაცთა დომინირების საზოგადოების გავლენა ახალგაზრდა ქალის ეგოს განვითარებაზე. ამის საწინააღმდეგოდ, მან „ბიოლოგიის გარდაუვალი წესის“ ტერმინებით მისი ჩაგვრის ლეგალიზება მოახდინა. მილეტი ამ სიტუაციას ასე აღწერს: „გოგონებს მთლიანად გაცნობიერებული აქვთ მამაკაცთა უპირატესობა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე თავიანთი ძმების პენისს ნახავდნენ. ეს მათი კულტურის ნაწილია. ეს წარმოდგენილია ფავორიტიზმის სახით სახლში და სკოლაში, იმ სახეებში, რომლებსაც აწვდის მასმედია, რელიგია, ყველა იმ მოდელში, რომელსაც ისინი მოზრდილთა სამყაროში აღიქვამენ – ასე რომ, მისი დაკავშირება ბიჭის გენიტალიებთან, იმ დროს, როცა არსებობს უამრავი სხვა, სქესთან დაკავშირებული ნიშანი, ან გადაჭარბებულია, ან შეუსაბამო. მამაკაცთა პრივილეგირებული სტატუსის იმდენი გამოვლინება არსებობს, რომ, ცხადია, გოგონებს შურთ არა პენისის, არამედ იმისა, თუ რა სოციალურ პრეტენზიებს განსაზღვრავს მისი ფლობა“ (1969,გვ.264-265). ირონიას ჰგავს, მაგრამ უკანასკნელი დროის ფემინისტური რეაქცია სწორედ იმის შექმნისათვის აქებს ფროიდს, რის არშექმნაშიც დააადანაშაულა მილეტმა: კერძოდ, თეორიისთვის იმის შესახებ, თუ რა დაღს ასვამს ან არ ასვამს ქალის სექსუალურობას და არაცნობიერს პატრიარქალური კულტურა. ეს ფემინისტი ფსიქოანალიტიკოსები ხაზს უსვამენ ფროიდის ძირითად დაშვებას, რომ ქალურობა შექმნილია და არა თანდაყოლილი. ამას გარდა, ისინი, ჟაკ ლაკანის მსგავსად, იზიარებენ იმ აზრს, რომ პენისი ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანია ბავშვისათვის, ვინაიდან პატრიარქალურ საზოგადოებაში ფალოსს, როგორც სიმბოლოს, უპირატესობა ენიჭება. ამ თეორე-

ტიკოსებისათვის ოიდიპოსის კომპლექსი ბუნებრივი და ბიოლოგიური ფენომენი კი არ არის, არამედ კულტურული, რომელიც აღნიშნავს „ბავშვის შესწავლას სიმბოლურ წესრიგში“ (Sayers,1982,გვ.135). ბრიტანელი ფსიქოანალიტიკოსის ჯულიეტ მიჩელის სიტყვებით, „ფსიქოანალიზი წარმოადგენს არა რეკომენდაციას პატრიარქალური საზოგადოებისთვის, არამედ მის ანალიზს“. „მითი ოიდიპოსის შესახებ, ფროიდის ინტერპრეტაციით, აღნიშნავს და აჯამებს მამაკაცის და ქალის შესწავლას საკუთრივ კულტურაში... და ეს დამახასიათებელია მხოლოდ პატრიარქატისათვის“ (გვ.377). მიჩელის თანახმად, ფსიქოანალიზის თეორიიდან ის კი არ გამომდინარეობს, რომ პატრიარქალური წესი უნდა გამეორდეს ყოველი პიროვნების არაცნობიერში, არამედ ის, რომ თავად პატრიარქატი უნდა მოისპოს.

მაგრამ, იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეესატყვისება ფროიდის ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია მის საწყის იდეას, ერთი აშკარაა: ფსიქოანალიზის თეორიის პირველი წარდგენის ხანიდან, 1900 წლიდან, მასში არ გატარებულა ის აზრი, რომ პატრიარქატი ჩაგრავს ქალს და, ამდენად, უნდა მოისპოს. პირიქით, ისევე როგორც იუდაურ და ქრისტიანულ და ბერძნულ ტრადიციაში, მასში შეიქმნა ახალი ენა, რომელმაც ხელახლა განსაზღვრა ქალი ანდროცენტრული პერსპექტივიდან.

შეჯამება

ფემინიზმის თანამედროვე თეორია

გენდერის სოციოლოგიური თეორიები – 1960-იანი წლებიდან დღემდე.

ფემინისტური თეორია სამყაროს – ადრე არაღიარებული და არშემჩნეული უმცირესობის – ქალების თვალით უყურებს. მისი ამოცანაა, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაღიარებული მეთოდები აღმოაჩინოს, რომელთა წყალობითაც, ქალთა (რომლებიც სქესობრივი ნიშნით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და სხვა სტრატიფიკაციული კატეგორიებიდან, როგორებიცაა კლასი, რასა, ასაკი, იძულებითი ჰეტეროსექსუალობა და გეოსოციალური უთანასწორობა მრავალმხრივ ზეწოლას განიცდიან) საქმიანობა გვეხმარება, ჩვენი სამყარო შევქმნათ. ეს თვალსაზრისი სოციალური ცხოვრების ჩვენეულ გაგებას ძირეულად ცვლის. ამ საფუძველზე დაყრდნობით, ფემინისტი თეორეტიკოსები სოციოლოგიურ თეორიას გამოწვევას ესვრიან.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ფემინისტური თეორია?
2. დაახასიათეთ ის ოთხი მთავარი საკითხი, რომლებიდანაც ფემინიზმი ამოიზარდა:
3. ჩამოთვალეთ და გაანალიზეთ ის ექვსი ძირითადი მიზეზი, რომლებსაც ფემინისტური თეორია ზოგადად მიღებული სოციალური თეორიების ხელახალი გადახედვის სასარგებლოდ ასახელებს:
4. გამოყავით და გაანალიზეთ ის ორი საკვანძო თავისებურება, რომლითაც ფემინისტური თეორიები უმრავლესი სოციალური თეორიებისაგან განსხვავდება:

5. გაანალიზეთ სამი მაკროსოციოლოგიური მიდგომის: სტრუქტურული ფუნქციონალიზმის (მირიამ ჯონსონი), კონფლიქტის თეორიის (ჯანეტ ჩაფეტსი), მსოფლიო სისტემების ნეომარქსისტული თეორიის (კეტრინ ბ. უორდი) – არსებითი მახასიათებლები:
6. გაანალიზეთ ის ძირითადი თავისებურება, რითაც გენდერის მიკროსოციოლოგიური თეორიები (სიმბოლური ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია) გენდერის მაკროსოციოლოგიური თეორიებისაგან განსხვავდება:
7. გაანალიზეთ ის ოთხი კატეგორია, რომელიც კითხვაზე – „როგორაა საქმე ქალებთან დაკავშირებით?“ პასუხისას გამოიკვეთა: 1. გენდერული განსხვავება; 2. გენდერული უთანასწორობა; 3. გენდერული ჩაგვრა; 4. სტრუქტურული ჩაგვრა;
8. განმარტეთ დებულების არსი: „პოსტმოდერნიზმი ფემინისტური თეორიისათვის მნიშვნელოვანია, როგორც „ოპოზიციური ეპისტემოლოგია“, როგორც სტრატეგია ჭეშმარიტებასა და ცოდნაზე ნებისმიერი თეორიის პრეტენზიებში ეჭვი შეიტანოს“;
9. გაანალიზეთ ის ოთხი ასპექტი, რომლითაც, გენდერული სოციოლოგიის თანახმად, ყოველივე ის, რაც „სამყაროს ცოდნად“ იწოდება, ხასიათდება;
10. განმარტეთ დებულება: „ის ფაქტი, რომ ქალებს სექსუალურად ავიწროებენ სამუშაოზე და საზოგადოებრივ ადგილებში შეურაცხყოფენ, აღიარებულია არა, როგორც შემთხვევითი და უმნიშვნელო მოვლენა, არამედ, როგორც ძალაუფლების გამოყენების მაგალითი, რაშიც კაპიტალიზმისა და პატრიარქატის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა“;
11. დაასახელეთ ის პირობები, რომლებიც ქალებს „გაორებულ ცნობიერებას“ უყალიბებს?

ძირითადი ლიტერატურა:

გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 5-14, 15-39, 63-80, 135-186.

Ритцер Дж. Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2000, gv. 357-414.

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. გვ. 129-149.

დამატებითი ლიტერატურა:

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004.

თავი მეთორმეტე – პოსტსტრუქტურალიზმი: მიშელ ფუკო

1. *მიშელ ფუკოს ცხოვრება და შრომები;*
2. *ფუკო: სიგიჟე და საზოგადოება;*
3. *ფუკო – „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია“;*
4. *ფუკო: ეპისტემეს-დისკურსის ცნება;*
5. *მიშელ ფუკო და თომას კუნი: დისკურსი და პარადიგმა;*
6. *ფუკო: „არსებულის ისტორია“ და „გენეალოგიის მეთოდი“;*
7. *ფუკო: ციხეების დაბადება-ძალაუფლება და ცოდნა. პანოპტიკუმი;*
8. *ფუკო: სექსუალობის ისტორია;*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- ეპისტემე – დისკურსი – პარადიგმა;
- „ცოდნის არქეოლოგია“ და „ძალაუფლების გენეალოგია“;
- ძალაუფლება და ცოდნა;
- „შეშლილობა და ცივილიზაცია“;
- კლინიკის დაბადება;
- დისციპლინა და სასჯელი;
- პანოპტიკუმი;
- „სექსუალობის ისტორია“;
- „მოსახლეობის ბიოპოლიტიკა“.

1. მიშელ ფუკოს ცხოვრება და შრომები

პოლ-მიშელ ფუკო დაიბადა 1926 წლის 15 ოქტომბერს ქ.პუატიეში, პარიზის სამხრეთით, 250 კმ. დაშორებით. მისი მშობლები – მდიდარი ბურჟუები ქალაქში – ფრანგული პროვინციალიზმის ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. მამა – წარმატებული ქირურგი, ადგილობრივ სამედიცინო კოლეჯში ასწავლის. დედა – ენერგიული ქალბატონი, რომელიც მეუღლის კაპიტალს განაგებდა და მის პრაქტიკას აწესრიგებდა. *სკოლაში პატარა მიშელი სუსტი და ახლომხედველი იყო, რის გამოც თანაკლასელებმა მალევე შეარქვეს პოლიმიშელი (ცირკის კუზიანი მასხარას ფრანგული ეკვივალენტი).* ათი წლის პოლ-მიშელი ხედავს, თუ როგორ დახეტიალებენ პუატიეს ქუჩებში ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველი ლტოლვილები. ფუკო 14 წლის გახდა, როდესაც ნაცისტები საფრანგეთში შეიჭრნენ, პატარა პოლ-მიშელს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის ფორმაში დადიოდა, ყველა ეს მოვლენა ძალიან აფორიაქებდა.

ოცი წლის ფუკო, მეორე ცდით, პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში ჩაირიცხება. ეს იყო ინტელექტუალური ორანჟერეა, სადაც ფრანგი სტუდენტების ნაღები ნაწილი ტრიალებდა. აქ სტუდენტობა ნიშნავს, რომ სამუდამოდ განეკუთვნები უმაღლეს კასტას.

ამ დროისათვის სკოლის ჩუმი და უწყინარი მოწაფე უკიდურესად ფეთქებად ადამიანად გადაიქცა. ერთი წლით, ან ოდნავ მეტით, ადრე მან თავისი არატრადიციული სექსუა-

ლური ორიენტაცია, რომ ის ჰომოსექსუალია, თანდათანობით გააცნობიერა. იმ დროისათვის ეს კანონსაწინააღმდეგოა, პუატიეში ხომ საერთოდ წარმოუდგენელია. პოლ-მიშელი საკუთარ დედასაც კი ვერ მიმართავდა რჩევების ან დამშვიდებისათვის, თანაც სერიოზულად ეჩხუბა მამას. მან უარი განაცხადა, გაეგრძელებინა ოჯახური ტრადიცია, არ მოისურვა ექიმობა. უბრალოდ, მედიცინა მას არ აინტერესებდა. იმ დროისათვის, როდესაც მან ხელმეორედ ჩააბარა გამოცდები უნივერსიტეტში, მისი გენიალობა ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ისიც უეჭველი იყო, რომ მას გენიოსებისათვის დამახასიათებელი ძნელად სავარაუდო ქცევები ახასიათებდა.

უნივერსიტეტში ყოფნის პირველი წელი უსიამოვნებებისა და პრობლემების უწყვეტი თანმიმდევრობა იყო. საერთო საცხოვრებლის სტუდენტებიდან არავის უნდოდა მასთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრება. ისინი მას უყურებდნენ, როგორც საშიშ გიჟს, მისი ბრწყინვალე გონება კი ამას ხაზს უსვამდა. მეცნიერულ კამათში ძლიერი და შემტევი, უარს არც ფიზიკურ ზეწოლაზე ამბობს – უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებაზე. ის აქ ძალიან ბევრს კითხულობდა, ბევრს საუნივერსიტეტო სტანდარტების გათვალისწინებითაც კი. ახალგაზრდა ძალზე სწრაფად იზრდებოდა, როგორც პიროვნება და როგორც ფილოსოფოსი.

ამ დროისათვის ფუკოს ინტელექტუალურმა უნარმა უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორების ყურადღება მიიქცია, მათ საკუთარი იდეების განხილვა ფუკოსთან ერთად დაიწყეს. პროფესორი ჯორჯ კანგილჰემი მეცნიერების აბსოლუტურად ახალ, სტრუქტურულ ისტორიას ქმნიდა. მას მიაჩნია, რომ მეცნიერება თანდათანობით და შეუქცევადად სრულებითაც არ ვითარდება. მეცნიერების ისტორიამ მთელი რიგი განსხვავებული მოვლენები იცის, როდესაც ცოდნა რომელიღაც ახალ სფეროში გიგანტურ ნახტომებს აკეთებდა.

ფუკომ ასევე მიიქცია ლუი ალთუსერის ყურადღება, რომელიც მაშინ ძალზე ახალგაზრდა ასწავლიდა უნივერსიტეტში.

1951 წელს ფუკომ ბრწყინვალედ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები, როგორც წესი, მეორედ გასვლაზე. ახლა უკვე წინაა სამხედრო სამსახურის პერსპექტივა. მაგრამ ცნობამ „დეპრესიის“ შესახებ და ალბათ ოჯახის მცდელობამაც საშუალება მისცა, არ დაეხარჯა ორი წელი ამ საქმეზე. ის გახდა უმაღლესი ნორმალური სკოლის მასწავლებელი ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგიით მისმა დაინტერესებამ მისი წმ. ანას ჰოსპიტლის ფსიქოლოგიურ განყოფილებაში ხშირი სტუმრობა განაპირობა. აქ მალე მას უკვე ეპყრობოდნენ, როგორც პერსონალის წევრს იმ განსხვავებით, რომ ხელფასს არ უხდიდნენ, მას უფლება ჰქონდა, როგორც ექიმს, პაციენტებთან ემუშავა. უნივერსიტეტში ის ცნობილი გახდა იმით, რომ სტუდენტებს რორშახის ასოციაციურ ტესტებს აძლევდა, „რათა დაედგინა, თუ რას ფიქრობდნენ ისინი“.

1955 წლის აგვისტოში ფუკომ სამხრეთ შვედეთის ქალაქ უპსალას უნივერსიტეტში უმცროსი მასწავლებლის თანამდებობა მიიღო. ფუკო კითხულობდა ლექციებს ფრანგულ ლიტერატურაზე და მსმენელები სტუდენტი გოგონები იყვნენ. ჩვეულებრივ, მან საგნის საკმაოდ შეზღუდული ასპექტი აირჩია – „სიყვარულის კონცეფცია ფრანგულ ლიტერატურაში, დაწყებული მარკიზ დე სადიდან ჟანა ჟენემდე“ ამავე დროს, ფუკო თავის სადოქტორო დისერტაციაზე სერიოზულად მუშაობს, იკვლევს ფსიქოლოგიურ და სამედიცინო გადახრებს. 33 წლის ფუკო ბრუნდება პარიზში, მთელი ძალაუფლება კონცენტრირებული მხოლოდ ერთ საგანზე აქვს. მან თავის „სიგიჟის ისტორიაზე“ დაიწყო მუშაობა. 1960 წელს, როდესაც გამოჩნდა ფუკოს „სიგიჟე და საზოგადოება“, ის პარიზის მთავარ ინტელექტუალურ ფიგურად იქცა.

1963 წელს ფუკომ გამოაქვეყნა „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია“. ეს ნაშრომი ფუკოს უჩვეულო სიბეჯითის მაგალითია: ფუკო ყოველდღიურად დიდ დროს უთმობდა თავის „არქეოლოგიას“.

1964-1965 წლებში ფუკომ დაასრულა მთავარი ნაშრომი, რომელმაც მის იდეებს პოპულარობა მოუტანა მთელს დასავლეთში. წიგნს „საგანთა წესრიგი: ადამიანური არქეოლოგია“, უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობის ცნება და როგორ გახდა ის ჩვენი შემეცნების ობიექტი.

1964 წელს ფუკო გაემგზავრა ტუნისში, სადაც უნივერსიტეტში იკავებს შტატგარეშე პროფესორის თანამდებობას. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ნიცშეს ფილოსოფიაზე და აგრძელებდა მუშაობას თანამედროვე ეპისთემის კულტურულ ასპექტებზე.

ფუკოს ცხოვრება, როგორც დევნილობაში („ლე მონდს“ ყოველდღე იღებდა) მყოფი ცნობილი ფილოსოფოსისა, მალე დაირღვა. 1966 წლის დეკემბერში ტუნისის სტუდენტები ატარებენ დემონსტრაციებს ჰაბიბ ბუგრიბის მზარდი რეპრესიების წინააღმდეგ. ფუკო აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს. პირველად თავის სიცოცხლეში ფუკო „მთელი არსებით ჩაეფლო პოლიტიკაში“. ერთხელ დაშავდა კიდეც პოლიციასთან შეჯახებისას, შემდეგ საკუთარ სახლში მალავდა ძებნილ სტუდენტებს.

ფუკოს ტუნისში ყოფნისას, 1968 წელს, პარიზში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. მაისში სტუდენტებმა აიღეს მთელი მარცხენა სანაპირო, ქალაქში სიცოცხლე ფაქტობრივად ჩაქრა. სტუდენტური მოძრაობის აქტივისტები და ლათინური კვარტალის ფილოსოფოსები იმპროვიზებული მოხსენებებით გამოდიოდნენ სტუდენტთა ჯგუფების წინაშე, რომლებიც კეთილი განწყობით ხვდებოდნენ მათ.

1975 წელს ფუკო კალიფორნიაში, ბერკლის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

1984 წლის მაისში ფუკომ „სექსუალობის ისტორიის“ მესამე ტომი გაუგზავნა გამომცემელს. ორი კვირის მერე მას გული წაუვიდა და ჰოსპიტალში იქნა გადაყვანილი. ორი წლის წინ მან აღმოაჩინა, რომ მის ჯანმრთელობას რაღაც ასუსტებდა. მხოლოდ ახლა დაადგინეს მიზეზი. ფუკოს ჰქონდა შიდსი. აღსასრული ახლოვდებოდა. 25 ივნისს ის გარდაიცვალა.

2. ფუკო: სიგიჟე და საზოგადოება

ფუკო ცდილობდა ეჩვენებინა, თუ როგორ იცვლებოდა თვით სიგიჟის ცნება საუკუნეების განმავლობაში და რას ნიშნავდა ეს. სიგიჟისადმი დამოკიდებულება – ეს სოციალური აღქმისა და ადათ-წესების საკითხია. ფუკოს უნდოდა მოეძებნა „ნულოვანი წერტილი“, სადაც სიგიჟე გამოცალკევებულია გონიერებისაგან. როდის იქნა ის პირველად განსაზღვრული, რაგვარად გამოეყო გონებას და „გონნაკლულად“ იქცა.

„შეშლილობასა და ცივილიზაციაში“ (1965;1995) ფუკო ცოდნის, განსაკუთრებით, ფსიქიატრიაში არსებული ცოდნის არქეოლოგიას ეწევა. თავის გამოკვლევას იგი აღორძინების ეპოქიდან იწყებს, როდესაც შეშლილობა და გონება ჯერ კიდევ არ გაყრილან, ერთად იმყოფებიან. მაგრამ 1650 და 1800 წლებში (კლასიკურ პერიოდში) მათ შორის დადგენილ იქნა დისტანცია და საბოლოო ანგარიშით გონებამ დაიმორჩილა შეშლილობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუკო გონებასა და შეშლილობას შორის „დარღვეულ დიალოგს“ აღწერს. იგი ამ პროცესის საბოლოო შედეგს ასე აღწერს:

„ამ მომენტში მთელი თავისი სიდიადით მეფდება გონება, და გაცოფებულ უგონობა--შეშლილობაზე გამარჯვებას ზეიმობს. ამგვარად, შეშლილობას ის ილუზორული თავისუფლებაც წაართვეს, რომელიც აღორძინების ეპოქის საზღვრებზე განვითარების საშუალებას ჯერ კიდევ აძლევდა. არცთუ დიდი ხნის წინათ, იგი დღისით თუ მზისით „მეფე ლირში“, „დონ კიხოტში“ გაჭირვებით გადაადგილდებოდა. მაგრამ, არანაკლებ ნახევარი საუკუნის შემდეგ, იგი, უკვე იზოლირებული და შეზღუდვების ციხეში გამოკეტილი, გონებაზე,

მორალის წესებსა და მათ ერთფეროვან ღამეებზე გახდა დამოკიდებული“ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002 с. 531).

XIX საუკუნის მეცნიერული ფსიქოლოგია, საბოლოო ანგარიშით, მეთვრამეტე საუკუნეში განხორციელებული შეშლილების ჯანსაღად და ნორმალურად მოაზროვნეთაგან გამოყოფის რეზულტატი გახდა. დასაწყისში მედიცინა შეშლილების მხოლოდ ფიზიკურ და მორალურ მკურნალობაზე აგებდა პასუხს, მაგრამ მოგვიანებით მორალური მკურნალობა თავის თავზე მეცნიერულმა ფსიქოლოგიურმა მედიცინამ აიღო. წმინდა ფსიქოლოგიური მედიცინა მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც შეშლილობა ცოდვად იქნა გაცხადებული, გაუცხოებული და გასხვისებული. შემდეგ ფუკო ამბობს: „ის, რასაც ჩვენ ფსიქიატრიულ პრაქტიკას ვუწოდებთ, სინამდვილეში XVIII საუკუნის დასასრულის თანამედროვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არსებობის წესრიგით შენარჩუნებული და პოზიტივიზმის მითებით დამძიმებული განსაზღვრული მორალური ტაქტიკა არის“ (იქვე).

ამგვარად, ფსიქოლოგია (და ფსიქიატრია) ფუკოსათვის არის არა მეცნიერული მცდელობა, ცდა, არამედ მორალური საქმიანობა, წარმოება, მიმართული შეშლილების წინააღმდეგ, რომლებიც ამ „დახმარებისაგან“ თავდაცვის უნარს თანდათანობით კარგავენ. იგი თვლის, რომ ე.წ. მეცნიერული პროგრესი შეშლილებს „კოლოსალურ მორალურ პატიმრობას“ უსჯის.

არაა საჭირო იმაზე საუბარი, რომ ფუკო აქ უარყოფს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ დროთა განმავლობაში შეშლილთა მკურნალობაში მეცნიერულ, სამედიცინო და ჰუმანურ პროგრესს აქვს ადგილი. ამის ნაცვლად იგი ჯანმრთელი ადამიანების და მათი აგენტების (ექიმების, ფსიქოლოგების, ფსიქიატრების) მიერ შეშლილთა შევიწროებისა და დათრგუნვის უნარის ზრდაზე ლაპარაკობს. შეშლილებისა, რომლებიც, და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, XVIII საუკუნეში ნორმალურად თუ ჯანსაღად მოაზროვნეთა უფლებებით თანაბრად სარგებლობდნენ. უკანასკნელი ცვლილებები ამ სფეროში იმაში მდგომარეობს, რომ შეშლილ ადამიანებს ყველაზე ნაკლებ ეს გარეგანი აგენტები აფასებენ ხოლმე; შეშლილობას განუწყვეტლივ აიძულებენ, თავად იფიქროს თავის თავზე. მრავალი მიმართებით ასეთი ინტერნალიზებული კონტროლი კონტროლის ყველაზე რეპრესიულ ფორმას წარმოადგენს. ნათელია, რომ ცოდნის არქეოლოგიას ფუკო იმ დასკვნებისგან სავსებით განსხვავებულ დასკვნასთან მიჰყავს, რომლებსაც ტრადიციული ისტორიკოსები შეშლილთა ისტორიის, ახლანდელი სტატუსის და ჯანსაღად მოაზროვნეთა მიმართ მათი დამოკიდებულებების შესახებ აკეთებენ. გარდა ამისა, შეშლილებსა და ჯანსაღად მოაზროვნეთა შორის არსებულ განსხვავებაში და შეშლილებზე მორალური კონტროლის განხორციელებაში იგი ჰუმანიტარული მეცნიერების (განსაკუთრებით, ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის) საწყისებს იკვლევს. ეს ადამიანების მორალური კონტროლის პროცესში ჰუმანიტარული მეცნიერებების როლის შესახებ მისი უფრო ზოგადი თეზისის ნაწილია.

შუა საუკუნეებში გიჟები ცხოვრობდნენ საზოგადოებაში. მათ წმინდანებად მიიჩნევდნენ. ფუკოს ანალიზით, ჰუმანიზმმა და აღორძინების ეპოქის შესწავლამ ზოგიერთი ცვლილებები შეიტანა ამ მიმართებაში. გიჟები „წმინდანობა“ „სიბრძნის“ ჰუმანისტური კატეგორიით შეიცვალა. ბრძენი სულელი ირონიულად ასახავს საზოგადოების ჟინს. შექსპირის მასხარების სიტყვებში სიმართლე ჩანდა. დონ-კიხოტის სიგიჟე თუ შეშლილობა კაცობრიობის შეზღუდულობას ასახავს.

აღორძინების ეპოქას კლასიციზმის ეპოქა მოჰყვება (ინგლისურენოვან ქვეყნებში უფრო ცნობილია გონების ერის(რაციონალიზმის) სახელით). შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპოქა დაიწყო დეკარტიდან, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიის დამფუძნებელი და მამამთავარია. როგორც ცნობილია, დეკარტეს მიხედვით, გონებამ ყველაფერში ეჭვი უნდა

შეიტანოს, რათა ჭეშმარიტების საფუძველს მიაკვლიოს. როგორ შეიძლება რაიმეს ნამდვილი ცოდნა? იქნებ ჩემი შეგრძნებები მე მატყუებენ? იქნებ ეს სამყარო მხოლოდ სიზმარია, ჰალუცინაციაა? იქნებ რომელიმე „ბოროტ გენიოსს“ შეუძლია შეცდომაში შემიყვანოს თვით მათემატიკურ ჭეშმარიტებებთან მიმართებაშიც კი. არა, მე ზუსტად ვიცი, მხოლოდ, რომ მე ვაზროვნებ. „Cogito ergo sum“ („ვაზროვნებ, მაშასადამე, მე ვარსებობ“). ნიშანდობლივია, როგორც ფუკომ შენიშნა, რომ დეკარტის რადიკალური ეჭვი საკუთარ გონივრულობაში დაეჭვებამდე არ მივიდა. გონი უკვე უმაღლესი მმართველი გახდა და ამაში ეჭვი გამორიცხულია (საინტერესოა, რომ არ იყო გონივრული მიზეზი, გონის ზეობა შესაძლებლად ჩაეთვალათ, არაფერს ვამბობ მის აუცილებლობასა და გარდუვალობაზე). განსჯა გონიერი მოღვაწეობის ხელმძღვანელ პრინციპად გადაიქცა და, ამდენად, უგონობისაგან გამოყოფილი აღმოჩნდა. ამ იდეებმა მალე შეისხა ხორცი პრაქტიკაში. დეკარტის სიკვდილიდან ექვსი წლის შემდეგ პარიზში შეშლილებისათვის საზოგადოებრივი ჰოსპიტალი გახსნეს, აქვე პატრონობდნენ მათხოვრებსა და დამნაშავეებს. ამბობდნენ, რომ ყოველი მესამე პარიზელი ახლა საგიჟეთში ცხოვრობდა.

შეშლილობა, სიგიჟე, როგორც გონივრულობის საწინააღმდეგო რამ, განიხილებოდა და ფიზიკურად გონების სფეროდან გამოაცალკევეს. ასევე, სიგიჟესთან ერთად, ბევრი არაგონივრული ქცევა გაირიცხება გონიერის სფეროდან, საზოგადოებიდან. მალე მათხოვრებსა და უსაქმურებს ჰომოსექსუალები, ლოთები და მაწანწალები შეუერთეს. სულელებს უკვე აღარ ეძლევათ ჭეშმარიტებების ქადაგების შესაძლებლობა, აიძულეს გაჩუმება და გარიცხეს საზოგადოებიდან. რაც ყველაზე უარესია, ის მალე სხვებისათვის ჭკუისსასწავლებელი, დაცინვის ობიექტი გახდა. საგიჟეთში სტუმრობა და მის ბინადრებზე დაკვირვება და გართობა პოპულარულ დროს ტარებად გადაიქცა. აღორძინებასა და განმანათლებლობას შორის ამ განსხვავებამ შეშლილობა ცოდვად და დანაშაულად აქცია. მაგრამ როდესაც შეშლილობის, სიგიჟის დეფინიცია, განმარტება (და აყვანილ იქნა დასაცავად) მოხდა, ასევე განიმარტა და განისაზღვრა გონივრული ქცევაც. საზოგადოების რაციონალური თეორია შრომითი ეთიკისა და მორალური ვითარებების ცნებებს დაუახლოვდა და სამოქალაქო სამართლის ნაწილად გადაიქცა. ამის შემდეგ ნებისმიერი ანომალიურობა შეშლილობად ითვლება. ამგვარად, ახალი ცოდნა ახალ ძალად გადაიქცა და ეს ორი ცნება (ცოდნა და ძალა) უწყვეტად დაუახლოვდა ერთმანეთს.

ფუკოს თეორიის თანახმად, შემდეგ კიდევ მოხდა ერთი გახლეჩა. განმანათლებლობის ეპოქის დასასრულისათვის რეფორმატორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გიჟების კარჩაკეტილ სივრცეში გამომწყვდევა სიმკაცრეა. სიგიჟე დანაშაული არაა, ესაა ავადმყოფობა, სენი და საჭიროა მისი განკურნება. ამის შემდეგ გიჟებს აღარ ამწყვდევდნენ, ისინი მოსავლელად გადასცეს ექიმებს, მედიცინას. მაგრამ, თუ სხეული გაათავისუფლეს, გონება რჩება ტყვედ. ბორკილების ადგილი წამლებმა დაიკავა. XIX საუკუნის ბოლოს ფროიდმა ერთი საფეხურით წინ წაიწია. გიჟსა და შეშლილს აღარ აიძულებდნენ ჩუმად ყოფნას, მათ მიეცათ საუბრის უფლება ფსიქიატრის კაბინეტში. ეს თავისუფლებაც შეიცავდა შემდგომ შეზღუდვებს. შეიქმნა ფსიქიატრიის თეორია და ამ ახალმა სტრუქტურამ სავსებით დაუმორჩილა კლიენტი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ფსიქიატრს. ფუკო მიიჩნევს, რომ ამ პროცესებში ბურჟუაზიული საზოგადოების ავტორიტარული ხასიათი აისახება.

მაშასადამე, შეშლილობა განისაზღვრება ფსიქიატრიის მიერ. გონიერება გაიგივდა ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასთან. აქედან დაწყებული, როგორც ჩანს, თვით სიტყვა გონივრული იწყებს თავისი მნიშვნელობის შეცვლას, რათა შეეწყოს სიგიჟის ახალ განსაზღვრებას. უჩვენებდა რა, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში სიგიჟე, ფუკო ცდილობდა გაეთავისუფლებინა მისგან წარმოებული შეზღუდულობა.

წიგნში „სიგიჟე და საზოგადოება“ ფუკო აჩვენებს, რომ ჩვენმა წარმოდგენებმა შეშლილობაზე განიცადა მკვეთრი, მაგრამ, ამავე დროს, აბსოლუტურად შემთხვევითი ცვლილებები, რომლებსაც არ ედო საფუძვლად განვითარების ლოგიკა ან აუცილებლობა – ისინი თავად იყო დაუსაბუთებელი და დაუფუძნებელი! ცოდნის სტრუქტურაში აღნიშნულ ცვლილებებს თან სდევს მნიშვნელოვანი ცვლილებები ძალაუფლების სტრუქტურაში (თავისუფლება, დამწყვდევა, მკურნალობა). ეს არაა ერთეული შემთხვევა, ასე თვლის ფუკო. ცოდნის ნებისმიერი ახალი სისტემის გამოჩენა ყოველთვის დაკავშირებულია ძალაუფლების ცვლილებასთან. ფსიქოლოგია და პაციენტის როლი – ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. ეკონომიკა, სოციოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც კი ექვემდებარებიან ამავე პრინციპებს: ცოდნის ამ სისტემის აღმოცენებასა და განვითარებას მნიშვნელოვანი ცვლილებები ძალაუფლების სტრუქტურაში ყოველთვის თან სდევს.

3. ფუკო – კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია

1963 წელს ფუკომ გამოაქვეყნა „კლინიკის დაბადება: მედიცინის არქეოლოგია“. ამ ნაშრომში ის აჩვენებს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ მოხდა მორიგი გახლეჩა მეცნიერულ ცოდნაში. კლასიკური მედიცინა შეიცვალა კლინიკურით. ადრე მიზანი იყო სენის განკურნება და ჯანმრთელობის აღდგენა, ახლა კი საექიმო მკურნალობის ობიექტია თვით სნეულის სხეული, და მედიცინის მიზანი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბუნდოვანი, მაგრამ თავისთავად გასაგები სიტყვა „ჯანმრთელობა“ შეიცვალა მიზნით, დაებრუნებინა პაციენტი „უკან ნორმალურ მდგომარეობაში“ (ეს თეორია იყენებს ასეთ ცნებებს: „ნორმალური ტემპერატურა“ „ნორმალური პულსი“ და ა.შ.). კლინიკის გაჩენით მედიცინა გადაიქცა მეცნიერებად, ჩააყენა რა ის ისეთი სხვა განვითარებადი მეცნიერებების რიგში, როგორებიცაა ანატომია, ფსიქოლოგია, ქიმია და ბიოლოგია. დაიკავა რა კუთვნილი ადგილი საზოგადოების სხვა ინსტიტუტებს შორის, მედიცინა აღმოჩნდა დაკავშირებული პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან. „ნორმალურის“ ცნებამ (ჯანმრთელობის გარდა) თანდათანობით, მაგრამ აუცილებლობით შეიძინა პოლიტიკური და სოციალური შეფერილობა. აქ ფუკო გაავლებს პარალელს „სიგიჟესა და საზოგადოებასთან“, სადაც მან აჩვენა, თუ როგორ იქნა სიგიჟე იზოლირებული საგიჟეთში, გიჟების სახლში. ამგვარი სახით მედიცინაში ჩნდება კლინიკა. აქ ფუკო კვლავ აქცევს ყურადღებას ცვლილებებს ძალაუფლების სტრუქტურებში, რასაც ცოდნის განვთარებაში ნახტომის პარალელურად ადგილი ჰქონდა.

XIX საუკუნემდე მედიცინა იყო მეცნიერება კლასიფიკაციების შესახებ და ძირითადი ყურადღება დაავადებათა ნათლად მოწესრიგებული სისტემის შექმნას ექცეოდა, მაგრამ XIX საუკუნეში მედიცინა უკვე იწყებს დაავადებათა შესწავლას იმ ფორმით, როგორითაც ისინი ცალკეულ ინდივიდებში და მთლიანად საზოგადოებაში (ეპიდემია) არსებობენ. მედიცინა ჯანმრთელ ადამიანებზეც გავრცელდა (პროფილაქტიკური მკურნალობა) და ავადმყოფებად და ჯანმრთელებად დაყოფის ნორმატივი შემოიღო; ხოლო მოგვიანებით ნორმალური და პათოლოგიური მდგომარეობების დაყოფის ნორმა დაადგინა. მედიცინა კვლავაც გახდა ჰუმანიტარული მეცნიერებების წინამორბედი, რომლებმაც ადამიანური ნორმისა და პათოლოგიის ეს გაგება თავიანთ მეცნიერებებში გადაიტანეს.

თუმცა მედიცინაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კლინიკური სტრუქტურა, საკვანძო მნიშვნელობა კლინიკის წარმოშობას ჰქონდა, სადაც პაციენტებს საწოლში აკვირდებოდნენ. აქ ძირითადი მნიშვნელობა ფუკოს მიერ გამოყენებულ „დაძაბული-დაჟინებული შეხედულების“ გამოთქმას აქვს, მოცემულ შემთხვევაში „დაჟინებული შეხედულება-ხედვა, ამავე დროს, ყოფილი ცოდნაა“. სხვაგვარად, ცოდნა მიიღებოდა ექიმთა მიერ დაკვირვებუ-

ლი მოვლენებიდან, რომლებიც არ ემთხვეოდნენ იმას, რასაც ისინი წიგნებში კითხულობ-დნენ. როგორც სტრუქტურალისტი, ფუკო ამ დაჟინებულ-დაძაბულ ხედვას თავისებურ ენად, „ენად სიტყვების გარეშე“ თვლიდა და ამ „ენის“ სიღრმისეული სტრუქტურით იყო დაინტერესებული. ავადმყოფების (ან უკვე გარდაცვლილების) დაკვირვების და შეხების (განსაკუთრებით გაკვეთისას) უნარი გადამწყვეტი ხასიათის ცვლილებად და ცოდნის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. გაკვეთის (ექსგუმაციის) შესახებ ფუკო ამბობს: „ცოცხალი წყვდიადი სიკვდილის შუქზე ნათდება“ (ციტ: Джордж Ритцер, Современные социологические теории. 5-ое издание,СПБ.: Питер., 2002, с. 533). ანატომიურ-კლინიკურ დაჟინებულ-დაძაბულ ხედვას ფუკო დასავლურ მედიცინაში „დიდ გარღვევად“ მიიჩნევს. ამგვარად, მოხდა არა ცოდნის ევოლუცია, არამედ ეპისტემის შეცვლა. ექიმები უკვე აღარ თამაშობდნენ იმავე თამაშს; ეს უკვე სხვა წესებით სხვა თამაში იყო. ახლა უკვე ადამიანები (პაციენტები) მეცნიერული ცოდნის და პრაქტიკის საგნად იქცნენ (დაავადებების ჩანაცვლება შესასწავლი არსებებით მოხდა). სტრუქტურალისტური მიდგომის თვალსაზრისით, დისკურსის სწორედ ხასიათი – დაავადებათა დასახელებები, სახელწოდებები, დაჯგუფებები, დაკვირვებული ობიექტების სფერო და ა.შ. – შეიცვალა.

კვლავ მედიცინა, როგორც ფუკო თვლის, თავის თავზე ჰუმანიტარული მეცნიერებების წინამორბედის როლს იღებს. „აქედან ამოსვლისას, გასაგებია, რომ მედიცინას ადამიანის შესახებ მეცნიერებათა შექმნაში დიდი მნიშვნელობა – მნიშვნელობა არა მხოლოდ მეთოდოლოგიური, არამედ ონტოლოგიური უნდა ჰქონოდა, იმ ზომით, რა ზომითაც იგი ადამიანის არსებას, როგორც პოზიტიური ცოდნის ობიექტს, ეხება“ (იქვე, გვ. 533). კონკრეტულად კი სამედიცინო გაკვეთის შესახებ ფუკო ამბობს: „სიკვდილმა დატოვა თავისი ძველი ტრაგიკული საზღვრები და ადამიანის ლირიკულ ბირთვად: მის უხილავ ჭეშმარიტებად და მის ხილულ საიდუმლოებად იქცა“ (იქვე, გვ.533). არსებითად, ფუკოსთვის უფრო ფართო მოცულობის და ხედვის ცვლილებად იქცა ის, რომ ინდივიდი საკუთარი ცოდნის საგნად და ობიექტად იქცა, ხოლო ცვლილება მედიცინის სფეროში – ეს მხოლოდ ცოდნის ფუნდამენტურ განაწილებაში ამ ცვლილების ერთ-ერთი ყველაზე ცხადი საბუთი და მოწმობაა .

ფუკომ ჩვენს სოციალურ თვითშემეცნებაში არსებული მორიგი სიცარიელე არა მხოლოდ შეავსო, არამედ მისი ისტორია თვით დინამიკურად განვითარებად საზოგადოებასთან დააკავშირა კიდეც. მან შორსმჭვრეტელურად შენიშნა, რომ ისტორია სავსეა ხვრელებით, როგორც გრიუერის ყველი. მართლაც, თითქოს ისე ჩანდა, რომ ყველაფრის ისტორია, რამაც სიცოცხლე და სინათლე არგუნა ადამიანის არსებას, გამოუკვლეველია. სიყვარულის, სიხარბის, სიმკაცრის, დასჯის და მსგავსი ცნებების ისტორია საერთოდ არ არსებობდა. რისი იმედი უნდა გქონდეს, რომ ჩასწვდე ცვლილებების არსს ძალაუფლების და საზოგადოების სტრუქტურებში, თუ ასეთ მნიშვნელოვან ასპექტებს არ შეისწავლი.

4. ფუკო: ეპისტემეს – დისკურსის ცნება.

1964-1965 წლებში ფუკომ დაასრულა მთავარი ნაშრომი, რომელმაც მის იდეებს პოპულარობა მოუტანა მთელს დასავლეთში. წიგნს „საგანთა წესრიგი: ადამიანური არქეოლოგია“ უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობის ცნება და როგორ გახდა ის ჩვენი შემეცნების ობიექტი.

თავიდან აუცილებელია განისაზღვროს ცენტრალური ტერმინები, რომლებსაც იყენებს ფუკო თავის გამოკვლევაში. როდესაც ის ლაპარაკობს „არქეოლოგიის“ შესახებ, მას მხედველობაში აქვს გარკვეული ისტორიული პერიოდის ცოდნისათვის დამახასიათებელი ფარული სტრუქტურების დადგენა. ის ხშირად შედგება ქვეცნობიერი ვარაუდებისა და

ცრურწმენებისაგან ან წინასწარაკვიატებული იდეებისაგან, რომლებსაც სისტემაში მოჰყავთ და საზღვრებს მიუჩენენ ნებისმიერი ეპოქის აზრს. ისინი არსებითად განსხვავდებიან სუბიექტური წინასწარგანზრახვებისა და კოლექტიური მცდარობებისაგან: ეს არის აზროვნების რაღაც მოდელი, რომელიც ცალ-ცალკე ახასიათებს მოცემული დროის ყველა მოაზროვნეს. მაგალითად, ჯერ ითვლებოდა, რომ დედამიწა არის სამყაროს ცენტრი, შეუძლებელი იყო ვარაუდიც კი, რომ არსებობენ პლანეტების ელიპტიკური ორბიტები. ამგვარადვე, როგორც ფუკომ დაამტკიცა, „გონის“ ცნების გარეშე „შეშლილობის“, „გიჟობის“ ცნებები ვერ იარსებებდა.

აზროვნების ტიპებს, ცრურწმენებს, ვარაუდებს, რომლებიც ქმნიან და ზღვარს უდებენ ნებისმიერი კონკრეტული ეპოქის აზრებს, ფუკომ „ეპისტემე“ დაარქვა. ამ სიტყვას იგივე ბერძნული ფესვი აქვს, როგორიც „ეპისტემოლოგიას – ფილოსოფიის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი ცოდნის საფუძვლებს შეისწავლის. განვიხილოთ, მაგალითად, მიზეზშედეგობრივი კავშირი. ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს ცოდნას იმ წანამძღვარზე, რომ ფიზიკური სამყარო ექვემდებარება ამ კანონს. გარკვეულ მიზეზს ყოველთვის მივყავართ გარკვეულ შედეგამდე. თუ ეს ასე არ ხდება, ჩვენ ავტომატურად ვგულისხმობთ, რომ თავდაპირველმა მიზეზმა გარკვეული ცვლილება განიცადა. ამგვარად, მიზეზშედეგობრივი კავშირი თავისთავად არ წარმოადგენს ცოდნას, არამედ არის გარკვეული წანამძღვარი, რომელსაც ცოდნა ეფუძნება. ფუკოს ეპისტემე არის ასეთი ვარაუდების მთელი სისტემა – რომელიმე ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების გარკვეული ტიპი. ეპისტემე განსაზღვრავს ცოდნის საზღვრებს და ამ ეპოქისათვის თვით ჭეშმარიტების ცნებასაც. ყოველი ეპისტემე გარდუვალად ქმნის ცოდნის გარკვეულ სისტემას. ამ სისტემას ფუკომ დაარქვა დისკურსი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეული ეპისტემეს მიერ შექმნილი კონცეფციების, პრაქტიკის, დებულებების და მრწამსის ერთიანობა.

ეპისტემის „აპრიორულ ისტორიულ ბუნებას“ ფუკო გვიჩვენებს „საგანთა წესრიგის“ შესავალში. აქ მას მოჰყავს ციტატა ძველი ჩინური ენციკლოპედიიდან (რომელიც აღწერილია არგენტინელი მწერლის ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობაში). ამ ენციკლოპედიაში ყველა ცნობილი ცხოველი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად საკმაოდ საინტერესო კლასიფიკაციით: ისინი იყოფიან „იმპერატორის კუთვნილებად“, „მოთვინიერებულებად“, „ბალზამირებულებად“ და ა.შ. ეს კლასიფიკაცია შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ის ასევე ამტკიცებს, რომ ჩვენი საკუთარი კლასიფიკაცია შეიძლება არც გამოდგეს უფრო ლოგიკური. ისიც ასევე პირობითია: ესაა სისტემა, რომელიც შექმნილია ჩვენი კონკრეტული კულტურული წანამძღვრების (ეპისტემე) შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიკუთვნებულობა გარკვეული სახისადმი, გვარისადმი ან ბიოლოგიური ნათესაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ ვის ეკუთვნის ცხოველი (იქნებ ჩვენ სხვა აზრი გვექნებოდა, თუ იმპერატორის ცხოველთან მიკარება დასაჭურისებით დაგვემუქრებოდა, როგორც ეს იყო ძველ ჩინეთში). ბორხესის მოთხრობა გვიჩვენებს, რომ კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემა ყოველთვის რაიმე საზღვრებშია მოქცეული, ანუ აქვს თავისი საზღვრები. სადა არის ჩვენი ეპისტემის საზღვარი? ჩვენ ეს კითხვა ჩვენს თავს უნდა დავუსვათ.

ფუკოს არ შეუწყვეტია ამ საკითხის კვლევა, სოციალურ მეცნიერებებში „არქეოლოგიურ გათხრებს“ ატარებდა. ის რენესანსის ეპისტემით იწყებს. მისი აზრით, აღორძინების ეპისტემე მსგავსებებს – „ანალოგიურობას“ და „შესაბამისობას“ ეფუძნებოდა. ის ამას ე.წ. „სახასიათო თვისებების თეორიის“ აღწერით აჩვენებს, რაც მართლაც ტიპური იყო რენესანსის ეპოქის აზროვნებისათვის. ამ თეორიის თანახმად, ღმერთი მიუთითებს საგანთა ნათესაობაზე, ანიჭებს რა მათ მსგავსებებს (ან ხასიათის თვისებებს, ნიშნებს). მაგალითად, ორქიდეა ძალიან ჰგავს კვერცხს. ეს ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეიძლება ვენერიული

დაავადებებისაგან განსაკურნავად. ამგვარადვე, ქრისტესისხლას ყვითელი ყვავილი გამოიყენებოდა სიყვითლის სამკურნალოდ. აღორძინების ეპოქის მოაზროვნეებისათვის სამყარო იყო გადაშლილი წიგნი, რომელსაც „წაკითხვა“ სჭირდება. ქვაკუთხედად მეტაფორული მნიშვნელობები და მათი ინტერპრეტაცია და არა დაკვირვება და ექსპერიმენტი ითვლებოდა.

ნამდვილად ასე მიმდინარეობდა ეპისტემეს განვითარება მედიცინაში და ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ქიმიაში (რომელიც გადაჯაჭვულია ალქიმიასთან), მაგრამ ამას ვერ იტყოდი ასტრონომიასა და ბიოლოგიაზე (რომელთა განვითარების ჩქარი ტემპები ტელესკოპისა და მიკროსკოპის გამოგონებამ განაპირობა), ანატომიასა და ფიზიკაზე. ფუკოს მოჰყავს ციტატები აღორძინების ეპოქის ზოგიერთი მოაზროვნის – მედიცინის დამწყებ პარაცელსის, მათემატიკოს კარდანოს, ფილოსოფოს კამპანელას ნაშრომებიდან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პარაცელსი იყო ბრწყინვალე ექიმი, ის ჩაფლული იყო ალქიმიაში, ისევე, როგორც კარდანო იყო ასტროლოგი, ხოლო კამპანელა – უტოპისტი ფილოსოფოსი. აღორძინების უზარმაზარი და ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეები იგნორირებულნი იყვნენ. სიტყვა არ იყო დაძრული კოპერნიკზე, გალილეოზე ან ჰარვეიზე (რომლის მიერ აღმოჩენილმა კანონმა სისხლის ცირკულაციის შესახებ დავიწყებას მისცა შუა საუკუნეების მითები, მაგალითად, „სახასიათო თვისებების თეორია“).

ფუკოს ეპისტემის თეორია ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ მის ხელში მას ზედმეტი სქემატურობა ახასიათებს. რენესანსის ეპოქას არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპისტემა ახასიათებს: კოპერნიკმა აღმოაჩინა მზის სისტემის არსებობა, მაგრამ თავისი აღმოჩენის დასასაბუთებლად ალქიმიკოს ჰერმეს ტრიმეგისტის ავტორიტეტს იშველიებდა. ერთი ეპისტემიდან მეორეზე გადასვლა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ფუკო ვარაუდობდა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ფუკოს ნაშრომის ძირითადი იდეა უდავოა. აღორძინების ეპისტემე კლასიკურით (ან განმანათლებლობის ეპისტემით) შეიცვალა. აზრი მიუბრუნდა განსხვავების იდეას, უარი თქვა მსგავსების იდეაზე. ანალიზმა გზა მისცა გაზომვასა და ექსპერიმენტს. გონებამ დაადგინა განსხვავება. შედეგად აღმოჩნდა, რომ ქიმიური ნივთიერება ცალკეული ელემენტებისაგან ან მათი კომბინაციებისაგან შედგება, მცენარეები და ცხოველები დაჯგუფდნენ სახეებად, ოქრო პირველად გადაიქცა ეროვნული სიმდიდრის საზომად.

ცოდნა უკვე აღარ იყო საიდუმლოებებით მოცული, აღარ წარმოადგენდა რჩეულთა პრივილეგიას. ეს არის მეცნიერული დაკვირვების შედეგი, რაც ყველასათვის ღიაა. მაგრამ ამ ეპისტემას, დაფუძნებულს ცოდნასა და დაკვირვებაზე, საინტერესო (გვერდითი ან თანმყოლი) ეფექტი ჰქონდა. სამყაროს სურათის მეცნიერული გზით წვდომის მცდელობისას (განადგურდა) უშუალოდ შემმეცნებელი სუბიექტი (დამკვირვებელი) დაიკარგა. მეცნიერულ გამოკვლევაში ადამიანისათვის ადგილი არ დარჩა.

XIX საუკუნის დადგომით ესეც შეიცვალა. კაცობრიობის, როგორც ისტორიის სუბიექტის შესწავლა დაიწყეს. ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ დარვინი, ჰეგელი, მარქსი, კაცობრიობას უკვე ისტორიულ განვითარებაში განიხილავენ. აზროვნების ეს ტიპი შენარჩუნებულ იქნა თვით XX საუკუნემდე. ამ ეპისტემის გავლენა ცენტრალური იყო ეგზისტენციალიზმისათვის (სარტრის), რომელმაც „არსებობა არსებაზე ადრე გამოაცხადა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი თავის თავს თავისი არსებობით ქმნის, და არ ღებულობს მას დაბადებისთანავე. ბიოლოგიაში ადამიანი ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტად გადაიქცა; ეკონომიკაში სიმდიდრე შრომითი მაჩვენებლებით, და არა უსიცოცხლო ოქროს რაოდენობით იზომება. გონიერმა ადამიანმა სიღრმე შეიძინა და

ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი გახდა. მაგრამ, როგორც ფუკო ამბობდა, ეს წესრიგი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა: XVIII საუკუნის დასასრულამდე ადამიანი არ არსებობდა. ადამიანი – ეს ახლო წარსულის აღმოჩენაა და შეიძლება, მისი ბოლო მალევე დადგეს.

მაგრამ ფუკოს დებულებას, რომ კაცობრიობის „ახლო წარსულში" აღმოჩენილი ცნება მალე შეწყვეტს არსებობას, დღესაც დიდი გავლენა აქვს. იმის კვალდაკვალ, თუ როგორ ვითარდება ჩვენი ცოდნა დნკ-ს შესახებ, ვითარდება საინჟინრო გენეტიკა, კაცობრიობის ცნება შეიძლება მალე ზედმეტი გახდეს. ღირებულებათა სისტემის აბსოლუტური გადახალისება – ეს ჯერ მომავლის საკითხია. მაგრამ პროგრესული ცვლილებები (განსაკუთრებით, ექსპერიმენტები ჯერ მიუკვლეველ გენებზე) უკვე იწყებენ ჩვენი წარმოდგენების რღვევას ადამიანზე და იმაზე, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი.

5. მიშელ ფუკო და თომას კუნი: დისკურსი და პარადიგმა

იმ დროისათვის, როდესაც ფუკომ თავისი ეპისტემის/დისკურსის თეორიის განვითარება დაიწყო, ატლანტიკის ოკეანის მეორე სანაპიროზე ამერიკელი მეცნიერი თომას კუნი საოცრად მსგავს ცნებამდე – პარადიგმამდე მივიდა. ფუკოს ეპისტემე/დისკურსი სოციალური მეცნიერებების ფართო კულტურულ ველზე „არქეოლოგიური გამოკვლევების" შემდეგ აღმოცენდა, კუნის პარადიგმა კი უშუალოდ მეცნიერებას ვიწრო გაგებით ეხება. „პარადიგმის ცვლა" მეცნიერულ ცოდნაში დიდ, რადიკალურ გარღვევას ნიშნავს. ასეთი გარღვევების ავტორებია – კოპერნიკი, ნიუტონი და აინშტაინი. ამ აღმოჩენების შემდეგ (ცალცალკე) სამყაროს ჩვენეული ხედვა უკვე წინანდელი ხედვის საზღვრებში ვეღარ რჩება. ამ მეცნიერთაგან თითოეულმა აზროვნების ახალი ტიპი შექმნა, რომელიც ასევე მომავალი გამოკვლევებისათვის მოდელებია. აინშტაინის აღმოჩენის შემდეგ დრო და სიცრცე (ანალოგიურად – მატერია და ენერგია) უკვე აბსოლუტურ სიდიდეებად აღარ (შეუძლებელია) განიხილებიან: მათ „შეიძინეს" ფარდობითობა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთ თეორიას მოულოდნელი საპირისპირო ეფექტი აქვს. ფუკოსა და კუნის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ უარი განაცხადეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებაზე. თუ აზროვნების ჩვენი ტიპი ყოველთვის შეზღუდულია რაღაც ეპისტემით (ან პარადიგმით), ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჭეშმარიტებამდე ვერასოდეს მივალთ. ამგვარადვე, თუ ყველა ეს ეპისტემე/დისკურსი პირობითია, როგორ მივაკუთვნოთ უპირატესობა რომელიმეს? ვერანაირად. ამგვარად, ყოველი ჭეშმარიტება ფარდობითია; ის დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის მსოფლმხედველობაზე. მაგრამ ამ მარტივმა კრიტიკამ ვერც ფუკოს მიაყენა რაიმე ზიანი და ვერც კუნის თეორიას. საქმე ისაა, რომ ერთი ეპისტემე/დისკურსი (ან პარადიგმა) შეიძლება უფრო სასარგებლო (ან უფრო ნაყოფიერი, თეორიული თვალსაზრისით) აღმოჩნდეს, ვიდრე მეორე. ის იძლევა შესაძლებლობას, სამყაროს მიუწვდომელ სურათთან, ანუ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან" უფრო ახლოს მივიდეთ. ამქვეყნად რაღაცები ნამდვილად ხდება, მაგრამ ადამიანს ამ მოვლენების მხოლოდ ცალკეული შედეგების აღქმა ძალუძს. რწმენა ჩვენი შესაძლებლობებისა, აღმოვაჩინოთ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ბადებს იმედს, რომ ჩვენი გრძნობები (რაღაც ხელსაწყოები, როგორც მათი გაძლიერება) სინამდვილის აბსოლუტურ საზომს წარმოადგენს.

მაგრამ ჩვენი თვალები სინათლის სპექტრის(ულტრაიისფერიდან-ინფრაწითელის ფარგლებში) მხოლოდ გარკვეულ დიაპაზონს ასხვავებენ. როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ხელსაწყოები, რომლებიც მხოლოდ ზრდიან ჩვენს შეგრძნებებს, ასევე შეზღუდულები არ არიან? შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ის, რასაც ჩვენ ვიზუალურად, როგორც „წითელ ფერს" აღვიქვამთ, მართლაც მთლიანად შეესატყვისება

7X10X15სმ. სიგრძის ტალღის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას? მაგრამ, 2 X 2 = 4 ნამდვილად არის აბსოლუტური ჭეშმარიტება? შეიძლება, მაგრამ, როგორც აინშტაინი ამბობს: სანამ მათემატიკის წესები ეთანხმებიან რეალობას, ისინი უზუსტონი არიან, ხოლო თუ ისინი ზუსტია, მაშინ რეალობასთან მიმართებაში არ გამოგვადგებიან. კუნის პარადიგმა სწორედ ამ ინტერვალში მოქმედებს. ზუსტად ასევე – ფუკოს ეპისტემეც/დისკურსიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის კულტურის სფეროში გამოიყენება, რომელიც უფრო ფართოა, მაგრამ ნაკლებად ზუსტი.

6. ფუკო: „არსებულის ისტორია“ და „გენეალოგიის მეთოდი“

ნიცშეს იდეების გაგრძელებისას ფუკომ საკუთარი „გენეალოგიის მეთოდი“ შექმნა. ის „არსებულის ისტორიას“ ცოდნის განსხვავებული სფეროების ფართო სპექტრში – ლიტერატურიდან მედიცინამდე ეძებს. ახლა ის მეტ ყურადღებას არა ეპისტემას, არამედ ნებისმიერი ცოდნის დისკურსს უთმობს. დისკურსი – ეს არის სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ის უარყოფდა ყველაფერს, რაც გაგების ჩარჩოებს მიღმაა. რატომ? იმიტომ, რომ ყოველივე, რასაც ადამიანი ვერ გაიგებს, არ არის „სასარგებლო“. ცოდნას ყოველთვის ჰქონდა მიზანი, მას ახასიათებდა მითვისებისა და დომინირების სურვილი. ის არ იყო რაღაც ნეიტრალური აბსტრაქტული ობიექტი. ცოდნისაკენ ისწრაფვიან, რათა გამოიყენონ; ის იყო ძლევამოსილი და ცვალებადი. ამან მიიყვანა ფუკო „ცოდნა-ძალაუფლებას“ კონცეფციამდე, ხაზს უსვამდა, თუ როგორ განუყოფლადაა ეს ორი ცნება ერთმანეთთან დაკავშირებული. გამოდის, რომ ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა ფარულად არის მხოლოდ სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, პირველადი ადამიანური სტიმულისაკენ, რომელიც ნიცშეს ფილოსოფიის ცენტრშია მოქცეული. ფუკოს „გენეალოგია“ მცდელობაა, გაანალიზებულ იქნეს მიმართება ძალაუფლებასა და ნებისმიერ კონკრეტულ ცოდნას შორის.

მაგრამ ფუკოს თეორია განსხვავდებოდა ნიცშეს თეორიისაგან ერთ მნიშვნელოვან საკითხში. ფუკოსთან ძალაუფლება არ ეკუთვნის ინდივიდს, როგორც ნიცშესთან „ზეადამიანს“ ეკუთვნის. ფუკო აღიარებს, რომ ძალაუფლების მნიშვნელოვანი ასპექტი სოციალური ურთიერთობების სფეროში ძევს. პიროვნებას შეუძლია ძალაუფლების ფლობა, როგორც იძულებისა და დომინირებისა, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძალაუფლება ასევე ჩართულია ცოდნის შექმნასა და გამოყენებაში. თანამედროვე საზოგადოებაში შეკავებისა და დაპირისპირების ურთულეს სისტემაში ფუკოს ეს თეორია საკმაოდ ადეკვატურად წარმოგვიდგება.

ძალაუფლების შეცვლა და გადაცემა ქმნის სივრცეს, სადაც შეიძლება გაჩნდეს დისკურსი. ეს ცოდნა და, ზოგადად, ყველა თეორია პირობითია. ასევე პირობითია ცოდნის კონკრეტული სფეროს ფარგლებში მისი დაყოფა ჭეშმარიტებად და მცდარობად. ის ვითარდება, იზრდება, აქვს მოულოდნელი ცვლილებები – მას აქვს თავისი გენეალოგია. რამდენადაც ეს დაყოფა დამოკიდებულია გარემო ვითარებებზე, აქ ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმიც პირობითია.

აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნება კვლავ ზედმეტი ხდება. მაგრამ ამ ჭეშმარიტებების ფარდობითობა ზემოთ ხსენებულ პირობებს ექვემდებარება. ყოველი კონკრეტული ჭეშმარიტება – ჭეშმარიტებაა იმ კონკრეტული მომენტისათვის, როდესაც ის იქნა გაცნობიერებული. ამ ჭეშმარიტებას შეიძლება ჰქონდეს რაიმე ნაკლი, უზუსტობა და წინააღმდეგობაც კი, მაგრამ, სანამ ის მიესადაგება ცოდნის შესაბამის სფეროს, ის ზოგადმისაღებად რჩება. სხვა სიტყვებით, ის მუშაობს, სანამ ძალაუფლების მოთხოვნებებს შეესაბამება.

ამის მაგალითები ბლომადაა ისტორიაში – სამყაროს პტოლომესეული სისტემა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, ან ალქიმიის უფრო დიდი ხნის ისტორია. ჭეშმარიტების ასეთი კონცეფცია მიესადაგება „ზუსტი“ მეცნიერებების თანამედროვე თეორიებს. შეუსაბამობა კვანტურ ფიზიკასა (რომელიც ძირითადად გამოიყენება სუბატომურ დონეზე) და კლასიკურ მექანიკას (რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება კომპლექსურ მანქანათმშენებლობაშიც კი) შორის ყველა მეცნიერისათვის ცხადია. მაგრამ ორივე სისტემის „ჭეშმარიტებები“ გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიჩნეულია ურთიერთგამომრიცხავებად, იმიტომ, რომ ორივე ამ სისტემას გააჩნია ცოდნის შემქმნელი ძალა, რომლის ქმედითობა შეიძლება გვიან გამოჩნდეს. არც კვანტური და არც კლასიკური ფიზიკა გვთავაზობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მათი არსებობა ლოგიკის ჩარჩოებს მიღმაა. ამ თვალსაზრისით, პირობითია თვით მეცნიერების ბოლო მიღწევებიც კი.

საბოლოო ჯამში, ასეთი ფარდობითობა მისაღებია (ალტერნატივა, უბრალოდ, არა გვაქვს). ფუკო წინააღმდეგობრივი ბუნების გამოვლენისას წინ წავიდა; აღიარა, რომ „ჭეშმარიტება“ შექმნილია მისი დისკურსის მიერ, იმ ცოდნის პროდუქტია, რომელსაც მიესადაგება. ჩვენ შეგვიძლია ცოდნის ყველა სფეროში მოვიძიოთ ამის მაგალითები. ავიღოთ, მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების „ავტორის“ ცნება. ეს ცნება არ უნდა იდენტიფიცირდებოდეს რომელიმე ადამიანთან, რომელიც უზის მაგიდას და წერს წიგნს. არა, ამბობს ფუკო, ნაწარმოების ავტორი – ეს არის რაღაც კრებითი სახე, რომელშიც იგულისხმება მრავალი ფაქტორი, ისეთი, როგორიცაა ენა, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას ლიტერატურის ცნება, და სხვა ისტორიული და სოციალური ელემენტების ერთობლიობა. თუ მათ გავაანალიზებთ, „ავტორობის“ ცნება, უბრალოდ, გაქრება.

ეს დებულება არც ძალიან ცხადია და არც აზრს არის მოკლებული. რა თქმა უნდა, გარემოს, კულტურასა და ენას ნებისმიერ ავტორზე აქვს გავლენა. ფუკოს იდეა იმის შესახებ, რომ ავტორი მხოლოდ ვითარების მძევალია, მასაც ასევე ეხება, როგორც ავტორს. ასე რომ, არარსებული ავტორის თეორია შექმნა არარსებულმა ავტორმა, ანუ ეს არც ავტორის არსებობას ასაბუთებს და არც არარსებობას.

7. ფუკო: ციხეების დაზადება – ძალაუფლება და ცოდნა. პანოპტიკუმი

ფუკო ამ პროცესს მინიატურაში განიხილავს, სწავლობს მხოლოდ ციხეების გაჩენას. სისხლის სამართლის სასჯელი იმიტომ კი არ გაჩნდა, რომ ფილანტროპმა რეფორმატორებმა ჰუმანური ცვლილებები შეიტანეს სისხლის სამართალში. ეს უფრო სოციალური პროცესების ბუნებრივი შედეგია – მართვადი და დისციპლინირებული საზოგადოების ფორმირება. ძალა, რომელიც ოდესღაც სხეულს ანადგურებდა, ახლა ის დაუმორჩილა თავის ძალაუფლებას. აქ „ძალაუფლება და ცოდნა ერთმანეთს უშუალოდ გულისხმობენ“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с 35). ამ ნაწარმოებში ფუკო განიხილავს 1757 და 1830 წლების ინტერვალს – ანუ პერიოდს, როდესაც ტუსაღთა წამება სატუსაღოს წესებით კონტროლმა შეცვალა (რაც დამახასიათებელია, ფუკო თვლის, რომ ეს ცვლილება არათანაბრად მოხდა, იგი არ განვითარებულა და გაშლილა რაციონალურად). საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, წამებიდან წესებისაკენ ეს გადაადგილება ტუსაღების მიმართ დამოკიდებულების ჰუმანიზაციას წარმოადგენდა; იგი უფრო რბილი, ნაკლებმტანჯველი და ნაკლებმკაცრი გახდა. სინამდვილეში კი, როგორც ფუკო თვლის, სასჯელი უფრო რაციონალიზებული გახდა – „ჯალათი გილიოტინაზე მხოლოდ როგორც პედანტი ყარაული, ისე უნდა გამოიყურებოდეს“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 21) – და მრავალი მიმართებით

უფრო მეტადაც კი დაარტყა პატიმრებს. ტუსაღთა, სასჯელმისჯილთა ადრეული წამებანი, შეიძლება საჯარო დემონსტრაციებისათვის მოწყობლიყო, მაგრამ ეს „ძალაუფლების ცუდი ეკონომიკა“ იყო, რამდენადაც, როგორც წესი, მაყურებელთა შორის მღელვარებას იწვევდა. წამების დროს კავშირი ცოდნასა და ძალაუფლებას შორის ნათლად ვლინდებოდა; წესების შემოტანით კი ეს კავშირი გაცილებით ნაკლებცხადი და დაფარული გახდა. წესების ახალი სისტემა „თავისი შედეგებით უფრო რეგულარული, უფრო ეფექტური, უფრო უცვლელი, უფრო მყარი და უფრო დეტალური იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა უკვე წესები, რომლებიც ამაღლებს მის ზემოქმედებას, თანაც ისე, რომ მის ეკონომიკურ ღირებულებას ამცირებს“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 116-117). ახალი სისტემა გამიზნული იყო არა იმისათვის, რომ უფრო ჰუმანური ყოფილიყო თუ გამხდარიყო, არამედ იმისთვის, „რათა უკეთესად დაესაჯა... რათა სოციალურ სხეულში დამსჯელი ხელისუფლება-ძალაუფლება უფრო ღრმად ჩაესო“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 118). წამებისაგან განსხვავებით, დამსჯელი ძალაუფლების ეს ახალი ტექნოლოგია არასტანდარტულ შემთხვევებში ადრეც გვხვდებოდა, იგი უფრო მრავალრიცხოვანია, უფრო ბიუროკრატიზებულია, უფრო ეფექტურია, უფრო უპიროვნო-უსახოა, უფრო მდგრადია, უფრო განსჯითია და ზედამხედველობას არა მხოლოდ დამნაშავეებზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზეც გულისხმობს.

ეს ახალი ტექნოლოგია, დისციპლინარული ძალაუფლების ტექნოლოგია, სამხედრო წესრიგს და წესებს ემყარებოდა. იგი თავის თავში ძალაუფლების არა ერთიან ყოვლისმომცველ სისტემას, არამედ უფრო ძალაუფლებრივი მიკროგამოვლინებების სისტემას მოიცავდა; ფუკო „ძალაუფლების მიკროფიზიკას“, როგორც „კონფრონტაციის და წინააღმდეგობის უთვალავი წერტილებით აღსავსეს“ აღწერს. იგი დისციპლინარული ძალაუფლების სამ ინსტრუმენტს გამოყოფს: პირველი ინსტრუმენტი – იერარქიული თვალთვალი, ანუ ჩინოვნიკთა მიერ ყველაფერ იმის თვალთვალი და დაკვირვება, რაც მათ მიერ ერთი დაძაბული-დაჟინებული ხედვით კონტროლდება. მეორე ინსტრუმენტი – მანორმალიზებელი განაჩენის-მსჯავრის გამოტანის-დადების უნარი და იმათი დასჯა, ვინც ნორმებს არღვევს. მაგალითად, ადამიანები შეიძლება უარყოფითად შევაფასოთ და დავსაჯოთ დროის (დაგვიანებისათვის), საქმიანობის (უყურადღებობის გამო) და ყოფაქცევის კატეგორიებში (უპატივცემულობის გამო). მესამე ინსტრუმენტი – ადამიანზე თვალთვალისა და დაკვირვებისათვის და მათ შესახებ მანორმალიზებელი განაჩენების გამოტანაში გამოკვლევების გამოყენება. დისციპლინარული ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი ორივე დანარჩენს მოიცავს.

ფუკო დისციპლინარული საზოგადოების წარმოშობის არა მხოლოდ უარყოფით მხარეებზე ლაპარაკობს; მას დადებითი შედეგებიც აქვს. მაგალითად, იგი თვლის, რომ დისციპლინა სამხედრო და სამრეწველო ქარხნებში პოზიტიურად ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, ფუკო შეშფოთებას განიცდის საზოგადოებაში დისციპლინის გავრცელების გამო, განსაკუთრებით, სახელმწიფო პოლიციის ქსელში მისი დამკვიდრების გამო, რომლისთვისაც მთელი საზოგადოება თვალთვალის, აღქმის ველი და დასჯის ობიექტი ხდება.

ფუკო არ ამბობს, რომ დისციპლინა მთელ საზოგადოებას ერთსახოვნად და ერთმნიშვნელოვნად მოიცავს, ფუკო ფიქრობს, რომ იგი „მიძვრება“ და განმსჭვალავს საზოგადოებას და, მისი წინ წაწევის ზომის შესატყვისად, მის განსაზღვრულ ნაწილებზე ზემოქმედებს. საბოლოო ანგარიშით, დისციპლინარული გავლენის ქვეშ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების უმრავლესობა აღმოჩნდება. ფუკო რიტორიკულ კითხვას სვამს: „განა საკვირველია, რომ ციხეები და სატუსაღოები ასე ჰგავს ქარხნებს, სკოლებს, ყაზარმებს, საავადმყოფოებს, რომლებიც, თავის მხრივ, ყველა ციხეების მსგავსია?“ (Мишел Фуко. Надзирать и

наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 334). საბოლოო ანგარიშით, ფუკო ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სადამსჯელო სისტემის წარმოშობისას დისციპლინა „სადამსჯელო ინსტიტუტიდან მთელ სოციალურ სხეულზე გადაადგილდება“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 307). თუმცა აქაც არსებობს რკინის გალიის სახე, მაგრამ ფუკო, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივად, სადამსჯელო სისტემის ოპოზიციური ძალების მოქმედებას ხედავს;

მიუხედავად იმისა, რომ „დისციპლინა და სასჯელში“ ცხადად და ნათლად უფრო მეტ ყურადღებას ფუკო ძალაუფლების საკითხს უთმობს, ამ შრომაშიც მას ასევე მისთვის ჩვეული თემა აინტერესებს; ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა. წამებისაგან ციხის წესებზე გადასვლა სხეულის დასჯისაგან სულის, ანუ ნების დასჯაზე გადასვლას მოასწავებდა. ამ ცვლილებამ, თავის მხრივ, ნორმისა და ზნეობრიობის მოსაზრებები შემოიტანა. ციხის ჩინოვნიკებმა და პოლიციამ პატიმრის ნორმალურობისა და მორალურობის შეფასება დაიწყეს. საბოლოოდ, განსჯის თუ განკითხვის ეს უნარი სხვა „მცირე მასშტაბის“ მქონე მოსამართლეებზე-მსაჯულებზეც, მაგალითად, ფსიქიატრებზე და პედაგოგებზეც გავრცელდა. ყველა ამ მსჯავრ-მსჯელობებიდან მეცნიერული სადამსჯელო ცოდნის ახალი ქვეგანყოფილებები წარმოიშვა, რაც შემდეგში თანამედროვე „მეცნიერულ-იურიდიული კომპლექსის“ საფუძველი გახდა. მორჩილების ახალი სახე მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანები უკვე, როგორც ცოდნის, მეცნიერული დისკურსის ობიექტები განისაზღვრებოდნენ. საკვანძო მომენტი ისაა, რომ აქ თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების წყაროები და საწყისები ვლინდება. ფუკომ ამ დისციპლინების კალაპოტიდან ჰუმანიტარული მენიერებების წარმოშობა დამცინავად გამოსახა: „ამ მეცნიერებათა ტექნიკურ მატრიცას, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ჩვენს „ადამიანისმოყვარეობის“ გრძნობას აღაფრთოვანებს, ამ დისციპლინათა და მოკვლევათა დაჟინებული, წვრილმანი და ღვარძლიანი კირკიტი წარმოადგენს“ (Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999, с. 332).

„დისციპლინისა და სასჯელის“ კიდევ ერთი ასპექტის გახსენებაც ღირს. ფუკოს აინტერესებს, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს. მოცემულ კონტექსტში იგი „პანოპტიკუმს“ განიხილავს. ესაა სტრუქტურა, რომელიც მომსახურე პერსონალს საშუალებას აძლევს, პატიმართა ცხოვრების ყველა ასპექტს უთვალთვალონ. არსებითად, ზედამხედველთა მუდმივი თვალთვალი არ მოითხოვება; ამ სტრუქტურის თავად არსებობა (და მომსახურეთა – მოთვალთვალეთა არსებობის შესაძლებლობა) აკავებს დამნაშავეებს. პანოპტიკუმმა შეიძლება წრიული ციხის ცენტრში მდებარე კოშკის სახე მიიღოს, რომლიდანაც ყარაულს შესაძლებლობა ეძლევა, ყველა კამერა-დილეგი დაინახოს. პანოპტიკუმი ციხის თანამშრომლებისათვის ძალაუფლების უზარმაზარი წყარო ხდება, რამდენადაც მათ ტოტალურ ზედამხედველობა-თვალთვალის შესაძლებლობას აძლევს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომ პანოპტიკუმის ძალაუფლება პატიმართა მიერ საკუთარი თავის კონტროლის ხარჯზე ფართოვდება; ისინი სხვადასხვა ქმედებებისაგან თავს იმიტომ იკავებენ, რომ ეშინიათ, მეთვალყურეებმა არ დაინახონ.

აქ ცოდნას, ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის ცხადი კავშირი შეიმჩნევა. გარდა ამისა, ფუკო ჰუმანიტარული მეცნიერების თავის ჩვეულ თემას უბრუნდება, რამდენადაც პანოპტიკუმს, როგორც ადამიანთა შესახებ ინფორმაციების მოსაკრებელ განსაზღვრულ ლაბორატორიას განიხილავს. პანოპტიკუმი ადამიანთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისათვის გამოყენებული სოციალურ-მეცნიერული ლაბორატორიებისა და სოციალური მეცნიერების სხვა მეთოდთა წინამორბედი და მაცნე იყო. სხვა დონეზე ფუკო პა-

ნოპტიკუმს, როგორც „საზოგადოების მთლიანი ტიპის“, დისციპლინარული საზოგადოების საფუძველს განიხილავს.

ციხეებში, როგორც სკოლებში, ფაბრიკებში, ჯარში, ადამიანი ემორჩილება დისციპლინას და იმყოფება მუდმივი ყურადღების, თვალთვალის ქვეშ. ციხის თაობაზე ფუკოს იერემია ბენტამის პანოპტიკუმის (სიტყვასიტყვით, „ყველაფრის ხედვა“) კლასიკური მაგალითი მოჰყავს. პანოპტიკუმი წარმოადგენს თაღოვან ნაგებობას, რომლის ცენტრში მაღლა მოწყობილია მოედანი, საიდანაც ჩანს დაბლა განლაგებული ყველა კამერა, და ყოველმა პატიმარმა იცის, რომ მას ნებისმიერ წუთს უთვალთვალებენ. ეს არის ახალი საზოგადოების არქეტიპური ხატი. ნათლად ჩანს პარალელები ფუკოს წინა თეორიებთან. პატიმრობა ნიშნავს კონტროლსა და ცოდნას. ძალა და ცოდნა ერთიანია.

ამ საზოგადოებაში ძალაუფლება აუცილებლად განიცდის ტრანსფორმაციას. ფუკოს თეორიის თანახმად, მას აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. ის არ არის აბსოლუტური და არ ეკუთვნის ერთ ადამიანს, როგორც ლუდოვიკო XV-ის ეპოქაში. ძალა გადაიქცა „ტექნოლოგიად“: ეს არის საზოგადოების კონტროლი საკუთარ წევრებზე. თანამედროვე ინდივიდი ყალიბდება უამრავი წესებისა და მითითებების სივრცეში. როდესაც ის რეაგირებს ამ შეზღუდვებზე, ამით ის გარკვეულწილად ქმნის საკუთარ თავს. ეს ნათლად ჩანს დენდის არქეტიპზე. ნაცვლად იმისა, რომ გაანადგუროს თავისი ინდივიდუალობა, ის გრძნობს თვითგამოხატვის აუცილებლობას – ღიად და ექსტრავაგანტურ ფორმებში, რომელიც, ფაქტობრივად, წესების დიდი რაოდენობის დაძლევას გულისხმობს.

შემდეგ ფუკო აჩვენებს, თუ როგორ გამოიწვია საპატიმროს დაბადებამ მრავალი ისეთი სოციალური მეცნიერების აღმოცენება, როგორებიცაა კრიმინოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია. შესაძლებელი გახდა პატიმრების შესწავლა და დახასიათება. ზუსტად ისევე, როგორც შეშლილობა იქნა აყვანილი კონტროლზე, ჩნდება და შინაარსი შეიძინა „ნორმალურობამ“. ახალი მეცნიერული დისციპლინების გაჩენის კვალდაკვალ სულ უფრო იზრდებოდა საზოგადოების ძალაუფლება თავის „პატიმრებზე“. ეკონომიკამ, ისტორიამ და გეოგრაფიამ ამ პერიოდში შეიძინა მეცნიერული განზომილება. ცოდნა/ძალაუფლებას მეტი გაგებისა და მეტი კონტროლისაკენ მივყავართ.

8. ფუკო: სექსუალობის ისტორია

ფუკომ გადაწყვიტა, დაეწერა სექსუალობის ისტორია სამ ტომად. აქ უნდა გაერთიანებულიყო – გონი, სიგიჟე და სექსის მოულოდნელად მოსაწყენი ისტორია. ამტკიცებენ, რომ პირველი ტომი სექსუალურობის „შესავალია“. აქ ფუკო საინტერესოდ მსჯელობს: რენესანსის შემდეგ სექსუალურობა „აღქმულ“ იქნა საზოგადოების რეპრესიული ძალების მიერ. მედიცინამ და ფსიქოლოგიამ გავლენა დაიწყეს სხეულზე და სექსუალობა საზოგადოების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

იგი თავის მიზანს ძალაუფლება – ცოდნა – სიამოვნება რეჟიმის განსაზღვრებაში ხედავს. ფუკო იკვლევს, თუ როგორ ერთვება სექსი დისკურსში და ძალაუფლება როგორ განმსჭვალავს, ასაზრდოებს ამ დისკურსს.

ფუკო ეკამათება საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ვიქტორიანული ეპოქის შეხედულებებმა მთლიანად სექსუალურობის და, კერძოდ კი, სექსუალური დისკურსის დათრგუნვასთან მიგვიყვანეს. იგი პირდაპირ საპირისპიროს ამბობს: ვიქტორიანელობამ სექსუალობის შესახებ დისკურსების აფეთქებასთან მიგვიყვანა. ვიქტორიანელობის შედეგად სექსუალობის მეტი ანალიზი, შეფასებები, კლასიფიკაციები, დეტალური განხილვები და რაოდენობრივ-მიზეზობრივი გამოკვლევები გაჩნდა.

ფუკო მედიცინასა და მის დისკურსს სექსუალობის საკითხებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ ანიჭებს. მაშინ, როდესაც უმრავლესობას მიაჩნია, რომ მედიცინა სექსუალობის მეცნიერულ ანალიზზეა ორიენტირებული, ფუკო მედიცინის მიმართ მკაცრ დამოკიდებულებას ავლენს: იგი ვარაუდობს, რომ მედიცინის დისკურსის მიზანი არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ თავად მისი გამოვლინების თავიდან აცილებაა. სექსუალობის საკითხის მორალურ ასპექტში ასევე ერთვება რელიგია, ზუსტად ისევე, როგორც ადამიანები აღსარებებს ეუბნებოდნენ თავიანთ მოძღვრებს, ასევე აღსარებებს ეუბნებოდნენ ისინი თავიანთ ექიმებს, ფსიქიატრებს და სოციოლოგებს. აღსარება, განსაკუთრებით, სექსუალური აღსარება, მეცნიერული მეთოდით იყო შენიღბული.

დასავლეთში ადამიანის მეცნიერული შესწავლა სექსის შესახებ საკითხის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შევიწროებადი წრეებით კონტროლდებოდა. საკითხის გამორკვევა, თუ ვინა ვართ ჩვენ, სულ უფრო მეტი ხარისხით დაუკავშირდა სექსს. ფუკო ამას ასე აჯამებს: სექსი – ყველაფრის ამხსნელია .

ფუკო ყურადღებას სექსუალობის დათრგუნვაზე არ ამახვილებს, ამის ნაცვლად იგი ამტკიცებს, რომ სექსის მეცნიერული შესწავლა სექსისა და ძალაუფლების ურთიერთკავშირის განხილვაზე უნდა იყოს მიმართული. და კიდევ, ძალაუფლება არ ამოდის რაღაც ერთი ცენტრიდან; იგი მიკროსფეროთა სიმრავლეში არსებობს. გარდა ამისა, როგორც ეს მუდმივად ხდება ფუკოსთან, იგი ამტკიცებს, რომ სექსზე ძალაუფლების მიერ განხორციელებულ გავლენასა და ზეწოლას წინააღმდეგობას უწევენ. ყველგან არსებობს როგორც ძალაუფლება, ისე წინააღმდეგობა ძალაუფლებისადმი.

XVII საუკუნემდე საზოგადოება ისწრაფოდა, განეხორციელებინა კონტროლი სიკვდილზე, მაგრამ ამ საუკუნეების დასაწყისიდან ამ სწრაფვამ სიცოცხლის კონტროლზე გადაინაცვლა, განსაკუთრებით კი – სექსის კონტროლზე. სიცოცხლეზე (და სექსზე) ძალაუფლებამ ორი ფორმა მიიღო.

პირველი – არსებობდა „ადამიანური სხეულის ანატომიური პოლიტიკა“, რომლის მიზანი ადამიანური სხეულის (და მისი სექსუალობის) დისციპლინირება იყო. მეორე – არსებობდა „მოსახლეობის ბიოპოლიტიკა“, რომელიც მოსახლეობის ზრდის, მისი ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის და ა.შ. კონტროლსა და რეგულირებაზე იყო მიმართული. ორივე შემთხვევაში საზოგადოება „სიცოცხლეს, როგორც პოლიტიკურ ობიექტს განიხილავდა“. სექსი ორივე შემთხვევაში ცენტრალურ ადგილს იჭერდა: სექსი, როგორც ადამიანის სიცოცხლის წვდომის, ისე სიცოცხლისადმი ადამიანური მიდგომის საშუალება იყო. თანამედროვე დასავლეთში სექსმა შეიძინა უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სულმა (და ჩვენ ვიცით, თუ როგორი მნიშვნელოვანია ეს საკითხი ფუკოს შემოქმედებაში), ის თითქოს ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც თავად სიცოცხლე. სექსუალობის შესახებ ცოდნის დახმარებით საზოგადოება დიდ ძალაუფლებას იღებს თავად სიცოცხლეზე. მაგრამ, მიუხედავად ამ კონტროლის გაფართოებისა, ფუკო მაინც იმედოვნებს განთავისუფლებას: ბოლო უნდა მოვუღოთ სექსის გავლენას, კონტრდარტყმისა და შეტევის დამრაზმავი საწყისი სექსუალური ლტოლვა კი არა, არამედ სხეული და სიამოვნება უნდა იყოს.

„სექსუალობის ისტორიის“ მეორე ტომში ფუკო გადადის ძველ საბერძნეთში, სადაც სრული და ღია ეროტიზმი ბატონობდა. სამწუხაროდ, საბერძნეთის ცხოვრების წესის შესწავლას ის იყენებს იმისათვის, რომ აეხსნა და ეჩვენებინა, თუ როგორ შევიდა სექსუალობა მორალური ნორმების სისტემაში. მაგრამ იყო კი ეს ასე საბერძნეთში? სექსუალობა – ეს მნიშვნელოვანი ცნებაა ადამიანის ევოლუციაში, სექსუალობის აკრძალვები შეიძლება შეგვხვდეს პრიმიტიულ საზოგადოებებშიც. ცხოველებთანაც კი სექსუალური ქცევა განუყოფელია რაღაც ჩასახვის მორალის მსგავსი რამისგან. სექსუალური მორალისაგან თავის

ასარიდებლად აუცილებელია, გასცდე საზოგადოების საზღვრებს. ამ თვალსაზრისით, საბანაოები და კლუბები თავშესაფარს სთავაზობენ მათ, ვინც ცდილობს, თავი აარიდოს ცივილიზაციის მიერ დადგენილ შეზღუდვებს. საზოგადოების ფარგლებში ერთადერთი ადგილი, სადაც სექსუალობა აბსოლუტურად თავისუფალია მორალური შეზღუდვებისაგან, ეს არის ყმაწვილის ფანტაზიით გაბრუებული გონება (ამ აზრით, ჩვენ ყველანი ყმაწვილები ვართ).

„ისტორიის“ მესამე ტომში მოქმედებები გადადის ძველ რომში. აქ „სექსუალურ დისკურსში“ ფუკო რამდენიმე შენიშვნას აკეთებს „თავად კულტურის“ თაობაზე. ის აღწერს სუბიექტურობის განვითარებას – მის გარდაქმნას „ურთიერთობა, ქცევის მოდელად“ და „ცხოვრების წესად“. მისი თავისებურებები განაზრებების ობიექტი გახდა, ისინი ვითარდებოდა და შემდეგ თაობებს გადაეცემოდნენ. ამგვარად გადაიქცა სუბიექტურობა სოციალურ პრაქტიკად, რომელმაც ინდივიდებს შორის ურთიერთობას ბიძგი მისცა. უკვე ეს ურთიერთობები ზოგჯერ სოციალური ინსტიტუტების ჩასახვამდეც კი მიდიოდა.

საბოლოდ შეიძლება ითქვას, რომ ფუკოს მეთოდოლოგიის არსებას ორი ცნება – „ცოდნის არქეოლოგია“ და „ძალაუფლების გენეალოგია“ შეადგენს. ცოდნის არქეოლოგია ფუკოსთან ყოველივე იმის შესაძლებლობის პირობების განმსაზღვრელი წესების ერთობლიობის ძიებას გულისხმობს, რაც განსაზღვრულ დროში არსებული ცალკეული დისკურსის ჩარჩოებში შეიძლება ითქვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არქეოლოგია მტკიცებათა დისკურსიულ წარმონაქმნებად ჩამოყალიბებისა და გარდაქმნის ზოგადი სისტემის ძიებაა. ასეთი „ზოგადი სისტემის“, ანუ ასეთი „წესების“ ძიება, ასევე, დისკურსისადმი – მეტყველებითი და წერილობითი „დოკუმენტებისადმი“ – ყურადღება ფუკოს შემოქმედებაზე სტრუქტურალიზმის ადრეულ გავლენას ასახავს. ამ დოკუმენტების ანალიზისას, ფუკო არ ესწრაფვის მათ „გაგებას“, როგორც ამას ჰერმენევტიკოსი გააკეთებდა. ფუკოს არქეოლოგია „აწესრიგებს (აორგანიზებს) დოკუმენტს, ანაწევრებს მას, კლასიფიკაციას უკეთებს, აწესრიგებს, ანაწილებს დონეების შესაბამისად, აღნიშნავს რელევანტურსა და არარელევანტურს, გამოყოფს ელემენტებს, განსაზღვრავს ერთობლიობებს, აღწერს ურთიერთკავშირებს“ (1994). დისკურსი და მის მიერ შექმნილი დოკუმენტები უნდა გაანალიზდეს, აღიწეროს და ორგანიზება გაუკეთდეს. ისინი არ ემორჩილებიან და არ ექვემდებარებიან ინტერპრეტაციებს, რომლებიც გაგების რაღაც „სიღრმისეული“ დონის აღმოჩენას ესწრაფვიან. ფუკო ასევე გამორიცხავს წარმოშობის ძიებას: მნიშვნელობა აქვს თავად დოკუმენტებს და არა მათი წარმოშობის მომენტს.

ფუკოსათვის განსაკუთრებული დაინტერესების საგანი ის დისკურსებია, რომლებსაც „ჭეშმარიტების“ გამოთქმის განსაზღვრული წესების მიმართ საკუთარი თავის რაციონალიზება და სისტემატიზება აქვთ მიზნად დასახული. „ჭეშმარიტების გამოთქმისადმი“ ფუკოს ინტერესი უშუალოდ ძალაუფლების გენეალოგიასთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ფუკო მიდის იმის გაგებასთან, რომ ძალაუფლება და ცოდნა უწყვეტ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. გენეალოგია ინტელექტუალური ისტორიის სავსებით განსაკუთრებულ ტიპს, ისტორიული არსებების ორგანიზებულ და მოწესრიგებულ ტრაექტორიებად შეერთების წესს წარმოადგენს, რომელიც არც მათი წარმოშობის მარტივი ახსნაა და არც მათი შედეგების აუცილებელი გაცნობიერებაა ის დისკურსების, პრაქტიკების და ხდომილებების მრავალრიცხვოვანი, უწყვეტი, სხვადასხვაგვარი ტრაექტორიებისა და მათი სტანდარტიზებული ურთიერთკავშირების განსაზღვრის ანალიზის წესია, ჭეშმარიტების იმ რეჟიმისადმი მიმართვის გარეშე, რომელიც ფსევდონატურალისტურ კანონებსა თუ უზოგადეს აუცილებლობაზე აცხადებს პრეტენზიას.

ამგვარად, გენეალოგია ისტორიული კვლევების სხვა სახეებისაგან, რომლებიც ამ კანონებსა თუ აუცილებლობებს უპირატეს მნიშვნელობებს ანიჭებენ, განსხვავდება. გენეალოგიური თვალსაზრისით, ყველაფერი შემთხვევით ხასიათს ატარებს. გენეალოგია თავისი არსით კრიტიკულია, იგი ყოველივე იმის მიმართ, რაც მოცემულ, აუცილებელ, ბუნებრივ ან ნეიტრალურ რაიმედაა მიჩნეული, კითხვების დაუღალავ დასმას (დაკითხვას) გულისხმობს .

უფრო კონკრეტულად, გენეალოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ცოდნასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირს და მათ იმ პრაქტიკებს იკვლევს, რომლებიც ადამიანთა ხელმძღვანელობას, ქცევათა მართვასა და პიროვნების ჩამოყალიბებას ეხება. ფუკოს ის პირობები აინტერესებს, რომლებიც დროის ყოველ მოცემულ მომენტში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „ჭეშმარიტების გამოთქმაზე“ პასუხს აგებენ. ამგვარად, მაშინ, როდესაც არქეოლოგია ადრე დისკურსის წარმოქმნის, ორგანიზების წესებს იკვლევდა და მათ მიმართავდა, ახლა უკვე ახალი კრიტიკული გენეალოგიური აღწერა როგორც ფორმულირებების იშვიათობას, ისე დამფუძნებელ, დამამტკიცებელ ძალაუფლებას აანალიზებს და განიხილავს. რაც შეეხება ფუკოს ამ ორ მეთოდს შორის კავშირს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ არქეოლოგია იმ ამოცანებს ასრულებს, რომლებიც გენეალოგიური კვლევისათვის აუცილებელია. კონკრეტულად, არქეოლოგია ისტორიული დისკურსების ემპირიულ ანალიზს გულისხმობს, მაშინ, როდესაც გენეალოგია ამ ისტორიული დისკურსების და დღევანდელობის პრობლემებთან მათი ურთიერთკავშირის თანმიმდევრულ კრიტიკულ ანალიზს ნიშნავს.

ამგვარად, გენეალოგია „დღევანდელობის, აწმყოს ისტორია“ უნდა იყოს; აწმყოს ისტორიად უნდა იქცეს. მაგრამ იგი არ უნდა აგვერიოს „პრეზენტიზმში“, რომელიც ინტერპრეტაციის სტრუქტურის წარსულის შესასწავლ ასპექტებზე განუზრახველ და გაუცნობიერებელ პროექციას გულისხმობს. ამის ნაცვლად, ფუკო ცდილობს, ნათელი მოჰფინოს აწმყოსა და დღევანდელობას. აქ არ არის არანაირი დეტერმინიზმი. აწმყო, დღევანდელობა, წარსული ხდომილებების აუცილებელი და გარდუვალი შედეგი არ არის. ფუკო ისტორიის კრიტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებულია იმისათვის, რათა დღევანდელობის, აწმყოს შესაძლებლობები ნათელყოს.

ძალაუფლების გენეალოგიაში ფუკო ბჭობს იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ადამიანები საკუთარ თავს და სხვებს ცოდნის შექმნის მეშვეობით. სხვათა შორის, იგი აანალიზებს იმას, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლებას, განსაზღვრავს რა ადამიანებს გავლენის ობიექტების სახით და შემდეგ როგორ მართავს ცოდნის დახმარებით ამ ობიექტებს. ფუკო კრიტიკულად უყურებს ცოდნის იერარქიზაციას. იგი მკაცრად აკრიტიკებს მოსაზრებას, რომ თითქოს იმის გამო, რომ ცოდნის ფორმას (მეცნიერებას) ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია, შესაბამისად, ყველაზე დიდ ძალაუფლებას ფლობს. ფუკოს აინტერესებს ცოდნისაგან (განსაკუთრებით, მეცნიერული ცოდნისაგან) ამოღებული მეთოდები, ტექნოლოგიები და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ადამიანებზე ძალაუფლების განსახორციელებლად მათი გამოყენება. „თუმცა ფუკო ხედავს კავშირს ცოდნასა და ძალაუფლებას შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ მიაჩნია, რომ საზოგადოების ელიტის წევრებს შორის საიდუმლო შეთქმულება არსებობს. ასეთი შეთქმულება მოასწავებს სუბიექტთა გაცნობიერებულ ქმედებებს, მაშინ, როდესაც ფუკო ყურადღებას არა სუბიექტებზე, არამედ სტრუქტურულ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით კი, ცოდნასა და ძალაუფლებას შორის არსებულ ურთიერთობებზე ამახვილებს. ისტორიის მიმდინარეობის, სვლის განხილვისას ფუკო პირველყოფილი ველურობიდან თანამედროვე ჰუმანურობაზე გადასვლაში ცოდნის უფრო რთულ სისტემაზე დაფუძნებულ პროგრესს ვერ ხედავს. ამის

ნაცვლად, ფუკო თვლის, რომ ისტორია ბატონობის (ცოდნაზე დაფუძნებული) ერთი სისტემიდან მეორისკენ იხრება და მერყეობს. მართალია, მთლიანობაში საკმაოდ მრუმე სურათი იხატება, მაგრამ აქ დადებითი მომენტიც არის: ფუკოს სწამს ის, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ძალაუფლების წინააღმდეგ მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა და წინააღმდეგობას მუდმივად აქვს ადგილი. მართალია, იგი აანალიზებს და განიხილავს ისტორიულ მაგალითებს, მაგრამ, პირველ რიგში, მას თანამედროვე მსოფლიო, სამყარო აინტერესებს. ფუკოსვე სიტყვებით, იგი „აწმყოს, დღევანდელობის ისტორიას წერს“ (Джордж Ритцер, Современные социологические теории. 5-ое издание,СПБ.: Питер., 2002,с.531).

დასკვნის მაგიერ: ფუკოს ძირითადი იდეები.

კლასიციზმის ეპოქაში (გონების(რაციონალიზმის) ერა) გაიყოფიან სიგიჟისა და გონიერების ცნებები და ჩნდება შეშლილობის იდეა. სწორედ მაშინ ჩნდება საგიჟეები.

ეპისტემე (დისკურსი) – ეს არის აზროვნების სტრუქტურა, რომელიც გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელ აზრს გამოხატავს. ეს არის ფარული წანამძღვრებისა და სააზროვნო პროცესების ერთობლიობა, ეს არის „აზროვნების ტიპი“, რომელშიც ეპოქის მეცნიერული, ფილოსოფიური და კულტურული აზრია მოქცეული.

არქეოლოგია – ეს არის აზროვნების სტრუქტურის გამოვლენის ხერხი, რომელიც გარკვეული ეპოქის კონცეფციის ჩარჩოებს განაპირობებდა. ფუკოს მიაჩნია, რომ ეს ეპოქის დოკუმენტების შესწავლით მიიღწევა .

გენეალოგია – ამ ტერმინს ნიცშე მორალის კვლევის აღწერისას იყენებდა, რამაც მას საშუალება მისცა, თვალი მიედევნებინა მისი ევოლუციისათვის: რას წარმოადგენდა მორალი და მისი ფარული მოტივები თავიდან და როგორ აისახება ეს მორალისადმი თანამედროვე მიდგომაში. გენეალოგია გვიჩვენებს ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ისტორიას.

ფუკო გენეალოგიას უწოდებს განსხვავებული „ცოდნის“, როგორებიცაა ლიტერატურა, მედიცინა და ეთიკა, მის მიერ ჩატარებულ ისტორიულ ანალიზს. ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ იცვლებოდა „ჭეშმარიტების“ ცნება ცოდნის განვითარების პროცესში. ეს ცვლილებები ვერ ჯდება ლოგიკის კანონების ჩარჩოებში, ისინი კონკრეტული ეპოქისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ეპისტემაზეა დამოკიდებული. ყველა ჩვენი წარმოდგენა ჭეშმარიტების თაობაზე, ფაქტობრივად, პირობითია.

„ავტორი“ – ეს არის მხოლოდ ფუნქციონალური პრინციპი, რომელიც ზღუდავს წარმოსახვას იმით, რომ მას გარკვეული ეპოქის „აზრის სახის“ ჩარჩოებში მოაქცევს.

ფუკო ირწმუნებოდა, რომ მისი შემოქმედების „მამოძრავებელი მოტივი“ უბრალო „ცნობისმოყვარეობა“ იყო. მაგრამ ეს იყო უმაღლესი რიგის ცნობისმოყვარეობა: „ცოდნა იმისა, შეძლებს თუ არა ერთი ადამიანი, იფიქროს და იგრძნოს სხვაგვარად, ვიდრე სხვა, რაც აბსოლუტურად აუცილებელია იმისთვის, ვისაც სურს, საერთოდ იფიქროს და იგრძნოს“.

„ისტორიას, რომელიც ჩაგვითრევს ჩვენ თავის დინებაში და განგვსაზღვრავს ჩვენ, უფრო ომის ფორმა აქვს, ვიდრე ენის: ეს არის ძალაუფლებრივი ურთიერთობის არენა და არა „მნიშვნელობის“ ურთიერთობისა. ისტორიას არ გააჩნია „მნიშვნელობა“, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის აბსურდი და უაზრობაა“.

გენეალოგია ცდილობს ჩასწვდეს იმ ენის წყაროებს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, და წესებს, რომელთაც ჩვენ ვიცავთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ ნათელი გახდეს ჰეტეროგენული სისტემები, რომლებიც ჩვენი ეგოს ნიღაბამოფარებულ რეალობას გვიმალავენ. მისი მიზანია არა ის, რომ „ხელახლა აღმოაჩინოს ადამიანური პიროვნების ჩამოყალი-

ბების წყაროები, არამედ ეჭვი აღგვიძრას და გაფანტოს ეს „ილუზიები“. გენეალოგია „ცდილობს ადამიანური ისტორიის თანმიმდევრობაში“ ყველა დარღვევა აღმოაჩინოს.

„უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ფუკო არ არის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადრინდელი ფრანგი სტრუქტურალისტი დღესაც აგრძელებს აქტიურ საქმიანობას, პოსტმოდერნისტულმა თეორიამ პოსტსტრუქტურალიზმს გაუსწრო. პოსტსტრუქტურალიზმსა და პოსტმოდერნისტულ თეორიას შორის ნათელი საზღვრის გავლება ყოველთვის ძნელი იყო. არსებითად, ასეთი საზღვრები არც კი არსებობს. პოსტმოდერნისტული აზროვნება შეიძლება, როგორც პოსტსტრუქტურალიზმის გაგრძელება და ჰიპერტროფია განვიხილოთ. დამოუკიდებლად იმისაგან, შეიძლება თუ არა ნათელი საზღვრის გავლება ამ ორ მიმდინარეობას შორის, ცხადია, რომ პოსტმოდერნიზმი ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებად არა მხოლოდ სოციოლოგიურ თეორიაში, არამედ სხვადასხვა აკადემიურ და არააკადემიურ სფეროებშიც იქცა“ (Джордж Ритцер, Современные социологические теории. 5-ое издание,СПБ.: Питер., 2002.с.537).

საკითხავი მასალა:

Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Москва, 1999.

მიშელ ფუკო, ზედამხედველობა და დასჯა. ციხის დაბადება. გვ. 41.

ძალაუფლების მიკროფიზიკის კვლევა გულისხმობს, რომ მოქმედი ძალაუფლება გაგებულია არა, როგორც მონაპოვარი, არამედ, როგორც სტრატეგია, რომ ბატონობის ზემოქმედებანი არა „მითვისებას“, არამედ მექანიზმებს, მანევრებს, ტაქტიკებს, ტექნიკურ მოქმედებებს მიეწერება; რომ საჭიროა მასში უცვლელად დაძაბული, აქტიურ ურთიერთობათა ქსელი დავინახოთ და არა პრივილეგია, რომელსაც შეიძლება ფლობდე; რომ მის მოდელად უფრო მუდმივი ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე უფლებებისა და ქონების შესახებ ხელშეკრულება ან ტერიტორიების დაპყრობა. ერთი სიტყვით, ეს ძალაუფლება უფრო ასრულებს-ემყარება, ვიდრე ეკუთვნის; იგი გაბატონებული კლასის მიერ შენარჩუნებული და დაცული „პრივილეგია“ კი არ არის, არამედ მის სტრატეგიულ პოზიციათა ერთობლივი ზემოქმედებაა, რომელიც მჟღავნდება და ზოგჯერ ფართოვდება კიდეც იმათი მდგომარეობის წყალობით, რომლებზეც ბატონობენ. გარდა ამისა, ეს ძალაუფლება არ სრულდება, როგორც უბრალო მოვალეობა ან აკრძალვა, რაც ეკრძალება მათ, ვისაც „იგი არ აქვს“. იგი ამ უკანასკნელთ იტაცებს მათი გზით და მათ შორის გადაიცემა. იგი ზეწოლას ახორციელებს მათზე; ზუსტად ასევე, ისინი, ამის წინააღმდეგ ბრძოლისას, მის ზეწოლას (хватке) უძალიანდებიან/ეწინააღდეგებიან. მაშასადამე, ძალაუფლებრივი ურთიერთობები მთელ საზოგადოებას გამსჭვალავს. ისინი სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში ან კლასებს შორის საზღვარზე არ ლოკალიზდება და კანონის ან მმართველობის საერთო ფორმას – ინდივიდების, სხეულების, ჟესტების და ქცევების დონეზე – უბრალოდ, არ კვლავაწარმოებენ. არსებული უწყვეტობა (ისინი ამ ფორმასთან რთული მე-

ქანიზმების მთელი რიგის მეშვეობით არიან შერწყმულნი) არა ანალოგიით და ან ჰომოლოგიით, არამედ მექანიზმისა და მოდალობის სპეციფიკურობითაა უზრუნველყოფილი.

დაბოლოს, ძალაუფლებრივი ურთიერთობები არაერთმნიშვნელოვანია, ისინი შეჯახების უთვალავ წერტილებსა და არასტაბილურობის კერებში გამოიხატება, რომელთაგან თითოეული თავის თავში კონფლიქტის, ბრძოლის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ძალთა თანაფარდობის დროებით შეცვლის საშიშროებას მაინც ატარებს. მაშასადამე „მიკროძალაუფლებების“ დამხობა „ან ყველაფერი ან არაფერი“ კანონს არ ემორჩილება. იგი არც მექანიზმებზე ახალი კონტროლით, არც ინსტიტუტთა ახალი ფუნქციონირების ან დანგრევის საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ არ მიიღწევა. მეორე მხრივ, არც ერთ მის ცალკეულ ეპიზოდს არ ძალუძს ისტორიაში სხვაგვარად დარჩეს, თუ არა მისი შედეგების გზით მთელი იმ ქსელისათვის, რომლითაც იგია მოცული.

ასევე თავიდან უნდა მოვიცილოთ მთელი ტრადიცია, რომელიც შთაგვაგონებს, რომ თითქოს ცოდნას არსებობა შეუძლია მხოლოდ იქ, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები შეჩერებულია და განვითარება მხოლოდ ძალაუფლების მოთხოვნების, ინტერესების და მითითებებისაგან თავისუფალს შეუძლია. ალბათ უარი უნდა ვთქვათ იმ რწმენაზე, რომ ძალაუფლება ბადებს შეშლილობას/უგონობას (безумие) და, რომ (თუ ამ ლოგიკას გავყვებით) მეცნიერი ვერ გახდები, თუ უარი არ თქვი ძალაუფლებაზე; უფრო მეტიც, საჭიროა ვაღიაროთ, რომ ძალაუფლება აწარმოებს და ქმნის ცოდნას (და არა მარტო იმიტომ, რომ აგულიანებს და წაახალისებს მას, რამეთუ იგი მას ემსახურება, ან იყენებს მას, რამდენადაც იგი სასარგებლოა); რომ ძალაუფლება და ცოდნა უშუალოდ გულისხმობენ ურთიერთს; რომ არც ძალაუფლებრივი დამოკიდებულება-მიმართება არსებობს ცოდნის შესაბამისი სფეროს წარმოების-წარმოქმნის გარეშე და არც ცოდნა, რომელიც არ გულისხმობს და, ამასთან ერთად, ძალაუფლებრივ ურთიერთობებს არ ქმნის. მაშასადამე, მიმართება „ძალაუფლება-ცოდნა“ უნდა გავაანალიზოთ არა შემმეცნებელი სუბიექტის საფუძველზე, რომელიც თავისუფალია ან დამოკიდებულია ძალაუფლების სისტემაზე, არამედ, პირიქით, უნდა ამოვიდეთ იმისგან, რომ შემმეცნებელი სუბიექტი, შემეცნებადი ობიექტები და შემეცნების მოდალობები „ძალაუფლება-ცოდნის“ დამოკიდებულების ამ ფუნდამენტურ იმპლიკაციათა და მისი ისტორიული ტრანსფორმაციების გამოვლინებებს წარმოადგენენ. ამგვარად, ძალაუფლებისათვის სასარგებლო ან მასთან დაპირისპირებული ცოდნა იწარმოება არა შემმეცნებელი სუბიექტის საშუალებით, არამედ ძალაუფლება-ცოდნით, იმ პროცესებითა და ბრძოლით, რომლებიც გამსჭვალავენ და ქმნიან იმ დამოკიდებულებას, რომელიც ცოდნის ფორმებსა და შესაძლებელ სფეროებს განსაზღვრავს.

სხეულის (ტანის) პოლიტიკურად ხელში მოგდების და ძალაუფლების მიკროფიზიკის ანალიზი, მაშასადამე, გულისხმობს, რაც შეეხება ძალაუფლებას – „ძალადობა-იდეოლოგია“ ოპოზიციაზე, საკუთრების მეტაფორაზე, ხელშეკრულების ან მოპოვების, დაპყრობის მოდელზე უარის თქმას; რაც შეეხება ცოდნას – „დაინტერესებასა“ და „დაუინტერესებელს“ შორის ოპოზიციაზე, „ანგარებასა“ და „უანგაროს“ შორის ოპოზიციაზე, შემეცნების მოდელზე, რომელშიც ძირითად როლს სუბიექტი თამაშობს – უარის თქმას გულისხმობს. თუ უილიამ პეტისა და მისი თანამედროვეებისაგან ვისესხებთ სიტყვას, მაგრამ მას უფრო სხვა აზრს მივცემთ, ვიდრე მე-18 საუკუნეში ჰქონდა, შეიძლება პოლიტიკური „ანატომია“ წარმოვიდგინოთ. იგი არც სახელმწიფოს, როგორც „სხეულის“ (მისი ელემენტებით, რესურსებით და ძალებით), და არც სხეულისა და მისი გარემოცვის, როგორც პატარა სახელმწიფოს, კვლევა არ ყოფილა. იგი იქნებოდა „პოლიტიკური სხეულის“, როგორც იმ მატერიალურ ელემენტთა და ტექნიკათა ერთობლიობების კვლევა, რომლებიც ძალაუფლებისა და ცოდნის ურთიერთობებისათვის იარაღს, გადაცემის საშუალებებს, კომუნიკაციის არ-

ხებს და საყრდენ წერტილებს წარმოადგენენ, რომლებიც იპყრობენ და იმორჩილებენ ადამიანურ სხეულებს, რათა ისინი შემეცნების ობიექტებად აქციონ.

საჭიროა დასჯის ტექნოლოგიის – მნიშვნელობა არ აქვს იმას, ისინი სხეულს საჯაროდ დასჯის რიტუალში ეუფლებიან თუ სულთან აქვთ მიმართება – პოლიტიკური სხეულის ისტორიის და სისხლის სამართლის პრაქტიკის კონტექსტში განხილვა არა იმდენად, როგორც იურიდიულ თეორიათა შედეგისა, რამდენადაც, როგორც პოლიტიკური ანატომიისაგან ერთ-ერთი თავისა.

კანტოროვიჩმა „მეფის სხეულის“ შესანიშნავი ანალიზი მოგვცა: შუასაუკუნეობრივი იურიდიული თეოლოგიის თანახმად, ორმაგი სხეულისა, რომელიც თავის თავში არა მხოლოდ ხრწნად ელემენტს, რომელიც იბადება და კვდება, არამედ მეორე ელემენტსაც მოიცავს, რომელიც არ ემორჩილება დროს და გვირგვინისათვის, როგორც ფიზიკური, მაგრამ არახელშესახები და შეუმჩნეველი საყრდენი მკვიდრდება. ამ ორმაგობის ირგვლივ მონარქიის იკონოგრაფია (ხატწერა) მონარქიის პოლიტიკური თეორია, სამართლებრივი მექანიზმები იგება, რომლებიც განასხვავებენ და, ამავე დროს, აკავშირებენ კიდეც მეფის პიროვნებასა და ტახტის (გვირგვინის) მოთხოვნებს, და მთელ რიტუალსაც, რომელიც თავის აპოგეას ტახტზე ასვლის, დაკრძალვის და მორჩილების ცერემონიებში აღწევს.

მეორე პოლუსზე შეიძლება წარმოვიდგინოთ მსჯავრდებელის სხეული. იგიც ფლობს სამართლებრივ სტატუსს, ქმნის საკუთარ ცერემონიალს და მთელ თეორიულ დისკურსს, იწვევს მაგრამ არა იმისთვის, რათა დაასაბუთოს „ძალაუფლების ნამეტი“, რომელიც ხელმწიფის პიროვნებას ეკუთვნის, არამედ იმისათვის, რათა გამოხატოს „ძალაუფლების უკმარისობა (недостаток)“, რომელიც აღიბეჭდება იმათ სხეულზე, ვინც ისჯება. პოლიტიკური ველის ყველაზე ბნელ სფეროში მსჯავრდებული მეფის სიმეტრიულად ამობრუნებულ, გადატრიალებულ სახეს წარმოადგენს. საჭიროა გავაანალიზოთ ის, რაც შეიძლება „მსჯავრმდებლის უმცირეს სხეულად“ იწოდოს.

თუ მეფის ნამეტ ძალაუფლებას მისი სხეულის გაორმაგებასთან მივყავართ, მაშინ ხომ არ მიგვიყვანს ეს ძალაუფლება, თუ მას მსჯავრდებულის დამორჩილებულ სხეულზე გამოვიყენებთ, სხვა ტიპის გაორება-გაორმაგებასთან; არასხეულებრივითან, „სულთან“, როგორც ამბობდა მაბლი? მაშინ დასჯის ძალაუფლების „მიკროფიზიკის“ ისტორია თანამედროვე „სულის“ გენიალოგია ან გენიალოგიის ნაწილი იქნებოდა. ნაცვლად იმისა, რათა სული, როგორც ცხოვრებაში დაბრუნებული რომელიღაც იდეოლოგიის გადმონაშთი განვიხილოთ, საჭიროა მასში სხეულზე ძალაუფლების განსაზღვრული ტექნოლოგიის თანამედროვე კორელატი დავინახოთ. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ სული ილუზია ან იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგია. პირიქით, იგი არსებობს, მას აქვს რეალობა, იგი მუდმივად იქნება სხეულის ირგვლივ, ზედაპირზე და შიგნით, ძალაუფლების ფუნქციონირების წყალობით, რომელიც ზემოქმედებს მსჯავრდებულებზე – საზოგადოდ ყველაზე, ვისაც აკონტროლებენ, აღზრდიან, წვრთნიან და ასწორებენ; სულით ავადმყოფებზე, ბავშვებზე, სკოლასა და სახლში, პატიმრებზე კოლონიებში, იმათზე, ვინც მიმაგრებულია საწარმოო მანქანაზე და მთელი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე კონტროლს ექვემდებარება. სული მის ისტორიულ რეალობაში, განსხვავებით ქრისტიანულ თეოლოგიაში წარმოდგენილი სულისაგან, ცოდვილ და დასჯად რაიმედ არ იბადება, ანუ ისეთ რაიმედ, რომელიც დასჯას მოითხოვს, მაგრამ იბადება დასჯის ზედამხედველობის და იძულების პროცედურების მეშვეობით. ეს რეალური და არა სხეულებრივი-უსხეულო სული არ არის სუბსტანცია; ესაა ელემენტი, რომელშიც ძალაუფლების განსაზღვრული ტიპის გამოვლინებანი და განსაზღვრული ცოდნის საგნობრივი სფერო ერთიანდებიან და გამოითქმებიან, ისაა მექა-

ნიზმი, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლების ურთიერთობანი შესაძლებელ ცოდნას ქმნიან/ბადებენ, ხოლო ცოდნა ძალაუფლების ზემოქმედებას ავრცელებს და ამაგრებს.

ამ რეალობა-დენოტატზე დაყრდნობისას, განსხვავებული კონცეფციები შექმნეს, მისგან ანალიზის სფეროები (ისეთები, როგორიცაა ფსიქიკა, სუბიექტურობა, პიროვნება, ცნობიერება და ა.შ) გამოჭრეს; მასზე დამყარებისას, მეცნიერული მეთოდები და დისკურსები შექმნეს, ჰუმანიზმის მორალური მოთხოვნები წამოაყენეს. მაგრამ აქ არ უნდა შევცდეთ: რეალური ადამიანი, შემეცნების, ფილოსოფიური რეფლექსიის ან ტექნიკური ჩარევის ობიექტი, არ ყოფილა სულით – თეოლოგების ილუზიით – შეცვლილი. ადამიანი, რომლის თაობაზეც ჩვენ გვიყვებიან, რომლის განთავისუფლებასაც მოგვიწოდებენ, წარმოადგენს კიდევ უფრო ღრმა მორჩილების შედეგს, ვიდრე თვითონ ის. „სული“ ცხოვრობს მასში და აძლევს მას არსებობას, რომელიც თავად წარმოადგენს ბატონობის ელემენტს, ბატონობისა, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას სხეულზე. სული არის პოლიტიკური ანატომიის შედეგი და ინსტრუმენტი; სული – სხეულის სატუსაღოა – ციხეა.

* * *

ის, რომ სასჯელი, საზოგადოდ, და ციხე (სატუსაღო), კერძოდ, სხეულის პოლიტიკურ ტექნოლოგიას მიეკუთვნება, მე არა იმდენად ისტორიისაგან, რამდენადაც დღევანდელობისაგან, აწმყოსაგან გავიგე. უკანასკნელ წლებში მთელს მსოფლიოში ციხეებში ამბოხებები და ბუნტები ხდება. მათ მიზნებში, ლოზუნგებში, იმაში, თუ როგორადაც განვითარდნენ ისინი, უეჭველად რაღაც პარადოქსული არსებობს. ბუნტი საუკუნეების მანძილზე შემორჩენილი ფიზიკური სიმახინჯეებისა თუ საპყარი მდგომარეობების წინააღმდეგ: სიცივის, მოწყენილობის, აუტანელი სიცხისა თუ უჰაერობის, დახავსებული შენობების წინააღმდეგ, შიმშილისა და ცემა-ტყეპის წინააღმდეგ, მაგრამ ასევე ხდება ბუნტები სანიმუშო სატუსაღოების წინააღმდეგაც, ტრანკვილიზატორების, იზოლაციის, სამედიცინო მომსახურების, აღზრდის წინააღმდეგ. იყო კი ეს ბუნტები ისეთი, რომლებიც მხოლოდ მატერიალურ მიზნებს ისახავდა მიზნად? ან ავიღოთ წინააღმდეგობრივი ხასიათის ბუნტები: არა მხოლოდ დახავსებულობის და დაცემის წინააღმდეგ, არამედ კეთილმოწყობების, ზედამხედველების და ფსიქიატრების წინააღმდეგ? არსებითად, დაწყებული XIX საუკუნიდან ციხეების მიერ წარმოქმნილი და გამოწვეული ყველა ეს მოძრაობა, ისევე, როგორც უთვალავი დისკურსები, სხეულისა და მატერიალური ნივთების ირგვლივ ტრიალებდა. ეს დისკურსები და ბუნტები, მოგონებები და ინვექტივები მცირე, უმნიშვნელო მატერიებით სულდგმულობდნენ. არ იქნებოდა სწორი, მათში მხოლოდ ბრმა მოთხოვნები დაგვენახა ან უცხო სტრატეგიათა გავლენაში დავეჭვებულიყავით. სინამდვილეში, ეს იყო ბუნტები სხეულის დონეზე თავად ციხის სხეულის წინააღმდეგ. პროტესტს აცხადებდნენ არა ძალიან პრიმიტიული ან ძალიან ანტისანიტარიული, ძალიან ჩამორჩენილი ან ძალიან თანამედროვე სატუსაღო გარემოებების წინააღმდეგ, არამედ ციხის, როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტისა და ვექტორის მატერიალური არსებობის წინააღმდეგ. სხეულზე ძალაუფლებისა და ბატონობის – აღმზრდელების, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მიერ განხორციელებული მთელი ტექნოლოგიის – წინააღმდეგ, რომლის შენიღბვა ან კომპენსირება „სულის“ ტექნოლოგებს იმ უბრალო მიზეზის გამო არ ძალუძთ, რომ მის ერთ-ერთ იარაღთაგანს თავადვე წარმოადგენენ. მე მსურს დავწერო ციხეების ისტორია სხეულის ყველა პოლიტიკური „დაპყრობა-დაუფლებებით“, რომელსაც იგი თავის ჩაკეტილ არქიტექტურაში ერთად ათავსებს. მხოლოდ წარსულისადმი ინტერესის გამო? არა, თუ მხედველობაში წარსულის ისტორია აწმყოს თვალსაზრისით გვექნება. მხოლოდ მაშინ, თუ ამ ისტორიას, როგორც აწმყოს ისტორიას გავიგებთ. გვ.47

„გვ.279“ ჩაწერის, რეგისტრაციის, შედარების ველთა ორგანიზების, მონაცემების სვეტებსა და ცხრილებში განთავსების ამ პატარა ხერხებს(ტექნიკებს), რომლებიც ასე ჩვეულებრივია დღეს ჩვენთვის, ინდივიდის შესახებ მეცნიერების ეპისტემოლოგიურ „აღმოჩენა-მიკვლევაში“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რასაკვირველია, მართალი იქნებოდა, დაგვესვა არისტოტელესეული კითხვა: შესაძლებელია კი, და კანონიერი, მეცნიერება ინდივიდის შესახებ? როგორც ჩანს, დიდი პრობლემა დიდ გადაჭრასაც-გადაწყვეტასაც მოითხოვს. მაგრამ არის პატარა ისტორიული პრობლემა – XVIII ს-ის დასასრულს იმის წარმოშობის პრობლემა, რომლისთვისაც, საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლებოდა „კლინიკური“ მეცნიერებები გვეწოდებინა. ინდივიდის (უკვე არა სახის) შემეცნების ველში შემოყვანის პრობლემა – ინდივიდუალური აღწერის, ჯვარედინი დაკითხვის-გამოკითხვის, ანამნეზის, „საქმის“ მეცნიერული დისკურსის საერთო ხმარებაში შემოყვანის პრობლემაა. უეჭველია, ამ მარტივ ფაქტობრივ საკითხს სიდიადეს მოკლებული პასუხი უნდა მოჰყვეს: საჭიროა ჩაწერებისა და რეგისტრაციების პროცედურების შესწავლა, გამოცდების მექანიზმებზე, დისციპლინარული მექანიზმის ჩამოყალიბებასა და სხეულებზე ახალი ტიპის ძალაუფლების ფორმირებაზე დაკვირვება. არის თუ არა ეს ადამიანის შესახებ მეცნიერების დაბადება? სავსებით შეასაძლებელია, რომ ის იმ ნაკლებად ცნობილ არქივებში უნდა ვეძებოთ, სადაც საწყისს სხეულთა, ჟესტების, ქცევების იძულების თანამედროვე თამაში იღებს. გვ.279

„გვ.280“ დიდი ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი ინდივიდუალობა – უბრალო ადამიანის ინდივიდუალობა – აღწერის ზღურბლს დაბლა რჩებოდა, რამეთუ, ქცევების მუდმივად და ყოველდღიურად განხილვა, დაკვირვება, დეტალურად გამოკვლევა და ჩაწერა პრივილეგიას წარმოადგენდა. ადამიანის სიცოცხლეშივე შედგენილი ქრონიკა, ცხოვრების აღწერა, ისტორიოგრაფია მისი ძალაუფლების რიტუალთა ნაწილს შეადგენდა. მადისციპლინირებელმა მეთოდებმა ეს დამოკიდებულება მთლიანად შეცვალა, ისე დაბლა დასწიეს ზღურბლი, რომ შესაძლებელი გამხდარყო ინდივიდუალურობის აღწერა, და აღწერა კონტროლის საშუალებად და ბატონობის მეთოდად გადააქციეს. ახლა აღწერა ძეგლი კი არ არის მომავლისათვის, არამედ დოკუმენტია შესაძლო გამოყენებისათვის. აღწერის ეს ახალი გამოყენებადობა განსაკუთრებით შესამჩნევია მკაცრ დისციპლინარულ გარემოში: ბავშვი, ავადმყოფი, შეშლილი, მსჯავრდებული ინდივიდუალურ აღწერათა და ბიოგრაფიულ თხრობათა ობიექტები სულ უფრო ხშირად ხდებიან. რეალურ სიცოცხლეთა ჩანაწერად ქცევა გმირების შექმნის პროცედურას მეტად აღარ წარმოადგენს. ახლა იგი ობიექტივაციისა და მორჩილების პროცედურად იქცა. გონებასუსტთა ან დამნაშავეთა გულმოდგინედ გამოკვლეული ცხოვრება ან მეფეთა ცხოვრების აღწერა, როგორც ადრე, ჩაწერის განსაზღვრულ პოლიტიკურ ფუნქციასთან მიმართებაშია, მაგრამ ძალაუფლების სრულიად სხვა ტექნიკაში.

გამოცდა, როგორც ინდივიდუალურ განსხვავებათა დადგენა – ერთდროულად რიტუალური და „მეცნიერულიც“ – თითოეული ინდივიდისათვის მისი საკუთარი განსაკუთრებულობის – თვისებების მიკერება-მიმაგრება (იმ ცერემონების საპირისპიროდ, სადაც სტატუსი, წარმოშობა, პრივილეგიები და თანამდებობები განმასხვავებელ ნიშანთა მთელი ბრწყინვალებით დემონსტრირდება, იფინებიან-იჩვენებიან) – ნათლად მეტყველებს ძალაუფლების ახალი მოდალობის წარმოშობაზე, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდი თავისი სტატუსის სახით საკუთარ ინდივიდუალობას იღებს და რომლის დროსაც, თავისი სტატუსის წყალობით, იგი უკავშირდება თვისებებს, ზომებს, გადახრებს, „ნიშნებს“, რომლებიც ახასიათებს მას და „შემთხვევად“ ქმნის.

დაბოლოს, გამოცდა მოქცეულია პროცედურათა ცენტრში, რომლებიც ინდივიდს, როგორც ძალაუფლების გამოვლენასა და ობიექტს, ცოდნის გამოვლენასა და ობიექტს ქმნიან. სწორედ გამოცდა, იმით, რომ კომბინირებას უწევს იერარქიულ ზედამხედველობას და მანორმალიზებელ დასჯას, განაწილებისა და კლასიფიკაციის მნიშვნელოვან დისციპლინარულ ფუნქციებს, ძალების მაქსიმალურ ამოღებას და დროის ეკონომიას, უწყვეტ გენეტიკურ დაგროვებას, უნართა ოპტიმალურ კომბინაციას უზრუნველყოფს და ყოველივე ამით – უჯრედული, ორგანული, გენეტიკური და კომბინირებული ინდივიდუალობის ფორმირებას უწყობს ხელს. გამოცდის წყალობით, „რიტუალიზდება" ის დისციპლინები, რომლებიც შეიძლება ერთი სიტყვით დავახასიათოთ: ისინი იმ ძალაუფლების მოდალობებია, რომელიც ინდივიდუალურ განსხვავებებს ითვალისწინებს.

* * *

დისციპლინები აღნიშნავენ მომენტს, როდესაც, ასე რომ ვთქვათ, ინდივიდუალიზაციის პოლიტიკური ღერძის შემობრუნება ხდება. ზოგიერთ საზოგადოებაში (ფეოდალური წყობა მხოლოდ ერთ-ერთია მათგან) ინდივიდუალიზაცია ყველაზე მეტად განვითარებულია იქ, სადაც ხელმწიფის ძალაუფლება აღესრულება და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს ძალაუფლება ან პრივილეგიები, მით უფრო მეტად გამოირჩევა იგი, როგორც ინდივიდი რიტუალებში, დისკუსიებში და პლასტიკურ წარმოდგენებში. „სახელი" და გენეალოგია, რომელიც ინდივიდს ათავსებს ნათესაურ კავშირთა გროვაში, ქმედებანი, რომლებიც აჩვენებენ უპირატესობას ძალაში და უკვდავიყოფიან ლიტერატურულ გადმოცემებში, ცერემონიები, რომლებიც თვით თავიანთი გამართვით წარმოაჩენენ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის უზრუნველმყოფელი ძეგლები და შემოწირულობები, ბრწყინვალება და გასავალთა მეტისმეტობა, მრავალი ურთიერთგადამკვეთი ერთგულ – ქვეშევრდომული და სიუზერენული კავშირები – „აღმავალი" ინდივიდუალიზაციის პროცედურებია.

დისციპლინარულ რეჟიმში კი პირიქით, ინდივიდუალიზაცია „დაღმავალია". რაც უფრო ანონიმური და ფუნქციონალური ხდება ძალაუფლება, მით უფრო ინდივიდუალიზდებიან ისინი, რომლებზეც ეს ძალაუფლება ვრცელდება. იგი ზედამხედველობის გზით და არა ცერემონიით, დაკვირვების და არა მემორიალურ თხრობათა გზით, „ნორმაზე" დაფუძნებული შედარებითი გაზომვებისა და გენეალოგიის გზით სრულდება, რომელიც წინაპრებისაგან მომდინარეობს. „გადახრების" და არა გმირობების გზით დისციპლინის სისტემაში ბავშვი ინდივიდუალიზდება მეტად, ვიდრე ასაკოვანი; ავადმყოფი უფრო, ვიდრე ჯანმრთელი; გონებასუსტი და დამნაშავე უფრო, ვიდრე ნორმალური და კანონმორჩილი. ყოველ ხსენებულ შემთხვევაში ჩვენი ცივილიზაციის ყველა მაინდივიდუალიზებელი მექანიზმი მიმართულია სწორედ პირველზე; როდესაც საჭიროა ჯანმრთელი, ნორმალური და კანონმორჩილი მოზარდის ინდივიდუალიზება, მუდამ კითხულობენ: ბევრი დარჩა კი რაიმე მასში ბავშვური, რა ფარული შეშლილობის მატარებელია იგი თავის თავში, როგორი სერიოზული დანაშაულის ჩადენაზე ოცნებობდა იგი. ყველა მეცნიერება, ანალიზისა და პრაქტიკის ფორმები, რომელთაც სახელწოდების ფუძეში აქვთ ფესვი „ფსიქო", ინდივიდუალიზაციის პროცესის ამ ისტორიული გადაქოთებისაგან, გადაბრუნებისაგან, ყირამალაზე დაყენებისაგან მომდინარეობენ.

ინდივიდუალურობის ფორმირების ისტორიულ-რელიგიური მექანიზმებიდან მეცნიერულ-დისციპლინირებულ მექანიზმებზე გადასვლის მომენტი, როდესაც ნორმალურმა – მემკვიდრეობაზე, ხოლო გაზომვამ სტატუსზე (რითაც ადამიანის ინდივიდუალობა, რომელიც ახსოვთ, გამოთვლადი ადამიანის ინდივიდუალურობით შეიცვალა) გაიმარჯვა, მო-

მენტი, როდესაც შესაძლებელი გახდა მეცნიერება ადამიანის შესახებ, არის მომენტი, როდესაც ძალაუფლების ახალი ტექნოლოგია და სხეულის ახალი პოლიტიკური ანატომია განხორციელდა. და თუ დაწყებული შუა საუკუნეებიდან დღემდე „თავგადასავალი“ არის თხრობა ინდივიდუალურობის შესახებ, ეპოსიდან რომანზე გადასვლა, კეთილშობილი ქმედებიდან ფარულ, იდუმალ თავისებურებებზე გადასვლა, ხანგრძლივი ხეტიალისაგან ბავშვობის შინაგან ძიებაზე, ბრძოლებისაგან ფანტაზიებზე გადასვლა, მაშინ დისციპლინარული საზოგადოების ფორმირებაში ესეც ეწერება. ჩვენი ბავშვობის თავგადასავლები ახლა გამოხატულებას არა Lebon petit Henrg-ში, არამედ პატარა ჰანსის გაჭირვებებში პოულობენ; დღეს „რომანი ვარდზე“-ს მერი ბარნსი წერს, ხოლო ლანცელოტის ნაცვლად გვყავს პრეზიდენტი შრებერი (შენიშვნა: ჰანსი და შრებერი ფროიდის ფსიქოანალიზის ორი მაგალითია). ხშირად ამბობენ, რომ საზოგადოების მოდელი, რომლის შემადგენელ ელემენტებს ინდივიდები წარმოადგენენ, ხელშეკრულებისა და გაცვლის აბსტრაქტული იურიდიული ფორმებისაგანაა ნასესხები. ამ თვალსაზრისით, სასაქონლო საზოგადოება წარმოგვიდგება, როგორც ცალკეულ იურიდიულ სუბიექტთა ხელშეკრულებითი გაერთიანება. შეიძლება ეს ასეცაა. ყოველ შემთხვევაში, XVII-XVIII-ის პოლიტიკური თეორია, როგორც ჩანს, ხშირად მისდევს ამ სქემას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმავე ეპოქაში ინდივიდთა, როგორც ძალაუფლებისა და ცოდნის კორელატთა კონსტიტუირების ტექნიკაც არსებობდა. უეჭველად, ინდივიდი საზოგადოების შესახებ „იდეოლოგიური“ წარმოდგენის გამოგონილი ატომია. მაგრამ, იგი აგრეთვე არის რეალობაც, შექმნილი ძალაუფლების სპეციფიკური ტექნოლოგიით, რომელსაც მე „დისციპლინა“ ვუწოდე. ძალაუფლების გამოვლინებების უარყოფითი ტერმინებით – თითქოს იგი „თრგუნავს“, „ცენზურას უკეთებს“, „ნიღბავს“, „რიცხავს-განკვეთს“ – აღწერაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი. სინამდვილეში, ძალაუფლება ქმნის. იგი ქმნის რეალობას, ობიექტთა სფეროებს-დარგებს და ჭეშმარიტების რიტუალებს. ინდივიდი და ცოდნა, რომელიც შეიძლება ინდივიდზე მივიღოთ, მის პროდუქციას განეკუთვნებიან.

ხომ არ არის რაიმე გადამეტება დისციპლინის პატარ-პატარა ეშმაკობებისაგან ასეთი ძალაუფლების გამოყვანაში? როგორ შეიძლება, მათ ამდენად მასშტაბური შედეგი ჰქონდეთ?

პანოპტიზმი [9]

ჩაკეტილი, სეგმენტებად დაყოფილი სივრცე, სადაც ყოველი წერტილის დათვალიერება ხდება, სადაც ინდივიდები დაბინავებულნი არიან ნათლად განსაზღვრულ ადგილებში, სადაც თითოეული მოძრაობა კონტროლდება, სადაც ყველა ხდომილება რეგისტრაციას გადის, სადაც უწყვეტად მიმდინარე ჩანაწერები ცენტრს პერიფერიასთან აკავშირებს, სადაც ძალაუფლება განუყოფლად მოქმედებს უცვლელი იერარქიული მოდელით, სადაც თითოეული ინდივიდი მუდმივად ლოკალიზებულია, სადაც მას სწავლობენ და ცოცხლებს, ავადმყოფებს ან გარდაცვლილებს აკუთვნებენ – ყველაფერი ეს დისციპლინარული მექანიზმის კომპაქტურ მოდელს ქმნის. შავ ჭირს – ჟამიანობას, წესრიგით ხვდებიან. წესრიგმა ხელი უნდა შეუშალოს ავადმყოფობით გამოწვეულ შესაძლებელ აღრევებს, რომლებიც

9 მთარგმნელის შენიშვნა: გვ. 288-მდე აღწერილია მე-17 საუკუნის ქალაქი შავი ჭირის ეპიდემიით. გაანალიზებულია ის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ქალაქის ხელისუფალნი ამ ეპიდემიას უმკლავდებიან. ფუკო ცდილობს აჩვენოს, რომ სწორედ ამგვარი ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა ბადებს დისციპლინას და დისციპლინარული ძალაუფლების მექანიზმებს.

სხეულთა შერევის შედეგად ან ბოროტებით, თანაც მზარდით, როდესაც შიში და სიკვდილი აკრძალვებს აღგვის, ერთიდან მეორეზე გადადის. წესრიგი თითოეულ ინდივიდს თავის ადგილს, მის სხეულს, ავადმყოფობას, სიკვდილს, მის კეთილდღეობას ყველგან მყოფი და ყოვლისმცოდნე ხელისუფლების წყალობით „მიუჩენს", რომელიც თანაბრად და შეუსვენებლად თითქმის ინდივიდის უკიდურეს განსაზღვრებამდე იყოფა – ნაწევრდება: ის, რაც მას ახასიათებს, მას მიეკუთვნება, მის თავზე ხდება. შავი ჭირის, რომელიც არეულ-დარეულობაა, წინააღმდეგ დისციპლინას მოძრაობაში თავისი ძალაუფლება, ანალიზის ძალაუფლება მოჰყავს. უარი (შავი ჭირი) შემოსა ლიტერატურულმა გამონაგონმა, რომელიც მას, როგორც დღესასწაულს წარმოადგენს: კანონთა შეჩერება, აკრძალვათა მოხსნა, უგუნურება, ინდივიდების მიერ თავისი კანონიერი იდენტობის და სახის დავიწყება, რომლითაც მათ ცნობდნენ, სრულებით სხვაგვარი ჭეშმარიტების გამოვლენის შესაძლებლობაა. მაგრამ, არის აგრეთვე შავი ჭირის პირდაპირ საპირისპირო – პოლიტიკური სახეც: შავი ჭირი არის არა საყოველთაო ზეიმი, არამედ მკაცრი საზღვრები; არა კანონების დარღვევა, არამედ სრულყოფილი იერარქიის წყალობით წესთა შეღწევა ყოველდღიური ცხოვრების უწვრილმანეს დეტალებშიც კი, რომელიც ხელისუფლების კაპიტალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. არა ნიღბების მოხსნა ან მორგება, არამედ თითოეული ინდივიდისათვის მისი „ჭეშმარიტი" სახელის, „ჭეშმარიტი" ადგილის, „ჭეშმარიტი" სხეულის და „ჭეშმარიტი" ავადმყოფობის მიკუთვნება. შავი ჭირის, როგორც ერთდროულად რეალური და წარმოსახული უწესრიგობის ფორმას თავის სამედიცინო და პოლიტიკურ კორელატად დისციპლინა აქვს. დისციპლინარული მექანიზმების უკან შეიძლება მეხსიერებაში „გადამდები სენის" – შავი ჭირის, ბუნტების, დანაშაულებების, მაწანწალობის, დეზერტირობის, ადამიანების, რომლებიც ყოველგვარი წესრიგის გარეშე გამოჩნდებიან და ქრებიან, ცოცხლობენ და კვდებიან – მიერ დატოვებული წარუშლელი კვალი დავინახოთ.

თუ სწორია, რომ კეთრმა განდევნის-მოკვეთის რიტუალი დაბადა, რომელმაც გარკვეული ზომით დიდი დატუსაღების მოდელი და საერთო ფორმა წინასწარ განსაზღვრა, მაშინ შავმა ჭირმა დისციპლინარული სქემები წარმოქმნა. იგი ადამიანთა ორ ჯგუფს შორის არა დიდ ბინარულ დაყოფას, არამედ მრავალ ქვედაყოფას, მაინდივიდუალიზებელ განაწილებას, ზედამხედველობისა და ხელისუფლების დატოტვას იწვევს. კეთროვანს გაძევებისა და განდევნა-განცალკევების პრაქტიკაში რთავენ; იგი ბედის ანაბარა რჩება მასაში, რომლის დიფერენცირებას აზრი არ აქვს. ისინი კი, ვინც დაავადებულია შავი ჭირით, დეტალიზებული ტაქტიკური ქვედანაყოფების მიერ შთანთქმული აღმოჩნდებიან, სადაც ინდივიდუალური განსხვავებანი ძალაუფლების შემზღუდავი მოქმედების შედეგებად გვევლინებიან, ძალაუფლებისა, რომელიც თავის თავს ამრავლებს, გამოთქვამს და ქვედანაყოფებად ყოფს. სრული იზოლაცია – დატუსაღება – ერთი მხრივ, შემოწმებული წრთვნა კი, მეორე მხრივ. კეთროვანი – და მისი განკვეთა, შავი ჭირი და მასთან ერთად ქვედანაყოფები. კეთროვანის განკვეთა/განდევნა და შავი ჭირით დაავადებულის შინაური პატიმრობა – განსხვავებული პოლიტიკური ოცნებებია. პირველია – ოცნება წმინდა/სუფთა თემზე, მეორე – დისციპლინარულ საზოგადოებაზე. ეს ადამიანებზე ძალაუფლების გატარების, მათ ურთიერთობებზე კონტროლის, საშიშ არეულობათა აღმოფხვრის ორი წესია. შავი ჭირით დაავადებული ქალაქი, გამჭოლ განმსჭვალული იერარქიით, ზედამხედველობით, დაკვირვებებით, ჩანაწევრებით; ქალაქი, გაქვავებული გაფართოებადი ხელისუფლების მიერ, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ყველა ინდივიდუალურ სხეულზე ზემოქმედებს – აი, სავსებით და სრულიად მართვადი ქალაქის უტოპია. შავი ჭირი (უმთავრეს შემთხვევაში, მისი შესაძლო გავრცელება) – განსაცდელია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გონებაჭვრეტით განვსაზღვროთ დისციპლინარული ძალაუფლების გზავნილები. იმისათვის, რათა

ეიძულებინათ სამართალი და კანონები, წმინდა თეორიის შესატყვისად ემოქმედათ, იურისტებმა თავი ბუნებრივ მდგომარეობაში წარმოადგინეს; იმისათვის, რათა დაენახათ შესრულებულ დისციპლინათა ქმედებები, ხელისუფლებმა წარმოისახეს შავი ჭირის მდგომარეობა-ვითარება. დისციპლინარული სქემების საფუძვლებში შავი ჭირის სახე ძევს, რომელიც არეულობისა და უწესრიგობის ყველა ფორმას განახორციელებს-განასახიერებს, ზუსტად ისევე, როგორც გაძევების სქემათა საფუძველში არის კეთროვანის სახე, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ კონტაქტებს მოკლებულია.

მაშასადამე, ჩვენ წინაა განსხვავებული, მაგრამ სრულებითაც არა შეუთავსებელი სქემები. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი თანდათანობით უახლოვდებიან ერთმანეთს. XIX ს-ის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მან განდევნის სივრცეს, რომლის სიმბოლური მცხოვრებნი კეთროვანნი არიან (ხოლო რეალური კი – მათხოვრები, მაწანწალები, სულით ავადმყოფები, წესრიგის დამრღვევნი), მიუყენა ძალაუფლების ტექნიკა, რომელიც დისციპლინარულ განაწილებებს ახასიათებს. „კეთროვანთ“ ექცევიან ისე, როგორც „ჟამიანებს-შავ ჭირიანებს“, დისციპლინის დეტალური სეგმენტაცია დატუსაღების ბუნდოვან სივრცეზე გადააქვთ, მის მიმართ კი ძალაუფლების კუთვნილ ანალიტიკურ განაწილების მეთოდებს იყენებენ. განდევნილის ინდივიდუალიზება, მაგრამ ამ დროს მოკვეთის „დასადაღად“ ინდივიდუალიზაციის პროცედურის გამოყენება – აი, რა ხორციელდება დისციპლინარული ხელისუფლების მიერ მუდმივად XIX ს-ის დასაწყისიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ციხეებში, გამასწორებელ სახლებში, არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებებში და, გარკვეული ხარისხით, საავადმყოფოებში. ზოგადად რომ ვთქვათ, ინდივიდებზე კონტროლს ყველა ეს დაწესებულება ორმაგ (სულით ავადმყოფი – არასულით ავადმყოფი); საშიში – (სანდო – უწყინარი, ნორმალური – არანორმალური), აგრეთვე იძულებითი და დიფერენცირებული განაწილების რეჟიმში (ვინ არის იგი, სად უნდა იმყოფებოდეს, როგორ დავახასიათოთ, როგორ გავიცნოთ, როგორ განვახორციელოთ ინდივიდუალური მუდმივი ზედამხედველობა მასზე და ა.შ.), ბინარული დაყოფისა და დადაღვის რეჟიმში ახორციელებდა. ერთი მხრივ, კეთროვანებს, როგორც შავი ჭირით დაავადებულებს ექცევიან, მოკვეთილთა მიმართ კი მაინდივიდუალიზებელი დისციპლინის ტექნიკას იყენებენ. მეორე მხრივ, დისციპლინარული კონტროლის უნივერსალურობა საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ და ჩავინიშნოთ „კეთროვანი“, მის წინააღმდეგ მოკვეთის დუალისტური მექანიზმები გამოვიყენოთ. ნორმალურად და არანორმალურად მუდმივი დაყოფა, რომელსაც ყოველი ინდივიდი ექვემდებარება, ჩვენს დროში გვაბრუნებს, როდესაც ბინარული დადაღვა და მოკვეთილის განდევნა სრულებით სხვა ობიექტების მიმართ გამოიყენება. მთელი რიგი მეთოდებისა და ისტორიების არსებობას (რომელთა დანიშნულება არანორმალურთა გამოვლენა და გამოსწორება, მათზე კონტროლია) თამაშში დისციპლინარული მექანიზმები შემოჰყავს, რომლებიც შავი ჭირის წინაშე შიშითაა წარმოქმნილი. ძალაუფლების ყველა მექანიზმი, რომელსაც თვით დღესაც კი არანორმალური ინდივიდის ირგვლივ აგებენ, რათა ჩაინიშნონ და შეცვალონ იგი, ამ ორი მათ შორეულ წინაპარად მიჩნეული ფორმისაგან წარმოდგება.„„„„გვ.292““““

* * *

ბენტამის „პანოპტიკონი“ – ამ კომპოზიციის არქიტექტურული სახეა. მისი პრინციპი ჩვენთვის ცნობილია: პერიმეტრის მიხედვით – წრის ფორმისაა. ცენტრში კოშკია. კოშკში – ფართო ფანჯრები, რომლებიც წრის შინაგან მხარეზე გადის. ბეჭდის მსგავსი შენობა დაყოფილია კარებად, საკნებად, თითოეული განლაგებულია სიგანის მიხედვით. კამერას ორი ფანჯარა აქვს: ერთი გამოდის შიგნით (კოშკის შესაბამისი ფანჯრის საპირისპიროდ),

მეორე კი – გარეთ (ამგვარად, მთელი კამერა გამჭოლ – დათვალიერებადია). ამგვარად, საკმარისია ცენტრალურ კოშკში მოვათავსოთ ერთი ზედამხედველი, ხოლო თითოეულ კამერაში ჩავსვათ თითო-თითო გონებასუსტი, ავადმყოფი, მსჯავრდებული, მუშა ან მოსწავლე. კოშკიდან მომდინარე შუქის წყალობით, შეიძლება კარგად ტყვეთა-ტუსაღთა გამოკვეთილ ფიგურებს შენობის პერიფერიულ კამერებშიც კი დავაკვირდეთ. რამდენი კამერა-გალიაა, იმდენი ერთი მსახურების პატარა თეატრია, თანაც თითოეული აქტიორი მარტოა, აბსოლუტურად ინდივიდუალიზებულია და მუდამ ჩანს. პანოპეტიკური ნაგებობა-წყობა ქმნის სივრცისეულ ერთეულებს, რაც საშუალებას გვაძლევს მუდამ ვხედავდეთ მათ და დაუყოვნებლივ ამოვიცნოთ ისინი. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი პრინციპი საკნის-დილეგის პრინციპის საპირისპიროა. უფრო სწორად, კარცერის სამი ფუნქციისაგან – დამწყვდევა, სიბნელეში ყოფნა – უშუქობა და დაფარვა – შენარჩუნებულია მხოლოდ პირველი, ორი დანარჩენი კი ქრება. ზედამხედველის თვალი და კაშკაშა სინათლე-შუქი უკეთ ატყვევებს, ვიდრე წყვდიადი, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, დაკავებულს იცავს. ხილვადობა – მახეა.

უწინარეს ყოვლისა, ასეთმა წყობამ შესაძლებელი გახადა – „უარყოფითი" რეზულტატის სახით – იმ მოსაწყენ, შექუჩებულ, მოღრიალე და მოფუთფუთე მასების თავიდან აცილება, რომლებიც პატიმრობის ადგილებს ავსებდნენ. ისინი დახატა გოიამ და აღწერა გოვარდმა. თითოეული ინდივიდი თავის ადგილზეა, საიმედოდაა ჩაკეტილი კამერაში, სადაც მას ზედამხედველი ხედავს, მაგრამ შინაგანი კედლები ხელს უშლის მის მცხოვრებს დაამყაროს კონტაქტი მეზობლებთან. მას ხედავენ, მაგრამ ის ვერ ხედავს. იგი არის ინფორმაციის ობიექტი, მაგრამ არასდროს – კომუნიკაციის სუბიექტი. მისი კამერის ცენტრალური კოშკის პირისპირ განთავსება მის გამჭოლ-გრძივ ხედვას უზრუნველყოფს; მაგრამ ტიხრები წრის შიგნით, ეს ცალკეული კამერები გარდიგარდმო ხედვას შეუძლებელს ხდის. გულისხმობენ გარდიგარდმო უხილვადობას და სწორედ ეს ვერხილვადობა იძლევა წესრიგის გარანტიას. თუ კამერებში სხედან დამნაშავეები, მაშინ შეთქმულობის საშიშროება, კოლექტიური გაქცევის საშიშროება, ახალი, მომავალი დანაშაულებების გეგმები არ არსებობს. თუ ავადმყოფთან გვაქვს საქმე – მაშინ არ არსებობს ავადმყოფობის გავრცელების საშიშროება, თუ გონებასუსტთან გვაქვს საქმე – მაშინ არ არსებობს ურთიერთძალადობის რისკი, თუ მოსწავლეებია – მაშინ გამორიცხულია გადაწერა, ჭორაობა, დროის ფუჭად კარგვა, გნიასი და ჟივილ-ხივილი. თუ მუშებია – მაშინ გამორიცხულია ჩხუბი, ქურდობა, ქეიფები და გართობები, რაც ანელებს შრომას, აქვეითებს ხარისხს და უბედურ შემთხვევებსაც იწვევს. ბრბო – მკვრივი მასა, მრავალ გაცვლათა ადგილი, ინდივიდთა და კოლექტიურ გამოვლენათა თავშეყრა – ქრება და ცალკეულ ინდივიდუალობათა თავყრილობით იცვლება. მცველის თვალსაზრისით, ბრბო – თვლადი და კონტროლირებადი სიმრავლით, ტუსაღის თვალსაზრისით კი, იზოლაციითა და ზედამხედველობაში მყოფი მარტოობით იცვლება.

აქედან იკვეთება პანოპტიკონის ძირითადი მიზანი: მოიყვანოს პატიმარი გაცნობიერებული და მუდმივი ხილვადობის მდგომარეობაში, რომელიც ხელისუფლების ავტომატურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ააგო იმგვარად, რომ ზედამხედველობა მუდმივი იყოს თავისი შედეგებით მაშინაც კი, როდესაც ის შესვენებებით ხორციელდება, რათა ხელისუფლების სრულყოფილებამ არასავალდებულო გახადოს მისი ნამდვილი აღსრულება და ისე, რომ პანოპტიკონის არქიტექტურული აპარატი იყოს მანქანა, რომელიც წარმოქმნის და დაიცავს ხელისუფლების ურთიერთობებს ადამიანებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მას აღასრულებს. მოკლედ რომ ვთქვათ, პატიმრები ჩართულნი იყვნენ ძალაუფლებრივ სიტუაციებში, რომლის მატარებელსაც თავად ისინი წარმოადგენენ. პატიმრებზე მუდმივი ზედამხედველობის ამ რეზულტატის მიღწევა ერთდროულად ძალიან ბევ-

რია და ძალიან ცოტაც: ძალიან ცოტა, რამდენადაც მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ პატიმარმა უნდა იცოდეს, რომ მას აკვირდებიან; ძალიან ბევრი – რამდენადაც მუდმივი ზედამხედველობის არავითარი საჭიროება არ არის. ამიტომ, ბენტამმა ჩამოაყალიბა პრინციპი, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება უნდა იყოს ხილულიც და შემოწმებისათვის მიუღწეველიც.

ხილვადი: პატიმარს მუდამ უნდა ედგეს თვალწინ ცენტრალური კოშკის გრძელი ჩრდილი, საიდანაც მას აკვირდებიან.

მიუსადაგი შემოწმებისათვის: პატიმარმა არ უნდა იცოდეს, აკვირდებიან თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ მომენტში, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ასეთი დაკვირვება მუდამ შესაძლებელია.

პანოპტიკონი – ესაა მანქანა წყვილის „ხედვა – იყო უხილავი“ დასაშლელად: ადამიანი წრიულ შენობაში სავსებით და სრულებით ხილვადია, ჩანს, მაგრამ თვითონ ის ვერასდროს ხედავს, ცენტრალური კოშკიდან ზედამხედველი ხედავს ყველაფერს, მაგრამ თავად უხილავია.

ესაა მნიშვნელოვანი მექანიზმი, იგი ავტომატურს ხდის ხელისუფლებას და მას ინდივიდუალობას ართმევს. ძალაუფლების პრინციპი არა იმდენად ადამიანში, რამდენადაც სხეულთა, ზედაპირულობათა, სინათლისა,შუქისა, თვალთვალთა და ხედვათა განსაზღვრულ, გააზრებულ განაწილებაში მდგომარეობს, რომლის შინაგანი მექანიზმები ქმნიან ურთიერთობას, რომელიც ინდივიდებს ითრევს. ცერემონიები, რიტუალები, ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც სუვერენი ავლენდა „ძალაუფლების ნამატს“, ახლა უსარგებლოა. მოქმედებენ მექანიზმები, რომლებიც ასიმეტრიას, დისბალანსს, განსხვავებებს იცავენ. მაშასადამე, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ აღასრულებს ხელისუფლებას: უფროსის არყოფნისას, მისი ოჯახის წევრებს, მის მეგობრებს, სტუმრებს და მოსამსახურეებსაც კი შეუძლიათ, მანქანა მოძრაობაში მოიყვანონ. ზუსტად ასევე არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორია მამოძრავებელი მოტივი: მოურიდებელი ცნობისმოყვარეობა, ბავშვის ეშმაკობა, ცოდნის ფილოსოფიური წყურვილი, რომელსაც ადამიანური ბუნების ამ მუზეუმის დათვალიერება სურს ან იმათი ბოროტება, ვინც სიამოვნებას ძიება-მოკვლევასა და დასჯაში პოულობს. რაც უფრო მეტია ეს ანონიმური და ერთმანეთის მონაცვლე დამკვირვებლები, მით უფრო მეტი პატიმარი რისკავს, იყოს გაქაჩული მოულოდნელად, მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის ცნობიერება მით უფრო საგანგაშო ხდება. პანოპტიკონი სასწაულმოქმედი მანქანაა, რომელიც, როგორდაც არ უნდა გამოიყენონ იგი, ძალაუფლების ერთგვაროვან, ერთსა და იმავე ზემოქმედებას ახდენს/აწარმოებს.

რეალური მორჩილება გამოგონილი ურთიერთობიდან მექანიკურად იბადება. ასე რომ, არაა იმის საჭიროება, ძალისმიერ საშუალებებს მივმართოთ, რათა ვაიძულოთ დამნაშავე, კარგად მოიქცეს: გონებასუსტი მშვიდად მოიქცეს, მუშამ იმუშაოს, მოსწავლე ზრდილობიანად მოიქცეს, ავადმყოფმა მითითებები და რეცეპტები დაიცვას. ბენტამი აღაფრთოვანებული იყო იმით, რომ პანოპტიკური დაწესებულება შეიძლება ამდენად გაადვილებული, შემსუბუქებული იყოს: აქ არც ბორკილებია, არც ჯეებირები, არც ჯაჭვები და არც ძალიან მძიმე ციხეები. გამოკვეთილი ტიხრები და სწორად განაწილებული ღიობები საკმარისია; ძველი „უსაფრთხოების სახლთა“ ციხის ვეება არქიტექტურა შეიძლება „საიმედოობის სახლთა“ მარტივი, ეკონომიური გეომეტრიით შევცვალოთ. ძალაუფლების ეფექტურობა, მისი მაიძულებელი ძალა თითქოს მეორე მხარეს – მისი გამოყენებისა თუ მიყენების ზედაპირის მხარეზე გადადის. ის, ვინც მოთავსებულია ხილვადობის ველში და იცის ამის შესახებ, პასუხისმგებლობას ძალაუფლების იძულებისათვის თავის თავზე იღებს; იგი მათ თავის თავზე სპონტანურ თამაშს უშვებს; იგი ძალაუფლების დამოკიდებუ-

ლებებს- ურთიერთობებს იწოვს, რომელშიც ერთდროულად ორივე როლს თამაშობს. იგი საკუთარი მორჩილების საწყისი ხდება. ამის წყალობით გარეგან ძალაუფლებას შეუძლია, თავისი ფიზიკური სიმძიმე შეამციროს, იგი უსხეულო ზემოქმედებისაკენ იხრება – მიემართება და რაც უფრო ახლოსაა ამ ზღვართან, მისი გამოვლინებები და შედეგები მით უფრო მუდმივი, ღრმა და სტაბილური ხდება: მარადიული გამარჯვება ყოველგვარი ფიზიკური შეჯახებების გარეშე მიიღწევა და მუდამ წინასწარაა გადაწყვეტილი.

...ბენტამის პანოპტიკონი ძალიან ჰგავს მეფის სამხეცეს, შეიძლება იგი არც კი იცნობდა ვერსალში ვინმე ლე ვოს მიერ აგებულ მეფის სამხეცეს, მაგრამ ძალიან მიმსგავსებული კი გამოუვიდა. პანოპტიკონი სამეფო სამხეცეა: მხეცი შეცვლილია ადამიანით, ინდივიდუალური განაწილება -სპეციფიკური გაერთიანებით, მეფე – უჩინარი ხელისუფლების მექანიზმებით. რაღაცაში პანოპტიკონი წყვეტს ნატურალისტის ამოცანებს. იგი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ განსხვავება: ავადმყოფებს შორის – დავაკვირდეთ თითოეული ავადმყოფი ინდივიდის სიმპტომებს ისე, რომ არ გვეშინოდეს იმისა, რომ პალატაში სივიწროვეა, მიაზმებია, რომ სნეულებათა გავრცელება კლინიკურ სურათს თითხნის; მოსწავლეებს შორის – თითოეული მოსწავლის მოსწრებებს თვალყური ვადევნოთ (გამოვრიცხოთ გადაწერა ან მიბაძვა), უნარები და ხასიათები შევაფასოთ, მკაცრი კლასიფიკაციები ვაწარმოოთ და „სიზარმაცე და სიჯიუტე“ „უკურნებელი სიბრიყვისაგან“ (ვორიენტირდებით რა ნორმალურ განვითარებაზე) განვასხვავოთ. მუშებს შორის – თითოეულის უნარი შევაფასოთ, კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მათ მიერ დახარჯული დრო შევადაროთ, ხოლო დღიური გადახდის შემთხვევაში, მათი ხელფასი გამოვთვალოთ – ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, პანოპტიკონი ლაბორატორიაა. იგი შეიძლება ექსპერიმენტების ჩატარებისათვის, ქცევის შეცვლისათვის, ინდივიდების წრთვნისა ან გამოსწორებისათვის, როგორც მანქანა გამოიყენებოდეს; წამლების მიღებასთან დაკავშირებული ცდების ჩასატარებლად და მათი ზემოქმედების გასარკვევად; პატიმრებზე სხვადასხვა სასჯელთა ექსპერიმენტული გამოყენებისათვის, მათი დანაშაულისა და ხასიათის შესატყვისად და ყველაზე უფრო ეფექტური სასჯელის გამოძებნისათვის; მუშების მიერ სხვადასხვა ტექნოლოგიების ერთდროული დასწავლისას იმის გამოსარკვევად, თუ რომელია მათგან უკეთესი; პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩასატარებლად, კერძოდ, იზოლაციაში აღზრდის ცნობილი პრობლემისადმი ახალი მიბრუნება და ა.შ. შეიძლება შევამოწმოთ, მართალი იყო თუ არა ჰელვეციუსი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ყველაფერი ისწავლოს. შეიძლება გამოვიკვლიოთ „ყველა ყურადღების ღირსი იდეის გენეალოგია“. ...პანოპტიკონი ადამიანებზე ექსპერიმენტებისათვის პრივილეგირებული ადგილია და ასევე ანალიზისთვისაც, რომელიც სრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, თუ როგორი გარდაქმნები შეიძლება მოჰყვეს მათ შედეგად. პანოპტიკონი თვით საკუთარ მექანიზმებზე კონტროლის საშუალებებსაც კი უზრუნველყოფს. ცენტრალური კოშკიდან უფროსს შეუძლია მისი განკარგულების აღმსრულებელი მოსამსახურეების: ექიმთა, მასწავლებელთა, ზედამხედველთა საქმიანობას უთვალთვალოს და გააკონტროლოს ისინი, დაასმინოს კიდეც. მას მუდამ შეუძლია მათი მოქმედებების შესახებ იმსჯელოს, შეცვალოს მათი ქცევები, თავს მოახვიოს მეთოდები, რომლებსაც იგი საუკეთესოდ მიიჩნევს. თვით უფროსიც კი შეიძლება იქცეს დაკვირვების ობიექტად. პანოპტიკონის ცენტრში მოულოდნელად გამოჩენილ ინსპექტორს პირველივე შეხედვით ძალუძს გაიგოს (არაფერი გაუსხლტება თვალიდან), თუ როგორ მოქმედებს მთელი დაწესებულება. და მართლაც, ნებისმიერ შემთხვევაში, განა უფროსი, რომელიც იმყოფება ამ არქიტექტურული ნაგებობის ცენტრში, მისი განუყოფელი ნაწილი არ ხდება? არაკომპეტენტური ექიმი, რომელიც ვერ გაუმკლავდა გადამდებ სნეულებებს, ციხის არაკომპეტენტური დირექტორი ან სახელოსნოს ხელმძღვანე-

ლი, ეპიდემიის ან ბუნტის შემთხვევაში, თავად ხდებიან პირველი მსხვერპლნი. „ყველა საშუალებებით, როგორც კი მე შემეძლო მომესაზრებინა – ამბობს პანოპტიკონის პატრონი – ჩემი ბედი მე პატიმართა ბედს დავუკავშირე". პანოპტიკონი მოქმედებს, როგორც ძალაუფლების თავისებური სახის ლაბორატორია. დაკვირვების მექანიზმების წყალობით, იგი ადამიანთა ქცევებზე ზემოქმედების ეფექტიან უნარებს იძენს. ცოდნა კვალდაკვალ მისდევს ძალაუფლების წარმატებებს, რომელმაც მთელ იმ ზედაპირზე, სადაც კი იგი აღესრულება, შემეცნების ახალი ობიექტები აღმოაჩინა.

.....

ეპიდემიით მოცული ქალაქი და პანოპტიკური დაწესებულება – მათ შორის არსებული განსხვავება არსებითად მნიშვნელოვანია. ისინი ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში დისციპლინარულ პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს-გარდაქმნებს ადასტურებენ. პირველ შემთხვევაში სახეზეა განსაკუთრებული სიტუაცია: საშინელი ბოროტების წინააღმდეგ აღდგა ხელისუფლება; იგი (იქცევა როგორც) ხდება ყველგანმყოფი და ხილული, იგონებს ახალ მექანიზმებს; შემოფარგლავს, მოძრაობას კრძალავს, აცალკევებს-ყოფს, დროის რაღაც მონაკვეთში უცებ ამოჰყავს კონტრქალაქი და სრულყოფილი საზოგადოება. იგი ადგენს რაღაც იდეალურ ფუნქციონირებას, რომელიც (მაგრამ), საბოლოო ჯამში (როგორც მისდამი დაპირისპირებული ბოროტება), სიცრუისა და სიკვდილის მარტივ დუალიზმზე დაიყვანება: ყველაფერი, რაც მოძრაობს, ატარებს სიკვდილს, ამიტომ მოძრავს კლავენ.

"""""პანოპტიკონი კი, მეორე მხრივ, საჭიროა გავიგოთ, როგორც ფუნქციონირების განზოგადოებული მოდელი; როგორც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ტერმინებში ძალაუფლების დამოკიდებულების განსაზღვრის წესი. უდავოდ, ბენტამი მას, როგორც განკერძოებულ, განცალკევებულ, თავის თავში ჩაკეტილ ინსტიტუტს განიხილავს. აბსოლუტურად თავის თავში ჩაკეტილი უტოპიები სავსებით ჩვეულებრივი ამბავია. „„„„მაგრამ, პანოპტიკონი არ უნდა გავიგოთ, როგორც ოცნების ნაყოფი: ის იდეალურ ფორმაზე დაყვანილი ძალაუფლების მექანიზმის დიაგრამაა. მისი მოქმედება (თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ტიხრებს, წინააღმდეგობებს, შეხლა-შემოხლებს და უთანხმოებებს) წარმოდგენილ უნდა იქნეს, როგორც წმინდა არქიტექტურული და ოპტიკური სისტემა: სინამდვილეში, პანოპტიკონი პოლიტიკური ტექნოლოგიის ფორმაა, რომელიც ყოველგვარი კონკრეტული გამოყენებისაგან შეიძლება და უნდა გამოვაცალკევოთ კიდეც.

პანოპტიკონი მრავალფუნქციურია; იგი პატიმართა გამოსწორებას ემსახურება, მაგრამ ასევე ავადმყოფთა მოვლისთვის, მოსწავლეთა სწავლისთვის, გონებასუსტთა აქტივობის შეზღუდვისათვის, მუშებზე ზედამხედველობისა და ზარმაცთა და მათხოვართა იძულებითი შრომისთვის გამოიყენება. იგი სივრცეში სხეულთა განთავსების, ინდივიდების ერთიმეორის მიმართ განაწილების, იერარქიული ორგანიზაციის, ძალაუფლების ცენტრისა და არხების განლაგების, საავადმყოფოებში, ფაბრიკებში, სკოლებსა და ციხეებში გამოყენებული მისი ჩარევის იარაღებისა და მეთოდების განსაზღვრის რომელიღაც ტიპს წარმოადგენს. ყველგან, სადაც საქმე გვაქვს ადამიანთა სიმრავლესთან, რომელსაც განსაზღვრული დავალება ან ქცევის კონკრეტული ფორმა თავს უნდა მოვახვიოთ, პანოპტიკური სქემის გამოყენება შეიძლება.

ყოველ მის გამოყენებაში პანოპტიკური სქემა საშუალებას იძლევა, ხელისუფლების აღსრულება სრულვყოთ, ამისათვის იგი რამდენიმე გზას ითვალისწინებს – ხელისუფლების წარმომადგენელთა რაოდენობას ამცირებს, ამავე დროს, მათ ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანთა რაოდენობას ამრავლებს. იგი ძალაუფლების ნებისმიერ მომენტში ჩარევას შესაძლებლად აქცევს და მისი მუდმივი ზეწოლა მოქმედებს უფრო ადრეც კი, ვიდრე

დანაშაული, გადაცდომები და შეცდომები არ მომხდარა. პანოპტიკონის პირობებში ძალაუფლების ძალა იმაშია, რომ იგი არასდროს ერევა, არამედ აღესრულება თავისუფლად-თავისთავად და ჩუმად, ქმნის მექანიზმს, რომლის მოქმედებანიც ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. არ აქვს რა სხვა არანაირი მატერიალური ინსტრუმენტი, გარდა არქიტექტურისა და გეომეტრიისა, ძალაუფლება უშუალოდ ზემოქმედებს ინდივიდზე, იგი „ცნობიერებას ცნობიერებაზე ძალაუფლებას“ აძლევს. პანოპტიკური სქემა ძალაუფლების ნებისმიერ აპარატს აძლიერებს: იგი უზრუნველყოფს ეკონომიას (აღჭურვილობა, პერსონალი, დრო) და ეფექტურობას (თავისი პრევენციული ხასიათის, დაუყოვნებელი მოქმედების შეუფერხებელი მოქმედებისა და ავტომატიზმის წყალობით). იგი არის „ადრე უმაგალითოდ დიდ რაოდენობაზე“ ძალაუფლების მოპოვების წესი, „მმართველობის დიდი და ახალი ინსტრუმენტი... მისი უდიდესი უპირატესობა იმ დიდ ძალაში მდგომარეობს, რომლის მინიჭება მას ნებისმიერი ინსტიტუტისადმი ძალუძს, რომლის გამოყენებასაც ის საჭიროდ ჩათვლის“.

პანოპტიკონი – „კოლუმბის კვერცხის“ გვარისაა პოლიტიკურის სფეროში და მას ნებისმიერ ფუნქციასთან (განათლება, სამედიცინო მკურნალობა, წარმოება, დასჯა) ინტეგრირება უშუალოდ და პირდაპირ შეუძლია. ამ ფუნქციათა გაძლიერება მას შეუძლია იმით, რომ მჭიდროდ გადაიხლართება მათში. მას შეუძლია შექმნას შერეული მექანიზმი, სადაც ძალაუფლების (და ცოდნის) დამოკიდებულებები ზუსტად და უმცირეს დეტალებშიც კი მორგებულია ზედამხედველობის ქვემდებარე პროცესებს. მას შეუძლია პირდაპირი პროპორცია დაამყაროს და დაადგინოს „ჭარბ/ნამეტ ძალაუფლებასა“ და „ჭარბ/ნამეტ პროდუქციას“ შორის. ერთი სიტყვით, ის უზრუნველყოფს ისეთ მოწყობილობას, სადაც ძალაუფლების აღსრულება ფუნქციებს, რომლებშიც იგი მონაწილეობს, გარედან (როგორც მკაცრი იძულება ან სიმძიმე) არ ემატება, მაგრამ მათში იმდენად ფაქიზად და მოხერხებულად არსებობს, რომ მათ ეფექტურობას ამაღლებს და, ამავდროულად, მოჭიდების თავის საკუთარ წერტილებს ამაგრებს. პანოპტიკური მოწყობილობა – ძალაუფლების მექანიზმსა და ფუნქციებს შორის უბრალოდ სითბოს გადამცემი ან სახსარი კი არაა, არამედ წესი, აიძულო ძალაუფლებრივი ურთიერთობები, რომელიღაც ფუნქციით იმოქმედოს, ხოლო ფუნქცია – აიძულო, ძალაუფლებრივი ურთიერთობების გზით იმუშაოს.

...ძალაუფლების ზრდა არ გამოიწვევს ტირანიას, რამეთუ ეს დისციპლინარული წყობა დემოკრატიულად გაკონტროლდება, რამდენადაც იგი „მსოფლიოს დიდი სასამართლო-სამსჯავრო კომიტეტისათვის“ მუდამ ღია იქნება. პანოპტიკონი იმდენად გონებამახვილურადაა მოწყობილი, რომ დამკვირვებელს საშულებას აძლევს, ერთბაშად დააკვირდეს სხვადასხვა ინდივიდთა სიმრავლეს, აგრეთვე, თითოეულს შესაძლებლობას აძლევს, მოვიდეს და ნებისმიერ დამკვირვებელს დააკვირდეს. თვალთვალის მანქანა ოდესღაც თავისებური ბნელი ოთახი იყო, საიდანაც თვალთვალი ხორციელდებოდა. ახლა იგი გამჭირვალე ნაგებობად იქცა, სადაც ძალაუფლების აღსრულება/მოქმედება შეიძლება მთელი საზოგადოების მიერ გაკონტროლდეს.

პანოპტიკური სქემა, ხშირად, როგორც ასეთი და ყველა თავისი თვისებით, გამიზნული იყო საზოგადოების მთელ სხეულზე გავრცელებისათვის, მოწოდებული იყო, რაღაც განზოგადებულ ფუნქციად ქცეულიყო. შავი ჭირით დასნეულებული ქალაქი – განსაკუთრებული დისციპლინარული მოდელია: სრულყოფილი, მაგრამ აბსოლუტურად ძალადური; სიკვდილის მომტან ავადმყოფობას ძალაუფლებამ სიკვდილის მუდმივი მუქარა დაუპირისპირა; ქალაქში ცხოვრება უმარტივეს გამოთქმაზე იქნა დაყვანილი; სიკვდილის ძლიერების წინააღმდეგ დაპირისპირებისას იგი მახვილის უფლების დეტალურ განხორციელებად იქცა.

პანოპტიკონი, პირიქით, მოწოდებულია გააფართოოს და გააძლიეროს; თუ იგი ორგანიზებას უკეთებს ძალაუფლებას, თუ იგი ცდილობს, ძალაუფლება უფრო ეკონომიური და ეფექტური გახადოს, მაშინ არა თავად ძალაუფლებისთვის და არა იმ საზოგადოების დაუყოვნებელი შველისათვის და ხსნისათვის, რომელსაც რაღაც ემუქრება; მისი მიზანია გაამაგროს და განამტკიცოს სოციალური ძალები, განავითაროს წარმოება, ეკონომიკა, გაავრცელოს განათლება და აამაღლოს საზოგადოებრივი ზნეობრიობის დონე; გაზარდოს, გაძლიეროს და გაამრავლოს. როგორ გავაძლიეროთ ძალაუფლება ისე, რომ სრულებითაც არ შევუშალოთ ხელი პროგრესს, რომ მისი წესებისა და რეგულატივების ტვირთით დამძიმების გარეშე, მან რეალურად შეუწყოს ხელი მის გაძლიერებას? ძალაუფლების გაძლიერების როგორ საშუალებას შეეძლებოდა, ამავდროულად, წარმოების წამოწევაც? როგორ შეუძლია ძალაუფლებას, თავისი ძალების მოკრებისა და გაძლიერებისას განამტკიცოს საზოგადოების ძალებიც, ნაცვლად იმისა, რომ შებოჭოს და წაართვას?

ამ პრობლემის გადაწყვეტა პანოპტიკური სქემის ჩარჩოებში მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლების პროდუქტიული ზრდა შეიძლება გარანტირებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ერთი მხრივ, იგი საზოგადოების თვით სიღრმეებში, მის უფაქიზეს ნაწილებში უწყვეტად აღესრულება და თუ, მეორე მხრივ, იგი მოქმედებს იმ უეცარი, მძაფრი, შმაგი და წყვეტილი ფორმების გარეშე, რაც ასე დამახასიათებელია სუვერენის ძალაუფლების აღსრულებისათვის. მეფის სხეული (მისი უცნაური მატერიალური და მითური არსებობით, ყოფნით, იმ ძალით, რომელსაც ის თავად აფართოებს, გაშლის ან გადასცემს რამდენიმე სხვა პირს) ძალაუფლების ამ ახალი ფიზიკის, რომელიც პანოპტიზზმა წარმოგვიდგინა, სრულიად საპირისპიროა. პანოპტიზმის მამული კი, პირიქით, მთელი დაბალი სფეროა, თავის ნაწილთა, დეტალთა, მრავალრიცხოვან მოძრაობათა, განსხვავებულ ძალთა, სივრცით ურთიერთობათა მქონე ირეგულარულ სხეულთა სფეროა. აქ საჭიროა მექანიზმები, რომლებიც განაწილებას, დარღვევებს, რიგებსა და კომბინაციებს აანალიზებენ და იყენებენ ინსტრუმენტებს, რომლებიც ხილულს ხდიან, იწერენ, განასხვავებენ და ადარებენ: ურთიერთობების და მრავლობითი ძალაუფლების ფორმაში არსებული ფიზიკა, რომელიც მაქსიმალურ ინტენსიურობას არა მეფის პიროვნებაში, არამედ ამ ურთიერთობების მეშვეობით ინდივიდუალიზებულ სხეულებში აღწევს. ბენტამი თეორიაში საზოგადოებრივი სხეულის და მისი გამსჭვალავი ძალაუფლების ურთიერთობების ანალიზის ახალ წესს განსაზღვრავს. პრაქტიკაში კი იგი სხეულებისა და ძალების მორჩილების პროცედურას განსაზღვრავს, რომელმაც ძალაუფლების სარგებლიანობა ისე უნდა გააფართოოს, რომ ხელმწიფის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს. პანოპტიზმი ახალი „პოლიტიკური ანატომიის“ ზოგადი პრინციპია, რომლის ობიექტი და მიზანი არა უზენაესი ხელისუფლების დამოკიდებულებები, არამედ დისციპლინის დამოკიდებულებებია.

ცნობილი გამჭვირვალე მრგვალი უჯრედი მაღალი ცენტრალური კოშკით, ყოვლადძლიერი და მცოდნე, ბენტამის თვალსაზრისით, სრულყოფილი დისციპლინარული ინსტიტუტის სახე იყო. მაგრამ მას აგრეთვე სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება დისციპლინის „გაშლა“ და საზოგადოების მთელ სხეულზე ფართოდ გაშლილი მრავალსახოვანი და პოლივალენტური (მრავალმნიშვნელოვანი) სახით მოქმედების საშუალების მიცემა. ეს დისციპლინები, რომელიც შეიქმნა კლასიკურ საუკუნეში, განსაკუთრებულ, შედარებით ჩაკეტილ ადგილებში (ყაზარმებში, კოლეჯებში, მსხვილ სახელოსნოებში) და მაშინ მხოლოდ შავი ჭირით მოცული ქალაქის სივრცისა და დროის მასშტაბით შეზღუდული და დროებითი გამოყენებისთვის იყო გამიზნული, ბენტამი ოცნებობდა ყველგან არსებულ, ურყევ, მთელი საზოგადოების გამსჭვალავ მოწყობილობა-წყობათა ქსელად გადაექცია ისე, რომ არც სივრცითი თეთრი ლაქები და არც დროის რაიმე მონაკვეთები გამორჩენო-

და. პანოპტიკური მოწყობილობა/წყობა ამ განზოგადებისათვის ფორმულას წარმოადგენს. იგი, ელემენტარული და ადვილად გადასაცემი მექანიზმის დონეზე, სიგრძესა თუ სიგანეში ურთიერთგადამკვეთი დისციპლინარული მექანიზმებით დასერილი საზოგადოების საბაზისო, ძირეული ფუნქციონირების პროგრამას გვაძლევს.

* * *

ამგვარად, დისციპლინის ორი სახე. ერთ ბოლოში დისციპლინა – ბლოკადა, ჩაკეტილი ინსტიტუტი, საზოგადოების კუთხეებში განლაგებული და ისეთი „უარყოფითი“ ფუნქციების შესრულებაზე მიმართული, როგორებიცაა ავადმყოფობის გაუვრცელებლობა/ბლოკირება, მიმოსვლის შეზღუდვა, დროის შეჩერება. მეორე ბოლოში, პანოპტიკურ სქემაში კი – დისციპლინა-მექანიზმი: ფუნქციონალური მოწყობილობა, რომელიც მოწოდებულია, გააუმჯობესოს ხელისუფლების აღსრულება – ადვილი, სწრაფი და უფრო ეფექტური გახადოს; ფაქიზი იძულებების გეგმა მომავალი საზოგადოებისათვის. ერთი პროექტიდან მეორეზე მოძრაობა, ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში დისციპლინის სქემიდან საყოველთაო ზედამხედველობის სქემამდე მოძრაობა ისტორიულ გარდაქმნებს ემყარება: მთელი XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში დისციპლინის მექანიზმების თანდათანობითი გავრცელება, მათ მიერ მთელი საზოგადოებრივი სხეულის მოცვა და იმის წარმოქმნა, რაც, ზოგადად რომ ვთქვათ, შეიძლება დისციპლინარულ საზოგადოებად იწოდოს.

დისციპლინის საყოველთაო გავრცელება – რასაც ძალაუფლების ბენტამური ფიზიკა ამტკიცებს – კლასიკური საუკუნის განმავლობაში მოხდა. დისციპლინარულ დაწესებულება-დანაწესთა რაოდენობრივი ზრდა, რომელთა ქსელი სულ უფრო დიდ ფართობს ფარავს, ხოლო მთავარი, სულ უფრო ნაკლებ მეორეხარისხოვან ადგილებს იკავებს, ამას მოწმობს ის, რაც კუნძული, რაღაც პრივილეგირებული ადგილი, გარემოებებით ნაკარნახევი ზომა ან მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული მოდელი იყო, ახლა უკვე ზოგადი ფორმულა გახდა.

„„„მაგრამ, დისციპლინარული ინსტიტუტების გავრცელება, უდავოდ, სხვა უფრო ღრმა პროცესთა მხოლოდ ყველაზე ხილული ასპექტი იყო.

დისციპლინათა ფუნქციონალური ინვერსია

დასაწყისში დისციპლინებს ძირითადად საშიშროებანი უნდა გაენეიტრალებინათ, გამოევლინათ მოსახლეობის უვარგისი და შფოთისთავი ჯგუფები და თავიდან აეცილებინათ ის სიძნელეები თუ უხერხულობანი, რომელსაც ძალიან მრავალრიცხოვანი თავყრილობები და შეკრებები წარმოქმნიდნენ. ახლა კი მათ დადებითი როლი უნდა ითამაშონ – ინდივიდთა შესაძლო სარგებლიანობა უნდა გააფართოონ. სამხედრო დისციპლინა უკვე არის არა მარადიორობის, დეზერტირობის ან ჯარების დაუმორჩილებლობის თავიდან აცილების საშუალება, არამედ ბაზისური ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს არმიის არა, როგორც შემთხვევითი დაჯგუფების არსებობას, არამედ, როგორც ერთობისა, რომლის ძალაც სწორედ თავად ამ ერთიანობის წყალობით იზრდება; დისციპლინა ამაღლებს თითოეული ჯარისკაცის სიმარდეს და მოხერხებულობას, კოორდინაციას უწევს ჯარისკაცთა უნარებს, აჩქარებს მოძრაობას, აფართოებს შეტევის ფრონტებს ისე, რომ მისი ძალების არსებობას არ ამცირებს, თავდაცვის უნარიანობას ამაღლებს და ა.შ. ასევე, საფაბრიკო დისციპლინა, მართალია, წესდებათა მიმართ პატივისცემის განმტკიცების, მეპატრონეთა და ხელოსნების ხელისუფლების მორჩილების იარაღად კი რჩება, მაგრამ ქურდობასა და უთანხმოებებს თავიდან იცილებს; უნარებს, სისწრაფეს და ნაყოფიერებას აძლიერებს და, მაშასადამე, ზრდის მოგებას; ქცევაზე მორალურ ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ მოქმედე-

ბებს სულ უფრო და უფრო შედეგების მიღწევაზე წარმართავს, ტანს/სხეულს – მექანიზმებს, ხოლო ძალებს – ეკონომიას აჩვევს/ ასწავლის. ასევეა სასკოლო დისციპლინაც.

"""დისციპლინები სულ უფრო და უფრო გამოსადეგ ინდივიდთა მომზადების ტექნიკებად იქცევიან. აქედან გამომდინარეობს მათი საზოგადოების მისადგომებთან არსებული მარგინალური პოზიციებიდან და მოკვეთის, დატუსაღების, დაპატიმრების ფორმებისაგან გამოყოფა; მათ მიერ რელიგიურ წესებთან და აკრძალვებთან ნათესაობის თანდათანობითი დაკარგვა; აგრეთვე, საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან, ცენტრალურ და პროდუქციულ ნაწილებში მათი განმტკიცება და ფესვების გადგმა. ისინი წარმოების, ცოდნის გადაცემის, შრომითი უნარ-ჩვევების გავრცელების, სამხედრო აპარატის ზოგიერთ არსებით მნიშვნელოვან ფუნქციებს უერთდებიან. აქედან კი ორი ტენდენცია მივიღეთ, რომელიც მთელი XVIII ს-ის მანძილზე ვითარდება: დისციპლინარულ ინსტიტუტთა რაოდენობის ზრდისა და არსებულ აპარატთა დისციპლინირების ტენდენცია.

1. დისციპლინარულ მექანიზმთა „ნაყარი", „ყრა", მაშინ როდესაც, ერთი მხრივ, დისციპლინარული დაწესებულება მრავლდება, მათი მექანიზმები ინსტიტუციური საზღვრების გადაკვეთის, ჩაკეტილი სიმაგრეებიდან გამოსვლის და „თავისუფალ" მდგომარეობაში მოძრაობისადმი ტენდენციას ავლენენ. მთლიანი, კომპაქტური დისციპლინები კონტროლის მოქნილ მეთოდებად ქუცმაცდებიან, რომელთა გადაცემა და ადაპტირება შესაძლებელია. ზოგჯერ, ჩაკეტილი აპარატები თავიანთ შინაგან და სპეციფიკურ ფუნქციებს გარეშე ზედამხედველის როლს უმატებენ, რითაც თავისი თავის გარშემო, ძირითადად, მეორეხარისხოვან შემოწმებათა მთელ ველს ავითარებენ. მაგალითად, ქრისტიანული სკოლა არა მხოლოდ აყალიბებს მორჩილ ბავშვებს, არამედ იგი მშობლებზე ზედამხედველობასაც, მათი ცხოვრების წესზე, შემოსავლების წყაროზე, ღვთისმოსაობაზე ინფორმაციების მიღებას შესაძლოს ხდის. სკოლა ქმნის პატარა სოციალურ ობსერვატორიებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, თვით უფროსთა ცხოვრებაშიც კი შევაღწიოთ, მათზე რეგულარული კონტროლი განვახორციელოთ და ა.შ.

"""დისციპლინარულ პროცედურათა გავრცელება არა მხოლოდ ჩაკეტილ დაწესებულებათა ფორმით, არამედ მთელ საზოგადოებაში მოფენილი კონტროლის კერების სახით ხდება. რელიგიური ჯგუფები და საქველმოქმედო ორგანიზაციები მოსახლეობის „დისციპლინირების" ამ ფუნქციას დიდხანს ასრულებდნენ. დაწყებული კონტრრეფორმაციიდან და ივლისის მონარქიის ფილანთროპიამდე ამგვარი ინიციატივები სულ უფრო მრავლდება. მათი მიზნები რელიგიური (მოქცევა და დარიგება), ეკონომიკური (დახმარება და შრომითი მოწყობა) ან პოლიტიკური (უკმაყოფილებებთან და მღელვარებებთან ბრძოლა) იყო.„„„„„"""""

2. დისციპლინარულ მექანიზმებზე სახელმწიფოებრივი კონტროლი.

ინგლისში საზოგადოებრივ დისციპლინას თვალყურს ცალკეული რელიგიური ჯგუფები ადევნებდნენ. საფრანგეთში ამ როლს, ნაწილობრივ, სამრევლო ორგანიზაციები და საქველმოქმედო ასოციაციები ასრულებდნენ, მისი სხვა (უეჭველად, ყველაზე მთავარი) ნაწილი კი ძალიან სწრაფად პოლიციის აპარატის ხელში გადავიდა.

ცენტრალიზებული პოლიციის ორგანიზაცია დიდხანს(თანამედროვეთა მიერაც კი), როგორც მეფის აბსოლუტური ძალაუფლების ყველაზე პირდაპირი გამოხატულება ფასდებოდა.

მართალია, პოლიცია, როგორც ინსტიტუტი, ნამდვილად წარმოადგენდა სახელმწიფო აპარატს და უპირობოდ, უშუალოდ იყო დაკავშირებული პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრს, და მაინც, პოლიციის მიერ აღსრულებული ძალაუფლების ტიპი, მისი მოქმედების მექანიზმები და მისი მიყენების წერტილები სპეციფიკურია. ეს აპარატი მთელს საზო-

გადოებრივ სხეულზე უნდა იყოს მოფენილი და არა მხოლოდ მის ნაპირა საზღვრებში, რომლებსაც იგი აერთიანებს, ყველაზე წვრილმან დეტალებშიც კი, რომლებზე პასუხისმგებლობასაც იგი თავის თავზე იღებს. პოლიტიკური ხელისუფლება უნდა გავრცელდეს „ყველაფერზე", მაგრამ ეს „ყველაფერი" არის არა მთელი სახელმწიფო ან სამეფო, როგორც მონარქის ხილული და უხილავი სხეული, არამედ ხდომილებათა, მოქმედებათა, ქცევათა, შეხედულებათა მტვერი – „ყველაფერი რაც ხდება". პოლიციური ინტერესების საგანი ის „ნივთებია, რომლებიც ყოველ წამს შეიძლება მოხდნენ", ის „წვრილმანებია", რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა დიდ განაწესში ეკატერინე მეორე. პოლიცია ახორციელებს უსაზღვრო კონტროლს, რომელიც იდეაში უნდა მისწვდეს უბრალო მარცვალსაც კი, საზოგადოების სხეულში მიმდინარე ყველაზე უმნიშვნელო წარმავალ დეტალებსაც კი. „მათი აღქმა მხოლოდ საკმარისად დეტალური განხილვისასაა შესაძლებელი": ეს პოლიტიკური ძალაუფლების „უსასრულოდ მცირეა".

და იმისათვის, რათა ამ ძალაუფლებამ იმოქმედოს, მუდმივი ამომწურავი, ყველგან მსუფევი ზედამხედველობის ინსტრუმენტი უნდა მიიღოს, რომელსაც ძალუძს, ყველაფერი ხილული გახადოს, თვითონ კი უხილავი დარჩეს.

"""მოკლედ, რომ ვთქვათ, XVIII ს-ში პოლიცია იუსტიციის დამხმარის თავის როლს დისციპლინარულ ფუნქციასაც უმატებს. ეს რთული ფუნქციაა: იგი მონარქის აბსოლუტურ ძალაუფლებას საზოგადოებაში გაფანტული ხელისუფლების დაბალ დონესთან აერთიანებს; იგი მრავალგვარ და მრავალრიცხოვან ჩაკეტილ დისციპლინირებულ ინსტიტუტებს (ფაბრიკებს, სკოლებს) შორის შუალედურ ქსელებს აბამს, რომლებიც მოქმედებენ იქ, სადაც ამ ინსტიტუტებს მოქმედება არ ძალუძთ და დისციპლინა არადისციპლინარულ სივრცეებში შეაქვთ. მაგრამ იგი გარღვევებს ავსებს, მათ ერთმანეთან აკავშირებს და აერთიანებს, თავისი შეიარაღებული ძალით იცავს: შუალედური დისციპლინა და მეტადისციპლინა. „ჭკვიანი პოლიციის მეშვეობით სუვერენი ხალხს წესრიგს და მორჩილებას აჩვევს".

XVIII ს-ში პოლიციური აპარატის ორგანიზაცია დისციპლინას ყველგან გავრცელების სანქციას აძლევს, რომლებიც თავად სახელმწიფოსთან ერთად გავრცობილნი ხდებიან. გასაგებია, თუ რატომ გაუწია პოლიციამ ასე სუსტი წინააღმდეგობა სასამართლო ხელისუფლების გარდაქმნას და გასაგებია ისიც, თუ რატომ არ წყვეტს იგი, თითქმის დღემდე, სასამართლო ძალაუფლებაზე თავისი პრეროგატივების თავზე მოხვევას. უდავოა, იმიტომ, რომ სასამართლო საერო ხელია. აგრეთვე იმიტომაც, რომ იგი უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე სასამართლო ინსტიტუტი, დისციპლინარული ტიპის საზოგადოებასთან ერთიან მთელს შეადგენს. და მაინც, არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ დისციპლინარული ფუნქციები კონფისკებულია და ერთხელ და სამუდამოდ ჩაყლაპულია სახელმწიფოს მიერ.

არ შეიძლება „დისციპლინა" ინსტიტუტთან ან აპარატთან გავაიგივოთ, ის ძალაუფლების ტიპია, მისი აღსრულების მოდალობაა, რომელიც ინსტრუმენტთა, მეთოდთა, მიყენების გამოყენების დონეების და სამიზნეთა მთელ ერთობლიობას მოიცავს. იგი არის ძალაუფლების „ფიზიკა" ანუ „ანატომია", რაღაცა ტექნოლოგია. და მის ცხოვრებაში გატარებაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე შეიძლება აიღოს ან „სპეციალიზებულმა" დაწესებულებებმა (ციხეებმა ან გამასწორებელმა სახლებმას XIX-ში), ან დაწესებულებებმა, რომლებიც დისციპლინას კონკრეტული მიზნის (აღმზდელობითი სახლები, სავაადმყოფოები) მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტის სახით იყენებენ, ან უკვე არსებულმა ინსტანციებმა, რომლებიც მას, როგორც ძალაუფლების თავისი შინაგანი მექანიზმების გაძლიერების ან რეორგანიზაციის წესს იყენებენ (როდისმე მე ვაჩვენებ, თუ როგორ, დაწყებული კლასიკური საუკუნიდან, გარეგანი სქემები – ჯერ სკოლისა და სამხედროს, შემდეგ სამედიცინოს, ფსიქიატრიულისა და ფსიქოლოგიის სქემები შეისრუტეს და „დისციპლინირებულნი" გახ-

დნენ შიდა ოჯახური ურთიერთობები, ძირითადად, მშობლები – შვილები ბირთვში; ოჯახი ნორმალურისა და არანორმალურის შესახებ დისციპლინარული საკითხის წარმოშობისათვის პრივილიგირებული ადგილია), ან აპარატები, რომლებსაც დისციპლინა თავისი შინაგანი ფუნქციონირების პრინციპის რანგში (მმართველობის აპარატი დაწყებული ნაპოლეონის ეპოქიდან) აჰყავთ, ან, ბოლოს, სახელმწიფო აპარატი, რომლის მთავარ თუ განსაკუთრებულ ფუნქციას მთელ საზოგადოებაზე დისციპლინარული ძალაუფლების (პოლიცია) განმტკიცება არ წარმოადგენს.

მაშასადამე, მთლიანობაში შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მოძრაობაში დისციპლინარული საზოგადოების წარმოქმნის – ჩამოყალიბების შესახებ, რომელმაც თავის თავში ჩაკეტილი დისციპლინები, თავისებური გვარის სოციალური „კარანტინი“ და „პანოპტიზმის“ უსასრულოდ გავრცელებადი მექანიზმი გააერთიანა. არა იმიტომ, რომ ძალაუფლების დისციპლინარულმა მოდალობამ ყველა სხვა შეცვალა, არამედ იმიტომ, რომ მან ეს სხვები გამოკვება, ზოგჯერ შეარყევდა მათ, მაგრამ გამაშუალებელ რგოლად ემსახურებოდა იმით, რომ მათ ერთმანეთთან აკავშირებდა, აგრძელებდა, მთავარი კი ისაა, რომ საშუალება მისცა, ძალაუფლების მოქმედება უშორეს და უწვრილმანეს ელემენტებამდე დაეყვანა. დისციპლინა ძალაუფლებრივი ურთიერთობის გავრცელებას უსასრულოდ მცირე სიდიდეთა დონემდე უზრუნველყოფს.

ბენტამის შემდეგ ნ. იულიუსმა ამ საზოგადოებას დაბადების მოწმობა მისცა. იულიუსმა შენიშნა, რომ პანოპტიზმი ბევრად მეტია, ვიდრე არქიტექტურული გამომგონებლობის ნაყოფი: „ადამიანური ცნობიერების ისტორიაში“ ეს ხდომილება დიდი მოვლენაა. ერთი შეხედვით, იგი, უბრალოდ, ტექნიკური პრობლემის გადაჭრას წარმოადგენს, მაგრამ, მისი წყალობით, საზოგადოების ახალი ტიპი წარმოიქმნება. ძველი დრო სანახაობათა ცივილიზაცია იყო – „ხელმისაწვდომი გაეხადათ მრავალი ადამიანისათვის მცირე რაოდენობის ობიექტებზე დაკვირვება“. ასეთ პრობლემას ტაძრების, თეატრებისა და ცირკების არქიტექტურა წყვეტდა. სანახაობასთან ერთად გაბატონებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრება, დღესასწაულები, გრძნობადი სიახლოვე. ამ რიტუალებიდან, სადაც დუღდა და ჩქეფდა სისხლი, საზოგადოება იღებდა ახალ ძალებს და თვალის დახამხამებაში წამით ერთ უზარმაზარ სხეულს ქმნიდა. ახალი დრო საპირისპირო პრობლემას სვამს: „როგორ ვუზრუნველვყოთ ადამიანთა მცირე რაოდენობისათვის, თვით ერთი ადამიანისათვისაც კი, დიდი სიმრავლის წამიერი მიმოხილვაა – დათვალიერება“. საზოგადოებაში, რომლის ძირითადი ელემენტები უკვე არა თემი და არა საზოგადოებრივი ცხოვრებაა, არამედ ცალკეული ინდივიდები, ერთი მხრივ, და სახელმწიფო – მეორე მხრივ, ურთიერთობები მხოლოდ ისეთი ფორმით შეიძლება დადგინდეს, რომელიც სანახაობის დიამეტრალურად საპირისპიროა: „თანამედროვეობა, სახელმწიფოს მუდმივად მზარდი გავლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დეტალსა და ურთიერთობებში მისი სულ უფრო ღრმა ჩარევა მოწოდებულია, გააძლიეროს და სრულყოს მისი გარანტიები, იყენებს რა ამ დიდი მიზნის მისაღწევად ნაგებობათა მშენებლობასა და განაწილებას, რომლებიც ადამიანთა დიდ სიმრავლეზე ერთდროული ზედამხედველობისათვის არიან მოწოდებულნი“. იულიუსი დასრულებულ ისტორიულ პროცესად თვლიდა იმას, რაც ბენტამმა, როგორც ტექნიკური პროგრამა აღწერა. ჩვენი საზოგადოება – ზედამხედველობის და არა სანახაობის საზოგადოებაა. ზედამხედველობის ზედაპირული საფარველით იგი სხეულთა სიღრმეში ინერგება; გაცვლის დიდი აბსტრაქციის უკან სასარგებლო ძალთა დაუღალავი, კონკრეტული წვრთნა გრძელდება; კავშირის არხები ცოდნის დაგროვებისა და ცენტრალიზაციის საყრდენებია. ნიშანთა თამაში ხელისუფლების „ღუზის ჩასაშვებ სადგომებს“ განსაზღვრავს; არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი საზოგადოება ინდივიდის მშვენიერ მთლიანობას ამახინჯებს, თრგუ-

ნავს, ამპუტირებას უკეთებს – უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ინდივიდი მასში ძალთა და სხეულთა განსაკუთრებული ტექნიკის დახმარებით დიდი მზრუნველობით იწარმოება. ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვართ ბერძნები, ვიდრე ჩვენ ამას ვფიქრობთ, გვგონია. ჩვენ ვიმყოფებით არა ამფითეატრის სკამზე და ან მის სცენაზე, არამედ პანოპტიკურ მანქანაში, ჩვენ გამოჭერილი ვართ ძალაუფლების გამოვლინებების მიერ, რომლებიც ჩვენამდე თავად ჩვენ დაგვყავს, რამდენადაც ამ მანქანის ბორბლები ვართ. შესაძლოა, ისტორიული მითოლოგიისათვის ნაპოლეონის ფიგურის მნიშვნელობა აიხსნება იმით, რომ იგი სუვერენის ძალაუფლების მონარქიული, რიტუალური აღსრულების და განუსაზღვრელი დისციპლინის იერარქიული, მუდმივი აღსრულების შესაყარზე დგას. იგი მაღლდება ყველაზე, ყველაფერს მოიცავს ერთი თვალის გადავლებით, რომლისგანაც შეუმჩნეველი არ რჩება არცერთი უწვრილმანესი დეტალიც კი: „თქვენ ხედავთ, რომ იმპერიის არც ერთი ნაწილი არ არის უმეთვალყურეოდ, ზედამხედველობის გარეშე, რომ არც ერთი დანაშაული და არავითარი გადაცდომა არ რჩება დაუსჯელი, მოიცავს მთელ ამ უზარმაზარ მანქანას და არც ერთ უმნიშვნელო დეტალსაც კი მხედველობიდან არ უშვებს". თავისი სრული განვითარებისა და გაფურჩქვნის მომენტში დისციპლინარული საზოგადოება, იმპერატორის წყალობით, ხელისუფლების ძველ ასპექტს – სანახაობას ჯერ – კიდევ ინარჩუნებს. როგორც მონარქი, ერთდროულად ძველი გვირგვინის უზურპატორ-მიმტაცებელი და ახალი სახელმწიფოს მაშენებელიც, იგი გრძელ პროცესს ერთიან სიმბოლურად ზღვრულ სახეში, რომელშიც სამეფო ხელისუფლების ბრწყინვალება, მისი აუცილებელი სანახაობითი გამოვლინებები, ზედამხედველობის ყოველდღიურ აღსრულებაში ერთიმეორის მიყოლებით ქრება, პანოპტიზმში აერთიანებს, სადაც ურთიერთგამკვეთ ხედვათა სიფხიზლემ ჩქარა როგორც არწივი, ისე მზეც ზედმეტი გახადა".

დისციპლინარული საზოგადოების ჩამოყალიბება უფრო ფართო ისტორიულ პროცესებთან – ეკონომიკურ, იურიდიულ-პოლიტიკურ, დაბოლოს, მეცნიერულ პროცესებთანაა დაკავშირებული, რომელთა ნაწილსაც იგი წარმოადგენს.

1. საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დისციპლინები – ესაა ტექნიკები, რომლებიც ადამიანურ სიმრავლეთა მოწესრიგებას უზრუნველყოფენ. მართალია, ამაში არაფერია განსაკუთრებული და რაიმე დამახასიათებელიც კი: ხელისუფლების ნებისმიერი, ყოველი სისტემა იმავე პრობლემას ეჯახება. მაგრამ, დისციპლინის თავისებურება და განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი ცდილობს, შემოიტანოს ძალაუფლების ტაქტიკა, რომელიც სამ კრიტერიუმს პასუხობს: ხელისუფლების აღსრულება უნდა იყოს მაქსიმალურად იაფი (ეკონომიკურად – მცირე გასავლების წყალობით და პოლიტიკურად – მისი თავშეკავებულობის, სუსტი გარეგანი გამოვლინების ძალით, შედარებით უხილვადობათა და მისდამი უმნიშვნელო წინააღმდეგობებით); ამ სოციალური ხელისუფლების მოქმედება მაქსიმალურად ძლიერი უნდა იყოს და, ყოველგვარი ჩავარდნებისა და ხარვეზების გარეშე, რაც შეიძლება შორს უნდა ვრცელდებოდეს. დაბოლოს, ძლიერების „ეკონომიკური" ზრდა აპარატთა (საგანმანათლებლო, სამხედრო, სამრეწველო, სამედიცინო) მწარმოებლურობა/ნაყოფიერებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლის შიგნითაც იგი სრულდება-აღესრულება; მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია სოციალური პროცესის ყველა ელემენტის როგორც მორჩილება, ისე სარგებლიანობა ერთდროულად გავზარდოთ. დისციპლინათა ეს სამმაგი მიზანი კარგად ცნობილ ისტორიულ სიტუაციას პასუხობს. ერთი მხრივ, ძლიერი დემოგრაფიული ნახტომი XVIII ს-ში; მოსახლეობის მზარდი გადაადგილება, მოძრაობანი (დისციპლინათა ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსახლეობის ადგილზე დამაგრება; იგი ნომადიზმის საწინააღმდეგო საშუალებაა); გაკონტროლებად და მანიპულირებად ჯგუფთა რიცხოვნობის ცვალებადობა-შეცვლა (XVII საუკუნის დასაწყისიდან რევო-

ლუციის დაწყების წინ მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა, როგორც, უდავოა, გაიზარდა პაციენტთა რაოდენობაც საავადმყოფოებში; XVIII ს-ის დასასრულს, მშვიდობიან დროში, არმია 200 000-ზე მეტ ადამიანს ითვლიდა). არსებული სიტუაციის მეორე მხარე იყო საწარმოო – მწარმოებლური აპარატის ზრდა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება-იზრდება და რთულდება; იგი აგრეთვე სულ უფრო ძვირდება, ამიტომაც მისი რენტაბელურობის გაზრდის პრობლემაც წარმოიქმნება. დისციპლინარულ მეთოდთა განვითარება ამ ორ პროცესს ანუ, უფრო სწორად თუ ვიტყვით, მათი თანაფარდობის გასწორების წარმოქმნილ მოთხოვნილებას შეესატყვისება. არც ფეოდალური ხელისუფლების ნარჩენ ფორმებს, არც მმართველი მონარქიის სტრუქტურას, არც ზედამხედველობის ლოკალურ მექანიზმებს, არც ყველა მათი გადახლართვის შედეგად წარმოქმნილ არამყარ მასას შეეძლო ამ როლის შესრულება: მათ ხელს უშლიდა არათანაბარი გავრცელება, ხშირი კონფლიქტები, რომელთაც მათი ქმედებანი ბადებდნენ და, რაც მთავარია – მათში აღსრულებული ხელისუფლების „სიძვირე“.

იგი ძვირი იყო რამდენიმე აზრით. იმიტომ, რომ, პირდაპირი აზრით, ძვირი უჯდებოდა სახელმწიფო ხაზინას. იმიტომ, რომ მექრთამეობისა და ფასიანი თანამდებობების სისტემა ირიბად, მაგრამ ძალიან ძლიერ აწვებოდა მოსახლეობას, ახრჩობდა მოსახლეობას. იმიტომ, რომ წინააღმდეგობა, რომელსაც ხელისუფლებას უწევდნენ, აიძულებდა ხელისუფლებას, მისი განუწყვეტელი გამაგრებების ორომტრიალში ჩათრეულიყო. იმიტომ, რომ ხელისუფლება მოქმედებდა განსაკუთრებით მხოლოდ გადასახადების შეწერითა და გადახდით (ფულის ან შრომის, საბატონო ბეგარისა და ღალის სახით ან ადამიანების ჯარისკაცად განწესებით და სხვ.). დისციპლინის განვითარება კი სულ სხვა ეკონომიაზე დამყარებული ძალაუფლების ელემენტარული ტექნიკების წარმოშობას მოასწავებს: ძალაუფლების მექანიზმებისა, რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ „ამოიღონ“, ორგანულად შედიან აპარატთა პროდუქციულ ეფექტურობაში, იჭრებიან ამ ეფექტურობის ზრდაში და იმის გამოყენებაში, რასაც იგი აწარმოებს. ხელისუფლების ეკონომიის მმართველ ძველ „ამოღება--ძალადობის“ პრინციპს დისციპლინები „ლმობიერება – წარმოება-მოგება“ პრინციპით ცვლიან. ეს ტექნიკებია, რომლებიც ადამიანური სიმრავლეებისა და წარმოების აპარატთა რიცხვის ზრდის ერთმანეთთან შეთავსების საშუალებას იძლევიან (არა მხოლოდ „წარმოებისა“ მყარი აზრით, არამედ სკოლებში – ცოდნისა და უნარ-ჩვევების, საავადმყოფოებში – ჯანმრთელობის, არმიაში დამანგრეველი ძალის წარმოებაც“).

მათ ურთიერთშეთანხმება-შეგუებაზე მუშაობისას დისციპლინა მოწოდებულია, პრობლემების რიგი გადაჭრას, რომელთა გადაჭრაც ხელისუფლების ადრინდელი ეკონომიის საშუალებებით შეუძლებელია. მას შეუძლია მასათა დამახასიათებელი გამოვლინებების „უსარგებლობა“ შეამციროს: შეზღუდოს ის, რაც სიმრავლეს გაცილებით ნაკლებად მართვადად აქცევს, ვიდრე ერთიანობა; ის, რაც სიმრავლის ელემენტებიდან თითოეულის და მათი ჯამის გამოყენებას წინ ეღობება; ყველაფერ იმას, რაც მასებით უზრუნველყოფილ უპირატესობას აუქმებს. აი, რატომ აფიქსირებს დისციპლინა, არეგულირებს ან აკავებს გადაადგილებებს, აღმოფხვრის შერევას, ფანტავს ინდივიდთა კომპაქტურ ჯგუფებს, რომელთა მოქმედებაც უმართავია, არანინასწარმეტყველებადია, გათვლად განაწილებებს უზრუნველყოფს. დისციპლინამ აგრეთვე უნდა ალაგმოს ყველა ის ძალა, რომელიც ორგანიზებული სიმრავლის თავად სტრუქტურისაგან წარმოიშობა, ამ ძალთა მიერ წარმოქმნილი საპირისპირო ქმედების გამოვლინებები და ხელისუფლების, რომელიც სიმრავლეზე გაბატონებას ცდილობს, წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი: მღელვარებები, ამბოხებები, სტიქიური ორგანიზაციები, კოალიციები – ყველაფერი, რასაც ჰორიზონტალური კავშირები ადგენს – გაანეიტრალოს. აქედან გასაგებია, თუ დისციპლინები გადატიხვრებისა და

ვერტიკალთა გატარების მეთოდებს რატომ იყენებენ, ერთი დონის სხვადასხვა ელემენტებს შორის მაქსიმალურად მყარ ტიხრებს რატომ სვამენ, მყარ იერარქიულ ქსელებს რატომ ხლართავენ, მოკლედ რომ ვთქვათ, შინაგან მტრულ ძალას უწყვეტი მაინდივიდუალიზებელი პირამიდის აგების მრავალ მეთოდს რატომ უპირისპირებენ. დისციპლინებმა, აგრეთვე, სიმრავლის ყოველი ელემენტის ერთეული სარგებლიანობა უნდა გააძლიერონ, თანაც ყველაზე სწრაფი და იაფი ხერხებითა და წესებით ისე, რომ ამისათვის თავად სიმრავლეს იყენებდნენ. აქედან, სხეულებისაგან დროისა და ძალების მაქსიმუმის ამოსაღებად იმ ზოგადი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ცნობილია, როგორც დღის განაწესი, კოლექტიური წვრთნა, ვარჯიში, გლობალური და მასთან ერთად დეტალური ზედამხედველობა; გარდა ამისა, დისციპლინები აძლიერებენ სიმრავლეთა სარგებლიანობის ეფექტს, აღწევენ რა იმას, რომ მისი შემადგენელი თითოეული ელემენტი თავისი ელემენტების უბრალო ჯამთან შედარებით უფრო სასარგებლო იყოს; სწორედ სიმრავლის სასარგებლო თვისებების გაზრდისათვის დისციპლინებს აპარატთა ან ამოცანათა მიმართ სხეულთა, ჟესტთა და რიტმთა განაწილებისა და ურთიერთშეთანხმება – შეწყობის ტაქტიკები, უნართა დიფერენცირებისა და ურთიერთკოორდინაციის ტაქტიკები შემოჰ ყავთ. დაბოლოს, დისციპლინებმა თამაშში ძალაუფლებრივი ურთიერთობები (არა სიმრავლეზე, არამედ თავად მის შუაგულში) რაც შეიძლება შეუმჩნეველი, მის სხვა ფუნქციებთან რაც შეიძლება საუკეთესოდ და ყველაზე იაფი წესით – სახით დაკავშირებული უნდა შეიყვანონ: ამ მიზანს სიმრავლესთან განწყვილებული-შერწყმული ხელისუფლების ანონიმური ინსტრუმენტები – იერარქიული ზედამხედველობა, უწყვეტი ჩაწერა და რეგისტრაცია, მუდმივი შეფასება და კლასიფიკაცია – პასუხობენ, რომლის სიმრავლეც მათ სისტემაში და ერთიანობაში მოჰყავთ. მოკლედ რომ ვთქვათ, დისციპლინები მოწოდებულნი არიან, შეცვალონ ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ იმათი ბრწყინვალებით ვლინდება, ვინც მას აღასრულებს, ძალაუფლებით, რომელიც ფარულად აობიექტივირებს მათ, ვისზეც იგი გამოიყენება, ვისაც იგი ესადაგება. დისციპლინამ უნდა ჩამოაყალიბოს ცოდნა ინდივიდების შესახებ და არა სუვერენი ხელისუფლების ნიშნები საჩვენებლად გამოფინოს. ერთი სიტყვით, დისციპლინა – ესაა წვრილმან-ტექნიკურ გამოგონებათა ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელისუფლების ხელისშემშლელ პირობათა შემცირებების გზით სიმრავლეთა სარგებლიანობა გავაფართოოთ, ხელისუფლებამ კი, რათა ისინი სასარგებლო რაიმედ აქციოს, უნდა გააკონტროლოს ისინი. სიმრავლე, იქნება ეს საამქრო, ერი, არმია ან სკოლა, დისციპლინის ზღურბლს მაშინ აღწევს, როდესაც მათი დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ კეთილსასურველი ხდება.

თუ დასავლეთის ეკონომიკური აღმასვლა ტექნიკიდან დაიწყო, რომელმაც კაპიტალის დაგროვება შესაძლებელი გახადა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანთა დაგროვების“ მართვის მეთოდებმა პოლიტიკურის იმ ძვირადღირებული და ძალადური ფორმებისაგან, განთავისუფლება მართლაც უზრუნველყვეს, რომლებიც ჩქარა გამოვიდნენ ხმარებიდან და მორჩილების ფაქიზი, გათვლადი ტექნოლოგიით შეიცვალნენ. არსებითად, ეს პროცესები – ადამიანთა მოგროვება/თავმოყრა და კაპიტალის დაგროვება – ერთმანეთისაგან განუყოფელია; ადამიანთა დაგროვების პრობლემის გადაწყვეტა საწარმოო აპარატის ზრდის გარეშე, რომელსაც მათი შენახვის და გამოყენების ძალა და უნარი ექნებოდა, შეუძლებელი გახდებოდა. პირიქით, ტექნიკა, რომელიც ადამიანთა კუმულატიურ სიმრავლეს სასარგებლოდ აქცევს, კაპიტალის დაგროვებას აჩქარებს. ზოგადსაერთო დონეზე წარმოებითი აპარატის ტექნოლოგიური ცვლილებები, შრომის დანაწილება და დისციპლინარული მეთოდების შემუშავება არანაკლებ მჭიდრო ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებულნი. ამ პროცესთაგან თითოეულმა შესაძლებელი და აუცილებელი გახადა, რომ მე-

ორე თითოეული მეორისათვის მოდელი ყოფილიყო. დისციპლინარულმა პირამიდამ ხელისუფლების პატარა უჯრედი შექმნა, სადაც ამოცანათა დავალებების დაყოფა, კოორდინაცია და კონტროლი იყო დაწესებული და ეფექტურნიც გახდნენ, ხოლო დროის, ჟესტების და სხეულებრივ ძალთა ანალიტიკურმა დაქუცმაცებამ კი მოგცა სამუშაო სქემა, რომლის დამორჩილებული ჯგუფებიდან წარმოებით მექანიზმებზე გადატანაც ადვილად იყო შესაძლებელი.

სამხედრო-საომარ მეთოდთა მრეწველობის ორგანიზაციაზე მასობრივი გადატანა შრომის დაყოფის ისეთი მოდელირების მაგალითია, რომელიც ხელისუფლების სქემებით მოცემულ ნიმუშზეა ორიენტირებული. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოების პროცესის ტექნიკური ანალიზი, მისი „მექანიკური“ დანაწევრება გადატანილ იქნა სამუშაო ძალაზე, რომელიც მოწოდებული იყო, ეს პროცესი უზრუნველეყო: გადატანის შედეგი ინდივიდუალურ ძალთა გამაფართოებელ და ერთ მთლიანად გამაერთიანებელ დისციპლინარულ მანქანათა შექმნა გახდა. შეიძლება ითქვას, რომ დისციპლინა – ესაა ერთიანი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც სხეული, როგორც „პოლიტიკური“ ძალა, ყველაზე მცირე დანახარჯებით მცირდება, როგორც სასარგებლო ძალა კი, მაქსიმალურად იზრდება. კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდამ დისციპლინარული ხელისუფლების სპეციფიკური მოდალობა დაბადა: მის ზოგად ფორმულებს, ძალთა და სხეულთა მორჩილების მეთოდებს, მოკლედ რომ ვთქვათ, „პოლიტიკურ ანატომიას“ ყველაზე განსხვავებულ პოლიტიკურ რეჟიმებში, აპარატებსა და ინსტიტუტებში შეუძლიათ იმუშაონ.

2. ხელისუფლების პანოპტიკური მოდალობა – განლაგებული ელემენტარულ, ტექნიკურ, წმინდა ფიზიკურ დონეზე – საზოგადოების დიდ იურიდიულ-პოლიტიკურ სტრუქტურებზე პირდაპირ არ არის დამოკიდებული და უშუალოდ მათ გაგრძელებას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგი აბსოლუტურად დამოუკიდებელი არ არის. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ პროცესი, რომელმაც XVIII ს-ში ბურჟუაზიულ კლასს პოლიტიკური ბატონობა მოუტანა, ნათელი, კოდიფიცირებული და ფორმალურად ეგალიტარული იურიდიული სტრუქტურის დამყარებით ინიღბებოდა, რომელიც პარლამენტური, წარმომადგენლობითი ტიპის რეჟიმის შექმნის წყალობით გახდა შესაძლებელი, მაგრამ დისციპლინარულ დანაწესთა განვითარება და გავრცელება ამ პროცესთა უკუ, ბნელ მხარედ იქცა. ზოგადი იურიდიული ფორმა, რომელიც სისტემას უფლებათა თანასწორობის გარანტიას აძლევდა, იმ წვრილმანი ყოველდღიური ფიზიკური მექანიზმებით, მიკროხელისუფლების იმ სისტემებით იყო დაცული, რომელიც არსებითად არა ეგალიტარული და ასიმეტრიული იყო და რომლებიც არის კიდეც დისციპლინები. და თუმცა ფორმალურად წარმომადგენილობითი მმართველობა უზრუნველყოფს, რომ ყველას (უშუალოდ ან გაშუალებულად) ნება უმაღლესი ხელისუფლების მთავარი ინსტანცია იყოს, მაინც საზოგადოების თვით საფუძვლებში ძალთა და სხეულთა მორჩილების გარანტიას სწორედ რომ დისციპლინები იძლევიან. რეალური, სხეულებრივი დისციპლინები ფორმალურ, იურიდიულ თავისუფლებათა ფუნდამენტს ქმნიან. საზოგადოებრივი ხელშეკრულება შეიძლება, როგორც სამართლისა და პოლიტიკური ხელისუფლების იდეალური საფუძველი განვიხილოთ. პანოპტიზმი იძულების ყველგან გავრცელებულ ტექნიკას წარმოადგენს. ის საზოგადოების იურიდიულ სტრუქტურათა სიღრმეში მუშაობას აგრძელებს, რითაც ხელისუფლების მოქმედ მექანიზმებს აიძულებს, მათ მიერ მოპოვებული ფორმალური სტრუქტურის საპირისპიროდ იფუნქციონირონ. თავისუფლების აღმომჩენმა განმანათლებლობის ეპოქამ დისციპლინაც გამოიგონა. როგორც ჩანს, დისციპლინები არაა უფრო მეტი, ვიდრე ინფრასამართალი. კანონით დადგენილი ზოგადი ფორმები მათ ინდივიდუალურ არსებობათა უსასრულოდ მცირე დონეზე დაჰყავთ; ანდა გვევლინებიან, როგორც დასწავლის მეთოდები, რომლებიც სა-

შუალებას აძლევს ინდივიდებს, ამ ზოგად მოთხოვნებთან შესატყვისობაში იყვნენ. ისინი იმავე ტიპის სამართალს აგრძელებენ, მაგრამ სხვა მასშტაბით, უფრო დეტალურ და მოსათმენ სახეს აძლევენ მას. მაგრამ დისციპლინები უფრო, როგორც კონტრსამართლის სახეობა უნდა განვიხილოთ. ისინი სავსებით განსაზღვრულ როლს ასრულებენ – შემოჰყავთ გადაულახავი ასიმეტრიები და გამორიცხავენ თანაზიარობას – უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ დისციპლინა ინდივიდებს შორის „კერძო" კავშირს, იძულების ურთიერთობებს ქმნის, რომლებიც სახელშეკრულებო მოვალეობისაგან სრულებით განსხვავებულია. დისციპლინის მიღება შეიძლება ხელშეკრულებით დაწესდეს; წესი, რომლითაც ის ინერგება, მექანიზმები, როგორებიც მას მოძრაობაში მოჰყავს, ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორეს შეუქცევადი დაქვემდებარება, „ზეხელისუფლება", რომელიც მუდამ ერთ მხარეზეა თავმოყრილი, ზოგად წესებთან მიმართებაში სხვადასხვა პარტნიორთა დაკავებული ადგილის უთანასწორობა – ყველაფერი ეს დისციპლინარულ კავშირს სახელშეკრულებო კავშირისაგან განასხვავებს და საშუალებას იძლევა, სისტემურად დავამახინჯოთ ეს უკანასკნელი თვით იმ მომენტიდან, როდესაც მისი შინაარსი დისციპლინარული მექანიზმი ხდება. მაგალითად, ცნობილია, რომ მრავალი ნამდვილი პროცედურა შრომითი ხელშეკრულების იურიდიულ ფუნქციას აქარწყლებს: ამქრული დისციპლინა არაა ყველაზე უმნიშვნელო რამ. გარდა ამისა, თუ იურიდიული სისტემები სამართლის სუბიექტებს კვალიფიკაციებს საყოველთაო ნორმების შესატყვისად აძლევენ, მაშინ დისციპლინები ახასიათებენ, კლასიფიკაციებს აძლევენ, ასპეციალიზებენ; ისინი ანაწილებენ რომელიღაც სკალის მიხედვით, ორიენტირდებიან რომელიღაცა ნორმაზე, ადგენენ ინდივიდთა იერარქიას და, თუ საჭირო გახდება, მათ დისკვალიფიკაციას და გარიცხვას მიმართავენ. როგორდაც არ უნდა იყოს, სივრცესა და დროში, სადაც დისციპლინები ახორციელებენ კონტროლს და თამაშში თავისი ხელისუფლების ასიმეტრია შემოჰყავთ, ისინი აჩერებენ სამართალს, მაგრამ მუდამ მხოლოდ დროებით, ისე, რომ ის სრულად არასდროს უქმდება. როგორი რეგულარული და ინსტიტუციონალურიც არ უნდა იყოს დისციპლინა, იგი თავისი მექანიზმის მიხედვით მაინც „კონტრსამართალს" წარმოადგენს. და თუმცა თანამედროვე საზოგადოების საყოველთაო იურიდიული ხასიათი, როგორც ჩანს, ხელისუფლების აღსრულების საზღვრებს ადგენს, მისი საყოველთაო პანოპტიზმი სამართლის ზურგს უკან, უზარმაზარ და, იმავდროულად, უმცირეს მექანიზმს ფუნქციონირების საშუალებას აძლევს, რომელიც ხელისუფლების ასიმეტრიას იცავს, აძლიერებს, ამრავლებს და სამართლის მიერ მოხაზულ საზღვრებს უსარგებლოდ აქცევს. უმცირესი დისციპლინები, ყოველდღიური „პანოპტიზმები" მშვენივრად ეწყობიან დიდი აპარატების და დიდი პოლიტიკური ბრძოლების დონეთა დაბლა. მაგრამ, თანამედროვე საზოგადოების გენეალოგიაში ისინი, ისევე, როგორც მისი გამსჭვალავი კლასობრივი ბატონობა, იმ იურიდიული ნორმების პოლიტიკურ დაპირისპირებას წარმოადგენენ, რომელთა შესატყვისადაც ძალაუფლების გადანაწილება ხდება. აქედან, უეჭველია, ნათელი ხდება ის მნიშვნელობა, რომელიც დიდი ხანია მცირე დისციპლინარულ ტექნიკებს მინიჭებული აქვს – იმ, როგორც ჩანს, უმნიშვნელო/უბადრუკ ეშმაკობებს, რასაც დისციპლინა იგონებს და თვით იმ ცოდნებსაც კი, რომლებიც მას რესპექტაბელურ სახეს აძლევენ. აქედან კი მათგან თავის დაღწევის მფრთხალი უარის სურვილი, მაშინ, როდესაც მათი შეცვლა არაფრით ძალგვიძს. აქედან მტკიცება, რომ ისინი საზოგადოების თვით საფუძვლებში მოქმედებენ, მისი წონასწორობის ელემენტის როლი აკისრიათ მაშინ, როდესაც, სინამდვილეში, ძალაუფლებრივ ურთიერთობებში წონასწორობის საბოლოო და საყოველთაო მოშლის მექანიზმები არიან. აქედან, დისციპლინა, როგორც მორიდებული, მაგრამ ყოველგვარი მორალის კონკრეტული ფორმის დაჟინებული

გამოსახვაა, მაშინ, როდესაც, სინამდვილეში, ისინი ფიზიკურ-პოლიტიკურ ტექნიკათა ერთობლიობას წარმოადგენენ.

კანონიერ დასჯათა, ციხის პრობლემებთან მთელი მის განკარგულებაში მყოფი გამასწორებელი ტექნოლოგიებით პრობლემისადმი დაბრუნებისას, უნდა გადავაადგილდეთ წერტილში, სადაც დასჯის კანონთა შესაბამისი ძალაუფლება ზედამხედველობის დისციპლინარულ ძალაუფლებად გარდაიქმნება; სადაც უნივერსალური კანონიერი სასჯელები შერჩევით, განსაზღვრული ინდივიდების მიმართ, ანუ მუდამ ერთი და იმავე პერსონის მიმართ, გამოიყენება; სადაც დასჯის მეშვეობით სამართლებრივი სუბიექტის ხელახალი კვალიფიცირება დამნაშავის სასარგებლო წვრთვნად იქცევა; სადაც სამართალი გადაბრუნდება და საკუთარი საზღვრების მიღმა გადის; სადაც კონტრ-სამართალი იურიდიულ ფორმათა ნამდვილ და ინსტიტუციონალურ შინაარსად იქცევა. მაშასადამე, დასჯის ძალაუფლების საყოველთაობა არა კანონის საყოველთაო გაცნობიერებით, არა ყოველი სამართლებრივი სუბიექტის მიერ მისი გაცნობიერებით, არამედ მისი თანაბარზომიერი გავრცელებით, პანოპტიკურ ტექნიკათა ამ უსასულოდ მცირე ქსელით მიიღწევა.

3. თითოეულ ამ ტექნიკათაგან ცალ-ცალკე აღებულს დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ XVIII საუკუნეში ახალი იყო ის, რომ შეერთებისას და გავრცელებისას ისინი აღწევენ დონეს, რომელზეც ცოდნის ფორმირება და ძალაუფლების ზრდა მუდმივად ამაგრებენ ერთმანეთს წრიულ პროცესში. აქ დისციპლინები გადააბიჯებენ „ტექნოლოგიურ“ ზღურბლს. თავდაპირველად საავადმყოფო, შემდეგ სკოლა, მოგვიანებით კი სახელოსნოც, უბრალოდ კი არ „გარდაიქმნებიან“ დისციპლინათა მიერ, არამედ, დისციპლინათა წყალობით, ისინი ისეთი აპარატები ხდებიან, რომ მათში ობიექტივაციის ყოველგვარი მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამორჩილების ინსტრუმენტი, ხოლო ძალაუფლების ყოველგვარმა ზრდამ შეიძლება ახალი ცოდნა დაბადოს. სწორედ ტექნოლოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელმა ამ კავშირმა, დისციპლინარულ ელემენტში კლინიკური მედიცინის, ფსიქიატრიის, ბავშვის ფსიქოლოგიის, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და შრომის რაციონალიზაციის ფორმირება-ჩამოყალიბება შესაძლებლად აქცია. მაშასადამე, მიმდინარეობს ორმაგი პროცესი: ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სრულყოფის მეშვეობით ეპისტემოლოგიური „აღმოჩენების“ კეთება, ახალ ცოდნათა ფორმირებისა და დაგროვების გზით ძალაუფლების შედეგების მომრავლება.

დისციპლინარულ მეთოდთა გავრცელება ფართო ისტორიული პროცესის არხებში დაახლოებით იმავე დროს მრავალი სხვა – აგრონომიულ, სამრეწველო და ეკონომიკურ ტექნოლოგიათა განვითარების გზით მიედინება. მაგრამ საჭიროა ვაღიაროთ, რომ ქვანახშირის მრეწველობასთან, ჩასახვად ქიმიურ მრეწველობასთან ან სახელმწიფო აღრიცხვის მეთოდებთან შედარებით, ბრძმედებთან და ორთქლის მანქანებთან შედარებით, პანოპტიზმს თავის თავზე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. მასში უფრო მეტად უცნაურ პატარა უტოპიას, ბოროტ ოცნებას ხედავდნენ – თითქოს ბენტამი პოლიციური საზოგადოების ფურიე ყოფილიყო, ხოლო ფალანგა პანოპტიკონის ფორმის გამხდარიყო. და მაინც, პანოპტიზმი სავსებით რეალური ტექნოლოგიის, ინდივიდთა წარმოების ტექნოლოგიის აბსტრაქტულ ფორმულას წარმოადგენდა. მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, რომ მან განსაკუთრებული შექებანი ვერ დაიმსახურა. ყველაზე ცხადი ამათგან კი ისაა, რომ მის მიერ გამოწვეული დისკურსები (თუ გვერდს ავუვლით აკადემიურ კლასიფიკაციებს) მეცნიერებათა სტატუსს იშვიათად თუ იძენდნენ. მაგრამ, ნამდვილი მიზეზი უეჭველად ისაა, რომ ამ ტექნოლოგიებით აღსრულებული და გაფართოებული ძალაუფლება ადამიანის ადამიანზე უშუალო, ფიზიკური ბატონობა-ძალაუფლებაა; უსახელოდ დარჩენილი, უნებურად აღიარებული წარმოშობა. მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი, დისციპლინარული მე-

თოდები ისეთ გამოგონებებთან შემედარებინა, როგორიც ორთქლის მანქანა ან ამიჩის მიკროსკოპია. პირველები გაცილებით ნაკლებს წარმოადგენენ, მაგრამ მაინც, გარკვეული აზრით, ძალიან ბევრს. და თუ მაინც საჭიროა ვეძებოთ დისციპლინარული მეთოდების რაღაც ისტორიული ეკვივალენტები ან, უკიდეურეს შემთხვევაში, რაღაც შედარებადი რამ, მაშინ ეს უფრო „ინკვიზიტორული“ ტექნიკა იქნება.

XVIII საუკუნემ დისციპლინისა და გამოცდის ტექნიკები, მსგავსად იმისა, როგორც შუა საუკუნეებმა სასამართლო მოკვლევა, გამოიგონა. მაგრამ, ისინი მასთან სავსებით სხვადასხვა გზებით მივიდნენ. მოკვლევის (ძველი მეთოდი, რომელიც გადასახადების აკრეფისას და ადმინისტრაციული მიზნებით გამოიყენებოდა) პროცედურა ეკლესიის რეორგანიზაციასთან და XII-XIII ს-ში სათავადოების ზრდასთან ერთად ძალიან განვითარდა. მაშინ მან ძალიან ფართო გავრცელება სასამართლო პრაქტიკაში – თავიდან საეკლესიო, ხოლო შემდეგ საეროშიც პოვა. ამგვარად, მოკვლევა, როგორც დასამოწებელი თუ დასამტკიცებელი ჭეშმარიტების ავტორიტარული ძიება, ფულის მიღების, დაფიცების, სასამართლო ორთაბრძოლის-კამათის, ღვთაებრივი სამსჯავროს ან კერძო პირთა შორის შეთანხმებების ძველ პროცედურებს დაუპირისპირდა. მოკვლევა წარმოადგენდა სუვერენის ძალაუფლებას, რომელსაც, რიგი განსაზღვრული მეთოდების მეშვეობით, ჭეშმარიტების დადგენის უფლება ჰქონდა მიკუთვნებული. და თუმცა იმდროიდან მოყოლებული მოკვლევა დასავლური იუსტიციის (რომელიც ასეთად რჩება თითქმის ჩვენს დრომდე) განუყოფელ ელემენტად იქცა, მაინც არც მისი პოლიტიკური წარმომავლობა, არც მისი კავშირი სახელმწიფოთა და მონარქიული ძალაუფლების წარმოშობასთან, მით უფრო, არც მისი შემდგომი გავრცელებისა და ცოდნის ფორმირებაში როლი არ უნდა დაგვავიწყდეს. ფაქტობრივად, მოკვლევა ემპირიულ მეცნიერებათა ჩამოყალიბების საწყისი, მაგრამ ძირითადი ელემენტი იყო. იგი ექსპერიმენტული ცოდნის იურიდიულ-პოლიტიკური მატრიცა იყო, რომელიც, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ბოლოს ძალიან სწრაფად განვითარდა. მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ მათემატიკა საბერძნეთში გაზომვის ტექნიკებისაგან დაიბადა; ბუნებისმეცნიერებანი კი, გარკვეული ზომით, შუა საუკუნეების ბოლოს მოკვლევის პრაქტიკებისაგან წარმოიშვა. დიდი ემპერიული ცოდნა, რომელმაც სამყაროს ნივთები მოიცვა და ისინი „ფაქტების“ (იმ მომენტში, როდესაც დასავლეთმა იმავე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაპყრობა დაიწყო) მაკონსტატირებელ, აღმწერ და დამდგენ უსასრულო დისკურსის წესრიგში ჩართო, უდავოდ, ინკვიზიციის მოდელის – ამ დიდი გამოგონების – მიხედვით მოქმედებდა, რომელიც ახალგამოჩეკილმა სირბილემ ჩვენი მეხსიერების ბნელ კუთხე-კუნჭულებში გადასწია. მაგრამ, იმად, რასაც ეს იურიდიულ-პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის, რელიგიური და საერო მოკვლევა ბუნებისმეცნიერებებისათვის წარმოადგენდა, ადამიანის შესახებ მეცნიერებებისათვის დისციპლინარული ანალიზი იქცა. ამ მეცნიერებათა ტექნიკურ მატრიცას, რომელიც ჩვენს „ჰუმანურობას“ აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ატკბობს, დისციპლინათა და მოკვლევათა დაჟინებული, წვრილმანი და ბოროტი – ავი კირკიტი წარმოადგენს.

ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, კრიმინოლოგიისა და მრავალი სხვა უცნაური მეცნიერებებისათვის დისციპლინარული მოკვლევა იმავეს წარმოადგენს, რასაც მოკვლევის საშინელი ძალაუფლება ცხოველთა, მცენარეთა ან დედამიწის გულგრილი და ცივი შესწავლისათვის – სხვა ძალაუფლება, სხვა ცოდნა. კლასიკური საუკუნის ზღრუბლზე ბეკონი, კანონმდებელი და სახელმწიფო მოღვაწე, მოკვლევის მეთოდების ემპირიული მეცნიერების სფეროში გადატანას ცდილობდა. რომელი დიდი ზედამხედველი შექმნის ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის გამოცდების მეთოდოლოგიას? თუ, რასაკვირველია, ეს შესაძლებელია. თუმცა სამართლიანია იმის თქმა, რომ, ემპირიული მეცნიერებებისათვის ტექ-

ნიკად ქცევისას, მოკვლევა ინკვიზიტორულ პროცედურებს (რომელშიც ფესვები ჰქონდა მას გადგმული ისტორიულად) გამოეყო, გამოცდამ კი მის შემქმნელ დისციპლინარულ ძალაუფლებასთან განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი შეინარჩუნა. იგი დისციპლინათა შინაგანი ელემენტი მუდამ იყო და დღესაც რჩება. რასაკვირველია, მან თითქოსდა გონებაჭვრეტითი გაწმენდა განიცადა ისეთ მეცნიერებებთან ორგანულად გაერთიანებისას, როგორებიცაა ფსიქიატრია და ფსიქოლოგია. და მის მიერ ტესტების, გასაუბრებების, გამოკვლევების და კონსულტაციების ფორმების დაუფლება, როგორც ჩანს, პირდაპირ დისციპლინათა მექანიზმების კორექტირებისათვისაა მოწოდებული: განათლების ფსიქოლოგიამ უნდა შეამსუბუქოს-შეარბილოს სკოლის სიმკაცრე, ზუსტად ასევე, სამედიცინო ან ფსიქიატრიულმა გასაუბრებებმა შრომითი დისციპლინის შედეგები გამოასწოროს. მაგრამ არ უნდა შევცდეთ: ეს ტექნიკები, უბრალოდ, ინდივიდებს ერთი დისციპლინარული ინსტანციიდან მეორეში აგზავნიან და ყოველგვარი დისციპლინისათვის კუთვნილი „ძალაუფლება-ცოდნის“ სქემას კონცენტრირებული ან ფორმალიზებული სახით კვლავ აწარმოებენ. დიდი მოკვლევა, რომელმაც ცხოვრებაში ბუნებისმეცნიერებათა წარმოშობა გამოიწვია, თავის პოლიტიკურ-იურიდიულ მოდელს გამოეყო. გამოცდა კი დისციპლინარული ტექნოლოგიის ჩარჩოებში ძველებურად რჩება.

შუა საუკუნეებში, მოკვლევის პროცედურამ ძველ ბრალმდებელ სასამართლოს, პროცესში, რომელიც ზემოდან მოდიოდა, თავისი თავი თანდათან მოახვია. დისციპლინარული მეთოდი, მეორე მხრივ, მზაკვრულად, თითქოსდა ქვემოდან, შეიჭრა სისხლის სამართალში და დღემდე, პრინციპში, იგივე ინკვიზიტორული რჩება. თანამედროვე სადამსჯელო სისტემისთვის დამახასიათებელი ყველა ის მნიშვნელოვანი გაფართოებები – დამნაშავის მიმართ ყურადღება, სასჯელის გამოსწორებად, თერაპიად, ნორმალიზებად ქცევისკენ მისწრაფება, სასამართლო გადაწყვეტილების აქტის სხვადასხვა ინსტანციებში დანაწილება, რომლებმაც ინდივიდები უნდა გაზომონ, შეაფასონ, დიაგნოზი დაუსვან, უმკურნალონ და გარდაქმნან – ამ სასამართლო ინკვიზიციაში დისციპლინარული გამოცდის შეღწევას მოწმობს და ამტკიცებს.

აქედან მოყოლებული, დამსჯელ სასამართლოს, „სასარგებლო ობიექტის“ სახით, უკვე არა მეფის სხეულისადმი დაპირისპირებული-პირდაპირ მდგომი დამნაშავის სხეული, და არც იდეალური ხელშეკრულების სამართლებრივი სუბიექტი, არამედ, დისციპლინარული ინდივიდი ეძლევა. მონარქიული რეჟიმის დროს ფრანგული სისხლის სამართლის ზღვარი – მეფის მკვლელის სხეულის უსასრულოდ დანაწევრებაა: დიდი დამნაშავის სხეულზე უძლიერესი ძალაუფლების გამოვლენა, რომლის სრული განადგურება დანაშაულს მთელი თავისი ჭეშმარიტებით ნათლად აშუქებს. ახლანდელი სისხლის სამართლის იდეალური წერტილი უსასრულო დისციპლინაა, უსასრულო დაკითხვა. მოკვლევა, რომელსაც არ აქვს დასასრული – დეტალიზებული და სულ უფრო დანაწევრებადი ზედამხედველობა. მსჯავრის გამოტანა და, ამავდროულად, საქმის დაწყება, რომელიც არასდროს იქნება დახურული. სასჯელის მოზომილი სირბილე, გადაჯაჭვული გამოცდის მკაცრ ცნობისმოყვარეობასთან. სასამართლო პროცედურა, რომელიც გვთავაზობს როგორც მიუღწეველი ნორმებისაგან გადახრათა მუდმივ გაზომვას, ისე მოძრაობას ასიმპათიის მიხედვით, რომელიც ნორმისაკენ უსასრულოდ მიისწრაფვის. საჯარო დასჯა ლოგიკურად ასრულებს სასამართლო პროცედურას, რომელსაც ინკვიზიცია აწარმოებს. ინდივიდებზე „ზედამხედველობის“ დაწესება დისციპლინარული მეთოდებით და საგამოცდო პროცედურებით გამოზრდილი მართლმსაჯულების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. განა გასაკვირია ის, რომ მრავალსაკნიანი ციხე, მისთვის დამახასიათებელი ხდომილებების რეგულარული ჩაწერის სისტემით, იძულებითი შრომით, ზედამხედველობის და შეფასების მისეული ინ-

სტანციებით და ნორმის დამდგენი სპეციალისტებით, რომლებიც მოსამართლეთა ფუნქციებს თავის თავზე იღებენ და ამრავლებენ, დასჯის თანამედროვე ინსტრუმენტად იქცა? განა გასაკვირია, რომ ციხეები ქარხნებს, სკოლებს, ყაზარმებს და საავადმყოფოებს ჰგავს, რომლებიც, თავის მხრივ, ციხეს ჰგავს?

შეჯამება

პოსტსტრუქტურალიზმი: მიშელ ფუკო

ფუკოს კონცეფციის მიზანი გარკვეული ისტორიული პერიოდის ცოდნისათვის დამახასიათებელი ფარული სტრუქტურების დადგენაა. ის ხშირად შედგება ქვეცნობიერი ვარაუდებისა და ცრურწმენებისაგან ან წინასწარაკვიატებული იდეებისაგან, რომლებსაც სისტემაში მოჰყავთ და საზღვრებს მიუჩენენ ნებისმიერი ეპოქის აზრს. ისინი არსებითად განსხვავდებიან სუბიექტური წინასწარგანზრახვებისა და კოლექტიური მცდარობებისაგან: ეს არის აზროვნების რაღაც მოდელი, რომელიც ცალ-ცალკე ახასიათებს მოცემული დროის ყველა მოაზროვნეს. ფუკოს აინტერესებს, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს. მოცემულ კონტექსტში იგი განიხილავს „პანოპტიკუმს“. აქ ცოდნას, ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის ცხადი კავშირი შეიმჩნევა. სხვა დონეზე ფუკო პანოპტიკუმს, როგორც „საზოგადოების მთლიანი ტიპის“ დისციპლინარული საზოგადოების საფუძველს განიხილავს.

კითხვები და დავალებები:

1. გააანალიზეთ და განმარტეთ ეპისტემესა და დისკურსის ცნებები, განმარტეთ მათი ურთიერთდამოკიდებულების არსი.
2. რა მსგავსება და განსხვავება შეგიძლიათ გამოყოთ დისკურსისა და პარადიგმის ცნებათა შედარებისას?
3. გააანალიზეთ ცოდნის როლი ძალაუფლების წარმოშობასა და განმტკიცებაში და ძალაუფლებისა – ახალი ცოდნის დაუფლებაში.
4. რისი ხატია/სიმბოლოა პანოპტიკუმი – ღმერთის თუ სოციუმის?
5. გააანალიზეთ დისციპლინარული ძალაუფლების სამი ინსტიტუტი: იერარქიული თვალთვალი, მანორმალიზებელი განაჩენის გამოტანის უნარი და იმათი დასჯა, ვინც ნორმებს არღვევს და განაჩენების გამოტანაში გამოკვლევების გამოყენება.
6. გააანალიზეთ დებულება: „პანოპტიკუმი საზოგადოების მთლიანი ტიპის დისციპლინარული საზოგადოების საფუძველია“.
7. განმარტეთ ფუკოს დებულების არსი: „სექსი – ყველაფრის ამხსნელია“.
8. როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებდით ფუკოს მოსაზრებას, რომ XVIII საუკუნემდე საზოგადოება ისწრაფვოდა განეხორციელებინა კონტროლი სიკვდილზე, მაგრამ ამ საუკუნის დასაწყისიდან ამ სწრაფვამ სიცოცხლის კონტროლზე, განსაკუთრებით კი, სექსის კონტროლზე გადაინაცვლა.

9. გააანალიზეთ სიცოცხლეზე (და სექსზე) ძალაუფლების ორი ფორმის: ადამიანური სხეულის ანატომიური პოლიტიკის და მოსახლეობის ბიოპოლიტიკის არსი და მნიშვნელობა.
10. როგორ შეაფასებდით ფუკოს სოციოლოგიურ შეხედულებებს და რამდენად შეიძლება ფუკოსეული მიდგომა ქართული სოციუმის დღევანდელი სიტუაციის მეცნიერული კვლევის საქმეში ეფექტიანად გამოგვადგეს?

ძირითადი ლიტერატურა:

Фуко М. Слова и вещи. Археология гуманитарных наук./ Пер. с фр. В.П. Визгина, Н.С. Автономовой. СПб .: А – cad, 1994.

Фуко М. Воля к истине. По ту сторону знания , власти и сексуальности. М. Касталь. 1996.

Фуко М. История Безумия в классическую эроху./ Пер. с фр. И. Стаф. СПб.: Университетская книга, 1997.

Фуко М. Забота о себе. История сексуальности. Т. 3/ Пер. с фр. Т.Н. Титовой. О. И. Хомы. Киев: Дух и Литера. 1998.

Мишел Фуко. Надзирать и наказывать. Рождение тюрмы. Перевод с французского Владимира Наумова. Издательство „„ Ad Marginem““, Москва, 1999.

Фуко М. Использование удовольствии. История сексуальности. Т. 2/ Пер. с фр. В. Каплуна. СПб: Академический проект. 2004.

დამატებითი ლიტერატურა:

ი. კაჭკაჭიშვილი. სოციალური მოქმედების თეორიები. თბ., 2008

Джордж Ритцер, Современные социологические теории. 5-ое издание,СПБ.: Питер., 2002, გვ. 528 – 537.

Эрибол Д. Мишель Фуко / Пер. с фр. Е. Э. Бабаевой. М.: Молодая Гвардия. 2008.

Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. gv. 119-221.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524

თავი მეცამეტე – პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია

1. *ზომიერი პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ფრედერიკ ჯეიმსონი;*
2. *რადიკალური პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ჟან ბოდრიარი;*
3. *პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის გამოყენება;*
4. *კრიტიკა და პოსტმოდერნისტული თეორია.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- მოდერნი;
- მოდერნითი;
- პოსტმოდერნი;
- პოსტმოდერნითი;
- „პოსტმოდერნიზმი, ანუ გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურული ლოგიკა“;
- სიმბოლური გაცვლა;
- სიმულაკრი;
- ცდუნება;
- ჰიპერრეალობა;
- განჯადოება;
- „განახლებული მოჯადოება“;
- „პოსტმოდერნიზმის სიგიჟე“;
- პოსტმოდერნიზმი „აბსურდის უზარმაზარ უიმედო ზეცას აღებს და გონების უკვე გამქრალ გაელვებას“ წარმოადგენს.

შესავალი

პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის განხილვისას აუცილებელია სოციოლოგიური თეორიებიდან სოციალურზე გადართვა. თუმცა ამ ორი ტიპის თეორიას შორის განსხვავება ნათლად არ არის გამოთქმული და გამოხატული. როგორც წესი, სოციოლოგიური თეორიები, ძირითადად, სოციოლოგიის ჩარჩოებში შესრულებულ სამუშაოებს ასახავს და, ძირითადაც, სოციოლოგების დაინტერესების საგანია. სოციალური თეორიები, როგორც წესი, მრავალდისციპლინარულია. არსებითად, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი ჩვენ მიერ უკვე შესწავლილი თეორიები, განსაკუთრებით, ნეომარქსისტული და მოქმედება – სტრუქტურის თეორიები, უკეთესი იქნება, როგორც სოციალური თეორიები აღვწეროთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ პოსტმოდერნისტულ თეორიებს, უმჯობესია, თუ სწორედ, როგორც სოციალურ თეორიებს განვიხილავთ.

პოსტმოდერნული სოციალური თეორიის განვითარებაში მკვლევრები სამ პოზიციას გამოყოფენ: პირველი, უკიდურესი, პოსტმოდერნისტული პოზიციის თანახმად, მოხდა ფუნდამენტური გარღვევა და თანამედროვე საზოგადოება პოსტთანამედროვე საზოგადოებით შეიცვალა. ამ თვალსაზრისის მომხრეთა შორის ჟან ბოდრიარი, ჟილ დელიოზი და ფელიქს გვატარი არიან. მეორე პოზიციის თანახმად, თუმცა ასეთ ცვლილებას ადგილი ჰქონდა კიდეც, მაგრამ პოსტმოდერნიზმი იზრდება მოდერნიდან და მისგან განუყოფე-

ლია. ამ ორიენტაციის მომხრეები არიან ისეთი მარქსისტი მოაზროვნეები, როგორებიც არიან ფრედერიკ ჯეიმსონი, ერნესტო ლაკლაუ და შანტალ მუფფუ, აგრეთვე, პოსტმოდერნისტული ფემინიზმის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიცა არიან ნენსი ფრეზერი და ლინდა ნიკოლსონი. მესამე პოზიციის თანახმად, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი შეიძლება არა, როგორც ცალკეული ეპოქები, არამედ, როგორც ხანგრძლივი და უწყვეტი ურთიერთობების მონაწილენი განვიხილოთ, თანაც პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმის შეზღუდულობას მუდმივად აჩვენებს. შეიძლება მოცემული ტიპოლოგია სასარგებლოც კი იყოს, მაგრამ თავად პოსტმოდერნისტები, ალბათ, უარყოფენ მას, როგორც ისეთ რაიმეს, რომელიც მათი იდეების მთელ მრავალფეროვნებას ძალიან ამარტივებს და თვით ამ იდეებსაც ამახინჯებს. ბუნდოვანება არსებობს და პოლემიკა გრძელდება. სიცხადისათვის სასარგებლოა, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ტერმინები: „პოსტთანამედროვეობა“, „პოსტმოდერნიზმი“ და „პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია“. ტერმინი „პოსტთანამედროვე“ ეხება ისტორიულ ეპოქას, რომელსაც თანამედროვეობის ერის მომდევნოდ თვლიან; „პოსტმოდერნიზმი“ ეხება კულტურის ქმნილებებს (ხელოვნებაში, კინემატოგრაფიაში, არქიტექტურაში და ა.შ.), რომლებიც კულტურის მოდერნისტული პროდუქტებისაგან განსხვავდება, ხოლო „პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია“ კი აზროვნების წესს ეხება, რომელიც მოდერნისტული სოციალური თეორიისაგან განსხვავებულია... ამგვარად, პოსტმოდერნი თავის თავში ახალ ისტორიულ ეპოქას, კულტურის ახალ ქმნილებებს და სოციალურ სამყაროზე თეორიტიკოსების ახალ ტიპს შეიცავს, ამ ასპექტებიდან თითოეული, უეჭველია, გულისხმობს, რომ უკანასკნელ წლებში მოხდა რაღაც ახალი და არაჩვეულებრივი, რისი აღწერაც უკვე აღარ შეიძლება ტერმინ „მოდერნით“ და რომ ეს ახალი გარემოება მოდერნისტული რეალობის ადგილს ანაცვლებს. რაც შეეხება ამ ცნებებიდან პირველს, ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ეპოქა მთავრდება ან უკვე დამთავრდა, და ჩვენ პოსტთანამედროვეობის ახალ ისტორიულ ეპოქაში შევედით.

„პოსტმოდერნიზმის საწყისი, უკიდურეს შემთხვევაში, სიმბოლურად შეიძლება მოდერნისტული არქიტექტურის მსხვრევაში დავინახოთ, რომელიც 1972 წელს, 15 ივლისს, შუადღის 3:32 ქალაქ სენტ-ლუისში საცხოვრებელი მიკრორაიონის „თავშესაფარ-აიჰოუს“ დანგრევის მომენტში მოხდა. ეს სენტ-ლუისში არსებული საცხოვრებელი კომპლექსი განასახიერებდა მოდერნისტული არქიტექტურის თავდაჯერებულ რწმენას იმის შესახებ, რომ ყველაზე საუკეთესო საცხოვრებელი კომპლექსის აშენებით, დამპროექტებლები და არქიტექტორები სიღარიბისა და ადამიანური გაჭირვებების აღმოფხვრას შეძლებდნენ. ამ სიმბოლურობის გაცნობიერება და ამ იდეის განხორციელების მარცხი მოდერნისტული არქიტექტურის ჩავარდნა-გაუფასურების აღიარებას და, არაპირდაპირ, თვით თანამედროვეობის ჩაფუშვის და გაუფასურების აღიარებასაც ნიშნავდა“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. «Питер, 2002 с.540).

„აიჰოუს-თავშესაფარის“ დანგრევა მოდერნისტებისა და პოსტმოდერნისტების შეხედულებებში არსებულ განსხვავებებს ასახავს. ავიღოთ მეორე მაგალითი: სიღარიბესთან ბრძოლა, რომელსაც 1960-იან წლებში ლინდონ ჯონსონი ატარებდა, სოციალური პრობლემების რაციონალური გადაჭრის საშუალებების მოპოვების და რეალური განხორციელების შესაძლებლობის მოდერნისტული რწმენის-დარწმუნებულობის ტიპური გამოვლენა იყო. შეიძლება ითქვას, რომ 1980-იან წლებში რეიგანის ადმინისტრაცია და მისი უარი, შეემუშავებინა ამგვარი პრობლემების გადასალახავად მასობრივი პროგრამები, პოსტმოდერნის საზოგადოების დამახასიათებელი გამოვლინება და იმაში დარწმუნებულობა იყო, რომ სხვადასხვა პრობლემათა ერთიანი რაციონალური გადაწყვეტა არ არსებობს. ამგვა-

რად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კენედის, ჯონსონისა და რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში აშშ თანამედროვედან პოსტთანამედროვე საზოგადოებაზე გადავიდა. ფაქტობრივად, „აიჰოუს-თავშესაფრის“ დანგრევა სწორედ ამ დროით ჩარჩოებში მოხდა.

მეორე ცნება, „პოსტმოდერნიზმი“, კულტურულ სფეროსთანაა დაკავშირებული, რომლის ჩარჩოებშიც მტკიცდება, რომ პოსტმოდერნისტული ქმნილებებით მოდერნისტული ნაწარმოებების შევიწროება-გამოდევნის ტენდენცია უკვე შესამჩნევი ხდება. მაგალითად, სახვითი ხელოვნების სფეროში ჯეიმსონი (1984), როგორც მალე ვნახავთ, ერთმანეთს მერლინ მონროს პოსტმოდერნისტულ, თითქმის ფოტოგრაფიულ და უემოციო გამოსახულებას, რომელიც ენდი უორჰოლმა შექმნა, ედვარდ მუნკის მოდერნისტულ, უკიდურესად შთამბეჭდავ „ყვირილს“ უპირისპირებს.

პოსტმოდერნის მესამე ასპექტი მოცემულ კონტექსტში გაცილებით უფრო შესაფერისია – ესაა პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის წარმოშობა და მისი მოდერნისტულისაგან განსხვავება. მოდერნისტული სოციალური თეორია საზოგადოების ანალიზისა და კრიტიკის უნივერსალური, ზეისტორიული, რაციონალური დაფუძნებისაკენ ისწრაფოდა. მარქსისათვის ასეთი ფუნდამენტი ადამიანის შრომითი საქმიანობა იყო, მაშინ როდესაც ჰაბერმასისათვის ამ როლს კომუნიკაციური გონება თამაშობს. „პოსტმოდერნისტული აზროვნება უკუაგდებს საფუძვლების ამ ძიებას და უფრო რელატივიზმის, ირაციონალიზმისა და ნიჰილიზმისაკენ იხრება. ნიცშესა და ფუკოს კვალდაკვალ და ზოგიერთი სხვა მოაზროვნის შესაბამისად, პოსტმოდერნისტებმა ასეთი დასაბუთება დაფუძნებები ეჭვის ქვეშ დააყენეს, თვლიდნენ რა, რომ ასეთ შემთხვევაში განსაზღვრული ჯგუფები პრივილიგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, სხვათა მნიშვნელობა კი დაბლდება; ერთნი იღებენ და აღიჭურვებიან ძალაუფლებით, სხვები კი მას მოკლებულნი რჩებიან“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002, с.541)

პოსტმოდერნისტები „დიდ ნარატივებზე“ ანუ მეტანარატივებზე წარმოდგენებს მსგავსი წესით უარყოფენ. სწორედ ამ იდეების უარყოფაში შესამჩნევ როლს პოსტმოდერნისტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი – ჟან-ფრანსუა ლიოტარი თამაშობს. ლიოტარი მოდერნისტული (მეცნიერული) ცოდნის, როგორც ერთიანი დიდი სინთეზის (ანუ „მეტადისკურსის“), გარკვეული სახის განსაზღვრებიდან იწყებს, რომელსაც ჩვენ ისეთი თეორეტიკოსების შემოქმედებას ვუკავშირებთ, როგორიც მარქსი და პარსონსია. დიდ მონათხრობ-ნარატივთა შორის, რომლებსაც ლიოტარი მოდერნისტულ მეცნიერებას უკავშირებს, არსებობს „გონის დიალექტიკა“, „მნიშვნელობის ჰერმენევტიკა“, „რაციონალური ანუ მშრომელი სუბიექტის განთავისუფლება ანუ კეთილდღეობის შექმნა“. რადგან თანამედროვე ცოდნა, ლიოტარის თვალსაზრისით, მეტანარატივებთანაა გაიგივებული, ამდენად, პოსტთანამედროვე ცოდნა ასეთი ნარატივების უარყოფას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, სოციოლოგია უფრო კონკრეტული ხასიათის განსხვავებული სინთეზების ძიებისას მოდერნის პერიოდიდან პოსტმოდერნის ეპოქაში გადავიდა. მეტამონათხრობთ, ანუ დიდ ნარატივებს ლიოტარი „შემცირებულ, ლოკალიზებულ მონათხრობს“ ამჯობინებს.

მაშინ, როდესაც ლიოტარი დიდ მონათხრობს მთლიანობაში უარყოფს, ბოდრიარი დიდი მონათხრობის იდეას სოციოლოგიაში უარყოფს. ერთი მხრივ, ბოდრიარი თვით სოციალურის ცნებას უარყოფს, მეორე მხრივ, სოციალურის უარყოფას მოდერნთან დაკავშირებულ სოციოლოგიური მეტამონათხრობის უარყოფასთან მივყავართ: „...დიდი მაორგანიზებელი პრინციპი, სოციალურის დიდი მონათხრობი, რომელმაც მხარდაჭერა და გამართლება გონივრულ შეთანხმებაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, პროგრესში, ძალაუფლე-

ბაში, წარმოებაში პოვა, ანუ ის, რასაც შეეძლო დაედასტურებინა, რომ რაღაც ოდესღაც არსებობდა, დღეს მეტად აღარ არსებობს. სოციალური პერსპექტივის ეპოქა, რომელიც არასაკმარისად განსაზღვრულ პერიოდს, ცნობილს, როგორც მოდერნს ზუსტად ემთხვევა... დასრულდა“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002 с. 542).

ამგვარად, პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია მეტამონათხრობთა წინააღმდეგ – მთლიანობაში და, კერძოდ, დიდი მონათხრობის სოციოლოგიაში მიღების წინააღმდეგ გამოდის.

პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია შეიქმნა ადამიანთა მიერ, რომლებიც სოციოლოგები არ იყვნენ (ლიოტარი, ჯეიმსონი და სხვა). უკანასკნელ წლებში პოსტმოდერნისტული მიდგომის გამოყენება სოციოლოგებმაც დაიწყეს და პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც კლასიკური სოციოლოგიური ტრადიციის ნაწილი შეიძლება განვიხილოთ.

აღწერილი ზოგადი დებულებების მხედველობაში მიღებით, პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის უფრო კონკრეტულ განხილვაზე შეგვიძლია გადავიდეთ. ჩვენ პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის ორი დიდი წარმომადგენლის – ფრედრიკ ჯეიმსონისა და ჟან ბოდრიარის – თვალსაზრისებს გავეცნობით.

1. ზომიერი პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ფრედერიკ ჯეიმსონი

პოსტთანამედროვეობაზე უპირატესობის მქონე თვალსაზრისი, უეჭველია, მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვეობასა და პოსტთანამედროვეობას შორის ფუნდამენტური გათიშულობა არსებობს. მაგრამ პოსტმოდერნისტული თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ თუმცა პოსტთანამედროვეობა მნიშვნელოვნად კი განსხვავდება თანამედროვეობისაგან, მათ შორის მემკვიდრეობა მაინც შეიმჩნევა. ყველაზე მეტად ცნობილია ის არგუმენტები და საბუთები, რომლებიც ამ აზრის დასასაბუთებლად ფრედერიკ ჯეიმსონს თავის ესეიში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „პოსტმოდერნიზმი, ანუ გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურული ლოგიკა“, აგრეთვე მოგვიანებით იმავე სახელწოდებით გამოცემულ ესეთა ნაკრებში მოჰყავს. მოცემული სათაური ჯეიმსონის მიერ გაზიარებული მარქსისტული პოზიციის ნათელი ნიშანია, რომლის თანახმადაც, დღევანდელი კაპიტალიზმი თავისი განვითარების „გვიანდელ“ ფაზაში იმყოფება, რითაც თანამედროვე მსოფლიოს უპირატეს მახასიათებელ ნიშნად არსებობას აგრძელებს, მაგრამ ამ ეტაპზე მან ახალი კულტურული ლოგიკა – პოსტმოდერნიზმი წარმოშვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ კულტურულმა ლოგიკამ შეძლო შეცვლა, ფუნდამენტური ეკონომიკური სტრუქტურა კაპიტალიზმის უფრო ადრინდელ ფორმებს მაინც შეესაბამება, გარდა ამისა, კაპიტალიზმი, თავისი თავის შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით, კულტურული ლოგიკის შექმნის თავის ძველ ჩვეულებას აგრძელებს და არ ღალატობს. უწინარეს ყოვლისა, ჯეიმსონი აღიარებს, რომ პოსტმოდერნიზმი ფუნდამენტურ განხეთქილებასთან ასოცირდება, მაგრამ შემდეგ მოვლენების მთელი რიგის, რომლებსაც ჩვეულებრივ პოსტმოდერნიზმთან აკავშირებენ, განხილვისას კითხულობს: „ნიშნავს კი ეს იმას, რომ არსებული პერიოდული ცვლილებები სტილისტიკური სიახლეების ძველი, ფრიად მოდერნისტული იმპერატივით არ განისაზღვრებიან?“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002, с.544) და პასუხობს, რომ, მართალია, ესთეტიკური ცვლილებები მოხდა, მაგრამ ეს ცვლილებები კვლავაც ფუნდამენტური ეკო-

ნომიკური დინამიკის ფუნქციად რჩება: „მოხდა ის, რომ ესთეტიკური წარმოება დღეს მთლიანად სასაქონლო წარმოების ნაწილად იქცა: საქონელთა ახალი ტალღის წარმოების გადაუდებელი ეკონომიკური აუცილებლობა საქონელთა, რომლებიც სულ უფრო მეტი სიახლეებით (ტანსაცმლიდან – თვითმფრინავებამდე), ბრუნვის უფრო დიდი ნორმით წარმოგვიდგება, საქონელთა წარმოების ეს ეკონომიკური აუცილებლობა, ჩვენს დროში ესთეტიკურ სიახლეებსა და ექსპერიმენტებს სულ უფრო მნიშვნელოვან სტრუქტურულ ფუნქციებსა და მდგომარეობას უკავშირებს და მათზე ამყარებს. ამგვარად, ასეთი ეკონომიკური აუცილებლობა აღიარებას ყოველივე იმის ინსტიტუციონალურ მხარდაჭერაში პოულობს, რაც ახალი ხელოვნებისათვის – შემოწირულობებიდან და სუბსიდიებიდან დაწყებული მუზეუმებამდე და მზრუნველობის სხვა ფორმებამდე დამთავრებული – სასარგებლოა“ (იქვე).

ჯეიმსონი კაპიტალიზმის ისტორიაში სამ ეტაპს გამოყოფს: პირველი, მარქსის მიერ გაანალიზებული ეტაპი – ესაა საბაზრო ეკონომიკა, ანუ ერთიანი ეროვნული-ნაციონალური ბაზრების წარმოშობა. მეორე, ლენინის მიერ გაანალიზებული, სტადია – ესაა იმპერიალისტური, რომელიც გლობალური კაპიტალისტური სისტემის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. მესამე ეტაპი, მანდელას და ჯეიმსონის მიერ „გვიანდელ კაპიტალიზმად“ წოდებული, თავის თავში „დღემდე არაკომერციალიზებულ სფეროებში კაპიტალის ფართო ექსპანსიას მოიცავს“. ეს ექსპანსია სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მარქსის მიერ XIX საუკუნეში ჩატარებულ დიდებულ ანალიზს, პირიქით, აქამდე წარმოშობილ ფორმებთან შედარებით, კაპიტალის ყველაზე წმინდა ფორმებს ქმნის. ჯეიმსონი წერს: „ახალი ისტორიული შინაარსის გასაგებად მარქსისტული საფუძველი აუცილებელი რჩება, რომელიც არა მარქსისტული საფუძვლების შეცვლას, არამედ მის გაფართოებას მოითხოვს“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002 с.545). ჯეიმსონის აზრით, თანამედროვე კაპიტალიზმის გასაღები მის მრავალეროვნულ, მრავალნაციონალურ ხასიათში, აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მან არსებითად კომოდიფიკაციის სფერო გააფართოვა.

ეკონომიკურ სტრუქტურაში მომხდარი ამგვარი ცვლილებები კულტურაშიც აისახა. მაგალითად, ჯეიმსონი რეალისტურ კულტურას – საბაზრო კაპიტალიზმთან, მოდერნისტულ კულტურას – მონოპოლისტურ კაპიტალიზმთან, ხოლო პოსტმოდერნის კულტურას მრავალეროვნულ კაპიტალიზმთან აკავშირებს. ასეთი მიდგომა ბაზისისა და ზედნაშენის პოზიციიდან მარქსისტული არგუმენტაციის მოდერნიზებულ ვერსიას წარმოადგენს, და ჯეიმსონი, ამდენად გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო, მრავალმა მოაზროვნემ გააკრიტიკა.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეტაპიდან, როდესაც კულტურა გარკვეული ხარისხით, ავტონომიური იყო, კაპიტალიზმი მრავალეროვნული კაპიტალიზმის სტადიაზე გადავიდა, რასაც კულტურის აფეთქება მოჰყვა:

„კულტურის ყველგან შემღწევი ფართო ექსპანსია სოციალურის სფეროში ისეთი ხარისხით მოხდა, რომ ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში – ეკონომიკური ღირებულებებიდან და სახელმწიფოებრივი ძალაუფლებიდან დაწყებული და ჩვეულებებით და თვით გონისსულის სტრუქტურით დამთავრებული – ყველაფრის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი რაღაც თავისებური სახით „კულტურულნი“ გახდნენ, რაც ჯერ კიდევ არ არის თეორიულად გააზრებული. ეს გასაოცარი მტკიცება, მიუხედავად ყველაფრისა, მოჩვენებითობების ან სიმულაკრების (მალე ჩვენ განვსაზღვრავთ ამ ტერმინს) საზოგადოების წინამორბედ დახასიათებას და „რეალურის“ ფსევდოხდომილებების სიმრავლედ გარდაქმნას შეიძ-

ლება სავსებით ეთანხმება“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ. 544-46).

ჯეიმსონი ამ ახალ ფორმას, როგორც „კულტურულ დომინანტს“ აღწერს. პოსტმოდერნიზმი, როგორც კულტურული დომინანტი, წარმოიდგინება, როგორც ძალოვანი (ძალთა) ველი, რომელშიც... კულტურული იმპულსების სავსებით განსხვავებულმა სახეებმა გზა უნდა გაიკვლიოს. ამგვარად, თუმცა პოსტმოდერნიზმი „ახალ სისტემურ კულტურულ ნორმას“ წარმოადგენს, იგი მთელი რიგი ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტებისაგან შედგება. „კულტურული დომინანტის" ტერმინის გამოყენებისას ჯეიმსონს აგრეთვე, ცხადია, მხედველობაში აქვს ის, რომ, მართალია, პოსტმოდერნისტული კულტურა გაბატონებულად ითვლება, მაგრამ დღევანდელ კულტურაში სხვა ძალებიც არსებობენ.

ფრედერიკ ჯეიმსონი პოსტთანამედროვე საზოგადოების არაორაზროვან სურათს გვთავაზობს, რომელიც ოთხი ძირითადი ელემენტისაგან (მეხუთე, მისი გვიანკაპიტალისტური ხასიათი, ჩვენ უკვე ზემოთ განვიხილეთ) შედგება.

პირველი, პოსტმოდერნის საზოგადოება ზედაპირულობით და სიღრმის არასაკმარისობით ხასიათდება. კულტურის პოსტმოდერნისტული ქმნილებები არასიღრმისეული სახეებით კმაყოფილდებიან და ფუნდამენტური მნიშვნელობების ღრმა კვლევებს არ ეწევიან. ამის კარგი მაგალითია ენდი უორჰოლის ნაწარმოები „ქილები კემპბელის სუპით“, რომელიც სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა ამ ქილების სრულყოფილ გამოსახულებას. თუ გამოვიყენებთ პოსტმოდერნისტულ თეორიასთან დაკავშირებულ საკვანძო ტერმინს, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სურათი თავისებური სიმულაკრია, რომელშიც შეუძლებელია ორიგინალის ასლისაგან განსხვავება. სიმულაკრი ასლის ასლია, ამბობენ, რომ უორჰოლი თავის ქილებს თავისი სუპით-წვნიანით არა ნამდვილი ქილებისაგან, არამედ მათი ფოტოგრაფიიდან ხატავდა. ჯეიმსონი ახასიათებს სიმულაკრებს, როგორც „იდენტურ ასლს, რომლისთვისაც არასდროს არსებულა ორიგინალი“. სიმულაკრი, განსაზღვრების თანახმად, ზედაპირული და არაღრმაა.

მეორე, „პოსტმოდერნიზმი ემოციების ანუ აფექტების შესუსტებით ხასიათდება. მაგალითის სახით, ჯეიმსონი უორჰოლის კიდევ ერთ ნაწარმოებს – კვლავაც თითქმის ფოტოგრაფიულ გამოსახულებას, ამჯერად მერლინ მონროსი – ედუარდ მუნკის – კლასიკურ მოდერნისტულ მხატვრულ ნაწარმოებს „ყვირილს თუ ძახილს“ ადარებს. „ყვირილი“ – ესაა ადამიანის ზერეალური გამოსახულება, რომელიც სასოწარკვეთილების სიღრმეს გამოთქვამს, ანუ, თუ სოციოლოგიის ენაზე ვიტყვით, ანომიას ან გაუცხოებას გამოხატავს. უორჰოლის მიერ მერლინ მონროს გამოხატვა ზედაპირულია და არავითარ წრფელ-ნამდვილ ემოციას არ გამოთქვამს. ამაში ვლინდება პოსტმოდერნისტების პოზიცია, რომელთა თანახმადაც, გაუცხოება და ანომია, რომლებიც მუნკის მიერ გამოხატული რეაქციის მიზეზებად იქცნენ, მოდერნის სამყაროს ნაწილებია, რომლებიც წარსულში დარჩება, წარსულს ჩაჰბარდება. პოსტმოდერნის სამყაროში გაუცხოება ფრაგმენტაციით შეიცვალა. რამდენადაც სამყარო და ადამიანები ამ სამყაროში ნაწილებად დაიშალნენ, ამდენად მხოლოდ „უმიზეზო და უსახო“ აფექტები გვრჩება. პოსტმოდერნისათვის დამახასიათებელია შეგრძნებებთან დაკავშირებული თავისებური ეიფორია, რომელსაც ჯეიმსონი ამჯობინებს „სიმძაფრე-ვარვარი“ უწოდოს. მაგალითის სახით მას ქალაქური პეიზაჟის ფოტორეალისტური გამოსახულება მოჰყავს, „სადაც ავტომობილების ნამსხვრევებიც კი რაღაც ახალი ბრწყინვალება-ბრჭყვიალებით ელვარებენ“ (1984, გვ. 76). ქალაქურ უფერულობა-უსახურობაში საავტომობილო კატასტროფებიდან მიღებული ეიფორია, სინამდვილეში, სავსებით განსაკუთრებული გვარის ემოციაა. პოსტმოდერნისტული გავარვარება-სიმძაფრე მაშინაც ხდება, როდესაც „ადამიანი ახალი ელექტრონული საშუალებებითაა გატაცებული“

(ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ. 548-549)

მესამე, დაკარგულია ისტორიულობა. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ წარსული. ყველაფერი, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, ესაა წარსულის შესახებ არსებული ტექსტები და ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ესაა ის, რომ დამატებით მათზე თემის შესაბამისი ტექსტები შევქმნათ. ისტორიულობის დაკარგვამ, წარსულის ყველა სტილის უწესრიგო განადგურებასთან (ჩაყლაპვასთან) მიგვიყვანა. აქ ჩვენ პოსტმოდერნისტული აზროვნების კიდევ ერთ საკვანძო ცნება – პოპურთან მივდივართ. რამდენადაც ისტორიკოსებს არ აქვთ შესაძლებლობა გაიგონ ჭეშმარიტება წარსულის შესახებ ან და შეადგინონ აზრიანი კავშირებით მოცული მონათხრობი, ისინი კმაყოფილდებიან წარსულის შესახებ პოპურის შექმნით, ანუ ხშირად წინააღმდეგობრივი და დაუკავშირებელი, კავშირმოკლებული იდეების ნარევით კმაყოფილდებიან. გარდა ამისა, არ არსებობს ისტორიული განვითარების დროის მდინარება – მიმართულების ნათელი შეგრძნება. წარსული და აწმყო უწყვეტ კავშირშია. მაგალითად, ისეთ ისტორიულ რომანებში, როგორიც ე. ლ. დოქტორიუს „რეგთაიმია“, ჩვენ ვამჩნევთ წარსულთან კავშირის გაქრობას. ეს ისტორიული რომანი მეტად ვეღარ განაცხადებს პრეტენზიას ისტორიული წარსულის გამოსახვა-გამოხატვაზე; მას შეუძლია ამ წარსულის შესახებ მხოლოდ ჩვენი შეხედულებებისა და სტერეოტიპული წარმოდგენების „გამოსახვა“ (1984). კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება კინოფილმი „სხეულის სიცხე“, რომელიც, თუმცა აწმყოს შესახებ ჰყვება, მაგრამ ქმნის ატრმოსფეროს, რომელიც 1930-იან წლებს გვაგონებს. ამ მიზნით, „დღევანდელი დღის საგნობრივი სამყარო – მატერიალური კულტურის და მოწყობილობების საგნები, თვით ავტომობილებიც კი, რომელთა დიზაინს შეეძლებოდა მიეთითებინა თხრობის დროზე – გულდასმითაა ამოშლილი. მაშასადამე, ყველაფერი ამ ფილმში მოწოდებულია მისი ფორმალური თანამედროვეობა დაფაროს და თხრობის აღქმის ისეთი შესაძლებლობა უზრუნველყოს, თითქოსდა მოქმედება რომელიღაც მარადიულ ოცდაათიან, არაისტორიულ დროში ხდება“ (1984).

„სხეულის სიცხის“ ტიპის კინოფილმი ან ისეთი რომანი, როგორიცაა „რეგთაიმი“, „ჩვენი ისტორიულობის შესუსტების დეტალურად გაფორმებულ ნიშანს“ წარმოადგენს (1984). დროის აღქმის უნარის დაკარგვა, წარსულის, აწმყოს და მომავლის განსხვავების უუნარობა ინდივიდუალურ დონეზე თავისებური სახის შიზოფრენიაში ვლინდება. პოსტმოდერნის ინდივიდისათვის ხდომილებები დაქუცმაცებულ და დისკურსულ ხასიათს ატარებს.

მეოთხე, პოსტმოდერნისტულ საზოგადოებასთან ახალი ტექნოლოგიაა დაკავშირებული. საწარმოო ტექნოლოგიების, ისეთების,როგორიცაა ავტომობილების ასაწყობი კონვეიერი, ნაცვლად, აქ ჩვენ კვლავწარმოებითი ტექნოლოგიების სიჭარბე, განსაკუთრებით, ტელევიზორის და კომპიუტერის ტიპის ელექტრონული საშუალებები გვაქვს. ინდუსტრიული რევოლუციის „ბობოქარი ტექნოლოგიების ნაცვლად ჩვენ დღეს ისეთ ტექნოლოგიებს ვფლობთ, როგორიცაა ტელევიზია, რომელიც არაფერს არ გამოთქვამს, არამედ თავის ბრტყელ ზედაპირზე ამცირებს და კუმშავს გამოსახულებას“ (1984). პოსტმოდერნისტული ეპოქის კუმშვადი, შემკუმშველი ტექნოლოგიები კულტურის პროდუქტებს ბადებენ, რომლებიც მოდერნის ფეთქებადი, გაფართოებადი ტექნოლოგიებისაგან სავსებით განსხვავდებიან.

მთლიანობაში, ჯეიმსონი გვთავაზობს პოსტმოდერნის სურათს, რომელშიც ადამიანები დინების მიმართულებით მიცურავენ და არ ძალუძთ მრავალეროვნული კაპიტალისტური სისტემის ან სწრაფად მზარდი კულტურის წვდომა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ამ სამყაროს და მასში ადამიანის ადგილის შესახებ ნიმუშის სახით ჯეიმსონს ცნობილი

პოსტმოდერნისტი არქიტექტორის ჯონ პორტმანის მიერ ლოს-ანჯელესში დაპროექტებული ოტელ „ბონავენტურას“ მაგალითი მოჰყავს. კერძოდ, ჯეიმსონი აღნიშნავს, რომ ამ ოტელში ადამიანი ვესტიბიულში ორიენტირებას ვერ შეძლებს, ვესტიბიული არის იმ სფეროს მაგალითი, რასაც ჯეიმსონი „ჰიპერსივრცის“ ტერმინით აღნიშნავს, სფერო, რომელშიც სივრცის მოდერნისტულ კონცეფციებს აღარ ძალუძთ ორიენტირებაში დაგეხმარონ. მოცემულ შემთხვევაში ვესტიბიულს გარს არტყია ოთხი აბსოლუტურად სიმეტრიული კოშკი, რომლებშიც განლაგებულია ნომრები. ფაქტობრივად, ოტელში საჭირო გახდა, დაემონტაჟებინათ ფერადი კოდირებისა და მიმართულების მაჩვენებელი სიგნალთა სისტემები, რათა ადამიანებს თავიანთი მიმართულების პოვნაში დახმარებოდნენ. მაგრამ ძირითადი მომენტი აქ მდგომარეობს იმაში, რომ იმ სახით, რა სახითაც ოტელი ჩაფიქრებული იყო თავდაპირველად, ადამიანებს მის ფოიეში ორიენტირება და მიმართულების გაგნება ძალიან უჭირდათ.

ოტელ „ბონავენტურას“ ვესტიბიულში არსებული სიტუაცია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გვიანდელი კაპიტალიზმის მრავალეროვნული ეკონომიკისა და ბობოქარ კულტურულ განვითარებაში ორიენტირების უუნარობის მეტაფორა. როგორც მარქსისტს, ჯეიმსონს, „განსხვავებით მრავალი პოსტმოდერნისტისაგან, არ სურს ყველაფერი ისე დატოვოს, როგორც ამ უკიდურეს შემთხვევაში არის და პოსტმოდერნის საზოგადოებაში ცხოვრების პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრაზე მუშაობს. იგი თვლის, რომ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება შემეცნების რუკები, რომლებიც ორიენტირებაში დაგვეხმარებიან. ამავე დროს, ისინი არ არის და არც შეიძლება წინანდელი, მოდერნის ეპოქის რუკები იყოს. ამგვარად, ჯეიმსონი გვიანდელი კაპიტალიზმის ახალი წესის დადგომას, შემუშავებას ელოდება, რომელშიც ჩვენ სამყაროში ჩვენი ადგილის, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური სუბიექტების, გაცნობიერებას კვლავაც შევძლებთ და ხელახლა მოვიპოვებთ მოქმედებისა და ბრძოლის უნარს, რომელიც ახლა ჩვენი სივრცული და სოციალური დაბნეულობითაა განადგურებული. პოსტმოდერნიზმის პოლიტიკური ფორმა, თუ ასეთი არსებობს, მოწოდებული იქნება, გლობალური კოგნიტური კარტოგრაფიები გამოიგონოს და როგორც სოციალურ, ისე სივრცით განზომილებებში დააპროექტოს“ (ციტ:Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002, с.548).

ეს კოგნიტური რუკები შეიძლება სხვადასხვა წყაროებიდან წარმოიქმნას: სოციალური თეორეტიკოსებიდან (მათ შორისაა ჯეიმსონიც, რომელიც შეიძლება ასეთი რუკის შემქმნელად ჩავთვალოთ თავის შემოქმედებაში), მწერლებიდან, აგრეთვე, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი სივრცის რუკის შედგენა. რასაკვირველია, რუკები ისეთი მარქსისტისათვის, როგორიც ჯეიმსონია, არ არის თვითმიზანი, მაგრამ ისინი პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში რადიკალური პოლიტიკური მოქმედებების საფუძვლის სახით უნდა იქნენ გამოყენებული.

რუკების მოთხოვნილება დაკავშირებულია ჯეიმსონის რწმენასთან, რომ ჩვენ გადავედით სამყაროდან, რომელიც დროის საფუძველზე იყო განსაზღვრული, სამყაროზე, რომელიც სივრცის საფუძველზეა განსაზღვრული. ნამდვილად, ჰიპერსივრცის ცნება და ოტელ „ბონავენტურას“ ვესტიბიულის მაგალითი პოსტმოდერნისტულ სამყაროში სივრცის ბატონობას ასახავს. ამგვარად, დღეს ცენტრალური პრობლემა, ჯეიმსონის აზრით, ჩვენ მიერ ამ სივრცეში საკუთარი ადგილის განსაზღვრის და მისი კოგნიტური რუკების შედგენის უნარის დაკარგვა ხდება.

ჯეიმსონის შემოქმედების მნიშვნელოვანი უპირატესობა პოსტმოდერნიზმისა და მარქსისტული თეორიის სინთეზის მცდელობაში მდგომარეობს. თუმცა მასაც უნდა მივაგოთ პატივი, საქმე ისაა, რომ ხშირად მისი შემოქმედება არც მარქსისტებს და არც პოს-

ტმოდერნისტებს აძლევს ხელს და, შესაბამისად, არც მოსწონთ. თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ, ზოგიერთი მარქსისტი, მაგალითად, არ ეთანხმება პოსტმოდერნიზმის, როგორც კულტურული დომინანტის, ჯეიმსონისეულ გაგებას, ხოლო ზოგიერთი პოსტმოდერნისტი მას სამყაროზე ტოტალური შეხედულების გამო აკრიტიკებს.

2. რადიკალური პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია: ჟან ბოდრიარი

თუ ჯეიმსონი ერთ-ერთი საკმაოდ ზომიერი სოციალური პოსტმოდერნისტული თეორეტიკოსთაგანია, მაშინ ჟან ბოდრიარი ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და პრინციპული წარმომადგენელია. ჯეიმსონისაგან განსხვავებით, ბოდრიარმა სოციოლოგიური განათლება მიიღო, მაგრამ მისი შემოქმედება უკვე დიდი ხანია გავიდა მოცემული დისციპლინის საზღვრებიდან; სინამდვილეში, იგი ვერ ეტევა რომელიმე დისციპლინის ჩარჩოებში და ბოდრიარიც ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინარული საზღვრების თავად ცნებას საზოგადოდ უარყოფს.

კელნერის კვალად, ჯ.რიტცერიც მოკლედ მიმოიხილავს ბოდრიარის შემოქმედების ევოლუციას. „მისი ადრეული შრომებისათვის, რომლებიც 1960-იან წლებშია გამოცემული, მოდერნისტული (ბოდრიარი თითქმის 1980-იან წლებამდე არ იყენებდა „პოსტმოდერნიზმის“ ტერმინს) და მარქსისტული ორიენტაციაა დამახასიათებელი. თავის ადრინდელ ნაწარმოებებში ბოდრიარი მოხმარების საზოგადოების მარქსისტულ კრიტიკას ამუშავებდა. უკვე ამ ნაწარმოებებზე არსებითი კვალი ლინგვისტიკამ და სემიოტიკამ გაავლო, რის გამოც კელნერი ამტკიცებს, რომ ბოდრიარის ადრინდელ შემოქმედებას, ყველაზე კარგი იქნება, როგორც „მარქსის პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიისადმი სემიოლოგიურ დამატებას“ თუ განვიხილავთ. მაგრამ ეს მოხდა ცოტა ხნით ადრე, სანამ ბოდრიარი მარქსისტული მიდგომის (და აგრეთვე სტრუქტურალიზმის) კრიტიკას დაიწყებდა და, საბოლოო ანგარიშით, უარს იტყოდა მასზე.

შრომაში „წარმოების სარკე“ ბოდრიარი მივიდა დასკვნამდე, რომ მარქსისტული მიდგომა კონსერვატიული პოლიტიკური ეკონომიის სარკისებური ასახვა და ანარეკლია. სხვა სიტყვებით, მარქსი (და მარქსისტები) სამყაროზე იმავე თვალსაზრისს იცავდნენ და მხარს უჭერდნენ, რომელსაც კაპიტალიზმის კონსერვატორი მომხრეები იცავდნენ. ბოდრიარის თვალსაზრისით, მარქსი „ბურჟუაზიული აზრის ვირუსით“ იყო ინფიცირებული (დასნეულებული). კონკრეტულად, მარქსის მიერ გამოყენებული მიდგომა სავსე იყო ისეთი კონსერვატიული ცნებებით, როგორებიცაა „შრომა“ და „ღირებულება“. საჭირო კი იყო და არის ახალი, უფრო რადიკალური ორიენტაცია.

ბოდრიარმა ეკონომიკური გაცვლის ალტერნატივისა და სრული უარყოფის სახით, სიმბოლური გაცვლის იდეა გამოთქვა. სიმბოლური გაცვლა „შეძენისა და ანაზღაურების, გაცემისა და მიღების“ უწყვეტ ციკლს, „საჩუქრებისა და შემხვედრი საჩუქრების ციკლებს“ მოიცავს. ეს იყო იდეა, რომელიც მარქსის მიერ დაგებულ ხაფანგში არ მოხვდა; სიმბოლური გაცვლა აშკარად იდგა კაპიტალიზმის ლოგიკის გარეთ და უპირისპირდებოდა მას. სიმბოლური გაცვლის პროგრამა გულისხმობდა ასეთი გაცვლის ხასიათის მქონე საზოგადოების შექმნაზე მიმართულ პოლიტიკურ პროგრამას. მაგალითად, ბოდრიარი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოთქვამს მუშათა კლასის მიმართ და უფრო კეთილგანწყობილია ახალი მემარცხენეების ან ჰიპების მიმართ. მაგრამ მალე მან ყველა პოლიტიკურ მიზანზე უარი თქვა.

ამის ნაცვლად, ბოდრიარმა ყურადღება მისი თანამედროვე საზოგადოების ანალიზს მიაპყრო, რომელშიც უკვე არა წარმოება, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები,

მართვის კიბერნეტიკული მოდელები და სისტემები, კომპიუტერები, ინფორმაციის დამუშავება, გართობისა და ცოდნის ინდუსტრია ბატონობს. ამ სისტემებიდან ნიშანთა ნამდვილი აფეთქება იბადება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საზოგადოებიდან, სადაც ბატონობდა წარმოების წესი, გადავედით საზოგადოებაზე, რომელიც წარმოების კოდით კონტროლდება. მიზანი ექსპლუატაციისა და მოგების მიღებისაგან ნიშნებისა და მათი მწარმოებელი სისტემების დახმარებით ბატონობის მიღწევაზე გადაადგილდა. გარდა ამისა, მართალია, ნიშნები ოდესღაც რაღაც რეალურად არსებულს აღნიშნავდნენ, ახლა ისინი, პრაქტიკულად, გარდა თავისი თავისა და სხვა ნიშნებისა, არაფერს წარმოადგენენ. ნიშნები თვითრეფერენტულნი გახდნენ. ჩვენ მეტად აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რაც რეალურია, რა არის რეალური. განსხვავება ნიშანსა და სინამდვილეს შორის შემცირდა. ყველაზე ზოგადი თვალთახედვით, პოსტმოდერნის სამყარო (იმიტომ, რომ ახლა ბოდრიარი უშუალოდ ამ სამყაროში მოქმედებს) – ესაა სამყარო, რომელსაც გაფართოების (საწარმოო სისტემების, საქონლის ტექნოლოგიების და ა.შ.) საპირისპიროდ ისეთი შეკუმშვა-შემჭიდროება ახასიათებს, როგორი გაფართოებაც მოდერნის საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარად, მსგავსად იმისა, როგორც მოდერნისტულმა სამყარომ განიცადა დიფერენციაციის პროცესი, შეიძლება ვთქვათ, რომ პოსტმოდერნისტული სამყარო დედიფერენციაციის პროცესს განიცდის (ციტ:. Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ.549-551).

პოსტმოდერნის სამყაროს აღწერისას ბოდრიარი, როგორც ჯეიმსონი, ასევე აღნიშნავს, რომ იგი მიმბაძველობით ხასიათდება; ჩვენ „თვალთმაქცობის საუკუნეში“ ვცხოვრობთ. მიბაძვის პროცესს სიმულაკრების შექმნასთან, განმეორებებთან მივყავართ. როდესაც ნიშნებსა და რეალობას შორის განსხვავება ქრება, რეალობის განსხვავება მისივე ასლისაგან, კოპიოსაგან სულ უფრო ძნელი ხდება. მაგალითად, ბოდრიარი „ტელევიზიის გათქვეფაზე ცხოვრებაში, და ცხოვრების გათქვეფაზე ტელევიზიაში“ ლაპარაკობს. საბოლოო ანგარიშით, სწორედ რეალურის გამოსახულება, იმიტაციები იკავებენ გაბატონებულ ადგილს. ჩვენ ამ სიმულიაციების ტყვეობაში ვართ, რომლებიც დასაწყისისა და დასასრულის გარეშე არსებულ სპირალისებურ, წრიულ სისტემას ქმნიან.

ბოდრიარი ამ სამყაროს, როგორც ზერეალობას ახასიათებს. მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე აღარ არიან სინამდვილის სარკე, ისინი თავად ამ სინამდვილედ იქცევიან ანდა უფრო რეალურიც კი ხდებიან, ვიდრე თავად რეალობაა. ახალი ამბების შოუ, რომელსაც ასე პოპულარულია ტელევიზიაში დღეს (მაგალითად, „ადგილობრივი გამოშვება“), „ინფორმაციულ მოზაიკასთან“ ერთად, ამ სიტუაციის კარგ მაგალითს წარმოადგენს, რამდენადაც ტყუილი და ფაქტების დამახინჯება, რასაც ისინი მაყურებლებს სთავაზობენ – ეს უფრო მეტია, ვიდრე რეალობა; ეს ზერეალობაა. ყოველივე ამის შედეგად, რეალური დაქვემდებარებულ მდგომარეობაში რჩება და, საბოლოო ანგარიშით, საერთოდაც ქრება. შეუძლებელი ხდება რეალობის სპექტაკლისაგან განსხვავდება. არსებითად, რეალური ხდომილებები, სულ უფრო ზერეალურის ხასიათს იღებენ. მაგალითად, სასამართლო პროცესი ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავ ო.ჯ. სიმპსონთან დაკავშირებით, რომელმაც ნიკოლ სიმპსონი და რონალდ გოლდმანი მოკლა, „ადგილობრივი გამოშვების“ ტიპის ზერეალური სატელევიზიო შოუებისათვის ზერეალური, საუკეთესო საკვებია. საბოლოო ანგარიშით, რეალობა მეტად აღარ არსებობს, მხოლოდ ზერეალობა არის და არსებობს.

აღწერილი ასპექტების ანალიზისას ბოდრიარი ყურადღების კონცენტრირებას კულტურაზე ახდენს, რომელშიც, როგორც იგი თვლის, მასობრივი „კატასტროფული“ რევოლუცია ხდება. ეს რევოლუცია თავის თავში მასების სულ უფრო მზარდ პასიურობას, და

არა მათ მზარდ მეამბოხეობას, მოიცავს და იქცევა, როგორც „შავი ხვრელი“, რომელიც ყველა მნიშვნელობას, ინფორმაციას, კომუნიკაციას, შეტყობინებებს და ა.შ. შთანთქავს, რითაც მათ უსაზრისოდ აქცევს... მასები ჯიუტად დაბოდიალობენ თავისი გზებით და მათზე მანიპულირების შესაძლებლობას უგულებელყოფენ. სიტყვები „გულგრილობა“, „აპათია“ და „ინერტულობა“ კარგად ახასიათებენ მასებს, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სიმბოლოებით, სიმულაკრებით და ზერეალობით არიან განმსჭვალულნი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ ეწევიან მასების მანიპულირებას, მაგრამ იძულებულნი არიან, სანახაობებზე და ნივთებზე მათი მზარდი მოთხოვნები დააკმაყოფილონ. განსაზღვრული აზრით, საზოგადოება თავად გარდაიქმნება იმ შავ ხვრელად, რომელსაც მასები წარმოადგენენ. ამ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასებისას კელნერი დაასკვნის:

„ინერტულობის განვითარება, მნიშვნელობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებად გადაქცევა, სოციალურის მასად გადაქცევა, მასების ნიჰილიზმისა და უსაზრისობის შავ ხვრელად გადაქცევა – ასეთია ბოდრიარის პოსტმოდერნისტული ხედვა“.

როგორი უცნაურიც არ უნდა მოგვეჩვენოს ასეთი ანალიზი, შრომაში „სიმბოლური გაცვლა და სიკვდილი“ ბოდრიარი კიდევ უფრო უცნაურია, სკანდალურია, ბუნდოვანია, არათავაზიანია, მოთამაშეა, ანუ, როგორც კელნერი ამბობს, „კარნავალურია“. ბოდრიარი თანამედროვე საზოგადოებას განიხილავს, როგორც სიკვდილის კულტურას, სადაც სიკვდილი „ყოველგვარი სოციალური გამორიცხვისა და დისკრიმინაციის სახეა“. სიკვდილზე აქცენტი ასევე სიცოცხლისა და სიკვდილის ბინარულ ოპოზიციას ასახავს. პირიქით, საზოგადოებები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სიმბოლური გაცვლა, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არსებულ ბინარულ ოპოზიციას ანადგურებენ (და ამის დახმარებით ასევე სპობენ გამორიცხვასა და დისკრიმინაციას, რომლებიც სიკვდილის კულტურას თან სდევს). სწორედ სიკვდილისა და გამორიცხვის შიში აიძულებს ადამიანებს, მოხმარების კულტურაში კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლონ.

სიმბოლური გაცვლის, როგორც თანამედროვე საზოგადოების უპირატესობის მქონე ალტერნატივის გაგება, ნელ-ნელა ბოდრიარს ძალიან პრიმიტიულ რაიმედ მოეჩვენა და, უკვე უპირატესობის მქონე ალტერნატივის სახით, მან ცდუნების განხილვა დაიწყო, შესაძლოა, იმიტომ, რომ ეს პოსტმოდერნიზმის წარმოქმნილ შეგრძნებას უფრო მეტად შეესატყვისებოდა. ცდუნება წმინდა მარტივი თამაშებით, ზედაპირული ადათებით, ჩვეულებებით მოხიბვლას გულისხმობს. ბოდრიარი გვთავაზობს ცდუნებას, რომელიც თავისი უსაზრისობით, თამაშით, ზედაპირულობით, „აბსურდულობით“ და ირაციონალურობით აღემატება სამყაროს, რომელშიც წარმოება ბატონობს.

საბოლოო ანგარიშით, ბოდრიარი გარდაუვალისა და აუცილებელის თეორიას გვთავაზობს. მაგალითად, თავის ერთ-ერთ გვიანდელ შრომაში სახელწოდებით „ამერიკა“ ის წერს, რომ ამ ქვეყანაში მოგზაურობისას მომავალი კატასტროფის დასრულებულ ფორმას ეძებდა. „აქ არ არის რევოლუციის იმედი, როგორც ეს მარქსთან იყო. აქ არ არის საზოგადოების რეფორმირების შესაძლებლობაც კი, რაზეც იმედს დიურკემი ამყარებდა. ამის საპირისპიროდ, ჩვენ განწირულნი ვართ, ასლებს შორის, ზერეალობაში (ჰიპერრეალობაში) და ყველა არსებულის მიუწვდომელ შავ ხვრელში შთანთქმის პირობებში ვიცხოვროთ. თუმცა ბოდრიარის შემოქმედებაში აგრეთვე ისეთი ბნელი ალტერნატივებიც შეინიშნება, როგორებიცაა სიმბოლური გაცვლა და ცდუნება, ჩვეულებრივ, იგი მათი ღირსებების დახასიათებას ან მათი განხორციელების პოლიტიკური პროგრამის ფორმულირებას გვერდს უქცევს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ. 551-552).

არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია, განსაკუთრებით, თავისი უფრო რადიკალური ვარიანტებით, სოციოლოგიური თეორიის არათანაშეზომილ ალტერნატივას წარმოადგენს. გარკვეული აზრით, მას თეორიად არც კი თვლიან, უკიდურეს შემთხვევაში იმ აზრით, როგორადაც ჩვენ ამ ტერმინს ჩვეულებრივ ვიყენებთ. სოციოლოგიური თეორიები სოციოლოგიაში არსებული ის „დიდი იდეებია", რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს, ან გვპირდებიან, რომ გაუძლებენ, როგორც თეორიულ შეხედულებათა სისტემები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ საკითხებს განიხილავენ და ფართო მასშტაბების მქონეა. ისეთი პოსტმოდერნისტის რადიკალური იდეები, როგორიც ბოდრიარია,ამ დეფინიციას სავსებით შეესაბამება. ბოდრიარი „დიდი იდეების" მთელ რიგს (მიბაძვა, ზერეალობა, სიმბოლური გაცვლა, ცდუნება) უპირობოდ წამოაყენებს. ესაა იდეები, რომლებიც გვპირდებიან, რომ სრულად გაუძლებენ დროის გამოცდას. ამის გვერდით, ბოდრიარი უმნიშვნელოვანეს სოციალურ პრობლემებს (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლი) უეჭველად განიხილავს. მისი იდეები თუ მთელ ამ სამყაროს არა, სოციალური სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს მაინც ეხებიან, ამგვარად, ბოდრიარი გვთავაზობს სოციოლოგიურ თეორიას და, თუ ასე შეიძლება ვილაპარაკოთ ბოდრიარის შესახებ, მაშინ, რასაკვირველია, ეს მტკიცება ჯეიმსონისა და სხვა უმრავლეს პოსტმოდერნისტთა მიმართაც სამართლიანია.

„პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის რეალური საფრთხე, ძირითადად და უმეტესად, მისი ფორმისაგან, ვიდრე შინაარსისაგან ამოდის. დიდი მონათხრობების-ნარატივების უარყოფით – პოსტმოდერნისტები იმ დიდ ნაწილსაც უარყოფენ, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, სოციოლოგიურ თეორიას ვუწოდებთ. ბოდრიარი და სხვა პოსტმოდერნისტები დიდ ნარატივებს არ გვთავაზობენ, ისინი უფრო იდეათა ისეთ ნაწყვეტებს და ფრაგმენტებს გვთავაზობენ, რომლებიც ხშირად ურთიერთდაპირისპირებულნი გვეჩვენებიან. თუ პოსტმოდერნისტები გაიმარჯვებენ, მაშინ მომავლის სოციოლოგიური თეორია დღევანდელობასთან შედარებით არსებითად შეიცვლება. მაშინაც კი, თუ ფორმა თითქმის გამოუცნობადი დარჩება, შინაარსი, მიუხედავად ამისა, სოციალური პრობლემების შესახებ მნიშვნელოვან, ფართო დიაპაზონის იდეებს მაინც შეინარჩუნებს. რასაც არ უნდა მოიცავდეს თავის თავში მომავალი, დღეს პოსტმოდერნისტული თეორიები არაჩვეულებრივად მრავალ მნიშვნელოვან მომხიბვლელ იდეებს ქმნიან. ამ იდეებისთვის ანგარიშის გაუწევლობა არ ეგების, და იმ ზომის შესაბამისად, რა ზომითაც ისინი სოციოლოგიაში ერთვებიან, შესაძლოა, სოციალოგიური თეორია რომელიმე ახალი, გაუთვალისწინებელი მიმართულებით წასწიონ..." (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002.გვ. 553.

3. პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის გამოყენება

როდესაც ჯ. რიტცერი მოხმარების ახალი საშუალებების შესახებ კვლევას შეეხო, ისინი, როგორც თანამედროვე მოვლენები აღწერა. პირველი – იმიტომ, რომ ესაა სიახლე და მეორე – იმიტომ, რომ იგი მეტისმეტად რაციონალიზებულია. მაგრამ რაციონალიზაციის მაღალი ხარისხი მათ არა მხოლოდ სხვადასხვა შესაძლებლობებს აძლევს, არამედ პრობლემებსაც ბადებს და სწორედ ამ კითხვებზე პასუხებში შეიძლება პოსტთანამედროვეობის სოციალური თეორიების, განსაკუთრებით, ჟან ბოდრიარის იდეების სარგებლიანობა დავინახოთ.

ამ სარგებლიანობის უკეთ დანახვის მიზნით, ჯ. რიტცერი ჩვენს ყურადღებას რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ, განსაკუთრებით, განჯადოების, განხიბლვის, პრობლემებს მიაპყრობს. მაქს ვებერის ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი იდეა ისაა, რომ რაციონალი-

ზაციის შედეგად დასავლური სამყარო სულ უფრო განიხიბლება, განჯადოვდება. განჯადოება აზროვნების მაგიური შემადგენლების გამოდევნას გულისხმობს. მაქს ვებერმა დაინახა, რომ ისტორიამ დატოვა მოჯადოებული წარსული და განჯადოებული მომავლის გზას დაადგა – ესაა გზა, მოგზაურობა, რომელიც ბუნებრივ სამყაროს მაგიურ თვისებებს და აგრეთვე საზრისისეულ პლასტებსაც თანდათანობით ართმევს. იგი თვლიდა, რომ მსოფლიოში მეცნიერებისა და ბიუროკრატიული სოციალური ორგანიზაციის დაუდგრომელი განვითარების შესაბამისად, განჯადოება ჩვენი კულტურის ინსტიტუციონალური ცენტრებისგან სულ უფრო შორსა და შორს გადაიწევს. ბოლომდე მიყვანილი, ეს პროცესი ცხოვრებას ისეთ თხრობად აქცევს, რომელიც დამოუკიდებლად იმისგან, გადმოიცემა იდიოტების მიერ თუ არა, არაფერს აღნიშნავს, ვინაიდან იგი საზრისისაგან დაცლილია .

განჯადოება მოხმარების ახალი საშუალებების წინაშე სერიოზულ პრობლემებს აყენებს. განჯადოების ატმოსფერო არცთუ ისე მიმზიდველია მომხმარებელთათვის და, საეჭვოა, ისინი ასეთ ადგილებს კვლავ და კვლავ დაუბრუნდნენ. ამის შედეგად, მოხმარების ახალ საშუალებებს აუცილებლად ესაჭიროება რაღაცნაირი წესი თუ საშუალება, რათა თავიანთ თავს ხიბლი და მაგიურობა ხელახლა მიანიჭონ. განახლებული მაგიურობის, ხიბლის ცნებას პოსტმოდერნისტულ სოციალურ თეორიასთან მივყავართ, რამდენადაც პოსტმოდერნისტები ამ პროცესს ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებენ:

„პოსტთანამედროვეობას... სამყაროს „განახლებული მოჯადოება“ მოჰყვება თან, განჯადოების წინააღმდეგ მოდერნის მდუღარე და გაჯანჯლებული, საბოლოო ანგარიშით, გაუბედავი ბრძოლის კვალად (ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განჯადოების მიმართ წინააღმდეგობის კვალად, რომელიც მოდერნის სხეულში მუდამ „პოსტმოდერნული ეკალი“ იყო). ადამიანური სპონტანურობის, მიდრეკილებების, მისწრაფებების იმპულსების მიმართ საეჭვო დამოკიდებულება, იმპულსების, რომლებიც წინაწარმეტყველებადობას და რაციონალურზე დაფუძნებადობას ეწინააღმდეგებოდნენ, თითქმის მთლიანად უემოციო, მოანგარიშე გონების მიმართ ეჭვიანი დამოკიდებულებით შეიცვალა. ღირსება კვლავ დაუბრუნდა ემოციებს; „აუხსნელს“, „მიუწვდომელს“, თვით ირაციონალურსაც კი დაუბრუნდა კანონიერება... პოსტთანამედროვე სამყაროში საიდუმლოება (იდუმალება) უკვე აღარ არის უცხოელთა გაძევების შესახებ განკარგულების მარტივი მოლოდინი... ჩვენ ვსწავლობთ ისეთ ხდომილებებსა და ქმედებებს შორის ცხოვრებას, რომლებიც ჯერ კიდევ აუხსნელია (იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ ვიცით იმის შესახებ, რომ ოდესღაც ეს გვეცოდინება), აუხსნელი და მიუწვდომელია. ჩვენ კვლავ ვსწავლობთ ორაზროვნებისადმი თაყვანისცემით მოპყრობას, ადამიანური ემოციებისადმი პატივისცემას, ისეთი ქცევების დაფასებას, რომლებიც ყოველგვარი მიზნისა და გამოთვლადი სარგებლის გარეშე სრულდება და ხდება“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ.554).

მაგალითად, ბოდრიარი ამტკიცებს, რომ ზემოთ აღწერილი „ცდუნება“ საშუალებას გვაძლევს, ჩვენს ცხოვრებაში მოჯადოება და მაგიურობა დავაბრუნოთ. მოდერნთან ასოცირებული სრული სიცხადის და გამჭირვალობისაგან განსხვავებით, ცდუნება ჩვენ „ილუზიების ძალაუფლებას და თამაშს“ გვთავაზობს. განახლებული მოჯადოება იმ დილემიდან გამოსასვლელს გვაძლევს, რომელიც მთლიანობაში – სამყაროს განჯადოებით და, კერძოდ, მოხმარების საშუალებების მიერ შეიქმნა. იმისათვის, რათა მომხმარებელთა მიზიდვა, გაკონტროლება და ექსპლოტაცია კვლავაც გააგრძელოს, მოხმარების ტაძრები მოჯადოების განახლების უწყვეტ პროცესში ებმებიან.

მოხმარების საშუალებებისთვის მოჯადოებისა და ხიბლის დაბრუნებაში საკვანძო მნიშვნელობა სპექტაკლს აქვს. ჩვეულებრივ სპექტაკლს, როგორც საჯარო დრამატულ

წარმოდგენას განსაზღვრავენ. ამ შემთხვევაში ეს წარმოდგენები მოხმარების ახალ საშუალებებისთვის ხიბლის და მაგიურობის დაუბრუნებაზე არიან ორიენტირებულნი. სპექტაკლები შეიძლება წინასწარ განზრახვით, დაგეგმილად გაიმართოს, მოეწყოს, ანდა სავსებით შესაძლებელია, მთლიანად დაუგეგმავი იყოს. ჩვენ შევჩერდებით სანახაობათა ბოლო სახეზე და განსაკუთრებულ ყურადღებას მიბაძვისა და შეკუმშვა-შემჭიდროების ზემოთ აღწერილ პოსტთანამედროვე პროცესებთან მათ კავშირს მივაქცევთ.

მიბაძვის, იმიტაციების შექმნის უმნიშვნელოვანესი მიზეზი, ან „რეალური“ მოვლენების მიბაძვად გადაქცევის ძირითადი მიზეზი, შესაძლოა ის ფაქტი იყოს, რომ ისინი უფრო სანახაობრივ რაიმედ ვაქციოთ, ვიდრე მათი ორიგინალებითაა შესაძლებელი და, მაშასადამე, მომხმარებლებისათვის დიდ საცდუნებელ რაიმედ ვაქციოთ. მაგალითად, ლას ვეგასი ავიღოთ: ის მოდელირებულ სპექტაკლებს შორის პირველი იყო, ვინაიდან ერთ ადგილზე მრავალი ხელოვნური სცენა შექმნა. კიდევ სად შეძლებთ თქვენ ნიუ-იორკი, მონტე-კარლო, ბელაჯო, ვენეცია და პარიზი ერთმანეთისაგან რამდენიმე წუთის სავალ მანძილზე აღმოაჩინოთ? თვით მაშინაც კი, თუ თქვენ გაემგზავრებით ერთ-ერთ ამ ნამდვილ ქალაქში, თქვენ მხოლოდ ამ ქალაქის გაცნობას შეძლებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ქალაქებში ტურისტული რაიონები თავად იქცნენ იმიტაციად.

ლას-ვეგასის სასტუმრო-კაზინოებმა გამარჯვება რეალურსა და არარეალურს შორის ზღვარზე მოიპოვეს. ბელაჯო – ეს იტალიის იმავე სახელწოდების რეგიონის იმიტაციაა, მაგრამ იგი ასევე 260 მილიონი დოლარის ღირებულების სახვითი ხელოვნების ორიგინალურ ქმნილებებს – ისეთ ხელოვანთა ტილოებს, როგორებიცაა რენუარი, სეზანი და პიკასო – მოიცავს. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც გაიხსნა ბელაჯო, ოტელ-კაზინო „რიომ“ თავის დარბაზებში მთელი ნახევარი წლის მანძილზე რუსეთის რომანოვთა დინასტიის საგანძური გამოფინა. ექსპონატებს შორის პეტრე დიდის სამეფო ტახტი და ფაბერჟეს მიერ შექმნილი კალმისტარი იყო, რომლითაც ნიკოლოზ მეორემ 1917 წელს ტახტიდან გადადგომას ხელი მოაწერა. ეს „ნამდვილი“ საგნები ზუსტი ასლების სახით ინახება რუსეთის სამეფო გალერეებში, მათ შორის – „,ხელოვნური მასალისაგან შექმნილი ნეოგოთიკური ჭერის ასლიც“. ოტელ „ლუქსორში“ მეფე ტოტის საფლავი „მუზეუმად“ იწოდება, თუმცა მასში ყველა ექსპონატი ასლია. მაგრამ სუვენირების გასაყიდ ფარდულებში „ნამდვილი ძველი მონეტები, XVIII ს-ის ეგვიპტური გრავიურები, ზეთოვანი ლამპები და სხვები“ იყიდება, როგორც ერთმა კრიტიკოსმა თქვა, „მუზეუმში ყველაფერი ნაყალბევი იყო, სუვენირების ჯიხურში კი ნამდვილი ნივთები იყიდებოდა. სულ ეს იყო ჩემთვის ლას-ვეგასი“ (1998).

„ჰაქსტებლი, უმბერტო ეკოს (და ბოდრიარის) კვალად, ამტკიცებს, რომ „არარეალური რეალურად იქცა – რეალური ახლა იმიტაციის იმიტირებას ეწევა“. მაგალითად, დისნეის ცხადად ხელოვნური და არარეალური სამყარო არა მხოლოდ დღესასწაულის დისნეისეული ქალაქის ნიმუშად, არამედ აშშ-ის მრავალი რაიონის ნიმუშად იქცა. პოპულარული ქალაქების მაგალითის სახით, სადაც პატარა ქალაქების სუროგატული ამერიკის შეექმნის მცდელობას ჰქონდა ადგილი, და რომელთა შორის პირველი ადგილი დისნეის სამყაროს უკავია, შეიძლება სისაიდი – ფლორიდის შტატში, ხოლო კენტლანტსი მერილენდის შტატში დავასახელოთ. ჰახსტებლი აქცენტს განსაკუთრებით სუროგატული, ხელოვნური, სინთეტიკური, ყალბი არქიტექტურის მზარდ როლზე ამახვილებს: „ნამდვილი არქიტექტურა არანამდვილ ამერიკაში არცთუ ისე შესაფერისი და დროულია“ (ციტ: Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. გვ.555).

ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში (ამერიკაში. ა.ბ.) უპირატესობას გართობებსა და გამახალისებელი პარკების მიბაძვას ანიჭებენ. მოცემული სიტუაციის არქიტექტურული მოდელის სახით ჰაქსტებლს-კაზინო „ნიუ-იორკი“ და, საზოგადოდ, ლას-ვეგასი მოჰყავს.

„ნამდვილი ყალბისმქნელობა ისეთ ადგილებში, როგორიც ლას-ვეგასია, თავის აპოგეას აღწევს“... ამ ნაყალბევებმა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი, აგრეთვე, ცხოვრების განსაზღვრული სტილი შექმნეს, რათა რეალობად ქცეულიყვნენ. რეალობა, ილუზიისა და გამოგონების ყველაზე მაღალ, ყველაზე მყვირალა და ყველაზე ნამდვილ ყალბ დონეზე, რეალური ნაყალბევია. ჰაქსტებლი ამტკიცებს, რომ დამთვალიერებლები, როგორც ჩანს, ხელოვნურ ტროპიკულ ტყეს, ვულკანებს, მთებს და მათ მსგავს ნივთებს ლას-ვეგასში გაცილებით უფრო შთამბეჭდავ რაიმედ, ვიდრე თავად რეალობას თვლიან. ფაქტობრივად, მრეწველობის წარმომადგენელი თვით რეალობის წინააღმდეგაც კი გამოდის: „ნამდვილი კლდე თქვენში ხელოვნურის შთაბეჭდილებას დატოვებს“.

ჯ. რიტცერი სოციალურის შეკუმშვის (შემჭიდროება) პრობლემით ინტერესდება. შეკუმშულ-შემჭიდროებული სამყაროები, რომელიღაც სპექტაკლს წარმოადგენენ, რომელიც მომხმარებლებს იზიდავს და მათ მოხმარებას წარმართავს. უბრალოდ გასაოცარია, აღმოაჩინო ისეთი ურთიერთგამჭოლი სიტუაციები და საქმიანობები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინათ ერთმანეთისაგან მკვეთრად იყვნენ გამიჯნული. სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადასულიყვნენ, რათა სხვადასხვა საქონელი შეეძინათ თუ მომსახურეობა მიეღოთ. ახლა კი ყველა ეს მრავალსახეობა მათ ერთ დიდ უნივერმაღში შეუძლიათ იპოვონ. ანალოგიურად, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, თუ ადამიანს აზარტული თამაში მოესურვებოდა, იგი ლას-ვეგასში მიემგზავრებოდა, ხოლო თუ თემატური გამახალისებელი პარკის მონახულებას მოისურვებდა, მაშინ ორლანდოში (ან ანჰაიმში) მიდიოდა. დღეს კი შეიძლება მიხვიდეთ, მაგალითად, ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ-გრანდსა“ ან „სერკერ-სერკერსში“ და თქვენ ოტელის ტერიტორიაზე კაზინოსეულ და გამახალისებელ პარკსაც კი იპოვით. შეიძლება სწრაფი კვების რესტორანიც ჰქონდეთ. სიეტლში „არ-ი-აი“ არა მხოლოდ ალპინიზმისათვის საჭირო ფეხსაცმელს გთავაზობთ, არამედ მთასაც კი, რომელზეც თქვენ წავარჯიშებას შეძლებთ. ამგვარად, მოხმარების ახალი საშუალებების კიდევ ერთი ეფექტური და აღტაცებაში მომყვანი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ მათში ასე მრავალი განსხვავებული რაღაცებია კონცენტრირებული, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ასევე, სხვა მოვარაყებული თუ ჩარჩოში ჩასმული სიმრავლეებით წარმოგვიდგებიან.

ლას-ვეგაში მომხდარი ცვლილებები ტურიზმსა და მოხმარებას შორის საზღვრების მოშლის უფრო ზოგად პროცესთანაა დაკავშირებული. მოგზაურობა, უპირობოდ, მუდამ ტურისტული ღონისძიებებისა და ღირშესანიშნაობების მოხმარებას გულისხმობდა. ამავე დროს, ტურისტებს, ჩვეულებრივ, ყველა შესაძლებელ ნივთთა – ბრელოკებიდან ნადავლამდე – შეძენა აინტერესებდათ. მაგრამ დღეს ჩვენ სულ უფრო მეტ შემთხვევას ვხედავთ, როდესაც მოგზაურობის მთავარი მიზანი საქონლის მოხმარება ხდება; დავიწყოთ იმისაგან, რომ მეგაუნივერმაღები ტურისტულ მიმართულებებად გარდაიქმნენ. შვებულების მეგაუნივერმაღში გატარების მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ადამიანი იქ თავისთვის რაღაცას მაინც იპოვის: „იქ არის აკვაპარკები, ამერიკული რაფები, ბავშვთა გასართობი პარკები, მაღაზიები, რესტორნები და ბარები მოზრდილი და უფროსი ასაკის ადამიანებისათვის. ასეთი შერწყმულობა ძალიან ეფექტურია და მოგზაურს ძლიერ იზიდავს. ავიაკომპანიები დღისით-მზისით მოგზაურობას «Мол оф Америка»-მდე გვთავაზობენ; საავტომობილო კომპანიები – შოპ-ტურებს, სადაც შეიძლება უნივერმაღის მრავალჯერადი მონახულება და სასურველი საქონლის თუ ნივთის შეძენის შესაძლებლობა შედიოდეს. «Мол оф Америка»-ში 1995 წელს 12 მილიონი ტურისტი ჩავიდა, რაც მეტია, ვიდრე უოლტ დისნეის სამყაროს, გრადკანიონის და გრეისლანდის დამთვალიერებელთა რაოდენობა ერთად აღებული. კანადაში უდიდეს ტურისტულ ღირშესანიშნაო-

ბას არა ნიაგარას ჩანჩქერი, არამედ უნივერმაღი „ედმონტონ მოლი“ წარმოადგენს. „პოტომაკ მილზი“, რომელიც ვაშინგტონის გარეუბანშია, 1995 წელს 4,5 მილიონმა დამთვალიერებელმა მოინახულა. შედარებისათვის: 4 მილიონი არლინგტონის ნაციონალურ სასაფლაოს ეწვია, 2,5 მილიონმა დაათვალიერა კოლონიური უილიამსბურგი და მხოლოდ ერთი მილიონი ეწვია მაუნტ ვერნონს. „ფრანკლინ მილლზმა“ ფილადელფიის გარეუბანში 1995 წელს 6 მილიონი დამთვალიერებელი მოიზიდა, რაც 4-ჯერ მეტია, ვიდრე ლიბერტ ბელის დამთვალიერებელთა რაოდენობა. „ნაიკტაუნი“ – ჩიკაგოს უდიდესი ტურისტული ღირშესანიშნაობაა. ტურისტების მიერ დათვალიერებული მრავალი ადგილი გარს საცალო თუ საბითუმო უნივერმაღებითაა შემოსარტყლული, რომლებიც არა მხოლოდ მცირე ბიზნესის, არამედ ტურისტული ინდუსტრიის ყველაზე სწრაფად მზარდ სეგმენტებად ყალიბდებიან. ადამიანებს თითქმის იმდენადვე აქვთ სურვილი და მიდრეკილება, იმოგზაურონ ამ ადგილებში უნივერმაღების გამო, რამდენადაც ზღვის ან სუფთა ჰაერის მონახულების გამო. სინამდვილეში, ხშირად გვეჩვენება, თითქოს უნივერმაღებში თითქმის იმდენივე ხალხია, რამდენიც პლიაჟზე“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. с.556).

ამ კონტექსტში რიტცერი საკრუიზო ლაინერებსაც იხსენებს, რომლებსაც, რაც არ უნდა გასაკვირი და არასიმართლის მსგავსი იყოს, ბორტებზე აქვთ უნივერმაღები და უფრო მეტს ვაჭრობენ, ვიდრე რომელიმე დასათვალიერებელ ადგილზე ადგილობრივი უნივერმაღები; არსებობს ისეთი კრუიზებიც კი, რომლებიც მთლიანად საყიდლებს, სადაც ძირითადი ყურადღება ექცევა საბორტო მაღაზიებს, კატალოგებს და ცალკეულ პორტებში არსებულ მაღაზიებში შერბენას ეძღვნება.

მიუხედავად მიმზიდველობის დაბრუნების ამგვარი მცდელობებისა, მოხმარების ახალი საშუალებები მაინც ეჯახებიან დილემას. პრობლემა ისაა, რომ „მოხიბვლა-მოჯადოების განახლების ეს მცდელობანი დასაწყისიდანვე შეიძლება რაციონალიზებულ ან მაკდონალდიზებულ იქნეს. თვით მაშინაც კი, როდესაც ამგვარი რამ არ ხდება, ხშირად, მოხმარების ახალი საშუალებები თავის თავში მოიცავენ სიტუაციათა ისეთ რაოდენობას, რომ იძულებულნი არიან იმ ასპექტების რაციონალიზაციას მიმართონ, რომლებიც მომხმარებლებს იზიდავს, ხოლო მოჯადოება-მოხიბვლის ამ ფორმების რაციონალიზაციის პროცესში ისინი, როგორც წესი, მათ განჯადოებას და განხიბლვას ახდენენ. შესაძლებელია კი, რომ მოჯადოება-მოხიბვლის განახლების რაციონალიზებული ფორმები, დარჩნენ მომხმარებლებისათვის შთამბეჭდავ და მომზიდველ რაიმედ? ძალუძთ კი მოხმარების ტაძრებს, განახლებული მოჯადოების-მოხიბვლის ახალ, არარაციონალიზებულ ფორმებს უწყვეტად ქმნიდნენ? დრო გვიჩვენებს, მაგრამ ახლა ნათელია, რომ მოხმარების ახალი საშუალებები თავისი არსით წინააღმდეგობრივია, რაც, საბოლოო ანგარიშით, მათი დაღუპვით შეიძლება დასრულდეს“ (Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, Питер, 2002 с.556).

4. კრიტიკა და პოსტმოდერნისტული თეორია

პოსტსტრუქტურალისტური და პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიების განხილვა, ჩვეულებრივ, ცხარე კამათს იწვევს. მათი კრიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს ი. ჰაბერმასის შეხედულებების ანალიზისას გავეცანით. ამ თეორიების მომხრეები ხშირად ცხადად ადიდებენ მათ, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგენი ამ თეორიებს უსაზრისო გამძაფრებად თვლიან. ზოგი „პოსტმოდერნიზმის სიგიჟის“ შესახებ წერს. მათი აზრით, პოსტმოდერნიზმი „აბსურდის უზარმაზარ უიმედო ზეცას აღებს და გონების უკვე გამქრალ გაელ-

ვებას“ წარმოადგენს. მოდით, გვერდზე გადავდოთ რადიკალური რიტორიკა და პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის კრიტიკის მთავარი ასპექტები განვიხილოთ:

1. პოსტმოდერნისტულ თეორიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მას უნარი არ აქვს, მოდერნის იმ მეცნიერულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს, რომლებსაც პოსტმოდერნისტები თავს არიდებენ. მეცნიერულად ორიენტირებული მოდერნისტის თვალსაზრისით, შეუძლებელია გავიგოთ, სწორია თუ არა პოსტმოდერნისტების მტკიცებულებები. უფრო ფორმალურად თუ ვიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ლაპარაკობენ პოსტმოდერნისტები, მოდერნისტების მიერ ფასდება, როგორც არაფალსიფიცირებადი, ე.ი. მათი იდეების უკუგდება შეუძლებელია, განსაკუთრებით, ემპირიული გამოკვლევების დახმარებით. ეს კრიტიკა გულისხმობს მეცნიერული მოდელის არსებობას, რეალობის არსებობას, ჭეშმარიტების არსებობას და ძიებას. ბუნებრივია, სწორედ ეს დაშვებებია უარყოფილი პოსტმოდერნისტების მიერ.

2. რამდენადაც ის ცოდნა, რომელიც პოსტმოდერნისტების მიერ იქმნება, არ შეიძლება მეცნიერული იდეების ერთობლიობად ჩაითვალოს, ამდენად უმჯობესი იქნება, თუ მას იდეოლოგიის სახით განვიხილავთ. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მას, მაშინ საკითხავი ის კი არ იქნება, სწორია თუ არა ეს იდეები, არამედ მხოლოდ ის, ვენდობით თუ არა მას ჩვენ. იმათ, ვისაც სწამს გარკვეული იდეები, არ აქვთ საფუძველი ამტკიცონ, რომ მათ მიერ გაზიარებული იდეები ნებისმიერი სხვა მიმართულების იდეებზე რაღაცით უკეთესი ან ცუდია.

3. რამდენადაც პოსტმოდერნისტებს მეცნიერული ნორმები ვერ აკავებს, ისინი თავისუფალნი არიან, იმოქმედონ საკუთარი სურვილების მიხედვით, იდეების ფართო დიაპაზონთან „ითამაშონ“. ისინი გვთავაზობენ ფართო განზოგადებებს, ხშირად, უცილობელ შეზღუდვათა გარეშე. გარდა ამისა, გამოხატავენ არა თავიანთ პოზიციას – პოსტმოდერნისტული სოციალური თეორეტიკოსები მოდერნისტი მეცნიერის მიუდგომელი და ობიექტური რიტორიკით არ იზღუდებიან. პოსტმოდერნისტული დისკურსის მნიშვნელოვანი წილის მოჭარბებული ხასიათი მისი ძირითადი პრინციპების მიღებას სხვა პოზიციებზე მდგომი ადამიანისათვის შეუძლებელს ხდის.

4. პოსტმოდერნისტული იდეები ხშირად იმდენად განუსაზღვრელ და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებენ, რომ მათი კავშირის დადგენა სოციალურ სამყაროსთან ძნელია, ხოლო ზოგჯერ – სავსებით შეუძლებელი. გარდა ამისა, ცნებათა მნიშვნელობას ტენდენცია აქვს, პოსტმოდერნისტების შრომათა ჩარჩოებშივე შეიცვალოს, ხოლო მკითხველს, რომელსაც ეჭვიც კი არ შეაქვს ამოსავალ მნიშვნელობებში, არ ძალუძს, რაიმე ცვლილება ნათლად გაიაზრებიროს.

5. მიუხედავად მოდერნის თეორეტიკოსების მიერ შექმნილი დიდი ნარატივების კრიტიკისადმი თავიანთი მიდრეკილებებისა, პოსტმოდერნისტული სოციალური თეორეტიკოსები ხშირად ამგვარ ნარატივთა (თხრობათა) საკუთარ ვერსიებს გვთავაზობენ. მაგალითად, ჯეიმსონს ხშირად მარქსისტული მიმართვების დიდი ნარატივებისა და ტოტალიზაციების გამოყენების გამო აკრიტიკებენ.

6. თავიანთ შრომებში პოსტმოდერნისტული სოციალური თეორეტიკოსები ხშირად აკრიტიკებენ მოდერნის საზოგადოებას, მაგრამ ეს კრიტიკა საეჭვო დასაბუთებულობას ფლობს, რამდენადაც, ჩვეულებრივ, მათ არ აქვთ ნორმატიული ფუნდამენტი ასეთი მსჯელობებისთვის.

7. სუბიექტისა და სუბიექტურობის მნიშვნელობის უარყოფის შედეგად, პოსტმოდერნისტები საქმიანობა-მოქმედების თეორიებს ხშირად ვერ აყალიბებენ და ვერ ქმნიან.

8. პოსტმოდერნის სოციალურ თეორეტიკოსებს ბადალი არ ჰყავთ საზოგადოების კრიტიკაში, მაგრამ მათ უმცირესი წარმოდგენაც კი არ აქვთ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება.

9. პოსტმოდერნისტულ სოციალურ თეორიას აბსოლუტურ პესიმიზმთან მივყავართ.

10. თუმცა პოსტმოდერნისტი სოციალური თეორეტიკოსები ებრძვიან იმას, რასაც ისინი ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებად თვლიან, ამავე დროს, ისინი ხშირად ახდენენ იმ მოვლენების იგნორირებას, რომლებიც მრავალთა მიერ ჩვენი დროისა თუ ეპოქის საკვანძო მნიშვნელობის პრობლემებად განიხილებიან.

11. თუმცა ფემინისტთა შორის შეიძლება ვიპოვოთ პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის მომხრეები, მაგრამ ისინი, ამავე დროს, მისი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები არიან. ფემინისტები, როგორც წესი, კრიტიკულად ეხებიან პოსტმოდერნისტების მიერ სუბიექტის როლის უარყოფას, ასევე, უნივერსალური, ზოგადკულტურული კატეგორიების (ისეთების, როგორიცაა გენდერი და გენდერული ჩაგვრა) მიუღებლობას, მათ გადაჭარბებულ ყურადღებას განსხვავებებისადმი, ჭეშმარიტების უარყოფას და მოქმედებათა კრიტიკული პოლიტიკური პროგრამის შემუშავების შეუძლებლობას.

მრავალი სხვა კრიტიკული არგუმენტიც არსებობს, მაგრამ, როგორც რიტცერიც აღნიშნავს, ზემოთ ჩამოთვლილნი საკმარისია იმისათვის, რათა საკმარისი წარმოდგენა შეგვექმნას ამ კრიტიკის დიაპაზონის შესახებ. მიუხედავად ამ მრავალგვარი კრიტიკისა, ცენტრალური საკითხი ისაა, ვიკითხოთ – შექმნა თუ არა პოსტმოდერნისტულმა თეორიამ საინტერესო და მნიშვნელოვანი იდეები, რომლებსაც ძალუძთ, მრავალი წლის მანძილზე სოციალურ თეორიაზე გავლენა იქონიონ? ასეთი იდეები კი მრავლადაა.

საკითხავი მასალა:

Жан Бодрийяр. Экстаз коммуникации.
Jean Baudrillard. Ecstasy of Communication // The Anti-Aesthetic. Essays on Postmodern Culture / Ed. H. Foster. Port Townsend: Bay Press, 1983. P. 126-133. (Tr. John Johnston).

ჟან ბოდრიარი – კომუნიკაციის ექსტაზი

{126} ობიექტების რაღაც სისტემები მეტად აღარ არსებობს. ჩემს პირველ წიგნში ობიექტის, როგორც ცხადი ფაქტის, სუბსტანციის, რეალობის, სახმარი ღირებულების კრიტიკა იყო მოცემული (Le System des objects. Paris: Gallimard, 1968). იქ ობიექტი აღქმული იყო, როგორც ნიშანი, ნიშანი, რომელიც ჯერ კიდევ იყო დატვირთული საზრისით. ამ კრიტიკაში ორი პრინციპული ლოგიკაა ერთმანეთში აღრეული, კერძოდ, ფანტასტიკური ლოგიკა, რომელიც ფსიქოანალიზის პრინციპიდან გამომდინარეობს – მისი ინდენტურობა, პროეცირება, პროგნოზირება და ტრანსცენდენტურის მთელი წარმოსახვითი რეალობა. ძალაუფლება და სექსუალობა ნივთებისა და გარემოს დონეზე ოპერირებს, სადაც საშინაო/სატრანსპორტო საწყისს(ბუნებრივი/ტრანსცენდენტური) და განსხვავებების სოციალურ ლოგიკას, რომელმაც განსხვავება აღნიშნა და სოციოლოგიის ანთროპოლოგიისაგან წარმოშობაზე მიუთითა (მომხმარებლობა, როგორც პროდუქტიულობის ნიშანი,

განსხვავებები, სტატუსი და პრესტიჟი). ამ თითქოსდა აღწერითი და ანალიტიკური ლოგიკის მიღმა იყო ოცნება სიმბოლოთა გაცვლაზე და გამოყენებაზე, უფრო მაღალზე, ვიდრე მისი ღირებულება და ეკვივალენტურობა იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ საუბარია მომხმარებლობის მსხვერპლშეწირვით ლოგიკაზე, მაგალითად, საჩუქარი, დანახარჯი, სიმდიდრისა და პრესტიჟის სიმბოლოები და მისი ნაწილები.

გარკვეული აზრით, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არსებობს, და მაინც, დანარჩენში ეს უკვე ქრება. მთელი ამ საოცარი – პროექტირებული, წარმოსახული და სიმბოლური – უნივერსუმის აღწერა ობიექტის, როგორც სუბიექტის სარკის სტატუსს ჯერ კიდევ შეესაბამებოდა და იგიც, თავის მხრივ, „სარკისა“ და სცენის წარმოსახულ სიღრმეებს შეესაბამებოდა: არსებობს საშინაო სცენა, შინაგანის სცენა, პრივატული სივრცე-დრო (რომელიც, გარდა ამისა, კორელაციაშია საჯარო სივრცესთან). სუბიექტ-ობიექტის და საჯარო-პრივატულ/პირადის ოპოზიციები ჯერ კიდევ მნიშვნელობის მქონენი იყვნენ. ეს ყოველდღიური ცხოვრების აღმოჩენისა და კვლევის ერა იყო, ეს სხვა სცენაა, რომელიც ისტორიული სცენის ჩრდილში გაჩნდა, სადაც პირველი – როგორც უფრო სიმბოლურად სავსე, მაშინ, როდესაც უკანასკნელი პოლიტიკურად ცარიელი აღიქმებოდა.

მაგრამ დღეს სცენა და სარკე მეტად აღარ არსებობს; მათ ნაცვლად ეკრანი და ქსელი გაჩნდა. სარკისა და სცენის ასახული ტრანსცენდენტურობის ნაცვლად, რაღაც აუსახველი/გამოუსახველი იმანენტური ზედაპირი არსებობს, რომელზეც ოპერაციები თამაშდება – კომუნიკაციის სწორი/გლუვი ოპერაციონალური ზედაპირი არსებობს.

რაღაც შეიცვალა და წარმოებისა და მოხმარების ფაუსტურმა, პრომეთესეულმა(შესაძლოა ოიდიპოსისეულმა) წარმოებამ ადგილი შეერთებების, კონკურენციების, შეხებების, უკუკავშირების და საყოველთაო ინტერფეისის ერას დაუთმო, რომელიც მთელ სამყაროსეულ კომუნიკაციებთან ერთად მოდის. სატელევიზიო გამოსახულების მეშვეობით – ტელევიზია კი ამ ახალ ერაში უკიდურესად სრულყოფილი ობიექტი აღმოჩნდება – ჩვენი საკუთარი სხეული და მთელი გარემომცველი სამყარო რომელიღაც მაკონტროლებელი ეკრანი ხდება.

თუ დავფიქრდებით, მაშინ ადამიანები მეტად აღარ ახდენენ თავიანთი თავის საკუთარ ობიექტებზე პროეცირებას, არ ეწევიან თავიანთი აფექტების და წარმოდგენების, თავიანთი ფანტაზიების პროეცირებას იმის შესახებ, რათა ფლობდნენ მას; ასევე, თავისი დანაკარგების, სევდის, შურის პროეცირებას: ამ აზრით, ფსიქოლოგიური განზომილება გაქრა და, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება მუდმივად წვრილმანებში იქნეს განთავსებული, იგრძნობა, რომ იგი არარეალურია, რომ ნივთები გაფრინდნენ. როლან ბარტმა ეს რამდენიმე წლის წინ ავტომობილთან მიმართებაში უკვე მიუთითა: ნელ-ნელა „ტარების“ ლოგიკამ ფლობისა და პროცესების ლოგიკა გამოდევნა. მეტად აღარ არსებობს თავად ობიექტებთან დაკავშირებული ძალაუფლების, სიჩქარისა და მითვისების შესახებ ფანტაზიები, მაგრამ მათ ნაცვლად, გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების ტაქტიკა არსებობს: ბატონობა და კონტროლი და ბრძანება, შესაძლებლობათა თამაშის რომელიღაც ოპტიმიზაცია, გამონვეული მანქანით, როგორც გადაადგილებისა და მიმოსვლის საშუალების, მაგრამ უკვე არა როგორც ფსიქიკური თავშესაფრის ობიექტის მიერ. თვითონ სუბიექტი, უეცრად შეცვლილი, ბორბლებზე შემდგარ კომპიუტერად და არა მათრობელა ძალაუფლების დემიურგად იქცა. აქედან მოყოლებული, მიმოსვლის საშუალებები განსხვავებული სახის კაფსულა ხდება, მისი ხელსაწყოების დაფა – ტვინად, გარემომცველი ლანდშაფტი კი ტელეკრანზე სურათის მსგავსად იშლება/ჩნდება(ნაცვლად იმისა, რომ აღკაზმულობაში სიცოცხლე ყოფილიყო, როგორც ეს ადრე იყო/არსებობდა).

ჩვენ შეგვიძლია ასევე წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტომობილი ჯერ კიდევ ტრანსპორტის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ის ინფორმაცი-

ულ ქსელად გარდაიქცევა. ცნობილი ბრენდის იაპონური ავტომობილი „სპონტანურად“ გვაწვდის ინფორმაციას მისი და მესაკუთრის საერთო მდგომარეობის შესახებ და შესაძლოა უარიც კი თქვას ფუნქციონირებაზე, თუ ის არ არის სათანადო დონეზე. ავტომობილი გამიზნულად გვაწვდის ინფორმაციას პატრნიორობასა და მისი მფლობელის ცხოვრების წესის შესახებ. ამ ეტაპზე ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ავტომობილთან კომუნიკაცია, რაც სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული დაუსრულებელი ტესტის სახით გვევლინება.

ასევე ადვილი შესამჩნევია, რომ ამ ეტაპზე ავტომობილის სიჩქარე არ არის არსებითი მნიშვნელობის მატარებელი, არც ინდივიდუალური ან სოციალური ტიპის კონკურენცია და პრესტიჟი. გარდა ამისა, გარკვეული დროის შემდეგ ავტომობილი იწყებს დესაკრალიზაციას, ანუ ჩვენ უფრო დიდ დროს ვუთმობთ მის მართვას და მოვიხმართ ნაკლებს. ეს ეკოლოგიური იდეაა, რომელიც ყველა დონზე არსებობს, ანუ ხარჯვის, მოხმარებისა და შესრულების ნაცვლად ჩნდება რეგულაცია, ფუნქციონირება და სოლიდარობა ერთი სისტემის ყველა ელემენტს შორის. ამას, რათქმა უნდა, თან ახლავს კონტროლი და გლობალური მართვა (თითოული სისტემა გარკვეულ ეკოლოგიურ იდეას შეიცავს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს შორის კომუნიკაციისა და კავშირების არსებობა და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძოდ, საიდუმლომ და ერთმანეთზე თავდასხმამ შესაძლოა კატასტროფული შედეგი გამოიწვიოს).

პრივატული „ტელემატიკები“ (შორ მანძილზე ციფრული ინფორმაციის გადაცემა) – ადამიანს მიაჩნია, რომ ის სრულიად აკონტროლებს ამ ჰიპოთეზურ ავტომობილს, სინამდვილეში, ის იზოლირებულია და დაშორებულია მისი სუვერენულობის და წარმოშობის წყაროსაგან, რაც, შეიძლება ითქვას, რომ ორიბიტალურ ხოლმალდზე მყოფ ასტრონავტს გვაგონებს, რადგან ხომალდი იცვას მას, მშვიდობიანად დაეშვას დედამიწაზე.

ამის გაცნობიერება იმ სატელიტისათვის, რომელიც არსებობს ჩვეულ სივრცეში, კორესპონდირდება რეალობის სატელიზაციით, ანუ ის, რასაც მე (ბოდრიარი) სიმულაციის ჰიპერრეალიზმს ვუწოდებ. რეალური ბუნებისაგან დაშორება მეტაფიზიკის დასასრულს ნიშნავს. ახლა ჰიპერრეალობის ერა იწყება. ბოდრიარი ამაში გულისხმობს: მომავლის ჩვეული ფსიქოლოგიური და მენტალური პროექტი დედამიწაზე მეტაფორულად არსებობდა, მენტალური და მეტაფორული საზრისით, ამ დროიდან დაწყებული ის რეალობის პროექტად იქცევა, ყოველგვარი მეტაფორების გარეშე, აბსოლუტურ სივრცეში ინაცვლებს, რომელიც ასევე სიმულაციაა.

ეს მხოლოდ მაგალითია, რომელიც კარგად აღწერს სრულ პროცესს, ორბიტა, როგორც ასეთი, არის გარემოს მოდელი და ჩვენი პირადული სფროს ნიმუში. დღეს აღარ არის რელევანტური საგნების შიდა ინტერიერის კავშირი მის ობიექტებთან და მის იმიჯთან. ჩვენ ვართ ორბიტაში მიკრო-სატელიტების კონტროლის ქვეშ და უკვე აღარ ვარსებობთ, როგორც აქტორები ან დრამატურგები, არამედ ვართ მრავალი ქსელის ტერმინალები/მაკავშირებლები. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ტელევიზორი. დღესდღეობით სივრცე აღქმულია, როგორც მიმღები და გადამანაწილებელი, ანუ ეკრანი და ტერმინალი, რომელიც ტელეპათიური ძალების წყალობით უზრუნველყოფს დისტანციურ მართვასა და რეგულირებას. ამაში იგულისხმება სახლიდან მუშაობის, გართობისა და კომუნიკაციის დისტანციურად წარმოების შესაძლებლობა. დღეს ჩვენთვის ხელმისაწვდომია გართობის სიმულატორი ან დასვენების სიმულატორი სახლიდან გაუსვლელად, მაგალითად, როგორც თვითმფრინავის მართვის სიმულატორი პილოტებისათვის.

ჩვენ საძინებელი ოთახისაგან – შორს და სამეცნიერო ფანტასტიკისაგან ძალიან ახლოს ვიმყოფებით, მაგრამ აუცილებლად უნდა დავინახოთ, რომ მოდერნული ეპოქის ეს

ცვლილებები, კერძოდ, ობიექტებისა და გარემოს ეს მუტაცია სამი ფაქტორით არის განპირობებული: ელემენტების ძლიერი ფორმალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის აბსტრაქცია და მათი ფუქნციონალიზაციის ვირტუალური ჰომოგენიზაცია. სხეულის მოტორიკისა და ძალისხმევის ელექტრონით ჩანაცვლება და ასევე დროსა და სივრცეში რეალური სცენის (მიუხედავად იმისა, რომ ეს სცენა აღარ არსებობს) მეხსიერების ბარათითა და ეკრანით შეცვლა, რაც მისი მცირე ზომითა და მინიატურიზაციით არის გამოწვეული.

პრობლემა ისაა, რომ ამ დონით ელექტრონიკის „ენცეფალოზაციისა" და ენერგიის მიმღებისა და გადამცემის მინიატურიზაციამ გარემოს ტრანზიტორიზაცია გამოიწვია, რამაც ბოლომდე აითვისა ჩვენი ცხოვრების სცენები. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა ტელევიზორმა ადამიანების ცხოვრებაზე, ქცევის ეკრანზე კრისტალიზაციის შემდეგ ის დარჩა და არის დიდი და გამოუსადეგარი სხეული. ახლა უკვე რეალობა, სხეულის მსგავსად, დიდი და უსარგებლო ჩანს.

ეს არის მინიატურიზაციის, ტელეგადამცემების, დროის, სხეულისა და გართობის მიკროპროცესირების ეპოქა. ყველაფერი კონცენტრირებულია ეფექტებით, მინიატურიზებული და ადვილად ხელმისაწვდომია.

ადვილად შესამჩნევია ადამიანური მასშტაბებიდან ატომის ერთეულის სისტემებამდე გადასვლით გამოწვეული ცვლილებები. ჩვენი სხეული, ადამიანის სხეული ზედმეტად დიდად ჩანს. ადამიანის ორგანოების, ქსოვილების და ფუქნციონირების ჩათვლით, ყველაფერი კონცენტრირებული იყო ტვინზე და გენეტიკურ კოდებზე, რაც თავისთავად აჯამებს არსებობის ოპერაციულ დეფინიციას. ქვეყანა, რომელსაც დიდი ტერიტორიები აქვს, ადგილების დიდი რაოდენობა დაუსახლებელი და უკაცრიელია, თანამედროვე ადმაიანს შეიძლება ხშირად დაეზაროს კიდევაც მაგისტრალიდან გადახვევა, რადგან ყველაფერი ქალაქშია თავმოყრილი. ოპტიმიზაციისა და მინიატურიზაციის პროცესი ქალაქმაც გაიარა. ჩვენ ასევე გვაქვს დიდი რაოდენობის თავისუფალი დრო, რომელიც კომუნიკაციის მინიატურიზაციის შემდეგ უსარგებლო გახდა.

სხეული, ლანდშაფტი და დრო, სცენის მსგავსად, ნელ-ნელა უჩინარდებიან, იგივე შეიძლება ითქვას პირად სივრცესთან დაკავშირებითაც, ასევე, სოციალური სფეროს თეატრი და პოლიტიკური სფეროც სულ უფრო და უფრო მეტად მცირდება და რბილ მრავალთავიან სხეულად გადაიქცევა. მათი ახალი ხედვის რეკლამირებაც, არც მეტი და არც ნაკლები, ობიექტისა და მოხმარების ბაროკო, უტოპია და ესთეტიკური სცენაა, მაგრამ ამ ახალი განზომილების რეკლამირება იჭრება ბრენდის, სოციალური ურთიერთობების, ბიზნესისა და კომუნიკაციის სფეროების ყველა განზომილებაში, რაც საჯარო სფეროს გაქრობით ემუქრება. ტოტალური მატერიალიზაციის უხამსი პროცესი მიმდინარეობს. ის ახდენს საჯარო სფეროს მონოპოლიზაციას, აღარ არსებობს საჯარო სივრცის ტრადიციული ენა, ობიექტების გაანალიზება, როგორიცაა Baubourg და Forum des Halles და სხვა მომავლის პროექტები, რაც არის რეკლამირების მონუმენტი (ან ანტიმონუმენტი) არა იმიტომ, რომ ის უფრო მომხმარებლურია, არამედ თავიდანვე მოაზრებულია, როგორც კულტურის ოპერაცია, საქონელი, მასობრივი და კულტურის ნაკადი. დღეს ჩვენი ერთადერთი არქიტექტურა არის დიდი ეკრანი, რომელიც ატომებს, ნაწილაკებს და მოძრავ მოლეკულებს ასახავს. საჯარო სივრცე აღარ არის ჭეშმარიტად საჯარო სივრცე, ახლა გვაქვს გიგანტური ცირკულაციის, ვენტილაციისა და ეფემერული კავშირების/ქსელების სივრცე.

იგივე მდგომარეობაა პირად სივრცესთან მიმართებაშიც, საჯარო სივრცის დაკარგვასთან ერთად, თანდათანობით ქრება პირადი სივრცეც. მათ შორის არებული მკაფიო ოპოზიცია ნივთის ინტერიერსა და ექსტერიერს შორის არსებული განსხვავების იდენტურია. ახლა ეს ოპოზიცია უხამსობად გადაიქცა, რადგან ჩვენი ცხოვრების ყველაზე ინტი-

მური ნაწილი ვირტუალური მედიის კვების წყაროდ იქცა (ხმაურიანი ოჯახი ამერიკაში). მთელი სამყარო ეკრანზეა ნაჩვენები (ყველაზე უსარგებლო და არასაჭირო ინფორმაცია, რაც მსოფლიოში არსებობს, ეკრანზეა წარმოდგენილი), ყველაფერს, რაც ფორმალურად საჯაროობისაგან იყო დაფარული, იმ სცენებს, რომელიც მხოლოდ ნებადართულ ადგილებში თამაშდებოდა და მის შესახებ მხოლოდ მასში მონაწილე აქტორებმა იცოდენენ, ახლა უკვე ფარდა აეხადა და ეკრანზეა წარმოდგენილი.

პრივატული სფერო მიტოვებულია იმ დონეზე, რომ ის განცალკევებულია ადამიანისაგან ან იმ სამყაროსაგან, სადაც მოხდა მისი ინვესტირება. მომხმარებლური საზოგადოება არსებობს, ის გაუტოლდა სანახაობის საზოგადოებას, სანამ არის კავშირი და ურთიერთობა ადამიანებს შორის სანამ არსებობს სცენა, მოქმედება და პერფორმანსი. უხამსობა იწყება მაშინ, როცა აღარ არის პერფორმანსი და მოქმედება, როდესაც ყველაფერი გამჭვირვალე და დასანახია, როდესაც ყველაფერი ნათელია კომუნიკაციისა და ინფორმაციისათვის. ჩვენ უკვე აღარ ვართ ურთიერთობების დრამის ნაწილი. ჩვენ ვცხოვრობთ კომუნიკაციის ექსტაზის ეპოქაში. ეს ექსტაზი ამორალურია, ის საფრთხეს უქმნის ყველა რეპრეზენტაციას, მაგრამ არა მხოლოდ ამორალური სექსუალური თვალსაზრისით, დღეს მთელი ეს ინფორმაცია და კომუნიკაცია სრული პორნოგრაფიაა. აქტუალური არ არის ამორალურის დამალვა და დაფარვა, პირიქით, ყველაფერი ხილვადია და ყველასათვის ხელმისაწვდომი, ყველაფერი ღიაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის წყალობით.

კარლ მარქსმა დაგმო საქონლის უხამსობა/ამორალურობა. მისთვის ამორალურობა დაკავშირებულია საქონლის ეკვივალენტურობასთან. საქონლის ამორალურობა გულისხმობს, რომ ის არის აბსტრაქტული, ფორმალური და მსუბუქი, რაც ნივთის სიმძიმის, სუბსტანციურობისა და გაუმჭვირვალობის ოპოზიციაა. საქონელი ადვილად გაშიფრვადია, რადგან, ნივთისაგან გასხვავებით, რომელიც არასოდეს გასცემს მის საიდუმლოს, საქონლის ნამდვილი ბუნება ადვილად ხილვადია და მისი საბაზრო ღირებულების სახით არის წარმოდგენილი. მოდერნული საზოგადოების ყველაზე დიდი მედიუმი სწორედ საქონელია, თუმცა მესიჯი, რომელსაც ობიექტი გვაწვდის, ძალიან მარტივი და უცვლელია, ეს არის მისი საბაზრო ღირებულება. ამდენად, ბოლოს მესიჯი უკევ აღარ არსებობს. ეს მედიუმი თავს აიძულებს სუფთა/წმინდა ცირკულაციაში ყოფნას. მე (ბოდრიარი) ამას პოტენციურ ექსტაზს ვუწოდებ.

მარქსისტული ანალიზის გაგრძელება იქნება სამყაროს და კომუნიკაციის გამჭვირვალობისა და ამორალურობის მეორე და მესამე ძალა, რაც საბოლოოდ შორს ტოვებს საქონლის ამ შედარებით ანალიზს. ყველა ფუნქცია ერთ განზომილებაში – კომუნიკაციაშია თავმოყრილი. ეს არის კომუნიკაციის ექსტაზი. ყველა საიდუმლო, სივრცე და სცენა ინფორმაციის ერთ განზომილებაშია. ეს არის ამორალურობა/უხამსობა.

ის სექსუალური უხამსობა, რაც ადრე იყო, დღეს ცივ, კომუნიკაციურ და მოტივაციურ უხამსობად იქცა. წარსულში ნათლად ჩანდა სიმშვიდე და ორგანულობა. ორგანულობისაგან განსხვავებულია კომუნიკაციური ქსელები. მაგალითად, ტელეფონის ხელში აღებით, მე მარგინალური ქსელები კომუნიკაციას მიაძულებენ. იგივეა რადიოს შემთხვევაშიც, უფასო რადიო მღერის, გვესაუბრება და გამოხატავს თავის თავს. მედიუმებს შორის განსხვავებულობის მიხედვით, შემდეგ სურათს ვღებულობთ: სივრცე FM ბრენდებით არის გაჯერებული, რადიოსადგურები გადაფარავენ და უერთდებიან ერთამენთს (ამ თვალსაზრისით, უკვე აღარ არის კომუნიკაცია). ის, რაც იყო, თავისუფალი სივრცის წყალობით, აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არსებობს. მე მაინც ნაკლებად თავისუფალი ვარ, ვიდრე ვიყავი. მე აღარ ვიცი, რა მინდა, სივრცეში კი ყველაფერი ერთმანეთშია აღრეული და დიდი ზეწოლა არსებობს იმათი

მხრიდან, ვინც ცდილობს, თავისი აზრი გამოხატოს. მე რადიოს ნეგატიურ ექსტაზს განვიცდი.

აღფრთოვანებისა და დისბალანსის ერთმანეთში აღრევა იწვევს კომუნიკაციურ ბოდვას (დაბნეულობას). Roger Gailloist-ის თამაშის კლასიფიკაციის მიხედვით, შემდეგი ტიპებია: გამომხატველი თამაში (მიმიკები), შეჯიბრითობის თამაში (აგონია), შემთხვევითობის/შანსის თამაში (შემთხვევითი) და თავბრუდამსხმელი თამაშები (Inix (ბერძნული წარმოშობის სიტყვა) თავბრუსხვევა, ჰალუცინოგენი და როლერკოსტერი). თანამედროვე კულტურისათვის დამახასაითებელი ტენდენცია გამომხატველობითი და შეჯიბრებითი თამაშების დავიწყება და რისკის შემცველი და თავბრუდამსხმელი თამაშებისათვის უპირატესობის მინიჭებაა.

საბოლოოდ მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც თამაში აღარ მოიცავს სცენებს, სარკეს, გამოწვევას და ერთმანეთთან კავშირებს, პირიქით, ის არის ხელოვნური, ესთეტიკური, მარტოსული და ნარცისული. აუცილებელი არაა, ეს ნეგატიურ რამეს ნიშნავდეს, თუმცა ესაა გართობის ფორმების ორგანული და ღრმა მუტაცია. ჩვენ შედეგებს არასწორად ვზომავთ და ვაფასებთ, რადგან ძველი მეთოდებით ვზომავთ ახალ „პეიზაჟს“ და, შესაბამისად, მარცხსაც განვიცდით. აქედან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ იმის დანახვას, რაც არის ახალი, ესთეტიკური და ამორალური.

ნათელია, რომ ეს პეიზაჟი აღგვაფრთოვანებს, უხამსობა კი გვხიბლავს. თუმცა აღფრთოვანებასა და ექსტაზს შორის ვნება დაიკარგა. სურვილი, ვნება, ცდუნება, გამოხატვა და შეჯიბრი არის ცხელი სამყაროს ნაწილი. ექსტაზი, უხამსობა, აღფრთოვანება, კომუნიკაცია, შემთხვევითობა და თავბრუსხვევა არის ცივი სამყარო (თავბრუსხვევა ცივია, ფსიქოდელიკური ნარკოტიკული საშუალებებით თავბრუსხვევა განსაკუთრებით ცივია).

ყველა შემთხვევაში, ჩვენ ნივთების ახალი მდგომარეობა გვაქვს, რომელიც ინტრავერტულს ექსტრავერტულობას აიძულებს. ჩვენ აქ შეგვიძლია პათოლოგიის ძველი მეტაფორა გამოვიყენოთ. გამოხატვის პათოლოგია ნიშნავს, რომ კომუნიკაციისა და ინფორმაციის უსასრულო ქსელების წყალობით, შიზოფრენიიის ახალი ფორმა ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის ისტერია და პარანოია, გვაქვს შიზოფრენიული ტერორის მდგომარეობა. არც პრივატულობა არებობს და არც მისი დაცვის მექნაზმები. შიზოფრენია ყველა სცენაშია შეჭრილი, ყველაფერი ღიაა და ადამიანი დიდ გაურკვევლობაში ცხოვრობს. დისტანციისაგან დაშორებისა და რადიკალური სიშორის პათოსი არსებობს. ნივთების ტოტალური სიახლოვე არ ნიშნავს თავდაცვას, არამედ ტოტალური გაქცევაა, ინტიმურობისა და ინტერიერის დასასრულია. მას უკვე აღარ შეუძლია თამაში ან საკუთარი თავის წარდგენა, შესრულება. ადამიანი ახლა მხოლოდ ეკრანია, ერთგვარი ჩამრთველი ცენტრი გავლენის ყველა ქსელისათვის.

Fiske, J. Television and Postmodernism. In Curran, J. and Gurevitch, M.(eds) Mass Media and Society. L.: Edward Arnold. 1991. P. 55-67.
Фиск Дж. Постмодернизм и телевидение. В кн.: Назаров М. М. Массовая коммуникация и общество. Введение в теорию и исследования – М.: «Аванти плюс», 2003. стр.290-296.

ჯონ ფისკე – პოსტმოდერნიზმი და ტელევიზია

...ხშირად ტელევიზია და პოპულარული კულტურა პოსტმოდერნიზმის თეორიის ყურადღების პერიფერიაზე იმყოფებოდა. მნიშვნელოვანი ძალისხმევა „დახვეწილი“ ხელოვნების, განსაკუთრებით არქიტექტურის, სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში მოდერნიზმთან დაპირისპირების არსის შესწავლაზე იყო მიმართული. არცთუ ისე დიდი ხნის წინ დელიოზი აქტიურად წერდა კინოს შესახებ, მაგრამ პოსტმოდერნიზმის წამყვანი თეორეტიკოსებიდან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს და პოპულარულ კულტურას ყურადღება უშუალოდ მხოლოდ ბოდრიარმა მიაქცია. ამიტომ აქ პოსტმოდერნიზმის შესახებ სწორედ ამ ავტორის წარმოდგენებს განვიხილავთ.

მოდერნიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სოციალური გამოცდილების გაგება ხელოვნების არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი ამოცანაცაა. ხშირად ასეთი გაგების მიზანი „გრანდ ნარატივის“ შექმნაში მდგომარეობს – ანუ ისეთი თეორიის შექმნაში, რომელიც გამოცდილების განსხვავებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი გამოვლინებების ახსნის საშუალებას გვაძლევს (მარქსიზმი, სტრუქტურალიზმი, ან ფსიქოანალიზი).

ტელევიზიის, როგორც დისკურსის შესწავლისას „დიდი“ მოდერნისტული თეორიები წარმოდგენის, მიმეზისის, იდეოლოგიის და სუბიექტურობის პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას.

წარმოდგენის თეორიის ცენტრალური არგუმენტი ისაა, რომ ტელევიზია რეალობის ფრაგმენტს კი არ წარმოგვიდგენს(ან განმეორებით წარმოადგენს), არამედ რეალობას უფრო აწარმოებს, აკონსტრუირებს, აგებს და ქმნის მას. ემპირიზმის ობიექტურობაში რეალობა არ არსებობს, რეალობა დისკურსის პროდუქტია.

სატელევიზიო კამერა ან მიკროფონი რეალობას კი არ აფიქსირებს, არამედ მის კოდირებას ახდენს. კოდირება რეალობას საზრისს ანიჭებს, რომელიც თავისი არსით იდეოლოგიურია. იდეოლოგიას და არა რეალობას წარმოადგენს. ასეთი იდეოლოგიის ეფექტურობა ტელევიზიისათვის დამახასიათებელი პორტრეტული გამოსახულების ხარჯზე ძლიერდება. ხდება იმის აღნიშვნა, რომ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია რეალობის კონტექსტში იმყოფება, მდგომარეობს. ამით იფარება ის ფაქტი, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გადმოცემული ნებისმიერი „ჭეშმარიტება“ არა რეალობას, არამედ იდეოლოგიას წარმოადგენს. ამგვარად, ტელევიზია საზრისისეულ სფეროში ეკონომიკის სფეროში ინდუსტრიული სისტემის ანალოგიურად „მუშაობს“. ინდუსტრიული სისტემა არა მხოლოდ მოხმარების საქონელს აწარმოებს და კვლავ აწარმოებს, არამედ, საბოლოო ჯამში, იგი გარდუვალობით თავად კაპიტალისტურ სისტემას, როგორც ასეთს, აწარმოებს. სატელევიზიო რეალობის წარმოებისას ტელევიზია კვლავ აწარმოებს არა ობიექტურ რეალობას, არამედ კაპიტალიზმს. აქ ეს, რასაკვირველია, ამ უკანასკნელის უფრო სულიერ, ვიდრე მატერიალურ კომპონენტებს ეხება.

მიმეთიკური მიდგომა იმ წანამძღვრიდან ამოდის, რომ გამოსახულება/სახე/ხატი რეფერენტის ასახვა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ასახვა უნდა იყოს. აქ ამოსავალი მეტაფორის გამჭირვალობის იდეაა, რომელსაც კამერის ლინზები, როგორც სამყაროზე დაკვირვების ფანჯარა წარმოადგენს. რამდენადაც ასეთ მაგიურ ფანჯარას იმის სახის/ხატის, რასაც მისი მეშვეობით ვხედავთ, ფიქსირება და ფართოდ გავრცელება ძალუძს, ამდენად, სახესა/ხატსა და მის რეფერენტს შორის არსებული ჭეშმარიტი ან ლოგიკური თანაფარდობის დამახინჯება ხდება. სახე/ხატი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მისი რეფერენტი. ამის შედეგი კი „სახეებით/ხატებით მანიპულირების/მანიპულაციების" მთელი ინდუსტრიული განვითარებაა. უმეტესწილად მისი საქმიანობა სახეების/ხატების კვლავწარმოებასა და გავრცელებაზეა ისე მიმართული, რომ ხშირად მხედველობაში არც კი იღებს იმას, თუ ჭეშმარიტების თვალსაზრისით მათ როგორი ღირებულება აქვთ. სინამდვილეში, მოვლენის გონებაჭვრეტითი – სპეკულაციური ღირებულება ამ რეალობის სახე – ეფექტების დახმარებით სტადიური წარმოდგენის პრაქტიკით ხშირად ირღვევა. სახეებით გაჯერებული კულტურის პირობებში, ადამიანებს სახის/ხატის მისი რეფერენტისაგან განსხვავება უჭირთ, რადგან მათი მიმართება რთული და ჩახლართულია.

ამ ორ ხსენებულ მიდგომას შემდეგი წანამძღვრების გამოკლებით ძალიან ცოტა საერთო აქვთ. არსებობს რომელიღაც „რეალობა", რომელიც მისი ფოტოგრაფიული სახისაგან არსებითად განსხვავდება. წარმოდგენის თეორიებში ეს რეალობა ისტორიული მატერიალიზმის ტერმინებში განისაზღვრება, მაშინ როდესაც მიმეთიკური მიდგომა მას პოზიტივიზმის ტერმინებში განმარტავს. წარმოდგენის თეორიები ტელევიზიის მეშვეობით რეალობის კონსტრუირების იდეოლოგიურ კრიტიკას გვთავაზობენ. ამასთან, საკუთარი იდეოლოგიური პრაქტიკის მისტიფიცირება -შედარების უმნიშვნელოვანესი წერტილი სხვა, კონკურენციაში მყოფ, რეალობის უფრო პოლიტიკურად მისაღებ ინტერპრეტაციებთან შეპირისპირება – ხდება. მიმეთიკური თეორიების კრიტიკის ცენტრალურ პუნქტს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ფოტოგრაფიული გამოსახულება აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცვლას ან მისგან გადახრას წარმოადგენს. აქ კრიტიკული შედარება რეალობის უფრო ზუსტი სახეებით მიმდინარეობს. წარმოდგენების თეორიები ტელევიზიის ეპისტემოლოგიურ პრობლემებს იდეოლოგიურად განსაზღვრული დისკურსიულობის ჩარჩოებში აყენებს, მიმეთიკური მიდგომები კი ამ საკითხებს ემპირიულ სინამდვილესთან დამოკიდებულებებში განიხილავს.

ასე თუ ისე, ამ მიდგომების ჩარჩოებში მტკიცდება, რომ კამერა დამახინჯებების წყაროა. ორივე მიდგომა უპირისპირდება გავრცელებულ შეხედულებას, რომ კამერას არ შეუძლია იცრუოს. პირიქით, აქ მტკიცდება, რომ კამერას ტყუილის და სიცრუის გარდა არც არაფერი ძალუძს. სუბიექტივისტური თეორიები წარმოდგენების თეორიის წანამძღვრებს იდეოლოგიის „საზოგადოებრივი" სამყაროს საზღვრებს გარეთ ავრცელებენ. ქვეცნობიერის შესახებ ფროიდისა და ლაკანის თეორიები იდეოლოგიის, როგორც ყალბი ცნობიერების, მარქსისტულ თეორიას მჭიდროდ უკავშირდებიან. სუბიექტივისტური მიდგომის ჩარჩოებში მტკიცდება, რომ იდეოლოგია დაკავშირებულია იმ ფენომენის წარმოებასთან, რომელსაც შეიძლება სავსებით თავისუფლად „ყალბი ქვეცნობიერი" ვუწოდოთ. სუბიექტურობა სოციალურ-იდეოლოგიურის ინდივიდის კონტექსტში აღნიშვნაა. ეს ისაა, სადაც იდეოლოგია პრაქტიკული ანუ ცხოვრებისეული/სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. სუბიექტურობა განსაზღვრავს პოზიციებს, რომლებიც ჩვენი თავის, ჩვენი სოციალური კავშირების და სოციალური გამოცდილების გაგებაზე გავლენას ახდენს. გაბატონებული იდეოლოგიები თვით ჩვენს სუბიექტურობაში მათს კვლავწარმოებაზე არიან ორიენტირებულნი. ამიტომ, ჩვენი მატერიალური პირობების მიუხედავად, ჩვენ ყველანი, კაპიტალიზ-

მის სუბიექტების სახით, დიდი ან მცირე დოზით/ზომით ვატარებთ იმ სუბიექტურობას, რომელიც თეთრ, პატრიარქალურ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიებთან არის დაკავშირებული.

ბოდრიარი დამახინჯება/წარმოდგენების პრობლემებს, როგორც მნიშვნელობის არმქონეთ, გვერდს უვლის. მის პოსტმოდერნულ თეორიაში იმიჯს და რეალობას(იქნება ეს სოციალურ ურთიერთობათა თუ ემპირიული სივრცის რეალობა) განსხვავებული ონტოლოგიური სტატუსი არ აქვს: იმიჯსა და რეალობას შორის განსხვავება არ არსებობს. ამის შედეგია ის, რომ ჩვენ ახლა, ბოდრიარის განსაზღვრებით, სიმულაკრუმის, ე.ი. მსგავსების, ასლების ეპოქაში ვცხოვრობთ. თუ ადრე რაიმეს მნიშვნელობა განსხვავების გზით განისაზღვრებოდა, მაშინ ახლა ის თავის საწყისს/დასაწყისს არა განსხვავებაში, არამედ კოლაფსში, „აფეთქებაში“ იღებს.

ადრე არსებული საკმაოდ ავტონომიური სფეროები ახლა რადიკალურად ტრანსფორმირდებიან, ერთმანეთში იჭრებიან, მსჭვალავენ ერთმანეთს და ადრე მიღებულ საზღვრებს და განსხვავებებს აფეთქებენ.

ამ თვალსაზრისით, არ არსებობს ორიგინალური, პირველადი რეალობა, რომლის იმიჯიც მილიონობით ტელევიზორის ეკრანზე კვლავ და კვლავ იწარმოება. მარგარეტ ტეტჩერი, რომელიც სატელევიზიო კამერებს უღიმის და ვერტმფრენთან მის დასახვედრად გამზადებული ავტომობილისაკენ მიმავალ გზაზე მიკროფონში შენიშვნებს აკეთებს – ეს ყოველივე რეალობის ფრაგმენტი კი არ არის, არამედ იმიჯი, რომელიც სატელევიზიო ეკრანებზე გადაიცემა. ის, ე.ი. ტეტჩერი, არის იმიჯი, როგორც ასეთი. მისი ვარცხნილობა, მაგალითად, მისი სატელევიზიო იმიჯის „წინამორბედი“ ელემენტი არ არის. ამ ვარცხნილობის ეკრანზე ხილვა „ნამდვილად“ არანაკლებ უეჭველი და ნაღდი გამოცდილებაა, ვიდრე ამის ეკრანზე ხილვაა. გაღიმება, ვარცხნილობა, შენიშვნა არ იქნებოდა, აქ რომ ტელეკამერები და ტელემაყურებლები არ ყოფილიყვნენ. გაღიმება, ვარცხნილობა, შენიშვნა როგორც ტელეეკრანზე, ისე ვერტმფრენის დაშვების ადგილზე ერთდროულად და ანალოგიური სახით არსებობენ. ონტოლოგიური სტატუსის შესაბამისად მათ შორის განსხვავება არ არსებობს, როგორც არ არსებობს გზები იმისა, რათა ერთი წინ უსწრებდეს ან კვლავაწარმოებდეს მეორეს. თითოეული მათგანი ისევე რეალური და არარეალურია, როგორც მეორე. ზუსტად ასევე, ტეტჩერის ხმის მიმცემი უმცირესობა არარეალურ ქალს უჭერს მხარს, რომლის იმიჯიც ფართოდ ვრცელდება. ამავე დროს, ისინი არც იმიჯს აძლევენ ხმას, რომლის რეალური პერსონისადმი შესატყვისობის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია. მარგარეტ ტეტჩერი ტელეეკრანზე, პოლიტიკური პლატფორმის მომხრეთა კრებაზე, ვერტმფრენის დასაფრენ მოედანზე წარმოდგენისას არის სიმულაკრუმი და სხვა არაფერი. ეს სიმულაკრუმი ტეტჩერი „არარეალური“ არ არის. სავსებით შესაძლებელია, რომ იგი რეალურ პოლიტიკურ ქმედებებს ასრულებდეს კიდეც. სიმულაკრუმი არა რეალობას, არამედ იმიჯსა და რეალობას შორის განსხვავებას უარყოფს. ტეტჩერის პოლიტიკური ძალაუფლება მისი იმიჯის ძალაუფლების ანალოგიურია. მისი ძალაუფლება რაიმეს განხორციელებისას მისი ჩვენების ძალაუფლების იგივეობრივია. სიმულაკრუმი „ჰიპერრეალობას“ აწარმოებს. ეს კონცეფცია იმიჯის, რეალობის, სპექტაკლის, შეგრძნებების, მნიშვნელობის ადრე არსებულ, ახლა კი „აფეთქებულ“ მდგომარეობაში მყოფ ნათელ კონცეფციებს მოიცავს. ჰიპერრეალობას საფუძვლის სახით არც რეალობა და არც იმიჯი აქვს. მაგრამ ამ კონცეფციის მეშვეობით პოსტმოდერნისტული პირობების დახასიათება შესაძლებელი ხდება. კონცეფცია „იჭერს“ როგორც რეალობას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ისე საზრისს ანუ გამოცდილებას, რომელსაც ჩვენ ცხოვრებიდან ვიღებთ.

ასეთი განზრახ სუსტი დეფინიციების მქონე ტერმინებით ბოდრიარი ჩვენი ეპოქის შემდგომი საკვანძო მნიშვნელობის მახასიათებლის – საზოგადოების სახეებით სავსეობა--

გადაჭედილობის -აღწერას ცდილობს. თანაც ეს გადავსებულობა/გადაჭედილობა ისეთია, რომ წინამორბედ ეპოქასთან შედარებით თვისებრივი განსხვავებაც ცხადი და ნათელი ხდება. ტელევიზორის ერთი საათის განმავლობაში ყურებისას თანამედროვე მაყურებელს შეუძლია შეიცნოს, „განიცადოს“ სახეთა, გამოსახულებათა ისეთი რაოდენობა, როგორსაც არაინდუსტრიული საზოგადოების ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერ შეიცნობდა. რაოდენობრივი განსხვავებები იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ შესაბამისად, კატეგორიული ხდება. ჩვენ არსებითად, არა უბრალოდ დიდი რაოდენობის სახეებს შევიცნობთ, არამედ სახეებსა/გამოსახულებებსა და გამოცდილებების სხვა გამოვლინებებს შორის აბსოლუტურად განსხვავებულ ურთიერთობებში ვცხოვრობთ, ჩვენ პოსტმოდერნულ პერიოდში ვცხოვრობთ, როდესაც სახეებსა/გამოსახულებებსა და გამოცდილებების სხვა ფორმებს შორის განსხვავებები არ არსებობს.

ნიუ-იორკი, აგრძელებს ბოდრიარი, რეალური ქალაქი კი არა, არამედ სწორედ რომ ჰიპერრეალურია. აქ პირველად ხარ თუ მემილიონედ, მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ჩვენი გამოცდილებისათვის ავთენტიკურ რეალობას მაინც ვერ ვპოულობთ. ნიუ-იორკი საკუთარ იმიჯს ტელევიზორების და კინოთეატრების ეკრანებზე, კალენდრებსა და პოსტერებზე, მაისურებსა და ყავის ჭიქებზე წარმოადგენს, რომლებიც ლინკოლნის გვირაბის ავტობუსით გავლისას მისი ფანჯრებიდან ჩანს. ბროდვეიზე გასეირნება, მისი კინემატოგრაფიული განხორციელების ნახვის დროს განცდილი სიამოვნებისაგან განსხვავებულს არაფერს გვაძლევს. პოსტმოდერნიზმში იმიჯმა როგორც მიმეზისთან, ისე წარმოდგენებთან დაკავშირებული შეზღუდვები დაანგრია. ამ პირობებში იმიჯის როგორც რეალობის, ისე იდეოლოგიის მეშვეობით გაკონტროლება შეუძლებელია. მოდელირება, სიმულაცია ერთიანი კონცეფციაა, რომელშიც იმიჯი – რეალობა – იდეოლოგია „აფეთქებული“ სახითაა შეყვანილი. ეს ტრიადის ბოლო ორ ტერმინს საშუალებას არ აძლევს, ფინალური ახსნის ან პირველის „თავმდების“ სახით მოგვევლინოს. თუ მოდელი თავისთავად რეალური და რეალობაზე არსებული მიმართებისა და იდეოლოგიისაგან დამოუკიდებელი აღმოჩნდება, მაშინ იგი ნებისმიერი გამოყენებისათვის, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კონტექსტში გამოყენებადი და წვდომადი ხდება.

როგორც „რეალობის“, ისე „იდეოლოგიის“ იმიჯის საფუძვლის სახით დაკარგვა წარმოადგენს მეორე წახნაგს, რომელიც „დიდი თეორიის“ არარსებობასთანაა შერწყმული. ამის საკვანძო შედეგი გამოცდილებისა და მისი სახეების ფრაგმენტაციაა. პოსტმოდერნიზმის კულტურა ფრაგმენტულია. ფრაგმენტები ერთად თავმოყრილნი შემთხვევით აღმოჩნდებიან ხოლმე და გარეგან პრინციპებთან შესაბამისობაში არსებულ სტაბილურ წარმონაქმნებად ორგანიზებულნი არ არიან. ტელევიზია ფრაგმენტის კულტურასთან განსაკუთრებით თავსებადია. ეს სატელევიზიო შეტყობინებების ბუნებით განისაზღვრება, სადაც თანმიმდევრული ნაკადი ერთმანეთის მომდევნო, შედარებით დისკრეტული „სეგმენტებისაგან“ შედგება. სეგმენტთა მიმდევრობის წესრიგი ნარატიული ან ტექსტური მოთხოვნების, ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნების და ცვალებადი მასობრივი გემოვნების მოთხოვნების არასტაბილური ერთობლიობით განისაზღვრება.

გვიანდელი კაპიტალიზმის რთული საზოგადოებები ფართო სოციალური მრავალსახეობის არსებობას გულისხმობენ, მაგრამ ამ მრავალსახეობის საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაკონტროლებას ცდილობენ. „მაღლიდან“ სოციალური განსხვავებების წარმოება და განსაზღვრება სოციალური დარეგულირებისა და წესრიგის საშუალებას წარმოადგენს. სოციალურ სფეროში განსხვავებისა და თავის გამოჩენის ეს სრულყოფილი სისტემა ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური ნივთების სრულყოფილი სისტემის და კულტურის სფეროში კულტურული საქონლის სრულყოფილი სისტემის მეშვეობით კვლავიწარმოება.

ამიტომ წესრიგის-მოწესრიგებულობის არარსებობა პოსტმოდერნიზმის პირობებში არა მხოლოდ სახეთა წესრიგის, არამედ სოციალური და ეკონომიკური პირობების მოწესრიგებულობის არარსებობას გულისხმობს. დისციპლინარულ წესრიგზე უარი, უკიდურეს შემთხვევაში თეორიულად, განმათავისუფლებელ პოტენციალს ფლობს. მაგრამ მატერიალური არსებობის პირობებთან დაკავშირებული შეზღუდვები ისე მარტივად და უბრალოდ არ გადაილახება, როგორც ეს პოსტმოდერნული იმიჯის გადალახვისას ხდება. პოსტმოდერნიზმის მიერ შემოთავაზებული სოციალური და კულტურული მოქნილობა, აქტიურობა დიდწილად მათ ახასიათებთ, ვინც ეკონომიკური და კულტურული კაპიტალის ფლობის შედარებით მაღალ დონეზე იმყოფება.

ბოდრიარი ამ პრობლემების ახსნას მასების ცნებისა და სოციალური წესრიგისადმი მათი დამოკიდებულებების ხელახალი გადააზრების, დეფინიციის რევიზიით ცდილობს. მასობრივი კულტურის ადრეულ თეორიებში მასების ქვეშ გაგებული იყო გაუცხოებული ინდივიდები, რომელთა კლასის ისტორიული „რეალური“ სოციალური ურთიერთობები თანამედროვე კაპიტალიზმის მიერ იქნა დანგრეული. ამიტომ მასებს სოციალურ წესრიგში სტაბილური ადგილი არ უკავიათ, რაც მათ წინააღმდეგობის ნებისმიერი ფორმის გამოყენების საშუალებას მისცემდა. ამის არარსებობისა გამო მასები იდეოლოგიური ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდებიან. მაგრამ ბოდრიარს მიაჩნია, რომ მასების გაუცხოება მათი მოწყვლადობისა და პასიურობის შედეგი არ არის. პირიქით, ეს მათ მიერ სოციალური წესრიგის უარყოფის თავისუფლებაში გამოიხატება. კერძოდ, მათ შეუძლიათ იმიჯები ისე მოიხმარონ, რომ ამ დროს მათი მნიშვნელობები არ გამოიყენონ და არ მოიხმარონ, იქნება ეს რეფერენციულად თუ იდეოლოგიურად. ბოდრიარის მიხედვით, მნიშვნელობების ასეთი უარყოფა მასებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა.

Уебстер Ф. Теории информационного общества (Пер. с англ.) – М.: Аспект Пресс, 2004, стр. 310-341.

ფრენკ უებსტერი – ინფორმაცია, პოსტმოდერნიზმი და პოსტთანამედროვეობა

პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი – ეს არის ერთდროულად ინტელექტუალური მოძრაობა და ჩვენი ყოველდღიურობა: ის, თუ რასთან გვაქვს შეხება ყოველდღე, როდესაც ვუყურებთ ტელევიზორს, გარეთ გასვლის დროს ვარჩევთ იმას, თუ რა ჩავიცვათ, ვარჩევთ მუსიკალურ მიმდინარეობას. ის, რაც ამ სრულიად სხვადასხვა გამოვლინებას აერთიანებს, ამ გამოვლინებებთან ჩვენი უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულებაა. თავისთავად, როდესაც აღარ ვფიქრობთ და ვმოქმედებთ ისე, როგორც რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში იყო მიღებული, ჩვენ ჩვენი წარსულის გამოწვევას ვახდენთ.

გამოწვევის არსი ბევრწილად განისაზღვრება იმით, თუ რას მივიჩნევთ ჩვენ თანამედროვე ეპოქად და სად იწყება ჩვენთვის პოსტმოდერნიზმი. სამწუხაროდ, ფილოსოფოსების უმრავლესობა არც კი ცდილობს დააზუსტოს, თუ რას გულისხმობენ „თანამედროვეობა-

ში“ და „პოსტთანამედროვეობაში“, ან ყურადღებას მხოლოდ გამოვლინების ზოგიერთ მახასიათებელს აქცევენ. დღემდე სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე სამყაროში მეცნიერებაში, წარმოებასა და აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებს გულისხმობდნენ. ჩვეულებრივ, თანამედროვე საზოგადოების წარმოშობას განმანათლებლობის ეპოქას უკავშირებენ, რომელიც ფეოდალური ეპოქის და მიწათმოქმედი საზოგადოების დასასრულს წარმოადგენდა ევროპაში და რომელმაც თითქმის მთელ მსოფლიოზე იქონია გავლენა. პოსტმოდერნიზმი განმანათლებლობის საზოგადოების დასასრულს წარმოადგენს.

ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ საქმე არა მთლიანად საზოგადოებას, არამედ მხოლოდ კულტურას ეხება, რამდენადაც პოსტმოდერნისტების ინტერესის საგანს ძირითადად წარმოადგენს გამომსახველობითი ხელოვნება, ესთეტიკა, მუსიკა, არქიტექტურა, კინო და ა.შ. ამ შემთხვევაში არ არსებობს ყოვლისმომცველი წინააღმდეგობა თანამედროვე/მოდერნულ საზოგადოებასა და პოსტთანამედროვე საზოგადოებას შორის. ადგილი აქვს მხოლოდ საზღვრის გავლებას მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის ხელოვნების სფეროში. უფრო მეტიც, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ კულტურით, მოდერნიზმთან კავშირის წყვეტა სულ სხვა დატვირთვას იღებს, რამდენადაც სიტყვა მოდერნიზმი უმჯობესია დაგვეწყო დიდი ასოთი – ეს არის მხოლოდ ხელოვნების მიმართულება მე-19 ს-ის ბოლოს და მე-20 ს-ის დასაწყისში (იმპრესიონიზმი, დადაიზმი, სიურეალიზმი და სხვ.), რომელიც დაუპირისპირდა კლასიკურ კულტურას. მოდერნიზმს უწოდებენ ფერწერაში, ლიტერატურაში, მუსიკაში არსებულ მთელ რიგ მიმართულებებს, რომელთათვის დამახასიათებელია კლასიკური ფორმების უარყოფა, წინა ეპოქის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი რეალობის ასახვის/კოპირების უარყოფა. გავიხსენოთ, მაგ., მე-19 ს-ის ინგლისური ლიტერატურის ისეთი კლასიკოსები, როგორებიც იყვნენ დიკენსი, ელიოტი, ჰარდი, მათთვის დამახასიათებელი ხელწერა, ეწერათ რომანები, „როგორც ცხოვრება“; ან იმ პერიოდის ფერწერა, როდესაც მხატვრები ცდილობდნენ, გამოსახულების პორტრეტული მსგავსებისთვის მიეღწიათ. მოდერნისტმა მწერალმა, მაგ., ჯოისმა ან მხატვარმა, როგორიც იყო პიკასო, მათი წინამორბედების ტრადიციასთან კავშირი გაწყვიტეს.

მოდერნიზმის ამგვარი განსაზღვრებით ჩვენ ორ სირთულეს ვაწყდებით. პირველი კავშირშია ქრონოლოგიასთან. თანამედროვე ისტორია ევროპაში იწყება მე-17 ს-ის შუა პერიოდში, მაშინ როდესაც მოდერნიზმი – გაცილებით უფრო გვიანდელი მოვლენა და თვით კლასიკური კულტურაც თანამედროვე ისტორიის პროდუქტია. თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვეობა უფროსია მოდერნიზმზე და, ამასთან ერთად, თანამედროვე ეპოქა მთელ რიგ სხვა ცვლილებებს გულისხმობს-წარმოების ფაბრიკული წესიდან დაწყებული, აზროვნების გარკვეული წესით დამთავრებული, მაშინ თანამედროვე საზოგადოებასა და მოდერნიზმს შორის კავშირის საკითხი გაურკვეველი რჩება. აქ შესაძლოა განსაზღვრებებში გაურკვევლობა გაჩნდეს. და მაინც, როგორ მიიღწევა, ერთი მხრივ, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის და, მეორე მხრივ, თანამედროვე და პოსტთანამედროვე საზოგადოების თანაფარდობა? იქნებ პირველი წინააღმდეგობა მეორიდან გამომდინარეობს?

მეორე პრობლემა გულისხმობს იმას, რომ პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმთან, როგორც კულტურულ მოვლენასთან, სრულ წყვეტას სულაც არ წარმოადგენს, რამდენადაც პოსტმოდერნული კულტურის საფუძველშიც სინამდვილის მიმბაძველობაზე იგივე უარის თქმა ძევს.

თუ პოსტმოდერნიზმის ინტერპრეტაციას მხოლოდ კულტურის ტერმინებით მოვახდენთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სართავი „პოსტ“ ცოტას თუ ნიშნავს, ის დაკავშირებულია საზოგადოებრივი მოვლენების შეზღუდულ წრესთან, ხოლო თავად პოსტმოდერნიზმი არსებითად მოდერნიზმის განვითარებას წარმოადგენს. პოსტმოდერნიზმის ამგვარი

განსაზღვრება თანამედროვეობის ახალ ეპოქაში გადასვლას არ გულისხმობს, რაც არ გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ პოსტმოდერნიზმი – ეს თანამედროვეობის მთლიანი უარყოფაა. ასეთი ინტერპრეტაცია დაგვეხმარება, დისკუსიის გარკვეული წევრების ორი – ერთი მხრივ, თანამედროვეობისა და პოსტთანამედროვეობის და, მეორე მხრივ, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის დაპირისპირების – პოზიცია, მათი განმარტება გავიგოთ და მხედველობაში მივიღოთ. ამ განსაზღვრების სარგებელი არც ისე დიდია, მოკამათეთა უმრავლესობა არ იზღუდება ამით, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მათი ყურადღება კულტურის მოვლენებზეა მიმართული. ისინი ყველაზე დიდ ყურადღებას კულტურის პრობლემებს აქცევენ, რამდენადაც მისი როლი უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი გახდა, ვიდრე როდესმე, მაგრამ კიდევ უფრო შორს მიდიან და მიიჩნევენ, რომ პოსტმოდერნიზმი არის წყვეტა თანამედროვე ისტორიასთან. ამიტომ, მოდიდან ან არქიტექტურიდან დაწყებული, ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტები თანამედროვე საზოგადოების ყველა მახასიათებლების კრიტიკაზე ძალიან სწრაფად გადადიან. მაგ., პოსტმოდერნისტები კატეგორიულად უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სატელევიზიო ამბები რეალობას ასახავს „ისეთს, როგორიც ის არის“. მათი მოსაზრებით, ახალი ამბები არ გადმოსცემენ რეალურად იმას, თუ რა ხდება სინამდვილეში. ისინი აგრეთვე არაფრის მომცემად თვლიან სოციოლოგების მცდელობას, შეაგროვონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები საზოგადოებაში. იმასთან ერთად, რასაც პოსტმოდერნისტები უარყოფენ, რომ კულტურა სიმბოლური ფორმით ასახავს რეალობას, ისინი უარყოფენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეცნიერება საზოგადოებაში მიმდინარე ძირითად ცვლილებებს შეისწავლის, პოსტმოდერნისტების მოსაზრებით, დღეს ჩვენ კავშირი 300-წლიან სამეცნიერო ტრადიციასთან უნდა შევწყვიტოთ.

აქედან გამომდინარე უშედეგოა, პოსტმოდერნიზმი კულტურაზე მოსაზრების ვიწრო ჩარჩოში მოვაქციოთ. მისი დამცველები მსგავს ინტერპრეტაციას სრულებით არ ეთანხმებიან. პირიქით, პოსტმოდერნიზმი წარმოგვიდგენს თავის თავს, როგორც ინტელექტუალურ მოძრაობას, როგორც მოვლენას, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვეხებით, იმდენად ახალ მოვლენებს, რომ შეგვიძლია მთელი ეპოქის დასასრულზე და ახლის დასაწყისზე ვისაუბროთ. ...

პოსტმოდერნიზმი, როგორც ინტელექტუალური მიმდინარეობა

როგორც აზრის მიმდინარეობა, პოსტმოდერნიზმი, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება იმით, რომ იმ ინტელექტუალურ ტრადიციას უპირისპირდება, რომელსაც განმანათლებლობას უწოდებენ. განმანათლებლობა თავის ამოცანას ყოველთვის სოციალური პროცესების და ცალკეული ადამიანების მოქმედების რაციონალური საფუძვლების ძიებაში ხედავდა. პოსტმოდერნიზმი, რომელმაც ფრიდრიხ ნიცშეს ძლიერი გავლენა განიცადა, დიდი ეჭვით ეკიდება ნებისმიერ მცდელობას, აიხსნას საზოგადოების განვითარება ისეთ ფუნდამენტურ პროცესზე დაყრდნობით, როგორიც არის მოდერნიზაცია და ასეთივე სახით უარყოფს ცალკეული პიროვნების მოქმედების ნებისმიერ ახსნას, რომელსაც საფუძვლად ამ მოქმედების „მოტივი“ უდევს.

პოსტმოდერნიზმი სამყაროში მიმდინარე პროცესების მათზე დაკვირვების მეშვეობით ან ადამიანის მოქმედების გარკვეული რაციონალური მიზეზებით ახსნის თითოეულ მცდელობას თანმიმდევრულად ეწინააღმდეგება. პოსტმოდერნისტები განმანათლებლობის ფილოსოფოსების ძირითად დებულებას არ ეთანხმებიან: ისინი თვლიან, რომ ძალუძთ ახსნან ადამიანის მოქმედების და საზოგადოების ცვლილების ისეთი მიზეზები, რომლებიც მათ საფუძვლად უდევთ და, ამავდროულად, დაფარულია როგორც მათგან, ვინც

იღებს მასში უშუალო მონაწილეობას, ისე მათგან, ვინც უშუალოდ ასრულებს მოქმედებას. პოსტმოდერნისტები კატეგორიულად უარყოფენ ამ დებულებას.

პოსტმოდერნისტები უარყოფენ ნებისმიერ ტოტალურ ახსნას, რასაც ჟან ფრანსუა ლიოტარი „დიდ მონათხრობებს" უწოდებს. ამ თვალსაზრისით, ყველა მცდელობა, აიხსნას სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მარქსის თეორიის, რადიკალების თუ კონსერვატორების შეხედულების მეშვეობით, თუ ისინი იყენებენ ისეთ ახსნას, როგორიც არის „ცივილიზაციის განვითარება", „კაპიტალისტური განვითარება", „პროგრესული ძალები", უნდა უგულებელვყოთ. მართალია, ამ და სხვა თეორიებით ცდილობენ, კაცობრიობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მამოძრავებელი ძალები გამოავლინონ, მაგრამ ეს ძალები გონებაჭვრეტითად აშკარავდებიან. პოსტმოდერნისტებისთვის კი ეს, რამდენიმე ურთიერთდამოკიდებული მიზეზით, მიუღებელია.

პირველი, ყველაზე ხშირად გამოყენებული არგუმენტი ისაა, რომ ყველა თეორია მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა და არა ისტორიული პროცესის ზუსტი კვლევის შედეგი. ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ მკვლევრებს, რომლებიც იზიარებენ განმანათლებლობის დებულებას, რისი მიხედვითაც სამყარო შეცნობადია, ძალუძთ ის რაციონალურად და მიუკერძოებლად აღწერონ. იმ კატეგორიების არჩევანიც კი, რომლებშიც ხორციელდება აღწერა, პოსტმოდერნისტების მტკიცებით, დამახინჯებულია დამკვირვებლის სუბიექტური დამოკიდებულებით, ეს არ არის ისტორიული ფაქტების მიუკერძოებელი გადმოცემა. პოსტმოდერნისტების აღნიშნული არგუმენტები აქსიომატურ ხასიათს ატარებს და საკმაოდ ცნობილია. მკვლევრებს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ყველა მათი პრეტენზია ობიექტურობაზე არაადეკვატურია, რამდენადაც მათ არ ძალუძთ იმის ინტერპრეტაცია, რასაც სინამდვილეში აღიქვამენ. შეკრებილი ფაქტების ახსნის მცდელობისას ისინი „ცოდნის კონსტრუირებას" ეწევიან/ახდენენ.

მეორე და მესამე არგუმენტი, რომელსაც მიუღებლობა ეფუძნება, ამტკიცებს, რომ პოსტმოდერნისტების არგუმენტების სისტემა არატრივიალურია. მათი მტკიცებით, „დიდი ნარატივების" ანალიზი, რომელთაც „ჭეშმარიტების" დადგენის პრეტენზია აქვთ, ავლენს მიდრეკილებას მათგან მომდინარე დასკვნებმა და რეკომენდაციებმა მოვლენათა მიმდინარეობას ფარულად გარკვეული მიმართულება მიანიჭონ ან მოვლენათა ამაგვარი განვითარების ალბათობა გაზარდონ. მაგრამ ბრალდება მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ სოციალური მოვლენების „ტოტალური ახსნა" აწმყოსა და მომავლისთვის გარკვეული ფორმის მინიჭების შენიღბულ მცდელობას წარმოადგენს, არამედ იმაშიც, რომ ისტორიის მსვლელობა ამ მცდელობების მხილებასა და დისკრედიტაციას თავად ეწევა.

რამდენადაც აღნიშნული არგუმენტაცია გარკვეულწილად აბსტრაქტულად გამოიყურება, ამიტომ მოვიყვანოთ მაგალითები. განვიხილოთ მაგ., საზოგადოების განვითარების თეორია, რომლის მიხედვითაც, ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალას კაპიტალის მინიმალური დაბანდებით მაქსიმალური მოგების მიღების მისწრაფება წარმოადგენს. ამაში მოცემული თეორიები საზოგადოებაში ცვლილების რაციონალურ დასაწყისს ხედავენ. საქმის არსი არა მხოლოდ ისაა, რომ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში და გარკვეულ საზოგადოებებში აღნიშნული პრინციპი არ მუშაობს, მსგავსი შემთხვევები შეიძლება, როგორც ძირითადი განვითარების ტენდენციისგან გადახრის ერთეული შემთხვევები განვიხილოთ. უბრალოდ ისტორიისადმი მსგავსი მიდგომა – თუნდაც მოდერნიზაციის თეორია ავიღოთ – აგებულია, როგორც ჩანს, წარსული ტენდენციების ისეთ ექსტრაპოლაციის მცდელობებზე, რომ ახლანდელ და მომავალ მოვლენებზე გავლენა იქონიონ. „მივიღოთ ბევრი, გავცეთ ნაკლები" – მსგავსი პრინციპის ფორმულირებისას და იმის მტკიცებისას, რომ აღნიშნული ამართლებს ყოველთვის, იდეოლოგებმა ხშირად (თუ ყოველთვის არა)

უნდა აიღონ თავის თავზე პასუხისმგელობა იმაზე, რომ ისინი მოვლენათა მანიპულაციას ან მსგავსი მოვლენების აღქმის გამარტივებას ახდენენ. ეს არის სერიოზული მოსაზრება, ყოველ შემთხვევაში, ბევრი თეორეტიკოსის მისამართით, რომლებიც დასავლეთში არსებული ეკონომიკური ზრდის პრინციპების საკუთარი გაგებისა თუ ინტერპრეტაციის საფუძველზე ცდილობენ, მესამე სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე გავლენა მოახდინონ.

კრიტიკული მოსაზრებები იმ ანალიტიკოსების მისამართით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ცვლილებათა მამოძრავებელი ძალა გამოავლინეს, მტკიცდება იმით, რომ ამ ანალიტიკოსების თეორიებმა და მათ მსჯელობებზე დამყარებულმა პრაქტიკულმა რეკომენდაციებმა მოახდინეს საკუთარი თავის დისკრედიტირება.

გარკვეული მოსაზრებებით, ამ რეკომენდაციებმა სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობა გააუარესეს(გაუდაბნოება, გადაჭარბებული ურბანიზაცია, ეკონომიკა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებზე დამოკიდებული გახდა) და პრინციპმა „მივიღოთ ბევრი, გავცეთ მცირე“, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდა ეკოლოგიის მოთხოვნებთან, ადამიანის და ცხოველთა სამყაროს გადარჩენა და არსებობა საფრთხის ქვეშ დააყენა, ხოლო „მწვანე რევოლუცია“, რომელსაც თანამედროვე მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით საკვები პროდუქტების მატება უნდა გამოეწვია, სინამდვილეში, სოციალური რყევების საფუძველი, სოფლის მეურნეობაში უმუშევრობის და ქვეყნების მსოფლიო ბაზრებზე დამოკიდებულების მიზეზი გახდა.

უფრო ხშირად მარქსის „დიდი ნარატივის“ კრახს იხსენებენ, რომელიც ისტორიული ცვლილებების პირველად მიზეზს კლასობრივ ბრძოლასა და კაპიტალისტურ დაგროვებაში ეძებდა. ცვლილებათა ამ ფაქტორების გამოყოფით, ფილოსოფოს-მარქსისტებმა ჩათვალეს, რომ მათი შემცვლელი ფაქტორები უფრო მაღალი კატეგორიის იქნებოდა. ისინი იცავდნენ თვალსაზრისს, რომელიც ეყრდნობოდა ისტორიულ კვლევაზე დაფუძნებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, კაპიტალიზმი საზოგადოებრივი მოწყობის ახალი ფორმით – კომუნიზმით უნდა შეიცვალოს, რომელიც კაპიტალიზმისგან მხოლოდ კარგ თვისებებს დაიტოვებს და მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს კი დასძლევს.

ყველაფრის მიუხედავად, მარქსისტების პრეტენზია, მიეგნოთ სოციალური ცვლილებების ჭეშმარიტი მიზეზებისთვის, უსუსური აღმოჩნდა. ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნათელი და უფრო ცხადი მას შემდეგ გახდა, რაც გულაგის საშინელებები, ლენინის და სტალინის ისტორიის პერიოდები ცნობილი გახდა. დღესდღეობით მარქსიზმი არის ინტელექტუალური კონსტრუქცია, რომლის მიმართ ზოგიერთები სისუსტეს იჩენენ, ეს არის „ენა“, რომელზეც მსურველებს სამყაროსადმი დამოკიდებულების გამოხატვა ძალუძთ. ამ მოძღვრებისადმი რწმენა საფუძვლიანად შეირყა. ერთ-ერთმა ყოფილმა მარქსისტმა ეს სიტუაცია ასე გამოთქვა: „წინასწარმეტყველის მხილების შემდეგ მარქსიზმის ინტელექტუალურმა სამყარომ კრახი განიცადა“.

ისეთი პოსტმოდერნისტისათვისაც კი, როგორიც ლიოტარია, ახალი დროის ისტორია დამახინჯებულია არა იმდენად „დიდი ნარატივებით“, რამდენადაც განმანათლებლობის ყალბი პრეტენზიებით. ფაშიზმი, კომუნიზმი, ჰოლოკოსტი, სუპერთანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები, ჩერნობილი, შიდსი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ეპიდემიური გავრცელება, კიბო, რომელიც გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით და ა.შ. – ყველაფერი ეს, და არა მხოლოდ ეს, არის განმანათლებლობის ნაყოფი და პრაქტიკული შედეგი წარსულის იმ „ნარატივიდან“, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ისტორიულ ცვლილებებს აქვთ რაციონალური მიზეზები, როგორადაც მათ არ უნდა ვუწოდებდეთ: ნაციონალიზმი, კლასობრივი ბრძოლა, წმინდა რასა თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ასეთი სახით საზოგადოებრივი თეორიის შედეგების პირისპირ აღმოჩენის გამო, პოსტმოდერნისტები

„ტოტალურ სწავლებებს ომს“ უცხადებენ, უარს ამბობენ ნებისმიერ კონსტრუქციებზე, რომლებიც ისტორიული ცვლილებების „ჭეშმარიტ“ მიზეზებს ეყრდნობიან. მათი თვალსაზრისით, ისტორიის მამოძრავებელი ძალების გამოიყოფის ნებისმიერი მცდელობა ნდობას არ იმსახურებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის წმინდა სპეკულაციური თუ მოაზროვნე სუბიექტის ემანსიპაციის ისტორიას გვიყვება.

პოსტმოდერნიზმისთვის ზოგადად დამახასიათებელია უკიდურესი უნდობლობა ნებისმიერი დასკვნის „ჭეშმარიტებაზე“ პრეტენზიის მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან ისმის ეს კრიტიკა. აქამდე შექმნილი „დიდი ნარატივების“ აშკარა შეცდომებზე, მათ კონსტრუირებულობაზე მითითებებისას (რამდენსაც არ უნდა ამტკიცებდნენ მკვლევრები მათ ობიექტურობას), პოსტმოდერნისტები უკვე არამხოლოდ ნებისმიერ ტოტალურ თეორიას აყენებენ ეჭვქვეშ. ისინი ნებისმიერ მათგანს უარყოფენ, მხარს უჭერენ რელატივიზმს იმ მოტივით, რომ ნებისმიერ რეალობას გააჩნია არაერთი აღწერა, ამასთან ერთად ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ერთი ჭეშმარიტება, არსებობს მხოლოდ მისი რამდენიმე ვერსია. როგორც აღნიშნავს მიშელ ფუკო, პოსტმოდერნისტები თვლიან, რომ „ყველა საზოგადოებაში არის ჭეშმარიტების საკუთარი წარმოდგენა, მისთვის დამახასიათებელი სიმართლის „ზოგადი პოლიტიკა“, ანუ საზოგადოებაში არსებობს დისკურსის ტიპები, რომელიც მისაღებია მისთვის და სიმართლის ფუნქციას ასრულებს. პოსტმოდერნისტები თვლიან, რომ მათ მოახერხეს „განმანათლებლობის დამამშვიდებელი პერანგისაგან“ განთავისუფლება, შეწყვიტეს ჭეშმარიტების დევნა და ამით მოვლენის ანალიზში, მის ახსნასა და ინტერპრეტაციაში „განსხვავებათა“ თავისუფლება მოიპოვეს.

პოსტმოდერნიზმი – როგორც სოციალური მოვლენა

საზოგადოებაში პოსტმოდერნიზმი, როგორც ინტელექტუალური მიმდინარეობა, წარმატებით სარგებლობდა. მოხდა მისი პერიფრაზირება და გამოყენება ფართო გაგებით. აქ უკვე საქმე გვაქვს არა ფილოსოფიასთან, არამედ თანამედროვე ისტორიის თავისებურებებთან. იმისთვის, რათა შეფასდეს, რამდენად ზუსტად ხდება ამ თავისებურებების განსაზღვრა, არ არის აუცილებელი თანხმობა პოსტმოდერნისტულ კრიტიკასთან განმანათლებლობის იდეასთან მიმართებაში, ამასთან ერთად გასაგებია, რომ, თუ ჩვენ მართლაც შევდივართ პოსტთანამედროების ეპოქაში, მაშინ პოსტმოდერნისტების ფილოსოფიური იდეები აუცილებლად აისახება სოციალური რეალობაზე. უფრო მეტიც, ის ადამიანები, რომლებიც კითხულობენ ამ ნაშრომს, პოსტთანამედროვეობაში ცხოვრობენ და, სავარაუდოდ, სურვილი ექნებათ, შემდგომში მოყვანილი მაგალითები თავიანთ გამოცდილებას და დაკვირვებას მიუსადაგონ. ვფიქრობ, რომ ჩვენს ცხოვრებაში პოსტთანამედროვეობის მახასიათებლების გამოვლენა და აღიარება არც ისე რთულია, მაგრამ პოსტმოდერნისტებს ბევრი შრომა მოუწევთ, რათა პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის პროექტის მხარდაჭერაში დაგვარწმუნონ.

პოსტმოდერნისტები იქიდან იწყებენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერ იმას ეწინააღმდეგებიან, რასაც შეიძლება ტერმინი „თანამედროვე“ მივუსადაგოთ, ყველა თანამედროვე ტერმინს და მიდგომას გამოწვევას ესვრიან. სიტყვა „თანამედროვე“ აქ, რა თქმა უნდა, წარმოადგენს იარლიყს, რომელიც ისეთ მოვლენებს მიესადაგება, როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზება და ფუნქციონალურობა. პოსტმოდერნისტები ყველაფერ იმასთან, რაც საზოგადოების გავლენიანი ჯგუფებიდან: ბიუროკრატებიდან, პოლიტიკოსებიდან, დაგეგმვის სპეციალისტებიდან მომდინარეობს, რომლებიც გამოცდილებას სიბრძნეს ან ჭეშმარიტ ცოდნას ეყრდნობიან, მუდმივ ოპოზიციაში იმყოფებიან. ეს ჯგუფები საზოგადოებას რეალობის თავიანთ ხედვას, უბრალოდ, თავს ახვევენ. მაგ., რატომ წყვეტენ დიზაინე-

რები, რა არის „ნამდვილად“ მოდური ან ელეგანტური, რის საფუძველზე ადგენენ ისინი ყველასთვის ჩაცმის და მოქმედების სტანდარტებს? პოსტმოდერნისტები კრიტიკულად უყურებენ მოდელიერების/კუტურიების პრივილეგირებულ მდგომარეობას, ამავე მიზეზით, ეწინააღმდეგებიან ფუნქციონალობის პრინციპს: ყველაზე „ეფექტური საშუალება“ მათთვის შენობის ასაგებად არის არა სინამდვილის ინჟინრებისათვის მიღებული გააზრების წესის გამოთქმა, არამედ პროფესიონალების მცდელობა, სხვა ადამიანებს თავიანთი ფასეულობები თავს მოახვიონ.

აქ აშკარად იკვეთება პოსტთანამედროვეებისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, განსაკუთრებული პატივის გარეშე გამოხატონ დამოკიდებულება ყველანაირი ავტორიტეტების მიმართ. ეს არის გარკვეულწილად ყველასადმი დაცინვის ხალხური თავისებურება, ვინც ცდილობს, ჩვეულებრივ ადამიანს სახის მოქმედების გარკვეული წესი თავს მოახვიოს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოსტმოდერნისტების ანტიპათია ესთეტიკური ნორმების მიმართ, რომლებიც კარგ გემოვნებაზე წარმოდგენას ან გამეფებულ ტენდენციას ეფუძნება. საუბარია, მაგ., გავლენიანი ლიტერატურული კრიტიკოსის ფ. ლივისის მცდელობაზე, თავის წიგნში საჩვენებელი მყვირალა სახელწოდებით „დიდი ტრადიციები“ (1948), საუკეთესო ინგლისელი რომანისტებისთვის თავი მოეყარა. ლივისმა ამ ჩამონათვალში ჯეინ ოსტინი, ჯორჯ ელიოტი, ჰენრი ჯეიმსონი და ჯოზეფ კონრადი შეიყვანა, ის მათ მიიჩნევდა ლიტერატურის კლასიკოსებად. ამაზე პოსტმოდერნისტები აღნიშნავდნენ: „თუ ჯეფრი არჩერის ნაწარმოებებს განიცდით, რა საჭიროა ამ პროფესორების მოსმენა?“

ყველას, ვინც კი ცდილობს გარკვეული სტანდარტი დაამკვიდროს, დასცინიან. ლივისის არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ მწერლების მისეული შეფასება „სამართლიანია“ და ინგლისური პროზის ყურადღებით წაკითხვას ეყრდნობა. პოსტმოდერნისტები აქვე აცხადებენ: ლიტერატურის კრიტიკოსები სწორედ იმით გამოიმუშავებენ, რომ აფასებენ მწერლებს, თხზულება მათთვის არის პრესტიჟის და კარიერის წყარო, ამიტომ ჭეშმარიტების არანაირ უანგარო ძიებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. არ არის რთული, დავინახოთ ის კრიტერიუმები, რომლებსაც იყენებს კრიტიკოსი და რომლებიც მის შეხედულებებზე, მიღებულ განათლებაზე, კლასობრივ კუთვნილებაზეა დამოკიდებული. ლივისს შეიძლება დავდოთ ბრალი პროვინციალიზმში, კარიერა კემბრიჯში, მითური „ორგანული საზოგადოებით“ გატაცებაში – იდეალით, რომლის განხორციელებაში, როგორც თავად თვლიდა, კლასიკური ლიტერატურა დაეხმარება. მოკლედ რომ ვთქვათ, კრიტიკოსს სისუსტეები უნდა მოვუძებნოთ, აქ კი უკვე გასაგებია, რომ მას აღარ ექნება არანაირი უფლება, მისი შეფასებები თავს მოგვახვიოს.

მათი მხილებით, ვინც ფიქრობს, რომ მოიპოვეს ჭეშმარიტება, პოსტმოდერნული კულტურა მხარს უჭერს რელატივიზმს ესთეტიკაში, მხარს უჭერს ყველა სფეროში. რელატივიზმი უნივერსალურ პრინციპად იქცევა, მაგ., მუსკაში, ვინ თქვა, რომ მოცარტი უკეთესია მორისონზე? თეატრში, რატომ მაიცდამაინც შექსპირი და არა ენდრიუ ლოიდ ვებერი? მათი „ტირანიის“ პოსტმოდერნული უარყოფიდან, ვინც ცდილობს, ჩვენ მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ ვიცხოვროთ, მართლაც რომ თავისუფლების სიო უბერავს. დოგმების მაგივრად, პოსტთანამედროვების კულტურა არჩევანის მრავალფეროვნებას, კარნავალურობას, გადაწყვეტილებათა უამრავ რაოდენობას გვთავაზობს. არქიტექტურაში ფირმა „უიმპის“ ეკონომიკური კოტეჯების ან მჭიდროდ ნაგებ კვარტალებში მათ მიერ დაპროექტებული, ვინც უკეთ იცის „რა არის უკეთესი“ ან რა „სურს ხალხს“, მრავალსართულიანი საცხოვრებლების მაგივრად, პოსტმოდერნისტები გვთავაზობენ, გაგებით მოვეკიდოთ გემოვნებათა მრავალფეროვნებას: თითოეულმა მისი სურვილისამებრ მიანიჭოს მის სახლს ინდივიდუალობა, ყველანაირი არქიტექტურული კანონების დარღვე-

ვით, რა, სად, როგორ მიაშენოს და თუ ვინმე ეტყვის, რომ ეს უგემოვნოა, მიუთითოს ეშმაკისკენ.

ამის უკან, რა თქმა უნდა, მოდერნისტების მიერ ჭეშმარიტების ძიებაზე უარის თქმა იმალება. ერთი მხრივ, პოსტმოდერნიზმი ეწინააღმდეგება ამ ძიების სურვილს იმიტომ, რომ ვინც ცდილობს გადაწყვიტოს, რა არის ჭეშმარიტება, არც ისე გულრწფელია, თუ რატომ გადაწყვიტეს ასე, თვით ექსპერტებიც ვერ გარკვეულან, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტება. ამის გამო რწმენა ერთადერთი და განუმეორებელი ჭეშმარიტების მიმართ აღარ არსებობს. სხვა მხრივ, პოსტმოდერნისტები აღიშნავენ, თუ გადავწყვიტეთ, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტება, მაშინ ადვილად მივალთ ტირანიამდე – არა კომუნისტური რეჟიმების ტირანია, როცა ის, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა, წყდება სხვის მიერ, პარტიის მიერ, ვისთვისაც უკეთ არის ცნობილი „ობიექტური რეალობა“, არამედ ის, რომლის გემოც ყველას ნაგემი გვაქვს, როცა თავს უცხო აზრს გვახვევდნენ. ამიტომ სასკოლო პროგრამა მოითხოვდა, რომ ყველას წაგვეკითხა დიკენსი და ჰარდი, რამდენადაც, ჩვენი პედაგოგების აზრით, სწორედ ისინი პასუხობდნენ „კარგი ლიტერატურის სტანდარტებს“ და არა ფანტასტიკა, ვესტერნი ან სასიყვარულო რომანები. ამის გარდა, დიდ ბრიტანეთში თითოეულმა ადამიანმა გაიარა სატელევიზიო გამოცდა მათი მხრიდან, ვინც ცდილობდა შეენარჩუნებინა კულტურული ტრადიცია: ჩვენ ვუყურებდით უამარავ ახალ ამბებს და კომენტარებს, სერიალებს კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით, „სერიოზულ“ პიესებს, გარდა ამისა, ცოტა სპორტი და სპეციალური საბავშვო გადაცემები. ბევრს იმ მკითხველთაგან, რომლებიც მუნიციპალურ ბინებში გაიზარდნენ, ახსოვს ის წესები, რომლებსაც არქიტექტორები და დამპროექტებლები თავს გვახვევდნენ.

ყველაფერ ამაზე პოსტთანამედროვეობა მხიარულად პასუხობს: არ არსებობს არანაირი ჭეშმარიტება, არსებობს მხოლოდ ვერსიები და თვით ჭეშმარიტების ძიების მცდელობაც სრული აბსურდია. ჭეშმარიტების ძიების მაგივრად, სხვადასხვა მოსაზრებების გამართლებით-პლურალიზმით არიან დაკავებულები. შედეგად ვიღებთ დაცინვას მათ მიმართ, ვინც გატაცებულია მოდერნისტული ჟანრებით და სტილით (რომლებიც ადრე თუ გვიან მკვიდრდებოდნენ და „კარგი გემოვნების“ საზომი ხდებოდნენ). ხდება სტილის, როგორც პრეტენზიულობის ნიშნის უარყოფა. აქედან არის პოსტმოდერნიზმის მიდრეკილება პაროდიისადმი, დამკვიდრებული სტილების დაცინვა, გამოსახულებათა ირონიული, ახალი გააზრება, ყველაფრის შეპირისპირება და აღრევა, კაშკაშა, ყალბი, ანუ პატენტი ნაკეთობების დამზადება. პოსტმოდერნული არქიტექტურის ნიმუშები, ისეთი, როგორიც არის ცნობილი „ლას-ვეგასის გაკვეთილები“, წარმოიქმნა შეუერთებელთა სახალისო შეერთებით. ესპანური კოლონიალური ხის დეტალები ჩნდება გოთიკურ ფასადზე, ხოლო რანჩო ვენეციური სტილის გათვალისწინებით შენდება. პოსტმოდერნული მოდის მიმდევრები ექლეკტიკურად იცვამენ – აგრესიულ ბუცებს, ინდურ მოსასხამებს, ჟილეტებს და ეგზოტიკურ ბლუზებს.

მაგრამ ყველაზე მეტად აღნიშვნის ღირსი პოსტთანამედროვე კულტურის მხრიდან ავთენტიკურობაზე უარის თქმაა. ჩვენ თუ შევადგენთ სიტყვების ნაკრებს, რომლებიც შინაარსით ახლოს დგანან „ავთენტიკურობის“ ცნებასთან – „ნამდვილი“, „გააზრებული“ და „რეალური“, მაშინ შევნიშნავთ, რომ ისინი ყველა ამ კულტურიდან იდევნებიან. თითოეული მათგანი ირიბად ამტკიცებს, თანამედროვებისთვის აუცილებელ ფასეულობას – ჭეშმარიტებას. ამ მოტივით ადამიანი ამართლებს თავის მცდელობას, გაერკვეს მუსიკის „ნამდვილ მნიშვნელობაში“, რომელსაც უსმენს, „ნამდვილი“ ცხოვრების ძიების მცდელობას, როდესაც ის მისი „ინგლისური ფესვებით“ (იქნებ მისი ნამდვილი მე-ს ძიებით) ინტერესდება, „ცხოვრების აზრზე“ ფიქრდება და „სამართლიან/წმინდა ცხოვრებას“ ესწრაფვის. პოს-

ტმოდერნიზმი ყველაფერი ამის წინააღმდეგ გამოდის, ერთი შეხედვით, პრინციპულობისა და დაჟინების გამო, მაგრამ თუ დავუკვირდებით საკმაოდ თანმიმდევრულად, რადგან ის უარყოფს თანამედროვეობას, მას ნებისმიერი ყალბი ნაკეთობა, ეფემერულობა და ზედაპირულობა, ყოველივე ტრივიალური და აშკარად ხელოვნური გულრწფელად სიამოვნებს.

პოსტმოდერნიზმს ორი ძირითადი მიზეზის გამო სურვილი არა აქვს, ავთენტიკურობის ძიებასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. ერთი დეტალურად განვიხილეთ: თავად ჭეშმარიტების ცნება ფანტასტიკურია, ამიტომ ავთენტიკურობის ან რეალობის ძიების ნებისმიერი მცდელობა განწირულია, რამდენადაც სიმართლის მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული ვერსია არსებობს. მაგ., ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, რა თქვა სინამდვილეში დიკენსმა, რამდენადაც 21-ე ს-ში ვცხოვრობთ. ამიტომაც „სიძველეთა ფარდულიდან“ პატარა ნელის სახის ინტერპრეტაციას ის ადამიანები ჰკიდებენ ხელს, რომლებმაც უკვე იციან, თუ რა არის არაცნობიერი, ბავშვური სექსუალობა, ამიტომაც მათსა და დიკენსს, აგრეთვე იმ აუდიტორიას შორის, რომელსაც ის მიმართავდა, უფსკრულია. უაზრობაა ვიკითხოთ, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში „ბითლზის“ სიმღერა, რამდენადაც მათი შინაარსის გაგება იმ ადამიანის ასაკსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული, რომელიც ამ სიმღერებში გარკვევას ცდილობს. თუ პირველი მოსაზრება დაკავშირებულია ავთენტიკურობის ძიებასთან, რომელიც მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ინტერპრეტაციის ფარდობითობაზე დაიყვანება, მაშინ მეორე უფრო რადიკალურ ხასიათს ატარებს და, როგორც ჩანს, პოსტთანამედროვეებისათვის უფრო მეტად არის დამახასათებელი. არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც არ უნდა ვცდილობდეთ აუტენტიკურობის მიგნებას, თქვენ მას ვერასდროს იპოვით, რამდენადაც ის მხოლოდ მათ წარმოსახვაში არსებობს, ვინც მას ეძებს. ადამიანები ფიქრობენ, რომ სადღაც იქ, ჰორიზონტს მიღმა, ცხრა მთას იქით არის ნამდვილი ცხოვრება და ჩვენ ოდესღაც შევძლებთ მის მოძებნას (ჩვენს თავში, სხვა დროს, სხვა ქვეყანაში) და ის იქნება განსხვავებული თანამედროვე ყოფის, ხელოვნური და ზედაპირული ცხოვრებისაგან, სადაც სტილი, მოდა და მხოლოდ ფული დომინირებს. პოსტმოდერნიზმი მიიჩნევს, რომ ყველა ეს ძიება უშედეგოა.

განვიხილოთ, მაგ., ჩვენში დღეს ისეთი პოპულარული საქმიანობა, როგორიც არის გენეალოგიური კვლევა. ბევრი ადამიანი დიდი ძალისხმევის შედეგად ცდილობს აღადგინოს მისი ოჯახური წარსული. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ავთენტიკურობის დაბრუნების მიზნით ემიგრანტების ვიზიტი იმ ადგილებში, საიდანაც ერთ დროს წამოვიდნენ მათი წინაპრები, დაწყებული იმ ქოხიდან, საიდანაც მათი დამშეული წინაპრები გამოიქცნენ, ირლანდიის პატარა სოფლიდან, დამთავრებული პოლონეთში არსებული ებრაული გეტოთი, საიდანაც ისინი გამოყარეს. რა თქმა უნდა, აქ ვერანაირ ავთენტიკურობაზე ვერ ვისაუბრებთ. ისინი უფრო შეძლებენ, ნახონ რეკონსტრუირებული პურიტანული ეკლესია, რომელიც ზუსტად ისევე გამოიყურება, „როგორიც იყო“, გასინჯონ კარტოფილის „ნამდვილი“ ირლანდიული სადილი (ჩაციებული ლუდი „გინესით“ და კარგი ღვინით, თუ ისინი მას შეუკვეთავენ), დაათვალიერონ ახალი სინაგოგა ცენტრალიზებული გათბობით და კომპიუტერში შეტანილი სამრევლო წიგნით.

გინდათ ნახოთ „ნამდვილი“ ინგლისი? „დიდებული მწვანე“ ქვეყანა მოვლილი მინდვრებით, ხელუხლებელი პეიზაჟებით, თეთრი კოტეჯებით, ბაღები ქვის ღობეებით, ნამდვილი მეზობლური ურთიერთობებით, რომელზეც ახლა გადის საავტომობილო გზები, საცხოვრებელი მასივები დასახლებული იმ ადამიანებით, რომლებიც ერთ ადგილზე ერთ ორ წელს ჩერდებიან მანამ, სანამ კიდევ სხვაგან გადავიდოდნენ? გაქვთ სურვილი, ასეთ სოფელში მოიპოვოთ თქვენი „ნამდვილი მე“, მოძებნოთ ფესვები, შეიგრძნოთ „ნამდვილი ინგლისური ცხოვრების წესი“, რომელიც წინა თაობებთან დაგაკავშირებთ? მაგრამ შეხე-

დეთ რეალურ ცხოვრებას ინგლისურ სოფელში, ევროპაში ყველაზე ურაბანიზებულ ქვეყანაში. რას ვნახავთ იქ? აგრობიზნესს, რომელიც გამართულია უკანასკნელი ტექნიკის საშუალებით, „მიტოვებულ სოფლებს“ ახლომდებარე ქალაქიდან ჩასახლებულებით, მათი კეთილმოწყობილი სახლებით (რომლის გადასახადებიც არ შედის ადგილობრივ ბიუჯეტში), სადაც ცენტრალური გათბობა თავისით ირთვება დანიშნულ დროს, თადარიგის მიზნით, მაცივრები გამოტენილია სუპერმარკეტის საკვებით, მათი „ვოლვოთი“ (გამძლეობის, უპრეტენზიობის სიმბოლო, რომელიც მხოლოდ „ლენდროვერს“ თუ ჩამოუვარდება). სწორედ ეს ქალაქელები არიან დაკავებულები „ტრადიციული“ სოფლის აღდგენაში, ეწინააღმდეგებიან რა სამრეწველო აღმავლობას (რომელიც შეძლებდა სამუშაო ადგილების მიცემას სოფლის მეურნეობაში დაკავებულებისთვის, ყველაფერი შეიცვალა კომბაინებით, ტრაქტორებით, აგრომრეწველობით). ისინი აგროვებენ ფულს, რათა შეაკეთონ ძველი სამჭედლოები(ხშირად ისინი ასრულებენ მეორე სახლის ფუნქციას და აღჭურვილნი არიან ყველა თანამედროვე მოწყობილობებით), აქტიურად მხარს უჭერენ ისტორიულ საზოგადოებებს (ბეჭდავენ ამ მშვენიერ ისტორიულ სურათებს, რომელსაც სოფლის გამგეობის ოთახებში კიდებენ, შინაარსი კი ასეთია: „ჩვენთვის ასე საყვარელი სოფლის ცხოვრება გამოიყურება ისე, როგორც ის ოდესღაც იყო), რა თქმა უნდა, იმ „ტრადიციების“ შენარჩუნებით, რომელიც ხალხური შემოქმედებისადმი და ხელობისადმი ერთგულებას გულისხმობს.

მე არ ვაპირებ, სოფლის ცხოვრების მოყვარულებს დავცინო. უბრალოდ ვფიქრობ, რომ „ავთენტიკურობის“ ძიება ინგლისში უაზრობაა. ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ, თავიდან შევქმნათ ის ცხოვრების წესი, რომელიც, გარკვეულწილად, წარსულს გაგვახსენებს. ამ რეკონსტრუქციისას ადგილი არც შიმშილს აქვს, არც სიღარიბეს, არც ცხოვრების სხვა სირთულეებს, რომლის გადატანაც სოფლის მცხოვრებლებს უხდებოდათ. თვით ეს რეკონსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავს ნამდვილი ცხოვრების აღდგენას, ძალზე შორს არის სინამდვილისგან და შეუძლებელია იყოს სხვა, საჭიროა მხოლოდ ამის აღიარება. თუ ჩვენ ვირჩევთ იმას, თუ რა უნდა აღდგეს, მაშინ სწორედ სინამდვილე უნდა დავივიწყოთ. ბევრი ცდილობს დაუბრუნდეს ტრადიციებს იმისთვის, რათა მოიპოვოს თავდაჯერებულობა სწრაფად ცვალებად ცხოვრებაში, იპოვოს თავისი თავი. რთულ დროს ტრადიციები გვამშვიდებს, გვაძლევს სინამდვილის შეგრძნებას, რომელიც ღუზის როლს ასრულებს ქაოსურ ეპოქაში. მაგრამ არც ისე რთულია დავინახოთ, რომ ინგლისური ტრადიციები – შობა ნაძვის ხით, ინდაურით, შეჯიბრი ნიჩბოსნობაში ოქსფორდსა და კემბრიჯს შორის, უემბლის სტადიონზე თასის გათამაშება, ნამდვილი ნაძვის ხე და ნამდვილი ინგლისური პაბი, უპირველეს ყოვლისა, მონარქიაა, რომელიც თითქმის ანგლოსაქსური პერიოდიდან მომდინარეობს, ყველაფერი ეს მხოლოდ სიახლეა, რომელიც დედოფალ ვიქტორიას ადრეულ პერიოდში მოიგონეს. „ტიპური ინგლისური“ შობა პრინც ალბერტის (დედოფალ ვიქტორიას მეუღლე) გამოგონებაა, თასის გათამაშება სულ ახლახან დაიწყეს, პაბები სპეციალურად ააშენეს იმისთვის, რომ გარდასულ დღეთა მიმართ ნოსტალგიური გრძნობები გამოიწვიონ, ლუდი აქ იხარშება ყველაზე თანამედროვე მეთოდით, ხოლო მონარქია მისი არსებობის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა.

ასე რომ, ავთენტიკურობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ (არაავთენტიკური) ავთენტიკურობის რეკონსტრუქციის მცდელობა. მივაქციოთ ყურადღება, მაგ., იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც იღებენ ტურისტები. ბროშურებში აქებენ „ხელუხლებელ“ პლიაჟებს, „ღირშესანიშნაობებს“, „არაჩვეულებრივ“ კულტურას, ადგილობრივი მოსახლეობის წესჩვეულებებს და „ნანახის რეალობის განცდას“. მაგრამ გასაგებია, რომ ყველაფერი, რასაც განიცდის ტურისტი, სწორედ რომ არაავთენტიკურია, ყველაფერი თავიდან ბოლომდე

დადგმულია: ბერძნულ კუნძულზე ტავერნა სანაპიროზე, კონტინენტალური ლუდით გამოტენილი კარგი მაცივრით, ადგილობრივი მუსიკა და ფოლკლორული ცეკვები, რომლებიც სულ ახლახან შექმნეს და ჩაწერეს კომპაქტდისკზე, ოფიციანტები, რომლებსაც მარტივი საცეკვაო ილეთები ასწავლეს იმისთვის, რათა ტურისტები მოიზიდონ, მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული ნამდვილი ბერძნული სამზარეულო, მოწოდებული ისე, რომ ადგილობრივ კოლორიტზე მიანიშნებდეს, კეთილგანწყობილი ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ჯერ არ გაუფუჭებია ქალაქს, მაგრამ მომზადებულები არიან სასტუმრო ბიზნესის შვეიცარიულ სკოლებში, სპეციალური ტურისტული ატრაქციონები, გაკეთებული და რეკლარიმებული სპეციალურად მათთვის. მთელი ტურიზმის „საპნის ბუშტი“ არსებობს იმისთვის, რომ ტურისტებს მხოლოდ დადებითი განწყობა დარჩეთ, სტუმარმა რომ არ იგრძნოს სიმყრალე და არ შეეფეთოს იმ ანტისანიტარიულ პირობებს, რომელშიც ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა. ამას გარდა, ის ადგილები, სადაც ტურისტები ხვდებიან, „ავთენტიკურ“ შეხედულებას ინარჩუნებენ, ტურისტების გამოჩენა იქ ცვლის მის სახეს, რომ არარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ადგილობრივ კულტურას სპეციალურად ანიჭებენ „პირველყოფილ“ სახეს. ტურიზმი – ეს არის ბიზნესი და ის სხვას ვერაფერს დაუშვებს: რეისები უნდა იყოს გადატვირთული, ოთახები წინასწარ დაჯავშნული, ხოლო მომსახურების სტანდარტი უნდა პასუხობდეს განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს (შხაპი, სუფთა თეთრეული და, თუ საჭიროა, კონდინციონერი) – კლიენტი ყველაფრით კმაყოფილი უნდა იყოს. ამ ყველაფრის დაგეგმვა კი არაავთენტიკურობას საჭიროებს.

ავთენტიკურობა არ წარმოადგენს ისეთი კონტინენტალური ქვეყნების მონოპოლიას, როგორებიცაა იტალია, საფრანგეთი, ისეთი ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულები არიან მუდმივი ტურიზმით. დიდ ბრიტანეთშიც ასევე ხდება ტურისტების ცდუნება. რა თქმა უნდა, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიდ ბრიტანეთშიც საკმარისად შენარჩუნდა ისტორიის, არქიტექტურის ძეგლები და ბევრი ღირშესანიშნავი, რაც არ ემსახურება ტურიზმის მასიურ ინდუსტრიას, მაგრამ წარმოადგენს „ნამდვილ ისტორიას“. მაგრამ „წარსულის ისტორიაც“ ასევე იღებს მონაწილეობას ბრიტანული წარსულის რეკონსტრუქციასა და განვითარებაში, მის შელამაზებაში იმ მიზნით, რომ შეგვახსენოს, „როგორები ვიყავით წარსულში“. მაგალითის სახით მოვიყვან საგრაფო დერხემში მდებარე ბემიშის სამრეწველო მუზეუმს, იორვიკის ცენტრს, აირონბრიჯს და „ოქსფორდის ისტორიის“ ექსპოზიციას. პოსტმოდერნისტები აუცილებლად ირონიით აღნიშნავენ, რომ ბევრი ამ ტურისტული ატრაქციონებიდან სპეციალურად იყო შექმნილი, რათა შეგვძლებოდა ნათლად დაგვენახა, თუ „როგორი იყო სინამდვილეში ჩვენი ცხოვრება“. მაგრამ მათი ხელოვნურობა მათ ავთენტიკურობაზე ყველანაირ რწმენას გვიკარგავს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს „ახალი ნაკეთობები“, გარკვეულწილად, უფრო რეალურია, ვიდრე ჩვენი მემკვიდრეობის უძველესი ძეგლები. ლონდონის ტაუერი, სამხედრო ისტორიული მუზეუმი და სტოუნხეჯიც არაავთენტიკურია, ამიტომაც ჩვენ ვერასდროს მივაკვლევთ ჩვენს ნამდვილ წარსულს. და არა მარტო იმიტომ, რომ მათში ბევრია ის, რაც ავთენტიკურობას ანგრევს (კონსერვაციის თანამედროვე მეთოდები, ელექტრობა, ლიფტები, პროფესიონალი გიდები და სხვ.). გარდა ამისა, ყველანაირი მცდელობა, გავეცნოთ ისტორიას, გულისხმობს ინტერპრეტირებულ ელემენტებსაც, შესაბამისად კი – წარსულის კონსტრუირებას და ამიტომაც არ არიან ავთენტიკურები. მოვიყვანოთ მაგალითები, რომლის შესახებაც მიმდინარეობს კამათი დღესდღეობით იტორიკოსებს შორის: უნდა იყოს თუ არა ისტორიაში მხოლოდ ის, რასაც ჰყვებიან მხოლოდ მამაკაცები, თუ მასში უნდა იყოს გათვალისწინებული ქალური გამოცდილებაც; წმინდა იმპერიული ისტორია, ანუ ისეთი, რომელშიც ძირითადი ადგილი უჭირავს ომებს და კოლონიალურ დაპყრობებს; უნ-

და იყოს თუ არა ის ანგლოცენტრული, თუ უნდა იქნეს გათვალისწინებული კონტინენტალური ერების თვალსაზრისი; უნდა აიგოს თუ არა ის მოკლევადიანი პრინციპების მიხედვით, თუ უნდა იყოს ორიენტირებული გრძელვადიან პროცესებზე; რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, სოციალურს თუ პოლიტიკურს; მის ცენტრში უნდა იდგნენ მონარქები თუ უბრალო ხალხი? მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ წინაშეა არა ერთი, არამედ რამდენიმე ისტორია და ეს გამოწვევის წინაშე აყენებს თანამედროვე ჰუმანიტარებს, რომლებსაც უნდათ შექმნან „ნამდვილი“ ისტორია. ეს ყველაფერი არსებითად არღვევს იმ პროექტის განხორციელების რწმენას, რომელსაც „ჩვენი მემკვიდრეობა“ ჰქვია.

პოსტთანამედროვეობა რეალობაზე ყველანაირ პრეტენზიას უარყოფს: არაფერია ნამდვილი და ავთენტიკური, რამდენადაც ყველაფერი ფალსიფიცირებულია. არ არსებობს „ნამდვილი ინგლისი“, არ არსებობს „ნამდვილი ისტორია“ და „ნამდვილი ტრადიცია“. ავთენტიკურობა – ეს მხოლოდ და მხოლოდ ყალბი ნაკეთობა, არტეფაქტია. მაგრამ თუ ეს ასეა, ჩნდება მუდმივი კითხვა, რომელიც აწუხებს თანამედროვეობას – „მაშინ რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?“ ის, ვინც სვამს ამ კითხვას, გულისხმობს, რომ შესაძლებელია დადგინდეს ჭეშმარიტი მნიშვნელობა, შეიძლება, მაგ., გავიგოთ ბიბლიის ნამდვილი აზრი, გავიგოთ ის, თუ რა უნდოდა არქიტექტორს, როდესაც შენობას გარკვეული სახით აგებდა, როგორი იყო ცხოვრება სინამდვილეში ნაპოლეონის ომების ეპოქაში, რისი თქმა უნდა გოგონას, როდესაც სწორედ ამ კაბას იცვამს.

მაგრამ თუ ჩვენთვის ცნობილია, რომ თავისთავად არაფერსა აქვს აზრი, არამედ არსებობს მხოლოდ სხვადასხვა ინტერპრეტაციები (როლან ბარტი მას პოლისემანტიკურ ხედვას უწოდებს), მაშინ აბსოლუტურად ლოგიკურია, სრულებით უარი ვთქვათ აზრის ძიებაზე. პოსტთანამედროვე ადამიანის ხასიათი არის ისეთი, რომ ის ადვილად ეგუება ანგარიშიანობას და არ ვარდება სასოწარკვეთილებაში, ამის მაგივრად, სიამოვნებას ყოფითი შეგრძნებებით პოულობს. თქვენ, მაგ., შეიძლება არ გქონდეთ წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს თმის ესა თუ ის ვარცხნილობა, მაგრამ მისი თქვენი მეგობრებისთვის დემონსტრირება მდგომარეობს იმაში, რომ ნანახის დაუფიქრებლად აღქმაში სიამოვნება უნდა მიიღოთ. ფრანგებმა სპეციალური ტერმინიც კი შემოიღეს. ის თავდაპირველად კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ თარგმნისას, 1972 წ. იქნა გამოყენებული. კანტმა აღნიშნა განსხვავება დაბალ და მაღალ მგრძნობელობით ფორმებს შორის, მაგრამ პოსტმოდერნისტებისთვის (რომელთაგან თითოეულმა იცის, რომ ყველაფერი მნიშვნელობის განუსაზღვრელ რაოდენობას ფლობს) ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ აღარ არის საჭირო მისი გათვალისწინება. როგორც ამბობენ, დაივიწყე, რა უნდოდა ეთქვა ელვის პრესლის მისი სიმღერით „ციხის როკი“, ეს, უბრალოდ, როკენროლია, დაიჭირე რიტმი და იმოძრავე.

ასე რომ, ჩვენ, ინტელექტუალები, არ უნდა განვიცდიდეთ საზრისის დაკარგვას. რაც შეეხება უბრალო ადამიანებს, ისინი ისევე ნათლად, როგორც ჩვენ, აცნობიერებენ, რომ „ნამდვილი მნიშვნელობის“ ძიება უიმედო მცდელობაა. ისინი ხვდებიან, რომ ყოველ სიტუაციაში წარმოიშობა უამრავი მნიშვნელობა, ასე რომ, მათ შორის ჭეშმარიტების აღმოჩენა რთულია. ამიტომაც ადამიანები კინოშიც კი არ ცდილობენ, ნანახიდან რეალური საზრისი გამოიტანონ: ისინი უბრალოდ განიცდიან იმას, რაც მოაქვს მას: „გასართობია“ თუ აღძრავს მწუხარებას, ყურადღება სხვა რამეზე გადააქვს, გვაძლევს საშუალებას, დავივიწყოთ ოჯახური საქმიანობა ან შევიძინოთ მეგობარი გოგონა ან ბიჭი... და საღამოც მიილია. თანამედროვე ადამიანები მუდმივად განიცდიან იმას, თუ რა რას ნიშნავს, ხოლო პოსტთანამედროვე ადამიანები უკვე დიდი ხანია ამაზე აღარ ფიქრობენ და, თავით ჩაფლულები მრავალფეროვან ყოფაში, საკმაოდ კმაყოფილებიც არიან. პოსტთანამედროვეობაში ტურისტებმა მშვენივრად იციან, რომ ვერაფერს ისინი ვერ მიიღებენ; მათ არაფრით სჯერათ

ვითომდაც ძველი ნაკეთობების ნამდვილობის, რომელსაც თავაზობენ ადგილობრივი დახლები, მათ არ აღელვებთ ტურიზმის კომერციალიზაცია, არ აღიზიანებთ ადგილობრივი ჟიგოლო, რომელიც დაეხეტება პლიაჟზე იოლი მონაპოვრის ძიებაში, ისინი თვალს ხუჭავენ ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებულ ფალსიფიცირებაზე, რომელსაც აქვე, შორიახლოს, ბუჩქებში აღმოაჩენენ, ისინი ჩაწერილი ფილმების ნახვით, პოპმუსიკით და დისკოთეკაზე დასალევით კმაყოფილები არიან. ისინი მშვენივრად აცნობიერებენ, რომ ეს ყველაფერი თამაშია და ამ ფაქტის გამო უხარიათ, მათ უხარიათ ზეიმი, ისინი სიხარულით მონაწილეობენ მათთვის მომზადებულ სცენარებში იმიტომ, რომ ისინი არიან შვებულებაში, მათ უნდათ „გაისწორონ“, „იკაიფონ“, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, რაც „შინაარსთან“ და ადამიანების ავთენტიკურობასთან, კერძებთან და ირგვლივ არსებულთანაა დაკავშირებული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოსტმოდერნიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინტერპრეტაციას, განსხვავებებს, ცხოვრების სტილებს, სხვადასხვა ფასეულობებს – და ეს ყველაფერი უარყოფს სინამდვილეს, რეალობას. კიდევ ერთი მაგალითი: პოსტთანამედროვეობაში გამეფებული აზრი უარყოფს ელიტურობას, კერძოდ კი, განათლებაში. ელიტარული განათლება მიმართულია იმაზე, რომ მოზარდი ზოგადკულტურულ ფასეულობებს, ლიტერატურულ კლასიკას მიაჩვიოს, დააახლოვოს, გარკვეული სოციუმის წევრი გახადოს. განათლებისადმი მსგავს მიდგომას დიდი ხანია აპროტესტებენ, მას იდეოლოგიზებულს და საზოგადოებაში ერთი კლასის მეორეზე გაბატონების გამოვლინებად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, პოსტთანამედროვების იდეოლოგები კიდე უფრო შორს მიდიან: ისინი მოგვიწოდებენ, უგულებელვყოთ მათი შეშფოთება, ვისაც მიაჩნია, რომ კულტურა შეიძლება დანაწევრდეს, მოხდეს მისი მხოლოდ ნაწილობრივი აღქმა. ისინი ითხოვენ, რომ ჩვენმა შვილებმა შეიყვარონ ლიტერატურა და ისტორია, რათა გავიგოთ ის, თუ ვინ ვართ, რამაც შეიძლება გაგვაერთიანოს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „საერთო-ეროვნული კულტურა“ ეს არის ის, რაც უკვე „შეცნობილი“ და „საუკეთესოა“ ჩვენს სამყაროში, ან უფრო მარტივად, რაც „ფასეულია“ ჩვენს სამყაროში და, ამავდროულად, გამონაკლისის დამკვიდრების, ერთი სოციალური ჯგუფის მეორეზე გაბატონების საშუალებაა (ინგლისური კლასიკური ლიტერატურა არაფერს ნიშნავს ეთნიკური უმცირესობებისთვის, ასევე ახალგაზრდებისთვის და მუშათა კლასისთვის დიდ ბრიტანეთში). მეორე მოსაზრება გამოთქვამს ეჭვს იმის შესახებ, მართლა განიცდიან თუ არა გახლეჩილ მოზაიკურ სამყაროში ადამიანები გარკვეულ სირთულეებს, მართალია თუ არა ის, რომ ისინი გაუცხოების გრძნობას, შფოთს და ჩაგვრას განიცდიან.

პოსტთანამედროვეობის იდეოლოგები დადებითად არიან განწყობილნი ფრაგმენტული კულტურისადმი. რა არის ცუდი იმაში, თუ ადამიანი გაეცნობა ჯერ შექსპირს, ხოლო შემდეგ მოუსმენს პოპმუსიკას? დიდი ხნის განმავლობაში კულტურის მესვეურები თავს ვალდებულად თვლიდნენ აეხსნათ ადამიანებისთვის, რა და როგორ უნდა წაეკითხათ, მოესმინათ და ენახათ. ამ მითითებების უკან თანამედროვე რაციონალისტის თავდაჯერებულობა იმალება, რომ არათანმიმდევრულობა თავისთავად ნაკლია. პირიქით, პოსტთანამედროვეობის კულტურა „ჭეშმარიტი აზრის“ მაძიებლებს (იყო ინგლისელი ნიშნავს, იცოდე და გიყვარდეს ისტორიის *მოცემული* ვარიანტი, *მოცემული* რომანი, *მოცემული* ლექსი) ქიმს მიღმა ტოვებს. ...თუ არ დავფიქრდებით საზრისზე, მაშინ სიამოვნება შესაძლოა სრულიად განსხვავებულმა ნივთებმა მოგვანიჭოს: ფრანგულმა სამზარეულომ, მაკდონალდსის ფასტ-ფუდმა, ჩინურმა სამზარეულომ, ბიზემ, მადონამ, ვერდიმ და ჰარი გლიტერმა. გაუმარჯოს ყველაფრისმჭამებლობას!

ვინც მსგავსი ტენდენციის წინააღმდეგ გამოდის, თვითიდენტიფიკაციის დაკარგვას შიშობენ. ეს შიში არ წარმოიშობოდა თითოეული ჩვენგანი რომ არ თვლიდეს, რომ გაგვაჩნია ჭეშმარიტი ავთენტიკური მე – ავტონომიური, თანმიმდევრული და კულტურული გარემოდან მომდინარე წინააღმდეგობრივი სიგნალებიდან დაცული. მაგ., შეიძლება თუ არა ადამიანს, რომელიც თავს ინტელექტუალად თვლის, გააჩნდეს თავისი მე, თუ ის პლატონის კითხვის დასრულების შემდეგ ძაღლების რბენაზე გაემართება? როგორ შეიძლება მეცნიერი, რომელიც ჩაფლულია კვლევებში, ამავდროულად იყოს „ტოტენჰემის“ ფანკლუბის წევრი? როგორ შეიძლება, ჭეშმარიტმა ქრისტიანმა პორნოგრაფიის ყურებისაგან სიამოვნება მიიღოს? როგორ შეიძლება, პატივცემული ადამიანები კრიკეტის თამაშის დროს იტყუებოდნენ?

პოსტთანამედროვეობის კულტურა გვთავაზობს, არ დავიწყოთ წინააღმდეგობათა კვანძის გახსნა, უბრალოდ, ჭეშმარიტი მე-ს არსებობა დავივიწყოთ. ამ თვალსაზრისით, ავთენტიკური მე-ს ძიება სიღრმისეული მნიშვნელობის არსებობას გულისხმობს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი აქ და ახლა, შესაბამისად, მის ძიებას აზრი არა აქვს. ამის მაგივრად, პოსტმოდერნიზმი გვარწმუნებს, შევეგუოთ წინააღმდეგობებს, რომელიც დამახასიათებელია როგორც საზოგადოებისთვის მთლიანად, ასევე, ცალკეული პიროვნებისთვის. და გავაგრძელოთ ცხოვრება ისე, რომ არ შევშფოთდეთ ცხოვრების უაზრობაზე, დავივიწყოთ ისეთი აბსტრაქციები, როგორებიცაა პატიოსნება და მორალი და ვისწრაფოთ მხოლოდ სიამოვნების მიღებისაკენ. ინტელექტუალების მხოლოდ მცირე ნაწილი აკრიტიკებს პოსტთანამედროვეობის იდეოლოგიას, პიროვნების გაქრობის თვალსაზრისით, დანარჩენები კარგად ატარებენ დროს და არც კი აინტერესებთ, თუ რას საუბრობენ ჭკვიანი ადამიანები იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება ჩვენს „ნამდვილ მე-ს“ დაემუქროს.

იმ კულტურის მსგავსად, რომელიც ყველანაირი ხელოვნურისგან და ზედაპირულისგან კმაყოფილებას განიცდის, პოსტთანამედროვეობა უფრო მეტად ქალაქურ ცხოვრებასთან ასოცირდება. ზედაპირულით კმაყოფილება საქმის არსში წვდომის გარეშე, უპირატესობის მინიჭება იმის მიმართ, რაც სწრაფად მზადდება, მოდურისა და არასერიოზულობისადმი.... ამ ყველაფრის განსახორციელებლად ურბანიზებულ გარემოზე უკეთესი რამ არ არსებობს. აქ გამეფებულია ხელოვნურობა, ეჯახებიან განსხვავებული სტილები, არამდგრადობა და ეკლექტიკა, მრავალფეროვნება და განსხვავება, აქ არაფერია სტაბილური, ჩვენს ნერვულ სისტემას მუდმივად ასტიმულირებს კულტურათა კონტრასტი, შეხვედრები ახალ ადამიანებთან, მათ განსხვავებულ ცხოვრების გამოცდილებასთან, შეხედულებებთან და გემოვნებასთან; ეს მრავალფეროვნება ერთდროულად გვამშვიდებს და სტაბილურობის რწმენას გვართმევს.

ბოლოს უნდა აღინიშნოს პოსტთანამედროვე კულტურის კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც უარყოფს საკუთარი მე-ს ძიების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. ის აქცენტირებულია უბრალო ადამიანების შემოქმედებით უნარებზე და თამაშისადმი მათ მიდრეკილებაზე. ახალი დროის ფილოსოფოსები აშკარად ადამიანის მოქმედების დეტერმინისტული თეორიებისკენ იხრებოდნენ. მათთვის დამახასიათებელია ადამიანების შეგრძნებების უგულებელყოფა და საკუთარ მოსაზრებაზე დაყრდნობა, თითქოს მხოლოდ მათ შეეძლოთ იმ ძირითადი მოტივების განსაზღვრა, ვისაც ისინი შეისწავლიდნენ. ფროიდი ამტკიცებდა, რომ ადამიანური მოქმედებების მიღმა უმეტეს შემთხვევაში დაფარულია სექსუალური მოტივები და არ არის მთავარი, რას ფიქრობენ ადამიანები ამის შესახებ; მარქსისტები ფიქრობდნენ, რომ ადამიანის ცნობიერებას განსაზღვრავს ეკონომიკური ურთიერთობები და არ არის მთავარი, თუ რას ფიქრობენ ადამიანები თავად ამის შესახებ; ფემინისტები, იმის თხრობისას, თუ რას განიცდიან ქალები, ამტკიცებენ, რომ სწორედ მათ იციან

ყველაზე კარგად, რაში მდგომარეობს ქალის „ჭეშმარიტი მოთხოვნები“ და სულაც არ არის მთავარი, რას ფიქრობენ ამაზე თავად ქალები.

ჩვენ უკვე განვიხილეთ პოსტმოდერნისტების მტკიცება, რომლის გამეორებასაც ისინი არ ერიდებიან. მათი აზრით, ინტელექტუალებს არა აქვთ არანაირი უფლება ჩათვალონ, რომ ისინი არიან უკეთესები, ვიდრე საშუალო ადამიანი, ამტკიცონ, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტება. მსგავსი ანალოგიების მიხედვით ვკითხოთ მათ, თუ რატომ ფრთხილობენ ინტელექტუალები? იმიტომ, რომ უბრალო ადამიანი მოტყუვდება, პოლიტიკოსები მათ ტექნოლოგიური მანიპულაციებით აურევენ თავგზას თუ პოსტთანამედროვეობის იდიოტური გასართობებით და მოთხოვნებით დააჩლუნგებენ? ხომ არ არის ეს ინტელექტუალების მხრიდან უდიდესი ქედმაღლობის გამოვლინება? რატომ აქვთ ინტელექტუალებს ჭეშმარიტების ცოდნის პრეტენზია, თუ ისინი თვითონვე ცდებიან ხშირად და ვერ თანხმდებიან ერთმანეთში, რას გულისხმობენ ისინი ჭეშმარიტებაში? ის, რასაც ინტელექტულები სისულელეს ეძახიან, საშუალებას აძლევს უბრალო ადამიანებს ისე ნაყოფიერად იცხოვრონ, როგორც ნებისმიერმა ინტელექტუალმა. სამყაროში, სადაც აღიარებულია ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი ვერსია, ადამიანები, მიუხედავად ამისა, განუსაზღვრელად ბევრ მნიშვნელობებს ქმნიან ისე, რომ დაფარულ საზრისს ვერც კი ხვდებიან, შეუძლიათ გამოიყენონ ნივთები და ცხოვრების გამოცდილება მიიღონ.

მიშელ დე სერტომ მის მოზაიკურ წიგნში (1984წ.) მოიყვანა უამრავი მცირე აღმოჩენის მაგალითი, რომელსაც ადგილი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰქონდა. ის თვლის, რომ ეს მაგალითები არის ინტელექტუალების პრეტენზიის უსაფუძვლობის მაჩვენებელი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ უფრო მეტად ესმით ცხოვრების, ვიდრე მასებს. სერტოს მტკიცებით, ადამიანები მუდმივად ქმნიან მნიშვნელობებს, იგონებენ ახალ საშუალებებს, თუ როგორ გამოიყენონ უბრალო ნივთები და ახალ-ახალი სიამოვნება მიიღონ. ისეთი ტრივიალური მოქმედებაც კი, როგორიც არის ავტომობილის ტარება, შესაძლოა შემოქმედებისთვის სტიმული გახდეს: ამ დროს შესაძლებელია ერთდროულად სამსახურში მისვლა და „მარულის“ გამართვა; შეიძლება ნელა სიარული – არსებობს მოძრაობის კვირის სტილი; შეიძლება ფიქრი, მარტო ყოფნით ტკბობა, მუსიკის მოსმენა, მოშვება და სხვა მძღოლებისადმი თვალყურის დევნება. ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ინტელექტუალებს ჰქონდეთ პრეტენზია იმაზე, რომ მათ უკეთ იციან, თუ რას ფიქრობენ უბრალო ადამიანები და როგორ გრძნობენ თავს?

მკითხველს, რომელიც უკვე საკმაოდ გაერკვა პოსტმოდერნიზმის არსში, ალბათ არ გაუკვირდება, რომ მოვლენის არსებითი მხარეების გამოყოფის ნებისმიერი მცდელობა მისთვის საფრთხობელას წარმოადგენს. რაციონალისტები პოსტმოდერნისტების პროვოცირებას სწორედ ბრალდების იმ პუნქტების გახსენებით ცდილობენ, რომლებსაც ისინი ფილოსოფოსების და ახალი დროის ფილოსოფიის ძირითადი დებულებების – ადამიანის მცდელობა, ობიექტურად მსჯელობდეს ჭეშმარიტებაზე, გარეგანი გამოვლინებების უკან დაფარული კანონზომიერებების აღმოჩენის ადამიანური უნარი და დიდი შრომისა და ანალიზის გზით ძირითადი მნიშვნელობების გამოვლენის უნარი – წინააღმდეგ აყენებენ.

რამდენადაც მე თავად არ ვიზიარებ პოსტმოდერნისტების შეხედულებებს, პირდაპირ ჩამოვთვლი პოსტმოდერნიზმის, როგორც ინტელექტუალური მიმდინარეობისა და სოციალური მოვლენის ძირითად მახასიათებლებს:

-ახალი დროის ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების წესების, ღირებულებებისა და ჩვეულებების მიუღებლობა;

-ჭეშმარიტების დადგენის ნებისმიერი პრეტენზიის უარყოფა, რამდენადაც მხოლოდ მისი ვერსიები არსებობს.

- ავთენტიკურობისადმი მისწრაფების უარყოფა, რამდენადაც ყველაფერი არაავთენტიკურია.
- საზრისის დაზუსტებისადმი მისწრაფების მიუღებლობა, რამდენადაც საზრისები უსასრულოდ ბევრია, ეს კი თავად საზრისის ძიებას უიმედოდ აქცევს.
- სუბიექტებს შორის, ინტერპრეტაციებში, ღირებულებებში და სტილებში სხვაობების კონსტატაციით მიღებული კმაყოფილება;
- განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სიამოვნების მიმართ, არარეფლექსირებული ცხოვრების გამოცდილებაზე ორიენტაცია;
- ზედაპირულით, მოჩვენებითით, განსხვავებულით, ცვლილებებით, პაროდიითა და სტილიზაციით ტკბობა და სიამოვნება.

ალან კირბი, პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდგომი ამბები

თვალწინ მიდევს ერთი ბრიტანული უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტის მოდული, რომელიც მისი უებსაითიდან გადმოვქაჩე. იგი შეიცავს დავალებებს და ყოველკვირეულად წასაკითხი მასალის სიას ფაკულტეტური სასწავლო კურსისა „პოსტმოდერნული ლიტერატურა“, და თუ უნივერსიტეტის სახელწოდება აქ დასახელებული არ არის, არა იმიტომ, რომ მოდული ერთგვარად სამარცხვინოა, არამედ იმიტომ, რომ იგი მარჯვედ ასახავს მოდულებს ან მოდულთა ნაწილებს, რომლებიც უნდა ისწავლონ, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოს ინგლისური ენის ყველა ფაკულტეტზე მომავალ სასწავლო წელს. მოდულის აზრით, პოსტმოდერნიზმი ცოცხალია, ყვავის და აქტიურობს: მოდულში ნათქვამია, რომ იგი წარმოაჩენს „პოსტმოდერნისა და პოსტმოდერნულობის მთავარ საკითხებს და განიხილავს მათ ურთიერთობას თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასთან“. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ პოსტმოდერნიზმი ჩვენი თანამედროვეა, მაგრამ სინამდვილეში იმას გვიჩვენებს, რომ იგი მკვდარია და დასაფლავებული.

პოსტმოდერნის ფილოსოფია ხაზს უსვამს ცოდნისა და მნიშვნელობის მოუხელთებლობას. ეს ხშირად გამოიხატება პოსტმოდერნულ ხელოვნებაში, როგორც ირონიულ თვითშემეცნებასთან დაკავშირებული საკითხი.

აზრი პოსტმოდერნიზმის დასრულების თაობაზე ფილოსოფიურად უკვე დასაბუთებულია. არიან ადამიანები, რომლებმაც ძირითადად დაამტკიცეს, რომ რომელიღაც დროის განმავლობაში გვჯეროდა პოსტმოდერნის იდეებისა, მაგრამ აწ უკვე აღარ! და ამიერიდან ვაპირებთ, კრიტიკული რეალიზმისა ვირწმუნოთ. ამ მსჯელობის სისუსტე ის არის, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო წრეებზე, იმ ფილოსოფოსთა პრაქტიკასა და ვარაუდებზე, რომელთაც ძალუძთ ან არ ძალუძთ პოზიციის თითქმის ან მთლიანად შეცვლა და ბევრი მეცნიერი უბრალოდ გადაწყვეტს, რომ ურჩევნია, ფუკოსთან (არქიპოსტმოდერნისტთან) დარჩეს და შემდეგ რაიმე სხვაზე გადავიდეს. თუმცა იმ შეუვალ დასკვნამდე მისვლაც შეიძლება, რომ პოსტმოდერნიზმი მოკვდა, თუკი სამეცნიერო წრეების მიღმა გავიხედავთ და თანამედროვე კულტურულ პროდუქტს შევავლებთ თვალს.

ბევრი სტუდენტი, რომელიც ამ წელს „პოსტმოდერნულ ლიტერატურას“ აირჩევს, 1985 ან შემდეგ წლებში უნდა დაბადებულიყო. მოდულის ყველა ძირითადი ტექსტი, ერთის გარდა, გამოქვეყნებულია სხვა სამყაროში მანამ, ვიდრე სტუდენტები დაიბადებოდნენ: „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, „ცირკში გატარებული ღამეები“, „თუ მოგზაური ზამთრის ერთ ღამეს“, „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვარზე“ (და „ბასრი მორბენალი“), „თეთრი ხმაური“ – ეს დედიკოებისა და მამიკოების კულტურაა. ზოგი ტექ-

სტი („ბაბილონის ბიბლიოთეკა“) დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მათი მშობლები დაიბადნენ. შეცვალეთ ეს მარაგი პოსტმოდერნის სხვა მიმდევართა ნაწარმოებებით – „საყვარელი“, „ფლობერის თუთიყუში“, „წყლის ქვეყანა“, „ლოტი 49“, „გაფითრებული ალი“, „სლოთერჰაუსი-ხუთი“, „ლანარკი“, „ნეირომანტი“, ბ.ს. ჯონსონის რომელიღაც ნაწარმოები – და იმავე სურათს იხილავთ. ყოველივე ეს იმგვარადვე თანამედროვეა, რაგვარადაც „სმიტები“ და სამხრეები, იმგვარივე მხატვრული მოვლენაა, როგორიც ბეტამაქსის ვიდეომაგნიტოფონი. ეს ის ტექსტებია, რომლებიც როკმუსიკისა და ტელევიზიის შესავიწროებლად გაჩნდა. მათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ ტექნოლოგიებისა და მედიაკომუნიკაციების იმ შესაძლებლობებზე – მობილურ ტელეფონებზე, მეილზე, ინტერნეტზე, კომპიუტერზე ყველა სახლში (ეს ადამიანის მთვარეზე გაფრენის ტოლფასი იყო), რომლებიც დღევანდელ სტუდენტობას საჩუქრად ერგო.

პოსტმოდერნული მხატვრული ლიტერატურის ამსახველი ბრიტანული მოდულების მოძველებულობის მიზეზი ის არის, რომ ისინი არავის განუახლებია. თვალი შეავლეთ კულტურულ ბაზარს: იყიდეთ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილი რომანები, ნახეთ ოცდამეერთე საუკუნის კინო, მოუსმინეთ ბოლოდროინდელ მუსიკას – ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ, დაჯექით და უყურეთ ტელევიზორს ერთი კვირის განმავლობაში – და თქვენ ძლივს თუ აღმოაჩენთ პოსტმოდერნიზმის კრთომას. ამგვარადვე, მავანი შეიძლება დაესწროს ლიტერატორთა კონფერენციას (როგორც მოვიქეცი მე ივლისში) და ყური მიუგდოს მოხსენებებს, რომლებშიც არაფერია ნათქვამი თეორიულ საფუძვლებზე, დერიდაზე, ფუკოზე, ბოდრიარზე. მოძღვრებათა უგულებელყოფის, უძლურებისა და არარელევანტურობის განცდის გარდა, სწავლულთა შორის პოსტმოდერნიზმის გავლაც დასტურდება. ადამიანებს, მწარმოებელთ კულტურული მასალისა, რომელსაც კითხულობენ, უყურებენ და უსმენენ სწავლულები და არასწავლულები, პოსტმოდერნიზიმისათვის, უბრალოდ, თავი გაუნებებიათ. ისეთი შემთხვევითი მეტამხატვრული თუ თვითშემეცნებითი ტექსტიც კი, რომელიც ფართოდ გავრცელებულ გულგრილობას გამოხატავს, როგორიცაა ბრეტ ესტონ ელის „ლუნაპარკი“, მოდერნისტული ნოველები, შემდეგ რომ გამოჩნდნენ და დიდი ხანია, გადაავიწყდათ, ასევე 1950 და 60-იან წლებში დაიწერა.

ერთადერთი ადგილი, სადაც პოსტმოდერნიზმი შენარჩუნებულია, საბავშვო მულტფილმებია, ისეთი, როგორებიცაა „შრეკი“ და „უჩვეულონი“. ეს გახლავთ მშობლებისათვის გაღებული ხარკი, რომელთაც თავიანთი ჩვილების გვერდით დროის გატარება უვალდებულიათ. ეს ის დონეა, სადაც პოსტმოდერნიზმის დაცემა მოხდა – პოპკულტურაში შემორჩენილი მარგინალურ მასხარათა წყარო, რომლის სამიზნე რვა წლამდე ბავშვები არიან.

რა არის პოსტმოდერნიზმი?

მწამს, რომ ეს უფრო მეტზე მიანიშნებს, ვიდრე კულტურული მოდის უბრალო ცვლილებაა. ენა, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლება, ცოდნა, ინდივიდუალობა, რეალობა და დრო შეიცნობოდა, შეიცვალა, უეცრად და საბოლოოდ. ახლა წყალვარდნილი ყოფს ლექტორთა უმრავლესობას და მათ სტუდენტებს, რომლებიც ენათესავებოდნენ იმათ, ვინც 1960-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ, მაგრამ არა ამავე სახის მიზეზის გამო. მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადანაცვლებას საფუძვლად არ დასდებია რომელიმე ღრმა კულტურული პროდუქციისა და რეცეპციების გადასხვაფერება. ყოველივე ის, რაც მოხდა, რიტორიკულად რომ გავაზვიადოთ, ის იყო, რომ ზოგმა, ვინც ერთხელ წაიკითხა „ულისე“ და „შუქურისაკენ“, სანაცვლოდ დაწერა „გაფითრებული ალი“ და „სისხლიანი დარბაზი“. მაგრამ, დაახლოებით, 1990-იანი წლების ბოლოსა თუ 2000-ის დამდეგს ახალი ტექნოლოგიების წარმოჩენას ავტორისა და მისი ბუნების, მკითხველისა და ტექსტის, მათ შორის ურთიერთობის ნაძალადევი და სამუდამო რესტრუქტურირება მოჰყვა.

პოსტმოდერნიზმმა, ისევე, როგორც მოდერნიზმმა და მანამდე რომანტიზმმა, გააფეტიშა (ანუ უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა) ავტორს, მაშინაც კი, როცა ავტორმა არჩია, გაეკრიტიკებინა ან თავი მოეჩვენებინა, რომ გააუქმა საკუთარი სტატუსი. დღევანდელი კულტურა კი აფეტიშებს ტექსტის მიმღებს, რამდენადაც ის იქცა ნაწილობრივ ან სრულ ავტორად. ოპტიმისტმა, შესაძლოა, ეს კულტურის დემოკრატიზაციად მიიჩნიოს. პესიმისტი კი ყურადღებას გაამახვილებს მტანჯველ ბანალობასა და ახლად წარმოქმნილი კულტურული პროდუქტის სიცარიელეზე (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც).

ნება მომეცით, აგიხსნათ. პოსტმოდერნიზმმა თანამედროვე კულტურა გაიგო, როგორც სანახაობა, რომელსაც უძლური ინდივიდი უცქერს და რომლითაც რეალობისადმი დასმული კითხვები პრობლემატიზდება. შესაბამისად, ეს აქცენტირდებოდა ტელევიზიასა და კინოეკრანზე. მისი მემკვიდრე, რომელსაც ფსევდომოდერნიზმს დავარქმევდი, კულტურული პროდუქტის შესაქმნელად ინდივიდის ქმედებას აუცილებელ პირობად მიიჩნევს. ფსევდომოდერნიზმი გულისხმობს ყველა ტელე თუ რადიოპროგრამას ან პროგრამების ნაწილს, ყველა „ტექსტს“, რომელთა შინაარსს და დინამიკას იგონებს ან წარმართავს მონაწილე მაყურებელი და მსმენელი (თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინები, თავიანთი პასიურობითა და „მიღებაზე“ ხაზგასმით, მოძველებულია: ვგულისხმობ რომელიმე „Big Brother“-ის ყურებისას ტელეფონით ხმის მიცემას ან ფეხბურთის გულშემატკივრის სატელეფონო ზარს 6-0-6-ზე: ამ დროს მაყურებელი ან მსმენელი მხოლოდ მაყურებელი ან მხოლოდ მსმენელი არ არის).

განსაზღვრების თანახმად, ფსევდომოდერნული კულტურული პროდუქტი შეუძლებელია არსებობდეს და არც არსებობს, თუ მათში ინდივიდი ფიზიკურად არ არის ჩართული. „დიდი მოლოდინი“ მატერიალურად მაინც იარსებებს, ვინმე მას წაიკითხავს, თუ – არა. როცა დიკენსმა მისი წერა დაასრულა და გამომცემელმა მზის სინათლე ახილვინა, მისი მატერიალური ტექსტუალიზება – სიტყვათა მისმიერი შერჩევა – შედგა და დასრულდა იმის მიუხედავად, ხალხი ტექსტის როგორ ინტერპრეტაციას აიტაცებდა, ნებისმიერი დაიმახსოვრებდა, თუ – არა. მისი მატერიალური პროდუქტიულობა და შედგენილობა დაადგინეს მხოლოდ მისმა მომწოდებლებმა, ანუ ავტორმა, გამომცემელმა და ა.შ. – მკითხველი მხოლოდ შინაარსის მბრძანებელი გახდა. Big Brother კი, როგორც ტიპური ფსევდომოდერნული ტექსტი, მატერიალურად ვერ იარსებებდა, თუ კონკურსანტების სასარგებლოდ ვინმე არ დარეკავდა და ხმას არ მისცემდა. ამგვარად, ხმის მიცემა პროგრამის მატერიალური ტექსტუალიზების ნაწილია – მაყურებელი, რომელიც ტელეფონით რეკავს, ამავე დროს, პროგრამის „შემქნელიცაა“. ასე რომ არა, იგი, ზებუნებრივი ქმედების ძალით, ენდი უორჰოლის ფილმს დაემსგავსებოდა: ნევროზული ახალგაზრდა ექსჰიბიციონისტი ინერტულად მოჰყვებოდა გინებას და ოთახში უმიზნო საუბარს საათების განმავლობაში. ამგვარად, რაც Big Brother-ს იმად აქცევს, რაც არის, მაყურებლის სატელეფონო ზარია.

ფსევდომოდერნიზმი ასევე მოიცავს თანამედროვე საინფორმაციო პროგრამებს. მათი არსი დიდწილად გულისხმობს მეილებსა და ტექსტურ შეტყობინებებს, რომლებიც კომენტირებულ ახალ ამბებს ახლავს. ტერმინი „ინტერაქტიურობა“ ამ შემთხვევაში თანაბრად შეუსაბამოა, ვინაიდან აქ არ არის „გაცვლა“: ამის ნაცვლად მაყურებელი ან მსმენელი „შემოდის“ – წერს პროგრამის სეგმენტს – შემდეგ „გადის“, თავის პასიურ როლს უბრუნდება. ფსევდომოდერნიზმი ასევე შეიცავს კომპიუტერულ თამაშებს, რომელიც, წინარეს მსგავსად, ინდივიდს კონტექსტში ათავსებს, სადაც, წინასწარ მოფიქრებული სქემით, იგი კულტურულ შინაარსს იგონებს. ყველა ამ ინდივიდუალური ქმედების – თამაშის – შინაარსის ცვლილება ცალკეულ მოთამაშეზეა დამოკიდებული.

ფსევდომოდერნული კულტურის ფენომენის ტიპური გამოვლინებაა ინტერნეტი. მისი ცენტრალური ქმედება ის არის, რომ ინდივიდი აწკაპუნებს თავის მაუსს ერთი გვერდიდან მეორეზე გადასასვლელად, თანაც ისე, რომ ამის ზუსტად გამეორება შეუძლებელია, გზას იკვლევს კულტურულ პროდუქციაში, რომელიც მანამდე არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. ეს კულტურული პროცესის ისეთი ინტენსიური კავშირია, რომელსაც ვერანაირი ლიტერატურა ვერ შემოგვთავაზებს, და ბადებს უცილო აზრს (ან ილუზიას) ინდივიდუალური კონტროლისა, მართვისა, მუშაობისა, ინდივიდის ჩართულობისა კულტურული პროდუქციის შექმნაში. ინტერნეტგვერდები ისე არ ავტორიზდება, რომ ვინმემ შეიტყოს, ვინ შექმნა ისინი ან ვინ ზრუნავს მათზე. მათი უმრავლესობა ან თხოვს ინდივიდს, რომ მათზე იმუშაოს Streetmap-ისა და Rout Planner-ის მსგავსად, ან ნებას რთავს, დაამატოს რამე, როგორც ვიკიპედიაში, ფიდბექში ან, მაგალითად, უებსაითის შექმნისას. ყველა შემთხვევაში, ინტერნეტისათვის ნიშანდობლივია, რომ თქვენ იოლად შექმნათ თქვენი გვერდი (ანუ ბლოგი).

თუ ინტერნეტი ანდა მისი გამოყენება განსაზღვრავს და აბატონებს ფსევდომოდერნიზმს, ახალმა ერამ უკვე განაახლა მოძველებული ფორმები. ფსევდომოდერნული ხანის კინო უფრო და უფრო ემსგავსება კომპიუტერულ თამაშებს. კინოსახეები, რომლებიც ოდესღაც სინამდვილიდან მოვიდნენ ჩარჩოში ჩასმულები, განათებულნი, გასააუნდტრეკებულნი და გარედაქტირებულნი გონებამახვილი რეჟისორების მიერ, რომლებიც მაყურებლის ფიქრებისა და ემოციების გზამკვლევობას კისრულობდნენ, ახლა დიდწილად კომპიუტერის მეშვეობით იქმნება. და ადამიანები უყურებენ ამას. თუ სპეციალური ეფექტები იმიტომ გამოიგონეს, რომ დაუჯერებელი დამაჯერებლად ექციათ, CGI ხშირად (გაუაზრებლად) იმისთვის ირჯება, რომ შესაძლებელი ხელოვნურად გამოიყურებოდეს, როგორც ეს ხდება „ბეჭდების მბრძანებელსა“ და „გლადიატორში“. ბრძოლები, რომლებშიც ათასობით ინდივიდი იყო ჩართული, მართლაც მოხდა; ფსევდომოდერნული კინო კი მათ ისე წარმოაჩენს, თითქოს მათი მოხდენა მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში ყოფილიყო შესაძლებელი. და ამრიგად, კინომ კულტურული საფუძველი მხოლოდ უბრალოდ კომპიუტერს კი არ ჩაუყარა, როგორც მის სახეთა გენერატორს, არამედ – კომპიუტერულ თამაშებს, როგორც მაყურებელთან მისი ურთიერთობის მოდელს.

ამის მსგავსად, ფსევდომოდერნული ხანის ტელევიზიას პატივში ჰყავს არა მხოლოდ Reality TV (ეს კიდევ ერთი უცხო ტერმინი!), არამედ კომერციული არხები ან ვიქტორინები, რომლებშიც ფულის მოგებით დაიმედებული მაყურებელი სწორი პასუხის სათქმელად რეკავს. ტელევიზია ასევე წყალობს ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა Ceefax და Teletext. მაგრამ ამ ახალი ვითარების გამო მოთქმა-გოდების ნაცვლად გაცილებით გამოსადეგი იქნებოდა, თუ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს კულტურულ მიღწევებად გარდავქმნიდით. საგულისხმოა იმის შემჩნევაც, რომ ფორმა შეიცვლება თუ არა (Big Brother შეიძლება გამოიფიტოს!), მნიშვნელობა არა აქვს: ტერმინები, რომლებითაც ინდივიდები დაკავშირებულნი არიან თავიანთ ტელეეკრანთან და იმასთან, რასაც ხშირად მაუწყებლები გვიჩვენებენ, უდავოდ, შეიცვალა. ტელევიზიის უბრალო საყურებელი ფუნქცია, ისევე, როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგისა, მარგინალურად იქცა: ახლა მაყურებელს, ოდესღაც რომ „მიმღებს“ ეძახდნენ, ევალება, დაკავებული, აქტიური გამომგონებელი იყოს. იგი ყველაფერი ამით თავს ძალმოსილად გრძნობს, და ეს მართლაც აუცილებელია; ტრადიციული „ავტორი“ დაყვანილ იქნა იმის სტატუსამდე, ვინც ან ადგენს პარამეტრებს, რომელთა ფარგლებშიც სხვები მოქმედებენ, ან ხდება, უბრალოდ, არარელევანტური, უცნობი, მეორეხარისხოვანი; ამასთან, „ტექსტისთვის“ ნიშანდობლივია როგორც ჰიპერეფემერულობა, ისე – არასტაბილურობა. ეს „მაყურებლის“ დამსახურებაა. ეს რომ არ მომხდა-

რიყო, თქვენ ვერ წაიკითხავდით „მიდლმარჩს“ 118-ე გვერდიდან 316-მდე, 401-მდე, 501-მდე, მაგრამ თქვენ შეძლებდით Ceefax-ის წაკითხვას.

ფსევდომოდერნული ტექსტი განსაკუთრებულად ცოტა ხანს ძლებს. ასე რომ არა, ვთქვათ, „Fawlty Towers“ სატელევიზიო რეალითი პროგრამები თავიანთი ორიგინალური ფორმით აღარ განმეორდებოდა, სატელეფონო გადაცემა ხელმეორედ აღარ წარმოიქმნებოდა, სატელეფონო შესაძლებლობების გარეშე კი რეალითი შოუ განსხვავებულ და გაცილებით ნაკლებმომხიბლავ არსებად გადაიქცეოდა. Ceefax ტექსტი რამდენიმე საათის შემდეგ კვდება. თუ მეცნიერები დამოწმებულ ინტერნეტგვერდებს ათარიღებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდები უჩინარდება ან რადიკალური სისწრაფით იცვლება. ტექსტუალური მესიჯების ან მეილების ორიგინალური ფორმით შენახვა უკიდურესად რთულია. მეილების ამობეჭდვა მათ თითქოს წერილის მსგავს სტაბილობას მატებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი არსობრივი, ელექტრონული მდგომარეობა ნადგურდება. რადიოში ტელეფონით დარეკვის, კომპიუტერული თამაშების შენახვის ვადა მცირეა, ისინი ძალიან მალე ძველდება. ასეთ რამეებზე დამყარებულ კულტურას მახსოვრობა არ გააჩნია – რასაკვირველია, არ ვგულისხმობ წინამავალ მძიმედ სატარებელ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მიიღო მოდერნიზმმა და პოსტმოდერნიზმმა. ბერწი და აქროლვადი ფსევდომოდერნიზმი, ამგვარად, ამნეზიურიცაა: ეს არის ამ მომენტში (ამჟამად) მიმდინარე კულტურული ქმედებები, რომელთაც არც წარსული გააჩნიათ, არც – მომავალი.

ფსევდომოდერნული კულტურული პროდუქცია ასევე გამორჩეულად ბანალურია, რაზეც უკვე მივანიშნე. ფსევდომოდერნული ფილმების შინაარსი, არსებითად, იმ ქმედებებისკენაა მიდრეკილი, რომლებიც წარმოქმნიან და ამთავრებენ ცხოვრებას. სცენართა უმწიფარი პრიმიტივიზმი თანამედროვე კინოს ტექნიკური ეფექტების გამოცდილების მკაცრი კონტრასტია. მესიჯებისა და მეილების ტექსტთა უმრავლესობა მოსაწყენია იმასთან შედარებით, რითაც განათლებული ადამიანები თავიანთ წერილებს ავსებენ. ყველგან ტრივიალობა და სიმწირე ბატონობს. ფსევდომოდერნული ერა, ჯერჯერობით მაინც, კულტურული უდაბნოა. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ავაყვავოთ იგი ახალი ტერმინების გამოყენებით, რომლებსაც შევუთანადებთ მნიშვნელოვან არტისტულ მხატვრულ გამოთქმებს (რის შედეგადაც, დამაკნინებელი იარლიყი, რომლითაც ფსევდომოდერნიზმი შევამკე, უკვე შესაბამისი აღარ იქნება). ახლა ჩვენ ადამიანური ქმედების ის ქარიშხალი გვებრძვის, რომელიც, რომელიმე მყარი განგრძობითი ან თუნდაც წარმომქნელი კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, ისეთი რაიმეს მნიშვნელობით, რომელსაც ადამიანები ორმოცდაათი ან ორასი წლის განმავლობაში არაერთხელ შეაფასებენ, ვერაფერს შობს.

ფსევდომოდერნიზმის ფესვები შეიძლება წლების წიაღში, პოსტმოდერნიზმის ბატონობის ხანაში დაიძებნოს. საცეკვაო მუსიკა და ინდუსტრიული პორნოგრაფია, მაგალითად, უკანასკნელი 70-იანი და 80-იანი წლების პროდუქცია, ეფემერულობისაკენ, მნიშვნელობის სიფუყისაკენაა მიდრეკილი. იგი არაავტორიზებულია (ცეკვა უფრო მეტად, ვიდრე – პოპი ან როკი). ასევე წინა პლანზე გამოაქვთ მათი „რეცეპციის“ ქმედება: საცეკვაო მუსიკა საცეკვაოდ არსებობს, პორნო კი არ უნდა წაიკითხო ან უყურო, არამედ უნდა გამოიყენო. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოქმნის ფსევდომოდერნულობის მონაწილეობის ილუზიას. მუსიკაში ფსევდომოდერნი ჩანაცვლებულია რომელიმე ცნობილი შემსრულებლის ალბომით, როგორც მონოლითური ერთიანი ტექსტით; მსმენელის მიერ ინდივიდუალური ტრეკების iPod-ზე ატვირთვისა და დამიქსვის ნამდვილი პროტოტიპი იყო ერთი თაობის წინ მუსიკის მოყვარულთა მიერ შეგროვებული მუსიკალური კომპილაციები. მაგრამ ცვლილება მოხდა იქ, სადაც ფანის მარგინალური დროს ტარება გაბატონებულად იქცა. ეს არის მუსიკის მოხმარების გარკვეული საშუალება, როცა რომელიმე ალბომის რენდე-

რიზების იდეა ხელოვნების ნიმუშად ითვლება, როცა ინტეგრალური მნიშვნელობის მქონე სხეული ქრება.

ამ თვალსაზრისით, ფსევდომოდერნიზმი სხვა არაფერია, თუ არა იმ რაღაცის ტექნოლოგიურად მოტივირებული გადანაცვლება კულტურულ ცენტრზე, რაც უკვე არსებობდა (ამის მსგავსად, მეტალიტერატურა უკვე არსებობდა, მაგრამ ისე გაფეტიშებული არ იყო, როგორც ეს პოსტმოდერნიზმმა შეძლო). ტელევიზია ყოველთვის იყენებდა აუდიტორიის მონაწილეობას, ისევე, როგორც თეატრი ან სხვა პერფორმაციული ხელოვნება, მაგრამ, როგორც ერთ-ერთ ვარიანტს, და არა – აუცილებლობას: ფსევდომოდერნულმა ტელეპროგრამებმა აუდიტორიის მონაწილეობა საკუთარ თავზე დააფუძნეს. ასევე, დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ძალზე „აქტიური“ კულტურული ფორმებიც, კარნავალიდან ვიდრე პანტომიმამდე. მაგრამ არც ერთ მათგანს უგულისხმია დაწერილი ან რამენაირი მატერიალიზებული ტექსტი და, ამგვარად, ისინი ცხოვრობდნენ იმ კულტურის პერიფერიაში, რომელმაც გააფეტიშა ასეთი ტექსტები – მაშინ, როცა ფსევდომოდერნული ტექსტი, მისთვის ნიშანდობლივი ყველა თავისებურებით, დგას, როგორც ცენტრალური, გაბატონებული, პარადიგმული ფორმა დღევანდელი კულტურული პროდუქციისა, თუმც კულტურამ, მიუხედავად მისი მარგინალურობისა, მაინც იცის სხვა ფორმები. ამ სხვა სახეობათა „პასიურობა“ უნდა გაექცეს სტიგმას ფსევდომოდერნული „აქტიურობის“ ფონზე. კითხვას, მოსმენას, ყურებას ყოველთვის ჰქონდა მოღვაწეობის საკუთარი არსი და ბუნება. მაგრამ ფსევდომოდერნულ ტექსტთა წარმომქნელის ფიზიკურობამ და იმ გარემოებამ, რომ მან აუცილებლად უნდა შექმნას ტექსტთა კრებული, იგი გააბატონა: ამან შეცვალა ძალაუფლების კულტურული ბალანსი (გაითვალისწინეთ წარსულის ეს გიგანტები – კინო და ტელევიზია – როგორ უხრიან ქედს მათ). იგი აყალიბებს ოცდამეერთე საუკუნის სოციალურ-ისტორიულ-კულტურულ ჰეგემონიას. მეტიც, ფსევდომოდერნის საქმიანობა საკუთარი სპეციფიკურობით ხასიათდება: ის ელექტრონული და ტექსტუალურია, თუმც – ეფემერული.

დაწკაპუნება ცვლილებებზე

პოსტმოდერნიზმში მავანი კითხულობდა, უყურებდა, ისმენდა, როგორც ადრე. ფსევდომოდერნიზმში მავანი რეკავს, აწკაპუნებს, ღილაკს აწვება, ერთი საიტიდან მეორეზე გადადის, ირჩევს, მოძრაობს, ტვირთავს. საქმე გვაქვს თაობებს შორის ინტერვალთან, რომელიც დაუდევრად აცალკევებს ხალხს, ვინც 1980 წლამდე ან მას შემდეგ დაიბადა. ვინც უფრო გვიან იშვა, თავისი ტოლები შეეძლო მიეჩნია თავისუფლებად, ავტონომიურებად, ექსპრესიულებად, დინამიკურებად, ძლიერებად, დამოუკიდებლებად, მათი უნიკალური ხმა ისმოდა და ისმინებოდა: პოსტმოდერნიზმი და ყველაფერი, რაც მანამდე იყო, პირიქით, შეფასდება ელიტურ, მოსაწყენ, გაუცხოებულ და უნდილ მონოლოგად, რომელიც თრგუნავს და ნიღბავს ადამიანებს. 1980 წლამდე დაბადებულები შესაძლოა განხილულ იქნენ არა ადამიანებად, არამედ – თანამედროვე ტექსტებად, რომლებიც ხან სასტიკნი არიან, ხან – პორნოგრაფიულნი, ხან ირეალურნი, ხან – ბანალურნი, ხან უგემოვნონი, ხან – კონფორმისტები, ხან მომხმარებელნი, ხანაც – უაზრონი და უგუნურნი (იხ. სიბრიყვეები, ვთქვათ, ვიკიპედიის რომელიმე გვერდზე ან უშინაარსობანი Ceefax-ზე). ის, რაც ფსევდომოდერნიზმამდე იყო, დიდწილად შეფასდება გონიერების, შემოქმედების, ამბოხისა და ჭეშმარიტების ოქროს ხანად. აქედან გამომდინარე, სახელწოდება „ფსევდომოდერნიზმი“ ასევე შეიცავს დაძაბულობას, ტექნოლოგიურ საშუალებათა სინატიფეს და მათ მიერ გადმოცემული შინაარსის ბანალობასა თუ უგუნურებას შორის კულტურული მომენტი შეჯა-

მებულია მობილური ტელეფონების მომხმარებელთა გონებაშეზღუდულობით, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: „ავტობუსში ვარ“.

პოსტმოდერნიზმი „რეალობას“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ფესვდომოდერნიზმი კი სინამდვილეს განსაზღვრავს მთლიანად ჩემ-ად, ახლა-დ, საკუთარ ტექსტებთან „ინტერაქციად“. მაშასადამე, ფსევდომოდერნიზმის აზრით, რასაც იგი ქმნის ან აკეთებს, მხოლოდ ის არის სინამდვილე, და ფსევდომოდერნულ ტექსტს, თითქოს რეალურად ძალუძდეს გაფურჩქნა ძალზე მარტივი ფორმით: ხელის კამერით გადაღებული დოკუმენტური საპნის ოპერებით (რომელიც აჩვენებს შეშფოთებულ ინდივიდებს და მაყურებელს თანამონაწილეობის ილუზიას უქმნის); „ოფისით“ და „ბლერის მოჯადოებული პროექტით“, ინტერაქტიური პორნოგრაფიითა და რეალიტი ტვ-თ; მაიკლ მურისა და მორგან სპარლოკის ესსეისტური კინოთი.

სინამდვილის ამგვარ ხედვასთან ერთად, ცხადია, ინტელექტუალურ შეხედულებათა დომინანტური სისტემა შეიცვალა. როცა პოსტმოდერნიზმის კულტურული პროდუქტი გადაეცა იმავე ისტორიულ სტატუსს, როგორებიც მოდერნიზმი და რომანტიზმი იყო, მისი ინტელექტუალური ტენდენციები (ფემინიზმი, პოსტკოლონიალიზმი და ა.შ.) ახალ ფილოსოფიურ გარემოში იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. სამეცნიერო წრეები, განსაკუთრებით, ბრიტანეთში, დღესდღეობით ისე გაუტაცია საბაზრო ეკონომიკაში ძალების მოსინჯვასა და ვარაუდების გამოთქმას, რომ გამორიცხულია, ლექტორებმა თავიანთ სტუდენტებს განუცხადონ, რომ ისინი პოსტმოდერნულ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც იდეოლოგიათა, მსოფლაღქმათა და ხმათა სიმრავლეში ვინმემ შეიძლება მათიც გაიგონოს. მათ ყოველ ნაბიჯს საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს, ლექტორებს არ ძალუძთ, იქადაგონ მრავალფეროვნება, როცა მათი სიცოცხლეზე განსხეულებული ფანატიზმი ბატონობს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამყარო ინტელექტუალურად დავიწროვდა. ლიოტარმა დიადი ნარატივების გაფერმკრთალება შეამჩნია, ფსევდომოდერნიზმი კი ხედავს, გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის იდეოლოგიამ როგორ მიაღწია ერთპიროვნულის დონეს და ყოველგვარი სოციალური მოღვაწეობის უძლიერეს რეგულატორად – ყოვლის შთანმთქმელ, ყოვლის ამხსნელ, ყოვლის სტრუქტურებად დამნაწევრებელ – მონოპოლიზმად ჩამოყალიბდა, რასაც უსიამოვნოდ შენიშნავენ სწავლულები. ფსევდომოდერნიზმი, რა თქმა უნდა, მომხმარებელი და კონფორმისტია, ის არის მიზეზი, რომლის გამოც სამყაროს გარს ისე უნდა უარო, თითქოს ის გაეჩუქებინოთ ან გაეყიდოთ.

მეორეც: მაშინ, როცა პოსტმოდერნიზმმა გააღმერთა ირონიულობა, ინფორმირებულობა და თამაში, თავიანთი ალუზიებით ცოდნაზე, ისტორიასა და ამბივალენტურობაზე, ფსევდომოდერნიზმის ტიპური ინტელექტუალური ფორმებია უცოდინარობა, ფანატიზმი და განგაშის განცდა: ბუში, ბლერი, ბინ ლადენი, ლე პენი და მისი მსგავსნი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ უფრო ნაკლებძალმოსილი მასები. ფსევდომოდერნიზმი მიეკუთვნება სამყაროს, რომელიც აღსავსეა ამერიკის შეერთებული შტატების რელიგიურ ფანატიკოსთა სეგმენტის, თითქოს სეკულარული, მაგრამ სინამდვილეში ჰიპერრელიგიური ისრაელისა და მთელ პლანეტაზე მიმოფანტულ მუსლიმთა ფანატიკური ქვეჯგუფის ურთიერთქიშპობით: ფსევდომოდერნიზმი არ შობილა 2001 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ პოსტმოდერნიზმი კი დაიმარხა იმ ნანგრევებში. ამ კონტექსტში, ფსევდომოდერნიზმი მუჯლუგუნით აქეზებს ფანტასტიკურად ნატიფ ტექნოლოგიას, მისდიოს შუასაუკუნეობრივ ბარბაროსობას – ინტერნეტში თავის კვეთის სცენებით აღსავსე ვიდეოების ატვირთვითა და მობილური ტელეფონით ციხეებში მოწყობილი ტანჯვა-წამების გადაღებით.

ამას გარდა, ყველას უწევს ორცეცხლშუა ყოფნა და ამ ძრწოლის გამოცდა. მაგრამ ეს ფატალისტური ძრწოლა სცდება გეოპოლიტიკას და თანამედროვე ყოფის ყველა ასპექტს სწვდება; ეს გახლავთ სოციალური დაცემისა და იდენტობის დაკარგვის შიში; ჯანმრთელობასა და დიეტაზე ღელვა; კლიმატურ ცვლილებათა დესტრუქციულობის გამო ტანჯვა; საკუთარი უუნარობისა და უსუსურობის შეგრძნება იმ ტელეპროგრამათა შედეგად, რომლებიც გვასწავლიან, როგორ დავალაგოთ სახლი, როგორ აღვზარდოთ ბავშვები და როგორ დავრჩეთ გადახდისუნარიანები. ეს ტექნოლოგიური სიბრიყვე უაღრესად თანამედროვეა: ფსევდომოდერნისტი გამუდმებით ურთიერთობს პლანეტის მეორე მხარეზე მცხოვრებლებთან, მაგრამ იმისთვის, რომ უთხრან, ჯანმრთელობისთვის ბოსტნეული სასარგებლოაო. ეს ბრინჯაოს ეპოქის აშკარა ფაქტია. ფსევდომოდერნისტი მამაკაცი თუ ქალი წარმართავს ნაციონალურ სატელევიზიო პოლიტიკას, მაგრამ არ იცის, რა ჭამოს – ამ დახასიათებათა ნაზავში ბავშვიც ჩანს და მოზრდილიც, ძლიერიც და უსუსურიც. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს გახლავთ ხალხი, რომელსაც არ ძალუძს „დიადი ნარატივების ურწმუნობა“, ლიოტარი ტიპურ პოსტმოდერნისტებს რომ არწმუნებდა.

ფსევდომოდერნული ეპოქა, ასეთი ძრწოლისმომგვრელი და თითქოს გაუკონტროლებელი, უცილოდ შეუპყრია სურვილს, დაუბრუნდეს სათამაშოებით ინფანტილურ გართობას, რაც ასევე ნიშანდობლივია ფსევდომოდერნული კულტურული სამყაროსათვის. ეს ტიპური ემოციური სიტუაცია, რომელიც რადიკალურად უსწრებს ირონიის ჰიპერგონივრულობას, ტრანსია – მდგომარეობა, როცა საკუთარსავე საქმიანობას გადაუსანსლიხარ. მოდერნიზმის ნევროზულობისა და პოსტმოდერნიზმის ნარცისიზმის სანაცვლოდ ფსევდომოდერნიზმს ეს სამყარო სადღაც მიაქვს, როდესაც ქმნის ახალ, უწონად, ჩუმი აუტიზმით აღსავსე „არსაით“-ს. მთავარია, დააწკაპუნოთ, ღილაკს დააწვეთ, და უკვე „ჩართულები“, შთანთქმულები, გადაწყვეტილები ბრძანდებით. თქვენ ტექსტი ხართ, ირგვლივ არავინაა, არც „ავტორი“; ირგვლივ არაფერია, არავითარი სხვა დრო და ადგილი; თქვენ თავისუფალი ხართ: თქვენ ტექსტი ხართ: ტექსტი იკავებს თქვენს ადგილს.

ინგლისურიდან თარგმნა გია ჯოხაძემ,
semioticsjournal.wordpress.com

შეჯამება

პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია

სავარაუდოდ, პოსტთანამედროვეობის აღწერის იმდენი ნაირსახეობა არსებობს, რამდენიც პოსტთანამედროვეობის სოციალური თეორეტიკოსია. მოდით, ვითარების გამარტივების მიზნით, ყველაზე გამოჩენილი პოსტმოდერნისტების – ფრედერიკ ჯეიმსონის და ჟან ბოდრიარის შემოთავაზებული აღწერის ვარიანტები განვიხილოთ. ფრედერიკ ჯეიმსონის მიხედვით, პოსტთანამედროვეობა არის: პირველი – ზედაპირული, იმიტაციების სამყარო; მეორე – ეს არის სამყარო, რომელიც აფექტებისა და ემოციების დეფიციტს განიცდის; მესამე – დაკარგულია საკუთარი ადგილის გრძნობა ისტორიაში; მეოთხე – სწრაფად განვითარებად თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების ნაცვლად, პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გაბატონებულია იმპლოზიური, ადამიანის დამაჩლუნგებელი

სამრეწველო ტექნოლოგიები. ასეა თუ ისე, პოსტმოდერნისტული საზოგადოება ძალიან განსხვავდება მოდერნის ეპოქის საზოგადოებისაგან.

პოსტმოდერნის სამყაროს აღწერისას ბოდრიარი, როგორც ჯეიმსონი, ასევე აღნიშნავს, რომ იგი მიმბაძველობით ხასიათდება; ჩვენ „თვალთმაქცობის საუკუნეში“ ვცხოვრობთ. მიბაძვის პროცესს სიმულაკრების შექმნასათან, განმეორებებთან მივყავართ. როდესაც ნიშნებსა და რეალობას შორის განსხვავება ქრება, რეალობის განსხვავება მისივე ასლისაგან სულ უფრო ძნელი ხდება. ბოდრიარი „ტელევიზიის გათქვეფაზე ცხოვრებაში და ცხოვრების გათქვეფაზე ტელევიზიაში“ ლაპარაკობს. საბოლოო ანგარიშით, სწორედ რეალურის გამოსახულება, იმიტაციები იკავებენ გაბატონებულ ადგილს. ჩვენ ამ სიმულაციების ტყვეობაში ვართ, რომლებიც „დასაწყისისა და დასასრულის გარეშე არსებულ სპირალისებურ, წრიულ სისტემას ქმნიან“.

კითხვები და დავალებები:

1. რა განსხვავება არსებობს სოციოლოგიურ და სოციალურ თეორიებს შორის?
2. რამდენ პოზიციას აფიქსირებენ მკვლევრები პოსტმოდერნული სოციალური თეორიის განვითარებაში? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
3. გააანალიზეთ „პოსტთანამედროვეობის“, „პოსტმოდერნიზმის“ და პოსტმოდერნული თეორიის“ ტერმინებით გადმოცემული ცნებების არსებითი ნიშნები და მნიშვნელობა?
4. განმარტეთ „მეტანარატივის“ ცნება. გააანალიზეთ ჟ. ლიოტარის მიერ წამოყენებული ფორმირებული არგუმენტები, რომლებმაც პოსტმოდერნული თეორიის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო.
5. რამდენ ეტაპს გამოყოფს ფ. ჯეიმსონი კაპიტალიზმის განვითარებაში? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
6. დაახასიათეთ ის ხუთი ძირითადი ელემენტი, რომლებიც, ფ. ჯეიმსონის მიხედვით, პოსტთანამედროვე საზოგადოების შემადგენელი არსებითი ელემენტებია?
7. გააანალიზეთ ჟ. ბოდრიარის დებულების არსი – „ესაა საზოგადოება, რომელშიც უკვე არა წარმოება, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მართვის კიბერნეტიკული მოდელები და სისტემები, კომპიუტერები, ინფორმაციის დამუშავება, გართობისა და ცოდნის ინდუსტრია ბატონობს“.
8. განმარტეთ ჟ. ბოდრიარის დებულების არსი: საბოლოო ანგარიშით, რეალობა მეტად აღარ არსებობს, მხოლოდ ჰიპერრეალობა არსებობს.
9. განმარტეთ ჟ. ბოდრიარის მიერ სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინ „სიმულაკრის“ არსი და როგორ შეიძლება იმ დებულების არსი სწორად გავიგოთ, როდესაც ბოდრიარი „ტელევიზიის გათქვეფაზე ცხოვრებაში და ცხოვრების გათქვეფაზე ტელევიზიაში“ ლაპარაკობს?
10. გააანალიზეთ პოსტმოდერნული სოციალური თეორიის კრიტიკის ძირითადი მომენტები. მათი ძლიერი და სუსტი მომენტები გამოყავით.

ძირითადი ლიტერატურა:

https://semioticsjournal.wordpress.com/2012/11/15/ალან-კირბი-პოსტმოდერნიზმი
ალან კირბი. პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდგომი ამბები.
ჟან ბოდრიარი. ქალაქი და სიძულვილი.
ფრედერიკ ჯეიმსონი – „პოსტმოდერნიზმი და სამომხმარებლო საზოგადოება“.

Лиотар Ж. Ф. Состояние постмодерна / Пер. с фр. Н.А. Шматко. СПб: Алетейя, 1998.
Бодрийяр Ж. Символический обмен и смерть/ Пер. с фр. С. Н. Зенкина. 2-е изд. М.: Университет. Добросвет, 2006.
Бодрийяр Ж. Америка./ Пер. с фр. Д. Калугина. СПб: Владимир Даль. 2000.

დამატებითი ლიტერატურა:

Ритцер Дж., Современные социологические теории. 5-ое издание, «Питер, 2002. ст. 521-557
Annette Treibel. Einfurung in sociologische Theorien der Gegenwart. 4., verbesserte Auflagen Opladen 1997. ст. 38-40.
Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004.

თავი მეთოთხმეტე – ვიზუალური, ანუ მესამე სოციოლოგიის ჰორიზონტები

1. *მესამე სოციოლოგია;*
2. *ვიზუალური სოციოლოგიის ჰორიზონტი;*
3. *მესამე სოციოლოგიის სათავეებთან;*
4. *მესამე სოციოლოგიის ონტოლოგიური წანამძღვარი;*
5. *ახალი პერსპექტივის პერსპექტივა.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- შემობრუნება;
- ვიზუალური სოციოლოგია;
- ყოველდღიურობის სოციოლოგია;
- მესამე სოციოლოგია;
- პარადიგმული წინსვლა.

1. მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგია

სოციოლოგია თეორიულად და მეთოდოლოგიურად იცვლება. ცნობილ სოციოლოგთა ერთი ნაწილი ტრივიალურ ყოველდღიურ ცხოვრებას შეისწავლის. მასობრივი გამოკითხვები სიღრმისეული ინტერპრეტაციით და თვისებრივი კვლევებით იცვლება, რომლებიც დაკვირვებისა და ვიზუალური სოციოლოგიის მეშვეობით აქცენტს საზოგადოების ხილულ პროცესებზე აკეთებენ. შტომპკას აზრით, ეს ყველაფერი სოციალური ეგზისტენციის შესწავლა, პარადიგმული წინსვლის ნიშანი, მესამე სოციოლოგიის დასაწყისია. მეორე სოციოლოგია – მოქმედებასა და ქცევას, ხოლო პირველი სოციოლოგია – ორგანიზმებსა და სისტემებს შეისწავლიდა. სოციალური ყოფიერების/არსებობის სოციოლოგია, სოციალურ ეგზისტენციაზე და მოქმედებებში მის გამოვლინებებზე ფოკუსირებით, ახალ ხედვას გვთავაზობს და საზოგადოების საიდუმლოებების გაგებაში გვეხმარება.

სოციოლოგიის აქცენტები საგრძნობლად იცვლება. სოციალური მეცნიერების ცნობილ კატალოგებში (Oxford University Press, Blackwell, Polity Press და სხვა) ვხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც ათიოდე წლის წინ „არამეცნიერულად“ ითვლებოდა. ავტორიტეტული მეცნიერები წერენ ისეთ თემებზე, როგორიც არის სიყვარული, მეგობრობა, ინტიმურობა, ფასტ-ფუდი, პოპ-მუსიკა, შოპინგი, რისკი, უნდობლობა, მარტოობა, ჯანმრთელობა, ტაქსით მგზავრობა და ა.შ. ჯერ კიდევ 100 წლის წინ ამ თემების შესწავლა გეორგ ზიმელმა დაიწყო, თუმცა ის „მეცნიერული“ სოციოლოგიის განვითარების პერიოდში მოღვაწეობდა და მისი ნოვატორული ხედვა გერმანული სკოლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა. ახლა კი სხვა დროა, ზიმელი გაიხსენეს და ის სხვა ცნობილი სოციოლოგების (ვებერი, დიურკემი, მარქსი) გვერდით დააყენეს.

ცვლილებებია კვლევის მეთოდებშიც. რაოდენობრივი მეთოდები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დომინირებდა, თვისებრივი მეთოდებით: დაკვირვებით, შემთხვევის

ანალიზით, სიღრმისეული ინტერვიუთი, დოკუმენტების ინტერპრეტაციით, პირადი წერილების, ცხოვრების ისტორიების, ფოტო და სხვა იკონოგრაფიული მასალების ანალიზით იცვლება. ქვედისციპლინა – ვიზუალური სოციოლოგია ვითარდება.

სადავო არ არის, რომ თეორიული და მეთოდოლოგიური ტენდენციები ურთიერთკავშირში არიან. მართლაც, თუ ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს სოციოლოგიის შესწავლის ცენტრალურ ობიექტად ჩავთლით, მაშინ დაკვირვების მეთოდთან დაბრუნება მოგვიწევს, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალური ანთროპოლოგები და ეთნოგრაფები იყენებდნენ. ასეა იმიტომ, რომ ყოველდღიური ცხოვრება „ხილულია“ – დაკვირვებადია და ფოტოაპარატით თუ ვიზუალების სხვა საშუალებით მისი ასახვა შესაძლებელი ხდება. აქ ავტორი ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, რომელმაც კარიერის დიდი ნაწილი მასობრივი სოციოლოგიური კვლევების განვითარებას მიუძღვნა, აღიარებას იხსენებს: „იცით, მე რომ იტალიური საზოგადოების შესწავლა ნამდვილად მჭირდებოდეს, ანკეტებს კი არ გავგზავნიდი, არამედ ქუჩის ბოლოს, იტალიურ კაფეში წავიდოდი. მაგალითად, როდესაც გერმანული საზოგადოების შესწავლა მინდა, მაშინ ლუდის ბარში მივდივარ, ხოლო თუ ინგლისურის, მაშინ – პაბში. იქ კი ვაკვირდები, აქეთ-იქით ვიყურები“. სოციოლოგიური წარმოდგენის კულტივიზაციისათვის , მართლაც, საუკეთესო რჩევაა.

მესამე სოციოლოგია. რა საერთო აქვს ამ ტრივიალურ საკითხებს, რომლებიც ერთმანეთისგან თითქოს სრულად განსხვავდება და რაზეც თანამედროვე ავტორები კონცენტრირდებიან? თანამედროვე ავტორებს სოციოლოგია სოციალური ორგანიზმების აბსტრაქტული მაკრო-სოციოლოგიური პრობლემებიდან (სოციალური სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია, სოციალური სტრუქტურა, სოციალური პროცესები და ა.შ.) ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებამდე დაჰყავთ. იქ კი ადამიანებს შორის კომუნიკაცია, სიყვარული, მტრობა, კონკურენცია, თანამშრომლობა არსებობს, მაგრამ ასეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები არასოდეს არიან მარტო-იზოლირებული, ისინი ყოველთვის სხვებთან ან სხვებისთვის მოქმედებენ. მეცნიერები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ცდილობენ, ადამიანების ყველაზე მარტივი და ტიპური გამოცდილებები შეისწავლონ. ხშირად ფარული კოლექტიური, პიროვნებათშორისი განზომილებების და შიდა მექანიზმების შესწავლა შესაძლებელი ხდება. ასეთი წიგნების უმეტესობა აღწერითი, ტიპოლოგიური და ანალიტიკური ხასიათისაა, თუმცა სრულმასშტაბიანი, ამხსნელი თეორიების კონსტრუირების მცდელობებიც არსებობს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაზე ფოკუსირდება. მაგალითისთვის, ჯონათან ტერნერის პირისპირი ინტერაქციის თეორია, რენდალ კოლინზის ინტერაქციის რიტუალური ჯაჭვების და ჯეფრი ალექსანდერის კულტურალური პრაგმატიკის, სოციალური პერფორმანსების და ჯგუფების თეორია გამოდგება.

ყოველდღიური ცხოვრებისაკენ, იკონოგრაფიული მეთოდებისა და წყაროებისაკენ შემობრუნება სოციოლოგიის კიდევ ერთი გარდამავალი ეტაპი, გატაცება ხომ არ არის? თუ ეს თეორიული და მეთოდოლოგიური შემობრუნების ნიშანია და იქნებ თანამედროვე პარადიგმულ წინსვლას ვუახლოვდებით? შტომპკას აზრით, ეს „მესამე სოციოლოგიის“ სოციალური ეგზისტენციის დაბადებას ნიშნავს. ეს პირველი და მეორე სოციოლოგიის შემდგომი ეტაპია.

პირველი სოციოლოგია არის საზოგადოების, როგორც ორგანიზმის/სისტემის შესწავლა, რომელიც სოციოლოგიის კლასიკოსებმა: კონტმა, სპენსერმა, მარქსმა, მოგვიანებით კი პარსონსმა შემოგვთავაზეს.

მეორე სოციოლოგია – ეს სოციალური „ატომების“ – მოქმედების, ქცევის და „სუბატომის ნაწილაკთა“ აზრის, საზრისის, ტექსტის შესწავლაა, რომელსაც მაქს ვებერმა ჩაუყარა საფუძველი, მოგვიანებით კი ჰერბერტ მიდმა, კლოდ-ლევი სტროსმა და სხვებმა განავრცეს.

მესამე სოციოლოგიის კვლევის ობიექტის როლში სოციალური ეგზისტენცი გამოდის. „ის ადამიანის მოქმედებას კოლექტიურ კონტექსტში შეისწავლის და, ერთი მხრივ – მონაწილეთა აგენტური(აქტიური) პოტენციალით, ხოლო მეორე მხრივ კი, მოქმედების სტრუქტურული და კულტურული გარემოთია შეზღუდული. ამგვარად, პირველი და მეორე სოციოლოგიის რეიფიცირებული(განივთებული) აბსტრაქციები ორ მხარეს გულისხმობს. პირველი – ადამიანებზე ზემდგომად არსებული სისტემებისა და სტრუქტურების მაკროაბსტრაქციები, ხოლო მეორე ადამიანების რეალური ცხოვრების შიგნით არსებული ქცევის მიკროაბსტრაქციებია. მესამე სოციოლოგია სოციალური ცხოვრების ორივე, მიკრო და მაკრო, აბსტრაქციას განდევნის და მას, როგორც სისტემებისა და სტრუქტურების გამოვლინებათა დეტერმინანტს და როგორც ქვედა რედუქციას განიხილავს, რომელიც ქცევის და მოქმედების მარტივ აგრეგატად ითვლება. სოციალური ეგზისტენციის იდეა ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე რეალურ მოვლენებზე, სტრუქტურისა და მოქმედების დონეზე ფოკუსირდება, სადაც სტრუქტურის შეზღუდულობა და მოქმედებათა დინამიკა რეალურ, დაკვირვებად სოციალურ მოქმედებებს წარმოშობს. სოციალურ – ინდივიდუალური პრაქტიკები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას ქმნის, ფაქტობრივად, ერთადერთი ცხოვრებაა, რომელიც ადამიანებს აქვთ და რომელიც არც სრულად დეტერმინირებული და არც სრულად თავისუფალია. მოქმედ ინდივიდთა აგენტური (პირადი) გავლენები და სტრუქტურული (სიტუაციური) კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ – სოციალური მოქმედების ერთიან ფენომენს ქმნის“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009. გვ.4).

ამრიგად, „მესამე სოციოლოგია ორ ილუზიას უგულებელყოფს:

1. ის უკუაგდებს ქედმაღლურ, ეგოცენტრულ იდეას, რომელიც ადამიანის პიროვნული ავტონომიურობის, აგენტთა განსაკუთრებული თვისებების და საზოგადოების სხვა წევრებისგან დამოუკიდებლობის რწმენას უკავშირდება.

2. ის უარყოფს ფატალურ და თვინიერ რწმენას იმის შესახებ, რომ ჩვენი ბედი, ჩვენგან დამოუკიდებლად, ზებუნებრივი და არაკონტროლირებადი ძალების მიერ არის ფორმულირებული.

ეს არის რწმენა, როდესაც ადამიანის თავისუფლება იზღუდება იმ კანონის, წესების, ნორმების და სტანდარტების მიერ, რომლებიც მას არ შეუქმნია. ხოლო თუ ინდივიდი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს, მაშინ მას ამცირებენ, კიცხავენ, უარყოფენ, სოციალურ იზოლაციაში ამყოფებენ და შეიძლება საზოგადოებიდანაც კი განდევნონ. თუმცა ეს ყველაფერი ადამიანური აგენტურობის მნიშვნელობას არ გამორიცხავს. ამისგან განსხვავებით, მესამე სოციოლოგია ადამიანის ცხოვრების უფრო რეალურ სურათს ქმნის, ანუ ის სოციალური ეგზისტენციის შესწავლას გვთავაზობს, რომელიც ადამიანის „რაღაცისგან თავისუფლებას“, სხვა ადამიანებთან ინტერაქციას, კომუნიკაციის ქსელს, შემთხვევითობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კრეატიული მონაწილეობის შესაძლებლობას, არჩევანის თავისუფლებას და სხვა ადამიანებს მოიცავს, რომლებიც შესაძლოა მოქმედი აგენტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009.გვ. 5).

სოციალური ეგზისტენცია ყოველთვის დინამიკურია. მოცემული მეტაფორა სოციალური „ცხოვრების“ ამ ნიშანს კარგად ითვისებს. ისევე როგორც ცხოვრება, სოციალური ყოფიერებაც არასოდეს დგას ერთ ადგილას, რადგან თუ ის გაჩერდება, მაშინ ცხოვრება შეწყდება. თუმცა ის დინამიკური არა მარტო მუდმივი უწყვეტი მოქმედების სახით ან ფუნქციონირებით (რუტინული რეპროდუქტიული, „ცვლილებები რაღაცაში“, როგორც ზოგიერთი სოციოლოგი წერს), არამედ გრძელვადიანი და პროდუქტიული „რაღაცის ცვლილებე-

ბის“ მოძრაობაში მოყვანითაა: იქნება ეს სოციალური პროცესები თუ ტრანსფორმაციები. რამდენიმე წლის წინ შტომპკამ სოციალური ცხოვრების დინამიკის ინტერპრეტაციის კონცეპტუალური მოდელი განავითარა. ის ორ ფრონტზე იბრძოდა: 1 – მან, პირველი სოციოლოგიისთვის დამახასიათებელი, განვითარების, ევოლუციის ანუ მოდერნიზაციის იდეა უარყო, რომლის მიხედვით, სოციალური განვითარების გარდაუვალი (ისტორიული) პროცესი არსებობს, რომელიც დეტერმინირებულია და მოძრაობაში რაღაც ზებუნებრივი ძალების მიერაა მოყვანილი. 2 – მან ადამიანთა მოქმედების სრულიად თავისუფალი, შემთხვევითი, ფრაგმენტული და სრულად გაცნობიერებული მოქმედებების არსებობის იდეაც უარყო, რომელიც ტემპორალური რეგულაციების არსებობას გამორიცხავდა. ამ იდეას მეორე სოციოლოგიის წარმომადგენლები ემხრობოდნენ. ამის ნაცვლად შტომპკას სოციალური ქმნადობის (social becoming) კონცეპტი შემოაქვს, რომელიც სინთეზურად ორივე მხარეს მოიცავს: 1 – პროცესთა იმანენტურ მოძრაობას, რომელიც აქტორ-ადამიანთა შესაძლებლოებებს ქმნის (ან ზღუდავს). 2 – სხვადასხვა რესურსის მქონე აქტორთა ინდივიდუალურ ღვაწლს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, მასში ჩადებული ინდივიდუალური და სხვა რესურსები გამოიყენონ ან არ გამოიყენონ. ამ ორი გავლენის თანხვედრას შტომპკამ „ადამიანური აგენტურობა“ უწოდა, რაც, მისი აზრით, იგივე მესამე სოციოლოგიაა.

ყოველდღიური ცხოვრების სფეროში სოციალური პრაქტიკებით დამტკიცებულ სოციალურ ეგზისტენციას სოციალური ქმნადობის პროცესი მოქმედებაში მოჰყავს, რაც საზოგადოების მასში არსებული სოციალური აგენტურობით (ე.ი. იმ რესურსებით, რომელსაც ადამიანები ფლობენ, როდესაც რაღაც შეზღუდვებისა და სტიმულების ჩარჩოში, რომელიც წინა პრაქტიკის შედეგს წარმოადგენს, მოქმედებენ) თვითგარდაქმნას გულისხმობს. სოციალური ეგზისტენცია და სოციალური ქმნადობა წარმოქმნის რაღაცას, რაც „ნამდვილად რეალურია“, ონტოლოგიურად ბაზისში არსებობს და ადამიანთა საზოგადოებას ახასიათებს. მესამე სოციოლოგია რეალობის ამ დონის ანალიზზე, ტიპოლოგიასა და თეორიული ახსნაზეა მიმართული.

ვიზუალური სოციოლოგიის ჰორიზონტები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიზუალური სოციოლოგიის მეთოდოლოგია კვლევის თვისებრივ მეთოდებს – დაკვირვებას და ფოტოგრაფირებას იყენებს. თანამედროვე საზოგადოებაში უბრალო დაკვირვებით ბევრი რამის დანახვა არის შესაძლებელი. თუმცა მაკროობიექტებს, სოციალურ კლასებს, სახელმწიფოებს, ინსტიტუტებსა და ნაციებს/ერებს, ვერც ადამიანთა მიკრო-აზრებს, მოტივებსა თუ განზრახვებს ვერ დავაკვირდებით. მაგრამ ყოველდღიური ცხოვრების დონეზე „ხილულის მთელი სპექტრი“ გამოიყოფა. ერთ მხარეს არის სტიქიური, კულტურული მნიშვნელობის მქონე ჟესტები, სხეულის ენა, „სახით მუშაობა“, ფიზიოგნომიკა, ასევე, გარემოს ცივილიზებული და ტექნიკური „დიზაინი“(რომელიც თანამედროვე დიდ ქალაქებში კოლორიტული და მრავალფეროვანია). მეორე მხარეს გარკვეული აზრებისა და მესიჯების გამოთქმისკენ მიმართული სხვადასხვა გამოსახულებებია: რეკლამები, განცხადებები, ფოტოსურათები ჟურნალებსა და გაზეთებში. მათ შორის კი ადამიანთა გაცნობიერებული სტილიზაციები, „თვითპრეზენტაციებია“, რომლებიც ჩვენ შესახებ ინფორმაციისა და სტატუსის გადაცემისკენაა მიმართული: როგორ ვმოქმედებთ, ქცევის სტილი, საუბრის მანერა, „ცხოვრების ცოდნა“, მოდა და ბრენდები, პროდუქტები, რომლებიც სხვებზე შთაბჭდილების მოხდენას ისახავს მიზნად (ვიღაცისთვის ეს შეიძლება „როლექსის“ საათი, აგარაკი ან ძვირად ღირებული მანქანა, ავტომობილი „მერსედესი“ და ა.შ. იყოს. მსგავსი პროდუქტების ფლობა, მისი მფლობელის მატერიალურ მდგომარეობაზე მეტყველებს). ფოტოგრაფს დაკვირვებისთვის განსაკუთრებულად მდიდრული გარემო ხვდება.

ამჯერად მხოლოდ ფოტოგრაფიის განხილვით შემოვიფარგლოთ. ვიზუალური სოციოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებაში მას ორი მიმართულებით იყენებს:

„სოციალური სიტუაციის ფოტოგრაფირება და უკვე გადაღებულის ანალიზი/ინტერპრეტაცია.

ფოტოსურათი შეიძლება განსხვავებულად გამოვიყენოთ. უპირველეს ყოვლისა, ის სოციალური სიტუაციისადმი ჩვენს მგრძნობელობას ზრდის და პასიურ „გადათვალიერებას“ ცვლის, განსაკუთრებით მაშინ, როცა სურათების რანჟირებას მნიშვნელობების მიხედვით ვიწყებთ. აქ კი მნიშვნელოვანი ფოტოაპარატის სამი ტექნიკური მახასიათებელია:

1. ფოკუსის დაყენება – რაც სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვნის გამოყოფას ნიშნავს.

2. ხილვადობის ჩარჩოს განსაზღვრა – სიტუაციაში უმნიშვნელო და განმეორებადი დეტალების უგულებელყოფა.

3. ველის სიღრმის განსაზღვრა – წინა პლანის გამოყოფა“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009.გვ.6).

სურათი რთულ და სწრაფად ცვალებად სოციალურ სიტუაციას „ყინავს“, რითაც მისი გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. ამით კი სოციოლოგიური აღწერისა და დიაგნოსტიკის ხარისხი იზრდება, ახალი ტენდენციებისა და რეგულაციების აღმოჩენა, „სოციალური ტრადიციების“ წვდომა ხდება. ეს არა ერთ, არამედ ფოტოთა მთელ სერიას ეხება.

ერთი და იმავე სოციალური სიტუაციის სხვადასხვა მომენტში ფოტოგრაფირებამ შეიძლება დროში ცვალებადი, ტემპორალური ტენდენციები გვაპოვნინოს, ხოლო ადამიანთა ერთი და იმავე ჯგუფის ქცევის(ოჯახური ცხოვრება, რელიგიური ცხოვრება, სამსახური, დასვენება და ა.შ.) ფოტოგრაფირებამ, კულტურათა შედარებით კვლევებში, შეიძლება „საერთო კროსკულტურული მახასიათებლები“ გვაპოვნინოს და კულტურათა „ეგზოტიკური“ სპეციფიკა გამოყოს.

თანამედროვე საზოგადოებაში მრავალფეროვანი და მდიდარი იკონოგრაფიული წყაროა ხელმისაწვდომი. მაგალითად, ფოტოჟურნალისტიკა, მოყვარულთა ფოტოები, ოჯახურ დღესასწაულებზე გადაღებული ფოტოები, სამუზეუმო კოლექცია, რეკლამა, განცხადებები და ა.შ. ისინი შეგვიძლია ფოტოსურათის ინტერპრეტაციის მიზნით შევისწავლოთ. ანალიზის დროს სტრუქტურის ოთხი დამალული ტიპი ხილული ხდება:

1. ინტერაქციის სტრუქტურა (დამახასიათებელ მოდელებზე, „გეომეტრიაზე“, პიროვნებათა შორის კონტექსტზე, ჯგუფზე, ხალხზე და ა.შ. დაკვირვებით გამოიყოფა).

2. ნორმატიული სტრუქტურა (ქცევის სტანდარტულ და განმეორებად ფორმებზე დაკვირვებით).

3. იდეალური სტრუქტურა (რწმენისა და იდეოლოგიის პლაკატებზე დაკვირვებით. მაგ., პოლიტიკური დემონსტრაციების, აჯანყებების ან შეჯიბრებების დროს.).

4. შემთხვევითი სტრუქტურები (სიღარიბის ან სიმდიდრის, ძალაუფლების, დიდების ან მარგინალობის, წარმატებულობის ან წარუმატებლობის მკაფიოდ გამოხატული ნიშნები).

მესამე სოციოლოგიის სათავე. სოციალურ მეცნიერებებში პარადიგმული შემობრუნება, ხშირ შემთხვევაში, ორი ტიპის მდგომარეობაზე რეაქციას წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში, მდგომარეობას იმანენტური ბუნება აქვს, ინტელექტუალურ ტენდენციებზეა მიმართული: თითქოს რაღაცისაგან დაიღალა, იმედგაცრუებულია, ძველი იდეების განხილვა მისთვის მოსაწყენია და ფრუსტრაციას იწვევს. სხვა ფაქტორები სოციალური ცხოვრების მახასიათებლების ცვლილებას უკავშირდება, არსებულ მახასიათებლებს ძველი მეთოდებით ვერ შევისწავლით.

ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა თვისებრივი კვლევების გამოყენებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწო. ამ პროცესს წინ სამი თეორიული ტენდენციის წარმოქმნა უძღოდა:

„პირველი, სოციოლოგიური სისტემების აბსტრაქტულობის კრიტიკის დროს წარმოიშვა. ეს არის ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, სამი მიმართულებით: სუბიექტივისტური შემობრუნება სოციალური მოქმედების უკან მდგომი ინტენციების, მოტივაციების, განაზრებების შესწავლისკენ. აგენტური შემობრუნება სოციალური აქტორებისა და მათი გზების შესწავლისკენ, რომლებითაც ისინი სოციალურ სტრუქტურებს: ინსტიტუტებს, ორგანიზაციებს და ა.შ. ქმნიან. კულტურული შემობრუნება ფარულისა და შეუმჩნეველისკენ: აზრები, რწმენები, ღირებულებები, ნორმები, წარმოდგენები, ჩვევების უხილავი ძაფები, რომლებიც აგენტთა მოქმედებებს არეგულირებენ. სოციოლოგიური ძიების განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორები: ი. გოფმანი და მისი დრამატურგიული თეორია, ჰ. გარფინკელი და მისი ეთნომეთოდოლოგია, ა. შუტცი, პ. ბერგერი, ტ. ლუკმანი და მათი ფენომენოლოგიური მიდგომაა.

მეორე, ძველი სოციოლოგიის პოსტმოდერნული კრიტიკა იყო, უფრო რეალისტური და ჯანსაღი აზრის „პოსტმოდერნიზმი“, რომელიც სოციალური თეორიების შესაძლებობებს არ უარყოფდა. ის მოდერნულ თეორიებზე დაკვირვებებს გვთავაზობს. პოსტმოდერნისტები მიიჩნევდნენ, რომ ძველმა თეორიებმა ჩვენი საზოგადოების ისეთი მახასიათებლები უგულებელყვეს, როგორებიცაა: ფრაგმენტაცია, შემთხვევითობა, ქაოსი, რისკი, ეფემერული, სპონტანური და ნერვული გამოვლინებები, ემოციური და თვითრეფლექსირებადი მახასიათებლები, გლობალიზაცია და ა.შ.

მესამე, ფემინისტური სოციალური თეორია და კრიტიკა იყო, რომელმაც ქალთა დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციის კვლევა ყოველდღიური ცხოვრების, განსაკუთრებით, ოჯახისა და სამსახურის კონტექსტში დაიწყო“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009. გვ. 7).

სოციოლოგიაში მიმდინარე შიდაინტელექტუალური პროცესები საუკუნის დასასრულს საზოგადოებრივი ცვლილებების ახალ ფენომენებში აისახა. ადამიანებმა გარემოს სწრაფი ცვლილებები და გასაოცარი ახალი „ცხოვრების სამყარო“ გააცნობიერეს. სოციოლოგიას, რომელიც კონცეპტუალურ და ემპირიულად დასაბუთებულ საღ აზრზე ცოტათი მეტია, არ შეეძლო აზროვნებაში მომხდარი ცვლილებები არ აესახა. სოციალური ცხოვრების ახალი თავისებურებები შეგვიძლია შემდეგ რუბრიკებში გავაერთიანოთ: ტექნოლოგიური ცვლილებები (განსაკუთრებით, კომუნიკაციებსა და გადაზიდვებში), გლობალიზაცია, მეგაურბანიზაცია, მომსახურების სფეროს გაზრდა, შრომითი საქმიანობის მოქნილი ფორმები, გარდაქმნები ინტიმური სფეროში, რისკების ზრდა და გაჯერებული ვიზუალობა. სოციალურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების კარგი ინდიკატორი – ენაში, ლექსიკაში მომხდარი ცვლილებებია, რომლის მეშვეობით ადამიანები თავის სამყაროს აღწერენ. ახალი ტერმინები მანამდე გაჩნდა, სანამ სოციოლოგია კონცეპტუალურ სქემებს შექმნიდა, ანუ შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ ახლა ვსაუბრობთ შოპინგზე და არა საყიდლებზე სიარულზე, სიყვარულით დაკავებაზე – სიყვარულის ნაცვლად; ცაპინგზე – ტელევიზორის ყურების ნაცვლად; კლუბინგზე, ბოდი-ბილდინგზე – ფიზკულტურის ნაცვლად; ჩატზე – საუბარის ნაცვლად; ემეილინგზე – წერილობითი მიმოწერის ნაცვლად; ბლოგინგზე – მემუარების წერის ნაცვლად, SMS-ისა და MMS-ის დაგზავნაზე და ა.შ. მიმდინარე ცვლილებებმა სოციოლოგიაში ახალი მიმართულება შექმნა.

„მესამე სოციოლოგიის“ ონტოლოგიური წანამძღვარი. თვისებრივი კვლევის მეთოდებით ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა განვითარების ახალ ეტაპზეა. იმისათვის,

რომ მესამე სოციოლოგია გავლენიან თეორიულ მიმართულებად იქცეს, მას კონცეპტუალური ინსტრუმენტები სჭირდება. რამდენიმე კონცეფცია მოკლედ აღვწეროთ:

„მესამე სოციოლოგიის ცენტრალური კონცეფცია – სოციალური ეგზისტენციაა. იგი ონტოლოგიური შესაძლებლობებით მდიდარია. 2006 წელს შტომპკამ (მაშინ ის საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი იყო) საერთაშორისო სოციოლოგიურ კონგრესს სოციალური ეგზისტენციის იდეა შესთავაზა, რომელსაც გამოხმაურება და დებატები მოჰყვა.

სოციალური ყოფიერების კონცეფცია არისტოტელეს მოსაზრებას ეყრდნობა: ადამიანები სოციალური ცხოველები არიან, მათი არსებობა – დაბადებიდან სიკვდილამდე – კოლექტიურია, არც ინდივიდი და არც საზოგადოება ავტონომიური ან ცალკეული ერთეული არ არის, ორივე მთლიანი ინდივიდუალურ-სოციალური რეალობის ან სოციალური ქსელის, ან ინდივიდუალურ-სოციეტალური ველის წმინდა ანალიტიკური ასპექტია.

სოციალური მატერიის დუალობის საკითხი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში სოციოლოგიის კლასიკოსის ნორბერტ ელიასის მიერ იქნა გააზრებული. ელიასის შრომაში პირველი ნაწილი ინდივიდს და საზოგადოებას ეთმობა. განცალკევებული, დამოუკიდებული ავტონომიური ინდივიდი არ არსებობს. თითოეული ჩვენგანი რაღაც კოლექტივის (მე-ჩვენ) წევრი და, ამავდროულად, ინდივიდუალური იდენტობაა(მეობაა). მეობა ჩვენ მიერ ჯგუფში დაკავებული ადგილის გავლენით ყალიბდება. ჩემი იდენტობა – ეს არის, თუ ვინ ვარ მე, ვისთან ვმეგობრობ, ვის ველაპარაკები, ვხვდები, ვისზე ვქორწინდები, ვის ვუკითხავ ლექციას. ჩემი იდენტობის უნიკალობა უნიკალური კლასტერის შედეგია, ეს არის წარსულში და აწმყოში არსებული ინტერაქცია/კონტაქტები და მომავლის პოტენციური კონტაქტები, რომლებიც ინდივიდის პროფესიული მდგომარეობით, კლასობრივი კუთვნილებით, გენდერით, სტატუსით და ა.შ. იქმნება. ინდივიდი „ადამიანთა ქსელში“ უნიკალური „კვანძია“, სოციალური კავშირების უნიკალური შეთანხმებაა. სოციალური კავშირების ქსელი, რომელსაც ინდივიდი ქმნის, ძალიან მნიშვნელოვანია.

მეორე ნაწილში ელიასი „ინდივიდთა საზოგადოებას“ განიხილავს. ინტუიციურად ეს ადვილი გასგებია, რადგან არ არსებობს საზოგადოება მასში მონაწილე ინდივიდების გარეშე და ასევე არ არსებობს საზოგადოებაც, რადგან ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას(სახელმწიფო, ნაცია, ინსტიტუტები, ორგანიზაციები) ვუწოდებთ, აბსტრაქტულია. ის სხვა არაფერია, თუ არა აქტორთა კომბინაცია და მოქმედებების ერთობლიობა. აბსტრაქტული თუ უფრო მყარი სოციალური ნიშნები საზოგადოების წევრთა ღირსებების (ხშირად გაუმჟღავნებელ და გაუცნობიერებელ შედეგს) და შეზღუდულ პირობებში მათი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009. გვ. 8).

სოციალური ეგზისტენციის კონცეფცია გზავნილს შეიცავს – სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთაშორისი ველი, ადამიანთაშორისი სივრცე, რომელიც შეხვედრებს, კონტაქტებს, ურთიერთობებს, კავშირებს, დამოკიდებულებებს, სოციალურ ქსელებს, ანუ სხვებთან კავშირს მოიცავს და ის სიყვარულიდან და ინტიმურობიდან დაწყებული ინტერესებსა და კორპორაციებამდე მთელ სპექტრს გულისხმობს. სპექტრი მოიცავს: კონკურენციას, ომს, მშვიდობას, სიძულვილს, მეგობრობას, მტრობას და ა.შ. ეს ურთიერთობები არა განყენებულ ადგილას, არამედ ჩვენს ყოველდღიურ გამოცდილებაში ხორციელდება. საზოგადოების სხვა ასპექტები: მაკროსტრუქტურები, მაკროპროცესები, კულტურები, ცივილიზაციები, ტექნიკური სისტემები, ორგანიზაციები, ინსტიტუციები, ჩვენს სოციალურ ყოფიერებაში არსებობენ და მათ იმ ყოველდღიურ მოქმედებებზე აქვთ გავლენა, რასაც ჩვენ რუტინას ვუწოდებთ. მათი ხანგრძლივობა მოიცავს იმ დროს, როდესაც ერთი

ადამიანი ურთიერთობს მეორესთან. საზოგადოება ჩვენ გარეთ კი არ არის, არამედ ჩვენ-შია. ამიტომ ყოველდღიური ცხოვრება უნდა განვიხილოთ, როგორც არენა, სადაც სოციალური არსებობა საუკეთესოდ გამოხატავს თავს – ეს სოციოლოგიის ყველაზე ნაყოფიერი „სტრატეგიული საკვლევი მოედანია". ანალიზის სტრატეგიული რესურსი ყოველდღიური ცხოვრების ვიზუალური, დაკვირვებადი საგნებისგან შედგება, რომლებიც სოციალური არსებობის საიდუმლოებების გაგებაში გვეხმარება. სოციოლოგიისა და სოციალური ეგზისტენციის კავშირი ვიზუალურ სოციოლოგიასთან ასეთია.

ყოველდღიური ცხოვრების ანატომია და საზრისი. ყოველდღიური ცხოვრების კონცეპტი არ არის აშკარა და შეიძლება მცდარ კონოტაციებს შეიცავდეს. ჩვენ ჯერ უნდა დავაზუსტოთ, თუ რა არ არის „ყოველდღიური ცხოვრება" და შემდეგ მისი დადებითი მხარეები განვსაზღვროთ.

„1. ყოველდღიური ცხოვრება, საკრალურისგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რასაც დიურკემი პროფანულს უწოდებდა. ის დიურკემისეულ საკრალურსაც მოიცავს – ე.ი. განსხვავებულ შემთხვევებს, რომლებსაც განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ის, რუტინულ პრაქტიკებთან ერთად, მაგიურ, რელიგიურ, რიტუალურ, სიმბოლურ, ცერემონიულ გამოცდილებებს შეიცავს. საუზმობა სამუშაო ადგილას, წირვა ეკლესიაში, სუპერმარკეტში საყიდლებზე სიარული, პარტიულ მანიფესტაციებში მონაწილეობა, საღამოობით ტელევიზორის ყურება, ბერლინის ფილარმონიაში საორკესტრო კონცერტზე დასწრება – ამ ეპიზოდებისგან შედგება ყოველდღიური ცხოვრება.

2. ყოველდღიური ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანის მხოლოდ რაღაც „კლასობრივი მდგომარეობით" (ინგლისურ ენაში ასეთ შემთხვევებში გლეხობას გულისხმობენ) კი არ შემოიფარგლება, არამედ ის ელიტებისა და ცნობილი ადამიანების ცხოვრებასაც (რასაც ერთ-ერთ ამერიკულ პროგრამაში „ლამაზ, მდიდარ და ცნობილ ადამიანთა ცხოვრება" უწოდეს) მოიცავს. რა თქმა უნდა, ცნობილ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება მაყურებლებისთვის უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველია, ის ტაბლოიდებს, პაპარაცებს და გაზეთის გამყიდვლებს დიდ შემოსავალს აძლევს. მაგრამ ყოველდღიური ცხოვრების კატეგორია ყველა კლასობრივ საზღვარს მოიცავს.

3. ყოველდღიური ცხოვრება, საჯარო ცხოვრებისგან განსხვავებით, პირადი ცხოვრების სინონიმი არ არის. ის ორივე სფეროს გულისხმობს ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასში მონაწილე აქტორები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. თუმცა პოლიტიკოსებისათვის, მსახიობებისათვის, მომღერლებისათვის, სპორტსმენებისათვის და ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობისთვის არჩევნების პერიოდში საჯარო სფეროში მონაწილეობა ისეთივე ყოველდღიურობაა, როგორიც ყველა სხვა პრივატული მოვლენა. ამ შემთხვევაში, საჯაროდ გამოსვლა ან პოლიტიკური სიტყვის მოსმენა, პროტესტის გამოხატვა, არჩევნებში მონაწილეობა მეგობრებთან საუზმისგან, კინოთეატრში წასვლისგან ან საოჯახო შეხვედრებზე სიარულისგან არ განსხვავდება.

როგორია ყოველდღიური ცხოვრების პოზიტიური დეფინიცია?

1. ყოველდღიური ცხოვრება სოციალური ეგზისტენციის დაკვირვებად გამოვლინებებამდე არ დაიყვანება, ამიტომაც ის ყოველთვის სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობს. ის აუცილებლად სოციალურ კონტექსტს შეიცავს, მაშინაც კი, როდესაც ადამიანი მარტოა, სხვები მის მეხსიერებაში, ოცნებებში, მოსაზრებებში ვირტუალურად არსებობენ – ისინი, ვინც უყვარს ან არ უყვარს, მეგობრები თუ მტრები, კონკურენტები თუ თანამშრომლები და ა.შ. ჩვენ მათთან „შინაგანი დიალოგი" (მ. არჩერი) ყოველთვის გვაქვს და ეს არის ის კრიტიკული კომპონენტი, რომელიც მოტივაციასა და მოქმედებას აყალიბებს.

2. ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები მეორდება, ისინი უნიკალურობით არ გამოირჩევა. ზოგჯერ ისინი ციკლურობით, რიტმულობით და რუტინულობით ხა-

სიათდება, ხანდახან მოვლენები ყოველდღიურად მეორდება, ყოველთვე ან წელიწადის გარკვეულ დროს, მაგალითად, ყოველ პარასკევს ოჯახთან ერთად სადილობა რესტორანში, ან ქალაქგარეთ გასვლა, კვირას ეკლესიაში სიარული, შვებულება ზამთარში/ზაფხულში, აღდგომა, შობა, ახალი წელი და ა.შ.

3. ხშირად ყოველდღიური ცხოვრება ჩვეული მოვლენებისთვის დამახასიათებელი ქცევის რიტუალიზებული და სტილიზებული ფორმების არსებობას, რომლებსაც ჩვევებს ვუწოდებთ, გულისხმობს. მაგალითად, დილის ვარჯიში, საუზმობისას გაზეთის კითხვა და ა.შ. რიტუალიზაცია კარგად ჩანს რელიგიურ დღესასწაულებზე, სასამართლო პროცესებზე, დიპლომატიურ მიღებებზე და ა.შ.

4. ყოველდღიური ცხოვრება ჩვენს სხეულს – ჩვენს ბიოლოგიურ მონაცემებს ტვირთავს. ფიზიკური განვითარება, ემოციები – მათი სუსტი და ძლიერი მხარეებით, პოტენციალითა და შეზღუდვებით. სხეული სხვებთან ურთიერთობაში გვეხმარება. მაშინაც კი, როდესაც გარკვეულ მანძილზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია საუბრის ტემბრი და ჩვენ ვქმნით ტექნოლოგიებს, რომ ეკრანზე მაინც დავინახოთ მოსაუბრის სახე. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ინტერნეტში არსებული სრულიად უსხეულო და ანონიმური კომუნიკაციები უცხო ადამიანებთან (როდესაც არც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებიან ისინი) რაღაც მნიშვნელოვან ელემენტს მოკლებული და არასრულყოფილია.

5. ყოველდღიური ცხოვრება ლოკალიზებულია სივრცეში. ის კონტექსტისთვის განსაზღვრულ ადგილას, სახლში, ქუჩაში, ეკლესიაში, სტადიონზე, სამსახურში და სხვა ადგილებში მიმდინარეობს. ადგილის ხასიათი, ხშირ შემთხვევაში, სოციალური მოვლენის შინაარსს, სტილს, ხასიათსა და ფორმას განსაზღვრავს.

6. ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს ხანგრძლივობა აქვს – ზოგი უფრო დიდხანს გრძელდება, ზოგი ნაკლებს. ქუჩაში მეგობრებთან შეხვედრა, სადილი რესტორანში, სამეცნიერო სემინარი ან შვებულება, ყველა ეს აქტივობა გარკვეული დროის პერიოდში მიმდინარეობს. როგორც მერტონი წერს, მოვლენებს შეიძლება „სტრუქტურულად მოსალოდნელი ხანგრძლივობა“ ჰქონდეთ: საფეხბურთო მატჩის, სიმფონიური ორკესტრის კონცერტის, პარლამენტის სესიის და ა.შ. რეალური და მოსალოდნელი ხანგრძლივობა სოციალური მოვლენის ხასიათზე ახდენს გავლენას.

7. ყოველდღიური ცხოვრება ხშირად რეფლექსიების გარეშე მიმდინარეობს და იმ ჩვევებსა და რუტინებს მიჰყვება, რომლებსაც აქტორები ვერ აცნობიერებენ. მაგალითად, ტელეფონით საუბრისას, როდესაც გვეკითხებიან „რას აკეთებ?“ ხშირად აძლევ უხერხულ და უსარგებლო პასუხს – „არაფერს“, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სიმართლე, რადგან ადამიანი, სანამ ცოცხალია, ყოველთვის რაღაცას აკეთებს“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009, გვ.9-10).

კვლევების ნებისმიერი სფერო ანალიტიკურ ასპექტებთან და ფენომენის ზომებთან სამუშაოდ კონცეპტების ნაკრებს ქმნის. სოციალური ეგზისტენციის სოციოლოგიას ასეთი სტანდარტული კონცეპტუალური ჩარჩო ჯერ კიდევ არ აქვს. ყოველდღიური ცხოვრების უფრო ანალიტიკური და სისტემური გაგებისთვის, ქვემოთ რამდენიმე მოსაზრებას განვიხილავთ.

პირველი – ნებისმიერ სოციალურ მოვლენაში ადამიანთა გარკვეული რაოდენობა მონაწილეობს, რომლებიც ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ. მონაწილეები სხვადასხვა სოციალურ როლებს ასრულებენ. ინდივიდებს შორის კომუნიკაცია შეიძლება იყოს პირისპირი, გარკვეული დროისა და სივრცის ფარგლებში, მაგალითად, საუბარი სადილის დროს. ასევე, მათ შეიძლება ჰქონდეთ კომუნიკაცია, სივრცითი და დროითი დაშორების მიუხედავად, ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით, მიმოწერით. მნიშვნელოვანია კომუნიკაცია-

ში მონაწილეთა რაოდენობა, რადგან ამით ინტერაქციის ხასიათი და მასშტაბი განისაზღვრება. ჯერ კიდევ გეორგ ზიმელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მარტივმა რიცხვმა მოვლენის შინაარსი და ინტერაქციების ხასიათი შეიძლება განსაზღვროს. მან დაგვანახვა, რომ მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა ქსელის ხასიათს ცვლის.

მეორე – ყველა სოციალური მოვლენა გარკვეულ სიტუაციაში მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია მაყურებელთა არსებობა/არარსებობა, მაყურებლები არიან მოვლენის მოწმეები, რომლებიც მასში აქტიურად არ მონაწილეობენ. ამით კერძო შემთხვევები საჯაროსგან განსხვადებიან. ინდივიდზე ყველაზე დიდ გავლენას ისინი ახდენენ, ვინც მოვლენაზეა კონცენტრირებული და სიტუაციას უბრალოდ აკვირდება, შესაბამისად, ხშირად დაუინტერესებელ სხვათა არსებობა გადამწყვეტია. მაგალითად, რესტორანში, ავტობუსში, მატარებელში უცნობ ადამიანებთან ჩვენ დაბალ ხმაზე ვსაუბრობთ, ვქმნით პრივატულობისა და ინტიმურობის ნიშას. თუმცა ჩვენ სულ სხვანაირად ვიქცევით, როდესაც ადამიანის დაინტერესება გვსურს და გვინდა რაღაც მოვლენაში ჩავრთოთ ეს ადამიანი – იქნება ეს პოლიტიკური მიტინგი, აჯანყება თუ ხანძრის ჩაქრობა. გუსტავ ლე ბონმა და „ბრბოს ფსიქოლოგიის“ სხვა წარმომადგენლებმა სოციალური ფსიქოლოგიის გავლენა ადამიანის ქცევაზე სიღრმისეულად შეისწავლეს.

მესამე – ყველა სოციალური მოვლენა გარკვეულ, ფართო, სოციალურ კონტექსტში – ოჯახში, სამსახურში, დასვენებაზე, განათლებაში, პოლიტიკაში და ა.შ. მიმდინარეობს, სადაც ადამიანები მუდმივად ცირკულირებენ, რომელშიც ისინი შედიან და ზოგჯერ გარკვეული დროით ტოვებენ მას და სხვა კონტექსტში ერთვებიან. ყოველ კონტექსტში ადამიანი სხვადასხვაგვარად იქცევა, კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ სხვადასხვანაირად ვლაპარაკობთ, ვიცვამთ, გვაქვს ემოციური ტონი, შევდივართ ახალ „ატმოსფეროში“ და ა.შ. ჩვენ გამოვდივართ სახლიდან, მივდივართ სამსახურში, შემდეგ შევდივართ მაღაზიაში, მივდივართ ბარში, ფიტნესცენტრში, ვბრუნდებით სახლში და ა.შ. კონტექსტის შეცვლა ხშირ შემთხვევაში რაღაც რიტუალით აღინიშნება, მაგალითად, სამსახურში მისვლისთანავე კომპიუტერის ჩართვა, ფიტნესკლუბში სპორტული კოსტიუმის ჩაცმა, კონცერტზე კლასიკური ტანსაცმლით წასვლა და ა.შ. კონტექსტში შესვლას ჩვენ მასში უკვე მონაწილე აგენტებთან მისალმებით აღვნიშნავთ, ხოლო გამოსვლას – დამშვიდობებით. დღის განმავლობაში არაერთხელ ვამბობთ: „გამარჯობა“, „სალამი“, „ნახვამდის“, „შეხვედრამდე“ და ა.შ. ზოგჯერ ჟესტებსაც ვიყენებთ: საფულე ან საკრედიტო ბარათი მიმტანს აჩვენებს, რომ ჩვენ მივდივართ; მასწავლებელი თავის ჩანაწერებს ჩანთაში ალაგებს – ეს ლექციის დასასრულს ნიშნავს; ეკლესიაში სანთლებს აქრობენ – ჟესტი წირვის დასასრულზე მიანიშნებს.

მეოთხე – სოციალური მოვლენა კონკრეტული კონტექსტისთვის საჭირო ადგილებში მიმდინარეობს. ეს არის ადგილები, სადაც მოვლენებს, ხშირ შემთხვევაში, მსგავსი შინაარსი აქვს: სახლში, ქუჩაში, ეკლესიაში, საავადმყოფოში, სტადიონზე, ოფისში, სასწავლებელში, სკოლაში, ბიბლიოთეკაში, თეატრში და სხვა. ამ ადგილებში მიმდინარე მოვლენები ერთმანეთის მსგავსია, რადგან აქ ადამიანები ერთნაირად მოქმედებებენ: ბიბლიოთეკაში კითხულობენ, საავადმყოფოში მკურნალობენ, ქუჩაში მაღაზიებს ათვალიერებენ ან სეირნობენ, სტადიონზე თამაშობენ, ეკლესიაში ლოცულობენ და ა.შ.

მეხუთე – სოციალური მოვლენები – ეს რთული კონფიგურაციებია. განსხვავებულ კონტექსტებსა და ლოკალიზაციებში მსგავსი სოციალური შემთხვევები გვხვდება: რთულ კონფიგურაციასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც განსხვავებული ინდივიდები, მოქმედების კოორდინირებით, განსხვავებულ როლებს ასრულებენ. მაგალითად, ქორწილი, დაკრძალვა, წვეულებები, ქირურგიული ოპერაციები, საფეხბურთო მატჩი, გაკვეთილები სკოლაში, რელიგიური რიტუალები და სხვა. სოციალური მოვლენები დროითი კონფიგურაცი-

ებისას და მოვლენათა ტიპობრივი თანმიმდევრობისას თვითორგანიზდება. შეიძლება გარკვეულ პროცედურებზეც ვისაუბროთ. ამ პროცედურათა ერთობლიობის დაცვა აუცილებელია იმისთვის, რომ მოქმედებებს საზრისი ჰქონდეს. ასეთი პროცედურები გარკვეული დროის მანძილზე გრძელდება, რამდენიმე ეტაპს მოიცავს, დაგეგმილია და განსაზღვრულ მიზანს ისახავს – ეს პროექტია. მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება, ჩემპიონატისათვის მომზადება, პროფესორის კარიერის გაკეთება, წიგნის დაწერა, სახლის საყიდლად ფულის შეგროვება და ა.შ. ზოგჯერ სოციალური სიტუაცია და სოციალური შემთხვევა სიმბოლურ ჟესტებსა და სცენარის დაცვაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რაღაც კეთდება, ვიდრე, თუ როგორ კეთდება და რა მიზნით. ასეთ დროს შეგვიძლია სოციალურ რიტუალებზე ვისაუბროთ. ასეთი რიტუალების სიმრავლით პოლიტიკისა და სამხედრო სფერო გამოირჩევა: მიტინგები, აღლუმები, საჯარო გამოსვლები და ა.შ. არაერთი რიტუალი ხდება ის, რასაც „ყოფით ნაციონალიზმს“ ვუწოდებთ. მაგ., დროშის აწევა, ნაციონალური/ეროვნული დღესასწაულები, ჰიმნი და ა.შ. რიტუალებია სპორტისა და დასვენების სფეროში: კარნავალები და ფესტივალები, მასობრივი გამოსვლები, როკკონცერტებზე ხელების „ქნევა“.

სოციალურ სიტუაციას სიმბოლური დატვირთვა აქვს. ეს არის აუდიტორიისათვის ინფორმაციის გადაცემა. ბოლო დროს მას პერფორმატორულ (როლის შემსრულებელ) მოქმედებას უწოდებენ. აქ სოციალური მოქმედება კვაზითეატრალური და დრამატურგიული სპექტაკლის ფორმას იღებს. გოფმანმა და ჯეფრი ალექსანდერმა ეს ასპექტები გააანალიზეს. სოციალური პერფორმანსი მის საფუძველში მდებარე რაღაც კულტურული სცენარის არსებობას გულისხმობს: მითი, ტრადიცია და წერილობითი ტექსტები. ეს სცენარი აქტორების მიერ რეალიზდება. ისინი აუდიტორიას ინფორმაციას გადასცემენ, ქმნიან მესიჯებს და იყენებნენ ატრიბუტებს, ხოლო აუდიტორია ცდილობს დაუჯეროს მსახიობებს და მათთან იდენტიფიცირდება. როგორც ალექსანდერი ამბობს: „სცენარი სიარულსა და მეტყველებას იწყებს“. სწორედ ასე არსებობს კულტურა და, როგორც ერთმა კულტუროლოგმა პრიმიტიულ რელიგიებთან დაკავშირებით თქვა: „მასზე არ ფიქრობენ, მას ცეკვავენ და მღერიან“. ასევეა კულტურა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ახალი პერსპექტივის პერსპექტივა. ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია არ არის ახალი დისციპლინა ან ახალი მიმდინარეობა სოციოლოგიაში. ეს უფრო ხედვის ახალი კუთხეა, რომელიც სოციოლოგიის პრობლემების ახალებურად დანახვის საშუალებას გვაძლევს. ის არ ცვლის პირველ ან მეორე სოციოლოგიას. აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყველა სოციოლოგმა ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა უნდა დაიწყოს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ისტორია ახლით ძველის ჩანაცვლებას არ გულისხობს. ახალი პარადიგმები ძველის გადაფასებას არ ახდენენ, ისინი არსებულ ცოდნას ამდიდრებენ.

ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია სოციალური მოვლენების რეალობაში, ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში შესწავლას გვთავაზობს. ასეთი აბსტრაქციები ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებშია რეალიზებული, ამიტომ საჭიროა მათზე დაკვირვება. ყოველდღიური ცხოვრების განხილვისას სოციალური სტრუქტურის, კლასის, ძალაუფლების, სოციალური მოქმედების, გლობალიზაციის, მოდერნიზაციის, იდენტობის პრობლემების და სხვათა უკეთ წვდომა და ანალიზი შესაძლებელი ხდება. ასეთი პრობლემების შესწავლისას ყველაზე მიმზიდველი არის ის, რომ სოციალური პრობლემები ყოველდღიური ცხოვრების დონეზე დაკვირვებადია და მათი ფოტოგრაფირება არის შესაძლებელი. „ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია სოციალური ეგზისტენციის უცნობი მხარეების შესწავლისთვის პერსპექტიულ მიდგომას გვთავაზობს. გამოვყოთ ოთხი პრობლემა:

1. საზოგადოების ფუნქციონირებისას განსხვავებულ სოციალურ კავშირთა და სხვადასხვა ტიპის ჯგუფების როლი.

2. ადამიანთა მუდმივი და კრეატიული მცდელობა, გადალახოს დაბრკოლებები, გადაანაცვლოს საზღვრები და სოციალურ ქმნადობაში შეიტანოს წვლილი.

3. ადამიანთა მოქმედებებში აგენტთა იმანენტური თავისუფლება და, შინაგანი თავშეკავების მიუხედავად, სპონტანურობა, ემოციურობა, არამდგრადი და გაუთვალისწინებელი ქცევები.

4. ადამიანთა მუდმივი სწრაფვა, თავის თუ სხვათა ქცევებს მიანიჭოს საზრისი და სოციალურ ცხოვრებასა და სოციალურ ორგანიზაციაში იპოვოს აზრი“ (Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009, გვ.12).

სოციალური ეგზისტენციის სოციოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებას კვლევითი ლაბორატორიის სახით იყენებს. ეს კი მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში შეიძლება დაგვეხმაროს.

ლიტერატურა:

Штомпка П. Теоретическая социология и Социологическое воображение // Социологический журнал, 2001. № 1

Штомпка П. Формирование социологического воображения // Социологические исследования, №10, 2005.

Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009.

1. Mills Ch, W. Sociological imagination. New York: Oxford University Press, 1959.
2. Sztompka P. Society in action: A theory of social becoming. Cambridge: Polity Press, 1999.
3. sztompka P. The sociology of social change. Oxford: Blackwell, 2000.
4. Handbook in social theory. London: Sage, 2000.

სოციოლოგია, როგორც მოწოდება და ხელობა.
ინტერვიუ პროფესორ პიოტრ შტომპკასთან.
2009 წელი, 13 ივლისი, ყოველდღიური ცხოვრების საზაფხულო სკოლა.

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004, გვ. 511-524 •

საკითხავი მასალა:

ინტერვიუ პიოტრ შტომპკასთან

კითხვა: მოგესალმებით პროფესორო. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ გვაქვს თქვენთან საუბრის საშუალება ამ პროექტის ფარგლებში, რომელსაც თქვენ ახორციელებთ სანკ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად. აქ, რაიოლში, სანკტ-პეტერბურგიდან 60კმ დაშორებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჩემი პირველი კითხვა არის ასეთი: ვინ არის პიტერ შტომპკა?

პასუხი: გამარჯობათ, სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებდე, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მოხარული ვარ ამ მშვენიერ ადგილას სტუდენტებთან ერთად ყოფნით, სტუდენტების ცოდნის მაღალმა დონემ სოციოლოგიის ყველა მიმართულებაში, მათმა დიდმა ინტერესმა და სწავლის წყურვილმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემთვის ყოველთვის საინ-

ტერესოა ის სიახლე, რასაც მე სტუდენტებისაგან ვიგებ, აქ სტუდენტები ჩამოვიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისა და კულტურული მემკვიდრეობის გამოცდილება აქვთ. ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვას, უპირველეს ყოვლისა, მე ვარ უნივერსიტეტის ადამიანი, ჩემი სამყარო სტუდენტები და წიგნებია, სულ ესაა ჩემი ცხოვრება და კარიერა. ყველაზე კარგად თავს სტუდენტების და სამეცნიერო გარემოში ვგრძნობ. მე ჩემი ცხოვრება და კარიერა ამას მივუძღვენი და თუ თქვენ მეკითხებით „ვინ არის პიტერ შტომპკა?“ ის არის სოციოლოგის პროფესორი პოლონეთის კრაკოვის უნივერსიტეტში. იქ არის ჩემი სახლი. მე ასევე მქონდა მრავალ ქვეყანაში ყოფნის ბედნიერება. მსოფლიოს 24 ქვეყანაში ვყოფილვარ სამოგზაუროდ, როგორც პროფესორი, კონფერენციებში და სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. მე საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვკითხულობდი ლექციებს აშშ-ში, ასევე ნამყოფი ვარ ტასმანიაში, რომელიც ანტარქტიდასთან ახლოს მდებარეობს. მე ლექციებს ვკითხულობდი ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, არგენტინასა და მექსიკაში. ჩემი აზრით, მოგზაურობა ძალიან მნიშვნელოვანია. მე ყოველთვის ვბრუნდებოდი სახლში, სახლი – ეს არის ადგილი, რომელთანაც მიჯაჭვულობა მაკავშირებს, ჩემი სახლი პოლონეთია, კრაკოვი – ქვეყნის ძველი და ისტორიული დედაქალაქი და ჩემი სახლი, აქაა ჩემი აკადემიური სახლიც. ეს არის ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი – იაგელინსკის უნივერსიტეტი, რომელსაც 635 წელი შეუსრულდა. კომუნიზმის პერიოდში ადამიანები ცდილობდნენ დასავლეთის ქვეყნებში იმიგრირებას, მაგრამ მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, საკუთარ საზოგადოებაში და ქვეყანაში უნდა დავრჩენილიყავი. მე არასოდეს მიფიქრია იმიგრაციაზე, მე მინდოდა მშვიდობა და, ამავე დროს, საკუთარ ქვეყანაში ყოფნა, უნდა ვაღიარო, რომ თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რადგან ამას უკვე მივაღწიე.

კითხვა: ერთ-ერთი კითხვა, რომელიც აინტერესებთ ჩვენს სოციოლოგ მკითხველებს, თქვენს ამჟამინდელ სამეცნიერო მოღვაწეობას ეხება. თქვენ, როგორც საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, განაცხადეთ, რომ სოციოლოგიური სამყაროს ყურადღების მიქცევას ახალი პარადიგმული მიმართულების შექმნით ცდილობთ, რომელსაც თქვენ „ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია“ უწოდეთ. როგორ მიხვედით ამ იდეამდე? რა დგას მის უკან? თვლით თუ არა, რომ ეს ახალი პარადიგმული მიმართულება მისცემს ახალ იმპულსს და სოციოლოგიის განვითარების ახალ დინამიკას უზრუნველყოფს? რა კავშირშია ეს მიმართულება მიკრო და მაკროდისკუსიასთან?

პასუხი: დიახ, ეს აარაჩვეულებრივი კითხვაა, რადგან ის ხანგრძლივ ინტელექტუალურ ევოლუციას ეხება. მე ღრმად შევისწავლე კარლ მარქსის თეორია და საზოგადოებაში მიმდინარე ისტორიული განვითარების უმაღლესი საფეხური, ჩემი პირველი წიგნი სწორედ ასეთი ტიპის სისტემური ანალიზია. სოციალური ცვლილებების შესწავლის დროსაც კი, მე მიკროსოციოლოგიური ცვლილებებისადმი ვიჩენდი ინტერესს, რომლებიც დიდი რევოლუციების, კულტურებისა და ცივილიზაციების ტრანსფორმაციების დროს მიმდინარეობდა. ჩემი შრომა – „სოციალური ცვლილებების სოციოლოგია“ – 8 ენაზე, მათ შორის, რუსულადაცაა ნათარგმნი. დიდი სოციალური პროცესების კონკრეტული ემპირიული გამოვლინებები უფრო საინტერესოა ჩემთვის, ანუ ის, თუ სად ხდება სოციალური ცვლილებები. მე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცვლილების მოწმე გავხდი. ეს საბჭოთა სისტემიდან დასავლურ დემოკრატიაზე გადასავლის დროს იყო. მე ამ ცვლილებებს ჩემს ქვეყანაში, ჩემს ლაბორატორიაში ვაკვირდებოდი, მე ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, თუ

როგორ მოხდა ეს, ჩემი დაკვირვებიდან ნათელი გახდა, რომ ყოვლივე ეს დამოკიდებულია რიგით მოქალაქეებზე, მათ მობილიზაციაზე, მოტივაციებზე და ა.შ. ყველა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება შეიძლება აღმოვაჩინოთ პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის დონზეც, მცირე ჯგუფებში, სოციალურ მოძრაობებში და ა.შ. სწორედ აქედან იღებს სათავეს სოციალური ცვლილებები. ამან მიმიყვანა სოციალური შემთხვევის იდეასთან. თუ როგორ ხდება მუდმივი ტრანსფორმაცია საზოგადოებაში, თუ როგორ ცვლიან ადამიანები საზოგადოებას თავიანთი მოქმედებით. ინდივიდები ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება იყვნენ ასოციაციის, სადისკუსიო კლუბის, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების და ა.შ. წევრები. ყოველდღიურობის ამ დონეზე ისინი წინასწარ დაგეგმილ მოქმედებებს ახორციელებენ, მთვარობის პოლიტიკა, ლიდერი და მისი ქარიზმატული გავლენა, რომლებსაც ძალა შესწევთ, გავლენა მოახდინონ ან შეცვალონ გარკვეული ყოვლდღიურობის ტენდენციები. თუ საზოგადოებას ჰყავს კარგი ლიდერი, რომელსაც შეუძლია მოსახლეობის მობილიზაცია, მაშინ შესაძლებელია დიდი სოციალური ცვლილებების გამოწვევა. მაგალითად, პოლონეთში 1980-იან წლებში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე იყო მობილიზებულ დემოკრატიულ მოძრაობებში და ასევე იყო ლიდერი ლეხ ვალენსა, სახალხო გმირი მუშათა კლასიდან, რომელმაც შეძლო დიდი რაოდენობის ხალხის მობილიზება, მან ყველაზე გადამწყვეტ მომენტში 10 მილიონი ადამიანის მობილიზება შეძლო, ქვეყანაში, სადაც 30 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. როდესაც ვსაუბრობ სოციალურ ცვლილებებზე, მე მხოლოდ რევოლუციას არ ვგულისხმობ, არამედ ყველა ტიპის პოლიტიკურ ცვლილებას ვგულისხმობ, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობაზე არის მიმართული.

მოდით დავფიქრდეთ, რას წარმოადგენს ჯგუფი? რა არის გაერთიანება? რა არის ასოციაცია? პასუხი – ეს არის რიგითი ადამიანები თავიანთი მოქმედებებით. მაგალითად, რა არის ოჯახი? ოჯახი – ეს არის ადამიანები, რომლებსაც უყვართ ერთმანეთი, ზრუნავენ შვილებზე და მათ აკავშირებთ სოლიდარობის გრძნობა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ურთიერთვალდებულება ოჯახის შიგნით, ისინი მოქმედებენ მათი კულტურული მიკუთვნებულობის შესაბამისად, მათ ასევე აქვთ ოჯახისათვის საერთო მიზნები, შვილების მეტ-ნაკლებად წარმატებული ცხოვრების უზრუნველყოფა და ა.შ. ოჯახი არ არსებობს ქაღალდზე, ის არ არსებობს ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტებზე. ოჯახი – ეს არის მოქმედება, ოჯახი იარსებებს მანამ, სანამ ადამიანები არ შეწყვეტენ მის შექმნას. თუ ადამიანები ანგრევენ ოჯახს, მაშინ სახეზეა განქორწინება, ერთ მშობლიანი ოჯახი და ა.შ. ასევეა სხვა ჯგუფებთან მიმართებაშიც, სტუდენტების ჯგუფი არსებობს მანამ, სანამ არიან სტუდენტები და ლექტორები აკეთებენ თავიანთ საქმეს, ანუ სტუდენტები ესწრებიან ლექციებს და სწავლობენ იმას, რასაც ლექტორი აძლევს, აბარებენ გამოცდებს და ა.შ.

კითხვა: მე მინდა, რომ გავაგრძელოთ საუბარი ყოველდღიურ ცხოვრებაზე. როგორია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება, როგორც რიგითი მოქალაქის ორგანიზებული? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

პასუხი: დიახ, სწორი ბრძანდებით, მეცნიერებიც რიგითი მოქალაქეები არიან, როდესაც მეკითხებით ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ფაქტი: პირველი – ეს არის დრო, დიდი განსხვავებაა ახალგაზრდა მკვლევრის ყოველდღიურ ცხოვრებასა და იმას შორის, ვინც უკვე მიაღწია ყველაფერს. ასევე პრინციპული განსხვავებაა იმის მიხედვით, თუ სად იმყოფები – სახლში თუ საზღვარგარეთ და ეს განსხვავება პრინციპულად მნიშვნელოვანია, რადგან იცვლება კონტექსტი. ახალგაზრდის ცხოვრება განსხვავებულია უფროსი ასაკის მეცნიერის ცხოვრებისაგან, ამიტომ, ჯობს, ჩემი ადრინდელი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ გიამბოთ.

მე ყოველთვის სისტემატურობით გამოვირჩეოდი, უპირველეს ყოვლისა, მქონდა მიზანი, მე უნდა მემუშავა ბევრი, რადგან სხვა გზითა თუ საშუალებით მიზანს ვერ მივაღწევდი. აკადემიური სამუშაო ძალიან მძიმეა, რადგან დიდ დისციპლინას და თვითდისციპლინას მოითხოვს. მოგვიანებით, როდესაც სადოქტოროზე ვმუშაობდი, აუცილებელი იყო, დროის სწორი და სისტემური განაწილება მომეხერხებინა. დილის 7 საათზე ვდგებოდი, შემდეგ ვვარჯიშობდი და 8:30 ვსაუზმობდი, ამის შემდეგ კი სადილამდე, ანუ 2 საათამდე ვმუშაობდი და ამის შემდეგ მივდიოდი მეცადინეობაზე, რა თქმა უნდა, როცა ლექტორი ხარ, ძნელია ამ მეთოდით მუშაობის გაგრძელება, მაშინ მე მქონდა მიზანი და ვიყავი სახლში. ყველაზე კარგი დრო წერისათვის არის, როცა ადმინისტრაციული და აკადემიური მოღვაწეობისაგან თავისუფალი ხარ. მას შემდეგ, რაც დოქტორის ხარისხი მივიღე და უკვე სხვა აღიარებებიც მიღებული მქონდა, დაიწყო ჩემი მონაწილეობა სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში, უნდა ვაღიარო, რომ კვლევითი ლაბორატორიები არაჩვეულებრივი ადგილია, რადგან იქ ყოველთვის მაქვს დრო წერის, კითხვის და კვლევისათვის. შორს ვარ ოჯახისაგან და სხვა ვალდებულებებისაგან, მხოლოდ ვმუშაობ. მე ვიყავი ასეთ ლაბორატორიებში აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში, ბუდაპეშტში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, აშშში და გერმანიაში. არასოდეს მიცდია, ერთ წელზე უფრო დიდი ხნის მანძილზე გავსულიყავი ქვეყნიდან, რადგან როცა შორს ვარ, მენატრება სახლი, ჩემი ქვეყანა მისი ბუნება და სხვა ყველაფერი, ამიტომ ერთი სემესტრი სრულიად საკმარისია ჩემთვის, როდესაც წინასწარ ვარ მომზადებული წიგნის დასაწერად.

ახლა უკვე აღარსად მეჩქარება, დილაობით ისევ ვვარჯიშობ, სახლში რამდენიმე ტიპის ტრენაჟორი მაქვს. ჯანმრთელ სხეულში ჯანსაღი სულია – სიბრძნე დიდი ხნის წინათ გავითავისე და დღემდე ვცდილობ, მას მივყვე. ალბათ გავაოცებ ჩემს სტუდენტებს თუ ვიტყვი, რომ მე გორგოლაჭებზეც კი ვდგები, გორგოლაჭებზე დგომა კალიფორნიაში ვისწავლე, სადაც ბევრი აკეთებდა ამას, ხოლო როცა პოლონეთში ჩამოვედი და პარკში გორგოლაჭებით გავედი, ყველა მე მიყურებდა.

მე არ ვიცი, რამდენი დრო დამრჩა, ამიტომ ახლა უკვე ისე აღარ ვჩქარობ, როგორც ადრე. დილას ისევ ადრე ვდგები, მე ვერასოდეს ვმუშაობდი ღამით ან საღამოს გვიან. ყოველთვის ვცდილობ, რომ დრო გამოვყო მეგობრებთან ერთად სასეირნოდ ან კაფეში წასასვლელად; ზოგჯერ თეატრში, კონცერტზე, ან კინოში მივდივართ ან, უბრალოდ, წიგნთან ერთად ვატარებ საღამოს. ჩემი აზრით, სოციოლოგმა, წიგნის კითხვის გარდა, სხვა რაღაცებიც უნდა აკეთოს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ძალიან მიყვარს სურათების გადაღება, ეს ჩემი პროფესიაცაა, დავაკვირდე ახალ გარემოს, ახალ კულტურას. უჩვეულო და განსხვავებულ ქცევას, პეიზაჟს, არქიტექტურას გადავუღო სურათი, ეს ჩემთვის სასიამოვნოც არის და პროფესიული პრაქტიკაც. ნახევრად პროფესიონალი ფოტოგრაფი ვარ და რამდენიმე გამოფენაც კი მქონდა ჩემს ქალაქში.

კითხვა: პროფესიული გამოფენა გქონდათ თუ საჯარო?

პასუხი: ერთ-ერთი ასეთი გამოფენა, რომელიც საჯარო იყო, 2 წლის წინათ მოეწყო, „ჩემი მოგზაურობის აღმოჩენები“ – ასე ერქვა გამოფენას, სადაც 24 ქვეყანაში გადაღებული 200-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. როდესაც ვხედავ რაიმეს გასაოცარსა და ლამაზს, მაშინვე ვიღებ სურათს, მე ვცდილობ ცხოვრების ნათელი და ლამაზი მხარეების დანახვას, მე ვიცი, რომ არსებობს ცუდიც და კარგიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ერთი რომელიმე, მე ყოველთვის ვცდილობ კარგისა და ლამაზის დანახვას ცხოვრებაში, ესაა ჩემი ფილოსოფია.

ინტერვიუერი: ძალიან საინტერესოა.

პასუხი: ცხოვრება მშვენიერია და ჩვენ უნდა დავტკბეთ ამ მშვენიერებით. ცხოვრებას აქვს აზრი და ღირებულება. მე, როგორც მეცნიერმა, რა თქმა უნდა, არ შემიძლია ვაღიარო და მივიღო რელიგიური რწმენა სხვა ცხოვრების შესახებ, ამიტომ ის ცხოვრება, რომელიც ჩვენ გვაქვს, მშვენიერია მისი ყველა სევდისა და სიხარულის ჩათვლით, ყველას ჰქონია ტრაგიკული მომენტები ცხოვრებაში, მაგრამ ეს ნორმალურია. მე, მაგალითად, განვიცადე წარუმატებლობა პირად ცხოვრებაში, მაგრამ ყოველივე ერთად ცხოვრებას, როგორც მთლიანობას ქმნის. ცხოვრებაში მონაწილეობა უნდა მიიღო და არ უნდა იყო დამკვირვებელი.

კითხვა: რა არის თქვენი როგორც სოციოლოგის ლაბორატორია ახალი თეორიის შესაქმნელად? როგორ ავითარებთ თქვენს ახალ თეორიას?

პასუხი: სტატიის დაწერაც კი დიდ სამუშაოს მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ წიგნის და ახალი თეორიის დაწერაზე. შთაგონება, ინტუიცია და დიდი შრომა არის საჭირო, ამათ შორის შრომაა ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო შრომაში ბევრ კითხვას – სხვა სწავლულების მოსაზრებების და ნაშრომების გაცნობას ვგულისხმობ. მე დიდი პატივისცემით ვეკიდები XIX საუკუნის დიდ სწავლულებს, მე ყოველთვის სერიოზულად ვსწავლობდი მათ ნაშრომებს, ეს ეხება ოგიუსტ კონტს, ჰერბერტ სპენსერს, კარლ მარქსს, მაქს ვებერს, გეორგ ზიმელს, ემილ დიურკემს, ვილფრედო პარეტოს, ჯორჯ ჰერბერტ მიდს და სხვა მრავალ სოციოლოგს, რომლებსაც სოციოლოგიური თეორიული პერსპექტივის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით. მე არ ვთვლი, რომ რომელიმე სწავლული უნდა დავივიწყოთ იმის გამო, რომ პოლიტიკური პარტია ეფუძნება და მის იდეებს არასწორად იყენებს. ამაში დამნაშავე შემდგომი თაობებია.

მე ვთვლი, რომ სოციალური კლასის კონცეფცია დღემდე აქტუალურია, მათ შორის ბევრი სხვა კონცეფცია, რომლებიც სათავეს XIX საუკუნიდან იღებენ, მაგ., თუ თქვენ გაინტერესებთ ინტერაქციისა და ადამიანთაშორისი კომუნიკაციის პრობლემა, მაშინ უნდა გადახედოთ ჩარლზ კულის და ჰერბერტ მიდს. რაც მეტს კითხულობთ, მით უკეთესია, კითხვა არასოდესაა საკმარისი. მე გეტყვით წიგნის კითხვის ჩემი ტექნიკის შესახებ, ეს მართლაც კარგი მეთოდია, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება, თუ წიგნი თქვენია და არა უნივერსიტეტიდან ან ბიბლიოთეკიდან გამოტანილი. კითხვის დროს მონიშნეთ საინტერესო ადგილები ან თქვენი კომენტარი მიაწერეთ, ეცადეთ, გამართოთ დიალოგი თქვენსა და ავტორს შორის. სხვა ავტორების გაცნობის გარეშე მეცნიერი ვერ გახდებით. ჩემი მეორე მეთოდი არის მოსაზრების ჩაწერა, დამიჯერეთ, ყველაზე გენიალური მოსაზრებებიც კი შეიძლება დაგავიწყდეთ, ყველაფერს ვერ დაიმახსოვრებთ, მე ყოველთვის თან დამაქვს A4-ის განსაკუთრებული ფორმატის ფურცელი, სეირნობისას, მაღაზიაში ყოფნისას და ა.შ. თუ რაიმე აზრი მიჩნდება, მაშინვე ვიწერ და ეს ყოველივე მეხმარება, როცა რაიმე მაქვს დასაწერი.

კითხვა: თქვენ ხელით წერთ?

პასუხი: დიახ, მე ვწერ კალმით და იშვიათად ვიყენებ კომპიუტერს, მე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან ინსტრუმენტი არაა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც პრინციპი. როდესაც დიდი რაოდენობის ლიტერატურა მიგროვდება, ვიწყებ პრობლემაზე პასუხების მოძებნას, ამის შემდეგ ძირითადი მახასიათებლების სისტემურ აღწერას ვიწყებ. მე ძალიან მეთოდური ვარ ამ საკითხში, ეს ალბათ იმის მიზეზია, რომ სანამ სოციოლოგიას შევისწავლიდი, იურიდიულზე ვსწავლობდი. მუშაობის დროს ვცდილობ შევქმნა ლოგიკური სქემები, რაც მუშაობის პროცესში მეხმარება. წიგნზე მუშაობის დროს დროის 90% წინასწარ მოსამზადებელ სამუშაობებს, ლიტერატურის გაცნობას, ციტატების ამოწერას,

სათაურის, თავების დაგეგმვას და ა.შ. მიაქვს, ხოლო დროის 10% – წერას, ამიტომ სანამ წერას დავიწყებ, ყველაფერი მზად მაქვს, მივდივარ საზღვარგარეთ და მუშაობისთვის რაც მჭირდება, ეს მხოლოდ კომპიუტერია.

კითხვა: როგორ აღწერდით თქვენი თეორიის წვლილს თანამედროვე სოციოლოგიაში? თუ ვილაპარაკებთ, მაგალითად, სტრუქტურულ ფუნქციონალიზმზე, სოციალურ ცვლილებებზე, კულტურულ ტრავმაზე და ა.შ.

პასუხი: მე არ შევეცდები რაიმეს განმარტებას, რადგან ზოგიერთი რამ უფრო მნიშვნელოვანია სოციოლოგიაში, ვიდრე სოციოლოგიური თეორიის შემუშავება. მე, რა თქმა უნდა, მაქვს სუბიექტური მოსაზრებები, მაგრამ არ ვიცი, რამდენად ემთხვევა ეს ჩემი კოლეგების მოსაზრებებს. ერთ-ერთი ცენტრალური იდეა, რომელსაც მე ვეყრდნობოდი ჩემი მუშაობის დასაწყისში და 1979 წელს გამოცემულ ნაშრომში „სოციოლოგიური დილემები“ აისახა, მდგომარეობს შემდგომში: სოციოლოგიურ თეორიებს აქვთ შეცდომაში შემყვანი და არასაჭირო ოპოზიციები, მაგალითად, მაკრო და მიკრო, მოქმედება და სტრუქტურა, სტაბილურობა და ცვლილება და ა.შ. ეს განსხვავებები მხოლოდ ანალიტიკურ დონეზე რჩება, რადგან რეალური ცხოვრება ასეთ განსხვავებებს და ოპოზიციებს არ უშვებს. ადრე ვცდილობდი ამ დილემის შეერთებას, ყველაზე კარგი მოქმედების და სტრუქტურის ოპოზიციაა, ეს ოპოზიცია ჩემი წიგნის მთავარი თემა გახდა, სოციალური შემთხვევა ანუ საზოგადოება მოქმედებაში, არ შეიძლება სოციალური სტრუქტურის მიჩნევა, როგორც რაღაც მყარის და უმოძრაოს, ისეთის, რაც ზემოდან გვახვევს თავს რაღაცას და თითქოს მისი შეცვლა შეუძლებელი იყოს. სტრუქტურა არის ადამიანთა მოქმედების რეზულტატი, მათი პროდუქტი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ისეთი სტრუქტურები მყარად არსებობენ, რომლებიც უფრო ხანგრძლივად არსებობენ, ვიდრე ერთი სიცოცხლე ან თაობები, მაგრამ ისინი ადამიანთა მოქმედების შედეგად წარმოიშობიან და არსებობენ მანამ, სანამ არსებობს მოქმედება. ვერ იარსებებს სტრუქტურა, თუ მასში არიან მოქმედი ინდივიდები და ისინი არ ცდილობენ მის შენარჩუნებას. სტრუქტურის შეცვლა შეიძლება ორი საშუალებით. პირველი – ესაა მისი უარყოფა ან გაქცევა მისგან, მეორე არის ინოვაცია ანუ ახლის შექმნა, ახალი წესები, ახალი ღირებულებები, ახალი ცხოვრების წესი, იდეოლოგია და ა.შ. ჩემი აზრით, სტრუქტურა და მოქმედება არის ერთი და იგივე. მოდით, ახალა სხვა ოპოზიცია განვიხილოთ – სტაბილურობისა და ცვლილების ოპოზიცია, რომელსაც მივუძღვენი წიგნი „სოციალური ცვლილებების სოციოლოგია“, ჩემი აზრით, ესეც მაცდური ოპოზიციაა, რადგან სოციალურ ცხოვრებაში არ არსებობს სტაბილურობა, არ არსებობს უცვლელი ობიექტი, ცხოვრება – ეს არის მოძრაობა და ცვლილება. იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებაზეც, რადგან საზოგადოებაც განუწყვეტლივ მოძრაობაშია, ყოველდღიური ცხოვრება იქნება ეს თუ ეკონომიკური პროცესები ან პოლიტიკური ცხოვრება, ან თვით გლობალიზაციის პროცესიც. არაა შემთხვევითი, რომ თანამედროვე სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ფიგურები გიდენსი – და ელიასი – სტრუქტურაციას და ფიგურაციას იყენებენ, რომლებიც დინამიკურობას აღნიშნავენ. როდესაც კონტი სოციალურ სტატიკაზე და სოციალურ დინამიკაზე საუბრობდა, ის გვთავაზობდა განსხვავებას, რომელსაც უფრო დიდ შეცდომაში შევყავართ და ეს უნდა გადაილახოს, სოციოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს სასარგებლო იყო, მაგრამ ახლა უფრო ჭკვიანები უნდა ვიყოთ. ეს იყო ერთი იდეა, ხოლო მეორე არის ერთგვარი ევოლუცია. მე ერთი პერიოდი ვმუშაობდი სტრუქტურული ფუნქციონალიზმისა და მარქსისტული თეორიის ძირითადი იდეების შედარებაზე, ამის შესახებ ჩემი წიგნი ამერიკაში გამოქვეყნდა, ზოგიერთი ამერიკელი სოციოლოგი გაოცებული იყო, რადგან ფუნქციონალიზმი რადიკალი მემარცხენე სტუდენტების მიერ აღიარებული იყო, როგორც კონსერვატიული თეორია, რომელიც გარკვეულად საზოგადოების,

როგორც სისტემის, შესახებ მარქსის შეხედულებას ჰგავდა. ამის შემდეგ ჩემი შთაგონების წყარო 1980-იან წლებში მიმდინარე სოციალური ცვლილებები გახდა, მე გამიმართლა, რადგან ამ დროს ვიყავი აშშ-ში და საუკეთესო სპეციალისტებთან ერთად მომიწია ამ ცვლილებების შესწავლა, ჩემი კოლეგები იყვნენ ანა არბონე, ჩარლზ ტილი, ალდან მორისი, ასევე ისინი, რომლებიც ამ დროს სწავლობდნენ ადამიანის უფლებებს, შავკანიანთა უფლებებს და ა.შ.

კითხვა: ალდან მორისი?

პასუხი: ალდან მორისი, ჩარლზ ტილი და კიდევ სხვები, ამ პერიოდში საფუძველი ეყრებოდა სოციალური მოძრაობის ამერიკულ თეორიას, მე კი ამის გამოყენებას პოლონური დემოკრატიული მოძრაობისათვის ვცდილობდი. ყველა სოციოლოგი თავისი საზოგადოების მსახურია, ეს ასეა ინტელექტუალური მნიშვნელობითაც, მე კარგი გამოცდილება მივიღე 1980-იანი წლების დიდ სოციალურ ცვლილებებზე დაკვირვებით, ამის შემდეგ კი მოხდა საბჭოთა კავშირის რღვევა და ამ დროს მე მჭირდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ დავკვირებოდი გარემოს, ყურადღებით მესმინა სხვაბისათვის და წამეკითხა ადამიანები, სოციოლოგმა, წიგნების კითხვის გარდა, ადამიანების წაკითხვაც უნდა შეძლოს.

კითხვა: რა ხდებოდა თქვენს საზოგადოებაში?

პასუხი: ჩვენ გვჯეროდა, რომ მეორე შვეიცარია გავხდებოდით, ან მეორე იაპონია, და ეს მოხდებოდა ძალიან მალე, რა თქმა უნდა, ასე ვერ გაგრძელდებოდა დიდხანს და თავი იჩინა „მომდევნო დღის“ სინდრომმა, ყველამ იცის, რას ნიშნავს ყოველდღიური ცხოვრება.

კითხვა: დიახ.

პასუხი: მომდევნო დილას ვუბრუნდებით ჩვეულ ცხოვრებას და ვაცნობიერებთ, სწორედ ასე გააცნობიერა პოლონელმა ხალხმაც, თუ რა დრამატულ პრობლემებს წარმოშობს სოციალური ცვლილებები. არასწორად ნუ გამიგებთ, მე არ ვარ კომუნიზმის მომხრე, მაგრამ მაშინ არ იყვნენ უსახლკაროები და ბევრი სოციალური პროგრამა არსებობდა, ამ ყველაფრის მოშლა და გაუქმება იყო დიდი ტრავმა ხალხისათვის, რა თქმა უნდა, ინტელექტუალებისათვის, მეცნიერებისა და მწერლებისათვის მთავარი იყო აზროვნების, სიტყვის, მოგზაურობის და ა.შ. თავისუფლება.

კითხვა: პროფესორო, თქვენ აღნიშნეთ, რომ სწავლულები კითხულობენ წიგნებს და ადამიანებს. რას იტყოდით სოციოლოგიის წაკითხვაზე? როგორია სოციოლოგიის ახლანდელი მდგომარეობა? საითკენ მიდის? როგორია მისი პრობლემები? მხედველობაში მაქვს საერთაშორისო სოციოლოგია, თქვენ იყავით ასოციაციის წარმატებული პრეზიდენტი, ასე რომ, ყველაზე უკეთესად იცნობთ ამ საკითხს.

პასუხი: პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ემპირიული სოციოლოგია სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან შეუძლებელია სავარძელში იჯდე, სვამდე ვისკის და წერდე თეორიას, აუცილებელია ემპირიული მასალების ქონა. სოციოლოგია უნდა ოპერირებდეს სანდო და რელევანტური ფაქტებით, ემპირიული სოციოლოგია ბირთვია, მაგალითად, საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციაში დაახლოებით 55 კვლევითი კომიტეტია, რომლებიც პერიოდულად ატარებენ კვლევებს. ისინი შრომას ანაწილებენ ეკონომიკური, პოლიტიკური, ურბანული, სამედიცინო, კულტურული და ა.შ. ინტერესების მიხედვით.

ისინი ფოკუსირებას ახდენენ სფეროების მიხედვით, იკვლევენ პრობლემას, მის პერსპექტივას და ამას კვლევის არსებული მეთოდების გამოყენებით აკეთებენ. ადამიანები, რომლებიც თეორიას ამჯობინებენ, ჩემსავით იშვიათობას წარმოადგენენ, მაგრამ ჩემთვისაც აუცილებელია ემპირიული მასალების არსებობა. თანამედროვე სოციოლოგიაში დადებითი ტენდენცია შეინიშნება – პრობლემის სიღრმისეული კვლევა ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით. წლების მანძილზე სოციოლოგები იყენებდნენ კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს, ასევე თვისობრივს, ეს მეთოდები აღწერდა საზოგადოების ხელოვნურ სურათს, რადგან ისინი აღწერდნენ გამოგონილ კონცეპტუალურ საგნებს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სულ უფრო ხშირად იყენებენ ფოკუსჯგუფებს, ჩაღრმავებულ ინტერვიუს, პირად დოკუმენტებს (წერილებს, პირად დღიურებს და ა.შ.), ცხოვრების ისტორიას, ასევე, მონოგრაფიულ მეთოდებს უფრო ღრმა ანალიზისათვის. ასევე აღსანიშნავია ვიზუალური სოციოლოგიისა და ვიზუალური მეთოდების გამოყენების ტენდენცია, ეს კი გვახსენებს ძველ დროს, როდესაც ანთროპოლოგები, ეთნოგრაფები და სოციოლოგები იყენებდნენ დაკვირვების მეთოდს. დღესაც შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენება, ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფოტო და ვიდეოდოკუმენტირების შესაძლებლობა, თანამედროვე სოციოლოგიაში მიმდინარეობს ვიზუალური მიმართულების ჩამოყალიბება.

ჩემი აზრით, სოციოლოგია ყოველდღიურად ამდიდრებს თავის მეთოდოლოგიას და თეორიას, თეორია კი სოციოლოგიის საწყისია და ის ყოველთვის იქნება განმსაზღვრელი. მე ვთვლი, რომ თეორია არ განიცდის მუდმივ პროგრესს, მას აქვს წარმატებაც და წარუმატებლობაც, ზოგჯერ მოძრაობს წინ, ზოგჯერ კი – უკან. ჩვენ წარმატებით გავართვით თავი კრიზისს, რომელსაც პოსტმოდერნიზმი ჰქვია, გარკველი დროს მანძილზე ჩემზეც ახდენდნენ გავლენას იმ ფრანგი ფილოსოფოსების მოსაზრებები, რომლებიც პარიზის კაფეში ისხდნენ და საუბრობდნენ საზოგადოებაზე; გვეუბნებოდნენ, თუ როგორ იცვლება ყველაფერი, მეტათეორიებზე, შემთხვევითობაზე, თამაშზე და ა.შ. დესტრუქციული იდეები, რომლებსაც მე თავიდანვე არ ვეთანხმებოდი და რომლებიც, საბედნიეროდ, აღარაა მოდაში.

გიდენსის მოსაზრება პოსტთანამედროვე საზოგადოებაზე, რომელსაც ახასიათებს თანამედროვეობის მაღალი ხარისხი და მოდერნულობის რეფლექსურობა, როგორც თანამედროვეობის სინდრომი, უკვე ორი საუკუნეა ვითარდება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ახლა უფრო ახლოს ვართ თეორიასთან, რომელიც ცდილობს, უფრო ჩაუღრმავდეს და ჩასწვდეს საგნის არსს.

სოციოლოგთა ნაწილი თვლის, რომ საზრისის მქონეა ინდივიდის მოქმედება, სხვებთან ურთიერთქმედება და ა.შ. ეს არის ის, რასაც მე ვუწოდებ სოციალურ შემთხვევას, ადამიანები ცხოვრობენ ერთად, ისინი ერთმანეთთან კონფლიქტში შედიან, უწევენ კოკურენციას ერთმანეთს, უყვართ ან სძულთ ერთმანეთი და ა.შ. ეს ყველაფერი კი არის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი ელემენტები. ცნობილი სოციოლოგები – ე. გიდენსი, ჯ. ალექსანდერი, რენდალ კოლინსი და ჯონათან ტერნერი – მოძრაობენ ერთი მიმართულებით, სწავლობენ რევოლუციებს, გრანდიოზულ სოციალურ ცვლილებებს, ანუ სვამენ ძველ კითხვებს, მაგრამ ამას ყოველდღიური ცხოვრების წესში, მათ მოტივებში, მოძრაობაში, რწმენაში, წესებში, ნორმებში, კულტურულ კონტექსტში, რომელშიც მოქმედებენ ადამიანები, ახალი პერსპექტივის თვალსაზრისით განიხილავენ. ყოვედღიური ცხოვრების მრავალფეროვნების გამოცდილების შესასწავლად შედარება ყველაზე კარგი მეთოდია. ადრეულ წლებში ცდილობდნენ მრავალფეროვან საზოგადოებებში საერთო მახასიათებლების პოვნას, მეცნიერები მოგზაურობდნენ ამაზონის ტყეებში და ცდილობდნენ ისეთი მახასიათებლების პოვნას, რომელიც ყველა საზოგადოებისათვის იქნებოდა საერთო. რა აქვთ საერთო? დიახ, ესეც იყო შედარება, მაგრამ ახლა ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც აბსოლუტურ ურთიერთსაწინააღმდეგო შედარებებს გვთავაზობს, გლობალიზაციის, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებების და ა.შ. რატომ რჩება ამდენი

განსხვავება, მიუხედავად ყველაფრისა? რატომ განსხვავდება რუსეთი ასე პოლონეთისაგან? რატომ განსხვავდება პოლონეთი საფრანგეთისაგან? ხოლო ჩინეთი – ყველა დანარჩენისაგან? სწორედ ახლაა საჭირო შედარების სხვა ტიპი, განსხვავების ძიება გლობალიზებულ სამყაროში. როგორ მოხდა, რომ მაკდონალდიზებულ სამყაროში, სადაც ერთი და იგივე პროდუქტი, საგანი, ჟესტი, მანქანა და ა.შ. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გვხვდება, მაინც შევინარჩუნეთ განსხვავება, რომელიც უფრო ძლიერია ყოველდღიურ ცხოვრებაში ალბათ იმიტომ, რომ ადამიანები ცდილობენ საკუთარი იდენტობის, ჩვევების შენარჩუნებას და, ამავდროულად, აფასებენ მრავლფეროვნებას. ცნობილმა პოლონელმა რეჟისორმა შიშტოფ ზანუსმა დაწერა წიგნი, როდესაც პოლონელი ხალხი ევროკავშირში შესვლას აპირებდა. ის წერდა: „მოდით შევიდეთ ევროკავშირში, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ბიგოსით“, ბიგოსი ტრადიციული პოლონური კერძია, ეს ნიშნავდა იმას, რომ გავწევრიანდეთ, მაგრამ შევინარჩუნოთ ჩვენი ჩვეულება, მე მგონი, სწორედ ეს არის საინტერესო კვლევისათვის. რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღმავლობის ძირითადი მიზეზიც იგივეა, ისლამის დასაცავად მობილიზებულები არიან ადამიანები და ხშირად საშინელებებსაც სჩადიან, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ საფრთხე ემუქრება მათ რელიგიას და ეს საფრთხე გლობალიზაციის, დასავლეთის და ა.შ. მხრიდან მოდის.

კითხვა: თქვენი საუბრიდან ხშირად ისმის კითხვა „რატომ“, არ თვლით, რომ კითხვა „რატომ“ უფრო ფილოსოფიის კატეგორიას მიეკუთვნება? თქვენ ნამდვილად თვლით, რომ სოციოლოგია უნდა სვამდეს ამ კითხვას, თუ ის უფრო უნდა იყენებდეს „რას“ და „როგორ“ ან „რამდენი“? როგორ თვლით, რომელია დღეისათვის ყველაზე აქტუალური და რთული კითხვა სოციოლოგიისათვის? თვლით თუ არა, რომ ყველა საზოგადოებას აქვს თავისი კითხვა?

პასუხი: მე ვთვლი, რომ სოციოლოგი ყველა ტიპის კითხვებზე უნდა ცდილობდეს პასუხის პოვნას, რა თქმა უნდა, კითხვა „რა“ ბაზისურია სოციოლოგიისათვის. მაგალითად, რას უნდა გასცეს პასუხი, რომ გავარკვიოთ დასაქმებულები და დაუსაქმებლები, მდიდრები და ღარიბები, ქორწინებაში მყოფი და განქორწინებულები და ა.შ. სოციოლოგიური ცოდნისათვის ეს მნიშვნელოვანი საწყისია, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან შემდეგი კითხვა უფრო რთულია – როგორ მოხდა ოჯახის ტიპის ცვლილება? როგორია ისტორიული პროცესი? რომელმა ფაქტმა განაპირობა არსებული მდგომარეობა და როგორია მისი მიმართება სხვა ფაქტებთან? ყველა ეს კითხვა ეხება ფაქტებს. მაგალითად, თუ ვიკვლევთ რუსეთში არსებული ოჯახის ტიპებს, მაშინ უნდა გადავხედოთ ისტორიას და შევისწავლოთ საუკუნეების მანძილზე არსებული ოჯახის ტიპები. ამის შემდეგ კი ჩნდება კითხვა – რატომ? მე ვთვლი, რომ კითხვა რატომ სოციოლოგიისათვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფილოსოფიისათვის, ფილოსოფია უფრო ღრმა და ეგზისტენციურ კითხვებს სვამს ადამიანის ამ სამყაროში არსებობის საზრისზე, რატომ და როგორ შეუძლიათ ადამიანებს, მიიღონ და გაიგონ ცხოვრება და ა.შ. სოციოლოგიას კი აინტერესებს, თუ რატომ ხდება კონკრეტული მოვლენები, პროცესები, რევოლუცია, ის, თუ რატომ ხდება, რომ კონკრეტულ ეტაპზე ადამიანები ახერხებენ მობილიზაციას და ათასობით სხვა კითხვა. კითხვა – რატომ? არის უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიისათვის, რადგან მასზე პასუხი იძლევა თეორიული მოდელის შექმნის შესაძლებლობას, თუ თქვენ გაქვთ პასუხი ამ კითხვაზე, მაშინ შეგიძლიათ მომავლის პროგნოზირება, რეკომენდაციების შემუშავება და სხვა.

იტალიური მარქსისიტული სკოლის წარმომადგენელმა ანტონიო გრამშმა კარგად და სწორად აღნიშნა, რომ სოციოლოგიას შეუძლია სოციალური ცვლილებების წინასწარმეტყველება და მას ამისათვის აქვს სქემები. სქემებს კი ქმნიან თეორეტიკოსები, რომლებიც პა-

სუხობენ კითხვაზე რატომ, როდესაც ყველა ემპირიული ფაქტი დაჰყავთ ერთ მოდელზე; რომლებიც იკვლევენ, თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება, როგორ იცვლება და ა.შ. ასეთ სქემას შეუძლია იწინასწარმეტყველოს ცვლილება, რაც გევხმარება ცვლილებების გაკონტროლებაში და ნეგატიური პოლიტიკის თავიდან აცილებაში. ჩემი აზრით, არ არსებობს რატომ-ზე უფრო მნიშვნელოვანი კითხვა სოციალურ მეცნიერებებში.

თქვენ ასევე მკითხეთ, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა თეორიაში დღეისათვის? საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციამ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის დროსაც გამოკითხა 3 000 მკვლევარი მთელს მსოფლიოში იმაზე, თუ რომელი პრობლემაა უფრო აქტუალური, ეს მოხდა ექვსი წლის წინათ და მაშინ პირველ ადგილზე გავიდა გლობალიზაცია, ხოლო მეორეზე – პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია რუსეთში, მესამეზე – იდენტობა და ა.შ.

მე ვთლი, რომ დღეისათვის გლობალიზაციის ფენომენი უკვე შესწავლილია და არსებობს ბევრი კარგია თეორია და მიდგომა, რა თქმა უნდა, სასურველია მეტის ცოდნა, მაგრამ დღეისათვის ეს არაა ყველაზე აქტუალური პრობლემა.

მე ვთვლი, რომ იდენტობა არის აქტუალური და ცენტრალური თემა დღეს სოციოლოგიური თეორიებისათვის. რატომ ინარჩუენებენ ადამიანები იდენტობას და სოლიდარობას სხვებთან? როგორ განსაზღვრავენ ისინი კატეგორიას „ჩვენ“? რატომ ვქმნით ასეთ კატეგორიებს? „ჩვენ“ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაცვალსახელი ყველა ენაში, რითი განსხვავდება „ჩვენ“ სხვებისაგან? მაგ; დღეს ევროპაში ხდება რეალური საზღვრების რღვევა, მაგრამ ადამიანები მაინც პოულობენ ახალ საშუალებებს მათ ასაშენებლად. იდენტობა მრავალფენიანი ფენომენია, ის არის ლოკალური, ურბანული, რელიგიური, ნაციონალური და ა.შ. მათ შორის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანია ნაციონალური/ეროვნული იდენტობა, მიუხედავად სახელმწიფო საზღვრების შესუსტებისა და გლობალიზაციისა. როდესაც რუსეთში ჩამოვდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სახლში ვიმყოფებოდე, მაგრამ არა მაქვს იგივე შეგრძნება, როდესაც ჩავდივარ იაპონიაში, ამის მიზეზია ჩვენი საერთოისტორიული წარსული, თანამედროვე სოციოლოგები სწავლობენ გლობალურ იდენტობას, ანუ, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ, კოსმოპოლიტურ იდენტობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიწყებთ ფიქრს „ჩვენზე“, როგორც ადამიანებზე, ვზრუნავთ ეკოლოგიაზე, გლობალურ დათბობაზე და ა.შ. „ჩვენ“ არა, როგორც რუსები, ამერიკელები, გერმანელები, არამედ, როგორც ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ დედამიწის მომავალზე. ჩემი აზრით, საინტერესოა იმის კვლევა, თუ როგორ ყალიბდება ამ ტიპის იდენტობა, როგორ ყალიბდება ახალი ტიპის საზღვრები, როგორ იცვლება „სხვა“ და „ჩვენის“ მნიშვნელობები, რატომ რჩება ისინი, რომლებსაც ვებრძვით. ზოგიერთისათვის ეს არის ისლამი, ტერორიზმი ან შეიძლება იყოს სხვა საზღვრები. მე ვთვლი, რომ ეს პრობლემა ცენტრალურია თანამედროვე სოციოლოგიისათვის.

კითხვა: დახურული საზოგადოება, საზღვრები, ბარიერები, როგორ გამოიყოფიან ადამიანები ერთმანეთისაგან?

პასუხი: არსებობს ასევე ენის საკითხი. თუ როგორ გაჩნდა საერთო ენა, რომელიც წარმოიშვა ერთი წყაროდან, მაგრამ დღეს ის გამოეყო პოლიტიკურ და სხვადასხვა კონტექსტებს.

კითხვა: მე მინდა, რომ გავაგრძელოთ ამ თემაზე საუბარი. როგორ წარმოგიდგენიათ სოციოლოგების სიმბოლური ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა ამ პრობლემას და ასევე პატივსაცემი და ავტორიტეტი იქნებოდა სტუდენტებისათვის?

პასუხი: მე იმედები უნდა გაგიცრუოთ, რადგან კარგი სოციოლოგები არ იბადებიან მხოლოდ ამერიკაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში ან გერმანიაში. მკვლევარი რომ კარგი სოციოლოგი გახდეს, მას უნდა ჰქონდეს ნიჭი ამისათვის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ისტორიული იდეების, ენის და ა.შ. ბარიერების არქონა. დასავლეთის დომინანტობამ ადრეული წლებიდანვე მისცა დასავლეთელ სოციოლოგებს მეტი შესაძლებლობები. ჩემი რჩევა მათთვის, ვისაც სურს მოხვდეს საპატიო სოციოლოგთა სიაში, წეროს საერთაშორისო ენაზე – ინგლისურად, ფრანგულად ან ესპანურად, მაგრამ ყველაზე პრაქტიკული და მნიშვნელოვანია ინგლისური. ჩემი სტრატეგია მდგომარეობდა შემდეგში: როდესაც მე გადავწყვიტე დავრჩენილიყავი პოლონეთში და უარი ვთქვი იმიგრაციაზე, დაახლოებით 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე მე ვწერდი ინგლისურად სტატიებს, წიგნებს და ა.შ. ამიტომ მე უკეთ მიცნობდნენ დასავლეთში, ვიდრე ჩემს ქვეყანაში და რუსეთში, ეს იყო სწორი სტრატეგია. მოგვიანებით, როდესაც ჩემი ნაშრომები ნათარგმნი იყო 14 ენაზე, მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ქვეყნისა და სტუდენტებისათვისაც უნდა გამეკეთებინა იგივე და დავიწყე პოლონურად წერა, მაგრამ ასევე ვწერდი ინგლისურადაც, რომ არ გავმქრალიყავი ჰორიზონტიდან.

კითხვა: მე სულაც არ გამიცრუეთ იმედები, პირიქით, მე გეთანხმებით ამ საკითხში.

პასუხი: მე უკვე დაგისახელეთ ჩემი მეგობრები, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობენ, დღეიდან თქვენც მათ რიცხვში ხართ.

კითხვა: დიდი მადლობა, მე, ახალგზარდა სოციოლოგმა, ვიცი, რომ არსებობს ისეთი წიგნები, რომელთა წაკითხვა აუცილებელია და სიაში უნდა იყოს არა მხოლოდ კლასიკა, არამედ თანამედროვე ავტორთა ნამუშევრებიც. ასევე არსებობს წიგნები, რომლებსაც გადავდებთ ხოლმე გარკვეული დროით.

პასუხი: ახალგაზრდამ უნდა წაიკითხოს წიგნები, რომლებიც არის კარგად დაწერილი და ადვილად გასაგები, თუ შეგხვდათ ისეთი წიგნი, სადაც უამრავი ახალი კონცეფცია და ცნებაა და თქვენ გაგება გიჭირთ, მაშინ გადააგდეთ ეს წიგნი, არ ღირს დროის ფუჭად დაკარგვა. ის ხალხი, რომელსაც აქვს რაღაც სათქმელი, ამას იზამს მარტივად და გასაგებად. ასეთი ავტორები სოციოლოგიას ჰყავს და ასეთია მერტონი, რომლის წაკითხვასაც ყველას ვურჩევდი, რადგან მისი აზროვნების სტილი, წერის მანერა, ენა არის არაჩვეულებრივი. გაუგებრად დაწერილი წიგნებიც ხდება პოპულარული და მათი მკითხველი ასე ფიქრობს: „მე არაფერი მესმის, მაგრამ სირცხვილია ამის აღიარება, ამიტომ მე უნდა დავიჯერო, რომ ეს გენიალური წიგნია“. მერტონის გარდა, არის ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიე, რომლის წაკითხვაც აუცილებელია, ის ერთდროულად ძალიან ღრმა ემპირიკოსი და თეორეტიკოსია. აღსანიშნავია ის მეცნიერები, რომლებმაც კარგად გადმოსცეს გლობალიზაცია და მისი არსი, მათ შორისა კასტელსი, რომელიც საინტერესო და ადვილი წასაკითხია. მე ვთანამშრომლობ ჯეფრი ალექსანდერთან და ვცდილობ დავარწმუნო, რომ უფრო გასაგებად წეროს, მიუხედავად ამისა, მე მას მაინც ვთვლი მნიშვნელოვან ფიგურად, რომლისგანაც კარგად შეიძლება კულტურის სოციოლოგიის გაგება. აღსანიშნავია ჩარლზ ტილიც – ისტორიის სოციოლოგიის მკვლევარი, რომლის კვლევები საინტერესო და მრავალფეროვანია. დიდი რუსი სოციოლოგი პ. სოროკინი, XX საუკუნის პირველი ნახევრის წარმომადგენელი, მან დაგვიტოვა საზოგადოების სხვადასხვა ასპექტების ღრმა ანალიზი – კულტურის, ცივილიზაციის, რევოლუციის და ა.შ. მე ვთლი, რომ კარგი წიგნი არასოდეს ბერდება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წლისაა ის.

კითხვა: ყოველდღიურობის შესახებ ბოლო დროს გამოსულ რომელ წიგნს გვირჩევ-დით? რომელი მოგწონთ? რომელი მათგანია საინტერესო ემპირიული თვალსაზრისით? ან თეორიული მიდგომის მიხედვით?

პასუხი: ყოველდღიურად უამრავი წიგნი გამოდის, რომელშიც ემპირიული ან თეორი-ული მიდგომაა აღწერილი, მაგრამ მე ვთვლი, რომ სულ სამი მნიშვნელოვანი ავტორია კვლევის ამ სფეროში. ირვინ გოფმანი – იკავებს ცენტრალურ ადგილს ყოველდღიური ცხოვრების მკვლევრებს შორის, მის ნაშრომში არის ყველაზე მეტი იდეები. ასევე არის ფი-ლოსოფიასთან მიახლოებული მიდგომა, რომელსაც ჩვენ ფენომენოლოგიას ვუწოდებთ, მაგ; ალფრედ შუტცი. გარფინკელის ეთნომეთოდოლოგიის წარმომადგენლები ცდილობენ ყოველდღიური ტრივიალურობის საზრისის გაგებას, მაგრამ მათ არასისტემურობა ახასი-ათებთ. ასევე, ნორბერტ ელიასი და მისი ნაშრომები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშ-რომი იმაზე, თუ რას სწავლობს სოციოლოგია და ა.შ. შეიძლება გამოვყოთ ოთხი კლასიკო-სი, მათ რიცხვს დავამატებდი რამდენიმე თანამედროვე ნაშრომს: ჯეფრი ალექსანდერი, რომელიც ამ მიდგომაზე მუშაობს იელის უნივერსიტეტის კულტურის სოციოლოგთა ჯგუფთან ერთად; ასევე, ტერნერი და ბურდიე. ჩემი აზრით, დროთა განმავლობაში ეს მიდგომა დაიხვეწება.

კითხვა: მიშელ დე სერტო და მისი კვლევები ყოველდღიურობაზე?

პასუხი: რა თქმა უნდა, ის არის ერთ-ერთი კლასიკოსი, მაგრამ მისი შრომა უფრო ფი-ლოსოფიის კუთხითაა და ის ფილოსოფიის მიმდევარია; ანრი ლეფევრიც კარგად ეწერება ამ სიაში და ბევრი სხვა სწავლულიც. მე მხოლოდ ისინი დავასახელე, რომლებიც მნიშვნე-ლოვანია სოციოლოგიური თვალსაზრისით.

კითხვა: თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი ნაშრომები ნათარგმნია 14 ენაზე და, მათ შო-რის, რუსულადაც. თქვენ ხართ ნამყოფი მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში, ახერხებთ თუ არა რუსეთში სოციოლოგიის განვითარებაზე თვალყურის დევნებას?

პასუხი: დიახ, მე დაინტერესებული ვარ, რუსეთი ერთ-ერთი უდიდესი ლაბორატო-რიაა მსოფლიოში, სოციალური ცვლილებების თვალსაზრისით.

A.P. A.T. დიდი მადლობა ინტერვიუსათვის.

შეჯამება

მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგია (პ. შტომპკა)

სოციოლოგია თეორიულად და მეთოდოლოგიურად იცვლება. ცნობილ სოციოლოგთა ერთი ნაწილი ტრივიალურ ყოველდღიურ ცხოვრებას შეისწავლის. მასობრივი გამოკითხვები სიღრმისეული ინტერპრეტაციით და თვისებრივი კვლევებით იცვლება, რომლებიც დაკვირვებისა და ვიზუალური სოციოლოგიის მეშვეობით აქცენტს საზოგადოების ხილულ პროცესებზე აკეთებს. შტომპკას აზრით, ეს ყველაფერი სოციალური ეგზისტენციის შესწავლა, პარადიგმული წინსვლის ნიშანი, მესამე სოციოლოგიის დასაწყისია. სოციალური ყოფიერების/არსებობის სოციოლოგია, სოციალურ ეგზისტენციაზე და მოქმედებებში მის გამოვლინებებზე ფოკუსირებით, ახალ ხედვას გვთავაზობს და საზოგადოების საიდუმლოებების გაგებაში გვეხმარება.

კითხვები და დავალებები:

1. გააანალიზეთ ის ცვლილებები, რომლებიც, პ. შტომპკას აზრით, XX საუკუნის დასარულისა და XXI საუკუნის დასაწყისის სოციოლოგიურ თეორიასა და მეთოდოლოგიაში მოხდა.
2. განმარტეთ დებულება: „იცით, მე რომ იტალიური საზოგადოების შესწავლა ნამდვილად მჭირდებოდეს, ანკეტებს კი არ გავაგზავნიდი, არამედ ქუჩის ბოლოს, იტალიურ კაფეში წავიდოდი. მაგალითად, როდესაც გერმანული საზოგადოების შესწავლა მინდა, მაშინ ლუდის ბარში მივდივარ, ხოლო თუ ინგლისურის, მაშინ პაბში. იქ კი ვაკვირდები, აქეთ-იქით ვიყურები“.
3. ჩამოთვალეთ ის თანამედროვე სოციალური თეორიები, რომელთა ავტორებს სოციოლოგია სოციალური ორგანიზმების აბსტრაქტული მაკროსოციალური პრობლემებიდან ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების შესწავლამდე დაჰყავთ?
4. კრიტიკულად გაიაზრეთ ის დამოკიდებულება და მიმართება, რომელიც, პ.შტომპკას აზრით, „პირველ“, „მეორე“ და „მესამე“ სოციოლოგიას შორის არსებობს?
5. რომელი ორი ილუზიის უგულებელყოფიდან ამოდის „მესამე სოციოლოგია“?
6. დაახასიათეთ სოციალური ეგზისტენცი, როგორც მესამე სოციოლოგიის კვლევის ობიექტი.
7. გააანალიზეთ მესამე სოციოლოგიის კონსტრუირებაში სოციალური ქმნადობის კატეგორიის როლი და მნიშვნელობა.
8. ფოტოგრაფირება და ვიზუალური სოციოლოგია. რომელი ორი მიმართულებით იყენებს მესამე ანუ ვიზუალური სოციოლოგია ფოტოგრაფირების მეთოდს?
9. ფოტოსურათის ინტერპრეტაციის მიზნით შესწავლა/დაკვირვებისას სტრუქტურის რომელი ოთხი დაფარული/დამალული ტიპი ხდება ხილული?
10. გააანალიზეთ ყოველდღიური ცხოვრების ანატომიისა და საზრისის პ. შტომპკასეული კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძირითადი ლიტერატურა:

Штомпка П. Теоретическая социология и Социологическое воображение // Социологический журнал, 2001. № 1

Штомпка П. Формирование социологического воображения // Социологические исследования, №10, 2005.

Штомпка П. Визуальная социология. Фотография как метод исследования: учебник/пер. С польск. – Москва. Логос. 2007.

Штомпка П. В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии. Социологические исследования, №8, 2009.

Mills Ch, W. Sociological imagination. New York: Oxford University Press, 1959

Sztompka P. Society in action: A theory of social becoming. Cambridge: Polity Press, 1999

Sztompka P. The sociology of social change. Oxford: Blackwell, 2000

Handbook in social theory. London: Sage, 2000

სოციოლოგია, როგორც მოწოდება და ხელობა, ინტერვიუ პროფესორ პიოტრ შტომპკასთან 2009 წელი, 13 ივლისი, ყოველდღიური ცხოვრების საზაფხულო სკოლა

დამატებითი ლიტერატურა:

System and Function: Toward a Theory of Society, New York: Academic press, 1974

Sociological Dilemmas: Toward a Dialectic Paradigm, New York: Academic press, 1979

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004

თავი მეთხუთმეტე – პრაგმატისტული მობრუნება: ლიუკ ბოლ-ტანსკის და ლორან ტევენოს სოციოლოგია

1. *პრაგმატული მობრუნება, როგორც სიტუაციების და არა სოციალური პროცესების სოციოლოგია;*
2. *სოციალური რეალობის ნივთობრივი ხასიათი;*
3. *კრიტიკული უნარების სოციოლოგია;*
4. *გამართლების ძირითადი სტრატეგიები;*
5. *გამართლების სამყაროთა ტიპები;*
6. *ჩართულობა – ადამიანებისა და ნივთების პრაქტიკული კოორდინაციის საჯარო წესი.*

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

- პრაგმატული მობრუნება;
- სიტუაციების სოციოლოგია;
- სოციალური რეალობა და პიროვნული ნივთები.
- რწმენის, საშინაო, ბაზრის, მრეწველობის, სამოქალაქო, ცნობადობის სამყაროები, როგორც გამართლების საფუძველი.

1. პრაგმატული მობრუნება, როგორც სიტუაციების და არა სოციალური პროცესების სოციოლოგია

პრაგმატისტული მობრუნება შედარებით ახალი მიმართულებაა ფრანგულ სოციოლოგიაში, რომელიც ბ. ლატურისა და მ. კალონის ინოვაციების სოციოლოგიიდან, ასევე, ლ. ბოლტანსკისა და ლ. ტევენოს გამართლების(სამართლიანობის) სამყაროების სოციოლოგიიდან ამოდის. პრაგმატისტული მობრუნების პირველი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი ადამიანური სიტუაციების და არა სოციალური პროცესების ან სოციალური ჯგუფების სოციოლოგიაა. მიმდინარე ხდომილებების და სიტუაციების კვალიფიცირება თავად სიტუაციაში მონაწილე მოკამათეების მიერ ხდება, სოციოლოგი, უბრალოდ, თვალს ადევნებს, თუ როგორ მიმდინარეობს სიტუაციის ზოგადი ინტერპრეტაციის დადგენის პროცესი.

პრაგმატისტული მობრუნების მეორე ნიშანი – სოციალური რეალობის ნივთობრივ ხასიათზე და, შესაბამისად, ნივთებისადმი ყურადღების გამახვილებაა დამახასიათებელი.

მესამე ნიშანი კი კრიტიკულ პოზიციებზე უარის თქმაა. ბოლტანსკი და ტევენო, კრიტიკული სოციოლოგიის ნაცვლად, კრიტიკული უნარის სოციოლოგიით დასაქმებას გვთავაზობენ.

ლ. ბოლტანსკიმ და ევა კიაპელომ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ 1960-1970-იანი წლების ფრანგული სოციოლოგია, თანმიმდევრული სტრუქტურალიზმისა და პიერ ბურდიეს ჩათვლით, საოცარ წინააღმდეგობრიობებით სავსე არგუმენტებში გაიხალართა. ერ-

თი მხრივ, სამყარო, სოციუმი იმგვარად აღიწერებოდა, რომ იგი თითქოს რომელიღაც უცვლელი კანონების შესაბამისად ფუნქციონირებს. მეორე მხრივ, ამის განმცხადებელი სოციალური მეცნიერების უმრავლესობა მხარს მემარცხენე მოძრაობას უჭერდა, რომლის მიზანი სოციუმში აქტიური ჩარევა, ე.ი. მისი შეცვლა იყო. ასევე ცხადად გამოიკვეთა შემდეგი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, სოციალური მეცნიერები ობიექტურ, ღრმა მეცნიერულ თვალსაზრისზე აცხადებდნენ პრეტენზიას, აქედან ამოსვლა კი მათ, უცილობლად, ინდივიდთა მორალური ღირებულებების და იდეალების მხილებასა და მათში მხოლოდ იდეოლოგიების დანახვასთან მიიყვანდა. მეორე მხრივ, ისინი, როგორც მეცნიერნი, საკუთარი კრიტიკული იდეალების მატარებლები იყვნენ, რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰქონდა საზოგადოდ მხილების მცდელობას აზრი.

ეს წინააღმდეგობა კი სწორედ პ. ბურდიეს ბატონობის სოციოლოგიაში ვლინდება. მისი მიზანი იმ „მექანიზმების“ აღმოჩენაა, რომლის დახმარებითაც ბატონობა ყველგან და მუდამ რეალიზდება, რომელიც თავის თავს რკინის კანონის სახით წარმოგვიდგენს და ამავე დროს ისეთ სახეს იღებს, თითქოს ინდივიდთა გათავისუფლებას ხელისუფლებისა და გარე ჩარევებისაგან გათავისუფლების მნიშვნელობით ხელს უწყობს.

მაგრამ თუ ყველა ეს ურთიერთქმედება, საბოლოო ჯამში, ინტერესთა კონფლიქტზე და ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე დაიყვანება და, ამავე დროს, ბჭობა კი რაღაც ისეთ კანონს ეხება, რომელიც სოციალურ წესრიგს შინაგანად ახასიათებს, მაშინ ეს კრიტიკული ტონი რა შუაშია, თუკი იგივე ურთიერთობები თუ დამოკიდებულებები, ტერმიტთა კოლონიის შემსწავლელ ენტომოლოგის/ეთნოლოგის ცივსისხლიანობით შეიძლება იქნეს გამოვლენილი? იხილე: Boltanski L., Chiapello E. Die Rolle der kritik in der Dinamik des Kapitalismus und der normative Wandel// Berliner Journal fur sociologie. 2001.Vol.II. No. 4.S 460.

ეს სტრუქტურალიზმისა და, ამავე დროს, პ. ბურდიეს წინააღმდეგ მიმართული არგუმენტაციის წესი იმ „აბსტრაქტულ“ ცნებებს შუქს ჰფენს, რომლებსაც დოსსე სოციოლოგთა ახალგაზრდა თაობების თეორიული პროექტების აღსაწერად იყენებს. რამეთუ ის, ვინც სტრუქტურალისტებს და პ. ბურდიეს ისე აკრიტიკებს, როგორც ამას ბოლტანსკი და კიაპელო აკეთებენ, თავად არგუმენტაციის არც „ისტორიცისტულ“ წესს გამოიყენებს, ე. ი. სოციალური პროცესების მსვლელობაში ლოგიკის ან კანონზომიერების აუცილებელ არსებობას, და არც „ტელეოლოგიურ“ წესს, ე.ი. ისტორიაში რაღაც საბოლოო მიზნის ამოსვლის წესს არ მიმართავს და არც გამოიყენებს. და სწორედ იმიტომ, რომ ასეთი კრიტიკოსი ისტორიის კონტინგენტურობას კარგად აცნობიერებს, გააზრებულად მოქმედებს და საკუთარ თავს წინასწარმეტყველებების მაკეთებელ ყალბი რწმენის მქონე „აქტივისტად“ არ აქცევს, რომელსაც სწამს, რომ ისტორია, ასე თუ ისე, მის მხარეზეა. და აქ თავს იჩენს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნება, სახელდობრ, „კონტინგენტურობის“ ცნება, რომელიც გვიხსნის, თუ რატომ აითვისეს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა ასეთი ინტერესით ეთნომეთოდოლოგია და სიმბოლური ინტერაქციონიზმი, მაშინ როდესაც ეს მიმართულებები საფრანგეთში ათეული წლების განმავლობაში სოციალურ-მეცნიერული დისკუსიების მონაწილეთა მიერ პრაქტიკულად იგნორირებული იყო. სწორედ მაინტერპრეტირებელი პარადიგმა გვასწავლის, რომ აქტორები იძულებულნი არიან, გადაწყვეტილებები სავსებით კონკრეტულ სიტუაციებში და კონტინგენტურ პირობებში მიიღონ. ინტერაქციონისტული და ეთნომეთოდოლოგიური თეზისი გვაუწყებს, რომ მოქმედების წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მით უფრო, თეორიული გზით მისი გამოყვანა, აქტორები კი თავიანთ ქმედებებში არა მხოლოდ ხელმძღვანელობენ ნორმებითა და წესებით, არამედ ამ ნორმებისა და წესების შესახებ ინტერპრეტაციათა უკიდურესად რთული პროცესების მიმდინარეობისას მუდმივად თანხმდებიან და, შესაბამისად, ცვლიან მათ, ერთმანეთს სა-

შუალებას აძლევენ, უფრო ზუსტი თეორიული გამოთქმა მოვუძებნოთ იმ უკმაყოფილებას, რომელიც ადრე აზროვნების სტრუქტურალისტურ წესთან დაკავშირებით მხოლოდ ბუნდოვნად შეინიშნებოდა.

მოქმედების შესახებ ასეთ თეორიულ შეხედულებას ღირებულებებისა და ნორმების მნიშვნელობის გადაფასებასთან მივყავართ. თუ ისინი სტრუქტურალისტურ სოციოლოგიაში, როგორც წესი, სერიოზულად არც კი აღიქმებოდა და მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიურ ნიღბად ან ყალბი ცნობიერების გამოვლინებად ითვლებოდა, უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები კვლავაც უბრუნდებიან სოციალური თეორიის კლასიკურ საკითხს იმის შესახებ, „თუ რა არის სოციალური წესრიგი და როგორ „გამოვხატოთ/გამოვთქვათ“ იგი .....ისე, რომ apriori იმ ძალთა მარტივ ურთიერთქმედებაზე არ დავიყვანოთ, რომელზეც აქტორებს არანარი გავლენა არ აქვთ“ (Boltanski L., Chiapello E. Die Rolle der kritik in der Dinamik des Kapitalismus und der normative Wandel// Berliner Journal fur sociologie. 2001.Vol.II. No. 4.S 460.). იგულისხმება, რომ აქტორთა ღირებულებები და ნორმები, მათი კრიტიკის და გამართლების განსხვავებული ფორმები სერიოზულად აღიქმება და მაშინვე იდეოლოგიის ბეჭედი არ ერტყმება. ბოლტანსკი და კიაპელო ამ აზრს ისეთი მომცველი ფორმულით გამოთქვამენ, რომლის თანახმადაც, თითქოს უკვე დროა კრიტიკული(წაიკითხე: სტრუქტურალისტურ-დეტერმინისტული) სოციოლოგია კრიტიკის სოციოლოგიით შევცვალოთ (იქვე).

თვითონ ბოლტანსკი, სხვა ავტორებთან ერთად, ამ პროგრამის რეალიზებას ნამდვილად შეეცადა თავის შრომებში, ამ მიმართებით ყველაზე კარგი ნაშრომი არის წიგნი „გამართლების შესახებ“ (1991), რომელიც ეკონომისტ ლორენ ტევენოსთან ერთად დაწერა. წიგნის დასაწყისშივე ავტორები აცხადებენ, რომ თავიანთ ამოცანას აქტორთა მიერ დისკუსიებში გამოყენებულ გამართლებათა სხვადასხვა ლოგიკის ტიპოლოგიის შემუშავებასა და იმის ემპირიულ შესწავლაში ხედავენ, თუ როგორ მიიღწევა და მართლდება კონსენსუსი. ამასთან მიმართებაში ისინი კონსენსუსსა და კონფლიქტს შორის არსებულ ტრადიციულ დიქოტომიას მაშინვე ეჭვის ქვეშ აყენებენ.

წიგნის სათაურიდან აღებული ტერმინი, „De la justification, მათი ერთობლივი შემოქმედების ინტერპრეტაციის გასაღებს გვაძლევს. პირსისა და ჯეიმსის გავლენით, პრაგმატული მობრუნება პროცესებს და არა არსებებს იკვლევს [შენიშვნა: პრაგმატულ მობრუნებაში ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკებისადმი ყურადღება იგულისხმება]. ამ მობრუნების ჩარჩოებში არსებული მიდგომის აღწერა ჯეიმსს აინტერესებდა არა ჭეშმარიტების – verity – აბსტრაქტული პრობლემა, არამედ გამართლების – verification – რეალური პროცესები. მსგავსი სახით, პრაგმატული მობრუნების თეორეტიკოსებს არა სამართლიანობის – justice – აბსტრაქტული პრობლემა, როგორც ამას ჯონ როულზი აკეთებს, არამედ justification-ის პროცესები – ყოველდღიურ დებატებში საკუთარი მოქმედების გამართლება და დასაბუთება აინტერესებთ. სხვა სიტყვებით: „ნდობის შემოწმებისა და განმტკიცების პრაქტიკებს, არა უმაღლესი სიმართლის/სამართლიანობის შესახებ მარადიულ საკითხს, არამედ გამართლების პრაქტიკას იკვლევენ“ (О. В. Хархордин. Прагматический поворот: социология Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1 გვ.32).

საზოგადოებათმცოდნეობის მეორე სტანდარტული პრობლემის მსგავსი შერევა თუ აღრევა მკითხველს არ გააკვირვებს, რომელსაც პირველად სწორედ პრაგმატული მობრუნების მომხრეებმა მიაქციეს ყურადღება. არა 200-წლიანი სიძველის პრობლემები (რა არის კლასი, როგორც სოციალური ჯგუფი), არამედ ყოველდღიური პრაქტიკები, რომლებსაც კლასების რაობის შესახებ წარმოდგენების გაჩენასა და მხარდაჭერასთან მივყავართ.

ხალხური კლასიფიკაციის თემა ფრანგული სოციოლოგიის კლასიკაა. პ. ბურდიემ წიგნში „განსხვავება“ აჩვენა, რომ, თუ მის თანამედროვე საფრანგეთში კლასების შესახებ მსჯელობას საერთოდ აქვს აზრი, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, როგორც ყოველდღიური კლასიფიკატორების ჯგუფების შესახებ, რომლებიც რეალობის კლასიფიცირებას მსგავსი წესით ეწევიან. შემოსავლის, განათლების, სახელმწიფო აპარატებში მისაწვდომობა არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც გემოვნების ემპირიულად რეგისტრირებული სიახლოვე, ე.ი. სასურველის კლასიფიკაციაში ემპირიულად რეგისტრირებული სიახლოვეა. ერთი ჯგუფი მყარად და დაჟინებით ირჩევს (ფრანგულ) შამპანურს, როგორც დაბადების დღის აღნიშვნის წესს, მეორენი – სუფრის წითელ ღვინოს; ჯგუფები განსხვავდებიან შეხედულებებით იმის მიზეზით, თუ რომელ ასაკში უნდა დავსვათ ბავშვები მაგიდასთან უფროსებთან ერთად, და იმ საბაბითაც, თუ როგორი საჩუქრით მისვლაა ხმობილ/წვეულ ვახშამზე დაპატიჟებისას ზრდილობის შესაბამისი. რეალობის კლასიფიკაციებში არსებული მყარი უპირატესობა-მჯობინებების მიხედვით, რომლებიც სოციოლოგების მიერ დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში აისახებიან, შეიძლება საფრანგეთის თანამედროვე ბურჟუაზია თანამედროვე მუშათა კლასისაგან განვასხვავოთ, სწორედ ამას ამტკიცებს ბურდიეს ცნობილი გამოკვლევა.

„ბოლტანსკი და ტევენო ფრანგი სოციოლოგების ტრადიციებს მიჰყვებიან და ექსპერიმენტების ჩატარება – კლასიფიცირების რეალური პრაქტიკების გამოვლენის მიზნით და არა ბურდიეს მიერ დაფიქსირებული კლასიფიკაციური მჯობინებებიდან დაიწყეს. ცენტრალური ექსპერიმენტი მდგომარეობდა ადამიანთა შერჩეული წყვილებისადმი ბარათების დიდი დასტების გადაცემაში, რომლებზეც ინდივიდთა განათლებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ მონაცემები იყო ჩაწერილი. წყვილს აძლევენ ამოცანას, მოცემული დასტა მოწესრიგებულ ქვეჯგუფებად განალაგონ (კლასიფიკაციის კრიტერიუმები არ ეძლევათ – „დაყავით ამ დასტაში მოცემული საკითხები ქვეჯგუფებად ისე, როგორც ეს თქვენ ლოგიკურად გეჩვენებათ“). სოციოლოგები ასეთ სტიქიურ კლასიფიკატორთა წყვილის შიგნით ატეხილ კამათს აკვირდებოდნენ. კამათის გასამწვავებლად (ყოველდღიურ კლასიფიკაციურ სქემებში არსებული დაპირისპირებების გამოსავლენად) წყვილები ხშირად კონტრასტული სახით სპეციალურად შეირჩეოდა. ერთი ადამიანი – უმაღლესი, მეორე კი დაწყებითი განათლებით; ერთი მენეჯერი, მეორე – დამხმარე მუშა; ერთი პარიზის ცენტრში მცხოვრები, მეორე – გარეუბანში“ (О. В. Хархордин. Прагматический поворот: социология Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1. გვ.33).

კვლევის შედეგები მოსალოდნელი იყო. პირველი, ადამიანები დაჟინებით აფიქსირებენ სოციალურ სივრცეში არსებულ ფაქიზ განსხვავებებს, რომელ სივრცესაც ისინი იკავებენ. საქსოვი ფაბრიკის მუშა დაქირავებული მუშების დაყოფას შემდეგნაირად აფიქსირებს: დროებით და მუდმივად მომუშავეებად ან არაკვლიფიცირებულ, ნახევრად კვალიფიცირებულ და მაღალკვალიფიცირებულ ხელის შრომის ადამიანებად; სამაგიეროდ, ადვოკატები და ექიმები შეიძლება ერთ ჯგუფში გააერთიანოს. მეორე, ბარათების დასტებად დალაგებას იწყებენ, რომლის დროსაც განათლების დონის, სამუშაო ადგილის და შრომის ტიპის მიხედვით, უხეშ კლასიფიკაციებს მიჰყვებიან, მაგრამ როდესაც მათ ძნელად დასაკვალიფიცრებელი ბარათი(ავტოფარეხში მანქანის მრეცხავი, მაგრამ უმაღლესი განათლებით) ხვდებათ, მაშინ კლასიფიკაციების და უკვე დალაგებული დასტების გადაკეთებას იწყებენ. მესამე, ზოგადი კლასიფიკაციის შედგენა – მაშინაც კი, როდესაც მას მხოლოდ ორი ადამიანი აგებს, მთავარი პრინციპის ხელმძღვანელობისას – ეს დიდი შრომაა, თუნდაც იმ კამათებისა და აზრთა განსხვავებების გამო იმის შესახებ, თუ თითოეული ბარათის კლასიფიცირება როგორ შევძლოთ.

სხვა სიტყვებით, კვლევის მოულოდნელი დასკვნა გახდა ის, რომ რესპონდენტებისათვის რომელიმე ადამიანის ან სიტუაციის რესპონდენტებისათვის გასაგებ ცნებებში კლასიფიცირება – ესაა შრომა, რომელსაც ისინი მუდმივად ეწვიან, მაგრამ რომელიც ამის გამო ხშირად ადვილი და ნაკლები დანახარჯებით არ ხდება. ვინმეს, როგორც X-ის კვალიფიცირება, ე.ი. იდენტურობის მიწერა, ხშირად ავტომატურად არ ხდება და დროისა და შეიძლება ფულის დიდ დანახარჯსაც კი მოითხოვს. გამოკვლევამ ყურადღება იმის შესახებ კამათს მიაპყრო, თუ ადამიანები მიმდინარე ხდომილებებს როგორ კვალიფიკაციებს აძლევენ. დაკვირვებად კამათებში სოციალური რეალობის ხედვის დასაბუთებები ეჯახებოდა ერთმანეთს, ამ ჯახის გადაწყვეტა კი მოკამათის პოზიციის გამამართლებელ მაგალითებზე და პრინციპებზე მითითებების მეშვეობით ხდებოდა.

პრაგმატული მობრუნების მათეული ვერსიის პირველი ნიშანი ისაა, რომ იგი სიტუაციების და არა სოციალური პროცესების ან სოციალური ჯგუფების სოციოლოგიაა. როდესაც ბოლტანსკი და ტევენო სიტუაციას აანალიზებენ, ისინი წინასწარ არ განსაზღვრავენ იმას, თუ ვინ მოქმედებს ამ სიტუაციაში და რაა მასში ჩართული. ე.ი. სიტუაციის მათეულ აღწერაში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ცნობილ-ამოცნობად-გასაგებ სოციალურ ჯგუფებს, ვერც ბატონობის ტიპის გასაგებ პროცესებს, ექსპლოატაციას და ა. შ. მიმდინარე ხდომილებების კვალიფიკაციები მოკამათეების მიერ განიხილებიან და სოციოლოგის საქმე სრულებითაც არაა ის, რომ მათ მიმდინარე ხდომილების (შესაძლოა კიდევ ერთი) კვალიფიკაცია მოახვიოს თავს. უმჯობესია, თვალყური მოკამათეთა მიერ სიტუაციის ზოგადი ინტერპრეტაციის დადგენის მცდელობებს ვადევნოთ.

2. სოციალური რეალობის ნივთობრივი ხასიათი

ბოლტანსკი-ტევენოს მიდგომის მეორე ნიშანი – თვისება ნივთებისადმი ყურადღებაა. ხდომილების, მიმდინარის, ქმნადობის ინტერპრეტაცია ჰაერში არ კიდია, როგორც ეს, მაგალითად, ეთნომეთოდოლოგებთან ხდება, რომლებიც ხდომილებების, მიმდინარე პროცესების კვალიფიცირებისას ინტერპრეტატორის სუბიექტურ მნიშვნელობებსა და უნარებს ეყრდნობიან. აქ ინტერპრეტაცია საქმის რომელიღაც მდგომარეობისადმი – ხშირად, ფიზიკური ნივთებისადმი, რომლებსაც მიმდინარე ხდომილებების რეალობის ტესტი ეყრდნობა – მითითებებზეა დამოკიდებული. კამათისას, როდესაც ცდილობენ სინამდვილეში მიმდინარე ხდომილებების დადგენას, ანუ იმის დადგენისას, თუ რა ხდება სინამდვილეში, ხშირად მიმართავენ ნივთებს: „შეხედე ამ მაგალითს, დაინახე, რას ამბობენ ფაქტები“. ეს გასაკვირი არაა. სიტყვა „რეალობა“ ლათინური ტერმინიდან res-„ნივთი-საგანი“ მოდის. გასაკვირია ის, რომ სოციოლოგია სოციალური რეალობის ნივთობრივ ხასიათს დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფდა. ბოლტანსკი-ტევენოს თეორიაში რეალობა მრავალია (როგორც ფენომენოლოგებთან) – ნივთების გამოყოფის გზით რეალობისადმი მიმართვის მრავალი განსხვავებული წესი თუ ხერხი არსებობს, ასევე, ხდომილების ინტერპრეტაცია იმის შესაბამისად იცვლება, თუ ინტერპრეტაციის როგორ წესს/ხერხს ავიღებთ. სხვა სიტყვებით, ყოველდღიურ კამათებში მოყვანილი საქმეებისა თუ ნივთების/საგნების მდგომარეობის შესახებ რწმენებისა და დარწმუნებების შემოწმებასა და გამოცდამდე, ეს პრივილეგირებული რეალობა არ არსებობს.

პრაგმატული მობრუნების მათი ვერსიის მესამე ნიშანი – კრიტიკულ პოზიციებზე უარის თქმაა. პ.ბურდიემ სოციოლოგიის ძირითად ამოცანად კრიტიკა აქცია; მრავალი მას დაეჭვების კლასიკოსად თვლიდა, რომელიც არსებული სოციალური ურთიერთობების მიღმა ბატონობის ან სიცრუის ფარულ რეალობას ხედავდა. მაგრამ კრიტიკა ადამიანის

უნართაგან მხოლოდ ერთ-ერთია და მხოლოდ ი. კანტის შემდეგ გვეჩვენება იგი ადამიანის სავალდებულო თვისების სახით. როდესაც კანტამდელ ეპოქაში ბეილმა ეს ტერმინი ხმარება-მიმოქცევაში შემოიტანა, იგი ბიბლიური წყაროების კრიტიკით დასაქმებულ ადამიანთა მცირე ჯგუფის პრაქტიკას აღნიშნავდა, რომელიც ხელნაწერთა ავთენტურობას ადგენდა. იმისათვის, რათა ბეილის ან კანტის ვერსიების შესაბამისი კრიტიკა გავრცელებულიყო, საჭირო იყო, მასებს კრიტიკის საქმე შეესწავლათ და მხოლოდ დაჟინებული მცდელობების მთელი სერიების შემდეგ გვეჩვენება კრიტიკა ისეთივე არსობრივ მახასიათებლად, როგორიც სუნთქვა ან კვებაა.

სხვა სიტყვებით, ბურდიემ სოციოლოგის მისია იმ ეჭვიანი გლეხის საქმიანობას გაუტოლა, რომელმაც პატარძლის მზითევი ან ნაჩუქარი ცხენის კბილები უნდა გასინჯოს – ხომ არ აქვს აქ რაღაც ხრიკს ადგილი? მაგრამ ეს უნარი ყოველთვის არც გლეხს სჭირდება და არც ამ გლეხის აღმწერ სოციოლოგს. ყოველდღიური კამათები სრულდება, როდესაც კრიტიკული უნარი უკან გადაიწევა, ადამიანები კომპრომისებს აღწევენ ან შეურაცხყოფებს ივიწყებენ. კამათის მშვიდობიანი დასრულება მხოლოდ ერთი მხარის მიერ კრიტიკული მსჯელობებისადმი ერთგულების აღიარების საფუძველზე რომ იყოს შესაძლებელი, მაშინ მრავალი კამათი საერთოდ არ დასრულდებოდა. ამავე დროს, ცხოვრებაში არსებობს სიტუაციები, როდესაც კრიტიკული უნარი გარკვეული სახით იზღუდება (მეგობრობა, როგორც ერთობლივი ვარჯიში იმის ანგარიშობის წინააღმდეგ, თუ ვინ ვის მეტი საქმე გაუკეთა) ან სავსებით უარიყოფა და უკუიგდება (სიყვარული, როგორც სხვისთვის ცხოვრება).

3. კრიტიკული უნარების სოციოლოგია

ბოლტანსკიმ პირველმა შემოგვთავაზა, „კრიტიკული სოციოლოგიის ნაცვლად კრიტიკული უნარების სოციოლოგიით დავკავებულიყავით. თუ კრიტიკა ადამიანის არც მთავარი და არც უნივერსალური თვისებაა, არამედ განსაკუთრებული საზოგადოებების ან სპეციალური სიტუაციების ნიშან-თვისებაა, მაშინ სოციოლოგიამ მისი წარმოშობა და გამოყენება უნდა იკვლიოს. საჯარო განხილვებისა და მხილებების პრაქტიკის(გაზეთ Le Monde-ში გაგზავნილი წერილების მაგალითზე) კვლევისას ბოლტანსკი არა მხოლოდ კრიტიკის, არამედ ქცევის საჯარო გამართლებისა თუ დასაბუთების პრაქტიკებზე დაფიქრდა. ამის რეზულტატი კი სიყვარულისა და სამართლიანობის, როგორც პრაქტიკული უნარების, და არა დიდი პრინციპების შესახებ გამოცემული წიგნი გახდა.

ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა შესაძლებელია, მაგრამ ხშირად ეს ერთი მიმართულებით და შეუქცევადად ხდება: ასეთი რამ სიყვარულიდან გაანგარიშებებზე და უსამართლობაში დადანაშაულებამდე გადასვლისას ხდება. ბოლტანსკის საყვარელი მაგალითი ჩეხოვის დრამაში ძია ვანიას თვალის ახელა – გონების განათებაა – რომ თურმე იგი არარაობის და არა დიდი მეცნიერებისთვის ცხოვრობდა და მუშაობდა. ჩვენი ყოველდღიური მაგალითი – სიყვარული მთავრდება მაშინ, როდესაც ძალები აღარ გვყოფნის (ან არარსებული ინტერესი ვლინდება), ვუსმინოთ კეთილმოსურნეთა რწმუნებებს, რომ საყვარელი ადამიანი კისერზე გვაზის, რომ შენით სარგებლობს და ა.შ. და ა.შ. სიტუაცია წამში გარდაიქმნება – ამას ადრე როგორ ვერ ვამჩნევდი?“ (О. В. Хархордин. Прагматический поворот: социология Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1. გვ.35).

ბოლტანსკის მიხედვით, სამართლიანობის მდგომარეობიდან სიყვარულის მდგომარეობაში უკუგადასვლა შესაძლებელია. რადიკალური მაგალითი – ადამიანების ელვისებური შეყვარება, რომლებიც გუშინ რაღაც წვრილმანი უსამართლობების გამო ერთმა-

ნეთს ლანძღავდნენ – ქართველ მკითხველს არარეალურად მოეჩვენება. ყოველდღიური გამოცდილება ყველაზე ხშირად იმის მაგალითებს გვაძლევს, დავინახოთ, თუ სხვების ქმედებებში უსამართლობათა გამოვლინების საკუთარი უნარის მუდმივი გამოყენებისაგან, მისგან თავის შეკავების ან ამ უნარზე საერთოდ უარის თქმის შესაძლებლობაზე გადასვლის მაგალითები უხვად დავინახოთ. მაგალითად, შეიძლება არა მხოლოდ სიყვარულის მდგომარეობა, არამედ მეგობრობის მდგომარეობაც კი აღვწეროთ. საჩუქრებითა და მომსახურებებით გაცვლის ეკვივალენტურობის გათვლებზე უარს ამბობენ(და ამ გათვლებზე დაფუძნებული პარტნიორის კრიტიკაც ხდება), როდესაც საერთო ურთიერთობებში თითოეულის წილის მრავალწლიანი ყოველდღიური მონიტორინგი გვარწმუნებს, რომ ყველაფერი მეტ-ნაკლებად ეკვივალენტურია, მაშინ მონიტორინგსა და გათვლებზე დრო რატომ დავკარგოთ? აი, სწორედ მაშინ დგება სიტუაცია, როდესაც კეთილმოსურნეთა მიერ გამოთქმულ ფრაზაზე „X შენით სარგებლობს, შენ გიყენებს“ პასუხობ: „არა მე X-ს ვიცნობ, ის ჩემი მეგობარია, ის ისეთი ადამიანი არაა, რომ...“.

ამგვარად, გარდა სიყვარულის მდგომარეობისა, რომელიც დასაბუთებას არ მოითხოვს, და გამართლების მდგომარეობისა, სადაც სამართლიანობისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, ბოლტანსკიმ ორი სიტუაცია გამოყო – ძალადობის, რომელსაც მაშინ მიმართავენ, როდესაც კამათის გადაჭრა მშვიდობიანი გზით ვერ ხდება, და მოწესრიგება-გამართვის, როდესაც სიტუაციის ბალანსირება თავისთავად მშვიდობიანი გზით ხდება.

მაგრამ დილემაში ბოლტანსკი მაშინ ჩავარდა, როდესაც ტევენოსთან ერთად მათ ერთი მდგომარეობის შიგნით ცალკეული სამყაროები, რომლებსაც მათ სამართლიანობის ანუ გამართლებების „რეჟიმი“ უწოდეს, გამოიკვლიეს. საფრანგეთში შრომითი დავების კვლევისას (ჩართული დაკვირვებით და ბიზნესსკოლების ნორმატიული წიგნების მიხედვით, რომლებიც მსგავსი კონფლიქტების გადაჭრის რეცეპტებს იძლევიან) ბოლტანსკიმ და ტევენომ დაასკვნეს, რომ „გამართლების ექვსი (6) სამყარო ან „ქალაქები“ (cites) არსებობს, რომელთაგან თითოეულს ქცევის გამართლების საკუთარი ლოგიკა აქვს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა სამყაროს ლოგიკაზე არ დაიყვანება“ (Больтански Л.,Тевено Л. Социология критической способности.\\Журн. Социологии и социальной антропологии. 2000.№3).

კამათისა და დისკუსიების დროს ადამიანები ერთი სამყაროდან მეორეში ხშირად გადაერთვებიან და სამყაროების ერთმანეთზე დაყვანად სტანდარტებზე აპელირებენ. მოსაუბრის რწმუნებულობათა რეალობა, რომ საქმე სწორედ ისეა, როგორც ის ამტკიცებს, მხოლოდ პრაქტიკული ტესტების მეშვეობით დგინდება, როდესაც ცხად ფაქტებზე ან ნივთებზე დამყარებული დასაბუთებები, მტკიცებულებები და მაგალითები განხილვას ან გამოცდას, ექსპერტიზას ექვემდებარებიან.

იმის გამო, რომ ადამიანები აპელირებას სამართლიანობის ნორმატიულ სტანდარტებზე ახდენენ, ისინი სტიქიურად ურევენ გამოთქმებში იმას, რაც, ჩვეულებრივ, განსხვავებული დისციპლინების სახით წარმოგვიდგება – მაღალ პოლიტიკურ ფილოსოფიას და ყოველდღიური სიტუაციების სოციოლოგიაზე მიწიერ დაკვირვებებს სტიქიურად ერთმანეთში ურევენ (მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონტის სოციოლოგია გაჩნდა, როგორც გამოყენებითი პოლიტიკური ფილოსოფიის დარგი, რომელიც საზოგადოების მართვისას პრაქტიკული რჩევების მიმწოდებელი უნდა ყოფილიყო, მაშინ ეს აღრევა-შერევა გასაკვირი არ აღმოჩნდება: ადამიანები თავიანთი ქცევების გამართლება-დასაბუთებებში პოლიტიკურ ფილოსოფიას გამოყენებითი სახით მიმართავენ და, ამგვარად, სტიქიურ სოციოლოგებად ყალიბდებიან). ამიტომ ამოცანა ის კი არაა, რომ საზღვრების მკაცრი გამიჯვნითა და დადგენით პოლიტიკური ფილოსოფია და სოციოლოგია ერთმანეთისაგან განვაცალკეოთ, არამედ ფილოსოფიას – სოციოლოგიაში და სოციოლოგიას ფილოსოფია-

ში ფესვები გავადგმევინოთ. ამიტომ, ბოლტანსკისა და ტევენოს აზრით, საჭიროა ვიკვლიოთ, თუ ყოველდღიური არგუმენტირება-გამართლებებისას როგორი ტიპის ნორმატიულ მსჯელობებს იყენებენ ფრანგები (ე.ი. საჭიროა, გამართლების ძირითადი სტრატეგიები აღვწეროთ) და არა სამართლიანობის საბაბით ახალი სოციალური კონტრაქტი გამოვიგონოთ, როგორც ამას, მაგალითად, როულსი აკეთებს – მთლიანად უარს ამბობს სოციოლოგიაზე და მხოლოდ დედუქციურ მეთოდს ეყრდნობა.

4. გამართლების ძირითადი სტრატეგიები

გამართლების თითოეულ სამყაროს თავისი არგუმენტაციისათვის ცენტრალური პოლიტიკური ფილოსოფოსი ჰყავს, რომელმაც მოცემული სამყაროსადმი დამახასიათებელი-კუთვნილი სამართლიანობის სტანდარტები ყველაზე წმინდად და რადიკალურად გამოთქვა. ფრანგი მოაზროვნეების მიერ გამოყოფილი ექვსი სამყაროდან/„ქალაქიდან“, ზოგიერთი ისეთ ფილოსოფოსს ეყრდნობა, რომელიც ჩვენთვისაც ცნობილია, ზოგიერთი კი ნაკლებცნობილია. პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიის გაანალიზებისას ისინი გამოყოფენ „გამართლების“ ექვს რეჟიმს თუ დასაბუთების ფორმას, რომლებიც განსხვავებულ სიტუაციებში გარკვეული გადაწყვეტილებების ზოგადი ლეგიტიმაციის ან, პირიქით, კრიტიკის მიზნით გამოიყენება. ამისათვის ავტორები ფრიად უცნაურ ტერმინოლოგიას იყენებენ, როდესაც გამართლება-დასაბუთების ექვსი „ქალაქის“ („cite“) ან სამყაროს შესახებ ლაპარაკობენ. პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიაში გამართლება/დასაბუთებათა გარკვეული სამყარო დიადის შესახებ ინდივიდუალურ წარმოდგენათა ფორმების ფონს წარმოადგენდა, შესაბამისად, ინდივიდები საზოგადოებრივ დისკურსში აპელაცია-მიმართვას სხვადასხვა/განსხვავებულ არგუმენტებზე აკეთებენ. მაშასადამე, „ნეტარი ავგუსტინეს (357-430) „Civital Dei“ („ღვთის ქალაქი“) სხვა დისკურსს და, შესაბამისად, სხვა დასაბუთებების ჩართვას მოითხოვდა, ვიდრე ადამ სმიტის „ბაზრის სამყარო“ იყო. ბოლტანსკი და ტევენო გამოყოფენ: „აღმაფრენის სამყაროს“ (აქ საქმე წმინდას ეხება, ე.ი. გამართლება-დასაბუთებების სტრატეგია ამა თუ იმ მოვლენის საკრალურობის ან ამა თუ იმ ადამიანის წმინდანობაზე მიუთითებს); „სახლის/საშინაო სამყაროს“ (აქ აღმატებულობა პირველშობილს, უფროსი ასაკის ადამიანებს და ა.შ. მიეწერება); „ცნობადობის სამყაროს“ (აქ აღმატებულობა სხვათა მხრიდან ცნობადობაზეა დამოკიდებული); „სამოქალაქო სამყაროს“ (აქ აღმატებულობა კოლექტივის პოლიტიკურ წარმომადგენელს მიეწერება); „ბაზრის სამყაროს“ (აღმატებულია ის, ვისაც ბაზრის შესაძლებლობების გამოყენება ძალუძს) და „ინდუსტრიულ სამყაროს“ (აქ აღმატებულობა მიღებული ზომების ეფექტიანობით იზომება). (გვ.107).

შთაგონების ან შეპყრობილობის/აყვანილობის, კვაზირელიგიური აღმაფრენის სამყარო ნეტარი ავგუსტინეს შრომებს ეყრდნობა: ჩვენ ზოგჯერ ვამბობთ, მაგალითად, რომ უსამართლობაა, გენიოსს შემოქმედების შესაძლებლობა არ მივცეთ და იდიოტური საოჯახო ვალდებულებების შესასრულებლად შემოქმედებითი აღმაფრენა შევაწყვეტინოთ.

ოჯახური, საშინაო სამყარო ბოლტანსკისა და ტევენოს მიერ ლუდოვიკო XIV-ის დამრიგებლის, კათოლიკე ფილოსოფოს ბოსიუს შრომებზე დაყრდნობითაა აღწერილი, რომელმაც მონარქიული ხელისუფლების კონცეფცია დაასაბუთა, როგორც მამაშვილური და ვაჟი/ქალიშვილისმიერი მორჩილების ლოგიკა მიაწერა. ყოველდღიური კამათებისა თუ დავებისას ჩვენ ვამბობთ, მაგალითად, რომ ოჯახის შიგნით მშობლებისადმი სიყვარული და მათი ინტერესების უპირობო გათვალისწინება საბაზრო გათვლებზე მუდამ უნდა პრევალირებდეს, ანუ აღემატებოდეს.

საბაზრო-ბაზრის სამყარო ადამ სმიტის შრომებს ეყრდნობა: ჩვენ მომსახურების ან საქონლის არათანაბარ გაცვლას უსამართლობად ვთვლით, თუ ეს პრინციპი სამართლიანობის სხვა პრინციპებს მსხვერპლად არ ეწირება. მაგალითად, სოციალიზმის დროს ბაზრის პრინციპები სამრეწველო რაციონალურობის პრინციპებს ეწირება მსხვერპლად. სამრეწველო, ანუ ინდუსტრიული სამყაროს თეორეტიკოსი სენ-სიმონია, რომელმაც ინდუსტრიულ ფენას/წოდებას(მუშებისა და კაპიტალისტების ჩათვლით) ყველაზე ეფექტიანი ფენა უწოდა. ტექნიკური ეფექტიანობის, ბალანსების და მინიმალური დანახარჯების სამყარო ზოგჯერ არა მხოლოდ საბაზრო სამყაროზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაზეც კი პრევალირებს, როდესაც მოქალაქეების უფლებათა თანასწორობა, ინდუსტრიალიზაციის დიად მიზნებთან შედარებით, მეორადია.

სამოქალაქო საზოგადოების სამართლიანობის თეორეტიკოსი ფრანგებისათვის, რასაკვირველია, ჟან-ჟაკ რუსოა, რომლის შრომებმაც რევოლუციონერთა სამართლიანი აღშფოთება და მრისხანება კიდევ უფრო გააღვივა. სამარლიანობის მეექვსე, უკანასკნელი სამყარო, რომელიც პოსტსაბჭოური მკითხველისათვის ნაკლებგასაგებია, ბოლტანსკისა და ტევენოს მიერ შეხედულებების სამყაროდ იწოდება და ჰობსის „ლევიათანის“ ერთ-ერთ თავს ემყარება, სადაც ის სხვების შეხედულებებისა და გარეგანი შეფასებების როლს ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად აღწერს. იმპერატივი – სხვების თვალში მნიშვნელოვანი, მკაცრი, პრიკოლური იყო თუ ჩანდე, და ადამიანი, რომელსაც სამართლიანობის სხვა სამყაროების მოთხოვნებისა გამო ხელს უშლიან, ასე გამოთქვამდეს თავის თავს, რასაკვირველია, თავს უსამართლოდ შეზღუდულად გრძნობს.

დავისას/კამათისას, სამართლიანობის შესახებ მტკიცებულებების, დასაბუთებების სხვა სამყაროების არგუმენტებად გამოთქმისას შეიძლება შეჯახება მოხდეს; შეიძლება ცალკეული ადამიანიც ეყრდნობოდეს სხვა სამყაროებიდან აღებულ არგუმენტაციის პრინციპებს, ცვლის რა პერსპექტივებს, ოღონდაც კი კამათი/დავა მოიგოს.

სამყაროთა საერთო/ზოგადი ცხრილი ასეთია:

„შთაგონების სამყარო;

საშინაო სამყარო;

ცნობადობის სამყარო;

სამოქალაქო სამყარო;

ბაზრის სამყარო;

ინდუსტრიული სამყარო“ (Больтански Л.,Тевено Л. Социология критической способности.\\Журн. Социологии и социальной антропологии. 2000.№3. გვ. 76-80).

ჩამოთვლილი სამყაროები შეიძლება მოგონილ სქემებად მოგვეჩვენოს, რამდენადაც, ჩვენთვის მრავალი ციტირებული ფილოსოფოსი საერთოდ ცნობილიც კი არ არის. საერთოდ, შესაძლებელია, როლს, რომელსაც ფრანგულ საზოგადოებაში პოლიტიკური ფილოსოფია თამაშობს, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში და ალბათ საქართველოშიც XIX საუკუნის მხატვრული ლიტერატურა თამაშობს, რომელიც სამართლიანობის შესახებ კამათების თუ დავების ნიმუშებს და მათი გადაჭრის მაგალითებს იძლევა. რატომ გამოყვეს ავტორებმა ექვსი სამყარო მაშინ, როდესაც სხვა კულტურებში არსებობს სამართლიანობის სტანდარტები, რომლებიც მოცემულ კლასიფიკაციაში არც კი აისახება? თუნდაც თავად საფრანგეთში, რატომაა მხოლოდ ექვსი სამყარო გამოყოფილი, ე.ი. რამდენად ამომწურავია ეს კლასიფიკაცია? და გამართლების რიგში მყოფ და ერთმანეთის არგადამკვეთ სამყაროთა სტრუქტურების ფორმირება როგორ მოხდა? დასაწყისისათვის ხომ არ ყოფილა ორი-სამი და დანარჩენები კი შემდეგ დაემატა?

ბოლტანსკისა და ტევენოს უკანასკნელი წლების შრომები მსგავს კითხვებს უპასუხოდ არ ტოვებენ.

5. გამართლების სამყაროთა ტიპები

„პირველი, გაჩნდა გამართლების სამყაროებზე მითითებები, რომლებიც ადრე გათვალისწინებულიც კი არ იყო შრომითი კამათების შესახებ დაწერილ შრომებშიც კი, მაგრამ ახლა საფრანგეთის საჯარო ცხოვრებაში ცენტრალურიც კი ხდება. ეს „მწვანე“ არგუმენტაციაა გარკვეული პოლიტიკის ეკოლოგიური უსამართლობის შესახებ.

მეორე, თუ სამყაროთა ტიპიურად ფრანგული კონფიგურაციის ქმნადობის რეტროსპექტივები დღემდე არაა წარმოდგენილი, მაშინ სამყაროთა დღევანდელი დინამიკის შეფასება კი არსებობს. ბოლტანსკისა და კიაპელოს უკანასკნელი ბესტსელერი – ეს გამართლების ახალი სამყაროს წარმოქმნის შესახებ განაზრებებია, რომლებიც საფრანგეთში 1990-იან წლებში არსებულ შრომით კამათებში გამოვლინდა. წიგნი 1960 -იანი წლების ახალი მემარცხენეების თეზისების გამართლების ახალი სამყაროს პრინციპებად გარდაქმნას აღწერს. ამ პრინციპების თანახმად, მასობრივი წარმოების მადეჰუმანიზირებელი გავლენის საპირისპიროდ, რომელიც ადამიანს საწარმოო აპარატ-დანადგარების დანამატად და ერთგანზომილებიან მომხმარებლად აქცევს, მოქნილობისა და შემოქმედების განვითარებაა საჭირო. მაგრამ ისტორიის ირონიაა ის, რომ ეს პრინციპები თანამედროვე კაპიტალიზმმა ექსპლუატაციის დახვეწილი ფორმებისათვის ადვილად შეისისხლხორცა. გამართლების ახალი მემარცხენე ტიპი დროებითი საქმიანობის გასავრცელებლად, სახლში სამუშაოს დანერგვისათვის გამოიყენება.

პრაგმატულ მობრუნებაში ახალ შეტანილ წვლილად ჩართულობის, ანუ regimes d,engagement-ის შესახებ გამოქვეყნებული ტევენოს შრომები გახდა. ქცევის გამართლებისა და დავა-კამათის დახმარებით კოორდინაცია – ადამიანისა და ნივთების პრაქტიკული კოორდინაციის ერთ-ერთი და, გნებავთ, მათგან ყველაზე საჯარო წესია. ღიად დავა-კამათამდე, ურთიერთობებში არსებული დაძაბულობებისას, კოორდინაცია არა ღია ბრალდებების ხარჯზე, არამედ უკმაყოფილების ლატენტური გამოხატვის დახმარებით იწარმოება, მაგალითად, მეგობარი აღარ რეკავს, როცა მასთან რეკავთ, იგი ტელეფონთან არ მოდის, ჩვეული ნივთები მოსალოდნელი წესით არ წარმოიქმნებიან და ყოფაში არ ერთვებიან და ა.შ. ეს უკვე დაძაბულობის რეჟიმია, მაგრამ დავა-კამათისა და ჩხუბის – ჯერ კიდევ არა. „გეგმიური მოქმედების რეჟიმში – როდესაც ყველა ისე მუშაობს, როგორც საჭიროა, მოქმედების საჯარო დასაბუთების პრობლემა ასევე არ დგება. აქ ფუნქციონალური აგენტების და ნივთების მოქმედებები კოორდინირდებიან, ამიტომ გამართლება საჭირო არ არის. მაგრამ ასეთი ფუნქციონალური კოორდინაცია, მაგალითად, ახლობლობის რეჟიმში – regime de familiarite – ანუ ახლო ნაცნობობის (ფამილარობის) რეჟიმში, ყველაზე ნაკლებად, საჯარო რეჟიმში – არ ხდება“ (О. В. Хархордин. Прагматический поворот: социология. Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1.გვ.39).

6. ჩართულობა – ადამიანებისა და ნივთების პრაქტიკული კოორდინაციის საჯარო წესი

ჩართულობის რეჟიმთა საჯაროობის მზარდი ხარისხის გრადაციას ტევენოს მიერ მოყვანილი მაგალითი კარგად აჩვენებს: საკუთარ სახლში თქვენ სიახლოვის რეჟიმში იმყოფებით – ყველაფერი თქვენ ირგვლივაა მიმოფანტული, მაგრამ თქვენ არ გაწუხებთ მიმოფანტული ტანსაცმელი, წიგნები, დისკები, გაურეცხავი ყავის ჭიქები და მაგიდაზე შემოდგმული ძველი უსახელურო ყავის მადუღარა, ეს თქვენი ცხოვრების ნაწილებია, თქვენ ფლობთ სიტუაციას. მაგრამ თუ ერთხელაც თქვენ მოგიწევთ, თქვენი არყოფნის დროს

ვინმე შეუშვათ მასში ღამის გასათევად, მაშინ თქვენ ამ რეალობის ტრანსფორმირება მოგიწევთ, და მით უფრო ნაკლები დოზით, რაც უფრო ახლობელია სტუმარი. ახლობელს შეგიძლიათ დაუტოვოთ გასაღები, მიმოფანტული ნივთები, უბრალოდ, შეაქუჩოთ, თავი მოუყაროთ და ერთად რომელიმე კუთხეში მოათავსოთ. მოსალოდნელია, რომ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ნივთებთან შეხებისას იგი მზრუნველობას გამოიჩენს, არ დაიწყებს გინებასა და ლანძღვას, თუ ინსტრუქციები არ დაგიტოვებიათ, რა უყოს ღიად დატოვებულ პატარა სარკმელს. შორეული ნათესავის ან უბრალოდ გამვლელი ნაცნობის გარემოცვაში პირადი ნივთების დატოვება, რომლებიც პირადად თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არასასურველია, ამიტომ პირად ნივთებს, წერილებს თუ საჩუქრებს ვიღებთ და კარადაში ან საიმედო ადგილას ვინახავთ. კარგი იქნება, თუ მდგმურს აუხსნით, უსახელურო ყავის მადუღარათი როგორ ისარგებლოს.

გეგმიური კოორდინაციის რეჟიმზე გადასვლისას, როდესაც თქვენ საცხოვრებელი ფართის ჩაბარება ან გაქირავება გადაწყვიტეთ, ნივთებისა და სივრცის ადაპტაციის სახეები იცვლება. ასეთ დროს ოთახი თუ ბინა ფუნქციონალური უნდა იყოს(არავითარი უმოქმედო/უფუნქციო შპინგალეტიც კი!) და ყველაზე საშუალო მომხმარებლისთვის გათვლილიც კი (მაგალითად, ადგილების გათავისუფლება კარადებსა თუ კომოდებში, სადაც დამქირავებელი ტანსაცმელს დააწყობს). და მხოლოდ მაშინ, თუ კამათი/დავა გაქირავებული ფართის გამოყენების თაობაზე წარმოიშობა („ჩვენ არ შევთანხმებულვართ იმაზე, რომ თქვენ აყრიდით პარკეტს, რათა აივანზე მწვადები შეგეწვათ“), გამოვდივართ გეგმიური კოორდინაციის რეჟიმიდან და ყველაზე საჯარო რეჟიმში – გამართლების რეჟიმში შევდივართ. როგორც მაგალითიდან ჩანს, რეჟიმები შეიძლება – მრავალი, ხოლო განსხვავებები მათ შორის კი ძალიან ფაქიზი იყოს (რით განსხვავდება მეგობრობა ახლო მეგობრობის ან ახლო ნაცნობობისაგან?); მაგრამ სავსებით შესაძლებელია, დაწყებული ყველაზე პრივატული, ფამილარული სიახლოვის რეჟიმიდან, გამართლების ყველაზე საჯარო რეჟიმის ჩათვლით, გრადაციის სპექტრში მათ დალაგებას შევეცადოთ.

სხვა სიტყვებით, პრაგმატულ მობრუნებას არა საჯაროსა და კერძოს დაპირისპირება, არამედ ამ ორ კატეგორიას შორის არსებულ სპექტრში კოორდინაციის შუალედური რეჟიმები აღელვებს. როგორც ჩანს, მსგავსი ამოცანა საინტერესოა. მაგალითად, საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში მცხოვრებ ადამიანთა ქცევის კოორდინაციის სპეციფიკა რაში მდგომარეობს? ან რაში გამოიხატება „კომუნალკაში“ კოორდინაციის სპეციფიკა, სადაც, როგორც რესპონდენტები ამბობენ, „ყველას პირისპირ – ერთი ერთზე ცხოვრობ?“ ეს კი მიმდინარე ან უკვე დასრულებულ გამოკვლევათა საგნებია.

ჩართულობის რეჟიმთა მსგავსი გამოკვლევები ბოლტანსკისა და ტევენოს სოციოლოგიის ერთ-ერთ ბაზისურ მახასიათებელს – ნივთთა განსაკუთრებულ როლს ააშკარავებს. „გამართლების შესახებ“ ტრაქტატში ნივთები საკიდის სახელურების თუ კაუჭების როლს ასრულებენ, რომლებზეც რეალობის ინტერპრეტაციებია ჩამოკიდებული; ნივთების მდგომარეობის ან საქმეთა მიმდინარეობის მათ მიერ წამოყენებული დასაბუთებების ტესტირებისას, მათი ნივთების მდგომარეობის ან საქმის მიმდინარეობის მეშვეობით დამტკიცების თვალსაზრისით, ადამიანებს შეუძლიათ ხდომილების სამართლიანობა-უსამართლობის საკუთარი ინტერპრეტაციების ფესვგადგმულობაში გაეჯიბრონ ერთმანეთს.

ნაკლებად საჯარო ჩართულობის რეჟიმში, ვიდრე გამართლების რეჟიმია, ნივთებს უფრო სხვა როლი ეკისრებათ, ვიდრე ეს რეალობის საყრდენის როლია. როგორც ბერძნული ცნების – chresis – გამოყენების შესახებ მ. ბრეველიერის შრომებმა აჩვენეს, რომ ნივთების თვით უბრალო სარგებლობაც კი არა მხოლოდ წესის შესაბამისობა-შეწონილობის,

არამედ უბიწოებისა და სამართლიანობის ასპექტებსაც კი მოიცავს. სარგებლობა ნიშნავს – სარგებელი გააკეთო... ამ ინტერპრეტაციაში მორალური აკრძალვა რეალობას „ზემოდან“ არ ეხვევა თავს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ მიმართავენ, რათა შეამოწმონ, თუ რამდენად სამართლიანია მორალიზატორის პრეტენზიები. აქ თეზისი უფრო რადიკალურია: თავად ნივთებშია მორალი ჩაშენებული, ნივთი თავიდანვე მორალური და პიროვნულია.

ასეთი თვისებები ცხადია იმ ნივთებში, რომლებთანაც ადამიანი სიახლოვის/ახლოობის რეჟიმში იმყოფება. სახელურმოტეხილი ყავის მადუღარას მსგავსად, რომელსაც მეგობრებიც კი ძნელად თუ იყენებენ/სარგებლობენ, ჩვენ გარემოცული ვართ ნივთებით, რომლებიც თითქოსდა ჩვენს სხეულსა თუ ტანში და პიროვნებაში ჩაშენებულია. მაგალითად, წამყვანი ფინელი სოციოლოგი რ. ალაპურო კოლეგებს აოცებს იმით, რომ 1950-იანი წლების ბოლოდან სამუშაოზე ერთი ველოსიპედით დადის და ამ ველოსიპედით მოძრაობა მხოლოდ მას შეუძლია, რამდენადაც, სხვა გამომყენებლის თვალსაზრისით, ველოსიპედი დისფუნქციონალურია. თითოეულ ჩვენგანს აქვს ფოტოაპარატი გატეხილი ღილაკებით, რომლის გამოყენება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ასევე, მაგიდის უჯრები ან კარები საკეტებით, რომლებსაც სპეციალური ზეწოლითა და შენჯღრევით ვაღებთ, რასაც სიტყვებით ვერ ახსნით. სხვებისთვის დატოვებისას იძულებული ვართ ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამ ნივთებით, გავარჯიშებაც კი შეიძლება დასჭირდეთ. ეს არა მხოლოდ მექანიკურ ნივთებს, არამედ იმ ნივთებსაც ეხება, რომლებიც მოგონებებს ინახავენ და ემოციებს აცოცხლებენ. ასეთი ნივთების სხვებისთვის გადაცემა მათ დისფუნქციურად ქცევას ნიშნავს. სხვებისთვის მისი ხმა დუმს.

„მოცემულ ნივთებს ტევენო განიხილავს, როგორც დისპერსიული პიროვნების ნაწილებს, რომელიც მსგავსი პიროვნული ელემენტების ღრუბლებისაგან შედგება და ემატება იმას, რასაც ჩვენ საკუთარი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების ცენტრად განვიხილავთ. ასეთი ნივთების ღრუბლებს ჩვენ ცხოვრებაში დავატარებთ, ვაკლებთ ან ვამატებთ ელემენტებს, ზოგჯერ კი მათ რეკონფიგურაციას ვეწევით. ტრადიციული სოციოლოგიის მიერ აღწერილ ურთიერთობებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, გეგმიური ურთიერთქმედების რეჟიმის ქვეშ ხვდებიან, ამ ნივთთა ღრუბლები უმნიშვნელონი არიან. გეგმიური რეჟიმის ურთიერთქმედებებში გადასვლისას ჩვენ, მაგალითად, ოთახებს პირადი ნივთებისაგან ვასუფთავებთ(მანამ, სანამ ამ ოთახს ვიღაცაზე გავაქირავებთ). ამიტომ პიროვნული ნივთები ტრადიციულ სოციოლოგიაში არც კი ფიგურირებენ. მაგრამ როგორც კი ჩართულობის სხვა მეგობრობის, ნაცნობობის და მათ მსგავსთა რეჟიმებში გადავდივართ – პიროვნული ნივთების როლი უდიდესია.

მაგალითად, მეგობრობა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს არა, როგორც ორ ეგოს შორის მოულოდნელად წარმოქმნილი პერსონათაშორისი მიმზიდველობა თუ მიზიდულობა, არამედ, როგორც პიროვნულ ნივთთა ორი ღრუბლის ურთიერთდამთხვევა თუ შერევა. ეს ურთიერთდაფარვა მოიცავს როგორც ნივთების ერთობლივ მოხმარებას, ისე ღრუბლებს შორის ნივთების ცირკულაციას, როდესაც წიგნები, მუსიკა, ტექნიკა, პარტნიორები და ხდომილებები შესაბამისი ვარჯიშისა და უნარების გამომუშავების შემდეგ მოსახმარად და გამოსაყენებლად მეორეს გადაეცემა. სხვა სიტყვებით, „საჯარო-კერძო-პირადი“ სპექტრის პირადი პოლუსის ახლო მდებარე ჩართულობის რეჟიმები პირადი-პიროვნული ნივთებისადმი, რომლებიც კოორდინაციაში არიან ჩართულნი, ყურადღებას მოითხოვენ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ – რომლებიც იქ ჩართულნი არიან ღრუბელთა ნაწილობრივი ურთიერთშეღწევის შედეგად და ამიტომ მონაწილე მხარეებისთვის მიმზიდველია“ (O.B.

Хархордин.Прагматический поворот: социология. Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1.გვ.41).

ფრანგული ტერმინის regime de familiarrite თარგმნის სიძნელე საინტერესო საკვლევ პრობლემებზე მიანიშნებს. თუ ეს ნამდვილად ფამილარულობის რეჟიმია, მაშინ ტერმინი ჩვენთვის ახლობელ ნივთებთან დამოკიდებულებებს ვერ მოიცავს. თუ „სიახლოვის რეჟიმია“, მაშინ ამ ტერმინის ქვეშ აღმოჩნდებიან როგორც ახლობელი ადამიანები, ისე პირადი-ახლობელი ნივთებიც. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს ტერმინი ძალიან ზოგადი ხომ არ აღმოჩნდება? და ინტიმურ-სექსუალური კონოტაციები როგორ გავაქროთ? ტერმინის ახსნა უფრო გაგვიადვილდება, თუ ხაზს ძირითად საფუძველს – famillie – ოჯახს გავუსვამთ. ტევენოს მიხედვით, ამ რეჟიმის ბაზისური მაგალითები, როგორც წესი, ოჯახურ სიტუაციას, გარემოს გულისხმობს, როდესაც ადამიანი cher soi, ანუ საკუთარ სახლში იმყოფება. ეს ნამდვილად არაა შემთხვევითი. მხოლოდ ოჯახის როგორც ნივთებთან, ისე ადამიანებთან ურთიერთობის უნარების, ჩვევების, მოპყრობის, წესების გადაცემის დიაქრონული აპარატის როლის გათვალისწინებით შეიძლება გავიგოთ, თუ რა არის სიახლოვის რეჟიმი.

ყოველდღიური ნივთები ნამდვილად პირადულ-პიროვნული ხდებიან, როდესაც ისინი ხანგრძლივი გამოყენების პროცესში თითქოსდა გვეცხებიან, ჩვენი განუყრელი თანამგზავრნი ხდებიან. ეს კოვზი ჩემთვის იმიტომაა ძვირფასი, რომ ამ კოვზით რაღაც ისეთ სითხეს ურევდნენ, აი, ამისგან ისეთი ისტორია დაიწყო... ამ ფოტოკამერით მხოლოდ მე შემიძლია ვისარგებლო, რადგან მას ოდესღაც საკეტის ურდული მოსწყდა. კოვზით ან ფოტოკამერით სარგებლობის/გამოყენების შესწავლა (დამოუკიდებლად იმისგან, რამდენად დამოუკიდებლად, ინსტრუქციის მიხედვით ავითვისე მე მათი ხმარება) თავდაპირველად მოხდა იმიტომ, რომ ჩემს ხელში მოთავსებული კოვზი მშობლების ხელით მოძრაობდა, ან ჩემი თითებით ისინი აჭერდნენ ფოტოკამერის ღილაკს, ან მე ვბაძავდი ამ მოძრაობებს. ახლობლობის რეჟიმი ყველაზე მეტად ოჯახურ გარემოშია შესაძლებელი, სწორედ ამიტომ მოიცავს იგი ნივთებს და ადამიანებს, რომლებიც ამ ნივთებით ძალიან ახლო მანძილით არიან დაკავშირებული. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ კავშირი ამ რეჟიმში – არა მხოლოდ სინქრონული (აქ და ახლა მყოფთა შორის კოორდინაცია), არამედ დიაქრონულია: ნივთები ჩვენ წარსულ თაობებთანაც გვაკავშირებს, მშობლიური ნივთები სამშობლოს სიახლოვის შეგრძნებებს/გრძნობებს აღძრავს ჩვენში და ეროვნული იდენტურობის საყრდენსა და საფუძველს გვაძლევს.

ბოლტანსკი და ტევენო ამ დისკურსიული ანალიზის შედეგებს კომერციულ უწყებებში გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი გამართლების პროცესების კვლევაზე წარმართავენ. ამ პროექტს იმ სახით, რა სახითაც მას, უწინარეს ყოვლისა, ბოლტანსკი უკეთებს რეალიზებას, თეორიულად სამ მნიშვნელოვან დასკვნასთან მივყავართ.

პირველი, ნათელი ხდება, რომ ეკონომიკის სფეროში გამართლება-დასაბუთებების ექვსივე ფორმა, თუმცა განსხვავებული მასშტაბებით, გვხვდება, ე.ი. ლეგიტიმაციის რაღაც ერთი მადომინირებელი სტრატეგია ეკონომიკაშიც არ არსებობს. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებების მიღების სიტუაციებიც ასევე განსხვავებულია, რამდენადაც აქ ყოველთვის ერთმანეთს შორის მოლაპარაკებებს აწარმოებენ განსხვავებული აქტორები, რომლებსაც ასევე სრულიად განსხვავებული არგუმენტები მოჰყავთ. ამგვარად, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესთა კვლევის მიზნით, უმჯობესია, მოქმედების თანმიმდევრული თეორიის მეთოდები გამოვიყენოთ, რომლებიც, კერძოდ, მაინტერპრეტირებელ პარადიგმაშია წარმოდგენილი. მაგრამ პროექტის მიზნები ამ დასკვნის ჩარჩოებს ძალიან სცილდება, რანდენადაც ბოლტანსკი (და ეს მეორე თეორიულად

მნიშვნელოვანი მომენტია) მუდამ ცდილობს, თავისი გამოკვლევები მაკროდონეს შეუსაბამოს. ამგვარად, „კიაპელოსთან ერთად დაწერილ ბოლოდროინდელ ნაშრომებში ბოლტანსკი ამტკიცებს, რომ 1980-იან წლებში კაპიტალიზმის ახალმა „გონმა“, ახალმა „ქალაქმა“ ანუ სამყარომ – „პროექტირების სამყაროს“ რეჟიმმა – დაიწყო ჩამოყალიბება; ეფექტიანობის დისკურსის ნაცვლად, რომელიც მეოცე საუკუნის შუა ხანებისთვის იყო დამახასიათებელი, დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა კრეატიულობა, მოქნილობა და ინოვაცია. ამ დასკვნამდე მისასვლელად ავტორებს კაპიტალიზმის განსხვავებული ეტაპების ტიპოლოგიის დამუშავება, ე.ი. მაკროანალიზის გაკეთება მოუწიათ, რომლისგანაც თავის არიდებას ინტერპრეტაციულ-მაინტერპრეტირებელი პარადიგმის წამომადგენლები ჩვეულებრივ ცდილობენ“ (Йоас Х., Кнебль В. Социальная теория. 20 вводных лекций/ пер. С нем. К. Г. Тимофеевой. – СПб: Алетейя,. 2011. გვ. 462).

ამავე დროს, ბოლტანსკი და კიაპელო ყურადღებას აქცევენ იმას, რომ კაპიტალიზმის „გონის“ მათი კონცეფცია არ გულისხმობს იდეალისტურ მიდგომას, რომელშიც განსაკუთრებით მხოლოდ ის დისკურსები შეისწავლება, რომლებიც „რეალურ“ ეკონომიკურ სტრუქტურებს არ ითვალისწინებენ. ამის ნაცვლად ისინი ამტკიცებენ, რომ გამართლების დისკურსები, თავის მხრივ, „რეალურ რეალობაზე“ გავლენას ახდენენ, რომ კაპიტალის დაგროვების განსაზღვრულ ფორმებს მხოლოდ ისინი ამართლებენ (ლეგიტიმურს ხდიან) და შედეგად „შესაძლებელს ხდიან ისეთი ძალების მობილიზებას, რომლებიც დაგროვების სხვა ფორმებს წინააღმდეგობას უწევენ და ხელს უშლიან. თუ გამართლების აღწერილ სტრატეგიებს სერიოზულად მივუდგებით, მაშინ უკვე არა ყოველიგვარი მოგება იქნება ლეგიტიმური, არა ყველანაირი გამდიდრება კი – სამართლიანი, და არა ყოველგვარი დაგროვება, როგორი მნიშვნელოვანი და სწრაფიც არ უნდა იყოს იგი, დასაშვები“ (იქვე,463). უკანასკნელი მტკიცება ასევე ეკონომიკაში მარქსისტული და ნეომარქსისტული მიდგომების ბაღში/ბოსტანში ნასროლი ქვაა, რამდენადაც მათი წარმომადგენლები „ერთიანი“ კაპიტალიზმის, მისი ნორმებისაგან თავისუფალი „ლოგიკის“ და, განსაკუთრებით, მოგების გაანგარიშებებით დაკავებული ბაზრის მონაწილეების შესახებ ჯერ კიდევ ლაპარაკობენ.

დაბოლოს, მესამე, ბოლტანსკის პროექტი, სოციალური ცვლილებების სოციოლოგიაში შეტანილ წვლილს უპირობოდ გულისხმობს, რამდენადაც მასში დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ გამართლების ახალი რეჟიმები ან ახალი „ქალაქები“, პრინციპულად, როგორ მკვიდრდებიან და ელიტები ამ დამკვიდრებაში რა როლს თამაშობენ. „გამართლების რეჟიმთა ცვლა იმ ჯგუფების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული, რომლებიც პრივილეგიების შენარჩუნების სტაბილურ გზაზე არსებული დაბრკოლებების გვერდის ავლას ცდილობენ. მათი მიზანი წარმატებებისა და აღიარებისაკენ მიმავალ გზაზე ახალი გზების პოვნაა, რათა მათ შერჩევის ლეგიტიმურ კრიტერიუმებთან შესატყვისობის მტკიცებულებები უკვე აღარ დასჭირდეთ“ (იქვე, გვ,472). მართალია, ბოლტანსკი და კიაპელო ამის თაობაზე ღიად აღარ ლაპარაკობენ, მაგრამ მათ „ნორმატიული ცვლილებების დინამიკურ მოდელს“ შმუელ ნ. აიზენშტადტის და მისი მიმდევრების კულტურულ-თეორიულ არგუმენტაციასთან შეხების მრავალი წერტილი აქვს და, ამავდროულად, დიფერენციაციის უსუბიექტო – სუბიექტს მოკლებული – თეორიების ფარულ კრიტიკასაც მოიცავს.

საკითხავი მასალა:

ლიუკ ბოლტანსკი და ლორან ტევენო – კრიტიკული უნარის სოციოლოგია.
Больтански Л.,Тевено Л. Социология критической способности.\\Журн. Социологии и социальной антропологии. 2000.№3.

კრიტიკისა და გამართლების სოციოლოგია

კრიტიკული მომენტი

წინამდებარე სტატიაში ყურადღებას განსაკუთრებული ტიპის მომენტების ანალიზზე გავამახვილებთ, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამ მომენტების აღსანიშნავად ჩვენ ტერმინს „კრიტიკული მომენტები“ გამოვიყენებთ, რომელიც ერთდროულად როგორც ადამიანთა კრიტიკულ მოქმედებას, ისე კრიზისის მომენტის არაჩვეულებრიობას ასახავს. საყურადღებო მნიშვნელობა ამ კრიტიკული მომენტის რეფლექსურობას აქვს. თავიდან სიტუაცია დაახლოებით ასეთია: ადამიანები, რომელნიც ყოველდღიურ ურთიერთობაში არიან ჩართულნი, „ერთად რაღაცას აკეთებენ“, – ვთქვათ, პოლიტიკაში, სამუშაოზე, პროფკავშირულ ორგანიზაციაში – იძულებულნი არიან, კოორდინირებულად იმოქმედონ, ხვდებიან, რომ რაღაც ისე არ არის, ერთმანეთს ველარ ეწყობიან და საჭიროა რაღაც შეიცვალოს.

სიტყვას to realize აქვს ორი მნიშვნელობა, ის ერთდროულად – შიგნით მიმართულ რეფლექსურ მოძრაობაზე და გარესამყაროში მოქმედებაზე მიანიშნებს. იმის გაცნობიერების პროცესში, რომ რაღაც ისე ვერ არის, საჭიროა დავცილდეთ აწმყოს და წარსულისკენ მივბრუნდეთ. ძველი საგნების არჩევითი პროცესის წყალობით დასრულებული მოქმედებების მოგონებისას, დავიწყებული სიტყვები ჩვენს აზროვნებაში ბრუნდება, აკავშირებს ერთმანეთთან, რითაც საბოლოოდ ერთიანი საზრისისეული სურათი იქმნება. ეს რეტროსპექტული მიბრუნება მოქმედებას აჩერებს, თუმცა მოქმედების შესაჩერებლად სხვა მიზეზიც არსებობს. ადამიანი, რომელიც ხვდება, რომ რაღაც ისე არ არის, იშვიათად არის ჩუმად. მას აღარ შეუძლია ასე ცხოვრება და უფრო ხშირად თავის გრძნობას იმ ადამიანებს უზიარებს, რომლებთანაც ერთად აქამდე საქმიანობდა. ამ უკმაყოფილების გამოხატვა შეიძლება „სცენით“ (უსიამოვნებით) დამთავრდეს. თვითონ სცენა სხვადასხვა ფორმებს იღებს. მან ძალიან იოლად შეიძლება ძალმომრეობის ხასიათი მიიღოს, თუმცა ამ ვარიანტს ჩვენ არ განვიხილავთ. ხშირად სცენა კამათს, ურთიერთკრიტიკას, საყვედურებსა და შეურაცხყოფას წარმოადგენს. სცენა ემსგავსება დავას. სიტყვა „სცენა“ – ოჯახურ ჩხუბს, შფოთს, სიტყვა „დავა“ კი სამართლებრივ პროცესს გულისხმობს. თუ პირველი განიხილება, როგორც არაფორმალური, მეორე სამართლებრივი სისტემით რეგულირდება, მაგრამ არსებობს შუალედური შემთხვევებიც, როგორიცაა საამქროში ან ოფისში კლიენტსა და მოსამსახურეს შორის კამათი, ან ქუჩაში მძღოლებს შორის კამათი მას შემდეგ, რაც ძალიან განსხვავებული სიტუაციების საერთო ნიშნებს გამოვიკვლევთ, შევეცდებით, ერთიან საზოგადოებაში დავის პროცესის ანალიზის ზოგადი საზღვრები მოვხაზოთ.

ამ სიტუაციების პირველი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ დავაში ჩაბმული ადამიანები თავის მართლების იმპერატივს ემორჩილებიან. ის, ვინც სხვებს აკრიტიკებს,

თავი უნდა იმართლოს, რათა კრიტიკის უფლება ჰქონდეს. ზუსტად ისევე, ის, ვინც კრიტიკის ობიექტია, უნდა გაამართლოს თავისი ქცევა, რომ დაიცვას საკუთარი თვალსაზრისი. ეს თავის მართლებები მიღებულ (აღიარებულ) წესებს უნდა შეესაბამებოდნენ. ჩვენ არ შეგვიძლია, მაგალითად, ვთქვათ: „არ გეთანხმებით იმიტომ, რომ თქვენი სიფათი არ მომწონს“. ამასთან, ორივე მხარისთვის, როგორც კრიტიკოსისთვის, ისე მოპასუხისთვის, ეს წესი მისაღები და აღიარებული უნდა იყოს. ამგვარად, დავის პროცესის ანალიზის სისტემას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ერთი და იმავე ინსტრუმენტის მეშვეობით, როგორც ნებისმიერი სოციალური თუ სიტუაციური წესის კრიტიკა, ისე მოცემული წესის გამართლება განიხილოს. ამას გარდა, ნებისმიერ მომენტში, მოცემული სიტუაციები დროებითნი არიან, რამდენადაც ისინი მოქმედების ჩვეულებრივ წესს არღვევენ – კრიზისის მდგომარეობაში მუდმივი ცხოვრება შეუძლებელია. კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზა თანხმობაში დაბრუნებაა. ამიტომ ანალიზის სისტემას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, როგორც თანხმობა, ისე უთანხმოება ერთი და იმავე ხერხით განიხილოს.

ბოლოს, ამგვარი დავები მხოლოდ ენის საკითხი არ არის. დავაში არა მარტო ადამიანები, არამედ საგნების მნიშვნელოვანი რაოდენობაა ჩართული. მაგალითად, პროფესიული დავის შემთხვევაში – ესაა კომპიუტერი, რომელშიც მონაცემები იყო წაშლილი. მემკვიდრეების დავის დროს – ესაა სახლი და მიწა; ან ოჯახური სცენის შემთხვევაში – გასარეცხი ჭურჭელი და ა.შ. ანალიზის სისტემას ის დანიშნულება აქვს, რომ რეალური სამყაროს დავები განიხილოს, ე.ი. აღწეროს ის, თუ დავები ადამიანებსა და საგნებს როგორ აკავშირებს ერთმანეთთან.

ეკვივალენტურობის დადგენა

მოდით, დავაკვირდეთ მომენტს, როდესაც ადამიანები დავას იწყებენ. ამ მომენტის მნიშვნელოვანი ნიშანი ეკვივალენტობის დადგენასთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ ვინმე გავაკრიტიკოთ და სხვას ავუხსნათ, რა ხდება, საჭიროა, სხვადასხვა ადამიანებისა და საგნების სიმრავლეს თავი მოვუყაროთ და მათ შორის კავშირი დავადგინოთ. მაგალითად, საჭიროა წარსული სიტუაციების მომენტების შეერთება, რათა მათთვის საერთო და მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი თვისებები გამოვამჟღავნოთ. განსხვავებული საგნებისა და განსხვავებული ფაქტების დაახლოების პროცესი ეკვივალენტობის პრინციპის მეშვეობით უნდა იქნეს გამართლებული, რომელიც უჩვენებს, რა არის მათ შორის საერთო.

ამგვარ მოქმედებებს ეფუძნება არა მარტო დავა, არამედ თანხმობაც. აქედან გამომდინარე, ადამიანებმა, რომლებიც თანხმობას ესწრაფვიან, ყურადღება მათ მიმართ გარეგანი ეკვივალენტობის კონვენციებზე უნდა გაამახვილონ.

მაგალითად, განვიხილოთ მძღოლებს შორის დავა ავარიის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანის მძვინვარე აღშფოთება შეიძლება იმ დღეს მომხდარი მთელი რიგი უსიამოვნებებისაგან იყოს გამოწვეული: ცოლი ავად გახდა, შვილმა სკოლაში ცუდი ნიშნები მიიღო, სამსახურში უფროსმა გალანძღა, ყელი სტკივა (შეიძლება კიბო აქვს?) – ასეთ დროს ვიღაც ბოთე ეჯახება მის ახალ ლამაზ მანქანას. ეს უკვე მეტისმეტია, მაგრამ მეორე მძღოლსაც შეიძლება ჰქონდეს პირადი მიზეზების მთელი რიგი, რომ წუთისოფლის უკმაყოფილო იყოს: გუშინ გარდაეცვალა დედა, გაიზარდა გადასახადები, გამომცემელმა უარი უთხრა მისი ახალი წიგნის დაბეჭდვაზე. ამ დროს ეს იდიოტი პირდაპირ შუა გზაზე გაიჩითა. ოო, ეს უკვე მეტისმეტია! მათ უნდათ, თავიდან აიცილონ ძალადობა, უნდა შეძლონ, უკმაყოფილების მიზეზთა დიდი ნაწილი დაივიწყონ, „კერძო“ და შესაბამისი სიტუაციების განმსაზღვრელ ისეთ ზოგად ობიექტებს მიმართონ, როგორიცაა მოძრაობის წესები, საბურავების მდგომარეობა და ა.შ. მაგრამ რელევანტური და არარელევანტური ობიექტების მათი არ-

ჩევანი ერთმანეთს რომ დაემთხვეს, მათ გაგების საერთო უნარი უნდა ჰქონდეთ, რა და როგორ გამოადგებათ მოცემულ სიტუაციაში. ე.ი. მათ ერთიანობის ფორმის საერთო განსაზღვრება უნდა ჰქონდეთ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, მოცემული სიტუაცია სხვებთან დააკავშირონ, როგორც მსგავსნი, გააიგივონ.

ეკვივალენტობის პრინციპზე მითითების შესაძლებლობა აგრეთვე მინიმალური გათვლისთვის წინა პირობას წარმოადგენს. ამგვარად, იმისათვის, რომ თანმიმდევრულად დავადანაშაულოთ ან გავაკრიტიკოთ, საჭიროა, გათვლის გარკვეული შესაძლებლობებით ვიყოთ დაჯილდოებულნი. მაგალითად, თუ კოლეგას, რომელთან ერთადაც წიგნს წერთ, გინდათ გაღიზიანებულმა უთხრათ – „მე ვაქსეროქსებ და ყოველთვის ვასრულებ მთელ შავ საქმეს, მაშინ როცა შენ, სავარძელში მყუდროდ მოკალათებული, საინტერესო წიგნებს კითხულობ“, მაშინ თქვენ მთელი რიგი საკმაოდ გაფანტული და სხვადასხვაგვარი მოქმედებები უნდა შეათავსოთ და გააწონასწოროთ. ვფიქრობთ, რომ იმ საშუალებებისა და რეჟიმის ძირითადი ნიშან-თვისება, რომლითაც ადამიანები დავას მართავენ, ეკვივალენტობაზე აქცენტირების აუცილებლობას წარმოადგენს. გამართლების ამ რეჟიმს სამართლიანობის რეჟიმს ვუწოდებთ. პირიქით, ჩვეულებრივი მოქმედების ბუნებრივი მსვლელობისას ეკვივალენტობა წინასწარ განსაზღვრულ რეფლექსიას არ ექვემდებარება.

.....ემოციურად დაძაბული სცენა, რომელშიც აფექტური კავშირით გაერთიანებული ადამიანები არიან ჩართული, ზუსტად მოქმედების რეჟიმს, რომელიც დამიზნებულია ეკვივალენტობის გაზომვის შეწყვეტაზე, და მოქმედების რეჟიმს, რომელშიც ადამიანები მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, შორის ზღვარზე მდებარეობს. მსგავსი სცენები მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გამოიხატება ხოლმე, მაგრამ ავტორები მათ ყველაზე ხშირად სასიყვარულო სცენების აღწერისას მიმართავენ. თუმცა როგორც საველე მუშაობა გვიჩვენებს, ამგვარი სცენები აგრეთვე ხშირად ხდება ადამიანებს შორის, რომლებიც პროფესიულ ურთიერთობაში არიან ჩართული. ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლისას ადამიანი მიმდინარე ამბებს იმედგაცრუებული უყურებს: „როგორ შემეძლო ვყოფილიყავი ასეთი სულელი: ჩემი მხრიდან როგორი გულუბრყვილობაა, როგორი სიბრიყვე, რომ ასე გამომიყენეს! 20 წელია ქსეროასლებს ვაკეთებ (ან სხვა შემთხვევაში), ვრეცხავ ჭურჭელს ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი მიმიღია, ახლა კი ვხვდები...“. მაგრამ ეს უსიამოვნო მომენტი არ წარმოადგენს ჭეშმარიტების მომენტს, როგორც ხშირად უწოდებენ ისინი, ვინც ეს მომენტი განიცადა. შეჯამების რეჟიმი არც უფრო ჭეშმარიტია, არც უფრო ახლოა სინამდვილესთან, ვიდრე რეჟიმი, რომელშიც ადამიანები გათვლისაკენ მისწრაფებისაგან თავს იკავებენ. თვალისმომჭრელი, დამაბრმავებელი ჭეშმარიტების ილუზიას სამყაროს აღქმის ცვალებადობა იძლევა, რაც ერთი რეჟიმიდან მეორეში სწრაფი გადასვლის შედეგად ხდება.

გამართლების რეჟიმი, რომლის აუცილებელ პირობას ეკვივალენტობის კოლექტიური კონვენციები წარმოადგენს, მხოლოდ მარცხთან გამკლავებისა და იმის გარკვევისთვისაა საჭირო, თუ რა შეესაბამება შემთხვევითობას და როდის აღარაა საკმარისი კოორდინაციის უფრო ლოკალური რეჟიმები, რომლებიც „პიროვნულ გამოსადეგობაზე“ ან „კონვენციალურ“ გამოყენებაზე არიან დაფუძნებული. „ახლობლობის რეჟიმში“ ადამიანებს ჩვეულ გარემოსთან, როგორც სახლში, ისე სამუშაოზე, უშუალო ურთიერთობა აქვთ. ჩართულობის დინამიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიროვნულ და ლოკალურ სარჩულზე, რომელიც, როგორც ჩანს, უცხო დამკვირვებლისათვის მიუწვდომელია. ქცევის ყველა თავისებურება უცნაურად მოეჩვენება იმას, ვინც არასაკმარისად ღრმად ფლობს პიროვნულ ცოდნას, რომელსაც ადამიანი თავის გარემოსთან ხანგრძლივი და ნაწილობრივ ურთიერთშეგუება-შეთვისების პროცესში იძენს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მას

ცვლის უცნობი. „ადგილის“ მოწესრიგების ისეთი მდგომარეობის მოთხოვნილება წარმოიქმნება, რომელიც ჩართულობის სრულიად სხვა რეჟიმს შეესაბამება და მოქმედების რეგულარულ დაგეგმვაზე იქნება დაფუძნებული, რომელიც, თავის მხრივ, გეგმებსა და ფუნქციონალობებს ეფუძნება. ეს მოქმედება ბინადრობის ადგილის კომპლექსური ქსელის ჩვეული შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ნაწილის ნგრევას შეიცავს. ჩვეული ინსტრუმენტები ანონიმური გეგმების ფორმატს ფუნქციონალური არტეფაქტებით სიღრმისეულად არ შეესაბამებიან. ადამიანმა უნდა დაისახოს ნორმალური გეგმები და აქტიურად გამოსაყენებელი საგნები ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანოს. იმისათვის, რომ ჩართულობის მოცემული რეჟიმი გავაკონტროლოთ, მოქმედებისა და ობიექტების აბსტრაქტულად აღმნიშვნელი ენის ჩვეულებრივი გამოყენება საკმარისია. იგი მკვეთრად განსხვადება როგორც პიროვნული ვარგისიანობისაგან, სადაც ენა დიდწილად ინდექსალურ და სხეულებრივ ხასიათს ატარებს, ასევე კოლექტიური კონვენციებისაგან (სადაც ენა მკაცრად პირობითი ხდება). თუ რაღაც არ გვარდება და დავა ძლიერდება, დისკურსის მონაწილენი ნაგულისხმები დაშვების საზღვრებს მიღმა გავლენ...

თუ კამათი უფრო მწვავდება, და არ ცხრება, მაშინ კამათის მონაწილეები მოქმედების ნორმალური ინტენციის შესახებ ნაგულისხმები დაშვების ფარგლებიდან ან ობიექტის კარგი მდგომარეობის შესახებ საზღვრებიდან გადიან.

ახლა, საკუთარი აჩემება რომ გაამართლონ, ისინი, მაგალითად, ეფექტურობისა და უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს დაეყრდნობიან, თავიანთ საბუთებს ძალიან ფართო კონვენციონალურ მოთხოვნებზე დააფუძნებენ, რომლებიც ადამიანებმა თუ უსულო არსებებმა, ვალდებულების პრინციპით, უნდა დააკმაყოფილონ, რათა კვალიფიციურნი იყვნენ. ისინი კვალიფიკაციებს კონვენციონალურ შემოწმებას უქვემდებარებენ.

დავის დროს ეკვივალენტობის პრინციპზე დაყრდნობა საბაზო მოქმედებაა, რომელიც აუცილებლად სრულდება იმისათვის, რომ წამოაყენონ მოთხოვნა, ყურადღება გამახვილდეს უსამართლობასა და სამაგიერო მოთხოვნაზე. იმისათვის, რომ არ დაიშვას ძალადობა, უკმაყოფილო ადამიანმა უნდა გამოხატოს პრეტენზიები და ისეთნაირად დააკავშიროს მტკიცებულებებთან და თავის მართლებასთან, რომ მისი დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდეს.

თუ დავეთანხმებით იმ იდეას, რომ გამართლებული დავები ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობას ეფუძნება, რომლის ობიექტი გარკვეულ სიტუაციაში წარმოდგენილი განსხვავებული არსების ღირებულებებისა და სიდიდეების შეფარდებითი წესრიგია, მაშინ ძალიან განსხვავებული სურათები შეიძლება ერთმანეთთან დავაკავშიროთ.

მაგალითად, განვიხილოთ ამგვარი ხშირად წარმოქმნილი პრობლემა: ტრაპეზის დროს სტუმრებს შორის როგორ გავანაწილოთ კერძები, თუ მაგიდა დიდია და სტუმრებს არ შეუძლიათ საკუთარ თავს მოემსახურონ, როგორც ფურშეტის დროს. ამგვარი ტრაპეზის დროს კერძების ჩამორიგების თანმიმდევრობის საკითხს თავიდან ვერ ავიცილებთ, ამასთან, ეს კითხვა საჯაროდ უნდა დაისვას. რა თქმა უნდა, შეიძლება პრობლემის გადაჭრა დროითი ან სივრცობრივი თანმიმდევრობის მიყოლებით, რომელიც მომსახურების რიგის სოციალურ მნიშვნელობას ანეიტრალებს, რაც იმას გულისხმობს, რომ მასპინძელი ყოველგვარი რიგის გარეშე აგზავნის კერძებს მაგიდაზე. ყველა სხვა შემთხვევაში, მომსახურების დროითი თანმიმდევრობა სტუმრების შედარებითი მნიშვნელობისა და დაფასების გათვალისწინებით, უფროს-უმცროსობის მიხედვით მომსახურებად აღიქმება.

თუმცა ამ წესის გამოყენება შეიძლება განსაკუთრებით მაშინ გაძნელდეს, თუ ერთდროულად ღირებულებების განსხვავებული წესრიგის არსებობის შესაძლებლობა შეიქმნება, პირველად ვის შევთავაზოთ კერძი – ბებიას თუ მასპინძლის შეფს? რამდენადაც ერ-

თსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებული შესაძლო წესი არსებობს, პროტესტის შესაძლებლობა წარმოიშობა. ჰარმონიული და გამართული სცენის პირობა მონაწილეთა სავარაუდო თანხმობაა იმ თვისებათა შესახებ, რომლებსაც მომსახურების რიგითობით უნდა გაესვას ხაზი. მაგრამ ასეთი თანხმობის წინა პირობას კონვენციონალური ეკვივალენტობის საერთო აღიარება წარმოადგენს... მაშინაც კი, თუ ამ კონვენციისადმი მიმართვა არ არის ცხადი, ის საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს იმისათვის, რომ შექმნას სიტუაცია, რომელიც თითქოს ბუნებრივ წესრიგზეა დაფუძნებული.

ლეგიტიმური შეთანხმების შესაძლებლობა

იმ ტიპის შეთანხმების, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, ერთ-ერთ ძირითად ნიშანთვისებას მისი კრიტიკისადმი მიდრეკილება და რეალური თუ პოტენციური დაპირისპირება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, თავდასხმის შემთხვევაში რომ წინააღმდეგობის შესაძლებლობა იყოს, ის გამართლებული უნდა იქნეს. ამრიგად, ჩვენი მიზანი იქნება არა ურთიერთ და ვითარებაზე დამოკიდებული შეთახმება ინდივიდებს შორის (რომელსაც შეიძლება დაუმტკიცებელი ეწოდოს და რომელიც, აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ლოგიკურად არათანმიმდევრული იყოს), არამედ გამართლებული შეთანხმება კრიტიკასთან შესახვედრად მიმართული. შეიძლება მსგავსი შეთანხმების განზოგადების აუცილებლობასთან თავსებადობა შევნიშნოთ.

რა თქმა უნდა, შეგვეძლო, ყურადღება არ მიგვექცია შეთანხმების ლეგიტიმურობისთვის, შემოვფარგლულიყავით ახსნა-განმარტებით, რომელიც მხოლოდ ისეთ ცნებებს დაეფუძნებოდა, როგორიცაა შემთხვევითობა, მოტყუება ან იძულება, მაგრამ ჩვენ გვინდა, მოცემული პრობლემა რიგიანად (ძირფესვიანად) განვიხილოთ. ამასთან, განსაკუთრებით გამოვყოთ გამართლების პროცესი. რა თქმა უნდა, არ შეიძლება სოციალურ ცხოვრებაში ბატონობის, იძულების, ინტერესების ან თუნდაც ტყუილის ცდომილების და თავის მოტყუების როლი სათანადოდ არ შევაფასოთ, მაგრამ მთლიანად და სავსებით ტყუილზე და ცდომილებებზე დაფუძნებული სამყაროს წარმოსახვას თვით სოციალური აქტორების გამოცდილებაც ვეღარ შეძლებდა.

კრიტიკული სოციოლოგიის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მას არ შეუძლია აქტორების მიერ ნაცადი კრიტიკული მოქმედების ახსნა. ამიტომ სოციოლოგიამ, რომელსაც უნდა აქტორების კრიტიკული მოქმედება შეისწავლოს, – კრიტიკის სოციოლოგია, როგორც განსაკუთრებული მიმართულება – უარი უნდა თქვას, დროებით მაინც, კრიტიკული პოზიციისაგან, რათა ადამიანთა ყოველდღიური კრიტიკული მოქმედების საფუძველში მდებარე ნორმატიული პრინციპები გამოავლინოს. თუ ჩვენ გვინდა რიგიანად განვიხილოთ აქტორების ის მოთხოვნები, რომელთაც ისინი სოციალური უსამართლობის განხილვისას, ძალისმიერი დამოკიდებულებების/ ურთიერთობების კრიტიკისას ან თავის მოწინააღმდეგეების ფარული მოტივების მხილებისას წამოაყენებენ, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ აქტორები, რომელთაც კრიტიკისა და გამართლების ლეგიტიმური და არალეგიტიმური საშუალებების განსხვავების უნარი აქვთ. უფრო ზუსტად, სამართლიანობის ჩვეულებრივი გრძნობებისთვის დამახასიათებელია კომპენტენცია, რომლითაც ადამიანები დავისას ხელმძღვანელობენ. ახლა შევეცდებით, ამ კომპეტენციის ანალიზი წარმოვადგინოთ. ჩვენი მიზანი იქნება აქტორების სამართლიანობის გრძნობის, ან უფრო სწორად, მათი უსამართლობის გრძნობის აღწერა და კომპეტენციის მოდელების აგება, რომელსაც ყოველდღიურ კრიტიკულ სიტუაციებთან შეჯახებისას აქტორები უნდა ფლობდნენ. ამრიგად, ეს მიდგომა განსხვავდება მორალური ფილოსოფიისაგან, რომელიც ისწრაფვის, სამართლიანობისკენ წამყვანი ზოგიერთი ნორმატიული პრინციპი და პროცედურები აღმოაჩინოს.

თუმცა სამართლიანობის ნორმატიული მოდელი შეიძლება ჩვენ მიერ აღწერილი აქტორის სამართლიანობის გრძნობაზე ავაგოთ. ლეგიტიმურობის მოთხოვნა შეიძლება გადავცეთ შემდეგი ფრიად პრაქტიკული მტკიცებულებით: კრიტიკას ან გამართლებას შეიძლება ვუწოდოთ ლეგიტიმური კონკრეტულ სიტუაციაში, თუ მოლაპარაკეს (მთქმელს) შეუძლია მიჰყვეს მას ახლად მოსულის (შემომატებულის) სოციალური მახასიათებლების მიუხედავად. მაშასადამე, ლეგიტიმურობის მოთხოვნას განზოგადების პროცესი მოქმედებაში მოჰყავს.

სამართლიანობის გრძნობის მოდელირება

გამართლების სიტუაციებში ადამიანებმა თავიანთი პოზიცია ლეგიტიმურ ღირებულებებზე უნდა დააფუძნონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქცევის ყველა ნორმა ეკვივალენტობის ერთადერთ პრინიპზე დავიყვანოთ. ჩვენი შრომა სოციოლოგიის ველში კვლევითი სტრატეგიის აგებისკენაა მიმართული, – ისე, როგორც ეს გააკეთა მაიკლ უოლცერმა სამართლიანობის ფილოსოფიაში, – რომელიც ფორმალურ უნივერსალიზმსა და განუსაზღვრელ პლურალიზმის სახეს შორის ალტერნატივის თავიდან აცილებაში დაგვეხმარებოდა, რომელიც ხშირად ტრანსცენდენტალურ პოზიციებზე ემპირიული დისციპლინების, მაგალითად, ისტორიის ან სოციოლოგიის, პასუხი ყოფილა.

კლასიკური სოციოლოგიისათვის ღირებულებების სიმრავლე სოციალური ჯგუფების სიმრავლის შედეგია. მაგრამ მოცემულ სისტემაში სხვადასხვა ჯგუფებს მიკუთვნებულ ადამიანებს შორის თანხმობის საკითხზე ძნელია პასუხის გაცემა, თუ არ მივმართეთ ახსნა-განმარტებას, რომელიც, უმთავრესად, ბატონობაზე, ძალაუფლებაზე ან ძალაზე არის დაფუძნებული. მორალის თეორიები კი, რომელიც სამართლიანი საზოგადოების წინა პირობის ანალიზისადმია მიძღვნილი, უფრო ხშირად ზოგადი კონვენციის საფუძვლის შემქმნელი უნივერსალური პროცედურის ძიებაზეა ორიენტირებული. სოციოლოგიური შრომისათვის ამ კონსტრუქციების გამოსადეგობა, ძირითადად, მათ სისტემატურობასა და თანმიმდევრულობაშია. თუმცა, როდესაც ისინი მრავალგვარი სიტუაციების წინაშე აღმოჩნდებიან, რომელშიც რთული საზოგადოების წევრები არიან ჩართული, ისინი შეიძლება უტოპიურად მოგვეჩვენოს.

ფორმალურ უნივერსალიზმსა და განუსაზღვრელ პლურალიზმს შორის ალტერნატივები შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ეკვივალენტობის პრინციპების შეზღუდული სიმრავლის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლებელია კრიტიკისა და თანხმობის გაძლიერებისათვის იქნას გამოყენებული. სხვადასხვა სახის საერთო სიკეთეებისადმი მიმართვა შესაძლებლობას იძლევა, ადამიანის ღირებულებების მდგომარეობის განსაზღვრისათვის განსხვავებული გზები დავსახოთ. ამასთან, ამ მოდელში ეკვივალენტობის განსხვავებულო ფორმები დაკავშირებულია არა სხვადასხვა ჯგუფებთან, როგორც კლასიკურ სოციოლოგიაში, არამედ სხვადასხვა სიტუაციასთან. აქედან ის დასკვნა კეთდება, რომ ადამიანი ნორმალური მოქმედებისათვის ერთი დღის და შეიძლება ერთი საათის განმავლობაშიც კი ეკვივალენტობის განსხვავებული ფორმების შესაბამისად, სიტუაციების შესაბამისად უნდა გადააადგილდეს. ეკვივალენტობის განსხვავებული პრინციპები ფორმალურად ერთმანეთთან შეუთავსებელია, რამდენადაც ყოველი მათგანი ისეთ სიტუაციებშია მიღებული, რომელშიც მისი ვალიდობა დადგენილია, როგორც უნივერსალური. აქედან გამომდინარე, რაღაც სიტუაციაში მყოფ ადამიანებს უნდა შეეძლოთ იგნორირება ან დავიწყება იმ პრინციპებისა, რომლითაც სხვა სიტუაციაში გამართლებას აფუძნებდნენ...

ჩვენ ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებული, განსხვავებული წყარო ავიღეთ და ხან ერთს მივმართავდით, ხან – მეორეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მონაცემების სამი კორპუსიც კი იყო. პირველი კორპუსი – საველე მუშაობის პროცესში დავის შესახებ შეკრებილი ემპირიული მონაცემები. კვლევის ამ მიმართულებამ (სტუდენტების ჯგუფის მიერ ჩატარებულმა და სემინარზე განზოგადებულმა) არგუმენტების და სიტუაციური ხერხების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვცა, საიდანაც ჩვენ შეგვეძლო ის გამართლება აგვერჩია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში რეგულარულად გამოიყენებოდა. გავიხსენოთ ჩვენ გარემოში კარგად ნაცნობი სიტუაცია. მაგალითად, კოლეგის მიერ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული წიგნის ავ-კარგზე დისკუსია. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს წიგნი ფართოდაა ცნობილი, ან ვთქვათ, რომ კარგად იყიდება, თუმცა შექება შეიძლება გავაბათილოთ, თუ დავიწყებთ მტკიცებას, რომ წიგნი არ არის სისტემატური შრომის ან შემოქმედებითი წვის ნაყოფი. ადამიანების ან ობიექტებისათვის მიწერილი ფასეულობები ან სიდიდეები განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება, როდესაც სიტუაცია სადავო ხდება, ასე რომ, მსგავსი სიტუაციების შესწავლა ამ სიდიდეების გამოსავლენად ფრიად ხელსაყრელ შემთხვევას წარმოადგენს.

მეორე – ჩვენ მიერ გამოყენებული მონაცემთა კორპუსი პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკურ ტექსტებს წარმოადგენდა. ეს არჩევანი იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ ემპირიულად დაკვირვებადი დავის პროცესში ადამიანები, როგორც წესი, თავის მოსაზრებებს სისტემის სახით არ აყალიბებენ. ამიტომ ანალიტიკოსს ზოგჯერ უჭირს ეკვივალენტობის იმ პრინციპების აღმოჩენა, რომლებიც კვალიფიკაციისა და შეფასების პროცესს ხელს უწყობენ. პირიქით, სისტემატურობის ამგვარი მოთხოვნები, რომელთაც პრინციპების განმარტებასთან მივყავართ, პოლიტიკური ფილოსოფიის არსია. იმისათვის, რომ დამარწმუნებელი იყოს, მან იმ საერთო სიკეთის დასაბუთებულობა უნდა გვიჩვენოს, რომელზეც ეფუძნება. ამგვარად, პოლიტიკური ფილოსოფიის განსხვავებული კონსტრუქციების შედარებისას ჩვენ დავადგინეთ ეკვივალენტობის განსხვავებული პრინციპები და იმის მოდელი ავაგეთ, თუ როგორ შეუძლიათ მათ დაიცვან თავის ნათქვამი, გამართლებას რომ ექვემდებარება.

ჩვენ გამოვიყენეთ პოლიტიკური ფილოსოფია, როგორც შემოსავლელი გზა, რათა იმ კომპენტენციის ჩვენი გაგება გავაუმჯობესოთ, რომელსაც აქტორები მაშინ იყენებენ, როდესაც თავისი მოქმედება ან კრიტიკა უნდა გაამართლონ. არ შეიძლება დავის პროცესი ეგოისტური ინტერესების პირდაპირ გამოხატულებაზე ან სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობის ანარქიულ და უსასრულო კონფრონტაციაზე იქნას დაყვანილი. დავების მიმდინარეობაზე დაკვირვებისას, უფრო ზუსტად, დავებში, რომლებშიც ძალმომრეობა გამორიცხულია, შეუძლებელია ვერ შეამჩნიო საერთო იძულება, დავაში ჩაბმული ინდივიდების ქცევის ფორმირებას რომ ახდენს. მაგალითად, ადამიანებმა თავისი არგუმენტები უნდა დააფუძნონ უეჭველ (უტყუარ) მონაცემებზე, ამგვარად დაპირისპირების დასრულებაზე თავის მისწრაფებას გამოხატავენ. პოლიტიკური კონსტრუქციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საიმედო ინსტრუმენტები ამ იძულებისა და მსჯელობის საფუძვლის გამოსარკვევად, რომლებიც უფრო ხშირად ბუნდოვანი ფორმით, არგუმენტებშია შენახული და რომლებსაც ადამიანები მოქმედების დროს ერთმანეთს უცვლიან. ამრიგად, ჩვენ მიერ ამ კანონიკური ტექსტების გამოყენება წმინდა ინსტრუმენტალური იყო და, აქედან გამომდინარე, ფილოსოფიური ტრადიციებისაგან ძირეულად განსხვავებული. ჩვენ ეს ტექსტები შევისწავლეთ არა მათთვის, არა, როგორც სოციალური ან ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, არამედ, როგორც პოლიტიკური კავშირის ზოგადი გრამატიკა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ყველას წაკითხული აქვს ის ნაშრომები, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ დავაში ჩართული ადამიანების მიერ გამოყენებული კომპეტენციის მოდელების აგებისთვის, მაგრამ ამ პოლიტიკურ ფილოსოფიაში განმარტებული და ფორმალიზებული ღირებულებების თანმიმდევრობა იმ ობიექტურ ნაგებობებშიც არის განხორციელებული, რომლისგანაც ყოველდღიური სიტუაციები შედგება. დღეს ისინი არსებული სოციალური ინსტიტუტებისა და სოციალური ნაგებობების მნიშვნელოვან არსს შეადგენენ, როგორიცაა ხმის მიცემის უბნები, საამქროები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არტისტული შოუები და ოჯახური დღესასწაულები.

კრიტიკისა და გამართლების პროცესზე განსაკუთრებული ყურადღების მიმართვისას ჩვენ გვაინტერესებდა არა იმდენად პოლიტიკური ფილოსოფიის კონცეფციები, რომლებიც ხელისუფლებას და იძულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რამდენადაც თემები, რომელიც პოლიტიკური და სოციალური წონასწორობის გაგებისადმია მიძღვნილი. ამ კონსტრუქციებს აერთიანებს ის, რომ ისინი წარმოადგენენ სამყაროს, რომელშიც ადამიანები ყველა სხვა არსებულისგან მკაცრად არიან გამოყოფილნი და ფუძემდებლური თანასწორობის მეშვეობით ერთად შეკრებილნი. ამგვარად, ამ ფილოსოფიური კონსტრუქციების განმასხვავებელ ნიშანს საერთო ადამიანურ ბუნებაზე განსაკუთრებული აქცენტი წარმოადგენს. განსხვავებულ კონსტრუქციებში, რომლებიც სამართლიანობის ჩვეულებრივი გრძნობის ასახსნელად გამოვიყენეთ, ადამიანები თანასწორნი არიან, რამდენადაც ყოველი მათგანი კაცობრიობას მიეკუთვნება. მაგრამ როგორც სხვადასხვა ტრადიციებისგან აღებული ტექსტების შედარება გვიჩვენებს, ამ კონსტრუქციებისაგან ყოველი მათგანი რიგითობის და ეკვივალენტობის განსაკუთრებულ პრინციპს გვთავაზობს, რომელიც შეიძლება იმის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ, თუ რაში მდგომარეობს „დიდების“ და „სიდიადის“ ღირებულება და ამგვარად ადამიანებს შორის რიგითობის გამართლებას დაქვემდებარებული საფუძველი გავარკვიოთ.

კრიტიკის სიტუაციაში ჩართული ადამიანი უნდა იყოს დაჯილდოებული უნარით, გამართლების ერთი ფორმიდან მეორეზე იმავე მოთხოვნის შენარჩუნებით გადავიდეს. ამ მოთხოვნების, რომლებიც საერთოა განსხვავებული რიგითობისათვის, გარკვევის მცდელობამ მიგვიყვანა საერთო მოდელის გამოვლენამდე, რომელიც თავის თავში ღირებულებების ყველა რიგითობას მოიცავს და ერთიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობას ან კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობას გვიხსნის. მოდელის ცენტრში ორი ფუძემდებლური პრინციპის არსებობა – ჯერ ერთი, ზოგადადამიანური ბუნების პრინციპი, და მეორეც, რიგითობის პრინციპი – დაძაბულობას ქმნის. რიგითობის განსაკუთრებული პრინციპის შესაბამისად იერარქიის შიგნით განლაგებული ადამიანები ხომ თანასწორი არიან, ზოგადად, ადამიანური ბუნების პრინციპიდან გამომდინარე, აქედან კეთდება დასკვნა, რომ მოცემულ მომენტში გადამწყვეტია კვალიფიკაციის ნებისმიერ ფორმამდე ადამიანების მდგომარეობებს შორის განსხვავება და კვალიფიკაციის პროცესისადმი ადამიანთა მდგომარეობა. ამიტომ, კონცეფცია, რომელშიც ადამიანთა მდგომარეობაა გადამწყვეტი, მათი ღირებულებები ან „სიდიდეები“ ზოგადადამიანურ პრინციპებს დაშორდება. კრიტიკული მომენტი – ეს სწორედ ის მომენტია, როდესაც ადამიანური უთანხმოება (აზრთა სხვადასხვაობა) ღირებულებების მიზეზით (საბაბით) ცხადი ხდება. მაგალითად, ვინმე თავის კრიტიკას ამგვარად ააგებს: „საუკეთესო კომპიუტერი არცთუ კარგ პროგრამისტს გადასცეს“, ან სხვა სიტუაციაში: „უფროსი ვაჟი, რომელიც ქონების მემკვიდრეა, სინამდვილეში, მისი მართვისთვის საჭირო თვისებებს არ ფლობს“. ამ აზრთა სხვადასხვაობის გამოვლენა შედარებით ღირებულებისადმი ეჭვს აჩენს, რის გამოც წარმოიქმნება მღელვარება. იმისათვის, რომ ეს მერყევი ვითარება გადავჭრათ, სიტუაციაში დამკვიდრებული მსჯელობაა

აუცილებელი. რომ გავიგოთ, ეს აზრი საიდან წარმოიშვა, ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ პრაგმატულ პირობებზე, რომლებშიც ადამიანს ღირებულება მიეწერება. ამ დროს ჩვენ წინაშე დადგება საკითხი ობიექტებს, ადამიანებსა და ნივთებს შორის ურთიერთობებზე. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ პროგრამისტის შემთხვევა, ვის კომპეტენციაშიც ეჭვი შეიტანეს, ანდა უფროსი ვაჟის შემთხვევა, რომელსაც აუცილებელ მორალურ თვისებებზე უარი უთხრეს, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ კავშირი ადამიანებსა და უამრავ ობიექტს შორის, მატერიალურსა და არამატერიალურს, ისეთებს, როგორიცაა მანქანები, კომპიუტერული პროგრამები, ინსტრუქციები, რეკომენდაციები, მემკვიდრეობის წესი, ნიადაგის თავისებურებები და ა.შ. ჩვენ ამ ობიექტებს არ განვიხილავთ, როგორც მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის მატარებლებს, როგორც ამას სოციოლოგები ხშირად აკეთებენ. ჩვენი სურვილია ვაჩვენოთ ის, თუ ადამიანები, ცდილობენ რა გაფანტონ საკუთარი ეჭვები, როგორ დაეყრდნობიან (ეყრდნობიან) მდგრადი რეფერენტების სახით გამოყენებულ ნივთებს, ობიექტებს და ხერხებს, რომლებზედაც შესაძლებელია რეალობების გამოცდა ან შემოწმება ეფუძნებოდეს. რეალობების მსგავსი შემოწმებები მსჯელობებს შესაძლებლობას აძლევს, დასაბუთებულ და ლეგიტიმურ შეთანხმებას მიაღწიონ და, ამრიგად, დავის დასრულების შესაძლებლობა უზრუნველყონ.

იმისათვის, რომ ობიექტების სამყაროები აღმოვაჩინოთ, რომლებზედაც რეალობების შემოწმების ჩატარება ეფუძნება, ჩვენ შევისწავლეთ მონაცემების მესამე კორპუსი, ზოგიერთი თანამედროვე ნაშრომი, რომელიც თანამედროვე კომპანიებში ქცევის წესების სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ეს სახელმძღვანელოები მკითხველთა ფართო წრისათვის არის დაწერილი და მოწოდებული არიან, დიდაქტიკური ფუნქცია შეასრულონ. რამდენადაც ისინი განკუთვნილია ადამიანებისათვის იმის სასწავლებლად, როგორ გაუმკლავდნენ ახალ სიტუაციებს და როგორ ვიმოქმედოთ უკვე არსებულში, ისინი შეიცავენ მითითებებს მრავალრიცხოვან ჩვეულებრივ ობიექტებზე, რომლებიც, ბუნებრივია, პოლიტიკის შესახებ ფილოსოფიურ ტრაქტატებში არ არსებობენ. ჩვენ ვცდილობდით სრულიად განსხვავებული სახელმძღვანელოების შერჩევას. ყოველი მათგანი ღირებულების განსაზღვრის განსაკუთრებულ ხერხის (საშუალების) გამოვლენას ეძღვნება, მაგრამ იგულისხმება, რომ ყოველი მათგანი ერთსა და იმავე სოციალურ სივრცეში პოვებს გამოყენებას, რომელიც, ჩვენ შემთხვევაში, თანამედროვე კომპანიის სივრცეს წარმოადგენს. ამის მიზეზი შემდეგია. ზემოთ ჩვენ წამოვაყენეთ ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ერთსა და იმავე ადამიანებმა ერთი სიტუაციიდან მეორეში გადასვლისას ერთსა და იმავე დღეს ერთსა და იმავე სოციალურ სივრცეში შეფასების განსხვავებული ხერხები უნდა გამოიყენონ, ღირებულების განსხვავებული ტიპებისადმი მიმართვის ჩართვით.

ჩვენს დროში კომპანიები ფრიად ხელსაყრელ ველს წარმოადგენენ ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე კომპანიაში სხვადასხვაგვარი რესურსების შეხამება (შეერთება), რასაც მივყავართ შეთანხმებულობის განსხვავებულ ფორმებთან და სამართლიანობის განსხვავებულ პრინციპებზე დაფუძნებასთან. დროსა და სივრცეში ერთმანეთთან ახლოს მყოფი სიტუაციები განსხვავებული პრინციპების საფუძველზე მართლდებიან და ერთმა და იმავე ადამიანებმა უნდა გადალახონ ეს სიტუაციები. ავიღოთ, მაგალითად, ავიაკონსტრუქტორის შემთხვევა, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში უნდა დააპროექტოს ახალი თვითმფრინავის ექსპერიმენტული ლაბორატორიული ტექსტი, შემდეგ უნდა წავიდეს ლანჩზე, სადაც მიწვეულია სენატორი (ე.ი. პიარი), და დღის ბოლოს (საღამოს) მოიხსნის ჰალსტუხს და CFDT-ის ადგილობრივი პროფკავშირების კრებას დაესწრება. იმავე ადამიანმა სახლში გვიან მისვლისათვის ცოლისგან

საყვედურებიც უნდა მიიღოს, დაბოლოს, ცოტა ხნის წინ საჯაროდ აღიარებული შთაგონებული ახალგაზრდა პიანისტის კონცერტსაც დაესწროს.

ჩვენ ავირჩიეთ ყოველდღიური პრაქტიკისათვის თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიძლება კლასიკურ პოლიტიკურ ტექსტებს შეეხამონ და რომლებისგანაც ამოვიღეთ სხვადასხვა ყოველდღიურ სიტუაციებში გამოყენებადი წესრიგის პრინციპები. შემდეგ ჩვენ საკმაოდ არასაპატივსაცემ პროცედურას შევასრულებთ. ეს „მიწიერი“ სახელმძღვანელოები პოლიტიკური ფილოსოფოსების უკვდავ შრომებთან ერთად დავამუშავეთ.

საერთო სამყაროები

ახლა ჩვენ ძალიან მოკლედ შემოვხაზავთ საერთო სამყაროებს, ყურადღებას გავამახვილებთ, ჯერ ერთი, კლასიკური ტექსტებიდან წესრიგის სხვადასხვა პრინციპის აღებაზე, რომლებიც მათ საფუძველშია და, მეორეც, იმ არსებებზე (ადამიანები თუ ნივთები), რომლებითაც მოცემული სამყაროებია დასახლებული და შესაბამის პრაქტიკულ სახელმძღვანელოებშია აღწერილი. „გამართლებაზე“ ნაშრომში ჩვენ ექვსი სამყარო გამოვყავით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 6 სამყარო მოხმობილი ყოველდღიური სიტუაციების უმრავლესობის გამართლების აღსაწერად საკმარისია. თუმცა რიცხვი ექვსი მაგიური სულაც არ არის. გამორჩეული სამყაროები ისტორიული კონსტრუქციებია, ზოგიერთი მათგანი სულ უფრო და უფრო კარგავს ადამიანთა გამართლების გამაგრების უნარს და მათ სანაცვლოდ სხვები აღმოცენდებიან. შეიძლება დავსვათ კითხვა, მოცემულ მომენტში ხომ არ წესდება მწვანე (ეკოლოგიური) ან კომუნიკაციური ღირებულება?

ღირებულების რიგი	შთაგონების სამყარო	საშინაო სამყარო	სამოქალაქო სამყარო	აზრის სამყარო	ბაზრის სამყარო	ინდუსტრიალური სამყარო
შეფასების ხერხი (ღირებულება)	მადლი, ნონკონფორმიზმი, შემოქმედების უნარი	პატივისცემა, რეპუტაცია	კოლექტიური ინტერესი	ცნობადობა	ფასი	მწარმოებლურობა, ეფექტურობა
შესაბამისი ინფორმაციის სახე	ემოციონალური	ზეპირი, მაგალითზე და ცხოვრებისეულ შემთხვევებზე დაფუძნებული	ფორმალური, ოფიციალური	სემიოტური	ფულა-დი	გაზომვადობას დაქვემდებარებული კრიტერიუმები, სტატისტიკა
საბაზისო ურთიერთობები	ვნება	ნდობა	სოლიდარობა	აღია-რება	გაცვლა	ფუნქციონალური კავშირი
ადამიანთა კვალიფიკაცია	შემოქმედების უნარები, გამომგონებლობა	ავტორიტეტი	თანასწორობა	სახელგანთქმულობა	სურვი-ლი, მსყიდველუნარიანობა	პროფესიული კომპეტენცია, პროფესიონალიზმი

შთაგონების სამყარო

ამ სამყაროს შექმნა წმინდა ავგუსტინეს წიგნს „ღვთის ქალაქი“ და ტრაქტატს, რომელიც მან მადლის პრობლემას მიუძღვნა, ეფუძნება. ამ სამყაროში ღირებულება არის გარეშე წყაროსთან უშუალო ურთიერთობაში, რომლისგანაც ნებისმიერი შესაძლო ღირებულება იღებს სათავეს. ეს ღირებულება ეფუძნება მადლმოსილების მდგომარეობის მიღწევას და, აქედან გამომდინარე, სხვების აღიარებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია. ის აღმოცენდება ადამიანის სხეულში, განსაკუთრებით, ასკეტიზმით მომზადებულში, უმთავრესად, გრძნობის მეშვეობით. მისი გამოვლინება სხვადასხვაგვარი და მრავალნაირია: წმინდანობა, შექმნა, მხატვრული მგრძნობელობა, წარმოსახვა. მიუხედავად ამისა, ამ სამყაროს ეყრდნობიან (იმოწმებენ) ყოველთვის, როდესაც ადამიანები ღირებულებას აღწევენ და სხვისი აზრი არ აფიქრებთ (არ აინტერესებთ). მაგალითად, ეს ეხება არტისტებს. არტისტები არ უგულებელყოფენ საზოგადოებრივი აღიარების გამოვლინებებს ან ფინანსურ მხარდაჭერას, მაგრამ იმისათვის, რომ ისინი მიიღოს, უნდა წავიდეს კომპრომისებზე (რომელიც ყოველთვის ძნელი მისაღწევია) სხვა ტიპის ფასეულობებით, მაგალითად, ცნობადობის, ან ბაზრის ფასეულობით, მაშინაც კი, როცა აღიარებას აღწევენ, თავისი შრომის ან საკუთარი თავის ღირებულებას არასოდეს უკავშირებენ წარმატებას.

შთაგონების სამყაროს ობიექტების გამოსავლენად, გამოვიყენეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელსაც „კრეატიულობა პრაქტიკაში“ ჰქვია. სახელმძღვანელო დაწერილი იყო „კრეატიულობის კონსულტანტის“ მიერ, ხელმძღვანელებისათვის შემოქმედებითი უნარის განვითარების მიზნით. ისევე, როგორც სხვა სახელმძღვანელოების შემთხვევაში, რომელთა შესახებაც შემდეგში მოგახსენებთ, მოცემული ნაშრომიდან შეიძლება ამოვიღოთ ტერმინების სია, რომელიც ადამიანებს, საგნებს, ხარისხებს და ურთიერთობების აგების ტიპურ ხერხებს ეხება. დეტალებში ჩაძიების გარეშე შეიძლება ვაჩვენოთ, რომ შთაგონების სამყაროს ისეთი არსებები შეესაბამებიან, როგორიცაა, მაგალითად, სულელები, გიჟები, მხატვრები, ბავშვები. ისინი არიან მნიშვნელოვანი და დიდები, თუ არიან არაჩვეულებრივნი, ემოციონალურები და შეუძლიათ სხვების გაოცება. მათი მოქმედების ტიპური მდგომარეობა არის ოცნება, წარმოსახვა, პროტესტი ან მკვეთრად გამოხატული განცდა.

საშინაო სამყარო

საშინაო (ოჯახური) სამყარო გამოყენებული იყო ბოსუიეს ნაშრომის – „წმინდა წერილიდან ამოღებული პოლიტიკის“ კომენტარებიდან. საშინაო სამყაროში ადამიანთა ფასი დამოკიდებულია ნდობის იერარქიაზე, რომელიც პიროვნული დამოკიდებულებების ჯაჭვს ეფუძნება. არსებებს შორის პოლიტიკური კავშირი განიხილება, როგორც ნათესაობის, ახლობლობის განზოგადება და პიროვნებათშორის ურთიერთობების და ტრადიციების პატივისცემას ეფუძნება. ამ სამყაროში არ შეიძლება ადამიანს თავის სხეულთან, ოჯახთან, ნათესაობასთან, წოდებრივ ფენასთან თანაზიარობა წაართვა. ბოსუიეს პოლიტიკურ კონსტრუქციაში, მეფე, რომელიც უმაღლეს არსებას წარმოადგენს, შეიძლება შევადაროთ მამას, რომელიც მასზე დამოკიდებულებებს მსხვერპლად ეწირება. ამ მოდელში იმისათვის, რომ შევაფასოთ ვინმეს ღირებულება, საჭიროა გავიგოთ მისი ადგილი დამოკიდებულებების იმ ქსელში, რომლიდანაც ეს ადამიანი კვებავს თავის ავტორიტეტს. დღევანდელი საშინაო სამყაროს ობიექტების აღსაწერად გამოვიყენეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც ასწავლის კარგ მანერებს და ადამიანებთან ურთიერთობებს სოციალური მობილური თანამშრომლებისათვის შექმნილ კომპანიაში (მას ჰქვია „კარგი ტონისა

და კარიერის წესები“). მოცემული წიგნის თანახმად, მნიშვნელოვან და წონიან ადამიანებს წარმოადგენენ უფროსები, შეფები ან ნათესავებიც კი. ძირითადი ღირებულებისაა კარგი მანერები, პატიოსნება, ერთგულება და „ხასიათის“ ქონა; ტიპური ობიექტები – მაგალითად, სავიზიტო ბარათები, საჩუქრები, მამულები, სახლები, ტიტულები. შესაბამის ურთიერთობებს შორის ვახსენებთ რეკომენდაციის აქტს, დაბადებას, აღზრდას, აღდგენას, მიწვევას.

ცნობადობის სამყარო

ცნობადობის სამყარო აღებულია ჰობსის ლევიათანიდან, განსაკუთრებით იმ თავიდან, რომელიც ღირსებას ეძღვნება. თუ შინაურ სამყაროში ღირებულებას მნიშვნელობა მხოლოდ არსებების იერარქიულ ჯაჭვში აქვს, ცნობადობის სამყაროში პირიქით – ღირებულება სხვა ადამიანთა აზრის შედეგია. ადამიანის ღირებულების ზომა საზოგადოებრივი აღიარების კონვენციალურ ნიშნებზეა დამოკიდებული. ღირებულების ეს ტიპი მხოლოდ მაღიარებელი ინდივიდების რაოდენობაზეა დაფუძნებული. ამგვარად, მას არ აქვს არავითარი ურთიერთობა პირადი დამოკიდებულების სფეროსთან და არ არის დაკავშირებული ადამიანის თვითპატივისცემასთან. ამ მიზეზით, ადამიანის თვითშეფასებასა და სხვების მიერ აღიარებას შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო შეიძლება კამათი წარმოიშვას: ამ სამყაროს ნამდვილი რეალობა არის სხვა ადამიანების აღიარება.

ამ სამყაროში გასარკვევად ჩვენ გამოვიყენეთ სახელმძღვანელო, რომლითაც (PR) საზოგადოებასთან ურთიერთობის ხერხებს ასწავლიან – „საზოგადოებასთან კავშირების პრინციპები და ტექნოლოგია“. ამ სამყაროს შესაბამისი ადამიანები არიან ცნობილი პიროვნებები, ვარსკვლავები, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, ჟურნალისტები. ისინი არიან დიდები და წონიანები მხოლოდ მაშინ, როცა არიან ცნობილნი, აღიარებულნი, წარმატებულნი ან დამაჯერებელნი. მოცემული სამყაროს ჩვეულებრივ ობიექტებს წარმოადგენენ სავაჭრო მარკები, წარმატების (განმასხვავებელი) ნიშნები, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საშუალებები, ბუკლეტები და პრესრელიზები. ურთიერთობის აგების შესაბამისი ხერხი – ესაა გავლენა, ვინმესთან საკუთარი თავის გაიგივება, ვინმეზე ლაპარაკი ან მიმართვა, აგრეთვე, ჭორები და დარხეული ხმები, ამბები.

სამოქალაქო სამყარო

ალბათ, არც ერთი ნაშრომი არ იძლევა სამოქალაქო სამყაროზე უკეთეს წარმოდგენას, მის ფრანგულ ვარიანტში მაინც, ვიდრე რუსოს წიგნი „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე“. სამოქალაქო პოლიტიკაში, ისევე, როგორც ოჯახურში, როგორც ეს ბოსუიემ წარმოადგინა, სამოქალაქო სამყარო სუვერენის ძალაუფლებაზეა დამოკიდებული, ვისი უპირატესობაც ინდივიდების ეგოისტურ სურვილებზე საერთო კეთილდღეობის გარანტიას იძლევა. მაგრამ რუსოს სუვერენს კონკრეტული განსახიერება არა აქვს. სამოქალაქო სამყაროში, როდესაც მოქალაქეები უარს ამბობენ კერძო ინტერესებზე და მხოლოდ საერთო კეთილდღეობისათვის ისწრაფვიან, მაშინ მათი ნების გამოვლენა თავს ერთ წერტილში იყრის. ასე ფორმირდება სუვერენი. სამოქალაქო ღირებულება უპირისპირდება როგორც პიროვნულ დამოკიდებულებებს, რომლებზედაც ოჯახური სამყაროს ღირებულება ეფუძნება, ასევე, საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ცნობადობის ღირებულებას წარმოქმნის. სამოქალაქო სამყაროში ადამიანები უმნიშვნელონი არიან, თუ მათ შევხედავთ, როგორც ერთმანეთისგან განცალკევებულ ინდივიდებს, რომლებიც თავისი ეგოისტური ნების თანახმად მოქმედებენ. პირიქით, თუ მათ ჩავთვლით ისეთი სუვერენის წევრებად, რომელსაც

არ აქვს კონკრეტული განსახიერება, რომელიც მხოლოდ საერთო ინტერესებზე ზრუნავს, მაშინ ისინი მნიშვნელოვანნი არიან და სამოქალაქო სამყაროს შეესაბამებიან. იმისათვის, რომ ძირითადი ობიექტების, პიროვნებების სამოქალაქო სამყაროს ხერხების სია შევადგინოთ და კომპანიებში ამ თვალსაზრისით განხილული სიტუაციები აღვწეროთ, ჩვენ ორი ურთიერთშემვსები პროფკავშირული სახელმძღვანელო – „როგორ ავირჩიოთ ან დავნიშნოთ დელეგატები“ და „პროფკავშირული სექცია“ – გამოვიყენეთ. შრომის სფეროში სამუშაო ძალის ორგანიზაციის წესი რეგულირდება სოციალური კანონებით, რომლებიც თავისთავად მეცხრამეტე საუკუნის მისწრაფების (გამოიყენოს ეკვივალენტობის სამოქალაქო პრინციპი) რეზულტატია.

სამოქალაქო სამყაროს განსაკუთრებულობას წარმოადგენს ყურადღების გამახვილება არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ არსებებზე. ცალკეული ინდივიდები შეიძლება მიიჩნეოდნენ შესაბამისებად და მნიშვნელოვნებად მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მიეკუთვნებიან ჯგუფს ანდა კონკრეტული პირის წარმომადგენლები არიან. ამიტომ მოცემულ სამყაროში მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან ფედერაციები, გაერთიანებები (ამხანაგობები), წარმომადგენლები ან დელეგატები. მათი თვისებებია: ოფიციალურობა და კანონთან შესაბამისობა, შესაბამისი ობიექტები შეიძლება იყვნენ როგორც არამატერიალური (მაგალითად, წესები, კოდექსები, პროცედურები), ასევე, მატერიალური (პროფკავშირების შენობები, საარჩევნო ყუთები), ღირსეულად ითვლება ის ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებს კოლექტიური მოქმედებისაკენ დარაზმავს (მობილიზებას გაუკეთებს).

ბაზრის სამყარო

ადამ სმიტის „გამოკვლევა ხალხების სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებზე“ (ძირითადად, პირველი თავები, რომლებშიც ძირითადად იმაზეა საუბარი, თუ როგორ მუშაობს ბაზარი) შეიცავს არგუმენტებს, რომლებიც აფუძნებენ ჰარმონიულ პოლითიურ ბაზრის პრინციპებს. საქონლის იშვიათობის გამო, რომლის შეძენაც ყველას უნდა, საბაზრო ეკონომიკა ინდივიდებს კოორდინირებას უწევს. სურვილების ეს შეჯიბრი ინდივიდებს დამოკიდებულს ხდის სხვების ფასის წადილზე საქონლის დაუფლებისათვის. სიმდიდრის მშვიდი სურვილი, როგორც ალბერტ ხირსმანი წერს თავის წიგნში „ვნებები და ინტერესი“, ინდივიდუალური ინტერესების გადამლახავ საშუალებას გვაძლევს, რათა ჰარმონიული წესრიგი დავამყაროთ. ბაზრის სამყარო არ შეიძლება ავურიოთ ეკონომიკური ურთიერთობების სფეროსთან, პირიქით, ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ეკონომიკური მოქმედებები კოორდინაციის ორ მთავარ – საბაზრო და ინდუსტრიულ ფორმას მაინც ეფუძნება. ამასთან, ორივე მათგანი რეალობის სხვადასხვაგვარი შემოწმებისათვის საყრდენს წარმოადგენს.

ჩვენ ვერ შევძელით თანამედროვე ფრანგული სახელმძღვანელოს მოძიება, რომელიც შეიძლება იმ ობიექტების აღსაწერად გამოგვეყენებინა, რომლებიც თანამედროვე კომერციულ სამყაროსთან შესაბამისობაში იქნებოდნენ. ამიტომ ჩვენ მივმართეთ ამერიკული გამოცემის ფრანგულ თარგმანს „რას არ ასწავლიან ჰარვარდის ბიზნესსკოლაში“, რომელიც განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის ბიზნესის ხელოვნების სწავლებისათვის. ჩვენი მიზნებისათვის ეს წიგნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქმიანი წარმატების საფუძვლად მასში გამოცდილებაა აღებული, რომელიც სამრეწველო წარმოებასთან არანაირად არ არის კავშირში: ავტორი გამდიდრდა სარეკლამო სააგენტოების ცნობილი, სახელგანთქმული ადამიანების სახელების გაყიდვით. საბაზრო სამყაროს მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან მყიდველები და გამყიდველები. ისინი მნიშვნელოვანი არიან, როცა მდიდრები არიან. მათი ძირითადი თვისებებია: ოპორტუნიზმი ბაზ-

რის შესაძლებლობების აღმოჩენისა და გამოყენებისას, რა გინდა რა პირადი კავშირებით დაუმძიმებლობა და ემოციური თავშეკავებულობა. ერთმანეთთან მათ კონკურენტული ურთიერთობა აკავშირებს.

ინდუსტრიული სამყარო

ეკვივალენტობის ინდუსტრიული პრინციპი ფრანგული სოციოლოგიის დამაარსებლის სენ სიმონის შრომებიდან იქნა ამოღებული. ამ სამყაროში ღირებულება ეფექტურობაზეა დამოკიდებული. ის შეიძლება პროფესიული შესაძლებლობების სკალის გამოყენებით გაიზომოს. მატერიალური სიკეთეების წარმოებასთან დაკავშირებული ინდუსტრიული ღირებულება დაცულია ორგანიზაციული ხერხების (ღონისძიებების) შემუშავებით, რომლებიც მომავლის დაგეგმვასა და ინვესტირებაზეა ორიენტირებული.

ინდუსტრიული სამყაროს აღწერისათვის ჩვენ გამოვიყენეთ სახელმძღვანელო პროდუქციულობის შესახებ – „შრომის ნაყოფიერება და პირობები". ამ სამყაროს მნიშვნელოვან პირებს სპეციალისტები წარმოადგენენ. მათი პროფესიული თვისებების აღსაწერად გამოყენებული ტერმინები ნივთების განსაზღვრისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ითვლება, რომ ისინი ფლობენ ღირებულებას, როცა ეფექტურები, პროდუქტიულები, ოპერატიულები არიან. ისინი იყენებენ იარაღებს, მეთოდებს, კრიტერიუმებს, გეგმებს, ციფრებს, გრაფიკებს და ა.შ. მათი ურთიერთობები ჰარმონიულად ითვლება, თუ ისინი ორგანიზებული, გაზომვადი, ფუნქციონალური და სტანდარტიზებულია.

კრიტიკა და კომპრომისები

კრიტიკა მოცემული სამყაროსათვის შეიძლება შინაგანი იყოს, თუ ნაკლოვანებები და შეცდომები აღინიშნება, მაშინ არსებები ხელახლა კვალიფიცირდება და მათი მნიშვნელობა გამომჟღავნდება. ან კრიტიკა შეიძლება იყოს უფრო რადიკალური და მოცემული სამყაროსადმი გარეგან პოზიციაზე დაფუძნებული. ასეთ შემთხვევაში კრიტიკა ხდება გარედან და ალტერნატიულ სამყაროზე ორიენტირდება. სწორედ იმის წყალობით, რომ ადამიანებს ნივთებისაგან განსხვავებით შეუძლიათ მრავალ სამყაროში არსებობა, მათ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, დაგმონ სიტუაცია, როგორც უსამართლო (მაშინაც კი, თუ კრიტიკა არ წარმოადგენს თანაბრად იოლს, რაც დამოკიდებულია მიმდინარე შეზღუდვებზე, რომელთანაც მათ უწევთ შეჯახება). ჩვენ მიერ შემოთავაზებული კრიტიკული უნარის მოდელის სახით შესაძლებელია ტიპური ანთროპოლოგიური პოზიცია განვიხილოთ.

შეიძლება ემპირიულად იმის ჩვენება, რომ ჩვეულებრივი თანამედროვე კრიტიკის დიდი ნაწილი შესაძლებელი ხდება ორი (ან მეტი) განსხვავებული სამყაროს შეერთების წყალობით, იმ სამყაროების, რომლებიც ჩვენ სქემატურად მოვხაზეთ, დავასურათეთ. თუმცა კრიტიკის მიზანი ცოტად თუ მეტად რადიკალური არის ხოლმე. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ კრიტიკის ორი ფორმა, რომლებიც მოცემული სამყაროსადმი გარეგან პოზიციაზე არიან დაფუძნებული... წამოვიდგინოთ, მაგალითად, სასკოლო გამოცდა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლის უნარების განსაზღვრა, რომელსაც, აქედან გამომდინარე, ძირითადად, ინდუსტრიული შეიძლება ვუწოდოთ. მოწაფე შეიძლება გავამტყუნოთ იმაში, რომ გამოცდის დროს მან თავისი მანერებით, დახვეწილი მანერებით, ელეგანტური პიჯაკით და ა.შ., თავისი ოჯახის სტატუსი და სიმდიდრე წარმოაჩინა. ამავე დროს, შეიძლება გავკიცხოთ მასწავლებელი, გავამტყუნოთ იმის გამო, რომ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, სიმდიდრის ეს ნიშნები გაითვალისწინა. ასეთ შემთხვევაში სიტუაციას აკრიტიკებენ, როგორც უსამართლოს, რადგანაც ღირებულება, რომელიც შეესაბამება ერთ სამყაროს, მეო-

რეში იქნა შეტანილი. ჩვენ ამ შემთხვევას ღირებულებათა გადანაცვლებას (აღრევას) ვუწოდებთ. ძირითადი პრინციპი, რომელზედაც შემოწმება ეფუძნება, დაეჭვებას არ ექვემდებარება (უეჭველია). ამ შემთხვევაში დადანაშაულება მხოლოდ ღირებულების გამომჟღავნებაზეა კონცენტრირებული, რომელიც სხვა სამყაროს ეკუთვნის. ადამიანები დაადანაშაულეს იმაში, რომ ეს სამყარო შეიტანეს გამოცდის სიტუაციაში. ამრიგად, ანაზღაურების პროცესი ახალი, უფრო „სუფთა“ (სამართლიანი) გამოცდის ჩატარება იქნება.

მაგრამ შეიძლება იყოს უფრო რადიკალური ვითარება. გიჩვენებთ სხვა ვარიანტს, რომლის დროსაც კრიტიკის ობიექტი თვითონ ეკვივალენტობის პრინციპია, რომელზედაც რეალობის შემოწმებაა დაფუძნებული. ამ შემთხვევაში კრიტიკის მიზანი მიმდინარე შემოწმების მეორე, სხვა სამყაროს შესაბამისობაში მყოფით შეცვლაა. ახლა კამათი მიმართულია არა იმაზე, თუ როგორი შემოწმება ავიღოთ, როგორ ვიყოთ სამართლიანი, არამედ იმის გაგებაზე, თუ თავის სამყაროსთან შესაბამისობაში მყოფი რომელი შემოწმება მიუდგება ნამდვილად. მოდით, ისევ წარმოვიდგინოთ გამოცდის სიტუაცია. მაგრამ ამჯერად გამოცდა მიმდინარეობს იმ დღეს, როდესაც თავისი სამოქალაქო უფლებების დასაცავად ფანჯრის იქით, ქუჩაში, სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებია, მოვიდა პოლიცია. ქუჩიდან ისმის შეძახილები. მასწავლებელს შეიძლება დაეგმო ის, რომ მისი კოლეგები აგრძელებენ გამოცდას მაშინ, როდესაც პოლიცია სტუდენტებს სცემს. მას შეუძლია თქვას რაღაც ამის მსგავსი: „ახლა მნიშვნელოვანი არა გამოცდების ჩატარება, არამედ სტუდენტებისათვის სოლიდარობის გამოცხადებაა“.

როგორც უკანასკნელი მაგალითიდან აშკარად იკვეთება, სიტუაცია რაც უფრო ნაკლებად გარკვეულია (იმ აზრით, რომ ის მოიცავს ობიექტებს, რომლებიც განსხვავებულ სამყაროებს შეესაბამებიან), მით უფრო იოლია მისი დაგმობა. ე.ი. უკანასკნელ შემთხვევაში ესენი არიან, ერთი მხრივ, მასწავლებლები, დაფები, განრიგები და ა.შ., და მეორე მხრივ, პროტესტი, უფლებები, პლაკატები, ლოზუნგებით სოლიდარობის მოთხოვნა და ა.შ. მსგავს სიტუაციებს დავარქმევთ აღრეულ (მშფოთვარე) სიტუაციებს (situations trouble). ამგვარი სიტუაციები, რომელიც ობიექტებს სხვადასხვა სამყაროდან შეიცავს, განსაკუთრებით იოლად ხდება კრიტიკის ობიექტი. შესაძლებელია, სწორედ ამ მიზეზით სიტუაციები, რომელშიც რეალობით მნიშვნელოვანი შემოწმება ხორციელდება, ჩვეულებრივ, უაღრესად მკაფიოდ მოიხაზებიან იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ კრიტიკას და შემოწმების უარყოფა გავაძნელოთ, სხვა სამყაროებიდან ობიექტები უნდა მოვაცილოთ.

ექვსი ზემოთ ხსენებული სამყაროს შეთავსების გზით, შევადგინეთ მატრიცა, რომლის საფუძველზედაც ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე ხშირი ლეგიტიმური კრიტიკა აღვნიშნეთ. მაგალითად, შეიძლება დავეყრდნოთ ეკვივალენტობის სამოქალაქო პრინციპს, რათა შინაური სამყაროს პიროვნული კავშირები გავკიცხოთ. მაგალითად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროფკავშირის მუშაკები საამქროში პატერნალიზმს გმობენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ოჯახური სამყაროს თვალსაზრისით შეიძლება ადამიანთა დაკავშირების სამოქალაქო წესი გავაკრიტიკოთ, მაგალითად, დავგმოთ უფლებრივი ურთიერთობების ტოტალური ეფექტი, რომელიც ადამიანთა შორის გულწრფელ, ჰუმანურ და თბილ ურთიერთობებს ანგრევს.

ამ მატრიცის ემპირიული გამოკვლევის გზით ასევე შესაძლებელია გამოვავლინოთ, მისი ელემენტებიდან რომელია ყველაზე მეტად გადატვირთული. მაგალითად, საფრანგეთში, სამოქალაქო თვალსაზრისით, ძალიან ხშირად ამხელენ ფარულ, ოჯახურ კავშირებს. ეს დასტურდება უამრავი სკანდალური გამოაშკარავებებით. ეს ის შემთხვევაა, როცა, მაგალითად, ვინმე გამოააშკარავებს ნათესაურ ან მეგობრულ ურთიერთობაზე აგე-

ბულ ფარულ კავშირს მერსა და განმრიგეს (შემსრულებელს) შორის, რომელსაც ქალაქის საბჭომ ახალი სპორტული მოედნის აგება შეუკვეთა.

როდესაც რადიკალური კრიტიკა თვით პრინციპს, რომელზედაც სიტუაციაა დაფუძნებული, საეჭვოდ ხდის, მაშინ დავა რეალობით ორ სხვადასხვა შემოწმებას შორის შეჯიბრად გადაიქცევა. თუ მათ უნდათ შეწყვიტონ კამათი, უნდა შეეცადონ, ერთ და მხოლოდ ერთ შემოწმებას დაუბრუნდნენ. თუმცა ყურადღება უნდა გავამახვილოთ დავის დამთავრების და თანხმობის მიღწევის მეორე საშუალებაზეც – ორ სამყაროს შორის კომპრომისი. კომპრომისის დროს ადამიანები ურთიერთთანამშრომლობით შეგნებულად მიისწრაფვიან საერთო სიკეთისაკენ იმისათვის, რომ განსხვავებულ სამყაროებთან შესაბამისობაში დარჩნენ, მაგრამ, ამასთან, არ უნდა შეეცადონ გამოიკვლიონ პრინციპი, რომელზედაც მათი თანხმობაა დაფუძნებული.

კომპრომისების მხილება იოლია. როდესაც ადამიანები კომპრომისებზე მიდიან, ისინი ისე მოქმედებენ, როგორც მაშინ, როცა მათ შეეძლოთ უფრო მაღალი რიგის ისეთ პრინციპზე დაყრდნობა, რომელზედაც განსხვავებული სამყაროს ობიექტებს შორის ეკვივალენტობა შეიძლება დაეფუძნოს.

დავის დასასრული

ორი შესაძლებლობა, რომლებიც ჩვენ ეს-ესაა ვახსენეთ – რეალობით შემოწმება და კომპრომისი – არ არის ერთადერთი საშუალება, რომელიც შეიძლება ავირჩიოთ იმისათვის, რომ გვერდი ავუაროთ კრიტიკულ მომენტს და მოქმედების ნაცად გზას დავუბრუნდეთ. საკმაოდ ხშირად ადამიანები უბრალოდ წყვეტენ დავას – რეალური შემოწმებით დადასტურებული ახალი შეთანხმების აუგებლად. თუ ჩვენ გვინდა გავერკვეთ ამ შემაცბუნებელ დასასრულში, შესაძლებელია, უნდა დავტოვოთ ეკვივალენტობის პრინციპზე დამოკიდებული სამართლიანობის სფერო და მოქმედების სხვა ლოგიკა გამოვიყენოთ, რომელიც, როგორც აფექტური მდგომარეობისას, ეკვივალენტობისადმი მიმართვაზე უარს ამბობს. ასეთ ლოგიკაზეა დაფუძნებული პატიება. დავიწყებაზე და პატიებაზე ლაპარაკი სოციალური მეცნიერების ველის დატოვებას არ ნიშნავს. ეს ურთიერთობები, ეკვივალენტობისადმი ყოველგვარი მიმართვის გარეშე ნაქსოვი, უდავოდ, ასევე შეიძლება გავარკვიოთ სოციოლოგიური და ემპირიული ანალიზითაც კი. კრიტიკის ნაკლოვანება არა, უბრალოდ, უარყოფითი რამაა, არამედ ბატონობისა და გაუცხოების რეზულტატია. ხშირად იმისათვის, რომ არ შევამჩნიოთ, ანდა თუნდაც არ გავამჟღავნოთ, თუ რაღაცა არ გვარდება, ადამიანის აქტიური მონაწილეობა და განსაკუთრებული უნარი (ცოდნა, ოსტატობა). ამ უნარის (ნიჭის) გარეშე ადამიანებს შორის ჩვეულებრივი ურთიერთობები, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა.

შეჯამება

პრაგმატისტული მობრუნება: ლიუკ ბოლტანსკის და ლორან ტევენოს სოციოლოგია

პრაგმატისტული მობრუნება შედარებით ახალი მიმართულებაა ფრანგულ სოციოლოგიაში, რომელიც ბ. ლატურისა და მ. კალონის ინოვაციების სოციოლოგიიდან, ასევე, ლ. ბოლტანსკისა და ლ. ტევენოს გამართლების (სამართლიანობის) სამყაროების სოციო-

ლოგიიდან ამოდის. პრაგმატისტული მობრუნების პირველი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი – ადამიანური სიტუაციების და არა სოციალური პროცესების ან სოციალური ჯგუფების სოციოლოგიაა. მიმდინარე ხდომილებების და სიტუაციების კვალიფიცირება თავად სიტუაციაში მონაწილე მოკამათეების მიერ ხდება, სოციოლოგი უბრალოდ თვალს ადევნებს, თუ როგორ მიმდინარეობს სიტუაციის ზოგადი ინტერპრეტაციის დადგენის პროცესი.

პრაგმატისტული მობრუნების მეორე ნიშანი სოციალური რეალობის ნივთობრივ ხასიათზე და, შესაბამისად, ნივთებისადმი ყურადღების გამახვილებაა.

მესამე ნიშანი კი კრიტიკულ პოზიციებზე უარის თქმაა. ბოლტანსკი და ტევენო, კრიტიკული სოციოლოგიის ნაცვლად, კრიტიკული უნარის სოციოლოგიით დასაქმებას გვთავაზობენ.

კითხვები და დავალებები:

1. გააანალიზეთ „პრაგმატული მობრუნების“ არსებითი მახასიათებლები, აჩვენეთ ის სიახლე, რომელიც სოციალურ თეორიებში ამ მიმართულებამ დაამკვიდრა.
2. რა როლი ითამაშა ე. დიურკემის და მოსის მიერ გვარებისა და სახელების მიხედვით კლასიფიკაციის სტრუქტურის წარმოშობის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა „პრაგმატული მობრუნების“ მიმართულების ჩამოყალიბებაში?
3. ცნობილია, რომ ლ. ბოლტანსკი და ლ. ტევენო თავის დროზე პ. ბურდიეს მიმდევრები იყვნენ, მაგრამ კლასიფიკაციებზე ექსპერიმენტირებისას მისგან გადაუხვიეს, რაში მდგომარეობდა ამ გადახვევის არსი?
4. რა შესწორებები შეიტანეს ბოლტანსკიმ და ტევენომ კლასების წარმოქმნის შესახებ ბურდიესეულ კლასიკად მიჩნეულ შრომაში „განსხვავება“?
5. გააანალიზეთ „პრაგმატული მობრუნების“ სამი არსებითი ნიშანი.
6. რით განსხვადება, „პრაგმატული მობრუნების“ დამფუძნებელთა აზრით, კრიტიკული უნარების სოციოლოგია კრიტიკული სოციოლოგიისაგან?
7. რის საფუძველზე დაასკვნეს ბოლტანსკიმ და ტევენომ, რომ დავა-კამათისას გამართლების ექვსი სამყარო ან „ქალაქი“ არსებობს?
8. გამართლების ამ ექვსი სამყაროდან თუ რეჟიმიდან თითოეული დაახასიათეთ და თითოეული მათგანის არსებით მახასიათებელს ხაზი გაუსვით.
9. განმარტეთ ლ. ტევენოს მიერ შემოტანილი ჩართულობის რეჟიმის კატეგორია და თქვენ მიერ მოყვანილი კონკრეტული მაგალითების განხილვის შუქზე ამ რეჟიმის საჯაროობის მზარდი ხარისხის გრადაცია აჩვენეთ.
10. ლ.ბოლტანსკისა და ლ.ტევენოს მიერ კვლევითი პროექტის რეალიზებას, სოციალური მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, რომელ სამ მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ დასკვნებთან მივყავართ?

ძირითადი ლიტერატურა:

Больтански Л.,Тевено Л. Социология критической способности.\\Журн. Социологии и социальной антропологии. 2000.№3.

Вагнер П. Вслед за «Оправданием»\\ Журн. Социологии и социальной антропологии. 2000.№3.

Тевено Л. Креативные конфигурации в гуманитарных науках и фигурации социальной общности\\ Новое литератур. Обозрение. 2006.ლ №77.

Л.Больтански и. Э. Кьяпелло. О каком освобождение идет речь?\\ Неприкосновенный Запас. 2003. №29.

О. В. Хархордин. Прагматический поворот: социология Л. Болтански и Л. Тевено. Социологические исследования. 2007, №1.

Печерская Н. Справедливость: социалная аналитика и прагматика представлений. Автореферат канд. Дисс. СПбГУ, 2000.

Boltanski L., Chiapello E. Die Rolle der kritik in der Dinamik des Kapitalismus und der normative Wandel// Berliner Journal fur sociologie. 2001.Vol.II. No. 4.S 460.

Йоас Х., Кнебль В. Социальная теория. 20 вводных лекций/ пер. С нем. К. Г. Тимофеевой. – СПб: Алетейя, 2011.

დამატებითი ლიტერატურა:

Ioas H., Knobl W. Socialtheorie. Frankfurt?M: Suhrkamp, 2004.

Волков В.В. О концепции практик(и) в социальных науках.\\ Социологические исследования, 1997. №6, С.9-24

Amiran Berdzenishvili

Contemporary Sociological (Social) Theories

Summary

The primary objective of education of sociologists is the development of sociological imagination in students (P. Sztompka). Sociological imagination is an ability to associate anything that happens in a society with the structural, cultural and historical context (Ch. R. Mills). Sociological imagination means understanding and grasping the hidden structures, cultural resources and limitations existing beyond the surface of events that affect social life; it also implies comprehension of the abilities possessed by the actors/agents have. Development of sociological imagination is similar to the study of sociological theories. Analysis of sociological theories does not necessarily mean just indepth study of history. It enables us to properly orient in chaotic situations, changes and transformations. Deeper consideration of theories allows better understanding of the society and the development of clear ideas of things, offering thus a chance to direct life consciously and rationally. The center of the burden of theoretical thinking shifted from America to Europe primarily due to studies and works by Pierre Bourdieu, Niklas Luhmann, Jurgen Habermass and Anthony Giddens. Though American theoreticians bear similar importance, pointing particularly to Jeffrey Alexander and his fundamental work "Cultural Sociology" presenting a new turn in the development of sociological theory. Contemporary sociological theories answer vital and urgent social questions of everyday life. They can influence a wider audience as well as ordinary people since they offer a "map" of different spheres of social life not only to the students but to everyone interested in social problems. We begin the course of lectures on "Contemporary Sociological Theories" with analysis of works/views of representatives of the generation that appeared on the stage of scientific research in the 60s of the twentieth century, especially during the period after the 1968 student protests. These are: Niklas Luhmann and his autopoietic theory of social systems; Jurgen Habermas and his theory of communicative action; Norbert Elias and the theory of figuration (Elias, who worked in the first half of the twentieth century but gained recognition in the second half is the only exception); Pierre Bourdieu and his theory of practice and theory of habitus, social field; Anthony Giddens and the theory of structuration and the doctrine of later high modernism; Manuel Castells and the theory of informationalism; Ulrich Beck and his theory of risk society; Z, Bauman and the Holocaust and theory of liquid modernity; G. Ritzer and four dimensions of rationality. We also discuss structuralists – Althusser and Godelier and neo-Marxist understanding of social structures; post-structuralists – especially Michel Foucault and his categories of discourse and episteme, Nietzschean attitude to relation of power and knowledge; post-modernists and their critique of "grand narratives", analysis of fragmentation or sign explosion, analysis of simulacra; Jeffrey Alexander and his work "Cultural Sociology" which undoubtedly is a new word in the development of the most recent sociological theories; feminist sociology and theory of social world from feminist viewpoint; Piotr Sztompka's "Third or Visual Sociology" and finally, finish with sociology of pragmatic turn by Luc Boltanski and Laurent Thevenot.

Analogical western (George Ritzer etc.) and Georgian (Iago Kachkachishvili etc.) works in the sphere of theoretical philosophy are considered in the book.

Every new lecture theme is accompanied by specially selected keywords.

Niklas Luhmann. According to N. Luhmann society as an all-encompassing social system is constructed through differentiating its own self from surrounding world to which systems of consciousness (individuals), brain system and physical systems belong. Separating itself from the surrounding world, society can function as a closed unit and since communication is considered the only genuine social operation, operative closeness means that communication is tied and linked to another communication. Meaning appears as a medium which makes such connection possible. But society itself is not homogeneous and is differentiated into a number of such sub-systems as: functional sub-systems (mass-media politics, science, etc.), a system of face-to-face interaction and a system of organizations. Each functional system is separated-isolated through communication coding: by means of yes-editor and no-editor which are given in the meaning. Thus, each functional sub-system strives to comprise only the communication specific to it, but at the same time it tries to exclude other kinds of communication. For example, science exists due to the code of true-false, therefore any true assertion-statement can associate with other true assertion-statement. Communication as such is a three-member unity of information, message and comprehension (understanding the difference between information and message).

Jurgen Habermas. For years Habermas was considered the world's leading Neo-Marxist. Though due to the development of his thinking he absorbed a number of theoretical movements. Habermas believes in the future of the modern world (modernity). It is just what he means speaking about the unfinished project of the modern times (modernity). While Marx put behavior in the center of his works, Habermas thinks that communication is primary since it, as he shows, is a more general process than labor. While Marx focused attention on deformation of labor process by the structure of the capitalist society, Habermas is interested in deformation of communication by the structure of the contemporary society. Marx was directed to the future as the world of interesting and creative labor, Habermas is directed towards the future as a society of free and open communications. Jurgen Habermas is our contemporary whose contribution to the development of critical theory is important. He also worked on the problem of integration of action and structure and discussed the problem of "colonization of lifeworld". Lifeworld is a micro-cosmos in which people interact. The origins of the system are in the space of life but, in the end, it develops its own structural characteristics. Since these structures develop independently and intensely it becomes necessary to enhance control of the life space. In the present-day world system has arrived at "colonization", i.e. necessity of the life space control.

Norbert Elias. N. Elias tried to overcome the distance between the levels of micro and macro attitudes as well as in general the tendency to oppose individual and society that is characteristic for sociologists. Though the most fruitful period in Elias' scientific activities fell on 1930s his heritage has only recently gained acknowledgment which it deserved. Norbert Elias is first of all known for introduction of the concept of figuration into sociology. This idea makes resistance to socially conditioned pressure possible. The concept of figuration is a simple conceptual tool which helps us to lessen social constraint which forces us to think and speak in such a manner as if "individual" and "society" were antagonistic and different.

Pierre Bourdieu. P. Bourdieu's conception is directed towards overcoming one-sidedness and reductionism of rationalism and mechanicism, objectivism and subjectivism. Struggle against objectivism and subjectivism and surmounting them are possible if we resort to practice as opus

operatum and modus operandi – a dialectical place – that is to objectified products of history: structures and habitus. Bourdieu tries to organically develop principles of structuralism and constructivism.

By means of structuralism Bourdieu strives to show that in social world itself and not only in symbols, language, myths, etc., there are objective structures which are independent of agents' consciousness and will and can direct or hinder the practice (ideas) of agents.

By means of constructivism he wants to show that on the one hand there is social genesis of schemes of perception, thinking and action, i.e. the thing that Bourdieu calls constituting parts of habitus and, on the other hand, there is genesis of social structures, in particular of those that Bourdieu calls field or groups i.e. what usually is called "social classes" (i.e. both field and habitus are produced practically but one exists independently of the agents' consciousness and the second is schemes of agents' mentality i.e. schemes of viewing and dividing social space).

Bourdieu within the frame of context of dialectical interconnection of habitus and structure suggests a new theory of action and structure interconnection. This theory is distinguished by attention to practice and rejection of dry intellectualism. Logically interrelated concepts of habitus, social space, field, structure, practice suggested by Bourdieu have a number of engaging aspects which can be considered. Besides, it rather effectively is realized in the empirical studies. Realizing "own strategy of synthesis", Bourdieu relying on social structure moves towards action of subject.

Anthony Giddens. The main point of Giddens' position is that he considers action and structure as "duality". It means that it is impossible to separate them: agent is engaged in structure, and structure is engaged in agent. Giddens refuses to attribute function of restriction and compulsion to structure (as it is in Durkheim's conception) but considers it as a guarantee of both restriction and possibility.

Manuel Castells. Castells analyses the emergence of a new society, culture and economics from the aspect of informative-technological (television, computer) revolution started in the USA in 70s of the 20th century. This revolution, on its part, since the 80s, brought about fundamental reconstruction of capitalistic system and appearance of "informative capitalism" as Castells called it. In addition an "informative society" originated as well. The both forms are based on "informationalism", in conditions of which the ability to qualitatively optimize productive factors on the basis of knowledge and information becomes the rule of development and the main source of production.

Immanuel Wallerstein. Immanuel Wallerstein argued that for the growth of the world capitalist economics on the ruins of feudalism there should be three necessary constituents: geographic expansion that is achieved through discovery of new lands, their investigation-exploration and colonization; elaboration of methods of governing and control of labor force in different parts (e.g. central part, periphery) of the world economics; development of powerful states which should constitute the spine of the emerging world capitalist economics.

The Most Recent Theories of Modernity (Modern) (A. Giddens, U. Beck, G. Ritzer, Z. Bauman). This lecture is dedicated to the most recent theories of the present time. Anthony Giddens understands the present time as a destructive force which has certain advantages though contains dangers as well. Giddens, in particular, points out that one of such dangers is the risk tied up to destructive forces. These dangers are the major themes of Beck's work on the risk society. The present-day world is discussed as the world of risk and necessity for humans to protect themselves from it.

G. Ritzer thinks that rationality is the principal characteristic feature of the contemporary society despite the extreme development of macdonaldization. While Ritzer considers fast food restaurants

as an example of rationality and the present epoch, for Z. Bauman the Holocaust serves as such example. Stress on the fast food restaurants and, especially, on the Holocaust points to irrational moments and, generally, to the dangers which are associated with the present epoch and growing rationality.

Jeffrey Alexander: from Neo-Functionalism to Cultural Sociology. Study of theories of culture convinced Alexander that traditional socio-scientific attitudes to culture are rather limited. His position was strongly influenced by semiotics, hermeneutics and post-structuralist thinking. In result he worked out an original theory of symbolic codes and meanings which penetrate social structure with different tools.

Contemporary Theory of Feminism. Feminist theory sees the world through the eyes of earlier unacknowledged and unnoticed minority – women. Its goal is to discover the important but unrecognized methods through which women (who are sexually subordinated and undergo serious pressure on the part of other stratification categories such as class, race, age, forced heterosexuality and geo-social inequality) activities help us to build our world. The given view changes our understanding of social life considerably. Relying on this foundation women sociologists challenge sociological theory.

Post-Structuralism: Michel Foucault. The aim of Foucault's conception is to state latent structures which are characteristic for knowledge in a certain historical period. It often consists of subconscious suppositions and prejudices or preconceived ideas which systematize thinking of any epoch and set borders to it. They essentially differ from subjective premediated intentions and collective errors. It is a model of thinking which individually characterizes every thinker of the given epoch. Foucault is eager to find out how knowledge generates methods of exerting power. In this context he discusses "Panopticon". Here, connection between knowledge, technology and power is evident. At a different level Foucault analyses Panopticon as the basis of "an entire type of society " – a disciplinary society.

Post-Modern Social Theory. Presumably there are as many kinds of description of post-modernity as there are social theorists of postmodernity. Let's in order to make things easier analyze description suggested by the most prominent figures of the postmodern epoch – Fredric Jameson and Jean Baudrillard. According to Fredric Jameson, postmodernity is, first, the world of superficial imitations; second, it is a world that lacks affections and emotions; third, the feeling of one's own place in history is lost; fourth, instead of rapidly developing modern industrial technologies, the post-modern society is dominated by implosive stupefying industrial technologies. Anyhow, postmodern society differs substantially from the society of modernity.

Describing the postmodern world Baudrillard, like Jameson admits that it is characterized by imitation; we live in the "age of simulation". The process of imitation leads us to the creation of simulacra, to repetition. When difference between signs and reality disappears, it becomes increasingly difficult to differentiate the reality from its copy. Baudrillard speaks about "dissolving of television into life and dissolving of life into television". Finally, representations of the reality, its imitations occupy the dominant position. We are enslaved by these simulations, which "create a circular spiral system existing without the beginning or the end".

The Third or Visual Sociology (P. Sztompka). Sociology changes theoretically as well as methodologically. One part of well-known sociologists studies trivial everyday life. Mass questionings are replaced by in-depth interpretations and qualitative studies which through observation and visual sociology focus on visible processes in the society. According to Sztompka, it all – study of social existence, sign of paradigmatic forward movement is the beginning of the third sociology. Sociology

of social existence/being through focusing on social existence and its revealing in action offers a new vision and helps to understand the secrets of society.

Pragmatic Turn: Luk Boltanski and Laurent Thevenot. Pragmatic turn is a comparatively new development in French sociology which originated from sociology of *innovations* by B. Latour and M. Collon, as well as sociology of justification (justice) worlds by L. Boltanski and L. Thevenot.. The first characteristic feature of pragmatic turn is that it is sociology of human situations and not of social processes or social groups. Situations and ongoing events are qualified by those who participate in them. Sociologist simply observes how the process of stating a general interpretation of the situation proceeds. The second feature of the pragmatic turn consists in turning attention to thing character of social reality and correspondingly to things. The third characteristic feature is rejection of critical positions. Instead of critical sociology Boltanski and Thevenot suggest to engage in sociology of critical ability.

გამოცემაზე მუშაობდნენ:
დალი გერმანიშვილი
ლელა წიკლაური
ნათია დვალი
მარიამ ებრალიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2019